ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი რევიშვილი

გამარჯვების ტრავმა და ქართული ნაციონალიზმი: 1988-1992 წლებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი ჩხაიძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს საქართველოში 1988-92 წლებში „გამარჯვების ტრავმის“, როგორც ფენომენის როლი, ქართული ნაციონალიზმის განსაზღვრაში. კერძოდ, წინარე ტრავმულ პერიოდისა - 1988 წლიდან 1990 წლის ნოემბერში ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს თავჯდომარედ არჩევამდე და პოსტ-ტრავმულ პერიოდში - 1990 წლის ნომებრიდან 1992 წლის ჩათვლით - სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და ნაციონალიზმის რიტორიკის შედარებითი ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს თუ როგორ აისახა გამარჯვების ტრავმა ქართულ ნაციონალიზმში.

კვლევა არსებითად სიახლეს წარმოადგენს, რადგან ამ პერიოდის ქართული ნაციონალიზმის მახასიათებლების განსაზღვრაში „გამარჯვების ტრავმა“ ნაკლებად შესწავლილია.

ნაშრომში შერჩეული ჰიპოთეზის მიხედვით, „გამარჯვების ტრავმა“ განხილულია, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი ქართული ნაციონალიზმის არსის განსაზღვრაში.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად, ნაშრომში ძირითადად განხილული იქნება 1988-92 წლებში ნაციონალისტური რიტორიკის ცვალებადობის დინამიკა. ნაშრომი ასევე შეეცდება გაანალიზოს ის ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს გამარჯვების ტრავმის ჩამოყალიბებაში, ხოლო უშუალოდ გამარჯვების ტრავმისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების დასადგენად ფოკუსირება რიტორიკის დინამიკაზე პრე და პოსტ ტრავმულ პერიოდში მოხდება.

ნაშრომი ცდილობს, უპასუხოს შემდეგ საკვლევ კითხვებს: როგორ აისახა გამარჯვების ტრავმა ქართულ ნაციონალიზმში? იყო თუ არა იგი ერთ-ერთი ფაქტორი ქართული ნაციონალიზმის ბუნების განსაზღვრაში?

Annotation

The aim of the thesis is to examine the role of “Trauma of triumph” in the determination of Georgian nationalism in 1988-1992.

Specifically, on the basis of a comparative analysis of the social-political situation and the rhetoric of nationalism, determine how a phenomenon “Trauma of triumph” reflected in Georgian nationalism in pre-traumatic period: from 1988 to November 1990, election of Zviad Gamsakhurdia as a head of supreme council, and post-traumatic period of 1992 - the history of the previous traumatic period from November 1990 to 1992.

The research is essentially new approach, as Georgian nationalism in this particular period is not examined in terms of “Trauma of triumph”.

According to the hypothesis, “Trauma of triumph” is considered as one of the factors in determining Georgian nationalism.

To examine the hypothesis, the work studies the dynamic of changes in the nationalistic rhetoric in the years of 1988-1992. The paper also seeks to analyze the main socio-political factors, that played a role in formation of “Trauma of triumph”; in the purpose of finding interrelation between the “Trauma of triumph” and nationalism – thesis directly focuses on the dynamics of rhetoric in pre- and post- traumatic periods.

The thesis tries to answer the following research questions: How the “Trauma of triumph” was represented in Georgian nationalism? Did it play a role as one of the factors, in determining the nature of Georgian nationalism?

შესავალი

ნაშრომის მიზანია დაადგინოს გამარჯვების ტრავმასა და ნაციონალიზმს შორის რა ურთიერთკავშირის არსებობს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი საქართველოს გააზრება, როგორც გამარჯვების ტრავმის ერთ-ერთი მაგალითის. ნაშრომი ძირითადი იდეაა საქართველოს მაგალითზე შეისწავლოს წინარე ტრავმული პერიოდის ნაციონალიზმის მახასიათებლები და პოსტ ტრავმულ პერიოდში განსზღვროს თუ როგორ მოხდა გამარჯვების ტრავმის ასახვა ნაციონალიზმში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება რიტორიკაზე.

ნაშრომის ჰიპოთეზაა: გამარჯვების ტრავმა ერთ-ერთი ფაქტორია საქართველოში 1988-92 წლების ნაციონალიზმის ფორმირებაში

ნაშრომის საკვლევი კითხვებია: როგორ აისახა გამარჯვების ტრავმა ქართულ ნაციონალიზმში? იყო თუ არა იგი ერთ-ერთი ფაქტორი ქართული ნაციონალიზმის ბუნების განსაზღვრაში?

ლიტერატურული მიმოხილვა

საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად და ჰიპოთზის დასამტკიცებლად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სტივენ ჯონსისა და სვანტე კორნელის ნაშრომებმა.

პროფესორ სტივენ ჯონსის 2012 წელს გამოცემული წიგნი „საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ ამ პერიოდით დაინტერესებულ მკვლევართათავის ერთ-ერთ საინტერესო შრომას წარმოადგენს. წიგნში საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი, ბოლო ოცი წლის, პოლიტიკური ისტორიის ძალზედ საინტერესო, სინთეზური ანალიზი მოცემული. მასში ასახული ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსების, მინისტრებთან, პრეზიდენტებთან, ელჩებთან და ქვეყნის მართვა-განვითარების პროცესებში ჩართულ პოლიტიკური პირების ინტერვიუთა ანალიზის შედეგია.

საკუთრივ ჩემი ნაშრომისთვის ჯონსის მოსაზრებები და დასკვნები ღირებული იმდენად, რამდენადაც მის წიგნში კარგადაა ასახული დამოუკიდებლობის წინა პერიოდიც, 1988-1991 წლები და ამასთან, რაც ყველა მნიშვნელოვანია, ჯონსი საკმაოდ კარგად

აანალიზებს ზვიად გამსახურდიას ფენომენს, პოპულიზმის საკითხს და ამ პერიოდისა თუ გამსახურდიას ფიგურის შეფასებისას, წამყვან როლს ნაციონალიზმის ეთნონაციონალისტურ ელემენტს ანიჭებს.

ტივენ ჯონსის შეფასებით, გამსახურდიას სამიზნე იყო „არა ადამიანის უფლებები, არამედ ქართველის უფლებები“(ჯონსი, 2013, 78) და ეს შეფასებაც, კარგად ასახავს ერთი მხრივ, გამსახურდიას, როგორც ლიდერის მსოფლმხედველობასა და მისი ქმედებების ქვაკუთხედს, მეორე მხრივ კი ხსნის იმ პერიოდის ქართული ნაციონალიზმის ხასიათს. გამსახურდიას პოლიტიკის შედეგად, საქართველოში ვერ მოხერხდა ისეთი სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება, რომლებსაც ექნებოდათ პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილება, ლეგიტიმურობა და უნარი. (ჯონსი, 2013, 90)

ჯონსს კარგად აქვს გაანალიზებული 1988 წლიდან 1989 წლის 9 აპრილამდე და 1989 წლიდან ზვიად გამსახურდიას არჩევნებში გამარჯვებამდე პერიოდი, რაც ჩემი საკვლევი პერიოდისთვის ტრავმის წინა პერიოდს ემთხვევა. ჯონსი გამოყოფს ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და შემდეგომ, კარგად ხსნის ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პროცესს, ელემენტებსა და მის ხასიათს. ამასთან, ქართული ნაციონალიზმის ხასიათის ჩვენებისას, მნიშვნელოვნადაა გაანალიზებული ზვიად გამსახურდიას რიტორიკა. ამ კონტექსტში ჯონსის ნაშრომი ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია წინამდებარე ნაშრომის ჰიპოთეზაზე სამუშაოდ.

გარდა სტივენ ჯონსისა და სხვა ავტორებისა, გამოვყოფდი სვანტე კორნელის ნაშრომს, რომელიც ასევე კარგად აანალიზებს საკვლევ პერიოდს და რაც ყველაზე მთავარია, ქართული ნაციონალიზმის ეთნონაციონალისტურ ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას, ასევე გამსახურდიას ხედვებსა და მის ქმედებებს, სწორედ ეთნიკურობის ჭრილში წარმაოჩენს. კორნელის შეფასებით, გამსახურდია თავიდანვე იყო “შეურიგებლების”

მხარეს, ვერ ხედავდა რაიმე კომპრომისს საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე და მოუწოდებდა უმცირესობებთან კონფლიქტის თავიდან აცილებისაკენ, რამდენადაც ასეთი კონფლიქტი დააბრკოლება იქნებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. (Cornell, 2005, 140)

თეორიული ჩარჩო - „გამარჯვების ტრავმა“

„გამარჯვების ტრავმა“ ტერმინი და თეორია პოლონელ მეცნიერ პიოტრ შტომპკას ეკუთვნის. „გამარჯვების ტრავმის“ თეორიის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში, ხალხი იღწვის რაიმე დიადი მიზნისკენ (მაგ. სახელმწიფოს დამოუკიდებლობისკენ), საზოგადოების უდიდესი ნაწილის მიერ მთავარ პრიორეტად არის მიჩნეული ამ მიზნისკენ სწრაფვა, საბოლოო გამარჯვება კი მომგებიანად. მთელ ამ პროცესს ახასიათებს ემოციური ფონი და ნაკლები რაციონალურობა. როდესაც ხალხი გამარჯვებას მოიპოვებს, ეს გამარჯვება ხდება ტრავმული, რადგან ის მოლოდინები რაც არსებობდა არ მართლდება და ადამიანები სოციალური კატაკლიზმების წინაშე დგებიან, რაც იწვევს მათ დეზორგანიზაციას და დეზორიენტაციას.

შტომპკას აზრით, კომუნიზმის კოლაფსი ტრავმულ ცვლილებას ზედმიწევნით ნათლად ასახავს: **პირველ რიგში**, იგი მოულოდნელი და სწრაფი იყო. რა თქმა უნდა, იგი გრძელი ისტორიული პროცესის შედეგად მომზადდა, თუმცა იმ „საოცარ

შემოდგომაზე“ მოვლენები საოცრად დაჩქარდა. **მეორე**, ცვლილება წმინდად სისტემური, მრავალწაღნაგოვანი გახლდათ, რომელმაც მოიცვა პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და ყოველდღიური ცხოვრება. იგი ასევე მთლიანად ყოფილმა კომუნისტურმა საზოგადოებებმა გამოსცადეს; მის გავლენას ვერავინ გაექცა. **მესამე**, ის ადრე არსებულ სისტემას საძირკველს უთხრიდა. მან სოციალური ცხოვრების *ძირეული წანამძღვრები* ამოაყირავა: პოლიტიკის სფეროში ავტოკრატიიდან დემოკრატიისკენ, ეკონომიკურ სფეროში ცენტრალური დაგეგმვიდან საბაზროსკენ, კულტურის მხრივ ცენზურიდან ღიაობისკენ - პლურალისტური აზროვნებისკენ და „დეფიციტების საზოგადოებიდან“ ცხოველ კონსუმერიზმამდე. **მეოთხე**, რევოლუცია ნამდვილად მოულოდნელი იყო - ყოველშემთხვევაში ამ დროს და ასეთი მასშტაბის - არა მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, არამედ პროფესიონალი სოციოლოგებსითვისაც (Sztompka 2000: 21).

შტომპკა ხაზს უსვამს, რომ კომუნიზმის კოლაფსმა გამოიწვია ორი ურთერთგანსახვავებული კულტურის შეჯახება. ერთი მხრივ, ეს ყველგან გამჯდარი ისტორიულად ნაბოძები კულტურული წესების რეპერტუარი იყო, რომელიც კომუნისტური რეჟიმის გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა და მიიღო მისი მსგავსი „ჰაბიტუსი“. ამის შექმნის მიზეზი ან გრეძელვადიანი ინდოქტრინაციის ეფექტია, ან ინდოქტრინაციის საპირისპიროდ მიმართული თავდაცვითი რეაქციები და ავტოკრატული კონტროლი. ყოფილი მმართველობის ტიპის ეფექტის მაგალითად შეგვიძლია მივჩინიოთ ეგალიტარაზიმის მხარდაჭერა და წარმატებული ადამიანების მიმართ „გაუაზრებელი შური“, ასევე სახელმწიფო პატერნალიზმის მიმღეობა, ანტი-ელიტიზმი, ანტი-ინტელექტუალიზმი; ამ უკანასკნელის მაგალითად გამოდგება ოპორტუნისტული ორმაგი სტანდარტები - შეფუთული მედიოკრატია, საერთო და ინსტიტუციური პრაქტიკაც კი რეჟიმის მიერ დაწესებული კანონების არიდებას ახალისებდა, სადაც არასუბორდინირება ღირსების საკითხი იყო. ამ ორი ეფექტის

ერთობა განსხეულებული იყო კონკეტულ მენტალურ ჭრილში, რომელსაც ზოგიერთი ავტორი „ჰომო სოვიტიკუსს“ უწოდებს. მეორე მხრივ, სრულიად განსხვავებული კულტურის თესლები არსებობდა, ფუნქციურად ახალი დემოკრატიული და კაპიტალისტური ინსტიტუბის მიერ მოთხოვნილი; მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობა ადამიანებისა კულტურად მზად იყვნენ და ახალ ორგანიზაციულ კონტექსტში ოპერირება შეეძლოთ (ისინი ცივილიზაციურ კომპეტენციას ფლობდნენ). „გამარჯვების“ კვალდაკვალ ამ ორი კულტურის დაპირისპირება ტრავმულ გარემოს ქმნიდა; ამ ორი შეუთავსებელი კულტურის შეჯახება უმეტესი ადამიანებისთვის ნიშნავდა რომ მათმა გაწაფულობამ, ცოდნამ დაკარგა ეფექტურობა და უკუპროდუქტიული და ზოგჯერ ნეგატიურად მიღებულიც კი გახდა ახალ სისტემაში. ახალი კულტურული წესები მათ ესახებოდათ, როგორც უცხო, თავსმოხვეული და ძალდატანებითი. ისინიც კი, რომლებიც მზად აღმოჩნდნენ მიეღოთ ახალი სისტემის კულტურული წესები დასაჩუქრდნენ ახალ გარემოში თავიანთი ქმედებების ეფექტურობითა და წარმატებით, შეეჩეხნენ უსაზღვრო ბიუროკრატიულ მანქანას, ასევე შურს, ეჭვს და უარყოფას იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც მიჩვეულნი ძველ მენტალურ ქცევებს იყვენენ.

შტომპკა კულტურათა დაპირისპირებას აზოგადებს და აღნიშნავს, რომ „რეალური სოციალიზმის დისკურსი“ დაუპირისპირდა „ახლად წარმოქმნილ კაპიტალისტურ“ დისკურს. იგი ხაზს უსვამს, რომ „ბლოკის კულტურით“ ნაანდერძევი კულტურული წესები, რომელიც ავტოკრატული, ცენტრალურად დაგეგმილი რეალური სოციალიზმის საზოგადოებებისთვის მეტად დამახასიათებელი გახლდათ ეწინააღმდეგებდა დასავლური კულტურის პრინციპებს, რომელსაც ფუნქციურად ახალი სოციო-პოლიტიკური კაპიტალიზმის და დემოკრატიის სისტემა მოითხოვდა, სწორედ ამ ორი კულტურის შეუთავსებლობა განავითარა საზოგადოებაში *კულტურული შოკი.* ტრავმული ცვლილებები კულტურულ დონეზე გამოიხატა კულტურული ნორმების *დეზორგანიზაციით,* ხოლო პიროვნულ დონეზე საერთო ქცევების *დეზორიენტაციით.*

შტომპკა, ალექსანდერზე დაყრდნობით, კომუნიზმის კოლაფსის შემდგომ დისკურსთა დაპირისპირებას გამარტივებულ ფორმულის - ბინარულ ოპოზიციების, ანუ „რეალური სოციალიზმის“ და „ახლად წარმოქმნილ კაპიტალიზმის“ დისკურსების ინტეგრალური მახასიათებლების ურთიერთგანსაზღვრებას გვთავაზობს: 1. კოლექტივიზმი vs. ინდივიდუალიზმი 2. სოლიდარობა გაჭირვებაში vs. კონკურენცია 3. ეგალიტარიზმი vs. მერიტოკრატიული სამართალი 4. შეფუთული მედიოკრატილობა vs. ხელშესახები წარმატება 5. დაცულობა vs. რისკი 6. ბედს მინდობა vs. საკუთარ ქმედებებზე მინდობა 7. სოციალურ დახმარების იმედი vs. თვითუზრუნველყოფა 8. წარუმატებლობის სისტემაზე დაბრალება vs. პირადი პასუხისმგებლობა 9. პასიურობა და პირად სივრცეში გაქცევა vs. აქტიურობა და მონაწილეობა საზოგადოებრივ სფეროში 10. წარსულის დიდების მოგონებაზე კოცენტრირება vs. მომავლის აქტიურად განჭვრეტა და დაგეგმვა (Sztompka 2000, 22-23).

შტომპკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ მწვავე გარემო-პირობებს, რომელიც კომუნიზმის კოლაფსმა გამოიწვია, რადგან მან ეჭვებისა და გაურკვევლობის გაძლიერიებას ხელი შეუწყო. მისი აზრით, კომუნიზმის კოლაფსთან ერთად პოლიტიკურ-ეკონომიკური, სტრუქტურული და ორგანიზაციული სწრაფი ცვლილებები დაიწყო, რომელიც გამოიხატა ინსტიტუტებისთვის ახალი ინფრასტრუქტურის შენებით და ყოველდღიური ცხოვრების გარემოს ცვლილებით. ამ მასშტაბის რეფორმები შეუძლებელია უშეცდომო და უმტკივნეულო იყოს. ზოგიერთი ნათლად შეცდომა იყო, თუმცა ისეთებიც რომლებიც წარმატებული აღმოჩნდა მოითხოვდა სხვადასხვა სოციალურ დანახარჯს. საგარეო, საერთაშორისო და ეკონომიკურ სფეროში პარამეტრულმა პროცესებმა ცვლილებებს კიდევ უფრო მეტი სიმძიმე შესძინა მაგ. რუსული ბაზრის ჩამოშლა და ექსპორტის დასავლეთზე რეორიენტაციის აუცილებლობა, ბენზინზე ფასების ზრდა, რომელიც ინფლაციას ხელს უწყობდა (Sztompka 2000, 23-24).

იგი ამ გარემო-პირობების ოთხ კატეგორიას გვთავაზობს: **პირველი კატეგორია** რისკებისა და საფრთხეების ახალ ფორმებს მოიცავს. მათგან ყველაზე მტკივნეული უმუშევრობის ზრდა ან უმუშევრობის ყოვლისმომცველობის შიში გახლდათ. უმუშევრობას მოყვება ინფლაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ოჯახის ბიუჯეტსა და დანაზოგებს. ამავე კატეგორიაში ექცევა კრიმინალის ტალღის სწრაფი ზრდა, რომელიც ასევე მოიცავდა ორგანიზაციული დანაშაულის ახალ ფორმებს და იმ წარმოდგენის გავრცელებას, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები არაეფექტიანია. დეზინტეგრაციის პროცესში მყოფი ბლოკის ღარიბი ქვეყნებიდან მოხდა მიგრანტების გადინება, რომლებიც შეეჩეხნენ „უცხოებს“ და მათთვის დამახასიათებელ კულტურულ ფორმებს. კიდევ ერთი საკითხი შეეხებოდა კონკურენციის თემას, რომელიც იქცა ასევე მძიმე ტვირთად, რადგან იგი გამოუცდელი და მოუმზადებელი ხალხისგან მოითხოვდა ქმედებებს, გადაწყვეტილებებს და არჩევანს. **მეორე კატეგორია** მოიცავს ცხოვრების სტანდარტების გაუარესებას, რომელიც გამოიხატა სიღარიბის დონის მკვეთრად ზრდაში. იერარქიების არსებული სტატუსი შეიცვალა და სოციალური დისტანციებს შორის სხვაობა უფრო თვალშისაცემი გახდა. ყოველდღიური ცხოვრების დისკომფორტს ისიც ემატებოდა, რომ რეფორმების მეტმა საჭიროებამ და ბიუჯეტის დეფიციტმა ისედაც განადგურებული გზების, მატარებლის ხაზებისა და საჯარო ტრანსპორტის ინსფრასტრუქტურის ჩამოშლა გამოიწვია. **მესამე კატეგორია,** მოიცავს უფრო მეტად მძაფრ წარმოდგენებს ძველ, ნაბოძებ პრობლემების შესახებ. ეს დაკავშირებული სოციალური ცნობიერების ცვლილებებთან - ახალი იდეები, კონცეფციები, დოქტრინები, რომელთა წარმოშობა სისტემურმა ცვლილებებმა გამოიწვია. ადამიანებმა დაიწყეს ყურადღების გამახვილება ეკოლოგიურ დესტრუქციაზე, ჯანმრთელობის დაბალი სტანდარტების გაპროტესტება, კერძო საკუთრების სრული აღდგენის მოთხოვნა, რომლის ნაციონალიზაცია მოახდინა კომუნისტურმა რეჟიმმა, ფრაქციულობის, კორუფციისა და ნეპოტიზმის უფრო ნათლად

დანახვა; პოლიტიკოსებისა და მმართველების არაეფექტიანობისა და ამორალუობის გამო უიმედობა გაჩნდა. ეს პრობლემები დიდი ხნით ადრე არსებობდა, თუმცა ისინი უფრო მწვავე გახდა. და ბოლო **მეოთხე კატეგორია,** მოიცავს დილემებს და უკმაყოფილებებს, რომლებიც წარსულის გაანალიზების საჭიროებამ წარმოშვა. საჯარო დებატები შეეხებოდა „დეკომუნიზაციას“ და კომუნისტურ რეჟიმთან კოლაბორაციონისტების „ლუსტრაციას“. წინა რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და ძალადობის გამომჟღავნებას (Sztompka 2000, 25).

შტომპკა ყურადღებას ამახვილებს, ტრავმის, როგორც ფენომენის საზოგადოების მიერ ინტერპრეტირებაზე. კომუნიზმის კოლაფსთან დაკავშირებით საზოგადოებაში ძირითადად ორი ნარატივი გაჩნდა: პოზიტიური და ნეგატიური. შტომპკა ინტერპრეტაციის სხვადასხვაგვარობას პოლონეთის მაგალითზე გვიჩვენებს, თუმცა მისი განზოგადება, რა თქმა უნდა, რელევანტურია, რადგან სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მსგავსი სიპტომები შეინიშნებოდა. პოლონურმა კულტურამ კომუნიზმის კოლაფსიდან გამოწვეული შედეგების პოზიტიურ ჭრილში ინტერპრეტაციისთვის საკმაო საფუძველი შექმნა; პოტენციური ტრავმული მოვლენების, ტრანზიციის გარდაუვალი, თუმცა დროებითი ტკივილის, რაციონალიზება და ახსნა მოახერა, როგორც მთავარი გამარჯვებისთვის გაღებული აუცილებელი ფასი. ნაციონალიზმის ძლიერმა მემკვიდრეობამ წარმოშვა მზა ჩარჩო - „ხელახლა მოპოვებული სუვერენიტეტი“. ცვლილების ინტერპრეტირება შემდეგი სლოგანით გამოიხატა: „ახლა ჩვენ ჩვენს სახლში ვართ“. ამ სლოგანით ხდებოდა ინგორირება ყველა უსიამოვნების და დისკომფორტის, რომლებსაც ადამიანები შეეჩეხნენ. კიდევ ერთი ტრადიციული პოლონურ ორიენტაციას წარმოადგენს ძლიერი პროდასავლური მიდგომა და ზოგჯერ დასავლური პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების ფეტიშიზაცია. ეს მიდგომა გამოიხატება შემდეგი ფრაზებით „გაერთიანება“ ან/და „დაბრუნება ევროპაში“, სწორედ ამ ფრაზებით ხდებოდა ამ გზაზე მდებარე წინაღობების დავიწყება. პოლონური

კულტურული მემკვიდრეობის მესამე მთავარ ელემენტს წარმოადგენდა რომაული კატოლიციზმი, რომლითაც დასავლური ქრისტიანობაში დაბრუნების ხაგზასმა ხდებოდა. რომაული კატოლიციზმითვე ხდებოდა კონსუმერიზმითა და ჰედონიზმითა შემოდინებით გამოწვეული კულტურული და იდეოლგოიური დანაკარგების უგულვებელყოფა. ამ სამი მისწრაფების, რომლებიც ღრმად გართხმული იყო პოლონურ ტრადიციებში, რეალიზებით მოგვრილმა ბედნიერებამ უზრუნველყო „ტრანზიციის ტკივილებთან“ გამკლავება. სწორედ ამ სამმა ძლიერმა კულტურულმა ფონმა პოსტ-რევოლუციური ცვლილებების „პროგესივისტული ნარატივით“ ინტეპრეტირება შესაძლებელი გახადა (Sztompka 2000, 26).

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ კომუნიზმის კოლაფსი ზოგიერთი ჯგუფისთვის შვებასთან ასოცირდებოდა, საზოგადოების უმრავლესობა ჯერ კიდევ „ბლოკის კულტურის“ მარწუხების ქვეშ იყო. რადგანაც ძველი, ბლოკის კულტურა ჯერ კიდევ გაბატონებული იყო, შესაძლო ტრავმული მოვლენები და სიტუაციები (უმუშევრობა, დაუცველობა, კრიმინალის ზრდა და ა.შ) მარტივად იქნა აღქმული ტრავმულად, რადგან ბლოკის კულტურით მიერ ნაკარნახევი და დასწავლული კულტურული მოლოდინები ვერ გაამართლა. ბლოკის კულტურა ასევე ამ პრობელემებთან ეფექტურად გამკლავების მექანიზმების ნაკლებობას განიცდიდა. გასაკვირია არ არის რომ ბლოკის კულტურის წიაღში მყოფი ადამიანების ფრუსტრაციასა და უიმედობას განიცდიდნენ. ბლოკის კულტურის მიერ ცვლიებების მკიტვნეულად და დაუძლეველად აღქმა განპირობებული იყო იმით რომ ისინი ბუნებრივად ბოძებულად თვლიდნენ: დასაქმების გარანტიებს, მინიმალურ სოციალურ სერვისებს (ჯანდაცვა, განათლება, დასვენება), ბავშვთა მოვლას და პენსიებს. ამასთანავე ისინი ფიქრობდნენ ეს ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ყველასთვის თანაბრად უნდა ყოფილიყო განაწილებული. როდესაც ახალმა კაპიტალისტურმა, საბაზრო რეჟიმმა მოიტანა შეჯიბრებითობა, ინდივიდუალური პრინციპები, ადამიანთა მიღწევებს შორის დიდი განსხვავება და

როდესაც ახალი დემოკრატიული, ლიბერალური სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან გავიდა და ადგილი დაუთმო კერძო ძალისხმევას - ეს ფაქტი, დიდი ჯგუფების მიერ შეფასდა, როგორც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარ ვალდებულებებზე უარის თქმა. ისინი თვლიდნენ რომ უმუშევრობა, ცხოვრების სტანდარტების გაუარესება, ინფლაცია, ზრდადი კრიმინალისგან სუსტი დაცვა, სოციალური კონტრაქტი უპატიებელი დარღვევა იყო. ეგალიტარული პატერნალიზმისა და სოციალური უსაფრთხოების ტრადიციამ უზურნველყო პოსტ-რევოლუციური ცვლილებების „ტრაგიკულ ნარატივში“ მოქცევა (Sztompka 2000, 26-27).

შტომპკა გამოყოფს „გამარჯვების ტრავმის“ ხუთ სიმპტომებს, რომლებიც მნიშვნელოვანი ლაკმუსებია პოსტ-საბჭოთა ქვეყნების „გამარჯვებების“ გასაანალიზებლად. მას ამ სიმპტომების საილუსტრაციოდ ისევ პოლონეთი მოჰყავს, თუმცა, რასაკვირველია, ეს სიმპტომები ზოგად ჩარჩოს აყალიბებს.

უნდობლობის სინდრომი - ანტი-კომუნისტური რევოლუციის სიხარულისა და ენთუზიაზმის შემდგომ, დგება პოსტ-რევოლუციური გამოფიტულობა, „დილის შემდგომი სინდრომი“ და მას თან ახლავს ნდობის ძირეული დანგრევა. უმაღლესი ნდობიდან, რომლითაც თადეუშ მაზოვიცკის პირველი დემოკრატიული მთავრობა სარგებლობდა, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა თანდათანობით იკლებს. ლეხ ვალენსას შემთხვევა ცალსახად საუბრობს ამ ფაქტზე, როგორც კი მან საპრეზიდენტო კაბინეტი ჩაიბარა მისი პოპულარობა უკიდურესად დაეცა. ხალხის 24%-მა მისი ქარიზმატული და გმირი ლიდერის შეფასებისას განაცხადა, რომ მან გაპრეზიდენტების შემდგომ პოლონეთი შეარცხვინა. ხალხი სხვა პოლიტიკოსებს დიდი ეჭვით უყურებდა; გამოკითხულთა 87% პოლიტიკოსების შეფასებისა ამბობდა, რომ ისინი მხოლოდ საკუთარ ინტერესებსა და კარიერაზე ფიქრობენ და არა საზოგადოებრივ სიკეთეზე; 77%-ს სჯეროდა, რომ პოლიტიკოსები თავიანთ თანამდებობებს პირადი მიზნებისთვის იყენებდნენ. ნებისმიერი უარყოფითი

მოვლენისას მოსახლეობის 93% აცხადებდა: „პოლიტიკოსების და ბიუროკრატების ბრალია“.

მიუხედავად იმისა, რომ მასმედია გაცილებით დამოუკიდებელი და სახელმწიფოსთან ნაკლებად დაკავშირებული იყო უნდობლობას მაინც განიცდიდა. სავარაუდოა, რომ რეალური სოციალიზმი გამანადგურებელი ზეგავლენის შემდგომ მათ ვერ მოახერხეს ნდობის აღდგენა.

ნდობის საკითხი არამარტო სახელმწიფო დონეზე წარმოადგენდა პრობლემას, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ერთმანეთს უფროდაუფრო ნაკლებად ენდობოდნენ.

მომავლის არასახრბიელოდ ხედვა - კულტურული ტრავმის მეორე სინდრომი მომავლის პესიმისტური ხედვა არის. 1991 წელს ქალაქ ლოძში გამოკითხულთა მხოლოდ 13% სჯეროდა რომ ცვლილებები სწორი მიმართულებით მიდის და ყველაფერი რიგზე იქნება. იმავე წელს მოსახლეობის 59% ვარაოდობდა რომ მათი ეკომიკური მდგომარეობა გაურესდებოდა.

წარსულის ნოსტალგიური აღქმა - ტრავმის კიდევ ერთი ინდიკატორი არის ახლანდელი სოციო-ეკონომიკური მგომარეობის მუდმივად წარსულთან შედარება. საბჭოთა კავშირის დაშლიდან სამი წლის შემდეგ მოსახლეობის უმრავლესობას სჯეროდათ რომ ადამიანები რეალური სოციალიზმის დროს უკეთესად ცხოვრობდნენ.

პოლიტიკური აპათია - მიუხადავად უფრო მეტი პოლიტიკური ღიაობისა და შესაძლებლობებისა, უბრალო ხალხის მიერ პოლიტიკაში ჩართულობა და ამ შესაძლებლობების გამოეყენება შეზღუდული იყო, ხოლო ელექტორატის პასიურობა მაღალი. მრავალფეროვან ახალ ჩამოყალიბებულ პარტიებში გაერთიანების მაჩვენებელი ძალიან დაბალი მაჩვენებელი შეინიშნებოდა. დაბალ დონეზე სამოალაქო ინიციატივები ძალიან დაბალი იყო, ხოლო ადგილობრივი

თვითმართველობები ჯერ კიდევ განუვითარებელი და ბიუროკორატიით გადატვირთული.

პოსტ-კომუნისტური ნაბახუსევი: კოლექტიური მეხსიერების ტრავმები - ტრავმის ბოლო სიმპტომს წარმოაგენს კომუნისტური წარსულის ხელახალი შეფასება. გამარჯვებათა წყებამ თადეუშ მაზოვიცკის პირველ დემოკრატიულ მთავრობას მისცა შესაძლებლობა გამოეცხადებინა წარსულთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტის პოლიტიკა, თუმცა მალევე პასუხისმგებლობის, შეურიძიების სურვილი წამოიჭრა წინ განსაკუთრებით იმ ჯგუფების მიერ, რომლებზეც ცვლილებებმა უარყოფითი გავლენა იქონია.

მცირე რეზიუმირებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნიზმის კოლაფსი და საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება ამ ქვეყნებში „უნივერსალურად ყველას მიერ აღქმული იყო, როგორც პროგრესული და მომგებიანი მოვლენა, ხშირად მას იღებდნენ ენთუზიაზმით“, თუმცა საზოგადოების იმედები და მოლოდინები გაწბილდა, ისინი რეალური სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ და აქედან გამომდინარე „გამარჯვება“ მათთვის ტრავმული გახდა.

წინარე ტრავმული პერიოდი

ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზის შესამოწმებლად და საკლვევ კითხვაზე პასუხის გასაცემად, შესაბამისად „გამარჯვების ტრავმის“ ქართულ ნაციონალიზმში ასახვის საილუსტრაციოდ, საჭიროდ მიმაჩნია, 1988 წლიდან „გამარჯვების“ წინ – 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებამდე, რომელშიც ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და შემდგომ მისი

ძალით 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავჯდომარედ გამსახურდია აირჩიეს - არსებული წინარე ისტორია და მიმდინარე მოვლენები გავაანალიზოთ, რათა უფრო თვალნათლივ დავინახოთ ტრავმამდელი და პოსტ-ტრავმული პერიოდისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. წინარე ტრავმული პერიოდის შესწავლა უფრო მეტად დაგვანახებს ქართული ნაციონალიზმის სტრუქტურას, მის ფორმებსა და შინაარსს. ამას გარდა, 80-იანი წლების ნაციონალიზმის „დუღილის" პროცესის გააზრება დაგვეხმარება შემდგომში განვითარებული მოვლენების ახსნაში.

მნიშვნელოვანია, თანმიმდევრობით გავყვეთ იმ მოვლენებს, რომლებმაც განსაზღვრეს ქართული ნაციონალიზმის ბუნება და ხასიათი წინარე ტრავმულ პერიოდში.

ეროვნული მოძრაობა 80-იანი წლების ბოლოს

საბჭოთა კავშირში გორბაჩოვის მიერ გამოცხადებულმა *პერესტროიკისა* და *გლასტნასტის* პოლიტიკებმა ფაქტობრივად კიდევ უფრო მეტად შეარყიეს, ისედაც შერყეული საბჭოთა პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური არქიტექტურა. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეფორმებისა და ხელისუფლების შესუსტების ფონზე კავშირის შიგნით გაჩნდა შრეები და სივრცეები, რამაც შესაძლებელი გახადა ქართული დისიდენტური მოძრაობის გამოცოცხლება და შემდგომში ეროვნულ მოძრაობად ფორმირება.

1987-1989 წლებში საქართველოში ფაქტობრივად მრავალპარტიულ სისტემას საფუძველი ჩაეყარა, მიუხადავად იმისა, რომ არაფორმალური ჯგუფები და პარტიები ოფიციალურად რეგისტრირებულნი არ იყვნენ, ისინი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენდნენ. ამ პერიოდისათვის პარტიათა კლასიფიკაცია საბ ბანაკად შეიძლებოდა - მემარცხენე, ცენტრისტები და მემარჯვენე ფრთებად (შველიძე

2008, 19). სწორედ მემარჯვენე ფრთაში აღმოჩნდნენ რადიკალური ჯგუფები, რომლებმაც მალევე მოიპოვეს საზოგადოების ნდობა და ისინი ჩამოყალიბდნენ წამყვან ძალად.

ცენტრალური ხელმძღვანელობის მიერ 1987 წლის იანვარში დემოკრატიული კურსის გამოცხადების შემდეგ ქართული პოლიტიკური ატმოსფერო სწრაფად შეიცვალა. 1987 წლის დასაწყისში გამოყენებულ იქნა ეროვნული და რეგიონული ორგანიზაციების ღიად დაფუძნების შესაძლებლობა, რათა დაწყებულიყო ქართული კულტურის, ენისა და ეროვნული იდენტობის გამოცოცხლება. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი ორგანიზაციები ღიად არ უჭერდნენ მხარს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას, უდავო იყო, რომ მათ განზრახვას დამოუკიდებელი საქართველოსათვის საფუძვლის მომზადება წარმოადგენდა, როგორც კი ამის საშუალებას პოლიტიკური ვითარება შექმნიდა (Cornell 2005, 146).

ამავე წლის ოქტომბერში თბილისში პირველი არაფორმალური პოლიტიკური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ შეიქმნა. იგი წარმოადგენდა ერთგვარ პოსტდისდენტურ პოლიტიკურ ორგანიზაციას, სახელმწიფო ამგვარ ორგანიზაციებს რეგისტრაციაში არ ატარებდა, თუმცა არც მათ საქმიანობას კრძალავდა. ამ ორგანიზაციაში ეროვნული მოძრაობის გამორჩეული პიროვნებები გაერთიანდნენ: მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია და სხვები (შველიძე 2008, 33)

80-იანი წლების ბოლოსთვის შეიქმნა ასევე რუსთაველის საზოგადოება, რომელშიც ზეინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი გაერთიანდა. რუსთაველი საზოგადოებას აკაკი ბაქრაძე ჩაუდგა სათავეში. ისტორიკოს დიმიტრი შველიძის აზრით, გამორიცხული არ არის რომ ძლიერი ცენტრისტული, ზომიერი საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნა იმჟამინდელი ხელისუფლების ხელშეწყობით და

ინიცირებით მოხდა. რუსთაველის საზოგადოებას თითქოს უნდა შეესრულებინა ერთგვარი საპირწონე ფუნქცია ილია ჭავჭავაძის ორგანიზაციისთვის და მისთვის „კონკურენცია“ გაეწია (შველიძე 2008, 23-24). რუსთაველის საზოგადოებამ ვერ შექმნა უფრო რადიკალი ჯგუფების ალტერნატივა, ვერ ჩაუდგა სათავეში ეროვნული მოძრაობას და ეს როლი არაფორმალებს დაუთმო. ამ უკანასკნელებმა კი ხელისუფლებასთან არაკომპრომისული, რადიკალური პოზიცია დაიკავეს, რამაც ეროვნულ მოძრაობას ქუჩის აქციებისა და მიტინგების ფორმა მისცა (დავითავშვილი 2003, 392).

ნიშანდობლივია, რომ ეროვნულ მოძრაობაში მზარდად შეინიშნებოდა შიდა დაპირისპირებები, ერთ ბანაკში მყოფი ჯგუფები ხშირად მალევე იშლებოდნენ და სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებს თუ გაერთიანებებს აყალიბდნენ. საზადოებების, გაერთიანებების, მოძრაობების თუ სხვათა ჩამოყალიბებას ხელი საბჭოთა კავშირის დასუსტებამაც შეუწყო, რადგან ასეთი სუბიექტები კანონით არ იკრძალებოდა და იმ დროინდელი ხელისუფლებაც ვერ აკონტროლებდა მათი აღმოცენების დინამიკას, შესაბამისად ამ პერიოდში ასეთი ტიპის აქტორები მომრავლდნენ. ამ ყოველივემ ცხადად შეუწყო ხელი ქართული ნაციონალიზმის და ზოგადად საზოგადოების პოლარიზაციას. შიდა დაპირისპირებებმა და განხეთქილებებმა ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო არათანმიმდევრული და ემოციური გახადა.

ძირითადი ხაზი, რომელიც ეროვნული მოძრაობის შიდა დაპირისპერებას გაზდევს არის ზომიერი ე.წ ბალტიის ქვეყნების გზა და რადიკალური მიდგომები, რომელიც უკომპრომისობაზე იყო აგებული და თავის თავში ქუჩის აქციებსა და მიტინგებს მოიცავდა. ზემოთხსენებულ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან“ უმეტესი ნაწილი გავიდა და ცალკე პოლიტიკური ორგანიზაციები დაარსა. 1988 წლის გაზაფხულზე გია ჭანტურიამ დაახლოებით იდენტური სახელის ორგანიზაცია - „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება - IV დასი“ დააფუძნა. ეროვნულ მოძრაობაში ეს ერთგვარი პირველი

გათიშვა გახლდათ. გია ჭანტურია უფრო ხისტი, „პერმანენტული, ყოველდღიური ბრძოლის“ საჭირობას ხედავდა, ვიდრე „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელიც უფრო მეტად ზომიერი და თანამიმდევრული პოლიტიკის მომხრე იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“, რომლის ლიდერებიც შემდგომში თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე, გიორგი მამულია და სხვები წარმოადგენდნენ, ზვიად გამსახურდიას პიროვნების მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება ჰქონდათ. ამ ჯგუფებს შორის დაპირისპირება მათი განსხვავებული შეხედულებებიდან მოდიოდა და თანდათანობით ღრმავდებოდა. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ რადიკალების ბანაკისგან განსხვავებით, „ლიტვური გზის“ აპოლოგეტი იყო. 9 აპრილი გახდა ჯგუფებს შორის წყალგამყოფი ხაზი, რადგან აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა 9 აპრილის აქციაზე დაყენებულმა მოთხოვნებმა. „ილია ჭავაჭავაძის საზოგადოების“ აზრით, 6 აპრილიდან მათ მიერ ინიცირებული აქცია „სხვადასხვა ჯგუფების მიერ გადაიზარდა იმუამად სრულიად უპერსპექტივო საქართველოს სსრკ-დან გამოყოფის მოთხოვნაში“ (შველიძე 2008, 41). ამ და სხვა შეხედულებათა გამო, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასა“ და რადიკალებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, რასაც ურთიერთბრალდებათა მთელი კასკადი მოჰყვა (ზვიად გამსახურდიამ მათ „მოღალატეები და „ხალხის მტრები“ უწოდა[1]). 1989 წლის ოქტომბერში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასა“ და რადიკალურ მოძრაობას შორის რაიმე სახის იდეურ, ორგანიზაციულ თუ ურთიერთნდობის საკითხს წერტილი დაესვა, როდესაც რადიკალების უმრავლესობა „ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში“ გაერთიანდა და მათ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“, უკანასკნელთა სურვილის მიუხედავად, წევრობაზე უარი უთხრეს. „ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში“ გაერთიანდნენ: 1. საქართველოს ჰელსინკის კავშირი 2. წმინდა ილია მართლის საზოგადოება 3. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია 4. საქართველო ეროვნულ

[1] გაზეთი „ივერია“ N10, 1989, გვ.2

დემოკრატიული პარტია 5. ეროვნული სამართლიანობის პარტია 6. მონარქისტული პარტია 7. საქართველოს დემოკრატიული პარტია 8. ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია 9. საქართველოს ღირსების კავშირი. ისინი აცხადებნენ, რომ „იწყებდნენ ერთიან ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, ეროვნული ხსნისა და აღორძინებისთვის“ (შველიძე 2008, 42-43).

ზომიერ და რადიკალურ ოპოზიციურ ძალებს შორის კიდევ ერთხელ მოხდა გათიშვა 1989 წლის ზაფხულში „სახალხო ფრონტის“ დაფუძნების კვალდაკვალ. სახალხო ფრონტი იდეურად ბალტიური გზის მხარდამჭერი იყო. ბალტიის ქვეყნებში ასეთი ორგანიზაციები მასობრივ მოძრაობებს წარმოადგენდნენ, ფაქტობრივად, სახალხო ფრონტი სხვადასხვა პარტიების, ჯგუფებისა და საზოგადობების გამაერთიანებელ ფუნქციას ასრულებდა. საქართველოშიც სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა სახალხო ფრონტი, რომელშიც იმ დროის თვალსაჩინო ინტელექტუალები (მერაბ მამარდაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ელდარ შენგელაია და ა.შ) გაერთიადნენ. სახალხო ფრონტს სათავეში ნოდარ ნათაძე ედგა. სახალხო ფრონტს სერიოზულ მისიას აკისრებდნენ, იგი ერთგვარ ღერძად, ლოკომოტივად უნდა ჩამოყალიბებულიყო, რომელსაც უნდა შემოეკრიბა ინტელექტუალური ძალები. ამგვარ მოძრაობას ქართული ეროვნული მოძრაობისთვის ფუნქციურად ახალი ზომიერი და რაციონალური იმპულსი უნდა მიეცა (შველიძე 2008, 47).

1989 წლის 21-25 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „სახალხო ფრონტის“ დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა. ყრილობის დამსწრე დელეგატები მეტად ეკლექტური პოლიტიკური შეხედეულებების იყვნენ, უფრო მეტად ჭარბობდა ემოციური და არაკონსტრუქციული განწყობილება. ყრილობაზე განსაკუთრებული დაპირისპირების საგანი გახდა სათათბიროს სტრუქტურის და მოქმედების განსაზღვრა გახდა. მერაბ მამარდაშვილი თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ სათათბირო წარმომადგენლობა უნდა გაზრდილიყო. იგი აღნიშნავდა, რომ სრულიად

საქართველოდან სურდათ თავიანთი წარმომადგენლის ყოფნა სათათბიროში და შეცდომად თვლიდა სათათბიროს კონტიგენტის მცირე რაოდენობით განსაზღვრას[2]. მამარდაშვილის იდეას მკაცრად დაუპირისპირდნენ რადიკალები, მათი აზრით, სათათბიროში მოხვდებოდა ხელისუფლების მიერ შეგზავნილი პირები და იგი მართვად ორგანოდ იქცეოდა (შველიძე 2008, 48). ყრილობაზე ასევე სიტყვით გამოვიდა ზვიად გამსახურდია; გამოსვლაში მან გააკრიტიკა „სახალხო ფრონტის“ პროგრამა. გამსახურდია მიმართვაში ეთნონაციონალისტურ ფრაზებსა და წანამძღვრებს იყენებდა[3] (გამსახურდიას ამ გამოსვლას მოგვიანებით, ოდნავ ქვემოთ გავაანალიზებ).

1990 წელს ზომიერ ფრთასა და რადიკალებს შორის კიდევ ერთი დაპირისპირება მოხდა. კონფრონტაციის საგნად იქცა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნები. ზომიერი პოლიტიკური ბანაკის წამომადგენლები საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობას მხარს უჭერდნენ, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ საპარლამენტო ბრძოლა დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ერთ-ერთ გზას წარმოადგენდა. ზომიერი ფრთა იმოწმებდა ბალტიურ გამოცდილებას, სადაც დამოუკიდებლობის მოპოვება მსგავსი გზით მოხდა. ამ იდეას რადიკალური ოპოზიციური ძალები მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ, ისინი მძაფრად აკრიტიკებდნენ არჩვევნებში მონაწილეობის მომხრე ჯგუფებს. საბოლოოდ, რადიკალურმა ჯგუფმა შეურიგებელი დამოკიდებულებით და იმხანად ერთიანობით, მიაღწია თავის საწადელს და პირველად საბჭოთა საქართველოს ისტორიაში უზენაესი საბჭოს არჩვენები (1990 წლის 25 მარტი) ჩაშალა (შველიძე 2008, 69-73) ეს იყო იმ დროისთვის უპრეცენდენტო შემთხვევა, მის მნიშვნელობაზე ქვემოთ ვისაურებ.

---

[2] იხ. მერაბ მამარდაშვილის გამოსვლა ბმულზე: http://bit.ly/2EmHq28

[3] იხ. ზვიად გამსახურდიას გამოსვლა ბმულზე: http://bit.ly/2suIifM

1990 წლის დასაწყისში რადიკალებმა მიიჩნიეს, რომ ეროვნულმა ხნის კომიტეტმა თავის თავი ამოწურა და უფრო მასშტაბური, ფართო კონსოლიდაციის ეროვნული დაარსეს. მოგვიანებით ეროვნული ფორუმის წევრებს შორის განხეთქილება მოხდა და ისინი ორ ურთიერთდაპირისპირებულ ჯგუფად გაიყვნენ. ერთ მხრარეს აღმოჩნდა, ზვიად გამსახურდიას მიერ ახლა დაარსებული ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ და მასში შემავალი ორგანიზაციები, ხოლო მეორე მხარეს ჭანტურიას, წერეთლის, მხედრიონის და სხვათა გაერთიანება. ჩემი მთავარი ამოცანა არ არის, იმ მიზეზთა გარკვევა და სიმართლის დადგენა თუ უშუალოდ რა ფაქტორებმა გამოიწვიეს რადიკალური ოპოზიციის ორად გახლეჩა. ჩემი კვლევისთვის, თვითონ ეროვნული მოძრაობის დაყოფისა და დაქსაქსვის ფაქტია მნიშვნელოვანი.

როგორც ზემოთ დავინახეთ, 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობა რთული და კომპლექსური მოვლენა იყო. ამ პერიოდში, ქართულმა საზოგადოებამ თანმიმდევრული ნაციონალური პროექტის შექმნა ვერ შეძლეს. კონკრეტული გეგმების და პროგრამების არ არსებობამ განაპირობა მეტი ემოციურობა, რადიკალიზმი და ნაკლები ზომიერება და რაციონალობა. ყველაზე სერიოზული შეფერხებები საბჭთა ძალაუფლებისთვის ქმედითი წინააღმდეგობის გაწევაში იყო განსხვავებები პიროვნებებს შორის, გამოუცდელობა, უდისციპლინობა და პირდაპირო მოქმედებისკენ ლტოლვა. კონფლიქტი პიროვნებებს შრის და „დაყოფა“, ანუ „ვიწრო პარტიული ან ორგანიზაციული პატრიოტიზმი“, მერაბ კოსტავას სიტყვებით, იყო ეროვნული მოძრაობის „აქილევსის ქუსლი“ და პირველი წინაღობა გაერთიანებული ოპოზიციისთვის (ჯონსი, 2013, 54). შესაბამისად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეროვნული მოძრაობის დეკონსტრუქციამ და ფრაგმენტულობამ საქართველოს ისტორიაში შემდგომი მოველენები განსაზღვრეს. ეროვნულ მოძრაობაში კონსოლიდაციის ნაკლებობამ ხელი შეუშალა მწყობრი პოლიტიკისა შემუშავებას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ 80-იანი წლების ბოლოს ქართული ეროვნული მოძრაობის

რადიკალურმა სახემ, რომელიც მთლიანად ეფუძნებოდა უმეტეს შემთხვევაში არამიზეზ-შედეგობრივ შეურიგებლობასა და უკომპრომისობას, ითამაშა ხალხის ემოციებზე, გაჩნდა ილუზიები, რომ „გამარჯვება“ დამოუკიდებლობა თავისთავად ნიშნავდა მდგრადობას, რაც მცდარი თეზა იყო. აქედან გამომდინარე, მასების ეგზალტირებამ და აჟიტირებამ, ეროვნული მოძრაობის რადიკალურმა ჯგუფების ეთნონაციონალისტურმა რიტორიკამ, მიმდინარე პროცესში გაჩენილმა მაღალმა იდეალებმა და მოლოდინებმა გამარჯვების შემდგომი ტრავმის და ნაციონალიზმის განსაზღვრაში ერთ-ერთი როლი შეასრულეს. მოკლე ფორმულის სახით რომ შევაჯამოთ ეს პერიოდი, შეიძლება ითქვას, რომ რიტორიკისა და ქუჩის აქციების უკან არ სახელმწიფოს მოწყობისა და განვითარების რეალური გეგმა იდგა, მოვლენებს იმპულსურობა და ინფანტილიზმი უფრო წარმართავდა, ვიდრე პრაგმატულობა და პოლიტიკური რეალიზმი.

მცირე გამარჯვებები

80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ხელისუფლების დაკნინებამ და გორბაჩოვის პოლიტიკის წარუმატებლობამ, ბიძგი მისცა ქართულ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ქუჩის აქციებითა და მიტინგებით ზეგავლენას ახდენდა ხელისუფლების პოლიტიკაზე და რეალურად წარმატებასაც აღწევდა. ჩემი კვლევისთვის, ამ პერიოდში თითოეული, ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული, გამოსვლა, რომელსაც შედეგი მოყვა, მნიშვნელოვანია გასაანილეზბლად, რადგან სწორედ წინარე ტრავმულ პერიოდში „მცირე გამარჯვებებმა“ გააჩინეს უფრო მეტი იმპულსი და შექმნეს ემოციური ფონი ქართულ საზოგადოებაში. „მცირე გამარჯვებებმა“ წარმოშვეს რწმენა, რომ ადამიანებს შეუძლიათ რეალური ცვლილებების მიღწევა.

სწორედ ამ რწმენამ შექმნა მოლოდინები დიდი გამარჯვების და მეორე ხარისხოვანი გახადა მწყობრი, მრავალწახნაგოვანი გეგმის არსებობა. გამარჯვების მოპოვება ილუზორულად, პანაცეად იქნა აღქმული. აქედან გამომდინარე წინარე ტრავმულ პერიოდში მიღწეულმა მცირე გამარჯვებებმა, იმ დროინდელმა პოლიტიკურმა პროცესებმა და საზოგადოების განწყობა რეალური საფუძველი ჩაუყარეს შემდგომში გამარჯვების ტრავმის ჩამოყალიბებას.

საქართველოში აქციების ტალღა, რომელსაც თან „მცირე“ გამარჯვებები ახლდა 1988 წლიდან დაიწყო. ამ წელს საქართველოში ოცდათვრამეტი მიტინგი და დემონსტრაცია ჩატარდა, მათგან ოფიციალურად სანქცირებული მხოლოდ ოთხი იყო (ჯონსი 2013, 42). მასობრივი პროტესტის პირველი გამოვლინება ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალი მშენებლობის წინააღმდეგ გამოსვლა იყო. ქართულ საზოგადოებაში შეშფოთება გამოიწვია იმ ეკოლოგიურმა საშიშროებამ, რაც ამ რკინიგზის მშენებლობას მოყვებოდა (დავითაშვილი 2003, 392). რკინიგზა, რომელიც გამიზნული იტო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განსავითარებლად და რუსეთის სამხედრო ძალებისთვის რეგიონში შეღწევის გასაილოებლად, ქართული ოპოზიციის განცხადებით, გამოუსწორებელ ზიანს მოუტანდა მთის გარემოს, დააჩქარებდა მთებში მცხოვრები თემების დეპოპულაციას და დააბინძურებდა თბილისის წყალმომარაგებას. ექვსთვიანმა კამპანიამ, რომელსაც აწარმოებდნენ ქართველი ინტელექტუალები, საქართველოს კომპარტია აიძულა მშენელობა გადაედო (ჯონსი 2013, 41-42). ეს მოვლენა ერთ-ერთი პირველი გამარჯვებათაგანი იყო, რომელიც ეროვნულ მოძრაობამ მოიპოვა, შესაბამისად გაძლიერდა მუხტი და ერთგვარ ათვლის წერტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნაციონალიზმის აღმავლობაში. სტივენ ჯონსი მოქნილად აღნიშნავს, რომ კავკასიის სამთო რკინიგზის პროექტის წარუმატებლობა კარიბჭეში გაჩენილი ბზარი იყო, რომელშიც ენერგიულად შემოიჭრნენ ქართველი ნაციონალები (ჯონსი 2013, 42).

შემდეგი მასობრივი გამოსვლა 1988 წლის თებერვალში მოხდა. იგი მიმართული იყო გარეჯის უდაბნოში საბჭოთა არმიის პოლიგონის გაუქმებისკენ. იქ მიმდინარე სამხედრო სწავლება დავით გარეჯის უნიკალურ სამონასტრო კომპლექსს აზიანებდა, რაც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის უაღრესად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. აქციაზე მოითხოვეს სამხედრო პოლიგონის გაუქმება. ზურაბ დავითაშვილის შეფასებით, ეს სამხედრო მანქანასთან აშკარა დაპირისპირება იყო, რაც მაშინ წარმოუდენლად მიიჩნეოდა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიგონი არ გაუქმებულა, სამხედრო სწავლების ინტენსივობა და ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენება შემცირდა (დავითაშვილი 2003, 392).

აშკარა გახდა, რომ ქართული ნაციონალიზმი, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თავის ფორმას და ძალას იძენდა, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ 1988 წლის მარტში საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეზღდული საზოგადოებრივი დემონტრაციები დაუშვა (ჯონსი 2013, 43).

რადიკალური მოძრაობების მზარდი პოპულარობა უდაო გახადა 1988 წლის ნოემბერში თბილისში გაიმართა 200.000 დემონსტრაციამ, მიმართულმა სსრკ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების წინააღმდეგ, რომელსაც კიდევ უფრო უნდა შეკვეცა საქართველოს შიდა სუვერენიტეტი (Cornell 2005, 147). 12 ნოემბერს იპოდრომზე გაიმართულ მიტინგის მთავარ სიმბოლოს დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა წარმოადგენდა. 22 ნოემბერს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა უმაღლესი საბჭოს შენობის კიბეებზე ერთკვირიანი შიმშილობა გამოაცხადეს. რამდენიმე დღეში მოშიმშილეთა რაოდენობამ 500 ადამიანს გადააჭარბა, 23 ნოემბერს უმაღლესმა საბჭომ, რომლის სხდომა მასშტაბური მიტინგის ფონზე მიმდინარეობდა, უარყო ცენტრის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები. 1 დეკემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო. ის მუხლი, რომელიც ყველაზე მეტად

აღელვებდა ქართულ საზოგადოებას, კრემლში მართლაც შეცვალეს და მოკავშირე რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება შეუნარჩუნეს (ჩხაიძე 2016, 46). ეს უკანასკნელი ერთ-ერთი გარდამტეხი მომენტი იყო, რადგან ეროვნულმა მოძრაობამ, ფაქტობრივად, აიძულა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება წასულიყო მოსკოვის წინააღმდეგ. ამ პერიოდში, ქართული ნაციონალიზმი უკვე იძენდა თავის ექსკლუზიურ ფორმას; ქართული ეროვნული მოძრაობა მიემართებოდა თავისი ზენიტისკენ, ხალხის ნდობა და მხადაჭერა მათ მიმართ, პრინციპში, დღითიდღე იზრდებოდა, ხოლო პარტია კი კარგავდა ლეგიტიმურობას. თუმცა პარტია მაინც ცდილობდა სახის შენარჩუნებას. მან პატრიოტული თემატიკის მოშველიება სცადა და 1988 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“, რომელმაც დასახა სახელმწიფო და კულტურულ დაწესებულებათა გაქართულების განრიგი (ჯონსი 2013, 44).

„მცირე“ გამარჯვებათა წყებაში კიდევ ერთი თვალსაჩინო მომენტი 1989 წლის ნოემბერში დადგა, როდესაც საქართველოს უმაღლესმა საბჭომ, იმ მოვლენათა გამომდინარე რაც ხდებოდა, კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები, რომლებმაც რესპუბლიკის მთელი ქონება „გააქართულა“ და ჩამოაყალიბა საქართველოს კანონმდებლობის უზენაესობა საკავშირო კანონმდებლობაზე. 1990 წლის მარტში უმაღლესი საბჭო თავის დეკლარაციაში სათაურით „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიები“ მოითხოვდა ყველა იმ შემოთავაზებული საბჭოთა საპრეზიდენტო უფლებამოსილების გაუქმებას, რომლებიც არღვევდა რესპუბლიკის სუვერინტეტს (ჯონსი 2013, 50-51). კიდევ ერთ უპრეცენდენტო შემთხვევას წარმოადგენდა, უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველოში 1921 წლის თებერვალში საბჭოთა არმიის შეჭრა გამოცხადდა „დე ფაქტო ანექსიად“ და „საერთაშორისო დანაშაულად“ (ჯონსი 2013, 51). რა თქმა უნდა, ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებებით ცდილობდა რეალობას

მორგებოდა და ლეგიტიმურობა შეენარჩუნებინა, თუმცა უკვე აშკარა იყო, რომ პროცესებს ეროვნული მოძრაობის აქტიურობა წარმართავდა.

„მცირე“ გამარჯვებებმა საზოგადოებაში შექმნა უფრო მეტად ემოციური ფონი, ქართულ ნაციონალიზმს კი უფრო რადიკალური სახე შესძინა. ხალხი დაიმუხტა უფრო მეტის მოლოდინით; კომუნისტური ხელისუფლების უკან დახევამ, ჩაკეტილ სისტემაში გამოათავისუფლა სივრცეები ეროვნული მოძრაობისთვის. ხელიუსფლების დაკნინების პარალელურად, ხალხის ნდობამ და მხარდაჭერამ არაფორმალებისკენ გადაინაცვლა. ამ პერიოდში ქუჩის აქციებმა და მიტინგებმა ქართული ნაციონალიზმს ერთ მხრივ, კონფრონტაციული ხასიათი, ხოლო მეორე მხრივ პოპულისტური შტრიხები შესძინა. „მცირე“ გამარჯვებებმა, ქართული ნაციონალიზმის შეურიგებელმა ხასიათმა, ემოციურირობა და კოლექტიურმა აჟიტირებამ, ხალხში შექმნა აღქმა, რომ გამარჯვება ანუ ქვეყნის დამოუკიდებლობა შორეული პერსპექტივა აღარ არის და რომ ამ გამარჯვების მიღწევა ნომერი პირველი პრიორიტეტია. საინტერესოა, ისიც, რომ „დიდი“ გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე, უშუალოდ დამოუკიდებლობის იდეის გარდა, ყოველივემ, ეს იქნება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა თუ სხვა, უკანა პლანზე გადაიწია და მეორეული ელფერი შეიძინა. პიოტრ შტომპკას, რომ დავასესხოთ ამ პერიოდში საქართველოში „დიდი“ გამარჯვების იდეა „უნივერსალურად ყველას მიერ გაზიარებული იყო, როგორც პროგრესული და მომგებიანი მოვლენა“. ამ ყოველივემ კი პრეკონდიცია შემქნა და გამოკვეთა გამაჯრვების ტრავმის კონტურები.

ზვიად გამსახურდი და ეთნონაციონალისტური რიტორიკა

ჩემი კვლევისთვის და მისი ჰიპოთეზის შესამოწმებლად, თუ როგორ აისახა გამარჯვების ტრავმა ქართულ ნაციონალიზმში, მნიშვნელოვანია, პრეტრავმულ პერიოდში ქართული ნაციონალიზმის ბუნების და მახასიათებლების განსაზღვრა, ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია, გავაანალიზოთ ზვიად გამსახურდიას, როგორც

ეროვნული მოძრაობის ლიდერის, ფენომენი და მისი რიტორიკა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი მარკერი იყო ნაციონალიზმისა წინარე ტრავმული პერიოდში.

გამსახურდია ექსტრემალურ ვითარებაში გამოჩნდა სარბიელზე: ქვეყნის დაშლა და ეკონომიკური ვარდნა სახიფათო სისწრაფით მიმდინარეობდა და საზოგადოებაც უკიდურესად პოლარიზებული იყო. მისი პოლიტიკური მეთოდები ნაციონალიზმის, პოპულიზმის, რელიგიურობისა და კონსერვატიზმის რედიკალური ნარევი იყო. უპირველეს ყოვლისა, გამსახურდია მესამე მსოფლიოს ბევრი ლიდერის მსგავსად, იმპერიული სისტემის პროდუქტი იყო. გამსახურდია ისე იქცეოდა როგორც საბჭოთა პარტიული ბოსი; გულში ქართულ ეროვნულ ინტერესებს ატარებდა, მაგრამ ავტორიტარული ჩვევები საბჭოთა სისტემისგან ჰქონდა შესისხლხორცებული (ჯონსი 2013, 75).

ასევე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს გია ნოდია ზვიად გამსახურდიას პიროვნების დახასიათებისას, რაც ვფიქრობ მნიშვნელოვანი მისი რიტორიკის ფორმირებაში. ნოდიას აზრით, ზვიად გამსახურდიამ იცოდა მიტინგებზე გამოსვლა, მასებისადმი მიმართვა, აქტიური მხარდამჭერების მოძებნა, თუმცა კი მისი პარანოიდული ეჭვი არ აძლევდა მას მხარდამჭერთა შენარჩუნების საშუალებას. ის მოცული იყო პიროვნული ლოიალობების პრობლემით და ვერ გამოავლინა რაციონალური პოლიტიკური ქცევა (Nodia, 1996).

რაც შეხება ეთნონაციონალისტურ განწყობებს, 1988-90 წლების შეიძლება შეფასდეს, როგორც ეთნონაციონალიზმის აღმავლობის პერიოდად. ეროვნული მოძრაობის რადიკალურ ფრთაში უფრო მეტად იყო გამოხატული ეთნონაციონალისტური ლოზუნგები და რიტორიკა, თუმცა აქვე ისიც, უნდა აღინიშნოს, რომ ზომიერ ბანაკშიც ხდებოდა მსგავსი იდეები განვითრება. ამ პერიოდის ეთნონაცინალიზმის გასაანალიზებლად, გამოვიყენებ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს

თავჯდომარეობამდე გაკეთებულ მიმართვებსა და გამოსვლებს. ჩემი ფოკუსი გამსახურდიას რიტორიკაზე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სწორედ იგი მოვიდა ხელისუფლებაში, შესაბამისად მისი რიტორიკის გააზრება წინარე ტრავმულ და პოსტ ტრავმულ პერიოდში დიდწილად დაგვეხმარება, გამარჯვების ტრავმის, როგორც ფაქტორის, ქართულ ნაციონალიზმთან მიმართებით გამოვლენაში.

ამ პერიოდის ერთ-ერთ მნიშნველოვან გამოსვლას წარმოადგენს, მიტინგზე წარმოთქმული ზვიად გამსახურდიას სიტყვა, სადაც იგი ეხება აფხაზების თემას და აღნიშნავს, რომ აფხაზი ერი ისტორიულად არ არსებობდა. გამსახურდია აფხაზებს ავტოქტონურ ჯგუფად არ მიიჩნევს და აფხაზებს ჩრდილოადიღეურ ტომად ნათლავს. გამსახურდია: „აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებობდა. აფხაზეთი იყო სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი და აფხაზები იყვნენ დასავლეთ ქართველები. ასე რომ აფხაზი ერი იყო დასავლეთ ქართველი ერი იგივე, ხოლო ის ძველი, ქრისტიანი, ქართველი აფხაზები დღეს აღარ არსებობენ. მაგრამ, სახელწოდება აფხაზი დღეს არასწორად იხმარება აფსუას ტომთან დაკავშირებით. აფსუა, ანუ აფსარნი, ეს არის ჩრდილოეთ კავკასიური, ადიღეური მოდგმის ტომი და ჩვენ არც ერთი ტომის, ტომების არცერთი ჯგუფის თვითგამორკვევის წინააღმდეგნი არა ვართ, თუ ის ერად ქცევას ლამობს, მითუმეტეს თუ მას აქვს ერი გარკვეული ნიშნები დღეს, ოღონდ მის ისტორიულ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ეს ტომი თუ ტომები ამას შეიგნებენ, ჩვენ მათ ამოვუდგებით მხარში, ოღონდ იმ პირობით, რომ მათ უნდა აღადგინონ ისტორიული სამართლიანობა და დაგვითმონ ჩვენი მიწა-წყალი და დამკვიდრდნენ იქ საიდანაც მობრძანდნენ[4]“. როგორც ამ გამოსვლიდან ვხედავთ, გამსახურდია ეთნიკური აფხაზები მიმართ მკვეთრად ეთნონაციონლისტურ და შოვინისტურ განწყობას აყალიბებს, ფაქტობრივად, იგი საფრთხის ქვეშ აყენებს ამ ეთნიკური ჯგუფის არსებობას საქართველოს ფარგლებში და მოუწოდებს მათ, რომ

[4] იხ. ზვიად გამსახურდიას გამოსვლა ბმულზე: http://bit.ly/2suIifM

დატოვონ საქართველოს ტერიტორია, კერძოდ კი აფხაზეთი. გამსახურდიას ეს განცხადება შეგვიძლია მივჩნიოთ სწულიად გაუაზრებელ პოლიტიკურ ქმედებად, რომელიც მიტინგების ეიფორიით უფრო იყო ნაკარნახები, ვიდრე რაიმე რაციონალური შეხედულებით. გამსახურდიას და ზოგადად ქართველების ეთნიკურ უმცირესობებთან დამოკიდებულებაზე, მართებულად აღნიშნავს, სვანტე კორნელი, რომ ქართველები უმცირესობებს განიხილავდნენ, როგორც იმიგრანტებს და სტუმრებს საქართველოს ტერიტორიაზე, რომელთაც არ ჰქონდათ არანაირი უფლებები, გარდა იმისა, რასაც ქართველი "მასპინძლები" უბოძებდნენ. ტერმინი "იმიგრანტი" განსაკუთრებით ოსებთან და რუსებთან მიმართებაში გამოიყენებოდა. ამასთანავე, არც აფხაზები აღიქმებოდნენ ყოველთვის ავტოქტონურ ეთნიკურ ჯგუფად, როგორიც ისინი რეალურად არიან. ქართული ნაციონალისტური ლიტერატურის ნაწილში, რომელიც, როგორც ჩანს, ისტორიის სტალინისეული ინტერპრეტაციის გავლენას განიცდიდა, აფხაზები აღწერილი არიან როგორც ქართველური წარმომავლობის ტომები, რომლებიც დროთა განმავლობაში ჩერქეზებს შეერივნენ. ამგვარად, ისინი ავტოქტონურ ეთნიკურ ჯგუფად არ განიხილებიან (Cornell 2005, 151).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ზვიად გამსახურდიას რიტორიკაში რელიგიის საკითხს, კერძოდ კი ქრისტიანობას, მართმადიდებლობას ჰქონდა. მის გამოსვლებში ხშირი იყო ლოზუნგი: „გაუმარჯოს, ქრისტიანულ საქართველოს". ამ კუთხით, მნიშვნელოვანია 1989 წლის 26 მაისს ზვიად გამსახურდიას გამოსვლა მიტინგზე. ზვიად გამსახურდია მიტინგზე შეკრებილ ხალხს მიმართავს „გეორგიანნო" და ხაზს უსვამს, რომ ქართველი ერი დაკავშირებულია წმინდა გიორგისთან. გამსახურდია აცხადებდა, რომ „ჩვენთან მარადის იყო და მარადის იქნება ღმერთი", თუმცა იგი „ღმერთს" არ იყენებს დეისტური გაგებით, როგორც ამას ვთქვათ აშშ-ში სხვადასხვა პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოხელე იყენებს, როდესაც ამბობს „In God We Trust - ჩვენ გვწამს ღმერთის", არამედ თეისტურად, პერსონიფიცირებულ, ქრისტიანულ ღმერთს

გულისხმობს. გამსახურდია დასძენს, რომ „ჩვენი გზა არის მოწამეობრივი გზა, გზა ქრისტესი, გზა ეკლის გვირგვინისა, ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა“. ფაქტობრივად, გამსახურდია საზოგადოების დაყოფას აწარმოებდა ქრისტიანებად და არაქრისტიენაბად, ამით კი აჭარელი მუსლიმი მოსახლეობისა და მუსლიმი ეთნიკური უმცირესობების მარგინალიზაციას ახდენდა. ასევე, აღსანიშნვაია გამსახურდიას ექსტაზური გამოსვლა 1990 წლის 26 მაისის აქციაზე. იგი ხაზს უსვამს ქართველი ერის (გამსახურდიას გაგებით მხოლოდ ეთნიკურად ქართველები) ექსკლუზიურობას და ღვთიურ მისიას: „უფალმა, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ქრისტესთვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიო ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტების“. გამსახურდია ასევე გამოკვეთდა, ქართველების ღვთიურობას: „ქართველი ერი, ღვთის ერი, ასევე ღვთის რჩეული, ვით ისრაელი, ვიდოდა ქრისტეს ეკლიანი გზით“. ამავე გამოსვლაში, ყურადსაღებია მისი შემდეგი მოწოდება, სადაც იგი მხოლოდ ქრისტესა გზას აიგივებს ხსნათან: „აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს!“[5]. ზვიად გამსახურდიასვე ეკუთვნის ფრაზა, „ქართუვლი ეროვნული მოძრაობა, ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა“[6] გამსახურდიას ეთნონაციონალისტური და რელიგიური ექსკლუზივიზმი ხელს უწყობდა საზოგადოების ფრაგმენტაციასა და შიდა დაპირისპირების წახალისებას.

ახლა მივუბრუნდეთ, ზემოთაღნიშნულ 1989 წლის ივნისში ზვიად გამსახურდიას სიტყვით გამოსვლას სახალხო ფრონტის ყრილობაზე. გამსახურდიამ გააკრიტიკა სახალხო ფრონტის პროგრამა. იგი აღნიშნავდა, რომ პროგრამა იყო ზოგადი და საჭიროებდა მეტ კონკრეტიზაციას. ამ გამოსვლაშიც, გამსახურდია მისი

[5] გამოსვლა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://bit.ly/2G9LIpV
[6] გამოსვლა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://bit.ly/2Hdpvc0

დამახასიათებელი რიტორიკით გამოირჩა. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ენის საკითხს: პროგრამაში უნდა ჩანდეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხის; ყველა ერის ინტერესი დაცული უნდა იყოს, მაგრამ ქართველი ხალხი და საქართველო ცალკე უნდა ჩანდეს საქართველოში და უნდა განიმარტოს საქართველოს მოქალაქეობის სტატუსი (შველიძე 2008, 52). ამ განცხადებით, ფაქტობრივად, გამსახურდია მომხრე იყო ეთნიკური უმცირესობებისთვის კულტურული შეზღუდვის დაწესების. გამსახურდია შეეხო მეტად სენსიტიურ - ავტონომიების თემას. მისი მოსაზრებით, ავტონომიები საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილი ხელოვნური წარმონაქმნებია, რომლებიც აუცილებლად უნდა გაუქმდეს. იგი ასევე მოითხოვდა პროგრამაში ხაზგასმით ყოლილიყო ნათქვამი, რომ „საქართველო ქართველების ქვაყანაა“. მსგავსი ტიპის გამონათქვამები, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი კატალიზატორია შიდა სახელმწიფოებრივი, ეთნიკური დაპირისპირებების.

და ბოლოს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოსვლა ზვიად გამსახურდიასი გახლავთ 1990 წლის 2 მაისს თბილისში „იდრიატის“ ფესტივალზე წაკითხული ლექცია „საქართველოს სულიერი მისსია“. ამ ლექციაში იგი ქართული ცივილიზაციის წარმოშობას მესიანისტური ტერმინოლოგიით აღწერდა. გამსახურდია ქართველებს იუპიტერის „თეთრ რასასთან“ აკავშირებდა, ძველ კოლხებს განიხილავდა ელინური კულტურის დამაარსებლად და ამტკიცებდა, რომ აქილევსი იყო „ქართველური ხალხის“ (ანუ ქართველების) წარმომადგენელი. ქვეყნის წარსულის გამსახურდიასეული ხედვა - ძლევამოსილი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელსაც მართავენ ქართველები - ემყარებოდა მისსავე იდეალს, - ჰერეფოლკის დემოკრატიას, სადაც სულიერად და კულტურულად წინმდგომი ქართველები იქნებოდნენ დაშვებული სახელმწიფოს მართვის სადავეებთან (ჯონსი, 2013, 83-84).

ამ თავის მოკლე შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნული მოძრაობას არ გააჩნია ერთი კონკრეტული მოგმედების გეგმა, შიდა დაპირისპირებები და

პიროვნული შეღლი, აისახება ქვეყნის შიგნით სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. 1988-90 წლებში ქართული ნაციონალიზმი ცხადად ეთნონაციონალისტური ხასიათისაა, იგი აქცენტრიბას ახდენს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განსაკუთრებულობის ხაზგასმას და ორინტირებული მხოლოდ მათი „უფლებების დაცვაზე“. ამ პერიოდის პოლიტიკურ რიტორიკაში მკვეთრად ჩანს ანტაგონიზმი სხვა ჯგუფების მიმართ, განსაკურებით ოსებისა და აფხაზების მიმართ. ქართულ ეროვნულ მოძრაობას ლაიტმოტივად გასდევს რელიგიური ექსკლუზივიზმი. ამ პერიოდში ტერმინში „ქართველი ერი“, იგულისხმება ეთნიკურად ქართველი, ქრისტიანი მოსახლეობა.

„გამარჯვება“

1990 წლის 14 ნოემბერს ზვიად გამსახურდიას საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავჯდომარედ არჩევა შეგვიძლია მივიჩნიოთ დიდ გამარჯვებად, რომელიც შემდგომ ტრავმულად იქცა. საქართველოში ეს გამარჯვება ნამდვილად ასავავს შტომპკას მიერ შემოთავაზებულ ტრავმული ცვლილებას. პირველი მახასიათებელი არის მოულოდნელობა, მიუხადავად პირველ თავში აღწერილი გარემოებებისა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, 1990 წელს კომუნისტური ხელისუფლება დათმობა და 1990 მარტში

ჩასატარებელი არჩვნების ჩაშლა მაინც ნაკლებ მოსალოდნელი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რა თქმა უნდა, ყველა ასეთ მოვლენას წინ უსწრებს გრძელი ისტორიული პროცესი, რაც საქართველოში ეროვნული მოძრაობის გააქტიურები და იმ გამარჯვებებით, რომლებსაც მათ მიაღწიეს, თუმცა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობიდან უმაღლეს საბჭოს ჩაბარება პრეცენდენტულია. სწორედ ამ თარიღიდან დაიწყო წმინდად სისტემული, მრავალწახნაგოვანი ცვლილებები, რომელმაც მოიცვა პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და ყოველდღიური ცხოვრება. იგი ადრინდელ სისტემას ძირს უთხრიდა. ამ გამარჯვებამ ადრე არსებული სოციალური ცხოვრების წანამძღვრების შეცვლა დაიწყო.

ზვიად გამსახურდიას და მისი ბლოკის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ უმაღლესს საბჭოს არჩევნებში გამარჯვება, გამაჯრვების ტრავმაა, იმდენად, რადმენადაც იგი მოიცავ შტომპკა მიერ შემოთავაზებულ „გამარჯვების ტრავმის“ ძირითად კატეგორიებს. ამ პერიოდში წარმოიშვა რისკებისა და საფრთხეების ახალ ფორმები. მათგან ყველაზე მტკივნეული საქრთველოში უმუშევრობის ზრდა და უმუშევრობის ყოვლისმომცველობის შიში გახლდათ. უმუშევრობას მოყვება ინფლაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ოჯახის ბიუჯეტსა და დანაზოგებს. დაიწყო კრიმინალის ტალღის სწრაფი ზრდა, რომელიც ასევე მოიცავდა ორგანიზაციული დანაშაულის ახალ ფორმებს და იმ წარმოდგენის გავრცელებას, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები არაეფექტიანია. ასევე საქართველოდან მიგრანტების გადინება დაიწყო. ამავე პერიოდდან დაიწყო ცხოვრების სტანდარტების გაუარესება, რომელიც გამოიხატა სიღარიბის დონის მკვეთრად ზრდაში. იერარქიების არსებული სტატუსი შეიცვალა და სოციალური დისტანციებს შორის სხვაობა უფრო თვალშისაცემი გახდა. ყოველდღიური ცხოვრების დისკომფორტს ისიც ემატებოდა, რომ რეფორმების მეტმა საჭიროებამ და ბიუჯეტის დეფიციტმა ისედაც განადგურებული გზების, მატარებლის ხაზებისა და საჯარო ტრანსპორტის ინსფრასტრუქტურის ჩამოშლა გამოიწვია.

გამარჯვების ტრავმამ გაამძაფრა წარმოდგენები ძველ, ნაბოძებ პრობლემების შესახებ. ეს დაკავშირებული სოციალური ცნობიერების ცვლილებებთან - ახალი იდეები, კონცეფციები, დოქტრინები, რომელთა წარმოშობა სისტემურმა ცვლილებებმა გამოიწვია.

მნიშნველოვანი აღვნიშვნოთ, ამ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმები. 1990 წელს შემცირდა ხორცის, ძეხვეულის, კარაქის, ყველი წარმოება. იგივე ხდებოდა თითქმის ყველა სხვა პროდუქტის წარმოების სფეროში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობა შემცირდა 9,2%-ითხ, ფასები კი გაიზარდა საშუალოდ 25,6%-ით (წამალაშვილი 2016, 284). რევაზ გაჩეჩილაძე ამ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის დახასიათებისას ირონიით აღნიშნავს: 1990-91 წლებში გაუღერებული მოსაზრებები, რომ „დამოუკიდებელ საქართველოს ბორჯომი აცხოვრება, უსაფუძვლო ბაქიბუქი აღმოჩნდა“ (გაჩეჩილაძე 2011, 384).

ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგობრივი რიტორიკა

ჩვენთვის, საინტერესოა დავაკვირდეთ გამარჯვების ტრავმის შემდეგ ზვიად გამსახურდიას რიტორიკას, რათა დავადგინოთ ურთიერთკავშირი გამარჯვების ტრავმასა და ნაციონალიზმს შორის.

1990 წლის 14 ნოემბერს ზვიად გამსახურდიამ უმაღლესს საბჭოს თავჯდომარედ არჩევის დღეს, სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგდოებას. გამსახურდია ეს გამოსვლა შეიძლება შეფასდეს, როგორც ნაკლებ სეკულარიზმის და მეტად რელიგიურობის გამოვლინებად. იგი აქცენტს აკეთებს სახელმწიფოსა და მარმადიდებლობის განუყოფლობაზე და მომავალს ამ ორი სუბიექტის ურთიერთგადაგაჭვებაში ხედავს.

ამავე გამოსვლაში, იგი სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის წესებს აყალიბებს, თუმცა მას ზურგს არ უმყარებს რაიმე კონკრეტული სტრატეგია[7].

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მისი მკვეთრად ეთნონაციონალისტური რიტორიკა შერბილდა და მასში მეტად გაჩნდა სამოქალაქო ელემენტები. საინტერესოა, აჭარის მოსახლეობისთვის მისი მიმართვა. ამ გამოსვლაში, გამსახურდია უკან მიაქვს თავისი სიტყვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების შესახებ. მისი თქმით, „პროვოკატორები“ და „ხალხის მტრები“ ცდილობდნენ შუღლის ჩამოგადებას, მისთვის და მისი პოლიტიკური ორგანიზავიისთვის სახელის გატეხვას. გამსახურდია ხაზს უსვამს, რომ იგი არასოდეს გამოსულა მსგავსი ინიციატივით, თუმცა იქვე დასძენს, რომ ავტონომიის საკითხი ეს ხალხის პრეროგატივაა და სწორედ მათ დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტონ სურთ თუ არა ავტონომიური ერთეული გააჩნდეთ[8].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი არის გამსახურდიას შეცვლილი პოზიცია მოქალაქეობის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით. საწყისს ეტაპზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის წინ, როდესაც წყდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება/არგამოცხადების ბედი, გამსახურდიამ განაცხადა, რომ მოქალაქეობას მიიღებდნენ საქართველოს მხოლოდ ის მცხოვრებლები, რომლებიც მხარს ქვეყნის დამოუკიდებლობას დაუჭერდნენ. ინტერვიუს მიმდინარეობისას, ჟურნალისტმა სცადა გაერკვია, თუ რა კავშირი იყო რეფერენდუმში ხმის მიცემასა და საქართველოს მოქალაქეობას შორის, რამდენად იყო გარანტია, რომ ხმის მიცემა იქნებოდა საიდუმლო და მისი შედეგები არ იმოქმედებდა პიროვნების შემდგომ ცხოვრებაზე. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პასუხი კატეგორიული იყო: მისი შეხედულებით, არც ერთ ქვეყანაში არ აძლევენ მოქალაქეობას იმ პირებს, რომლებიც მტრულად არიან

[7] იხ. ზვიად გამსახურდია გამოსვლა ბმულზე: http://bit.ly/2Hdpvc0
[8] იხ. ზვიად გამსახურდია გამოსვლა ბმულზე: http://bit.ly/2BWvl1T

განწყობილნი სახელმწიფოსადმი, ერისადმი, ცუდ მიზნებს ისახავენ და პატივს არ სცემენ ენას, სუვერენიტეტს (ჩხაიძე 2016, 88). თუმცა მოგვიანებით მიდი დამოკიდებულება უფრო მეტად ლოიალური გახდა და 1991 წლის 28 ივნისს მიცემულ ინტერვიუში გამსახურდიამ განაცხადა, რომ საქართველოში მუდმივად მცხოვრები ყველა პირი, ეროვნების მიუხედავად, მიიღებდა საქართველოს მოქალაქეობას, მომავალში კი შემოღებული იქნებოდა გარკვეული ვადა, დაახლოებით 5 წელი, რომლის საქართველოში გატარების შემდეგ პირს მიენიჭებოდა ქვეყნის მოქალაქეობა. საბოლოოდ, ამავე წლის ივლისში, მიღებულ იქნა მოქალაქეობის შესახებ კანონი, განურჩევლად ყველას, მუხედავად საქართველოში გატარებული დროისა ანიჭებდა მოალაქოებას (ჩხაიძე 2016, 88-89).

როგორც ვხედავთ მიუხადავად მთელი რიგი წინააღდმეგობებისა შეიმჩნევა ღიად სამოქალაქო ელემენტების შემოჭრა გამსახურდიას პოლიტიკასა და რიტორიკაში. აქვე, ხაზი უნდა გავუსვათ, გამსახურდიას ერთ-ერთ პრეცენტულად და ამასთანავე წინააღმდეგობრივ გადაწყვეტილებას აფხაზეთთან დაკავშირებით. წინააღმდეგობრივი იმ გაგებით, რომ ერთი მხრივ სამხრეთ ოსეთის ავტონომია გააუქმა, ხოლო მეორე მხრივ ძალაუფლება გაუზარდა აფხაზეთის ავტონომიურ ერთეულს. 1991 წელს გამოქვეყნდა გამსახურდიას მიმართვა აფხაზი ხალხისადმი, რომელიც, ადრინდელი დამოკიდებულებებისაგან განსხვავებით, გაცილებით ტოლერანტულია. გამსახურდია აღიარებს აფხაზი ხალხის "ეროვნულ და კულტურულ უფლებებს, სახელმწიფოებრიობას, ენას, კულტურას, აფხაზურ სკოლას, თეატრს" და ყველა გაუგებრობას აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილ ხელისუფლებას აბრალებს, რომელსაც არ სურს თბილისთან არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. აქვე, რადგან აფხაზეთთან დაკავშირებით ვსაუბრობთ, მცირედით გავუსწროთ მოვლენებს და შევეხოთ საქართველოს უზენაესი საბჭოს ხელშეწყობით 1991 წლის 9 ივლისს მიღებულ კანონს "აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”54. ამ კანონის მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ეთნიკურად აფხაზებს დაეთმოთ 28 ადგილი, ხოლო ქართველებს – 26, მაშინ, როდესაც ქართველები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 46%, აფხაზები კი 17% შეადგენდნენ (ჩხაიძე 2016, 92).

მიუხადავად იმისა, რომ გამსახურდიას გამარჯვების ტრავმის შემდგომი რიტორიკა წინააღმდეგობრივი, თვალშისაცემია წინარე ტრავმული პერიოდის მკვეთრად ეთნონაციონალისტური პოზიციიდან უფრო მეტად რბილი გამონათქვამებისა და გადაყწვტილებებისკენ. პოსტ-ტრავმულ პერიოდში მის მიდგომებსა და რიტორიკაში, ვხედავთ, სამოქალაქო ნაციონალიზმის გარკვეული სახის კონტურებს.

გამსახურდიას მოკლე ეპოქის შეფასება

გამსახურდია ეპოქა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც წინააღმდეგობების მთელი კასკადი. რეალურად გამსახურდიამ კრახი განიცხადა რეფორმების გატარებაში, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მას მაინც ახლდა ეროვნული მოძრაობისათვის დამახასიათებელი ემოციური ფონი და რიტორიკა. სწორედ ვერ ჩამოყალიებებულმა სახელმწიფო ინსტიტუტებმა და საზოგადოების მზარდა პოლარიზაციამ გამოიწვია შემდგომი კატაკლიზმები. სტივენ ჯონსის შეფასებით, გამსახურდია აქტივისტური სახელმწიფოს მომხრე იყო, სახელმწიფოსი, რომელიც მეტ კონტროლს დაამყარებდა ეკონომიკაზე. გამოუცდელმა მთავრობამ, რომელსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული უმუშევრობისა და ფასების ზრდის უარყოფითი გავლენა მის მხარდაჭერაზე, ძველი ბიუროკრატიული აპარატი ადგილზე დატოვა, რათა შეენარჩუნებინა მართვის უნარი და გაეკონტროლებინა სუბსიდიები და დასაქმების დონე. ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის საჯაროდ ნაკისრი ვალდებულებების მიუხედავად, სახელისუფლებო მონოპოლიები ხელშეუხებელი რჩებოდა; ხელისუფლებაში მოსვლიდან 15 თვის განმავლობაში არანაირი ღონისძიება არ

გატარებულა დემონოპოლიზაციისა და პრივატიზაციის მიზნით. ძველი ყაიდის ეკონომიკასთან ერთად გამსახურდია მხარს უჭერდა სოციალურ კონსერვატიზმს (ჯონსი 2013, 85-86).

ასევე საინტერესოა გია ნოდიას შეფსება. მიზის აზრით, გამსახურდიამ მარცხი განიცადა "ნაციის გაერთიანებაში" გარე საფრთხეების წინაშე, თუმცა მან წარმატებით მოახერხა საზოგადოებაში სამოქალაქო ომის სულისკვეთების დანერგვა. მისი მხარდამჭერები გმობდნენ ყველას, ვინც კი მას არ ეთანხმებოდა და მტრად, კრემლის აგენტად თუ აგენტების ხელში ბრმა იარაღად აცხადებდა. საბოლოოდ, დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი გამსახურდია სამხედრო ძალით იქნა დამხობილი დემოკრატიის სახელით (Nodia, 1996).

შევარდნაძის დაბრუნება - სამოქალაქო ნაციონალიზმის საწყისები

შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა სამოქალაქო არეულობის ფონზე 1992 წლის მარტში. მან ქვეყნის ელიტის შუამოვლობით, ქართული პოლიტიკა ლიბერალიზმის პრინციპებზე გადაიყვანა. საქართველო საზოგადოების დაყოფის მოდელიდან უფრო მეტად ინტეგრაციულზე გადავიდა. აგრესიული ნაციონალიზმის რიტორიკა ამოვარდა ოფიციალური ლექსიკონიდან და მისი ადგილი მოქალაექობის, უმცირესობათა უფლებებისა და ფედერალიზმის ცნებებმა დაიკავეს (ჯონსი 2013, 315). ამ პერიოდის საქართველოს გაჩნდა შედარებით მეტის სტაბილურობა. შევარდნაძის დაბრუნების შემდგომ, 1992 წლის 24 ივნისს დაგომისში მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას და საომარი მოქმედებები შეწყდა სახმრეთ ოსეთში. ამავე წლის 31 ივლისს საქართველო გაეროს წევრი გახდა. 1992 წელი უფრო მეტად სტაბილურობით გამოირჩევა და მეტი ინეგრაციული პროცესებით, რასაც ხელი შეუწყო შევარდნაძის დაბრუნებამ.

დასკვნა

როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, 1990 წელს საქართველოს უმაღელს საბჭოს თავჯდომარედ ზვიად გამსახურდიას არჩევა არის გამარჯვების ტრავმის ათვლის წერტილი. ეს გახლავთ მიჯნა, როდესაც ერთი მხირვ „ბლოკის კულტურა“ და მეორე მხრივ ცვლილებებით მოთხოვნილი დემოკრატიული ცვლიბებეი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რამაც საზოგადოებაში კულტურული შოკი გამოიწვია. უმუშევრობამ, ინფლაციამ და კრიმინალის ზრდამ საზოგადოებაში აპათია დათესა.

რაც შეეხება საკვლვევ, კითხვას თუ როგორ აისახა გამარჯვების ტრავმა ქართულ ნაციონალიზმში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამარჯვების ტრავმა იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ეთნონაციონალისტური განწყობებიდან უფრო მეტად სამოლაქო ნაციონალიზმისკენ გადახრაში. გამრჯვების ტრავმამ საზოგადოებაში პიკური მოთხოვნა „გამარჯვების“ დამოუკდიებლობის ცნებების აქცია დამთრგუნველად, რადგან მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმების წინაშე დადგა ქართული საზოგადობა, შესაბამისად ეროვნული მოძრაობის დროინდელი ნაციონალისტური ფორმულები მოძველდა და ადგილი დაუთმო უფრო სამოალაქო პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავითაშვილი ზ. 2003, გლობალიზაცია და საერთაშორისო ურთიერთობები, სოციალურ კლვევათა ინსტიტუტის გამომცემლობა
2. ჯონსი ს. 2013, საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ
3. ჩხაიძე ი. 2016
4. გაჩეჩილაძე რ. 2011, ჩემი მეოცე საუკუნე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
5. შველიძე დ. პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამმხობა საქართველოში
6. Sztompka P. 2000, Ambivalence of Social Change, Trauma or Triumph
7. Cornell. S.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ დალაქიშვილი

კოლექტიური მეხსიერების როლი პატარა ქვეყნების კონფლიქტების მოგვარებაში

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018

ანოტაცია

მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, რომ დღესდღეობით მრავალი კონფლიქტი არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში და ბევრი მათგანი ჯერ კიდევ გადაუჭრელია, უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სამშვიდობო პროცესებსა და კონფლიქტების მოგვარების თეორიებს. ასეთი რეალობის გათვალისწინებით, აღნიშნული თემა, რომლის სათაურია: „კოლექტიური მეხსიერების როლი პატარა ქვეყნების კონფლიქტების მოგვარებაში“ აქტუალურია, რადგან ნაშრომი იკვლევს კოლექტიური მეხსიერების როლს პატარა სახელმწიფოების კონფლიქტების მოგვარებაში. ნაშრომის მთავარი მიზანია დაადგინოს, თუ რა როლს თამაშობს კოლექტიური მეხსიერება პატარა სახელმწიფოების კონფლიქტებში. როგორ გამოიხატება ის სამშვიდობო პროცესებსა და მის თანმდევ მოვლენებში. კვლევის ობიექტს წარმოადგენენ პატარა სახელმწიფოების კონფლიქტები. თემის ძირითად შედეგს წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერების ნეგატიური ფუნქციის დადგენა პატარა სახელმწიფოების კონფლიქტების მოგვარების საკითხში.

აღნიშნულ თემაში სიახლეს წარმოადგენს ის, რომ კონფლიქტები და მათი მოგვარების საკითხები ახსნილია არა მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში და საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე თეორიით, არამედ გამოყენებულია თეორია სოციალური ფსიქოლოგიიდან და დამატებით საუბარია ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, რომელიც თან ახლავს პატარა სახელმწიფოების კონფლიქტებს. თემაში ერთმანეთთან შერწყმულია სოციალური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური საკითხები. ასევე მიმოხილულია კოლექტიური მეხსიერების გამოვლინება ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, ხელოვნება, სპორტი და ა.შ და განხილულია საერთო ჯამში მათი გავლენა პატარა სახელმწიფოების კონფლიქტების მოგვარებაზე.

Abstract

Given the recent developments that nowadays there are many conflicts around the world and most of them are still unsolved more and more attention is paid to peacekeeping processes and conflict resolution theories. Taking into account such reality the topic: "The role of the collective memory in resolving conflicts of small states" is actual as it researches the role of the collective memory in resolving conflicts of small states. The main aim of the paper is to evaluate what kind of role plays collective memory in the conflicts of small states. How is it expressed in the peacekeeping processes and its accompanying events. The conflicts of small states are the objects of the paper. The main result of the research is that collective memory has the negative role in resolving conflicts of small states.

The innovation of this topic is that conflicts and their resolving issues are explained not only through the political context and by the theory of international relations but a theory from social psychology is used and additionally, there is written about psychological aspects which are followed the conflicts of small states. Social, psychological and political issues are combined with each other in the paper. It also reviews the collective memory manifestation in areas such as politics, art, sport and etc and their overall impact on the resolution of conflicts of small states is discussed.

სარჩევი

1. შესავალი 5
2. კვლევის მეთოდოლოგია 7
3. ტერნიმთა განმარტება 8
4. ლიტერატურის მიმოხილვა 10
5. თეორიული ჩარჩო 17
6. კონფლიქტების აღწერა 24
6.1 ყარაბაღის კონფლიქტი 24
6.2 ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მოდელები და მოლაპარაკებები 27
6.3 კოლექტიური მეხსიერების როლი ყარაბაღის კონფლიქტში 33
6.4 აზერბაიჯანელების კოლექტიური მეხსიერება და ყარაბაღის კონფლიქტი 35
6.5. სომხების კოლექტიური მეხსიერება და ყარაბაღის კონფლიქტი 43
6.6. ისრაელ-არაბების კონფლიქტი 51
6.7. ისრაელ-არაბების კონფლიქტის მოგვარების მოდელები და მოლაპარაკებები 58
6.8. კოლექტიური მეხსიერების როლი ისრაელ-არაბების კონფლიქტში 65
6.8.1 ებრაელების კოლექტიური მეხსიერება და ისრაელ-არაბების კონფლიქტი 67
6.8.2 არაბების კოლექტიური მეხსიერება კონფლიქტთან დაკავშირებით 76
7. კოლექტიური მეხსიერებისა და სოციალური რეპრეზენტაციის გავლენა სხვა კონფლიქტებზე 83
8. დასკვნა 85
9. გამოყენებული ლიტერატურა 87

1. შესავალი

თანამედროვე ეპოქაში უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა კონფლიქტების მოგვარების საკითხებს, რადგან ჯერ-ჯერობით მსოფლიოს მრავალ წერტილში ეს საკითხი კვლავ აქტუალურია და სისტემატურად ვხვდებით მიმდინარე, თუ გაყინულ კონფლიქტებს. საერთაშორისო ასპარეზზე ასევე ნელ-ნელა წინ წამოიწია პატარა სახელმწიფოების შესახებ კვლევებმა.

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს დაადგინოს, თუ რა როლს თამაშობს კოლექტიური მეხსიერება პატარა სახელმწიფოების კონფლიქტების მოგვარებაში. ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ საკმაოდ მრავლად არის მაგალითი პატარა სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების, რომელთაგან ბევრი გაყინულია და გადაჭრის გზებიც თითქოს ჩიხშია მოქცეული. თემის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ სამშვიდობო პროცესების შესახებ კვლევები თანდათან უფრო პოპულარული ხდება, მათ შორის მშვიდობის მშენებლობის საკითხები, რა მხრივაც კოლექტიურ მეხსიერებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაპირისპირებულ საზოგადოებებს შორის აღქმებისა და შეხედულებების გასაგებად. ნაშრომში განხილულია მხოლოდ პატარა სახელმწიფოები, რადგან, განსხვავებით დიდი სახელმწიფოებისგან, ყველაზე მკაფიოდ აქ ვხვდებით კოლექტიურ მეხსიერებას თავისი სტანდარტული გაგებით.

ნაშრომის **საკვლევი კითხვაა** - *რა როლს თამაშობს კოლექტიური მეხსიერება პატარა სახელმწიფოების კონფლიქტების მოგვარებაში*; **ჰიპოთეზა** კი შემდეგნაირად ფორმულირდება: *კოლექტიური მეხსიერება ნეგატიურ როლს თამაშობს პატარა სახელმწიფოების კონფლიქტების მოგვარებაში.*

ნაშრომში **დამოუკიდებელ ცვლადს** წარმოადგენს - კოლექტიური მეხსიერება, ხოლო **დამოკიდებულ ცვლადს** - პატარა სახელმწიფოების კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო პროცესები და მისი თანმდევი მოვლენები.

ნაშრომის მიზანია დაამტკიცოს, რომ კოლექტიურ მეხსიერებას აქვს ნეგატიური როლი პატარა სახელმწიფოების კონფლიქტების მოგვარებაში. ამისათვის, თემაში განხილულია ორი კონფლიქტი: ყარაბაღისა და ისრაელ-არაბების კონფლიქტი. ხაზგასასმელია, რომ მონაწილე მხარეები წარმოადგენენ პატარა სახელმწიფოებს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელ-არაბების კონფლიქტთან მიმართებაში, პატარა სახელმწიფოდ პირობითად ვგულისხმობ პალესტინას. აღნიშნული ქეისები აღებულია სხვადასხვა რეგიონიდან, სადაც ჩართულნი არიან სხვადასხვა ტიპის პატარა საელმწიფოები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ასევე ძალიან მოკლედ განხილულია კოლექტიური მეხსიერების როლი სხვა კონფლიქტშიც. შესაბამისად, მისი მეშვეობით მტკიცდება, რომ ჰიპოთეზა ვალიდურია ნებისმიერი ტიპის პატარა სახელმწიფოს კონფლიქტზე.

კვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდი: ქეის სთადი; დისკურსის ანალიზი; თვისობრივი და რიტორიკის ანალიზი და ა.შ რაზეც მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებ. რაც შეეხება თემის განსხვავებულობას, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ საკითხებზე სხვა თემებისგან განსხვავებით, ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გამოყენებულია თეორია არა საერთაშორისო ურთიერთობების ან პოლიტიკური თეორიებიდან, არამედ - სოციალური ფსიქოლოგიიდან, რომელიც, როგორც წესი გამოიყენება სოციალური კვლევებისთვის და ჯერ-ჯერობით არ არსებობს რაიმე სერიოზული სახის ნაშრომი, სადაც აღნიშნული თეორიით არის ახსნილი პატარა სახელმწიფოების კონფლიქტებში კოლექტიური მეხსიერების როლი. ასევე სიახლეს წარმოადგენს ის, რომ თემაში შერწყმულია არა მარტო პოლიტიკური და ისტორიული ფაქტორები, არამედ განხილულია სპორტისა და ხელოვნების, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტებად გამოყენების მაგალითებიც, სადაც ასევე შეინიშნება კოლექტიური მეხსიერების გავლენები.

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დამაჯერებლობისთვის, აუცილებელია ჩამოყალიბებული იყოს მეთოდოლოგიური ჩარჩო.

საკითხის უკეთ შესასწავლად გამოვიყენე ქეის სთადი. კონკტერულად განვიხილე ორი კონფლიქტის ქეისი: ყარაბაღის კონფლიქტი და ისრაელ-არაბების კონფლიქტი. თითოეული ქეისის საერთო მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ მონაწილე მხარეები არიან პატარა სახელმწიფოები და კონფლიქტში არ ფიგურირებს მესამე ძალა, რომელსაც ჩართული ყავს თავისი სამხედრო შენაერთები. ორივე კონფლიქტში მხარეები უშუალოდ ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძვიან და ორივე კონფლიქტს ისტორიაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ასევე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ისიც, რომ ჰიპოთეზის დამაჯერებლობის მიზნით, აღებულია სხვადასხვა რეგიონის კონფლიქტები და სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოები, რომელსაც აქვთ განსხვავებული შიდა და საგარეო პოლიტიკა.

კვლევის დროს გამოყენებული იქნა დისკურსის ანალიზის მეთოდი. განხილული იქნა ექსპერტებისა და ოფიციალური პირების, როგორიცაა: პრეზიდენტები, მინისტრები და ა.შ განცხადებები საკითხის ირგვლივ, სიახლეები, სტატიები, ასევე მკვლევართა ნააზრევები ამ საკითხთან დაკავშირებით, საჯარო დოკუმენტები, კონფლიქტებზე განხორციელებული მოლაპარაკებების პროცესში ჩართული პირების განცხადებები, გამოსვლები და ინტერვიუები.

კვლევაში ასევე გამოყენებულია აღნიშნულ კონფლიქტებთან დაკავშირებით უკვე არსებული სხვადასხვა კვლევები, რომელთა მიზანიცაა საზოგადოებრივი აზრების ჩვენება კონფლიქტებთან და მათ გადაჭრასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის მიმართ.

კვლევისათვის ნაწილობრივ საჭირო გახდა თვისობრივი კონტენტ ანალიზი და რიტორიკის ანალიზი, რომელიც გულისხმობს მხარეების მხრიდან მთავარი შეტყობინებების იდენტიფიცირებას. ეს საშუალებას გვაძლევს უკეთ ავხსნათ იმ დროისთვის მიმდინარე პროცესები და გამოვიტანოთ დასკვნები.

3. ტერნიმთა განმარტება

თემის უკეთ აღსაქმელად აუცილებელია ზუსტად განიმარტოს, თუ რა იგულისხმება ნაშრომში გამოყენებულ ტერმინებში.

როგორც წესი, კონფლიქტის მოგვარება სხვადასხვა ინდივიდისთვის სხვაგვარი მნიშვნელობით გვხვდება. იმის მიუხედავად, რომ ერთი და იმავე ტერმინს იყენებენ მკვლევარები, მაინც პროცესები, თუ რას გულისხმობენ ისინი კონფლიქტის მოგვარებაში, ერთმანეთისგან განსხვავდება. ასე მაგალითად: ზოგიერთისთვის კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტასთან და მხარეებს შორის სამშვიდობო მისიის დაყენებასთან ასოცირდება, ზოგი მასში მშვიდობის მშენებლობის პროცესების დაწყებას გულისხმობს და ა.შ.

აღნიშნულ ნაშრომში კონფლიქტის მოგვარებაში იგულისხმება კონფლიქტის იმგვარი გადაჭრა, სადაც შეწყვეტილია ყველანაირი სახის საბრძოლო მოქმედებები და ნულამდეა დაყვანილი კონფლიქტის კვლავ აღმოცენების შანსი. ანუ აღმოფხვრილია ყველა ის საკითხი, რომელიც იწვევდა დაპირისპირებას კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის.

არანაკლებ მარტივი განსამარტია შემდგომი ტერმინი: პატარა სახელმწიფო. ამ ცნების ირგვლივაც არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ რომელი სახელმწიფოები შეიძლება მოიაზრონ ამ ტერმინში. ზოგი მკვლევარი აქცენტს აკეთებს სახელმწიფოების ზომაზე, ზოგი ეკონომიკურ, სამხედრო ან პოლიტიკურ შესაძლებლობებზე, ზოგი რესურსებზე, მოსახლეობის რაოდენობაზე, განვითარებაზე, ზოგიც რამდენიმე ფაქტორზე ერთად და ა.შ

აღნიშნულ ნაშრომში, პატარა სახელმწიფოების ცნების მიმართ გამოყენებული იქნება ნეორეალისტური განმარტება, რომელიც ფარდობით დეფინიციებს იყენებს და რომლის მიხედვითაც პატარანი არიან ქვეყნები, რომლებსაც არ ძალუძთ რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა საერთაშორისო არენაზე.

რაც შეეხება შემდეგ ტერმინს, იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვანაირად განმარტავს კოლექტიურ მეხსიერებას, მეტწილად ყველა თანხმდება, რომ ზოგადი განმარტებით კოლექტიური მეხსიერება წარმოადგენს ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების (მაგ: როგორიცაა ოჯახი, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ ჯგუფები) მიერ გაზიარებულ მეხსიერებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეხსიერებების ერთობლიობა, რომელიც შემდგომ თაობებს გადაეცემა. შესაბამისად, აღნიშნულ ნაშრომშიც კოლექტიური მეხსიერება სწორედ ამ განმარტებით იქნება გამოყენებული, თუმცა, კოლექტიური მეხსიერება არ არის მარტივად ასახსნელი ცნება, ის დაკავშირებულია ბევრ სხვა ფაქტორთან, რასაც აღვწერ შემდგომში, ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში.

4. ლიტერატურის მიმოხილვა

დროის სვლასთან ერთად თანდათან ვითარდებოდა კოლექტიური მეხსიერების ცნება. სხვადასხვა სფეროს მრავალი მკვლევარი იკვლევდა ამ თემას. ადრეულ ხანებში სხვადასხვა ფილოსოფოსის ნააზრევშიც მოიძებნება კოლექტიური მეხსიერების შესახებ მსჯელობის ჩანასახები, თუმცა, მაინც შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ადამიანი, რომელმაც სიღრმისეულად შეისწავლა აღნიშნული ფენომენი და ჩამოაყალიბა ის.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საკითხს ნაწილობრივ შეეხო იყო ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი კარლ გუსტავ იუნგი. სწორედ მას ეკუთვნის პირველად ისეთი ცნების დამკვიდრება და განვითარება, როგორიცაა კოლექტიური არაცნობიერი (collective unconscious). მას სჯეროდა, რომ ადამიანების მიდრეკილებები, როგორიც არის მაგ: ცეცხლის შიში ან სოციალური სტატუსისკენ სწრაფვა, მომდინარეობს იმ კოლექტიური არაცნობიერიდან, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ატარებს საკუთარ თავში. ის შეიცავს იმ მოგონებებს, თუ როგორი იყო წინა თაობებისთვის ცხოვრება, მაგ: ცეცხლი გამოიყენებოდა მტაცებლების მოსაგერიებლად. იუნგს სჯეროდა, რომ კოლექტიური არაცნობიერი მოიცავდა ადამიანთა მოდგმის მთელ ისტორიას. მისი მიხედვით, კოლექტიური არაცნობიერი ეს არის ინდივიდის არაცნობიერი ნაწილი, რომელიც ევოლუციურად არის ჩამოყალიბებული, თანდაყოლილია და საერთოა ადამიანური სახეობის თითეული წარმომადგენლისთვის. კოლექტიური არაცნობიერის უკეთ ასახსნელად იუნგმა არქეტიპის ცნებაც შემოიტანა. არქეტიპი არის ამა თუ იმ, კონკრეტული გამოცდილების ან/და ობიექტის პრიმიტიული სიმბოლური წარმოდგენა და რეპრეზენტაცია. თითოეული არქეტიპი მოიცავს მის შესახებ არსებული აზრებისა და განცდის ასოცირებულ, ინსტინქტურ ტენდენციას. თავად იუნგმა გამოყო არაერთი არქეტიპი, როგორიცაა: მზის,

ღმერთის, სქესის და ა.შ არქეტიპები. აღსანიშნავია, რომ იუნგს არასოდეს არ უწოდებია ამ ყველაფრისთვის კოლექტიური მეხსიერება.

კოლექტიური მეხსიერების შესახებ მსჯელობა დაიწყო ფრანგი სოციოლოგისა და ფილოსოფოსის დევიდ ემილ დიურკემის ნაშრომების გამოქვეყნების შემდგომ. აღსანიშნავია, რომ არც აღნიშნულ პიროვნებას არ გამოუყენებია ეს ცნება ამ სახით, თუმცა, ახსნა, თუ როგორ იყო დაკავშირებული ყოველი ახალი თაობა წინა თაობებთან. დიურკემი უფრო მეტად ფოკუსირებული იყო სოციალურ მეხსიერებაზე. მისი აზრით, სოციალური ერთობისა და კავშირის ჩამოსაყალიბებლად სოციუმებს სჭირდებათ განგრძობითობა და კავშირი წარსულთან. ის ამბობდა, რომ როგორც ადამიანებს, ჩვენ გვესაჭიროება კავშირი წინა თაობებთან და წარსულთან კავშირის შესანარჩუნებლად ჩვენ მიდრეკილნი ვართ გავიმეოროთ წარსულში განხორციელებული ქმედებები. მაგალითად, ერთ-ერთ განმეორებად სოციალურ პრაქტიკას წარმოადგენს რელიგია, ადამიანები კვლავ განაგრძობენ იგივე სახით რწმენას, ლოცვასა და რელიგიის პრაქტიკას, როგორც ეს იყო უწინ. დიურკემი ამბობდა, რომ კოლექტიურმა აზროვნებამ უბიძგა ინდივიდებს ფიზიკურად ერთად ყოფნისკენ, რათა შეექმნათ საერთო გამოცდილება, რომელსაც იზიარებდა ეს ჯგუფი. მისი აზრით ამ ერთობებს ადამიანები ინარჩუნებდნენ სხვადასხვა მეთოდებითა და სიმბოლოებით, როგორიც იყო მაგ: ტოტემები. აღნიშნული სიმბოლოები ახსენებდა თითოეულ ინდივიდს ამ ერთობის და მისი გამოცდილების შესახებ.

ტერმინი: კოლექტიური მეხსიერება შექმნა დიურკემის სტუდენტმა, ფრანგმა მორის ჰალბვაქსმა. მისი აზრით, ინდივიდის მეხსიერება და მოგონებები განსაზღვრულია სოციალური მეხსიერებით. იგი ამბობდა, რომ ყველა ინდივიდუალური მეხსიერება ჩამოყალიბდა სოციალური სტრუქტურებისა და ინსტიტუტების ფარგლებში. კოლექტიური მეხსიერება ყოველთვის სოციალურადაა განსაზღვრული: სწორედ სოციალური ჯგუფი განსაზღვრავს, რა არის დასამახსოვრებელი და როგორ უნდა მოხდეს მისი დამახსოვრება. ჰალბვაქსის აზრით, ინდივიდუალური მეხსიერების გაგება შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფის კონტექსტში, ეს ჯგუფები შეიძლება იყვნენ ოჯახები,

ორგანიზაციები და ერი-სახელმწიფოები. იგი ამბობდა, რომ რამდენი სოციალური ჯგუფიც არსებობს, შესაბამისად არსებობს იმდენი მეხსიერებაც. ამას იმით ხსნიდა, რომ თითოეული ინდივიდი თავს მიაკუთვნებს სხვადასხვა სოციალურ სისტემასა და ჯგუფს, შესაბამისად, არსებობს მრავალი მეხსიერებაც. მეხსიერება იცვლება ინდივიდის მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად (Halbwachs 1950: 106-27). ჰალბვაქსის აზრით, მეხსიერება ჩვენი დღევანდელი კავშირებისა და მდგომარეობის შესაბამისია. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური მეხსიერება შეიცავს ინდივიდუალურ მეხსიერებებს, ის ყოველთვის განსხვავდება მათგან და საკუთარი წესებით ყალიბდება. ჰალბვაქსის მტკიცებით, გახსენების/მოგონების დროს ინდივიდები წარსულის ხატებს აღიდგენენ აწმყო მდგომარეობის შესაბამისად და არა ისე, როგორც ეს თავის დროზე იყო აღქმული. ისინი ჩართულნი არიან მოვლენებში, როგორც ინდივიდები, მაგრამ მათი მეხსიერება მაინც რჩება კოლექტიურად, რადგან ისინი ყოველთვის აზროვნებენ, როგორც ჯგუფის წევრები. მათი იდეები ჩნდება ჯგუფის ფარგლებში და მათი აზროვნება აკავშირებს ამ ჯგუფთან. ინდივიდები იგებენ მოვლენებსა და ცნებებს სოციალურ კონტექსტში და ამასთანავე იმახსოვრებენ მათ ისე, როგორც მას განსაზღვრავს აღნიშნული სოციალური კონტექსტი. ჰალბვაქსის აზრით კოლექტიური მეხსიერება დამოკიდებულია სფეციფიკურ ჯგუფზე, რომელიც შემოსაზღვრულია დროითა და სივრცით. აღნიშნული ჯგუფი აყალიბებს მეხსიერებას, ხოლო ინდივიდები იხსენებენ მას. მეხსიერების სახეები ყოველთვის ფრაგმენტული და პირობითია, მათ არ აქვთ მნიშვნელობა მანამ, სანამ არ მოათავსებენ კონკრეტულ გარემოში (Halbwachs 1925: 6-20).

ვულფ კანშტაინერი თავის ნაშრომში "მეხსიერების მნიშვნელობის ძიება: კოლექტიური მეხსიერების *კვლევების მეთოდოლოგიური კრიტიკა"* აღნიშნავს, რომ კოლექტიური მეხსიერება სამი ძირითადი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია: 1.კულტურული და ინტელექტუალური ტრადიციის, რომელიც განსაზღვრავს წარსულის რეპრეზენტაციის ჩარჩოს; 2. მეხსიერების შემქმნელების, რომლებიც ირჩევენ და იყენებენ ამ ტრადიციებს; 3. მეხსიერების მომხმარებლების, რომლებიც საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებენ,

უგულებელყოფენ ან გარდაქმნიან შემქმნელთა მიერ წარმოებულ მასალას (Kansteiner 2002: 188-90).

სხვადასხვა ჯგუფის/საზოგადოების მიერ გაზიარებული მეხსიერება ყალიბდება არა მხოლოდ მეტყველების მეშვეობით, არამედ სხვადასხვა ვიზუალური თუ სიმბოლური დატვირთვის მახასიათებლების მეშვეობით, როგორიცაა: მუზეუმები, სიმბოლიკები, მონუმენტები, ნახატები, დღესასწაულები, და ა.შ. სხვადასხვა მკვლევარი გამოყოფს სხვადასხვა გზას/ფორმას, რომელთა მეშვეობით წარსული ჩვენამდე მოდის, ასე მაგალითად: წარსულის გასახსენებელ ფორმებს/საშუალებებს მორის ჰალბვაქსი „მეხსიერების ხატებს“ უწოდებდა, იან ასმანი - „მეხსიერების ფიგურებს“, პიტერ ბერკი - „მეხსიერების მედიუმებს (შუამავლებს)“, პიერ ნორა კი - „მეხსიერების ადგილებს/არეებს“.

პ. ბერკის აზრით, არსებობს 5 ძირითადი მედიუმი, რომელთა საშუალებითაც ხდება მეხსიერების გადაცემა: 1. ზეპირი ტრადიცია, 2. ისტორიკოსის შემოქმედება, 3. გამოსახულებითი და ფოტოგრაფიული ხატები, 4. მოქმედებები (რომელთა მეშვეობით გადაიცემა ცოდნა და გამოცდილება) და რიტუალები (რომელთა მეშვეობით ხდება წარსულის „გამეორება“), 5. სივრცე, სადაც ლოკალიზდება მეხსიერების „ხატები“ (Burke 1980: 100-101).

პიერ ნორა გამოყოფს 4 ტიპის ე.წ. „მეხსიერების ადგილებს/არეებს“ ესენია: 1. *სიმბოლური არე* - სადღესასწაულო დღეები, რიტუალები, იუბილეები, პილიგრიმობა და ა.შ.; 2. *ფუნქციური არე* - სახელმძღვანელოები, ავტობიოგრაფიები და სხვ.; 3. *მონუმენტური არე* - საფლავები, ნაგებობები და სხვა სახის ნივთიერი რეალობა; 4. *ტოპოგრაფიული არე* - არქივები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები. ნორას აზრით, საზოგადოება იძულებულია მოინიშნოს „მეხსიერების ადგილები“, რადგან მეხსიერება წარმავალია. „მეხსიერების ადგილები“ ეს არის სპეციალურად ორგანიზებული მეხსიერება. მას გააჩნია სამი ასპექტი: მატერიალური, სიმბოლური და ფუნქციური. ამ სამი ასპექტის მთავარ ფუნქციებში შედის: დროის „შეჩერება“; დავიწყების თავიდან აცილება; სიკვდილის უკვდავყოფა და მეხსიერების გამოხატულება საგნებსა და ნივთებში. შესაბამისად, ამ ყველაფრის

გათვალისწინებით, შესაძლოა ყველაზე უმნიშვნელო ნივთსაც ან ჩვევას დიდი მნიშვნელობა და სიმბოლური დატვირთვა მიენიჭოს (Nora 1989: 7-25).

კოლექტიურ მეხსიერებაზე საუბრისას, რაუფ გარაგოზოვი თავის წიგნში *„კოლექტიური მეხსიერება: როგორ იქმნება, ინახება და კვლავ იწარმოება წარმოდგენები წარსულის შესახებ“* გამოყოფს სხვადასხვა მკვლევარის შეხედულებას კოლექტიურ მეხსიერებაზე, ასე მაგალითად ის აღნიშნავს ჯ.ვ.ვერტჩის მოსაზრებას კოლექტიურ მეხსიერებაზე, რომლის მიხედვითაც ეს არის ყველა სახის ტექსტური რესურსების შედეგად ჩამოყალიბებული მეხსიერება, განსაკუთრებით კი ნარატივების მიერ. ისტორიული ნარატივები მიჩნეულია კულტურულ იარაღად, რომელიც კოლექტიურ დამახსოვრებას უწყობენ ხელს. ვერჩი გამოყოფს შესავალ და ზოგად ნარატივებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ნარატივებს, რასაც იგი მოიხსენიებს „სქემატურ ნარატიულ ჩარჩოებად“, ეს ჩარჩოები განსხვავდება კულტურული გარემოს მიხედვით. ასე მაგალითად გარაგოზოვი, ცენტრალური კავკასიის ქვეყნების კოლექტიურ მეხსიერებაზე საუბრისას გამოყოფს სომხურ ისტორიულ ნარატივს და ამბობს, რომ ისტორიულ ნარატივთა უმეტესობა ეფუძნება რელიგიური შეფერილობის მქონე, ისტორიოგრაფიული ტიპის, საერთო ელემენტებს (Garagazov 2014: 92). ამავე წიგნში გარაგოზოვი აღნიშნავს ენტონი სმიტის სამ ფაზას, რომელთა მეშვეობითაც ხდება ეთნიკური ისტორიების, კოლექტიური მეხსიერების შინაარსის გადაცემა: *რელიგიური, კულტურული* და *სახელმწიფო.* გარაგოზოვი აღნიშნავს, რომ კონფლიქტური მხარეების მიერ ნაციონალური მითების შექმნის მცდელობა, რომელიც მტრობისა და სიძულვილის ძველ სურათებს გადაამუშავებს, კონფლიქტში მყოფ სახელმწიფოებში შესაძლოა იქცეს მეხსიერებისა და იდენტობის პოლიტიკის ნაწილად. ისინი ელიტებს ნაციონალური იდენტობისა და მეხსიერების ნაციონალური პროექტირებისკენ უბიძგებენ. გარაგოზოვის აზრით მეხსიერების პოლიტიკა არამარტო ართულებს რაიმე მშვიდობიანი შეთანხმების მიღწევას, არამედ ის ასევე აბრკოლებს დამოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. კონფლიქტების მოსაგვარებლად აუცილებელია სამეცნიერო მუშაობისას მტრობისა და შუღლის ძველი

შემთხვევების განმაპირობებელი, ასევე წარსულის ნეგატიური სურათის შემქმნელი კოლექტიური მეხსიერების გათვალისწინება. (Garagazov 2014: 79-160).

პაეზი და ლიუ, თავიანთ ნაშრომში *„კონფლიქტების კოლექტიური მეხსიერება“* აღნიშნავენ, რომ განმათავისუფლებელი ომები ან კოლექტიური ძალადობის სხვა სახის შემთხვევები წარმოადგენენ ეროვნული იდენტობის ნარატივების ფუნდამენტურ მოვლენებს. წარსულში ომებისა და კოლექტიური ძალადობის ნეგატიური შედეგების გადასალახად პაეზი და ლიუ 2 ფორმას გამოყოფენ: 1) ცვლიბებების ომების შესახებ წარმოდგენებში და 2) გარდამავალი სამართლიანობის შესახებ რიტუალები, რომელთა მიზანია წარსულ კონფლიქტებზე კოლექტიური მეხსიერების შექმნა. მათი აზრით, წარსულის სოციალური წარმომადგენლობის რეკონსტრუქცია ხელს უწყობს წარსულში ჯგუფთაშორის ინტენსიური და ძალადობრივი კონფლიქტის გადალახვას. ასეთი რეკონსტრუქციის მაგალითად პაეზსა და ლიუს მოჰყავთ გერმანული და ფრანგული მეხსიერება პირველ და მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით. ასე მაგალითად ვერდენის ბრძოლა გერმანიისთვისაც და საფრანგეთისთვისაც არის გმირობის, დიდებისა და მებრძოლი სულისკვეთების გამოხატულება. მეორე მსოფლიო იმის შემდეგ, ვერდენის მსგავსი ბრძოლები ორივე მხარისთვის აქღმული იქნა, როგორც მასობრივი ხოცვა-ჟლეტის სიმბოლო. ჯარისკაცები, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარეებში იბძოდნენ, ერთად დადგნენ დაღუპულთა პატივის მისაგებად, წარსულის რეკონსტრუქციის გამოვლინება იყო მაშინ, როდესაც საფრაგნეთის პრეზიდენტი მიტერანი და გერმანიის პრემიერ-მინისტრი კოლი ერთად იდგნენ ფრანგი დაღუპული ჯარისკაცების მემორიალთან. პაეზისა და ლიუს მტკიცებით, კოლექტიურ მოვლენებს აქვთ ყველაზე მაღალი ალბათობა, შექმნან გრძელვადიანი კოლექტიური მეხსიერება, როდესაც ისინი: 1) გრძელვადიან პერსპექტივაში გავლენას ახდენენ სოციალურ ცვლილებებზე და სოციალურად რელევანტურნი არიან აწმყოშიც; 2) ემოციურად არიან დატვირთულები; 3) იწვევენ უხვად სოციალურ გაზიარებას; 4) მას მედიის მიერ მეორდება სოციალურად; 5) ასოცირდება კოლექტიურ ქვეცასთან და სამახსოვროს ხდის რიტუალებს, რომელიც შესაძლოა

თანმიმდევრულად იქნას გადმოცემული ინსტიტუტების და ინდივიდების მიერ (Paez and Liu 2016: 114-9).

რაფი ნეტსი თავის სტატიაში: *„ძირითადი მოვლენები და კონფლიქტების კოლექტიური მეხსიერება“,* აღნიშნავს, რომ კონფლიქტებში კოლექტიურ მეხსიერებას ძირითადი როლი უკავია, რადგან ის აყალიბებს თითოეული მხარის ფსიქოლოგიურ და ქცევით რეაქციებს, საკუთარი თავის მიმართ დადებითად, ხოლო მეტოქის მიმართ-უარყოფითად. კონფლიქტების კოლექტიური მეხსიერება უფრო მეტად იქმნება ძირითადი მოვლენების შესახებ ნარატივებით (Nets 2013: 209-30).

შვარცი თავის სტატიაში: *„კონფლიქტის ხელახალი გააზრება და კოლექტიური მეხსიერება: ნანკინგის ქეისი“* აღნიშნავს, რომ ისეთი ქმედებები/ასპექტები, როგორიცაა ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილი ხსოვნები, ადგილების დასახელებები, მონუმენტები და მუზეუმები აჩვენებს, თუ როგორ აღმოცენდება სხვადასხვა მეხსიერება/მოგონება ჯვარედინი ინტერესების, კოალიციების, გავლენიანი ქსელებისა და საწარმოების კონტექსტში. ისტორიკოსები და ელიტები ქმნიან ჰეგემონურ ნარატივებსა და სიმბოლოებს, მასების ლოიალურობის მოსაპოვებლად და მანიპულირებისთვის (Schwartz 1996).

ვაგონერი და ბრესკო თავიანთ სტატიაში: *„კონფლიქტი და მეხსიერება: წარსული აწმყოში“* აღნიშნავენ, რომ ხშირად, კონფლიქტი და მეხსიერება არის მონეტის ორი მხარე. ერთი მხრივ, კონფლიქტი ღრმად ტოვებს კვალს როგორც ინდივიდის, ასევე კოლექტივების მეხსიერებაზე, რომელიც ხელს უშლის სამომავლოდ შერიგებას და მეორე მხრივ, ბევრი კონფლიქტის უკან სწორედ მეხსიერებაა, ძირითადად წარსულიდან დრამატული ეპიზოდების გახსენება, წარსულის აწმყოში გადმოტანა თავისი ნაიარევებით, უკმაყოფილებით, შურისძიებისა და სიძულვილის გრძნობებით. (Wagoner and Brescó 2016).

5. თეორიული ჩარჩო

ჰიპოთეზის დასამტკიცებლად თემაში გამოყენებული იქნება სოციალური რეპრეზენტაციის თეორია (Social Representation Theory).

სანამ უშუალოდ თეორიაზე გადავალთ, თავდაპირველად აუცილებელია ავხსნათ, თუ რა იგულისხმება სოციალურ რეპრეზენტაციაში. აღნიშნული ტერმინი პირველად გამოიყენა ფრანგმა ფსიქოლოგმა სერჟ მოსკოვიჩმა 1961 წელს. აღნიშნულ ტერმინში მოსკოვიჩმა იგულისხმა პროცესი, როდესაც საზოგადოება ერთმანეთში კომუნიკაციისა და ქცევისთვის შეიმუშავებს კოლექტიურ აღქმას სოციალურ ობიექტზე (Moscovici 1961: 231). სოციალური რეპრეზენტაცია არის რაღაცის რეპრეზენტაცია/აღქმა, რასაც შეიძლება ჰქონდეს სიმბოლური, პოლიტიკური, კულტურული და ა.შ დატვირთვა. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური რეპრეზენტაცია არის იდეების, რწმენების, ფასეულობებისა და პრაქტიკების ერთობლიობა რაიმე საკითხზე/საგანზე, რომელიც გაზიარებულია ჯგუფის წევრებსა და საზოგადოებებს შორის (Moscovici 1961). სოციალური რეპრეზენტაცია შესაძლოა იყოს ფრაგმენტული და ურთიერთსაპირისპირო იდეებით სავსე. სოციალურ რეპრეზენტაციაში მოსკოვიჩი გამოყოფს 3 ასპექტს, კერძოდ: *"ჰეგემონური რეპრეზენტაცია"* - რომელიც ძირითადად გავრცელებულია მაკრო დონეზე და ასახვას ჰპოვებს ბევრ დონეზე. აღნიშნული რეპრეზენტაცია არის ერთგვაროვანი ყველასთვის, მისი საუკეთესო მაგალითია: კლიმატის ცვლილება (Moscovici 1988: 221). მეორე ასპექტს წარმოადგენს *"თავისუფალი რეპრეზენტაცია"* - რომელიც ეხება ქვეჯგუფებს, რომლებიც საზოგადოებასთან ინტერაქციის შედეგად, გარკვეული ავტონომიით, ქმნიან თავიანთ

ვერსიებს მოვლენებზე და მესამე ასპექტს წარმოადგენს *„პოლემიკური რეპრეზენტაცია“*, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ კონფლიქტებთან, ჯგუფებს შორის ბრძოლებთან და საზოგადოებაში ურთიერთდაპირისპირებულობასთან (Moscovici 1988: 221). აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მცდელობებისა, არ არსებობს აღნიშნული ტერმინის ერთი მკაფიო განსაზღვრება. ფსიქოლოგი სანდრა ჟოვჩელოვიჩი სოციალურ რეპრეზენტაციას ხსნის, როგორც ადგილს საჯარო სივრცეში ინდივიდებსა და საზოგადოებას შორის, რომელიც აკავშირებს ობიექტებს, სუბიექტებსა და აქტივობებს (Jovchelovitch 2012).

რაც შეეხება სოციალური რეპრეზენტაციის თეორიას, ის ძალიან ჰგავს ისეთ თეორიებს, როგორიცაა სოციალური კონსტრუქციონიზმი და სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ასევე გარკვეული საერთო ასპექტები აქვს დისკურსიულ ფსიქოლოგიასთან.

სოციალური რეპრეზენტაციის თეორიის ავტორიც სწორედ სერჟ მოსკოვიჩია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თეორიას დიდი კავშირი აქვს დიურკემის „კოლექტიურ რეპრეზენტაციასთან“, მოსკოვიჩი ამბობს, რომ დიურკემის კონცეფცია არის სტატიკური იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა აღვიქვათ თანამედროვე საზოგადოება. აღნიშნულისგან განსხვავებით, სოციალური რეპრეზენტაცია გვთავაზობს საზოგადოების აზრების გაგებას დროში. აღნიშნული თეორია ერთმანეთთან აკავშირებს საზოგადოებას, ინდივიდებს, ჯგუფებს და ა.შ აღნიშნული თეორია ქმნის მექანიზმებს, რომლითაც იხსნება, თუ როგორ იქმნება და ფორმირდება იდეები, რაც შემდგომში აისახება მთლიანად საზოგადოებაზე. სოციალური რეპრეზენტაცია გამოიხატება სხვადასხვა სახით, მათ შორის ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური კონტექსტითაც, ის აისახება ასევე გარემოებებზე და პრაქტიკებში.

აღნიშნული თეორია აქცენტს აკეთებს სოციალურ რეპრეზენტაციაზე და იკვლევს საზოგადოების კოლექტიური აზროვნების ფენომენს. მისთვის საინტერესოა ფენომენი, რომელიც მოდის ტრადიციული შეხედულებებიდან და ქმნის დაძაბულობას საზოგადოებებს შორის, ასევე ის, თუ როგორ იცვლება და ტრანსფორმირდება ძველი იდეები. თეორიის მიხედვით სოციალური რეპრეზენტაციები არიან კომპლექსურნი და

გლობალურები, ისინი სხვადასხვა სახით შეიძლება მოგვევლინონ, მაგალითად სურათებად, რომლებიც შეიცავენ ემოციებს, ისინი გავლენას ახდენენ დიალოგებზე, დებატებზე, მედიაზე და ა.შ. (Markova 2003). სოციალური რეპრეზენტაციის გარცელებისთვის მოსკოვიჩი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მედიას, თუმცა, სხვა მეცნიერები, მაგალითად მარკოვა უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებდა ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის დიალოგსა და კომუნიკაციაზე. სოციალური რეპრეზენტაციის თეორია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ იქმნება კოლექტიური აღქმები, ასევე სოციალურ-კოგნიტურ პროცესებსა და მექანიზმებზე. თეორია ხსნის რეპრეზენტაციის ორ ფუნქციას. პირველ რიგში რეპრეზენტაცია პირობითობას ანიჭებს ობიექტებს, პერსონებს და მოვლენებს, რომელთაც ადამიანები აძლევენ სპეციფიკურ სახეს, ახდენენ მათ ლოკალიზებას იმისთვის, რომ მიანიჭონ კატეგორია და თანდათანობით დაამკვიდრონ ისინი ცნობიერებაში. ასევე, ადამიანები მათ აერთიანებენ თავიანთ ინდივიდუალურ აზროვნებაში. თეორია ასევე უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ინდივიდებმა და ჯგუფებმა შესაძლოა მოახდინონ კოლექტიური აღქმების ტრანსფორმაცია.

აღნიშნული თეორია აღწერს ორ ძირითად სოციალურ-კოგნიტურ საკომუნიკაციო მექანიზმს, რომელიც იწვევს სოციალურ რეპრეზენტაციას: *"დაკავშირება"* (Anchoring) და *„ობიექტივირება"* (objectifying). პირველი მექანიზმი ადამიანებისთვის უცნობს გადააქცევს ნაცნობ მოვლენად ადრინდელი, უკვე კარგად ნაცნობ სოციალურ რეპრეზენტაციასთან შედარებითა და ინტერპრეტაციის გზით, ხოლო მეორე მექანიზმის მიხედვით უცნობი გადაიქცევა ნაცნობად იმ საშუალებით, რომ იგი იღებს რაიმე კონკრეტულ სახეს, რაც არის ადამიანების მიერ აღქმადი, ფიზიკურად შეხებადი და კონტროლირებადი (Moscovici 1984: 24). თავად *"დაკავშირების"* მექანიზმშიც შეგვიძლია გამოვყოთ სხვადასხვა ტიპის ქვემექანიზმები, როგორიცაა: დასახელება (რაიმე ახალისთვის სახელის დარქმევა), ემოციური დაკავშირება, თემატური დაკავშირება და ა.შ. დასახელების მექანიზმი იქნა გამოყენებული ისრაელის მიერ, როდესაც ასპარეზზე ახლად გამოჩენილ აქტორებს *„ჰეზბოლა"*-სა და *„ჰამას"*-ს ებრაელებმა სწრაფადვე დაარქვეს ტერორისტთა ჯგუფები და სწორედ *„დაკავშირების"* მექანიზმის გამოყენებით მალევე მოარგეს ამ აქტორების

გამოჩენით წარმოქმნილი ახალი ვითარება უკვე კარგად ნაცნობ, ძველ სიტუაციასა და იდეებს. დასახელების მექანიზმი საკმაოდ სწრაფად და აქტიურად ვრცელდება მედიაში, რაც ხელს უწყობს ერთიანი აზრის დამკვიდრებას საზოგადოებაში (Höijer 2011: 7-8). დასახელების მექანიზმთან დაკავშირებით მოსკოვიჩი ამბობდა, რომ აუცილებელი არაა, რომ ამ მექანიზმმა დაამახინჯოს ან შეცვალოს უწინდელი ფენომენი/ობიექტი, პირიქით, ამ მექანიზმის საშუალებით იგი უფრო მდიდრდება და მას ეძლევა ახალი მიმართულება/სვლა (Moscovici 1988). ლიპმანის აზრით, დასახელების მექანიზმი მტკიცედ არის დაკავშირებული სტერეოტიპის შექმნასთან (Lippman 1998). აღნიშნული სტერეოტიპების მიხედვით წყდება გაკიცხვის, დისკრიმინაციის, ძალაუფლების, დომინაციის და სხვა საკითხები, *„სტერეოტიპები ქმნიან ილუზიას სისწორის/გარკვეულობის შესხებ სხვა ადამიანთა შეფასების დროს“* (Pickering 2001: 5). სოციალური რეპრეზენტაცია არის სოციალურად შემუშავებული და გაზიარებული ცოდნის/ცნობიერების ფორმა პრაქტიკული ობიექტით, რომელიც ქმნის საერთო რეალობას სოციალური ჯგუფისთვის.

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასევე ემოციური დაკავშირება, რადგან ემოციები ეხმარება ინდივიდებს სოციალური სიტუაციებისა და ობიექტების აღქმასა და ინტერპრეტაციაში (Höijer 2011: 9). ის საზოგადოებაში ამკვიდრებს რაიმე აზრს, განაწყობს და რაზმავს საზოგადოებას კონკრეტული ქმედებისკენ. ემოციური კავშირი შესაძლოა გამოიხატოს გამოყენებულ ენაში, ფოტოებში ან ილუსტრაციებში, ტაბლოიდურ გაზეთებში და ა.შ (Höijer 2011: 9). იდეები/შეხედულებები უფრო მყარად არის შენარჩუნებული საზოგადოებაში მაშინ, თუ მათ ზურგს უმყარებს ემოციური ასპექტები. ასევე ინდივიდთა ემოციების მართვის მეშვეობით გაცილებით მარტივია საზოგადოების დარაზმვა კონკრეტული ქმედებისკენ.

სოციალური რეპრეზენტაციის თეორია ყურადრებას ამახვილებს ასევე ემოციურ *„ობიექტივირება“*-ზე, კერძოდ ამაში იგულისხმება მაგალითად გარკვეულ მოვლენებთან დაკავშირებით კონკრეტული სურათები, ფოტოები. მაგალითად კლიმატური

ცვლილებების წარმოსაჩენად გამოყენებულია ფოტოები, სადაც ხალხი გაურბის დატბორვას, ტყის ხანძრები და ა.შ რასაც ასევე აქტიურად აშუქებს მედია და შესაბამისად საზოგადოების ფართო მასებში იწვევს ემპათიას ან სხვა გრძნობების გაღვივებას (Höijer 2011: 13). თემაში გამოყენებული კონფლიქტების შემთხვევაში დღემდე ხშირია მედიაში ომისგან დაზარალებული ხალხის სურათების გავრცელება ან რეპორტაჟები მათზე, ეს ასპექტი განსაკუთრებით აქტიურდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ახალ შეტაკებებს.

თეორია ასევე ყურადღებას ამახვილებს პერსონიფიკაციაზე, ანუ პროცესზე, როდესაც გარკვეული იდეა ან ფენომენი დაკავშირებულია კონკრეტულ პიროვნებასთან. ძირითადად ამისთვის იყენებენ ცნობილ პიროვნებებს, მაგ: ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალ-გორი და კლიმატის ცვლილებების საკითხი. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ხალხს სჭირდება ავტორიტეტული ადამიანი, რომელიც მოუწოდებს/უბიძგებს კონკრეტული ქმედებისკენ ან კონკრეტულ თემებზე ფიქრისკენ (Höijer 2011: 13). თემაში გამოყენებულ კონფლიქტებში, სახელმწიფოები ხშირად იყენებდნენ განსაკუთრებით იმ ადამიანების სახელებს, რომლებიც იბრძოდნენ თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად, ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება იმ მსხვერპლზე, რაც მათ გაიღეს, თუნდაც მაგ: ისრაელის, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემთხვევაში აქტიურად გაისმის დღემდე იმ ადამიანების სახელები, ვინც დიდი წვლილი შეიტანა ისრაელის დამოუკიდებლობაში.

სოციალური რეპრეზენტაციის თეორია ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების სოციალურ და კულტურულ აზროვნებაზე, თუ როგორ იქმნება რეალობის შესახებ ახალი სოციალური აღქმები და რეპრეზენტაციები და კომუნიკაციის გზით ტრანსფორმირდება ძველი აღქმები. თეორია მკაფიო პასუხს იძლევა კითხვაზე, თუ საიდან მოდის რეპრეზენტაციები. მოსკოვიჩის აზრით, იდეებს აქვთ ძალა, რომ გააერთიანონ ადამიანები, მოდიფიკაცია მოახდინონ მათი გრძნობების და უბიძგონ მათ გარკვეული ქმედებებისკენ (Moscovici 1993: 115).

საბოლოოდ, სოციალური რეპრეზენტაციის თეორია მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ, იგი ყურადღებას ამახვილებს სოციალური რეპრეზენტაციის ფაქტორზე, რომელიც აყალიბებს

ინდივიდებს, კონკრეტულ ჯგუფებს, საზოგადოებებს შორის შეხედულებებს, აღქმებს; განაპირობებს მოვლენების ინტერპრეტაციას და ადამიანებს უბიძგებს კონკრეტული ქმედებისკენ ან აზროვნებისკენ. ასევე სოციალური რეპრეზენტაცია წარმოადგენს მოვლენების გაგებისა და შექმნის გზას. სწორედ სოციალურ რეპრეზენტაციაზეა დამოკიდებული, თუ რა მნიშვნელობა მიენიჭება კონკრეტულ მოვლენას/ჯგუფს/ობიექტს.

ლასლო აღნიშნავს, რომ სოციალური რეპრეზენტაციები მოწყობილნი არიან ნარატიულ ფორმებში (László 1997). ლიუ, ლასლო და ვერტში ვარაუდობენ, რომ კოლექტიური მეხსიერება სწორედ ამ ნარატივებისგან შედგება. სოციალური კომუნიკაციისას აღნიშნულ ნარატივებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ და ისტორიის სოციალური რეპრეზენტაციის კონტექსტში ნარატივები წარმოადგენენ საშუალებას, რომ საზოგადოებას ეფექტურად მიეწოდოს შეტყობინება და მიიქციოს მისი ყურადღება (Tileagă 2009). ლასლოს მიხედვით, კოლექტიური მეხსიერებისა და სოციალური რეპრეზენტაციის ცნებები შესაძლოა გადაიკვეთოს ერთმანეთში, რადგან შინაარსობრივად ორივეს კონცეპტუალიზებას წარმოადგენს საზოგადოებისა და ინდივიდის განუყოფელობა (László 2008). ვაგონერმა უფრო ფართოდ გამოიკვლია ამ ორ ცნებას შორის თეორიული კავშირი. მისი აზრით, მიუხედავად ამ ორ ცნებას შორის კავშირისა, მათი ურთიერთმიმართება არის კომპლექსური, რადგან გააჩნიათ განსხვავებული საფოკუსო წერტილები. კოლექტიური მეხსიერების სწავლებებში ინტერესის სფეროს წარმოადგენს წარსულის შესახებ კომუნიკაციების რეკონსტრუქცია და გადაცემა, ხოლო სოციალური რეპრეზენტაციის თეორიისთვის ინტერესი არის არა მხოლოდ ისტორიის შესახებ სოციალური ცოდნის ახსნა, არამედ სიახლეების შესახებ ცოდნაც, ის ყურადღებას ამახვილებს ყოველდღიური სოციალური ცოდნის შექმნაზე, შენარჩუნებასა და კომუნიკაციაზე და ამ მხრივ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კოლექტიური მეხსიერება (Wagoner 2015).

აღნიშნული თეორიის სირთულეს განაპირობებს პირველ რიგში ის ფაქტი, რომ ტერმინი სოციალური რეპრეზენტაცია ბევრ რამეს მოიცავს საკუთარ თავში და კომპლექსურ საკითხებთანაა დაკავშირებული, ასევე ის საკითხი, რომ რეალურად ძალიან ცოტა

სახელმძღვანელო პრინციპია ემპირიულ კვლევებში თეორიის გამოყენების საკითხებზე (Bauer & Gaskell 1999: 163). ვინაიდან თეორია ასე თუ ისე ახლად შექმნილია, ამიტომ არ არის ბევრ კვლევაში გამოყენებული და ლიტერატურაც ამ მხრივ ძალიან მწირია. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ოფიციალურად არ დაბეჭდილა ისეთი ნაშრომები, სადაც აღნიშნული თეორიით არის ახსნილი რომელიმე კონფლიქტი, თუმცა, თეორიის პოსტულატებიდან გამომდინარე, არ არის რთული ისეთი ტიპის კონფლიქტების აღწერა, რაც აღნიშნულ თემაშია მოყვანილი.

6. კონფლიქტების აღწერა

საკვლევი თემის უკეთ გასაცნობად აუცილებელია თითოეული კონფლიქტის აღწერა. ამ გზით უფრო ნათელი იქნება ის, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს კონფლიქტი და როგორ სახეს იღებდა ის დროთა განმავლობაში.

6.1 ყარაბაღის კონფლიქტი

როგორც უკვე ვახსენე, აღნიშნულ კონფლიქტებს ისტორიაში მყარად აქვს ფესვები გადგმული და ყარაბაღის კონფლიქტის დასაბამიც შესაძლოა მივაწეროთ საკმაოდ ძველ ისტორიულ პროცესებს, თუმცა, ეს საკმაოდ შორს წაგვიყვანს და თემიდან გადაგვახვევინებს, ამიტომ კონფლიქტის აღწერას დავიწყებ პირდაპირ იმ დროიდან, როდესაც დაიწყო ვითარების გამწვავება.

1920-21წწ. მაშინ, როდესაც რუსეთმა განახორციელა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ოკუპაცია, 1923წ. აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სომხეთის საზღვართან შეიქმნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, რომლის ცენტრი იყო ხანკენდი (მოგვიანებით სტეფანაკერტი). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ოლქში მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკურად სომხები წარმოადგენდნენ (94.4%) (მალაშხია 2011: 183)

უკვე 1920-იან წლებში იგრძნობოდა ყარაბაღში დაძაბულობა ეთნიკურ ფონზე, დროთა განმავლობაში კი იმატებდა სომხების პრეტენზიები აღნიშნულ ტერიტორიასთან დაკავშირებით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში საბჭოთა რუსეთი მანიპულირებდა ამ საკითხით. 1921 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით კავკასიის ბიურომ მთიანი ყარაბაღი დატოვა აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში და მას მიანიჭა ფართო საოლქო ავტონომია, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი იყო ქალაქი

შუშა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა სომხეთის კპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

1936 წელს, ახალი სამოკავშირეო კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საბოლოო საზღვრებითა და სახელით ჩამოყალიბდა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი. 1988 წლის 20 თებერვალს მთიანი ყაბარაღის ავტონომიური ოლქის (შემდგომში მყაო) უმაღლესმა საბჭომ სსრკ-ის, სომხეთისა და აზერბაიჯანის უმაღლეს საბჭოებს მიმართა თხოვნით, რათა მთიანი ყარაბაღი გამოეყოთ აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობიდან და სომხეთის სსრ-ისთვის მიეერთებინათ. ამის პასუხად ცკ-ის პოლიტბიუროს მიერ აღნიშნული მოთხოვნა შეფასდა ექსტრემისტებისა და ნაციონალისტების მიერ პროვოცირებულ ქმედებად, რასაც მოჰყვა მასშტაბური დემონსტრაციები ერევანში და არაფორმალური პოლიტიკური გაერთიანება „ყარაბაღის კომიტეტის“ დაფუძნება. ამავე წლის 24 თებერვალს მყაო-ს ტერიტორიაზე შეტაკება მოხდა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რის შედეგადაც დაშავდა 50 სომეხი და ეთნიკურად სომეხი მილიციელის მიერ მოკლულ იქნა 2 აზერბაიჯანელი ახალგაზრდა. ამ მოვლენებს მოყვა 27 თებერვალს ქალაქ სუმგაითში განხორციელებული მოვლენები, კერძოდ დაარბიეს სომეხი მაცხოვრებლები, რის შედეგადაც ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 26 სომეხი და 6 აზერბაიჯანელი. (მალაშხია 2011: 184). აღნიშნულ მოვლენებზე საპასუხოდ, 15 ივნისს სომხეთის სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ დააკმაყოფილა მყაო-ს თხოვნა და მიმართა სსრკ-ის უმაღლეს საბჭოს იგივე ქმედებისთვის.

1989წ. 12 იანვარს, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა „მთიანი ყაბარაღის მართვის განსაკუთრებული კომიტეტი“ და ოლქის ტერიტორიაზე შემოიღო ცენტრის პირდაპირი მმართველობა, რომელიც მალევე, ნოემბერში გააუქმა. ამავე წლის ზაფხულში აზერბაიჯანში, კერძოდ ბაქოში გამიართა მასობრივი დემონსტრაციები ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით და ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი. 1989წ. 28 ნოემბერს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით რეგიონი დარჩა აზერბაიჯანის

შემადგენლობაში, ამ გადაწყვეტილების შემდგომ ვითარება რეგიონში უკიდურესად გამწვავდა და დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი.

1991 წლის 23 ნოემბერს, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანს უკვე დამოუკიდებლობა ჰქონდა გამოცხადებული, აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, თუმცა, სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ უკანონოდ ცნო აღნიშნული გადაწყვეტილება.

1992 წლის 27 თებერვალს სომხური შენაერთები და რუსეთის ჯარი შეიჭრნენ აზერბაიჯანულ ქალაქ ხოჯალიში და მოაწყვეს ხოცვა-ჟლეტა, სხვადასხვა მონაცემებით დაიღუპა სულ მცირე 600-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. (მალაშხია 2011: 188) აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ უფრო გაამძაფრა ეთნიკურად სომხების მიერ აზერბაიჯანული მოსახლეობის სიძულვილის გამძაფრება. მოსახლეობის ფართო ფენები ჩაებნენ კონფლიქტში, რომლის დამახასიათებელი ნიშანი იყო ეთნიკური დაპირისპირება. 1992 წლის 16 მაისს სომხეთი დსთ-ის წევრი გახდა, რამაც საშუალება მისცა სომხურ ძალებს მიეღწიათ კონფლიქტში წარმატებისთვის და აეღოთ ქალაქი შუშა და სომხეთ-ყარაბაღის დამაკავშირებელი *„ლაჭინის დერეფანი“.* სომხების სამხედრო ძალებმა შემდგომში მოახერხეს აგდამის, ქუბალთისა და ფიზულის რაიონების დაკავებაც.

1993-1994წწ. დეკემბერ-იანვარში აზერბაიჯანის ჯარებმა ახალი შეტევა წამოიწყეს, მაგრამ მხოლოდ დროებით აღწევდნენ წარმატებებს და მოკლე დროში ისევ კარგავდნენ მოპოვებულ ტერიტორიებს. საბოლოოდ, 1994 წლის 12 მაისს გაფორმდა ე.წ *„ბიშკეკის პროტოკოლი“* და ცეცხლი შეწყდა. იმ დროს არსებული ვითარებისთვის, რაც პრინციპში დღესაც უცვლელია, მთიან ყარაბაღს თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ სეპარატისტები, ხოლო რეგიონის გარშემო მდებარე აზერბაიჯანის 7 რაიონი: აგდამი, ზანგელანი, ლაჭინი, ქელბაჯარი, ქუბალთი, ფიზული და ჯაბრაილი, ოკუპირებულია სომხური ძალების მიერ.

ამის შემდგომ მხარეებს შორის პერიოდულად კვლავ დაიწყებოდა ხოლმე მცირე შეტაკებები. ასე მაგალითად 2008 წლის მარტში ადგილი ჰქონდა ასეთ შეტაკებას, ორივე

მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა შეტაკების დაწყებაში. მსგავსი შეტაკებები განხორციელდა 2010-2011 წლებში. სიტუაცია დაიძაბა ასევე 2014 წელს, როდესაც ივლისი-აგვისტოს თვეში განხორციელდა მცირედი შეტაკებები, რასაც შეეწირა 20 სამოქალაქო პირის სიცოცხლე და ნოემბერში, როდესაც ჩამოგდებული იქნა სომხური მი-24 ტიპის ვერტმფრენი. 90-იანი წლების შემდეგ სიტუაციამ კრიტიკულს მიაღწია 2016 წელს, როდესაც მხარეებს შორის დაპირისპირებაში ჩაერთო მძიმე ტექნიკაც. ორივე მხარეს დაიწყო საყოველთაო მობილიზაცია, თუმცა, ფართო-მასშტაბიანი შეტაკებები მალე დასრულდა და კონფლიქტი ისევ ძველ ვითარებას დაუბრუნდა.

კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე გაიმართა უამრავი მოლაპარაკება მოგვარებასთან დაკავშირებით, ასევე არსებობდა მოგვარების სხვადასხვა მოდელები. აუცილებელია ამ მხრივ მოკლედ შევეხოთ მნიშვნელოვან საკითხებს, რათა უკეთ დავინახოთ ის სურათი, თუ რატომ ვერ გაამართლა აქამდე არსებულმა ვერცერთმა მოდელმა და მოლაპარაკებამ.

6.2 ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მოდელები და მოლაპარაკებები

აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის დაწყების დღიდან, მრავალი სხვა აქტორი იყო დაინტერესებული კონფლიქტის მიმდინარეობით. სხვადასხვა ეტაპზე იმართებოდა სხვადასხვა სახის მოლაპარაკებები და მხარეებისთვის შეთავაზებული იქნა მრავალი მოდელი, თუმცა, როგორც სახეზე გვაქვს, ჯერჯერობით არცერთმა მათგანმა არ გაამართლა, რადგან ვერ გამოიძებნა კონფლიქტში ჩართული ყველა მხარისთვის მოსაწონი მოდელი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის მოგვარებაში ჩართულნი არიან გავლენიანი საერთაშორისო აქტორებიც, ის კვლავ გადაუჭრელი რჩება.

კონფლიქტის აღმოცენებიდან ცოტა ხნის შემდეგ, კერძოდ, 1992 წლის 24 მარტს ეუთომ 11 ქვეყნის მონაწილეობით შექმნა მინსკის ჯგუფი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტის მოგვარება.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის ერთ-ერთი პირველი ინიციტორი ირანის პრეზიდენტი, აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი იყო, რომლის თაოსნობითაც 1992 წელს ორივე მხარის პრეზიდენტებმა თეირანის კომინუკეს მოაწერეს

ხელი. თუმცა, ეს შეთანხმება მომდევნო დღესვე დაირღვა, როდესაც სომხეთის სამხედრო შენაერთებმა აიღეს ქალაქი შუშა.

1996 წლის ლისაბონის სამიტზე ეუთო-მ განაცხადა კონფლიქტის მოგვარების შემდეგი ძირითად პრინციპები: სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ლეგალური სტატუსის დადგენა მთიანი ყარაბაღის თაობაზე, რომელიც დაყრდნობილი იქნებოდა თვითგამორკვევის უფლებაზე, რის საფუძველზეც ადგილობრივ თვითმართველობას მიენიჭებოდა უმაღლესი სტატუსი აზერბაიჯანის იურისდიქციის ფარგლებში. აზერბაიჯანი დათანხმდა გეგმას, თუმცა სომხეთმა არ დაუჭირა მას მხარი, რადგან მას არ ეთმობოდა ომის მონაპოვარი მარტივად. სომხეთის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ მინსკის ჯგუფმა დაიკავა აზერბაიჯანის მხარე და მისი რეზოლუცია შემუშავებულ იქნა კომპრომისის მიღწევისათვის დამატებით მოლაპარაკებების გარეშე (OSCE Lisbon Document 1996: 15).

1997 წელს, რუსეთის, საფრანგეთისა და აშშ-ის სამეულმა, შეიმუშავა ე.წ. *„ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარება"*, (*step-by-step solution*) რომელიც მოიცავდა: 1. ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანას, ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას. 2. ლტოლვილების დაბრუნებას პირველი ეტაპისთვის და საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განთავსებას. 3. მეორე ეტაპისთვის კი უნდა განსაზღვრულიყო ყარაბაღის სტატუსი, რომელსაც დაამტკიცებდა მინსკის კონფერენცია. ეს შეთავაზება დაუყოვნებლივ იქნა უგულვებელყოფილი ყარაბაღის სომეხი მმართველების მიერ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ნებისმიერ გეგმას, რომელიც მიზნად ისახავდა ყარაბაღის აზერბაიჯანის სუვერენიტეტის ქვეშ დაბრუნებას. (მალაშხია 2011: 194).

1998 წელს გამოქვეყნდა პრიმაკოვის მიერ შემუშავებული *„საერთო სახელმწიფოს"* გეგმა. იგი ითვალისწინებდა „მსუბუქი" კონფედერაციული ხელშეკრულების გაფორმებას მთიან ყარაბაღსა და აზერბაიჯანს შორის. ყარაბაღი იქნებოდა სახელმწიფო და ტერიტორიული ფორმაცია რესპუბლიკის ფორმით და შექმნიდა საერთო სახელმწიფოს აზერბაიჯანთან საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. აზერბაიჯანი და ყარაბაღი გააფორმებდნენ

ხელშეკრულებას კომპეტენციების გამიჯვნისა და ერთიანი სახელმწიფო ორგანოების ფორმირების შესახებ. სომხეთისთვის და ყარაბაღის მმართველებისთვის მისაღები აღმოჩნდა ეს გეგმა. აზერბაიჯანის მხრიდან უარის მიღების შემდეგ ყარაბაღის მთავრობამ განაცხადა, რომ მხოლოდ დამოუკიდებლობის აღიარებისათვის ბრძოლა დარჩათ ალტერნატივად. (Abasov, Khachatrian 2006: 39)

2002 წლიდან მოლაპარაკებები დაიწყო პრაღის პროცესის ფორმატით, რომელსაც მოჰყვა მადრიდის პრინციპები. 2009 წელს შემოთავაზებაში მოხდა მცირე ცვლილებები და საბოლოო სახით დოკუმენტი ორივე სახელმწიფოს სთავაზობდა კონკრეტულ ქმედებებს კონფლიქტის მოსაგვარებლად (მალაშხია 2011: 197-8).

მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისკენ ასევე მოუწოდებდა გაერო, რომლის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 4 რეზოლუცია (822, 853, 874, 884), რომლებშიც სომხეთის მხარეს მოუწოდებდა აზერბაიჯანის ტერიტორიების დეოკუპაციისკენ და საომარი მოქმედებების შეწყვეტისკენ. კონფლიქტის მოგვარებაში ჩაერთო ასევე ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელმაც მიიღო ორი რეზოლუცია 2008 და 2010 წლებში, რომლებშიც მოითხოვდა, რომ შესრულებულიყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციები და აღკვეთილიყო სომხეთის აგრესია აზერბაიჯანის წინააღმდეგ. სომხეთის აზრით აღნიშნული ფაქტი იყო აზერბაიჯანის მიერ ისლამის ექსპლოატაციის ნათელი მაგალითი მეტი საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

გარდა ამისა, არსებობდა ასევე სხვა მოდელებიც, როგორიცაა: ჯონ მარესკას მოდელი, ნიკოლაი ჰოვჰანისიანის მოდელი, თათრეთის მოდელი, კვიპროსის მოდელი და სხვ. ზოგადად, მთიანი ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებული მოლაპარაკებები შეიძლება დაიყოს 5 ფაზად: 1) 1992-94წწ. მოლაპარაკებების წინა პერიოდი; 2) 1994-98წწ. პირველი ფაზა; 3) 1998-99წწ. მეორე ფაზა; 4) 1999-2004წწ. მესამე ფაზა; 5) 2004-9წწ. მეოთხე ფაზა. აღნიშნული ფაზები ყველაზე უკეთ აიხსნება მრავალ-საკითხიანი მოლაპარაკებების მოდელით (Multi-Issue Bargaining Model), რომელიც ასახავს მხარეთა პოზიციების

ცვლილებებს და მათ ეტაპობრივ ევოლუციას. ამ მოდელის მიხედვით, ორივე მხარისთვის თანაბარი იყო *„სირთულეებისა და შუღლის დონე“.* (Ziyadov 2009)

მნიშვნელოვანია თითოეული ფაზის დამახასიათებელი მოვლენების მოკლე მიმოხილვა.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებების წინა პერიოდი მიმდინარეობდა შეტაკებების ფონზე და ეს კიდევ უფრო ართულებდა მოლაპარაკებების წარმატების რაიმე შანსს. ორივე მხარე ფოკუსირებული იყო წარმატებულ იერიშებზე და შეჯიბრებითობის პრინციპი ნათლად ჩანდა. ასევე შეჯიბრებითობა იგრძნობოდა მედიატორებს შორისაც. თავად ტერ პეტროსიანის სიტყვებიც კი ამის მინანიშნებელია, რომლის მიხედვითაც: „მედიატორების ქმედებები იყო უბრალოდ ბლეფი და ეს არ იყო სამშვიდობო პროცესები, შუამავლები მეტ ყურადღებას უთმობდნენ ერთმანეთთან შეჯიბრს ვიდრე მთიანი ყარაბაღის საკითხს“. (Ziyadov 2009: 113)

მოლაპარაკებების პირველ ფაზაში მხარეები მზად იყვნენ განეხილათ *„ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარება“* რათა აღედგინათ ნდობა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის და დაემყარებინათ რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობა, თუმცა, სომხეთში მნიშვნელოვანი შიდა პროცესები განხორციელდა, კერძოდ 1998 წლის იანვარში გამართულ სომხეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გავლენიანმა პირებმა, რომელთა შორის იყვნენ: რობერტ ქოჩარიანი, ვაზგენ სარქისიანი და სერჟ სარქისიანი, მხარი არ დაუჭირეს მინსკის ჯგუფის წინადადებებს და იმ კომპრომისს, რომელზეც თანახმა იყო პრეზიდენტი ტერ-პეტროსიანი. ამ აზრს იზიარებდა ასევე სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილიც, მათ არ უნდოდათ არანაირ კომპრომისზე წასვლა, შესაბამისად ტერ-პეტროსიანი გადადგა, საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმაჯრვა რობერტ ქოჩარიანმა და მხარეებმა ხელიდან გაუშვეს კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა.

მეორე ფაზაში სომხეთის პრეზიდენტი უკვე ქოჩარიანია, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოლაპარაკებების მაგიდასთან სომხეთი გაატარებდა ყარაბაღელი სომხების ინტერესებს. ტერ-პეტროსიანისგან განსხვავებით მან სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება მთიანი ყარაბაღის სტატუსთან დაკავშირებით. ქოჩარიანმა შეცვალა მოლაპარაკებების სტრატეგია

„პრობლემის გადაჭრიდან“ გადავიდა „გარიგებაზე“ . ძირითადი საკითხი ეხებოდა ყარაბაღის სტატუსს. ქოჩარიანი ამტკიცებდა, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანში აღარ უნდა დარჩენილიყო. სომხური მხარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ყველა ის წინადადება, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას ეხებოდა.

1999 წელს ჰეიდარ ალიევმა თითქოს შეარბილა თავისი პოზიცია და აზერბაიჯანის მოლაპარაკებების სტრატეგიაც უცბად შეიცვალა, ამ ცვლილების შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ წლების შემდეგ, 1999 წლის მოლაპარაკებების კოლაფსის შემდგომ, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ საზოგადოება აღნიშნულ კომპრომისს არ აღიქვამდა დადებითად და უკიდურესად მწვავე რეაქციას გამოხატავდა მასთან დაკავშირებით. ეს იყო დრო, როდესაც მხარეებმა დაიწყეს გობლის გეგმის განხილვა, სადაც საუბარი იყო კორიდორების გაცვლაზე, კერძოდ ლაჭინის კორიდორი უნდა გადასცემოდა სომხეთს, რომელიც დააკავშირებდა მას მთიან ყარაბაღთან, ხოლო მეღრის კორიდორი - აზერბაიჯანს, რომელიც მას დააკავშირებდა მას ნახიჭევანთან. ყარაბაღის გარეშემო სომხების მიერ დაკავებული ტერიტორიები აზერბაიჯანს უნდა გადასცემოდა. მოლაპარაკებების პროცესი იყო გასაიდუმლოებული და ხშირად პრეზიდენტები ხვდებოდნენ თავისი ინიციატივით. 1999 წლის ნოემბერში, ეუთოს სამიტზე ეს გეგმა უნდა გაფორმებულიყო მშვიდობიანად, მაგრამ ოქტომბერში აზერბაიჯანში ცვლილებები მოხდა, კერძოდ პროტესტის ნიშნად თანამდებობები დატოვეს ალიევის მრჩეველმა საგარეო საქმეებში, საგარეო საქმეთა მინისტრმა და ალიევის სამდივნოს ხელმძღვანელმა, თუმცა ალიევმა ჩათვალა, რომ გარღვევა მაინც შესაძლებელი იქნებოდა ეუთოს სამიტზე.

1999 წლის 27 ოქტომბერს შეიარაღებული პირებისგან შემდგარი ჯგუფი შეიჭრა სომხეთის პარლამენტში და მოკლა 8 ადამიანი, მათ შორის იყვნენ სომხეთში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსები, რომლებიც ქოჩარიანს ეწინააღმდეგებოდნენ. მათთან ერთად დასამარდა სტამბულის სამიტზე სამშვიდობო ხელშეკრულების დადების იდეაც. როგორც ჩანს სარქისიანი ეთანხმებოდა ხელშეკრულების დადებას. ორივე მხარე თანახმა იყო

ხელშეკრულების დადებაზე. ეს იყო მხარეების პოზიციების ფუნდამენტური ცვლილების პერიოდი, როდესაც ორივე მხარე ძალიან ახლოს იყო შეთანხმებასთან და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებასთან, თუმცა, შიდა პროცესებმა განაპირობეს ამ ფაზის წარუმატებლობაც.

მესამე ფაზაში მოლაპარაკებები უკვე ჩიხში შევიდა. სომხეთის პარლამენტში თავდასხმის ფაქტმა ყველაფერი შეცვალა, ქოჩარიანი უფრო მეტად ფოკუსირებული იყო სომხეთის საშინაო საქმეებით, მან დერეფნების გაცვლის თავდაპირველი იდეიდან უკან დაიხია, თავისმხრივ ჰეიდარ ალიევს შეექმნა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები და დაიწყო ფიქრი მემკვიდრეობის საკითხებზე.

ქოჩარიანს და ალიევს შორის ყველაზე სერიოზული საუბრები გაიმართა პარიზსა და ფლორიდაში 2001წ. ამერიკის სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის დახმარებით. ალიევი მზად იყო ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით კომპრომისზე წასულიყო, თუმცა მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა გაეყიდა ქვეყნის შიგნით, ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ მან გამორიცხა ყველანაირ კომპრომისზე წასვლა. 2003წ. როდესაც ის გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, ყველა იმედი შეთანხმებაზე დასამარდა.

მოლაპარაკებების მეოთხე ფაზაში გამოჩნდა ახალი ინიციატივები კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. 2003 წ. ოქტომბერში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ხდება ილჰამ ალიევი, რომელიც თვითონ ერთვება მოლაპარაკებებში. იგი ტრადიციულ ხაზს დაადგა, რომელიც დამკვიდრებული იყო საერთაშორისო სამართლის უზენაესობაზე და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობაზე. ის ხშირად აცხადებდა იმას, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილი იქნებოდა ნებისმიერი ძალით, თუ საჭირო გახდებოდა სამხედრო ძალითაც. მან უარყო ყველა ის დოკუმენტი, რომელიც განხილული იქნა მისი მამისა და ქოჩარიანის მიერ. დაპირდა მხოლოდ უმაღლეს ავტონომიას ყარაბაღის რეგიონში და ცდილობდა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას, დისკუსიის გაეროს გენერალური ასამბლეის ფორმატში გადატანით. 2007 წელს შემუშავდა ახალი წინადადება, რომელსაც ეწოდა *„ძირითადი პრინციპები მთიანი ყარაბაღის*

კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისთვის“ ამასთან დაკავშირებით ერევანმა განაცხადა, რომ შუალედური რეჟიმი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო, როგორც ეს იყო კოსოვოში, მანამ სანამ რეგიონი გამოაცხადებდა დამოუკიდებლობას. ბაქო ამას უყურებდა, როგორც დროებით რეჟიმს, ვიდრე საერთაშორისო სტატუსს. ასევე სომხური მხარე მოითხოვდა რეფერენდუმს მთაინ ყარაბაღში, სადაც მხოლოდ ეროვნებით სომეხი მოსახლეობა მიიღებდა მონაწილეობას, თავის მხრივ აზერბაიჯანი კი ითხოვდა დევნილების დაბრუნებას ყარაბაღში და მათ მონაწილეობას რეფერენდუმში. ვინაიდან მხარეები თავის პოზიციებზე პრინციპულად იდგნენ და არც ერთ მათგანს არ უნდოდა კომპრომისზე წასვლა, რადგან ქვეყნის შიგნით საზოგადოებისგან არ ექნებოდა საკმარისი მხარდაჭერა, ვერ მოხერხდა რაიმე საკითხზე შეთანხმება და მოლაპარაკებების ეს ფაზაც უშედეგოდ დასრულდა.

უშედეგოდ დამთავრდა შემდგომი მოლაპარაკებებიც, რომელთა უმრავლესობაშიც რუსეთი ფიგურირებდა მთავარ მედიატორად. უკანასკნელმა მცდელობებმაც აჩვენა, რომ მხარეები ჯერ მზად არ არიან რაიმე სახის კომპრომისზე წასასვლელად. თითოეულ მხარეს აქტიური მხარდაჭერა აქვს თავისი მოსახლეობისგან, რაც კიდევ უფრო ართულებს მოლაპარაკებებში მათ მოქნილობას და პოზიციებს უფრო ხისტს ხდის.

6.3 კოლექტიური მეხსიერების როლი ყარაბაღის კონფლიქტში

ყარაბაღის კონფლიქტში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს კოლექტიურ მეხსიერებას, რაც ყველაზე მკაფიოდ აისახება იმ დროს, როდესაც წამოიჭრება ყარაბაღის კუთვნილების საკითხი, თუ რომელი მხარის ნაწილი იყო აღნიშნული ტერიტორია. ამ კუთხით ორივე მხარეს აქვს თავისი ისტორიული არგუმენტები, რომლებიც ურთიერთსაპირისპიროა, თუმცა, აღნიშნული სახელმწიფოების საზოგადოებებში მყარად აქვს ფესვები გადგმული.

თომას დე ვაალი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში ყურადღება გაამახვილა კონფლიქტის მხარეების მიერ, მათი წარსულის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებზე, მტრობის შესახებ ოფიციალურ პროპაგანდაზე, მითებზე და ა.შ. თავის წიგნში: *შავი ბაღი: სომხეთი და აზერბაიჯანი ომსა და მშვიდობას*

შორის, იგი წერს, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებში გავრცელებული იდეები ისტორიის, იდენტობისა და უფლებების შესახებ იყო სახიფათო, რომელიც გავრცელდა იმ იდეოლოგიურ ვაკუუმში, რაც შექმნა საბჭოთა კავშირმა. ვაალის აზრით, ამ იდეებმა ჯანსაღი გარემოება შექმნა ომის გასაჩაღებლად და სიძულვილის ნარატივებს უკვე ისე აქვთ ფესვები გადგმული, რომ სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება, მანამდე არაფერი შეიცვლება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის (Th. de Waal 2003:272).

ასევე გარაგოზოვი აღნიშნავს, რომ მეხსიერების პოლიტიკა არა მარტო ართულებს რაიმე მშვიდობიანი შეთანხმების მიღწევას, არამედ ის ასევე აბრკოლებს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, ასევე აღნიშნავს, რომ კონფლიქტების მოსაგვარებლად აუცილებელია სამეცნიერო მუშაობისას მტრობისა და შუღლის ძველი შემთხვევების განმაპირობებელი, ასევე წარსულის ნეგატიური სურათის შემქმნელი კოლექტიური მეხსიერების გათვალისწინება (Garagozov 2005: 59).

ის, რომ კოლექტიურ მეხსიერებას დიდი გავლენა აქვს და თანამედროვე საზოგადოებაც ხელს უწყობს კოლექტიური მეხსიერების გავრცელებას ნათლად ვლინდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ხელოვნება და სპორტი. როგორც წესი ხელოვნება არ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის, თუმცა, ძალიან ხშირად სწორედ ხელოვნება და სპორტი გვევლინებიან პოლიტიკის ინსტრუმენტებად. თითოეული ნამუშევარი/მოქმედება აღნიშნულ სფეროებში შეიძლება შეიცავდეს კონკრეტულ მესიჯს. აღნიშნული სფეროები ყველაზე მეტად ნახვადი/ყურებადია საერთაშორისო საზოგადოების მიერ, სხვადასხვა ქვეყნის, ტიპის და კატეგორიის მოქალაქეების მიერ. ისტორიულად ბევრჯერ მომხდარა ამის გამოვლინება. ამ მხრივ უკანასკნელი მოვლენების მაგალითს წარმოადგენს ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი ეთიოპელი ათლეტის ფეისია ლილესას პროტესტი რიოს ოლიმპიური თამაშების დროს, კერძოდ, მან ფინიშის ხაზი გადაკვეთა ხელებგადაჯვარედინებულმა, რითაც გამოხატა პტორესტი ეთიოპიაში ორომოს ხალხის წინააღმდეგ მიმდინარე ძალადობის მიმართ (BBC 2016). ასევე უკანასკნელ წლებში ამ მხრივ ერთ-ერთ გამორჩეულ მოვლენას წარმოადგენს 2018 წლის

ზამთრის ოლიმპიადაზე ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ქალთა გაერთიანებული ნაკრები ჰოკეიში (West 2018).

აღნიშნულ სფეროებშიც ადვილად შესამჩნევია სომხეთისა და აზერბაიჯანის დაპირისპირება. ეს ძალიან ნათლად ჩანს ხოლმე განსაკუთრებით სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებებში, იქნება ეს მუსიკალური, სპორტული, სამეცნიერო თუ ასე შემდეგ. ამ ასპექტს მოგვიანებით განვიხილავთ თითოეული სახელმწიფოს კონტექსტში.

6.4 აზერბაიჯანელების კოლექტიური მეხსიერება და ყარაბაღის კონფლიქტი

გარაგოზოვის მტკიცებით, აზერბაიჯანული საისტორიო ტრადიცია შედარებით ახალგაზრდაა. აზერბაიჯანელებს არ გააჩნიათ ქრონიკები ისტორიული ნარატივების შესაქმნელად. აზერბაიჯანის შემთხვევაში ეს როლი იკისრეს სახალხო სიმღერებმა, ლეგენდებმა და ა.შ, რომელიც ძალიან პოპულარული იყო ხალხში. ამ ტექსტებმა ხელი შეუწყო აზერბაიჯანული კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას. მშობლიურ ენაზე შექმნილი ეპიკური სიმღერები კოლექტიური მეხსიერების ქვაკუთხედს წარმოადგენდა, რის საფუძველზეც შეიქმნა „ეპიკური თხრობის ნაციონალური ტრადიცია“ (Garagozov 2005: 57).

აზერბაიჯანელების კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთ მახასიათებელ ნარატივს წარმოაგდენს სომხების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება. ამაში დიდი როლი ითამაშა აზრბაიჯანელი ისტორიკოსების, მწერლებისა და მეცნიერების, ასევე მედიის მიერ ისტორიის სოციალურმა რეპრეზენტაციამ, რადგან ისინი უფრო მეტ აქცენტს აკეთებდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უსწორდებოდნენ სომხები აზერბაიჯანელებს როდესაც ამის შანსი ჰქონდათ.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა სიძულვილის ნარატივის განმტკიცება, იყო 1918 წლის მოვლენები, კერძოდ აზერბაიჯანელები 31 მარტის მოვლენებს ბაქოში მოიხსენიებენ აზერბაიჯანელების გენოციდად და ამაში ბრალს სდებენ როგორც ბოლშევიკებს, ასევე სომეხ *„დაშნაკებს“*. აზერბაიჯანელები მოიხსენიებენ არა მარტო ბაქოს,

არამედ აზერბაიჯანის ხვა ქალაქებში, მაგ: გუბა, ზანგეზური, განჯა და ა.შ. სომხების მიერ განხორციელებულ სასტიკ ქმედებებს, რასაც შეეწირა ბევრი ეთნიკურად აზერბაიჯანელის სიცოცხლე. აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებში დეტალურად და საკმაოდ მწვავედ არის აღწერილი სომხების მოქმედებები. აღნიშნული კიდევ უფრო აღვივებს აზერბაიჯანის საზოგადოების აგრესიას სომხების მიმართ. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც აზერბაიჯანის საზოგადოებაში მკაფიოდ ჩანს კოლექტიური მეხსიერების კვალი სწორედ ის არის, რომ თაობები იზრდებიან მათ მიმართ სიძულვილის ნარატივით.

აზერბაიჯანის კოლექტიური მეხსიერების როლი ყველაზე მეტად გამოიკვეთა და მას მნიშვნელობა მიენიჭა აზერბაიჯანული ნაციონალიზმის აღზევების ხანაში. კერძოდ ნაციონალისტური იდეები ნაწილობრივ დაეფუძნა კოლექტიურ მეხსიერებას და მოხდა აზერბაიჯანის ისტორიის სოციალური რეპრეზენტაცია იმგვარად, რაც ხელს შეუწყობდა აზერბაიჯანელების ნაციონალისტური და პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას. ყველაზე მკაფიო გამოვლინება ამ მხრივ იყო ჰეიდარ ალიევის პერიოდი, როდესაც აზერბაიჯანული ნაციონალისტური იდეოლოგია, ე.წ „აზერბაიჯანიზმი“ გახდა მისი საშინაო პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ამ დროს აქცენტი კეთდებოდა აზერბაიჯანელების გმირულ ისტორიაზე, თავდადებაზე და მათ მსხვერპლზე იმისათვის, რათა მოეპოვებინათ თავისუფლება.

სომხურ ისტორიულ ნარატივებზე, რომლითაც სომხები დღემდე ცდილობენ დაამტკიცონ ყარაბაღის ტერიტორიული მიკუთვნებულობის საკითხი, აზერბაიჯანელელებს აქვთ თავიანთი პასუხი, კერძოდ, აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა აზრით, მე-4 საუკუნიდან მე-8 საუკუნემდე ყარაბაღის ტერიტორია იყო ალბანეთის (არანის) ნაწილი და მას ალბანელები მმართველები ჰყავდა და არა სომხები. ამასთანავე ისინი აღნიშნავენ, რომ სომეხთა მსგავსად, ალბანელებიც ქრისტიანები იყვნენ, შესაბამისად, იმ პერიოდში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა სომხური მოსახლეობის დომინირებას და სომხური სამთავროს არსებობას არ ნიშნავს (მალაშხია 2011: 169). სადავოა ასევე ყარაბაღის ყველაზე სახელოვანი

მმართველის: ჰასან ჯალალის ეთნიკურად სომხურ წარმომავლობას, რასაც აქტიურად ამტკიცებენ სომეხი ისტორიკოსები. აზერბაიჯანელები ყურადღებას ამახვილებენ განძასარის ეკლესიის ფასადზე არსებულ სომხურ წარწერაზე: *„მე, ჰასან ჯალალმა, ავაგე ეს ტაძარი ავგანკის ჩემი ხალხისთვის“* (მალაშხია 2011: 169). ავგანკი ალბანეთის ერთ-ერთი ძველი სახელწოდებაა, აქედან გამომდინარე კი აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აცხადებენ, რომ მართალია ჰასან ჯალალი სომხურად წერდა, მაგრამ ის ეთნიკურად ალბანელი იყო (მალაშხია 2011: 169).

ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით აზერბაიჯანელები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ აქტიურად ამტკიცებენ ნარატივს, რომ ყარაბაღი წარმოადგენს აზერბაიჯანის ტერიტორიას და სომხეთმა მოახდინა მისი და შემდგომში მასთან ერთად 7 აზერბაიჯანული სოფლის ოკუპაცია, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლისა და მისი პრინციპების დარღვევას. ისინი აქცენტს აკეთებენ იმ ძალადობრივ ქმედებებზე, რაც განხორციელდა ყარაბაღში და აზერბაიჯანულ ქალაქებში, სომხური შენაერთების შეჭრის შემდგომ. ამ მხრივ ერთ-ერთი გამოკვეთილი თემაა ქალაქ ხოჯალიში დატრიალებული ტრაგედია. აზერბაიჯანელები მუდმივად ხაზს უსვამენ იმას, რომ ხოჯალიში სომხების სასტიკ ქმედებებს შეეწირა უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ქალები და ბავშვები და რეალურად მოქმედებების მსხვერპლი წარმოადგენდა ყველაზე დიდ მსხვერპლს ყარაბაღის კონფლიქტის ისტორიაში. აზერბაიჯანელები ხაზს უსვამენ სომხების მოქმედებების სისასტიკეს და აპელირებენ იმ საკითხზე, რომ სომხებს ან საერთოდ არ სურთ ამ თემაზე საუბარი, ან ამ მოქმედებებს აბრალებენ სომეხ აჯანყებულებს, რომლებიც საკუთარი ნება-სურვილით მოქმედებენ, ან თავის გასამართლებლად ამბობენ, რომ ეს იყო პასუხი სუმგაიტში აზერბაიჯანელების მიერ დატრიალებული მოვლენებისთვის. ამ ყველაფრის დასადასტურებლად აზერბაიჯანელებს ხშირად მოჰყავთ ხოლმე სომეხი ოფიციალური პირების განცხადებები, მაგ: სამხედრო მეთაურის, სერჟ სარქისიანის კომენტარი ხოჯალის მოვლენებზე, რომელმაც განაცხადა, რომ ისინი ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებდნენ, თუმცა, იქვე დასძენს, რომ: *„მთავარი ეს არ არის. ხოჯალის შემთხვევამდე აზერბაიჯანელებს ეგონათ, რომ ჩვენთან ხუმრობა და*

თამაში შეიძლებოდა. ფიქრობდნენ, რომ სომხები მშვიდობიან მოსახლეობაზე ხელს არ აღმართავდნენ. და იცით, რა მოხდა? _ ჩვენ ეს სტერეოტიპი დავანგრიეთ. სხვათა შორის, იმ ბიჭებიდან ბევრი ბაქოდან და სუმგაიტიდან გამოქცეულია." (De Waal 2003:172). აზერბაიჯანელები ასეთ განცხადებებს სათვისოდ იყენებენ, რათა წარმოაჩინონ სომხების სახე როგორც აგრესორებად, რომლებიც არც ნანობენ უმოწყალო ადამიანების ჩახოცვას.

ხოჯალის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, გარდა მედიის აქტიური ჩართულობისა და აზერბაიჯანის ოფიციალური პირების მკაფიო განცხადებებისა, აქტიური როლი ითამაშა ფილმებმა, რომლის მეშვეობითაც არა მარტო ქვეყნის შიგნით გავრცელდა კოლექტიური მეხსიერება და ხოჯალის კონფლიქტის სოციალური რეპრეზენტაცია, არამედ ქვეყნის გარეთაც ადვილად გავიდა აღნიშნული ნარატივი. ხოჯალის თემატიკაზე აზერბაიჯანული მხარის მიერ გადაღებული ფილმების მაგალითებს წარმოადგენს: ჯეიჰუნ მირზაევის - *"Färyäd",* რომელიც მოგვითხრობს ყარაბაღის ომსა და ხოჯალის გენოციდზე, ფილმი ასევე შეიცავს დოკუმენტურ კადრებს ხოჯალის გენოციდთან დაკავშირებით; ასევე ფილმი *„ლტოლვილი: ანარ იუსუბოვის გრძელი მოგზაურობა",* რომელიც ასახავს 8 წლის ანარის თვალით დანახულ კონფლიქტსა და ხოჯალის მოვლენებს, ფილმში ასევე გამოყენებულია ინტერვიუებიც. ხოჯალის ტრაგედიასთან დაკავშირებით ბოლო წლებში გადაღებულ ფილმს წარმოადგენს ასევე *„Xoca".*

კოლექტიური მეხსიერების გავლენა შეინიშნება აზერბაიჯანზე იმ კუთხით, რომ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის სამხედრო პოტენციალმა, რესურსებმა და მათ შორის ხარჯებმა მნიშვნელოვნად გაუსწრო სომხებისას, აზერბაიჯანელები მუდამ აპელირებენ და ქვეყნის შიგნით საზოგადოებას მუდმივად ახსენებენ იმ ფაქტს, რომ დღეს აზერბაიჯანი უფრო მეტად ძლიერია და მას შეუძლია სომხეთის დამარცხება, ისევე როგორც ყარაბაღის კონფლიქტის სამხედრო ძალით გადაჭრა, თუმცა, ამას არ მიმართავს, რადგან მისი მიზნები მშვიდობიანია. ზოგადად, აზერბაიჯანელებს, ისევე, როგორც სომხებს უყვართ იმის დემონსტრირება, რომ რაიმე საკითხში, იქნება ეს დემოკრატია, ადამიანის უფლებები,

ხელოვნება თუ სპორტი, ისინი მოწინააღმდეგე მხარეზე უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებიან და ამ მხრივ ყურადღების გამახვილება საკუთარ ძლიერებასა და მტრების (როგორც ისინი ერთმანეთს მოიხსენიებენ) სისუსტეზე.

კოლექტიურ მეხსიერებას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და კონკრეტულად მათ შეხედულებებზე. ის, რომ აზერბაიჯანში კოლექტიური მეხსიერების გავლენა დიდია, დადასტურებულია სხვადასხვა ტიპის სოციოლოგიური კვლევებით. ასე მაგალითად, კოლექტიური მეხსიერების გავლენა იგრძნობა ყველაზე უწყინარ საკითხებზეც, როგორიცაა ქორწინება, საქმიანობა და ა.შ 2013 წლის გამოკითხვის მიხედვით, აზერბაიჯანელთა 99% წინააღმდეგია დაუშვას აზერბაიჯანელი ქალის დაქორწინება სომეხზე (Caucasus Barometer 2013), აღსანიშნავია, რომ 2012 და 2011 წლების გამოკითხვაშიც შედეგი მსგავსი იყო (Caucasus Barometer 2012; 2011). ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით, 2013 წლის გამოკითხვის მიხედვით, აზერბაიჯანელთა 99% წინააღმდეგია სომეხთან ერთად ბიზნეს საქმიანობის (Caucasus Barometer 2013), აღსანიშნავია, რომ 2012 წელს აღნიშნული მაჩვენებელი იყო - 98% (Caucasus Barometer 2012). საჯარო გამოკითხვაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კითხვაზე, თუ ვინ იყო ქვეყნის მთავარი მტერი, 2013 წლის გამოკითხვაში აზერბაიჯანელების 90%-მა აღნიშნა სომხეთი (Caucasus Barometer 2013), ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წლის გამოკითხვაში შეადგენდა - 91%-ს (Caucasus Barometer 2012).

კოლექტიური მეხსიერების გავლენა იგრძნობა ასევე აზერბაიჯანის საჯარო, ოფიციალურ დოკუმენტებსა და ოფიციალური პირების საჯარო გამოსვლებსა და ინტერვიუებში. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნულ ინტერვიუებსა და საჯარო გამოსვლებში შეინიშნება სომხების მიმართ სიძულვილის ნარატივის ნიშნები. ასევე ძალიან ხშირად და მიზანმიმართულად სომხეთი მოხსენიებულია აზერბაიჯანის მტრად.

აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ დოკუმენტს, ნახსენებია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების ადრეულ წლებში აზერბაიჯანი გახდა სომხეთის აგრესიის

მსხვერპლი, რომლის შედეგად ოკუპირებულ იქნა ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი და დაახლოებით 1 მილიონი აზერბაიჯანელი იქცა ლტოლვილად (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:4). საფრთხედ არის მოხსენიებული სომხეთის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია აზერბაიჯანის მთლიანობისა და სუვერენულობის წინააღმდეგ, ასევე სომხეთის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ესქპანსიონიზმს, ხელს უშლის მომავალში ამ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის დამყარებას (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:5). დოკუმენტში ნახსენებია ასევე ის გარემოსდაცვითი პრობლემები, რომელიც შექმნილია სომხების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფლორის და ფაუნის კუთხით და რომელსაც ქმნის სომხეთში მდებარე ბირთვული სადგური (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:7). კონფლიქტის მოგვარების შესახებ პირობებში, დოკუმენტში მოხსენიებულია, რომ აუცილებელია სომხეთმა გაიყვანოს თავისი შენაერთები ოკუპირებული ტერიტორიებიდან და აზერბაიჯანელი იძულებით გადაადგილებული პირები დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ მიწებზე (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:8). ყარაბაღის სტატუსთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ის უნდა იყოს მაღალი ავტონომიის მქონე რეგიონი აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ამავე ნაწილში მოკლედ ნახსენებია კონფლიქტის მოგვარების გზები და საჭიროებები (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:8). დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ასევე იმ ფაქტზე, რომ ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია იყო პირველი ორგანიზაცია, რომელმაც დაგმო სომხეთის ქმედებები და მოიხსენია სომხეთი, როგორც აგრესორი (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:11). ასევე ნახსენებია ის, რომ სომხეთის აგრესიული პოლიტიკა არის მთავარი წინაღობა სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობისთვის, აზერბაიჯანისთვის მიუღებელია სომხეთთან თანამშრომლობა მანამ, სანამ სომხეთი არ მიატოვებს აღნიშნულ პოლიტიკას (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:12).

მეორე უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ დოკუმენტში, სამხედრო დოქტრინაში, აზერბაიჯანი სომხეთთან დაკავშირებით მსგავს პოსტულატებს წერს. კერძოდ, სომხეთი

აქაც მოხსენიებულია აგრესორად და ავტორიტარიზმის მქონე სახელმწიფოდ, ასევე ავტორიტარიზმის მქონე რუსეთთან ერთად, რომელიც მოხსენიებულია სომხეთის მოკავშირედ, ყურადღება გამახვილებულია აზერბაიჯანელების მიმართ ეთნიკურ წმენდაზე, რომელიც განხორციელდა სომხების მიერ, ასევე სომხეთი დასახელებულია მთავარ საგარეო ფაქტორად, რაც ნეგატიურად მოქმედებს აზერბაიჯანის უსაფრთხოებაზე (The Center of Military Analyses and Research 2012). დოკუმენტში ყურადრება გამახვილებულია რუსეთის ფაქტორზეც და ნახსენებია, რომ ის არის კონფლიქტის შემქმნელი, სომხური სეპარატიზმის მხარდამჭერი და სომხების შემაიარაღებელი, რისი საშუალებითაც სომხები ახორციელებენ აგრესიულ ქმედებებს, რუსეთისა და სომხეთის მოკავშირეობა ქმნის კონფლიქტის კვლავ აღმოცენების საფრთხეს (The Center of Military Analyses and Research 2012).

კოლექტიური მეხსიერების უფრო მეტად გავრცელებაში დიდ როლს თამაშობს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ისტორიული დანიშნულების ან კონკრეტული დატვირთვის მქონე შენობა-ნაგებობები, მონუმენტები და ა.შ. ამ მხრივ აზერბაიჯანში გამოსარჩევია გენოციდის მემორიალური კომპლექსი, რომელიც არც თუ ისე გვიან, 2009-2013 წლის პერიოდში აშენდა, აღნიშნული კომპლექსი სიმბოლური დატვირთვისაა და ახსენებს აზერბაიჯანელებს, თუ ისტორიულად რა მძიმე ვითარება გამოიარეს და რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობასა და აგრესორების სასტიკ ქმედებებს. ასევე გამოსარჩევია ყარაბაღის ისტორიის მუზეუმი, რომელიც ქალაქ შუშაში დაარსდა 1991 წელს, თუმცა, ოკუპაციის გამო შეწყვიტა ფუნქციონირება. აზერბაიჯანელების თქმით განადგურებული იყო ექსპონატების უმრავლესობა და მხოლოდ რამდენიმე ექსპონატის ტრანსპორტირება იყო შესაძლებელი. ზოგადად ამ მხრივ აზერბაიჯანელები ასევე აპელირებენ იმ საკითხებზე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მუზეუმების ფუნქციონირება შეწყდა და მრავალი ექსპონატი მიზანმიმართულად განადგურდა სომხების მიერ. მუზეუმების მხრივ ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მუზეუმი, რომელიც დაარსდა 1919 წელს და მთლიანი სივრცე დაყოფილია ორ ნაწილად, პირველ ნაწილში მოთხრობილია

აზერბაიჯანის ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე, ხოლო მეორე პავილიონი ეძღვნება უკვე მეორედ მოპოვებულ დამოუკიდებლობას. გამოსარჩევია, ასევე აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმები. ყველა მათგანი დიდ როლს თამაშობს პატრიოტული სულისკვეთებისა და ნაციონალისტური იდეების გაღვივებაში.

როგორც უკვე ვახსენე, კოლექტიური მეხსიერების როლს კარგად გამოკვეთს ხელოვნების, სპორტისა და სამეცნიერო სფეროები, ისინი ასევე ხელს უწყობენ კოლექტიური მეხსიერების გავრცელებას. სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებებში ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს. ამ მხრივ ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროვიზიის კონკურსი, რომელიც წარმოადგენს მუსიკალური ტიპის შეჯიბრს სხვადასხვა ქვეყნებს შორის. თითქმის ყოველ წელს უპირისპირდებიან მხარეები ერთმანეთს და ძირითად თემას წარმოადგენს ის, თუ რომელი მხარე როგორ წარმოჩნდება და რას გამოიყენებს თავისი გამოსვლისას. ეს დაპირისპირება აისახება ქულებზეც, როგორც წესი აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთს ან საკმაოდ დაბალ ქულას უწერენ, ან საერთოდ არ იღებენ ერთმანეთისგან ქულას. ასე მაგალითად, 2009 წელს და 2013 წელს, აზერბაიჯანში დაიწყო გამოძიება იმ საკითხზე, თუ ვინ მისცა ხმა სომხეთს (Radio Free Europe 2009) ამ ხალხის ქმედება შეფასდა, როგორც არაპატრიოტული და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი, გამოძიების შედეგად ევროპის სამაუწყებლო კავშირმა (EBU) დაგმო აზერბაიჯანის ქმედება ხმის მიმცემთა კონფიდენციალურობის დარღვევის გამო (Eurovision 2013).

კოლექტიური მეხსიერების გავლენა შეინიშნება, ასევე სპორტშიც, კერძოდ ყოველთვის შესამჩნევია, რომ სპორტულ შეჯიბრებებში გავლენა აქვს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებულ კონფლიქტს და სიძულვილის ნარატივები აქ ყველაზე მეტად იჩენს ხოლმე თავს. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტსმენებს, რომლებიც ძლევენ თავიანთ მოწინააღმდეგეს, რომელიც წარმოადგენს თავიანთი ქვეყნის მიერ მტრულად განწყობილ ქვეყანას, აქვთ უფრო მეტი დაფასება, სარგებელი და ქვეყნის შიგნითაც უფრო მეტი ოვაციით ხვდება საზოგადოება. იყო ფაქტებიც, როდესაც სომხურ და აზერბაიჯანულ გუნდებს შორის დაპირისპირებას მოყვა ხელჩართული ბრძოლა ქომაგების მხრიდან (რის

მაგალითსაც შემდგომ ქვეთავში შევხვდებით). როგორც ბევრი სახელმწიფო, აზერბაიჯანიც იყენებს სპორტს თავის საკეთილდღეოდ და იმ თემების საილუსტრაციოდ, რაც მნიშვნელოვანია მისთვის. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს საფეხბურთო კლუბი: *„ყარაბაღი“,* რომელიც მთლიანად აზერბაიჯანული კლუბია და რომლის წარმომავლობაც მოდის აზერბაიჯანული ქალაქი აგდამიდან. ეს კარგი შესაძლებლობაა აზერბაიჯანისთვის იმისათვის, რომ საერთაშორისო საზოგადოებას და ადამიანებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაანახოს, რომ ყარაბაღი არის აზერბაიჯანის ტერიტორია. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2017 წელს აღნიშნული გუნდი გავიდა უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე და საკმაოდ ფართო მაყურებლის ყურადღება მიიქცია გუნდმა და მისმა წარმომავლობამ, ასევე კიდევ ერთხელ გაჟღერდა საერთაშორისო დონეზე ყარაბაღის სახელი აზერბაიჯანულ კონტექსტში, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო აზერბაიჯანისთვის.

6.5. სომხების კოლექტიური მეხსიერება და ყარაბაღის კონფლიქტი

როგორც უკვე ვახსენე, ისტორიულად სომხებში გავრცელებულია ნარატივი, რომ სომხები წარმოადგენენ *„ლოიალურ ხალხს, რომლებიც მტრების მიერ იყვნენ გარშემორტყმულნი და გაწამებულნი“,* რომელიც შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: 1) თავდაპირველი სიტუაცია, როდესაც სომეხი ხალხი ცხოვრობდა ბრწყინვალე ხანაში, შეწყდა მტრების მიერ, რის შედეგადაც: 2) სომხები გახდნენ აგრესიის მსხვერპლნი; 3) მათ გამოიარეს ტანჯვა-წამება; 4) თუ ისინი თავისი სარწმუნოებისადმი ლოიალურნი დარჩებოდნენ, მაშინ ისინი დაამარცხებდნენ მტერს, ხოლო თუ უღალატებდნენ მათს სარწმუნოებას, მაშინ დამარცხდებოდნენ (Garagozov 2005: 54).

აღნიშნული ნარატივის გამყარებაში დიდი როლი ითამაშა 1915 წელს დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, რომელიც დღემდე სომხების ერთ-ერთ მამოტივირებელ მიზანს წარმოადგენს, კერძოდ სომხების გენოციდის აღიარება ყოველთვის აქტალურია სომხების საგარეო პოლიტიკაში. აღნიშნულმა მოვლენამ არსებულ ნარატივს დაუმატა ძალიან სპეციფიკური შინაარსი, კერძოდ: *„ქრისტიანი სომხები, რომლებიც გარშემორტყმულნი და გაწამებულნი არიან მუსლიმი თურქების მიერ“* (Garagozov 2006:152.) როგორც ვიცით,

აღნიშნული ტრაგიკული მოვლენების შედეგად სომხებს მტრული დამოკიდებულება აქვთ თურქების მიმართ და საზოგადოებაში თურქების მიმართ გავრცელებულია სიძულვილის გრძნობა. თავიანთი კულტურის, ენისა და სხვა მახასიათებლების გამო, რითაც აზერბაიჯანელები გვანან თურქებს, სომხებში ისინი იგივდებოდნენ თურქებად და შესაბამისად, თურქების მიმართ დამოკიდებულება უცვლელად ვრცელდებოდა აზერბაიჯანელებზეც და ისინიც ითვლებოდნენ სომხების მტრებად.

ე.წ „სიძულვილის ნარატივს“ ასევე ღრმად აქვს ისტორიულად ფესვები გადგმული, რადგან თავდაპირველად სომხური ეკლესიის მიერ, რომელსაც ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, გავრცელებული იყო ნეგატიური შეხედულება ყველა სხვა კონფესიისა და კულტურის წარმომადგენელზე. მე-18 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აღნიშნული ნარატივი აისახა კოლექტიურ მეხსიერებაზეც მასმედიისა და პუბლიკაციების საშუალებით. მოგვიანებით, მე-19ს-ში, რომელიც შეგვიძლია აღვიქვათ ნაციონალიზმის ხანად, სომეხი ინტელექტუალების მიერ აღნიშნული ნარატივები გარდაქმნეს და მოათავსეს ნაციონალიზმის ჭრილში, ამ პერიოდისთვის ცნება „სომხური რწმენა“ შეიცვალა „სომეხი ხალხი“-ს ან „სომეხი ერი“-ს ცნებით (Garagozov 2006:151). საბოლოოდ, სომხურმა ეკლესიამ და შემდგომში სომეხმა ნაციონალისტებმა ჩამოაყალიბეს კოლექტიური მეხსიერება, რომელიც ყურადღებას ამახვილებს წარსულში სომხების გამოცდილებაზე, განსაკუთრებით ტრავმატულ გამოცდილებაზე და აყალიბებს ძალიან სპეციფიკურ აღქმას „ჩვენ“ (Us)-ზე და „მათ“ (Them)-ზე.

ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, სომხების ქცევაზე თავიდანვე მოქმედებდა კოლექტიური მეხსიერება, კერძოდ, როდესაც ტერიტორიულ მიკუთვნებულობაზე დგება საკითხი, სომხები ყოველთვის იშველიებენ ისტორიას და არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ II ს. ძვ.წ თანამედროვე მთიანი ყარაბაღის ტერიტორია „დიდი სომხეთის“ ერთ-ერთი პროვინციის - არცახის ნაწილი გახდა, მოგვიანებით კი ძვ.წ I საუკუნეში ტიგრან II-მ სომხეთის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაზარდა და რეგიონში ერთ-ერთ უდიდეს იმპერიად აქცია, რომლის ახალი ცენტრი ტიგრანაკერტი გახდა. მთიანი

ყარაბაღის ტერიტორია კიდევ თითქმის 4 საუკუნის მანძილზე ისევ იყო სომხეთის შემადგენლობაში, მიუხედავად იმისა, რომ დაიკარგა ტიგრან II-ის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილი (მალაშხია 2011: 167). სომხების მტკიცებით, მაშინაც კი, როდესაც სომხეთს ტერიტორიები დაკარგული ჰქონდა, აღნიშნულ ტერიტორიებზე არ შემწყდარა სომხური კულტურის არსებობა. ის, რომ მთიანი ყარაბაღის ტერიტორია ოდითგანვე სომხების შემადგენლობაში იყო და სომხებით იყო დასახლებული მტკიცდება იმ არტერფაქტებითაც, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავლადაა ქრისტიანული ტაძრები.

კონფლიქტთან დაკავშირებით, კოლექტიური მეხსიერების კიდევ უფრო გავრცელებასა და დამკვიდრებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სახელმძღვანელოემა. სომხეთში საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა იბეჭდებოდა კონფლიქტთან დაკავშირებით. აღნიშნულ სახელმძღვანელოებს გააჩნდათ საერთო მახასიათებლები, კერძოდ თითოეული მათგანი დიდ ყურადღებას უთმობდა ან სომხეთის ისტორიის იმ მონაკვეთს, როდესაც სომხეთი წარმოადგენდა ძლიერ სახელმწიფოს და ამ შემთხვევაში სომხეთში შემავალ ტერიტორიებზე კეთდება აქცენტები; ან ყარაბაღის საკითხს ისტორიულ კონტექსტში, კერძოდ უძველეს დროში, შემდეგ მე-20 ს.-ის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დროს; ან სოციო-კულტურულ საკითხებს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, საუბარი იყო ყარაბაღის დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე და ახსნილი იყო ყარაბაღში სომხების მიერ მოწყობილი საპროტესტო გამოსვლები. გარაგოზოვს ამ მხრივ ყველაზე ტიპიური სახელმძღვანელოს მაგალითად მოჰყავს ტომეულის მაგალითი: *„მთიანი ყარაბაღი: ისტორიული ინფორმაცია“*, რომელიც მოამზადა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ და გამოსცა 1988 წელს, 45 000-იანი ტირაჟით (Garagozov 2006:152). გარაგოზოვი ამბობს, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო სრულ შესაბამისობაშია სომხური სქემატური ნარატივის ძირითად კომპონენტებთან. ის ცალკეულ თავებს განიხილავს, კერძოდ, გარაგოზოვი ამბობს, რომ პირველ თავში, სადაც საუბარია მთიან ყარაბაღზე უძველესი დროიდან 1917 - წლამდე, ამტკიცებენ, რომ აღნიშნული ტერიტორია სომხებს ეკუთვნოდათ თავიანთი დიდების ხანაში, ეს კი სრულიად ემთხვევა სომხური სქემატური ნარატივის პირველ კომპონენტს, რომ სომხები ცხოვრობდნენ დიდებულად და გმირულად; მეხუთე

თავი, რომელიც ეხება მთიან ყარაბაღსა და მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, სრულად ასახავს სომხური ნარატივის ელემენტს, რომლის მიხედვითაც თუ სომხები დარჩებოდნენ ლოიალურები თავიანთი სარწმუნოების მიმართ, ისინი სძლევენდნენ მტერს, ხოლო თუ გადაუხვევდნენ თავიანთი სარწმუნოებისგან, ისინი დამარცხდებოდნენ (Garagozov 2006:153).

კოლექტიური მეხსიერების დამკვიდრებასა და გავრცელებაში დიდი წვლილი მიუძღვით ასევე მეცნიერებსა და ჟურნალისტებს, რომელთა სტატიებისა თუ ნარკვევების საფუძველზე სომეხ საზოგადოებას უმყარდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანელები იყვნენ მტრები, რომლებმაც სომხებს წაართვეს ერთ დროს მისი ტერიტორიული ნაწილი - ყარაბაღი და სასტიკად გაუსწორდნენ იქ მცხოვრებ ეთნიკურ სომხებს. ამ მხრივ ბევრი მკვლევარი თუ ჟურნალისტი ატარებდა იმ აზრსაც, რომ ყარაბაღი უნდა შეეერთებინა სომხეთს. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ჟურნალისტის ზორი ბალაიანის სტატიები. სწორედ აღნიშნული პიროვნება გახლდათ ყარაბაღის მოძრაობის მთავარი იდეოლოგი. 1984წ. მან გამოაქვეყნა პუბლიკაცია სახელწოდებით *„ოჩაგ“,* სადაც მოთხრობილი იყო სომხურ მიწებზე მისი მოგზაურობის შესახებ, მან პროვოკაციულად მიათვალა ნახიჭევანისა და აზერბაიჯანის ანკლავი სომხურ ტერიტორიებს და აზერბაიჯანელები მოიხსენია მტრად (De Waal, 2003: 143), რასაც აზერბაიჯანის მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა. მე-19 საუკუნეში ნაციონალისტურად მოაზროვნე სომხური ინტელიგენცია - მასწავლებლები მწერლები, ისტორიკოსები და ა.შ აგრძელებდნენ ეკლესიის დაწყებულ საქმეს, კერძოდ მათ შექმნეს ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის ნაშრომები, რომლებიც ისტორიულ წყაროებში მოძიებულ ფაქტებს დაეფუძნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი იმავე სქემატური ნარატივის კვლავწარმოქმნას ცდილობდნენ, მხოლოდ იმ მცირე ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც საჭირო იყო საერო ნაციონალიზმის ეპოქაში, მათი მიზანი იყო ჩარჩოს რელიგიური ელემენტების საეროთი ჩანაცვლება (Garagozov 2005: 55).

კოლექტიური მეხსიერების გავლენას საზოგადოებაზე მკაფიოდ გამოხატავენ სხვადასხვა სახის კვლევები. მაგ: 2007 წელს, ზოგადი სახის საჯარო გამოკითხვა ჩატარდა სომხეთში, რომელიც მოიცავდა მნიშვნელოვან კითხვებს ყარაბაღთან და აზერბაიჯანთან დაკავშირებით. კვლევის მიხედვით მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობა - 89% თვლიდა, რომ აზერბაიჯანი წარმოადგენს სომხეთისთვის ყველაზე დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფრთხეს (Armenian General Public Opinion Survey 2007: 29). 2017 წლის კვლევის თანახმად, სომეხთა 76% ქვეყნის მთავარ მტრად აზერბაიჯანს თვლის (Caucasus Barometer Armenia 2017), 2015 წელს ამ მხრივ შეინიშნებოდა იგივე მაჩვენებელი, ხოლო 2013 წელს სომეხთა 66% თვლიდა აზერბაიჯანს ქვეყნის მთავარ მტრად (Caucasus Barometer Armenia 2017). მოსახლეობის 64-77% თვლის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მომავალში ყარაბაღის პრობლემის გადაჭრა (Armenian General Public Opinion Survey 2007: 30). რაც შეეხება ყარაბაღის მომავლის შესახებ კითხვას, მოსახლეობის უმეტესობა თვლის, რომ ყარაბაღი უნდა იყოს ჩვეულებრივი რეგიონი სომხეთში, ავტონომიის გარეშე, ამ ნაწილში აღსანიშნავია, რომ არცერთი რესპოდენტი არ თვლის, რომ ის უნდა იყოს აზერბაიჯანის შემადგენლობაში (Armenian General Public Opinion Survey 2007: 31). რაც შეეხება კონფლიქტის მოგვარებას, უმრავლესობა 78-86% კონფლიქტის მოგვარებას მშვიდობიანი გზებით მიიჩნევს (Armenian General Public Opinion Survey 2007: 32).

კოლექტიური მეხსიერების გავლენა იგრძნობა ასევე ისეთ უმტკივნეულო საკითხებზე, როგორიცაა დაოჯახება და ბიზნესის წარმოება. 2017 წლის გამოკითხვის მიხედვით, სომეხი საზოგადოების 83% წინააღმდეგია აზერბაიჯანელებთან ბიზნესის კეთების, მხოლოდ 16% არის ამაზე თანახმა (Caucasus Barometer Armenia 2017). ამ მხრივ თუ გადავხედავთ წინა წლების მონაცემებს, ვნახავთ, რომ ნეგატიური განწყობები უფრო იზრდება, კერძოდ წინა კვლევის მიხედვით 79% იყო მოწინააღმდეგე, ხოლო 18% - თანახმა (Caucasus Barometer Armenia 2017), ხოლო 2013 წლის კვლევის მიხედვით 76% იყო მოწინააღმდეგე და 22% - თანახმა (Caucasus Barometer Armenia 2013). რაც შეეხება ქორწინების საკითხს, 2017 წლის კვლევის თანახმად, სომხების 94% წინააღმდეგია, რომ

სომეხი ქალი დაქორწინდეს აზერბაიჯანელზე, მხოლოდ 5%-ია ამაზე თანახმა (Caucasus Barometer Armenia 2017), მსგავსი მაჩვენებლები დაფიქსირდა 2015 წელსაც.

კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნებას სომხეთში ძალიან უწყობს ხელს მუზეუმებიც. აქედან გამოსარჩევია რამდენიმე მუზეუმი, მაგ: სომხეთის გენოციდის მემორიალური კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს სომეხთა გენოციდისადმი მიძღვნილ ოფიციალურ მემორიალს. ეს მემორიალი ყველაზე ნათელი გამოვლინებაა იმისა, თუ როგორ იქმნება მეხსიერების ხატები. აღნიშნული მემორიალის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ის იყო, რომ თაობებს გადასცემოდათ ინფორმაცია გენოციდის შესახებ და აღექვათ ამ ტრაგიკული მოვლენების სიმძიმე, შედეგად, მემორიალის აშენების დღიდან (1967წ.) დღემდე, ყოველ 24 აპრილს აღინიშნება სომხების გენოციდის მოსაგონარი დღე, მემორიალთან იკრიბება უამრავი ხალხი და ყვავილებით ამკობს მას, გენოციდის მხსვერპლთა საპატივცემულოდ. მოგვიანებით, გენოციდის 80 წლის თავზე, 1995 წელს გაიხსნა ასევე გენოციდის მუზეუმ-ინსტიტუტი. აღსანიშნავია ასევე, სომხეთის რევოლუციური ფედერაციის ისტორიული მუზეუმი ერევანში, რომელიც თავდაპირველად პარიზში გაიხსნა, ხოლო ერევანში ის გადმოიტანეს 2007 წელს. აღნიშნული მუზეუმი სომხეთის პირველი რესპუბლიკის ისტორიას და მის გამორჩეულ გმირებს. მუზეუმში წარმოდგენილია სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო დოკუმენტები და სხვა არტეფაქტები. პატრიოტულ სულისკვეთებას აღვივებს ასევე ისეთი სახლ-მუზეუმები, როგორიცაა გენერალ ანდრანიკის მუზეუმი.

ყარაბაღის კონფლიქტის გაჩაღებიდან მალევე სომხებმა დაიწყეს დოკუმენტური ფილმების გადაღება ყარაბაღის ომზე, ამ ფილმებში მთავარი აქცენტები კეთდებოდა აზერბაიჯანელების მიერ სომხების შევიწროებაზე ყარაბაღში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ყარაბაღის კონფლიქტზე თანამედროვე დროშიც არის გადაღებული რამდენიმე ფილმი. სომხებს კი ყოველთვის აქვთ ასეთი ფილმების პრეზენტაცია სხვადასხვა ქვეყანაში სომხეთის საელჩოებში, რათა დიასპორასაც გააცნონ ეს ფილმები და

გაიტანონ საზღვრებს გარეთ. ამით სომხები ასევე ცდილობენ არ დააკარგვინონ აქტუალობა ყარაბაღის საკითხს.

კოლექტიური მეხსიერების გავრცელებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ოფიციალური დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც წარიმართება ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, ისახება სტრატეგია და ა.შ. აღნიშნულ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებ ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე, როგორიცაა სომხეთის უსაფრთხოებისა და სამხედრო დოქტრინები. უსაფრთხოების დოქტრინაში სომხეთს უწერია, რომ აზერბაიჯანი განაგრძობს აგრესიულ პოლიტიკას და წარმოადგენს საფრთხეს სომხეთისა და ყარაბაღის რესპუბლიკებისთვის (Republic of Armenia National Security Strategy 2007: 3), საფრთხეებშია მოხსენიებული ასევე აზერბაიჯანელების მცდელობა, რომ გამოყონ სომხეთი რეგიონული განვითარების პროგრამებიდან (Republic of Armenia National Security Strategy 2007: 4). სომხეთისთვის პრობლემად და პირდაპირ საფრთხედ არის ნახსენები აზერბაიჯანის მზაობა გადაჭრას კონფლიქტი სამხედრო ძალებით (Republic of Armenia National Security Strategy 2007: 10). დოკუმენტში ცალკე, პატარა თავი ეძღვნება აზერბაიჯანს, სადაც კიდევ ერთხელ არის მოხსენიებული, რომ აზერბაიჯანმა შეიმუშავა პოლიტიკა, რითაც ცდილობს ჩამოაშოროს სომხეთი რეგიონული თანამშრომლობის პროექტებს და არაფერს არ ცდილობს ორმხრივი თანამშრომლობისთვის, რითაც უარყოფს სომხეთისა და საერთაშორისო საზოგადოების ინიციატივებს მოლაპარაკებებისთვის (Republic of Armenia National Security Strategy 2007: 17). რაც შეეხება სამხედრო დოქტრინას, აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხზე, რომ ყარაბაღის მოსახლეობის წინააღმდეგ ადგილი აქვს სამხედრო შეტევებს რათა შეეწინააღმდეგონ მათ მშვიდობიან და იურიდიულ უფლებას თვითგამორკვევის შესახებ, ასევე აღნიშნულია, რომ ყარაბაღის მოსახლეობა არის აზერბაიჯანის მხრიდან, რომელსაც სურს ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრა სამხედრო გზით, განადგურების მუდმივი საფრთხის ქვეშ (Military Doctrine of the Republic of Armenia 2007: 2). დოკუმენტში ნახსენებია, რომ აზერბაიჯანს სურს სამხედრო კუთხით უპირატესობა მოიპოვოს სომხეთზე და საბოლოოდ, მოამზადოს სამხედრო აქტივობები სომხეთისა და ყარაბაღის წინააღმდეგ, აღნიშნულია, რომ თურქეთისა და

აზერბაიჯანის სტრატეგიული ალიანსი და მათი აქტივობები ემსახურება სომხეთის ბლოკადის შენარჩუნებას (Military Doctrine of the Republic of Armenia 2007: 4).

წინა ქვეთავებში უკვე ვახსენე ხელოვნებისა და სპორტის როლი ზოგადად და აზერბაიჯანის მიმართება ამ საკითხებისადმი. რაც შეეხება სომხების მიმართებას, მათთანაც იგივე ტენდენცია შეინიშნება ამ მხრივ, რაც აზერბაიჯანში. ისინი ყველა სფეროში ცდილობენ წამოწიონ თავიანთი საკითხები და გაავრცელონ ის ნარატივები, რაც წლებია არსებობს სომხეთში. ასე მაგალითად, 2010 წლის საბავშვო ევროვიზიაზე, რომლის გამარჯვებულიც გახდა სომხეთი, სომხები ირწმუნებოდნენ, რომ მათი გამარჯვების მომენტი აზერბაიჯანში არ იყო ნაჩვენები, ხოლო 2012 წლის კონკურსზე, რომელიც აზერბაიჯანში ტარდებოდა, ბოიკოტის ნიშნად, მათ უარი თქვეს კონკურსში მონაწილეობაზე (BBC 2012). ასევე 2015 წლის კონკურსის დროს, სომხების სიმღერა ეძღვნებოდა გენოციდს (რადგან გენოციდიდან 1 საუკუნე იყო გასული), იყო ისეთი ფაქტიც, როდესაც სომხეთის წარმომადგენელმა პირველ ნახევარ ფინალში გამოიყენა ყარაბაღის დროშა, რის გამოც შენიშვნა დაიმსახურა ორგანიზატორების მხრიდან (Euronews 2016).

კოლექტიური მეხსიერების გავლენა შეინიშნება ასევე სპორტზეც, კერძოდ დაპირისპირებების დროს ხშირია მხარეებს შორის ერთმანეთის აღქმა, როგორც მტრად და ხშირად სპორტული შეჯიბრებები გამოდის სპორტის ყველა წესებიდან და კარგავს თავის სახეს. ასე მაგალითად 2006 წელს სომხეთის საფეხბურთო კლუბმა პიუნიკმა უარი თქვა ეთამაშა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის (დსთ) თასზე აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Rainbow 2013). ასევე შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში 19-წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მატჩი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც იმართებოდა კვიპროსში (Khachaturyanc2009). აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ სახეობაში სპორტსმენების გამარჯვება ორმაგად ფასდება საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან მაშინ, როდესაც ეს გამარჯვება მოპოვებულია

აზერბაიჯანელების დამარცხების გზით, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს ნეგატიური ნარატივების გავრცელებას.

ზემოაღნიშნული ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ საფუძვლიანად არის ფესვგადგმული კოლექტიური მეხსიერება იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანელები არიან მტრები, რომლებიც სხვა მომხრეებთან ერთად ავიწროებენ სომხეთს და ყარაბაღს. კოლექტიური მეხსიერების ხატები არამხოლოდ ძველი დროიდანაა შემორჩენილი, არამედ თანამედროვე დროშიც აქტიურად იქმნება, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს იმ ნეგატიური ნარატივების გავრცელებას, რომელიც დიდი ხანია შუღლს იწვევს ამ ორ საზოგადოებაში და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის ყველანაირ შანსს აქრობს.

6.6. ისრაელ-არაბების კონფლიქტი

როგორც უკვე აღვნიშნე ამ კონფლიქტსაც ღრმად აქვს ისტორიაში ფესვები გადგმული. აღნიშნულ კონფლიქტს მრავალნაირად მოიხსენიებენ, მათ შორის: ისრაელ-პალესტინის კონფლიქტად. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა საკმაოდ დიდი ხნის წინ წარმოიშვა, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ის მხოლოდ მე-20 ს-ის შუა ხანებიდან მოხვდა. ისრაელ-არაბების კონფლიქტი წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ პოლიტიკურ-გეოგრაფიული ხასიათის კონფლიქტს, სადაც ჩართულია რამდენიმე არაბული სახელმწიფო, თუმცა, არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ურთიერთობების მთელი ისტორიის მანძილზე, ყველაზე სერიოზულ საკითხს წარმოადგენდა პალესტინელთა მდგომარეობა და ისრაელ-პალესტინის საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ ნაშრომის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს კონფლიქტების დეტალური აღწერა, ისრაელ-არაბების კონფლიქტს არ მიმოვიხილავ უძველესი დროიდან და ყურადღებას განამახვილებ მხოლოდ მე-20 ს-ში და შემდგომ განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე.

მე-20 ს-ის 40-იან წლებში პალესტინაში აღინიშნებოდა ორი ნაციონალისტური მოძრაობა: *სიონიზმი* - რომლის მიზანი იყო ებრაელებისთვის ეროვნული კერის შექმნა და პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმი - რომელსაც სურდა ბრიტანული მმართველობის გაუქმება და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა. ამ ორი

ნაციონალისტური ხედვის დაპირისპირებამ გამოიწვია მწვავე კონფლიქტი ებრაელებსა და არაბებს შორის. ამასთან დაკავშირებით შლაიმი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ *„კონფლიქტი მხოლოდ შედეგია ორი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის -ებრაულის და პალესტინურის. დილემა იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ებრაელები მიისწრაფიან იბატონონ პალესტინაში, ხოლო მეორე მხრივ, პალესტილენებს იმავეზე გააჩნიათ ბუნებრივი უფლება.“* (Shlaim, 2000: 598).

აღსანიშნავია, რომ შეტაკებების დაწყებამდე, პალესტინაში ებრაელთა რეპატრიაციის რეალური იურიდიული საფუძველი გახდა *ბალფურის დეკლარაცია,* სადაც ბრიტანეთის მთავრობა მხარდაჭერას უცხადებდა სიონისტურ მიზნებს, აღნიშნულმა დოკუმენტმა ერთი მხრივ წაახალისა სიონისტური მისწრაფებები და ებრაელების მასობრივი გადასვლა აღნიშნულ ტერიტორიაზე, მეორე მხრივ, გაზარდა უკმაყოფილება ტერიტორიაზე მცხოვრებ არაბებში, რომლებიც აპროტესტებდნენ ებრაელებისთვის მიწების მიყიდვის პრაქტიკას და ებრაელებში ისინი ხედავდნენ ევროპელ კოლონიზატორებს, თავის მხრივ ებრაელები არაბებს უყურებდნენ, როგორც „ველურ აბორიგენებს.“ (Khalidi, 1997: 111-117)

შეტაკებების დასაწყისად შეგვიძლია მივიჩნიოთ გაეროს 1947წ.-ის 29 ნოემბრის რეზოლუცია №181 (II), რომლის თანახმადაც პალესტინა იყოფოდა ორ: ებრაულ და არაბულ სახელმწიფოდ, ხოლო იერუსალიმი ცალკე რაიონად გამოიყო, რომელიც უნდა გამხდარიყო საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მყოფი ქალაქი. ებრაულ სახელმწიფოს გადაეცემოდა სამანდატო პალესტინის ტერიტორიის დაახლ. 56.47%, არაბულს-43.53%. სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია ყველაზე დიდი უკმაყოფილება არაბებს შორის, გააღიზიანა ისინი და აღქმულ იქნა არაბების შევიწროების ფაქტორად, რადგან ტერიტორიის უფრო დიდი ნაწილი ერგო ებრაელებს, რომლებიც რაოდენობრივად უფრო ნალკები იყვნენ არაბებზე, იმ მომენტში პალესტინაში ცხოვრობდა დაახლოებით 650 000 ებრაელი და 1200 000 არაბი, (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 464) ამასთანავე ებრაულმა სახელმწიფომ მიიღო ეკონომიკურად უფრო განვითარებული ტერიტორია.

1948 წლის 14 მაისს, ბრიტანელების მანდატის ამოწურვამე ერთი დღით ადრე, პრემიერ მინისტრმა დავიდ ბენ გურიონმა გამოაცხადა ისრაელის დამოუკიდებლობა. ამ ფაქტმა დარაზმა არაბული საზოგადოება ისრაელის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც უკვე ვახსენე, თავს შევიწროებულად გრძნობდნენ და ებაელების მიმართ უკვე საკმარისად გააჩნდათ მტრის ხატის აღქმა და 15 მაისს ხუთი არაბული ქვეყნის (ეგვიპტე, ტრანსიორდანია, ლიბანი, სირია და ერაყი) ჯარები შევიდნენ პალესტინის ტერიტორიაზე. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა არ დაეშვათ ებრაული სახელმწიფოს შექმნა. აქედან იწყება ისრაელისა და არაბული ქვეყნების პირველი ომი, რომელმაც ისრაელში მიიღო სახელწოდება *„ომი დამოუკიდებლობისთვის“,* ხოლო არაბულ ქვეყნებში - *„პალესტინური ომები“.* ომი თითქმის წელიწად ნახევარს გაგრძელდა და მისი შედეგები არ იყო არაბებისთვის მისაღები, რადგან ვერ განახორციელეს ომის მთავარი მიზანი და პირიქით, ისრაელმა გაზარდა თავისი ტერიტორია 46.4%-ით (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 468).

კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა 1956წ. *სუეცის კრიზისის* სახით. აღსანიშნავია, რომ ეს დაპირისპირება გამოირჩევა იმით, რომ კონფლიქტში, სხვა მონაწილეებთან ერთად ჩაებნენ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის არმიები. მათი ჩარევა განაპირობა იმან, რომ სუეცის არხის, რომელიც წლების განმავლობაში წარმოადგენდა აღნიშნული სახელმწიფოების საკუთრებას, ნაციონალიზაცია გამოაცხადა ეგვიპტის პრეზიდენტმა გამალ აბდალ ნასერმა. აღნიშნულიდან ცოტა ხანში, კერძოდ 1956 წლის 29 ოქტომბერს ისრაელის არმია შეიჭრა ეგვიპტეში, რადგან თავად ბენ-გურიონის სიტყვებით მათ ინტერესს წარმოადგენდა ეილათის მიმდებარე სანაპირო ზოლი და ყურე და ნაოსნობის თავისუფლების საკითხი. სინას კამპანიის შედეგად ისრაელმა მართლაც მიიღო თავისუფალი ზღვაოსნობის უფლება ეილათის ყურეში და ტირანის სრუტეში, ხოლო მათი საშუალებით მეწამულ ზღვაში. მართალია ისრაელი ცდილობდა შეენარჩუნებინა ომის დროს დაპყრობილი შარმ აშ-შაიხი და ღაზას სექტორი, მაგრამ საბოლოოდ მან გაიყვანა არმია ამ რაიონებიდან ტირანის სრუტეში ნაოსნობის გარანტიის სანაცვლოდ, თუმცა, აღნიშნულ ომში იმ ფაქტორს, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი ნასერი, რომელმაც გაუძლო სამმაგ შეტევას და გახდა ყველაზე

პოპულარული და გავლენიანი პოლიტიკოსი არაბულ სამყაროში, ნეგატიური შედეგები ჰქონდა ისრაელისთვის. ეგვიპტემ აღნიშნული კონფლიქტის შემდეგ პრეტენზია განაცხადა რეგიონში ლიდერობაზე.

1967წ. 5 ივნისს ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის გაჩაღდა ახალი ომი, რომელიც *„ექვსდღიანი ომის“*-ს სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ომის დაწყებას ორივე მხარეს თავისი მიზეზები ჰქონდა. ისრაელის ხელმძღვანელობას, ქვეყნის შიგნით ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, სჭირდებოდა „მცირე ძლევამოსილი ომი“ (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 478), ხოლო არაბული არმიები მზად იყვნენ შური ეძიათ ისრაელზე ადრინდელი დამარცხებების გამო, რადგან 1948 წლის ომმა დარტყმა მიაყენა არაბული ინტეგრაციის იდეას და შექმნა რევანშისტული განწყობა. 1967 წლის ომმა აამოძრავა მთელი არაბული სამყარო და კიდევ უფრო გააძლიერა რევანშისტული განწყობა არაბებში. პირველი ქმედებები ეგვიპტემ განახორციელა, რომელსაც სურდა ისრაელზე ზეწოლა. 1967წ. 22 მაისს გამოაცხადა ტირანის სრუტის დახურვა ისრაელის ყველა გემისთვის და აგრეთვე იმ გემებისთვის, რომელთაც ჩაჰქონდათ სტრატეგიული მასალები ისრაელში. 4 ივნისს ისრაელმა საჰაერო დარტყმები განახორციელა ეგვიპტურ ობიექტებზე და დაიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა და შედეგად დაიწყო იმი ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის, რომელიც მხოლოდ ექვსი დღე გაგრძელდა. ამ ომს ჰქონდა სერიოზული შედეგები, რადგან მან განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთის შემდგომი განვითარება და ტერიტორიული მოწყობა. ისრაელმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა ღაზას სექტორი, სინაის ნახევარკუნძული, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო (იუდეა და სამარია) და გოლანის მაღლობები. აღნიშნულ ომში ისრაელის წარმატებებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს სიძულვილის შეგრძნება არაბ საზოგადოებაში. ამის ნათელი გამოვლინებაა 1967წ. 1 სექტემბერს *ხართუმის კონფერენციის* გადაწყვეტილებები არაბული ქვეყნების შემდგომ მოქმედებებთან დაკავშირებით, სადაც გამოცხადდა პრინციპი: *„სამი არა“:* არა-ისრაელის აღიარებას, არა-ისრაელთან მოლაპარაკებებს, არა-ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას. ასევე, მიღებულ იქნა დამატებითი რეზოლუცია,

სადაც აღინიშნა, რომ არავითარი კომპრომისი ან მცირეოდენი დათმობა არ უნდა მომხდარიყო პალესტინელების უფლებებთან დაკავშირებით.

1973წ. 6 ოქტომბერს არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის დაიწყო ახალი ომი, რომელიც ისტორიაში *„იომ-ქიფურის“* სახელწოდებითაა ცნობილი. ეგვიპტე და სირია ერთდროულად დაესხნენ თავს ისრაელს იმ დროს, როდესაც ებრაელები აღნიშნავდნენ თავიანთ რელიგიურ დღესასწაულს *„იომ-ქიფურს“* (განკითხვის დღე). ორივე მხარისთვის ამ ომს ჰქონდა სერიოზული ფსიქოლოგიური შედეგები, პირველ ფაზაში არაბული ქვეყნების წარმატებამ შეარყია ებრაელების თავდაჯერებულობა დაუმარცხებლობასთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვნად დააქვეითა ებრაულ საზოგადოებაში იმდროინდელი ხელმძღვანელობის, გოლდა მეირის მთავრობის პრესტიჟი, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა არც ეგვიპტეს და არც შემდგომი ომისთვის მზადებას, ამ ყველაფრის შედეგად და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ისრაელის საზოგადოება აღშფოთებული იყო იმით, რომ *„იომ-ქიფურის“* ომის შემსწავლელი სპეციალური კომისიის დასკვნაში ისრაელის თავდაცვის მინისტრს მოხსნილი ჰქონდა ბრალდება - ომის წინა ვითარების არასწორი შეფასება (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 488). შესაბამისად, 1974 წელს, გოლდა მეირის მთავრობა იძულებული იყო გადამდგარიყო. მეორე მხრივ, პირველ ფაზაში არაბების წარმატებებმა განაპირობა მათი კიდევ უფრო გააქტიურება და სიამაყის გრძნობა, უფრო განმტკიცდა ძველი იდეები არანაირი კომპრომისისა და დათმობის შესახებ. საბოლოოდ, 1973 წლის ნოემბერში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერის ინიციატივით, ისრაელისა და ეგვიპტის წარმომადგენლება ხელი მოაწერეს შეთანხებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ერთი წლის შემდეგ, ასევე კისინჯერის ძალისხმევით ხელი მოეწერა შეთანხმებას ეგვიპტესა და ისრაელს და ისარელსა და სირიას შორის სამხდერო ძალთა დაშორიშორების თაობაზე.

1973 წლის ომის შემდეგ სერიოზული ცვლიბებები განხორციელდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სტატუსში, რომელიც შეიქმნა 1964 წელს, პალესტინის ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე, პალესტინის გათავისუფლების მიზნითა და

თავისუფალი არაბული პალესტინის სახელმწიფოს შესაქმნელად. 1974წ. ოქტომბერში არაბული სახელმწიფოების შეხვედრაზე მიღებული რეზოლუცია განამტკიცებდა პალესტინელი ხალხის უფლებას თვითგამორკვევაზე და ცნობდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას პალესტინელი ხალხის კანონიერ წარმომადგენლად. ერთი თვის შემდეგ კი აღნიშნული ორგანიზაცია ცნო გაერო-მ და მიანიჭა მას დამკვირვებლის სტატუსი როგორც ასამბლეაში, ასევე გაერო-ს მიერ ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებში. ამ ყველაფერზე ისრაელის რეაქცია ნეგატიური იყო, რადგან მისი პოზიციით აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენდა არა პალესტინელ ხალხს, არამედ შექმნილი იყო არაბული ქვეყნების მიერ ისრაელის წინააღმდეგ ტერორისტული ომის წარმოების საშუალებად, აღნიშნული მესიჯი განკუთვნილი იყო, როგორც საერთაშორისო საზოგადოებაზე, ასევე ქვეყნის შიგნით მოსახლეობაზე.

კონფლიქტის მიმდინარეობაში ხაზგასასმელ ფაქტს წარმოადგენს 1988წ. 15 ნოემბერს პალესტინის სახელმწიფოს შექმნის ფაქტი. ეს სახელმწიფო გამოცხადდა არა ისრაელის სახელმწიფოს ადგილას, როგორც ეს ბევრ პალესტინელსა და არაბს სურდა, არამედ მის გვერდით, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა არსებობაზე ისრაელის უფლების აღიარებას, რამაც გამოიწვია დიდი დაპირისპირება პალესტინის საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ პალესტინელებში კვლავ მძვინვარებდა ისრაელისა და ებრაელების მიმართ სიძულვილის გრძნობა და *ხართუმის კონფერენციის* პრინციპები, შესაბამისად, მათთვის ეს ქმედება არ იყო სწორი პოლიტიკური ნაბიჯი. მოსახლეობაში გაიზარდა დაპირისპირება და ის, რომ არაბების უმრავლესობას კვლავ რადიკალური შეხედულებები გააჩნდა ისრაელის მიმართ. ყველაზე ნათლად გამოიხატა 2006 წლის პალესტინის საპარლამენტო არჩევნებში, სადაც გამარჯვება მოიპოვა რადიკალურმა ორგანიზაცია ჰამას-მა, რომელიც მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის ისრაელისა და აშშ-ის მიერ შერაცხულია ტერორისტულ ორგანიზაციად. ჰამას-ის გამარჯვებას საპარლამენტო არჩევნებში შედეგად მოჰყვა შიდაპოლიტიკური კონფლიქტი და ისრაელის ადმინისტრაციის უარი თანამშრომლობაზე.

კონფლიქტის კიდევ ერთ ეტაპს წარმოადგენს ლიბანის ომი და ისრაელის ჩარევა აღნიშნულ ომში 1982წ. ისრაელის საინფორმაციო საშუალებები არ ფარავდნენ, რომ ისრაელის არმიის მთავარი ამოცანა იყო პალესტინელების განთავისუფლების ორგანიზაციისთვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება, რადგანაც მისი გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საფრთხეს უქმნიდა ისრაელს. აღნიშნული მოსაზრება ფართოდ იყო გაზიარებული ებრაულ საზოგადოებაში და ისრაელის მოსახლეობის დიდი ნაწილი აღნიშნულ საკითხში მხარს უჭერდა ხელისუფლებას, რომელიც ლიბანის ტერიტორიას ან მის ნაწილს განიხილავდა შესაძლო ბუფერულ ზონად, ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა ასევე არ დაეშვა მისი მოწინააღმდეგე სირიის გაძლიერება, თავის მხრივ სირიის მონაწილეობა ლიბანის ომში განპირობებული იყო იმით, რომ მას არ უნდოდა ისრაელის გაძლიერება, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სირიაში იმ დროისთვის, ლიბანთან მიმართებით, პოპულარული იყო ლოზუნგი „ერთი ხალხი-ორი ქვეყანა“ (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 492) და ისრაელის ინტერვენცია ლიბანში საზოგადოების მიერ აღქმული იქნა მტრის მიერ სუვერენიტეტის შელახვის კიდევ ერთ ფაქტად, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა რადიკალური შეხედულებები არაბებში. 1982წ. ზაფხულში ისრაელმა დაბომბა ბეირუთი, პირველ რიგში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის და მისი ლიდერის, იასირ არაფატის განადგურების მიზნით, რასაც მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობის სახით. ამას მოყვა ჩარევა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ ბეირუთიდან პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ამ ტერიტორიიდან გაყვანა, რაც გამარჯვებად აღიქვეს ისრაელელებმა.

მოვლენები გამწვავდა სექტემბერში, როდესაც მოკლეს ლიბანის ახლადარჩეული პრეზიდენტი ბაშირ ჟმაიელი, რასაც მოყვა ქრისტიანი ფალანგისტების მიერ ხოცვა-ჯლეტა საბრას და შატილას ბანაკებში, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში და ასევე ისრაელში. საერთაშორისო საზოგადოება მწვავედ აკრიტიკებდა ისრაელს მისი ქმედებების გამო. მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან მტკიცებისა, რომ ისრაელის არმიას მონაწილეობა არ მიუღია ამ მოქმედებებში, ისრაელის კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ისრაელის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე იცხაკ ჰაკანი,

აღიარა, რომ ისრაელის არმიამ ირიბად შეუწყო ხელი აღნიშნულ ქმედებებს და ხელი არ შეუშალა ფალანგისტთა მილიციას თავდასხმაში.უპირველესად პასუხისმგებლობა ეკისრებოდა თავდაცვის მინისტრს. ქვეყანაში ჩატარდა მასობრივი ანტისამთავრობო დემონსტრაციები. ამის შედეგად არიელ შარონი იძულებული იყო გადამდგარიყო. პირველად ებრაულ საზოგადოებაში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა. ლიბანში სამშვიდობო პროცესები დაიწყო მხოლოდ 1989 წლიდან. ლიბანის ომის შედეგად მართალია ისრაელმა ნაწილობრივ მიაღწია თავის მიზანს და აიძულა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია დაეტოვებინა ბეირუთი, მაგრამ, ამასთან ერთად გაიჩინა კიდევ ახალი მტერი ლიბანელი შიიტების სახით, რომლებიც 1982წ. გაერთიანდნენ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში: *„ჰიზბალაჰ“ (იგივე „ჰეზბოლა“).*

წლების განმავლობაში არსებული კონფლიქტი პერიოდულად ახლდებოდა და სხვადასხვა დროს სხვადასხვა დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. კონფრონტაციის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ასევე ებრაული ახალშენები დასავლეთ სანაპიროზე, რომელიც დაგმო როგორც ისრაელის მოკავშირე აშშ-მა, ასევე გაერო-მ რეზოლუციით №2334. 2002წ. ისრაელმა დაიწყო დასავლეთ სანაპიროს ირგვლივ ბარიერის მშენებლობა, რასაც ასევე დიდი რეზონანსი მოყვა საერთაშორისო საზოგადოებისგან. ყველაზე ხშირად შეტაკებებს და საომარ მოქმედებებს ადგილი აქვს ღაზას სექტორში. ფართომასშტაბიან შეტაკებებს ღაზას სექტორში ადგილი ჰქონდა 2008, 2012 და 2014 წლებში. აღსანიშნავია ასევე 2006 წლის მოვლენები, კერძოდ, *„ჰიზბალაჰ“*-ის თავდასხმას და ორი ჯარისკაცის გატაცებას მოჰყვა ლიბანში მეორე ომი. ისრაელის ქმედებებმა ქვეყნის შიგნით, საზოგადოებაში, გამოიწვია მასობრივი პროტესტი მთავრობისადმი, რადგან მთავრობამ თავისი კამპანიითა და სამხედრო მოქმედებებით ვერ შეძლო მიეყენებინა მნიშვნელოვანი ზიანი *„ჰიზბალაჰ“*-ისთვის.

6.7. ისრაელ-არაბების კონფლიქტის მოგვარების მოდელები და მოლაპარაკებები

კონფლიქტის დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ დაიწყო აქტიური მსჯელობა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, სხვადასხვა აქტორის მიერ წარმოდგენილი იქნა სხვადასხვა გეგმა, ასევე აღსანიშნავია, რომ

კონფლიქტის მოგვარებასა და მოლაპარაკებების პროცესში ჩართულები იყვნენ ისეთი გავლენიანი საერთაშორისო აქტორები, როგორიცაა აშშ, თუმცა, დღეს დღეობით კონფლიქტი კვლავ გადაუჭრელია.

აღნიშნულ ნაწილში მიმოვიხილავ კონფლიქტის მოგვარების ძირითად მოდელებსა და მოლაპარაკებებს და აღვწერ მათ მიმდინარეობას.

თავდაპირველად აუცილებელია აღინიშნოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №242, რომლის მიხედვითაც ისრალს უნდა გაეყვანა თავისი არმია იმ ტერიტორიებიდან, რომელიც დაიკავა *„ექვსდღიანი ომის“* დროს. მითითებული იყო ლტოლვილთა პრობლემა და ამ საკითხის სამართლიანი მოგვარების აუცილებლობის შესახებ. სირიამ და ერაყმა უარი თქვეს აღნიშნულ რეზოლუციაზე იმ არგუმენტით, რომ ეს დოკუმენტი ირიბად განამტკიცებდა ისრაელის იურისდიქციას 1948წ. ომის დროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

აღნიშნულ რეზოლუციაზე დაყრდნობით, 1970 წელს აშშ-მა წამოაყენა ე.წ *„როჯერსის გეგმა“* რომელსაც დაეთანხმნენ ეგვიპტე და იორდანია, ხოლო ისრაელმა უარი განაცხადა აღნიშნულ გეგმაზე, შესაბამისად არც არმია გაიყვანა ოკუპირებული ტერიტორიებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტისა და იორდანიის მხრიდან ამ გეგმაზე დათანხმებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა არაბულ საზოგადოებაში. ნასერისა და მეფე ჰუსაინის მიერ სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა ისრაელთან, პალესტინელებმა ჩათვალეს ღალატად, რადგან აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა არაბული ქვეყნების მიერ სამომავლოდ სიონისტური სახელმწიფოს აღიარებას, მაგრამ არ ითვალისწინებდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. ამის გამო, ისეთი მემარცხენე პალესტინური ორგანიზაციები, როგორებიცაა პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი, პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტი და ა.შ მზად იყვნენ ჩაეშალათ როჯერსის გეგმა და ხელსაყრელი ვითარების შემთხვევაში დაემხოთ მეფე ჰუსაინის რეჟიმი (Quandt, 2005: 68-70). პალესტინელებში აღნიშნული უკმაყოფილების გამოხატულებად იქცა 1970წ. 1 სექტემბერს მეფე ჰუსაინის კორტეჟზე თავდასხმა და

ჩრდილოეთ იორდანიაში ქალაქ ირბიდის დაკავება, რასაც მოჰყვა დაპირისპირებები იორდანიაში.

სამშვიდობო პროცესებში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა 1977წ. განვითარებული მოვლენები, კერძოდ ისრაელის ხელისუფლებაში მოვიდა მენაჰიმ ბეგინი, რომელსაც განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე. ამას დაემთხვა ეგვიპტის მხრიდან პრეზიდენტ სადათის განცხადება კონსტრუქციულ დიალოგზე, რაც მიმართული იქნებოდა მშვიდობის დამყარებისკენ. შედეგად, ამავე წლის 20 ნოემბერს, ანვარ სადათი გახდა პირველი არაბი ლიდერი, რომელიც ეწვია ისრაელს. იერუსალიმში ჩასვლისას სადათი საუბრობდა ყველა არაბული ქვეყნის სახელით. მისმა ინიციატივებმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია არაბულ სამყაროში. დეკემბერში ჩატარებულ ტრიპოლის კონფერენციაში სახელმწიფოების მეთაურებმა გააკრიტიკეს ეგვიპტის პოლიტიკა ისრაელთან მიმართებით, მას გამოუცხადეს ბოიკოტი არაბთა ლიგის ფარგლებში. სადათის თვითნებური გადაწყვეტილება - ემოქმედა არაბული სახელმწიფოების აზრის გათვალისწინების გარეშე ნეგატიურად იქნა აღქმული არაბული საზოგადოების მხრიდან.

ბეგინისა და სადათის ქმედებებს საბოლოოდ მოჰყვა 1978წ. *„კემპ-დევიდის შეთანხმება“,* პრეზიდენტ კარტერის შუამავლობით. აღნიშნული შეთანხმება შედგებოდა ორი დოკუმენტისგან. პირველი ეხებოდა პალესტინის საკითხს, რომლის მიხედვითაც ისრაელი ითვალისწინებდა პალესტინელებისთვის შეზღუდული თვითმართველობის მინიჭებას მდ.იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში, მაგრამ დოკუმენტში არ იყო იყო ნახსენები თვითგამორკვევაზე პალესტინელთა უფლების ცნობის აუცილებლობა, ასევე არაფერი იყო ნათქვამი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაზე და იერუსალიმის არაბული ნაწილის პრობლემაზე. არაბებისთვის აღნიშნული საკითხები, განსაკუთრებით ავტონომიის საკითხი ნიშნავდა ისრაელის სამხედრო და პოლიტიკურ კონტროლს, რაც ფაქტობრივად ოკუპაციის გაგრძელების ტოლფასი იყო. ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამ გამოიწვია უკმაოფილების ტალღა არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში. ეგვიპტე გარიცხეს ლიგიდან, ისლამური კონფერენციის

ორგანიზაციიდან და ის აღმოჩნდა პოლიტიკურ იზოლაციაში. ეგვიპტემ საბოლოოდ დაკარგა რეგიონული ლიდერის პოზიცია, ხოლო ანვარ სადათი მოკლეს ტერორისტებმა სამხედრო აღლუმის დროს 1981წ. 6 ოქტომბერს. რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, ის ეხებოდა ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, რომლის საფუძველზეც 1979წ. 26 მარტს, ვაშინგტონში ხელი მოეწერა ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის მიხევითაც ისრაელი დათანხმდა სინადან თავისი არმიისა და მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანას ურთიერთობის ნორმალიზაციისა და მშვიდობის სანაცვლოდ. აღსანიშნავია, რომ ებრაელებში ამ შეთანხმებას დადებითი შეფასება მოყვა, რადგან ბეგინმა მოახერხა ისრაელისთვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გატანა ისე, რომ კომპრომისიც კი ისრაელისთვის მომგებიანი იყო. ამ მხრივ ისრაელისთვის დადებით ფაქტორს წარმოადგენდა მეორე ფრონტის დახურვა მის ყველაზე ძლიერ მეტოქესთან, რაც მას აძლევდა რესურსს მთელი ძალები გადაესროლა აღმოსავლეთის მიმართულებით და ასევე, ისრაელი არ დათანხმდა ეგვიპტის მოთხოვნას, მოეწერა ხელი ბირთულ იარაღთან დაკავშირებით რაიმე დოკუმენტზე, რასაც ითხოვდა ეგვიპტე.

კონფლიქტის მოგვარების შესახებ 1982წ. *„რეიგანის გეგმის“* ჩავარდნის მთავარი მიზეზი სწორედ კოლექტიური მეხსიერებაა და კერძოდ მისი შემადგენელი ის ნარატივები, რომლის მიხედვითაც ყველანაირი კომპრომისი დანებებას ნიშნავდა. აღნიშნული გეგმა ორივე მხარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან იგი ითვალისწინებდა პალესტინელების თვითმმართველობას დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორზე იორდანიასთან ერთად, მაგრამ ის არ ითვალისწინებდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნას.

მოლაპარაკებების მხრივ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1991წ. 30 ოქტომბერს მადრიდის კონფერენცია. პალესტინის მხარე კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა საერთო პალესტინურ-იორდანული დელეგაციის შემადგენლობაში და მასში, ისრაელის მოთხოვნის შესაბამისად, არ მონაწილეობდნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აქტივისტები. კონფერენციის მთავარ შედეგებს წარმოადგენდა პრინციპი: *„ტერიტორია მშვიდობის სანაცვლოდ“*; ისრაელმა გაიყვანა ჯარები და დათანხმდა

პალესტინის ძლიერი პოლიციის შექმნას ისრაელის უშიშროების სპეციალური ძალების შენარჩუნებით; პალესტინის ტერიტორიაზე თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარება. ასევე მადრიდის კონფერენცია წარმოადგენდა შემდგომში ისრაელსა და იორდანიას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას. აღნიშნულ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისთვის, პალესტინელებშიც, ისევე როგორც ისრაელელებშიც აღნიშნული კონფერენცია ჩაითვალა მათი მხარის წარმატებულ საქმიანობად, თუმცა, კონფერენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისრაელისთვის, რადგან ისრაელის მთავრობამ მიიღო 10 მლრდ დოლარი ამერიკელთა გარანტიით ასეულობით ათასი საბჭოთა ებრაელის მოწყობაზე, რომლებიც გადასახლდნენ ისრაელში და საჭიროებდნენ საცხოვრებელს და ახალ სამუშაო ადგილებს (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 498). ეს ყველაფერი დაეხმარა ისრაელის მთავრობას შიდა პოლიტიკური პროცესების მოწესრიგებისთვის, სადაც 1992წ. 23 ივნისს ჩატარდა არჩევნები და ხელისუფლებაში მოვიდა კოალიციური მთავრობა იცხაკ რაბინის ხელმძღვანელობით.

მადრიდის კონფერენციის შემდეგ პალესტინაში გაძლიერდა წინააღმდეგობის ისლამური მოძრაობა *„ჰამას“-ი*, რომელიც მზად იყო ჩამოერთვა სიონისტურ ოკუპაციასთან წინააღმდეგობის ინიციატივა იასირ არაფატისა და მისი მიმდევრებისთვის. *„ჰამას“*-მა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ახალგაზრდებში, მის მიერ ისრაელელი სამხედროების მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტების გამო. *„ჰამას“-ი* და მისი მიმდევრები აღარ ენდობოდნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას, რამაც თავის მხრივ, უბიძგა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას ისრაელთან მოლაპარაკებებისკენ, თავის მხრივ ისრაელის ახალი მთავრობა მზად იყო მათთან მოლაპარაკებებისთვის, რადგან მათაც აწყობდათ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შეესრულებინა განსაზღვრული როლი. ამის შემდეგ ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკებები უფრო გახშირდა. ადგილი ჰქონდა ფარულ შეხვედრებს ისრაელის დეგელაციასა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის, რასაც მოყვა მოლაპარაკებების გაგრძელება ნორვეგიაში. ადგილმდებარეობის არჩევა გამომდინარეობდა კონფიდენციალურობის საკითხიდან. არცერთ მხარეს არ

უნდოდა მოლაპარაკებების დასრულებამდე და ოფიციალურ განცხადებამდე გაეჟონა რაიმე სახის ინფორმაციას, რადგან ორივე მხარეს ეშინოდა ქვეყნის შიგნით საზოგადოების რეაქციის. ნორვეგიის მოლაპარაკებების ძირითად შედეგს წარმოადგენდა *„პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაცია“,* რომელიც ითვალისწინებდა პალესტინელებისათვის ღაზას და იერიქონის გადაცემას, სადაც უნდა შექმნილიყო პალესტინელებისთვის ავტონომია. ოსლოს აღნიშნული შეთანხმება ორივე მხარისთვის ხელსაყრელი შეთანხმება იყო, ისრაელი თავისუფლდებოდა ღაზას სექტორიდან, სადაც ძნელი იყო წესრიგის შენარჩუნება, ხოლო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოპულარობა გაიზარდა პალესტინელებში, რადგან მათ შეძლეს ისრაელის არმიის გაყვანა ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილიდან, თუმცა, გარდა პოპულარობისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ოსლოს შეთანხმებამ ხელი შეუწყო ანტიარაფატული ფრონტის გახსნას პალესტინაში და *„ჰამას“*-ის გააქტიურებას, რადგან საზოგადოების ნაწილი უკმაყოფილო იყო იმ ფაქტით, რომ ოსლოს შეთანხმებამ გვერდი აუარა პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხებს: ლტოლვილთა პრობლემას; იერუსალიმის სტატუსს და ისრაელელების ახალშენების საკითხს (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 500). მიუხედავად ამ საკითხებზე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აქტიური მცდელობისა, ისრაელს მკაცრი პოზიცია ჰქონდა ამ საკითხების მიმართ და არ წავიდა არანაირ დათმობაზე, რადგან კარგად ესმოდა, რომ აქ რაიმე სახის დათმობას ვერ გაამართლებდა ქვეყნის შიგნით და ხელისუფლებას არ აპატიებდნენ ამ საკითხებში კომპრომისს, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ისრაელშიც ორად იყო საზოგადოების აზრი გაყოფილი პალესტინელებთან მშვიდობის დამყარებისა და შეთანხმების მიღწევის შესახებ. ამის დასტურია ქნესეთში რატიფიკაციის შესახებ ხმების რაოდენობა: 61 დელეგატი დაეთანხმა რატიფიკაციას, 59 - წინააღმდეგი იყო (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 500).

მოლაპარაკებებს შორის აღსანიშნავია, ე.წ *„ოსლო II“* შეთანხმება, რომლის მიხედვითაც პალეტსინის ტერიტორია დაიყო 3 ნაწილად: ერთი ზონა გადადიოდა პალესტინის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ; მეორე ზონაში სამოქალაქო ხელისუფლება

ხორციელდებოდა პალესტინელების მიერ ისრაელის ძალოვანთა ზედამხედველობის ქვეშ და მესამე ზონა - ისრაელის სრული კონტროლის ქვეშ (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 500). აღნიშნული შეთანხმების შემდეგ, რამდენიმე არაბულმა ქვეყანამ გადადგა ნაბიჯი ისრაელთან შერიგებისკენ, თუმცა, აღნიშნული წარმატებული სტარტი ჩაშალა ებრაელი ექსტრემისტის იგალ ამირის მიერ იცხაკ რაბინის მკვლელობამ, რის შემდეგაც ისრაელის ხელისუფლებაში მოვიდნენ მემარჯვენე პოლიტიკოსები, განახლდა ებრაული დასახლებების მშენებლობა და განახლდა პალესტინელებთან შეტაკებები. ახალშენების საკითხი და ასევე ის, რომ არაფატი და პალესტინის ავტონომიის საბჭო ვერ უმკლავდებოდნენ ტერორისტებს, რომლებიც ებრაელების წინააღმდეგ აწყობდნენ სასტიკ ტერორისტულ აქტებს, იწვევდა ძალადობის ესკალაციასა და ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტას. აღნიშნული ფაქტორები კიდევ უფრო აღვივებდნენ სიძულვილის გრძნობას ორ თემს შორის.

მნიშვნელოვანია, ასევე 2000წ. ივლისში კემპ-დევიდში მიმდინარე მოლაპარაკებები, ე.წ *„კემპ-დევიდი II“,* რომელიც წარუმატებლად დამთავრდა. ამ მოლაპარაკებათა თავისებურება ის იყო, რომ არ იქნა ხელმოწერილი არანაირი დოკუმენტი და შეთანხმება მხოლოდ ზეპირსიტყვიერად მოხდა, რამაც საშუალება მისცა მხარეებს გაეკეთებინათ თავიანთი სუბიექტური ინტერპრეტაციები. აშშ-სა და ისრაელში ძირითადად გაზიარებულია აზრი, რომ მოლაპარაკებები არაფატმა ჩაშალა. ისრაელის ყოფილი გენერალური პროკურორი ე. რუბინშტეინი წერდა, რომ: *„პრობლემა იყო არაფატი, რომელსაც არ სურდა რაიმე დათმობაზე წასვლა და არც განიხილავდა კომპრომისულ გეგმებს, რომლებსაც სთავაზობდნენ ისრაელელები და ამერიკელები“* (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 502). აღნიშნული მოლაპარაკებების დროს ორივე ლიდერი ცდილობდა არ დაეთმო ზედმეტი, რათა შემდგომ საზოგადოებაში არ გამოჩენილიყო მოღალატის სახით. აღნიშნული მოლაპარაკებების გაგრძელებას წარმოადგენდა *თაბას სამიტი,* რომელზეც ასევე ახლოს იყვნენ მხარეები შეთანხმებასთან. მიუხედავად იმისა, რომ მხარეები გარკვეულ საკითხებზე შეთანხმდნენ, იყო ისეთი საკითხებიც, რომელზეც ერთიანი პოზიცია ვერ ჩამოყალიბდა. მოლაპარაკებების ბოლომდე მისაყვანად დრო იყო საჭირო,

თუმცა, 2001წ. თებერვალში ბარაკმა წააგო არჩევნები არიელ შარონთან, რომელმაც უფრო მკაცრი პოლიტიკა გაატარა პალესტინელებთან ურთიერთობაში და მოლაპარაკებები არაფატთან შეწყდა.

როგორც უკვე ვახსენე, კონფლიქტის მიმდინარეობისას, სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა მოდელები და სამშვიდოპო პროცესები, აღნიშნული პროცესებისა და გეგმების გარდა არსებობდა ასევე, ე.წ *„ფაჰდის გეგმა“* (1981წ.); *„რეიგანის გეგმა“* (1982წ.); *„ბუშის 4 პუნქტი“* (1991წ.); ჯორჯ ბუში უმცროსის *„საგზაო რუკა“* (2003წ.). მნიშვნელოვანი ინიციატივები გადაიდგა ობამას ადმინისტრაციის მხრიდანაც, თუმცა, ვერცერთმა პროცესმა და ვერცერთმა გეგმამ საბოლოოდ ვერ გაამართლა და კონფლიქტი კვლავ გადაუჭრელია. გამართლდა კლინტონის საგანგებო კოორდინატორის დენი როსის დასკვნა, რომელმაც განაცხადა, რომ *„ხელიდან იქნა გაშვებული ისტორიული შესაძლებლობა, რომელიც არ განმეორდება კიდევ მრავალი წელი“* (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 510). ასევე, მართალი იყო ომაბაც, რომელმაც 2009წ. 5 ივნისს კაიროს უნივერსიტეტში გამოსვლისას განაცხადა, რომ: *„ჩვენ არ შეგვიძლია თავს მოვახვიოთ მშვიდობა“* (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 510).

6.8. კოლექტიური მეხსიერების როლი ისრაელ-არაბების კონფლიქტში

აღნიშნულ კონფლიქტში ნათლად ჩანს, თუ რა როლს თამაშობს კოლექტიური მეხსიერება კონფლიქტში. ჯერ კიდევ დასაწყისშივე, ორი ნაციონალისტური მოძრაობის: სიონიზმი და პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმის მიერ შექმნილმა ნარატივებმა, რომლებიც ურთიერთ დაპირისპირებაში იყვნენ ერთმანეთთან, ჩამოაყალიბა შემდგომი თაობების კოლექტიური მეხსიერება და შექმნა საფუძველი შეიარაღებული დაპირისპირებისთვის.

დაპირისპირებული მხარეების კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნებას ხელს უწყობენ ე.წ *„მეხსიერების ხატები“,* რომლებიც უხვად გვხვდება ორივე მხარესთან. ამ მხრივ ყველაზე ნათელი გამოხატულებაა იერუსალიმის საკითხი. ებრაელებისთვის იერუსალიმი მათ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, მათთვის ის არის ღმერთის მიერ აღთქმული მიწა. ჯერ კიდევ მეფე დავითმა აიღო იერუსალიმი და გამოაცხადა ის ისრაელისა და იუდეას

გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქად, ხოლო შემდეგ მეფე სოლომონმა ააგო იერუსალიმის ტაძარი, შესაბამისად ებრაელთათვის ისრაელი ოდითგანვე იყო თავიანთი სახელმწიფოს დედაქალაქი. ამას მოწმობს 1948წ. ბეგინის განცხადებაც: *„სამშობლოს გაყოფა უკანონოა. ის არასდროს იქნება აღიარებული...ეს არ შეკრავს ებრაელ ხალხს. იერუსალიმი იყო და სამუდამოდ იქნება ჩვენი დედაქალაქი. ერეც ისრაელი იქნება აღდგენილი ისრაელის ხალხისთვის მთლიანად და სამუდამოდ“* (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 464). თავის მხრივ სიონიზმი აქტიურად ქადაგებდა ებრაელების იერუსალიმში დაბრუნებას. მეორე მხრივ პალესტინელები თვლიან, რომ იერუსალიმი მათი ისტორიული სამშობლოს შემადგენელი ნაწილია, სადაც ყოველთვის არაბები სახლობდნენ და ებრაელების პრეტენზია ამ საკითხზე წარმოადგენს პრეტენზიას სხვის საკუთრებაზე. იერუსალიმის ფაქტორი არის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა აღნიშნული მხარეების ურთიერთობებში და ისრაელის კონტროლი იერუსალიმზე არის მთავარი ფაქტორი არაბთა იდეოლოგიურ ომში. არაბები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ამ საკითხს და მათი ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგიც სწორედ ისრაელს ეხებოდა. ასე მაგალითად, როდესაც 2005წ. პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციას სათავეში ჩაუდგა მაჰმუდ აბასი, მისი წინასაარჩევნო კამპანიის დევიზის ნაწილი სწორედ იერუსალიმს შეეხებოდა და შემდეგნაირად ჟღერდა: *„იერუსალიმი - პალესტინის დედაქალაქია“* (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 506).

იერუსალიმის საკითხი მრავალჯერ დაისვა სხვადასხვა მოლაპარაკებებზე, თუმცა, ეს ის საკითხია, სადაც მხარეებს ყველაზე მეტად არ სურდათ რაიმე სახის კომპრომისზე წასვლა.

ის, რომ იერუსალიმის საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ნათლად გამოჩნდა უკანასკნელ მოვლენებში, კერძოდ: დეკემბერში პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ აღიარებს იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად, რასაც დიდი არეულობა და დაპირისპირება მოყვა იერუსალიმსა და სხვა ქალაქებში. პალესტინელებს საკმაოდ მწვავე რეაქცია ჰქონდათ აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მათი აზრით ამის შემდგომ ყველანაირი შანსი დაიკარგა კონფლიქტის მშვიდობიანად

გადაჭრისთვის. *„ჰამას“*-მა გამოაცხადა კიდევაც ახალი ინტიფადის დაწყება. გადაწყვეტილება დაგმეს ასევე სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის აშშ-ის მოკავშირე სახელმწიფოების ლიდერებმაც და გაერომ. აშშ-ის საპასუხოდ, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის 57-მა წევრმა ქვეყანამ აღიარა აღმოსავლეთ იერუსალიმი პალესტინის დედაქალაქად. იერუსალიმის დედაქალაქად გამოცხადებას დადებითად შეხვდნენ ებრაელები, რადგან მათთვის სრულიად იერუსალიმი წარმოადგენს დედაქალაქს და აღნიშნული გადაწყვეტილება მათთვის სრულებით სამართლიანი იყო. ისრაელში მშვიდობის ინდექსის 2017 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით, ებრაელთა 51.8% თვლის, რომ იერუსალიმი უნდა გაერთიანდეს და იყოს ისრაელის დედაქალაქი, მხოლოდ 12.3% თვლის, რომ დასავლეთი ნაწილი უნდა იყოს ისრაელის დედაქალაქი, ხოლო აღმოსავლეთი - პალესტინის (The Peace Index, 2017). განსხვავებული ვითარებაა ისრაელის მოქალაქე არაბების მოსაზრებას შორის, მათგან ყველაზე მეტი, 43.5% თვლის, რომ დასავლეთი ნაწილი უნდა იყოს ისრაელის დედაქალაქი და აღმოსავლეთი - პალესტინის (The Peace Index, 2017).

იმისათვის, რომ უფრო უკეთ გამოიკვეთოს კოლექტიური მეხსიერების როლი აღნიშნულ კონფლიქტში, საჭიროა ცალ-ცალკე განვიხილოთ მხარეების კოლექტიური მეხსიერება კონფლიქტთან დაკავშირებით.

6.8.1 ებრაელების კოლექტიური მეხსიერება და ისრაელ-არაბების კონფლიქტი

ებრაელების კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი როლი ითამაშა *სიონიზმმა,* რომლის ძირითადი ამოცანა იყო ებრაული სახელმწიფოს შექმნა. ამ მხრივ ის ყოველთვის აპელირებდა ებრაელთა ისტორიაზე და ისრაელის სამეფოზე, რომელიც თავის დროზე მტრებმა დაშალეს და აუცილებლად უნდა აღდგენილიყო. ებრაელები უნდა დაბრუნებულიყვნენ ბიბლიურ სამშობლოში, ქანაანის მიწაზე (ერეც-ისრაელში), რომელიც იყო ღმერთის მიერ აღთქმული მიწა ისრაელის მოდგმისთვის. *სიონიზმის* შედეგად, ეტაპობრივად, ებრაელები იწყებდნენ გადასახლებას პალესტინის ტერიტორიაზე. ებრაელთა მასობრივ იმიგრაციას აღნიშნულ ტერიტორიაზე ეწოდა *ალია,* რომელიც დაიწყო 1881წ და რამდენიმე ეტაპად განხორციელდა.

1948წ. ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადება ებრაელებისთვის ნიშნავდა ოცნების ასრულებას, პალესტინელებისთვის კი საშინელების მომასწავლებელი იყო. დამოუკიდებლობის დღე ისრაელში ყოველთვის გრანდიოზულად აღინიშნება და ყოველთვის ესმება ხაზი ამ დღის ისტორიულ მნიშვნელობას. დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 2014 წელს გუტმანის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ებრაელი მოსახლეობის 87%-სთვის დამოუკიდებლობის დღე დღესასწაულია, აღნიშნული რიცხვი კიდევ უფრო მაღალია რელიგიურ პირებსა (94%) და ტრადიციონალისტ არარელიგიურ პირებს (97%) შორის (Cohen, 2014), თუმცა, პალესტინელებისთვის ეს დღე და ზოგადად 1948 წლის ომის შედეგად განვითარებული მოვლენები ტრაგედიას წარმოადგენს, რომელსაც პალესტინელები მოიხსენიებენ შემდეგი ტერმინით: *Nakba.* ისრაელში სასკოლო სახელმძღვანელოებში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება დამოუკიდებლობის მოპოვებასა და შემდგომ ომზე. რა თქმა უნდა აქ ფიგურირებს ებრაული ნარატივი იმის შესახებ, რომ მტრებს (არაბებს) სურდათ ისრაელის სახელმწიფოს განადგურება, თუმცა, ებრაელთა სიმამაცისა და გმირობის შედეგად ისრაელი ვერ გატეხეს და დღემდე ძლიერად დგას მტრის წინაშე. სახელმძღვანელოებში არაფერი იყო ნახსენები არაბულ ნარატივზე და *Nakba* -ს შესახებ. ამასთან დაკავშირებით, 2007წ. ისრაელის განათლების მინისტრის, იული თამილის ინიციატივით, სასკოლო სახელმძღვანელოებში უნდა დაფიქსირებულიყო არაბული ნარატივიც *Nakba* -ს შესახებ, რათა საზოგადოებას ინფორმაცია ჰქონოდა ორივე ნარატივზე. მან დაამტკიცა კიდევაც აღნიშნული ცვლილება, რასაც ისრაელის პარლამენტში (ქნესეთი) მოყვა ნეგატიური გამოხმაურება. ინიციატივას მხარი არ დაუჭირა ასევე საზოგადო მოღვაწეებისა და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, მათი არგუმენტაციით აღნიშნული ინიციატივა საფრთხის შემცველი იყო ისრაელისთვის, ის საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოებრიობას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ისრაელის მიერ მიღწეულ წარმატებებს. საზოგადოება და ქნესეთი ითხოვდა მინისტრის გადადგომას. საბოლოოდ, ქნესეთმა გამოსცა აქტი სახელად: *"The Nakba Act",* რომელიც კრძალავს საჯარო ფონდების

გამოყენებას იმისათვის, რათა ისრაელის დამოუკიდებლობის დღე აღინიშნოს გლოვის დღედ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2014 წელს, სოციალური მეცნიერების საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნდა კვლევის შედეგები, რომლის თანახმად: ისრაელის მოსახლეობის 64.8% მიიჩნევს, რომ დაუშვებელია *Nakba* -ს აღიარება; 24%-სთვის *Nakba* არასოდეს მომხდარა და ამ კონცეფციის მიღება ნიშნავს ისტორიის განადგურებას და საფრთხეს წარმოადგენს ისრაელისთვის; 16% - მიიჩნევს, რომ *Nakba* თავად არაბების შეცდომების შედეგია; 10%-ს აზრით *Nakba* -ს აღიარება მიიყვანს ისრაელს დასასრულამდე, რადგან ყურადღებას ამახვილებს არარსებულ დანაშაულზე; ასევე 10%-სთვის *Nakba* არ არის მათი სანერვიულო თემა და არაბებმა თვითონ უნდა მიხედონ თავიანთ თავს (Keynan, 2014: 23-4).

კოლექტიური მეხსიერების გავლენა იგრძნობა ტერიტორიებთან დაკავშირებითაც, კერძოდ, 1967 წელს, ომის შემდგომ, ისრაელის მოსახლეობის 90% თვლიდა, რომ მოპოვებული ტერიტორიები ისრაელს უნდა შეენარჩუნებინა ყველანაირ ფასად (Plesner, 2017). 2017 წელს, ისრაელის მშვიდობის ინდექსის მონაცემების თანახმად, ებრაელთა 62%-ს სჯერა, რომ იუდეასა და სამარიაში ისრაელის მიერ ტერიტორიების ფლობა არ წარმოადგენს ოკუპაციას, 65% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ 6-დღიანი ომის შემდგომ ისრაელს უნდა დაეთმო მოპოვებული ტერიტორიები და დაეწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები არაბებთან, ხოლო 55%-ის მიხედვით, ისრაელს კანონმდებლობის მეშვეობით უნდა შემოემტკიცებინა ყველა დაპყრობილი ტერიტორია. ამავე კვლევის მიხედვით, 51%-ის აზრით იუდეასა და სამარიაში დასახლებების მშენებლობა გონივრულია (The Peace Index, 2017). რაც შეეხება ომის წამოწყებასა და გაგრძელებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოს, 2008 წელს ებრაელებში ჩატარებული კვლევის თანახმად, 43.3% თვლიდა, რომ არაბები და პალესტინელები იყვნენ მთავარი დამნაშავეები ომის წამოწყებასა და შემდგომ გაგრძელებაში, ხოლო 46%-ის აზრით პალესტინელები იყვნენ დამნაშავეები, თუმცა, გარკვეულწილად ებრაელებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ომის

განგრძობითობაზე (Nets-Zehngut & Bar-Tal, 2017: 13). კოლექტიური მეხსიერების კვალი შეინიშნება სხვა ომებთან დაკავშირებითაც. ებრაელების უმრავლესობა ყოველთვის იზიარებს იმ აზრს, რომ ისრაელი აწარმოებს მხოლოდ თავდაცვით ომს, რადგან მას სხვა გზა არ აქვს, ასე მაგალითად, 2008 წლის კვლევის მიხედვით, *„6-დღიან ომთან“* დაკავშირებით, ებრაელთა 37.2% თვლის, რომ ისრაელის ქმედებები იყო მხოლოდ თავდაცვითი ღონისძიებები არაბული ქვეყნების მხრიდან ომის საფრთხის საპასუხოდ, 34.6% მიიჩნევს, რომ ძირითადად ეს იყო თავდაცვითი ღონისძიებები ომის საფრთხის საპასუხოდ, მხოლოდ 12.8% თვლის, რომ ნაწილობრივ ეს იყო თავდაცვა და ნაწილობრივ არაბების ტერიტორიის დაპყრობისა და კონტროლისთვის განკუთვნილი ქმედებები (Nets-Zehngut & Bar-Tal, 2017: 33). ლიბანის ომთან დაკავშირებითაც, ებრაელთა 20.4% თვლის, რომ ისრაელის ქმედებების მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ ლიბანიდან ტერორისტული თავდასხმების პრევენცია, 26.4%-ს აზრით - ძირითადად ტერორისტული თავდასხმების პრევენცია, ხოლო 32%-ს აზრით - ნაწილობრივ ტერორისტული თავდასხმების პრევენცია და ნაწილობრივ ლიბანში ახალი რეგიონული წესრიგის დამყარება (Nets-Zehngut & Bar-Tal, 2017: 34).

ებრაელები ასევე ხშირად ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ ისრაელი წარმოადგენს მშვიდობიან ერს და არ არის აგრესორი, რასაც მისი მტრები ამტკიცებენ. დროის სხვადასხვა მონაკვეთში ყოველთვის ვრცელი რეპორტაჟები და დრო ეთმობოდა იმ ნარატივის გავრცელებას, რომ ისრაელს სურს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება, ის წარმოადგენს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც იცავს თავისი მოქალაქეების, მათ შორის არაბების უფლებებს. ამის დასადასტურებლად, ისრაელში პერიოდულად ტარდება ისრაელის მოქალაქე არაბების მდგომარეობის კვლევა და სხვადასხვა სტატია/სიუჟეტი ეძღვნება იმ საკითხს, რომ მათ არანაირი პრობლემა არ ექმნებათ ისრაელში. ასე მაგალითად, 2017 წლის ოქტომბერში, ადგილობრივმა სააგენტომ *Israel Today*-მ გამოაქვეყნა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ *„შეუძლებელია ისრაელს ეწოდოს „აპარტეიდული სახელმწიფო“, მაშინ, როდესაც არაბების უმრავლესობა ამბობს, რომ ისინი რეალურად ამჯობინებენ ცხოვრებას ებრაულ სახელმწიფოში“* (Israel Today, 2017). აღნიშნული სტატია

იმოწმებს კონრად ადენაუერის პროგრამის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი არაბების 60%-მა განაცხადა, რომ ისინი ისრაელის მიმართ არიან კეთილგანწყობილნი, ხოლო 37%-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ისრაელის მიმართ. 63%-ს აზრით, ისრაელი არაბებისთვის წარმოადგენს კარგ საცხოვრებელ ადგილს (Israel Today, 2017).

ზოგადად, კოლექტიურ მეხსიერებას გავლენა აქვს ასევე ებრაელების შეხედულებებზე არაბებთან მიმართებაში, კერძოდ გაეროს რეზოლუციისა და შემდგომ უკვე ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შედეგად არაბების მღელვარებამ და მათმა აგრესიულმა ქმედებებმა დაამკვიდრა ებრაელებში აზრი, რომ არაბები იყვნენ მტრები, რომელთაც არ სურდათ ისრაელის სახელმწიფოს არსებობა, ამას არგუმენტირებულად ამყარებდა ომებში არაბების კოალიცია ისრაელის წინააღმდეგ, შესაბამისად, ისრაელში გავრცელებული იყო აზრი, რომ მათ ყველანაირად უნდა დაეცვათ თავიანთი თავი და სახელმწიფოებრიობა. 2008 წლის გამოკითხვის მიხედვით, ებრაელთა 23.8% ფიქრობს, რომ მხოლოდ პალესტინელების არსებითად ძალადობრივი ბუნება განაპირობებს ისრაელის მიმართ აგრესიას, ასევე იგივე რაოდენობა ფიქრობს, რომ ძირითადი მიზეზი სწორედ პალესტინელების ძალადობრივ ბუნებაშია (Nets-Zehngut & Bar-Tal, 2017: 35). 1987 წელს *ინტიფადის* დაწყების მიზეზად, 2008 წელს ებრაელთა 23.6% ასახელებდა პალესტინელთა მხრიდან ისრაელის მიმართ სიძულვილს (Nets-Zehngut & Bar-Tal, 2017: 36). ებრაელების მხრიდან არაბების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ახლაც შესამჩნევია. ასე მაგალითად, 2015 წელს, ისრაელის დემოკრატიულობის ინდექსის მიხედვით, ებრაელების 42% ფიქრობს, რომ ისრაელის მოქალაქე არაბები ისრაელის სახელმწიფოს დაყოფის მომხრე არიან, 39%-ის აზრით ისრაელის მოქალაქე არაბები წარმოადგენენ საფრთხეს, ხოლო 37% ფიქრობს, რომ მთავრობამ უნდა წაახალისოს არაბების ემიგრირება ისრაელიდან (Cohen, 2015). ებრაელთა 57% ეწინააღმდეგება არაბული პარტიების შესვლას სამთავრობო კოალიციაში და ამბობს, რომ ისრაელის უსაფრთხოების (74%), ეკონომიკისა და მართვის (54%) საკითხებს უნდა წყვეტდეს ეთნიკურად ებრაელი უმრავლესობა (Cohen, 2015). ებრაელების უმრავლესობა თვლის, რომ არაბები, მათ შორის ისრაელის მოქალაქე არაბები მხარს უჭერენ თავდასხმებს

ისრაელის სამხედროებსა და პლიციაზე. ასე მაგალითად, ებრაელთა 71% თვლის, რომ პალესტინელების ნახევარი მხარს უჭერს ქალაქ ჰალამიშში თავდასხმას, რომელიც განხორციელდა 2017 წლის 21 ივლისს და რომლის შედეგად დაიღუპა ისრაელის სამი მოქალაქე (The Israel Democracy Institute, 2017). ასევე, ებრაელთა 48%-ს სჯერა, რომ მუსლიმმა რელიგიურმა ლიდერებმა იცოდნენ ალ-აქსას მეჩეთის ახლოს თავდასხმის შესახებ (The Israel Democracy Institute, 2017). არაბების დასაქმებასთან დაკავშირებით, ებრაელების უმრავლესობა თვლის, რომ არ შეიძლება მათი დასაქმება საჯარო სექტორებში და ისეთ სამსახურებში, რასაც კავშირი აქვს სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან, თუმცა, ისრაელის 2014 წლის იანვრის მშვიდობის ინდექსის მონაცემების მიხედვით, ებრაელთა 69% ემხრობა არაბების დასაქმებას საავადმყოფოებში ექიმებად ან მედდებად, ამავე დროს, ებრაელთა 52% ფიქრობს, რომ არ შეიძლება არაბების დასაქმება „სენსიტიურ“ სამუშაო ადგილებზე, მაგალითად როგორიცაა სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან ახლოს მდებარე მშენებლობები (The Peace Index, 2014).

რაც შეეხება სამშვიდობო მოლაპარაკებებზე შეხედულებებს, სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგს მოიტანდა კონკრეტული სამშვიდობო მოლაპარაკება, თუმცა, ყოველთვის, ჩაშლილ მოლაპარაკებებზე მხარეები ერთმანეთს აკისრებდნენ პასუხისმგებლობას. აღნიშნული აზრი, რომ მეორე მხარეა დამნაშავე მოლაპარაკებების ჩაშლაში, ყოველთვის მყარად იყო დამკვიდრებული ადგილობრივ საზოგადოებებში. 2008 წელს ებრაელებში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ებრაელთა 27% თვლის, რომ ისრაელი ძალიან იყო მონდომებული/გულწრფელი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისთვის, ხოლო არაბები საერთოდ არ იყვნენ მონდომებულები, 30.4% თვლის, რომ ისრაელი იყო გარკვეულწილად მონდომებული/გულწრფელი, ხოლო არაბები საერთოდ არ იყვნენ მონდომებულები (Nets-Zehngut & Bar-Tal, 2017: 28). ოსლოს მოლაპარაკებების ჩაშლაზე პასუხისმგებელ მხარედ 2008 წლის გამოკითხვის მიხედვით, ებრაელთა 50.6% თვლის პალესტინურ მხარეს (Nets-Zehngut & Bar-Tal, 2017: 37). მსგავსი ვითარებაა კემპ-დევიდის (2000წ.) მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, კერძოდ ებრაელთა 55.6% თვლის, რომ ბარაკმა

არაფატს შესთავაზა საკმაოდ ნაყოფიერი სამშვიდობო შეთანხმება, მაგრამ არაფატი არ დატანხმდა ამას, რადგან არ სურდა მშვიდობა. (Nets-Zehngut & Bar-Tal, 2017: 38). 2014 წლის იანვარში, ისრაელის დემოკრატიის ინსტიტუტისა (IDI) და თელავივის უნივერსიტეტის მიერ მშვიდობის ინდექსის გამოკითხვის შედეგად ებრაელთა 48% თვლის, რომ მოლაპარაკებების განუახლებლობაზე ძირითადი პასუხისმგებლობა პალესტინურ მხარეს ეკისრება (The Peace Index, 2014). რაც შეეხება სამშვიდობო მოლაპარაკებებს, მშვიდობის ინდექსის 2018 წლის იანვრის მონაცემების მიხედვით, ებრაელთა მხოლოდ 22.8% სრულად მიესალმება სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმართვას, 36.2% - ზომიერად მიესალმება, 16.9% - ზომიერად წინააღმდეგია, ხოლო 16.2% - კატეგორიულად წინააღმდეგია სამშვიდობო მოლაპარაკებების (The Peace Index, 2018), რაც წინა წლის მონაცემების მიხედვით მეტყველებს იმაზე, რომ გაზრდილია სამშვიდობო მოლაპარაკებებზე სკეპტიკოსთა რიცხვი, კერძოდ, წინა წლის მონაცემების მიხედვით, ებრაელების 23.9% - სრულად მიესალმებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებებს, 37.7% - ზომიერად მიესალმებოდა, 17.3% - ზომიერად წინააღმდეგი იყო, ხოლო 15.2% - კატეგორიულად წინააღმდეგი იყო (The Peace Index, 2017). იგივე ტენდენცია შეინიშნება მშვიდობის დამყარების პერსპექტივაზეც, კერძოდ, კითხვაზე: მოიტანს თუ არა ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკებები ამ ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობას მომავალ წლებში მშვიდობის ინდექსის 2017 წლის იანვრის მონაცემებით ებრაელთა 6.4%-ს მტკიცედ სჯეროდა, რომ მოლაპარაკებები მშვიდობის მომტანი იქნებოდა, 17.6%-ს - საშუალოდ სჯეროდა, 33.2 %-ს - საშუალოდ არ სჯეროდა, ხოლო 39.8%-ს - საერთოდ არ სჯეროდა (The Peace Index, 2017). იგივე მონაცემები მშვიდობის ინდექსის უკანასკნელ კვლევაში ასე დაკომპლექტდა: 3.6%-ს მტკიცედ სჯეროდა, რომ მოლაპარაკებები მშვიდობის მომტანი იქნებოდა, 14.3%-ს - საშუალოდ სჯეროდა, 34.7%-ს - საშუალოდ არ სჯეროდა, ხოლო 43.5%-ს - საერთოდ არ სჯეროდა (The Peace Index, 2018).

როგორც უკვე ვახსენე, კოლექტიური მეხსიერების გადაცემისა და გაზიარებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის ასპექტები, რასაც ჰალბვაქსი „მეხსიერების ხატებს“ უწოდებს, ბერკი „მეხსიერების მედიუმებს“, სადაც გამოყოფს გამოსახულებითი ხატების

მნიშვნელობას, პიერ ნორა კი - „მეხსიერების ადილებს/არეებს“, სადაც გამოყოფს ტოპოგრაფიულ არეს (არქივები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები) და მონუმენტურ არეს (საფლავები, ნაგებობები და სხვ). ებრაელების კოლექტიურ მეხსიერებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით მეხსიერების ასეთ „ხატებს“, რადგან აქტიურად არის წარმოჩენილი, როგორც ტოპოგრაფიული არე, ასევე მონუმენტური არე. კარგად თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ მუზეუმების დიდი ნაწილი იერუსალიმშია თავმოყრილი და უმეტესობა მათგანი ისტორიულია. სომბოლური ხასიათის შენობა-ნაგებობებითა და ისტორიული მუზეუმების სიმრავლით ისრაელი მართლაც ერთ-ერთი მრავალფეროვანი სახელმწიფოა პატარა ქვეყნებს შორის. კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნების კუთხით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ისეთი მუზეუმები, როგორიცაა მაგ: ჰოლოკოსტის მუზეუმები (Yad Vashem, Ghetto Fighters' House და სხვ.) კოლექტიური მეხსიერებისთვის ასევე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ სხვა მუზეუმებიც, როგორიცაა *„დავითის კოშკი“* იერუსალიმში, რომელიც ასახავს იერუსალიმის 4 000 წლიან ისტორიას და აქ იმართება სხვადასხვა სახის ფესტივალები და ღონისძიებები; *„დამოუკიდებლობის დარბაზი“* თელ-ავივში, ისტორიული შენობა, სადაც ხელი მოეწერა დამოუკიდებლობის აქტს, დღეს ის მუზეუმად არის ქცეული; ჰერცლის მუზეუმი იერუსალიმში, სადაც აღწერილია თეოდორ ჰერცლის ბიოგრაფია და სიონიზმის ისტორია; ლეჰის მუზეუმი, რომელიც ცნობილია ასევე სახელწოდებით: *„ბაით იაირი“,* აღნიშნული შენობა წარმოადგენს ისრაელის თავისუფლებისთვის მებრძოლი ორგანიზაცია *„ლეჰი“*-ს სამუშაო ადგილს, სადაც მოკლეს ორგანიზაციის ხელმძღვანელი აბრაამ (იაირ) შტერნი, შენობას კვლავ აქვს ნატყვიარევის კვალი ფანჯარაზე შემორჩენილი, მუზეუმში აღწერილია პერიოდი, როდესაც სიონისტური მოძრაობა იბრძოდა გადარჩენისთვის; აღსანიშნავია ასევე *„მიწისქვეშა პატიმრების მუზეუმი“* იერუსალიმში, სადაც დაპატიმრებულები იყვნენ ორგანიზაციების *„ჰაგანა“* -ს (რომლის საფუძველზეც ისრაელის თავდაცვის ძალები შეიქმნა), *„ირგუნ“*-ისა (სიონისტური მოძრაობა, რომელიც მოქმედებდა პალესტინის სამანდატო ტერიტორიაზე 1031-48წწ.) და „ლეჰი“-ს წევრები; მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს ასევე მენაჰემ ბეგინის ცენტრი იერუსალიმში, რომელიც ისტორიულად აღწერს დამოუკიდებლობისთვის

მოპოვებისთვის ბრძოლას, ასევე ის წარმოადგენს კვლევით ინსტიტუტს. მნიშვნელოვანია ასევე ბეგინის პრიზი, რომელიც გადაეცემათ იმ ადამიანებს, ვინც მნიშვნელოვან საქმეს გააკეთებს ისრაელისთვის, ან ებრაელი ხალხისთვის.

კოლექტიური მეხსიერების გავრცელებას ხელს უწყობს ასევე ხელოვნებაც. თითოეულ სფეროში ებრაელებს ძალიან ბევრი ნაწარმოები აქვთ შექმნილი, განსაკუთრებით ომებისა და ებრაელების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სახელმწიფოს შენების თემატიკაზე. ასე მაგალითად, ახალ მიწაზე სახელმწიფოს მშენებლობასა და დაცვაზეა 30-იან 40-იან წლებში დაწერილი სიმღერები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას: *„შირეი ერეც ისრაელ“* (ისრაელის მიწა) და *„შირ ჰაამეკ“* (სიმღერა ისრაელის ველის შესახებ), სხვადასხვა სიმღერა მიეძღვნა ასევე კონფლიქტში მიმდინარე ომებს, ამ მხრივ აღსანიშნავია 1956 წლის მოვლენების და *„6-დღიანი ომი“*-ს შემდგომ დაწერილი სიმღერები, რომლებიც გამოირჩევა საბრძოლო სულისკვეთებითა და გამარჯვებების განდიდებით. ასევე მნიშვნელოვანი როლი იტამაშა ებრაელ ხალხში დოკუმენტური ფილმების სერიამ ომებზე, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოდნენ წლების განმავლობაში ისრაელს არაბული სახელმწიფოები, თუმცა, ისრაელი მაინც გადარჩა და იგერიებს მტრების შეტევებს.

ოფიციალური დოკუმენტებიც უწყობენ ხელს კოლექტიური მეხსიერების განვრცობას. ასე მაგალითად, ისრაელის უსაფრთხოების დოქტრინაში 1948 წლის ომის მიზეზებში აღწერილია, რომ ყველა არაბული სხელმწიფო წავიდა ისრაელის წინააღმდეგ, აქედან ზოგს ჰქონდა იმის შიში, რომ უკან დახევის შემთხვევაში, აღნიშნული სახელმწიფო სხვა არაბების მხრიდან იქნებოდა დისკრედიტირებული. აქვე ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხზეც, რომ ზოგმა არაბულმა სახელმწიფომ თვითონ მოინდომა პალესტინის დაპყრობა, ხოლო 1948 წლის შემდგომ არცერთ არაბულ სახელმწიფოს არ უნდოდა ისრაელის აღიარება. ისრაელისადმი არაბების გრძნობების გამომხატველ მაგალითად მოყვანილია *„სამი არა“*-ს ფაქტი (ისრაელის უსაფრთხოების დოქტრინა, 2014). მნიშვნელოვანია ასევე ისრაელის თავდაცვის ძალების სტრატეგია, რომელიც

ოფიციალურად პირველად გამოქვეყნდა 2015 წელს. აღნიშნულ დოკუმენტში ეროვნულ გეგმებში/მიზნებში ასახულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, მისი საზღვრების და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა; ისრაელის სახელმწიფოს ფასეულობების დაცვა და მისი შენარჩუნება, როგორც ებრაელების სამშობლო, რომელიც არის დემოკრატიული და ებრაული და ასევე ისრაელის რეგიონული და საერთაშორისო სტატუსის გაძლიერება, მეზობლებთან მშვიდობის დამყარებისკენ სწრაფვის მეშვეობით (Belfer Center Special Report, 2016).

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე აშკარაა, თუ რა სახის კოლექტიური მეხსიერებაა ებრაელებში გავრცელებული და საზოგადოების რამდენად დიდი ნაწილი იზიარებს მას. ჩამოთვლილი ფაქტებიდან გამომდინარე ისიც ცხადია, თუ როგორ უწყობს ასეთი კოლექტიური მეხსიერების გავლენას ხელს ე.წ *„მეხსიერების ხატები“*, რომლებიც ებრაელ ხალხში საკმაოდ ბევრია სხვადასხვა სახით. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, თუ რატომ თამაშობს ნეგატიურ როლს ამ სახის კოლექტიური მეხსიერება აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებაში.

6.8.2 არაბების კოლექტიური მეხსიერება კონფლიქტთან დაკავშირებით

პალესტინელების კოლექტიურ მეხსიერებაშიც ყველაზე დიდი როლი ითამაშეს სურათებმა, ანდაზებმა, ლექსებმა, სიმღერებმა და ა.შ, რაც მარტივად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. სწორედ მათ საფუძველზე შეიქმნა პალესტინური კოლექტიური მეხსიერება.

არაბების კოლექტიურ მეხსიერებაში დიდი როლი ითამაშა პალესტინურ-არაბულმა ნაციონალიზმმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ მიწაზე არაბები იმყოფებოდნენ ათასწლეულებზე მეტი ხანია და აღნიშნული ტერიტორია არის არაბების სამშობლო, რომლის გაყოფაც არ უნდა მოხდეს არავის მიმართ. ამაზე დაფუძნებით გაერო-ს 1947წ. რეზოლუცია პალესტინის დაყოფაზე იყო უსამართლო არაბების მიმართ და ითვალისწინებდა მხოლოდ ებრაელების ფაქტორს, რადგან ამ პერიოდში ისრაელის სახელმწიფოს დამკვიდრებაზე აქტიურად მუშაობდა ებრაული ლობი. ამის

დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ აშშ-ის პრეზიდენტის ტრუმენის სიტყვები: *„ბოდიშს ვიხდი ბატონებო, მე უნდა გავცე პასუხი ასობით ათასს, რომელთაც სურთ სიონიზმის წარმატება. მე არ მყავს ასობით ათასი არაბი ჩემს ამომრჩეველს შორის“* (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 464).

თავიდანვე არაბული სამყაროს გამაერთიანებელი ფაქტორი გახდა შიშის სინდრომი, რაც დაკავშირებული იყო პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს წარმოქმნის რეალურ პერსპექტივასთან. იქიდან გამომდინარე, რომ ყველაზე მეტად კოლექტიური მეხსიერება სისტემური სახით პალესტინელებში გვხვდება, ამ ნაწილში უფრო მეტ ყურადღებას გავამახვილებ პალესტინელების კოლექტიურ მეხსიერებაზე. თავიდანვე პალესტინელებიც პოზიცია ითვალისწინებდა ორი ძირითადი პუნქტის შესრულებას: ებრაელთა იმიგრაციის შეწყვეტა პალესტინაში, ერთიანი და განუყოფელი პალესტინური სახელმწიფოს შექმნა მრავალეროვნული მთავრობით პროპორციული წარმომადგენლობის ბაზაზე (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 465). აქედან გამომდინარე, პალესტინელებისთვის ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადება მიიჩნევა გლოვის დღე და საზოგადოებაში დიდწილად არის გაზიარებული ე.წ *Nakba* -ს ნარატივი. აღნიშნული ნარატივი წარმოადგენს პალესტინელების კოლექტიური მეხსიერების ყველაზე ნათელ გამოვლინებას და მკაფიო ნარატივს, რომელიც უცვლელად გადაეცემა თაობიდან თაობას. ყველა პალესტინელისთვის *Nakba* წარმოადგენს მტკივნეულ თემას, რომელიც, მათი აზრით ერთ დღეს აუცილებლად გამოსწორდება, კერძოდ, პალესტინელები ძალიან იმედიანად არიან განწყობილები, რომ ყველა პალესტინელი ლტოლვილი დაუბრუნდება თავის მიწას, რომლიდანაც ოდესღაც განდევნეს. უფროსი თაობის წარმომადგენლები საგულდაგულოდ ინახავენ დოკუმენტებსა და ყველაფერ სხვას, რაც მათ სახლთან, არის დაკავშირებული, რომელიც იძულებით დაატოვებინეს, ზოგიერთ მათგანს შენახული აქვს სახლის გასაღებიც კი (Taffal 2015: 216). სახლებთან ასოცირებული ნივთების შენახვით, ისინი პირველ რიგში, პირობითად ინარჩუნებენ გარკვეულ კავშირს თავიანთ საკუთრებაზე, ხოლო შემდგომ მიზეზს ასევე წარმოადგენს ის, რომ დაბრუნების

შემთხვევაში მათ გააჩნიათ დამატებითი მტკიცებულება, რომ ისინი არიან ამ სახლების რეალური მეპატრონეები.

როგორც უკვე ვახსენე, არაბებისთვის და განსაკუთრებით პალესტინელებისთვის ისრაელის დამოუკიდებლობა წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე არასასურველ მოვლენას. 2014 წელს, გუტმანის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ისრაელის მოქალაქეობის მქონე არაბების 68% არ მიიჩნევს ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს, როგორც დღესასწაულს (Cohen, 2014).

პალესტინელი არაბებისთვის ნებისმიერი სახის კომპრომისი თავიდანვე აღიქმებოდა დანებებად, რაც იმთავითვე გაუმართლებელი იყო. საზოგადოება იზრდებოდა იმ ნარატივით, რომ ებრაელები იყვნენ ოკუპანტი აგრესორები, რომლებმაც პალესტინელებს წაართვეს მიწა, ათასობით ლტოლვილი გააძევეს თავიანთი სახლებიდან, ამიტომაც ნებისმიერი სახის დათმობა ამ საკითხებზე იქნებოდა პალესტინელების ღალატი. აღნიშნული მეხსიერება ნათლად გამოიხატა შემდგომში იმ ლიდერების მკვლელობებში, რომლებიც გარკვეულწილად შეთანხმებებს აწარმოებდნენ ისრაელთან. ასე მაგალითად: 1951წ. ივლისში მოკლეს იორდანიის მეფე აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინი, რომელიც საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ისრაელთან; ასევე სადათის მზადყოფნა ისრაელთან კონსტრუქციულ დიალოგზე და მისი ვიზიტი ისრაელში მწვავედ იქნა აღქმული არაბებში და განსაკუთრებით პალესტინელებში, კემპ-დევიდის შეთანხმების გამო ეგვიპტე გარიცხეს არაბული ლიგიდან, ის აღმოჩნდა პოლიტიკურ იზოლაციაში, ხოლო სადათი 1981წ. 6 ოქტომბერს მოკლეს ტერორისტებმა სამხედრო აღლუმის დროს.

პალესტინელები იწუნებდნენ ისრაელთან ნებისმიერი სახის შეთანხმების გეგმას, რომელიც აღიარებდა ისრაელის სახელმწიფოს, დაწუნებული იყო ის გეგმებიც, რაც თავად არაბული ქვეყნებიდან მომდინარეობდა, ასე მაგალითად 1965წ. ტუნისის პრეზიდენტმა ჰაბიბ ბურღიბას სამშვიდობო ინიციატივა უარყოფილი იქნა ორივე მოწინააღმდეგე მხარის მიერ და არაბულ სამყაროში მას დიდი კრიტიკა მოჰყვა.

1948 წლის ომის შემდეგ არაბებში და განსაკუთრებით პალესტინელებში გაჩნდა „მტრის ხატი“-ს კონცეფცია ისრაელის მიმართ, თუმცა, ომის შემდგომმა მოვლენებმა დარტყმა მიაყენა არაბულ ინტეგრაციას, რაც გამოსწორდა 1967წ. ომის დროს, რადგან მთელ არაბულ სამყაროს ამოძრავებდა რევანშის სურვილი.

ერთი მხრივ არაბული კოლექტიური მეხსიერების გამოძახილი იყო და მეორე მხრივ განამტკიცებდა მას ე.წ *„ინტიფადა“,* იგივე პალესტინური აჯანყება, რომელიც დაიწყო 1987წ. დეკემბერში ლტოლვილთა ბანაკში, ღაზას სექტორში, როდესაც ისრაელის სატვირთო მანქანამ გაიტანა 4 მუშა ღაზადან, მათი დაკრძალვა გადაიზარდა მასობრივ დემონსტრაციებში. არაბებისთვის აღნიშნული წარმოადგენდა იმის დამატასტურებელ ფაქტს, რომ ებრაელები არაფრად აგდებდნენ არაბებს. *„ინტიფადა“-ს* ჰქონდა რამდენიმე ტალღა და ყოველ ჯერზე ისრაელის მხრიდან მკაცრი პასუხი მოსდევდა პალესტინელების დემონსტრაციებს, რაც კიდევ უფრო აღვივებდა დაპირისპირებას. ბოლოს *„ინტიფადა“* უახლოესი თვეების წინ გამოცხადდა, მაშინ, როდესაც ტრამპმა აღიარა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად. აღნიშნულის შედეგად უკვე მრავალი შეტაკება დაფიქსირდა ებრაელებსა და პალესტინელებს შორის, მათ შორის იერუსალიმში.

კომპრომისზე წასვლას არ პატიობდნენ პალესტინელები თავისიანებსაც, ამის გამოხატულება იყო 1988წ. როდესაც, პრეზიდენტმა რეიგანმა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან არსებითი დიალოგის დაწყებისთვის მოითხოვა 3 პირობის შესრულება, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ისრაელის არსებობის უფლების ცნობა. ამ საკითხებზე მოლაპარაკებების დაწყებამ გამოიწვია განხეთქილება თვითონ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შეგნით და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება რადიკალური არაბული რეჟიმების მხრიდან, ამ მხრივ თვითონ პალესტინელებიც კი უპირისპირდებოდნენ იასირ არაფატს.

კოლექტიური მეხსიერების გავლენა იგრძნობოდა მეორე *„ინტიფადა“-ს* დაწყების მიზეზებშიც, როდესაც არიელ შარონმა მაშინდელი ოპოზიციური პარტია *„ლიკუდი“*-ს წევრებთან ერთად, მოინახულა ტაძრის მთა (ალ-ჰარამ აშ-შარიფ), რომელიც მრავალი

საუკუნეა, რაც მუსლიმთა ერთ-ერთ ყველაზე მთავარ სალოცავებს უკავიათ. ებრაელებისთვის ამას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, რადგან ამით შარონმა ანახა, რომ უფლება აქვთ მოინახულონ ისრაელის დედაქალაქის ნებისმიერი ადგილი და ამ ჟესტით მას სურდა ამ ტერიტორიაზე ისრაელის სუვერენიტეტის დადასტურება, ეს ნაბიჯი შარონისთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, მან დიდი სიმპატია დაიმსახურა ისრაელელების მხირდან, რაც შემდგომში დაეხმარა გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი, თუმცა, პალესტინელებისთვის ეს ქმედება ძალიან გამაღიზიანებელი აღმოჩნდა, რადგან ისინი სწორედ შარონს აკისრებდნენ პასუხისმგებლობას ღაზას სექტორში განხორციელებულ რეპრესიებზე, და ლტოლვილთა ბანაკებში პალესტინელთა ხოცვა-ჟლეტაზე. მართალია ვიზიტი დასრულდა სერიოზული ინციდენტის გარეშე, თუმცა, შარონის წასვლის შემდეგ პალესტინელებმა ქვები დაუშინეს ისრაელის თავდაცვის ძალებს და რიგი ქალაქები მოიცვა მასობრივმა არეულობებმა. მეორე ინტიფადის პირველ ექვს დღეში ისრაელის სამხედრო ძალებმა და პოლიციამ მოკლა 61 და დაჭრა 2657 პალესტინელი (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011: 464). აღნიშნულმა მოვლენებმა პალესტინელებში კიდევ უფრო გაზარდა ზიზღი ისრაელის მიმართ.

2007 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, არაბთა 80% მიიჩნევდა, რომ ებრაელებთან შედარებით, ისინი იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი (Schafferman, 2008). ისრაელის დემოკრატიულობასთან დაკავშირებითაც, არაბების 22% თვლიდა, რომ ისრაელის მთავრობა წინააღმდეგია არაბებსა და ებრაელებს გააჩნდეთ თანაბარი უფლებები, ხოლო 24%-ის მიხედვით ისრაელი ეწინააღმდეგება არაბული პარტიების მთავრობაში შესვლას. 46% ამბობს, რომ ადამიანის უფლებები ისრაელში ისე არ არის დაცული, როგორც სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებში (Schafferman, 2008).

როგორც წესი, სხვადასხვა გამოკითხვებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ არაბთა აზრებს, რომლებიც ცხოვრობენ ისრაელში. ისრაელში 2018 წლის იანვარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ისრაელის მოქალაქე არაბების 40% მტკიცედ ემხრობა ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკების წარმოებას (The Peace Index, 2018), თუმცა, 2017 წელს

აღნიშნული მაჩვენებელი წარმოადგენდა 47.7%-ს და ასევე იკლო კატეგორიულად მოწინააღმდეგეთა რაოდენობამაც, კერძოდ თუ 2017 წლის გამოკითხვის შედეგად ის წარმოადგენდა 22.5%-ს (The Peace Index, 2017), 2018 წლის კვლევის მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს - 17.6%-ს (The Peace Index, 2018). კითხვაზე, თუ რამდენად გჯერათ რომ ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკებები მოიტანს მშვიდობას მომავალ წლებში, 2017 წელს ისრაელის მოქალაქე პალესტინელთა 11%-ს მტკიცედ სჯეროდა ამისი (The Peace Index, 2017), რაც მცირედით გაიზარდა 2018 წელს - 13.5% (The Peace Index, 2018), თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე საკითხთან მიმართებაში მკვეთრადაა გაზრდილი სკეპტიკოსთა აზრი, კერძოდ 2017 წელს ისრაელის მოქალაქე არაბთა 39.2%-ს საერთოდ არ სჯეროდა, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებები მოიტანდა მშვიდობას მომავალში, აღნიშნული რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა 2018 წელს და მიაღწია 53.7%-ს (The Peace Index, 2018).

როგორც უკვე ვახსენე, პალესტინელების კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში უფრო მეტად ხელშემწყობი იყო მეხსიერების ვიზუალური ხატები. ამ გზით პალესტინელები უფრო მარტივად ითვისებდნენ და იმახსოვრებდნენ ინფორმაციას. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდგომში ტელევიზიამ, კერძოდ მედიამ, ფილმებმა, სერიებმა და ა.შ. ამ მხრივ აღსანიშნავია პალესტინელების ისტორიის შესახებ არსებული ტელე-სერიალები, მაგ: ერთ-ერთ ასეთ სერიალს წარმოადგენს *"al-Taghreba al-Falastenya",* რომელიც ეხება პალესტინელების ისტორიასა და მასობრივ განდევნას (Taffal 2015: 217).

პალესტინელებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის, კოლექტიური მეხსიერების გაცნობისა და გაზიარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ინტერნეტი. სოციალური ქსელები, სხვადასხვა სახის ინტერნეტ-გვერდები, პროგრამები და ა.შ ბევრი ასეთი საშუალება არსებობს, რასაც ინტერნეტი სთავაზობს ხალხს. პალესტინური კოლექტიური მეხსიერების გამოვლინების საუკეთესო სასუალებაა მაგ: ინტერნეტ-გვერდები: "Palestine Remembered" and "Palestine Facts" (Taffal 2015: 217).

პალესტინელების კოლექტიურ მეხსიერებაში ცალკე უნდა აღინიშნოს ღაზას სექტორში მცხოვრები პალესტინელების მდგომარეობა ამ კუთხით, რადგან მრავალი წლის განმავლობაში *„ჰამასი“* უზრუნველყოფდა მათ განათლებასა და ინფორმირებას. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქმედებებთან ერთად *„ჰამასი“* ეხმარებოდა კიდევაც ბევრ ღაზას სექტორში მცხოვრებ პალესტინელს, რის შედეგადაც მათი სიმპათიაც დაიმსახურა. *„ჰამასი“* ცდილობდა გაეღვივებინა კოლექტიური მეხსიერება პალესტინელებში, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა პალესტინელების თავიანთი მიწიდან გამოდევნასა და ისრაელის სასტიკ ქმედებებზე, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირებოდა. *„ჰამასი“-ს* მთავარ მიზანს წარმოადგენდა გაეცხოველებინა კოლექტიური მეხსიერების შემადგენელი სიძულვილის ნარატივი და გამოეყენებინა ეს ისრაელის წინააღმდეგ. შედეგად, ღაზას სექტორში უფრო მეტად იგრძნობა კოლექტიური მეხსიერების გავლენა და უფრო აგრესიული დამოკიდებულება პალესტინელების მხრიდან ისრაელის მიმართ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კოლექტიური მეხსიერების გავლენამ და სოციალურმა რეპრეზენტაციამ, რომლის მიხედვითაც ებრაელები არიან მტრები, რომლებმაც გააგდეს არაბები თავიანთი მიწიდან, დაისაკუთრეს ის და ახლა კვლავ აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებენ არაბების მიმართ. აღნიშნული ნარატივების განვითარებას ხელი შეუწყო ასევე განვითარებულმა მოვლენებმა და კერძოდ ზოგ შემთხვევაში ისრაელის გადამეტებულმა ქმედებებმა. მაგალიტად უკანასკნელ ხანებში ერთი პერიოდის განმავლობაში დასავლეთ სანაპიროზე ახალშენების გაჩერების გადაწყვეტილება პოზიტიურ პროგნოზებს ქადაგებდა თითქოს, თუმცა, შემდგომში მშენებლობების პროცესის გაგრძელებამ კიდევ ერთხელ განამტკიცა პალესტინელებში ხედვა, რომ ისრაელი რეალურად არაფერს აკეთებს მშვიდობისთვის და განაგრძობს თავის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. პალესტინელების, განსაკუთრებით კი ღაზას სექტორში მცხოვრებლების კოლექტიური მეხსიერება არის ის, რომ ებრაელები ამ მიწაზე ჩამოვიდნენ ევროპიდან და სხვადასხვა ქვეყნებიდან, წაართვეს იქ მცხოვრებ არაბებს საცხოვრებელი მიწები და ნელ-ნელა ეწევიან ექსპანსიონიზმს, შესაბამისად არ შეიძლება მათთან რაიმე ტიპის დათმობა და პოზიციის შერბილება.

7. კოლექტიური მეხსიერებისა და სოციალური რეპრეზენტაციის გავლენა სხვა კონფლიქტებზე

იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ ნაშრომში განხილული იყო მხოლოდ ორი კონფლიქტი, ეს არ ნიშნავს, რომ კოლექტიურ მეხსიერებასა და სოციალური რეპრეზენტაციის თეორიას გავლენა მხოლოდ ამ ორ კონფლიქტზე აქვს, ან მხოლოდ ამ ტიპის კონფლიქტებზე.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ყველა კონფლიქტის დაპირისპირებულ მხარეებში არსებობს ორივე ფაქტორი, თუმცა, ყოველთვის არ არიან ისინი გამოკვეთილნი და წინა პლანზე წამოწეულები.

ირლანდიის კონფლიქტი ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ნეგატიური როლი შეიძლება ითამაშოს კოლექტიურმა მეხსიერებამ და სოციალურმა რეპრეზენტაციამ, კერძოდ აღნიშნული კონფლიქტი დღეს დღეისობით ითვლება ასე თუ ისე მოგვარებულ კონფლიქტად, თუმცა, იქ კვლავ შეინიშნება კოლექტიური მეხსიერების როლი, კერძოდ ერთმანეთისგან კედლით გამოყოფილი სახლები ამის ყველაზე კარგი ილუსტრაციაა. სოციალური რეპრეზენტაციის გამოხატულება იყო პროტესტანტების უფლება ჩაეტრებინათ ე.წ *"Orange Day Parades",* რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო მათთვის, ვინაიდან კათოლიკეებზე დომინირებას გამოხატავდა. პროტესტანტებისა და კათოლიკეების სოციალური რეპრეზენტაცია ერთმანეთის მიმართ იყო ნეგატიური, რაც მუდმივად იწვევდა არეულობებს და აჭიანურებდა კონფლიქტის მოგვარებას. კოლექტიური მეხსიერების შემადგენელი სიძულვილის ნარატივები იმდენად იყო გამჯდარი საზოგადოებაში, რომ ძალიან

იშვიათად და მცირე რაოდენობით, თუმცა, დღესაც შეიმჩნევა ინდივიდებს შორის დაპირისპირებები ამ საფუძველზე.

ზოგადად რომ შევაფასოთ, აღნიშნული ცნებების როლი შესაძლოა ვიპოვოთ სხვა კონფლიქტებშიც და დაპირისპირებებშიც რომელსაც ადგილი აქვს ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ჯგუფებს შორის. კოლექტიური მეხსიერების კვალი შეინიშნება ასევე სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ თუ ლინგვისტურ ჯგუფებზე, რომელთაც სურთ გამოყოფა კონკრეტული სახელმწიფოსგან. თუმცა, ამ თემაში არ ვამტკიცებ, რომ კოლექტიურ მეხსიერებასა და სოციალურ რეპრეზენტაციას ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა კონფლიქტების წამოწყებასა და გაჭიანურებაში ან მათ მოუგვარებლობაში. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში არსებობს სხვა რიგი ფაქტორებიც, მაგ: მხარეების უუნარობა; მესამე ძალის/მხარის ჩართულობა კონფლიქტში; სხვადასხვა აქტორები, რომლებიც დესტაბილიზაციას იწვევენ და ა.შ.

8. დასკვნა

კოლექტიური მეხსიერება დიდ როლს თამაშობს პატარა ქვეყნებში, რადგან ხშირად სწორედ მასზეა აგებული სახელმწიფოებრიობისთვის მნიშვნელოვანი ნატარივები, ასევე ნაციონალიზმის ძირითადი პოსტულატები ხშირად სწორედ კოლექტიური მეხსიერების ნარატივებიდანაა შექმნილი. კოლექტიურმა მეხსიერებამ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა პატარა სახელმწიფოებში დამოუკიდებლობის გზაზე და ამ მხრივ, სომხეთი და აზერბაიჯანი კარგ მაგალითს წარმოადგენენ. მთლიანად კოლექტიურ მეხსიერებას დაეფუძნა ასევე ისრაელის სახელმწიფოს შექმნა.

აღნიშნული კონფლიქტების მხარეებისთვის დამახასიათებელია ბერკის 5 ძირითადი მედიუმი და ასევე ნათლად ჩანს ნორას „მეხსიერების არეები“. აღნიშნულ სახელმწიფოებში ნათლად ვხვდებით კოლექტიური „მეხსიერების ხატებს“, რომლებიც გამოხატულია ისეთ საკითხებში, როგორიცაა დოკუმენტები, საჯარო გამოსვლები, მონუმენტები, შენობა-ნაგებობები და ა.შ. განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული სახელმწიფოების საზოგადოებაზე დიდი გავლენა აქვს კოლექტიურ მეხსიერებას, რაც განაპირობებს მათ სოციალურ რეპრეზენტაციას. ეს გავლენა გამოიხატება არა მარტო პოლიტიკურ საკითხებში, არამედ სხვა ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ქორწინება, სპორტი, ბიზნეს-საქმიანობა.

სოციალური რეპრეზენტაციის თეორიის მიხედვით, სოციალური რეპრეზენტაცია გამოიხატება სხვადასხვა სახით, მათ შორის კულტურული, ისტორიული და ა.შ კონტექსტითაც. თემაში აღნიშნული საელმწიფოების მაგალითებით საკმაოდ ნათელია თეორიის აღნიშნული პოსტულატი, რადგან აზერბაიჯანის, სომხეთის, ებრაელებისა და

არაბების სოციალური რეპრეზენტაცია გამოიხატება თითქმის ყველა კონტექსტში. ამის დამადასტურებელია პირველ რიგში დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან (პოლიტიკური კონტექსტი), დამთავრებული სპორტული შეჯიბრებებითა და მუსიკალური კონკურსებით (კულტურული კონტექსტი). სოციალური რეპრეზენტაციის თეორიის მიხედვით ტრადიციული შეხედულებები ქმნის დაძაბულობას საზოგადოებას შორის. აღნიშნული ტრადიციული შეხედულებებისგანაა მეტწილად შემდგარი მხარეების კოლექტიური მეხსიერება, რომელიც ხელს უშლის მათ მოლაპარაკებების წარმოებაში, რადგან თითოეულ მხარეს გააჩნია ურყევი პოზიცია და კომპრომისი მათი მხრიდან, ისევე როგორც მათი საზოგადოების მხრიდან ითვლება, დანებებად და საბოლოო პერსპექტივაში აღნიშნული მხარის სისუსტედ.

სოციალური რეპრეზენტაციის თეორიის მიხედვით, რეპრეზენტაცია პირობითობას ანიჭებს პერსონებსა და მოვლენებს, რომელთაც ადამიანები აძლევენ სპეციფიკურ სახეს. აღნიშნულ კონფლიქტებში კოლექტიური მეხსიერების გავლენის საფუძველზე, დაპირისპირებულ საზოგადოებებს აქცევს მტრების კატეგორიაში, ასევე კონფლიქტსაც ანიჭებს სპეციფიკურ სახეს, სადაც საკმაოდ უარყოფითი კატეგორიზაცია აქვს მინიჭებული მოწინააღმდეგე მხარეს. თეორიის მიხედვით არსებობს *დაკავშირებისა* და *ობიექტივირების* მექანიზმები, რომელთა მეშვეობით სიახლეები და უცნობი მოვლენები გადაიქცევიან უკვე კარგად ნაცნობ მოვლენებად. ამ მექანიზმებს დღემდე აქტიურად იყენებენ აღნიშნულ კონფლიქტებში მონაწილე მხარეები, რადგან ისინი ყოველ სიახლეს კონფლიქტთან მიმართებაში აქცევდნენ კოლექტიური მეხსიერების ჭრილში და წარმოაჩენდნენ მათთვის ხელსაყრელი სახით. აღნიშნული თეორიის მიხედვით, სოციალური რეპრეზენტაცია ქმნის რეალობას სოციალური ჯგუფისთვის და ინდივიდებიც აღნიშნულ ჯგუფებში მოქმედებენ ამ რეალობის შესაბამისად, ანუ მათი ყველა ქმედება აღნიშნული სოციალური რეალობის შესაბამისია. თემაში მოყვანილ კონფლიქტებში, დაპირისპირებული მხარეების საზოგადოებებიც სწორედ ასე მოქმედებენ.

აღნიშნულ კონფლიქტებში მხარეებში არსებული კოლექტიური მეხსიერება და სოციალური რეპრეზენტაცია ნეგატიურ როლს თამაშობს კონფლიქტების მოგვარებაში, რადგან კოლექტიურმა მეხსიერებამ განაპირობა აღნიშნულ კონფლიქტებში დაპირისპირებულ საზოგადოებებს შორის სიძულვილის ნარატივის საფუძვლიანად დამკვირდრება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ სოციალურ რეპრეზენტაციაზე და კონფლიქტთან დაკავშირებით მათ დამოკიდებულებაზე.

9. გამოყენებული ლიტერატურა

- 62% of Jewish Public: Holding onto Territories in Judea, Samaria Not An Occupation. (2017, June 04). ხელმისაწვდომია: https://en.idi.org.il/press-releases/15728 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Abasov, A. & Khachatrian, H. (2006). The Karabakh Conflict Variants of settlement: Concepts and reality. Third edition. *Areat Noyan Tapan.* ხელმისაწვდომია: https://www.ca-c.org/dataeng/books/book-1/Abaso_Khachatrian.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Angéle Karanian, E. (2006). Roots & Routes, The Origin and Development of Diasporan Armenian Collective Memory. ხელმისაწვდომია: https://dspace.fandm.edu/bitstream/handle/11016/770/Karanian.pdf?sequence=5 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Armenian Sociological Association. (2007). Armenia National Voter Study. 29-32. ხელმისაწვდომია:http://www.iri.org/sites/default/files/2007%20September%2017%20Survey%20of%20Armenian%20Public%20Opinion,%20July%205-12,%202007.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Bar-Tal, D. (2011). *Intergroup conflicts and their resolution: a social psychological perspective*. New York: Psychology Press.
- Bauer, M. and G. Gaskell (1999) 'Towards a Paradigm for Research on Social Representations', *Journal for the Theory of Social Behaviour* 29(2): 163-186.

- BBC. Armenia pulls out of Azerbaijan-hosted Eurovision show. (2012, March 07). ხელმისაწვდომია: http://www.bbc.com/news/world-europe-17292360 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- BBC. Ethiopian runner makes protest sign as he crosses line in Rio. (2016, August 21). ხელმისაწვდომია: http://www.bbc.com/news/world-africa-37150673 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Bourke, J. (1980). The self: Measurement Implications from a Symbolic Interactions perspective. *Social Psychology Quarterly.*
- Brescó, I., & Wagoner, B. (2016). Conflict and Memory: *The Past in the Present. Peace and Conflict: Journal of Peace Psychology.* Vol. 22, No. 1. 3– 4. ხელმისაწვდომია: https://www.apa.org/pubs/journals/features/pac-pac0000147.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Broers, L. (2016). The Nagorny Karabakh Conflict Defaulting to War. *Chatham House, the Royal Institute of International Affairs.* ხელმისაწვდომია: https://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/publications/research/NK%20paper%2024082016%20WEB.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Caucasus Barometer. (2011). Caucasus Barometer 2011 Azerbaijan. *Caucasus Research Resource Centers (CRRC).* ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/en/cb2011az/codebook/ [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Caucasus Barometer. (2012). Caucasus Barometer 2012 Armenia. *Caucasus Research Resource Centers (CRRC).* ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/en/cb2012am/codebook/ [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Caucasus Barometer. (2012). Caucasus Barometer 2012 Azerbaijan. *Caucasus Research Resource Centers (CRRC).* ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/en/cb2012az/codebook/ [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].

- Caucasus Barometer. (2013). Caucasus Barometer 2013 Armenia. *Caucasus Research Resource Centers (CRRC).* ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/en/cb2013am/codebook/ [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Caucasus Barometer. (2013). Caucasus Barometer 2013 Azerbaijan. *Caucasus Research Resource Centers (CRRC).* ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/en/cb2013az/codebook/ [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Caucasus Barometer. (2015). Caucasus Barometer 2015 Armenia. *Caucasus Research Resource Centers (CRRC).* ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/en/cb2015am/codebook/ [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Caucasus Barometer. (2017). Caucasus Barometer 2017 Armenia. *Caucasus Research Resource Centers (CRRC).* ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/en/cb2017am/codebook/ [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Cohen, M. C. (2014, May 04). Israeli Public Opinion: Is Israel Independence Day a Holiday? ხელმისაწვდომია: https://en.idi.org.il/articles/6473 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Cohen, M. C. (2015, December 17). Israeli Public Divided Over Trust for Arab Citizens. ხელმისაწვდომია: https://en.idi.org.il/articles/3734 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- DE WAAL, T. (2003). *Black Garden: Armenia and Azerbaijan through Peace and War*. New York; London: NYU Press. ხელმისაწვდომია: http://www.jstor.org/stable/j.ctt9qg51h [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Eurovision organisers respond to media reports on voting. (2018). ხელმისაწვდომია: https://eurovision.tv/story/eurovision-organisers-respond-to-media-reports-on-voting [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Garagozov, R. (2005b). Collective Memory and Memory Politics in the Central Caucasian Countries. *Central Asia and Caucasus*, No. 36(2005, No. 6) pp.51-60.
- Garagozov, R. (2006). Collective Memory in Ethnopolitical conflicts: The case of Nagorno-Karabakh. *Central Asia and the Caucasus*, No.41 (2006, No.5), pp.145-155.

- Garagozov, R. (2015). Painful Collective Memory: Measuring Collective Memory Affect in the Karabakh Conflict. *Peace and Conflict: Journal of Peace Psychology.* 1-8. ხელმისაწვდომია:http://sam.az/uploads/PDF/Painful%20collective%20memory%20Measuring%20collective%20memory%20affect%20in%20the%20Karabakh%20conflict.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Garagozov, R. (2016). Collective Memory: How Collective Representations About the Past Are Created, Preserved & Reproduced. *Nova Science Publishers Inc.*
- Gedi, N., & Elam, Y. (1996). Collective Memory — What Is It? *History and Memory, 8*(1), 30-50. ხელმისაწვდომია: http://www.jstor.org/stable/25618696 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018]
- Hakoköngäs, E. (2017). Visual Collective Memory a Social Representation Approach. *University of Helsinki.* ხელმისაწვდომია: https://helda.helsinki.fi/bitstream/handle/10138/197450/VISUALCO.pdf?sequence=1 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Halbwachs, M. (1925). Les Cadres sociaux de la memoire. ხელმისაწვდომია: http://classiques.uqac.ca/classiques/Halbwachs_maurice/cadres_soc_memoire/cadres_sociaux_memoire.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Halbwachs, M. (1950/1992). On Collective Memory. *Trans. and ed. Lewis A. Coser. Chicago: University of Chicago Press.*
- Hardy, C. (2016, May 12). Armenia faces Eurovision ban for flag-waving. Retrieved February. ხელმისაწვდომია: http://www.euronews.com/2016/05/12/armenia-faces-eurovision-ban-for-flag-waving [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Hobsbawm, E. and Terence R. eds. (1992). *The Invention of Tradition.* Cambridge, U.K. and New York: Cambridge University Press.
- Höijer, B. (2011). Social Representations Theory A New Theory for Media Research. *Nordicom Review* 32. 3-16.

- International Law & World Order: Westons & Carlsons Basic Documents I.D.10i Lisbon Document 1996 (3 December 1996). (n.d.). *International Law & World Order: Westons & Carlsons Basic Documents.*
- Jose Morigi, V. & Pires Vieira da Rocha, C. & Semensatto, S. (2012). Memory, Social Representation and Immaterial culture. *Morpheus - Revista Eletrônica em Ciências Humanas.* No.14. 193-202. ხელმისაწვდომია: http://www4.unirio.br/morpheusonline/numero14-2012/artigos/waldir_Ig.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Jovchelovitch, S. (2012). Narrative, memory and social representations: A conversation between history and social psychology. *Integrative Psychological and Behavioral Science*, 46, 440–456.
- Judo Diplomacy?: Armenian organizers raise flag, play anthem for Azeri judokas in Yerevan - Sports. (n.d.). ხელმისაწვდომია: https://www.armenianow.com/news/10444/judo_diplomacy_armenian_organizer [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Kansteiner, W. (2002). Finding Meaning in Memory: A Methodological Critique of Collective Memory Studies. *History and Theory, 41*(2), 179-197. ხელმისაწვდომია: http://www.timeandspace.lviv.ua/files/session/Kansteiner_theory_113.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018]
- Kempe, I. (2013). The South Caucasus Between The EU and The Eurasian Union. *Caucasus Analytical Digest.* No. 51–52. ხელმისაწვდომია: http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CAD-51-52.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Keynan, I. (2014). Between Past and Future: Persistent Conflicts, Collective Memory, and Reconciliation. *International Journal of Social Sciences*, III(1). 19-28. ხელმისაწვდომია: https://www.uml.edu/docs/keynan%20article_tcm18-167331.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].

- Khalidi, R. (1997). Palestinian Identity: The Construction of Modern National Consciousness. *Columbia University Press.*
- László, J. (1997). Narrative organisation of social representations. *Papers on Social Representations*, 6, 155–172.
- László, J. (2008). *The science of stories: An introduction to narrative psychology*. London, United Kingdom: Routledge.
- Lippman, W. (1998) Public Opinion. New Brunswick: Transaction Publishers (first published in 1922).
- Marková, I. (2003). Dialogicality and social representations: the dynamics of mind. *Cambridge, United Kingdom: Cambridge University Press*.
- Military Doctrine of the Republic of Azerbaijan. (2012, November 03). ხელმისაწვდომია: https://azdoctrine.wordpress.com/2012/11/03/military-doctrine-of-the-republic-of-azerbaijan/ [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Monthly Peace Index Poll. (2014, December 09). ხელმისაწვდომია: https://en.idi.org.il/press-releases/12778 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Moscovici, S. (1961). *La psychanalyse, son image et son public: Étude sur la représentation sociale de la psychanalyse.* Paris, France: Presses universitaires de France.
- Moscovici, S. (1973). Foreword. In C. Herzlich (Ed.), *Health and illness: A social psychological analysis* (pp. ix–xiv). London: Academic Press.
- Moscovici, S. (1981). On social representations. In J. P. Forgas (Ed.), *Social cognition. Perspectives on everyday understanding* (pp. 181–209). London: Academic Press.
- Moscovici, S. (1984). The Phenomenon of social representations. In S. Moscovici & R. Farr (Eds.), *Social representations* (pp.3–55). Cambridge, United Kingdom: Cambridge University Press.
- Moscovici, S. (1988). Notes towards a description of social representations. *European Journal of Social Psychology*, 18, 211–250.

- Moscovici, S.(1993) The Invention of Society. Psychological Explanations to Social Phenomena. *Cambridge, UK: Polity Press.*
- National Security Concept of the Republic of Azerbaijan. (2007). ხელმისაწვდომია: https://www.files.ethz.ch/isn/154917/Azerbaijan2007.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- National Security Strategy of the Republic of Armenia. (2007). ხელმისაწვდომია: http://www.mfa.am/u_files/file/doctrine/Doctrineeng.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- National Solidarity as Reflected in Public Opinion Polls. (2008, May 04). ხელმისაწვდომია: https://en.idi.org.il/articles/9623 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Nets-Zehgnut, R. (2014). The Israeli and Palestinian Collective Memories of their conflict: Determinants, Characteristics and Implications. *Brown Journal of World Affairs.* Volume XX, Issue II. 103-121. ხელმისაწვდომია: https://www.brown.edu/initiatives/journal-world-affairs/sites/brown.edu.initiatives.journal-world-affairs/files/private/articles/Nets_GALLEY.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Nets-Zehngut, R. & Bar-Tal, D. (2017). The Israeli-Jewish Collective Memory of the Israeli-Arab/Palestinian Conflict – Findings of a Representative Public Survey Regarding 23 Major Topics. ხელმისაწვდომია: file:///C:/Users/m.dalakishvili/Downloads/NetsBar-Tal-IsraelimemorysurveyEnglish-June182017.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Nets-Zehngut, R. (2013). Major events and the collective memory of conflicts. *International Journal of Conflict Management*, Vol. 24 Issue: 3. 209-230. ხელმისაწვდომია: http://www.emeraldinsight.com/doi/pdfplus/10.1108/IJCMA-06-2012-0052 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Nora, P. 1989. Between Memory and History: Les Lieux de Mémoire. *Representations* 26 (Spring): 7–25.
- OSCE (1996). Lisbon Document. ხელმისაწვდომია: http://www.osce.org/mc/39539?download=true [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Paez R. D. and Hou-fu Liu J. (2016). Collective Memory of Conflicts. 105-124. ხელმისაწვდომია:https://www.researchgate.net/publication/300777905_The_Collective_R

emembering of Conflict and Its Role in Fueling an Ethos of Conflict in Society [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].

- Pickering, M. (2001) Stereotyping. The Politics of Representation. Houndsmills: Palgrave
- Plesner, Y. (2017, June 04). How Israeli Society Has Changed Since The Six-Day War. ხელმისაწვდომია: https://en.idi.org.il/articles/15731 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- POLL: Arabs Prefer to Live in Israel. (n.d.). (2017). ხელმისაწვდომია: http://www.israeltoday.co.il/NewsItem/tabid/178/nid/32520/Default.aspx [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Quandt, W. (2005). Peace Process: American Diplomacy and the Arab-Israeli conflict since 1967. *University of California.*
- R. (2009, August 24). Azerbaijani Authorities Interrogate Music Fan Over Armenia Vote. ხელმისაწვდომია: https://www.rferl.org/a/1800013.html [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Rainbow, J. (2015, April 22). Armenia and Azerbaijan pairing was the last thing UEFA wanted. ხელმისაწვდომია: http://www.worldsoccer.com/news/armenia-and-azerbaijan-pairing-was-the-last-thing-uefa-wanted-344249 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Schafferman, K. T. (2008, May 04). Arab Identity in a Jewish and Democratic State. ხელმისაწვდომია: https://en.idi.org.il/articles/10293 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Schwartz, B. (1996). Memory as a cultural system: Abraham Lincoln in World War II. *American Sociological Review*, 61, 908–927.
- Shlaim, A. (2000). The Iron Wall: Israel and Arab world. *W. W Norton and Co.2000.*
- Survey: 56% of Jews Think Most Arab Citizens Support Temple Mount Attack. (2017, August 02). ხელმისაწვდომია: https://en.idi.org.il/articles/17558 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- The Israel democracy Institute & Guttman Center. (2014). The Peace Index 2014. ხელმისაწვდომია: http://www.peaceindex.org/indexYearsEng.aspx?num=21 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].

- The Israel democracy Institute & Guttman Center. (2017). The Peace Index 2017. ხელმისაწვდომია: http://www.peaceindex.org/indexYearsEng.aspx?num=25 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- The Israel democracy Institute & Guttman Center. (2018). The Peace Index 2018. ხელმისაწვდომია: http://www.peaceindex.org/indexYearsEng.aspx?num=26 [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Tileagă, C. (2009). The social organization of representations of history: The textual accomplishment of coming to terms with the past. *British Journal of Social Psychology*, 48, 337–355.
- Voelklein, C. & Howarth, C. (2005). A Review of Controversies about Social Representation Theory: A British Debate. *British Journal of Social Psychology.* 11(4). 431-454. ხელმისაწვდომია: http://eprints.lse.ac.uk/2439/1/__Libfile_repository_Content_Howarth%2C%20C_A%20review%20of%20controversies%20about%20social%20representations%20theory_A%20review%20of%20controversies%20about%20social%20representations%20theory%20%28LSE%20RO%29.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Wagoner, B. & Brescó, I., (2016). Conflict and Memory: *The Past in the Present. Peace and Conflict: Journal of Peace Psychology.* Vol. 22, No. 1, 3– 4. ხელმისაწვდომია: https://www.apa.org/pubs/journals/features/pac-pac0000147.pdf [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].
- Wagoner, B. (2015). Collective remembering as a process of social representation. In G. Sammut, E. Andreouli, G. Gaskell & J. Valsiner (Eds.), *The Cambridge handbook of social representations* (pp. 143–162). Cambridge, United Kingdom: Cambridge University Press.
- West, H. (2018). Winter Olympics 2018: A united Korea lights up opening ceremony. ხელმისაწვდომია: http://www.sportingnews.com/athletics/news/winter-olympics-2018-opening-ceremony-north-south-korea-flag/ybocmsxadgkmzzhzwi3sl3nk [ბოლოს ნანახია: 12.02.2018].

- Wright, J. D. (2015). *International encyclopedia of the social & behavioral sciences* (2nd Edition). Burlington: Elsevier Science.
- Ziyadov, Taleh 2010: Nagorno-Karabakh Negotiations: Through the Prism of a Multi-Issue Bargaining Model, in International Negotiations, 15, 107-131.
- გაჩეჩილაძე, რ. (2011). ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. *ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.* მესამე გადამუშავებული გამოცემა. 369-430.
- გერიგი, ზიმბარდო (2009). *ფსიქოლოგია და ცხოვრება*, მე-16 გამოცემა. თსუ, თბილისი.
- მალაშხია, შ. (2011). კონფლიქტების ანატომია. *გამომცემლობა „ფორმა“.* 162-198.
- სანიკიძე, გ. & ალასანია, გ. & გელოვანი, ნ. (2011). ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 454-507.
- ჰერცოგი, ხ. (2007). ისრაელ-არაბების ომები. *ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.*

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Dalakishvili

THE ROLE OF THE COLLECTIVE MEMORY IN RESOLVING CONFLICTS OF SMALL STATES

Diplomacy and International Policy

Master Thesis is prepared to obtain a Master Degree in Diplomacy and International Policy

Master Thesis Supervisor: Tornike Turmanidze
Doctor of International Relations, Associate Professor

Tbilisi, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ გიგაური

კიბერუსაფრთხოების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში: კიბერუსაფრთხოების გავლენა ნატოს დღის წესრიგის ტრანსფორმაციაზე

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ეკა აკობია
ასოცირებული პროფესორი
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

თბილისი, 2018

ანოტაცია

კიბერსივრცე გახდა ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი თანამედროვე ცხოვრების. ინტერნეტქსელის გაჩენამ და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებამ მსოფლიოში თამაშის ახალი წესები დაამკვიდრა. კიბერუსაფრთხოება კი წარმოადგენს ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კიბერუსაფრთხოების უმთავრესი საკითხები პირდაპირ დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს კიბერ-უსაფრთხოების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. კონკრეტულად, რა განაპირობებს დღევანდელ გლობალურ არენაზე კიბერუსაფრთხოების საკითხის დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დაყენებას და რა გავლენის მოხდენა შეუძლია კიბერ-უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე მოვლენებს მთლიან საერთაშორისო სისტემაზე?

ნაშრომში არსებული საკვლევი კითხვის შესაწავლა წარმოებს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მაგალითზე, კერძოდ, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კიბერუსაფრთხოებას ნატოს ძირითად დღის წესრიგში და რა გავლენას ახდენს კიბერ სივრციდან წარმოშობილი გამოწვევები ნატოს მისიასა და ძირითად ამოცანებზე? დასმულია საკვლევი კითხვა: როგორ შეცვალა კიბერუსაფრთხოების გამოწვევებმა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დღის წესრიგი 2002-2017 წლებში? წარმოდგენილია კვლევის მთავარი ჰიპოთეზა: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ნატოს სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა მოწყვლადი გახადა თანამედროვე გამოწვევების წინაშე და ალიანსის ძირითადი ამოცანების ტრანსფორმაცია განაპირობა. რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, მონოგრაფიულ გამოკვლევასთან ერთად გამოყენებულია კონტენტ და დისკურს ანალიზის მეთოდები. ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ლიბერული ინსტიტუციონალიზმი და ურთიერთდამოკიდებულების ლიბერალური თეორია.

ვფიქრობ, ნაშრომი სასარგებლო იქნება საერთაშორისო ურთიერთობებში კიბერ-სივრცისა და კიბერუსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის, და მათთვის, ვინც იკვლევს ნატოს განვითარების საკითხებს.

Abstract

Cyberspace has become an intrinsic feature of the modern world. The creation of the Internet and the rapid development of information and communication technologies resulted in dramatic changes in terms of new rules, practices and patterns of behaviour that were adopted in International Relations. It is worth mentioning that Cyber Security is one of the most serious global challenges of the past decade. In fact, the issue gains more significance due to further technological developments. The research intends to assess the impact and influence of Cyber Security on the International Relations; more precisely, it delves into factors that make Cyber issues top priority of states' agenda. Moreover, the paper examines how changes in the field of Cyber Security may affect whole International system.

The research is based and conducted on the example of the North Atlantic Treaty Organization; in particular, how important is the Cyber Security on NATO's main agenda and how does the challenges generated by the cyber space affect NATO mission and key tasks? The main research question is how Cyber Security challenges determined and changed the agenda of the North Atlantic Treaty Organization for 2002 – 2017 years. The paper testifies following hypothesis: The development of information and communication technologies has made NATO's military-political stability vulnerable to modern security challenges and has transformed the main tasks of the alliance.

As for methodology, the research work uses qualitative methods, based on analysis of relevant sources, research papers, academic journals, official government documents and etc. In order to make profound assessment the methods of content and discourse analysis will be used as well.

Regarding the theoretical framework the research relies on Liberal Institutionalism and Liberal Theory of Interdependence.

The given research can be particularly useful for scholars who are interested in cyberspace and Cyber Security issues and for those who deal with NATO development issues.

სარჩევი

1. შესავალი 6
   1.1. საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა 8
   1.2. კვლევის მეთოდოლოგია 12
2. ოპერაციონალიზაცია: როგორ განვსაზღვოთ „კიბერუსაფრთხოება“ 13
3. ნატო, კიბერუსაფრთხოება და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება 18
   3.1. კიბერუსაფრთხოების სფეროში ნატოს ევოლუცია 2002-2017 წლებში და ალიანსის დღის წესრიგის ტრანსფორმაცია 23
   3.2. რა გავლენა მოახდინა მოახდინა 2007 წელს განხორციელებულმა კიბერ-თავდასხმამ ესტონეთის ტრანსფორმაციაზე? 27
   3.3. კიბერ-ომი საქართველოს წინააღმდეგ 32
   3.4. 2017 წლის მნიშვნელოვანი კიბერ-თავდასხმები 34
4. კიბერუსაფრთხოება და ალიანსის სწრაფად ცვლალებადი სამხედრო-პოლიტიკური გარემო 36
   4.1. ნატოს მიდგომა კიბერ-თავდაცვის მიმართულებით 37
   4.2. ნატოს კიბერუსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობები 38
   4.3. თანამშრომლობა პარტნიორებთან 40
5. ლიტერატურის მიმოხილვა 42
6. თეორიული ჩარჩო 46
7. კიბერუსაფრთხოების გამოწვევები და ნატოს ტრანსფორმაციის უნარი - არის თუ არა ნატოს დღევანდელი როლი და აქტივობები საკმარისი? 51
8. დასკვნა 55
9. ბიბლიოგრაფია 60
10. დანართი 63

1.შესავალი

წინამდებარე ნაშრომის კვლევის სფეროს წარმოადგენს კიბერსივრცე, კონკრეტულად, ბოლო ორი ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა - კიბერუსაფრთხოება. კიბერუსაფრთხოების როლსა და მნიშვნელობაზე საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი დებატები მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში აღნიშნული საკითხის მიმართ ინტერესი და კვლევები საგრძნობლად გაიზარდა, პრობლემა სხვა საკითხებთან შედარებით ახალია და ნაკლებად არის შესწავლილი.

კიბერსივრცე გახდა ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი თანამედროვე ცხოვრების. ინტერნეტქსელის გაჩენამ და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებამ მსოფლიოში თამაშის ახალი წესები დაამკვიდრა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კიბერუსაფრთხოების უმთავრესი საკითხები პირდაპირ კავშირშია ტექნოლოგიების განვითარებასთან. კიბერ-საფრთხეები და თავდასხმები უფრო და უფრო გავრცელებულ, დახვეწილ და საზაიანო ხასიათს იძენენ.

როგორც უკვე აღვნიშნე, კიბერსივრციდან მომდინარე გამოწვევებმა შეცვალა არამარტო ჩვეულებრივი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება, არამედ სახელმწიფოებისა თუ ორგანიზაციების დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. კიბერ-გამოწვევების აქტუალურობა პირდაპირ დაკავშირებულია ტექნოლოგიურ განვითარებასთან. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ინტერნეტის ქსელის გაჩენამ და ტექნოლოგიების განვითარებამ კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული მსოფლიო ერთმანეთზე კიდევ უფრო გადააჯაჭვა. ცალსახაა, რომ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ჩვენი ცხოვრება უფრო გაამარტივა, გააადვილა საკომუნიკაციო ტრანზაქციები, მანძილისა და დროის ფაქტორი შეამცირა და, ერთი შეხედვით, ყველას

კეთილდღეობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. თუმცა, მეორე მხრივ, აშკარად უფრო დიდი პრობლემებიც ჩანს. ციფრულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულებამ როგორც ინდივიდები, ასევე ორგანიზაციები და რაც მთავარია, სახელმწიფოები უფრო მოწყვლადები გახადა ელექტრონული სივრციდან მომდინარე გამოწვევების წინაშე. უამრავ დადებით ფაქტორთან შედარებით, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მრავალი პრობლემა და საშიშროება შესძინა კაცობრიობას (ამის დასამტიკცებლად, წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე მაგალითს განვიხილავთ და გავაანალიზებთ).

დღეს სახელმწიფოები კიბერ-ტექნოლოგიებს ისეთივე ლეგიტიმურ და საჭირო ნაწილად განიხილავენ თავიანთი სტრატეგიული ინსტრუმენტების ყუთში, როგორც დიპლომატიას, ეკონომიკურ სიძლიერესა და სამხედრო შესაძლებლობებს. ინტერნეტმა და კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა ძალის ცენტრების უპრეცენდენტო ცვლილება გამოიწვია და ხელი შეუწყო ახალი საომარი სივრცის წარმოქმნას. შესაბამისად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს საერთაშორისო გამოწვევას.

განსაკუთრებით ბოლო ათწეულია, რაც მსოფლიო ახალი საშიშროებებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კიბერუსაფრთხოება კი ერთ-ერთი ასეთი გამოწვევაა და აღნიშნულ სფეროში თანამშრომლობის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა. მრავალი პოლიტიკური საკითხი ჩართულია კიბერუსაფრთხოებაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, სადაც უკვე ძალიან შეამჩნევად არის გაზრდილი და კიდევ უფრო გაიზრდება მისი მნიშვნელობა. სწორედ საკითხის ასეთი აქტუალურობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, რომ კვლევა მეწარმოებინა კიბერუსაფრთხოების ირგვლივ.

1.1. საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა

წინამდებარე კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს კიბერუსაფრთხოების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. კონკრეტულად, რამ განაპირობა კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დაყენება და რა გავლენის მოხდენა შეუძლია კიბერ-საფრთხეებს ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე? ნაშრომში არსებული საკვლევი კითხვის შესაწავლა წარმოებს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მაგალითზე, კერძოდ, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კიბერუსაფრთხოებას ნატოს ძირითად დღის წესრიგში და რა გავლენას ახდენს კიბერსივრციდან წარმოშობილი გამოწვევები ნატოს მისიასა და ძირითად ამოცანებზე? წინამდებარე ნაშრომი, ასევე, იკვლევს იმ გზას, რომელიც დროთა განმავლობაში ცვლიდა ნატოს გაგებას და დამოკიდებულებას „კიბერ"-ის მიმართ.

კიბერუსაფრთხოებამ ნატოს დღის წესრიგში ბოლო ორი ათწლეულია უმნიშვნელოდან მაღალი პრიორიტეტის მქონე გამოწვევებში გადაინაცვლა, და განსაკუთრებით, ბოლო წლებში, უკვე მის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად იქცა. ნატო, რომელიც თითქმის 70 წელია სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ორგანზიაციაა და მთავარი აქცენტი სწორედ მის სამხედრო შეიარაღებასა და სიძლიერეზე კეთდება, გვერდს ვერ აუვლიდა ტექნოლოგიურ განვითარებას. ახალი ტექნოლოგიური აღჭურვილობები დაინერგა ორგზანიზაციის სტრუქტურაშიც და მის მიერ წარმოებულ მისიებსა თუ სხვადასხვა ოპერაციებშიც გამოიყენება. ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო ალიანსს, მოეხდინა თავდაცვითი შესაძლებლობების მოდერნიზება და თანამედროვე გამოწვევებთან ადაპტირება. თუმცა, ერთი მხრივ თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ და დიგიტალიზაციის პროცესმა ნატოს შესაძლებლობა მისცა ახალი გამოწვევების წინაშე უფრო მდგრადი, სწრაფი, მოდერნიზებული და წარმატებული გამხდარიყო. გამარტივდა როგორც ცალკეული წევრების, ასევე, მთლიანად ალიანსის სამხედრო თუ არასამხედრო სტრუქტურების მუშაობა. თუმცა,

მეორე მხრივ, ცხადია, რომ ტექნოლოგიური მიღწევებით არამხოლოდ ნატო სარგებლობს, არამედ მისი ხილული თუ უხილავი მტრებიც. შესაბამისად, მიმდინარეობს ბრძოლა არა სამხედრო შეიარაღების, არამედ ტექნოლოგიური შეიარაღების ზრდასა და სრულყოფაში. ვისაც სრულყოფილად განვითარებული ტექნოლოგიები ექნება, ის უფრო დაცულიც იქნება და მეტი წარმატების შანსსაც მოიპოვებს.

მაშასადამე, ზემოთ განხილული მსჯელობის შედეგად, ნათელია, რომ ტექნოლოგიური პროგრესი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ნატოს თანამედროვე გამოწვევებთან ბრძოლასა და მათთან გამკლავებაში, აძლიერებს მას და შესაძლებლობას აძლევს მისი ყველა მიმართულება მოდერნიზებული და ადაპტირებული იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ ტექნოლოგიური რევოლუცია, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზრდა პარალელურად აფერხებს და საფრთხეს უქმნის ნატოს, წარმატებით გაართვას თავი მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლის მაგალითებსაც წინამდებარე ნაშრომში უფრო დეტალურად განვიხილავთ. აქედან გამომდინარე, საკვლევით თემის მიზანია, შეისწავლოს, თუ როგორ გავლენას ახდენს ტექნოლოგიური განვითარება ნატოს მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილად განხორციელებაზე. ნაშრომის მთავარი **საკვლევი კითხვა** კი შემდეგში მდგომარეობს: როგორ შეცვალა კიბერუსაფრთხოების გამოწვევებმა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დღის წესრიგი 2002-2017 წლებში?

ნაშრომში წარმოდგენილია **ჰიპოთეზა:** საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ნატოს სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა მოწყვლადი გახადა თანამედროვე გამოწვევების წინაშე და ალიანსის ძირითადი ამოცანების ტრანსფორმაცია განაპირობა.

საკვლევ თემაში, **დამოუკიდებელ ცვლადად** წარმოდგენელია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და მათი სიძლიერე. ნაშრომში აღნიშნული ცვლადი შეიძლება სხვადასხვაგავარად იყოს გამოყენებული, ამიტომ,

მსურს რომ ზუსტად განვმარტო თუ რას ვგულისხმობ კიბერ-სივრცის საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. ეს არის იგივე ციფრული (დიგიტალური) ტექნოლოგიები, ასევე მას ხშირად უწოდებენ ციფრულ ინფრასტრუქტურას. ზოგადად, ინტენეტ-ქსელი და მასთან დაკავშირებული კომპიუტერული სისტემების დანერგვა, განვითარება და კიბერ-რეალობაში მიღწეული პროგრესი არის ნაშრომის მთავარი დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მთლიანად ალიანსის, ასევე მისი ცალკეული წევრი ქვეყნების ქმედებებზე, ძირითად ამოცანებსა და სხვა აქტორებთან ურთიერთობებზე. ტექნოლოგიების განვითარებასა და მის სიძლიერეში იგულისხმება კომპიუტერული მექანიზმებისა და სისტემების დახვეწა, ინოვაციების დანერგვა.

ნაშრომში **დამოკიდებულ ცვლადებად** წარმოდგენილია ნატოს სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა და ალიანსის არსებული ძირითადი ამოცანები.

თანამედროვე პერიოდში, ამა თუ იმ სახელმწიფოს თუ ორგანიზაციის სიძლიერე, სტაბილურობა თუ უსაფრთხოება არაა დამოკიდებული ერთ კონკრეტულ გამოწვევაზე. დღეს, ერთი რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა გაერთიანება სამხედრო შეიარაღებით თუ ძლიერია, ან ეკონომიკურ გიგანტს წარმოადგენს, არ ნიშნავს იმას, რომ მას საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებლად თამაში თამამად შეუძლია, ხელშეუხებელია და მას საფრთხე არ ემუქრება. ეს ასე არაა. მის სიძლიერეს და სტაბილურობას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეიძლება საფრთხე დაემუქროს. დღეს სტაბილურობა, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო ძლიერება რეგიონალურ თუ გლობალურ დონეზე განვითარებულ ინტეგრაციულ და ურთიერთდამოკიდებულ პროცესებზეა გადაჯაჭვული.

თავის მხრივ, ნახევარ საუკუნეზე მეტია, თითქმის 70 წელია, რაც ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს უმთავრესი არქიტექტორი სწორედ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაა. მან თავისი მიზნებისა და ამოცანების სწორად დასახვითა და სწორი ნაბიჯების გადადგმით, დაამტკიცა, რომ 21-ე

საუკუნეში წარმოადგენს ჯერჯერობით ყველაზე ეფექტურ და წარმატებულ ორგანიზაციას უსაფრთხოების სფეროში. დღეს ნატო წარმოადგენს წარმატებულ ალიანსს, რომელმაც დაარსების დღიდან დღემდე შეძლო და რეალურად უზრუნველყო საკუთარი წევრი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა და შექმნა მათთვის უსაფრთხო გარემო. ისიც ფაქტია, რომ ნატო, რომელიც დაარსების დროს 12 სახელმწიფოსგან შედგებოდა, რამდენიმე გაფართოების ეტაპის გავლის შემდეგ დღეს უკვე 29 წევრს აერთიანებს. გაფართოებასთან ერთად კი ფართოვდება საფრთხეები და გამოწვევებთან ბრძოლაც შედარებით რთული ხდება, რადგან იზრდება როგორც დასაცავი ტერიტორია, ასევე, სახელმწიფოთა და მოქალაქეების რაოდენობა. ზოგადად, ისტორიაც მრავალ მაგალითს გვაძლევს იმისა, რომ კოალიციები თუ ალიანსები ყოველთვის რაღაც კონკრეტული მიზნის მისაღწევად ერთიანდებოდნენ, ხოლო როდესაც დასახული ამოცანა შესრულდებოდა, ეს ალიანსიც იშლებოდა. ნატოს შემთხვევაში კი თუ ვიმსჯელებთ, ფაქტია, რომ დღემდე ისე მოვიდა, მოუწია ახალ და ახალ საფრთხეებთან გამკლავებისთვის ტრანსფორმაციის განცდა. მაგრამ, დღეს კიდევ უფრო ფართო, მრავალგანზომილებიანი გამოწვევების წინაშეა და კიდევ ერთი დიდი გამოცდის ჩაბარება მოუწევს: რამდენად შეძლებს თანამედროვე ტექნოლოგიებით გაჟღენთილი თუ ტრადიციული საფრთხეებით გამოწვეული პრობლემები წარმატებით გადალახოს? შესაბამისად, საკვლევი თემის პროცესში სწორედ იმ გარემოებას გამოვიკვლევ, რამდენად შესაძლებელია, რომ ნატოს დღეისათვის არსებული სტაბილურობა კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცეს. ასევე, შევეცდები შევისწავლო ბოლო ორი ათწლულის განმავლობაში ალიანსის წინაშე მდგარი გამოწვევების შედეგად, ტრანსფორმირდა თუ არა ნატოს ძირითადი მიზნებისა და ამოცანების მთავარი მიმართულებები.

ზემოთ აღნიშნული დამოკიდებული ცვლადების ოპერაციონალიზაციას კი მოვახდენ ბოლო ორ ათწლულში ალიანსის დღის წესრიგში შეტანილი ცვლილებების ანალიზით, ნატოს ძირითადი ამოცანებისა და ამ ამოცანების მიღწევის მიზნით გადადგმული

ნაბიჯებით, და თანამედროვე გამოწვევების წინაშე მიღებული ზომებისა და გატარებული ღონისძიებების შეფასებით ოფიციალური დოკუმენტების შესწავლის გზით.

1.2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნება მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც "ცალკეული შემთხვევის, თემის ან სოციალური ჯგუფის სიღრმისეული შესწავლაა მკვლევართა ხელთ არსებული ყველა საშუალების მეშვეობით," (ზურაბიშვილი 2006, 61). მონოგრაფიული კვლევის ფარგლებში გამოიყენება მრავალმეთოდური მიდგომა (ზურაბიშვილი 2006, 63), რომელიც მოიცავს მრავალ თვისებრივ მეთოდს, მაგრამ, ამავდროულად რაოდენობრივსაც, "მონოგრაფიულ გამოკვლევაში გამოყენებული მეთოდები სავსებით არ შემოიფარგლებოდა თვისებრივი მეთოდებით - პირიქით, ისინი ხშირად მდიდრდებოდა სტატისტიკური და რაოდენობრივი მონაცემებით" (ზურაბიშვილი 2006, 64). ნაშრომში სიღრმისეულად იქნება განხილული ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის და მისი ცალკეული წევრი სახლემწიფოების მოქმედებები კიბერ-სივრცეში, რომლის მაგალითზეც ვიკვლევთ კიბერ-უსაფრთხოების გავლენას.

საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე, მოვახდენთ საკვლევი თემის გარშემო არსებული ლიტერატურის, ისტორიული მასალების და პირველადი დოკუმენტების ანალიზს. ჰიპოთეზის დასამტკიცებლად დაგვჭირდება გამოვიყენოთ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა, ოფიციალური დოკუმენტები და განცხადებები, ექსპერტების შეხედულებები, ახალი ამბები(ნიუსები), სტატიები და იმ მკვლევარების ნააზრევი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხებიან საკვლევ საკითხს. ანუ ყველა ჩამოთვლილის გაანალიზება, რაც გულისხმობს კონტენტ-ანალიზის მეთოდს (Qualitative Methods, Spring 2004).

ასევე, მიზანშეწონილია, გავაანალიზოთ ნატოს და წევრი ქვეყნების ლიდერებისა და სახელმწიფო მოხელეთა განცხადებები, რაც საშუალებას მოგვცემს ალიანსის და მისი წევრი ქვეყნების შემდგომი ქმედებები ავხსნათ; ეს კი გულისხმობს დისკურს-ანალიზის მეთოდის გამოყენებას (Qualitative Methods, Spring 2004).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კვლევის პროცესში გავაანალიზებ იმ ძირითად კიბერ-მოვლენებს, რასაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია საკველევი თემის ირგვლივ. ასევე, მოვახდენ ოფიციალური დოკუმენტების, განცხადებებისა და გადადგმული ნაბიჯების ანალიზს დაწყებული 2002 წლის ნატოს პრაღის სამიტიდან 2016 წლის ვარშავის სამიტის ჩათვლით, და ასევე, გავაანალიზებ 2017 წლის განმავლობაში კიბერსივრცეში მომხდარ მნიშვნელოვან კიბერ-ინციდენტებს და ნატოს წარმომადგენლების ოფიციალურ განცხადებებს კიბერუსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით. ასევე, ნაშრომში განხილული იქნება ნატოს ამჟამინდელი გენერალური მდივნის მოსაზრებები და განცხადებები კიბერ-საფრთხეებთან დაკავშირებით.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში შეხვედრები, დისკუსიები და აზრთა გაზიარების შესაძლებლობა მქონდა საკითხით დაინტერესებულ პირებთან და საქართველოში კიბერუსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე საჯარო მოხელეებთან. რის შედეგადაც, დამატებით, გარკვეული მიმართულებების და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობაც მომეცა.

2. ოპერაციონალიზაცია: როგორ განვსაზღვროთ „კიბერუსაფრთხოება“

აღნიშნულ თავში განვსაზღვრავთ, თუ რას წარმოადგენს კიბერუსაფრთხოება და რატომ არის ის ასეთი მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, აღნიშნულ ნაწილში აუცილებლად უნდა განიმარტოს ის ძირითადი ცნებები და ტერმინოლოგია, რომელიც შეგვხვდება

ნაშრომში და კიბერუსაფრთხოების ფენომენის კვლევისას მათი ზუსტად გაგება აუცილებელია.

დანართის სახით კი, უფრო ფართოდ იქნება მოცემული იმ მნიშვნელოვანი ტერმინების განმარტება, რომლებიც კიბერუსაფრთხოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით გამოყენებული იქნება ნაშრომში.

თავდაპირველად უნდა განისაზღვროს თუ რას გულისხმობს კიბერუსაფრთხოება.

კიბერუსაფრთხოება (**Cybersecurity),** რომელსაც ასევე მოიხსენიებენ საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების სახელით, აქცენტს აკეთებს კომპიუტერული სისტემების, ქსელების, პროგრამებისა და მონაცემების დაცვაზე გაუთვალისწინებელი, არალეგალური და არასანქცირებული წვდომის, შეღწევის, შეცვლისა და განადგურებისაგან. (University of Maryland University College)

კიბერუსაფრთხოება არის საქმიანობა ან პროცესი, შესაძლებლობა ან უნარი, ან მდგომარეობა, რომლის საშუალებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემები და მასში არსებული ინფორმაცია არის დაცული ან მიმართულია მათი განადგურების, უნებართვოდ გამოყენების, შეცვლის ან ექსპლუატაციის წინააღმდეგ. (National Initiative for Cybersecurity Careers and Studies)

ფართო გაგებით, კიბერუსაფრთხოება არის ერთგვარი სტრატეგია, პოლიტიკა და სტანდარტები, რომელიც ეხება უსაფრთხოებას და ოპერირებას კიბერ სივრცეში, და მოიცავს მთლიანი საფრთხისა და მოწყვლადობის შემცირებას, შეკავებას, საერთაშორისო ჩართულობას, ინციდენტებზე რეაგირებას, სიმტკიცეს; ასევე, პოლიტიკების შემუშავებას და აქტივობების დანერგვას ისეთი კუთხით, როგორებიცაა კომპიუტერული ქსელების ოპერაციები, ინფორმაციის უზრუნველყოფა, კანონმდებლობის გატარება, დიპლომატია, თავდაცვა და სადაზვერვო მისიები, რადგანაც ისინი დაკავშირებულნი არიან გლობალური საინფორმაციო და

საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. (National Initiative for Cybersecurity Careers and Studies)

რატომ არის კიბერუსაფრთხოება ასეთი მნიშვნელოვანი? - მთავრობები, სამხედრო და თავდაცვის დაწესებულებები, კორპორაციები, ფინანსური ინსტიტუტები, საავადმყოფოები და სხვა ბიზნესები აგროვებენ, გადასცემენ და ინახავენ დიდი რაოდენობით კონფიდენციალურ ინფორმაციას კომპიუტერებში და უგზავნიან მონაცემებს ქსელების საშუალებით სხვა კომპიუტერებს. კიბერ-შეტევების მზარდი რაოდენობისა და სიზუსტის გათვალისწინებით, დიდ ყურადღებას და სიფრთხილეს მოითხოვს სენსიტიური კერძო და ბიზნეს ინფორმაციების, ასევე ეროვნული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა.(University of Maryland University College)

კიბერ-შეტევები და კიბერ-შპიონაჟი უკვე აღიქმება როგორც ყველაზე დიდი საფრთხე ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რომელიც თითქმის ტერორიზმსაც ჩრდილავს. (University of Maryland University College)

კიბერუსაფრთხოეობის გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია დღევანდელ საინფორმაციო სამყაროში. როგორც შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, „ამერიკის ეკონომიკური კეთილდღეობა 21-ე საუკუნეში დამოკიდებულია კიბერუსაფრთხოებაზე“. (The White House Office of the Press Secretary. 2009)

აშშ-ს 2010 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტარტეგიაში ნათქვამია: „კიბერ-უსაფრთხოების საფრთხეები წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი დაცულობისა და ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას, რომელსაც ვუპირისპირდებით როგორც ერი“. (Department of Defense Strategy for Operating in Cyberspace. 2011). 2017 წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნდა აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის პირველი „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“, რომლის მიხედვითაც, კიბერუსაფრთხოებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სტრატეგიაში აღნიშულია, რომ კიბერშეტევები

თანამედროვე კონფლიქტების მთავარი მახასიათებელი გახდა. შეერთებული შტატები კი შეაჩერებს, დაიცავს და საჭიროების შემთხვევაში დაამარცხებს ვირუსულ აქტორებს, რომლებიც კიბერსივრცის შესაძლებლობებს აშშ-ს წინააღმდეგ გამოიყენებენ. (National Security Strategy of the United States of America, December 2017).

კიბერუსაფრთხოების გარდა, უნდა განისაზღვროს თავად ის სივრცე, რომელშიც ხდება კიბერ საფრთხების წარმოშობა, და საიდანც ემუქრება საშიშროება მთლიან საერთაშორისო სისტემას. კიბერ-სივრცე წარმოადგენს ერთგვარ ვირტუალურ კიბერ-საერთაშორისო სისტემას. იგი წარმოადგენს მეხუთე გლობალურ საერთო სივრცეს, ხმელეთის, ზღვის, ჰაერისა და კოსმოსის შემდეგ, რომელიც დიდად საჭიროებს კოორდინაციას, თანამშრომლობას და სამართლებრივ ზომებს ყველა ერისთვის. აუცილებელია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ გაითვალისწინოს კიბერ საფრთხეების ზრდა და საშიშროება და გაერთიანდეს ამ გლობალური გამოწვევის საპასუხოდ.(Schjolberg Stein. 2012)

თავად ტერმინი **კიბერ-სივრცე** განისაზღვრება, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ურთიერთდამოკიდებული ქსელი, რომელიც მოიცავს ინტერნეტს, სატელეკომუნიკაციო ქსელებს, კომპიუტერულ სისტემებს, ჩაშენებულ პროცესორებსა და კონტროლერებს. (National Initiative for Cybersecurity Careers and Studies). თუმცა, განსხვავებით სხვა კომპიუტერული ტერმინებისგან, კიბერ-სივრცეს არ გააჩნია ერთი კონკრეტული განსაზღვრება. ზოგადად, იგი გამოიყენება კომპიუტერების ვირტუალური სამყაროს აღსაწერად. იგი აღნიშნავს ვირტუალურ სივრცეს, რომელიც კომპიუტერის, მოდემისა და საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით იქმნება. პირველად ტერმინი კიბერ-სივრცე შემოიტანა ამერიკელმა მწერალმა უილიამ გიბსონმა 1984 წელს დაწერილ წიგნში "ნეირომანტი" (Neuromancers (1984)). (The Tech Terms Computer Dictionary)

კიბერ-სივრცე წარმოადგენს ერთგვარ პირობით გარემოს, რომელშიც მიმდინარეობს კომუნიკაცია კომპიუტერული ქსელების საშუალებით.

კიბერ-სივრცე გაეროს დეფინიციით განიმარტება, როგორც ელექტრონული, ვირტუალური სივრცე, რომელშიც ხდება ინფორმაციისა და მონაცემების გადაცემა და ნებისმიერი სხვა სახის კომუნიკაცია ელექტრონული საშუალებით და არა მხოლოდ კომპიუტერით. მოიაზრება როგორც ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი, კომპიუტერული ქსელი, მობილური თუ სხვა ტექნიკური საშუალება, რომელიც ტექნოლოგიურად უზრუნველყოფს აღნიშნული მოქმედებების შესრულებას რამდენიმე ობიექტს შორის. ხშირად კიბერ-სივრცის აიგივებენ და მოიხსენიებენ ინტერნეტის სახელწოდებით. ტერმინი ასევე აღნიშნავს კორპორაციების, სამხედრო, სამთავრობო და სხვა ორგანიზაციების ელექტრონულ საინფორმაციო გარემოს. (United Nations Multilingual Terminology Database)

ასევე, აუცილებელია განიმარტოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ბოლო პერიოდში მეტად აქტუალური ცნება - კიბერ-ომი.

Cyber-war - კიბერ-ომი - სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციული ომის განზრახ გამოყენება, ისეთი იარაღების საშუალებით, როგორებიცაა ელექტრო-მაგნიტური პულსის ტალღა, ვირუსი, ჭია, ტროას ცხენები და სხვა, რომელიც მიზანმიმართულია მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ელექტრონული მოწყობილობებისა და ქსელების წინააღდეგ. (Cyberlaw - კიბერსივრცის სამართალი)

კიბერ-ომს ასევე განმარტავენ, როგორ საომარ მოქმედებას ვირტუალურ სივრცეში და მის ირგვლივ, რომელიც უმთავრესად ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. უფრო ფართო გაგებით, ეს გულისხმობს, ასევე, სამხედრო კამპანიების მხარდაჭერას ტრადიციული ოპერირების სივრცეებში (როგორებიცა: ხმელეთი, ზღვა, ჰაერი და კოსმოსი) ვირტუალური სივრცის იარაღების საშუალებით. ზოგადად, ტერმინი ასევე აღნიშნავს მაღალტექნოლგიუორ ომებს საინფრომაციო საუკუნეში, რომელიც ეფუძნება ყველა სამხედრო სექტორისა თუ საკითხის კომპიუტერიზაციას, ელექტორინიზციასა და დაქსელვას. (ავსტრიის კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, 2013)

ქვემოთ, დანართის სახით, ასევე განმარტებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერმინი, რომელთა დეფინიცია საჭიროა ნაშრომის უკეთესად გასააზრებლად, და იმ გარემოების გათავალისწინებითაც, რომ კიბერ-ტერმინოლოგიის ქართული შესატყვისები არც თუ ისე მრავალფეროვანია, უმჯობესია ცხადი გახდეს, თუ რა იგულისხმება კონკრეტულ ცნებაში.

3. ნატო, კიბერუსაფრთხოება და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს, რომელიც 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა. ეს არის ჩრდილოეთ ამერიკის 2 და ევროპის 27 სახელმწიფოსაგან შემდგარი კავშირი, რომლის მიზანია ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის, მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც პოლიტიკური ისე სამხედრო საშუალებებით. ალიანსი მკაცრად იცავს და პატივს სცემს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა წევრი ქვეყნების სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატია, ინდივიდუალური თავისუფლება, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. (რა არის NATO? საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, 2017)

ვაშინგტონის ხელშეკრულების (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება) ხელმოწერით შეიქმნა უსაფრთხოების ერთიანი სისტემა, რომელიც ალიანსში შემავალი წევრი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობასა და საერთო ფასეულობებს ეფუძნებოდა. ნატოს თავდაცვის ქოლგის ქვეშ დასავლეთ ევროპამ და ჩრდილოეთ ამერიკამ მალე მიაღწიეს სტაბილურობის უპრეცედენტოდ მაღალ დონეს და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარებისათვის მყარი საფუძველი შექმნეს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება 14 პუნქტისაგან შედგება. თუმცა, მისი მეხუთე

პუნქტი ხელშეკრულების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია კოლექტიური თავდაცვა, რომლის თანახმად, ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფოზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა განიხილება როგორც თავდასხმა ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოზე. არსებულ შემთხვევაში, ალიანსი დახმარებას გაუწევს საფრთხის ქვეშ მყოფ წევრ ქვეყანას ან ქვეყნებს და განახორციელებს ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით. (რა არის NATO? საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, 2017)

დამფუძნებელი ხელშეკრულების თანახმად, ალიანსის წევრები იღებენ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას ერთობლივად გაიზიარონ კოლექტიური უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები.

ნატო შეიქმნა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ და იმ დროიდან მოყოლებული ალიანსის მთავარი ამოცანაა წევრი სახელმწიფოების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ნატოს დაარსებიდან დღემდე ორგანიზაციამ განიცადა არაერთი ცვლილება ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით. (რა არის NATO? საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, 2017)

რა წარმოადგენს დღეს ნატოს უმთავრეს უსაფრთხოების გამოწვევებს? ნატოს ოფიციალური განცხადებების მიხედვით, ალიანსი დღეს უფრო ფართო სპექტრის საფრთხეების წინაშეა, ვიდრე წარსულში იყო. აღმოსავლეთით, რუსეთი უფრო გამყარდა ყირიმის უკანონო ანექსიითა და აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაციით, ისევე როგორც სამხედრო შეიარაღების მობილიზებით ნატოს საზღვრებთან ახლოს. სამხრეთით, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში უსაფრთხოების გარემოს გაუარესების გამო გაიზარდა სიკვდილიანობა, მომრავალდა ფართომასშტაბიანი მიგრაციის ნაკადები და მოხშირდა ტერორისტული შეტევები. ნატო შეკავებას ახდენს თავისი შეკავებისა და თავდაცვის პოტენციალის ამაღლებით, ასევე, მხარს უჭერს საერთაშორისო ძალისხმევას

სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაძლიერებისათვის ალიანსის ფარგლებს გარეთ. ნატო თავის უმნიშვნელოვანეს გამოწვევებად, ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს კიბერ შეტევებს, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას, ენერგოუსაფრთხოების საკითხებს, ასევე, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და ზოგადად უსაფრთხოების საკითხებს. (NATO, What are today's security challenges?, 2017) როგორც ნატოს ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული, ეს გამოწვევები ძალიან ბევრია ერთი კონკრეტული ქვეყნისთვის თუ ორგანიზაციისთვის გასამკლავებლად, შესაბამისად, ნატო მჭიდროდ თანამშრომლობს თავის პარტნიორთა ქსელთან, რათა წვლილი შეიტანოს აღნიშნულ გამოწვევებთან საბრძლოველად. (North Atlantic Treaty Organization)

თავის მხრივ, კიბერუსაფრთხოების უმთავრესი პრობლემური საკითხები და გამოწვევები პირდაპირ დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან.(Institute on Science for Global Policy) ტექნოლოგიების ზრდა და განვითარება ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ შეიძლება სწრაფადვე გახდეს ვადაგასული. დიგიტალური საინფორმაციო ტექნოლოგიები არის სწრაფად ცვალებადი - რაც გულისხმობს, რომ დომეინები, ინტერნეტ და კომპიუტერული მექანიზმები, პროგრამული უზრუნველყოფა და ასევე მათი განადგურების მექანიზმები დიდი სიჩქარით ვითარდება და ყოველდღიურად მისი განახლება ხდება. აღნიშნული გარემოება დიდ საფრთხეს და გამოწვევებს ქმნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები/ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ერთგვარ შეირაღებას, რომელმაც გარკვეულწილად ჩაანაცვლა სამხედრო შეიარაღება კლასიკური გაგებით. დიგიტალური ინფრასტურუქტურის განვითარებამ იმდენად მაღალ დონეს მიაღწია, რომ სახელმწიფოებისთვის თუ ორგანიზაციებისთვის ერთგვარ იარაღად იქცა, რომელიც არამარტო კიბერ-სივრცეშია ეფექტური, არამედ ჩვეულებრივ, არა-ვირტუალურ სივრცეშიც. თავისუფლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ და გადავიტანოთ

კლასიკური გაგებით სამხედრო შეიარაღება და ჯარისკაცები ელექტორუნულ საბრძოლო ველზე. ანუ, კიბერსივრცე წარმოდგენილია როგორც ბრძოლის ველი, ხოლო ერთი მხრივ ციფრული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით განსწავლული პირები და, მეორე მხრივ - ჰაკერები, წარმოგვიდგებიან როგორც კიბერ ან ელექტორუნულ ჯარისკაცებად. ასეთ ბრძოლის ველზე კი ბრძოლა არის ყოველმხრივ ასიმეტრიული, რომლის წინასწარ განსაზღვრა თუნდაც მეტოქის სამხედრო არსენალისა და/თუ შეიარაღების ხარჯზე უკვე შეუძლებელია. ვერ განვსაზღვრავთ, თუ რომელი მხარე უფრო ძლიერია იმ მომენტში, რომელს აქვს გამარჯვების უფრო მეტი შანსი; ან თუ მოიგებს, რამდენად და რის ფასად დაუჯდება მას ეს გამარჯვება. შესაბამისად, მაშინ, როცა ტექნოლოგიების განვითარება იმ შესაძლებლობას იძლევა რომ მინიმალური დანახარჯებით მეტოქეს მაქსიმალური ზარალი აჩვენო და მის არსებობას, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ კეთილდღეობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა და მოწყვლადი გახადო მისი ეროვნული უსაფრთხოება აღნიშნული გამოწვევების წინაშე, იმის ნათელ სურათს გვაძლევს, რომ კლასიკური გაგებით, სამხედრო შეიარაღება ნელ-ნელა მის უპირველეს და შეუცვლელის მნიშვნელობას კარგავს, და დიდი ყურადღება სწორედ ტექნოლოგიურ შეიარაღებაზე გადადის.

კიბერ სინამდვილე არის როგორც გლობალური, ასევე დემოკრატიული. სახელმწიფოებს, ქვეყნებს, ორგანიზაციებს, კორპორაციებს და ასევე, ცალკეულ ინდივიდებს შესწევთ იმის ძალა, რომ მოახდინონ გლობალური ზეგავლენა კიბერ სივრცეში. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინდივიდ ჟულიან ასანჟის „ვიკილიქსის“ გავლენიდან და შედეგებიდან დაწყებული, პატარა ესტონეთის შემთხვევით დამთავრებული, რომელმაც კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის დისკუსიები დღის წესრიგში დააყენა. (Lieberthal and Singer 2012. 4) კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობის საკითხი ერთ-ერთ მთავარ საკითხად აქცია სტაქსნეტის (Stuxnet) ვირუსული პროგრამის გავრცელებამ, რომელიც შეიჭრა ირანის ბუშერის ბირთვული ელექტროსადგურის საკომპიუტერო სისტემაში და საფრთხე

შეუქმნა ბირთვულ და ინდუსტრიულ ობიექტებს. ეს იყო ნათელი დასტური და ყურადსაღები პრეცედენტი იმისა, თუ როგორ შეიძლება კომპიუტერულ ღილაკზე თუნდაც ერთი თითის დაჭერით მსოფლიოს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას საფრთხე შეუქმნა.

მართალია ინტერნეტს არ გააჩნია ფორმალური საზღვრები, მაგრამ ის წარმოადგენს მზარდ ადგილს (სივრცეს), რომელშიც სახელმწიფოები როგორც მოქმედებენ, ასევე ღელავენ აღნიშნულის გამო. (Sanger and Markoff. 2011) ინტერნეტი, რომელიც 50-60-იან წლებში გამოიგონეს ამერიკის მთავრობის დაკვეთით, იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ შექმნილიყო ისეთი სანდო საკომუნიკაციო ქსელი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მომავალ ბირთვულ საფრთხეს შეაკავებდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა მისი შექმნის მსურველებს და შემქმნელებს ბოლომდე გათვლილი არ ჰქონდათ, რომ ასეთი გამოგონება მომავალში უამრავ სიკეთესთან ერთად უფრო მეტ პრობლემას და საშიშროებასაც წარმოშობდა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ნატო სულ უფრო და უფრო შირად ხდება კიბერ-შეტევების სამიზნე. ნატოს ქსელების წინააღმდეგ წარმოებული კიბერ-თავდასხმების უმრავლესობა სახელმწიფო აქტორებიდან არის წარმოებული. საეჭვო ქმედებები და მოვლენები ყოველდღიურად ვლინდება. უმეტესობის განეიტრალება და ადექვატური რეაგირება ავტომატურად ხდება, თუმცა ზოგიერთი მათგანი მოითხოვს ნატოს კიბერ-თავდაცვის ექსპერტებისგან ანალიზსა და პასუხს. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

2016 წელს ნატოს ყოველთვიურად საშუალოდ 500 კიბერ-ინციდენტი ემუქრებოდა, რაც დაახლოებით 60%-იანი ზრდაა 2015 წელთან შედარებით. 2017 წლის განმავლობაში, ნატოს კიბერ ექსპერტების შეფასებით, კვლავ აღინიშნებოდა ევოლუცია კიბერ-შეტევებში პროგრამული სისტემების გავლით, რომლის სამიზნესაც ნატოსთან დაკავშირებული პერსონალური მოწყობილობები და ქსელები წარმოადგენდნენ. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნოლოგიური განვითარება ისეთი სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, რომ მასთან არჩამორჩენა უკვე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ტექნოლოგიური რევოულუციის სწრაფი ტემპი კი ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით შეიმჩნევა. თავის მხრივ, ნატო, რომელიც 70 წლის წინ სრულიად სხვა საფრთხეებთან გასამკლავებლად დაარსდა, ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა ექსპანსიის დაშლის შემდეგ სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. მას ან უნდა ტრანსფორმაცია განეცადა და თანამედროვე გამოწვევებს მორგებოდა, ან არადა მისი არსებობის საკითხი ეჭვქვეშ დადგებოდა. ორგანიზაცია, რომლის მიზანს და უმთავრეს ამოცანას ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს, იძლუებული გახდა თავის დღის წესრიგში გარკვეული ცვლილებები შეეტანა და თანამედროვე პრობლემების წინაშე კვლავ მომზადებული, ადაპტირებული და სრულფასოვანი წარმდგარიყო. ფაქტი სახეზეა, დღეს ნატო ისევ ქმედითი, ანგარიშაგასაწევი და ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია, რომლის არსებობის აუცილებლობა კვლავაც საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, დღეს, ნატო კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მრავალგანზომილებიანი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას. მისი ტრანსფორმაციის აუცილებლობა კი განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში ეჭვგარეშეა. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, შეისწვლოს თუ რამდენად განაპირობა კიბერუსაფრთხოების საკითხებმა ნატოს დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა, ამის გასაგებად განვიხილავ რამდენიმე მნიშვნელოვან მაგალითს, რომლებმაც საერთაშორისო დღის წესრიგზე თემის აქტუალურობა და პრობლემურობა შეუქცევადი გახადა; ასევე, ნატოს ოფიციალურ დოკუმენტებსა და ფაქტებზე დაყრდნობით იმ ბოლო წლების მნიშვნელოვან მოვლენებს გავაანალიზებ, რომლის საშუალებითაც ნატოს დღის წესრიგში კიბერუსაფრთხოების საკითხი წინა რიგებში გადმოწევა მტკიცდება

3.1 კიბერუსაფრთხოების სფეროში ნატოს ევოლუცია 2002-2017 წლებში და ალიანსის დღის წესრიგის ტრანსფორმაცია

მიუხედავად იმისა, რომ ნატო ყოველთვის იცავდა თავის საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებს, 2002 წლის პრაღის სამიტზე პირველად აღინიშნა კიბერუსაფრთხოების საკითხი ალიანსის პოლიტიკურ დღის წესრიგში. მოკავშირეთა ლიდერებმა კი 2006 წლის რიგის სამიტზე კიდევ ერთხელ დაადასტურეს საინფორმაციო სისტემების დამატებითი დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა. (North Atlantic Treaty Organization)

2007 წლის აპრილსა და მაისში ესტონეთის საჯარო და კერძო ინსტიტუტების წინააღმდეგ კიბერშეტევების შემდეგ, 2007 წლის ივნისში მოკავშირე თავდაცვის მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ამ სფეროში აუცილებელი იყო გადაუდებელი სამუშაო რეფორმების გატარება. შედეგად, 2008 წლის იანვარში ნატომ დაამტკიცა კიბერთავდაცვის შესახებ პირველი პოლიტიკა. (North Atlantic Treaty Organization)

2008 წლის ზაფხულში, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულმა კონფლიქტმა საერთაშორისო საზოგადოებას ნათლად აჩვენა, რომ კიბერშეტევებს აქვთ პოტენციალი, გახდეს ჩვეულებრივი ომის ძირითადი კომპონენტი. (North Atlantic Treaty Organization)

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ნატოს დღის წესრიგში, კიბერუსაფრთხოების როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად დაყენების, ნათელ მაგალითს წარმოადგენდა 2010 წლის ლისაბონის სამიტზე ახალი სტრატეგიული კონცეფციის დამტიკიცება, რომლის დროსაც ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს (NAC) დაევალა ნატოს კიბერ თავდაცვის პოლიტიკის სიღრმისეული შემუშავება და მისი განხორციელებისათვის სამუშაო გეგმის მომზადება. (North Atlantic Treaty Organization)

2011 წლის ივნისში, ნატოს თავდაცვის მინისტრებმა დაამტკიცეს ნატოს რიგით მეორე პოლიტიკა კიბერუსაფრთხოების შესახებ, რომელიც ასახავს ალიანსის მასშტაბით

კიბერთავდაცვის სფეროში კოორდნირებული ძალისხმევის ხედვას სწრაფად მზარდი საფრთხეების კონტექსტში და ტექნოლოგიურ გარემოში, და მის განხორციელებასთან დაკავშირებული სამქომედო გეგმა. (North Atlantic Treaty Organization)

2012 წლიდან დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ნატოს კოლექტიური თავდაცვის სისტემაში კიბერუსაფრთხოების ინტეგრაციის პროცესი. ხოლო, 2012 წლის აპრილში კიბერთავდაცვა ნატოს თავდაცვის დაგეგმვის პროცესში შევიდა. თავდაცვის დაგეგმვის პროცესის შედეგად გამოვლენილი და პრიორიტეტულია შესაბამისი კიბერუსაფრთხოების მოთხოვნები. (North Atlantic Treaty Organization)

2012 წლის მაისში, ჩიკაგოს სამიტზე მოკავშირე ლიდერებმა დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება ალიანსის კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით ნატოს ყველა ქსელის ცენტრალიზებული დაცვის ქვეშ მოყვანა და კომპიუტერული ინციდენტების გამოხმაურების შესაძლებლობის (NCIRC) განახლება. (North Atlantic Treaty Organization)

2012 წლის ივლისში, ნატოს სააგენტოების რეფორმის ფარგლებში, ნატოს კომუნიკაციებისა და ინფორმაციების სააგენტო ჩამოყალიბდა. ხოლო, 2014 წლის აპრილში, ჩრდილოატლანტიკური საბჭო შეთანხმდა რომ თავდაცვისა და დაგეგმვის კომეტეტს/კიბერ-თავდაცვა სახელი გარდაქმეოდა და ეწოდა კიბერ-თავდაცვის კომიტეტი. (North Atlantic Treaty Organization)

2014 წლის მაისში NCIRC-ის სრული ოპერატიული შესაძლებლობები მიღწეულ იქნა, რაც უზრუნველყოფს ნატოს ქსელებისა და მომხმარებლების გაძლიერებულ დაცვას. (North Atlantic Treaty Organization)

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის უელსის სამიტზე ალიანსმა დაამტკიცა ახალი კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა. მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა კიბერსივრციდან მოსალოდნელ საფრთხეებზე, რომლებიც დღითიდღე უფრო ხშირი, დახვეწილი და უაღრესად საშიში ხდებოდა. აღნიშნულ გამოწვევასთან საბრძოლველად ალიანსმა გაძლიერებული კიბერპოლიტიკა მიიღო. ამ პოლიტიკამ

კიდევ ერთხელ დაადასტურა მოკავშირეების უსაფრთხოებისა და პრევენციის, გამოვლენის, მდგრადობის, აღდგენისა და დაცვის განუხორციელებლობის პრინციპები. (North Atlantic Treaty Organization) უელსის სამიტის კომუნიკეში, ასევე, განისაზღვრა, რომ ზემოთ აღნიშნული პოლიტიკა აღიარებს რომ საერთაშორისო სამართალი, მათ შორის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და გაეროს ქარტია და მისი მანდატი უნდა მიესადაგებოდეს და ვრცელდებოდეს კიბერსივრცეშიც. კიბერშეტევებს შეუძლია მიაღწიოს იმ ზომას, რომ სერიოზული საფრთხე შეუქმნას ეროვნულ და ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას, კეთილდღეობასა და სტაბილურობას. სწორედ ამიტომ, ალიანსის წევრები კიბერუსაფრთხოების გამოწვევებს სერიოზულად უდგებიან. შესაბამისად, აღიარებენ, რომ კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს ნატოს ძირითადი ამოცანის კოლექტიური თავდაცვის ნაწილს; შესაბამისად, მასობრივი და გამანადგურებელი კიბერ შეტევის შემთხვევაში, განხილული და ამოქმედებული იქნება ორგანიზაციის მე-5 მუხლი. (North Atlantic Treaty Organization). ეს კი პირდაპირ იმის მტკიცების საშუალებას გვაძლევს, რომ კიბერ უსაფრთხოება იქცა ნატოს ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად და ტრადიციული ამოცანებისა და პრინციპების ერთგვარი ცვლილება/ტრანსფორმირება განაპირობა, რადგან მისი ქვაკუთხედის, კოლექტიური თავდაცვის ნაწილი გახდა; ამ ფაქტმა შესაძლებლობა და პრეცენდენტი დაუშავა იმისა, რომ ნატოს რომელიმე წევრ ქვეყენაზე განხორციელებულ მასობრივ კიბერ-თავდასხმის შემთხვევაში მოხდეს უპრეცედენტო რამ - ამოქმედდეს მეხუთე მუხლი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნატომ, რომელიც წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს და მისი სიძლიერე სწორედ მის სამხედრო შეირაღებაში გამოიხატება, თავისი 70 წლიანი არსებობის მანძლიზე მეხუთე მუხლი მხოლოდ ერთხელ, 9/11-ის მოვლენების შედეგად აამოქმედა. ახლა კი, როდესაც საუბარია, რომ აღნიშნული მუხლი გავრცელდეს კიბერ სივრცეში, ნათლად აჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია კიბერ უსაფრთხოება ალიანსისა და მისი თითოეული წვერისთვის, და რამდენად ტრანსფორმირდა ალიანსი თანამედროვე უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე.

2016 წლის ვარშავის სამიტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯი იყო კიბერუსაფრთხოების სფეროში. ალიანსმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჰიბრიდული საფრთხეების განეიტრალების მექანიზმების გასაძლიერებლად. ხაზი გაესვა ჰიბრიდული საფრთხეების საპასუხოდ ნატო-ს როლის შესახებ დამტკიცებული სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მნიშვნელობას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი კი, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ნატოს დღის წესრიგში კიბერუსაფრთხოების საკითხის წინა პლანზე წამოწევას არის ის, რომ ალიანსის წევრებმა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ქსელის უსაფრთხოება ერთ-ერთ ძირითად თავდაცვით სფეროდ აღიარეს და შეთანხმდნენ, რომ კიბერსივრცეში ნატომ ისევე ეფექტიანად უნდა დაიცვას თავი, როგორც ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. (North Atlantic Treaty Organization)

ნატომ ასევე დაამტიცა მოკავშირეთა შეთანხმების ამსახველი დოკუმენტი (Cyber Defence Pledge), რომელიც ითვალისწინებს ალიანსის წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებას, გადადგან მნიშვნელოვანი ნაბიჯები აღნიშნულ სფეროში პროგრესის მისაღწევად, მათ შორის უზრუნველყონ ეროვნული ქსელებისა და ინფრასტრუქტურის კიბერუსაფრთხოების გაძლიერება, ამ მიზნით გამოყონ შესაბამისი ფინანსური რესურსები, ასევე, ხელი შეუწყონ კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებას და უნარების განვითარებას. (ნატო-ს ვარშავის სამიტის დეკლარაციის მოკლე მიმოხილვა, საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი (GCSD))

2017 წლის 16 თებერვალს თავდაცვის მინისტრებმა მხარი დაუჭირეს განახლებული კიბერ-თავდაცვის სამოქმედო გეგმას, ისევე როგორც საგზაო რუკას რომ კიბერსივრცე ჩაერთოს ოპერაციების განზომილებაშიც. ეს კი გაზრდის მოკავშირეების ერთად მუშაობის შესაძლებლობას, მათი შესაძლებლობების განვითარებასა და ინფორმაციების გაზიარებას. (North Atlantic Treaty Organization)

3.2 რა გავლენა მოახდინა 2007 წელს განხორციელებულმა კიბერ-თავდასხმამ ესტონეთის ტრანსფორმაციაზე?

იმისათვის, რომ უკეთესად შევისწავლოთ თუ რა და როგორი გავლენა აქვს კიბერუსაფრთხოების გამოწვევებს ალაინსზე, ამისათვის, წინამდებარე ნაშრომში რამოდენიმე კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით, შევეცდები ზოგადი სურათის წარმოჩენას. ამ ქვეთავში განხილული იქნება 2007 წელს ესტონეთზე განხორციელებული კიბერ-შეტევა, რომელიც არამარტო ესტონეთისთვის ან ნატოსთვის, არამედ მთლიანი საერთაშორისო საზოგადოებისთვის გარდამტეხი მოვლენა აღმოჩნდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში ესტონეთის სამთავრობო საიტებსა თუ სერვერებზე, მედია საშუალებებზე, ონლაინ ახალი ამბების სააგენტოებსა თუ საბანკო სტრუქტურებზე განხორციელებულმა კიბერ-შეტევამ მთლიანი საერთაშორისო საზოგადოება აალაპარაკა და ახალი გამოწვევის წინაშე მოწყვლადობა ნათლად წარმოაჩინა. შესაბამისად, შევეცდები მოკლედ განვიხილო აღნიშნული შემთხვევა და გავაანალიზო მისი გავლენა როგორც ესტონეთის, ისე ჩრიდლოატლანტიკური ალიანსის ქმედებებზე.

კიბერ-თავდასხმები, ინფორმაციული ომი, ყალბი სიახლეების გავრცელება –10 წლის წინ ესტონეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელიც გახდა ჰიბრიდული ომის მსხვერპლი. შედეგად, ამ ფაქტმა გავლენა მოახდინა ქვეყნის სრულ ტრანსფორმაციაზე. ეს გავლენა დღესაც მნიშვნელოვნად იგრძნობა ქვეყნის განვითარებაზე. (Damien McGuinness, 2017). თავად კიბერთავდასხმა, რომელიც ესტონეთში, 2007 წლის 27 აპრილს განხორციელდა, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტებისთვის დღესაც განხილვის საგანს წარმოადგენს. ესტონეთზე განხორციელებულმა კიბერშეტევამ სერიოზული კითხვის ქვეშ დააყენა ნატოს წევრი სახელმწიფოების ელექტრონული უსაფრთხოების საკითხი.

ცნობილი კიბერ-თავდასხმის მიზეზად ეთნიკურად რუსი და ეთნიკურად ესტონელი მოქალაქეების დაპირისპირება იქცა, რომელიც გამოწვეული იყო ტალინის ცენტრში

მდგარი ბრინჯაოს ჯარისკაცის მონუმენტის ადგილმდებარეობის შეცვლის გადაწყვეტილებით, რომელიც ადგილობრივმა მთავრობამ მიიღო.

ბრინჯაოს მონუმენტი აღმართული იქნა 1947 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ და მას თავდაპირველად ეწოდებოდა „ტალინის განმათავისუფლებელთა მონუმენტი“. ესტონეთში მცხოვრები ეთნიკურად რუსი საზოგადოებისთვის ეს მონუმენტი წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ნაციზმზე. თუმცა, ეთნიკური ესტონელებისთვის წითელი არმიის ჯარისკაცები არ იყვნენ განმათავისუფლებები, პირიქით, მათ მოახდინეს ესტონეთის ანექსია, ამიტომაც, ესტონელებისთვის ეს მონუმენტი ჩაგვრის სიმბოლოს უფრო წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის მხრიდან. (Damien McGuinness, 2017).

2007 წელს, როდესაც, ესტონეთის მთავრობამ გადაწყვიტა ბრინჯაოს ქანდაკების გადატანა ტალინის ცენტრიდან სამხედრო სასაფლაოზე, ამ ფაქტმა გამოიწვია ეთნიკურად რუსი მოსახლეობის აღშფოთება, რომლებიც პროტესტის ნიშნად გამოვიდნენ ქუჩებში. პროტესტი გამწვავდა რუსეთის მხრიდან გავრცელებული ყალბი ახალი ამბების გავრცელებით, რომლის მიხედვითაც, მონუმენტი და საბჭოთა კავშირის ომის დროინდელი სასაფლაოები იყო განადგურებული ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით. 2007 წლის 26 აპრილს ტალინში დაიწყო აჯანყება, რომლის დროსაც დაშავდა 156 ადამიანი, 1000-მდე იქნა დაკავებული, ხოლო ერთი გარდაცვლილი. (Damien McGuinness, 2017). 27 აპრილიდან კი, ესტონეთზე დაიწყო კიბერ-თავდასხმები. კიბერ-თავდასხმების შედეგად, ესტონეთის საბანკო სისტემა და მისი ონლაინ სერვისები, მედიასაშუალებები და სამთავრობო ორგანოების ფუნქციები მოიშლა და მიუწვდომელი გახდა. სპამის მასიურმა დაგზავნამ გამოიწვია ესტონური სერვერების მწყობრიდან გამოყვანა. კიბერ თავდასხმის შედეგად ესტონელ მოსახლეობას აღარ შეეძლო საბანკო ტრანსაქციების გამოყენება, მთავრობის წარმომადგენლები ვეღარ იყენებდნენ ელექტრონული ფოსტას, ხოლო მედია საშუალებების და მაუწყებლობების ფუნქციონირება შეფერხდა. (Damien McGuinness, 2017)

კიბერ-აგრესია რადიკალურად განსხვავდება ჩვეულებრივი კონვენციური ომისგან. კიბერ-თავდასხმის დროს წარმოიშობა გაურკვევლობა და დაბნეულობა, რასაც წარმატებით იყენებს მტერი. ასეთი შეტევებისა და აგრესიის მსხვერპლი შეიძლება გახდეს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ აგრესორს შეუძლია კიბერ შეტევით გამოიწვიოს არეულობა ნატოს წევრ ქვეყანაში, ალიანსის შურისძიების შიშის გარეშე. ნატოს მეხუთე მუხლის მიხედვით, წევრი ქვეყნებს შეუძლიათ დაიცვან ერთმანეთი თუ შეტევა ხდება კიბერსივრცეში, მაგრამ მეხუთე მუხლი შეიძლება გააქტიურებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თუ კიბერ-თავდასხმის შედეგად არის გამოწვეული ძალიან დიდი ზარალი და ამ ფაქტით გამოწვეული დანაკარგი თითქმის უტოლდება ტრადიციულ სამხედრო დაპირისპირებას. (Damien McGuinness, 2017)

გარდა ზემოთ განხილულისა, კიდევ ერთი გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ იდენტიფიცირება თუ ვინ დგას კიბერ-თავდასხმის უკან ასევე წარმოადგენს დიდ პრობლემას. ცნობილი ფაქტია, რომ 2007 წლის კიბერ-შეტევა ესტონურ სერვერებზე განხორციელებული იყო რუსული IP მისამართებიდან, ასევე, ონლაინ ინსტრუქციებიც კი რუსულ ენაზე იყო განთავსებული. მაგრამ, კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ შეტევები განხორციელებული იყო რუსეთის მხრიდან დღემდე არ არსებობს. (Damien McGuinness, 2017)

ერთის მხრივ, 2007 წელს ესტონეთზე განხორციელებული კიბერ-თავდასხმა ესტონეთისთვის გახდა კარგი გაკვეთილი, რაც მათ დაეხმარა გამხდარიყვნენ ექსპერტები კიბერ თავდაცვის სფეროში. თავის მხრივ, ბრინჯაოს ქანდაკების გადატანის მიერ გამოწვეული დაძაბულობა შეიძლება წარმოადგენდეს პირველ, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ კიბერ თავდასხმას სხვა ქვეყანაზე (როგორც უკვე აღვნიშნთ, მიუხედავად მრავალი ფაქტორისა, რუსეთის ბრალეულობა ოფიციალურად მაინც არ დასტურდება). (Damien McGuinness, 2017)

2007 წლის შეტევამდე ესტონეთში დაწყებული იყო ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროცესი, მაგრამ უპრეცენდენტო მოვლენამ უფრო მეტი გამოცდილება შესძინა მათ კიბერ თავდაცვის კუთხით და აქცია მსოფლიოში ყველაზე უფრო ინტერნეტზე დამოკიდებულ ქვეყანად. უფრო მეტიც, 2005 წელს ესტონეთი გახდა პირველი ქვეყანა რომელმაც შემოიღო არჩევნების ონლაინ ხმის მიცემის ფუნქცია. ამჟამად, ესტონეთში ფიქსირდება მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ინტერნეტი, რომლის გადმოწერის სიჩქარეც უტოლდება 46.35 მეგაბაიტს წამში, მეორე ადგილზეა ლიტვა 31.97 მბ წამში, მესამე ადგილს კი იკავებს სამხრეთ კორეა – 31.03 მბ წამში (Damien McGuinness, 2017).

დღეს, ესტონეთი წარმოადგენს ჩრდილო ანტლანტიკური ალიანსის კიბერ უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარ და გამოცდილ აქტორს. 2014 წლის ივნისში ნატომ კიბერ თავდაცვის გაძლიერების პოლიტიკის მიღებით უდიდესი ნაბიჯი გადადგა კიბერუსაფრთხოების სფეროში.

ესტონეთი ნატოს წევრი გახდა 2004 წელს. ესტონეთი როგორც რუსეთის მოსაზღვრე ქვეყანა განიხილებოდა ნატოსთვის პოტენციურ საფრთხედ, რადგან რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ნებისმიერ პროვოკაციას შეიძლება გამოეწვია ნატოს მეხუთე მუხლის გააქტიურება, რაც ნიშნავდა, ნატოს ყველა წევრი ქვეყნის საბრძოლო მოქმედებაში ჩართვას და სწრაფ რეაგირებას თავმდასხმელზე. მაგრამ ესტონეთი გახდა ალიანსის კიბერ უსაფრთხოების გარანტი. 2008 წელს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გაიხსნა ნატოს კოოპერატიული კიბერ თავდაცვის ცენტრი, სადაც ყურადღება მახვილდება კვლევებზე, კიბერ თავდაცვის სწავლებასა და განათლებაზე როგორც ტექნიკურ ასევე არატექნიკურ ასპექტებზე. (Damien McGuinness, 2017).

უფრო მეტიც, ნატოს კოოპერატიული კიბერ თავდაცვის ცენტრი, ცენტრალურ როლს თამაშობს კიბერ მომზადებებში. “Locket Shields” – დახურული ფარები, ეს არის სახელწოდება იმ ტრეინინგ-მომზადებისა რომელსაც ცენტრი ყოველწლიურად ატარებს და მასში მონაწილეობას იღებენ ექსპერტები ნატოს წევრი და არა-წევრი ქვეყნებიდან. ეს

არის ყველაზე დიდი მრავალეროვანი მომზადება, სადაც ინდივიდუალური ქვეყნები სწავლობენ თანამშრომლობას, პრობლემის ერთად აღმოფხვრას, ინფორმაციის გაზიარებას და კიბერ-კრიზისების უკეთ თავის გართმევას. ამგვარი წვრთნები კრიტიკულად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტებს შორის ურთიერთობების შესაქმნელად, ინფორმირებულობების ასამაღლებლად, ინფორმაციის გასაზიარებლად. ეს კი საბოლოოდ კიბერ-გამოწვევების მყისიერ მოგვარებას და მასთან ბრძოლას ისახავს მიზნად. ყველაფერი ეს მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ნდობის ჩამოყალიბებას ცალკეულ სახელმწიფოებს შორის და კიბერ ასპექტების გაძლიერებას. (Damien McGuinness, 2017).

ესტონეთი აგრძელებს ნატოს კოოპერატიული კიბერ თავდაცვის ცენტრის მხარდაჭერას, ხელს უწყობს ინფორმაციის გაზიარებას, ნდობის ჩამოყალიბებას ნატოს წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს შორის, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას რაც აძლიერებს ნატოს თავდაცვისუნარიანობას კიბერუსაფრთხოების ასპექტებში.

ესტონეთის ქალაქ ტარტუში განთავსებულია ნატოს კიბერ-კოალიციის სასწავლო ბაზა, სადაც ხორციელდება ნატოს კიბერ-თავდაცვის სწავლება. სწავლებების დროს ხდება იმიტირებული თავდასხმა კომპიუტერულ სისტემებზე და მათთან ბრძოლის და პრევენციის სწავლება.

მოკლედ რომ შევაჯამოთ აღნიშნული ქეისი და ვუპასუხოთ ანიშნული თავის კითხვას, თუ რა გავლენა მოახდინა კიბერ-თავდასხმამამ ესტონეთის ტრანსფორმაციაზე, აქ გაანალიზებულმა ქეისმა ნათლად აჩვენა, თუ რაოდენ კარგად შეიძლება გამოიყენოს მოწინააღმდეგემ როგორც პოტენციური დაძაბულობა საზოგადოებებში, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ამათ ერთობლივ კომბინაციას კი კიდევ უფრო დიდი საფრთხის მოტანა შეუძლია. ესტონეთის შემთხვევაში, ეს შეტევა გახდა გაკვეთილი, რომელიც კარგად იქნა შესწავლილი და გამოყენებული.

დღესდღეობით ესტონეთი არის ნატოსა და ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა კიბერუსაფრთხოების სფეროში. (Damien McGuinness, 2017).

3.3 კიბერ-ომი საქართველოს წინააღმდეგ

აღნიშნულ ქვეთავში განხილულია ქეისი, რომელიც ეხება საქართველოს - ნატოს არაწევრ ქვეყანას, თუმცა ქვემოთ განხილულმა შემთხვევამ, როგორც ალიანსი და მისი წევრები, ასევე მთლიანად საერთაშორისო საზოგადოება დააყენა მნიშვნელოვანი საფრთხის - კიბერ-ომის - საფრთხისა და მისი შედეგების წინაშე. მეორე მხრივ, ეს საკითხი ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, მნიშვნელოვანია პარალელების გასავლებად და კავშირის დასამყარებლად ისეთ თემასთან, როგორიცაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტაბილურობა. საქართველო, რომელიც წლებია გამოთქვამს სურვილს რომ გახდეს ალიანსის წევრი და ამ მიზნის მისაღწევად მრავალი ნაბიჯი გადადგა და დიდ პროგრესს მიაღწია, მისი მაგალითი და საქართველოს ქეისის კიბერუსაფრთხოების ჭრილში განხილვა სავსებით რელევანტურია წინამდებარე კვლევის პროცესში საკითხის არსის უკეთესად გაგებისა და გაანალიზების მიზნით.

2008 წლის აგვისტოში, საქართველო - რუსეთის ომის დროს, რუსეთის მხრიდან განხორციელდა მასიური კიბერშეტევა საქართველოს ინტერნეტ სივრცეზე, რის შედეგადაც გარკვეული პერიოდი პარალიზებული იყო ქვეყნის სამთავრობო და კერძო სექტორის ვებ - გვერდები.

საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის შესავალ ნაწილში წერია, რომ „2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა კიბერშეტევებმა ნათლად აჩვენა, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება ვერ შედგება კიბერსივრცის უსაფრთხოების

უზრუნველყოფის გარეშე. რუსეთ - საქართველოს ომის დროს, რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევების პარალელურად, განახორციელა მიზანმიმართული და მასირებული კიბერშეტევები. აღნიშნულმა კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ კიბერსივრცის დაცვა ეროვნული უსაფრთხოებისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების დაცვა". ეს კიბერშეტევა ბევრი საერთაშორისო ექსპერტის მიერ შეფასდა როგორც „ინფორმაციული/კიბერ ომი" საქართველოს წინააღმდეგ, რასაც ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა, არ არსებობდა საჭირო რესურსები, გამოცდილება და შესაბამისად საქართველომ კიბერშეტევის მოგერიება ვერ შეძლო. შედეგად ქვეყანა აღმოჩნდა სერიოზული საერთაშორისო ინფორმაციული ვაკუუმის წინაშე. პრობლემა გადაიჭრა ქვეყნის უცხოელი სტრატეგიული პარტნიორების, კერძოდ ესტონელების ჩარევის შემდეგ, რის შედეგადაც შეჩერებული და თავიდან აცილებული იქნა მთლიანი ინფრასტრუქტურის განადგურება. (კიბერ უსაფრთხოების ბიურო, „კიბერ თავდაცვა კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები", 2015).

ზემოთ განხილული კიბეშეტევის გამოცდილებამ, საქართველო ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა და იძულებული გახადა, ახალი გამოწვევების წინააღმდეგ ადაპტირება დაეწყო. 2008 წლის აგვისტოს ომისა და მისი შედეგების გათვალისწინებით, რაც უკავშირდებოდა ქვეყნის დაუცველ კიბერსივრცეს, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო სამართლებრივ - ნორმატიულ ბაზაზე მუშაობა მოცემული მიმართულებით. გარდა ამისა, ბოლო წლებია აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა პოლიტიკების შემუშავება, დაფუძნდა კიბერ უსაფრთხოების ბიურო, შემუშავდა კიბერ უსაფრთხოების სტრატეგია და კიბერ-შეტევებთან გამკლავება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა. 2008 წელთან შედარებით, დღეს საქართველო უფრო მომზადებული და ტრანსფორმირებულია აღნიშნულ გამოწვევებთან საბრძოლველად,

ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიმართულებითაც მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული.

3.4. 2017 წლის მნიშვნელოვანი კიბერ-თავდასხმები

2017 წელს საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ორმა მასშტაბურმა და საშიშმა ვირუსულმა კიბერ-შეტევამ მიიპყრო. მაისში WannaCry-ის სახელით კიბერსივრცეში ერთ-ერთი სერიოზული და სახიფათო კიბერ-შეტევა განხორციელდა რომლის ზარალმაც 1 მილიარდს გადააჭარბა, 300 000-ზე მეტი კომპიუტერული სისტემა დააზიანა და 150-ზე მეტი ქვეყანა მოიცვა (იხილეთ დანართი #2). როგორც საკითხის მკვლევარები განმარტავენ, WannaCry წარმოადგენს ტროას ვირუსის ერთ-ერთი საშიში სახეობას, რომელსაც სისტემაში შეღწევისა და დაინფიცირების შემდეგ კომპიუტერი გამოჰყავს მწყობრიდან და მის მფლობელს ფაილებზე კონტროლის აღდგენის მიზნით, სთხოვს თანხის გადახდას ბიტკოინების (მსოფლიო მასშტაბის კრიპტოვალუტა და ელექტრონული გადახდის საშუალება) სახით.

2017 წლის ზაფხულში, WannaCry-ის მსგავსი და, ასევე, მეტად სახიფათო და მასშტაბური შეტევა განხორციელდა, რომელიც ვირუსული პროგრამის Petya-ს სახელით არის ცნობილი. ვირუსი Petya კომპიუტერულ სისტემაში მოხვედრის შემდეგ შიფრავდა მონაცემებს და მომხმარებელს კომპიუტერებთან წვდომის სანავცლოდ 300 დოლარის გადარიცხვას თხოვდა. ვირუსი უკრაინიდან გავრცელდა და შემდეგ 60 ქვეყანაზე მეტში გავრცელდა. მან დააზიანა უკრაინის მთავრობის, რკინიგზის, ბანკების, მობილური კომპანიების, მედიასაშუალებების რედაქციები, ასევე, ჩერნობილის ატომურ-ენერგეტიკული სადგურის კომპიუტერული ქსელი. კიევმა კიბერ-შეტევაში რუსეთი დაადანაშაულა. თავად რუსეთში ვირუსმა დააზიანა მსხვილი კომპანიები, მათ შორის, "როსნეფტი", ბანკები და სხვა დაწესებულებები. ამის შემდეგ, ვირუსმა

ევროპულ ორგანიზაციებს შეუტია, მათ შორის, დიდი ბრიტანეთის სარეკლამო კომუნიკაციების ჰოლდინგს WPP Group-ს, დანიაში - ლოგისტიკურ კომპანია Maersk-ს; ასევე ინდოეთში ჯავახარლალ ნერუს სახელობის უმსხვილეს პორტს. არსებული მონაცემებით, 28 ივნისის საღამოსთვის, 64 ქვეყნის 12,5 ათასი კომპიუტერი დავირუსდა. (imedinews.ge)

ზემოთ აღწერილმა შემთხვევებმაც ნათელი გახადა, თუ რამდენადაა საერთაშორისო საზოგადოება, ცალკეული სახელმწიფოები და სხვა კრიტიკული ინფრასტრუქტურის და მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტები მოწყვლადი მსგავსი ტიპის ასიმეტრიული საფრთხეების წინაშე.

4. კიბერუსაფრთხოება და ალიანსის სწრაფად ცვლალებადი სამხედრო-პოლიტიკური გარემო

კიბერ-საფრთხეები და თავდასხმები უფრო და უფრო გავრცელებულ, დახვეწილ და საზაიანო ხასიათს იძენენ. ალიანსს კი კომპლექსურად მზარდი საფრთხისშემცველი გარემო ემუქრება. სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შესაძლებლობა აქვთ კიბერ თავდასხმები გამოიყენონ სამხედრო ოპერაციების კონტექსტში. ბოლოდროინდელი მოვლენების მიხედვით, კიბერ-თავდასხმები გახდა ჰიბრიდული ომის შემადგენელი ნაწილი. (NATO, Cyber defence, 2016) რაც შეეხება თავად ჰიბრიდულ ომს, როგორც ფრენკ ჰოფმანი განსაზღვრავს, ჰიბრიდული საფრთხეებია, როდესაც ნებისმიერი მოწინააღმდეგე ერთდროულად იყენებს კონვენციური იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმის და კრიმინალური ქცევის შესაბამის კომბინაციას და საომარი მოქმედებების სივრცეს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. როგორც ექსპერტები და თემაზე მომუშავე მკლევარები ამბობენ, ევრო-

ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურას მსგავსი პროცესები საფუძველს უთხრის. (ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება, 2016)

მეორე მხრივ, ნატო და მისი მოკავშირეები ქმნიან ძლიერ და სტაბილურ კიბერ-თავდაცვის სისტემას, რათა შეასრულონ ალიანის კოლექტიური თავდაცვის, კრიზისების მართვისა და ერთობლივი უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები. ნატო მზად უნდა იყოს რომ დაიცვას თავისი ქსელები და ოპერაციები მზარდი და დახვეწილი კიბერ-საფრთხეებისა და თავდასხმებისგან, რომელიც მის წინააღმდეგაა მიმართული.

- კიბერ-თავდაცვა ნატოს ძირითად ამოცანას წარმოადგენს კოლექტიური თავდაცვის სფეროში.
- ნატომ დაადასტურა რომ საერთაშორისო სამართალი უნდა ვრცელდებოდეს კიბერსივრცეში.
- კიბერთავდაცვის მიმართულებით, ნატოს ძირითადი აქცენტი ხორციელდება საკუთარი ქსელების (ოპერაციებისა და მისიების ჩათვლით) დასაცავად და ალიანსში მდგრადობის გასაძლიერებლად. (NATO, Cyber defence, 2016)

კიბერ-საფრთხეები განაგრძობს სწრაფ განვითარებას. ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ ბოლო დროს განხორციელებული მაღალი დონის კიბერ-თავდასხმები ცხადყოფს, რომ კიბერ-თავდაცვა და მდგრადობა უნდა იყოს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი. (North Atlantic Treaty Organization)

4.1 ნატოს მიდგომა კიბერ-თავდაცვის მიმართულებით

2014 წლის უელსის სამიტზე მოკავშირეებმა აღიარეს, რომ საერთაშორისო სამართალი უნდა ვრცელდებოდეს კიბერსივრცეშიც, და რომ კიბერ-შეტევებს შეუძლია ისეთივე ზიანის მიყენება საზოგადოებაზე, როგორიც ჩვეულებრივ სამხედრო შეიარაღებულ

თავდასხმას. შედეგად, კიბერ-თავდაცვა აღიარებულ იქნა ნატოს კოლექტიური თავდაცვის ძირითად ამოცანად. (North Atlantic Treaty Organization)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2016 წელს ვარშავის სამიტზე მოკავშირეებმა კიბერსივრცე აღიარეს ოპერაციების განზომილებად, ისევე როგორც ჰაერი, ხმელეთი და ზღვა. ეს საშუალებას აძლევს ნატოს სამხედრო მეთაურებს უკეთესად დაიცვან მისიები და ოპერაციები კიბერ-საფრთხეებიდან.

თუმცა, როგორც ნატოელი გადაწყვეტილების მიმღებები და ექსპერტები აცხადებენ, კიბერსივრცის დომინირების აღიარება ნატოს მანდატს არ ცვლის. როგორც ყველა ოპერაციულ განზომილებაში, ნატოს ქმედებები არის თავდაცვითი, პროპორციული და საერთაშორისო სამართლის შესაბამისი. (North Atlantic Treaty Organization)

ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარშავის სამიტზე მოკავშირეებმა მიიღეს Cyber Defence Pledge ეროვნული ქსელებისა და ინფრასტრუქტურის კიბერუსაფრთხოების გაძლიერების მიზნით. აქედან გამომდინარე, თითოეული მოკავშირე პასუხისმგებელია საკუთარ კიბერ-თავდაცვაზე, მაგრამ ნატო ეხმარება თავის წევრებს სხვადასხვა გზითა და საშუალებით. (North Atlantic Treaty Organization)

4.2 ნატოს კიბერუსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობები

აღნიშნულ ქვეთავში ყურადღებას გავამახვილებ იმ მნიშვნელოვან მიმართულებებსა და შესაძლებლობებზე, რაც ნატომ განავითარა ბოლო დეკადის განმავლობაში კიბერსაფრთხეებთან გამკლავების მიზნით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ნატოს კომპიუტერული ინციდენტების რეაგირების შესაძლებლობები (NCIRC) რომელიც დაფუძნებულია ევროპაში მოკავშირეთა ძალების უმაღლესი შტაბში, მონსში, ბელგიაში. ის იცავს ნატოს საკუთარ ქსელებს მრგვალი საათის კიბერ თავდაცვის მხარდაჭერის

საშუალებით. NCIRC-ის გუნდი შედგება 200-მდე ექსპერტთა ჯგუფისგან რომლებიც უმკლავდებიან ინციდენტებს და უზრუნველყოფენ ნატოს და მის მოკავშირეებს განახლებული ანალიზით იმ კიბერ გამოწვევებისა და საფრთხეების შესახებ, რასაც დღეს საერთაშორისო საზოგადოება უპირისპირდება. NCIRC-ის ფუნქციებში ასევე შედის ნატოს საინფორმაციო სისტემის მუდმივი მონიტორინგი და ალიანსის წინააღმდეგ მიმართული კიბერინციდენტების აღრიცხვა, ასევე, განსაკუთრებით საშიში კიბერთავდასხმების შესახებ ინფორმაციის სწრაფი გავრცელება და დროული რეაგირების უზრუნველყოფა. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

ნატო, ასევე, ეხმარება მოკავშირეებს გაზარდონ საკუთარი კიბერთავდაცვა შემდეგი გზების საშუალებით:

- საფრთხეების შესახებ ინფორმაციის გაზიარება რეალურ დროში მავნე ინფორმაციული გაზიარების პლატფორმის საშუალებით, როგორც კიბერ-საფრთხეებთან გამკლავების საუკეთესო პრაქტიკა;
- სწრაფი რეაგირების კიბერსაწინააღდეგო ჯგუფების მხარდაჭერა, რომლებიც შეიძლება გაიგზავნოს მოკავშირეთა დასახმარებლად კიბერ-შეტევებთან გასამკლავებლად.
- სამიზნე ჯგუფების დადგენა-განვითარება, რათა ხელი შეუწყონ საერთო მიდგომის შემუშავებას კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობებისთვის;

ინვესტირება განათლებაში, ტრეინინგებსა და წვრთნებში, როგორიცაა მაგალითად, „კიბერ კოალიცია“ - ერთ-ერთი უმსხვილესი კიბერთავდაცვის სწავლება მსოფლიოში. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

რამდენიმე ორგანო ასევე ხელს უწყობს ალიანსს და ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს კიბერუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

ნატოს კომუნიკაციებისა და საინფორმაციო სააგენტო, რომლის შტაბ-ბინებიც მდებარეობს ბრიუსელში, მონსსა და ჰააგაში, მხარს უჭრს ნატოს ოპერაციებს,

აკავშირებს ნატოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემებს და იცავს ნატოს ქსელებს. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

ნატოს Cyber Range ტარტუში, ესტონეთში გამოიყენება კიბერ ექსპერტების მიერ, რათა განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები რეალისტური წვრთნების საშუალებით. Cyber Range ხელს უწყობს ნატოს წამყვან ყოველწლიურ კიბერუსაფრთხოების წვრთნებს „კიბერ კოალიციას". (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

ნატოს კოოპერაციული კიბერთავდაცვის ცენტრი (CCDCOE) ტალინში, ესტონეთში წარმოადგენს ნატოს აკრედიტებულ კვლევით და სასწავლო დაწესებულებას, რომელიც მიმართულია კიბერ თავდაცვის შესახებ განათლების მიღების, კვლევის წარმოებისა და განვითარებისკენ. ცენტრი კიბერუსაფრთხოების საკითხებზე ექსპერტიზულ გამოცდილებას გვთავაზობს. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

ნატოს საკომუნიკაციო და ინფორმაციული სისტემების სკოლა ლათინაში (NCISS), იტალიაში, უზრუნველყოფს როგორც ალიანსის წევრი ქვეყნების, ასევე არაწევრი პარტნიორი სახელმწიფოების პერსონალისთვის სწავლებებს ნატოს საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების ოპერაციების შესახებ. სკოლა უახლოეს პერიოდში გადავა ოეირასში, პორტუგალიაში, სადაც ის უფრო მეტ ყურადღებას გაამახვილებს სასწავლო და საგანმანათლებლო საკითხებზე კიბერთავდაცვის მიმართულებით. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

ნატოს სკოლა ქალაქ ობერმერგაუში, გერმანიაში, ასევე, მართავს კიბერ საკითხებთან დაკავშირებულ ტრეინიგებსა და საგანმანათლებლო სწავლებებს, რათა მხარი დაუჭიროს ალიანსის ოპერაციებს, სტრატეგიას, პოლიტიკას, დოქტრინასა და პროცედურებს. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

ნატოს თავდაცვის კოლეჯი რომში, იტალიაში კი ხელს უწყობს სტრატეგიულ აზროვნებას სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე, მათ შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

4.3 თანამშრომლობა პარტნიორებთან

პარტნიორობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კიბერგამოწვევებზე ეფექტურად გასამკლავებლად. ნატო პარტნიორობის ფართო ქსელს მოიცავს, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებს, ინდუსტრიულ სფეროსა და აკადემიურ წრეს.

კიბერუსაფრთხოება ასევე ნატოსა და ევროკავშირს შორის გაძლიერებული თანამშრომლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს, როგორც ორი ორგანიზაციის გაძლიერებული და კოორდინირებული ძალისხმევა ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ. ნატო და ევროკავშირი იზიარებნ ინფორმაციას კიბერ-კრიზისის რეაგირების ჯგუფებს შორის და ცვლიან საუკეთესო პრქტიკებს. (North Atlantic Treaty Organization, Factsheet,2017)

ევროკავშირი, ასევე, შეიმუშავოს ჩარჩო დოკუმენტი, სადაც განისაზღვრება კიბერშეტევებზე საპასუხო დიპლომატიური რეაქციის ნორმებიმ მათ შორის სანქციები. ეს გახდება ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი კიბერდიპლომატიის შემადგენელი ნაწილი. დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს კიბერუსაფრთხოების სფეროში კონფლიქტების პრევენციას, კიბერსაფრთხეების შემცირებას და საერთაშორისო ურთიერთობაში სტაბილურობას. (The Council of the European Union)

ნატო ასევე ეხმარება პარტნიორ ქვეყნებს კიბერ-გამოწვევებთან საბრძოლველად.

გარდა ამისა, კიბერუსაფრთხოების გამოწვევებთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია კერძო სექტორთან თანამშრომლობა, რადგან ისინი მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან კიბერსივრცეში და მათი ცოდნა და ექსპერტიზა გასათვალისწინებელია ზემოთ აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. შესაბამისად, ნატო აძლიერებს კავშირებსა და თანამშრომლობას ინდუსტრიის წარმოამდგენლებთან ნატოს ინდუსტრიული კიბერ პარტნიორობის პლატფორმის საშუალებით, რომელიც მხარ უჭერს ნატოს შესაძლებლობებს, დაიცვას ჩვენი ქსელები, გაზარდოს მოქნილობა და დაეხმაროს

მოკავშირეებს კიბერ-შესაძლებლობების განვითარებაში. (NATO Cyber Defence factsheet, December 2017)

ინფორმაციის გაცვლა, წვრთნები, ტრეინინგები და განათლების მიღება წარმოადგენს იმ მცირე მაგალითებს, სადაც ნატო თავის პარტნიორებთან ერთად მუშაობს აღნიშნულ გლობალურ გამოწვევებთან დასაპირისპირებლად. (NATO Cyber Defence factsheet, December 2017)

5. ლიტერატურის მიმოხილვა

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა და ანალიზი თუ მკლევარებსა და პოლიტიკის შემქმნელებს როგორ ესმით და იზიარებენ ტექნოლოგიურ მახასიათებლებსა და იმ გამოწვევებს, რასაც ინტერნეტი და ციფრული და საკომუნკაციო ტექნოლოგიები უქმნიან ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას. როგორც აკადემიური წრეებში, ასევე სამთავრობო უწყებებში დღემდე დიდი დავა და განხილვა, ასევე აზრთა სხვადასხვაობაა როგორც კიბერ სივრცის, ასევე კიბერ სივრციდან მომდინარე საფრთხეების განმარტებასა და კონცეპტუალიზაციათან დაკავშირებით.

წინამდებარე ქვეთავში შევეცდები გავაანალიზო და მიმოვიხილო რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი, მკვლევართა და ექსპერტთა შეფასება და დამოკიდებულება, რომელიც შეესაბამება საკველევ კითხვასა და ჰიპოთეზას. ასევე გავაანალიზებ მსოფლიო ლიდერებისა და პოლიტიკოსების განცხადებებს საკვლევი საკითხთან მიმართებაში.

როდესაც ცალკეული სახელმწიფო, სახელმწიფოთა გაერთიანება თუ მთლიანი საერთაშორისო საზოგადოება დგას დილემის წინაშე, როგორ დაიცვას თავი შესაძლო კიბერ-საფრთხეებისგან, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, საგნის მკვლევარები

თუ უბრალოდ პოლიტიკოსები სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. მაგალითად, ზოგიერთს მიაჩნია, კიბერ-შეტევებისა და პროგრამული ვირუსების შესაჩერებლად უნდა შექიმნას ძლიერი თავდაცვითი სტრუქტურები, რადგან მსგავსი ტიპის საფრთხეები თავიდან აცილებული იქნას (Averbuch & Siboni, 2013); მაგრამ, როგორც პრაქტიკა და საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთი ტრადიციული მიდგომა არის მოწყვლადი და ვერანაირად შეაჩერებს თავმდასხმელს. თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ როცა სახელმწიფო ან თუნდაც ორგანიზაცია ავითარებს თავის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, პარალელურად მეტოქეც ძლიერდება, იმავე ტექნოლოგიური ინოვაციების საშუალებით.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა მეწარმეებსა და ინოვატორებს შესაძლებლობას აძლევს ითანამშრომლონ ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და არსებულის გაუმჯობესებაში. თუმცა, პოტენციურ მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ გამოიყენონ იგივე ტექნოლოგიები, რომელიც ტერორის ექსპორტს უწყობს ხელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. (Pavel Macko, Armed Forces in the 21st Century, 2014, გვ.219)

მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნებისთვის კიბერ-ომი არის როგორც კარგი შესაძლებლობა, ასევე უზარმაზარი საფრთხე. პრინციპული კიბერ-თავდასხმები, რომლის სამიზნეც მაგალითად ირანი გახდა 2010 წელს Stuxnet-ის კიბერ თავდასხმით, მტრის ინსდუსტრიული და სამხედრო ობიექტების განადგურების საშუალებას იძლევა, მაგრამ დასავლური ქვეყნების ხელმძღვანელებშიც კი კოშმარულ განცდებს იწვევს ის, რაც მათ მშობლიურ ქვეყნებში კომპიუტერული სისტემების დაუცველობას უკავშირდება (Rachman, 2010).

კიბერუსაფრთხოება ხშირად განიხილება როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული პრობლემა, რომელიც ეხება საზოგადოების ყველა ფენას. ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება საფრთხეები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებს კიბერსივრცეს და მის მომხმარებელს. სახელმწიფოს და სახელისუფლებო ორგაონოებს პირველ რიგში ადარდებთ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა,

კრიტიკული ინფორმაციისა და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დაცვა როგორც უცხო სახელმწიფოს, ისე არასამთავრობო სუბიექტებისა და დაჯგუფებების მხრიდან ხელყოფისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის მოპარვა ან/და გადაცემა, ქსელის დაზიანება ან/და საერთოდ განადგურება. სახელმწიფოს უსაფრთხოების რეალურ საფრთხეს წარმოადგენს კიბერშეტევები, რომლებიც მიმართულია ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურის განადგურებისკენ, როგორებიცაა სატელეკომუნიკაციო ქსელების, ენერგოგენერირებისა და ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების სისტემები, ასევე ელექტრომომარაგების, საფინანსო, ჯანდაცვისა და სატრანსპორტო სისტემები. (ვლადიმერ სვანაძე, 2015)

კიბერსივრცე დღესდღეისობით არსებული მდგომარეობით ნაკლებად დაცულია, რასაც ხელს უშლის სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის ნაკლები კომუნიკაცია და იმ განსვავებული მოტივაციის, ინტერესებისა და მიზნების არსებობა, რაც ახასიათებს თითოეულ სექტორს. ყოველივეს ემატება ის გარემოებაც, რომ ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად ვითარდება ასევე კიბერდანაშაულებები, ვინაიდან ისინი ყოველი ნოუ ჰაუს აქტიური მომხმარებლები არიან. (ვლადიმერ სვანაძე, 2015)

ის რომ კიბერ უსაფრთხოება როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელოვან საკითხად იქცა, ამას ადასტურებს როგორც მსოფლიო ლიდერების განცხადებები, ასევე წამყვანი სახელმწიფოების დღის წესრიგში საკითხის მნიშვნელოვან ნაწილად წამოწევა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ცალსახად აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას, რომ კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის პრიორიტეტს. 2017 წლის დეკემბერში კი გამოქვეყნებულ ახალი სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, თეთრი სახლი გარკვევით აფიქსირებს თავის პოზიციას: „საფრთხე კიბერუსაფთხოებისთვის, არის საფრთხე ამერიკის სტაბილურობისთვის“. პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაცია სტრატეგიულ დოკუმენტში რამდენჯერმე ხაგზასმით გამოჰყოფს კიბერუსაფრთხოებასთან

დაკაშირებულ საკითხებს და ასევე, არ ერიდება, დაასახელოს ის ქვეყნები რომლებიც მოსალოდნელია რომ იყენებენ ან გამოიყენებენ კომპიუტერულ ქსელებს იარაღად აშშ-ს წინააღმდეგ. საპასუხოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები შეაკავებს, დაიცავს და, საჭიროების შემთხვევაში, დაამარცხებს მავნე, ვირუსულ აქტორებს, რომლებიც აშშ-ს წინააღმდეგ კიბერ-შესაძლებლობებს იყენებენ.“ National Security Strategy of the United States of America, December 2017

რაც შეეხება თავად ნატოს ლიდერების დამოკიდებულებას და განცხადებებს კიბერ უსაფრთხოების საკითხთან მიამრთებაში, 2017 წლის ნოემბერში, პრე-მინისტერიალის პრენსკონფერნეციაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა იანს სტოლტენბერგმა ყურადღება გაამახვილა კიბერუსაფრთხოების შესახებ და აღნიშნა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. (North Atlantic Treaty Organization) შედეგად, 2017 წლის ნოემბრის მინისტერიალზე, კიბერ-შეტევებიდან მომდინარე მზარდი საფრთხეების გათვალისწინებით, ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა დაამტკიცეს ერთგვარი პრინციპების ნაკრები, თუ ალიანსს როგორ შეუძლია სამხედრო ოპერაციებში ალიანსის კიბერ-შესაძლებლობების ინტეგრირება. მინსიტრები ასევე შეთანხმდნენ ახალი კიბერ-ოპერაციების ცენტრის შექმნაზე, რათა დაეხმარონ კიბერის ინტეგრირებას ნატოს დაგეგმვისა და ოპერაციების ყველა დონეზე. ეს კი იყო შემდეგი ნაბიჯი მას შემდეგ, რაც 2016 წელს ნატოს წევრებმა კიბერი აღიარეს როგორც სამქომედო განზომილებად მსგავსად ხმელეთის, ზღვისა და ჰაერისა. (North Atlantic Treaty Organization)

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნატოს გენერალურმა მდივანმა მის ერთ-ერთ ინტერვიუში გერმანულ გაზეთთან "Die Welt", განაცხადა, რომ გასულ წელს ნატოში კიბერ-შეტევის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ალიანსის ხელმძღვანელი შიშობს, რომ კიბერ-თავდასხმებს სასიცოცხლო და კრიტკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურაზე შესაძლებელია განსაკუთრებით გამანადგურებელი ხასიათი ჰქონდეს. გენერალური მდივნის განცხადებით, ასევე, 2016 წელს 500-მდე საშიში კიბერ-შეტევა განხორციელდა

ნატოს სხვადასხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე ყოველთვიურად; რაც წარმოადგენდა წინა წელთან შედარებით 60%-იან ზრდას. სტოლტენბერგმა, ასევე, დაამატა, რომ ალიანსის მონაცემთა ქსელებზე თავდასხმების უმრავლესობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ფინანსდება ვიდრე, კერძო პირების მიერ. (http://p.dw.com/p/2W1fe)

ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, უსაფრთხოების კუთხით ალიანსის მიერ განხორციელებული ქმედებები კიბერსივრცეზეც გავრცელდება, რომელიც ბოლო პერიოდში საფრთხის შემცველი გახდა როგორც მთლიანად ორგანიზაციისთვის, ისე მისი ცალკეული წევრი ქვეყნისთვის. სტოლტენბერგმა ამის საჭიროებისთვის მაგალითად მოიყვანა 2017 წლის მაისში განხორციელებული მასშტაბური კიბერ-შტევები, რომელმაც და რომლის მსგავსმა თავდასხმებმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას და მოწყვალდი გახადოს ალიანსის კიბერ თავდაცვის სისტემა. შესაბამისად, სტოლტენბერგმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კიბერსივრცე სამხედრო მოქმედებათა ისეთივე სფერო გახდა, როგორიც ხმელეთი, ზღვა და ჰაერი. მისი თქმით, ნატოს ნებისმიერ წევრ ქვეყანაზე კიბერშეტევის შემთხვევაში შესაძლოა ამოქმედდეს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა ყველა წევრზე თავდასხმად განიხილება. (North Atlantic Treaty Organization)

ასევე, 2017 წლის მიწურულს, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე, როუზ გოტმიოლერი დაესწრო ნატოს კიბერ უსაფრთხოების კონფერენციას მონსში, ბელგიაში, სადაც ისაუბრა კიბერუსაფრთხოების სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ. „კიბერ-თავდასხმები არის სერიოზული. მათ გააჩნიათ პოტენციალი რომ ძირი გამოუთხარონ ნატოს მისიასა და ძირითად ამოცანებს მსოლიოს მასშტაბით და ხელი შეუშალონ ჩვენს შესაძლებლობას, ვუზრუნველყოთ კოლექტიური თავდაცვა. სწორედ ამიტომ, კიბერუსაფრთხოება წარმაოდგენს ნატოსა და ნატოს მოკავშირეებისთვის უმთავრეს პრიორიტეტს“. (North Atlantic Treaty Organization)

6. თეორიული ჩარჩო

წინამდებარე თავში განხილული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული მიდგომა, რომელიც მიესადაგება ჩემს კვლევას და ქვემოთ განხილული თეორიით შევეცდები ავხსნა ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა.

როგორც უკვე არაერთგზის ვახსენეთ, აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს კვლევის პროცესში დაამტკიცოს ჰიპოთეზა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ნატოს სამხედრო პოლიტიკური სტაბილურობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე მოწყვლადი გახადა და ალიანსის დღის წესრიგისა და ძირითადი ამოცანების ტრანსფორმაცია განაპირობა.

ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებული მაქვს ლიბერული ინსტიტუციონალიზმი და ურთიერთდამოკიდებულების ლიბერალური თეორია.

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას და თავის მხრივ ემყარება ლიბერალურ თეორიას, ომები და კონფლიქტები არ არის გარდაუვალი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიდგომა იზიარებს რეალიზმის ძირითად დებულებას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით – საერთაშორისო ურთიერთობებში არის საკმარისი სივრცე და საშუალება რათა სახელმწიფოებმა ითანამშრომლონ, ინსტიტუტები და ორგანიზაციები კი ამ წარმატებული თანამშრომლობის საშუალებას იძლევა.

ინსტიტუტები სიცოცხლისუნარიანნი არიან, ამასთან, გაცილებით ადვილია, საჭიროების შემთხვევაში, მათი გარდაქმნა, ვიდრე ახლის ჩამოყალიბება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის წინაშე ახალი გამოწვევა შეიქმნება, ისეთი, როგორიც მისი შექმნისას გათვალისწინებული არ იყო, ქვეყნები ორგანიზაციის დაშლის

და სხვა ინსტიტუტის ჩამოყალიბების ნაცვლად, არსებულის მოდიფიკაციას ახდენენ, რათა მოარგონ თანამედროვე გამოწვევებს. (Robert Keohane, 1984)

თუმცა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ინსტიტუტის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც ორგანიზაცია ემსახურება მასში შემავალ ქვეყნებს. ინსტიტუტებს გააჩნიათ თუ არა ადაპტირების უნარი, დამოკიდებულია იმაზე, მისი საშუალებები – კონკრეტული თუ ზოგადი - ნორმების, წესებისა და პროცედურების ჯამი, რამდენად შეესაბამება წევრი სახელმწიფოების ინტერესებს. (Celeste Wallander, 2000, გვ.705-706)

ცივი ომის დასრულების შემდგომ, ნატოს წევრმა ქვეყნებმა, შექმნილი უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა კვლავ ალიანსის საშუალებით მოახერხეს, ორგანიზაციის უკვე კარგად ჩამოყალიბებული ზოგადი საშუალებებისა და მათი ახალი მიზნებისთვის გამოყენების გზით. ნატო-ს ცალკეულმა სტრუქტურებმა ტრანსფორმაცია განიცადა.

ვოლანდერის მიხედვით, ნატოს სიცოცხლისუნარიანაობის ახსნა, შესაძლებელია ალიანსში არსებული შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: გამჭვირვალობა წევრ სახელმწიფოთა შორის, სამხედრო ძალების მაღალი სამოქალაქო კონტროლი, კონსულტაციების პრაქტიკა, ინტეგრირებული სარდლობის სტრუქტურა, წევრ-სახელმწიფოთა შესაბამისობა, საერთო ლოჯისტიკა და საჰაერო თავდაცვა. ასევე, მნიშვნელოვანია საერთო ეკონომიკური ინფრასტრუქტურა. (Celeste Wallander, 2000, გვ.705-706)

რობერტ მაკკალას მიხედვით, რომელიც ნატოს გაფართოების ანალიზს ასევე ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის საშუალებით ახდენს, ჯერ კიდევ 1996 წელს, მაშინ, როდესაც ნატოს გაფართოება არ იყო ისეთი მასშტაბური, აცხადებდა, რომ ბანაკების აკეცვის, გამარჯვების გამოცხადების და ახალი ინსტიტუტის მშენებლობის მაგივრად, წევრი ქვეყნები ალიანსს ახალ მიმართულებას მისცემენ, არსებული მექანიზმების და პროცედურების გამოყენებით, ზედ დააშენებენ წარსულ წარმატებებს,

რათა გაუმკლავდნენ ახალ პრობლემებს. მაკკალა თავის ნაშრომში აღწერს თუ როგორ გაინთავისუფლა ნატომ თავი ცივი ომის დროინდელი ინსტიტუტებისგან და ჩაანაცვლა ისინი ახალი მექანიზმებით, რომლებიც საჭირო იყო ახალ საფრთხეებთან გასამკლავებლად. (Robert McCalla, 1996, გვ.646)

მიუხედავად იმისა, რომ მაკკალა ინსტიტუციონალისტური მიდგომით ნატოს ტრანსფორმაცას ხსნის, იგი ასევე დასძენს, რომ ეს არ არის საკმარისი, რადგან ეს არ არის სრულყოფილი ანალიზი პროცესისა. ავტორის აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტორია წევრ სახელმწიფოთა ურთიერთობები და მიმდნარე პროცესები, რადგან საბოლოო ჯამში, სწორედ წევრი სახელმწიფოები არიან ის დონორები, რომლებიც განაპირობებენ ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირებას. (Robert McCalla, 1996, გვ.646)

ზემოთ განხილული მსჯელობა კი გვაძლებს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ დღეს ყველაფერი უწყობს ხელს ნატოს, რომ კიდევ ერთხელ ტრანსფორმირდეს თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

ასევე უნდა განვიხილოთ ურთირთდამოკიდებულის ლიბერალური თეორიის ისეთი წარმომადგენლების დამოკიდებულება წინამდებარე ნაშრომის კვლევის პროცესში, როგრებიც არიან ჯოზეფ ნაი და რობერტ კიოჰანი და მათი ნაშრომი „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება“ (1977). მათი მტკიცებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობები უფრო კომპლექსური და გაცილებით რთულია, ვიდრე ეს ასე იყო. ადრე თუ ერთადერთი საშუალება ძალის გამოყენება იყო წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად, დღეს სამხედრო ძალა და შეიარაღება უკვე ნაკლებად გამოყენებადი ინსტრუმენტია.

მოდერნიზაციის გავლენის გამოძახილია ნაის და კიოჰეინის უახლესი ნაშრომი ამ თემაზე, ,,ძალა და ურთიერთდამოკიდებულება საინფორმაციო საუკუნეში,” რომელიც

ავტორებმა 1998 წელს სტატიის სახით დაბეჭდეს ცნობილ ჟურნალ საგარეო ურთიერთობებში (Foreign Affairs). ამ სტატიის სიახლე ისაა, რომ ნაი და კიოჰენმა ყურადღება მიაპყრეს საერთაშორისო ურთიერთობებში ინფორმაციის მნიშვნელობას და გვამცნეს, რომ ,,სავარაუდოა რომ ახალ საუკუნეში სინფორმაციო ტექნოლოგია იქნეს ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი (power resource).” მათი თქმით, უკვე დაიწყო ახალი ხანა, ე.წ. ,,საინფორმაციო რევოლუცია” რომელიც ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, მაგრამ უკვე იქონია დიდი ზეგავლენა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების სამ ძირითად კომპონენტებზე:

1. საზოგადოებათაშორისი კონტაქტები;

2. სამხედრო ძლიერების როლის შესუსტება;

3. უსაფრთხოება, როგორც ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი. (აკობია ეკა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, 2006).

როგორც ავტორები აცხადებენ, მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო რევოულუციამ საგრძნობლად შეცვალა და გააღრმავა საზოგადოებებს შორის კონტაქტი, სამხედრო სიძლიერისა და უსაფრთხოების მნიშვნელობისა და გავლენის შემცირება ბოლომდე ვერ შეძლეს და ეს ეტაპი ჯერჯერობით საწყის ეტაპზეა.

რომ შევაჯამოთ, აღნიშნულ თავში განხილული თეორიებით შევეცადე ამეხსნა როგორც ალიანსის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა და მისი ბუნება, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლგიების გავლენა ტრადიციული სამხედრო ძლიერების როლის შესუსტებაზე და საერთაშორისო უსაფრთხოების მოწყვლადობაზე.

დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ, მართალია, რომ სამხედრო სიძლიერე და ეროვნული უსაფრთხოება მნიშვნელოვან რგოლად რჩება, თუმცა ისიც ფაქტია, რომ რაც არ უნდა ძლიერი და მოდერნიზებული სამხედრო შეირაღება გყავდეს, ნებისმიერ დროს

თუ განხოციელდა კიბერ-სივრციდან გამანადგურებული და მასირებული თავდასხმა, მას შეიარაღებული სამხედრო კონტიგენტი ვერ უშველის. შესაბამისად, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან მთლინი ალიანსის სტაბილურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება და მას სერიოზული საფრთხე დაემუქრება. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ ვერ მოხდება სწრაფად იმის დადგენაც, ვინაა მტერი, რადგან შეიძლება შეტევის განმახორციელებელი იყოს ერთ კონტინენტზე, IP მისამართი იყოს დარეგისტრირებული მეორე კონტინენტზე, ხოლო დამკვეთი საერთოდ სხვა კონტინენტს წარმოადგენდეს. შესაბამისად, ამ დროს სამხედრო მობილიზება და იერიში ვერ დაიწყება და ვერც იქნება ეფექტური.

7.კიბერუსაფრთხოების გამოწვევები და ნატოს ტრანსფორმაციის უნარი - არის თუ არა ნატოს დღევანდელი როლი და აქტივობები საკმარისი?

წინამდებარე ნაშრომის განმავლობაში, ხშირად აღვნიშნეთ, რომ ნაშრომის მთავრი საკვლევი კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ როგორი გავლენა მოახდინა კიბერუსაფრთხოების გამოწვევებმა ნატოს დღის წესრიგის ტრანსფორმაციაზე 2002 წლიდან დღემდე. სხვადასხვა სამეცნიერო სტატიის, ოფიციალური დოკუმენტებისა თუ მსოფლიო ლიდერების განცხადებების ანალიზით, დავინახეთ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დღის წესრიგში როგორც ტერმინი კიბერი, ასევე კიბერუსაფრთხოების გამოწვევები უმნიშვნელო საკითხიდან ერთ-ერთ უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე თემად იქცა, რომელზეც ყურადღება დღითიდღე იზრდება და ნატოს დღის წესრიგშიც და ძირითად ამოცანებშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. იგი უკვე იქცა ნატოს სამიდან ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის - კოლექტიური

თავდაცვის შემადგენელ ნაწილად. მაგრამ, ამ მსჯელობის პარალელურად, მოვლენების სწორი ანალიზისთვის საჭიროა მეორე მხარის ანალიზიც.

როგორც თემის კვლევის პროცესში და ზემოთ აღნიშნულ მსჯელობებში დავინახეთ, ნატო და მისი წევრი ქვეყნები ყველანაირად ცდილობენ მხარი აუბან ტექნოლოგიურ ცვლილებებს, მოახდინონ სწრაფი ადაპტირება და შესაძლო საფრთხეებზე სწრაფი რეაგირებისთვის ყველანაირად სრულყოფილად დაიცვან თავი შესაძლო კიბერ-საფრთხეებისგან. მაგრამ, მეორე მხარეს გვყავს პოტენციური მეტოქე სახელმწიფოები, როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი, ასევე, სხვა განვითარებადი სახელმწიფოები, რომლებიც სწორედ ტექნოლოგიური განვითარებების საშუალებით ცდილობენ გაძლიერდნენ და ასე გაუტოლდნენ მათზე ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებს. მაგალითად, ვიცით, რომ, როგორც ნატო ერთიანად, ასევე, თუნდაც მისი წევრები ცალ-ცალკე, მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერითა და სტაბილურობით ბევრად აღემტება მის კონკურენტ და მეტოქე სახელმწიფოებეს, თუმცა სწორედ კიბერსივრცე არის ის განზომილება, სადაც მოქმედება და თუნდაც ბრძოლა, ასევე შეიარაღება არის ასიმეტრიული. ასიმეტრიულ სიტუაციაში კი ძნელია განსაზღვრო ვინაა ძლიერი და ვინაა სუსტი, რადგან მეტოქის სიძლიერეს ვერ აფასებ. ასევე, რთულია წინასწარ განსაზღვრო შესაძლო დაპირისპირების შემთხვევაში ვინ იქნება გამარჯვებული. ინტერნეტის იარაღიზაციის საშუალებით პოტენციურად მეტოქე სახელმწიფოები, როგორებიცაა ჩინეთი და რუსეთი, ბევრად უფრო საშიშ ძალას წარმოადგენენ, რადგან ტექნოლოგიური განვითარებით ისინიც ისევე სარგებლობენ, როგორც თუნდაც აშშ და ნატოს სხვა წევრი სახელმწიფოები.

გარდა კიბერსივრცის და კიბერუსაფრთხოების ასიმეტრიულობისა, ასევე, მსურს, ყურადღება გავამახვილო თანამედროვე კიბერ-გამოწვევების წინაშე ნატოს არა მხოლოდ დღის წესრიგის, არამედ მისი სრული ტრანსფორმაციის შესაძლებლობაზე. მართალია, რომ ნატოს დღის წესრიგში კიბერუსაფრთხოების საკითხი

უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს, მაგრამ, რეალურად, რამდენად შეიცვალა თავად ორგანიზაცია, ან რამდენად მდგრადია ალიანსი და მისი სტრუქტურა კიბერ-საფრთხეების წინაშე, ესეც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რეალურად, ჩვენ ზემოთ მსჯელობისას უკვე განვიხილეთ საერთაშორისო ურთიერთობებში და კიბერსივრცეში მომხდარი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები კიბერ-ინციდენტები და მათი გავლენა როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე სახელმწიფოთა გაერთიანებებსა და მათ ქმედებებზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტი სახეზეა, რომ ისტორიაში არ ყოფილა პრეცედენტი იმისა, რომ მომხდარიყო ფატალური შედეგის კიბერ-თავდახმა, რომელიც კატასტროფულ შედეგს გამოიწვევდა. მართალია, იყო მრავალი შემთხვევა, რომელიც ამის საშიშროების წინაშე აყენებდა საერთაშორისო საზოგადოებას, თუმცა, ჯერ რეალობაში მსგავსი კატასტროფა არ მომხდარა. პირადად ჩემი მოსაზრებაა, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია მსგავსი პრეცედენტიც ვიხილოთ, თუმცა, დღემდე მსგავსი რამ რომ არ ყოფილა ეს ნათელია. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, თუ ნატოს და მის წევრი ქვეყნების მოქმედებებს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ სიტყვიერად თუ წერილობით თითოეული წვერისა თუ ალიანსის დღის წესრიგში საკითხი ზემდეტად აქტუალურიცაა, ლიდერები არც ხმამაღალ განცხადებებს ერიდებიან და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებშიც მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ; ასევე, აღიარებენ კოლექტიური თავდაცვის კომპონენტად. მაგრამ ფაქტი ჯიუტია: მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მრავალი ვირუსული კიბერ-თავდასხმები განხორციელდა, პრაქტიკაში განხორციელებული მნიშვენლოვანი საპასუხო ქმედებები არ ჩანს. ეს შესაძლებელია იმითაც იყოს განპირობებული, რომ მოწინააღმდეგეს არც სურდა ამ დრომდე მოვლენები ზედმეტად სახიფათო / დამანგრეველ ეტაპზე გადაეყვანა. შესაბამისად, როცა რეალობა დადგება ფაქტის წინაშე, რთული სათქმელია, თუ როგორ მოიქცევა ალიანსი და რამდენად შეძლებს აღნიშნულ შესაძლო საფრთხესთან გამკლავებას. მართალია, ნატო ცდილობს აღიჭურვოს და თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების წინაშე მომზადებული იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, არ ვიცით რას გვიმზადებს მოწინააღმდეგე და მისი ვირტუალური შესაძლებლობები.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ კიბერსივრცეში საერთაშორისო სამართლის მისადაგება. რამდენადაც ნატო და მისი წევრი ქვეყნები აღიარებენ რა კიბერსივრცეს მეხუთე განზომილებად და უშვებენ მოვლენათა იმ განვითარებას, რომ ომი განხორციელდეს კიბერსივრცეში და საერთაშორისო სამართალი, მათ შორის გაეროს ქარტია მიესადაგებოდეს კიბერსივრცეს, სანამ საერთაშორისო სამართლით და სამართლებრივი ნორმებით ყველაფერი არ იქნება მიღებული და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული, ალიანსს და მის წევრებს თავისუფლად მანევრირების შესაძლებლობა კიბერსივრცეში მაინც არ ექნებათ.

თემის კვლევის პროცეში მრავალ ნაშრომს, განცხადებას თუ აკადემიურ სტატიას გავეცანი, ასევე კონსულტაციები და დისკუსიები მქონდა საქართველოში კიბერუსაფრთხოების საკითხზე მომუშავე პირებთან. მუშაობის პროცესში კი დავინახე, რომ სივრცე, რომელსაც ვიკვლევთ, არის უაღრესად ასიმეტრიული და ზუსტი დასკვნების გამოტანა და პროგრნოზირება არც თუ ისე მარტივია. ნაშრომში განხილული იყო ალიანსის მიერ გადადგუმლი ნაბიჯები კიბერუსაფრთხოების საჭიროებებიდან გამომდინარე; ასევე, კვლევის პროცესში აქტიურად ვეცნობოდი როგორც ნატოს წევრი ქვეყნების, ასევე პარტნიორი ქვეყნების ეროვნული უსაფრთოხებისა და კიბერუსაფრთოხების სტრატეგიებს. ისეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ დღეს თუ კონკრეტულ ქვეყანაზე კიბერ-თავდასხმა განხორციელდება, მათთან ბრძოლა და პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად უფრო ეფექტური შეიძლება იყოს, ვიდრე კოლექტიური თავდაცვის პრინციპის მიხედვით. ეს იმით არის განპირობებული, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე ეს საკითხი შედარებით უფრო მაღლა ჰყავთ აყვანილი და შიდა კანონმდებლობითაა დარეგულირებული, როცა ნატოს კიდევ უფრო მეტი ეტაპის გავლა, კონსულტაციები და კონსესუსი ჭირდება შესაძლო პრობლემის გადასაჭრელად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რასაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ჯერ პირისპირ არ შეჯახებია არის ტექნოლოგიების გამოყენებით ვირტუალურ სივრცეში

განხორციელებული ტერორისტული აქტი. მოსალოდნელია, რომ ალიანსი მსგავსი გამოწვევის წინაშე უახლოეს პერიოდში დადგება. ხოლო როგორ გაუმკლავდება მსგავსი ტიპის გამოწვევას, რომელმაც შესაძლოა ფატალური შედეგი გამოიწვიოს, დღეისათვის მარტივად პროგნოზირებადი არაა. თუმცა ფაქტი სახეზა, ასეთ მოვლენას უდიდესი გავლენა ექნება როგორც ნატოს მდგრადობაზე, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

8. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილული იყო კიბერუსაფრთხოების გავლენა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დღის წესრიგზე და ალიანსის ტრანსფორმაციის უნარზე მის წინაშე მდგარი გამოწვევების მიმართ. წარმოდგენილი იყო ჰიპოთეზა: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ნატოს სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა მოწყვლადი გახადა თანამედროვე გამოწვევების წინაშე და ალიანსის ძირითადი ამოცანების ტრანსფორმაცია განაპირობა.

საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის, პირველადი წყაროების, კვლევითი ცენტრებისა და უნივერსიტეტების მუშაობის ანგარიშების, სტატიების, ოფიციალური დოკუმენტების, სახელმწიფოს პირველ პირთა და ოფიციალური წარმომადგნელების მიერ გაკეთებული განცხადებებისა და ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებული ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის და ურთიერთდამოკიდებულების ლიბერალური თეორიების განხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2002 წლიდან დღემდე, ნატოს დღის წესრიგმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა; კიბერუსაფრთხოებამ და კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეებმა ალიანსისა და მისი წევრი სახელმწიფოების განსაკუთრებული ყურადღება გამოწივია. კიბერ-გამოწვევებმა კი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი

ერთგვარი გარდაუვალი აუცილებლობისა და დილემის წინაშე დააყენა - ინსტიტუტისა და მისი დღის წესრიგის ტრანსფორმირების საჭიროება.

ასევე, ნაშრომზე მუშაობის პროცეში მიღებული ცოდნის, შედეგებისა და გამოცდილების საფუძველზე, შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოვყოთ დასკვნის სახით.

პირველ რიგში, კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ნატოს დღის წესრიგმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და კიბერუსაფრთხოების საკითხი უმნიშვნელო საკითხიდან ტოპ-პრიორიტეტად იქცა. ამის დასკვნის საშუალება კი რამდენიმე გასათვალისწინებელმა ფაქტორმა განაპირობა, როგორებიცაა ნატოს კოლექტიური თავდაცვის ძირითად კომპონენტად კიბერუსაფრთხოების აღიარება (ხმელეთის, ზღვის, ჰაერისა და კოსმოსის შემდეგ ოპერირების მეხუთე განზომილებად ქცევა) და ნატოს წვერი ქვეყნების შეთანხმება, რომ საჭიროების შემთხვევაში ნატოს დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-5 მუხლი კიბერსივრცეშიც გავრცელდება. თუმცა, თუ რეალურ სურათს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მე-5 მუხლის ამოქმედების საკითხი არც თუ ისე მარტივად გადასაწყვეტი იქნება, განსაკუთრებით, იმ გარემოებას თუ დავეყრდნობით, რომ კონვენციური დაპირისპირების შემთხვევაშიც კი ნატოს 70-წლიანი არსებობის პერიოდში აღნიშნული პრინციპი მხოლოდ ერთხელ, 9/11 მოვლენების შემდგომ ამოქმედდა. შესაბამისად, კიბერსივრცეში რამდენად შესაძლებელი იქნება მეხუთე მუხლის ამოქმედება და უახლოეს მომავალში ეს რამდენად მოსალოდნელია, რთული განსასაზღვრია და უამრავ რისკ-ფაქტორებთან არის დაკავშირებულ. მაგრამ მეორე მხრივ, აღნიშნულ მსჯელობას მაინც იმ აზრამდე მივყავართ, რომ ნატოს მთავარი დღის წესრიგი ნამდვილად ტრანსფორმირდა თანამედროვე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე. თუმცა, მეორე მხრივ, რამდენად ნაყოფიერად და სრულყოფილად ტრანსფორმირდა მთლიანად ალიანსი თავისი სამხედრო-პოლიტიკური ბუნებითა და სტრუქტურით ეს კიდევ ცალკე საკითხია და დღეს ამის დასკვნის საშუალება არ გვაქვს. უფრო სწორად, დღევანდელი

გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, ნატო სრული ტრანსფორმაციისგან ჯერ მაინც შორსაა, და ამის დანახვის საშუალება მხოლოდ მაშინ გვექნება, როდესაც რეალურად მოუწევს დაუპირისპირდეს ვირტუალურ ომს პირდაპირ და ცხადად. ამის შემდეგ შესაძლებლობა გვექნება, გავიგოთ, თუ რამდენად შეძლო ალიანსმა სრული ტრანსფორმირება. დღევანდელი რეალობიდან თუ შეხვედავთ, ნატო კვლავ რჩება სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსად, რომლის მთავარი საფუძველი კვლავ სამხედრო შეიარაღებასა და სიძლიერეში გამოიხატება. მაგრამ, მეორე მხირვ, ახლო მომავალში მოსალოდნელია ნატოს სამხედრო-პოლიტიკური როლის ერთგვარი დაკნინება და კონვენციური შეიარაღებიდან კიბერ-შეირაღებაზე გადასვლა. ასევე, მოსალოდნელია, რომ შემცირდება ხარჯების გაწევა სამხედრო შეირაღებაზე და გაიზრდება კიბერ-ტექნოლოგიების მიმართულების გაძლიერება.

ასევე, დღევანდელი სურათი იმის დასკვნის საშუალებასაც გვაძლევს, რომ თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება და შედარებით იმდენად მცირე ხარჯთან და რესურსებთანაა დაკავშირებული, რომ ეს მტრის გაძლიერებასაც გამოიწვევს. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში უნდა ველოდოთ ტერორიზმს კიბერ-განზომილებაშიც - სხვანაირად რომ განვსაზღვროთ - ტექნოლოგიების გამოყენებით ვირტუალურ სივრცეში ტეროტისტული აქტის განხორციელებას. ჩემი აზრით, კი სწორედ მომავალი საფრთხეები დაგვანახებს თუ რეალურად რამდენად შეძლო ნატომ სრული ტრანსფორმაცია და რამდენად გამოიყენებს თუნდაც 2002 წლიდან დღემდე მიღწეულ პროგრესს, განხორციელებულ რეფორმებსა და დღეს მის ხელთ არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს.

რაც შეეხება საკვლევ კითხვას თუ როგორ შეცვალა კიბერუსაფრთხოების გამოწვევებმა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დღის წესრიგი 2002-2017 წლებში და, ზოგადად, რა გავლენას ახდენს კიბერუსაფრთხოება საერთაშორისო ურთიერთობებზე, ფაქტი სახეზე გვაქვს: საინფორმაციო და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების განვითარებამ როგორც ნატო, ისე მისი წევრი ქვეყნები და პარტნიორები, ასევე, მთლიანი საერთაშორისო საზოგადოება მოწყვლადი გახადა თანამედროვე გამოწვევების წინაშე და როგორც კონკრეტულად ალიანსის, ასევე, ზოგადად საერთაშორისო სისტემის სტაბიულურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას ღიად ტოვებს. მოწყვლადობა კი იმაშიც გამოიხატება, რომ ალიანსი, მისი წევრები და პარტნიორები იმდენად შიშობენ მოსალოდნელი საფრთხეების გამო, რომ დღითიდღე ავითარებენ თავიანთ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, ზრდიან დაფინანსების ხარჯებს ამ მიმართულებით და უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ როგორც ზეპირ, ისე წერილობით აფიქსირებენ კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობას და კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეებს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად ასახელებენ. ასევე, ის რომ რეალურად ჯერ არ განხორციელებულა ისეთი მასშტაბური და გამანადგურებელი კიბერ-შეტევა, რომელიც რეალურად დაგვანახებდა თუ რამდენად მზად არიან სახელმწიფოები თუ სახელმწიფოთა გაერთიანებები რომ ბოლომდე აღკვეთონ და დაამარცხონ კიბერ-თავდასხმები, ამის გათვლისწინებით, ვერ ვიტყვით რამდენად მზად არიან სახელმწიოფები ან ალიანსი წარმატებით გაართვან თავი ამ გამოწვევას. დღემდე განხორცილებული მრავალი კიბერ-შეტევები და მისით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზიანი კი ნათლად წარმოაჩენს საერთაშორისო სტაბილურობის მოწყვლადობას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებით წარმოქმნილ კიბერ-საფრთხეების წინაშე.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე, თავისუფლად შეგვიძლია დავსკვნათ, რომ ბოლო ათწლეულში საინფორმაციო და კომპუტერული ტექნოლოგიების განვითარების ხარისხის უმაღლეს დონემდე მიღწევამ განაპირობა არამარტო ინდივიდების, არამედ სახელმწიფოების დაყრდნობა ინტერნეტზე და კომპუტერულ ტექნოლოგიებზე. მასზე არის დამოკდებული როგორც უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემები, ასევე სასიციცხოლოდ მნიშვნელოვანი დაწესებულებები; ინტერნეტის

საშუალებით წარმოებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, თუ სავაჭრო ოპერაციები. ასეთი დამოკიდებულება კი მოწყვლადს ხდის საერთაშორისო უსაფრთხოების სტაბილურობას. კვლევისას გამოჩნდა, რომ რაც უფრო აუმჯობესებენ კიბერ-ტექნოლოგიებს ქვეყნები და სახელმწიფოთა გაერთიანებები, მით უფრო მოწყვლადები ხდებიან მის მიმართ. შესაბამისად, პრობლემასთან სათანადოდ დასაპირისპირებლად საჭიროა სწორად ადაპტირება და სტრუქტურული, ფუნქციური და თვისებრივი ტრანსფორმაცია.

ბიბლიოგრაფია

1. ზურაბიშვილი , თინათინ . თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში . თბილისი : სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი , 2006

2. ეკონომიკური ნატო ანალიტიკური დოკუმენტი N1, ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები; თბილისი, 2016

3. რა არის NATO? საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ; http://infocenter.gov.ge/eng-nato-structure/#1 accessed 28.12.2017

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროკიბერ თავდაცვაკიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოებისპოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები(ნაშრომების და სტატიების კრებული), თბილისი, 2015

5. ნატო-ს ვარშავის სამიტის დეკლარაციის მოკლე მიმოხილვა (გავლენა საქართველოზე); საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი, 2016, გვ.6

6. რა არის გამომძალველი ვირუსი Petya და როგორ დავიცვათ მისგან კომპიუტერები? https://imedinews.ge/ge/theme/7/ra-aris-gamomdzalveli-virusi-petya-da-rogor-davitsvat-misgan-kompiuterebi accessed 11.02.218

7. Betz, David J.; 2012. “Cyberpower and International Security”. The Foreign Policy Research Institute;

8. Clarke, Richard and Knake,Robert; Cyber War: The Next Threat to National Security and What to Do About It (New York: Harper Collins, 2010), p. 6.

9. Copeland,Thomas E.; 2011. “The Information Revolution and National Security”. Publisher: University Press of the Pacific

10. Cyberlaw - კიბერსივრცის სამართალი

11. Council of the EU, Cyber attacks: EU ready to respond with a range of measures, including sanctions. http://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2017/06/19/cyber-diplomacy-toolbox/ accessed 10.02.2018

12. Celeste Wallander, "Institutional Assets and Adaptability: NATO after the cold war"(2000): 83.705-706

13. Department of Defense, Strategy for Operating in Cyberspace, July 2011

14. Explore Terms: A Glossary of Common Cybersecurity Terminology. National Initiative for Cybersecurity Careers and Studies. Available from http://niccs.us-cert.gov/glossary#cybersecurity accessed 15.01.2018

15. Farrel, Henry; "The political science of cybersecurity III – How international relations theory shapes U.S. cybersecurity doctrine"; Feb 20, 2014 - washingtonpost.com © 1996-2014 The Washington Post http://www.washingtonpost.com/blogs/monkey-cage/wp/2014/02/20/the-political-science-of-cybersecurity-iii-how-international-relations-theory-shapes-u-s-cybersecurity-doctrine/ accessed 16.01.2018

16. Hoffman, Frank, Center for Security StudiesOn Not-So-New Warfare: Political Warfare vs. Hybrid Threats, 2014

17. McGuinness, Damien, How a cyber attack transformed Estonia, http://www.bbc.com/news/39655415 accessed 25. 01.2018

18. National Security Strategy of the United States of America, N S. S of the United States of America. DECEMBER 2017

19. North Atlantic Treaty Organization www.nato.int accessed 27. 12.2017

20. NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence https://ccdcoe.org/news/2014.html accessed 27. 12.2017

21. Ondrejcsák, Robert, Introduction to Security Studies, Bratislava 2014 Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), 2014

22. Qualitative Methods, Spring 2004; Newsletter of the American Political Science Association Organized Section on Qualitative Methods; Spring 2004, Vol. 2, No. 1

23. Robert Keohane, After Hegemony: Discord and Cooperation in International Political Economy, 1984

24. Robert McCalla "NATO's persistence after the Cold War" (1996) გვ. 464

25. Sanger, David E. and Markoff, John, "I.M.F. Reports Cyberattack Led to 'Very Major Breach'," New York Times, June 11, 2011, http://www.nytimes.com/2011/06/12/world/12imf.html.

26. Schjolberg, Stein. 2012. Peace and Justice in Cyberspace Potential new global legal mechanisms against global cyberattacks and other global cybercrimes. An International Criminal Tribunal for Cyberspace (ICTC). Pp.3. Available from http://cybersummit2012.com/sites/cybersummit2012.com/files/EWICybersecuritySummit.pdf accessed 05.01.2018

27. Stoltenberg warns of spike in cyberattacks on NATO, http://p.dw.com/p/2W1fe

28. Tosbotn, Roger André, NATO and Cyber Security:Critical Junctures as Catalysts for ChangeMA International Relations

29. The Tech Terms Computer Dictionary. Cyberspace. Available from http://www.techterms.com/definition/cyberspace accessed 06.01.2018

30. Web ტერმინები და მათი განმარტება. რა არის ჰოსტი, სერვერი Available from https://sites.google.com/site/chemiproekti/web-terminebi-da-mati-ganmarteba accessed 11.01.2018

დანართი: #1

ტერმინთა განმარტება

Computer System - კომპიუტერული სისტემა - ნებისმერი მოწყობილობა ან ურთიერთ დაკავშირებულ ხელსაწყოთა ჯგუფი, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც ასრულებს მონაცემების ავტომატურ გადაცემას პროგრამის საშუალებით. (National Initiative for Cybersecurity Careers and Studies)

Information System - საინფორმაციო სისტემა - სისტემა, რომელიც განკუთვნილია საპროცესო მონაცემის გენერირების, გაგზავნის, მიღების ან შენახვისათვის. (National Initiative for Cybersecurity Careers and Studies)

კრიტიკული ინფრასტრუქტურა - სისტემები და აქტივები, იქნება ეს ფიზიკური თუ ვირტუალური, იმდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, რომ მის უუნარობას, გაუამრთაობას ან განადგურებას ექნება დამასუსტებელი გავლენა უსაფრთხოებაზე, ეკონომიკაზე, ჯანდაცვაზე, გარემოსა და სხვა მსგავსი კომბინაციის და მნიშვნელობის საკითხებზე.(National Initiative for Cybersecurity Careers and Studies)

Software - პროგრამა - ანგარიშებისა და ინსტრუქციების კრებული, რომელიც გამოიყენება კომპიუტერის მიერ შესაბამისი შედეგის მიღწევის მიზნით. (National Initiative for Cybersecurity Careers and Studies)

Domain - დომენი - ინტერნეტში ჩართული ერთი ან მეტი კომპიუტერი, რომლებსაც სპეციფიკური მისამართი და IP აქვს. (Mediapedia)

Unauthorized Access - არაავტორიზებული წვდომა - შესაბამისი ავტორიზაციის გარეშე დაცულ კომპიუტერში შეჭრა, შეღწევა. (Cyberlaw - კიბერსივრცის სამართალი)

Virus - ვირუსი - დაწერილი კოდი, რომლის მიზანიცაა საკუთარი თავის გამრავლება. ვირუსი ცდილობს კომპიუტერიდან კომპიუტერში გავრცელებას პროგრამაზე მიბმის საშუალებით და შეუძლია ზიანი მიაყენოს მყარ ტექნიკას, პროგრამას ან მონაცემს.

(National Initiative for Cybersecurity Careers and Studies)

Hacking - ჰაკერობა - ზოგადი ცნება, რომელიც მოიცავს კომპიუტერში ან კომპიუტერულ ქსელში ნებისმიერი სახის არაავტორიზებულ შეღწევას. (Cyberlaw - კიბერსივრცის სამართალი)

Bot - ბოტი - პროგრამული აგენტი, რომელიც წარმოადგენს გაფილტრული პროგრამის ნაწილს, მოქმედებს, როგორც რეალური პიროვნება და ავტომატური დავალებების შედეგად ახდენს ინფორმაციის გამოთხოვასა და მიწოდებას. (Cyberlaw - კიბერსივრცის სამართალი)

Malicious Code - საზიანო კოდი - პროგრამა ან კოდი, რომელიც ცვლის, ანადგურებს ან იპარავს მონაცემს ან იძლევა არაავტორიზებული შეღწევის შესაძლებლობას, უწევს ექსპლუატაციას ან აზიანებს სისტემას ისე, როგორც მომხმარებლის მიერ არ იყო განზრახული. (National Initiative for Cybersecurity Careers and Studies)

Anonymity - ანონიმურობა - იმ ნებისმიერი განმასხვავებელი ნიშნის არარსებობა, რომლითაც შესაძლებელია ქმედების ჩამდენის ამოცნობა. (Cyberlaw - კიბერსივრცის სამართალი)

Server - "**სერვერი**" გამოიყენება ორი მნიშვნელობით: 1) სერვერი არის კომპიუტერი, რომლის გამოყენება ქსელში ბევრ მომხმარებელს შეუძლია. 2)სერვერი არის პროგრამა, რომელიც ემსახურება სხვა პროგრამებს - კლიენტებს. ინტერნეტი შედგება სერვერებისაგნ ორივე მნიშვნელობით. (Web ტერმინები და მათი განმარტება)

დანართი #2

2017 წელს მასშტაბური კიბერ-თავდასხმის awannaCry-ის გავრცელების არეალი და სტატისტიკა



დანართი #3

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Gigauri

The role of cyber security in International Relations - Impact of cyber security on the transformation of the NATO agenda

Diplomacy and International Politics

The Thesis is submitted in partial fulfillment of the requirements for a degree of Master of Diplomacy and International Politics

Supervisor: Ms. Eka Akobia

Associated Professor

Doctor of International Relations

Tbilisi 2018

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ ხუბულავა

პოლიტიკურ ურთიერთობებში გაჩენილი კრიზისების გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე: თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მაგალითებზე

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2017

ანოტაცია

ნაშრომის მთავრი მიზანია შეისწავლოს სახელმწიფოებს შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობებში გაჩენილი კრიზისების გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებსა (ძირითადად სავაჭრო ურთიერთობები) და ურთიერთდამოკიდებულებაზე.

კვლევისთვის შერჩეულია თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის ურთიერთობების ქეისები, რაც აიხსნება თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული მსგავსი და განსხვავებული, საინტერესო და ნაკლებად გამოკვლეული ტენდენციებით, აღნიშნული ქვეყნების როლითა და მათი ურთიერთობების მნიშვნელობით როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. საკითხი რელევანტურია იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში აქტუალურია პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთოებების მიმართების კვლევა. თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის ურთიერთოებების მახასიათებლები, კონკრეტული ტენდენციები და ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარებული მოვლენები კი პოლიტიკურ კრიზისებზე დაკვირვებისა და კრიზისების ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გავლენის შესწავლის საშუალებას იძლევა. ორმხრივ ურთიერთობებში კრიზისის სერიოზულობის, მნიშვნელობისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე თურქეთ-ისრაელის შემთხვევაში შერჩეულია 2011 წლის ღაზის ფლოტილიის იციდენტი, იაპონია-ჩინეთის შემთხვევაში კი 2012 წელს იაპონიის მიერ სენკაკუ/დიაოიუს კუნძულების ნაციონალიზაცია.

ნაშრომის საკვლევი კითხვაა: *რა გავლენას ახდენს პოლიტიკურ ურთიერთობებში გაჩენილი კრიზისები ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე?* ჰიპოთეზა შემდეგნაირადაა ფორმულირებული: *რაც უფრო მაღალია ურთიერთამოკიდებულების დონე, მით უფრო ნაკლებია პოლიტიკური კრიზისების გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ეკონომიკური ინტერესებთან დაკავშირებული ტერიტორიული დავები კი გარკვეულწილად იწვევს უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულების უკუსვლას.* შესაბამისად, დამოუკიდებელი ცვლადია

პოლიტიკური ურთიერთობები, დამოკიდებული ცვლადები კი *ეკონომიკური ურთიერთობები* და *ურთიერთდამოკიდებულება*.

რაც შეეხება თეორიულ ჩარჩოს, შერჩეულია ჯოზეფ ნაისა და რობერტ კიოჰეინის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია. ერთის მხრივ, აღნიშნული თეორიით აიხსნება პოლიტიკური კრიზისების გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებზე, მეორეს მხრივ კი გამოვლინდება იწვევს თუ არა პოლიტიკური კრიზისები უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულების უკუსვლას და თუ კი, რა შემთხვევაში, ანუ დაიტესტება თეორია.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თურქეთ-ისრაელს შორის ურთიერთდამოკიდებულება უფრო მაღალია (ჩინეთ-იაპონიის ქეისთან შედარებით), ამიტომ პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებულმა კრიზისმა გავლენა ვერ იქონია ეკონომიკურ ურთიერთობებზე, კრიზისის პირობებში ვაჭრობა გაიზარდა. იაპონია-ჩინეთის შემთხვევაში კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება შედარებით სუსტია, ამიტომ პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებული კრიზისი გარკვეულწილად უარყოფითად აისახა ქვეყნებს შორის არსებულ ბილატერალურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ვაჭრობა შემცირდა. 2012 წლამდე ჩინეთ-იაპონიის ეკონომიკურ ურთიერთობებში ურთიერთდამოკიდებულების დონე უფრო მაღალი იყო. 2012 წლის კრიზისმა, რომელიც გამოწვეული იყო იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების ნაციონალიზაციით, ჩინეთ-იაპონიის ურთიერთდამოკიდებულების უკუსვლა გამოიწვია. უკუსვლის გამომწვევ ფაქტორს კი ეკონომიკური ინტერესებით მოტივირებული ტერიტორიული დავა წარმოადგენს.

The Impact of the Political Crises on Economic Relations and Interdependency: Turkey-Israel and China-Japan Complex Interdependency Cases

Mariam Khubulava

Annotation

The main purpose of this paper is to study the impact of the political crisis on bilateral economic relations (mainly trade relations) and interdependency.

The cases of Turkey-Israel and Japan-China relations have been selected for the comparative case study. The following cases are interesting as their contemporary bilateral political and economic relations reflect the similar and different trends of behavior which are less studied in the context of current developments. The role of the countries and the importance of their relations on the regional, as well as on the international level make the issue more attractive for research purposes. The issue is relevant as far as the relations between politics and economics have been frequently discussed in modern interdependent world. The characteristics of Turkey-Israel and Japan-China relations, revealed tendencies and certain developments over the last decade provides adequate ground for studying the influence of political crisis on bilateral relations. Two critical points have been identified as political crises in Turkey-Israel and Japan-China relations based on the analysis of significance and consequences of them. First 2011 Gaza Flotilla incident and second, nationalization of Senkaku/Diaoyu islands by Japan in 2012.

The research question is: W*hat is the impact of political crises on economic relations and interdependence?* The following hypothesis has been developed through the process of research: *The higher the level of interdependence, the lower the impact of the political crisis on the economic relations, and the territorial disputes related to economic interests causes the reverse of interdependence*. Consequently, the independent variable is political relations, dependent variables are economic relations and interdependence.

As for the theoretical framework of the research, Joseph Nye's and Robert Keohane's theory of Complex interdependency has been chosen. On the one hand, the following theory will be used to explain the impact of political crisis on economic relations and on the other hand, the theory itself will be tested as the impact of political crisis on interdependency will be investigated.

The study reveals that as long as the interdependency between Turkey and Israel is higher (compared to Japan-China case) the crisis in political relations did not affect economic relations. Despite of the crisis trade has increased. As complex interdependency between Japan and China is relatively weak, political tensions have been reflected on economic relations at some point. Trade has declined. The level of interdependence in China-Japan economic relations had been higher until 2012. The crisis caused by nationalization of the Senkaku Islands by Japan led to the reversal of China-Japan interdependence and the trigger factor was the territorial dispute motivated by economic interests.

სარჩევი

შესავალი 7

1. კვლევის მეთოდოლოგია 10

2. ლიტერატურის მიმოხილვა 12

3. თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები 16

3.1 თურქეთ ისრაელის ურთიერთობების დინამიკა ისტორიულ კონტექსტში 16

3.2 კრიზისის ფორმირების პროცესი თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებში (2002 წლიდან ღაზის ფლოტილიის ინციდენტამდე) 21

3.3 ღაზის ფლოტილიის ინციდენტი 24

3.4 ღაზის ფლოტილიის ინციდენტის გავლენა სავაჭრო ურთიერთობებზე 28

4. იაპონია-ჩინეთის ურთიერთობები 31

4.1 პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებული კრიზისების მიმოხილვა 31

4.2 ეკონომიკური ურთიერთობების ზოგადი მიმოხილვა 36

4.3 სენკაკუს/დიაოიუს კუნძულებზე დავა 42

4.4 იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების შესყიდვაზე ჩინეთის რეაქცია 45

4.5 კრიზისის გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებზე 48

5. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია 53

დასკვნა 66

გამოყენებული ლიტერატურა 69

დანართები 82

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ურთიერთდამოკიდებულებით ხასიათდება, რაც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებს შორის ყოველდღიურ ურთიერთობებში ვლინდება. საკითხის რელევანტურობიდან გამომდინარე სხვადასხვა სფეროში ურთიერთდამიკიდებულების შედეგების, დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ არსებული დებატები აქტუალურობას არ კარგავს. ურთიერთდამოკიდებულების ტენდენციები და ეფექტები განსაკუთრებულად ეკონომიკურ ურთიერთობებში შეიმჩნევა. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ უცვლელ და ძირითად აქტორებს, სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობებში გაჩენილი კრიზისების გავლენა ბილატერალურ ეკონომიკურ ურთიერთობებსა და მათ შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

საკვლევად შერჩეულია თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის ურთიერთობების ქეისები, რაც აიხსნება თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული მსგავსი და განსხვავებული, საინტერესო და ნაკლებად გამოკვლეული ტენდენციებით, აღნიშნული ქვეყნების როლითა და მათი ურთიერთობების მნიშვნელობით პირველ შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთსა და მეორე შემთხვევაში, აზიაში. თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებში მიმდინარე მოვლენები ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ საშინაო ან რეგიონულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც, რაც კიდევ უფრო ზრდის აღნიშნული ქეისების კვლევის ინტერესს.

ნაშრომის საკვლევი კითხვა შემდეგნაირად არის ფორმულირებული: *რა გავლენას ახდენს პოლიტიკურ ურთიერთობებში გაჩენილი კრიზისები ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე?* კვლევის დროს შემდეგი ჰიპოთეზა გამოიკვეთა: *რაც უფრო მაღალია ურთიერთამოკიდებულების დონე, მით უფრო ნაკლებია პოლიტიკური კრიზისების გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ეკონომიკურ ინტერესებთან დაკავშირებული ტერიტორიული დავები კი გარკვეულწილად იწვევს უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულების უკუსვლას.*

დამოუკიდებელი ცვლადი: პოლიტიკური კრიზისები. თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის ურთიერთობების ისტორიის მანძილზე არსებული პოლიტიკური კრიზისების, უთანხმოებების და სადავო თემების მიმოხილვის ფონზე შერჩეულია თანამედროვე პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებული ყველაზე კრიტიკული მომენტი, რასაც პოლიტიკური კრიზისი შეიძლება ეწოდოს მნიშვნელობის, მხარეების მიერ აღნიშნული საკითხის მიმართ გამოვლენილი სენსიტიურობის, საშინაო და საგარეო დონეზე სხვადასხვა აქტორების მიერ გამოხატული რეაქციისა და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით თურქეთ-ისრაელის თანამედროვე ურთიერთობებში ყველაზე კრიტიკულ მომენტად შერჩეულ იქნა 2011 წლის ღაზის ფლოტილიის ინციდენტი, იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებში კი 2012 წელს იაპონიის მიერ სენკაკუს/დიაოიუს კუნძულების ნაციონალიზაცია.

დამოკიდებული ცვლადები: ეკონომიკური ურთიერთობები. ნაშრომში პოლიტიკური კრიზისების ეკონომიკურ ურთიერთოთობებზე გავლენის გაანალიზებამდე ისტორიულ კონტექსტში მიმოვიხილავ მხარეებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკას. ეკონომიკურ ურთიერთობებში ძირითადად ბილატერალურ სავაჭრო ურთიერთობებს ვგულისხმობ. შესაბამისად, ნაშრომშიც ეკონომიკური ურთიერთობების სხვა ასპექტებთან შედარებით სავაჭრო ურთიერთობებზე უფრო მეტადაა ყურადღება გამახვილებული. ეკონომიკურ ურთიერთობებზე პოლიტიკიური კრიზისების გავლენის გასაზომად ვიხმარიებ იმპორტისა და ექსპორტის სტატისტიკურ მონაცემებს და ვაკვირდები ცვლილებებს, რომლის გამომწვევ მიზეზსაც პოლიტიკური ურთიერთობების გაუარესება წარმოადგენს.

ურთიერთდამოკიდებულება: ნაშრომში ურთიერთდამიკიდებულება განმარტებულია რობერტ კიოჰეინისა და ჯოზეფ ნაის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის ჭრილში, სიმეტრიულობის, მგრძნობიარეობი, დაუცველობის ასპექტებითა და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების შემდეგი სამი მახასიათებელით: საკითხთა შორის იერარქიის არარსებობა, ურთიერთობების მრავალი არხი, სამხედრო ძალის პრიმატის დაღმასვლა. (Keohane & Nye, 1987)

თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულია რობერტ კიოჰეინისა და ჯოზეფ ნაის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია. ნაშრომში თურქეთ-ისრაელსა და იაპონია-ჩინეთს შორის არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებთან და ურთიერთდამოკიდებულების თეორიასთან დაკავშირებული თავები წარმოადგენს დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზიიცს მცდელობას.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ლიტერატურის მიმოხილვა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ურთიერთმიმართების შესახებ. თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებზე წარმოდგენის შესაქმნელად ისტორიულ კონტექსტში განვიხილავ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკას. გავაანალიზებ პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებულ კრიზისებს და მათ გავლენას ეკონომიკურ ურთიერთობებზე. საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის კონტექსტში შევადარებ თურქეთ-ისრაელსა და იაპონია-ჩინეთს შორის არსებული ურთიერთობების მახასიათებლებს, დავადგენ რამდენად ახასიათებთ მხარეებს კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება და დასკვნის სახით, ქეისების შედარების საფუძველზე, აღნიშნული თეორიით, ავხსნი პოლიტიკური კრიზისების გავლენას ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

1.კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია ქეისების შედარებითი შესწავლა, რაც გულისხმობს ორი ან მეტი შემთხვევის სიღრმისეულ კვლევას, რომელიც ერთი კონკრეტული შემთხვევის კვლევისგან განსხვავებით იძლევა შედეგების განზოგადების საშუალებას და ძირითადად პასუხობს "როგორ" და "რატომ" ტიპის შეკითხვებს. (Goodrick, 2014: 1) შემთხვევები შერჩეულია რეალურ სამყაროში, ბუნებრივ კონტექსტში, კონკრეტულ ფენომენზე წარმოებული ემპირიული დაკვირვების საფუძველზე, კონტექსტისა და ფენომენის დამახინჯების გარეშე. ქეისების შედარებითი შესწავლის შემთხვევაში ადგილი აქვს შერჩეული შემთხვევების შედარებას ამავე მეთოდოლოგიის გამოყენებით. (Kaarbo & Beasley, 1999: 372) აღნიშნულ შემთხვევაში, შერჩეულია თურქეთ-ისრაელისა და იაპონია ჩინეთის ურთიერთობები. ამ ორი შემთხვევის შედარება შეიძლება იმდენად, რამდენადაც ორივე შემთხვევაში, კვლევის პროცესში მხარეებს შორის ურთიერთობაში საერთო მახასიათებლები გამოვლინდა. როგორც თურქეთ-ისრაელის, ასევე იაპონია-ჩინეთის ურთიერთობები, წარსულში პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებული უთანხმოებებითა და დაძაბულობებით, მზარდი ეკონომიკური ურთიერთობებით, თანამედროვე ურთიერთობებში პოლიტიკური კრიზისებით და ურთიერთდამოკიდებულებით ხასიათდება. ასევე, ორივე შემთხვევაში პოლიტიკური ურთიერთობების გაუარესების პერიოდი ერთმანეთს ემთხვევა. თურქეთ-ისრაელის შემთხვევაში 2011 წელი და იაპონია-ჩინეთის შემთხვევაში 2012. პოლიტიკური კრიზისების ეკონომიკურ ურთიერთობებზე გავლენის კვლევაც ამ პერიოდიდან იწყება. ქეისების შესწავლა მრავალმეთოდოლოგიურ მიდგომას წარმოადგენს, რადგან გამოიყენება კვლევის როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. (Goodrick, 2014: 1) რაც შეეხება წყაროებს, შესაძლებელია როგორც პირველადი, მეორადი, ასევე მესამეხარისხოვანი წყაროების გამოყენებაც. (Blaikie, 2004: 185) თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის კრიზისული პოლიტიკური ურთიერთობების დროს პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების საკვლევად გამოყენებული იქნება როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი მეთოდები. ნაშრომი იქნება აღწერილობითი იმდენად,

რამდენადაც აუცილებელია თურქეთ-ისრაელისა და ჩინეთ-იაპონიის პოლიტიკურ და ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიულ კონტექსტში მიმოხილვა ჩამოყალიბებული ტენდენციების გამოსავლენად. ეკონომიკურ ურთიერთობებზე პოლიტიკური კრიზისის გავლენის გასაანალიზებლად მოშველიებული იქნება ორმხრივი ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები.

აღნიშნული ქეისები ერთის მხრივ დისციპლინის მაინტერპრეტირებელია, ანუ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიით აისხნება პოლიტიკური კრიზისების გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებზე. მეორეს მხრივ კი ხდება თეორიის დატესტვა, შერჩეული ქეისების მაგალითზე თეორიის დადასტურება ან უარყოფა. (Kaarbo & Beasley, 1999: 376) ჰიპოთეზის პირველი ნაწილი შერჩეული თეორიის მაინტერპრეტირებელია, მეორე ნაწილი კი თეორიის დატესტვას იმსახურება, რადგან ხდება შემოწმება იმისა იწვევს თუ არა უკვე ჩამოყალიბებულ ურთიერთდამოკიდებულების უკუსვლას პოლიტიკურ ურთიერთობებში გაჩენილი კრიზისები და თუ კი, რამდენად და რა ტიპის კრიზისები.

2.ლიტერატურის მიმოხილვა

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ სკოლები განსხვავებულ ახსნას გვთავაზობენ ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. რადიკალურად განსხვავდება ორი ძირითადი თეორიული სკოლის, ლიბერალიზმისა და რეალიზმის პასუხი კითხვაზე: უარყოფითად აისახება თუ არა ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაფუჭება მათ ეკონომიკურ ურთიერთობებზე. მარტივად რომ ვთქვათ, რეალისტების პასუხი აღნიშნულ კითხვაზე დადებითია. მათ მიაჩნიათ, რომ ქვეყნებს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები იწვევს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების შემცირებასა და კერძო სექტორის მხრიდან ეკონომიკური ურთიერთობების გაგრძელების მოტივაციისა და სურვილის განელებას. (Gowa and Mansfield, 1993; Kirshner 1999) ლიბერალები, რეალისტებისგან განსხვავებით, ირწმუნებიან, რომ პოლიტიკური დაძაბულობება არ ასტიმულირებს ეკონომიკური ურთიერთობების გაფუჭებას. მხარეები ცდილობენ თავი შეიკავონ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისგან, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. როგორც წესი, ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტა მაღალ დანაკარგებთან ასოცირედება. რადიკალური და მყისიერი ცვლილებები ეკონომიკურ ურთიერთობებისა თითქმის შეუძლებელს ხდის ახალი სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორების მოძიებას მოკლე ვადაში, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. (Kastner, 2007; Maoz, 2009) კრისტინა დავისმა და სოფი მიუნიერმა იკვლიეს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ურთიერთმიმართება ქვეყნებს შორის პოლიტიკური დაძაბულობების პერიოდში ამერიკა-საფრანგეთისა და ჩინეთ-იაპონიის ქეისზე და ემპირიულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასკვნეს, რომ პოლიტიკურ დონეზე ქვეყნებს შორის დაძაბულმა ურთიერთობებმა გავლენა ვერ იქონიეს აღნიშნულ ქვეყნებს შორის არსებულ სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობებზე. მათ დაასკვნეს, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, აქტორები განიცდიან პოლიტიკური და ეკონომიკური

ურთიერთობების ერთმანეთთან დაკავშირების სტიმულის დეფიციტს. (Davis & Meunier, 2011: 629) გოვას მიხედვით, სახელმწიფოები სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრის დროს ყურადღებას აქცევენ უსაფრთხოების ფაქტორს. ნაკლებად ამყარებენ სავაჭრო ურთიერთობებს ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებსაც პოტენციურ მოწინააღმდეგებად აღიქვამენ. აანალიზებენ რომ ასეთ ქვეყნებთან ვაჭრობის შემთხვევაში, ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალის ხარჯზე ამ ქვეყნებმა შესაძლოა გაზარდონ თავიანთი სამხედრო დანახარჯები და საფრთხე შეუქმნან მათ უსაფრთხოებას. (Gowa & Mansfield, 1993) აღნიშნული საკითხის კვლევით დაინტერესებული რიგი მკვლევარები ასკვნიან, რომ საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების მაღალი მაჩვენებელი ეკონომიკურ ურთიერთობებში დამახასიათებელია იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ერთმანეთს მოკავშირეებად მიიჩნევენ. დემოკრატიული ქვეყნები შედარებით მეტს ვაჭრობენ ერთმანეთთან ვიდრე ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფოებთან. (Bliss & Russett, 1998) ჯონ ონილისა და ბრიუს რუსეტის აზრით, დემოკრატია, ურთიერთდამოკიდებულება და საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციების წევრობა ის ფაქტორებია, რაც სახელმწიფოებს უბიძგებს თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისგან. სავაჭრო ურთიერთობები სახელმწიფოებს საზიარო ინტერესების ქსელში აბამს, რაც ამცირებს კონფლიქტის ალბათობას. თუმცა, აღნიშნული შემაკავებელი ფაქტორების არ არსებობა არ გაზრდის ქვეყნების მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევებს, თუ სახელმწიფოების მიერ კონფლიქტში ჩაბმის ალბათობა რეალურად არ არსებობს. (Oneal & Russett, 1999:25) ბრაიან პოლინსმა ემპირიულად იკვლია კონფლიქტის გავლენა ვაჭრობაზე, უფრო კონკრეტულად, ბილატერალური დიპლომატიური ურთიერთობების გავლენა იმპორტზე 25 ქვეყნის მაგალითზე 1960-75 წლების შუალედში. აღნიშნული კვლევით დადასტურდა მისი ჰიოთეზა იმის შესახებ, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობიანი და მტრული პოლიტიკური ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვაჭრობაზე. პოლინსმა დაასკვნა, რომ სახელმწიფოები თავიანთ სავაჭრო კავშირებს მომართავენ თავიანთი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის სასარგებლოდ. (Pollins, 1989)

ლიბერალების მტკიცებით ვაჭრობას მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელის გარდა მოაქვს ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებით გამოწვეული უსაფრთხოება და კონფლიქტის რისკის შემცირება. რელისტები, ლიბერალებისგან განსხვავებით ირწმუენბიან, რომ რაც უფრო მაღალია ურთიერთდამოკიდებულების დონე მით უფრო მაღალია ომის ალბათობა, რაც აიხსნება იმ მუდმივი საფრთხეებით, რის წინაშეც დგანან სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემის ანარქიული ბუნების გამო. (Copeland, 1996: 11) კრასნერი მიიჩნევს, რომ ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფო პოლიტიკისა და არჩევანის გამოხატულებაა და არა სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მიერ შექმნილი სისტემის კონტროლს მიღმა არსებული ელემენტების მოქმედების შედეგი. შესაბამისად, სახელმწიფოები, ეროვნული ინტერესების სახელით ცდილობენ აკონტროლონ სავაჭრო პარტნიორები. (Krasner, 1978) პოუელი დანახარჯების/ღირებულების კონტექტში განიხილავს კონფლიქტისა და თანამშრომლობის ალბათობას. მისი აზრით, თანამშრომლობა მარცხისთვისაა განწირული, თუ კონფლიქტის დანახარჯი/ღირებულება იმდენად დაბალია, რომ ქვეყნებს უღირთ ამ ნაბიჯის გადადგმა. ძალის გამოყენება დღის წესრიგში არ არის მაშინ, როცა კონფლიქტი დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. (Powell, 1991:1311) მოროუ, სივერსონი და ტაბარესი ასკვნიან, რომ მჭიდრო პოლიტიკური კავშირები იწვევს ვაჭრობის ზრდას, მილიტარიზებული დავები მნიშვნელოვნდად არ ამცირებს ვაჭრობას დავის მხარეებს შორის და რომ დემოკრატიები უფრო მეტს ვაჭრობენ ერთმანეთში ვიდრე სხვა ტიპის სახელმწიფოები. პოლიტიკა გავლენას ახდენს ვაჭრობაზე იმდენად, რამდენადაც ეკონომიკური აქტორებს მხედველობაში აქვთ პოლიტიკური რისკებიც. კონფლიქტის მოლოდინი უფრო მეტად აფერხებს ვაჭრობას ვიდრე თავად კონფლიქტი. (Morrow, Siverson & Tabares, 1998:649) ბარბიერი საუბრობს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებასა და კონფლიქტის ალბათობას შორის არსებულ ურთიერთმიმართებაზე. მისი აზრით, ვაჭრობის გზით მშვიდობის მიღწევა უფრო მეტად მოსალოდნელია ურთიერთდამოკიდებულ სავაჭრო პარტნიორებს შორის. ურთიერთმიმართება ურთიერთდამოკიდებულებასა და კონფლიქტსა შორის არასწორხაზოვანია. დაბალიდან საშუალო ხარისხის ურთიერთდამოკიდებულება

ამცირებს ორმხრივ დავებს, მაშინ როცა ექსტენსიური ეკონომიკური კავშირები ზრდის მილიტარიზებული დავების ალბათობას. უკიდურესად მაღალი ხარისხის ურთიერთდამოკიდებულებას, იქნება ეს სიმეტრიული თუ ასიმეტრიული, კონფლიქტის ალბათობის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. (Barbieri, 1996) მაოზი ემპირიულად იკვლევს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გავლენას კონფლიქტზე. მისი დასკვნები შესაბამისობაში მოდის ლიბეარლური პარადიგმის მოლოდინებთან იმის შესახებ, რომ სტრატეგიული და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ამცირებს ცალმხრივი, ორმხრივი და სისტემური კონფლიქტების სიხშირეს. (Maoz, 2009: 226)

3. თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები

აღნიშნულ თავში მიმოხილული და გაანალიზებული იქნება თურქეთ-ისრაელის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკა ისტორიულ კონტექსტში, პოლიტიკურ ურთიერთობებში კრიზისის ფორმირების პროცესი 2002 წლიდან ღაზის ფლოტილიის ინციდენტამდე, ღაზის ფლოტილიის ინციდენტი და მისი გავლენა ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

3.1 თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების დინამიკა ისტორიულ კონტექსტში

თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების ისტორიულ კონტექსტში განხილვის შემთხვევაში, ურთიერთობები შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს: ადრეული ხანა (1948-1992წწ.), ე.წ „ოქროს ხანა“ (1992-2002წწ.) და 2002 წლიდან დღემდე.

თურქეთი წარმოადგენდა პირველ ისლამურ სახელმწიფოს, რომელმაც 1949 წელს ფორმალურად აღიარა ისრაელის სახელმწიფო და სულ რაღაც 1 წლის შემდეგ დიპლომატიური კავშირეები დაამყარა. თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებში თურქეთი ყოველთვის განიხილავდა არაბული ქვეყნების ფაქტორს, რადგან მიაჩნდა რომ ისრაელთან ურთიერთობის გამყარება ავტომატურად გამოიწვევდა ურთიერთობების გაციებას არაბულ ქვეყნებთან. (Bengio, 2004:158) ცივი ომის პერიოდში, როდესაც არაბული სახელმწიფოების უმრავლესობა საბჭოთა კავშირთან ახლო ურთიერთობებს ინარჩუნებდა და ამ ნაბიჯით უპირისპირდებოდა აშშ-სა და ისრაელს, თურქეთი ცდილობდა ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის თავისი პოლიტიკა დაებალანსებინა. თურქეთი შიშობდა, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებული პან-არაბიზმი და ნაციონალიზმი შესაძლებელს გახდიდა საბჭოთა კავშირს ფეხი მოეკიდა რეგიონში, რაც ლოგიკურს ხდიდა თურქეთის ისრაელთან დაახლოების მოტივაციას. ისრაელი, თავის მხრივ, თურქეთს საფრთხედ არ აღიქვამდა, რადგან საფრთხის არეალი ისრაელისთვის არაბული სამყაროთი შემოიგარგლებოდა.

(Maoz, 2009) თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებს ცივი ომის პერიოდში ძირითადად სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

სუეცის 1956 წლის კრიზისიდან 2 წლის შემდეგ, ისრაელის პრემიერ მინისტრ დევიდ ბენ-გურიონის ინიციატივით, ანკარაში შედგა საიდუმლო შეხვედრა თურქეთის პრემიერ მინისტრ ადან მენდერესთან. მხარეები ე.წ „პერიფერიული ალიანსის“ (ისრაელი, თურქეთი, ეთიოპია, ირანი) ფარგლებში, შეთანხმდნენ დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე. თურქეთ-ისრაელი რიგი ხელშეკრულებებით თანხმდებოდნენ სავაჭრო ურთიერთობებისა და თურქეთში ინდუსტრიული განვითარების ხელშეწყობის, ინფორმაციის გაცვლის, გაუთვალისწინებელ კრიტიკულ შემთხვევებში ერთმანეთისთვის დახმარების გაწევისა და სხვა საკითხების შესახებ. 1950-იან წლებში თურქეთი ისრაელში ვაშინგტონთან დამაკავშირებელ ხიდს ხედავდა. ერთის მხრივ საკუთარი ინტერესების გასატარებლად ამერიკაში ებრაელი ლობისტების დახმარებას იმედოვნებდა, მეორეს მხრივ კი ისრაელთან ურთიერთობაში სიფრთხილეს იჩენდა არაბული სამყაროს ქვეყნების გაღიზიანების თავიდან ასარიდებლად. თურქეთის 50-იანი წლების საგარეო პოლიტიკა ისრაელთან მიმართებაში ბენ გურიონმა შემდეგი ფრაზით შეაჯამა: “თურქეთი გვეპყრობა როგორც ხარჭას. ჩვენ უკვე შევუღლდით, მაგრამ ამას თურქეთი არ აღიარებს.“

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ისეთმა მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, როგორიცაა 1956 წლის სუეცის კრიზისი, 1967 წლის არაბ-ისრაელის ექვსდღიანმა ომი, 1973 წლის იომ-კიპურის იგივე ოქტომბრის ომი, უარყოფითი გავლენა იქონია თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებზე. თურქეთმა სუეცის კრიზისის შედეგად თელავივში დიპლომატიური წარმომადგენლობის სტატუსი შეამცირა. ექვსდღიანი ომის დროს დაგმო ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ოკუპაცია და მოითხოვა ამ ტერიტორიებიდან ისრაელის ძალების დაუყონებლივ გამოთხოვა. თუმცა, განსხვავებით არაბული სამყაროს ქვეყნებისგან, თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლობა თავს იკავებდა ისრაელის „აგრესორი ქვეყნის“ სტატუსით მოხსენიებისგან. იომ-კიპურის ომის დროს ამერიკულ თვითმფრინავებს, რომელთაც სამხედრო აღჭურვილობები გადაჰქონდათ ისრაელისთვის,

უფლება არ მისცა თურქეთის ტერიტორიაზე დაშვების, რითაც თავიდან აირიდა არაბული სამყაროს ქვეყნების და საბჭოთა კავშირის გაღიზიანება, ასევე ამით ერთგვარი პროტესტი გამოხატა კვიპროსთან მიმართებაში ამერიკის პოზიციასთან დაკავშირებით. 1970-იან წლებში თურქეთის ეკონომიკური კრიზისი დაემთხვა ნავთობის მსოფლიო კრიზისს. თურქულ-არაბული ურთიერთობების განმსაზღვრელ ფაქტორად ნავთობის საკითხის წამოწევა უარყოფითად აისახა თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებზე. 1975 წლის ივნისში, თურქეთმა პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია აღიარა როგორც პალესტინელი ხალხის ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენელი. ამავე წლის ნოემბერს მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 3379-ს რომელიც სიონიზმს რასიზმთან აიგივებდა, 1979 წლის ნოემბერში კი მიიღო გადაწყვეტილება იასირ არაფატისთვის ნება დაერთო ანკარაში PLO-ს ოფისის გახსნის. 1980 წელს თურქეთ-ისრაელს შორის სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინა, თუმცა ამ ურთიერთობებმა საელჩოების დონეზე 1 წელიც კი ვერ გასტანა. ამავე წლის ივლისს ისრაელის ქნესეთის მიერ იერუსალიმის აქტის (გაერთიანებულ იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად აცხადებდა) მიღებამ გამოიწვია თურქეთის მხრიდან დრამატული სვლა, ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების ოფიციალურად ჩამოქვეითება მეორე მდივნის დონეზე. ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოქვეითების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღეს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ილტერ თურქმენი საუდის არაბეთიდან $250 მილიონიანი ჩეკით ხელში დაბრუნდა. საგულისხმოა, რომ თურქეთმა უგულებელყო ლიბიის, ირანის, ერაყისა და საუდის არაბეთის მოთხოვნა ისრაელთან ურთიერთობების სრულად გაწყვეტის შესახებ. მადრიდის 1991 წლის სამშვიდობო კონფერენცია, ისრაელ-თურქეთის ორმხრივ ურთიერთობების ისტორიაში მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა, არაბული სამყაროს ქვეყნებისა და ისრაელის სურვილმა მოლაპრაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ, თურქეთსა და ისრაელს ერთგვარი ნიადაგი შეუქმნა ურთიერთობების გაუმჯობესების. იმავე თვეს მიიღებულ იქნა გადაწყვეტილება ისრაელთან სრული დიპლომატიური

ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ამ გადაწყვეტილების იმპლემენტაცია მოხდა 1992 წელს, როცა ელჩები დაინიშნენ ანკარასა და თელავივში. (Liel, 2017)

თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებმა პროგრესი განიცადა ცივი ომის დასასრულს, თურგუთ ოზალის პრეზიდენტობის დროს. მას მიაჩნდა, რომ ორ ძლიერი და სტაბილურ სეკულარულ დემოკრატიულ ქვეყნას შორის თანამშრომლობა სარგებელს მოუტანდა თურქეთს და ორივე ქვეყანას მისცემდა საშუალებას საგანგებო სიტუაციებში ერთმანეთის დახმარების იმედი ჰქონოდათ. თურქეთში გადაწყდა ისრაელთან ურთიერთობების გაუმჯობესება ნაწილობრივ იმ მიზეზის გამო, რომ მათი აზრით ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) წევრობა არ იქნებოდა საკმარისი სირიიდან, ირანიდან და ერაყიდან მომავალი საფრთხის გასამკლავებლად. ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესებში მიღწეულმა გარკვეულმა წარმატებებმა ხელი შეუწყო მათ შორის სტრატეგიული ურთიერთობების გასაჯაროებას.

ამ პერიოდში თურქეთისა და ისრაელის ლიდერებს შორის მაღალი დონის შეხვედრებს ჰქონდა ადგილი. ისრაელის პრეზიდენტი ეზერ ვაიზმანი 1994 წელს ეწვია ანკარას, იმავე წელს თურქეთის პრემიერ მინისტრი თანსუ ჩილერი ჩავიდა ისრაელში. თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი 1996 წელს ჩავიდა ისრაელში და ამავე წელს ბილატერალური ურთიერთობები ფორმალურად ახალ ეტაპზე გადავიდა. გაფორმდა სამხედრო საჰაერო წვრთნების შეთანხმება, სამხედრო სამრეწველო სფეროში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებული ყოველწლიური შეხვედრები. 1996-1998 წლებში გაფორმდა მნიშნვნელოვანი ორმხრივი ხელშეკრულებების ეკონომიკის სფეროში. 1996 წლის მარტს ხელი მოეწერა შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომლის რატიფიცირებაც მხარეება მოახდინეს 1997 წლის მარტს. არსებობდა მოლოდინი, რომ ყოველწლიური ვაჭრობა 3 წელიწასში 450 მილიონი დოლარიდან 2 მილიარდ დოლარამდე გაიზრდებოდა. (Pipes, 1997/1998:33) გარდა ამისა, გაფორმდა საინვესტიციო ხელშეკრულება, შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის შეზღუდვის შესახებ. 1996 წლისა და 2002 წლის მონაცამებეს თუ შევადარებთ ერთმანეთს, საგულისხმოა, რომ ვაჭრობა 449 მილიონი

დოლარის ოდენობიდან 1,2 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. (TSI, 2015). სავაჭრო ურთიერთობების მზარდი ტემპი შენარჩუნდა 2002 წელს თურქეთში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) მოსვლის შემდეგაც. ორმხრივი ვაჭრობა ყოველწლიურად საშუალოდ 14.6%-ით იზარდებოდა 2002 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში. (TSI, 2015).

ორმხრივი შეთანხმებების გაფორმებისას მხარეები გამუდმებით ამახვილებდნენ ყურადღებას იმაზე, რომ ეს შეთანხმებები მესამე მხარის წინაარმდეგ არ იყო მიმართული. თუმცა, არაბული სამყაროს ქვეყნების თვალში თურქეთი რეგიონში დასავლური ინტერესების გამტარებელი გამოდიოდა. დანარჩენ სამყაროში ანკარას თურქეთთან მეგობრული ურთიერთობების გამო განსხვავებულად აღიქვამდნენ, იქმნებოდა თურქეთის ახალი სახე, რომელიც შორს იყო ხლო აღმოსავლეთში არსებული ანტი-სიონისტური დისკურსისგან. ანკარას არაბ-ისრაელის კონფლიქტის გამო ლოიალურობის განაწილება უწევდა და ხშირად მხარეებს შუამავლის როლს სთავაზობდა. ვაშინგტონი მხარეებს შორის თანამშრომლობისა გაღრმავებისკენ აქეზებდა და აქტიურად ცდილობდა მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა პარტნიორობის გამყარებაში. 1990-იან 2000-იან წლებში თურქეთი ისრაელის მხრიდან აღიქმებოდა, როგორც კეთილსინდისიერი ბროკერი ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესებში. (Arbell, 2014:8)

1992-2002 წლები თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებში თაფლობისთვის პერიოდს წარმოადგენდა, რადგან ამ პერიოდში მოხდა დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, რაც დადებითად აისახა სამოქალაქო და სამხედრო სფეროში სამთავრობო დონეზე ურთიერთობების დათბობას თან ახლადა ხალხთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაც. თაფლობისთვის პერიოდის ურთიერთობებმა პიკს მიაღწია თურქეთის 1999 წლის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ. ისრაელის მიერ გაწეულმა დახმარებამ კატასტროფის ადგილზე უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა და ებრაელი დიასპორის მხარდაჭერით, ათსობით უსახლკაროდ დარჩენილ დაზარალებულს დახმარება გაეწია. ისრაელის აქტიურმა ჩართულობამ აღნიშნულ პროცესში დიდი როლი

ითამაშა არა მხოლოდ სამთავრობო დონეზე, არამედ ხალხთა შორის ურთიერთობების დათბობაზეც. (Bengio, 2004:158)

3.2 კრიზისის ფორმირების პროცესი თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებში (2002 წლიდან ღაზის ფლოტილიის ინციდენტამდე)

თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებში კრიზისის ფორმირების ეტაპებისა და კრიზისის ნიშნების კონკრეტული ქეისების განხილვადმდე მნიშვნელოვანია ორიოდე სიტყვით შევეხოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ახალ დოქტრინას, რომელიც უკავშირდება 2002 წელს თურქეთის მთავრობის სათავეში რეჯეფ თაიფ ერდოღანის მეთურობით „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ (JDP) მოსვლას. საგარეო პოლიტიკის ახალი დოქტრინის მიმოხილვა თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, „თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების გაუარესება თურქეთის საგარეო პოლიტიკის რეორიენტაციის ნაწილია, რომლისთვისაც დამახასიათებელია დასავლეთისგან დაშორება და სურვილი მუსლიმანურ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესების..“ (Inbar, 2011:1) JDP-ს საგარეო პოლიტიკის დოქტრინის სახელმძღვანელოს წარმოადგენს საგარეო საკითხებში პრემიერ-მინისტრ ერდოღანის მრჩეველისა და თურქეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის, აჰმეთ დავითოღლუს 2001 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „სტრატეგიული სიღრმე“, რომლის პრაქტიკაში განხორციელებაც პრემიერ-მინისტრობის ჟამს თავად უზრუნველყო. (Yuksel, 2016:20) დავითოღლუს მიხედვით თურქეთი „ცენტრალურ ძალას“წარმოადგენს, რომელსაც ისტორიული კონტექსტიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე აქვს შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა ინტეგრირებული და მრავალგანზომილებიანი საგარეო პოლიტიკის გატარების. საგარეო პოლიტიკის მრავალგანზომლიებიანობა ძირითადად გულისხმობს ფოკუსირებას მეზობელ სახელწმიფოებსა და რეგიონზე. მზარდია შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთი თანამშრომლობის ღერძს

ცვლის, ანუ თანდათანობით შორდება დასავლეთს და უფრო მეტად იხრება ახლო აღმოსავლეთისკენ. (Sokullu, 2013:31) ცენტრალური ევრაზიის, მათ შორის ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მიმართებაში საგარეო პოლიტიკის უწყვეტობა ვლინდება, მაგრამ ემყარება ახალ კონცეპტუალურ საფუძველს, რომლის მიხედვითაც თურქეთი დანახულია არა როგორც დასავლური ცივილიზაციის ნაწილი, არამედ, როგორც საკუთარი, ახალი გეოპოლიტიკური სივრცის ცენტრი. (Bilgin & Bilgiç: 2013:181) ახალი დოქტრინის მიხედვით, თურქეთი არ უნდა დაკმაყოფილდეს რეგინული ძალის სტატუსით ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში, უნდა ეცადოს წამყვანი როლი ითამაშოს რამდენიმე რეგიონში, რაც გლობალურ სტრატეგიულ მნიშვნელობას შესძნეს მას. მეორეს მხრივ კი, „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების პოლიტიკის“ დამცველი გამოდის და ორმხრივი კონფლიქტური ურთიერთობების დარეგულირების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. (Grigoriadis, 2010:4-5) 2002 წლიდან დღემდე შეინიშნება ქემალიზმისა და პოსტ-ისლამიზმის კოჰაბიტაციის ტრენდი,რაც განსაკუთრებულად შესამჩნევია საგარეო პოლიტიკაში. (Robins: 2007)

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მალევე, AKP მთავრობა ისეთი საგარეო პოლიტიკის გამოწვევების წინაშე დადგა, როგორიცაა ერაყის ომი, კვიპროსის საკითხი და ურთიერთობები ევროკავშირთან. ერაყის ომმა და სხვა რეგიონულ ძალებთან, როგორიცაა სირია და ირანი, საფრთხის საერთო აღქმამ, თურქეთი ამ ქვეყნებთან უფრო დააახლოვა. „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების პოლიტიკის“ გატარება არაბულ ქვეყნებთან დაახლოებით და ისრაელთან პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვის ხარჯზე მოხდა. (Tür, 2012:50-51)

თურქეთ-ისრაელს მთელი ამ დროის განმავლობაში სამაგალითო თუ არა კარგი ურთიერთობები ჰქონდათ, მაგრამ ამ ურთიერთობებს პოტენციური სირთულეები მუდამ ახლდა თან. JDP-ს მმართველობის პერიოდში, მხარეებს შორის ურთიერთობების დაძაბვა ყველაზე მეტად ღაზას ომმა გამოიწვია. ღაზას სექტორორში ისრაელის მიერ Operation Cast Lead-ის დაწყებამ ერდოღანი დაარწმუნა რომ ისრაელი სამშვიდობო პროცესებით არ იყო დაინტერესებული. ამ მოვლენას წინ უძღოდა თურქეთის მიერ წამროებული

მოლაპრაკებების სერია ისრაელთან და სირიასთან რიგ პრობლმური საკითხებზე შეთანხმების მისაღწევად და სამშვიდობო შეთანხმების უზურნველსაყოფად. ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ შეთანხმებადმე მხარეები ძალიან ახლოს იყვნენ და შემდგომ შეხვედრაზე სამშვიდობო შეთანხმება შედგებოდა, თუმცა პრემიერ მინისტრი ოლმერტი დაბრუნდა თუ არა ისრაელში, ისრაელმა 2008 წლის 26 დეკემბერს ისრაელმა დაიწყო სამხედრო ოპერაცია ღაზაში. (Turan, 2011:2) პოლიტიკურმა დაპირისპირებამ თურქეთის პრემიერ მინისტრ ერდოღანსა და ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს შორის იფეთქა დავოსის მსოფლიო ეკონომიკის ფორუმზე 2009 წლის იანვარში. პრემიერ მინისტრმა ერდოღანმა ისრაელის ქმედებას ღაზაში „ბარბაროსობა“ უწოდა და პერესს განუცხადა: „როცა საქმე მკვლელობას ეხება, კარგად იცით როგორ მოკლათ.“ (Kirisci & Ekim, 2015, para. 3) უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობების გამწვავების ასეთი საჯარო გამოხატულება შესაბამისობაში არ მოდის თურქეთის „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემის პოლიტიკასთან“, თუმცა ნათლად წარმოაჩენს თურქეთის რეგიონალურ ამბიციებს. „თურქეთის, როგორც მედიატორის როლი ახლო აღმოსავლეთში აღარ განისაზღვრება აშშ-ს, ევროკავშირის ან ისრაელის მიერ. თურქეთი მოიქცევა ისე, როგორც „ცენტრალურ ძალას“ შეეფერება, რაც თავისთავდ გამოიწვევს ისრაელთან ურთიერთობების რეკონფიგურაციას. (Grigoriadis, 2010:8) კიდევ ერთი ნიშანი მხარეებს შორის ურთიერთობებში სტრესის გაზრდისა, იყო 2009 წლის ოქტომბერში თურქეთის მიერ ისრაელის მონაწილეობაზე უარის თქმა მულტიეროვნულ სამხედრო საჰაერო წვრთნაში „ანატოლიის არწივი.“ (Arsu & Cowell, 2011). 2010 წლის იანვარს კი ადგილი ჰქონდა ე.წ „სავარძლის კრიზისს“, როცა ისრაელელმა დიპლომატებმა პროტოკოლი დაარღვიეს და თურქეთის ელჩი შედარებით დაბალ სკამზე დასვეს და მაგიდაზე ისრაელის დროშის გვერდით „გამორჩათ“ თურქეთის დროშის მოთავსება. ამ დროს განხილვის საგანს წარმოადგენდა ისრაელის უკამაყოფილება ერდოღანის მიერ ისრაელის კრიტიკისა და თურქულ სატელევიზიო შოუში ისრაელელი ჯარისკაცების მოძალადეებად წარმოჩენა. (Schleifer, 2010, Para. 2-3)

3.3 ღაზის ფლოტილიის ინციდენტი

ღაზის ფლოტილიის ინციდენტი თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების ისტორიაში უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს, რომელმაც დააგვირგვინა მისი წინამორბედი მინი კრიზისები. ორმხრივი ურთიერთობები დაუცველი აღმოჩდა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მიმიდნარე ცვლილებისგან იმდენად, რამდენადაც გარემო, რომელიც ბოლო 20 წელი განსაზღვრავდა ქვეყნებს შორის ურთიერთობებს მნიშვნელოვნად შეიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონალურ დონეზე მოვლენათა განვითარებამ, მეორე ინტიფადას შემდეგ, გავლენა იქონია თურქეთ-ისრაელის პოლიტიკურ ურთიერთობებზე, კრიზისებს გადაურჩა, რადგან მხარეებს ერთგვარი იმუნიტეტიც კი განუვითარდათ ურთიერთობებში არსებულ მსგავს პრობლემებთან გამკლავების. (Özcan, 2011:1) დავოსის და ე.წ "დაბალი სკამის" კრიზისმაც კი ვერ შეუშალა ხელი თავდაცვის მინისტრ ეჰუდ ბარაკის ვიზიტს თურქეთში 2010 წლის იანვარში. წინამორბედ კრიზისებთან შედარებით, ღაზის ფლოტილიის ინციდენტი ბევრად დიდი მნიშვნელობის აღმოჩდა თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებში. აღნიშნული ინციდენტი არ იყო წლების მანძლზე თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი მერყეობის/ცვალებადობის გამოვლინება, რადგან ორმხრივი ურთიერთობების მთელი ამ წლების განმავლობაში, პირველად დაფიქსირდა მსხვერპლი. (Tür, 2012:56; Özcan, 2011)

2010 წლის 31 მაისს თურქეთიდან ღაზას სექტორში გაგზავნილი ე.წ „ღაზის მშვიდობის ფლოტილია", ღაზის სექტორის ბლოკადის გარღვევას და ღაზაში ჰუმანიტარული დახმარების ჩატანას ცდილობდა, რაც ისრაელის თავდაცვის ძალებმა შეაჩერეს. ინციდენტს ემსხვერპლა თურქეთის 8 და 1 თურქული წარმომავლობის ამერიკის მოქალაქე, იყვნენ დაშავებულებიც. „მავი მარმარა" 6 ხომალდისგან შემდგარ ფლოტილიაში უდიდესი იყო. გემზე იმყოფებოდნენ ისლამისტური საქველმოქმედო ორგანიზაციის „ფონდი ადამიანთა უფლებებისთვის, თავისუფლებებისთვის და ჰუმანიტარული დახმარებისათვის (IHH)" აქტივისტები. ("Mavi Marmara: Why did Israel stop the Gaza flotilla?" 2016: para 2-6)

პალესტინის ელჩმა გაეროში, რიად მანსურიმ, დაგმო თავდასხმა და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება მოითხოვა იმის გასარკვევად, თუ ვინ გასცა ცეცხლის გახსნის ბრძანება ისრაელის მხრიდან და მოითხოვა პასუხისმგებელი პირების მიერ სამართლის წინაშე პასუხისგება. ისრაელის ოფიცილურმა პირებმა გემზე არსებული მგზავრები აგრესორებად მოიხსენიეს და აღნიშნეს, რომ ისრაელის თავდაცვითი ძალების სამხედროები უბრალოდ თავს იცავდნენ. გაეროში ისრაელის ელჩის მოადგილემ აქტივისტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ისინი არ არ წარმოადგენენ სამშიდობო აქტივისტებს. ისინი არ არიან კეთილი ნების მაცნეები“. მათ ცინიკურად გამოიყენეს ჰუმანიტარული დახმარება, როგორც ნიღაბი სიძულვილისა და ძალადობის დასაფარად. (CNN Wire Staff, 2010, para. 1-3)

თურქეთის პრემიერ მინისტრი ერდოღანი მოითხოვდა ნეთანიაჰუს მთავრობის დასჯას ღაზის ფლოტოლიის ინციდენტის გამო, ადანაშაულებდა რა სისხლიან ჟლეტაში, ტყუილებსა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობების მოსპობაში. ანკარაში თავის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში ინციდენტის დღეს გარდამტეხი მომენტი უწოდა. მან აღნიშნა, რომ ისრაელის უკანონო ქმედებების გადაფარვა ან იგნორი უკვე შეუძლებელი იყო და ვერცერთი საბაბით ვერ ჩამოირეცხავდა ისრაელი ხელებიდან სისხლს. „ისრაელი ყველა შესაძლო საშალებით აღნიშნული ქმედებისთვის უნდა დაისაჯოს.“ „ჩვენ ვაფრთხილებთ ისრაელს არ გამოცადოს თურქეთის მოთმინება“, განაცხადა პრემიერმა. (Traynor, 2010) საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმეთ დავითოღლუმ ინცდიდენტს თურქეთის 9/11 და ისრაელის ქმედებას „სახელმწიფო ტერორი“უწოდა. (“Israel’s Attack is our 9/11,” 2010, para. 1-2)

ღაზის ფლოტილიის ინციდენტს მოჰყვა სტამბულში, ისრაელის საკონსულოს წინ, პროტესტების მთელი სერია. თურქეთმა ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზების წინაპირობად 3 მოთხოვნა წამოაყენა: საჯაროდ ბოდიშის მოხდა მომხდარის გამო, ინციდენტის მსხვერპლთათვის კომპენსაცია და ღაზაზე ბლოკადის მოხსნა. ისრაელმა უარი განაცხადა აღნიშნული პირობების შესრულებაზე, რასაც თურქეთის მხრიდან ისრაელიდან ელჩის გამოწვევა და დიპოლომატიური ურთიერთბების საელჩოს მეორე

მდივნის დონეზე დაიყვანა, ასევე შეაჩერა ერთობლივი სამხედრო წვრთნები და ყველა სამხედრო შეთანხმება. (Akgün, Senyücel & Görgülü, 2014:7) 2011 წლის 2 სექტემბერს, თურქეთმა გააძევა ისრაელის ელჩი. ("Turkey Expels Israeli Ambassador," 2011, para. 1)

გაეროს საგამომძიებლო კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახალი ზელანდიის ყოფილი პრემიერ მინისტრი, ჯოფრი პალმერი, 2011 წელს გამოაქვეყნა ანგარიში, რომელმაც დაადგინა, რომ ისრაელის მიერ ღაზას სექტორის ბლოკადა ისრაელის უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე კანონიერ ქმედებას წარმოადგენდა, მაგრამ მიუღებელი უწოდა ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ ძალის გამოყენება და ხომალდის 9 მგზავრის მკვლელობას. ისრაელის ქმედება შეფასდა როგორც „გადაჭარბებული და არაზომიერი". რაც შეეხება ფლოტილიას, ბლოკადის გარღვევის მცდელობა დაუდევარ და წინდაუხედავ ქმედებად შეფასდა. გემზე მყოფ აქტივისტებს არ გააჩნდათ ძალადობრივი მიზნები, მაგრამ არსებობდა სერიოზული კითხვები აღნიშნულის ორგანიზატორების, კერძოდ IHH-ის, როგორც ორგანიზაციის ბუნების, მიზნებისა და მოქმედების შესახებ. (Palmer, Uribe, Itzhar & Sanberk, 2011:3-4)

დაძაბულობის მიუხედავად, მხარეებს შორის მოლაპარაკებების დაწყების ინიციატივები არსებობდა. ისრაელს ჰქონდა მცდელობა უშუალოდ ან მესამე მხარის დახმარებით თურქეთთან კონტაქტზე გასვლის პოლიტიკური დიალოგის არარსებობის პირობებში, თუმცა ერდოღანმა საჯაროდ უარი თქვა ისრაელთან ურთიერთობების აღდგენის მცდელობებზე მანამ, სანამ ისრაელი თურქეთის მიერ წამოყენებულ პირობებს არ შეასრულებდა. ერდოღანმა, მკაცრი რიტორიკის მიუხედავად, თურქეთის ეროვნულ სადაზვერვო ორგანიზაციის (MIT) ხელმძღვანელს ნება დართო შეხვედროდა ისრაელის ეროვნულ სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელს კაიროში. საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმეთ დავითოღლუმ განაცხადა, რომ აღნიშნული ინიციატივები ღაზას სექტორში მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფით იყო მოტივირებული და ურთიერთობის აღდგენა ისრალის მხრიდან პირობების შესრულების გარეშე გამორიცხული იყო. (Arbell, 2012, para:8) მანამ, სანამ აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა არ ეწვია ისრაელს 2013 წლის 22 მარტს და უშუალოდ არ შეუწყო ხელი მხარეებს შორის ურთიერთობების

დარეგულირებას, ისრაელი ღაზის ინციდენტის გამო თურქეთისთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებდა. ობამას ვიზიტის დროს პრემიერმა ნათანიანჰუმ სატელეფონი კავშირით მწუხარება გამოთქვა ღაზის ფლოტილიის ინციდენტის მსხვერპლთა გამო და ბოდიში მოიხდა „ოპერაციული შეცდომებისთვის". თურქეთში მიღებულ იქნა ისრაელის ბოდიში ინციდენტისთვის, ისრაელმა ასევე მზაობა გამოხატა იცნიდენტის მსხვერპლთა ოჯახებისთვის კომპენსაციის გადახდის. (Sinder, Watson & Sterling, 2013:2-4) მხარეების მიერ პოლიტიკური დიალოგის აღდგენის პროცესში აღნიშნული ქმედება წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანმა, 2014 წელს (8 ივლისიდან 27 აგვისტო) ღაზას სექტორში ისრაელის სამხედრო ოპერაციამ, რომელმაც იმსხვერპლა 2100-ზე მეტი პალესტინელი (გაეროს მონაცემების მიხედვით დაღუპულ პალესტინელთა უმრავლესობა სამოქალაქო პირი იყო), თურქეთ-ისრაელს შორის ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივები კიდევ უფრო შეამცირა. (Gaza crisis: Toll of operations in Gaza, 2014, September 1, para:1-2) რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ისრაელის ქმედებები „ბარბარიზმად" შერაცხა. (Akgün, Senyücel & Görgülü, 2014:8)

თურქეთ-ისრაელს შორის ურთიერთობები მხოლოდ ინციდენტიდან 6 წლის შემდეგ დარეგულირდა. მოლაპარაკებებს, რომელსაც აშშ გამუდემებით აქექზებდა, საბოლოო შეთანხმება მოყვა დიპლომატიური კავშირების სრულად აღდგენასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლებლობა შექმნა ბუნებრივ გაზთან დაკავშირებით შეთანხმებაზე მოლაპრაკების. (Sanchez & Weise, 2016, para:1-2) ბენჟამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ აღნიშნული შეთანხმება ისრაელის ეკონომიკას მნიშვნელოვნად გაზრდიდა და ასევე გზას გაკაფავდა ბუნებრივი აირის გამტარი, წყალქვეშა მილსადენების პროექტის შესახებ შეთანხმებისკენ, რითაც ერთის მხრივ, იხეირებდნენ თურქული კომპანიები. (Reed & Pitel, 2016, para:3) და მეორეს მხრივ, შესაძლებელი გახდებოდა თურქეთის გავლით, ისრაელის ბუნებრივი გაზის, ევროპისთვის მიწოდება. რომში, აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის შემდეგ, ნათანიაჰუმ აღნიშნა, რომ მილსადენების საკითხი სტრატეგიულ თემას წარმოადგენს ისრაელისთვის და რომ აღნიშნული საკითხის წინ წამოწევა

შეუძლებელი იქნებოდა მხარეებს შორის დიპლომატიური კავშრების აღდგენის შეთანხმების გარეშე. (Gurses & Heller, 2016, para:17) 2016 წლის ნოემბერს, თურქეთმა და ისრაელმა დიპლომატიური ურთირთობების აღდგენის შესახებ შეთანხმების ძალაში მოსაყვანად ელჩები დანიშნეს თელავივსა და ანკარაში. თურქეთმა ელჩად დაინიშნა ქემალ ოქემი, პრემიერ მინისტრის მრჩეველი საგარეო საქმეებში. ("Turkey appoints PM advisor as ambassador to Israel: Erdogan." 2016, para.1) ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი ამ პოსტზე ვეტერანი დიპლომატი ეითან ნაე დაამტკიცა. (Surkes, 2016, para:1)

3.4 ღაზის ფლოტილიის ინციდენტის გავლენა სავაჭრო ურთიერთობებზე

ქემალ ქირისჯი და სინან ექიმი (2015) Foreign Affairs-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „თურქეთიდან თელავივამდე. სავაჭრო დიპლომატია" (para. 2) წერდნენ, რომ ძლიერი სავაჭრო კავშირების მქონე ზოგიერთი ქვეყნების კონფლიქტურ ურთიერთობებს ომის ზღვრამდეც კი მიყავს მხარეები, მაგრამ ისრაელ-თურქეთის ეკონომიკურ კავშირები შესაძლოა ბილატერალური ურთიერთობების გაუმჯობესების მომასწავებელი ყოფილიყო. აღნიშნავდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების, პოლიტიკური და ეკონომიკური არასახარბიელო პერსპექტივების ფონზე, თურქეთსა და ისრაელს ჰქონდათ ბევრად მეტი მიზეზი კრიზისის გადალახვის სურვილის ქონისა ვიდრე ოდესმე ან სულ ცოტა, მხარეებს უნდა გამოეცალკევებინათ პოლიტიკური ურთიერთობები ეკონომიკური ურთიერთობებისგან. დაძაბული ურთიერთობების მოუხედავად, მხარეებმა ეკონომიკური ურთიერთობები გამიჯნეს პოლიტიკური პრობლემებისგან. შესაბამისად, მანამდე არსებული სავაჭრო და საინვესტიციო ხელშეკრულებები ძალაში დარჩა. არცერთი მხარის მხრიდან არ შეიმჩნეოდა მზარდი სავაჭრო ურთიერთობების შეფერხების სურვილის ქონა. მართალია ღაზის ფლოტილიის ინციდენტის შემდეგ პრემიერ-მინისტრ ერდოღანმა თავის გამოსვლებში გააჟღერა ისრაელთან ყველანაირი კავშირების გაწყვეტის განზრახვა, მათ შორის ვაჭრობის, თუმცა ანკარამ მალევე ჩაასწორა განცხადება და აღნიშნა, რომ სავაჭრო ურთიერთობებს პოლიტიკური კრიზისი ვერაფერს დააკლებდა. უფრო მეტიც, ისრაელის

საინვესტიციო ფირმების განცხადებაზე თურქეთში ინვესტირების შეწყვეტის გეგმებთან დაკავშირებით, ისრაელის ცენტრალურმა სავაჭრო პალატამ თავისი პოზიცია საჯაროდ დააფიქსირა, საინვესტიციო ფირმებს მოუწოდა თავი შეეკავებინათ ისეთი ქმედებისგან რაც ისრაელი-თურქეთის ბიზნეს ურთიერთობებს ზიანს მიაყენებდა. (Cagaptay & Evans, 2012. P.1)

პოლიტიკურ ურთიერთობების გამწვავებამ ბილატერალურ სავაჭრო ურთიერთობებზე უარყოფითი გაველენა ვერ იქონია, რაზეც მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები. 2008 წელს ვაჭრობის მოცულობა წარმოადგენდა 3,4 მილიარდ დოლარს, რაც 4,4 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა 2011 წელს და 2012 წელს, 4 მილიარდს გადააჭარბა. ისრაელი თურქეთის საექსპორტო დანიშნულების ქვეყნებს შორის 24-ე ადგილს იკავებდა 2013 წლის 1-ლი 6 თვის განმავლობაში, 2014 წლის პირველ ნახევარში კი 17-ე ადგილზე გადმოინაცვლა. 2014 წლის 1-ლი ხუთი თვის განმავლობაში ორმხრივი ვაჭრობა 27%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. (Akgün, Senyücel & Görgülü, 2014:7) უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობამ შედარებით იკლო 2012 წელს, რაც ძირითადად თურქეთის ეკონომიკური პრობლემებით იყო გამოწვეული. (Cagaptay & Evans, 2012. P.1) 1995-2015 წლების შუალედში თურქეთის ექსპორტი ისრაელში 10.38-ჯერ, იმპორტი კი 9.28-ჯერ და საერთო ჯამში ორი ქვეყნის ვაჭრობის მოცულობა 9.93-ჯერ გაიზარდა. ისრაელთან თურქეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობა 1995 წელს თუ 44 მილიონი დოლარი იყო, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ (1997 წლის 1 მაისი) ვაჭრობა მხარეებს შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2015 წლისთვის 5.83 მილიარდ დოლარს მიაღწია. (Güllü & Yazıcı, 2016: 104) 2016 წლის მონაცემებით, თურქეთის ექსპორტმა ისრაელში 3, ისრაელიდან იმპორტმა 1,4 და ორმხრივი ვაჭრობის მოცულობამ 4.3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ისრაელი თურქეთის პარტნიორ საექსპორტო დანიშნულების ქვეყნებს შორის 12-ე ადგილს იკავებს, იმპორტის მოცულობით კი ისრაელი თურქეთისთვის 34-ე ადგილზეა. (UN Comtrade database)

თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების ეს მნიშვნელოვანი ასპექტი წლებია ნარჩუნდება. პოლიტიკური ურთიერთობები ხშირად იძაბება რეგიონში, რაც გავლენას

ახდენს ბილატერალურ ურთიერთობებზე, თუმცა ვაჭრობა ძირითადად თავისუფალია პოლიტიკური პრობლემების გავლენისგან. აშკარად ორივე მხარის ინტერესებში შედის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გამიჯვნა. მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები ორივე ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებში შედის და ყველაზე არასტაბილური პერიოდის დროს მხარეებს შორის არსებული ურთიერთობების შენარჩუნებას უწყობს ხელს. (Arbell, 2015, para. 7)

მოლაპარაკებები ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობაზე ორივე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგშია. ორივე ქვეყანა განიხილავს პოტენციური მილსადენების მშენებლობას, რომლის საშუალებით ხმელთაშუა ზღვიდან თურქეთის გავლით შესაძლებელი გახდება ევროპაში გაზის გატანა. მხარეებს აღნიშნული ინიციატივა სტიმულს აძლევს თავისუფალი ვაჭრობის გაღრმავებისა და გაფართოების. თურქეთის იუსტიციის მინისტრმა ბექირ ბოზდაღიმ ახალი ამბების სააგნეტო „ა ჰაბერთან“ სწორედ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფართოებაზე ისაუბრა. („Turkish-Israeli Free Trade,“ 2017, para. 1) ისრაელის ენერგეტიკის მინისტრი იუვალ სტეინიცმა განცხადა, რომ მხარეები განიხილავენ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას, რომელიც მილსადენების მშენებლობას შესაძლებელს გახდის. სტამბულში გამართული მსოფლიო ნავთობის 22-ე კონგრესის დასრულების შემდეგ სტეინიცმა გამოთქვა, რომ თურქეთის ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ბერათ ალბაირაკის ახლო მომავალში ეწვეოდა ისრაელს აღნიშნული საკითის ირგვლივ შეთანხმების მისაღწევად. (“Israel hopes to Conclude Gas Pipeline Deal,”2017, para. 1-3)

მართალია თურქეთი და ისრაელი დღემდე რიგ საკითხებზე ვერ თანხმდებიან, მაგრამ აშკარაა, რომ ისწავლეს მეორეხარისხოვან საკითხებთან დაკავშირებული განსხვავებების უგულებელყოფა და აქცენტირება ურთიერთობებში არსებულ ყველაზე მნიშნელოვან თემებზე. (Inbar, 2005: 605)

4. იაპონია-ჩინეთის ურიერთობები

აღნიშნულ თავში მიმოხილული და გაანალიზებული იქნება ჩინეთ-იაპონიის პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებული კრიზისები და მათი გამომწვევი მიზეზები, ეკონომიკური ურთიერთობები, სენკაკუს/დიაოიუს კუნძულებთან დაკავშირებული დავა და მხარეების პოზიციები, იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების შესყიდვაზე ჩინეთის რეაქცია და კრიზისის გავლენა ჩინეთ-იაპონიის ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

4.1 პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებული კრიზისების მიმოხილვა

ეკონომიკურ ურთიერთობებთან შედარებით, ჩინეთ-იაპონიის პოლიტიკური ურთიერთობები გაცილებით ნაკლებად პოზიტიური და თანმიმდევრულია. მიუხედავად იმისა, რომ პეკინისთვის ტოკიოსთან ახლო ურთიერთობები სტრატეგიული მნიშვნელობისაა, უამრავმა სადავო საკითხმა იჩინა თავი ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებიდან (1972) დღემდე, მათ შორის „ისტორიის საკითხმა“, ტაივანის სტატუსმა და ტერიტორიულმა დავებმა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში. (Smith, 2009)

მდიდარი ისტორიული და კულტურული კავშირების მქონე ამ ორმა მეზობელმა ქვეყანამ ახალი ისტორიის მანძილზე ორი მნიშვნელოვანი ომი გადაიტანა, 1894-1895 და 1937-1945 წლებში. ამ ომებმა, განსაკუთრებით მეორემ, მხარეებს დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრამვა მიაყენა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩინეთი და იაპონია დაპირისპირებულ ბანაკებს შეუერთდნენ. ჩინეთი საბჭოთა კავშირის, იაპონია კი ამერიკის მხარეს აღმოჩნდა. შესაბამისად, 1972 წელს დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზებამდე, ერთმანეთის სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებად აღიქმებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ტაივანის პრობლემა ურთიერთობების ნორმალიზაციის მოლაპარაკებების დროს ყველაზე მნიშნელოვანი საკითხი იყო. ურთიერთობების ნორმალიზების შემდეგ კი ნაკლებად წარმოადგენს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებს შორის განხეთქილების წარმომქმნელ ფაქტორს. (Peng Er, 2006: 107)

1972 წლიდან მოყოლებული, ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები არასტაბილურობით, თავისი აღმავალ-დაღმავალი პერიოდებით ხასიათდება. თუკი 1970-იანი წლები იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებში „თაფლობისთვის“ პერიოდს წარმოადგენდა, 1980-იან წლებში თავი იჩინა უთანხმოებებმა, რასაც 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ურთიერთობების დაღმასვლა მოჰყვა. 2010 წლიდან სადავო კუნძულებთან დაკავშირებული უთანხმოებების გამო ურთიერთობის ესკალაციას ჰქონდა ადგილი. თუ 1972 წლიდან დღემდე არსებულ ურთიერთობებს გადავავლებთ თვალს, ეს უკანასკნელი პერიოდი ყველაზე კრიტიკულ პერიოდად შეიძლება შეფასდეს ორმხრივ ურთიერთობებში. (He, 2013)

მაიკ მოჩიზუკის (Mike Mochizuki) მიხედვით, იაპონია-ჩინეთთან თანამშრომლობა შეიძლება დაიყოს 3 ფაზად. პირველი, 1972-89 წლები, „მეგობრობის დიპლომატიის ერა“, როდესაც იაპონიის მხრიდან ჩინეთთან თანამშრომლობის და შერიგების პოლიტიკას სამი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ჰქონდა: სავაჭრო ურთიერთობების ზრდა, ისტორიულ მეხსიერებასთან დაკავშირებით ორივე მხარისთვის მომგებიანი პოზიციის ქონა და უსაფრთხოების სფეროში კონკურენციისთვის თავის არიდება.

მეორე ფაზა ტიანანმენის მოედანის ინციდენტით (1989 წლის ივნისი) იწყება და 1995 წლამდე გრძელდება. მოჩიზუკი ამ პერიოდს აღწერს, როგორც ურთიერთობების განგრძობით ფაზას, რომელსაც იაპონიას ჩინეთთან თანამშრომლობაში მომეტებული სიფრთხილე ახასიათებს. (Smith, 2009) საგულისხმოა, რომ პოლიტიკური კრიზისების დროსაც კი ეკონომიკური ინტერესები მნიშვნელობას არ კარგავდა. უფრო მეტიც, კრიზისებით გამოწვეული დაძაბულობების შემცირების საშუალებად ეკონომიკური ურთიერთობები გამოიყენებოდა. იაპონიის პოლიტიკურ და ბიზნეს ელიტებს ჩინეთთან ურთიერთობების რე-ნორმალიზების სურვილი ჰქონდათ, მაგრამ 1989 წელს ჩინეთის მთავრობის მიერ ტიანანმენის მოედანზე დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნით გამოსული სტუდენტების პროტესტის სისხლში ჩაახშობის შემდეგ იაპონელი ხალხის თვალში ჩინეთის იმიჯი საგრძნობლად შეარყია. თუმცა, 1989 წლის დეკემბერს სწორედ იაპონიამ აღადგინა დახმარების შეჩერებული პროექტები ჩინეთთან, რასაც თან ახლდა

პრემიერ მინისტრ კაიფუს ვიზიტი ჩინეთში და ახალი სესხის პაკეტის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება ჩინურ მხარესთან. (Rose, 1998: 24) ასევე, იაპონია მომხდარზე საპასუხოდ თავის დროზე G7-ის ქვეყნებს შეუერთდა ჩინეთზე სანქციების დაწესებაში, მაგრამ 1990 წელს პირველმა მოხსნა სანქციები, რითაც ჩინეთს საერთაშორისო იზოლაციისგან თავის დაღწევაში დაეხმარა. (Kemenade, 2006: 24) აღნიშნულ კრიზისს მოჰყვა ჩინეთის მხრიდან 1992 წელს სენკაკუს/დიაოიუს სადავო კუნძულებზე სუვერენიტეტის მტკიცება, 1995 წელს ჟენევაში ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოლპარაკებების შემდეგ კი ჩინეთის მიერ ბირთვული იარაღის ისევ დატესტვა. (Nuclearweaponarchive.org)

ურთიერთობების მესამე ფაზა მოიცავს 1996-2006 წლებს, როცა იაპონია ძირითადად საგარეო პოლიტიკის ბალანსირებით იყო დაკავებული. ამ ფაზის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტს იაპონიის მიერ აშშ-სთან ალიანსის გაძლიერების ხაზგასმა წარმოადგენდა. რაც გამოწვეული იყო არა მხოლოდ ჩინეთის ფაქტორის, არამედ ჩრდილოეთ კორეიდან მომავალი საფრთხით. იაპონიამ გააფართოვა და განმარტა სიტუაციები, რომლის შემთხვევაშიც ამერიკულ ძალებს დახმარებას გაუწევდა, ასევე აშშ-სგან შეიძინა ბალისტიკური ანტისარაკეტო თავდაცვითი საშუალებები (BMD). (Smith, 2009: 232-233)

1995 წლიდან ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების გაუარესებაში მნიშვნელოვანი როლო ითამაშა მხარეების მიერ სადავო საკითხებთან მიმართებაში განსხვავებული პოზიციების დაჭერამ. ჩინეთი ფუნდამენტალური ინტერესების გამოწვევად აღიქვამდა 1996 წელს ტაივანის დემოკრატიულად არჩეული ლიდერის ახალ პოლიტიკას. იაპონიას აშფოთებდა ალბათობა იმისა, რომ ტაივანის კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდებოდა აშშ-ს მხარეს, ჩინეთის მიერ ტაივანზე გავლენის მოპოვების შემთხვევაში კი საფრთხე დაემუქრებოდა იაპონიის ენერგო უსაფრთხოებას. ორივე მხარეს კი იაპონიის მიერ კონტროლირებადი სენკაკუ/დიაოიუს კუნძულების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ დავაზე კონტროლის დაკარგვის საფრთხე აღელვებდა.

ამ ყველაფერს დაემატა 2001-2006 წლებში იაპონიის პრემიერ-მინისტრ ძიუნიჩირო კოიზუმის ყოველწლიური ვიზიტები იასუკუნის მემორიალურ სალოცავში, რაც

ტრადიციულად (1980-იანი წლების ბოლოდან) ჩინეთის გაღიზიანებას იწვევს. (Faiola, 2006) ჩინეთში იაპონიის იასუკუნის მემორიალი მილიტარიზმის სიმბოლოდ მიიჩნევა, რადგან აღნიშნულ სალოცავში ომის შედეგად დაღუპულ ორმილიონ-ნახევარ იაპონელს მიაგებენ პატივს. დაღუპულთა შორის კი მეორე მსოფლიო ომის სამხედრო დამნაშავეებიც არიან. იასუკუნის ვიზიტების გამო 2005 წელს, ჩინეთი, იაპონიის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა. (Bush, 2009:1)

იასუკუნის მემორიალურ სალოცავში იაპონიის ოფიციალური პირების ვიზიტები ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმაოდგენს, რადგან ამ ფაქტთან დაკავშირებით მხარეებს განსხვავებული აღქმები აქვთ. მაშინ, როცა კონსერვატორი იაპონელი პოლიტიკოსებისთვის აღნიშნული ჟესტი გარდაცვლილთათვის პატივის მიგებას ემსახურება, სამხრეთ კორეელებისა და ჩინელებისთვის გულისხმობს იაპონელების მიერ იაპონიის მილიტარისტული წარსულის განდიდებას, რასაც უმეტეს შემთხვევაში მოსდევს ამ ქვეყნებში ანტი-იაპონური რიტორიკა და სახელმწიფო დონის შეხვედრების გაუქმება. ჩინეთმა პირველად აღნიშნული ქმედება 1982 წელს პრემიერ მინისტრ სუზუკი ზენკოს ვიზიტის დროს გააპროტესტა. 1996 წელს პრემიერ მინისტრ რიუტარო ჰაშიმოტოს ვიზიტის შემდეგ, კოიზუმი პირველ პრემიერ მინისტრს წარმოადგენდა, რომელიც მემორიალს 2001 წელს ეწვია. მის ყოველწლიურ ვიზიტებს თან ახლდა ჩინეთისა და სამხრეთ კორეის მხრიდან ფორმალური დიპლომატიური პროტესტები და გაუქმებული შეხვედრები. (Pollmann, 2016: 125-126) რაც შეეხება იაპონიის ამჟამინდელ პრემიერ მინისტრ შინზო აბეს, პრემიერ-მინისტრობიდან 1 წლის შემდეგ, 2013 წლის დეკემბერში ეწვია იასუკუნის. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერმა აღნიშნული ქმედება განმარტა როგორც ომის საწინააღმდეგო ჟესტი, ჩინეთმა „ჩინელი ხალხისთვის აბსოლუტურად მიუღებელი“ უწოდა. (“Japan PM Shinzo Abe Visits Yasukuni”, 2013, para. 2-3) მას შემდეგ პრემიერ მინისტრის მხრიდან ვიზიტების ნაცვლად, აღნიშნულ ადგილზე პერიოდულად რიტუალების ჩატარების წინადადებით შემოიფარგლება, რითაც ცდილობს თავიდან აირიდოს ჩინეთისა და სახმრეთ კორეის გაღიზიანება. (“Japanese PM Abe sends Ritual Offering”, 2017, para. 11) კოიზუმის მიერ იასუკუნის ვიზიტებს დაემთხვა ისტორიის

სახელმძღვანელოების ირგვლივ არსებული დაპირისპირებების განახლება, რაც ძალიან კარგად წარმოაჩენს ჩინელი და იაპონელი ხალხის ისტორიულ მეხსიერებას შორის არსებულ განსხვავებას. ისტორიის სახელმძღვანელოების ირგვლივ არსებული უთახმოებები დიპლომატიურ ურთიერთობებში დაძაბულობით, მასიური ანტი-იაპონური პროტესტებით გამოიხატება. ამ მხრივ 1982 წელი გამოირჩეოდა, როცა ჩინეთი აკრიტიკებდა იაპონიის განათლების სამინისტროს ისეთი სახელმძღვანელოების გამოცემის გამო, რაც ომებთან დაკავშირებულ ფაქტებს უგულებელყოფდა და მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელი სამხედროების სისასტიკეს ამსუბუქებდა. 2001 წელს ისტორიის ახალი წიგნის გამოცემამ ხალხის ნაკლები ყურადღება მიიპყრო, მაგრამ 2005 წლის მეორე გამოცემამ მასიური დემონსტრაციები გამოიწვია ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში. სახელმძღვანელობის შესახებ პროტესტს დაერთო პროტესტი იაპონის წინადადებაზე უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრის ადგილის დაკავების შესახებ. (Buszynski, 2009: 153-154) რაც შეეხება უახლეს მოვლენებს, 2013 წლის მარტს, იაპონიის განათლების სამინისტროში გაკეთდა განაცხადი, რომ 2014 წლის სასწავლო წლისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოთა უმრავლესობაში, სენკაკუს კუნძულები იაპონიის კუთვნილებად იყო გამოყვანილი. (“Most New High School Textbooks”, 2013. Para. 1) 2017 წელს კი ჩინეთის მთავრობამ გასცა ბრძანება ჩინეთის ისტორიის სახელმძღვანელოებში ჩინეთ-იაპონიის ომის თარიღების შეცვლის შესახებ ანუ ომის დასაწყისად 1937 წლის ნაცვლად 1931 წლის მითითების. (Cain, 2017, para. 1)

აღნიშნული საკითხების ირგვლივ არსებული სერიოზული დაძაბულობების მიუხედავად, თანამედროვე ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს მაინც აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში არსებული დავები წარმოადგენს. ტერიტორიული დავების საფრთხე გაიზარდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში არსებული ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლოატირების მიზნით მხარეებმა დაიწყეს ნავთობის საძიებო სამუშაოები. 2012 წელს იაპონია-ჩინეთის ურთიერთობები განსაკუთრებით დაძაბა იაპონიურ მედიაში გავრცელებულმა ნიუსმა იაპონიის მთავრობის მიერ იაპონური ოჯახის, კური ჰარების

კერძო საკუთრებაში არსებული სენკაკუს 3 კუნძულის გამოსყიდვასთან დაკავშირებული შეთანხმების მიღწევის შესახებ. იაპონიის ცენტრალურმა მთავრობამ განაცხადა, რომ გრძელვადიან პერიოდში იაპონელ მესაკუთრეებს 26.2 მილიარდ დოლარს გადაუხდიდა. (Harlan, 2012: 1-2)

4.2 ეკონომიკური ურთიერთობების ზოგადი მიმოხილვა

ჩინეთ-იაპონიის ეკონომიკური ურთიერთობები 21-ე საუკუნის რეალობაში ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და დიდი მნიშვნელობისაა, რადგან გულისხმობს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და პოტენციურად ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყანასა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეროვნული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. წლების განმავლობაში ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებამ და გაფართოებამ მხარეები ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებული გახადა.

თანამედროვე ჩინეთ-იაპონიის ეკონომიკური ურთიერთობები სათავეს იღებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან. ცივი ომის პერიოდში დაპირისპირებულ ბანაკებში ყოფნამ 1960-70-იან წლებში ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარება შეაფერხა. ამ პერიოდში იაპონია ძირითადად აშშ-ს პოლიტიკას ატარებდა, ჩინეთის ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემა კი ნაკლებად იზიდავდა იაპონიას ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის.

1972 წელს პრეზიდენტ ნიქსონის ჩინეთში ოფიციალური ვიზიტისა და იაპონიის მიერ ჩინეთის დიპლომატიურად აღიარების შემდეგ, პოლიტიკური კლიმატი მნიშვნელოვნად შეიცვალა. მხარეებს შორის ოფიციალური დიპლომატიური კავშირების დამყარებით შესაძლებელი გახდა ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში ახალი ფაზის დაწყება, მათ შორის ბილატერალური ეკონომიკური ურთიეთობების, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ჩინეთის ეკონომიკური მოდერნიზაციისთვის და გაეუმჯობესებინა იაპონიის ეკონომიკური უსაფრთხოება. (Chanlett-Avery, Dumbaugh & Cooper, 2008)

ეკონომიკურ სისტემებში არსებული რადიკალური განსხვავების მიუხედავად, მხარეებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შანსები არსებობდა. ასევე არსებობდა

იმედი იმისა, რომ ჩინელების იაპონელთა აგრესიასთან დაკავშირებული ისტორიული მეხსირება ხელს არ შეუშლიდა მხარეებს კავშირების დამყარებაში. 1972 წლამდე ჩინეთის ძირითადი მიზანს იაპონიასთან მიმართებაში დიპლომატიურ დონზე ურთიერთობების ნორმალიზება წარმოადგენდა, აღნიშნული ბარიერის აღმოფხვრის შემდგომ კი ყურადღება ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისკენ მიმართა. 1972 წლიდან 1978 წლამდე იაპონიისა და ჩინეთის მთავრობამ 12 შეთანხმებას მოაწერეს ხელი, მათ შორის ვაჭრობის, სატარიფო ბარიერების 1/3-ით შემცირების (1974 წლის იანვარი), საჰაერო (1974 წლის აპრილი) და საზღვაო (1974 წლის ნოემბერი) ტრანსპორტირების, თევზჭერის (1975 აგვისტო) შესახებ. შედეგად, ბილატერალური ვაჭრობა 1972-1975 წლებში 3-ჯერ გაიზარდა, საერთო ჯამში დაახლოებით 3.8 მილიონ დოლარს მიაღწია და იაპონია ჩინეთის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი გახდა. (Rose, 1998:49)

იაპონია ჩინეთში ძირითადად ფოლადის, დანადგარების და აღჭურვილობების, ქიმიკატების და სინთეთიკური ბოჭკოების ექსპორტით იყო დაკავებული. ჩინეთი კი თავის მხრივ ნედლი ნავთობის, კვების პროდუქტების, მინერალებისა და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტების ექსპორტს ეწეოდა იაპონიაში. სავაჭრო ურთიერთობების ინტენსიფიკაცია ემსახურებოდა ორივე ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს. 1972 წლიდან ბევრ იაპონურ ფირმას, დასავლელი კოლეგების მსგავსად, ხიბლავდა პოტენციურ ჩინელ მომხმარებელთა დიდი რაოდენობა, რაც ზრდიდა ჩინურ ბაზარზე დამკვიდრების მოტივაციას. გრძელვადიან პერსპექტივაში, დასავლურ ფირმებთან შედარებით, იაპონური ფირმები უფრო მზად იყვნენ ჩინურ ბაზარზე რამდენიმეწლიანი დანაკარგებისთვის გაეძლოთ. იაპონელი ბიზნესმენები ასევე აცნობიერებდნენ, რომ ჩინელებისთვის იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებთან დაკავშირებული ისტორიული მეხსირება სენსიტიურ თემას წარმოადგენდა, ამიტომ ჩინეთის ბაზარზე ფეხის მოსაკიდებლად და კეთილი ნების გამოსავლენად დამატებით დათმომებზე უნდა წასულიყვნენ. (Vogel, 2003) 1970-იან წლებში განცდილმა ნავთობის კრიზისმა იაპონიას დაანახა, რომ ენერგეტიკისა და ნედლეულის მიწოდებას საფრთხე ემუქრებოდა, რამაც უბიძგა იმპორტისა და ექსპორტის ბაზრების დივერსიფიკაციისკენ. გაიზარდა იაპონიის

ინტერესი ჩინეთში დანადგარებისა და ტექნოლოგიებს ექსპორტის და ჩინეთიდან ენერგო რესურსების იმპორტის.

1976 წელს ჩინეთში მაო ძედუნის გარდაცვალების შემდეგ, დაიწყო „ოთხი მოდერნიზაციის“ და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც უკავშირდება მაოს გარდაცვალებიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე სახალხო რესპუბლიკის ფაქტობრივ მმართველს და ჩინეთის რეფორმირების ავტორის, დენ სიაოპინის სახელს, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა ჩინეთის ტრანსფორმირება ინდსუტრირებულ სამყაროს ქვეყნებს შორის ადგილის დასამკვიდრებლად. (Mitcham, 2005)

ჩინეთის მხრიდან იაპონიიდან ტექნოლოგიების იმპორტის სურვული დიდი იყო, ტექნოლოგიების შესაძენად საჭირო თანხები კი ნავთობის ექსპორტის ხარჯზე უნდა მოეხდინა. როგორც ჩანს, იაპონიისა და ჩინეთის ეკონომიკური ინტერესები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდიოდა. მხარეებმა 1978 წლის 16 თებერვალს ხელი მოაწერეს გრძელვადიან სავაჭრო შეთანხმებას (LTTA). შეთანხმების ყველაზე მთავარ დებულების თანახმად ჩინეთი, იაპონიიდან მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების იმპორტის სანაცვლოდ, იაპონიას ენერგო რესურსებს მიაწვდიდა. შედეგად, იაპონია-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები გადაბმული აღმოჩნდა ჩინეთის ეკონომიკური მოდერნიზაციის და იაპონიის ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებთან. ორმხრივ ურთიერთობებში LTTA-ს ხელმოწერით გამოწვეული დადებითი მუხტისა და საბჭოთა კავშირის საერთო საფრთხედ აღქმის ფონზე, მხარეებმა, 1978 წლის 12 აგვისტოს, პეკინში გააფორმეს მშვიდობისა და მეგობრობის შეთანხმება.

დენ სიაოპინის „ღია კარის პოლიტიკამ“ ჩინეთის იაპონიასთან ურთიერთობების ტრანსფორმაცია მოახდინა. ახალი პოლიტიკის კვალდაკვალ ჩინეთი ღია იყო უცხოური კაპიტალის შემოდინებისთვის და ასევე ხელს უწყობდა ჩინური პროდუქციის ექსპორტზე გატანას. შედეგად, ჩინეთ-იაპონიის ორმხრივი ვაჭრობა 1979-1999 წლებში 10-ჯერ გაიზარდა. 1992 წლისთვის ჩინეთი იაპონიის მე-5 ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენდა და სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, ჩინეთმა გადაუსწრო გერმანიას,

ტაივანს და სამხრეთ კორეას და გახდა იაპონიის რიგით მეორე ყველაზე დიდი სავაჭრო პარნიორი აშშ-ს შემდეგ.

ურთიერთობების აღნიშნულ პერიოდში, ჩინეთმა მოახდინდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიკაცია, რაც მოტივირებული იყო როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური იმპერატივებით. 1990-იან წლებში, იაპონიას უკვე უწევდა ჩინეთთან ვაჭრობაში კონკურენცია გაეწია სამხრეთ კორესთვის, ტაივანისა და ჰონგ-კონგისთვის. ჩინეთის მიერ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციას ხელი შეუწყო ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებამ, როგორიცაა გაერო (1971), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (1980) და მსოფლიო ბანკი (1980) და მალევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. (2001)

”ღია კარის პოლიტიკის“ დაწყებიდან, შემდეგი 20 წლის განმავლობაში, ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო ურთიერთობები თვისებრივადაც შეიცვალა. თუ 1970-იან წლებში ჩინეთს იაპონიაში ექსპორტზე ძირითადად ისეთი ნედლეულები გაჰქონდა, როგორიცაა ნავთობი და ქვანახშირი, 1980-იანი წლებისთვის ორიენტირებული გახდა ქსოვილების, ტანსაცმლისა და სხვა შრომატევადი საქონლის ექსპორტზე. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) როლს სავაჭრო ურთიერთობებში, 1990-იანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნევა ამ მხრივ გამოცოცხლება. 1988 წლის აგვისტოში იაპონიის პრემიერ მინისტრმა ტაკეშიტა ნობურუმ პეკინში ვიზიტის დროს ხელი მოაწერა პაქტს ინვესტიციების დაცვის შესახებ. 1990 წლის მარტს იაპონიაში იაპონია-ჩინეთის ინვესტიციების ხელშეწყობისთვის ორგანიზაციაც კი დაარსდა, რასაც ამავე წლის ივნისში მოჰყვა ჩინეთში ჩინეთ-იაპონიის ინვესტიციების ხელშეწყობის კომიტეტის შექმნა. (Burns, 1999: 40-46)

საგულისხმოა, რომ 1979 წლიდან 2005 წლებამდე ტოკიომ ჩინეთზე Overseases Development Assıstance (ODA)-ს ფარგლებში დაახლოებით 26.6 მილიარდი დოლარის ოდენობის სესხი გასცა დახმარების სახით, 1.23 მილიარდი დოლარი გრანტის სახით და იგივე ოდენოს თანხა დახარჯა ტექნიკურ თანამშრომლობის სფეროში დახმარების გაწევაზეც. (Smith, 2009)

ბილატერალური ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთსა და იაპონიას შორის დინამიურობით ხასიათდება. ვაჭრობის მოცულობას თუ შევხედავთ,1990-2008 წლების შუალედში იაპონიის ექსპორტი ჩინეთში 6 მილიარდი დოლარიდან 124 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა რაც შეეხება იმპორტის მაჩვენებელს, 12 მილიარდი დოლარიდან 143 მილიარდ დოლარამდე ზრდა დაფიქსირდა. (WTO's integrated database). იაპონიის ჩინეთთან ვაჭრობის საერთო მაჩვენებელი ამავე წლებში 5%-დან 15%-მდე გაიზარდა, რაც ამავდროულად მიუთუთებს ჩინეთზე დამოკიდებულების ზრდას სავაჭრო ურთიერთობებში. ჩინეთის დამოკიდებულება ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებზე კი მცირდებოდა პერიოდულად. შესაბამისად, დღეს ჩინეთი იაპონიაზე ამ მხრივ ნაკლებად დამოკიდებულია. ურთიერთდამოკიდებულების ზოგად ტრენდს თუ შევხედავთ მხარეების ურთიეთობებში, საერთო ჯამში ურთიერთდამოკიდებულება გაღრმავდა, მაგრამ ამავდროულად დამოკიდებულების ბალანსირების მხრივ, იაპონია უფრო მეტად არის დამოკიდებული ჩინეთზე, ვიდრე ჩინეთი იაპონიაზე. (Rathus, 2010: 55)

საქონლის ექსპორტის და იმპორტის საერთო მონაცემები მეტყველებს ბილატერალური სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელობასა და მასშტაბებზე. საგულისხმოა, რომ მზარდ ეკონომიკურ ურთირთობებს თან ახლდა პოლიტიკური და ისტორიული მიზეზებით გამოწვეული კრიზისები. ორმხრივი ვაჭრობა 1990 წლიდან (ტიანანმენის ინციდენტის შემდეგ) 1995 წლამდე 18.2 მილიარდი დოლარიდან 57.9 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. 2000 წელს ეს მაჩვენებელი 85.5 მილიარდ დოლარს წარმოადგენა, 2005 წლისთვის კი 267 მილარდ დოლარს მიაღწია. 15 წლის მანძილზე ვაჭრობის მოცულობა დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა. (Bush, 2010: 16)

როგორც ჩანს, 2008 წლამდე ჩინეთ-იაპონიის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები მზარდი ტემპებით ვითარდებოდა. მაგრამ 2008-2009 წლებში მსოფლიო ეკონომიკამ განიცადა უპრეცედენტო ფინანსური არასტაბილურობა, რამაც მსოფლიო ეკონომიკების დაღმასვლა და სავაჭრო ურთიერთობების შემცირება გამოიწვია. აღნიშნულ ეკონომიკურ „შტორმს“ ვერცერთი ქვეყანა ვერ გაექცა (IMF Annual Report, 2009), მათ შორის იაპონია და ჩინეთი, რომელთა ეკონომიკებიც ურთიერთდამოკიდებულებით ხასიათდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური კრიზისის საწყის ეტაპებზე, კრიზისის პირადპირი გავლენა იაპონიის სტაბილურ ფინანსურ სისტემაზე შეზღუდული აღმოჩდა, საერთო ჯამში დიდი ზიანი მიაყენა იაპონიის ეკონომიკას. (Kawai & Takagi, 2009) იაპონიის ეკონომიკური რეცესია 2008 წლის მესამე ნახევარში დაიწყო, ბიზნეს დანახარჯების ზრდის ტემპები შემცირდა, წმინდა ექსპორტმა კი უარყოფითი წვლილი შეიტანა ეკონომიკურ ზრდაში. ("Japan in Recession", 2008. Para. 1) ჩინეთს ზოგიერთი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით ნაკლებად შეეხო კრიზისი, თუმცა, ხელშეუხებელი არ დარჩენილა. კრიზისს დაემტა, ჩინეთის ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპებით შემცირება. ფინანსური კრიზისის გამო ჩინეთის იმპორტი 11,2 %-ით, ექსპორტი კი 15.9%-ით შემცირდა. 2010-2011 წლებში ჩინეთის ვაჭრობამ ფინანსური კრიზისის გავლენას თავი დააღწია და იმპორტი დაახლოებით 25.8%-ით, იმპორტი კი 31.9%-ით გაიზარდა. თუმცა, ამის შემდგომ ჩინეთის ვაჭრობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 2012 -2014 წლებში ექსპორტის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი 7.2%, იმპორტის-4.1% იყო. 2015-2016 წლებში კი 4.7% (ექსპორტი) და 11.6% (იმპორტი). (Morrison, 2017: 20)

მოკლედ, 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის პერიოდში იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებს თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ იაპონიის ექსპორტმა ჩინეთში დაახლოებით 124 მლრდ დოლარიდან 110 მლრდ დოლარამდე, იმპორტი კი 142 მლრდ დოლარიდან 123 მლრდ დოლარმდე შემცირდა. (JETRO, Japanese Trade and Investment Statistics)

2010-2011 წლებში როგორც ექპორტი ასევე იმპორტი საგრძნობლად გაიზარდა (Trade Statistics of Japan, Ministry of Finance), თუმცა 2012 წელს იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების შესყიდვით გამოწვეულმა კრიზისმა ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, გარკვეულწილად გავლენა იქონია მათ სავაჭრო ურთიერთობებზე. შესაბამისად, გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომი ორი წლის განმავლობაში დაფიქსირებული ვაჭრობის ზრდა ვერ შენარჩუნდა.

4.3 სენკაკუს/დიაოიუს კუნძულებზე დავა

იაპონია-ჩინეთის სადავო კუნძულები, რომელიც იაპონელებისთვის ცნობილია სენკაკუს და ჩინელებისთვის დიაოიუს სახელით, წარმოადგენს 5 დაუსახლებელ, მცირე ზომის კუნძულს და 3 უნაყოფო კლდეს, რომელიც ოკინავას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ტაივანის ჩრდილო უკიდურესობიდან დაახლოებით 170 კმ-ის, ვენჯოუ, ჩინეთიდან კი 380 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. აღნიშნული საკითხის შესახებ არსებული დავა სხვა დანარჩენ უთანხმოებებთან შედარებით მნიშვნელოვანია საკითხის რელევანტურობისა და კომპლექსურობის გამო. საკითხის რელევანტურობაზე მიუთითებს 2010 და 2012 წელს კრიზისები. 2012 წლის კრიზისი, რომელიც იაპონიის ცენტრალური მთავრობის მიერ, 2012 წლის სექტემბერს, სენკაკუს კუნძულების კერძო მესაკუთრისგან შესყიდვამ გამოიწვია, ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობის აღმოჩნდა იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებში, ვიდრე 2010 წლის სექტემბრის კრიზისი, რომლის მიზეზსაც იაპონიის სანაპირო დაცვის მიერ სენკაკუს კუნძულებთან ჩინური სარეწაო/თევზსაჭერი გემის კაპიტანის დაკავება წარმოადგენდა. მხარეებს შორის არსებული დაპირისპირებები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებს, არამედ რეგიონალურ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობასაც. რაც შეეხება საკითხის კომპლექსურობას, კუნძულებზე დავის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენები მოიცავს დავებს სხვა ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის საზღვრები, ეკონომიკური ინტერესები, უსაფრთხოების საკითხები და ისტორიული დაპირისპირებები. (Drifte, 2013).

ჩინეთის მტკიცებით, ჩინეთმა აღნიშნული სადავო ტერიტორია აღმოაჩინა და დიაოიუ უწოდა ჯერ კიდევ XIV-XV საუკუნეებში. კუნძულები ჩინეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა ჯერ მინგის დინასტიის (1368- 1644) და შემდეგ უკვე ქინგის დინასტიის (1644-1911) დროს. გეოგრაფიული არგუმენტის მიხედვით, დიაოიუს კუნძულები ეკუთვნის ტაივანის (ფორმოსა) კუნძულთა ჯგუფს. კუნძულების ირგვლივ არსებულ წყლებს კი ჩინელი მეთევზეები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. ჩინეთი ასევე ირწმუნება, რომ კუნძულებზე ადმინისტრაციულ კონტროლსაც აწარმოებდა მანამ, სანამ აღნიშნული

კუნძულები იაპონიამ ჩინეთ-იაპონიის პირველი ომის დროს (1894-1895), ქინგის დინასტიის საზღვაო ფლოტის დამარცხების შედეგად ჩაიგდო ხელში და 1895 წლის 17 აპრილის შიმონოსეკის ხელშეკრულებით ჩინეთს აიძულა დაეთმო ისინი. (State Council Information Office of The People's Republic of China, 2012) სწორედ ამ მიზეზით, ჩინელები შიმონესკის ხელშეკრულებას „უთანასწორო ხელშეკრულებას" უწოდებენ. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, საპირისპირო მტკიცებით, არც ხელშეკრულებაში და არც ხელშეკრულებაზე მოლაპრაკებების დროს სენკაკუს კუნძულები ნახსენები არ იყო. (Manyin, 2016: 3) მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, იაპონიამ ჩინეთს ყველა ჩინური ტერიტორია დაუბრუნა. თუმცა, ჩინელების მტკიცებით, 1945 წელს აშშ-მ თვითნებურად და არასწორად დააწესა კონტროლი დიაოიუს კუნძულებზე, როგორც ნანსეის კუნძულების შემადგენელ ნაწილზე. აშშ-ს მიერ აღნიშნული ქმედება ეფუძნებოდა სან ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის მხარესაც ჩინეთი არ წარმოადგენდა. 1972 წელს, ოკინავას იაპონიისათვის გადაცემასთან ერთად, სენკაკუც იაპონიის მმართველობას დაექვემდებარა, რაც ჩინელებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. (Soons & Schrijver, 2012: 4)

იაპონიის მტკიცებით, იაპონია სენკაკუს კუნძულების კანონიერი მფლობელი გახდა 1895 წელს, იაპონიის მთავრობის 1887 და 1892 წლის ოფიციალური კვლევების საფუძველზე, რომელიც ამოწმებდა, რომ კუნძულები დაუსახლებელი იყო და ჩინელების მიერ აღნიშნული ტერიტორიების ფლობის არანაირი კვალი არ შეინიშნებოდა. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იპონიის მთავრობამ, 1895 წლის 14 იანვარს, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისობაში, მიიღო გადაწყვეტილება დაუსახლებელი კუნძულების (terra nullius) იაპონიის ტერიტორიებში ფორმალურად ინკორპორაციის შესახებ. ამ დროიდან მოყოლებული სენკაკუს კუნძულები იაპონელებისთვის ნანსეის კუნძულების ნაწილად მიიჩნევა. როგორც ჩანს, ჩინელების არგუმენტის საპირისპიროდ, იაპონელების სენკაკუს კუნძულების დაუფლების ფაქტს მიჯნავენ 1985 წელს ჩინეთთან ომში გამარჯვების ფაქტისგან იმ არგუმენტით, რომ ისტორიულად არ ასებობს მტკიცებულება იმისა, რომ ოდესმე ეს ტერიტორიები ჩინეთის კონტროლს

ექვემდებარებოდა. (Ministry of Foreign Affairs of Japan, 2013) იაპონელები ასევე ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ იაპონიის სუვერენიტეტი კუნძულებზე ვრცელდებოდა დაახლოებით 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მშვიდობიანად და უწყვეტად. ამას გარდა, არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ 1970-იან წლებამდე ნავთობის რესურსების შესაძლო არსებობის შესახებ ცნობების გავრცელებამდე ჩინეთს პრეტენზია სენკაკუს კუნძულებზე არ გამოუთქვამს. (Ministry of Foreign Affairs of Japan, 2014) მიუხედავად იმისა, რომ ჩინელი მეთევზეები კუნძულებს დროებით თავშესაფრად იყენებდნენ, ჩინეთს ამ ტერიტორიაზე არასოდეს ჰყოლია თავისი მუდმივი სამოქალაქო და სამხედრო და არც საზღვაო პერსონალი. (Cheng,1974).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველა კუნძული (მათ შორის სენკაკუ/დიაოიუს კუნძლები) რომელიც ომამდე არსებულ იაპონიის იმპერიაში ნანსეის კუნძულებად იყო მონიშნული, აშშ-ს სამხედროების მიერ აღმოჩნდა ოკუპირებული. 1951 წელს აშშ-ს მიერ იაპონიასთან დადებული სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე კი 1953 წლიდან კუნძულები ოფიციალურად აშშ-ს დაექვემდებარა. ვინაიდან, სენკაკუს კუნძულები ამ დრომდე დაჯგუფებული იყო რიუკიუს კუნძლებთან (რომელიც ომის დასრულებამდე ნანსეის კუნძულების გეოგრაფიულ საზღვრებში ექცეოდა), მიჩნეულ იქნა, რომ აშშ-ს სენკაკუს კუნძულებზე ადმინისტრაციული უფლებამოსილეობა გააჩნდა. კუნძლებზე კონტროლი იაპონიამ 1972 წლის 15 მაისს დაიბრუნა აშშ-სთან 1971 წლის 17 ივნისს დადებული ოკინავას დაბრუნების ხელშეკრულების საფუძველზე. (Shaw,1999: 11-12)

1971 წლის 30 დეკემბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ პირველი ოფიციალური განცხადება გააკეთა სენკაკუს კუნძულებზე სუვერენიტეტის მტკიცებასთან დაკავშირებით, რამაც იაპონიასა და ჩინეთს შორის დავა წარმოშვა. 1971წლის 11 ივნისს ტაივანმაც ჩინეთისგან დამოუკიდებლად, მაგრამ არსებითად მსგავსი მოთხოვნები წამოაყენა სენკაკუს კუნძულებზე. იაპონია, თავის მხრივ, უარყოფს ტერიტორიული დავის არსებობას და ამტკიცებს, რომ იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების საკუთრების უფლება ეჭვგარეშეა. (Asada, 2007)

აშშ აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით ნეიტრალურ პოზიციას იკავებს, თუმცა საყურადღებოა იაპონია-აშშ-ს მიერ 1960 წელს ორმხრივი თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების მნიშვნელობა, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, ერთი რომელიმე მხარის ადმინისტრაციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე სამხედრო თავდასხმა მეორე მხარის მიერ საკუთარი მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ თავდასხმად მიიჩნევა, თავდასხმაზე საპასუხოდ კი მხარეები კონსტიტუციით განსაზღვრულ პირობების და პროცესების შესაბამისად იმოქმედებენ. (Treaty of Mutual Cooperation and Security between Japan and the United States, 1960)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის (UNCLOS) მიხედვით, სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ტერიტორიული ზღვის გარეთ და მის მიმდებარედ, საწყისი ხაზებიდან, 200 საზღვაო მილით (370კმ) დაშორებულ ხაზამდე განთავსებული ზღვის სივრცის, საკუთარ ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონად გამოცხადება. (UN Convention on the Law of the Sea, art. 57) ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ ამ კუნძულებს ძალიან ცოტა ღირებულება ჰქონდა, ამიტომ აშშ-ს მიერ კუნძულების ადმინისტრირების პერიოდში, იაპონელები და ჩინელები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული სენკაკუს კუნძულებით. თუმცა, 1968 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში ეკონომიკური კომისიის (ECAFE) მიერ გამოაქვეყნებულმა კვლევამ, სადაც ნავარაუდევი იყო სენკაკუს კუნძულების მიმდებარე წყლებში ნავთობისა და გაზის რეზერვების არსებობა, იაპონიისა და ჩინეთის ინტერესები რადიკალურად შეცვალა. (Tseng, 2015: 11)

4.4 იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების შესყიდვაზე ჩინეთის რეაქცია

იაპონია-ჩინეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია 2012 წლის აპრილში ტოკიოს გუბერნატორ შინტარო იშიჰარას განცხადებამ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში არსებული სენკაკუს დაუსახლებელი კუნძულების კერძო მესაკუთრეებისგან შესყიდვის გეგმის შესახებ. (“Tokyo Governor Seeks to buy islands,” 2012, para.3) ჩინეთის საგარეო

საქმეთა მინისტრმა ლიუ ვეიმინმა განაცხადა, რომ კუნძულებზე ჩინეთის სუვერენიტეტი უდავო იყო და ნებისმიერი ცალმხრივი მოქმედება იაპონიის მხრიდან იქნებოდა „არალეგალური და არავალიდური.“ იაპონიის მთავრობამ საინფორმაციო სააგნეტო როიტერთან აღნიშნა, რომ აღნიშნულ გეგმასთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა.

2012 წლის 11 სექტემბერს, იაპონიის მიერ კუნძლების შესყიდვამ ჩინეთის მკაცრი რეაქცია გამოიწვია. იაპონიის ამ ნაბიჯის კრიტიკის ფონზე პეკინმა კუნძულების მიმართულებით, კუნძლებზე საკუთარი უფლებების მტკიცების მიზნით ორი საპატრულო გემი გაგზავნა. ჩინეთის წამყვანმა სამხედრო გაზეთმა იაპონია „ცეცხლთან თამაშში“ დაადანაშაულა. თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე კი თავდაცვის მინისტრმა Geng Yansheng-მა აღნიშნა, რომ ჩინელ სამხედროებს ამ საკითხთან დაკავშირებით მტკიცე პოზიცია ჰქონდათ და რომ ჩინეთის მთავრობა და ჯარი სახელმწიფო სუვერენიტეტს დაიცავდა.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალურ ტოკიოს რიტორიკას იმეორებდა და აღნიშნავდა, რომ კუნძულების შესყიდვისას იაპონიას მხოლოდ მშვიდობიანი განზრახვები ამოძრავებდა. მისი განცხადებით, აღნიშნული საკითხის გამო იაპონია-ჩინეთის ურთიერთობა არ უნდა დაზარალებულიყო, რისთვისაც ორივე მხარეს მოუწოდებდა მშვიდად და ფართო პერსპექტივიდან შეეხედათ საკითხისთვის. (Takenaka, 2012) ჩინეთში 4 დღიანი საჯარო პროტესტის შემდეგ, ჩინეთის მომავალმა ლიდერმა, სი ძინპინმა იაპონიის ამ ქმედებას „ფარსი“უწოდა. (Branigan, 2012)

მას შემდეგ, რაც სენკაკუს კუნძულების იაპონიის მფლობელობაში გადასვლის ფაქტის პროტესტის პრეტექსტით ჩინურმა ხომალდება იაპონიის მომიჯნავე ზონაში შეცურეს, მსგავს ქმედებას თითქმის ყოველ დღე (შტორმიანი დღეების გარდა) აქვს ადგილი. (Ministry of Foreign Affairs of Japan, 2018)

2013 წლის ნოემბერს ჩინეთმა სადავო კუნძულებზე „თავდაცვითი საჰაერო ზონა“ გამოაცხადა, განცხადების თანახმად, ნებისმიერმა საჰაერო ხომალდმა, რომელსაც აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის გასწვრივ, აღნიშნულ საჰაერო ზონაში შესვლა მოუნდება,

წინასწარი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს ჩინეთს დაშვების მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროების შემთხვევაში მიიღებს „საგანგებო თავდაცვით ზომებს.“ აღნიშნულთან დაკავშირებით იაპონიის პრემიერ მინისტრმა შინზო აბემ განაცხადა, რომ ჩინეთის ეს ცალმხრივი ნაბიჯი აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სტატუს-ქვოს ცვლის, რაც ამწვავებს არსებული სიტუაციას და ქმნის საჰაერო სივრცეში მოულოდნელი ინციდენტების საფრთხეს. (Branigan, 2013)

2015 წლის დეკემბერში ჩინეთის მიერ სადავო კუნძლების ირგვლივ, ტერიტორიულ წყლებში, შეიარაღებული ხომალდით შეცურვამ, იაპონიაში შეშფოთება გამოიწვია. ოფიციალური პირების განცხადებების მიხედვით, იაპონია ამას აღიქვამს, როგორც ჩინეთის ახალ მცდელობას აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სტატუს-ქვოს შეცვლის. აღნიშნულთან დაკავშრებით იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ დეკემბრიდან „აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სიტუაცია უარესდება.“ ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის საზღვაო ძალების (PLAN) ქმედებებშიც დაფიქსირდა ცვლილებები 23 დეკემბრიდან. მათი სადაზვერვო გემი ორ-ნახევარი დღის განმავლობაში საერთაშორისო წყლებში, სენკაკუს კუნძულების სამხრეთით, წინ და უკან დაცურავდა. (“China steps up incursions,” 2016) 2015 წლის ივლისში იაპონიის მთავრობამ გამოაქვეყნა რუკა და ფოტოები, სადაც კარგად ჩანს ჩინეთის მიერ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში მოწყობილი ოფშორული ბურღვის პლატფორმა, იაპონიის მთავრობამ ჩინეთს მოუწოდა შეეწყვიტა რესურსების კვლევითი სამუშაოები, ვინაიდან აღნიშნული ქმედება წინააღმდეგობაში მოდიოდა მათ მიერ გაფორმებულ ბილატერალურ შეთანხმებასთან ბუნებრივი რესურსების ერთობლივ კვლევასთან დაკავშირებით. (2008). (Szechenyi, 2015) დღესდღეობით, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში არსებული სიტუაცია, ჩინეთისა და იაპონიის მიერ შექმნილი დაძაბულობის გამო, ყველაზე დიდი საფრთხის შემქნელ მდგომარეობად მიიჩნევა, რადგან ინციდენტის ალბათობა ადგილზე არსებული დაძაბული სიტუაციის გამო მაღალია, სიტუაციის ესკალაცია კი შესაძლოა მხარეებს შორის ომიც დაწყების საფუძველიც კი გახდეს. (Goldstein, 2014)

ჩინეთის მხრიდან იაპონიის მიერ კუნძულების ნაციონალიზაციაზე პოლიტიკური რეაქცია ძირითადად გამოიხატა მხარეებს შორის ოფიციალური და არაოფიციალური ვიზიტების გაუქმებით, ჩინეთის მიერ სხვადასხვა საშუალებებით კუნძულებზე უფლების დამტკიცების მცდელობებით, 2012 წელს ჩინეთ-იაპონიის ნორმალიზების 40 წლის იუბილესთან დაკავშირებული დაგეგმილი ღონისძიებების ჩაშლით, ჩინეთის 100-ზე მეტ ქალაქში საჯარო პროტესტებით, ჩინური მაღაზიების, რესტორნების, მანქანებისა და საწარმოო ობიექტების დაზიანებით, ჩინეთში იაპონელ მოქალაქეებზე თავდასხმით, დაახლოებით 19 იაპონურ ბანკის, უნივერსიტეტების და სხვა ინსტიტუტების ვებ-გვერდებზე კიბერ თავდასხმებით. შანხაიში 7 000 კაციან საპროტესტო აქციაზე დომინირებდა სლოგანები იაპონური იმპერიალიზმის, იაპონური პროდუქტების ბოიკოტის და ოკინავას დაბრუნების შესახებ. (Drifte, 2013: 45)

4.5 კრიზისის გავლენა ჩინეთ-იაპონიის ეკონომიკურ ურთიერთობებზე

ჩინეთი ირწუმენება, რომ პოლიტიკურ ინტერესებს მიჯნავს ბიზნეს ინტერესებისგან, მაგრამ უკვე წლებია სავაჭრო ურთიერთობებს იყენებს, როგორც სადამსჯელო ბერკეტს რიგ ქვეყნებთან ურთიერთობებში და მათ შორის არის იაპონიაც. (Chellaney, 2017) მაგალითად, 2010 წელს ჩინეთმა იაპონიაში იშვიათი მიწის ელემენტების ექსპორტზე გამოუცხადებელი ემბარგო დააწესა და ამით ზიანი მიაყენა იაპონიის ეკონომიკას, აღნიშნული ელემენტების იმპორტზე დამოკიდებულების გამო. (Giacalone, 2012)

2012 წლის კრიზისის მოულოდნელ შედეგს წარმოადგენდა ჩინელი ხალხის მიერ იაპონური საქონლის ბოიკოტი. მთავრობა კი უარყოფდა ამ საკითხში თავის როლს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს იაპონიაზე სანქციები არ დაუწესებია, იაპონიის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდა. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ოფიციალურ გაზეთ „რენმინ რიბაოში“ (იგივე People’s Daily) „ეკონომიკური სასჯელი“ შედარებულ იქნა იარაღს, რომლის სასხლეტსაც იაპონია შეეხო კუნძულების შესყიდვის ქმედებით. გაზეთში

ასევე მითითებული იყო რამდენად მოწყვლადი იყო იაპონის ეკონომიკა 2011 წელს გადატანილი მიწისძვრის გამო და რამდენად იყო იაპონიის მთავარი ეკონომიკური ზონები დამოკიდებული ჩინეთზე. (Drifte, 2013) ვაჭრობის ვიცე მინისტრ Jiang Zengwei-მ მედიასთან აღნიშნა, რომ იაპონიის მიერ წამოწყებული დავა კუნძულების შესახებ უცილობოდ მოახდენდა უარყოფით გავლენას ჩინეთ-იაპონიის ეკონომიკურ ურთიერთობებზე. მართლაც, ამის ნიშნები იაპონური კომპანიებისთვის კრიზისის დასაწყისშივე არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში ავტომანქანებით ვაჭრობის ზოგადი დონე მაღალი იყო, იაპონური მანქანების გაყიდვა 2%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით. მაგალითად ტოიოტას გაყიდვებმა ერთ კვირაში 15%-ით იკლო, მაზდას გაყიდვებმა კი 6%-ით. (Voigt, 2012)

11 სექტემბრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ჩინეთის მთავრობის ხელი ერია ეკონომიკური სანქციების დაწესებაში, რაც მიზანმიმართული იყო იაპონური ბიზნესების დაზარალებაზე. 21 სექტემბერს გავრცელდა ცნობები, რომ ჩინეთის საბაჟო სამსახურმა იაპონიიდან იმპორტირებულ და იაპონიაში ექსპორტზე გამავალ საქონელზე კონტროლი გაამკაცრა, რაც ჩინეთის მთავრობამ უარყო. ამავე კვირაში, იაპონური კომპანიები ჩიოდნენ, რომ ჩინეთი კომპანიის იაპონელ თანამშრომლებზე სამუშაო ვიზის გაცემას აგვიანებდა. დიდი იაპონური, საინვესტიციო კომპანიები კი შედარებით გვიან იღებდნენ თანხმობას სხვა კომპანიებთან შერწყმის ან მათი შეძენის შესახებ. ყველაზე დიდი ზიანი იაპონიის ეკონომიკას მაინც ჩინელ მომხმარებელთა ბოიკოტმა მიაყენა. ცვლილება განსაკუთრებით მანქანებით ვაჭრობისა და ტურიზმის სფეროს შეეტყო. ტოიოტამ 840 500 ავტომანქანა გაყიდა 2012 წელს, მსგავსი მაჩვენებელი კომოანიას 2002 წლის შემდეგ არ ახსოვს. იაპონიის სამმა ყველაზე მსხვილმა მანქანათმწარმოებელმა კომპანიამ -ტოიტოამ, ნისანმა და ჰონდამ, განაცხადეს, რომ მათ სააგენტოებს საპორტო ქალაქ ქინგდაოში თავს დაესხნენ და ჩინურ ქარხნებში წარმოება შეაჩერეს. სუზუკიმ კი მოტოციკლეტების მწარმოებელი ქარხანის მუშაობა შეაჩერა. (“Chinese Boycott May Be More Costly,” 2012) დეკემბერში ნისანის გაყიდვები 24%-ით შემცირდა, ჰონდასი კი 19%-ით. 2012 წლის ნოემბერში გაირკვა, რომ წინა წელთან შედარებით ჩინეთში ტოიოტას წარმოება 61.1%-ით, ნისანის 44%-ით, ჰონდას

54.2 %-ით და მითსუბიში მოტორსის 84.6%-ით. 2012 წლის სექტემრიდან დეკემბრამდე იაპონელი ტურისტების რაოდენობა იაპონიაში 44%-ით შემცირდა. (Drifte, 2013: 46)

რაც შეეხება ბილატერალურ ვაჭრობას, 2013 წელს, გასულ წელთან შედარებით, იაპონიის ექსპორტი ჩინეთში 10.2%-ით, (ჩინეთის წილი იაპონიის საერთო ექსპორტში ბოლო 5 წლის განმავლობაში პირველად მოექცა მე-2 ადგილზე ამერიკის შემდეგ) , იმპორტი კი 3.7%-ით შემცირდა (ბოლო 4 წლის განმავლობაში პირველად შემცირდა). იაპონიის სავაჭრო დეფიციტმა ჩინეთთან ამ დრომდე ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, 17.8%-ს მიაღწია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში იაპონიის საერთო ექსპორტის მაჩვენებელიც შემცირდა 10.2%-ით. ჩინეთთან ვაჭრობის შემცირება გახდა ძირითადი მიზეზი იაპონიის შემცირებული საერთო ექსპორტისა. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩინელების მიერ იაპონური პროდუტების ბოიკოტმა, განსაკუთრებით ავტომობილების. თუმცა, წლის განმავლობაში იაპონიიდან მანქანების ექსპორტის შემცირების მაჩვენებელი 42.8%-დან 11.6%-ზე დავიდა. (JETRO, 2013) 2014 წლის მონაცემებს თუ შევხედავთ, 2013 წელთან შედარებით იმპორტ-ექსპორტი მნიშვნელოვნად არ შემცირებულა. იმპორტი თიქთმის იგივე შენარჩუნდა. 2015 წელს ვაჭრობა 2014 წელთან შედარებით შემცირდა. იაპონიის ექსპორტი ჩინეთში დაახლოებით 127 მლრდ დოლარიდან 109 მლრდ დოლარამდე, იმპორტი კი დაახლოებით 182 მლრდ დოლარიდან 161 მლრდ დოლარამდე შემცირდა. (Trade Statistics of Japan, Ministry of Finance) 2016 წლის მონაცემებით იაპონიის ექსპორტმა ჩინეთში 113.8, ჩინეთიდან იმპორტმა 156.6 და საერთო ჯამში ომრხრივი ვაჭრობის მოცულობამ 270.4 მილიარდი დოლარი შეადგინა. საექსპორტო დანიშნულების ქვეყნებს შორის ჩინეთი იაპონიისთვის მე-2 ადგილს იკავებს (იაპონიის საერთო ექსპორტში 17.6% წილით), იმპორტის მოცულობის მიხედვით კი ჩინეთი იაპონიის რიგით პირველი პარტნიორია. (იაპონიის საერთო იმპორტში 25.8% წილით). ჩინეთისთვის იაპონია საექსპორტო დანიშნულების პარტნიორებს შორის მე-3 ადგილზეა (ჩინეთის საერთო ექსპორტში 6.2%-იანი წილით) და იაპონიის ბაზარი საიმპორტო მნიშვნელობით ჩინეთისთვის მე-2 ადგილით განისაზღვრება. (9.2%-იანი წილით ჩინეთის საერთო იმპორტში) (UN Comtrade Data, 2016)

როგორც ჩანს იაპონიასა და ჩინეთს შორის, 2012 წელს იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების ნაციონალიზაციით გამოწვეული, დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები გარკვეულწილად მათ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, განსაკუთრებით ორმხრივ ვაჭრობაზე აისახა. დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად იაპონიის მთავრობამ ოფიციალური ეკონომიკური ზომების მიღებისგან თავი შეიკავა, თუმცა ჩინელი ხალხის ბოიკოტმა იაპონური პროდუქტების მიმართ მნიშვნელოვნად დააზარალა იაპონიის ეკონომიკა. ჩინეთის მთავრობამ გააცნობიერა, რომ პოლიტიკური უთანხმოებები გავლენას ახდენდა მხარეების ურთიერთობებზე ეკონომიკურ ასპექტში, რაზეც ვაჭრობის მინისტრმა გაო ჰუჩენგმა იაპონიის მაღალი დონის ეკონომიკურ დელეგაციას განუცხადა რომ ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობების გაციებით ეკონომიკური ვარდის გამოწვევა არ იყო ის რისი დანახვაც სურდათ. (Takahara, 2015)

ვაჭრობის მაჩვენებლის ზოგად სურათს თუ შევხედავთ, ვნახავთ რომ ვაჭრობა კრიზისის პირველ წელს ყველაზე მეტად შემცირდა, თუმცა შემდეგ წლებში ვაჭრობის მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა, მაგრამ ზრდა არ დაფიქსირებულა. ტერიტორიული დავით გამოწვეულმა კრიზისულმა პოლიტიკურმა ურთიერთობებმა ბილატერალური სავაჭრო ურთიერთობები ყველაზე მეტად მოკლევადიან პერსპექტივაში დააზარალა. ჩინეთის მიერ, იაპონიასთან სავაჭრო ურთიერთობების ოფიცილურად სანქცირებულ თუ სპონტანურ შემცირებას პრეცედენტი მოეძებნება ჩინეთის სხვა ქვეყნებთან არსებულ ბილატერალურ ურთიერთობებშიც. (Nagy, 2013: 53)

საინტერესოა იაპონელ ბიზნესმენთა დამოკიდებულებაც ჩინეთთან გაუარესებული პოლიტიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. 2016 წელს აშშ-ს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევევის ცენტრმა (CSIS) და იაპონიის Nihon Keizai Shimbun (Nikkei)-ს მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში იაპონელ ბიზნესმენებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. გამოკითხულთა ჩინეთში ბიზნესის კეთების ყველაზე დიდ გამოწვევად პოლიტიკური რისკებს ასახელებდნენ და არა მაკროეკონომიკურ ან კომერციულს. ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ რისკად პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობეის გაუარესებას მიიჩნევდნენ.

2013 წელს, მას შემდეგ, რაც იაპონიის მთავრობამ სენკაკუს კუნძულების ნაციონალიზაცია მოახდინდა, ბიზნეს ჯგუფების 44% ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების გაუარესებას ჩინეთში არსებული იაპონური ფირმებისთვის ყველაზე დიდ პოლიტიკურ რისკად მიიჩნევდნენ, 2016 წლის მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი 30%-მდე შემცირდა. (King, 2016)

ერთი შეხედვით, 21-ე საუკუნეში, იაპონიასა და ჩინეთს შორის არსებული ეკონომიკური კავშირები ბაზარზე ორიენტირებულია და დღესაც სოლიდურად გამოიყურება იმდენად, რამდენადაც ბილატერალური ეკონომიკური ურთიერთობები ორივე მხარისთვის მომგებიანია. (Ying, 2017) პერიოდული აღმავალი და დაღმავალი პოლიტიკური ურთიეთობების მიუხედავად, ჩინეთმა და იაპონია შეძლეს ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნება და ორმხრივად ეკონომიკური სარგებლის მომტანმა ურთიერთობამ შესაძლოა მხარეების კონფლიქტში ჩართვის სურვილი შეამციროს. (Barai, 2017:194) მაგრამ, საკითხს უფრო მასშტაბურად თუ შევხედავთ და გავითვალისწინებთ 1972 წლიდან ჩინეთ-იაპონიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებულ ტენდენციებს, აშკარაა, რომ 2012 წლების შემდეგ ურთიერთობებში ცვლილებები შეიმჩნევა. ცვლილებები განსაკუთრებით შესამჩნევია ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებში იმდენად, რამდენადაც 2012 წლის შემდეგ, ჩიენეთ-იაპონიის სავაჭრო ურთიერთობებში ზრდა აღარ ფიქსირდება, უკვე წლებია იმპორტ-ექსპორტი დაახლოებით ერთსა და იმავე მაჩვენებელს ინარჩუნებს. ურთიერთობების ნორმალიზებიდან ათწლეულების განმავლობაში ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები ძირითადად შემდეგი ფრაზით ხასიათდებოდა „პოლიტიკურად ცივი და ეკონომიკურად ცხელი“. რაც მიუთითედა იმ ფაქტზე, რომ პოლიტიკური კრიზისები ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში ერთგვარ ჩვეულებასაც კი წარმოადგენდა, რაც თავის მხრივ, მზარდ ეკონომიკურ ურთიერთობებს, განსაკუთრებით ბილატერალურ ვაჭრობას ზიანს ვერ აყენებდა. 2012 წლიდან დღემდე, ცივი პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე ეკონომიკური ურთიერთობების გაციება შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში ბილატერალური ურთიერთობები მაინც სოლიდურად გამოიყურება, ძველი

ტრენდი „ცივი პოლიტიკა, ცხელი ეკონომიკა“ აღარ წარმოადგენს იმ ფრაზას, რაც დღეს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების შესაჯამებლად გამოდგება. (Yoshizaki, 2014; Chen, 2014)

ჩინეთსა და იაპონიას შორის არსებული მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკურ ურთიერთობებშიც უნდა გადაღვრილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე აცნობიერებს თანამშრომლობის მნიშვნელობასა და ღირებულებას ორივე მხარისთვის მომტანი სარგებლის გამო, მხარეებს შორის მეტოქეობა კიდევ უფრო გაძლიერდა. (Dreyer, 2014)

5. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია

ჯოზეფ ნაისა და რობერტ კიოჰეინის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მიხედვით, თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობების ბუნება შეიცვალა იმდენად, რამდენადაც მსოფლიო გახდა უფრო ურთიერთდამოკიდებული. მზარდი კავშირების შედეგად ტრანსნაციონალური აქტორები გახდნენ ურთიერთდამოკიდებულნი, ერთმანეთის ქმედებებთან მიმართებაში შედარებით მოწყვლადი და ერთმანეთის საჭიროებებთან მიმართებაში უფრო მგრძნობიარენი. გაიზარდა საერთაშორისო რეჟიმებისა და ინსტიტუტების როლი და სახელმწიფოების ტრადიციული სამხედრო შესაძლებლობების მაკომპენსირებელი ფაქტორი გახდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობის როლის მნიშვნელობა საგარეო ურთიერთობებში და დღეს უკვე სახელმწიფოების ეკონომიკური კეთილდღეობა აღარ მიეკუთვნება ე.წ „დაბალ პოლიტიკას". კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება აშკარად ლიბერალური კონცეფციაა, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის რეალისტურ გაგებას ეწინააღმდეგება. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებას აქვს სამი ძირითადი მახასიათებელი: 1) სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში აღარ არსებობს საკითხთა იერარქიულობა ანუ საკითხების მაღალ და დაბალ პოლიტიკად დაყოფა ძველი ფენომენია 2) საზოგადოებები ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული კონტაქტის სხვადასხვა საშუალებებით (სახელმწიფოებები ვერ ახდენენ ამ ურთიერთობების მონოპოლიზირებას), რაც იმას ნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკის ოფისების შესაძლებლობა აკონტროლონ

საგარეო ურთიერთობები, შემცირდა. 3) უსაფრთხოებისა და ძალის პოლიტიკას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. სამხედრო ძლიერება მასიურად არარელევანტურია. (Keohane & Nye, 1987: 737-738) ნაის და კიოჰეინის მტკიცებით, ქვეყნის მიერ ძალის გამოყენებამ, ერთი კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად, იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელთანაც მრავალფეროვანი ურთიერთობები აკავშირებს, შესაძლოა გამოიწვიოს სხვა, ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის გაწყვეტა. სწორედ ამ ლოგიკით გამოითვლება ძალის გამოყენების ღირებულება ანუ ის დანაკარგი, რაც შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნულმა ქმედებამ. (Walker, 2013: 150) საერთაშორისო ურთიერთობებში „ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას“ ორი მნიშვნელობა აქვს. პირველი, ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება არსებობს, თუ ერთ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა გავლენას ახდენს მეორე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მაგალითად, საფრანგეთში არსებული ინფლაცია აისახება გერმანიაში საბაზრო ფასებზე. მეორე, ურთიერთდამიკიდებულება არსებობს იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობების გაწყვეტა ან შეფარხება მხარეებს ძვირი დაუჯდებათ. მაგალითად, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციასა (ოპეკი) და განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს (რომლებიც ნავთობის იმპორტზე არიან დამოკიდებულნი) შორის ურთიერთობების გაუარესება მხარეებს ძვირად დაუჯდებათ. ურთიერთდამიკდებულების პირველ შემთხვევას მგრძნობიარეობა ახასიათებს (sensitivity interdependence), მეორეს დაუცველობა (vulnerability interdependence). (Baldwin, 1980) ურთიერთდამოკიდებულება იშვიათად ხასიათდება წონასწორობით, ხშირ შემთხვევაში ერთი მხარე უფრო მეტადაა დამოკიდებული მეორე მხარეზე ან ურთიერთდამოკიდებულება ასიმეტრიულია. (Keohane & Nye, 1989: 247) რაც უფრო მეტი რესურსს ფლობს ქვეყანა (ან რაც უფრო ნაკლები რესურსის საჭიროებას განიცდის), მით უფრო ძლიერია და პირიქით, რაც რაც უფრო ნაკლები რესურსი აქვს (ან რაც უფრო მეტი სჭირდება), მით უფრო სუსტია. სავაჭრო ურთიერთობები შეიძლება სიმეტრიულობით ხასიათდებოდეს, როგორც გერმანიისა და საფრანგეთის შემთხვევაში ან იყოს ასიმეტრიული, როგორიცაა აშშ-სა და გუატემალას ურთიერთდამიკიდებულების შემთხვევა. (Moravcsik, 2009: 250) ნაიმ და კიოჰეინმა აღნიშნეს, რომ ბევრი

ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობა შეიძლება იყოს ასიმეტრიული. ურთირთდამოკიდებულების სწორედ ასიმეტრიული ბუნება შედარებით ნაკლებად დამოკიდებული მხარისთვის წარმოშობს გავლენის წყაროებს. ასიმეტრიული ვაჭრობა საშუალებას აძლევს ნაკლებად დამოკიდებულ მხარეს საკუთარი ძალაუფლება გამოამჟღავნოს შედარებით მეტად დამოკიდებულ მხარესთან ურთიერთობაში ანუ გამოიყენოს საკუთარი საბაზრო ძალაუფლება/საბაზრო პოზიცია სხვა სფეროში გავლენის მოსაპოვებლად ან მოსახდენად. როდესაც ვამბობთ, რომ ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება იყოს ძალაუფლების წყარო, ძალაუფლებაში ვგულისხხმობთ რესურსებზე კონტროლის ძალაუფლებას ან პოტენციაზლე შედეგებზე გავლენის მოხდენის. ნაკლებად დამოკიდებულ მხარეს ხშირად მნიშვნელოვანი ძალაუფლების პოლიტიკური რესუსებიც აქვს, რადგან მხარეებს შორის ურთიერთობების ცვლილების შემთხვევაში (ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს თვითონ რომელიმე მხარის მიერ და მუქარა არსებობდეს ცვლილების) თვინთონ ნაკლები ზარალი შეიძლება მიადგეს ვიდრე თავის პარტნიორებს. (Keohane & Nye, 2011: 9-10) ასიმეტრიული ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება არ გულისხმობს იმას, რომ ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულებით შექმნილი სავაჭრო შესაძლებლობები აუცილებლად ძალაუფლებად გარდაიქმნება და აღნიშნული უპირატესობის ფონზე ერთი მოვაჭრე მხარე აუცილებლად შეძლებს პოლიტიკური გავლენის მოხდენას მეორეზე. (Wagner 1988: 462)

იმისათვის, რომ დავადგინოთ თუ რამდენად არის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება თურქეთ-ისრაელსა და ჩინეთ-იაპონიას შორის, პირველ რიგში აღნიშნული ქეისები რობერტ კიოჰეინის და ჯოზეფ ნაის მიერ შემოთავაზებულ იმ სამი მახასიათებლის კონტექსტში განვიხილოთ, რომელიც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ვლინდება.

პირველი, ქვეყნებს შორის ურთიერთობებში საკითხთა შორის იერარქიის არარსებობა. თურქეთ-ისრაელის ურთერთობებში საკითხთა იერარქიის არარსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მხარეებმა პოლიტიკური კრიზისის დროს აშკრად გამიჯნეს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. შესაბამისად, პოლიტიკურ

ურთიერთობებში არსებული კრიზისებით გამოწვეულმა უთანხმოებებმა და დაძაბულობებმა გავლენა ვერ იქონია მათ ბილატერალურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რასაც მოწმობს ღაზის ფლოტილიის ინციდენტის შემდეგ სავაჭრო ურთიერთობებში დაფიქსირებული ყოველწლიური ზრდის მაჩვენებელი. საგულისხმოა, რომ პოლიტიკური დიალოგის არარსებობის დროს სახელმწიფო ინსტიტუტების დონეზე ხდებოდა ბილატერალური ურთიერთობების უცვლელად შენარჩუნების აუცილებლობის ხაზგასმა. აღნიშნული მიუთითებს, რომ მხარეებს კრიზისული ურთიერთობების დროს პოლიტიკურ ურთიერთობებს „მაღალი პოლიტიკის“ და ეკონომიკური ურთიერთობებს „დაბალი პოლიტიკის“ იარლიყი არ ჰქონია. უფრო მეტიც, მხარეებმა პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირების შემდეგ ეკონომიკური ურთიერთობების გაღრამვებისა და გაფართოების მიმართ კიდევ უფრო ცხოველი ინტერესი გამოავლინეს, რისი კარგი მაგალითიცაა ისრაელის ბუნებრივი აირის თურქეთის გავლით ევროპაში გატანის გეგმასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ახალა ეტაპზე გადაყვანა. მხარეები მილსადენების კონსტრუქციის გარდა შესაძლო ფასებისა და მილსადენების განლაგების დეტალებზეც კი ალაპარაკდნენ. არ უნდა გამოგვრჩეს ის დეტალიც, რომ აღნიშნულ მოლაპარაკებებში სახელმწიფო ოფიციალური პირების გარდა აქტიურად არიან ჩაბმული თურქეთისა და ისრაელის კერძო კომპანიები. (“Turkey, Israel Discuss Price”, 2017) თურქეთის უკვე ყოფილმა პრემიერ მინისტრა, აჰმეთ დავითოღლუმაც თავის დროზე აღნიშნა, რომ თურქეთისთვის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა მეზობელ რეგიონში ურთიერთობების გასაღრმავებლად და აქვე ხაზი გაუსვა კერძო სექტორის ფირმების წამყვან როლს ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და სტრატეგიის მართვაში. უფრო მეტიც, მისთვის თურქეთის, როგორც „მოვაჭრე ქვეყნის“ საგარეო პოლიტიკა შესაბამისობაში მოდიოდა „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების“ დოქტრინასთან. (Crisis Group Europe Report 23, 2010: 9-10) ღაზის ფლოტილიის ინციდენტით გამოწვეული დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე ისრაელის სავაჭრო პალატის ფედერაციის პრეზიდენტმა ურიელ ლინმა, თურქეთის სავაჭრო პალატებისა და სასაქონლო ბირჟების კავშირის პრეზიდენტს ქვეყნებს

შორის ეკონომიკური ურთიერთობეის შენარჩუნების ხელშეწყობაში დახმარებისკენ მოუწოდა. ლინმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აღნიშნულის მიმართ ბიზნეს სექტორის დამოკიდებულების მნიშვნელობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიზნეს სექტორს პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა და თავიდან აერიდებინა პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებული კრიზისის ეკონომიკურ ურთიერთობებში გადაღვრა. (Wrobel, 2010) როგორც ჩანს, როგორც თურქეთი, ასევე ისრაელი, თანაბრად იყვნენ დაინტერესებული ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებით და ერთნაირად წარმატებულად მოახერხეს ურთიერთობებში საკითხთა შორის იერარქიის არარსებობის შენარჩუნება.

იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების ნაციონალიზაციით გამოწვეული კრიზისული პერიოდის დროს ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებს თუ შევხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში თურქეთ-ისრაელის ქეისისგან განსხვავებული სიტუაცია გვაქვს. განსხვავების დანახვა მარტივად შეიძლება თუ ჩინეთ-იაპონიას შორის თანამშრომლობის ისტორიას გადავავლებთ თვალს 1972 წელს ურთიერთობების ნორმალიზებიდან 2012 წლის კრიზისამდე და 2012 წლიდან დღემდე. აშკარაა, რომ 1972-2012 (თუ არ ჩავთვლით 2009-2010 მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენას) წლებში მხარეებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაზრდას და მზარდ სავაჭრო ურთიერთობებს პოლიტიკურ ურთიერთობებში არსებული კრიზისები ვერაფერს აკლებდა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ სივრცეში ხშირი იყო ტერიტორიულ დავებით და ისტორიულ მეხსიერებასთან დაკავშირებული საკითხებით გამოწვეული უთანხმოებები, ეკონომიკური პროცესები ხელშეუხებელი რჩებოდა. რაც მიუთითებს იმაზე, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მხარეებს შორის ურთიერთობებში საკითხების იერარქიულობას არ ჰქონდა ადგილი, პოლიტიკა აშკარად იმიჯნებოდა ეკონომიკური ურთიერთობებისგან ანუ ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ფრაზა „ცივი პოლიტიკა, ცხელი ეკონომიკა“ მნიშვნელობას ამართლებდა. 2012 წლის კრიზისის შემდეგ ეკონომიკურ ურთიერთობებს თუ გადავხედავთ, მარტივია ეკონომიკური ურთიერთობების დაღმასვლის შემჩნევა. გასულ

წლებთან შედარებით, სავაჭრო ურთიერთობებში ზრდა აღარ ფიქსირდება. სენკაკუს კუნძულების ირგვლივ დავამ ეკონომიკას ზიანი ყველაზე მეტად მოკლევადიან პერსპექტივაში მიაყენა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ურთიერთობები გაიყინა, ბილატერალურ ვაჭრობაში ზრდა აღარ ფიქსირდება, წლიდან წლამდე მეტ-ნაკლებად ერთსა და იმავე მაჩვნებელს ინარჩუნებს. საგულისხმოა, ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს იაპონიისთვის ოფიციალურად ეკონომიკური სანქციები არ დაუწესებია, ხელოვნურად მაინც ქმნიდა სირთულეებს ეკონომიკურ ურთიერთობებში, რაც კარგად ჩანს იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძლების შესყიდვაზე ჩინეთის რეაქციასთან დაკავშირებულ თავში. არ უნდა გამოგვრჩეს ჩინეთის ოფიციალური პირების განცხადებებში არსებული ერთგვარი ტენდეცია პოლიტიკური ურთიერთობებში არსებული კრიზისული მდგომარეობის გამო ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების შეფერხების შესაძლო საფრთხეების ხაზგასმის. ამის სადემონსტრაციოდ გამოდგება იაპონიის ფინანსთა მინისტრის მიერ აღნიშნული ტერიტორიული დავის „კრიტიკული მნიშვნელობის“ საკითხად შეფასება. მისი განცხადებით, ამ საკითხს გააჩნდა ორივე მხარისთვის ეკონომიკისთვის ზიანის მიყენების პოტენციალი. (McLannahan & Hille, 2012) აღნიშნული საკითხის ირგვლივ ჩინეთში არსებული მუხტი აშკარად მიუთითებდა, რომ იაპონიის მხრიდან კუნძლების ნაციონალიზაციის პოლიტიკური ნაბიჯი იაპონიას უფრო ძვირად დაუჯდებოდა, ვიდრე ამ კუნძულების შესყიდვის ღირებულება და რომ იაპონიის ეს ქმედება სერიოზულ ზიანს მიაყენებდა ორმხრივ ეკონომიკურ, სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობებს. (Harner, 2012) 2016 წელს აშშ-ს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევევის ცენტრის (CSIS) და იაპონიის Nihon Keizai Shimbun (Nikkei)-ს მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში იაპონელ ბიზნესმენებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, იაპონურ ბიზნეს საზოგადოებას სჯერა, რომ პოლიტიკური და უსაფრთხიების საკითხები იაპონია-ჩინეთის ეკონომიკურ ურთიერთობებზე ახდენს გავლენას. გამოკითხულ იაპონელ ბიზნესმენთა მხოლოდ 8% უჭერს მხარს იაპონიის პრინციპს პოლიტიკისა და ეკონომიკის გამიჯვნის შესახებ. 40%-ს მიაჩნია, რომ თუ გრძელვადიან პერიოდში სენკაკუს კუნძულების ირგვლივ არსებული დავა გაუარესდება, იაპონიამ

ჩინეთში თავისი ბიზნეს ინტერესები უნდა შეამციროს, 37% სენკაკუს კი მხარს უჭერს სტატუს-ქვოს შენარჩუნებას. (King, 2016) შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში „ცივი პოლიტიკა, ცივი ეკონომიკის“ ტენდენციები უფრო შეინიშნება, ვიდრე ტრადიციული „ცივი პოლიტიკა, ცხელი ეკონომიკის“(Yoshizaki, 2014) ანუ ურთიერთობებში საკითხთა იერარქიულობის მნიშვნელობამ იჩინა თავი.

მეორე, ინტერაქციის მრავალი არხის არსებობა. თანამედროვე მსოფლიოში კომუნიკაციების შემცირებულმა ხარჯებმა შედეგად მოიტნა მსოფლიოს მასშტაბით კომუნიკაციებში უფრო მეტი აქტორის ჩართულობა. შესაბამისად, „კომპლექსური ურთირთდამოკიდებულების რელევანტურობაც გაიზარდა. კონტინენტთაშორის დონეზე ინტერაქციების ტრანსნაციონალური არხების გაფართოებამ, მედია საშუალებების და არასამთავრობო ორგანიზაციების სიჭარბემ, ხელი შეუწყო კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების იმ განზომილების გაფართოებას, რომელიც გულისხმობს საზოგადოებების დამაკავშირებელი საკიხთების მრავალფეროვნების არსებობას. გლობალიზაციის ეპოქაში სახეზეა ურთიერთობების მრავალი საშუალება, ურთიერთობებში ჩართული მრავალი აქტორით და არა მხოლოდ სახელმწიფოებით. (Keohane & Nye, 2000: 117) შეუძლებელია გლობალიზაციის აღნიშნული ტრენდი თურქეთ-ისრაელს და ჩინეთ-იაპონიას არ შეხებოდა. ქვეყნებს შორის ინტერაქციის მრავალწლიანმა ისტორიამ, ეკონომიკური, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებამ და გაფართოებამ, თანამედროვე ინფრასტრუქტურის ხარჯზე გადაადგილების საშუალებების გამარტივებამ, ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიურმა საშუალებებმა, გაზარდა ინტერესი და ცონდა საზღვრებს გარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ, რამაც ხალხები ერთმანეთთან დააკავშირა. სახელწმიფო დონეზეც ხდება ხალხთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესების სტიმულირება. თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მრჩეველმა, იბრაჰიმ კალინმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე მეტად მნიშვნელოვანიც კი იყო ხალხთა შორის კავშირების გაუმჯობესება. აღნიშნულ ინტერვიუში საუბრობდა მეზობელ ქვეყნებთან არსებულ სავიზო რეჟიმებზე, საზოგადოებებს შორის ეკონომიკური

კავშირების გასაზრდელად ტრანსპორტირების პროექტების მნიშვნელობაზე და ა.შ . (Renda, 2011) საგულისხმოა, რომ ღაზის ფლოტილიის ინციდენტის შემდეგ თურქეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში თავისი წვლილი შეიტანა კულტურულმა დიპლომატიამ. მუსიკის, ხელოვნების, იდეებისა და ენის გაცვლამ და გაზიარებამ მხარეებს შორის კომუნიკაციების გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. ფლოტილიის ინიდენტის შემდეგ, 2008-2015 წლებში, ისრაელელი და თურქი მუსიკოსები თურქეთისა და ისრაელის სხვადასხვა ქალაქში კონცერტებს მართავდნენ და კულტურათა გაცვლით მშვიდობიანი ურთიერთობების პრომოუტერებად გამოდიოდნენ. თურქეთ-ისრაელს შორის არსებული კულტურული კავშირი განსაკუთრებით მყარია მუსიკის სფეროში, რადგან მასზე გავლენას ვერ ახდენს პოლიტიკური უთანხმოებები. გაფუჭებული დიპლომატიური ურთიერთობების ფონზე, ორივე ქვეყნის არტისტებმა გამოიჩინეს ინიციატივა წვლილი შეეტანათ ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური განსხვავებების გადაფარვაში. ხელოვნების სფეროში ურთიერთობები უდავოდ ასტიმულირებს ხალხთაშორის კონტაქტებს და ხელს უწყობს კულტურათა დაახლოებას და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას. (Demir, 2017: 1233) ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ თურქეთ-ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შემდეგ თურქეთიდან პირველ მაღალი რანგის ოფიციალურ პირს, რომელიც ისრაელს ეწვია, წარმოადგენდა კულტურისა და ტურიზმის მინისტრი ნაბი ავჯი. თელავივში ნაბი ავჯის ოფიციალური ვიზიტის მიზანი საერთაშორისო ტურისტულ გამოფენასა და თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების თემისადმი მიძღვნილ ფოტო გამოფენაზე დასწრება იყო. ასევე დაგეგმილი იყო ისრაელელ კოლეგასთან, მირი რეგევთან და ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის საკითხების, ერთობლივი კულტურული პროექტების და თურქეთისა და ისრაელის უნივერსიტეტებს შორის ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განახლების საკითხის განსახილავად. (Şimşek, 2017) რაც შეეხება ქვეყნებს შორის ტურისტულ ვიზიტებს, ფლოტილიის ინციედნტის დროს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი მოქალაქეებს თურქეთში გამგზავრებისგან თავი შეეკავებისკენ მოუწოდა. 2012 წლის მარტში ისრაელის პრემიერ

მინისტრის კონტრტერორისტულმა ოფისმა ისრაელის მოქალაქეებს სტამბულში შესაძლო ტერორისტული აქტების შესახებ გააფრთხილა, რაც უარყოფითად აისახა თურქეთში ისრაელელ ტურისტთა რიცხვზე. ღაზის ფლოტილიის ინციდენტამდე ერთი წლით ადრე თუ ისრაელიდან ტურისტების რაოდენობა 311 582-ს წარმოადგენა, 2011 წელს ამ მაჩვენებელმა 79, 140 შეადგინა. (Cagaptay & Evans, 2012: 3) 2013 წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრის მიერ ღაზის ფლოტილიის ინციდენტის გამო ბოდიშის მოხდის შემდეგ, თურქეთში ისრაელიდან ტურისტების შემოდინება სამი წლის განმავლობაში თითქმის 80%-ით გაიზარდა. 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 64, 917 ტურისტით შემოიფარგლებოდა, 2016 წლისთვის კი 293, 988-მდე გაიზარდა. ("Israeli Tourists Flock to Turkey", 2017. para. 1)

რაც შეეხება ჩინეთ-იაპონიის ურთერთობებში არსებულ ინტერაქციის არხებს, უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე იაპონიამ თავისი წვლილი შეიტანა იაპონიაში დაწყებულ ე.წ „პინგ-პონგ დიპლომატიაში", რასაც მოჰყვა აშშ-ჩინეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება. დღესდღეობით მხარეებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების ფონზე ყურადღება გადატანილია ქვეყნის ლიდერებზე, პრემიერ მინისტრ შინზო აბესა და პრეზიდენტ სი ძინპინზე, როგორც ქვეყნებს შორის ურთიერთობების შემაფერხებელ აქტორებზე. ყურადღების მიღმა რჩება ხალხთაშორისი ურთიერთობები. მნიშვნელოვანია ხაზგასმა იმისა, რომ იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების ნაციონალიზაციას ჩინელი ხალხის მხრიდან მკაცრი რეაქცია მოჰყვა, რაც გამოიხატა მასიურ დემონსტრაციებსა და იაპონური პროდუქტების საჯარო ბოიკოტში. მიუხედავად ამისა, ხალხთაშორისი ურთიერთობები წლებია სხვადასხვა ფორმით ვითარდება. 1970-80-იან წლებში ჩინეთი იაპონელი ტურისტებისა და იაპნური კომპანიებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნლოვან დანიშნულების ადგილს წარმოადგენდა. 1978-1988 წლები ჩატარებულ საჯარო გამოკითხვებში, იაპონელთა 70-80% ჩინეთის მიმართ დადებითად იყო განწყობილი. ჩინელებიც იაპონელების მიმართ იგივე დამოკიდებულებას იჩენდნენ. ასევე 1980-იან წლებში ჩინელები სხვა ქვეყნებთან შედარებით იაპონიაში ამჯობინებდნენ განთლების მიღებას. იაპონიის რბილი ძალის (soft power) გავლენა ჯერ კიდევ ურთიერთობების

ადრეული ეტაპიდან შეიმჩნეოდა. ჩინელ ხალხს იაპონური კულტურა იზიდავდა, იაპონური ანიმეებზე უამრავი ჩინელი ბავშვი იყო და დღესაც არის შეყვარებული. ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა ახალგაზრდებს შორის კულტურულ გაცვლებს, რასაც რიგ შემთხვევებში მაღალი დონის ოფიციალური პირებიც უწყობდნენ ხელს. ტიანანმენის მოედანის ტრაგედიის შემდეგაც ისევ იაპონია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ეკონომიკური სანქციები მოუხსნა ჩინეთს. 1990-იანი წლების მეორე ნახევარში პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვას მოჰყვა იაპონელი ხალხის გრძნობების გაძიება ჩინეთის მიმართ. იმ დროისთვის ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით იაპონელების 50% მიიჩნევდა ჩინეთს მეგობარ ქვეყანად. 2014 წლის BBC World Service Poll-ის მიხედვით, იაპონელთა მხოლოდ 3% აღიქვამდა ჩინეთის გავლენას დადებით ფაქტორად, 73% კი უარყოფით დამოკიდებულებად გამოხატავდა. ჩინელების მხოლოდ 5% აღიქვამდა იაპონიის გავლენას დადებითან და 90% უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებდა. ორივე ქვეყნის პოლიტიკოსები, მედია საშუალებები და სამხედრო პერსონალი მოვლენების დრამატიზებას ახდენენ და დაძაბულობებს ქმნიან ხალხთაშორის ურთიერთობებში. (Zhu, 2015) რაც შეეხება იაპონიაში ჩინელი ტურისტების რაოდენობას, იაპონიის ეროვნული ტურიზმის ორგნიზაციის (JNTO) მონაცემებით, 2012 წლის ოქტომბერში სექტემბერთან შედარებით, ტურისტთა რაოდენობა თითქმის განახევრდა, 121, 673-დან 69, 713-მდე შემცირდა. 2012 წლის საერთო მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 34.3%-ით შემცირდა, 2013 წლიდან მცირედით, მაგრამ მატება მაინც დაფიქსირდა, 2014 წლის იანვარ-ივნისში კი ტურისტთა რაოდენობამ საერთო ჯამში მილიონზე მეტი შეადგინა და შემდეგ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა. დღევანდელი მონაცემებში მეტ-ნაკლებად სტაბილურობა შეიმჩნევა. (Japan National Trade Organization Data) 2015 წელს იაპონიაში უცხოელი სტუდენტების დაახლოებით ნახევარზე მეტს ჩინელი სტუდენტები შეადგენდნენ. გასულ ათწლეულში საშუალოდ ეს მაჩვენებელი 60%-ს აღწევდა. განათლების მისაღებად იაპონელი სტუდენტებისთვის ჩინეთი აშშ-ს შემდეგ მე-2 არჩევანია. ჩინეთში უცხოელ სტუდენთა შორის იაპონელები რაოდენობით მე-3 ადგილს იკავებენ. (Armstrong, 2015)

მესამე, კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებულ ქვეყნებს შორის ძალის გამოყენება ან ძალის გამოყენების მუქარა არარელევანტურია. (Keohane & Nye, 2000: 115) თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში უსაფრთოხების და ძალის საკითხი ნაკლებად მნიშვნელობისაა იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოებს ერთმანეთთან აკავშირებთ მრავალფეროვანი სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობები. (Keohane & Nye, 1998: 83) ქვეყნებს შორის მაღალი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ამცირებს ქვეყნების მიერ ძალის გამოყენების ალბათობას მათ შორის არსებული უთანხმოებების მოსაგვარებლად, რადგან ომის შესაძლო დანახარჯები ომს არამიმზიდველს ხდის. (Ripsman, 2006: 7) როგორც თურქეთ-ისრაელის, ასევე ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში კრიზისული მდგომარეობის დროს მხარეებს ერთმანეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალა არ გამოუყენებიათ. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებში ღაზის ფლოტილიის ინციდენტი და იაპონია-ჩინეთის შემთხვევაში იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების ნაციონალიზაცია ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ მომენტს წარმოადგენდა საკითხის სიმწვავისგან და მისი შედეგებიდან გამომდინარე, მხარეების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებში უთანხმოებების მოსაგვარებლად ძალის გამოყენების მუქარაც კი არ გაჟღერებულა. ორივე შემთხვევაში ხშირი იყო მომხდარზე მწვავე პოლიტიკური განცხადებები და ერთმანეთის მიმართ ბრალდებები, თუმცა სამხედრო ძალა, როგორც უთანხმოების მოგვარების საშუალება არარელევანტური დარჩა. ისრაელის მიერ „მავი მარმარაზე“ თავდასხმა ვერ ჩაითვლება ისრაელის მიერ თურქეთის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიად და ძალის გამოყენების ფაქტად, რადგან ამ შემთხვევაში ისრაელი ცდილობდა უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარე ღაზის ბლოკადა უცვლელი პირობებით შეენარჩუნებინა. რაც შეეხება თურქეთის რეაქციას მომხდარზე, ოფიციალური პირები, განსაკუთრებთ კი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ძირითადად მწვავე პოლიტიკური განცხადებებით შემოიფარგლა, რასაც მოჰყვა მხარეებს შორის დიპლომატიური კავშირების გაწყვეტა. ღაზის ფლოტილიის ინციდენტი ისრაელსა და თურქეთს შორის შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაზრდილა. თურქეთის დღეს უკვე ყოფილი პრეზიდენტის აბდულა გიულის მიხედვით, თურქეთი პასუხისმგებლიან ძალად გვევლინება, რომელიც ფლობს

სამხედრო შესაძლებლობებს, მაგრამ ხანგრძლივი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად პოლიტიკურ, დიპლომატიურ და კულტურულ ინსტრუმენტებს იყენებს. (Renda, 2011) რაც შეეხება ჩინეთის რეაქციას იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების შესყიდვასთან დაკავშირებით, ჩინეთმა კუნძლებზე საკუთარი უფლების დასამტკიცებლად კუნძულების მიმართულებით საპატრულო გემები გაგზავნა, თავი შეიკავა სამხედრო გემების გაგზავნისგან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის დეკემბერში სადავო კუნძლების ირგვლივ, ტერიტორიულ წყლებში, შეიარაღებული ჩინური ხომალდი პირველად დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ არც თურქეთ-ისრაელის და არც იაპონია-ჩინეთის ქეისის შემთხვევაში კრიზისული პოლიტიკური ურთიერთობები შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაზრდილა, მათ შორის განსხვავება არსებობს. თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები დღეს სტაბილურად გამოიყურება და საფრთხის შემცველს არ წარმოადგენს. აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში კი დაძაბულობა დღესაც მაღალია, სიტუაციის ესკალაციამ შეიძლება მხარეებს შორის ომიც კი გამოიწვიოს. (Goldstein, 2014)

წინა თავებში განხილულ თურქეთ-ისრაელისა და ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების მახასიათებლებსა და სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავავლებთ თვალს, შეიძლება ითქვას, რომ მხარეებს ასიმეტრიული ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ახასიათებთ, მაგრამ აღნიშნულ ქეისებს შორის ასიმეტრიულობის მაჩვენებელი ერთმანეთისგან განსხვავდება. 2016 წლის მონაცემებით, თურქეთ-ისრაელის შემთხვევაში თურქეთის საერთო ექსპორტში ისრაელში ექსპორტის წილი 2.1%-ს წარმოადგენს, იმპორტის საერთო მაჩვენებელში იმპორტის წილი კი 0.7%-ს. ისრაელის საერთო ექსპორტში თურქეთში ექსპორტის წილი 2.1%-ია, იმპორტის კი 4.0%. შესაბამისად, ისრაელი თურქეთის პარტნიორ საექსპორტო დანიშნულების ქვეყნებს შორის 12-ე ადგილს იკავებს, საექსპორტო დანიშნულების ქვეყნებს შორის კი 34-ე ადგილს. ისრაელისთვის თურქული საექსპორტო ბაზარი სიდიდით მე-12 ადგილზეა, საიმპორტო კი მე-10-ზე. (UN Comtrade Database, 2016) აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება გარკვეულწილად

ასიმეტრიულია. განსხვავება იმპორტზე დამოკიდებულებაში შეიმჩნევა, ისრაელი შედარებით უფრო მეტადაა ამ მხრივ თურქეთზე დამოკიდებული, ვიდრე თურქეთი ისრაელზე. რაც შეეხება იაპონია-ჩინეთის ქეისს, ჩინური საექსპორტო ბაზარი იაპონიისთვის სიდიდით რიგით მე-2, საიმპორტო კი რიგით 1-ლია. ჩინეთში ექსპორტის წვლილი იაპონიის საერთო ექსპორტის მაჩვენებელში 17.6%-ია, იმპორტის კი 25.8%. ჩინეთისთვის იაპონური საექსპორტო ბაზარი ჩინეთისთვის სიდიდით რიგით მე-3 ადგილზეა ჩინეთის საერთო ექსპორტში წილით 6.2%, რაც შეეხება იაპონიიდან იმპორტის წილს ჩინეთის საერთო იმპორტის მაჩვენებელში, 9.2%-ა და ამ მონაცემებით რიგით მეორე საიმპორტო პარტნიორია. როგორც ჩანს ჩინეთისა და იაპონიის შემთხვევაში იაპონია შედარებით უფრო მეტად არის ჩინეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული.

თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის ურთიერთდამიკიდებულებას დაუცველობა ახასიათებს (vulnerability interdependence) იმდენად, რამდენადაც მხარეებს ურთიერთობების გაწყვეტა ან შეფარხება ძვირი დაუჯდებათ. აღნიშნულ ფაქტს თავადაც ძალიან კარგად აცნობიერებენ. სწორედ ამ ლოგიკით აიხსნება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გამიჯვნის და პოლიტიკური კრიზისების დროს ეკონომიკურ ურთიერთობების უცვლელად შენარჩუნების სურვილი და მცდელობები.

დასკვნა

ნაშრომში განხილულ იქნა თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობებში გაჩენილი პოლიტიკური კრიზისები მათ შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე. თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის ქეისების შედარებითი ქეის სთადის საფუძველზე გამოვლინდა, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა ანუ ამ შემთხვევაში 2011 წლის ღაზის ფლოტილიის ინციდენტმა გავლენა ვერ იქონია ბილატერალურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, უფრო მეტიც, ვაჭრობა მხარეებს შორის თითქმის არარსებული დიპლომატიური ურთიერთობების და პოლიტიკურ ურთიერთობებში დაძაბულობის დროს გაიზარდა, პოლიტიკური კრიზისის გადალახვის შემდეგაც ლოგიკურად კიდევ უფრო ცხოველი ინტერესი გამოვლინდა მხარეებს შრის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და გაფართოების. რაც შეეხება იაპონია-ჩინეთის ქეისს, 2012 წელს იაპონიის მიერ სენკაკუ/დიაოიუს კუნძულების ნაციონალიზაციით გამოწვეულმა პოლიტიკურმა კრიზისმა გარკვეულწილად გავლენა იქონია ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა ოფიციალური ეკონომიკური სანქციების დაწესებისგან თავი შეიკავა, ხელოვნურად დაბრკოლებებს მაინც ქმნიდა, ჩინელი მომხმარებლების მიერ იაპონურ საქონელზე გამოცხადებულმა ბოიკოტმა გავლენა იქონია ბილატერალურ სავაჭრო ურთიერთობებზე. 2008-2009 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებში დაფიქსირებულ ზრდამ დიდხანს ვერ გასტანა, მოკლევადაინ პერსპქეტივაში ვაჭრობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდს, ვაჭრობაში ზრდის ტენდენციები აღარ შეინიშნება. ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები, 1972 წლიდან 2012 წლამდე, პოლიტიკური კრიზისების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში კრიზისებს ეკონომიკური ურთიერთობების დაღმასვლა არ გამოუწვევია. სწორედ ამიტომ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობები ფართოდგავრცდელებული ფრაზით „ცივი პოლიტიკა, ცხელი ეკონომიკა“ ხასიათდებოდა. 2012 წლის კრიზისი კი ქვეყნებისთვის უფრო მეტად დიდი ზიანის მომტანი აღმოჩნდა, „ცივ პოლიტიკას“ თან დაერთო „ცივი ეკონომიკის“ ტენდენციები.

პოლიტიკური კრიზისების გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებზე აიხსნება ურთიერთდამოკიდებულების თეორიით. თურქეთ-ისრაელისა და იაპონია-ჩინეთის ურთიერთობების ურთიერთდამოკიდებულების თეორიის კონტექსტში განხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ რაც უფრო მაღალია ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, მით უფრო ნაკლებად ახდენს პოლიტიკური კრიზისები კონომიკურ ურთიერთობებზე გავლენას. თურქეთ-ისრაელს შორის ურთიერთდამოკიდებულების დონე იაპონია-ჩინეთს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებასთან შედარებით უფრო მაღალია, ამიტომ პოლიტიკური კრიზისები განსხვავებულად აისახა მათ ეკონომიკურ ურთიერთობებზე. რაც შეეხება პოლიტიკური კრიზისების გავლენას ურთიერთდამოკიდებულებაზე, პოლიტიკურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა ვერ იქონია თურქეთ-ისრაელს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე. იაპონია-ჩინეთის შემთხვევა ამ მხრივ უფრო საინტერესო აღოჩნდა, რადგან კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ 2012 წლამდე ჩინეთ-იაპონიის ეკონომიკურ ურთიერთობებში ურთიერთდამოკიდებულების დონე უფრო მაღალი იყო. 2012 წლის კრიზისმა კი ჩინეთ-იაპონიის ურთიერთდამოკიდებულების უკუსვლა გამოიწვია. გამომდინარე იქიდან, რომ იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებს ათწლეულების განმავლობაში „ცივი პოლიტიკა“ და პოლიტიკური უთანხმოებები ახასიათებდა, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მაინც იზრდებოდა, მაგრამ იაპონიის მიერ სენკაკუს კუნძულების ნაციონალიზაცია ერთგვარი გარდამტეხი მომენტი აღმოჩდა ამ ტიპის ურთიერთობებში. სენკაკუს/დიაოიუს კუნძულების ირგვლივ არსებულ ტერიტორიულ დავას არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური სარჩულიც აქვს, რაც გამოვლინდა მხარეების მხრიდან კუნძულებით მას შემდეგ დაინტერესებით, რაც ნავთობისა და გაზის რესურსების შესაძლო არსებობა გაირკვა. კუნძულებზე დავა ეკონომიკურ ინტერესებთანაა დაკავშირებული, რითაც აიხსნება მხარეებისთვის კუნძულების მნიშვნელობისა და ღირებულების ზრდა. განსხვავებით იაპონია-ჩინეთის ურიერთობებისგან, თურქეთ-ისრაელს საერთო სადავო ტერიტორიები არ აქვთ,

შესაბამისად, მათ შორის არსებული პოლიტიკური კრიზისებსაც განსხვავებული მნიშვნელობა, დატვირთვა და გავლენა ჰქონდა ორმხრივ ურთიერთობებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

Akgün M., Senyücel S., Görgülü A. (2014, December). Politics in Troubled Times: Israel-Turkey Relations. *Turkish Economic and Social Studies Foundation (TESEV) Foreign Policy Program.* Retrieved from http://tesev.org.tr/wp-content/uploads/2015/11/Politics_In_Troubled_Times_Israel_Turkey_Relations.pdf

Arbel D. (2015, February 19). Turkey-Israel Relations: A Political Low Point and an Economic High Point. *Brookings.* Retrieved from: https://www.brookings.edu/blog/markaz/2015/02/19/turkey-israel-relations-a-political-low-point-and-an-economic-high-point/

Arbell, D. (2012, December 3) "The Beginning of a Turkish-Israeli Rapprochement?". *Brookings.* Retrieved from: https://www.brookings.edu/blog/up-front/2012/12/03/the-beginning-of-a-turkish-israeli-rapprochement/

Arbell, D. (2014, October 6). The U.S.-Turkey-Israel Triangle. *Brookings.* Center for Middle East Policy. Retrieved from: https://www.brookings.edu/research/the-u-s-turkey-israel-triangle/ R

Armstrong, S. (2015, September 27). Sino-Japanese economic embrace is warm enough to thaw the politics. *East Asia Forum.* Retrieved from: http://www.eastasiaforum.org/2015/09/27/sino-japanese-economic-embrace-is-warm-enough-to-thaw-the-politics/

Arsu, S., Cowell, A. (2011) Turkey Expels Israeli Envoy in Dispute Over Raid. The *New York Times*. Retrieved from: http://www.nytimes.com/2011/09/03/world/middleeast/03turkey.html?pagewanted=all&_r=3&. Last Accessed September 2, 2011.

Asada M. (2007). Senkaku/Diaoyu Islands. *Max Planck Encyclopedia of Public International Law (MPEPIL).* Retrieved from: http://opil.ouplaw.com/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e2015?rskey=WGpspE&result=3&prd=EPIL

Barai, K. M. (2017). Economic Interdependence of Japan China: An Understanding. In A. Banik, M.K. Barai, Y. Suzuki (Eds.), *Towards a Common Future. Understanding Growth, Sustainability in the Asia-Pacific Region.* DOI 10.1007/978-981-10-5592-8

Barbieri, K. (1996). Economic Interdependence: A Path to Peace or a Source of Interstate Conflict? *Journal of Peace Research, 33*(1), 29-49. http://www.jstor.org/stable/425132

Bengio, O. (2004).*The Turkish–Israeli Relationship. Changing Ties of Middle Eastern Outsiders*. Palgrave Macmillan.

Bilgin, P. Bilgiç, A. (2013) Turkey's "New" Foreign Policy toward Eurasia, Eurasian Geography and Economics, 52(2), 173-195. http://dx.doi.org/10.2747/1539-7216.52.2.173

Bliss, H. Russett, B. (1998) “Democracy and Trade: Ties of interest and Community.” In Gustaaf Geeraerts and Patrick Stouthuysen (eds.) *Democratic Peace in Europe: Myth or Reality.* Brussels. Free University Press. 75-90.

Branigan, T. (2012, September 19). Japan’s Purchase of Disputed Islands Is a Farce, Says China’s Next Leader. *The Guardian.* Retrieved from: https://www.theguardian.com/world/2012/sep/19/china-japan-senkaku-diaoyu-islands

Branigan, T. (2013, November 25). Airlines “Must Warn China” of Flight Plans over Disputed Islands. *The Guardian.* Retrieved from: https://www.theguardian.com/world/2013/nov/25/china-air-defence-zone-japan-islands-diaoyu-senkaku

Burns G.K., (1999). China and Japan: Economic Partnership to Political Ends. In M. Krepon and C. Gagne (eds.), *Economic Confidence-building and Regional Security*. 27-58. Washington, DC: Henry L. Stimson Center.

Bush C. R. (2010). The Perils of Proximity: China-japan Security Relations. *Brookings Institution Press.*

Bush. C. R. (2009*). China-Japan Tensions, 1995-2006 Why They Happened, What to Do*. Policy Paper (16). Foreign Policy at Brookings. Retrieved from: https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/06/06_china_japan_bush.pdf

Buszynski, L. (2009). Sino-Japanese Relations: Interdependence, Rivalry and Regional Security. *Contemporary Southeast Asia. 31*(1). 143-171. Retrieved from: http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/41288792

Cagaptay S., Evans T. (2012, June). *The Unexpected Vitality of Turkish-Israeli Trade.* Researchnotes. The Washington Institute for Near East Policy. Retrieved from: http://www.washingtoninstitute.org/uploads/Documents/pubs/ResearchNote16.pdf

Cagaptay, S. Evans T. (2012, June). The Unexpected Vitality of Turkish-Israeli Trade. *The Washington Institute for Near East Policy.* Research Notes (16). Retrieved from: www.washingtoninstitute.org

Cain, S. (2017, January 13). China Rewrites History Books to Extend Sino-Japanese War by Six Years. *The Guardian.* Retrieved from: https://www.theguardian.com/books/2017/jan/13/china-rewrites-history-books-to-extend-sino-japanese-war-by-six-years

Chanlett, E., Dumbaugh, K., Cooper H. W. (2008, December 19). *Sino-Japanese Relations: Issues for US Policy*. Congressional Research Service. Retrieved from: https://fas.org/sgp/crs/row/R40093.pdf

Chellaney, B. (2017, July 28). China's Weaponization of Trade. *The Japan Times.* Retrieved from: https://www.japantimes.co.jp/opinion/2017/07/28/commentary/world-commentary/chinas-weaponization-trade/#.WnNo7vmWbIU

Chen, D. (2014, November 1). China and Japan's "Double Cold" Trap. *The Diplomat.* Retrieved from: https://thediplomat.com/2014/11/china-and-japans-double-cold-trap/

Cheng, T. (1974, winter). The Sino-Japanese Dispute over the Tiao-Yu-Tai (Senkaku) Islands and the Law of Territorial Acquisition. *Virginia Journal of International Law*. 244-260.

China Steps Up Incursions Around Dispute Senkaku Islands. (2016, January 21). *Financial Times.* Retrieved from: https://www.ft.com/content/adf159d0-c007-11e5-846f-79b0e3d20eaf

Chinese Boycott May Be More Costly For Japan Than The Tsunami. (2012, September 19). *Business Insider.* Retrieved from: http://www.businessinsider.com/chinese-boycott-hurts-japan-2012-9

CNN Wire Staff. (2010, June 1). *Israeli assault on Gaza-bound flotilla leaves at least 9 dead.* Retrieved from https://bowvalleycollege.libguides.com/c.php?g=494959&p=3547440

Copeland C. D. (1996) Economic Interdependence and War: A Theory of Trade expectations. *International security 20*(4)

Davis, L. Meunier, S. (2011) Business as Usual? Economic Responses to Political Tensions. *American Journal of Political Science 55*(3). 628–646. Retrieved from: https://www.princeton.edu/~cldavis/files/Business_as_Usual_AJPSJULY2011.pdf

Demir, M. (2017). Music as a Cultural Diplomacy between Israel and Turkey (2008-2016). *İdil 6* (32), 1225-1240. Retrieved from: http://www.idildergisi.com/makale/pdf/1489070188.pdf

Diaoyu Dao, an Inherent Territory of China. (2012, September). *State Council Information Office, The People's Republic of China.* Retrieved from: http://english.gov.cn/archive/white_paper/2014/08/23/content_281474983043212.htm

Dreyer T. J. (2014, May 21). *China and Japan: "Hot Economics, Cold Politics".* Foreign Policy Research Institute. 326-341. doi: 10.1016/j.orbis.2014.05.002

Drifte, R. (2013). The Senkaku/Diaoyu Islands Territorial Dispute between Japan and China: Between the Materialization of the "China Threat" and Japan "Reversing the Outcome of World War II"? *UNISCI Discussion Papers (32).* https://doi.org/10.5209/REV_UNIS.2013.N32.44789

Faiola, A. (2006, August 15). Koizumi Stirs Anger with War Shrine Visit. *Washington Post Foreign Service.* Retrieved from: http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2006/08/14/AR2006081401425.html

Gaza crisis: Toll of operations in Gaza. (2014, September 1) *BBC News*. Retrieved from: http://www.bbc.com/news/world-middle-east-28439404

Giacalone, A. J. (2012, spring). The Market for the "Not-So-Rare" Rare Earth Elements. Journal of International Energy Policy 1(1). Retrieved from: https://www.cluteinstitute.com/ojs/index.php/JIEP/article/view/7013

Goldstein, J. L. (2014, September 29). The World's Most Dangerous Rivalry: China and Japan. *The National Interest.* Retrieved from: http://nationalinterest.org/feature/the-world%E2%80%99s-most-dangerous-rivalry-china-japan-11374

Gowa, J. Mansfield, D. E. (1993) Power Politics and International Trade. American Political Science Review (87) 408-20.

Grigoriadis N. I (2010). The Davutoğlu Doctrine and Turkish Foreign Policy. *Hellenic Foundation for European and Foreign Policy*. 2 http://www.eliamep.gr/wp-content/uploads/2010/05/%CE%9A%CE%95%CE%99%CE%9C%CE%95%CE%9D%CE%9F-%CE%95%CE%A1%CE%93%CE%91%CE%A3%CE%99%CE%91%CE%A3-8_2010_IoGrigoriadis1.pdf

Güllü I., Yazıcı M. (2016). Describing Turkey-Israel Relationships with its Trade Dimension. *International Journal of Economics, Commerce and Management. 4*(10), 103-114. Retrieved from: http://ijecm.co.uk/

Gurses E., Heller J. (2016, June 27). *Israel, Turkey Restore Ties in Deal Spurred by Energy Prospect.* Reuters. Retrieved from: https://www.reuters.com/article/us-israel-turkey-erdogan/israel-turkey-restore-ties-in-deal-spurred-by-energy-prospects-idUSKCN0ZD0DS

Harlan C. (2012, September 5). Japan Reportedly Agrees to Buy Disputed Islands from Private Landowner. *The Washington Post.* Retrieved from: https://www.washingtonpost.com/world/reports-japan-agrees-to-buy-disputed-islands-from-private-landowner/2012/09/05/c8c7bc46-f73c-11e1-8398-0327ab83ab91_story.html?utm_term=.13077bd4674b

Harner, S. (2012, September 10). Japan-China Territorial Dispute Threatening Economic Relations; US Also Feeling the heat. *Forbes.* Retrieved from:

https://www.forbes.com/sites/stephenharner/2012/09/10/japan-china-territorial-dispute-threatening-economic-relations-u-s-feeling-the-heat/#3460c7c21e87

He Y. (2013). Forty Years in Paradox: Post-Normalisation Sino Japanese Relations. *China Perspectives.* Retrieved from: http://chinaperspectives.revues.org/6314

IMF Annual Report: Fighting the Global Crisis. (2009). *International Monetary Fund*. Retrieved from: . https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2009/01/pdf/c3.pdf

Inbar E. 2005. The Resilience of Israeli – Turkisg Relations. *Israel Affairs*, 11(4). 591-607

Israel Hopes to Conclude Gas Pipeline Deal with Turkey by End of Year. (2017, July 12). *Daily Sabah.* Retrieved from: https://www.dailysabah.com/energy/2017/07/12/israel-hopes-to-conclude-gas-pipeline-deal-with-turkey-by-end-of-year

Israeli Tourists Flock to Turkey amid Rapprochement. (2017, February 6). *The Times of Israel.* Retrieved from: https://www.timesofisrael.com/israeli-tourists-flock-to-turkey-amid-rapprochement/

İsrail'in saldırısı bizim 11 Eylül'ümüz/Israel's Attack is our 9/11. (2010, June 7). *Milliyet.* Retrieved from: http://www.milliyet.com.tr/israil-in-saldirisi-bizim-11-eylul-umuz-siyaset-1247560/

Japan External Trade Organization. (2014, February 28). JETRO survey: Analysis of Japan-China Trade in 2013 and Outlook for 2014. Retrieved from: https://www.jetro.go.jp/en/news/releases/2014/20140228009-news.html

Japan in Recession. (2008, November 18). *The Economist.* Retrieved from: http://www.economist.com/node/12627563

Japan National Trade Organızation (JNTO). Retrieved from: http://www.jnto.go.jp

Japan PM Shinzo Abe Visits Yasukuni WW2 Shrine. (2013, December 26). *BBC News.* Retrieved from: http://www.bbc.com/news/world-asia-25517205

Japanese PM Abe sends Ritual Offering to Yasukuni Shrine for War Dead. (2017, October 17). *Reuters.* Retrieved from: https://www.reuters.com/article/us-japan-yasukuni/japanese-pm-abe-sends-ritual-offering-to-yasukuni-shrine-for-war-dead-idUSKBN1CL355

Japanese Trade and Investment Statistics. Japan External Trade Organization (JETRO). Retrieved from: https://www.jetro.go.jp/en/reports/statistics.html

Kawai, M., Takagi, S. (2009). Why was Japan Hit So Hard by the Global Financial Crisis? Asian Development Bank Institute (ADBI). ADBI Working Paper (153). Retrieved from: https://www.adb.org/sites/default/files/publication/156008/adbi-wp153.pdf

Kawai, M., Takagi, S. (2009). Why was Japan Hit So Hard by the Global Financial Crisis? Asian Development Bank Institute (ADBI). ADBI Working Paper (153). Retrieved from: https://www.adb.org/sites/default/files/publication/156008/adbi-wp153.pdf

Kemenade V. W. (2006, November). *China and Japan: Partners or Permanent Rivals?* Netherlands Institute of International Relations Clingendael. Retrieved from: https://www.clingendael.org/sites/default/files/pdfs/200611_cdsp_paper_kemenade.pdf

Keohane, O. R, Nye S. J (2011). Power and Interdependence. Longman Classics in Political Science. *Pearson.* Retrieved from: Library Genesis. http://gen.lib.rus.ec/book/index.php?md5=084D66A73A4FE34E416868B39E667F08

Keohane, O. R, Nye, S. J. (1987). Power and Interdependence Revisited. *International Organization 41*(4).725-753 Published by: The MIT Press Stable URL: http://www.jstor.org/stable/2706764

Keohane, O. R, Nye, S. J. (1989). Power and Interdependence. *Harpers.* New York.

Keohane, O. R. Nye, S. J. (2000). Globalization: What's New? What's not? (And So what?). *Foreign Policy (118*). 104-199. Retrieved from: http://www.asu.edu/courses/pos445/Keohane%20and%20Nye--Globalization%20What's%20New%3F%20%20What's%20Not%3F.pdf

Keohane, O. R., Nye, S. J. (1998). Power and Interdependence in the Information Age. *Foreign Affairs 77* (5). 81-94

King, A. (2016, September 26). Political Concerns Fuel Japanese Business Pessimism in China. *East Asia Forum.* Retrieved from: http://www.eastasiaforum.org/2016/09/26/political-concerns-fuel-japanese-business-pessimism/

Kirisci K., Ekim S. (2015, May 6). *From Turkey to Tel Aviv. Trade Diplomacy.* Foreign Affairs. Retrieved from: https://www.foreignaffairs.com/articles/turkey/2015-05-06/turkey-tel-aviv

Krasner, D. S. (1976). State Power and the Structure of International Trade. World Politics, (28) 3. 317-347. Retrieved from: http://www.rochelleterman.com/ir/sites/default/files/krasner%201976.pdf

Liel, A. (2017, February) Turkey and Israel: A Chronicle of Bilateral Relations. *The Israeli Institute for Regional Foreign Policies*. Retrieved from: http://s3-eu-central-1.amazonaws.com/fes-org-il-wp/wp-content/uploads/2017/02/21205323/Alon-Liel-Chronicle-of-Bilateral-Relations.pdf

Manyin, E. M. (201). *The Senkakus (Senkaku/Diaoyutai) Dispute: US Treaty Obligations.* Congressional Research Service. Retrieved from: https://fas.org/sgp/crs/row/R42761.pdf

Maoz, Z. (2009) The Effects of Strategic and Economic Interdependence on International Conflict across Levels of Analysis. American Journal of Political Science (53)1. 223-240 Retrieved from: http://www.jstor.org/stable/25193877

Maoz. Z. (2009) *Defending the Holy Land: A Critical Analysis of Israel's Security & Foreign Policy.* Ann Arbor: University of Michigan Press

Mavi Marmara: Why did Israel stop the Gaza flotilla? (2016, June 27). *BBC News.* Retrieved from: http://www.bbc.com/news/10203726

McLannahan, B. Hille, K. (2012, September 21). Tokyo Warns on Impact of Island Dispute. *Financial Times.* Retrieved from: https://www.ft.com/content/817ceedc-03b3-11e2-9322-00144feabdc0

Ministry of Foreign Affairs of Japan. (2018, January 4). Trends in Chinese Government and Other Vessels in the Waters Surrounding the Senkaku Islands, and Japan's Response – Records of Instructions of Chinese Government and Other Vessels into Japan's Territorial Sea. Retrieved from: http://www.mofa.go.jp/region/page23e_000021.html

Mitcham, J. C. (2005). *China's Economic Relations with the West and Japan, 1949-79. Grain, Trade and Diplomacy.* New York. Routledge.

Moravcsik, A. (2009). Robert Keohane: Political Theorist in H. V. Milner, A. Moravcsik. *Power, Interdependence and Nonstate Actors in World Politics.* Princeton University Press, May 10, 2009

Morrison, M.W. (2017, September 15). China's Economic Rise: History, Trends, Challenges, and the Implications for the United States. *Congressional Research Service.* Retrieved from: https://fas.org/sgp/crs/row/RL33534.pdf

Morrison, M.W. (2017, September 15). China's Economic Rise: History, Trends, Challenges, and the Implications for the United States. *Congressional Research Service.* Retrieved from: https://fas.org/sgp/crs/row/RL33534.pdf

Morrow, J., Siverson, R., & Tabares, T. (1998). The Political Determinants of International Trade: The Major Powers, 1907-90. *The American Political Science Review, 92*(3), 649-661. Doi: 10.2307/2585487

Most New High School Textbooks Descrbe Takeshima, Senkaku Islands as Japanese. (2013, March 27). *The Japan Times.* Retrieved from:

https://www.japantimes.co.jp/news/2013/03/27/national/most-new-high-school-textbooks-describe-takeshima-senkaku-islands-as-japanese/#.WmxuoPmWbIU

Nagy R. S. (2013, April). Territorial Disputes, Trade and Diplomacy: Examining the Repercussions of the Sino-Japanese Territorial Dispute on Bilateral Trade. *China Perspectives*. 46-57. Retrieved from: http://chinaperspectives.revues.org/6321

Oneal, R. J. Russett B. (1999) The Kantian Peace: The Pacific Benefits of Democracy, Interdependence, and International Organizations, 1885-1992. *World Politics 52* (1) Retrieved from: http://www.jstor.org/stable/25054099

Palmer G., Uribe A., Itzhar, C. J. & Sanberk, O. S. (2011, September). Report of the Secretary General's Panel of Inquiry on the May 31, 2010, Flotilla Incident.,http://www.un.org/News/dh/infocus/middle_east/Gaza_Flotilla_Panel_Report.pdf

Peng Er, L. (Ed.). (2006). *Japan's Relations with China. Facing a Rising Power.* Sheffield Center for Japanese Studies. Routledge Series. Retrieved from: Library Genesis/LibGen

Pipes D. (1997/1998, winter). A New Axis: The Emerging Turkish-Israeli Entente. *The National Interest 50*. 31-38. Retrieved from: http://www.jstor.org/stable/42895207

Pollins M. B. (1989) Conflict, Cooperation, and Commerce: The Effect of International Political Interactions on Bilateral Trade Flows. American Journal of Political Science 33(3). 737-761. Retrieved from: http://www.jstor.org/stable/2111070

Pollmann, E. M. (2016, winter). *The Politics of Visiting the Yasukuni Shrine Explaining Japanese Politicians' Behaviors.* Georgetown Journal of Asian Affairs. Retrieved from: https://pdfs.semanticscholar.org/3502/148591232e573793bce43fdd1d81c5bf0fa3.pdf

Powell, R. (1991). Absolute and Relative Gains in International Relations Theory. *The American Political Science Review (85)* 1303-1320. Retrieved from: http://www.jstor.org/stable/1963947

Rathus M. J. (2010). Japan's Response to the Rise of China: Implications for Regional Institutions. Ph.D. thesis submitted to the University of Adelaide, School of Social Sciences and Humanities. Retrieved from: https://digital.library.adelaide.edu.au/dspace/bitstream/2440/67026/8/02whole.pdf

Reed J., Pitel L. (2016, June 27) *Israel and Turkey Agree to Restore Full-Diplomatic Relations*. Financial Times. Retrieved from: https://www.ft.com/content/a4ad3370-3c63-11e6-9f2c-36b487ebd80a

Renda K. K. (2011). Turkey's Neighborhood Policy: An Emerging Complex Interdependence? *Insight Turkey 13* (1). Retrieved from: https://www.insightturkey.com/author/kadri-kaan-renda/turkeys-neighborhood-policy-an-emerging-complex-interdependence

Ripsman, M. N. (2006). False Dichotomies: Why Economics is High Politics. The Matthew B. Ridgway Center for International Security Studies. Retrieved from: https://www.files.ethz.ch/isn/22143/Ripsman.pdf

Robins P. (2007) Turkish Foreign Policy since 2002: Between a 'Post-Islamist' Government and a Kemalist state. International Affairs 83: 1 (2007) 289–304. Retrieved from: http://www.sbu.yildiz.edu.tr/~faksu/Fuatyayinlar/TDPIIdocs/24367788.pdf

Rose, C. (1988). *Interpreting History in Sino-Japanese Relations. A case study in political decision-making.* Routledge. Retrieved from: Library Genesis eBook database.

Sanchez R., Weise Z. (2016, June 27). *Israel and Turkey End Six-year Stand-off With Deal on Gaza Flotilla Killings.* The Telegraph. Retrieved from: http://www.telegraph.co.uk/news/2016/06/26/israel-and-turkey-end-six-year-stand-off-with-deal-on-gaza-floti/

Schleifer Y. (2010, January 10). Why Israel Humiliated Turkey In Response to a TV Show. *CSMonitor.* Retrieved from: https://www.csmonitor.com/World/2010/0112/Why-Israel-humiliated-Turkey-in-response-to-a-TV-show

Shaw, Han-yl. (1999, November 3). The Diaoyu/Senkaku Islands Dispute: Its History and an Analysis of the Ownership Claims of the P.R.C, R.O.C and Japan. *Maryland Series in Contemporary Asian Studies*: 1999 (3). Retrieved from: http://digitalcommons.law.umaryland.edu/mscas/vol1999/iss3/1

Şimşek, B. (2017, January 31). Culture and Arts Lead the Way in Turkish-Israeli Reconciliation. *Daily Sabah.* Retrieved from: https://www.dailysabah.com/diplomacy/2017/01/31/culture-and-arts-lead-the-way-in-turkish-israeli-reconciliation

Sinder, S. Watson I. & Sterling, J. (2013, March 24). Israel to Turkey: We apologize for deadly raid on Gaza-bound flotilla. *CNN.* Retrieved from: http://edition.cnn.com/2013/03/22/world/meast/israel-turkey-apology/

Smith, P. (2009). China-Japan Relations and the Future Geopolitics of East Asia. *Asian Affairs, 35*(4), 230-256. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/30172699

Sokullu, Ebru Canan. Debating Security in Turkey. Lanham: Lexington Books, 2013

Soons, A., Schrijver, N. (2012, December 3). What Does International Law Say about the China-Japan Dispute Over The Diaoyu/Senkaku Islands? *The Hague Institute for Global Justice*. Briefing paper. Retrieved from: http://www.thehagueinstituteforglobaljustice.org/wp-content/uploads/2015/10/PB-1-China-Japan-Dispute-DiaoyuSenkaku-Islands.pdf

Surkes S. (2016, November 15). *Ties on Mend, Israel Names New Ambassador to Turkey.* The Times of Israel. Retrieved from: https://www.timesofisrael.com/ties-on-the-mend-israel-names-new-ambassador-to-turkey/

Szechenyi, N. (2015, August 10). China and Japan: A Resource Showdown in the East China Sea? *The National Interest*. Retrieved from: http://nationalinterest.org/blog/the-buzz/china-japan-resource-showdown-the-east-china-sea-13540

Takahara, A. (2015). The Development of Japan-China Relations in the Period of Stability in Cross-Strait Relations. *Journal of Contemporary East Asia Studies, 4*(2). 119-144. DOI: 10.1080/24761028.2015.11869087

Takenaka, K. (2012, September 11). Japan Buys Disputed Islands, China Sends Patrol Ships. *Reuters.* Retrieved: https://www.reuters.com/article/us-japan-china/japan-buys-disputed-islands-china-sends-patrol-ships-idUSBRE88A0GY20120911https://www.reuters.com/article/us-japan-china/japan-buys-disputed-islands-china-sends-patrol-ships-idUSBRE88A0GY20120911

The Senkaku Islands. (2013, March). *Ministry of Foreign Affairs Japan*. Retrieved from: http://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/pdfs/senkaku_en.pdf

The Senkaku Islands. Seeking Maritime Peace Based on the Rule of Law, Not Force or Coercion. (2014, March). *Ministry of Foreign Affairs of Japan*. Retrieved from: http://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/pdfs/senkaku_pamphlet.pdf

Tokyo Governor Seeks to Buy Islands Disputed with China. (2012, April 17). *Reuters.* Retrieved from: https://www.reuters.com/article/us-japan-china-islands/tokyo-governor-seeks-to-buy-islands-disputed-with-china-idUSBRE83G0C020120417

Trade Statistics of Japan. Ministry of Finance. Retrieved from: http://www.customs.go.jp/toukei/srch/indexe.htm

Traynor, I. (2010, June 1). Gaza flotilla raid draws furious response from Turkey's prime minister. *The Guardian.* Retrieved from: https://www.theguardian.com/world/2010/jun/01/gaza-flotilla-raid-turkey-prime-minister-israel

Treaty of Mutual Cooperation and Security between Japan and the United States, 1960. *Ministry of Foreign Affairs of Japan.* Retrieved from: http://www.mofa.go.jp/region/n-america/us/q&a/ref/1.html

Tseng, K.H. (2015). Lessons from the Disturbed Waters: The Diaoyu/Diaoyutai/Senkaku Islands Disputes. *World Scientific Publishing Co. Pte.Ltd.* Retrieved from: Library Genesis (LibGen)

Tür, Ö. (2012). Turkey and Israel in the 2000s—From Cooperation to Conflict. Israel Studies *17*(3). 45-66. Indiana University Press. Retrieved from: http://www.jstor.org/stable/10.2979/israelstudies.17.3.45

Turan I. (2011, January 27). Background to Tragedy: The Decline of Turkish-Israeli Relations. *German Marshall Fund of the United States.*

Turkey and the Middle East: Ambitions and Constraints.(2010, April 7). *Crisis Group Europe Report* (23). Retrieved from: https://d2071andvip0wj.cloudfront.net/203-turkey-and-the-middle-east-ambitions-and-constraints.pdf

Turkey appoints PM advisor as ambassador to Israel: Erdogan. (2016, November 16). *MAIL online.* Retrieved from: http://www.dailymail.co.uk/wires/afp/article-3941192/Turkey-appoints-PM-advisor-ambassador-Israel-Erdogan.html

Turkey Expels Israeli Ambassador over Gaza Flotilla Row, (2011, September 2). *BBC News.* Retrieved from http://www.bbc.co.uk/news/world- 14765176

Turkey, Israel Discuss Price, Route of Gas Pipeline. (2017, October 13). *Hürriyet Daily News.* Retrieved from: http://www.hurriyetdailynews.com/turkey-israel-discuss-price-route-of-gas-pipeline-120807

Turkish-Israeli Free Trade Agreement to Be Expanded. (2017, January 12). *Daily Sabah.* Retrieved from: https://www.dailysabah.com/economy/2017/01/12/turkish-israeli-free-trade-agreement-to-be-expanded

United Nations Convention on the Law of the Sea. Art. 57. Retrieved from: http://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf

United Nations Statistics Division. *UN Comtrade database*. New York: United Nations. Retrieved from: https://comtrade.un.org/labs/dit-trade-vis/?reporter=792&partner=376&type=C&year=2016&flow=2&commodity

Vogel, F.E. (2003, July). The US-Japan-China Triangle. *In The U.S.-Japan-China Triangle: Who's the Odd Man Out?* Asia Program Special Report. Woodrow Wilson International Center for

Scholars. Retrieved from: https://www.wilsoncenter.org/publication/the-us-japan-china-triangle-whos-the-odd-man-out

Vogel F.E. (2003, July). The US-Japan-China Triangle. *In The U.S.-Japan-China Triangle: Who's the Odd Man Out?* Asia Program Special Report. Woodrow Wilson International Center for Scholars. Retrieved from: https://www.wilsoncenter.org/publication/the-us-japan-china-triangle-whos-the-odd-man-out

Voigt, K. (2012, September 14). China Warns Japan on Economic Fallout of Island Dispute. *CNN*. Retrieved from: https://edition.cnn.com/2012/09/14/business/china-japan-island-dispute-economy/index.html

Wagner, R. (1988). Economic Interdependence, Bargaining Power, and Political Influence. *International Organization, 42* (3), 461-483. Retrieved from http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/2706786

Walker, C. T. (2013) Keohane and Nye's Power and Interdependence: A Circumspect Revival of Liberalism. In H. Bliddal, C. Sylvest, P. Wilson (eds.) *Classics of International Relations: Essays in Criticism and Appreciation.* London: Routledge.

Waltz K. (1979) *Theory of International Politics.* Reading, Mass: Addison-Wesley Pub.

Wrobel, S. (2010, June 1). Investment Firm: Divest From Turkey. *The Jerusalem Post.* Retrieved from: http://www.jpost.com/Business/Business-News/Investment-firm-Divest-from-Turkey

WTO's Integrated Database. Retrieved from: https://wits.worldbank.org/CountryProfile/en/Country/JPN/Year/2008/TradeFlow/EXPIMP

Ying, F. (2017). Growing Interdependency between China and Japan: Trade, Investment, Tourism, and Education. In L. P. Er (Ed.), China-Japan in the 21st Century. Palgrave Macmillan. DOI 10.1007/978-981-10-4373-4

Yoshizaki, T. (2014, August 27). Japan and China: Cold Political Relations, Cooling Economic Ties? *Discuss Japan, Japan Foreign Policy Forum.* Retrieved from: http://www.japanpolicyforum.jp/archives/economy/pt20140827234415.html

Yuksel, U. (2016) Change and Continuity: Turkish Foreign Policy since 2002, Under the Justice and Development Party (Adalet Ve Kalkinma Partisi - Akp). Cuny Academic Works. Retrieved from: https://academicworks.cuny.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com.tr/&https redir=1&article=1662&context=cc_etds_theses

Zhu, Z. (2015, March 17). People-to-People Diplomacy in China-Japan Relations. *The Diplomat.* Retrieved from: https://thediplomat.com/2015/03/people-to-people-diplomacy-in-china-japan-relations/

დანართი 1:

თურქეთ-ისრაელის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური მონაცემები:

წელი	**ექსპორტი ($)**	**იმპორტი ($)**
2008	1 447 919	1 447 919
2009	1 522 436	1 074 727
2010	2 080 148	1 359 639
2011	2 391 148	2 057 314
2012	2 329 531	1 710 401
2013	2 649 663	2 417 955
2014	2 950 902	2 881 262
2015	2 698 139	1 672 501
2016	2 955 545	1 385 605

წყარო: Turkish Statistical Institute (TurkStat). Retrieved from: Retrieved from: http://www.turkstat.gov.tr



Turkey trade in goods with Israel since 1989

International Trade in Goods and Services based on UN Comtrade data

Developed by the Department for International Trade and the Department for Business, Energy and Industrial Strategy in the UK

https://comtrade.un.org/labs/dit-trade-vis/?reporter=792&partner=376&type=C&year=2016&flow=2&commodity

წყარო: UN Comtrade Database. Retrieved from: https://comtrade.un.org/

დანართი 2:

იაპონია-ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური მონაცემები:

წელი	**ექსპორტი ($)**	**იმპორტი ($)**
2008	124,035,383	142,337,115
2009	109,630,428	122,545,120
2010	149,086,369	152,800,714
2011	161,467,319	183,487,439
2012	144,686,177	189,018,794
2013	129,851,439	182,191,683
2014	127,105,265	182,071,443
2015	109,265,900	160,674,499
2016	113,874,305	156,443,992

წყარო: World Integrated Trade Solution (WITS) TradeStat Database. Retrieved from: https://wits.worldbank.org/countrystats.aspx?lang=en



Japan trade in goods with China since 1988

International Trade in Goods and Services based on UN Comtrade data

Developed by the Department for International Trade and the Department for Business, Energy and Industrial Strategy in the UK

https://comtrade.un.org/labs/dit-trade-vis/?reporter=392&partner=156&type=C&year=2016&flow=2

წყარო: UN Comtrade Database. Retrieved from: https://comtrade.un.org

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Kristine Dzidziguri

Importance of Turkey in the NATO Black Sea Security After the Annexation of Crimea in 2014

Master of Eurasian and Caucasian Studies

The Master's Thesis has been Written for Receiving Academic Title of

Master in Social Sciences

Supervisor: Pikria Asanishvili

Tbilisi 2018

Abstract

Nowadays, NATO-Russia Relationship, NATO security in the Black Sea and the case of Turkey is an actual topic and current developing history. After the annexation of Crimea by Russia, the situation became clearer to the Western World. Russia is trying to destabilize the region and spread its power around. Evidently, Turkey is the key country, which plays the most important role in the Black Sea region. Lately, democratic regression in Turkey doesn't seem very promising towards the relations with the Western community. Turkey's position and its foreign policy towards the West, Russia and regional countries seem crucial for the regional politics.

This paper tries to analyze main political security concerns in the Black Sea region. How the annexation of Crimea influenced on increasing the role of Turkey in the NATO Black Sea security and what is NATO's new strategy regarding the 'balancing of power' with Russia.

List of Abbreviations

A2/AD Anti-Access/Area Denial

ASCMs Anti-Ship Cruise Missiles

CEPA Center for European Policy Analysis

CIS Commonwealth of Independent states

CSTO Collective Security Treaty Organization

EAPC Euro-Atlantic Partnership Council

EU European Union

ISAF International Security Assistance Force

KFOR Kosovo Force

MAP Membership Action Plan

NACC North Atlantic Cooperation Council

NATO North Atlantic Treaty Organization

NGO Non-Governmental Organization

NRC NATO-Russia Council

NRF NATO Response Force

PfP Partnership for Peace

RSM Resolute Support Mission

SAMs Surface-to-Air Missiles

TSK Turkish Armed Forces

Table of Contents

1. Introduction 5
1.1. Research Question and Hypothesis 7
1.2. Research Design and Methodology 8
1.3. Theoretical Framework 9
1.4. Literature Review 10
1.5. Outline of the Study 12

2. Informational Background 13
2.1 The Black Sea Geographical value 13
2.2. North-Atlantic Treaty Organization (NATO) 14
2.3. NATO in the Black Sea: before and after the collapse of Soviet Union 15

3. NATO Black Sea Security and importance of Turkey 19
3.1 Geopolitical Value of Crimea and Interests of Regional Actors 19
3.2 Annexation of Crimea in 2014 and NATO-Russia Power Balance 21
3.3 Russia's presence and Military Capabilities in the Black Sea 23
3.4 NATO's response to the Annexation of Crimea 26
3.5 Importance of Turkey in the NATO Black Sea security 27
3.5.1 Turkey's Geopolitical Importance 29
3.5.2 Montreux Convention 30
3.5.3 Military Capabilities 31
3.6. Turkish-Russian Relations after the annexation of Crimea in 2014 35
3.7. Turkey under AKP Leadership 38
3.7.1 Turkey within Transatlantic Community 38
3.7.2 Democratic regression under AKP, failed coup in 15 July 2016. 39
3.7.3 "Davutoglu Doctrine" 41
3.8. NATO's New Strategy 42

Conclusion 47

Bibliography 51

1. Introduction

The Black Sea region became more important and actual issue to the world politics due to its tensed geopolitical location, as crossroad of Eastern Europe, Asia, Middle East, Balkan counties and South Caucasus. Apparently, the Black Sea region is an area, which reflects the intensity of relations between the NATO and Russia. In this case, they are revealing the differences of positions in which is also shown their approach towards prosperity and development of the region.

Today, the NATO Black Sea Security is an ongoing matter. It came as part of the NATO agenda especially after the annexation of Crimea. Since that violating action done by Russia, the Western world realized emerging threat coming from Russia. Russia's attempts to increase its power and destabilize the region went closer to the border of NATO. Hence, with these ensuring consequences, the importance of Turkey has emerged even more in the NATO Black Sea security. Therefore, Turkey's political position and its foreign policy towards the West became crucial for the regional security.

There are three NATO member countries, which border the Black Sea: Turkey, Romania and Bulgaria; Two are aspirant countries, which are trying to join the Alliance: Georgia and Ukraine; and, there is Russia, which is opposing the NATO principles and is seeking to size the influence on its "privileged territories" of post-Soviet Union sphere. The political tensions between NATO and Russia in the Black Sea region has risen, at first after Russia's invasion in Georgia 2008 and later on Easter Ukraine and the annexation of Crimea in 2014. Russia's action taking over the Crimea contravened territorial integrity of European States and hindered the democratization process in Ukraine. In addition, Russia's direct involvement in the Middle East, Syrian conflict in October 2015, infraction of the Baltic airspace and Russian cyber-attacks to the US presidential election campaigns threatened the Western World. The US and the EU have put trade sanctions against Russia, but have been ineffective. Moreover, after putting down the Russian warplane by Turkey, it triggered sanctions from Russia and probably gave to Turkey sort of 'usefulness' of being a member of NATO. The annexation of Crimea and violation of territorial integrity of Ukraine and Georgia reminded Turkish officials the danger of getting closer to the Russian border.

Apart from strained relations between NATO and Russia, many things have changed in the foreign policy of Turkey. Since the failed coup in July 2016, Turkey's relations with the West had been

seriously damaged, with reduced interest of official Ankara in the European Union. Before, Turkey was taking under the consideration accountability of democratic values, human and minority rights. It was promoting transparent government and strengthening democratic institutions. Turkey is deeply integrated in transatlantic community, a member of NATO and the Council of Europe, it also participates in economic organizations of World Bank and World Trade Organization. Chaotic atmosphere in the Middle East and sanctions from Russia made it conspicuous to Turkey the importance of US and European markets for exporting its products. Also, implementing the EU standards for Turkish industrial goods increased its competitive possibilities to export to the United States, which gave to Turkey double export volume of valued goods, rather exporting vegetables to Russia or across the Black Sea region.

Nevertheless, Turkey tries to impose its independent policy. Past years, Turkey could be considered as a good example of emerging western democracy in the Muslim world, by strengthening democratic institutions, human rights and the rule of law. Under the leadership of President Erdogan and its political 'Justice and Development Party' (AKP), despite of 'great start', Turkey turned away from the democratic principles and the 'international liberal order'. After the coup attempt, the government attacked on judiciary, human rights, rule of law, arrested numerous people and journalists. Erdogan's 'New Turkey' seems to be differing from the West. This had been evident by several factors: Turkey's closer partnerships with the countries which are not sharing western democratic values; the "Eurasianists" in Turkey, who are trying to have closer relationships with Russia and China are merging with 'Erdogan's authoritarianism and Islamization'.

Turkey is the most important member of NATO in the Black Sea region. It has the gate to the Black Sea, by controlling both straits of Bosporus and Dardanelles. It also has the largest coastline in the Black Sea, where is presented part of its naval capabilities. Turkey is a second biggest contributor to the NATO Alliance. Today, Turkey is facing many challenges internally or externally. Since the end of World War II, Turkey has been part of the international liberal order. However, rising 'Anti-Westernism' is putting Turkey's stance towards NATO and aspiration to the European Union under the question as well as imposing the independent domestic and foreign policy. This is part of a main concern for NATO in the Black Sea security.

1.1. Research Question and Hypothesis

This research paper will attempt to analyze the consequences of the annexation of Crimea in terms of the importance of Turkey in the NATO Black Sea security. According to the term of 'Balance of Power', the NATO needs Turkey to 'balance' Russia. Turkey is the key country geopolitically for NATO and the most important actor in the Black Sea region. It has the gate to the Black Sea, by controlling both of straits of Bosporus and Dardanelles and is the second largest contributor to the NATO Alliance.

Hence, this paper will attempt to answer the following question:

How the annexation of Crimea influenced Turkey's role in the NATO Black Sea security?

In order to find the answer to this question there are several inquisitions to be made:

1. How the annexation of Crimea influenced the 'Balance of Power' in the Black Sea?
2. How the main actors responded to the annexation of Crimea? (NATO; Russia)
3. How Turkey responded to the annexation of Crimea?

In view of this, the research will attempt to verify the following statement:

The annexation of Crimea enhanced Turkey's power with regard to NATO's Black Sea security.

The hypothesis shows, that the **Annexation of Crimea** is an **independent variable** and rapprochement of Russia closer to the NATO borders is a main concern of the regional politics. In order to better test this hypothesis, it should be underscored that the annexation of Crimea by the Russian Federation, yielded concrete results for NATO, urging for increased involvement in the Black Sea region to secure its security. Therefore, the **dependent variable** will be **Turkey's role in the NATO Black Sea security.** The rising role of Turkey, which is also going to be proved according to the study, gave official Ankara possibility of imposing independent policy. This will be verified through the analysis data, sources, literature etc.

Several reasons give importance to this research. At first, evaluating the impacts of Russian annexation of Crimean Peninsula, to identify the means of rising importance of Turkey in the NATO Black Sea Security. Especially, describing the matters, which uttered these results. On the other hand, by increasing the role of Turkey, to explain particular actions 'against NATO'. Finally, as an additional value of the study, it is to describe critical reality of the region in accordance with this period of time.

1.2. Research Design and Methodology

The study focuses on the developments within the Black Sea security following the annexation of Crimea by Russian Federation in 2014. Specifically, we will analyze how this event has shifted the balance of power in the region between Russian and NATO and to what extent it has influenced the importance of Turkey, as one of the major actors within this interplay. To this end, the study wills overview historic context, capabilities of interacting powers and their positions in the post-annexation period.

In this regard, the research utilizes well-crafted set of methods in order to address the objectives of the study. Given the nature of the research topic, **case study** will be used as the major research strategy. According to Yin, „case study research excels at bringing us to an understanding of a complex issue or object and can extend experience or add strength to what is already known through previous research. Case studies emphasize detailed contextual analysis of a limited number of events or conditions and their relationships extensive descriptions and analysis of that instance taken as a whole and in its context ". (Yin, 1984, p. 23). In our research, this methodology will enable us to conduct an in-depth analysis of particular events, which were demonstrated within the particular context. In other words, the annexation of Crimea will be analyzed from the perspective of Black Sea security developments, with an emphasis on its effects on Turkey. The case study is considered as an overarching method, which guides the entire research process.

Our study is primarily quantitative and it strongly relies on analysis of secondary sources. Particularly, existing literature, academic articles, books and other relevant information available were closely examined and analyzed in order to draw out the conclusions and test proposed hypothesis. In addition, the information was retrieved from the official web sites of NATO, the Government of Turkey, Russia and other reliable Internet resources.

In order to double-check the secondary sources and provide rather in-depth enquiry into the issue, we have utilized the method of qualitative interviewing, *"as an acknowledged and systematic approach to knowledge creation"* (Edwards & Holland, 2013, p.11). In view of this, in-depth interviews were conducted with the Head of NATO Liaison Office in Georgia, William Lahue, Ambassador of Turkey in Georgia, Fatma Ceren Yazgan, and analyst and founder of Georgian Strategic Analysis Center, Nodar Kharshiladze. The information provided in these interviews has further strengthened the quality of the study.

1.3. Theoretical Framework

Theoretical framework of the study derives from the theory of **neorealism** of international relations developed by Kenneth Waltz. Neorealism as a theory reformulates classical realism and underscores the importance of structural elements of the international system. According to Waltz, international structure is defined by the ordering principles, which are materialized in anarchy. In that anarchic world, the behavior of the actors depends on the distribution of capabilities, in other words, on distribution of power (Waltz, 2003).

Neorealists believe that major interest of states is to survive. In doing so, they are inclined to increase their power, as it increases their chances of survival. However, unlike realists, neorealists think, that conflicts are rather social, than natural. In other words, neorealists have disregarded human nature as the only determinant of conflict and extended this assumption to the structure and the principles of anarchic international system (Weber, 2005).

In the theory of neorealism huge importance is ascribed to the theoretical proposition of **balance of power**. This proposition argues that states will definitely take an advantage of their power if they are not counterbalanced. In the systems like this the concept of equilibrium becomes absolutely crucial for securing stability and peace. According to Wohlforth (2008, p. 40), "states check dangerous concentrations of power by building up their own capabilities or aggregating their capabilities with other states in alliances".

Such conditions of anarchy and mistrust among states create something that is called **security dilemma**. Specifically, it maintains that while one state starts to increase its military or other types of capabilities for the sake of security, other states are also compelled to respond with the same actions. It

is due to perception that increase in power by one state is the threat to the security of others. This perception leads states to find themselves in constant rivalry, thereby creating source for tension, conflict and even war.

Taking these theoretical propositions into our research, we argue that through the annexation of Crimea, Russia has brought structural misbalance in the Black Sea security. Specifically, it has increased its strength and presence to the level, which has put the security of other regional actors under threat. Most notable, NATO was concerned by the actions of Russia on the one hand due to strategic importance of the Black Sea region and on the other hand, due to created challenges vis-a-vis overall security architecture.

It is no secret, that Russia pursues Cold-War type "power games" in relation with NATO, which is being perceived as a strategic enemy. According to the Russian National Security Strategy (2015) "a determining factor in relations with NATO is still the unacceptability for the Russian Federation of the alliance's increased military activity and the approach of its military infrastructure toward Russia's borders, the building of a missile-defense system, and attempts to endow the bloc with global functions executed in violation of the provisions of international law".

Taking this into account, build-up of Russian Federation in the Black Sea creates security dilemma, further challenging NATO to take relevant measures. Against this backdrop, Turkey's role, as most influential NATO member in the Black Sea area becomes crucial for balancing Russia's aggressive moves and restoring balance of power. Specifically, we have witnessed the increased importance of Turkey upon the perception of its vital role in maintaining equilibrium between Russian Federation and NATO. Turkey, controlling strategic straits in this area and has strongest military capabilities among other NATO Members (Romania, Bulgaria) appears to be strategically most important player for the alliance to contain Russian aggression.

1.4. Literature Review

There are several literature and sources relevant to the subject of analyzing the emerged security issues in the Black Sea after the Annexation of Crimea in 2014. Balance of power Between NATO and Russia and the case of Crimea in the Black Sea, is multi-complex issue. There is Turkish analyst and professor

at Brookings Institute, Kemal Kirisci, who actively analyzed the relations between Turkey and the West and wrote a book called "Turkey and the West – Fault lines in a troubled alliance". In his book, he largely explains current domestic and foreign politics of Turkey. He describes, the past history between Turkey, U.S. Soviet Union, NATO and Russia; what kind of benefits Turkey received by associating with the West, what are 'gains and losses from Turkey's integration in the transatlantic community'. Also, Mr. Kirisci express his visionary and describes how the 'lack of western involvement' caused Turkey's skepticism and turning his back to the West.

Another, great work done by Nasuh Uslu, named 'The Turkish-American Relationship Between 1947 and 2003; The History of a Distinctive Alliance', published in New York, is a source of key findings regarding the military capabilities of Turkey, Turkey and U.S. relations as well as Turkey's joining to the NATO alliance. He describes the periods during Cold War and after collapse of Soviet Union. How Turkey played an important role in balancing power with Soviet Union and then later after geopolitical changes, Russia in the Black Sea region. Also, Mr. Uslu talks about an impact of Turkey's traditional westernization policy on its relations with the US.

Dr. Deborah Sanders from King's College, London, UK, created a study about Black Sea naval forces. She is an author of the book 'Maritime Power in the Black Sea'. She describes naval capabilities of all Black Sea littoral countries: Turkey, Russia, Ukraine, Georgia, Romania, Bulgaria and Russia. She expresses interest about growing importance as a maritime area of the Black Sea, that it has great strategic importance and is vital source and transit point for future energy reserves. Also, she assumes, that Russia and Turkey are two important international actors in the Black Sea, which are directly affecting international security and stability.

There are remarkable researches and articles written by international experts and researchers, who are focusing on this current issue, the annexation of Crimea. Russia – NATO counter balance is global security issue and isn't a regional conflict, because several major powers are involved, which affects geopolitics and security in the World. Mr. Boris Toucas in his work called "The Geostrategic Importance of the Black Sea region: A Brief History", he acknowledges the great geographical importance of the Black Sea, why big actors can be interested in this area and the Crimean peninsula in terms of geographical locations, seas and accesses to the Oceans and 'short routes', values of the region for economy, trade and particularly as an energy hub. According to him, the Black Sea region is going to be future route for the EU energy diversification by transporting Caspian Oil and Gas to Europe.

Findings in the literature is supportive to identify major issues of the geopolitics in the Black Sea and what are the impacts of 'great powers' on the regional countries. At the pages below, the Chapter 2 also serves as a full informative link in accordance with the study and the literature review.

1.5. Outline of the Study

The study is structured into three major chapters, which provide for a consistency into the research. The first chapter is the introductory part of the research and it introduces major topic and issues to be analyzed throughout the thesis. This section sets out research question and hypothesis and describes independent and dependent variables. In addition, **Chapter 1** discusses theoretical background, as well as strategy and methods addressing the research goal and objectives.

Chapter 2 describes the important developments prior to the annexation of Crimea and overviews the facts and milestones, which are of crucial significance for understanding the content of the thesis. Specifically, Chapter 2 discusses the geographical value of the Black Sea area and the NATO approach towards the security in this region. In addition, it emphasizes on NATO's positioning in the Black Sea before and after the Collapse of Soviet Union, which also serves as Literature Review.

Chapter 3 could be regarded as the central section of the study, where the hypothesis is unfolded and independent and dependent variables tested against each other. Particularly, this section analyzes the change in balance of power after the annexation of Crimea and its impact on increasing perception of Turkey as most important actor for the NATO Black Sea Security. Chapter 3 scrutinizes how regional actors have positioned themselves following the seizure of Crimea by the Russian Federation and what role has Turkey undertaken in this regard.

Finally, within the conclusion, entire research is overviewed and its findings are summarized. The conclusion revisits hypothesis, research question and objectives and shortly discusses the accomplishments of the thesis.

2. Informational Background

2.1 The Black Sea Geographical value

The Black Sea geographical location is on a crossroad of Eastern Europe, Balkan countries, South Caucasus, Asia and Middle East. Throughout the history, this area had strategic importance economically and militarily between countering of Christian and Muslim worlds. The Black Sea region mostly had been considered as a ''locked Sea'', but this 'status' has been changed after giving the commercial importance and finding of Caspian Oil resources. In recent years, the Black Sea region is shown as a transit area between Caucasus, Western Europe, Central Asia and Middle East.

The Black Sea region represents one of the most strategic areas for the European energy, trade and military security as well. However, until the annexation of Crimea in 2014, the region had been neglected from the transatlantic partners. Since the end of the Cold War, for the Western World the Russian threat had been 'eliminated'. Particularly it was the annexation of Crimea, a geographically strategic peninsula, which brought Russia's border closer to NATO. This action done by Russia intimidated members of alliance and gave the feeling of rising Russian influence, including witnessing the use of peninsula's geographic advantage to present hybrid war techniques.

Geopolitically, the Black Sea region is very dynamic area. These are following littoral countries: Turkey, Georgia, Ukraine, Romania, Bulgaria and Russia. Describing the complexity of the dynamic relations, the Black Sea region has political, economic and strategic interests for international players. Regarding the security issues there are key positions in the area, which contributes to the geographic value and importance of the Black Sea region. These are:

- **The straits of Bosporus and Dardanelles,** which are linked to the Marmara Sea. Through these straits, the Black Sea is connected to the Mediterranean Sea and the ocean. This is considered as a door of the Black Sea, whereas the Turkey has the privileged position, controlling both of straits according to the Montreux Convention.

- **The Crimean Peninsula** is one of the most geographically strategic areas of the region according to its shape and location. It has multiple facilities for the naval and aircraft forces.

- **Georgian Seaside**, which has important meaning for Azerbaijan oil and Silk Road route, for transporting goods from Asia to Europe, with the future project of Anaklia deep-water port. For the Euro-energy diversification, the energy security is on the agenda of European Union and NATO. Stability in the South Caucasus region is vital requirement to replace the EU dependence on the Russian energy by transporting uninterruptedly Caspian oil and gas.

- **Danube's sea exits** give power to Romania, for the reason of ship entries and exits through Sulina, the territory of Romania. Also, the continental shield of Romania for economic ties between Romania and Ukraine.

- **Serpent Island** is an important component for the security system of Ukraine. It is located between political and military alliances, which are NATO and Euro-Asian alliance, made by Russia (Gerald, 2010).

Among the Black Sea littoral states, Turkey has a unique geographic location. This relates Turkey to several strategic regions: Middle East, Eastern Mediterranean, Caucasus, Balkans and North Africa. Furthermore, the opportunity of having a control on the straits of Bosporus and Dardanelles, the Black Sea has significant role for Turkey. On the one hand, balancing and countering Russia has always been a national security issue for Turkey's territorial integrity and on the other hand, Turkey has deep economic relations with the Black Sea regional countries.

2.2. North-Atlantic Treaty Organization (NATO)

While talking about the NATO Black Sea security, according to Mr. William Lahue, the head of NATO liaison office in Tbilisi, Georgia, ''we have to rethink again about what NATO is''. (Source: Interview with Mr. William Lahue).

North-Atlantic Treaty Organization (NATO) is a political and military alliance, whose purpose is to ''guarantee the freedom and security of its members'' (Source – nato.int). Regarding the political means, 'NATO promotes democratic values and enables members to consult and cooperate on defense and security-related issues to solve problems' (What is NATO? www.nato.int) and military means are about 'if diplomatic efforts fail, it has the military power to undertake crisis-management operations''

(What is NATO? www.nato.int). NATO had been created on its basic assumption of 'collective defense' founded in 1949 and as of today has 29 allies, mainly from Europe and North America. NATO is committed to the principle – 'An attack against one or several of its members is considered as an attack against all'' (What is NATO? www.nato.int). It has an 'Open Door' policy, which gives an opportunity to any country in Euro-Atlantic area to join the alliance after accommodating the standards and obligations of NATO membership requirements, which is called 'Membership Action Plan'. ''NATO membership is open to any other European state in a position to further the principles of this Treaty and to contribute to the security of the North Atlantic area''(What is NATO? www.nato.int).

NATO is represented in the Black Sea with three countries: Romania, Bulgaria and Turkey. As Mr. William Lahue indicates in his interview: "when we talk about NATO in the Black Sea, we are talking about Romania, Bulgaria and Turkey. NATO's issue is to provide necessary defense for them''. (Source: Interview with Mr. William Lahue). Turkey had joined NATO in 1952, Romania and Bulgaria in 2004. Turkey has great importance to the NATO as an ally, in terms of geographical location and military capabilities.

A NATO member country, joining of Montenegro is the last enlargement in 2017.

(NATO on the map, www.nato.int)

2.3. NATO in the Black Sea: before and after the collapse of Soviet Union

The North-Atlantic Treaty Organization wasn't only created to respond the threats from the Soviet Union. According to NATO official representatives, the Alliance's creation was to serve three purposes: ''deterring Soviet expansionism, forbidding the revival of nationalist militarism in Europe

through a strong North American presence on the continent, and encouraging European political integration'' (A Short History of NATO, www.NATO.int).

During the times of Soviet Union, Turkey represented NATO on the Black Sea. After the end of the World War II, Turkey improved the relations with US, having a common enemy the Soviet Union. From the beginning of NATO creation, Turkey didn't have any provisions for the membership, but situation changed after the invasion of South Korea by North Korea in June 1950. Turkey provided 4500-man unit to join the US troops in Korea, which was the key to NATO membership (Isiklar, 2008, p. 21). After the World War II, Soviets had its influence on a wide part of Europe. Therefore, Europe should respond from its flank, which required the involvement of Turkey, located to the south of the Soviet Union. Turkey had crucial geographic location for Europe to counterbalance the threats coming from the Soviet Union. Then in February 1952, Turkey was accepted as a full member of NATO. Right from the beginning of membership, Turkey improved military cooperation with the US. An important number of "US-cum-NATO facilities were constructed in Turkey, including, most notably, an air base at Incirlik, near Adana, with other bases at Karamursel, Cigli, and Diyarbakir, and radar stations at Karamursel, Sinop, Samsun, Trabzon, Belbasi, and Diyarbakir, and some naval facilities at Iskenderun." (Hale, 2012, p.123.)

Furthermore, Turkey became closer and strategic partner to the US and the West. In 1955, Turkey was involved in the project of Baghdad Pact, where it was essential actor with Iran because of having a border with Soviet Union. And via the 'Eisenhower Doctrine', which was for to give support to 'Middle East countries that contained Communism', as a result, in 1957 Turkey received around 200 million dollars in military aid. (Salmoni, 2012, p. 13.) Also, by the 'Eisenhower Doctrine', Turkey has recognized Israel and "proved to be significant partner" (Isyar, 2005, p 24.)

Due to having different geographical locations and different perspectives, Turkey and US foreign policies weren't merging to each other. Nevertheless, both of them benefited from the alliance and Turkey proved to be viable partner to the NATO in the Black Sea region (Isiklar, 2008, p. 21). Regarding the transatlantic partners, Turkey followed two goals in terms of initiatives and policies in the Black Sea region. At first, Turkey established 'military superiority' in the Black Sea in post-Cold War era. And second, Turkey supported wider Black Sea cooperation for the regional countries to get a

membership in the NATO. This initiative was to create peaceful region for better economic cooperation and integration in the region.

After the collapse of the Soviet Union, in the Black Sea region have emerged independent states as individual entities. The NATO started creating cooperative initiatives towards newly independent states of Eastern Europe of former allies of Soviet Union included Russia. Thus, the Atlantic alliance launched several cooperative initiatives to promote peaceful organization rather than an aggressive one. In 1991, NATO created New Alliance's Strategic Concept, which would identify the threats for the security in Europe and therefore the role of NATO in the changed political arena. After, that NATO launched North Atlantic Cooperation Council (NACC) and the Partnership for Peace (PfP) in 1994. In 1997, the NACC was replaced, but built on its achievements the Euro-Atlantic Partnership Council (EAPC). The EAPC is the multilateral forum, which also serves as the political framework for the PFP. Later on, since 1999, for partner countries of future membership of NATO was established the Membership Action Plan (MAP) to successfully meeting the requirements of NATO enlargement.

The *Partnership for Peace* program is "Based on a commitment to democratic principles, the purpose of the Partnership for Peace is to increase stability, diminish threats to peace and build strengthened security relationships between NATO and non-member countries in the Euro-Atlantic area" (Partnership for Peace Programme, www.nato.int). There are 21 countries currently members of the PfP program, which supports its participants to enhance the compatibility of the Partners' and Allies military forces in undertaking peacekeeping and humanitarian operations.

During the time of developing partnerships between NATO and post-Soviet Countries, Russia wasn't openly recognized as a threat to NATO or Eastern European states. Even more, Russia joined the North Atlantic Cooperation Council in 1991 and then the Partnership for Peace program in 1994, as well as it participated to deploy Russian soldiers as part of the NATO-led peacekeeping force in Bosnia and Herzegovina in 1996 and in Kosovo 1999. After the 9/11 terroristic attacks in September 2001, "Russia opened its airspace to the international coalition's campaign in Afghanistan and shares relevant intelligence" (Relations with Russia, www.nato.int).

Regardless the cooperative developments of NATO and Russia after the collapse of Soviet Union, the relationships between them had been strained since Russia's military invasion in Georgia, in 2008. "Russia's disproportionate military action in Georgia in August 2008 led to the suspension of formal

meetings of the NRC and cooperation in some areas, until spring 2009. The Allies continue to call on Russia to reverse its recognition of the Georgian regions of Abkhazia and South Ossetia as independent states" (Relations with Russia, www.nato.int). The relationships had been even more damaged after the Russia's invasion in Ukraine and annexation of Crimea in 2014. Since that action done by Russia, the Western world realized direct threats coming from Russia and bringing its border closer to the NATO. This caused raising more importance of Turkey in the NATO Black Sea security as itself of Turkey as well, because of its military capabilities and geographical location.

3. NATO Black Sea Security and importance of Turkey

3.1 Geopolitical Value of Crimea and Interests of Regional Actors

Crimea has the second most important key positions in the Black Sea after the straits. It is a peninsula and owing to its shape of having three sides pierced into the Sea, has strategic military means. Crimea, the southern part of Ukraine, since 2014 occupied by Russia has several geopolitical values:

- It confluences three geopolitical regions, which are: Eastern Europe, Asia side and Middle East.
- There is defensive and offensive Russian naval outpost, which are 'closest' to the NATO.
- Crimea is included on the proposed route for Caspian oil and gas transport to the Western countries.
- For Russia, the Sebastopol port is only way to the "warm waters" and it connects Russia to the South, Mediterranean Sea, to the Ocean and through the Suez Canal to the East.
- Crimea provides trade and tourism facilities.
- Crimea has global political scene and interest for not only the regional players but the world geopolitics (Gerald, 2010).

Ukraine is an aspirant country of NATO, willing to join the Alliance. From the point of view of Russian analysts, in case of Ukraine's NATO acceptance, Russia has to review and project national security interests. According to them, Ukraine should be divided into two, due to its geopolitical and ethno-cultural realities, because Eastern Ukraine is largely populated by Russians and should be presented as autonomy in close ties with Russia. From the Russian overview, if they would leave Crimea to the hand of 'Sovereign Ukraine', that would create direct threat to Russia's security, which can even cause ethnic tensions in Crimea (Ukraine crisis: an essential guide to everything that's happened so far, www.theguardian.com).

In the Black Sea region, Crimea is unique region of Ukraine in geographic, historic, ethnic and religious terms. It became the crossroads of interests and influences of the Black Sea actors: former empires (Russian and Ottoman), state entities and as centers of power. The interests of the regional countries are shaped in a wider, than regional geopolitical space, where different players play their roles. On a one hand, CIS and CSTO, dominated by Russia are trying to keep states within the sphere of their influence. On the other hand, the EU, the USA and NATO seriously influence the region with

their own interests. The Black Sea region as it is an important geopolitical area, can be used by its actors as 'bridgehead' or 'expanding' their influence. As mentioned above the key actors seeking for the domination are Russia, EU, the USA, NATO and Turkey, who is actively trying to get the status of a regional leader, with its growing economy and military potential. The main interests of the leading actors in the Black Sea region are (Razumkov Center, 2011):

Russia aims to:

- Establish a buffer security zone in its southern border;
- Keeping post-Soviet countries under its exclusive influence, by preventing them from the integration in NATO and the EU and use their resources to strengthen its economy;
- Leadership in the Black Sea region to influence its neighbor regions to spread the power for achieving the world leadership;
- Containment of the EU and NATO eastern expansion;
- Forming a monopoly in supplying of energy resources to the European markets and use this opportunity as a foreign policy instrument;

EU, USA and **NATO** aim to:

- Enhance the security and stability in its south-eastern flank;
- For the energy diversification, strengthening control of the Black Sea energy transformation corridor to supply energy resources from the Caspian and Central Asian region to the European and world markets;
- Protection and promotion of interests of the national and transnational companies in the regional markets;
- For transportation of troops and cargo across the region to support political and military operations in Asia and Middle East, need to create reliable corridor;
- Use of the region as a 'bridgehead' to spread the influence in neighboring regions of Middle East and Central Asia;

Turkey aims to:

- Creation of secure environment;
- Strengthen the position and spread its influence in the Muslim world, including the countries of former Ottoman Empire;

- Promotion of cooperation, achieving leadership in formation of the regional developments and security strategy;

From the Russian perspective, the post-Soviet sphere is its 'privileged interests', but for NATO the Black Sea region is to interact with other countries and use bilateral partnerships mechanisms, whereas Turkey is taking its independent political initiatives by implementing social programs and providing social infrastructure for Crimean Tatars in the Crimea.

3.2 Annexation of Crimea in 2014 and NATO-Russia Power Balance

A new government in Ukraine, who has come after Yanukovych, was 'pro-Western' and 'anti-Russian' in their principles. Ukraine, having a clear statement of joining Western family gave Putin feeling of uncertainty. For Russia, it seemed like, that time had arrived to act against Ukraine and the West. Putin ordered Russian forces to be sent to take Crimea from Ukraine, which they did so and in March 2014, they took over Crimea and incorporate into Russia. Overtaking process seemed easier in Crimean case, because, thousands of Russian troops had already been stationed at a naval base in the Crimean port of Sebastopol.

The illegal annexation of Crimea of March 2014 caused serious damage of human rights and regional politics of the Peninsula. The Crimean population was largely participating in the Ukrainian political life, but following the annexation, the political rights of Crimean people were strongly diminished and pro-Ukrainian parties proscribed. Only two political parties were represented in Crimea's autonomous parliament 'United Russia' and ultranationalist 'Liberal Democratic Party of Russia'. The political parties of minority groups of Crimean Tatars aren't represented in the regional parliament anymore. The legal, social and political systems have been all weakened. Free media have been suppressed, Russia closed all independent media sources including Crimean Tatar news channel. Independent research agencies and many NGOs, including of those receiving foreign funds left Crimea, therefore only stayed pro-Russian media, sponsored by Russia. Additionally, the peninsula suffers from unemployment and reduced tourism. Crimean citizens' income after the annexation, remain lower. (Source – Abalkin 2016)

The annexation of Crimea destabilized the region and caused situational damage for the local population. European Union and USA subjected sanctions against Russia, due to the Crimea illegal

annexation, but for Russian leadership, the annexation of Crimea is strategic gain and restitution of 'historic part of Russia'. However, Russia failed, the annexation to be internationally recognized. Regardless of that, the situation for the Russian officials is considered as 'closed issue'.

The annexation of Crimea is multilayered issue. The Black Sea regional security and case of Crimea is where the power balance between NATO and Russia is displayed. Russia by taking Crimea tried to destabilize Ukraine to abandon its efforts joining the NATO. Russia 'blames' NATO for getting closer to the Russian border, but for NATO it is Russia who went closer to the border of NATO through the Crimea annexation. "As a result of Russia's illegal annexation of Crimea and ongoing destabilization of eastern Ukraine increased challenges to our security" (NATO-Russia relations: the facts, www.nato.int). The ambassador of Turkey in Georgia, her Excellency Fatma Ceren Yazgan in her interview stated, that "Political military security is not Black Sea, it is beyond on that". (Source: interview with Fatma Ceren Yazgan).

Since the period of Cold War, Soviet leaders preferred that NATO stays intact with countries of European Union, and today the situation is same with their Russian successors, they disagree with NATO expansion in the post-Soviet sphere. After the mid-1990s, the Clinton administration supported for NATO enlargement in Eastern Europe and joining of Romania and Bulgaria to the Alliance in 2006 brought NATO to the Black Sea along with Turkey. In April 2008, at the Bucharest summit, NATO considered admitting Ukraine and Georgia (two Black Sea littoral countries having direct border with Russia) into the Alliance, which was supported through the George W. Bush administration. The idea was opposed through France and Germany with having a fear to antagonize Russia. Thereafter, Putin stated that admitting its border countries Ukraine and Georgia in the Alliance would represent 'direct threat' to Russia (Mearsheimer, 2014). Russia's invasion in Georgia 2008 left country weak and divided. Then few years later, they did the same in Ukraine by invading eastern part of Ukraine and annexing Crimean Peninsula. Through these actions, Moscow made its point to destabilize the Black Sea region and NATO aspirant countries.

By annexing Crimea, Russia gained:

- Strategic territory in control;
- Weakened Ukraine and challenged NATO;
- An opportunity to enlarge its military presence in the Black Sea;
- In the Black Sea Russia increased its "de facto exclusive offshore economic zone";

- Russia ‘confiscated’ Ukrainian Navy vessels based in Sebastopol, Crimea;
- Hindered process of integration of Ukraine in NATO alliance;

In September 2016, Russia declared, that it had achieved ‘military superiority’ in the Black Sea. As a result, In September 2016, Russia declared, that it had achieved ‘military superiority’ in line with ‘recent developments’. General Gerasimov stated, “Russia’s Black Sea fleet is now stronger, than the Turkish navy, and even openly declared, that Russia is now capable of targeting the Bosporus straits”. (Kucera, 2015).

With regard to these changes mentioned above, the balance of power in the Black Sea region assisted Russia. NATO is an important factor in the Black Sea security, but evidently its activities and influence is limited, under consideration of maintenance of the power balance with Russia. This is why the Alliance pursues its policy by deepening military cooperation with Black Sea regional countries through the program of Partnership for Peace (PfP).

3.3 Russia’s presence and Military Capabilities in the Black Sea

In general, having a maritime power is ability for the State to achieve objectives of its specific policy. NATO has ‘limited access’ in the Black Sea because of provisions of the 1936’s Montreux Convention, which limits the naval presence for non-littoral countries of the Black Sea. In contrast, Russia uses relatively ‘small area’ for its forces to gain advantage. The annexation of Crimea and having a control on the peninsula, gave the opportunity to Russia to increase its presence on the Black Sea, which is very strategic chance for it. Before the annexation, Russia already had military units deployed in Crimea, but with one difference. In 2010, Russia and Ukraine signed an agreement on the Black Sea Fleet in Ukraine, known as Kharkiv Pact. This was a treaty between Russia and Ukraine about Russian lease on naval base in Crimea, and instead Ukraine would receive natural gas from Russia. This agreement was a continuation of the previous treaty signed in 1997 about division of the Black Sea fleet between two nations, named ‘Partition Treaty on the Status and Conditions of the Black Sea Fleet’ (Felgenhauer, 1999) According to the agreement, the Kharkiv Pact 2010, which was extended until the year of 2042, Russia was leasing the Sebastopol base from Ukraine, but terms of the agreement were preventing expansion or modernization of fleet (Watson & Tkachenko, 2010, www.cnn.com). Nonetheless, by annexing the Crimea, Russia gained ‘de facto’ full control on the port of Sebastopol.

In addition, as soon as Putin took over of Crimea, he submitted proposals on "denouncing some Russian-Ukraine agreements on Black Sea Fleet", which meant to terminate 'some number' of these agreements (Putin submits proposals on denouncing some Russia-Ukraine agreements on Black Sea Fleet www.tass.com). Then, it was approved through the State Duma and Russia terminated the treaty unilaterally few days later of the annexation on 31 March 2014 (State Duma approves denunciation of Russian-Ukrainian agreements on Black Sea Fleet http://tass.com/russia/725964). Coming next, Russia started increasing its military presence on the Black Sea. Significant raise of military capabilities shifted the balance in favor of Russia and challenged the security of NATO in the Black Sea. This caused rising importance of Turkey in the NATO Black Sea security, owing to its military and naval force capabilities. Russia based the Black Sea fleet new frigates and submarines in Sebastopol, which serves as part of the "Russian Mediterranean Task Force" and is more flexible in response capacity compared to the Arctic Ocean one. (Russia's naval task force: Power play or just theatre?" 2016, www.bbc.com).

On the Crimean Peninsula, Russia relocated advanced surface-to-air missiles (SAMs) and anti-ship cruise missiles (ASCMs) in Sebastopol, where earlier had been Russia's Black Sea fleet according to the treaty agreement with Ukraine mentioned above. The SAMs and ASCMs increase Russia's Anti-Access/Area Denial (A2/AD) capability throughout the entire region. Russia installed several A2/AD systems like: S-300PM, S-400 Triumf and Pancyr missile systems and Iskander. A2/AD systems include aircraft, surface ships, submarines and 'air superiority/sea control' capabilities. The definition of the systems, according to the Atlantic Council is follow, "the concept of the A2/AD describes a potential adversary's deployment of weapons systems, most frequently one with long-range capabilities, in order to deny US and allied forces freedom of maneuver in the battle space" (Horrell, 2016).

Figure 1: Russian military presence in the Crimean Peninsula and the Black Sea before and after the Annexation of Crimea

January 2014 (before the annexation)	Soldiers	12.5
	Armored Vehicles	116
	Artillery Pieces	24
	Fighter Jets	22
	Helicopters	37
	Warships	26
	Submarines	2
May 2016 (about two years after the annexation)	Soldiers	23.9
	Armored Vehicles and Tanks	613
	Artillery Pieces	162
	Fighters Jets	101
	Helicopters	56
	Warships	34 from Ukrainian sources 49 from Russian sources
	Submarines	4
	Missile launchers	16 missile system 3K60 BAL, K-300 Bastion, S-300 PMU 8 missile systems S-400 Triumph

Source: Costea, Catalin Alin. "The Russian Federation and the Implementation of the A2/AD System in the Black Sea: Risks and Threats to Romania." The Market for Ideas, January-February 2017. http://www.the-marketforideas.com/the-russian-federation-and-the-implementation-of-the-a2-ad-system-in-the-black-sea-risks-and-threats-to-romania-a122/.

(Bayraklı, 2017, p.123).

Through the actions mentioned above, Russia demonstrated its readiness for strengthening the ability to challenge NATO and threatened littoral states of the Black Sea. As a result, it blocks large part of the Black Sea and prevents NATO allied forces operations. Despite the Western sanctions for annexing the Crimea, Moscow aims to replace Soviet-era ships with contemporary, fast vessels, such as the 'French Mistrals' (Bugajski & Doran, 2016).

On base of the Center for European Policy Analysis (CEPA) February 2016, Russian government 'designed a program' to strengthen its 'multiregional naval power', which includes building "eight new strategic missile submarines, six nuclear attack submarines, nine conventional submarines, 15 frigates

and up to 20 corvettes" (Bugajski & Doran, 2016). However, according to the CEPA, this type of aims are "far from clear whether", because of weak economic environment in Russia and "collapse of global oil prices". Nuclear systems had already been transferred into the Black Sea and it creates major threat to the NATO and Black Sea States. Furthermore, Crimea annexation gave Russia an opportunity to act 'freely' and deploy 'upgraded military hardware' in Sebastopol. "The modernization of the Black Sea Fleet is one of the ambitious elements of the Russian State Arms Procurement program of 2011-2020" (Bugajski & Doran, 2016). This program can threaten NATO and USA not only in the Black Sea, but Mediterranean and Middle East as well. According to CEPA, "by 2020, Moscow plans to spend $151 billion to modernize its entire navy including the Black Sea Fleet. The purpose of this modernization is to build a combined arms forces, that can deny access by NATO to the Black Sea".

Overall, as CEPA outrights, "Moscow reserves for itself the right and obligation to defend governments, that are amenable to Russian influence, even against the democratic choices of their own populations".

3.4 NATO's response to the Annexation of Crimea

NATO supports integration of Black Sea regional countries to the Alliance. Ukraine is an NATO aspirant country and part of Partnership for Peace (PfP) program. Following the Russian-Ukraine conflict and the annexation of Crimea, NATO had immediate firm position and fully supported Ukraine within its allied countries. The annexation hasn't been recognized internationally, NATO member countries didn't support it, included Turkey and other Black Sea Littoral States. "The North Atlantic Council states that it considers the so-called referendum held on 16 March in Ukraine's Autonomous Republic of Crimea to be both illegal and illegitimate, urging Russian to de-escalate the situation, including by ceasing all military activities against Ukraine (Relations with Ukraine, www.nato.int) Switzerland, Norway, Canada, Japan and Australia joined the sanctions against Russia, but not Turkey. Furthermore, Turkey stated, that it would play a 'mediating role' between Russia and Ukraine since it considers both of them as strategic partners. On account of the Crimean annexation, NATO detained military relations with Russia: "All practical civilian and military cooperation under the NRC with Russia was suspended in April 2014 in response to the Russia-Ukraine conflict. But channels of political dialogue and military communication were kept open" (Relations with Russia, www.nato.int).

In September 2014, at the NATO Wales summit, the alliance condemned Russia for declination from the international law and demanded to "end its illegal and illegitimate occupation and 'annexation' of Crimea; refrain from aggressive actions against Ukraine; withdraw its troops; halt the flow of weapons, equipment, people and money across the border to the separatists; and stop fomenting tension along and across the Ukrainian border" (Relations with Russia, www.nato.int).

NATO alliance expressed their support not only diplomatic and political level, but also they had significant practical assistance to Ukraine. "NATO foreign ministers agreed on measures to enhance Ukraine's ability to provide for its own security" (Relations with Ukraine, www.nato.int). In addition, through the Trust Funds, which allows individual allies help partner countries with financial aid supported concrete projects. At the NATO Summit held in Wales in September 2014, they decided to "strengthen existing programs on defense education, professional development, security sector governance and security-related scientific cooperation, to reinforce the advisory presence at the NATO offices in Kyiv and to launch substantial new programs" (Relations with Ukraine, www.nato.int).

Despite of many disagreements between NATO and Russia, the alliance members believe, that "a partnership between NATO and Russia, based on respect for international law, would be of strategic value". The allies support the idea, the Russian-Ukraine conflict to be solved peacefully and with diplomatic means. The ambassador of Turkey in Georgia H.E. Fatma Ceren Yazgan in her interview said, that "If you go in war, deterrence fails and diplomacy fails". (Source: interview with Fatma Ceren Yazgan). According to the NATO statement, "the alliance doesn't seek confrontation and poses no threat to Russia, but it will not compromise on the principles on which the Alliance and security in Europe and North America rest" (Relations with Russia, www.nato.int).

3.5 Importance of Turkey in the NATO Black Sea security

Turkey had been an important NATO member since joining the alliance in 1952, the early Cold War period. During the time of Cold War, only Turkey and Norway were sharing the border with Soviet Union, therefore Turkey was first in line to defend Europe from its southeast flank. Overall, Turkey always had been and is continuing to be one of the most important partner and member of NATO. Despite the challenges, under presidential leadership of Erdogan Turkey remains contentious and active partner of the West. Turkey promoted itself with large contribution to NATO not only in the Black Sea,

in different parts of the World as well. For example, under 'International Security Assistance Force' (ISAF), Turkey deployed thousands of troops in Afghanistan and still remains 500 troops as a NATO ally for its 'Resolute Support mission (RSM)'. According to the NATO framework "Every member country makes both direct and indirect contributions to the costs of running NATO and implementing its decisions". Turkey's cost-share is 4,3866%. Additionally, to the contribution to Afghanistan, Turkey also contributes to the Kosovo Force (KFOR) and to NATO's deployment in the Aegean Sea. Other Black Sea NATO member countries: Romania's cost-share is 1.0723% and also contributing to the NATO activities to the KFOR in Kosovo and RSM in Afghanistan; Bulgaria's cost-share is 0.3262% and also contributes for KFOR in Kosovo and for RSM in Afghanistan (NATO in action, www.nato.int). Comparing their contribution to the one of Turkey is matchless. This is why the importance of Turkey has been raised in the NATO Black Sea security after the annexation of Crimea in 2014.

Turkey has the largest coastline on the Black Sea and controls the 'entrance' in it, by the Straits of Bosporus and Dardanelles. Depended on Montreux Convention, Straits control makes Turkey the most important player in the Black Sea region. Therefore, defending these Straits is Turkey's maritime strategy. Furthermore, between the Black Sea littoral states, Turkey has the most powerful navy, which still undergoes the military transformation, containing evolvement of forces, weapons and sensors for better operations. Turkey has ambitious plans for its military development, if this is going to be realized, then Turkish navy will be close to develop 'blue water force' for operating in strategic distance on high seas. After the collapse of Soviet Union, the Black Sea environment had been notably changed, whereas Turkey played a crucial role in the regional security, supported founding the Black Sea Naval Cooperation Task Force and for the Black Sea littoral states maritime cooperation named BLACKSEAFOR and Black Sea Harmony.

Additionally, for the energy security and diversification, Turkey plays a prominent role. Due to its geographical location, Turkey is about to change from Energy Bridge to energy hub. For the EU Energy diversification, connecting Europe to Asia, Turkey is going to connect Caspian gas and oil to the European states, by crossing the territory of Turkey. Turkey is supportive for the new energy routes passing over its territory and the Black Sea region.

3.5.1 Turkey's Geopolitical Importance

Turkey has unique geographic location. It is on the crossroads of Europe and Asia. Turkey is located on Anatolian peninsula and has access to the three seas: Black Sea, Mediterranean Sea and Aegean Sea. It neighbors Balkans, Middle East, Gulf and Caucasus. Due to the several reasons like globalization or military actions of US in the Middle East countries and especially distance of these regions, gives the strategic importance of Turkey and reveals its role as a regional power. In addition, Turkey has region's most important role in energy supply. Turkey is connecting Caspian Sea oil and gas to European continent, which makes the region significant for global political economy.

For the political reasons, the most important factor is, that Turkey represents only secular democratic Islamic country. With its development and characteristic, Turkey is a great model for the Islamic world. Notably, secular and democratic model is not only important for the region but for the world politics as well. Observing Turkey's successful developments and transitions, it seems 'possible' for the Islamic world to existing with secularism and democracy.

In the NATO Black Sea security, Turkey has the most important and strategic role. Being a NATO ally, Turkey holds the key position on the Black Sea, controlling both of Straits Bosporus and Dardanelles and most of its Northern territory occupies the large part of the Black Sea. Turkey plays a vital role to the security of the alliance for the eastern flank along the NATO countries borders. "The Turkish Straits connecting the Black Sea with Aegean and Mediterranean Seas constitute a potential source of power as well as threat for Turkey because they are key points for the main sea powers for their presence in the Black Sea and the Mediterranean." (Uslu, 2003, P. 37). Potentially, Turkey can play two roles different from each other: owning to its geopolitical position, Turkey can act as a bridge and barrier between Western countries and Russia or Middle East. Therefore, all these increase the role of Turkey in the NATO Black Sea security and in World politics as well.

Controlling both of Straits the Bosporus and Dardanelles, under the Montreux Convention, Turkey was able to deny the access of Soviet Fleets from the Black Sea to the Mediterranean Sea, which is the same situation for Russia today. These two Straits potentially are the doors for the Black Sea route to the Mediterranean Sea and to Atlantic Ocean, and to the Suez Canal and to Indian Ocean. And, these Straits always had been under interest of Russia.

3.5.2 Montreux Convention

Montreux Convention is an agreement regarding the Straits regime of Bosporus and Dardanelles. The convention was signed on 20 July 1936, at the Montreux Palace in Switzerland. It allows Turkey to take full control on these Straits and regulates naval warships transit. Notably, the Montreux Convention had been signed in 1936 and Turkey joined the NATO alliance in 1952. This means, that the convention places the restrictions for NATO today, for its permanents maritime presence and patrolling in the Black Sea. According to the Montreux Convention, Article 18, the war vessels are able to stay only for 21 days in the Black Sea: "Vessels of war belonging to non-Black Sea Powers shall not remain in the Black Sea more than twenty-one days, whatever be the object of their presence there". (Montreux Convention, 1936). Regarding the convention, large ships or destroyers are also prevented to enter in the Black Sea. The established tonnage restrictions on vessels of war are 15,000 tons. The Article 14 notes, that: "The maximum aggregate tonnage of all foreign naval forces which may be in course of transit through the Straits shall not exceed 15.000 tons".

The littoral countries of the Black Sea included Russia are free from almost all restrictions except the conditions in time of war. According to the established regulations, NATO non-Black Sea ally's maritime capabilities should be smaller than the Russian Sea Fleet; also it should follow other restriction about the duration of stay. In comparison, a NATO ally, Turkey's Black Sea Fleet has same strength that of Russia.

The Montreux Convention entails, that NATO's activities in the Black Sea region are largely depended on its allies' contributions, meant Turkey, Bulgaria and Romania, included with their cooperation of NATO aspirant countries Georgia and Ukraine.

(www.globalresearch.ca)

3.5.3 Military Capabilities

From the early stages of the US-NATO-Turkey relations, Turkey strengthened its security capabilities independently from NATO for being reliable partner. After the American 'arms embargo', Turkish authorities became 'aware' of Turkey's dependence on the USA in terms of military equipment and decided to measure its security needs. For doing so, Turkey maintained its "freedom of decision and action", independent from NATO. In the 1970s, all Turkish parties represented in the parliament, all supported the idea. Afterwards, had been developed a 'new national security concept', which was aiming to develop 'domestic defense industry'. According to 'REMO' plan, Turkey would manufacture weapons on its 'land' and also modernize its armed forces. Turkey started modernizing defense structure, without NATO's assistance. "Turkey's contribution to NATO should be equal to NATO's contribution to Turkey's security and its position in NATO should not provoke its neighbors" (Uslu,

2003, p.102). On the table below is show Turkish Military Expansion through the years:

Table 2: Turkish Military Expenditure and GNP
(Billion TL)

Years	Total Military Expenditure	Military Assistance Import	GNP
1948	0.733	0.203	10.1
1949	0.712	0.156	9.3
1950	0.730	0.131	10.4
1951	0.817	0.165	12.3
1952	1.134	0.409	14.3
1953	1.318	0.491	16.8
1954	1.556	0.620	17.1
1955	1.542	0.465	21.1
1956	1.641	0.482	24.3
1957	2.090	0.824	30.5
1958	3.734	2.264	38.5
1959	3.281	1.128	47.7
1960	3.196	0.786	51.0
1961	3.468	0.750	53.7
1962	4.389	1.419	60.7

Source: F. C. Shorter, "Military Expenditures and the Allocation of Resources" in F. C. Shorter (ed.), *Four Studies on the Economic Development of Turkey*, London: Frank Cass and Co. Ltd., 1967, pp. 38-43.

Today, Turkey after the United States is the second largest military contributor to NATO with 510,000 members of army. After providing troops in Afghanistan, between 39 nations Turkey became the sixth-largest troop contributor. It also had contributed to number of important peacekeeping missions, for example in Balkans; almost 400 troops in Kosovo; and deployed planes, submarines and frigates in Libya, for the NATO-led operations.

As a dominant maritime power in the Black Sea, Turkish navy serves 'four command': "*Fleet Command*, which controls the operations of the fighting fleet, the *fast patrol boats*, the *submarines*, mine fleet and *naval air*. Particularly, Turkish navy includes "55,000 personnel, 3,000 marines, and 900 naval aviation troops. Regarding the navy operations: 23 frigates, 14 submarines, 25 fast attack craft, 32 mine warfare vessels, 47 landing ships/crafts and 25 patrol craft" (Sanders, 2014)). Responsible for the Black Sea, Bosporus, Dardanelles and Marmara Sea is 'Northern Sea Area Command'. The Turkish Naval Command has a role to defend the country from the threats coming

from the Seaside. Therefore, it is the same in the NATO case. Turkish navy is committed to participate in regional and global maritime security initiatives as well as develop its capabilities. In NATO maritime missions, Turkey is involved in NATO Response Force (NRF) Maritime Group and Operation Active Endevour, which are in its 'first group' of the maritime missions (Sanders, 2014, p. 48).

In Turkey's future plans are to enlarge its armed forces. According to Herschelman (2018), after the failed coup in July 2016, Turkish leaders dismissed 8,000 staff and it has an urgent need to fill the gaps: "The Turkish Armed Forces (TSK) will recruit more than 43,000 new military personnel. The TSK will recruit more than 9,700 military personnel: 3,761 officers and 5,992 non-commissioned officers (NCOs)".

Turkey's Air defense systems are widespread throughout its territory.

- **Incirlik Air Base** is major tactical fighter base located close to the city of Adana. There also serves rotational basis of U.S. and Europe.
- **Karamursel Air Base** is for protecting the Straits, located near of the city Izmit.
- **Ankara Air Station** for the central logistics.
- **Izmir Air Station and Cigli Air Base -** At the Izmir Air Station was placed the headquarters of NATO's allied Land Forces and the Six Allied Tactical Air Force (SIXATAF). And, USAFE tactical Airbase was in Cigli.
  (Uslu, p.103.)

In different cities of Turkey are also located ACE High communications sites, number of 12 and Storage facilities, which is the storage center for the U.S. military forces. (Uslu, p.104.)

(Source: US Military Bases Military Personnel Deployment: http://meridianintl.co)

Prior to the Crimea annexation by Russia in March 2014, Turkey had unconditional superiority on the Black Sea with it naval forces. The annexation of Crimea emerged Russia's desire of becoming hegemonic power in the region. Its increased offensive capabilities completely changed the strategic balance in the Black Sea, which threatens all other littoral countries included NATO allies Turkey, Romania and Bulgaria. Deploying Russia's naval and anti-access/area denial (A2/AD) capabilities around the Crimean Peninsula altered the balance of power in the Black Sea region. NATO faces escalated threat closer to its border. The relation between Turkey and Russia can be defined as a "struggle for regional primacy" (Mankoff, 2016). Today, the NATO alliance needs Turkey, for the same reasons like during the Cold War. NATO needs to get engaged with Turkey in the NATO framework. On 23 February 2018, the deputy Secretary General Rose Gottemoeller visited Istanbul, Turkey. At the National Defense University, she emphasized the 'vital role' of Turkey in the NATO and she called NATO membership "a mutually beneficial relationship" (Deputy Secretary General in Istanbul: Turkey is a vital member of NATO, www.nato.int).

3.6. Turkish-Russian Relations after the annexation of Crimea in 2014

Coming up Turkish-Russian relations brought Turkey some "risks and opportunities". (Evin & Kirisci & Linden, 2009). Relations between Turkey and Russia should be described in three different spheres: History, geopolitics and economics. In general, on the Ukraine-Russia crisis, Turkey supports position of the 'West', however, despite of that, Turkey didn't participated setting the sanctions against Russia by the Western countries and describes it as strategic partner. Furthermore, according to Turkish foreign policy, both Ukraine and Russia are strategic partners, and Ankara even stated, that it would play 'a mediating role' between them. Turkey estimates the case of Crimea as only a regional conflict.

Nowadays, this is a case of Crimea, but Turkish-Russian relations should be outlined through the past of their relationships, which tends to be 'changing' especially after the annexation of Crimea in 2014. Throughout the history, Turkey and Russia mainly had very tensed relationships. Since the times of Soviet Union, Turkey was always in counterbalance with Soviet and later Russian leaders. Turkish-Russian relations have improved last decade; this had been based on realization of permanent conflict disadvantages. In addition, Turkey's 'disappointment' with the EU and its integration process with the West also benefited improvement relations with Russia.

Geographically, as mentioned above Turkey has very strategic location, open seas and shortest way to the Middle East, which is particularly under Russia's interest. And in Russia's case, Turkey is interested in post-Soviet countries, where it 'tries to achieve the 'status of major stakeholder' with other states in the area'. Turkey doesn't openly challenge Russia, but at the same time, it doesn't give its geopolitical ambitions, which in fact are not compatible with Russia.

In the last several years, Turkey's economic relations with Russia have been significantly raised. The collapse of Soviet Union 'allowed' Turkey to expand its economic ties with Russia. This table shows the situation in past several years, before the descent of economy in 2009:



(Source: Evin & Kirisci & Linden, 2009)

The energy became one of the most important 'tools of connection' between two states. "Turkey, which has little in the way of hydrocarbons, imported more than 40 percent of its oil from Russia in 2009. Russia still supplies the country with about 57 percent of its natural gas" (Mankoff, 2016).

Nevertheless, there are several positions, which are contrasting Turkish-Russian interests: the political problems of some Eastern European countries and the gas transit from Iran or Central Asia through Turkey to Europe. Also, Turkey supports EU's Eastern Partnership in post-Soviet countries included Ukraine, Georgia and Moldova, as well as NATO expansion in the Black Sea region. The Russian annexation of Crimea emerged immediate threat on Turkey and Russia's increased military presence on the Black Sea challenged Turkish military capabilities. Moreover, the tensions between Russia and Turkey blustered after 'downing Russian jet' by Turkey, named 'Sukhoi Su-24M attack aircraft' on the Syrian-Turkey border on 24 November 2015. This action caused anger in Russian officials and Putin responded that it would have "serious consequences for Russian-Turkish relations." (NATO-Russia Tensions Rise After Turkey Downs Jet, www.nytimes.com). Russia immediately started providing 'sanctions' against Turkey. Russia decided to suspend 'reciprocal visa-free regime', stopped touristic travels to Turkey, which was top destination for Russian people. "Russia has banned charter flights to and from Turkey, and Russian travel firms have been told to stop selling Turkish holidays" (Turkey's downing of Russian warplane - what we know, www.bbc.com). On 28th November, president Putin

signed a decree, which would restrict imports from Turkey. This was a big hit to Turkish economy; especially fruits and vegetables are one of major imports from Turkey and Russia. “Banning or limitation of imports from Turkey, the work of Turkish companies in Russia and any Turkish nationals working for Russian companies. The government is drawing up a list of the sectors affected” (Turkey's downing of Russian warplane - what we know, www.bbc.com). After the meeting of the North Atlantic Council, the secretary general of NATO alliance Jens Stoltenberg called for “calm and de-escalation” and expressed following statement: "We stand in solidarity with Turkey and support the territorial integrity of our NATO ally" (Turkey's downing of Russian warplane - what we know, www.bbc.com). Since the year of 1950, it was the first time, that a NATO ally country has “shot down’ a Russian plane.

Few months later, Turkish President Erdogan tried to improve relations with Russia. He sent two letters to Putin and then traveled to Russia in Juan 2016. According to Kremlin statement, president Erdogan ‘apologized’ to president Putin for downing the Russian jet and expressed his regret for the death of Russian pilot. He stated, that Turkey “never had the desire or deliberate intention of shooting down the Russian federation’s plane” and he was ready ‘to do everything possible to restore friendly ties (Erdogan has apologized for downing of Russian jet, Kremlin says, www.theguardians.com). Later on, Turkey’s Anadolu state news agency reported, that Turkey’s presidential spokesman Kalin said “We are pleased to announce that Turkey and Russia have agreed to take necessary steps without delay to improve bilateral relations” (Erdogan has apologized for downing of Russian jet, Kremlin says, www.theguardians.com).

Notably, after the coup attampt in Turkey, 15 July 2015, President of Russia, Putin called Erdogan to express its solidary “earlier, than any NATO ally countries”.

In 2017, Turkey sined a deal with Russia for purchasing “Russian surface-to-air missile system S-400”. The deal worth is $2.5 billion, which can’t be compatible with “NATO’s military architecture”. (Turkey, Russia sign deal on supply of S-400 missiles, www.reuters.com). The idea caused uncertainty in Western countries and it wasn’t supported from Washington and Bruselles, since the western leaders are tring to “keep Turkey from entering Russia’s shere of influance”. At the NATO headquarter in Bruselles, officials said, that “no NATO member currently operates the Russian missile system and that the alliance had not been informed about the details of the purchase by Turkey”. Following that, Turkish president Erdogan stated: “Nobody has the right to discuss the Turkish republic’s

independence principles or independent decisions about its defense industry". In addition, he said: "We make the decisions about our own independence ourselves, we are obliged to take safety and security measures in order to defend our country" (Turkey Signs Russian Missile Deal, Pivoting from NATO, www.nytimes.com).

3.7. Turkey under AKP Leadership

From the 2000s Turkey showed signs of quickly developing and absorbing values of the international liberalism and government democracy, including economics and foreign policy. Continuing this type policy was under the "Justice and the Development Party "(AKP) governance, which proved that Islam could be compatible with democracy and that Turkey could be an example to the rest Islamic world how to be Muslim and tolerant country at the same time. "AKP was actually transforming the country towards a tolerant liberal Turkey" (p.23). This kind of imagination about the party (AKP), firstly was caused from its first program focused on human rights, civil liberties and the role of civil society. Erdogan's government was different from his predecessors who were guiding with the principles of "assertive secularism" or has the classic National Outlook movement. Secularism had been one of the main pillars of Turkish successful democratic achievements since the period of Ataturk. Despite of that, notably President Erdogan is surrounded with an idea of Islamism, depended on the Davutoglu doctrine. AKP made changes in economy policy too - it openly supported a free market economy, including its rules and institutions. Beside the domestic policy, the 'sharpest break' from the last governance was the wish of close relations with the EU. Erdogan was clearly pointing out in his party program, that he would continue efforts toward joining the EU. To be based on these facts, first decade of AKP governments was the most prosper period for Turkish people in their history. For Muslim at large (not only to conservative Turks), meant a great deal the strong faith that Islam and democracy could actually coexist, which was proved by Turkish ascending democratic policy during the past years.

3.7.1 Turkey within Transatlantic Community

From being part of the transatlantic community Turkey gained firstly in political sphere- we may call it "regional stability". During and after the Cold War NATO served to deter the Soviet and later Russian threats against Turkey. Thereafter, NATO continued to be a 'security umbrella' for Turkey had a

strategic location, but surrounded by the neighbors such as Iran, Iraq and Syria, who owned weapons of mass destruction. Being a member of the NATO alliance and having close ties with the U.S., Turkey largely developed its military capabilities. The 'Zero problems policy' promoted deepening integration with the EU. Strategically, EU membership negotiation in 2005 boosted Turkey's influence and prestige in the region, as long as Turkey was taking a role as a mediator on issues connected to other countries, including Arab-Israel conflict. Also, Turkey was an organizer of indirect talks between Israel and Syria in 2006-2008. Therefore, Turkey became more significant state in the neighborhood and was participating in many important and international issues. Besides this, being part of the transatlantic community and integration with the world economy helped increasing income levels on Turkey. World Bank's report emphasizes the role of the EU- Turkey Customs Union in upgrading Turkey's productivity and export capacity.

3.7.2 Democratic regression under AKP, failed coup in 15 July 2016.

Despite range of benefits from the West and its successful political-economic reality, Turkey occurred to be 'moving from the West'. Following the AKP's rise to power, "the fault lines between Turkey and its transatlantic allies seemed to be narrowing". According to Kirisci, (2017) "The U.S. intervention in Iraq in 2003 became a source of major conflict and instability, that has since adversely affected Turkey's interest. Growing chaos in the aftermath of the Arab Spring was one reason. Another was the domestic situation in Turkey as part of its "self". Europe's sense of its own identity may well have constituted the most significant fault line, that destined the relationship to become the troubled alliance it has".

In 15 July 2016, the failure of the coup attempt was followed with massive peoples' jailing, killing and evident democratic regression in Turkey. The CNN issued the information in numbers: "Turkey's attempted coup: By the numbers:

- At least **161** civilians killed
- **1,140** people wounded
- **6,000** people arrested
- **2,839** military officers detained
- Nearly **200** top Turkish court officials in custody, including:

- **140** members of the Supreme Court, **48** members of the Council of State
- **11** years: Erdogan's reign as Prime Minister
- **2014**: Year that Erdogan ran for President -- and won"

  (Source: Failed coup in Turkey: What you need to know, www.cnn.com).

According to the newspaper 'The Guardian', after the 'one year of traumatic coup attempt on 15 July, "50,000 people have been remanded in custody and 170,000 suspects investigated for links to the shadowy group believed to have masterminded the coup. It is a nation more divided than ever, its newspapers silenced, its opposition intimidated, and Erdoğan's power now rivals that of the republic's founder, Mustafa Kemal Atatürk" (one year after the failed coup in Turkey, www.theguardian.com).

Turkey' western allies expressed their concerns about decreasing democratic values in the country: the rule of law, human rights, addressing authoritarian approaches and actions. "The government has fired tens of thousands of public employees, Thousands of people have been incarcerated in the months after the coup without formal indictments, including hundreds of judges". (One year after the failed coup in Turkey, www.theguardian.com). NATO secretary general Jens Stoltenberg had immediately reacted and warned President Erdogan. "Being part of a unique community of values, it is essential for Turkey, like all other allies, to ensure full respect for democracy and its institutions, the constitutional order, the rule of law and fundamental freedoms" (Turkey coup attempt, www.telegraph.com). According to Salil Shetty, the organization's secretary general wrote in the Guardian "there is to be no civil society, no criticism and no accountability in Erdoğan's Turkey". (one year after the failed coup in Turkey, www.theguardian.com). Mr. Kerry in Brussels stated, "NATO had a requirement when it came to democracy and "will measure very carefully what is happening" (Turkey coup attempt, www.telegraph.com). European Union officials also alerted, that "talks on Turkey's bid to join the bloc would end if the country restored the death penalty, as Mr. Erdogan has proposed to do to deal with the plotters" (Turkey coup attempt, www.telegraph.com).

The Guardian notes "Internationally, relations have soured with the EU, with the accession negotiations frozen, and the western bloc's lack of overt support for Ankara after the coup attempt has left a sour taste. The president has repeatedly expressed his readiness to reinstate the death penalty, which would spell the end of talks" (one year after the failed coup in Turkey, www.theguardian.com).

3.7.3 "Davutoglu Doctrine"

The years of 2009 – 2016 are regarded as of pursuing Davutoglu foreign policy with "rise and fall", so called "Davutoglu Doctrine". Fundamentally, the doctrine is about Davutoğlu's 'innovative approach on geopolitics' based on "these principles:

a) Security for all;
b) Dialogue as the primary way to resolve the crisis;
c) Economic (inter)dependence;
d) Cultural coexistence and pluralism" (Pajaziti, 2012, p.48).

Despite that, the doctrine stands out with its neo-Ottomanism and Islamizm ideologies. Davutoğlu's policies had been based on "assertive position in the region, guided by a pan-Islamist ideology that predicted the Muslim Brotherhood coming to power across the region" (Kirisci, p.50). According to the Davutoğlu's statement: "Turkey should act as a central country and break away from static and single-parameter policy (Baudner, 2014). The multi-dimensionality or multi-track foreign policy corresponds with the ability to operate on different levels and on different fronts; from 'official' diplomatic relations, mainly within international and regional organizations, to 'people to people' relations mainly developed by non-state actors" (Turkish 'Zero Problems' Between Failure and Success, www.researchturkey.org).

According to Davutoglu, 'investment and trade with neighbors are important', and like an European Union's 'settings' in his doctrine he is promoting:

1. The balance between security and freedom;
2. Dialogue as a mean to resolving crisis;
3. Economic interdependence, because order cannot be achieved in a context of an isolated economy and last of all;
4. Co-existence of cultural diversity;

(Turkish 'Zero Problems' Between Failure and Success, www.researchturkey.org)

Davutoglu in his Doctrine, "Strategic Depth" – "Zero Problems with Neighbor" doesn't question the Turkey's membership in NATO, but he was trying to implement "some conditions" within being a NATO ally.

Davutoglu stated in his article, that: “During the Cold War, Turkey was a "wing country" under NATO’s strategic framework, resting on the geographic perimeter of the Western alliance. NATO’s strategic concept, however, has evolved in the post-Cold War era — and so has Turkey’s calculation of its strategic environment. Turkey’s presence in Afghanistan is a clear indication of this change. We are a wing country no longer” (Turkey’s Zero-Problems Foreign Policy, www.foreignpolicy.com). He addressed, that “The European Union and NATO are the main fixtures and the main elements of continuity in Turkish foreign policy. Turkey has achieved more within these alliances during the past seven years under the AK Party government than it did in the previous 40 years”. But, what the most significant part of it is, that despite Turkey’s success within the cooperation with western community according to Davutoglu “five operational principles of guiding Turkey’s foreign policy-making process”, his fourth principle adherences to a “multi-dimensional foreign policy”, which he explains, that “Turkey’s relations with other global actors aim to be complementary, not in competition. Such a policy views Turkey’s strategic relationship with the United States through the two countries’ bilateral strategic ties and through NATO”. But notably, he underlines, that he considers its EU membership process, however with improving “its good neighborhood policy with Russia, and its synchronization policy in Eurasia as integral parts of a consistent policy that serves to complement each other” (Turkey’s Zero-Problems Foreign Policy, www.foreignpolicy.com).

This type of foreign policy caused some insecurity in the western community. Turkey as a great example of Islamic country keeps ‘assertive face’ in its relations with western strategic partner countries. Regardless behavior of Erdogan’s leadership, Turkey remains in NATO as strategic partner and great contributor to the alliance. The annexation of Crimea by Russia, gave an ‘opportunity’ and ‘chance’ as well to Turkish leadership to impose its independent policy and try to become more influential in the Black Sea region. The ambassador of Turkey in Georgia, H.E. Fatma Ceren Yazgan notes: “NATO is going under revolutionary era after collapse of Soviet Union” (Source: interview with H.E. Fatma Ceren Yazgan).

3.8. NATO’s New Strategy

Regarding the created situation by Russia, on the southern flank NATO, the alliance should neglect domestic and foreign political problems under Erdogan’s leadership and focus on ensuring security in the Black Sea region through recognizing ‘vital role’ of Turkey. The case of geopolitical environment

in the Black Sea and increased confrontation of Russia and NATO, involve all the members of alliance and partner countries in the region as well. Russia's increased military capabilities on the Crimean Peninsula challenged the security in the region. There are two different actions on account for NATO to improve security and stability in the Black Sea: First, the Black Sea states needs NATO's influence represented 'on place in the region'; The second, addressing Alliance's interests in the region.

At the NATO Summit in Warsaw, July 2016 had been defined security issues in the Black Sea. "We will continue to address the implications for NATO of developments in the region and take them into account in the Alliance's approaches and policies. We will continue to support, as appropriate, regional efforts by the Black Sea littoral states aimed at ensuring security and stability". The leaders have decided to "contribute to the Alliance's strengthened deterrence and defense posture, situational awareness, and peacetime demonstration" in order to develop 'forward presence' in the Black Sea. For doing so, it is decided to "provide a strong signal of support to regional security and options for a strengthened NATO air and maritime presence to be assessed" (Warsaw Summit Communiqué, 2016, www.nato.int).

According to development plans, NATO's developed maritime and air presence in the Black Sea reinforce the alliance, by involving of allies' contributing forces and capabilities. The new strategy of forward presence forces are being implementing by "NATO's Very High Readiness Joint Task Force, the broader NATO Response Force, Allies' additional high readiness forces and NATO's heavier follow-on forces, if necessary".

NATO member allies agreed on new strategy to remain security in the Black Sea. After the Warsaw Summit, the Atlantic Council issued "A NATO Strategy for Security in the Black Sea Region" in October 2016. The new strategy is addressed to developments of security strategy for the Black Sea in order of supporting the 'end states' Turkey, Romania and Bulgaria of the alliance in the region. According to the new strategy, there are three major objectives:

- "Effective deterrence and credible collective defense;
- Stability and security in non-NATO regional partner nations;
- Regional economic security, such that no state has the leverage to use energy economics to coerce other states;" (A NATO Strategy for Security in the Black Sea Region, 2016, www.atlanticcouncil.com).

According to the NATO's New Black Sea Security Strategy (2016), there are following activities to be implemented depended on resources and implications:

- **The Alliance must increase its naval presence in the Black Sea.**

"Any increase in naval presence absolutely requires the commitment of ships and Aircraft by non-littoral state allies as well, which is complex due to Montreux Convention restrictions". Romania proposed naval framework and training, but Bulgaria opposed the initiative, by indicating, that the idea had 'provocative nature' and insisted more economic and touristic developments in the region.

- **The Alliance must increase NATO air missions in the region.**

The alliance is willing to increase NATO presence in the air over the waters of the Black Sea, without "encountering any of the restrictions the Montreux Convention places on naval forces.

- **NATO ground forces should provide a persistent rotational presence in the Black Sea region.**

NATO multinational Division headquarters established in Romania should "provide a structure to command and control rotational ground forces, which can conduct exercises and training in the three NATO Black Sea littoral states". In addition, NATO ground forces should also participate with non-ally partners in trainings.

- **Increase exercised and combined training events in the Black Sea region.**

This means, that non-ally partner country should adapt their trainings to the NATO standards with "NATO gaining training objectives of interoperability, command and control, and NATO standardization".

- **Focus on building Defense Capacity (BDC) for regional partners.**

It concentrates about "continuing building capacities" in partner countries: Georgia, Ukraine and Moldova.

- **Enhance strategic communications on NATO Black Sea efforts.**

This part explains, that NATO's undergoing operations and exercises should be "accompanied by a common voice in diplomatic and informational efforts".

- **Support economic and energy security with infrastructure protection tasks and missions.**

Economic security is an important issue, but especially energy security. It is explained that, energy security to be supported by NATO "by infrastructure protection missions".

- **Clarify and enhance the comprehensive approach in the Black Sea region.**

Identifying NATO interest in the Black Sea can provide finding "common ground with the EU and others and undertake a comprehensive approach to issues".

According to the New Strategy, there is "potential friction between Russia and the West in the Black Sea region. Therefore, NATO should increase its presence in the Black Sea with air, maritime and land force capabilities, "while furthering its own diplomacy and a comprehensive approach with partner nations and international organizations" (Horrell, 2016).

Furthermore, interestingly, at the Warsaw Summit in July 2016, the role of Georgia had been identified, in a sense of joining Georgia into the NATO alliance. This would provide another 'source' to balancing the Russia's aggression, and NATO expansion in the Black Sea would serve improving the strength of NATO and regional countries. Georgia is a neighbor country of Turkey and littoral state of the Black Sea. Georgia's desire becoming the member of the NATO alliance starts from several years ago.

In the NATO Warsaw Summit 'communiqué' is said: "We welcome the important progress made in implementing the Substantial NATO-Georgia Package, which we initiated at the Wales Summit". (Warsaw Summit Communiqué, 2016, www.nato.int). During last several years, "Since the war, Georgia has transformed its military. It meets the NATO standard for defense spending. Georgia has contributed thousands of troops to Iraq and Afghanistan, and hundreds of peacekeepers to the Balkans and Africa (Coffey, 2018). According to the Warsaw Summit communiqué, Georgia's preparations for membership in the Alliance: "We have agreed additional practical ways to intensify efforts. Allies will provide support to the development of Georgia's air defense and air surveillance. We will also deepen our focus on security in the Black Sea region" (Warsaw Summit Communiqué, 2016, www.nato.int).

Georgia has a strategic location in the South Caucasus for several reasons: "economic, trade-related, concerning the transit of energy to Western Europe, military and security". Despite of many challenges and threats coming from Russia, in addition Russo-Georgian war, where Georgia lots its 20% of internationally recognized territories, Georgia fulfilled all requirements to join the NATO. Georgia, with its sacrifice and contribution to the NATO is the "largest non–North Atlantic Treaty Organization (NATO) troop contributor and has suffered the most troops killed in action on a per capita basis".

According to Mr. Luke Coffey, researcher and director of Douglas & Sarah Allison Center for Foreign Policy, in his latest report of 29th January 2018, he affirms that, the year of 2018, brings chances for deepening relationships between NATO, USA and Georgia. He acknowledges, that "NATO's commitment to Georgian membership, strengthen the NATO–Georgian relationship, boost Georgia's NATO integration process, and enhance Georgia's defensive capabilities. In the long run, this would bring more stability to the South Caucasus and Black Sea regions". In additions he says, that, "Nevertheless, Georgia has been able to implement serious defense reforms and continues to participate in security operations at a rate much higher than that of many NATO members". (Coffey, 2018). Later on the Warsaw Summit, in December 2016, NATO Secretary General Jens Stoltenberg said: "Georgia has all the practical tools to become a member of NATO."

The Annexation of Crimea by Russia in 2014, its increased military capabilities of air, sea and land forces challenged the West. According to the geopolitical security environment developed in the Black Sea region, NATO started measuring and boosting NATO's presence in its east and southeast flank. For strengthening NATO's 'deterrence and defense posture', NATO enhanced 'forward presence' in Latvia, Lithuania, Estonia and Poland, also in the Black Sea region "contributed forces and capabilities on land, at sea and in the air". According to NATO statement "NATO's enhanced forward presence is defensive, proportionate, and in line with international commitments. It represents a significant commitment by Allies and is a tangible reminder that an attack on one is an attack on all" (Boosting NATO's presence in the east and southeast, www.nato.int).

Conclusion

The illegal annexation of Crimea by Russia in 2014 brought Russian border closer to the NATO, which challenged regional security issues. This action done by Russia intimidated members of alliance and gave the feeling of rising Russian influence, including witnessing the use of peninsula's geographic advantage to present hybrid war techniques. Today, the importance of Turkey in the NATO Black Sea security after the annexation of Crimea in 2014 is multilayered issue, and current developing history.

The Black Sea region, due to its strategic geopolitical location is very dynamic area, on the crossroad of Europe and Asia, connecting to each other Eastern Europe, Balkan countries, South Caucasus, Asian countries and Middle East. It also has commercial importance for transporting Caspian Oil and Gas to Europe. Crimea, which is internationally recognized territory of NATO aspirant country Ukraine is peninsula, which means that it has strategic shape pierced in the Black Sea and has strategic means for military air of naval security capabilities. In addition, Crimean Peninsula provides trade and tourism facilities, besides that it has a great value for transforming Caspian oil and Gas to Europe but for Russians it is a 'way' to the 'warm waters'. Hence, for Russia it has crucial importance because, the port of Sebastopol with its facilities connects Russia with 'short route' to the Mediterranean Sea and then to Oceans.

The Black Sea security is a region, where the power balance of Russia and NATO is occurred. As analyzed, right after the annexation, Russia used the capacity of the peninsula and increased its presence in the Black Sea. Although Russia and Ukraine had an agreement known as Kharkov Pact, and according to the Pact, Russia was leasing the Sebastopol base from Ukraine, by increasing its presence we maintain that after the annexation, Russia gained unconditional control of peninsula and 'increased' its military capabilities. Russia relocated advanced surface-to-air missiles (SAMs) and anti-ship cruise missiles (ASCMs) in Sebastopol. The SAMs and ASCMs increased Russia's Anti-Access/Area Denial (A2/AD) capability throughout the entire region. Russia installed several A2/AD systems like: S-300PM, S-400 Triumf and Pancyr missile systems and Iskander. A2/AD systems include aircraft, surface ships, submarines and 'air superiority/sea control' capabilities. Nuclear systems had already been transferred into the Black Sea and it creates major threat to the NATO and Black Sea States. The changes caused by the annexation favored Russia. NATO has 'limited access' to the Black Sea due to the restrictions by the 1936's Montreux Convention, which limits the naval

presence for non-littoral countries of the Black Sea. Notably, the Montreux Convention had been signed in 1936, and Turkey became NATO member in 1952, which means, that even if Turkey decide to let NATO naval presence for permanents patrolling in the Black Sea, the convention rules doesn't allow Turkey. The Montreux Convention has two sides different from each other for Turkey: First is, that Turkey avoids Russian military passages through the Straits of Bosporus and Dardanelles, which was the same earlier for Soviet Union; The second is that due to the restrictions, warships of non-littoral states aren't allowed to stay more than 21 days, which could strengthen Turkey's and in general security of NATO allied and aspirant countries in the Black Sea region.

In response, NATO immediately expressed its concerns towards the Crimea annexation, officially stood up for Ukraine and didn't recognize Russia's intervention and occupation of the territory of Ukraine. NATO increased presence in its east and southeast flank for strengthening NATO's 'deterrence and defense posture'. NATO enhanced so called 'forward presence' in Latvia, Lithuania, Estonia and Poland by contributing forces and capabilities on land, at sea and in the air. In addition, joining Georgia into the NATO alliance, had been reviewed at the NATO Warsaw Summit, because adding one more Black Sea littoral country in the NATO, would strengthen its role in the Black Sea region and support Turkey as well for balancing emerged threat. Georgia is a NATO aspirant country, which successfully fulfilled all NATO join requirements and has largest non-ally contribution to the Alliance.

Significant raise of military capabilities shifted the balance in favor of Russia and challenged the security of NATO in the Black Sea. This caused rising importance of Turkey in the NATO Black Sea security, owing to its military and naval force capabilities. Turkey always had been an important ally for NATO, but the annexation of Crimea, enhanced Turkey's power with regard to NATO's Black Sea security. There are three NATO member countries on the Black Sea, Turkey, Romania and Bulgaria. In the case of Crimea, we concentrate more on Turkey, because Romania and Bulgaria comparing to Turkey have much less strength and military resources. Turkey's military capabilities always had been primer on the Black Sea. Since the Cold War era and period of Soviet Union, Turkey was the one who could balance threats coming from north. Turkey promoted itself with large contribution to NATO, not only in the Black Sea, but also in different parts of the World. Turkey is the second largest troop contributor to the NATO alliance, ranked after the Unites States.

Turkey carries two major importance: geopolitical location and military capabilities. Turkey has unique geographic location on the crossroad of Europe and Asia, surrounded with several Seas and has possibility of 'short roads' to Europe, Asia, Middle East or Oceans. Turkey has the largest coastline on the Black Sea and according to the Montreux Convention, controls the both of Straits Bosporus and Dardanelles, which are the 'door' of the Black Sea. This makes Turkey the most important player in the Black Sea region. Large part of weapons Turkey manufactures at 'home'. Its modernized defense structure is equal to NATO's contribution to Turkey's security. As the most important Black Sea maritime power, Turkish navy serves "four command": 1.Fleet Command; 2.Fast patrol boats; 3.Submarines, mine fleet and 4.Naval air. Turkish navy is committed to participate in regional and global maritime security initiatives as well as develop its capabilities. In addition, Turkey has region's most important role in energy supply and energy security, for prospects of passing Caspian Oil and Gas to Europe throughout it territory. Also it has been great example of Islamic democracy in the Islamic World.

Today, we 'call' again on Turkey, because the Crimea annexation raised the perception of Turkey. There is difference between the perception and reality. Now it was an aggressive political actions came from Russia, which caused enhancing importance of Turkey. Turkey plays a vital role to the security of the alliance for the eastern flank along the NATO countries borders. Potentially, Turkey can play two roles different from each other: owning to its geopolitical position, Turkey can act as a bridge and barrier between Western countries and Russia or Middle East. Therefore, all these increase the role of Turkey in the NATO Black Sea security and in World politics as well.

Notably, despite the successful achievements associated with the West, under the leadership of Turkey's current president Erdogan and its AKP political party, Turkey had been occurred 'turning its back' to the West. After the failed coup in 15 July 2015, Turkish the repressive actions done by the permanent government, revealed regression in democratic values, rule of law and human rights. The political party of Erdogan with its accordance of the 'Davutoglu Doctrine' raised the sense of Islamism, neo-Ottomanism and attempts of becoming hegemonic power in the region. It confused the West, and warned Turkey to respect democracy and its institutions, included constitutional order and fundamental freedoms. Also, the type of Turkey's "multi-dimensional foreign policy" caused some insecurity in the western community, especially, Turkey's association with unintelligible states and organizations.

Particularly, ‘warming’ the relations with Russia and for proposals future creating joint security organization to be included Russia, China and Turkey.

Despite the challenges, under presidential leadership of Erdogan Turkey remains contentious and active partner of the West and the NATO. Before the Crimea annexation by Russia in March 2014, Turkey had unconditional superiority on the Black Sea with its naval forces. The annexation of Crimea emerged Russia’s desire of becoming hegemonic power in the region. Its increased offensive capabilities completely changed the strategic balance in the Black Sea, which threatens all other littoral countries included NATO allies Turkey, Romania and Bulgaria. Deploying Russia’s naval and anti-access/area denial (A2/AD) capabilities around the Crimean Peninsula altered the balance of power in the Black Sea region. NATO faces escalated threat closer to its border. The relation between Turkey and Russia can be defined as a “struggle for regional primacy” (Mankoff, 2016). Today, the NATO alliance needs Turkey, for the same reasons like during the Cold War.

Bibliography

Articles and Books

- Bayraklı, E. (2017). Turkey and its Transatlantic Partners in the Wider Black Sea Region: The Turkish Perspective. Transatlantic Relations.
- Bugajski, J. & Doran, P. (2016). BLACK SEA RISING Russia's Strategy in Southeast Europe. Center for European Policy Analysis.
- Coffey, L. (2018). NATO Membership for Georgia: In U.S. and European Interest. The Heritage Foundation.
- Davutoglu, A. (2012). Principles of Turkish Foreign Policy and Regional Political Structuring.
- Edwards, R. & Holland, J, (2013). *What is qualitative interviewing?* Bloomsbury Academic.
- Evin, A & Linden, R. (2009). Getting to ZER0 Turkey, Its Neighbors and the West. Transatlantic Academy.
- Felgenhauer, T. (1999). Ukraine, Russia, and the Black Sea Fleet Accords. WWS Case Study 2/99.
- Gerald, M. (2010). Crimea - geostrategic base between Balkans and the Caucasus. Academia.edu.
- Hale, W. (2012). Turkish Foreign Policy since 1774. Rutledge.
- Herschelman, K. (2018). Turkey to recruit more than 43,000 additional military personnel in 2018. Jane's 360.
- Horrell, S. (2016). A NATO Strategy for Security in the Black Sea Region. Atlantic Council.
- Isiklar, A.G. (2008). An analysis of Turkish-American relations improvement or deterioration. Monterey, California. Naval Postgraduate School.
- Isyar, O. G. (2012). An Analysis of Turkish-American Relations from 1945 to 2004: Initiatives and Reactions in Turkish Foreign Policy. Turkish Journal of International Relations.
- Kucera, J. (2015). Russia Claims "Mastery" Over Turkey in Black Sea. Eurasianet.
- Kirisci, K. (2017). Turkey and the West: Fault Lines in a Troubled Alliance. Brookings Institution Press
- Mankoff, J. (2016). Why Russia and Turkey Fight? Foreign Affairs.
- Mearsheimer, J. (2014). Why the Ukraine Crisis Is the West's Fault. Foreign Affairs.

- Montreux convention. (1936). French official text communicated by the Permanent Delegate of Turkey to the League of Nations.
- Pajaziti, A. (2012). Davutoğlu: Thinking Depth and Global Political Activism as New Grand Strategy. South East European University, Tetovo.
- Rogan, A. (2017). Black Sea Security Brief. Atlantic Treaty Association.
- Salmoni, B. (2012). An analysis of the 1964 Johnson Letter lessons for the 2003 Iraq crisis, Turkish-American relations, and global-power regional partner interactions. Monterey, California. Naval Postgraduate School.
- Sanders, D. (2014). Maritime Power in the Black Sea. Routledge
- Triantaphyllou, D. (2011). Ukraine's Place and Role in the Black Sea Region. Ukrainian Center for Economic and Political Studies.
- Toucas, B. (2017). NATO and Russia in the Black Sea: A New Confrontation? Center for Strategic and International Studies.
- Uslu, N. (2003). The Turkish – American Relationship between 1947 and 2013. Nova Science Publisher. New York.
- Waltz, K. (2003). Realist Thought and Neorealist Theory. Journal of International Affairs. EBSCO Publishing.
- Yin, R. K. (1984). Case Study Research: Design and Methods. Sage Publications.

Internet Sources

- A NATO Strategy for Security in the Black Sea Region
  http://www.atlanticcouncil.org/publications/issue-briefs/a-nato-strategy-for-security-in-the-black-sea-region
- A Short History of NATO
  https://www.nato.int/cps/su/natohq/declassified_139339.htm
- Boosting NATO's presence in the east and southeast
  https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm?selectedLocale=en

- Failed coup in Turkey: What you need to know
  https://edition.cnn.com/2016/07/18/middleeast/turkey-failed-coup-explainer/index.html
- NATO on the Map

https://www.nato.int/nato-on-the-map/#lat=41.7151377&lon=44.82709599999998&zoom=0

- NATO relations with Russia
  https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50090.htm
- NATO-Russia relations: the facts
  https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_111767.htm?selectedLocale=en#cl506
- One year after the failed coup in Turkey, the crackdown continues
  https://www.theguardian.com/world/2017/jul/14/one-year-after-the-failed-coup-in-turkey-the-crackdown-continues
- Partnership for Peace Programme
  https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50349.htm
- Putin submits proposals on denouncing some Russia-Ukraine agreements on Black Sea Fleet
  http://tass.com/russia/725725
- Relations with Ukraine
  https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_37750.htm?selectedLocale=en#
- Russia's naval task force: Power play or just theatre?
  http://www.bbc.com/news/world-europe-37704028
- Russia, Ukraine agree on naval-base-for-gas deal
  http://edition.cnn.com/2010/WORLD/europe/04/21/russia.ukraine/index.html
- State Duma approves denunciation of Russian-Ukrainian agreements on Black Sea Fleet
  http://tass.com/russia/725964
- Turkey, Russia sign deal on supply of S-400 missiles
  https://www.reuters.com/article/us-russia-turkey-missiles/turkey-russia-sign-deal-on-supply-of-s-400-missiles-idUSKBN1EN0T5
- Turkish ‘Zero Problems’ Between Failure and Success
  http://researchturkey.org/turkish-zero-problems-between-failure-and-success/#_edn10
- Turkey coup attempt: Risk of NATO suspension as Erdogan's purge intensifies
  http://www.telegraph.co.uk/news/2016/07/18/turkey-coup-attempt-istanbul-deputy-mayor-shot-in-the-head/
- Turkey Signs Russian Missile Deal, Pivoting from NATO
  https://www.nytimes.com/2017/09/12/world/europe/turkey-russia-missile-deal.html
- Turkey’s Zero-Problems Foreign Policy

http://foreignpolicy.com/2010/05/20/turkeys-zero-problems-foreign-policy/

- Ukraine crisis: an essential guide to everything that's happened so far https://www.theguardian.com/world/2014/apr/11/ukraine-russia-crimea-sanctions-us-eu-guide-explainer
- Warsaw Summit Communiqué, (2016) https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm
- What is NATO? https://www.nato.int/nato-welcome/index.html

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელენე ცხომელიძე

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გავლენა საქართველოსა და მოლდოვაზე შედარებითი ანალიზი

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ სამხარაძე
ასისტენტ–პროფესორი

თბილისი
2017

ანოტაცია

ნაშრომი „ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის საქართველოსა და მოლდოვაზე - შედარებითი ანალიზი„ მიზნად ისახავს, ქვეყნების ევროპეიზაციის პროცესში განსხვავებების იდენტიფიცირებასა და ამის განმაპირობებელი ფაქტორების დადგენას. თემის აქტუალურობა განპირობებულია, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ბოლო პერიოდში ლიდერი ქვეყნის სტატუსის ცვლილებით, რაც გულისხმობს ევროავშირის მიერ „წარმატების ისტორიად“ მოლდოვის ნაცვლად, საქართველოს აღქმას.

შესაბამისად, ნაშრომი დაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილია მოლდოვასა და საქართველოზე ევროპეიზაციის პროცესის გავლენების შედარებითი ანალიზი. რის საფუძველზეც იკვეთება, რომ მოლდოვისა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი საგრძნობლად განსხვავდება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, რაც საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაში, დღის წესრიგით გათვალისწინებული ვადებისა და ევროპული ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისი რეფორმების განხორციელებაში გამოიხატება.

კვლევის მეორე ნაწილი, ევროპეიზაციის პროცესში ადგილობრივი სტრუქტურებისა და იდენტობის პოლიტიკის მნიშვნელობის დადგენაზეა მიმართული. ევროკავშირის მხარდაჭერისა და ადგილობრივი სტრუქტურების ანალიზისა და შედარების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ევროკავშირის დონიდან წამოსული სტიმულები არ განაპირობებს ევროინტეგრაციის პროცესს, არამედ უტოვებს დიდ გავლენას ადგილობრივ ინსტიტუტებსა და აქტორებს. საქართველოსა და მოლდოვის შემთხვევაში მართველმა ელიტებმა განახორციელეს ევროინტეგრასიისადმი მიმართული პოლიტიკა, მათი იდენტობებისა და ინტერესების გათვალისწიენბის საფუძველზე, რაც შეესაბამებოდა ქვეყნების პოლიტკური სისტემების, საზოგადოების დამოკიდებულებებისა და სეპარატისტული რეგიონების პრობლემის მახასიათებლებს. მოლდოვის შემთხვევაში, ადგილობრივი სტრუქტურების ცვლილების შედეგად, შეიცვალა პოლიტიკური ელიტების იდენტობა და ინტერესები ევროკავშირთან მიმართებაში, რამაც განაპირობა ევროინტეგრაციის პროცესის დინამიკის ცვლილება და მოლოდვის მიერ ევროკავშირის ნორმებთან და აღებულ ვალდებულებეთან შეუსაბამო პოლიტიკის გატარება.

Elene Tskhomelidze

Abstract

The study "**European Union Eastern Partnership politics impact on the republic of Moldova and Georgia – Comparative analysis**" aims to identify the differences in the Europeanization process in the countries and factors that determine this process. Relevance of the topic is conditioned by the recent changes in Eastern Partnership region on the status of the leader, Nowadays, the perceived "success story" of the region became Georgia, instead of Moldova.

Accordingly, the work is divided into two parts. The first part provides a comparative analysis of the effects of Europeanization process in Moldova and Georgia. The study finds, that the process of European integration in Moldova and Georgia significantly differs in the political and economic fields, which is finally reflected in the implementation of the reforms within the timelines set in the agenda, with the engagement of international and civil society, and in accordance with European norms and values.

The second part of the research addresses the importance of local structures and identity politics in the process of Europeanization. Analysis and comparison of EU support and local structures have shown that the incentives from the EU level do not induce the europeanization process, but leave a great influence to the domestic institutions and actors. Given the example of Georgia and Moldova, the elites have implemented the policy towards European integration, based on their identities and interests, which complied with the characteristics of the political systems of countries, public attitudes and the problems of separatist regions. In the case of Moldovan, as a result of changes in local structures, the identity and interests of political elites in relation to the European Union have changed, which led to a change in the dynamics of the Europeanization process and leading to the implementation of irrelevant policies to EU commitments.

<u>შინაარსი</u>

შესავალი

1. კვლევის დიზაინი 5

1.1.ტერმინთა განმარტება 8

1.2.თეორიული ჩარჩო/ კვლევის მეთოდები 10

1.3.ლიტერატურის მიმოხილვა 14

2. **აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა, როგორც ევროპეიზაციის პროცესი 20**

2.1.ვროპეიზაციის გავლენის შედარება 24

2.2.*პოლიტიკური ასოცირება 24*

2.3.*ეკონომიკური ინტეგრაცია 34*

2.4.*კავშირის გაღრმავება 39*

2.5.*მობილობა 43*

3. **წარმოქმნილი განსხვავებების ახსნა 45**

3.1.ევროკავშირიდან მომდინარე სტიმულები 45

3.2.ადგილობრივი სტრუქტურები 47

3.2.1. პოლიტიკური სისტემა 49

3.2.2. საზოგადოების აზრის ანალიზი 53

3.2.3. სეპარატისტული რეგიონების გავლენა 58

3.3.პოლიტიკური ელიტების იდენტობა და ინტერესები 34

4. **თეორიულ ჩარჩოსთან მისადაგება 72**

5. **დასკვნა 74**

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა, რეგიონში დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების საფუძველზე, ხშირად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის წარმატების მაგალითად აღიქმება. აღნიშნული წარმატების გამოვლინებაა 2014 წელს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანას შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება გახდა, რომელმაც ამავე დროს ნათელი გახადა, რეგიონის ქვეყნებში ევროპული ინტეგრაციის პროცესის განსხავებული შედეგები. აღნიშნული განსხვავებების წარმოქმნის საფუძველზე, სულ უფრო აქტუალური გახდა ქვეყნებისათვის დიფერენცირებული პოლიტიკის ჩამოყალიბების საჭიროება და სწორედ ამ პერიოდში გაიზარდა ინტერესი რეგიონის წარმატებულ ქვეყნებზე ევროკავშირის პოლიტიკის გავლენის მიმართ, რაც მოლდოვის, საქართველოსა და უკრაინის ევროინტეგრაციის პროცესის კვლევას მოიცავს.

აღნიშნული თემით ჩემი დაინტერესება, ასევე განპირობებულია ევროკავშირის მხრიდან რეგიონის ქვეყნებისადმი წარმატების ისტორიად ჯერ მოლდოვის, ხოლო ბოლო პერიოდში საქართველოს მოხსენიება. აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შემუშავებიდან, ქვეყნებთან ასოცირების შეთანხმების დადებამდე რეგიონში რეფორმებისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ლიდერად მოლდოვა აღიქმებოდა, თუმცა ვითარება შეიცვლა და 2017 წლის ბრიუსელის სამიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დღეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერ ქვეყანად რეგიონში საქართველო მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა იმ ფაქტორების დადგენა, რის საფუძველზეც მოხდა მოცემული სტატუსის ცვლილება და რამ განაპირობა ევროპეიზაციის პროცესის განსხვავებული გავლენა ორი ქვეყნის პოლიტიკაზე.

1. კვლევის დიზაინი

კვლევის მიზანია: საქართველოსა და მოლდოვაში აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკისა და ევროპეიზაციის პროცესის სიღრმისეული შეფასება, ორი ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის შედარება და ძირითადი განსხვავებების

იდენტიფიცირება, ევროპეიზაციის პროცესში წარმოქმილი განსხვავებების განმაპირობებელი ფაქტორების დადგენა. ერთი მხრივ ადგილობრივი სტრუქტურების, პოლიტიკური ელიტების იდენტობასა და ინტერესებზე გავლენისა და მეორე მხრივ ჩამოყალიბებული იდენტობებისა და ინტერესების ევროპეიზაციის პროცესზე გავლენის დადგენაა.

ნაშრომში განხილული იქნება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გავლენა რეგიონის ორ ქვეყანაზე, კერძოდ საქართველოსა და მოლდოვაზე. წარმოდგენილი გავლენის შეფასება მოხდება, 2009 წლიდან, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შემუშავების დროიდან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ბოლო სამიტამდე 2017 წლის ნოემბრამდე პერიოდში.

ზემო ხსენებულიდან გამომდინარე, ნაშრომში განვიხილავ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში საქართველოსა და მოლდოვაში განხორციელებულ რეფორმებსა და მიღწეულ შედეგებს ოთხი მიმართულებით, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტულ სფეროებს, კერძოდ:

1. ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები;
2. სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობის დამყარება;
3. ურთიერთკავშირების გაძლიერება, სექტორული თანამშრომლობის გაღრმავება;
4. მობილობა და ხალხთა შორის ურთიერთობების განვითარება (Eastern Partnership, 2016).

აღნიშნული 4 მიმართულებით აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გავლენის შეფასებისას და ქვეყნებს შორის წარმატებებისა და გამოწვევების შედარების საფუძველზე, დავადგენ იმ ძირითად ფაქტორებს, რაც განაპირობებს რეგიონის ქვეყნებში „წარმატების ისტორიის“ სტატუსის დამკვიდრებასა და ქვეყნის რეგიონში ლიდერად აღქმას. ნაშრომის მეორე ნაწილში, განხილული იქნება მოცემული განსხვავების წარმოქმნის განმაპირობებელი ფაქტორები.

<u>საკვლევი კითხვა:</u> რა განსხვავებაა მოლდოვასა და საქართველოში მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესებს შორის? რა ფაქტორები განაპირობებს მოცემული განსხვავების წარმოქმნას? და რა გავლენა აქვს ადგილობრივ სტრუქტურებსა და იდენტობის პოლიტიკას ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების წარმოქმნაზე?

<u>ჰიპოთეზა</u>: მოლდოვასა და საქართველოს ევროეიზაციის პროცესი საგრძნობლად განსხვავდება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, რაც ინტეგრაციის პროცესში, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაში, დღის წესრიგით გათვალისწინებულ ვადებსა და ევროპული ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისი რეფორმების განხორციელებაში გამოიხატება.

ქვეყნებს შორის წარმოქმნილი განსხვავებები, განპირობებულია ადგილობრივი სტრუქტურის გავლენით ეროვნული ელიტების იდენტობაზე და ინტერესებზე, რის საფუძველზეც ხდება ევროინტეგრაციის მიმართულებით მათი პოლიტიკის ჩამოყალიბება.

<u>დამოკიდებული ცვლადი:</u> პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით რეფორმების დროული, ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი განხორციელება.

<u>დამოუკიდებელი ცვლადი:</u>

- ადგილობრივი სტრუქტურები: პოლიტიკური სტრუქტურა, საზოგადოების დამოკიდებულება და სეპარატისტული რეგიონების პრობლემა.
- პოლიტიკური ელიტების იდენტობა და ინტერესები.

წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვანია ევროპეიზაციისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის კვლევის სფეროსათვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და მოლდოვაში ევროპული ინტეგრაციის შედეგების კვლევის ყოვლისმომცველი ანალიზი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არსებულ ლიტერატურაში. ლიტერატურის გაცნობის შედეგად, დავრწმუნდი, რომ ამ მიმართულებით ევროინტეგრაციის პროცესის გავლენის შეფასების და შედეგების

გამომწვევი მიზეზების ანალიზის ნაკლებობაა. ასევე, ხაზგასასმელია, რომ უფრო ფართო ევროპეიზაციის კვლევების მიმართულებით, აქცენტი ძირითადად ევროკავშირის, წევრ და აპლიკანტ ქვეყნებზეა გაკეთებული, მაშინ როდესაც ნაკლებია კვლევები ევროკავშირის სამეზობლო სახელმწიფოებთან მიმართებით.

ნაშრობის მნიშვნელობა ევროპეიზაციის კვლევებში იდენტობის პოლიტიკის როლის დადგენიდან გამომდინარეობს. ევროპეიზაციის კვლევებში, ძირითადად ლიტერატურა მიმართულია ევროკავშირისა და სხვა ქვეყნებიდან მომდინარე სტიმულებისა და გავლენების ანალიზზე. ხოლო აღნიშნულ ნაშრომში, ხაზგასმულია ქვეყნის შიდა დონეზე არსებულია მახასიათებლებისა და პოლიტიკური ელიტების იდენტობების მნიშვნელობა. შესაბამისად, ნაშრომი მიზნად ისახავს, ზემოთ ხსენებული მიმართულებებით აკადემიური ლიტერატურის დეფიციტის შევსებას.

1.1. <u>ტერმინების განმარტება</u>

ევროპეიზაცია – მოცემული ტერმინის განმატრებისათვის გამოვიყენებ კლაუდიო რადაელის მიერ 2003 წელს შემუშავებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც ევროპეიზაცია წარმოადგენს „ფორმალური და არაფორმალური წესების, პროცედურების, პოლიტიკის პარადიგმების, მახასიათებლების, „კეთების გზების“ და გაზიარებული რწმენებისა და ნორმების ა)ჩამოყალიბების, (ბ) გავრცელების და (გ) ინსტიტუციონალიზაციის პროცესს, რომელიც პირველ რიგში განსაზღვრული და კონსოლიდირებულია ევროკავშირის საჯარო პოლიტიკაში, და მხოლოდ ამის შემდეგ არის ათვისებული შიდა დისკურსის, იდენტობი, პოლიტიკური სტრუქტურისა და საჯარო პოლიტიკის ლოგიკაში“. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის გავლენა ეროვნულ პოლიტიკაზე უკვე ხუთ ათწლეულს ითვლის, და მიუხედავდა იმისა, რომ დღეს არსებული აკადემიური ინტერესი ევროპიზაციის პროცესი მიმართ, სცდება ადგილობრივ დონეზე ევროკავშირის გადაწყვეტილებების განხორციელების პროსესის და მექანიზმების კვლევას, აღნიშნული სფერო წარმოადგენს ევროპეიზაციის პროცესის ერთერთ მიმართულებას (Saurugger & Radaelli, 2008). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნაშრომში ევროპეიზაციის კონცეფციის გამოყენებისას,

გათვალისწინებულ იქნება გარე სამყაროზე (არა წევრ ქვეყნებზე) ევროინტეგრაციის პროცესის შედეგების კვლევაა.

ადგილობრივი სტრუქტურა წამოადგენს პოლიტიკის ფუნდამენტური ინსტიტუტებისა და ნორმების ერთობლიობას. ინსტიტუტების მოიცავს თამაშის ძირითად წესებს, რაც განსაზღვრულია პოლიტიკური ძალების როლებით, ძალითა და ვალდებულებებით. ხოლო სოციალური ნორმები, ან რწმენები და ღირებულებები მოიცავს საზოგადოების კულტურას, რაც გულისხმობს, საზოგადოების რწმენებსა და ღირებულებებს საკითხთან დაკავშირებით. (Meiser, 2015, p.9-10) ტანილ განზეს განსაზღვრებით, ადგილობრივი სტრუქტურა შედგება ადგილობრივი ინსტიტუტების, წესების, ნორმების, ღირებულებებისა და პოლიტიკური კულტურისაგან (Tanil, 2014).

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსი, ევროინტეგრაციის პროცესის პროგრესის ინტერპრეტაციას ისახავს მიზნად და ამისათვის ორ განსხვავებულ პროცესს აანალიზებს, პირველი ევროკავშირსა და რეგიონის ქვეყნებს შორის კავშირის ზრდას მოიცავს, ხოლო მეორე ინსტიტუციების, კანონმდებლობის და პრაქტიკის მიმართულებით არსებულ დაახლოებას და გამოყოფილია შეფასების სამი მიმართულება:

- კავშირი: ზრდადი პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური კავშირი, თითოეულ ეაპ-ის ქვეყანასა და ევოკავშირს შორის.
- დაახლოება: ეაპ-ის სტრუქტურების და ინსტიტუტების ევროკავშირის სტანდარტეისა და მოთხოვნების შესაბამისად განვთარება.
- მართვა: ევროინტეგრაციის პროცესსის კოორდინირებაზე პასუხისმგებელი სტრუქრურების ანალიზი. (European Integration Index, 2011)

იქიდან გამომდინარე, რომ კავშირი და დაახლოება, ევროინტეგრაციის პროცესის მრავალ-დონიან და მრავალ-სექტორულ მიმართულებას ასახავს, ის ასევე მოიცავს სამოქმედო გეგმების, ასოცირების დღის წესრიგის და პროგრესის

ანგარიშების სტრუქტურებს. შესაბამისად, ნაშრომშიც მოცემულ ორ ძირითად მიმართულებას გამოვიყენებ.

1.2.თეორიული ჩარჩო: სოციალური კონსტრუქტივიზმის შერწყმის თეორია

აღნიშნულ ქვეყნებზე ევროინტეგრაციის პროცესის გავლენის ანალიზისათვის გამოვიყენებ სოციალური კონსტრუქტივიზმის შერწყმის თეორიას (The Social Constructivist Fusion Perspective). მოცემული თეორია ევროპეიზაციის პროცესის, ეროვნულ ელიტებზე (პოლიტიკის შემქმნელებზე) გავლენის ახსნასა და ანალიზს მოიცავს. თეორიის მიზანია, იდენტობის პოლიტიკის როლის ახსნა, პოლიტიკური ელიტების მიერ ევროკავშირის აღქმისა და შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

სოციალური კონსტრუქტივიზმისა და შერწყმის პერსპექტივის გაერთიანება, შესაძლებელს ხდის, ნებისმიერი წევრი ან არაწევრი ქვეყნის, პოლიტიკის შემქმნელების იდეებზე, იდენტობაზე, ინტერესებსა და მოქმედებებზე (საგარეო პოლიტიკა), ეროვნული და ევროკავშირის სტრუქტურების გავლენის ანალიზის საფუძველზე, ევროკავშირის მიმართ ეროვნულ პოლიტიკაში ცვლილებისა და სიმტკიცის ახსნას. თეორიის მიხედვით, ეროვნული ელიტების პოლიტიკის შექმნის ანალიზისას გასათვალისწინებელია, არამხოლოდ ინტერესები და პრიორიტეტები, ასევე იდენტობის საკითხები. ნებისმიერ ეროვნულ კონტექსტში იდეები, იდენტობა და ევროკავშირისა და საკუთარი ქვეყნის აღქმა, გავლენას ახდენს ევროკავშირის მიმართ პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

თეორიის მიხედვით, ევროკავშირის დონიდან მომავალი სტიმულები არ განსაზღვრავს ინსტიტუციური ცვლილების კონკრეტულ ფორმას, არამედ ტოვებს დიდ ადგილს ადგილობრივი აქტიორებისა და ინსტიტუტების გავლენისათვის: სამთავრობო ელიტები ირჩევენ კონკრეტულ პოლიტიკას, პოლიტიკურ ხედვასა, სტრატეგიებსა და განსაზღვრულ ინტერესებს, რადგან ისინი შესაბამისობაშია უფრო ზოგად, ღრმა და კოლექტიურად არსებულ იდეებსა და დისკურსთან.

ეროვნული ლიდერები, ევროკავშირთან ინტეგრაციას ერთიან სურათს ხედავენ სამი ძირითადი მიმართულების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შესრულების შერწყმას, პოლიტიკურ შერწყმას და სტრუქტურულ შერწყმას. შესრულების შერწყმა - აღსანიშნავია, რომ ელიტები ხშირად ევროკავშირში გაწევრიანების მიზანს, არა ნორმატიული ერთიანი ევროპის ხედვის არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მიხედვით განსაზღვრავენ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სარგებლის მოლოდინი მცირე ან საეჭვოა, ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაც იცვლება. პოლიტიკური შერწყმა - შესრულების შერწყმის შედეგების დაცვისათვის, მთავრობები ემხრობიან ზესახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღების სისტემას რომელიც ასევე უზრუნველყოფს, უფრო ამბიციური პოლიტიკური დღის წესრიგის გათვალისწინებას. სტრუქტურული შერწყმა - ზემოთ განხილული ფაქტორების გათვალისწინებით სახელმწიფო აღიქვამს ევროკავშირს სტრუქტურულ ერთობად, რომელშიც მთავრობების მიერ ჩადებული საჯარო რესურსი გაზიარებულია წევრებს შორის საერთო მიზნების მიღწევისათვის. ეს გულისხმობს, რომ ეროვნული ელიტების როლი ერთიანდება და არა უქმდება ევროკავშირთან ინტეგრაციის საფუძველზე.

თეორიის მიხედვით, ეროვნული ელიტების გადაწყვეტილებებზე გარდაუვალია, როგორც შიდა, ასევე ევროკავშირის სტრუქტურების გავლენა, თუმცა განსხვავებულია გავლენის დონეები. შესაბამისად გასათვალისწინებელია, ქვეყნებს შორის განსხვავებები, ევროკავშირის ჩართულობის დონე და განსხავებული შიდა პირობები. ხაზგასასმელია, რომ ნაშრომში აქცენტს ქვეყნების შიდა დონეზე არსებულ განსხვავებებზე გავაკეთებ, რადგან ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტრუმენტები ორივე ქვეყნის მიმართ მსგავსია.

ძირითადი თეორიული ვარაუდებია: 1. სტრუქტურები ნორმებისაგან შედგება, რომელიც აქტორების ქმედების გაზიარებულ და კოლექტიურ გაგებაზე არის დაფუძნებული; 2. მოცემული სოციალური სტრუქტურები, ორმხრივ ურთიერთობაშია იდენტობასა და ინტერესებთან, 3. აქტორების ინტერესები ძირითადად იდეებისაგან შედგება; 4. აქტორების ქმედებები (საგარეო პოლიტიკური

პრიორიტეტები) მათი იდეებისა და იდენტობების მიერ განისაზღვრება, რომლებიც ასევე ორმხრივ ურთიერთობაშია სტრუქტურულ შეზღუდვებთან.

ხოლო, თეორიის ძირითად ბლოკებია: 1. იდეები/ინტერესები და იდენტობები; 2. ეროვნული ელიტები; 3. პოლიტიკის განხორციელება.

მესამე დაშვების მიხედვით, ეროვნული ელიტების იდენტობები და ხედვები, გავლენას ახდენს მათ მიერ ევროკავშირის აღქმაზე, რაც მათი ცვლილების შედეგად, ევროკავშირისადმი დამოკიდებულების ცვლილებას იწვევს.

მეოთხე დაშვების მიხედვით, ევროპეიზაციის პროცესი, ეროვნულ ელიტებზე გავლენას იდეოლოგიური სოციალიზაციის პროცესის საფუძველზე ახდენს (Tanil, 2014).

აღნიშნული თეორიიდან ჩემს ნაშრომში გამოყენებულია ორი ჰიპოთეზა:

- ადგილობრივი სტრუქტურები (ნორმები, ღირებულებები და სხვა) გავლენას ახდენს ეროვნული ელიტების იდენტობებსა და ინტერესებზე.
- ეროვნული ელიტების იდენტობები და ინტერესები გავლენას ახდენს ევროკავშირის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკაზე.

1.3. <u>მეთოდოლოგია</u>

ნაშრომის მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ გამოყენებული იქნება კვლევის თვისებრივი მეთოდები, რადგან კვლევა მოითხოვს სხვადასხვა წყაროების სიღრმისეულ შესწავლასა და ანალიზს. სწორედ აღნიშნული მეთოდის საშუალებით ყალიბდება და შემდგომ ვითარდება კვლევაში ჩამოყალიბებული ლოგიკური კავშირი.

ნაშრომში გამოყენებულია შედარებით ანალიზი, საქართველოსა და მოლდოვაში ევროპეიზაციის პროცესის შეფასებისა და მიღწეული შედეგების გამომწვევი ფაქტორების ანალიზისათვის. მასალის განხილვისთვის გამოვიყენებ, როგორც კონტენტ-ანალიზის, ისე დისკურს-ანალიზის მეთოდები.

ძირითადად დავეყრდნობი პირველად და მეორად წყაროებს, გამოვიყენებ ქვეყნების ოფიციალურ დოკუმენტებსა და ანგარიშებს, ლიდერების გამოსვლებსა და ინტერვიუებს, ასევე ევროკავშირის ანგარიშებს ასოცირების დღის წესრიგის

განხორციელების შეფასებაზე. მნიშვნელოვან, მეორად წყაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსი წარმოადგენს, რომელსაც გამოვიყენებ 2009-2014 წლებში საქართველოსა და მოლდოვის ევროინტეგრაციის პროცესის ანალიზისათვის. რეგიონში წარმატების მაგალითის სტატუსის ცვლილებისა და ქვეყნების პოზიციების დადგენისათვის გავაანალიზებ ლიდერების გამოსვლებსა და ოფიციალურ კომენტარებს.

<u>მოლდოვისა და საქართველოს შემთხვევების შერჩევის დასაბუთება:</u>

იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა მიმართულია ევროპეიზაციის პროცესზე ადგილობრივი ფაქტორების გავლენის კვლევაზე, მოცემული ორი ქვეყნის გამოყოფა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა:

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ორი ბანაკად დაიყო, ერთის მხრივ საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, ქვეყნები, რომლებმაც მნიშვნელოვნად განავითარეს თანამშრომლობა და ინტეგრაცია ევროკავშირთან, ხოლო მეორე მხრივ აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსი, რომელთა თანამშრომლობა ევროკავშირთან ნაკლებად წარმატებულია.

მეორე ფაქტორი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებია, უკრაინაში კრიტიკული უსაფრთხოების გამოწვევების არსებობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ქვეყნის შედარება დანარჩენ წარმატებულ პარტნიორებთან. მოცემული გამოწვევები, განასხვავებს მის შემთხვევას მოლდოვისა და საქართველოს მაგალითებისგან, სადაც ევროინტეგრაციის პროცესი მეტნაკლებად მსგავსი მიმართულებით მიმდინარეობდა.

ასევე, ორი ქვეყნის არჩევა განპირობებულია მსგავსი საბაზისო მონაცემების გათვალისწინებით, რაშიც ვგულისხმობ, პირველ რიგში საერთო წარსულისა და ერთი რეგიონის (პოსტ-საბჭოთა სივრცე) ნაწილად ქვეყნების აღქმას, ევროკავშირის მხრიდან ერთიანი პოლიტიკის ქვეშ ქვეყნების მოქცევას, ურთიერთობის გაღრმავების მსგავსი ინსტრუმენტების გამოყენებას, ასევე მოცემულ პერიოდში ორივე ქვეყნის

პროევროპული საგარეო პოლიტიკური კურსის ერთგულებას, რაც ლეგიტიმურობას მატებს მოცემულ ქვეყნებში განვითარებული პროცესების შედარებას.

1.4.ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა დაყოფილია ორ ნაწილად, რადგან მიზანშეწონილად მიმაჩნია პირველ რიგში აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გარშემო არსებული მნიშვნელოვანი კვლევების განხილვა, ხოლო მეორე მხრივ ევროპეიზაციისა და ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით არსებული ლიტერატურის ანალიზი და იმ ძირითადი თეორიული ჩარჩოების განხილვა, რაც ევროპეიზაციის კონცეფციასთან არის დაკავშირებული.

<u>აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა</u>

საქართველოსა და მოლდოვაზე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გავლენის დადგენის პროცესში აუცილებელია, იმ ძირითადი კვლევების ანალიზი რაც ამ მიმართულებით არსებობს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მკვლევარები განსხვავებულად აფასებენ ევროპეიზაციის პროცესს ევროკავშირის სამეზობლოში. კვლევების დიდ ნაწილში ყურადღება ევროკავშირიდან მომდინარე სტიმულებსა და მოქმედებებზეა გამახვილებული, შესაბამისად გავლენაც ძირითადად საერთაშორისო დონეზე არსებული ფაქტორებით არის ახსნილი, მკვლევართა მეორე ნაწილი კი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ევროპეიზაციის პროცესის განხილვისას, აქცენტს შიდა დონეზე არსებულ ფაქტორებსა და გარემოებებზე აკეთებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, ევროკავშირის სამეზობლოში ევროპეიზაციის პროცესის კვლევისას, ევროპული პოლიტიკის კვლევების ცენტრის (CEPS) მიერ გამოცემული ნაშრომია „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შეფასება: ლიტერატურის პერსპექტივები“. წარმოდგენილ ანგარიშში განხილულია, 2011 წლის შემდეგ, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაზე გამოქვეყნებული ძირითადი ლიტერატურა. მიმოხილვის მიზანი იმ ძირითადი ფაქტორების გამოყოფაა, რომელიც გავლენას ახდენს სამეზობლო პოლიტიკის ეფექტურობასა და გავლენაზე. ამ მიმართულებით, ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ავტორი გამოყოფს 6

ძირითად ფაქტორს: პირობითობა და სოციალიზაცია, ინტერესები და ღირებულებები, საკუთრება და შიდა ვითარება, ENP–ს ხილვადობა და აღქმა, გარე ფაქტორების გავლენა და თანმიმდევრობა. როგორც უკვე აღინიშნა ბევრი მკვლევარი ევროკავშირიდან მომდინარე პირობითობასა (conditionality) და ძირითადად ევროკავშირის მიერ დემოკრატიის გავრცელებაზე აკეთებს აქცენტს. წარმოდგენილი ლიტერატურის მიხედვით, პირობითობის მექანიზმი დემოკრატიზაციის პირობებში შეზღუდულია, რაც ხშირად განპირებებულია ევროკავშირის პირობების განუსაზღვრელობით, არასაკმარისი სიმტკიცითა და პოლიტიკური ნებით, ასევე იმ გარემოებით, რომ ხშირად მისი შემოთავაზებები არ ემთხვევა პარტნიორების მოლოდინებს. ასევე ლიტერატურის დიდი ნაწილი აქცენტს ევროკავშირის ინტერესებისა და ღირებულებების დაპირისპირებაზე აკეთებს. ამ მიმართულებით, ENP ხშირად ევროკავშირის უსაფრთხოების ინტერესების გამოვლინებად აღიქმება. აღსანიშნავია, რომ განხილულ ლიტერატურაში კონსესუსია, იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინების ნაკლებობა ENP–ს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. შემდეგი ფაქტორი რომელიც ENP–ს ეფექტურობის განმსაზღვრელია პარტნიორების მიერ მოცემული პოლიტიკის აღქმაა. მაგალითისათვის მიუხედავად დადებითი დამოკიდებულებისა ევროკავშირის მიმართ, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა არ შეესაბამება ქვეყნების მოლოდინებს. რაც შეეხება ბოლო საკითხს, გარე ფაქტორების გავლენის პრობლემებად ლიტერატურაში უფრო ხშირად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოიკვეთება და ძირითადად ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობასა და ადგილობრივ პოლიტიკაზე მისი გავლენის ანალიზზეა დაფუძნებული. (Blockmans et al. 2017) აღნიშნული ნაშრომის განხილვა მნიშვნელოვანი იყო მოცემული კვლევისათვის, რადგან სფეროში არსებული ძირითადი ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გამოყო ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც, შეიძლება გამოყენებულ იქნას აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გავლენის ამხსნელად საქართველოსა და მოლდოვის შემთხვევაში. ხაზგასასმელია, რომ ავტორის მიერ განსაზღვრულ

ფაქტორებში ძირითად როლს მაინც საგარეო დონიდან მომდინარე იმპულსები თამაშობს, მაშინ როდესაც ადგილობრივი მახასიათებლები შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი.

East European Politics–ის ჟურნალში 2017 წელს გამოქვეყნებული სტატია „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და მის სამეზობლოში, ევროკავშირის მოქმედების შეფასება“, მიზნად ისახავს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას: რა განაპირობებს ევროკავშირის შესრულების ეფექტურობას წარმოდგენილ რეგიონში? და რა გარემოებები ახდენს გავლენას მასზე? აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დისკურსის დიდი ნაწილი თავადაც არის მიმართული შესრულებაზე, როგორც მისი პოლიტიკისა და ჩართულობის მამოძრავებელ ფაქტორზე. შესაბამისად, ნაშრომში, ევროკავშირის შესრულება დაკავშირებულია ევროკავშირის პოლიტიკის ეფექტურობასთან. სტატიის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი სისტემატურად იკვლევს ევროკავშირის შესრულების პროცესსა და პოლიტიკას და მის გავლენას ფართო აღმოსავლეთ ევროპაზე. შესრულების ანალიზი მოიცავს ძალისხმევის, ეფექტურობისა და შესაძლებლობების, და ამავდროულად ნებისმიერი ქმედებით განპირობებული შედეგის ანალიზს (Papadimitriou, Baltag & Surubaru, 2017). აღნიშნული სტატიის განხილვის საფუძველზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, იმას თუ რამდენად დიდი ყურადღება ეთმობა ევროკავშირის მხრიდან განხორციელებული პოლიტიკის მახასიათებლებსა და მათ გავლენებს, ადგილობრივ და შიდა დონეზე წარმოქმნილ გამოწვევებთან შედარებით.

ლიტერატურის მიმოხილვისას აუცილებელია ვენის საერთაშორისო ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში „DCFTA–ს სარგებელი და დანახარჯები: საქართველოზე, მოლდოვასა და უკრაინაზე გავლენის შეფასება“. ანგარიშში, ავტორები ამატ ადაროვი და პიტერ ჰავლიკი DCFTA-ს განხორციელების სარგებელსა და გამოწვევებზე აკეთებენ აქცენტს. აღსანიშნავია, რომ ნაშრომში ხაზგასმულია გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნების ეკონომიკების მოდერნიზებისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების მოლოდინი, თუმცა

ამავდროულად საუბარია ასიმეტრიულობა დროის განზომილებაში, რაც გულისხმობს, რომ მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში DCFTA–ს განხორციელება დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან, ხოლო სარგებელი, როგორც უკვე აღვნიშნე გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოიქმნება. ასევე ხაზგასმულია ის გამოწვევები რაც აბრკოლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას. გამოყოფილია, ქვეყნების მაკროეკონომიკური და გეოპოლიტიკური გამოწვევები. ნაშრომში შემუშავებული რეკომენდაციის მიხედვით, ქვეყნებისათვის რეფორმირების პროცესში პრიორიტეტული ექსპორტისაკენ მიმართული სექტორების კონკურენტუნარიანობა და ევროკავშირის ბაზარზე ხელმისაწვდომობა უნდა გახდეს, ასევე მნიშვნელოვანია, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის განვითარება. გარდა ამისა, ხაზგასმულია, ევროკავშირის მხრიდან ფინანსური დახმარების გაზრდის აუცილებლობა და მკაცრი პირობითობის პრინციპის დაცვა. „DCFTA–ს სარგებელი და დანახარჯები: საქართველოზე, მოლდოვასა და უკრაინაზე გავლენის შეფასება“–ში სიღრმისეულად არის გაკეთებული DCFTA–ს გავლენის შეფასება საქართველოსა და მოლდოვაზე 2014–2016 წლებში, ასევე გამოყოფილია, ის ძირითადი ფაქტორები, რომლებზეც აღნიშნულ შეთანხმებას გავლენა უნდა ჰქონდეს ამ მიმართულებით. (Adarov & Havlik, 2016) მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ნაშრომში მხოლოდ ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით არსებული გავლენებია განხილული, შესაძლებელია ავტორების დამოკიდებულებაში, ამ მიმართლდებით ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაში ევროკავშირიდან და საერთაშორისო დონიდან მომდინარე სტიმულების მნიშვენლობის გამოყოფა. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციის დიდი ნაწილი დათმობილია ევროკავშირის მხრიდან მხარდაჭერის გაზრდისა და პირობითობის პოლიტიკის გაუჯობესების საჭიროებაზე, რეფორმების განხორციელებისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორებში ასევე განხილულია შიდა დონეზე, როგორიც არის მაკროეკონომიკური გარემო და კერძო სექტორის შესაძლებლობები, არსებული დაბრკოლებების მნიშვნელობაც.

<u>თეორიული მიდგომები</u>

ლიტერატურის მიმოხილვის ამ ნაწილში განვიხილავ ევროკავშირის საზღვრებს გარეთ ევროპეიზაციის პროცესის კვლევებს, რათა დავადგინო, ის ძირითადი თეორიული მიდგომები, რომელიც ამ მიმართულებით გამოიყენება.

ფრანკ შიმენფელინგის და ულრიხ სედელმეიერის მიერ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გაწევრიანებულ ქვეყნებში ევროპეიზაციის პროცესის ანალიზში, გამოყოფილ იქნა ორი განზომილება. ერთის მხრივ არის ევროკავშირის მიერ მართული ან ადგილობრივი პროცესებით განპირობებული ევროპეიზაცია, ხოლო მეორე მხრივ ინსტიტუციური ლოგიკის მიხედვით, შეიძლება იყოს შედეგების ლოგიკაზე, ან შესაბამისობის ლოგიკაზე დაფუძნებული პროცესი. შედეგების ლოგიკის მიხედვით აქტორები მოქმედებენ მაქსიმალური სარგებლის მომტანი მოქმედებების მიხედვით, ამ შემთხვევაში პროცესი მართულია ევროკავშირის მიერ, სანქციების და ჯილდოების მექანიზმების გამოყენების საშუალებით, რაც ზრდის სარგებლისა და დანახარჯების სურათი. შესაბამისობის ლოგიკა გულისხმობს, რომ აქტორები მათი სოციალური როლისა და ნორმების შესაბამისად მოქმედებენ, რაც სოციალური სწავლების შედეგად შეიძლება იქნას გამოწვეული. გაკვეთილის მიღების მოდელის მიხედვით, ქვეყნების ევროკავშირისაკენ მიბრუნება განპირობებულია შიდა დონეზე არსებული სტატუს-კვოთი უკმაყოფილებით და ევროკავშირის წესების მიღებით, თუ ისინი აღიქმება როგორც მათი პრობლემების მოგვარების გამოსავალი (Schimmelfennig, 2015, 6-10). მოცემული თეორია აერთიანებს როგორც რაციონალისტურ ხედვებს ასევე სოციალურ მიდგომებს, რაც შესაძლებელს ხდის, როგორც ევროკავშირის დონიდან მომვალაი წტიმულების, ასევე ადგილობრი დონეზე არსებული გარემოს გათვალისწინებას.

მაიკლ ბაუერი, კრისტფერ ნილი და დიანა პიტშელი (2007), ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შიდა ცვლილებების ანალიზისას, მარეგულირებელ პოლიტიკაში ევროკავშირის მმართველობის სამ ტიპზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც მოიცავს შესაბამისობას, კონკურენციასა და კომუნიკაციას. შესაბამისობა არის

იძულებითი მექანიზმი, რომელიც ევროკავშირის მიერ იურიდიულად სავალდებულო წესების შემოღებას გულისხმობს, რომელიც ეროვნულმა ადმინისტრაციებმა უნდა განახორციელონ სანქციების თავიდან აცილების მიზნით. იქიდან გამომდინარე, რომ შესაბამისობა დაკავშირებულია პოზიტიურ ინტეგრაციასთან (ეროვნული წესების ფორმალური ჰარმონიზაცია), კონკურენცია დაკავშირებულია „ნეგატიურ ინტეგრაციასთან"(საერთო ბაზრის შემზღუდველი ეროვნული ბარიერების გაუქმება). ამ შემთხვევაში ევროკავშირის გავლენა ნაკლებად პირდაპირია და საბაზრო ზეწოლის მეშვეობით მოქმედებს. შესაბამისად, ინსტიტუციური ცვლილება განპირობებულია, სხვა მონაწილე ქვეყნებთან შედარებით ინსტიტუციური მექანიზმის ფუნქციური ეფექტურობის გაუმჯობესების საჭიროებით". და ბოლოს, კომუნიკაცია წარმოადგენს მმართველობის ფორმას, რომელსაც ცვლილება, ეროვნული გადაწყვეტილების მიმღებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივი სწავლების საფუძველზე მოაქვს. ამ შემთხვევაში პირდაპირ და არაპირდაპირ სანქციებთან შედარებით, ეს მექანიზმი წარმოადგენს ევროპეიზაციის პროცესის განმსაზღვრელი პოლიტიკის მოდელების ლეგიტიმაცია (Schimmelfennig, 2015, 6-10). აღნიშნული თეორიის მიდგომები, ძირითადად ევროკავშირის დონეზე არსებული ფაქტორების ანალიზზეა მიმართული და ნაკლებად უგულველყოფილია ადგილობრივი ფაქტორების მნშვნელობა.

ასევე მნიშვნელოვანია, ბორზელისა და რისის თეორიული მიმართულების განხილვა. ავტორები განასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმებს და მოქმედებების ლოგიკას, დიფუზიური მექანიზმების ტიპოლოგიის შემოთავაზების მიზნით. პირდაპირი გავლენის მექანიზმი არის დარწმუნება (სამართლებრივი ვალდებულების ძალა), რაც მოიცავს ხარჯ-სარგებლიანობის გათვლას, პირობითობისა და შესაძლებლობების განვითარების (ინსტრუმენტალური რაციონალურობა), სოციალიზაციის (ნორმატიული რაციონალურობა) და დარწმუნების (კომუნიკაციური რაციონალურობა) საშუალებით. ისინი შედარებულია არაპირდაპირი გავლენის სამ მექანიზმთან: კონკურენციას და გაკვეთილის მიღებას (ფუნქციური გავლენა) და ასევე

იმიტაციასთან (ნორმატიული გავლენა) (Börzel & Risse, 2000, p.6-10). ბორზელისა და რისის მიხედვით, ევროკავშირის მხრიდან განხორციელებული ზეწოლა არ არის საკმარისი შედეგის მისაღწევად, აუცილებელია შუამავალი ფაქტორების არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს ან შეუშლის შიდა ცვლილებას. ნაშრომში განხილულია ორი გზა ადგილობრივ დონეზე, ევროკავშირის გავლენის შეფასების ანალიზისათვის. პირველი გზა დაკავშირებულია რაციონალურ ინსტიტუციონალიზმათ, რომელის ყურადღებას რესურსების გადანაწილებაზე, და ცვლილების ხელის შემწყობ ფაქტორებზე, ვეტოს მქონე აქტორებსა და მხარდამჭერი ინსტიტუტების მნიშვნელობაზე ამახვილებს. ხოლო მეორე გზა სოციოლოგიური ინსტიტუციონალიზმი მოიცავს სოციალიზაციისა და სწავლების პროცესს, რომელსაც ნორმების შემქმნელები და პოლიტიკურ კულტურა განსაზღვრავს. თეორიის მიხედვით, ევროპეიზაციის პროცესი, შიდა ცვლილებებს სოციალიზაციისა და კოლექტიური სწავლის პროცესის საფუძველზე, ნორმების შიდა დონეზე მიღებას და ახალი იდენტობების ჩამოყალიბებას გულისხმობს (Börzel & Risse, 2000, p.7). აღნიშნულ თეორილ ხედვაში, გამოყოფილია ის ძირითადი მექანიზმები, რაც ევროკავშირის მიერ ევროპეიზაციის წარმატებისათვის არსი საჭირო, თუმცა ასევე ხაზგასმულია შიდა დონეზე არსებული შუამავალი ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სამივე წარმოდგენილ თეორიულ ჩარჩოში მნშვნელოვან როლს ევროკავშირის დონეზე არსებული სტიმულები ასრულებს, ნაშრომში უფრო მეტად ადგილობრივი სტრუქტურებზე მიმართლი ხედვა ავირჩიე, რაც ნათლად არის გამოხატული სოციალური კონსტრუქტივისმის შერწყმის თეორიაში.

2. აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა როგორც ევროპეიზაციის პროცესი

საქართველოსა და მოლდოვაზე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გავლენის შეფასებამდე აუცილებელია, წარმოდგენილი ინიციატივის

განხილვა პოლიტიკის შემუშავებიდან ბოლო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტამდე.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა წარმოადგენს უფრო ფართო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ნაწილს, რომელიც 2004 წელს იქნა შემუშავებული, როგორც ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმატი. ხოლო აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა ჩამოყალიბებულ იქნა, როგორც ENP–ს განსაზღვრული მიმართულება, რომელიც მოიცავს როგორც ორმხრივ ასევე, მრავალმხრივ თანამშრომლობას. აღნიშნული პოლიტიკა შემუშავებულ იქნა 2009 წლის პრაღის სამიტზე, და მის შემდეგ ვითარდება არსებული რეალობის გათვალისწინებით (Eastern Partnership, 2016) 2014-2020 წლებში ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის დაფინანსების წყარო ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტია (ENI), რომელმაც იქამდე არსებული ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტს (ENPI) შეცვალა. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად ორ წელიწადში ერთხელ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი იმართება (2009 წლის პრაღის სამიტი, 2011 წლის ვარშავის სამიტი, 2013 წლის ვილნიუსის სამიტი, 2015 წლის რიგისა და 2017 წლის ბრიუსელის სამიტები). 2014 წელს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამი ქვეყანა (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) ასოცირების და მისივე შემადგენელი ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების (DCFTA) ხელმოწერით ევროკავშირთან თანამშრომლობის ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა (აღმოსავლეთ პარტნიორობა, 2017)

როგორც უკვე აღვნიშნე, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა მიმართულია ოთხ ძირითად პრიორიტეტზე, რომელიც 2015 წლის რიგის სამიტზე იქნა შეთანხმებული და მოიცავს: მმართველობის გაძლიერებას, ძლიერ ეკონომიკას; გაუმჯობესებულ კავშირს; მობილობასა და გაძლიერებულ საზოგადოებას (Eastern Partnership, 2016), რომლებსაც გამოვიყენებ პოლიტიკის გავლენის შესაფასებლად

სწორედ ამ სფეროების ანალიზი და შედეგების ინდიკატორებად აღნიშნულ სფეროებში არსებული მიმართულებების გამოყენება.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, ნათელია რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, შეიძლება განვიხილოთ როგორც ევროპეიზაციის პროცესი, რადგან მიმართულია ქვეყნების ევროკავშირის ბაზართან და კანონმდებლობასთან დაახლოებისაკენ, ასევე რეგიონში ნორმატიული ღირებულებების გავრცელებისაკენ.

<u>რეგიონში ლიდერი ქვეყნის სტატუსი</u>

აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის განხილვისას აუცილებელია ევროკავშირის წარმომადგენლების საქართველოსა და მოლდოვის მიმართ დამოკიდებულების ანალიზი, რათა დავადგინოთ, თუ როგორ აღიქმებდა ამ ქვეყნების ევროპეიზაციის პროცესი ევროკავშირში.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ 2014 წლამდე მოლდოვა ხშირად მოიხსენიებოდა რეგიონის წარმატების მაგალითად, ლიდერად რეფორმების მიმართულებით. 2013 წლის 3 ოქტომბერს მოლდოვის პრემიერ მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, ევროკავშირის გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარის შტეფან ფულეს განცხადებით: „ მოლდოვას ძალისხმება ევროკავშირის ღირებულებების განხორციელების მიმართულებთ, მას მნიშნველოვან პარტნიორად და აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერად აქცევს“ (European Commission Press release, Moldova 2014). ასევე, მსგავსი განცხადება ევროკომისარმა ჰანმა, მოლდოვაში მისი პირველი ვიზიტის დროს გააკეთა (ENP And Enlargement Negotiations, Moldova 2014).

აღსანიშნავია, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვალა და 2015 წლის პოლიტიკური კრიზისის პერიოდში და მის მერე მოლდოვა აღარ მოიხსენიებოდა რეგიონის ლიდერად, არამედ აქცენტი ძირითადად, გამოწვევების მიუხედავად ევროპული ინტეგრაციის პროცესი გაგრძელების მნიშვნელობაზე კეთდებოდა. 2015 წელს ფრედერიკა მოგერინისა და ჯონათან ჰანის განცხადების მიხედვით: მოლდოვა

ევროკავშირის მნშვნელოვანი ასოცირებული პარტნიორია. ევროკავშირს სურს, ახლო და წარმატებული თანამშრომლობის გაგრძელება ახალ მთავრობასთან (European Commission Press release, Moldova, 2015). ამ შემთხვევაში, ნათელია რომ ევროკავშირის მხრიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მოლდოვის პირველობის აღქმა შეიცვალა. საინტერესოა, რომ მიუხედავად ევროპული საგარეო პოლიტიკური კურსის ერთგულებისა და რეფორმირების პროცესის გაგრძელებისა, მოლდოვამ ვეღარ დაიბრუნა „წარმატების მაგალითის" სტატუსი რეგიონში.

რაც შეეხება საქართველოს, აღსანიშნავია, რომ ქვეყანაზე საუბრისას ევროკავშირის ლიდერები ხაზს უსვამდნენ თანამშრომლობის მნიშვნელობასა და შემდგომი რეფორმების განხორციელების აუცილებლობას. თუმცა ბოლო პერიოდში დამოკიდებულება საქართველოს მიმართ საგრძნობლად შეიცვალა. 2017 წლის 28 ივნისს გერმანიის ბუნდესტაგმა მიიღო რეზოლუცია აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამისა და მასში მონაწილე ქვეყნების შესახებ, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების გატარების კუთხით, საქართველო არის გამორჩეული ლიდერი და იმსახურებს განსაკუთრებულ აღიარებას" (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2017). ეს ტენდენცია უფრო ადრეც 2015 წელს დაიწყო, თუმცა ამ პერიოდში საქართველო მოიხსენიებოდა ერთ-ერთ ლიდერად ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებს შორის. ხაზგასასმელია, ევროკავშირის გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარის იოჰანეს ჰანის განცხადება, რომელიც საქართველოში ვიზა ლიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ გააკეთა „ევროკავშირი იდგა საქართველოს გვერდზე მნიშვნელოვანი რეფორმების პროცესის დროს და გააგრძელებს ქვეყნის მხარდაჭერას მის ევროპულ გზაზე. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მოსამზადებელი პროცესის ფარგლებში გავაძლიერებთ თანამშრომლობას საქართველოსთან, როგორც ლიდერთან რეგიონის ქვეყნებს შორის გააკეთა (ENP And Enlargement Negotiations, Georgia, 2017). ზემოთ განხილულია განცხადებები ნათლად წარმოაჩენს ევროკავშირის მიერ საქართველოს წარმატების

ხაზგასმა და რეგიონში ლიდერად აღქმას, ხოლო მოლდოვის მიმართ შეცვლილ დამოკიდებულებას.

2.1.ევროპეიზაციი გავლენის შედარება

ნაშრომის ამ ნაწილში მიმოვიხილავ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გავლენას და ევროინტეგრაციის პროცესის შედეგებს საქართველოსა და მოლდოვაში 4 მიმართულებით. 2014 წლამდე არსებული გავლენების შეფასებისათვის გამოვიყენებ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ინდექსს. წლების განმავლობაში კავშირისა და დაახლოების მიმართულებით ინდექსის ანალიზის საფუძველზე დავადგენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის რეგიონში ლიდერი ქვეყნების პოზიციებსა და მათი განვითარების დინამიკას. 2014-2017 წლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გავლენის კვლევისათვის ძირითად წყაროდ გამოვიყენებ ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ 2017 წლის ანგარიშებს, რომელშიც შეფასებულია ქვეყნების მიერ ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროგრესი და იდენტიფიცირებულია ძირითადი გამოწვევები ამ მიმართულებით. ასევე დავეყრდნობი ეროვნულ ანგარიშებს ასოცირების დღის წესრიგის შეფასებაზე.

2.2.პოლიტიკური ასოცირება

აღნიშნულ ნაწილში განვიხილავ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის გავლენას საქართველოსა და მოლდოვაზე პოლიტიკური ასოცირების მიმართულებით, ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება კანონის უზენაესობის დამყარებასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, სასამართლო სისტემის რეფორმირების მნიშვნელობაზე, საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესსა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიმართულებაზე.

<u>არჩევნები</u>

პირველი აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან მოლდოვა მიიჩნეოდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ერთადერთ ქვეყნად, რომელსაც შედარებით სამართლიანი საარჩევნო სისტემა ჰქონდა, აღნიშნული გამომდინარეობდა

პარლამენტის ოპოზიციისათვის თავმჯდომარეობის შესაძლებლობის მიცემით, რაც მათ დღის წესრიგზე გავლენის მოხდენის საშუალებას აძლევდა (European Integration Index, 2011). მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან მოლდოვას წლების განმავლობაში გაუარესება არ აღინიშნებოდა 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნებმა, უკან წაწია ქვეყანა ამ მიმართებით. პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არაკონკურენტულ გარემოში არჩევამ და ასევე რეფორმების განხორციელების სისწრაფისა და მონდომების შემცირებამ, და უკვე მიღებული კანონების განუხორციელებლობამ დიდი გავლენა იქონია ევროინტეგრაციის პროცესის წარმატების აღქმაზე. (European Integration Index, 2013) აღსანიშნავია, რომ 2014 წლისათვის მოლდოვაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეიმჩნეოდა, პირიქით კანონმდებლებმა მიიღეს შემზღუდველი ცვლილებები საარჩევნო კანონში, რამაც ნეგატიური შეფასება მიიღო სამოქალაქო საზოგადოებისა და მოსახლეობის მხრიდან. ამ პერიოდის შეფასების მიმართულებით აღსანიშნავია, რომ 2014 წლისათვის რეიტინგში წამყვანი პოზიციის შენარჩუნების მიუხედავად, განხორციელებული რეფორმების შედეგი შედარებით შეზღუდული იყო ხოლო ხშირ შემთხვევაში სულაც ვერ ხერხდებოდა რეფორმის გატარება, მნიშვნელოვანი ცვლილებები საარჩევნო სისტემასა და მთავარი პროკურორის დანიშვნა-განთავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა, მესამე სექტორთან და ვენეციის კომისიასთან კონსულტაციების გარეშე. (European Integration Index, 2014)

ასევე, 2015 წელს საარჩევნო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები არ არის გათვალისწინებული ევროპის საბჭოსა და ეუთოს რეკომენდაციები. ხაზგასასმელია, რომ 2016 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობდა. თუმცა დასახვეწია დაფინანსებასთან, ადმინისტრაციული რესურსისა და მედიასთან დაკავშირებული საკითხები (European Commission, Moldova, 2017). აღსანიშნავია, ასევე 2017 წელს განხორციელებული საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, რომელიც შერეული საარჩევნო სისტემისა და ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების შემოღებას ითვალისწინებს. აღნიშული კანონი

მიღებულ იქნა, მთავრობისა და ევროკავშირის წარმომადგენლებთან კონსულტაციების გარეშე. აღსანიშნავია, რომ კანონმა უარყოფითი შეფასება მიიღო ვენეციის კომისიისაგან, და ხაზგასმულ იქნა მისი გაწვევის საჭიროება, თუმცა მიუხედავად ამისა პარლამენტმა მაინც მიიღო აღნიშნული კანონი (Eastern Partnership Civil Society Forum, 2017, გვ.10).

საქართველოს შემთხვევაში, 2011 საქართველოს არჩევნების შეფასება საარჩევნო წესებისა და კამპანიების არასამართლიანობასთან იყო დაკავშირებული, თუმცა 2013 წლისათვის ვითარება შეიცვალა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები გახდა პირველი მშვიდობიანი ძალის ცვლილების (European Integration Index, 2013) 2014 წლისათვის საქართველო დაეწია მოლდოვას რეიტინგებში, რაც ძირითადად საარჩევნო სისტემისა და ადამიანთა უფლებების მიმართულებით განხორციელებული რეფორმების საფუძველზე მოხდა. ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საარჩევნო კოდექსში. (European Integration Index, 2014) აღსანიშნავია, რომ უკანონო კამპანიების ბრალდებების, გამჭირვალობის ნაკლებობისა და ძალადობრივი ინციდენტების მიუხედავად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები დიდ წილად პოზიტიურად იქნა შეფასებულ.

დემოკრატიულობის მიმართულებთ ბოლო პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება საქართველოში კონსტიტუციის ფუნდამენტური რეფორმა გახდა, რომლის საფუძველზეც ქვეყანა საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას ასრულებს. რეფორმა მთლიანობაში დადებითად იქნა შეფასებული ვენეციის კომისიის მიერ, თუმცა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რაც ძირითადად პროპორციული არჩევნების სისტემის შემოღების გადავადებით, პროცესის სიჩქარითა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ნაკლებობით იყო განპირობებული. ევროკომისიის ანგარიშის მიხედვით, მოსალოდნელია დამატებითი ცვლილებების განხორციელება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით (European Commission, Georgia, 2017). ასევე ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით,

გასათვალისწინებელია, რომ 2017 წელს ჩატარებული არჩევნები, OSCE / ODIHR- ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შეფასების, შესაბამისობაში იყო ძირითად მოთხოვნებთან, მიუხედავად არსებული დარღვევებისა რამდენიმე საარჩევნო ოლქში (European Commission, Georgia, 2017, გვ.3).

ქვეყნების დემოკრატიულობის მიმართულებთ დაახლოების გზა ევროკავშირთან საგრძნობლად განსხვავდება, მაშინ როდესაც მოლდოვა საწყის ეტაპზე დადებითად იქნა შეფასებული ამ მიმართულებით, 2014 წლის შედეგ განხორციელებული რეფორმები ნათელს ხდის ქვეყნის მიერ ევროპული ღირებულებებისაგან დაშორებას. საქართველოს შემთხვევაში ქვეყანამ მოახერხა საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება, და მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, მთლიანობაში, ქვეყნის დინამიკა დადებითად არის შეფასებული. მოლდოვის შემთხვევაში ხაზგასასმელია, რომ გატარებული რეფორმები ძირითადად სამოქალაქო საზოგადოებისა და ვენეციის კომისიასთან კონსულტაციების გარეშე იქნა მიღებული, ასევე აღნიშნული რეფორმების მხარდაჭერა მცირე იყო როგორც საზოგადოების ასევე მესამე სექტორის მიერ.

<u>სასამართლო სისტემა</u>

ევროპეიზაციის პროცესის მნიშვნელოვან ინდიკატორს სასამართლო სისტემის რეფორმირება წარმოადგენს, რაც წლების განმავლობაში აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. 2011 წლის მონაცემებით, ამ მიმართულებით წამყვანმა ქვეყანამ მაინც ვერ მოახერხა მოსამართლეების დანიშვნის, დაწინაურებისა და გათავისუფლების შესაბამისი სტანდარტის სიტემის შემოღება და პოლიტიკური გავლენისაგან დაცვა (European Integration Index, 2011). ზოგადად ეს დარგი ამ ინიციატივის ყველაზე სუსტ სფეროდ მიიჩნევა.

მიუხედავად ევროკავშირის მხარდაჭერისა, მოლდოვამ საბოლოოდ 2013 განახორციელა დამოუკიდებელი და პროფესიონალური სასამართლოსათვის აუცილებელი რეფორმების მიღება. მთავრობის მიხედვით, 2014 წლისათვის,

რეფორმის 80 პროცენტი განხორციელებული იყო, თუმცა საგრძნობლად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ამ პროცესისადმი მესამე სექტორის წარმომადგენლებს (European Integration Index, 2014). აღსანიშნავია გენერალური პროკურორისა და კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემების მოუგვარებლობა, რასაც ასევე ადასტურებს, ევროკავშირის მიერ ამ რეფორმის განხორციელების დახმარების მეორე გადარიცხვის ოდენობის შემცირება. აღსანიშნავია, რომ მოლდოვამ შეიმუშავა ახალი სასამართლო რეფორმის სტრატეგია, ქვეყანას ასევე მოუწია 2011-2016 წლის სტრატეგიის განხორციელების პერიოდი გახანგრძლივება (European Commission, Moldova, 2017, გვ.5). მოლდოვაში ვადაგადაცილებული სასამართლო სექტორის რეფორმების განხორციელების პროგრესისა და სამოქმედო გეგმის დადებითი 90%-იანი შესრულების მიუხედავად ფუნდამენტური საკითხები არ გადაწყვეტილა. ამასთანავე, 2016 წელს განხორციელებული იქნა ორაზროვანი ცვლილებები, რის შედეგადაც სასამართლო მოსმენებზე, შეიზღუდა სასამართლოს ღიაობა (European Integration Index, 2015-2016).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა სხვა ქვეყნებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, თუმცა მიუხედავად მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმებისა, ისევ შენარჩუნდა დამოუკიდებელი სასამართლოსადმი ხალხის ნდობის ნაკლებობა. ცვლილებების პაკეტი მიღებულ იქნა 2013 წელს, რომელიც ითვალისწინებდა ვენეციის კომისიისა და სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციებს (European Integration Index, 2013). 2013-2014 წლებში საქართველომ ისევ შეინარჩუნა ლიდერობა ამ მიმართულებით, რაც აღნიშნული კანონების მიღების საფუძველზე საქართველოს წარმატებად აღიქმება. 2015 წლის სექტემბერში პროკურატურის სერვისზე კანონის ცვლილებამ განავითარა მისი დამოუკიდებლობა, თუმცა პროკურორის დანიშვნის, შეფასებისა და დაწინაურების პროცედურების გამჭირვალობა გამოწვევად დარჩა (European Commission, 2017) ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ სასამართლო სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო მოსამართლეების

დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და ეფექტურობის განვითარებას. 2016 წლის დეკემბერში კანონმდებლობის მესამე ტალღის განხორციელება მიმართული იყო გამჭირვალობის ნაკლებობის აღმოფხვრისაკენ, თუმცა ცვლილებები არ იყო მიმართული ყველა პრობლემური საკითხის მიმართ. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მაისში მიღებულ იქნა პირველი 5 წლიანი სასამართლო სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, რაც შეეხება მოსამართლეების დანიშვნის საკითხს და დისციპლინარულ საკითხებს, აღნიშნულ სფეროში ისევ შეინიშნება გამჭირვალობის ნაკლებობა. (2017 ეხ) მიუხედავად 2014 წელს ვენეციის კომისიის მიერ დაგეგემილი და განსახორციელებელი ცვლილებების დადებითად შეფასებისა, მათი მიღების შემდეგ განხორციელებულმა ცვლილებებმა, მნიშვნელოვნად შეამცირეს ფუნდამენტური საკითხების მოგვარების შესაძლებლობა. (European Integration Index, 2015-2016)

ნათელია, რომ სასამართლო სფეროში განხორციელებული რეფორმები ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დამოკიდებული, თუმცა მოლდოვის შეთხვევაში 2014 წლის შემდეგ ამ დარგის ევროპეიზაციის პროცესი საგრძნობლად შენელდა, რაზეც ევროკავშირის მიერ დაფინანსების დროებით შეწყვეტაც მიუთითებს, რეფორმების გატარების პროცესის დაგვიანებებთან (სამოქმედო გეგმის გახანგრძლივება) ერთად, მიღებულ იქნა გამჭირვალობისათვის ხელისშემშლელი რეფორმები. საქართველოს შემთხვევაში მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა შენარჩუნებულია პრობლემები მოსამართლეების დანიშვნის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა ნათელია ევროპეიზაციის პროცესის დადებით დინამიკა და სფეროს რეფორმირების პროცესის ერთგულება.

<u>კორუფცია</u>

ასევე აღსანიშნავია კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები, ანგარიშების მიხედვით, მოლდოვამ 2012 წელს მიიღო ანტიკორუფციული და ორგანიზებული დანაშაულის საწინააღმდეგო კანონმდებლობა (European Integration Index, 2012), თუმცა მისი განხორციელება გამოწვევების წინაშე დადგა, რაც საჯარო და საბანკო სექტორში

არსებული ვითარების შედეგი იყო. აღნიშნული პრობლემა ვერც 2013-ში ვერ მოგვარდა.

მოლდოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიხედვით, ქვეყანა აქტიურად იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ ამას ადასტურებს 2014-2015 წლებში 531 კრიმინალური საქმის სასამართლოსთვის გადაცემა, მათ შორის მინისტრებისა და მინისტრის მოადგილეების მიერ ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირება, ასევე აღსანიშნავია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ცენტრის შექმნა (NAC). ანგარიშის მიხედვით, სამოქმედო გეგმის დღის წესრიგით გათვალისწინებული ღონისძიებების 85% შესრულებულ იქნა მოლდოვის მიერ, 13% ნაწილობრივ იქნა შესრულებული, ხოლო 2% აღარ იყო ვალიდური (DCFTA EU-Moldova, 2016, გვ. 7).

მიუხედავად ვითარების გაუმჯობესებისა, ევროკომისიის შეფასებით, კორუფცია მოლდოვაში ისევ გავრცელებულია, აღსანიშნავია საზოგადოებაში გავრცელებული ხედვა პოლიტიკური თანამდებობის პირებში აღნიშნული პრობლემის აქტუალურობაზე. ხაზგასასმელია, რომ 2014-2015 წლის ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია გახანგრძლივებულ იქნა 2016 წელზეც, ხოლო 2017 წელს შემუშავებულ იქნება ახალი სტრატეგია. მიუხედავად, განხორციელებული ცვლილებებისა და დაგეგმილი რეფორმებისა, მათი ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საერთაშორისო საზოგადოებასთან კონსულტაციების გარეშე მათი შემოღების გამო. ((European Commission, Moldova, 2017, გვ.6)

რაც შეეხება კორუფციისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მაჩვენებლებს ამ მიმართულებით საქართველოში განხორციელებული რეფორმები ყველაზე წარმატებული გამოდგა და შესაბამისად ამ სფეროში ქვეყანამ ლიდერობა 2011-2014 წლებში შეინარჩუნა. (European Integration Index, 2014) ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ფარგლებში საქართველომ გააგრძელა ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება. 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა და სტრატეგია მიღებულ იქნა მთავრობის მიერ 2017 წლის სექტემბერში, ხოლო 2017 წლის იანვრისათვის,

საქართველომ შემოიღო საჯარო მოხელეების დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა (European Commission,Georgia, 2017).

კორუფციის მიმართულებით საქართველო ლიდერობდა 2011 წლიდან მოყოლებული. რაც შეეხება მოლდოვას აღნიშნული სფერო ერთერთი ყველაზე პრობლემატურია ქვეყნისათვის, რაც ნათელი სწორედ 2014 წლის პოლიტიკური კრიზისის დროს გახდა. ბოლო პერიოდში აღნიშნული სფეროსათვის დამახასიათებელი დადებითი დინამიკის მიუხედავად, გატარებული რეფორმები ასევე, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გარეშე და დაგვიანებებით იქნა გატარებული.

<u>საჯარო მართვა</u>

აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან საჯარო მმართველობა მოლდოვაში სტანდარტთან ყველაზე ახლოს იყო, თუმცა ამ დარგის წარმატებასაც, ხელი შეუშალა სასამართლო სფეროში არსებულმა გამოწვევებმა (European Integration Index, 2011). მიუხედავად ამისა, ქვეყანამ გააუმჯობესა მისი შედეგები 2013 წლისათვის პოლიტიკის ფორმულირების, კოორდინაციის შეფასებისა და საჯარო მომსახურების მიმართულებით (European Integration Index,2013).

მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვაში საჯარო მართვის მიმართულებით განხორციელებული რეფორმები შესაბამისობაში იყო ევროკავშირის მოთხოვნებთან, 2014-2017 წლებში ვალდებულებების შესრულება ამ მიმართულებით მოკრძალებული იყო, განსაკუთრებით კი სექტორული სტრატეგიის რეფორმის. თუმცა ასევე ხაზგასასმელია განხორცილებული რეფორმების მნიშვნელობა მოლდოვის საჯარო მომსახურების მოდერნიზაციის მიმართლდებით. (DCFTA EU-Moldova, 2016). მნიშნველოვანია, რომ ევროკომისიის რეკომენდაციების მიხედვით, 2016 წლის ივლისში მიღებულ იქნა საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია (European Commission, Moldova, 2017).

საჯარო მმართველობის მიმართულება ერთ-ერთი ყველზე პრობლემატური იყო საქართველოსათვის, თუმცა ქვეყანამ მოახერხა ჯერ პოლიტიკის

ფორმულირებისა და კოორდინაციის პროცედურების გაუმჯობესება და ევროინტეგრაციის მიმართულებით ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება (European Integration Index, 2012). მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველოს საჯარო მომსახურების სფეროში შეძლო მოლდოვასთან მიახლოება და საჯარო კონსულტაციების გაუმჯობესება, რაც მიგვანიშნებს ევროპეიზაციის პროცესის დადებით გავლენაზე. თუმცა 2014 წლისათვის ნათელი გახდა ამ სფეროში არსებული გამოწვევები და საჭირო საჯარო მომსახურების რეფორმირებასთან იყო დაკავშირებული (European Integration Index, 2014). საქართველომ განაგრძო სექტორის დაახლოება ევროკავშირის პრინციპებთან და 2015 წლის საჯარო ადმინისტრირების რეფორმის სამოქმედო რუკა და 2015 წლის პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია განხორციელების პროცესშია. ასევე აღსანიშნია, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ცვლილების გადავადებით ამოქმედება ((European Commission, Georgia, 2017, გვ. 4)

საჯარო მართვის სფეროში ევროპეიზაციის პროცესი მოლდოვაში ერთერთი ყველაზე წარმატებულია, თუმცა ევროკავშირის ანგარიშში მაინც ხაზგასმულია ვალდებულებების შესრულების სიმცირე. რაც შეეხება საქართველოს, ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური იყო ქვეყნისათვის და მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა, ევროპეიზაციის პროცესი ამ მიმართულებით შედარებით ნელია.

<u>ადამიანთა უფლებები</u>

აღსანიშნავია რომ 2012 წელს მოლდოვა გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც მიიღო ანტიდისკრიმიანციული კანონი (European Integration Index, 2012), მიუხედავად წინა წლებში არსებული უარყოფითი დამოკიდებულებისა საზოგადოების მხრიდან. როგორც უკვე აღვნიშნე, მოლდოვამ 2009-2014 წლებში შეინარჩუნა წამყვანი პოზიციები ინდექსის მიხედვით, თუმცა ევროინტეგრაციის პროცესის ფარგლებში განხორციელებული რეფორმებისა და ქვეყანაში არსებული ვითარების განხილვის საფუძველზე ნათელია, რომ მიუხედავად კარგი საწყისი ეტაპისა ქვეყნის პროგრესი ამ

მიმართულებით მალევე შენელდა და 2014 წლისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ მოლდოვა გარკვეულ სფეროებში არ იყო მზად რეფორმების განხორციელებისა და მათი იმპლემენტაციისათვის.

ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტურ თავისუფლებების მიმართულებით, სასამართლო სისტემაში პოლიტიკის გავლენის აღქმა მნიშვნელოვნად უშლის ხელს ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. მაგალითისათვის 2015-2016 წლებში, მოლდოვამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 39-ჯერ 42 განაჩენიდან. ((European Commission, Moldova, 2017, გვ.3) ევროკომისიის ანგარიშის მიხედვით, ასევე აღინიშნება მოლდოვის მიერ ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები. 2011-2014 წლის სამოქმედო გეგმა არ იქნა სრულად განხორციელებული, ხოლო ახალი ჯერ არ არის მიღებული. (European Commission, Molova 2017, გვ.4).

საქართველოსთვის 2009-2014 წლების პერიოდში მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების სფეროში რეფორმების გატარება. ამ მიმართულებით 2014 წელს ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა და ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის რეკომენდაციების საფუძველზე მიღებულ იქნა ეროვნული ადამიანთა უფლებების სტრატეგია 2014-2020. ასევე მნიშვნელოვან წინსვლას ანტი დისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება წარმოადგენდა, რაც დადებითად იყო შეფასებული საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებების მიერ (European Integration Index, 2014)

ადამიანის უფლებების მიმართულებით საგრძნობლად განსხვავდება საქართველოსა და მოლდოვაში განვითარებული პროცესები, მაშინ როდესაც მოლდოვაში ევროინტეგრაციის დაწყების პირველ წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნებოდა საქართველოში წინსვლა მხოლოდ 2014 წლიდან გახდა შესამჩნევი, ამ პერიოდში მოლდოვისათვის უკვე დამახასიათებელი იყო სამოქმედო გეგმების ნაწილობრივი შესრულება, რასაც ასევე ადამიანის უფლებათა ეროვნული კონვენციის დარღვევები მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე, მოლდოვის წარმატებული რეფორმების მიუხედავად, ბოლო პერიოდში ქვეყნის ძირითად გამოწვევებს ევროპეიზაციის პროცესის შენელება, რეფორმების დღის წესრიგის დარღვევა და საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების უგულველყოფა წარმოადგენს. საქართველოს შემთხვევაში ევროპეიზაციის პროცესის დადებითი დინამიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შემუშავების დროიდან დღემდე შენარჩუნებულია.

2.3.ეკონომიკური ინტეგრაცია

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა, ეკონომიკის სფეროში მოიცავს პარტნიორ სახელმწიფოებში საინვესტიციო კლიმატისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე წვდომასა და ფინანსურ ინფრასტრუქტურაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ციფრული ბაზრის ჰარმონიზებას და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულების ანალიზისას ყურადღებას გავამახვილებ, როგორც აღნიშნული მიმართულებებით განხორციელებულ რეფორმებზე, ასევე ევროკავშირთან ქვეყნების სავაჭრო ბრუნვასა და საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნების პოზიციებზე. ამის საფუძველზე შევაფასებ ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით თითოეულ ქვეყანაში მიღწეულ შედეგსა და წარმოქმნილ განსხვავებებს.

ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შემოღების დღიდან, ქვეყანა უდავო ლიდერია. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებთ, ასოცირების შეთანხმებამდე მოლდოვასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული იყო ავტონომიური სავაჭრო პრეფერენციების (ATP) სისტემა, რომელიც საქართველოსთან გაფორმებული GSP+ სისტემაზე უფრო მაღალი იყო, (European Integration Index, 2011) ქვეყნებმა ამ მიმართულებით ყველაზე დიდ წარმატებას ასოცირების შეთანხმების დადებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმებით ერთად მიაღწიეს,

რომელიც სრულად ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა, წინასწარ 2014 წლის სექტემბრიდან მოქმედების შემდეგ. საქართველოსთვის დამახასიათებელმა სავაჭრო გახსნილობამ გაამარტივა DCFTA-ზე მოლაპარაკების პროცესი საქართველოს ლიდერობა რეგიონში განპირობებულია DCFTA-ს მოთხოვნებთან ქვეყნის შესაბამისობით, რაც კარგად არის გამოკვეთილი კონკურენციისა და სახელმწიფო დახმარების სისტემით ქვეყანაში. გარდა ამისა, აღსანიშნავია გადასახადების სისტემის წარმატება, რომელიც პრობლემატური იყო რეგიონის სხვა ქვეყნებში (European Integration Index, 2014). ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მოლდოვასაგან განსხვავებით, საქართველომ, ერთიანად მოახდინა ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ყველა ტარიფის გაუქმება ევროკავშირიდან იმპორტირებული პროდუქტის მიმართ. მოლდოვაში, შეთანხმების დადების შემდგომი პერიოდზე ნეგატიური გავლენა იქონია 2015 წლის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა ეკონომიკურმა კრიზისმა (აღმოსავლეთ უკრაინის კრიზის, რუსეთის ემბარგო მოლდოვის სოფლის მეურნეობის პროდუქტზე და ევროკავშირსა და რუსეთს შორის სანქციები და აკრძალვები) (European Integration Index, 2015-2016).

რაც შეეხება ვაჭრობის მაჩვენებლებს, ევროკავშირი მოლდოვის ყველაზე დიდი პარტნიორია, როგორც საქონლის ექსპორტში, ასევე იმპორტში და რეგიონში ევროკავშირთან ყველაზე დიდი რაოდენობის ვაჭრობის მაჩვენებლის მქონე ქვეყანაა (European Integration Index, 2012). ეკონომიკური ინტეგრაციის შეფასების პროცესში აუცილებელია ევროკავშირსა და მოლდოვის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი. 2009 წლიდან ვაჭრობის ზრდა 2015 წლის კრიზისის შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება, თუმცა ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ბალანსიც ევროკავშირისა და მოლდოვის სავაჭრო ბრუნვისა იკლებს რასაც, საფუძვლად მოლდოვიდან ევროკავშირში ექსპორტის ზრდა უდევს. მიუხედავად 2015 წლის შემდეგ ევროკავშირიდან იმპორტირებული საქონლის შემცირებისა ამ წლებში დადებითი დინამიკაა მოლდოვიდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის რაოდენობაში (European Union, Trade with Georgia, 2017).





ვაჭრობის მიმართულებით საქართველოს სავაჭრო დინამიკა ევროკავშირთან განსხვავებულია. მაშინ როდესაც, ევროკავშირი ინარჩუნებს საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორის სტატუს, როგორც საქონლის იმპორტში, ასევე ექსპორტის მიმართულებთ, აღსანიშნავია, სავაჭრო ბალანსის უარყოფით მაჩვენებლები, რაც სავაჭრო ურთიერთობების ძირითადად ევროკავშირიდან იმპორტირებულ პროდუქტზე დამყარებით არის განპირობებული. 2017 წელს ევროკავშირმა საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 27,3% შეადგინა (European Union, Trade with Georgia, 2017).

ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოლდოვა 2016 წელს პან-ევრო ხმელთაშუაზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ რეგიონულ კონვენციას შეუერთდა. მოლდოვის გაწევრიანების შემდეგ, 2017 წელს საქართველოც შეუერთდა აღნიშნულ კონვენციას (European Commission, 2017). რაც შეეხება DCFTA-ს გაფორმების შედეგად აღებული ვალდებულებების განხორციელების შეფასებას, ზოგადად, ევროკავშირის მხრიდან აღებული ვალდებულებები შესრულების მიმართულებით საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები დროულად მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის მიერ შეთანხმებულ იქნა განახლებული ასოცირების დღის წესრიგი.

მოლდოვის შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მიმართულებთ, დროულად იქნა განხორციელებული პირველადი სექტორების კანონმდებლობა, რაც მოიცავდა დაკვირვებას, მეტროლოგიასა და სტანდარტიზაციას. თუმცა აღსანიშნავია, რომ მეორადი კანონმდებლობის მიღება გაჭიანურდა, რაც

მაგალითისათვის მოიცავს ბაზარზე დაკვირვებასა და საქონლის უსაფრთხოებას. შესაბამისად, მიუხედავად მიმდინარე სამუშაოებისა კანონმდებლობის დაახლოება გაჭიანურდა. მსგავსია ვითარება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების მიმართულებით, ევროკომისიის ანგარიშის მიხედვით, დაახლოების პროცესი ამ მიმართულებით ნელია და შესაძლებლობებიც არასაკმარისია. ნათელი პროგრესია მიღწეული საბაჟო და სავაჭრო გამარტივების მიმართულებით. ანგარიშში ასევე ხაზგასმულია სერვისების სფეროში მიღწეული პროგრესის არასაკმარისობა საბაზრო მოთხოვნებთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სერვისების მიმართულებით მოლდოვა ისევ საჭიროებს რეგულაციებს, კონკურენციის კომისიამ მიაღწია გარკვეულ პროგრესს, ასევე აღსანიშნავია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მიმართულებით მიღებული შესაბამისი კანონმდებლობა (European Commission, 2017, გვ. 6-7). ზოგადად კომისიის ანგარიშში მოცემული შეფასებების მიხედვით, მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული პროგრესისა ეკონომიკურ და სავაჭრო ინტეგრაციის მიმართულებით, დაახლოების პროცესი სამოქმედო გეგმას ვერ მიყვება, ნელია და დამატებით ძალისხმევას მოითხოვს.

რაც შეეხება საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს, ტექნიკური ბარიერების მიმართულებით რამდენიმე რეფორმა განხორციელდა მეტროლოგიის, აკრედიტაციისა და ბაზარზე დაკვირვების მიმართულებით, სანიტარული და ფიტოსანიტარული მიმართულებით სურსათი ეროვნული სააგენტო აგრძელებს ინსტიტუციურ განვითარებას რეფორმების გეგმის მიხედვით. საბაჟო და სავაჭრო გამარტივების მიმართულებით, გადამუშავებული საბაჟო კოდექსის პროექტი ევროკომისიისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესშია. ასევე, ელექტრონული ეკონომიკისა და საზოგადოების მიმართულებთ, მიღებულია ახალი კანონი ელექტრონული დოკუმენტების შესახებ, რაც ევროკავშირის რეგულაციებთან არის შესაბამისობაში. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო შესყიდვებისა და კონკურენტული გარემოს შექმნის მიმართულებით, საქართველო ევროკავშირის

ტექნიკური დახმარების საფუძველზე ახორციელებს საჭირო რეფორმებს (European Commission, 2017. გვ. 7-8). ანგარიშის მიხედვით, საქართველო დღის წესრიგში გათვალისწინებული ვადებისა და მოთხოვნების შესაბამისად ასევე, ევროკავშირთან აქტიური კონსულტაციის საფუძველზე ახორციელებს დაგეგმილ რეფორმებს.

აღნიშნულ დინამიკას ასევე ადასტურებს, მოლდოვის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელშიც შეფასებულია ეკონომიკური ინტეგრაციასთან დაკავშირებული, ევროკავშირის კანონმდებლობასთან მოლდოვის კანონმდებლობის დაახლოების პროგრესი. 2014 წლიდან 2016 წლის 6 თვის პერიოდში მე-4 თავით „ეკონომიკური და სექტორული დაახლოების მიმართულებით, დაგეგმილი 43 ღონისძიებიდან განხორციელებულია 26, მე-5 თავით „ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები“, დაგეგმილი 99 რეფორმიდან განხორციელებულია მხოლოდ 50 (DCFTA EU-Moldova, 2016, გვ. 40-42). ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით ევროკავშირთან ქვეყნის დაახლოების ანალიზისათვის აუცილებლია საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნების პოზიციების განხილვა და იმ დინამიკის ანალიზი, რაც დამახასიათებელია ქვეყნებისათვის ამ მიმართულებთ. ამ სფეროში ინდიკატორად გამოვიყენებ, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექს და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის ინდექსს.

ეკონომიკური ინტეგრაციის მიამრთულებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, მზად იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებებისათვის. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია ვაჭრობის მიმართულებით არსებული დაბრკოლებები, რომელიც ნათელია ევროკავშირისა და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების განხილვის საფუძველზე. მოლდოვის პროცესი საგრძნობლად განსხვავდება და ამ შემთხვევაში ევროპეიზაციის პროცესი სავაჭრო ურთიერთობების მიმართულებით უფრო წარმატებულია. თუმცა ასევე ხაზგასასმელია, რომ პოლიტიკური ასოცირების პროცესთან შედარებით, ეკონომიკური ინტეგრაციის მიუხედავად შენელებული

ტემპისა, დინამიკა უკეთესია განხორციელებული რეფორმებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან მოლდოვის დაახლოების საფუძველზე.

2.4. კავშირი, ტრანსპორტი და ენერგეტიკა

ევროპეიზაციის გავლენის კვლევის მოცემულ ნაწილში განვიხილავ მესამე პრიორიტეტულ სფეროში ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციისა და დაახლოების შედეგებს. აღნიშნული სფერო მოიცავს, ურთიერთკავშირების გაძლიერებას, თანამშრომლობის გაღრმავებას ენერგეტიკისა და ბუნების დაცვის სფეროებში. აღნიშნულ სფეროში ევროპეიზაციის პროცესი მიმართულია ტრანს-ევროპული ტრანსპორტის სისტემის (TEN-T) ქსელის გაფართოებისაკენ, ენერგომომარაგების უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული ეფექტურობის ზრდისაკენ, ასევე გარემოსდაცვითსა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის ადაპტაციისაკენ.

ენერგეტიკულ სფეროში ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვან ინდიკატორს ქვეყნების ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება და ქვეყნებთან ევროკავშირის თანამშრომლობის დადგენა წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს მოლდოვა ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყანა გახდა, მიუხედავად ამ მიმართულებით განხორციელებული რეფორმების სიმცირისა. ამ პერიოდში საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში მხოლოდ დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსი ჰქონდა (European Integration Index, 2011, გვ. 27-28).

2012 წლისათვის საქართველო ნაწილობრივ დაუახლოვდა ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებს, გაზისა და ელექტროენერგიის ბაზრის ლიბერალიზაციისა და მისი დაყოფის მცდელობის საფუძველზე. მოლდოვაში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები და საქართველოში ინფრასტრუქტურაზე თავისუფალი წვდომა ქვეყნების პირველი ნაბიჯები იყო ამ სფეროს ევროპეიზაციის მიმართულებით (European Integration Index, 2012, გვ. 59-61) 2013 წლისთვის საქართველო საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოლდოვას.

ამავდროულად მოლდოვა, მიუხედავად სუსტი პროგრესისა, რეგიონის ქვეყნებს შორის ფორმალური ვალდებულებების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა, აღნიშნული ბაზრისათვის დამახასიათებელი იყო ღია და არადისკრიმინაციული პოლიტიკა (European Integration Index, 2013, გვ. 41). ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შედეგად, მოლდოვის ძალისხმევა აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებთ, ძირითადად გაზისა და ელექტორენერგიის ბაზრებისა და ენერგოეფექტურობის გაზრდაზე იყო მიმართული (European Integration Index,2014, გვ. 88-90) ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით, მოლდოვამ განახორციელა მესამე ენერგეტიკული პაკეტისა და განახლებადი ენერგიის წყაროებზე კანონის მიღება 2016 წელს, ამასთანავე საჭიროა მეორადი კანონმდებლობის მიღებას აღნიშნული რეფორმების ეფექტურობისათვის (European Commission, 2017, გვ. 10)

რაც შეეხება კავშირს, საქართველოსათვის ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სამხრეთის გაზის დერეფნის მეშვეობით ევროკავშირისათვის სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის შესრულება. 2014 წლისათვის ევროკავშირის მიერ Trans Anatolian Pipeline (TANAP) and Trans Adriatic Pipeline (TAP) პროექტების მხარდაჭერის საფუძველზე, ნათელი გახდა საქართველოს მზარდი როლი. (European Integration Index, გვ. 88-90) მოლდოვა ამ მიმართულებით, ევროკავშირიდან ენერგიის იმპორტის ზრდისა და გაზისა და ელექტრონერგიის ევროკავშირის ქსელებთან დაკავშირების საფუძველზე აღრმავებდა ევროინტეგრაციის პროცესს, კერძოდ კი რუმინეთთან სექტორის დაკავშირებით. (European Integration Index, 2014, გვ. 88-90).

ენერგეტიკული ინტეგრაციის მიმართულებთ საქართველოსათვის მნიშვნელოვან წინსვლას 2017 წელს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან შეერთება გახდა. აღსანიშნავია რომ სამხრეთ კავკასიის გაზის დერეფანი დასრულებასთან ახლოს არის. თუმცა საქართველოში მნიშნველოვან გამოწვევას ენერგოეფექტურობის დონის გაუმჯობესება წარმოადგენს (European Commission, 2017, გვ. 13) ნათელია, რომ სხვა დარგებთან შედარებით ენერგეტიკული

ინტეგრაციის მიმართულებით მოლდოვას შენარჩუნებული აქვს პროგრესი და პირველობა რეგიონში, რადგან საქართველოს შემთხვევაში, ქვეყანა ენერგეტიკული გაერთიანების წევრი მხოლოდ 2017 წელს გახდა, შესაბამისად რთულია ამ მიმართულებთ მიღწეული შედეგების შეფასება.

ასევე, პრობლემატური სფეროა ტრანსპორტის სფეროში ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაცია. აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის პირველ წლებში, ქვეყნების მხრიდან არ იყო გამოხატული დიდი წარმატება ამ მიმართულებთ. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მნიშვნელობა ტრანსპორტის დარგში, გამომდინარეობას ევროკავშირსა და რუსეთსა, ასევე აზიას შორის მათი დამაკავშირებელი პოზიციიდან. საქართველოსა და მოლდოვისათვის ევროპეიზაციის პროცესის წარმატება საერთო საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა გახდა (European Integration Index, 2012, გვ. 59-61). ასევე, ინტეგრაციის გაღრმავების მიმართულებთ გასათვალისწინებელია ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა. მაშინ როდესაც მოლდოვისათვის, როგორც ევროკავშირთან საერთო საზღვრის მქონე ქვეყნისათვის უფრო მარტივი იყო სახმელეთო სატრანსპორტო ინტეგრაციის მიღწევა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის ეს საკითხი პრობლემატურია (European Integration Index, 2012, გვ. 59-61). ტრანსპორტის მარეგულირებელი გარემოს გათვალისწინებთ, მოლდოვა საქართველოსთან შედარებით უფრო განვითარებულია იყო. გზების უსაფრთხოების მიმართულებთ საქართველო ყველაზე პრობლემატური ქვეყანა იყო რეგიონში (European Integration Index, 2011, გვ. 27-29). თუმცა გასათვალისწინებელია, 2017 წელს ეროვნული გზების უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის მიღება, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი საკანონმდელო და პოლიტიკის ზომებს. (European Commission, 2017, გვ. 13) ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სატრანსპორტო ბაზარი ლიბერალიზებული იყო, მაშინ როდესაც მოლდოვამ 2013 წლისათვის დაიწყო რკინიგზისა და აეროპორტების რეფორმირება (European Integration Index, 2013, გვ. 40-42). პროცესის წარმატების ერთ-ერთ გამოხატულებას 2016 წელს მოლდოვის მიერ ახალი ავიაციის კოდექსის მიღება წარმოადგენს, რომლიც

მიზანი ევროკავშირთან გაფორმებული საერთო საავიაციო სივრცის შესახებს შეთანხმების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა წარმოადგენს. (European Commission, 2017, გვ. 10).

სექტორული დაახლოების მიმართულებით, ასევე საყურადღებოა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ზოგადად ამ მიმართულებათაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები მნიშვნელოვნად ჩამორებიან ევროკავშირის სტანდარტებს. თუმცა რეგიონის ქვეყნებს შორის მოლდოვა გამოირჩეოდა ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებით. 2015-16 წლეში ორივე ქვეყანამ მოახდინა პარიზის შეთანხმების რატიფიცირება, თუმცა მხოლოდ მოლდოვამ მოახდინა კლიმატის ცვლილებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღება. საერთაშორისო კონვენციებთან შეერთების მიმართულებით საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პასიური ქვეყანა რეგიონში (European Integration Index, 2015-2016, გვ.34). აღსანიშნავია, რომ საქართველოსათვის დამახასიათებელია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის, ინსტიტუციური მანდატისა და კოორდინაციის ნაკლებობა. თუმცა ასევე გასათვალისწინებელია, რომ გარემოს დაცვის მიმართულებით ქვეყანა ასრულებს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, ასევე, მოლდოვამაც მიაღწია პროგრეს გარემოს დაცვითი კანონმდებლობის შემუშავების მიმართულებთ (European Commission, 2017, გვ. 11).

ნათელია, რომ კავშირის მიმართულებით მოლდოვა ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას, მოლდოვის მიერ განხორციელებული რეფორმები, ევროკავშირთან სექტორული დაახლოების შესაბამისობაშია, რაც საქართველოს შემთხვევაში შედარებით რთული შესაფასებელია, რადგან ქვეყანამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებას (ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა) მხოლოდ 2017 წელს მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სხვა სფეროებში არსებული გამოწვევებისა სექტორული ინტეგრაციის მიმართულებით არსებული დაახლოება ვერ ხსნის მოლდოვის მიერ რეგიონში "წარმატების მაგალითის" სტატუსის დაკარგვას.

2.5. ხალხის დაახლოება

მე-4 პრიორიტეტულ სფეროში ევროპეიზაციის პროცესის კვლევისას ყურადღებას გავამახვილებ ვიზა ლიბერალიზაციის პროცესსა და განათლების სფეროში თანამშრომლობაზე.

მობილობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის მიმართულებით ევროპეიზაციის პროცესის ყველაზე ნათელი გამოხატულება ვიზა ლიბერალიზაციის პროცესია. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებთ მოლდოვისა და საქართველოს მიერ განვლილი გზა მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც ძირითადად მოლდოვის მიერ წარმატების უფრო ადრე მიღწევაში გამოიხატება. 2008 წლიდან ევროკავშირმა გააფორმა სავიზო რეჟიმის გამარტივების(VFA) და რეადმისიის შეთანხმება მოლდოვასთან, რის საფუძველზეც 2010 წლიდან დაიწყო მოლაპარაკება ვიზა ლიბერალიზაციის მიმართულებთ და 2011 წლის იანვარში ვიზა ლიბერალიზაციით სამოქმედო გეგმას მოაწერა ხელი. ამ მიმართულებით მოლდოვა შეიძლება მივიჩნიოთ, როგორ ახალი ინიციატივების „ლაბორატორია“ რეგიონში. 2011 წელს მოლდოვა გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც არაბიომეტრიული პასპორტების გამოცემა შეწყვიტა. მოლდოვა წარმატებით ასრულებდა ვიზა ლიბერალიზაციის პროცესთან დაკავშირებულ რეფორმებს და წარმოადგენდა ლიდერს რეგიონში, ამავდროულად ნათლად გამოხატავდა ევროკავშირთან თანამშრომლობის სურვილს მიგრაციისა და თავშესაფრის მაძიებლების მიმართულებით (European Integration Index, 2011, გვ.29-30). 2013 წლისათვის მოლდოვა გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელმაც შეასრულა ევროკავშირის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები და გადავიდა ვიზა ლიბერალიზაციის მეორე ფაზაზე (European Integration Index, 2013, გვ. 84-86).საბოლოოდ 2014 წლის მაისში მოლდოვამ მიაღწია თავისუფალ მიმოსვლას ევროკავშირთან. ვიზა ლიბერალიზაციის პირველი 6 თვის განმავლობაში 300000-მა მოქალაქემ ისარგებლა მოგზაურობის თავისუფლებით, რაც მოსახლეობის 9%-ს შეადგენს (European Integration Index, 2014, გვ. 92-95). რაც შეეხება ვიზა ლიბერალიზაციის ბოლო დროინდელ შეფასებას, ევროკომისიის ანგარიშის

მიხედვით, რეადმისიასა და დაბრუნებაზე თანამშრომლობა დადებითად შეფასდა, აღნიშნულ იქნა დაბრუნების მაღალი მაჩვენებელი 76,3% (European Commission, 2017, გვ.11).

2011 წელს საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმების ხელმოწერის შედეგ, დაიწყო მოლაპარაკება ვიზა ლიბერალიზაციის პროცესზე. საქართველომ წარმატებით განახორციელა ბიომეტრიული დოკუმენტების შემოღებასთან, საზღვრების კონტროლთან, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან დაკავშირებული რეფორმები. თუმცა გამოწვევას ამ მიმართულებით მიგრაციის სტრატეგიისა და მონაცემთა დაცვის სისტემა წარმოადგენდა (European Integration Index, 2012, გვ.62-63). მოლაპარაკებები ვიზა ლიბერალიზაციაზე მალევე წავიდა წინ და 2013 წლისათვის საქართველომ მიიღო ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა (European Integration Index, 2013, გვ84-86). სამოქმედო გეგმის ამოქმედების შემდეგ საქართველომ მიიღო ანტი დისკრიმინაციული კანონი, და საბოლოოდ 2017 წლიდან შეუერთდა მოლდოვას თავისუფალი მიმოსვლის მიმართულებთ (European Integration Index, 2015, გვ.119). საქართველოსათვისაც ვიზა ლიბერალიზაციაზე დიალოგი რეფორმების განხორციელებისათვის კარგი საშუალება გახდა, 2017 წელს ქვეყანა აგრძელებს საიმიგრაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას, და ერთიანი საიმიგრაციო ანალიზის სისტემის შემუშავებას (European Commission, 2017, გვ.14).

მობილობისა და განათლების სისტემის მიმართულებით მოლდოვა ინარჩუნებდა ლიდერის პოზიციას, მაშინ როდესაც ბოლონიის პროცესის გათვალისწინებით, განათლების სფეროში საქართველო ლიდერობდა. მოლდოვაში ამ მიმართულებით შენარჩუნებული იყო საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა და მხოლოდ 2014 წლისათვის გახდა შესაძლებელი განათლების ახალი კოდექსისა და განათლების ეროვნული სტრატეგიის 2014-2020 წლებისათვის შემუშავება (European Commission, 2017, გვ.11). განათლების მიმართულებით, ევროკომისია საქართველოსთან ერთად,

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სკოლის ჩამოყალიბებაზე მუშაობს (European Commission, 2017, გვ.14).

2013 წლიდან შესამჩნევია საქართველოს გააქტიურება ახალგაზრდული პროექტებში ჩართულობის მიმართულებით, მაგალითისათვის 2014 წელს საქართველომ მონაწილეობა 145 პროექტში მიიღო, ასევე 250 ერასმუს მუნდუსის პროექტში (European Integration Index, 2014, გვ. 92-93). შესაბამისად საქართველო ლიდერია რეგიონში კულტურული გაცვლის მიმართულებთ. მობილობისა და ხალხთა შორის დიალოგის სფეროში, სექტორული დაახლოების სფეროს მსგავსად ნაკლებად არის ასახული ის ძირითადი თავისებურებები, რაც მოლდოვისათვის ამ პერიოდში იყო დამახასიათებელი. აღსანიშნავია რომ, საწყის ეტაპზე არსებული გამოწვევების მიუხედავად, როგორც საქართველო, ასევე მოლდოვა დადებითი პროგრესითა და დინამიკით გამოირჩევა ამ მიმართლებთ.

2.6. ლიდერის სტატუსის ცვლილება

შეჯამების სახით შეიძლება თქვას, რომ ევროკავშირის მხრიდან მოლდოვისა და საქართველოს მიმართ დამოკიდებულების ცვლილების საფუძველი, ყველაზე კარგად პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით ჩანს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის მონაცემების მიხედვით, მოლდოვისა და საქართველოს ინდექსი ზემოთ განხილულ სფეროში, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, პირველს რიგში განვსაზღვროთ ის მიმართულებები, რომლებიც შედარებით პრობლემატური იყო ქვეყნებისათვის, და ასევე გავაანალიზოთ ქვეყნების განვითარების დინამიკა, ჩვენთვის საინტერესო დარგებში. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ რეიტინგის ანალიზის საფუძველზე, ნათელია საქართველოს მიერ პოლიტიკური კავშირის მიმართულებით 2014 წლისათვის მიღწეული წარმატება, როდესაც ქვეყანა მოლდოვის მაჩვენებლებს მიუახლოვდა. ასევე აღსანიშნავია დაახლოების მიმართულებით არსებული დინამიკა, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა მიმართულებთ გაუმჯობესებული აქვს შედეგები, რაც მოლდოვის შემთხვევაში ნაკლებად არის გამოხატული.









რაც შეეხება, ევროკავშირის მიერ რეგიონში ლიდერის სტატუსის განსაზღვრის გამოწვევი ფაქტორების დადგენას, ამ მიმართულებთ შედარების საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია, რაც ნათელს ხდის, საქართველოს „წარმატების ისტორიად“ წარმოჩენის და მოლდოვის მიერ ამ სტატუსის დაკარგვის მიზეზს. მათ შორის ხაზგასასმელია, რეფორმების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ვადებში

განხორციელების მაჩვენებლები, დაახლოების პროცესში საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის, მათ შორის ევროპული ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისი რეფორმების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ მოცემული სამი მიმართულებით მოლდოვის ევროინტეგრაციის პროცესის დადებითი დინამიკა, საგრძნობლად შეცვლილია. აღნიშნული ცვლილების ზუსტი დროის დადგენა სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ეს პროცესი 2013-2014 წლებში ნელ-ნელა იჩენდა თავს. საქართველოს შემთხვევაში, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, სამივე მიმართულებით შენარჩუნებულია დადებითი დინამიკა და ევროინტეგრაციის პროცესის ერთგულება.

3. წარმოქმნილი განსხვავებების ახსნა

3.1.ევროკავშირის დახმარება

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპეიზაციის გავლენის კვლევის პროცესში მკვლევართა დიდი ნაწილი აქცენტს ევროკავშირის პოლიტიკაზე, საგარეო დონეზე არსებულ ფაქტორების მნიშვნელობაზე აკეთებს, მიზანშეწონილად მიმაჩნია საქართველოსა და მოლდოვის შემთხვევაშიც გარედან მომდინარე სტიმულების ანალიზი, და აღმოსავლეთ პარტნიორების პოლიტიკის გავლენის ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით შეფასება.

ევროკავშირის მიერ საქართველოსა და მოლდოვაში განხორციელებული პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოვლინებას სწორედ გაწეული ფიფნასური დახმარება წარმოადგენს. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ 2007-2013 წლებში ორმხრივი დახმარების ფარგლებში ევროკავშირმა ევროპის სამეზომლო პოლიტიკის ინსტრუმეტის (ENPI) ფარგლებში 561 მილიონი ევრო გამოყო მოლდოვისათვის, რაც მოიცავდა 63 მილიონ ევროს გამოყოფას, 2012-2013 წლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის EaPIC (umbrella programme) ფარგლებში (ENP And Enlargement Negotiations, Moldova, 2017). რაც შეეხება საქართველოს აღნიშნულ პერიოდში ევროკავშირმა გამოყო 452 მილიონი ევრო ENPI-ს ფარგლებში, რაც ასევე მოიცავდა EaPIC პროგრამის 49 მილიონ ევროს. რაც შეეხება

2014-2017 წლებისგეგმის მიხედვით დახმარებამ, როგორც მოლდოვისა ისე საქართველოსათვის შეიძლება შეადგინოს 335 მილიონი ევროდან 410 მილიონ ევრომდე. ეს მონაცემები წინასწარი იყო და დამოკიდებული ქვეყნების საჭიროებასა და რეფორმების ერთგულებაზე (ENP And Enlargement Negotiations, Georgia, 2017).

2014-2016 წლებში, ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში საქართველოსათვის გაწეულმა დახმარებამ 340 მილიონი ევრო შეადგინა, რაც ასევე მოიცავდა 60 მილიონს მეტი მეტისათვის პრინციპის საფუძველზე გამოყოფილ თანხას. საქართველო ასევე სარგებლობს რეგიონული პროგრამებით (European Commission, Georgia, 2016, გვ. 11). საქართველო სარგებლობს ევროკავშირის მცირე და საშუალო ბიზნესის, ენერგეტიკის, ტრანსპოორის და სხვა სფეროების მხარდამჭერი პროგრამებით, მათ შორის მნიშვნელოვანია EU4Business ინიციატივა, ახალი ევროკავშირის საგარეო საინვესტიციო გეგმა 2017 წლის სექტემბერში შევიდა ძალაში, მიზნად დახმარების გაზრდას ისახავს, ბიზნესის გარემოსა და საინვესტიციო კლიმატის მიემრთულებთ. საქართველომ 2008 წლის შემდეგ 55 მილიონი ევრო მიიღო სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნების ევროკავშირის ინსტრუმენტი პროგრამის ფარგლებში. საქართველოში აქტიურად ხორციელდება Twinning პროექტები და TAIEX ექსპერტების მისიები (European Commission, Georgia, 2017. გვ. 15).

მოლდოვას ამავე პერიოდში 2014-2016 წლებში, ევროკავშირისაგან 310 მილიონი ევრო მიიღო. საქართველოს მსგავსად მოლდოვა სარგებელს იღებდა რეგიონული პროგრამებისაგან, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გარემოსა და ფინანსების ხელმისაწვდომობაზე იყო მიმართული. მოლდოვა ასევე მონაწილეობს შავი ზღვის აუზის, ENPI CBC რუმინეთი-უკრაინა მოლდოვის და ENI CBC რუმინეთი მოლდოვისა და სხვა პროგრამებში. მოლდოვის საგარეო ფინანსების საჭიროების გათვალისიწნებით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მაკროფინანსური მხარდაჭერის განცორციელებაზე, მოდლვოოისთვის 100 მილიონი ევროს ოდენობით, რაც განაწილებული იქნება 2017-2018 წლებზე. (European Commission, Moldova, 2017. გვ. 12). ქვეყნებში ევროინტეგრაციის

პროცესის დინამიკა, ასევე ნათლად აისახება ევროკავშირის ფინანსურ დახმარებაზე, რაც 2014-2016 წლებში მოლდოვისათვის საქართველოსთან შედარებით ნაკლები დაფინანსების გამოყოფაში გამოიხატება. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ თავდაპირველად ორივე ქვეყნისათვის გამოყოფილი თანხა იდენტურ შესაძლებლობებს იძლეოდა და დამოკიდებული იყო ქვეყნებისადმი დიფერენცირებული მიდგომის პრინციპის შესაბამისად, თანხების ქვეყნების შესრულების მიხედვით გადანაწილებაზე. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მცირე განსხვავებებისა მთლიანობაში ევროკავშირის მიერ გაწეული მხარდაჭერა და უზრუნველყოფილი სტიმულები ერთნაირია ორივე ქვეყნის მიმართ., შესაბამისად ევროპეიზაციის პროცესის განსხვავებული ტენდენციების ახსნა შეუძლებელია, ევროკავშირის მომდინარე ფაქტორების გავლენით.

3.2.ადგილობრივი სტრუქტურები

საქართველოსა და მოლდოვის ევროინტეგრაციის პროცესისა და ქვეყნების მიერ ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური ასოცირების იმერთულებთ ევროკავშირის ნორმებთან ადაპტაციასთან დაკავშირებული სირთულეების ანალიზისას აუცილებელია, როგორც პოლიტიკური სტრუქტურებისა და ინსტიტუტების მახასითებლების განხილვა, ასევე ევროინტეგრაციისა და ევროპეიზაციის პროცესისადმი ქვეყნებში არსებული ხედვებისა და აღქმების გათვალისწინება. ასევე მნშვნელოვანია, სეპარატისტული რეგიონების, როგორც შიდა სტრუქტურის ფაქტორის გავლენის გათვალისწინება ლიდერების ინტერესებისა და იდენტობის ჩამოყალიებაბზე.

3.2.1. პოლიტიკური სტრუქტურა - მოლდოვა

ადგილობრივი სტრუქტურის შეფასებისას აუცილებელია პოლიტიკური სისტემისა და სტაბილურობის განხილვა. ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში მოლდოვამ განიცადა რამდენიმე პოლიტიკური კრიზისი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელვანი საბანკო სკანდალი იყო, რამაც საზოგადოების უკამყოფილება და მთავრობის წინააღმეგ მიმართული საპროტესტო აქციები გამოიწვია. 2015 წლის

აპრილში ცენტრალური ბანკის მიერ აღმოჩენილი იქნა, რომ მოლდოვის ძლიერი ბანკების გადარიცხვების შედეგად 1 მილიარდი დოლარი გაქრა, რაც მოლდოვის მშპ-ს 15% შეადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება არ დასრულებილა, თუმცა სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკოსების ჩართულობაში დარწმუნებულია (European Forum For Democracy and Solidarity, 2017). აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოლიტიკური ლიდერებისა და ევროინტეგრაციის პროცესისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე, და ხელის შემშლელო ფაქტორი გახდა ევროპეიზაციის პროცესისათვის.

ასევე მეორე მნიშვნელოვანი პროცესი ადგილობრივი სტრუქტურის ცვლილების მიმართლებით 2014 წლის საპარლამენტო არჩევნების იყო. 30 ნოემბერს ჩატარებული არჩევნებში, პრო-დემოკრატიულმა პარტიებმა შეძლეს 101 ადგილიდან 55 ადგილის მიღება, მიუხედავად ამისა მყარად პრორუსული კურსის მქონე პარტიამ გაიმარჯვა და გახდა ყველაზე დიდი პარტია (25 ადგილით) პარლამენტში, რაც შედარებით ზომიერი კურსის მქონე კომუნისტნისტური პარტიის ადილების საფუძველზე მოახდინა, რომელმაც აჩევნების შედეგად 21 ადგილი მიიღო. (Freedom House, 2015) არჩევნების შედეგად, პრორუსული ორიენტაციის ოპოზიციას პარლამენტში 46 ადგილი ერგო. ასევე აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სამ პრო ევროპული კურსის მქონე პარტიამ ვერ შეძლო კოალიციის შედგენაზე შეთანხმება და მხოლოდ 2015 წლის ივლისში გახდა შესაძლებელი ახალი პროევროპული უმრავლესობის ჩამოყალიბება (European Forum For Democracy and Solidarity, 2017). ნათელია, რომ პარლამენტში ძალების ასეთი გადანაწილება და პრო რუსული პარტიების დიდი წარმომადგენლობა ართულებს პრო-ევროპული დღის წესრიგის განხორციელებას და დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის დისკურსის ჩამოყალიბებაზე. ასევე არჩევნების შედეგემა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებას ევროინტეგრაციის მიმართ.

აღნიშნული ვითარებისა და ცვლილებების დინამიკის ანალიზისათვის აუცილებელია, ასევე 2010 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების განხილვაც. ამ

პერიოდში, 2014 წელს გამარჯვებული სოციალისტების პარტია საერთოდ ვერ მოხვდა პარლამენტში. 2010 წლის არჩევნებთან შედარებით პროევროპულმა პარტიებმა დაკარგეს 9 ადგილი. 2010 წლის არჩევნების შედეგად პარლამენტში 4 პარტია იყო წარმოდგენილი მათ შორის, მოლდოვის კომუნისტური პარტია 42 ადგილით, ლიბერალ დემოკრატების პარტია 32, ლიბერალური პარტია 13 და დემოკრატიული პარტია 15 ადგილით (Brett & Knott, 2014). 2010 წლის არჩევნები მნშვნელოვანი იყო, 2009 წლის ტვიტერის რევოლუციის შემდეგ მოლდოვის პლურალისტურ, თუმცა ამავე დროს დაყოფილ პოლიტიკურ არენად ჩამოყალიბების მიმართულებით. სწორედ ამ პერიოდში მოახერხე პროევროპულმა კოალიციამ, 2001 წლის შემდეგ პირველად კომუნისტური პარტიის მთავრობიდან გაძევება. რამაც ამ კოალიციას ევროკავშირზე მიმართული რეფორმების განხორციელების საშუალება მისცა (Montesano, Togt & Zweers, 2016, გვ. 6-7). თუმცა ეს ვითარება საგრძნობლად შეიცვალა 2014 წლის არჩევნების შემდეგ. ჩემი აზრით, საპარლამენტო არჩევნების შედეგად წარმოქმილ ცვლილებებს შორის ყველაზე გასაკვირი და საყურადღებო არჩევნებში სოციალისტების მიერ ასეთი წარამტების მიღწევაა. ასევე გასათვალისწინებელია პროევროპული ძალების შემცირება და სუსტი კოალიციის ჩამოყალიბება, რაც 2010 წლის არჩევნების შედეგებთან შედარებით, კიდევ უფრო დანაცებრებულ და პრორუსულ გარემოს ქმნის პოლიტიკური ლიდერებისათვის.

საპრეზიდენტო არჩევნება, ასევე დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური დისკურსის ჩამოყალიბებასა და პოლიტიკური ელიტის ინტერესების ფორმირებაზე. 2016 წლის 13 ნოემბრის არჩევნების მეორე ტურში ოგორ დოდონის გამარჯვებით (52% მხარდაჭერა), კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი პრორუსული დისკურსის ძლიერებას. მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე საკონსიტუციო სასამართლომ აღადგინა 2000 წლამდე არსებული კონსტიტუციის დებულებები, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი ხალხის მიერ აირჩეოდა. შესაბამისად, 2016 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყეტილების შედეგად, 2000 წელს მიღებული კონსტიტუციური ცვლილებების, რომლის მეშვეობითაც ქვეყანა

საპარლამენტო რესპუბლიკის მმართველობაზე გადავიდა, გარკვეული დებულებების გაუქმების საფუძველზე, ხალხმა პირველად 2001 წლის შემდეგ პირდაპირ აირჩია პრეზიდენტი (Lutenco, 2017). აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები მისი ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებისა და შესაბამისად მმართველობაში გავლენის ზრდაზე მიგვანიშნებს. სწორედ ამიტომ, არის მნიშვნლეოვანი საკონსტიტუციო ცვლილებების გაუქმების განხილვა და პრეზიდენტად პრორუსული ორიენტაციის მქონე კანდიდატის არჩევა.

პოლიტიკური სტრუქტურა - საქართველო

საქართველოს შემთხვევაში ვითარება საგრძნობლად განსხვავდება, რადგან, შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლიდან მოყოლებული პოლიტიკურ ძალებს შორის არსებობს კონსესუსი პროევროპული და ევროატლანტიკური საგარეო კურსის ერთგულების მიმართულებით. 2009 წლიდან 2012 წლამდე მართველი ძალა ევროატლანტიკურ საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე ნაციონალური მოძრაობა იყო. მიუხედავად 2012 წელს არსებული პოლიტიკური კრიზისისა, აღნიშნული ვითარება არ შეხებია ქვეყნის საგარეო ხედვას და 2012 წლის არჩევენების შედეგად მმართველი პარტია ისევ დასავლური კურსის მქონეა ძალა გახდა. ამ პერიოდში პარლამენტში წარმოადგენილი ორი ძირითადი ძალა, როგორც უმრავლესობა ასევე, უმცირესობა პროევროპული კურსის პრიორიტეტულობის მომხრე იყო. ვითერება არ შეცვლილა არც 2014 წლის საპრეზიდენტო და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი გუნდის მიმართ ოპოზიციურად განწყობილია, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ასევე მკვეთრი დაპირისპირებით გამოიხატება პარლამენტში წარმოადგენილი უმცირესობა, შეიძლება ითქვას რომ ქვეყნის პროდასავლურ საგარეო პრიორიტეტებზე მათ შორის კონსესუსია მიღწეული.

მოლდოვის შემთხვევა საგრძნობლად განსხვავდება საქართველოსაგან, მისი ცვლაებადი და არასტავიული საგარეო პოლიტიკური ხედვებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ 2014 და 2016 წლის არჩევნებამდე მთავრობაში პრო-ევროპული კურსის მქონე პოლიტიკური ძალები იყვნენ წამყვანი, თუმცა ეს ვითარება შეიცვალა

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რასაც პარლამენტში პრორუსული ძალების გაძლიერება, ხოლო პრეზიდენტად სოციალისტური პარტიის ლიდერის მოსვლა მოჰყვა. შესაბამისად, მოლდოვაში პოლიტიკური სტრუქტურის შეფასებისას აუცილებელია, პირველ რიგში 2009 წლის შედეგ არსებულ ვითარებასთან შედარებით, კიდევ უფრო დაყოფილი პოლიტიკური სურათის ჩამოყალიბების და სისტემაში საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართულებით ძირეულად განსხვავებული ხედვებისა და პოზიციების გაჩენის ხაზგასმა. მაშინ როდესაც მიუხედავად პლურალისტური პარტიული სისტემისა, 2009-2014 წლებში მოლდოვა მეტნაკელბად შეთანხმებული იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, 2014 წლის არჩევნების შემდეგ ვითარება შეიცვალა და პოლიტიკური საზოგადოების დაყოფილობამ ბუნდოვნება შემოიტანა, როგორც ქვეყნის იდენტობის ასევე, მისი ინტერესების მიმართულებით, რაც ხელს უშლის მთავრობის მიერ ეფექტიანი პოლიტიკის გატარებას. რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად არსებული ძლიერი ოპოზიციური ძალისა, ქვეყნის პროევროპული კურსი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, რაც ასევე დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური ელიტების იდენტობისა და ინტერესების გამყარებასა და ამ მიმართულებით პოლიტიკის განხორციელებაზე.

3.2.2. საზოგადოებრივი აზრის გავლენა

პოლიტიკური ელიტების მიერ ევროინტეგრაციის პროცესის ერთგულებაზე დიდ გავლენას საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებები და ხედვები ახდენს. აქედან გამომდინარე, საჭიროა მოლდოვისა და საქართველოს საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულების დინამიკის ანალიზი, იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებს ეს ფაქტორი ევროპეიზაციის პროცესზე.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული გამოკითხვის მიხედვით, 2017 წლის მონაცემებით, ქართველთა 83%-მა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა კარგად შეაფასა, რაც წინა წლის 75%-იან მაჩვენებელთან შედარების გაიზარდა, რაც შეეხება უარყოფით შეფასებას,

საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 4% მიიჩნევს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ცუდი ურთიერთობაა დამყარებული, რაც მნიშვნელოვნად არის შემცირებული წინა წლის 13% მაჩვენებელთან შედარებით (Annual Survey Report: Georgia, 2017). რაც შეეხება მოლდოვის მაჩვენბებლებს, მოსახლეობის 68% მიიჩნევს, რომ ქვეყანას ევროკავშირთან დადებითი ურთიერთობა აქვს, ხოლო მოსახლეობის 25%-ის აღქმით ევროკავშირის და მოლდოვის ურთიერთობა უარყოფითია (Annual Survey Report: Moldova, 2017). 2014 წლის მონაცემებით, მოლდოვის მოსახლეობის 78% დადებითად აფასებდა ევროკავშირთან ქვეყნის ურთიერთობას, ხოლო უარყოფითად მხოლოდ 6% იყო განწყობილი (International Republican Institute, 2014). საქართველოს შემთხვევაში, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 90% აღწევდა. ასევე აღსანიშნავია, რომ მოლდოვის მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტნიორს ამ პერიოდში 47% მხარდაჭერით ევროკავშირი იყო, ხოლო ეკონომიკური მიმართულებით, 60% მხარდაჭერით რუსეთი. საქართველოში ევროკავშირის აღქმა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორისა 26% მიერ იქნა მხარდაჭერილი, ხოლო რუსეთი ამ პერიოდში ყველაზე დიდ საფრთხედ მოსახლეობის 57% და ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორად 30% მიიჩნევდა (International Republican Institute, 2013).

2017 წელს ქართველების 59% დადებითად აფასებდა ევროკავშირს, ხოლო 34% ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, რაც შეეხება მოხლდოვის მონაცემებს მოსახლეობის მხოლოდ 43% აფასებს ევროკავშირს დადებითად, 39% ნეიტრალურია, ხოლო 17 % უარყოფით დამოკიდებულება აქვს, რაც საქართველოს შემთხვევაში მხოლოდ 3%-იანი მაჩვენებლით განისაზღვრება (Annual Survey Report: Georgia, 2017) ნათელია, რომ საქართველოში 2013 წლის შემდეგ ევროკავშირის მნიშვნელობა ქვეყნისათვის გაზრდილია, ხოლო მოლდოვის მონაცემების მიხედვით დადებითმა შეფასებამ 78%-იდან 68%-მდე დაიწია, უარყოფიდად განწლობილი მოსახლეობა კი 6%-დან 25%-მდე გაიზარდა.

ასევე მნიშნველოვანი ევროკავშირისადმი მოსახლეობის ნდობის განხილვა. მაშინ როდესაც, საქართველოში ევროკავშირის მიმართ ნდობა 66% განისაზღვრება და მხოლოდ 12%-იანი უნდობლობა ფიქსირდება, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მიმართ კი ნდობა მხოლოდ 25% შეადგენს (Annual Survey Report: Georgia, 2017). ვითარება საგრძნობლად განსხვავდება მოლდოვაში, სადაც ევროკავშირის მიმართ ნდობის მაჩვენბელი 54%, მისი უნდობლობის მაჩვენებლი კი 41% შეადგენს, ხოლო ევრაზიული ეკონომიკური კავშირი მოსახლეობის 44%-იანი ნდობითა და 44%-იანი უნდობლობით სარგებლობს (Annual Survey Report: Moldova, 2017). საზოგადოებრივი აზრისა და დამოკიდებულებების ანალიზისას გასათვალისწინებელია, რომ მოლდოვაში ევროკავშირის მიმართ დადებითი დამოკიდებულება, ევრაზიული კავშირის მხარდაჭერამ ჩაანაცვლა, რამაც საბოლოოდ პროევროპული სენტიმენტების დაქვეითება გამოიწვია. საქართველოში, აღნიშნული პრობლემა ნაკლებად არის წარმოადგენილი, და ევროკავშირის მიამრთ დადებითი დამოკიდებულების ტენდენცია მოსახლეობაში შენარჩუნებულია.

საზოგადოებრივი აზრის კვლევისას მნიშნვლეოვან ფაქტორეს აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ხილვადობა და აღქმა წარმოადგენს, რადგანაც ევროკავშირის რიტორიკასა და რეალობას შორის არშებული განსხვავება უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების მიერ ევროკავშირის აღქმასა და მხარდაჭერაზე.

შედარებისათვის, საჭიროდ მიმაჩნია ქვეყანაში მთავრობისადმი ნდობის მაჩვენებლების განხილვა. საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 48% ენდობა მთავრობას და 43% პარლამენტს (Annual Survey Report: Georgia, 2017). თუმცა ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია მოლდოვაში, სადაც მთავრობის მიამრთ ნდობა 24%, ხოლო პარლამენტის მიმართ ნდობა 13% შეადგენს (Annual Survey Report: Moldova, 2017). ეს მაჩვენებლები მკვეთრად არის შეცვლილი 2013-2014 წლის მონაცემებთან, მაგალთისათვის საქართველოს პარლამენტი ამ პერიოდში მოსახლეობის 81%-ის, ხოლო მთავრობა 79%-ის ნდობით საგებლობდა (International Republican Institute, Georgia,

2013) მოლდოვაში ამ პერიოდში პროევროპული კოალიციისადმი ნდობა მოსახლლეობის 46%-ისთვის იყო დამახასიათებელი, ხოლო მთავრობის მიამრთ ნდობა 42%-სათვის (International Republican Institute, Moldova, 2014). აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ვითარება ორივე ქვეყანაში პრობლემატურია, თუმცა დღესდღეობით მოლდოვაში არსებული უნდობლობა კრიტიკულ ზღვრამდე არის მისული, რაც მნიშნველოვანს ხდის მოლდოვის მოსახლეობის პროევროპული ძალებისა და შესაბამისად ხედვების მოლოდინებისა და ნდობის შემცირებას. მოლდოვის მოსახლეობაში დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ განპირობებულია მოლოდინებისა და შედეგები ერთამენთთან შეუსაბამიბით. 2010-2014 წლებში პროევროპული მთავრობის მიერ მოსახლეობაში გაჩენილი მოლოდინები, არ შესრულდა და მალევე გახდა ნათელი, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია, არც დაუყოვნებლივ განვითარებას, რაც კორუფციის აღმოფხვრასა და ეკონომიკურ წინსვალს მოიცავს, და არც ევროკავშირის წევრობას არ გულისხმობს.

მოლოდინების ანალიზისათვის კარგ მაგალითს 2014 წელს მოლდოვის პრემიერ მინისტრის ლიანკესის მიერ გაკეთებული განცხადება წარმოადგენს. პრემიერ მინისტრის მიხედვით, მოლდოვას აქვს შესაძლებლობა გახდეს ევროკავშირის წევრი 2019 წელს, როდესაც ევროკავშირის პრეზიდენტობა რუმინეთს ექნება, ამ პერიოდში დიდი მოლოდინი იყო, რომ 2015 წლის რიგის სამიტზე მოლდოვა მიიღებდა კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, რაც ხშირად იყო გამოკვეთილი მმართველი ძალის განცხადებებში. (Teleradio Moldova, 2014) აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, მოლდოვის მიერ ევროკავშირში წევრობის აპლიკაციის შეტანის მოლოდინი შეუსრულებელი დარჩა და დღეს ეს საკითხი აღარც განიხილება. პირიკით, მაშინ როდესაც საქართველო ხშირად პირდაპირი მესიჯებით ადასტურებს ქვეყნის მისწრაფებას გახდეს ევროკავშირის წევრი, მოლდოვის იმედგაცრუება ამ საკითხთან დაკავშირებით ნათელია ლიდერების გამოსვლებშიც. 2017 წლის ევრიკავშირისა და მოლდოვას ასოცირების კომისიაზე მოლდოვის პრემიერ მინისრმა ხაზი გაუსვა რეფორმების განხორციელების მნიშვნელობას, მოსახლეობისათვის შედეგების დემონსტირირების კუთხით.

დღესდღეობით, მოლდოვის მთავრობა უფრო კონკრეტული ნაბიჯებისაკენ არის მიმართული, მომავალ წევრობის მოთხოვნასთან შედარებით. პროევროპული მთავრობის ძირითადი პრიორიტეტი მოსახლეობის ევროკავშირთან უფრო ღრმა ინტეგრაციის საჭიროებაში დარწმუნებაა. პრემიერ მინისტრის განცხადებით „მმართველობის ვადის ამოწურვამდე, მიღებულ იქნება ყველა ზომა, მოსახლეობის ევროპული ღირებულებებისა და გზისაკენ ნდობის აღსადგენად“ (Grigalashvili, 2017, გვ. 4). ბოლო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე ნათელი გახდა, მოლდოვის მხრიდან ევროკავშირთან დაახლოების მოლოდინების კლება. ნათელია, რომ ქვეყანას პირველ რიგში ევროკავშირის აღქმის მიმართულებით მოსახლეობაში გაცრუებული იმედების გამოსწორება ესაჭიროება, რაზეც არის მიმართული პროეევროპული კოალიციის ძალისხმება.

ასევე მნიშვნელოვაი პრობლემა, რომელიც თავს იჩენს მოლდოვაში და ნაკელბად პრობლემატურია საქართველოსათვის, რუსულენოვანი მოსახლეობისა და უმცირესობების მკვეთრად გამოყოფილი პოზიციაა. ევროპული ინტეგრაციის მიმართ მხარდაჭერის კლებასთან ერთად, საზოგადოებაში გავრცელდა ხედვა, რომ ევროკავშირში გაწევრიანება დამოუკიდებლობის დაკარგვასა და რუმინეთთან გაერთიანებას გამოიწვევს. აღნიშნული საფრთხის მიმართ განსაკუთრებულად მოწყვლადი უმვცირესობები არიან (Calus & Kosienkowski, 2018, გვ. 111), აღსანიშნავია, რომ ამ საკთხის აქტუალურობა მოლდოვის შემთხვევაში განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოლდოვის მოსახლეობის 11% (380 ათასი ადამინი) რუსულ თავის შობლიურ ენად მიიჩნევს, ხოლო 16% მას ყოველდღიურ სალაპარაკო ენად იყენებს. ის პირველი ენაა: ეთნიკურად რუსის 93%, მოლდოველი 5%, უკრაინელის 50% და გაგაუზიელის 27% ასევე სხვა ეთნიკური უმცირესოებბის დაახლოებით 50 პროცენტის (World Heritage Encyclopedia, 2018) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Ecorys კვლევის მიხედვით, ევროკავშირისადმი დამოკიდებულება და ნდობა მკვეთრად არის დაკავშირებული მშობლიური ენის ფაქტორთან, რადგან რუსულეონოვანი მოქალაქეებისათვის დამახასიათებელია ევროკავშირისადმი ნეიტრალური ან ნეგარიური (61% და 24%

შესაბამისად) დამოკიდებულება და ნდობის ნაკლებობა, რუსულენოვანი მოსახლეობის 61% არ ენდობა ევროკავშირს. (Annual Survey Report: Moldova, 2017) აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოლდოვის მოსახლეობა დაყოფილია ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით. აღნიშნულ პრობლემა საქართველოს შემთხვევაში ნაკლებად აქტუალურია, რადგან კორელაცია ერთნიკური უმცირესობებსა და ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებებს შორის არ არის დადგენილი. აღნიშნული საკითხი აქტუალური აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დამოკიდებულებების ანალიზისას ხდება, რაც სეპარატისტული რეგიონების გავლენის განსაზღვრისას იქნება გათვალისწინებული.

3.2.3. სეპარატისტული რეგიონები და ევროკავშირის მნიშვნელობა

ევროპეიზაციის პროცესის ანალიზისას აუცილებელია საქართველოსა და მოლდოვაში სეპარატისტული რეგიონების მნიშვნელობის გათვალისწინება. ტერიტორიული პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია ორივე ქვეყნისათვის, უსაფრთხოების პრიორიტეტულ დარგსა და ლიდერების ინტერესებისა თუ იდენტობების ჩამოყალიბების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისად, საჭიროდ მიმაჩნია, როგორც მოლდოვისა და დნესტრისპირეთის პრობლემისა, ასევე საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მნიშვნელობის დადგენა ევროპეიზაციის პროცესში და იმ გავლენის ანალიზი, რასაც ეს ფაქტორები ევროკავშირთან ურთიერთობასა და ელიტების მიერ პოლიტიკის განხორციელების პროცესზე ახდენენ.

<u>ევროკავშირის როლი დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებაში</u>

დნესტრისპირეთის პრობლემა 1990 წლებში რუსეთის მიერ რეგიონში დაძაბულობისა და გავლენის მოპოვების სურვილის საუძველზე წარმოიქმნა. 1994 წლიდან დაიწყო მოლაპარაკებები დნესტრისპირეთის სტატუსზე, რომელშიც ორი მხარის გარდა მედიატორებად რუსეთი, უკრაინა და ეუთო მონაწილეობდნენ (Büscher, 2016, გვ. 28-29). დსთ-ს ქვეყნების, სხვა სეპარატისტული რეგიონების მსგავსად, დნესტრისპირეთის არსებობაც რუსეთის ფინასურ დახმარებაზეა დამოკიდებული.

აღნიშნულ კონფლიქტში ევროკავშირის ჩართულობა საგრძნობლად სუსტია. თუმცა ევროკავშირის მიერ ამ რეგიონით დაინტერესება ნათელი 2005 წელს გახდა, როდესაც ევროკავშირი და აშშ მოლაპარაკების ფორმატს დამკვირვებელი ქვეყნების სტატუსით შეუერთდნენ. კონფლიქტის მოგვარების ძირითად ფორმატს „5+2"-ის მოლაპარაკებები წარმოადგენს, რომელშიც 2005 წლის შემდეგ მოლდოვა, დნესტრისპირეთი, ეუთო, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, აშშ და ევროკავშირი მონაწილეობენ. აღნიშნული მისია მონაწილეობს, დამკვირვებელის სტატუსით ერთიანი კონტროლის კომისიაში, რომელიც ზედამხედველობს შერეული სამშვიდობო ძალების მოქმედებებს. სამშვიდობო ძალები შექმნილია რუსეთის, მოლდოვისა და დნესტრისპირეთის სამშვიდობოებისაგან, და მასში ასევე დამატებით დამკვირვებლებად მონაწილეობენ უკრაინელელბი (osce, 2017). ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ფორმატი არასტაბილურობითა და არაეფექტურობით გამოირჩევა, მაგალითისაღვის დნესტრისპირეთის კონფლიქტზე საერთაშორის მოლაპარაკებები 6 წლიანი პაუზის შემდეგ მხოლოდ 2011 წელს განახლდა 5+2 ფორმატში (Socor, 2011).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონფლიქტისაგან განსხვავებით დნესტრისპირეთის საზღვრები არასდროს ყოფილა ისეთი დახურული, როგორის ეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაშია. ამ რეგიონის მაცხოვრებლები, სარგებლობენ მოლდოვის, განათლების, ჯანდაცვისა და სხვა სიკეთეებით. რაც შეეხება პოლიტიკური ელიტებისა და მოსახლეობის დამოკიდებულებას, პრორუსული პარტიები ზოგადად გაგებით ეკიდებიან დნესტრისპირეთის საკითხს, ხოლო პროევროპული ძალები ყურადღებას ამ პროცესის უკანონობასა და რუსეთის უარყოფით როლზე ამახვილებენ. მოლდოვის მოსახლეობამ მეორე მხრივ, თითქოსდა მიიღო განვითარების გზა ტირასპორლის გარეშე, გამოკითხულთა 80% აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას დნესტრისპირეთის მიმართ, მაშინ როდესაც მხოლოდ 9%-მა დაასახელა რეინტეგრაცია ქვეყნის პრიორიტეტების სამეულში. (Büscher, 2016, გვ. 35).

დნესტრისპირეთი კონფლიქტის განიხლვისას ასევე აღსანიშნავია, რომ რეგიონის პროდუქტის 67% ევროკავშირში გადის და ასევე მოსახლეობა აქტიურად

სარგებლობს ვიზალიბერალიზაციით შემოთავაზებული სარგებლით. შესაბამისად, მოლდოვის შემთხვევაში DCFTA-ს განხორციელება კარგ მაგალითს წარმოადგენს მეზობელი ქვეყნებისათვის, რადგან რეგიონი 2012 წელს, დამკვირვებლის სტატუსის შეუერთდა შეთანხმებაზე მოლაპარკებას. თავდაპირველად დნესტრისპირეთი ეწინააღმდეგებოდა შეთანხმებას, თუმცა 2014 წელს ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ ATP-ს რეჟმი მოლდოვასთან გაუქმდა, რის საფუძველზეც დაიწყო მოლაპარაკებები სეპარატისტულ რეგიონთან და 2015 წელს ასოცირების შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული თავები დნესტრისპირეთზეც გავრცელდა. მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა ევროკავშირის შესაძლებლობა ზედამხედველობა მოახდინოს მიმდინარე პროცესებზე დნესტრისპირეთში შეზღუდულია. აღსანიშნავია, რომ ე.წ. „მოქნილი“ მიდგომა DCFTA შესრულების მიმართ მოლდოვასა და დნესტრისპირეთში, წარმატების მიღწევის შემთხვევაში, შეიძლება გახდეს წარმატების გზამკვლევი სხვა ქვეყნებისათვის (Adarov & Havlik, 2016, გვ. 68-69) აღნიშნულის შემდეგ დნესტრისპირეთი მნშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა, რადგანაც ქვეყანა მაკროეკონომიკური მიმართულებით სრულიად არის დამოკიდებული რუსეთზე, ხოლო ვაჭრობის მიმართულებით მოლდოვასა და ევროკავშირზე.

მეორე სარგებელი, რომელიც დნესტრისპირეთის მოსახლეობამ მიიღო, ვიზალიბერალიზაციის მიღების საფუძველზე თავისუფალი გადაადგილებაა. აღსანიშნავია, რომ ვიზალიბერალიზავიის ამოქმედებიდან ბიომეტრიული პასპორტი დნესტრიპირეთის მოსახლეობის მესამედმა აიღო. რაც მიანიშნებს იმაზე, რომ თავისუფალი მიმოსვლა ევროკავშირთან ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლითაც დნესტრისპირეთის მოსახლეობისათვის მოლდოვა უფრო მიმზიდველი გახდა. დადებითი ტენდენციის მიუხედავად, პოლიტკური კრიზისის გათვალისწინები, მოლდოვამ ვერ მოახერხა აღნიშნული ვითარების გამოყენება და დნესტრისპირეთისათვის მიცემული სიკეთეების საფუძველზე კონფლიქტის მოგვარების მიმართულებთ პროგრესირება. ამ გარეომეობას ადასტურებს ის ფაქტი,

რომ 2014 წლიდან ოფიციალური მოლაპარაკებები 2017 წლის ნოემბრამდე არ განხორციელებულა (InfoTag, 2017). შესაბამისად, მიუხედავად ევროპეიზაციის პროცესის დადებით როლზე კონფლიქტის მოგვარების მიმართულებთ შედეგები ჯერჯერობით არ არის მიღწეული.

კონფლიქტში ევროკავშირის ჩართულობის ანალიზისას ასევე აუცილებელია, იმის ხაზგასმა, რომ მოლდოვისა და უკრაინის საზღვარზე განლაგებულია ევრიკავშირის სასაზღვრო დახმარების მისია EUBAM, რომელიც ძირითადად საზღვრების ადმინისტრირების ხელშეწყობაზეა მიმართულ, საბაჟო წესებისა და კანონის აღსურლების ზედამხედველოაბზე (EUBAM, 2017) შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ევროკავშირთან ინტეგრაციის დადებითი გავლენისა მოლდოვასა და დნესტრისპირეთთან კავშირის გაღრმავების მიმართულებთ, ნათელია, რომ ზოგადად ევროკავშირის როლის აღქმა როგორც ამ კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობისა, ძირითადად ეკონომიკური დამოკიდებულების გაღრმავებას ემყარება, თუმცა ნათელია მოლდოვის საზოგადოებასა და მთავრობისათვის ამ საკითხის უკანა პლანზე გადაწევა, რაც დიდწილად არის განპირობებული შიდა პოლიტიკური კრიზისებით. სხვა საკთხების მსგავსად აქაც აღინიშნება საზოგადოების მკაფიო დაპირისპირება ევროკავშირის როლზე, ერთის მხრივ ევროკავშირის ხელს უწყობს კონფლიქტის მოგვარებას, ხოლო მეორე მხდრივ პრორუსული ხედვის მქონეა მოსახლეობაში ეს მათი დისკრიმინაციის წყაროდ აღიქმება, რაც კიდევ უფრო აღვივებს ეთნიკურ დაძაბულობას.

<u>სეპარატისტული რეგიონების პრობლემა საქართველოში და ევროკავშირის როლი</u>

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 1990-იან წლებში დაწყებული დაპირისპირება და გაყინულ კონფლიქტებად ქცეული ვითარება 2008 წლის საქართველ -რუსეთის ომის შედეგად გამძაფრდა, საქართველოს პრო-დასავლური კურსისა და ნატოს რეგიონში ექსპანსიის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედების საფუძველზე, რუსეთმა აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა ტერიტორიაზე

სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გამყარებასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ევროკავშირმა აღიარა რუსეთის მიერ მოცემული ტერიტორიების ოკუპაცია Maglakelidze, 2017, გვ.30-31). გასათვალისიწნებელია, რომ ამ მოვლენამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სეპარატისტული რეგიონების იზოლაცოას საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებისაგან. მიუხედავად აღნიშნული დაპირისპირებისა და კონტაქტის ნაკლებობისა, საზოგადოების დამოკიდებულება მოცემული რეგიონების მიმართ მკაფიოდ გამოხატავს საკითხის მნისვნელობას ქვეყნის იდენტობის ჩამოყალიბებაში. 2013 წლის კვაკასიის ბარომეტრის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 73% მხარს უჭერს აფხაზეთის გაერთიანებას საქართველოში განსაკუთრებული სტატუსის გარეშე, ხოლო 33% მხარს უჭერს რეგიონის ავრონომიურ სტატუსს. ასევე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 76% განაცხადა, რომ არასდროს დაუჭერს მხარს დამოუკიდებელ აფხაზეთს Fischer, 2016, გვ 53). ნათელია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი ინარჩუნებს პრიორიტეტულ მდგომარეობას, როგორც მთავრობის, ასევე მოსახლების დისკურსში, რაც ზრდის ამ პროცესის გავლენას ქვეყნის ევროინტეგრაციაზე. აღნიშნული გავლენის დადგენის მიზნით, აუციელბელია ევროკავშირის ამ პროცესებში ჩართულობისა და გავლენის ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის როლი 2008 წლის ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა კონგლიქტის მოგვარების მიმართულებით. პირელ რიგში ხაზგასასმელია, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს შემოთავაზებული სამშვიდობი 6 პუნქტიანი გეგმა საფრანგეთის პრეზიდენტის (იმ პერიოდში ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანა) მიერ იქნა შემოთავაზებული. სამშვიდობი დოკუმენტის გარდა აღსანიშნავია, ახალი პლატფორმის შექმნა, რომელიც ევროკავშირის, ეუთოს, გაეროსა და აშშ მონაწილეობით, მოიცავს კონფლიქტის მხარეებს საქართველოსა და რუსეთს, და რუსეთის მოთხოვნის საფუძველზე, ოფიციალურ პირებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან. 6 პუნქტიანი გეგმის შემდეგ, ევროკავშირმა 2008 წლის 1 ოქტომბერს დააფუძნა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, რომელიც დღემდე მოქმედებს. EUMM-ის მიზანი, შეთანხმების შესრულების

ზედამხედველობა და დაპირისპირების გაჩენის პრევენციაა (Emerson & Kovziridze, 2016, გვ. 27-28). მისი მნშვნელობა, ასევე გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია არის ერთადერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი, ამ ტერიტორიაზე, რომელიც ზედამხედველობს პროცესს და აწვდის ინფორმაციას ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორებს (Ipress, 2018). შესაბამისად ნათელია, რომ ევროკავშირის როლი კონფლიქტის მედიაციასა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ცნობადობის მიმართულებით არის მნიშვნელოვანი.

ხაზგასასმელია ლიდერების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. საქართველოს ყოფილმა პრემიერ მინისტრმა, ბრუსელში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, აღნიშნა, რომ ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან შესაძლებელს ხდის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ასევე მსგავსი განცხადება გაკეთებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ, რომელიც მიიჩნევს რომ "ეს გზა უნიკალურია ჩვენი მთავარი პრობლემის, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების კუთხით, რადგან ჩვენ აფხაზ და ოს ძმებს ვთავაზობთ ყველა იმ სიკეთეს, რასაც ევროკავშირთან ასოცირებით მივიღებთ. ჩვენ მათ შევთავაზებთ ევროპული საქართველოს მშენებლობას და ამ სახელმწიფოში დაცული იქნება ნებისმიერი ეთნიკური, პოლიტიკური და სოციალური ჯგუფის უფლებები". (წურწუმია-ზურაბაშვილი, 2016 გვ.5) აღნიშნული გულისხმობს ქვეყნის მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიროტიების მოსახლეობისათვის ასოცირების შეთანხმებისა და ვიზალიბერალიზაციით მიღებული სარგებლის განაწილებას, რათა შეძლონ საქართველოს მეშვეობით ევროკავშირთან ვაჭრობის დამყარება და თავისუფალი გადაადგილებით სარგებლობა და გახადოს საქართველო უფრო მიმზიდველი.

თუმცა, აღნიშნული სცენარით პროცესის განვითარება სირთულეებთან არის დაკავშირებული. რაც განპირობებულია, პირველ რიგში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის უნდობლობით საქართველოს მიმართ, ხოლო მეორე მხრივ მათი დამოკიდებულებით ევროკავშირის გავლენის მიმართ. აფხაზეთისა

და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა ეწინააღმდეგება საქართველო ევროპულ მისწრაფებებს და ამის საპირისპიროდ რუსეთთან უფრო ღრმა ურთერთობის დამყარებას ისახავს მიზნად (Maglakelidze, 2017, გვ.30-31).

შესაბამისად, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირმა საქართველოში აიღო კონფლიქტის მოგვარების მედიატორის როლი 2008 წლის შემდეგ. საკითხის პრიორიტეტულობისა და არსებული იზოლაციის პირობებში ევროკავშირი საქართველოსათვის წარმოადგენს მნიშვნელვან ინსტრუმენტსა და იმედს ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთობის აღდგენისა და სტაბილიზაციის მიმართულებთ. შესაბამისად, ზემოთ ხსენებული ფაქტორები გავლენას ახდენს, ლიდერების იდენტობისა და ინტერესების ჩამოყალიბებაზე ევროკავშირის მიმართულებთ.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე ნათელია, რომ მაშინ როდესაც მოლდოვა სარგებლობს ევროკავშირთან ინტეგრაციის სიკეთეებით, აღნიშნული პროცესები შედარებით მცირე გავლენას ახდენენ პოლიტიკური ძალების ევროინტეგრაციის მიმართულებით ინტერესების გაძლიერებაზე. მოლდოვის მთავრობა პოლიტიურკური ნებისა თუ შესაძლებლობის ნაკლებობის გამო ვერ იყენებს ევროინტეგრაციის პროცესით უზრუნველყოფილ შესაძლებლობას. მაშინ როდესაც საქართველოსთვის ევროკავშირი კონფლიქტის მოგვარებაში მნიშვნელოვან მოთამაშედ და საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციის დამცველად აღქმის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ევროპული კურსის ერთგულებას ქვეყნის ლიდერებისათვის.

პოლიტიკური ელიტების იდენტობა და ინტერესები

მოცემულ ნაწილში განვიხილავ ქვეყნის იდენტობებსა და ინტერესებს ევროკავშირთან მიმართებაში რაც ერთის მხრივ, ადგილობრივ დონეზე არსებული ვითარებისა და ხედვების საფუძველზეა წარმოქმნილი, ხოლო მეორე მხრივ თავად განსაზღვრავს მმართველი ელიტების მიერ ევროინტეგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბების დინამიკას. შესაბამისად აღნიშნულ ნაწილში, მიმოვიხილავ

მოლდოვისა და საქართველოს მთავრობების დისკურსში ევროკავშრირის როლს და განვსაზღვრავ, თუ რა გავლენა იქონია ადგილობრივ დონეზე არსებულმა ვითარებამ, ლიდერების იდენტობებისა და ინტერესების ჩამოყალიბებაზე.

<u>მოლდოვის იდენტობა და ინტერესები</u>

მოლდოვის იდენტობის ანალიზისას, აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ქვეყნისათვის ერთიანი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება პრობლემაა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების დროიდან. 25 წლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ დღებდე განსხვავებული კონცეპციები წინააღმდეგბაშია ერთმანეთთან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დისკურსში. ერთ-ერთ ძირითად დაპირირსპირებას მოლდოვურ და რუმინულ იდენტობებს შორის არსებული შეუსაბამობა წარმოადგენს. ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით მნიშვნელოვან როლს ქვეყნის იდენტობის ჩამოყალიბებაში ენობრივი ფაქტორი ასრულებს (Baar & Jakubek, 2017, გვ. 89-91) აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის პერიოდში, ქვეყნის დისკურსში ევროკავშირის მნიშვნელობის განსაზღვრისა და ამ პროცესში პოლიტიკური კრისისა და საზოგადოებრივი აზრის ცვლილების გავლენის დადგენისათვის, პირველ რიგში საჭრიროდ მიმაჩნია, მოლდოვაში ევროკავშირის რუმინეთთან დაკავშირების განხილვა.

აღსანიშნაივაია, რომ თავდაპირველად ევროინტეგრაციის პროცესი პოპულარული რუმინულ და ევროპულ ხალხთან გაერთიანების, ევროპულ ოჯახში დაბრუნების საშუალებად აღიქმებოდა. თუმცა აღნიშნული ხედვის შენარჩუნება სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რაც ძირითადად რუსულენოვანი უმცირესობების წინააღმდეგონიდან გამომდინარეობდა (Büscher, 2016, გვ. 34). როგორც ზემოთ უქნა აღნიშნული, მოლდოვაში უმცირესობების მნშვნელოვანი ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება პროევროპულ კურსს, სწორედ იმიტომ, რომ ეს რუმინეთთან გაერთიანების საფრთხეს ქმნის. შესაბამისად, მოლდოვის მთავრობის დისკურსიდან მალევე მოხდა ნორმატიულ კავშირზე მითითებების ამოღება, რადგან ეს, როგორც უმცირესობების დისკრიმინაციად, ასევე მოლდოვის ტერიტორიული

მთლიანობის საფრთხედაც აღიქმებოდა (დნესტრისპირეთის გარდა, ამ შემთხვევაში გაგაუზიაც არის გასათვალისიწნებელი). აღნიშნული, ხედვის უარყოფა, ასევე დასტურდება იმ გარემოებით, რომ პარალმენტის პროევროპული პარტიები თავს იკავებენ რუმინეთთან გაერთიანების ხაზის მხარდაჭერას, მიუხედავად რუმინეთის მხრიდან მომდინარე სტიმულებისა. ასევე აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში მოსახლეობის მხოლოდ 7,5-15 პროცენტამდე უჭერს მხარს რუმინეთთან გაერთიანებას (Bird, 2015) , რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, ადგილობრივი სტრუქტურების მნიშვნელობას პოლიტიკური ელიტების ინტერესებისა და იდენტობების ჩამოყალიბებაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოლდოვის დისკურსში არ არის გათვალისიწნებული ე.წ. ნორმატიული ევროპული იდენტობის ჩამოყალიბება ქვეყანაში.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მოლდოვის მთავრობის იდენტობა ძირითადად პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების ხედვებზე არის დაფუძნებული, რაც ევროკავშირის, როგორც ქვეყნის განვთარების საშუალების აღქმას გულისხმობს. ამ მიმართულებით ევროპული იდენტობის შეფასებიბსას შესაძლებელია ორი ძირითადი მიმართულების გამოყოფა. პირველ რიგში აღსანიშნავია ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობა. პროევროპული კურსი ხშირად, ახალი ინვესტიციების, ეკონომიკური განვითარების, წარმოებისა და ვაჭორბის ზრდის, ევროკავშირის მხარდაჭერისა და მსგავსი ფაქტორების მიღების საფუძველზე მოიხსენიებოდა (Calus & Kosienkowski, 2018, გვ.107). ამის კარგი მაგალითა, 2016 წლის სექტემბეში, განხორციელებული ინტერვიუ მოლდოვის პრემიერ მინისტრთან: „მოლდოვისათვის, პროევროპულ სახელმწიფოდ ყოფნა, მნიშვნელოვანია რუმინეთის მაგალითის გათვალისწინებით. ჩენი მეზობელი და მუდმივი მოკავშირე საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა მოაქვს ევროკავშირს გაუმჯობესებული სტაბილურობის, ეკონომიკური შესაძლებლობების და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით“ (Government of Republic of Moldova, 2016).

ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შემოღების პერიოდში, პროევროპული კურსი რუსეთის გავლენის დაბალანსებისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების საშუალებად აღიქმებოდა, რაც ინტეგრაციის შედეგად რეგიონთან გაღრმავებული ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე, პოლიტიკურ დაახლოებასაც გამოიწვევდა. (Calus & Kosienkowski, 2018, გვ.107) თუმცა ამ მიმართულებით ევროკავშირის როლის ცვლილების აღქმა ნათელია, რაც შიდა პოლიტიკური კრისიზის შემდეგ მთავრობის პრიორიტეტებისა და საზოგადოების მხარდაჭერის შემცირების, ასევე პოლიტიკური ძალების როლების გადანაწილების საფუძველზე მოხდა. აღსანიშნავია, რომ დღეს პრო-რუსული პოლიტიკური ელიტის მიერ ევროკავშირთან ინტეგრაცია, არათუ დამხმარე, არამედ პირიქით დაპირისპირების ძალად აღიქმება. ამის ნათელი მაგალითია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ბოლო სამიტის შემდეგ პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება: „ევროპელების მიერ კიშინოვის იმედგაცრუება მუდმივი პროცესი გახდა...“ „ანტი რუსული რიტორიკა არამარტო არასამართლიანი, ასევე სრულიად უსარგებლოა, რაც ავნებს მოლდოვის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, რადგან ქმნის შიდა ეთნიკურ პრობლემებს და სოციალურ დაშლილობას“ (Presidency of the Republic of Moldova, 2017).

მოლდოვის პოლიტკური ელიტის დისკურსზე საზოგადოების დამოკიდებულებისა და პოლიტიკური სტრუქტურის ცვლილების გავლენის ანალიზის პროცესში აუცილებელია იმ ძირითადი მოქმედებების გამოკვეთა, რაც ქვეყნისათვის პროევროპული კურსის მნიშვნელობაზე მიგვითითებს. ამ მიმართულების განხილვის საფუძველზე ნათელია, თუ რა გავლენას ახდენს, შიდა სტრუქტურებში არსებული ცვლილებები ქვეყნის იდენტობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზეც, აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, მოლდოვაში მიმადინარე მნშვენლოვანი პროცესები ქვეყნის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან დაახლოებასა და პრეზიდენტის მიერ ახალ სამთავრობო დოკუმენტებზე მუშაობა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მოლდოვის მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე 2017 წლის

აპრილში ევრაზიული ეკონომიკური კავშირის გადაწყვეტილებით მოლდოვას დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა (Euroactiv, 2017). აღნიშნული მოვლენა, პრორუსული დისკურსის გაძლიერების ძალიან კარიგ მაგალითია. ასევე ევროინტეგრაციის პროცესისაგან დაშორების კიდევ ერთ კარგ მაგალითზე, პრეზიდენტის მიერ „საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სტრატეგიაზე" მუშაობა წარმოადგენს, სადაც აქცენტი ქვეყნის ნეიტრალიტეტზე უნდა გაკეთდეს. 2016 წელს შემოთავაზებული სტრატეგია, რომელიც მომზადებულ იქნა ნატოს ექსპერტების მხარდაჭერით და ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობის ინტენსიფიკაციას მოიცავდა, დაბლოკილ იქნა მოლდოვის ახალი პრეზინდეტის მიერ. რომელიც მკაფიოდ ეწინააღმდეგება ქვეყნის პროევროპული კურსის განვითარებას და ახალ სტრატეგიაში სწორედ ნეიტრალითეტზე გააკეთებს აქცენტს (Livadari , 2017). თუმცა ამ ვითარების გათვალისწინებით დასკვნების გამოტანამდე, ასევე აუცილებელია 2017 დეკემბერში მოლდოვის კონსტიტუციაში ახალი დებულების დამატების განხილვა, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის განვითარების ძირითად სტრატეგია ევროინტეგრაციის პროცესია (Publika.Md, 2017). შესაბამისად წლის ბოლოდან ევროინტეგრაციის პროცესი ქვეყნის კონსტიტუციის ნაწილია, რაც სრულიად არ შეესაბამება ზემოთ განხილული მოვლენებს და პრეზიდენტის ინიციატივებს. აღსანიშნავია, რომ მოლდოვის იდენტობის აღნიშნული დაყოფა და განუსაზღვრელობა განპირობებულია, ბოლო პერიოდში მომხდარი შიდა პოლიტიკური კრიზისისა და დამოკიდებულებების ცვლილებების საფუძველზე (რაშიც მოლდოვის შემთხვევაში საზოგადოების დაყოფას და პრორუსული საზოგადოების წარმოქმნის საფუძველზე, პროევროპული მხარდაჭერის შემცირებას ვგულისხმობ), რაც ნათლად აისახა ლიედრების იდენტობასა და ინტერესებში.

<u>იდენტობის პოლიტიკა საქართველოში</u>

საქართველოს შემთხვევა საგრძნობლად განსხვავდება მოლდოვის განვითარების გზისაგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროევროპული ინდენტობა ბოლო ორი ათწლეული განმავლობაში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. როგრც

უკვე აღნიშნულ იქნა ევროკავშირის წევრობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის უცვლელი პრიორიტეტია. პოლიტიკური ელიტების იდენტობის პროევროპული ხედვის გათვალისწინებით განსაზღვრისას, აუცილებელია რამდენიმე მიმართულების გამოყოფა, რომელიც არამხოლოდ მატერიალურ, არამედ ნორმატიულ კავშირსაც გულისხმობს.

პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ პოლიტიკური ელიტების პროევროპული იდენტობა ქვეყნის ევროპული საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობიდან მომდინარეობს. უფრო კონკრეტულად კი, საქართველო თავს აღიქვამს ევროპულ ქვეყნად, რომელიც ცდილობს ევროპულ ოჯახში დაბრუნებას. საქართველოს ევროპელობა და დასავლეთთან კავშირი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან მოდის და ამ შეგრძნების გამძაფრება 1991 წლის დამოუკიდებლობის შემდეგ მოხდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მისწრაფება დასავლეთთან ინტეგრაციის სწორედ მისი ევროპულ ერად აღქმიდან გამომდინარეობს (Chitaladze & Grygorian, 2015, გვ. 44-46). აღნიშნული ხედვა გამჯდარია პოლიტიკური ელიტის ხედვებშიც, რაც ასევე ნათლად გამოიხატება, როგორც ლიდერების მიერ ევროპეიზაციის პროცესის შეფასებაში ასევე სახელმწიფო დოკუმენტებში საკითხის პრიორიტეტულობაში. ამის კარგი მაგალითია, ქვეყნის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია, სადაც ქვეყანა მოხსენიებულია, „როგორც შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო, არის ევროპის გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული ნაწილი, რომელიც ისტორიული კატაკლიზმების გამო მოწყვეტილი იყო თავისი განვითარების ბუნებრივ გარემოს" (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2011).

ნორმატიული და კულტურული კავშირის გარდა პოლიტიკური ელიტის დისკურსში, ევროკავშრის როლი ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური შესაძლებლობებისა და კავშირების მიმზიდველობას მოიცავს. აღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობა ნათლად არის გამოხატული ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიაში, სადაც დასავლური ტიპის ლიბერალურ დემოკრატიად ჩამოყალიბების, ეკონომიკურ და პოლიტკურ ინტეგრაციასთან ერთად, ხაზგასმულია ქვეყნის მიერ

ევროკავშირის მნიშნველობის უსაფრთხოების მიმართულებთ ხაზგასმა (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2015).

როგორ ზემოთ იქნა აღნიშნული, საქართველოსთვის ევროკავშირი კონფლიქტის მოგვარებაში მნიშვნელოვან მოთამაშედ და საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციის დამცველად აღიქმება, რაც დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური ელიტების იდენტობასა და ინტერესებზე. აღნიშნული საკითხი ხაზგასმულია, როგორ ქვეყნის ეროვნულ დოკუმენტებში, ასევე ელიტების განცხადებებში ხშირად არის აქცენტირებული ევროკავშირის მნიშვნელოვანი გავლენა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. მაგალითისათვის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით „ევროკავშირი საქართველოს განიხილავს, როგორც მთავარ პარტნიორს და ჩვენ გვაქვს მჭიდრო არა მხოლოდ პოლიტიკური ასოცირების პროცესი და ეკონომიკური ინტეგრაციის, არამედ უსაფრთხოების სფეროში ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა. ეს არის ის მიმართულება, რომელზეც ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ“. როგორც მინისტრმა აღნიშნა, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებასა და ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ რთულ მდგომარეობაზე. ხაზი გაესვა ევროკავშირის მნიშვნელოვან როლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში, მათ შორის განსაკუთრებით აღინიშნა ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქმიანობა, ასევე ევროკავშირის ჩართულობა ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში და სხვა (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო(სიახლეები), 2017). საქართველოს პოლიტიკური ელიტების იდენტობის ანალიზისას ნათელია, რომ მათი პროევროპული კურსის ერთგულება, ერთი მხრივ განპირობებულია ისტორიულად და კულტურულად გამჯდარი ევროპული იდენტობით, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების მიმართულებით ევროკავშირის მნიშვნელოვან აქოტრად აღქმიდან გამომდინარე. აღნიშნული დისკურსის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების განმაპირობებელ ფაქოტრებად კი, ქვეყანაში არსენული კონსესუსური დამოკიდებულება შეიძლება მივიჩნიოთ, რაც გულისხმობს, როგორც პოლიტიკური

ძალების, ასევე მოსახლეობის მხირდან არსებულ მხარდაჭერასა, და ოკუპირებული ტერიტორიების საკთხის მოგვარებაში ევროკავშირსი მზარდი როლის აღქმას.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და მოლდოვაში ევროკავშირის პოლიტიკასთან ჰარმონიზაციის განსხვავებული დონის არსებობა აიხსნება იდენტობის პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე. საქართველოსა და მოლდოვაში პოლიტიკის სხვადახვა სფეროში, არსებული იდენტობების და ინტერესების განსხვავება, გავლენას ახდენს ევროპული იდეებისა და პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციაზე. ადგილობრივი სტრუქტურები, რომელიც შედგება როგორ პოლიტიკური სტრუქტურისაგან, ასევე ნორმებისა და ღირებულებებისაგან, გავლენას ახდენს მთავრობების ინტერესებისა და იდენტობების ჩამოყალიბებაზე რის საფუძველზე განსაზღვრავს სხვადასხვა სფეროებში ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებას.

ევროკავშირის დონიდან წამოსული სტიმულები არ განაპირობებს ადგილობრივი ინსტიტუტების სპეციფიური ფორმის ჩამოყალიბებას, არამედ უტოვებს დიდ გავლენას ადგილობრივ ინსტიტუტებსა და აქტორებს. მმართველი ელიტები ირჩევენ კონკრეტულ პოლიტიკას, პოლიტიკურ იდეებს, სტრატეგიებსა და კონკრეტულ ინტერესებს (რადგან ეს ფაქტორები შესაბამისობაშია, უფრო ფართო, ღწმა და კოლექტიურად აღიარებულ იდეებსა და დისკურსთან). შესაბამისად ევროკავშირის ნორმებსა და ღირებულებბეთან ადაპტაცია განპირობებულია არამხოლოდ ევროკავშირიდან მომდინარე სიტმულებით, არამედ შიდა დონეზე არსებული მოტივაციითა და შესაძლებლობებით. ევროპული სიგნალები ინტერპრეტირებულია და შეცვლილია შიდა დონეზე არსებული ტრადიციებით, ინსტიტუტებით, იდენტობებითა და რესურსებით, რაც თავის მხრივ ზღუდავს ჰარმონიზაციის დონეს.

ზემოთ ხსნებულიდან გამომდინარე, ნაშრომის შემდეგი ნაწილი მიმართული იქნება, ევროინტეგრაციის პროცესის ძირითადი განსხვავებების განმსაზღვრელი ფაქოტების თეორიულ ჩარჩოში ჩასმაზე, და იმ მექანიზმის აღწერაზე, თუ როგორ

განსაზღვრავს პოლიტიკური ელიტების იდენტობა ევროინტეგრაციის პროცესის მიმართულებთ გატერბულ პოლიტიკას.

4. თოერირიული ჩარჩო:

სოციალური კონსტრუქტივისმის შერწყმის თეორიის მიხედვით, ადგილობრივი სტრუქტურები, რომელიც ნორმებისა და ღირებულებეისაგან შედგება ორმხრივ ურთიერთობაშია აქტორების იდენტობასა და ინტერესებთან. მოლდოვის შემთხვევაში ადგილობრივი სტრუქტურის მატერიალური მხარე, დანაწევრებული და კონფლიქტური პოლიტიკური სისტემისაგან და დნესტრისპირეთის რეგიონთან ურთიერთობისაგან შედგება, ხოლო სოციალური სტრუქტურა საზოგადოებრივი აზრის მიმართულებით პრორუსული სენტიმენტების საფუძველზე, ევროკავშირის მიმართ მხარდაჭერის შემცირებასა და ევროპეიზაციის პროცესისადმი იმედგაცრუებაში გამოიხატება.

საქართველოს შემთხვევაში, მატერიალური სტრუქტურა საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართულებით კონსესუსური პოლირიკური სისტემისაგან და სეპარატისტულ რეგიონებთან ევროკავშირის მედიაციის მნშვნელობისაგან შედგება, ხოლო სოციალური სტრუქტურა საქართველოს მოსახლეობაში ევროპული იდენტობისა და ევროპული გზის მხარდაჭერაში გამოიხატება.

აღნიშნული სტრუქტურები შესაბამის გავლენას ახდენს პოლიტიკური ელიტების იდენტობებისა და ინტერესების ჩამოყალიბებაზე, რაც მოლდოვის შემთხვევაში პოლიტიკური ელიტების მიერ ევროკავშირის არქმაზე ახდენს გავლენას, რის საფუძველზეც მოლდოვაში უგულველყოფილია ევროპული იდენტობის ნორმატიული მხარე, და ძირითადი დისკურსი ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელზეა მიმართული, შიდა სტრუქტურების დიქოტომიური ხასიათი, ასევე შეუსაბამო გამოხატულებებს იძენს ქვეყნის დისკურსში, რაც ქვეყნის მიერ ერთი მხრივ ევროზიულ კავშირში დამკვირვებლი სტატუსის მოპოვებას, ხოლო მეორე მხრივ, კონსტიტუციაში პროევროპული განვითარების კურსის ერთგულებაზე ჩანაწერის დამატებაში გამოიხატება.

საქართველოს შემთხვევაში, ადგილობრივი სტრუქტურის კონსესუსური ხაისათი, გავლენას ახდენს პოლიტიკური ელიტების ევროპულ იდენტობაში, როგორც ნორმატიული ასევე პოლიტიკური გამოვლინებების სტაბილურობას. აღნიშნული, გამოხატულია ერთი მხრივ, პოლიტიკური ელიტებისათვის, ევროკავშირთან კულტურული და ისტორიული კავშირის მნიშნველობაშო, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ ხედვებში.

თეორიის შემდეგი დაშვების მიხედვით, აქტორების ქმედებები, მათი იდეებისა და იდენტობების მიერ განისაზღვრება. მოცემულ შემთხვევაში აქტორების ქმედებებს წარმოადგენს ევროინტეგრაციის მიმართულებთ, პოლიტიკური ელიტების მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური დაახოლების მიმართულებით რეფორმების საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე, დღის წესრიგისა და ევროკავშირის ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისად განხორციელებას. რაც შეეხება იდენტობებისა და ინტერესები გავლენას ელიტების პოლიტიკაზე, ლიდერები ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთიან სურათს შერწყმის პერსპექტივის მიხედვით ხედავენ, რაც მოიცავს შესრულების, პოლირიკური და სტრუქტურული შერწყმის გავლენას.

- შესრულების შერწყმა - ამ მიმართულებთ, საქართველოს მთავრობის მიერ დროულად და ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული რეფომრები განისაზღვრება, როგორც მატერიალური ასევე ნორმატიული მიზნებიდან მიღებული სარგებლის მაღალი მოლოდინებით. ამის კარგი მაგალითია DCFTA-ს მნიშნველობა ეკონომიკური განვითარების მიმართულება და ოკუპირებულ ტერიტორიებთან კავშირის დამყარების მოლოდინი, სეპარატისტულ რეგიონებში ევროკავშირისი მედიაციისა და საერთაშორისო დონეზე კონფლიქტის წარდგენის აღქმა და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სახელმწიფოებრიობის რწმენა.

მოლდოვის შემთხვევაში ვითარება განსხვავდება და ძირითადად ევროკავშირიდან მიღებული სარგებელი ეკონომიკურ სფეროს უკავშირდება, როგორც სავაჭრო ურთიერთბების, ასევე დნესტრისპირეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მიმართულებით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რუსეთის როგორც ევროკავშირის მისაღები ალტერნატივის აღქმა, რაც ასევე ქმნის დაბრკოლებას რეფორმების დროულად, ევროკავშირის ღირებულებეისა და სტანდარტების შესაბამისად განხორციელებისათვის.

- პოლიტიკური შერწყმა - ორივე მხარის მიზანი ევროკავშირის წევრობა იყო, თუმცა მოლდოვის ინტერესი ამ მიმართულებთაც ორაზროვანია და ხშირად ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყნის დაშლისა და მოსახლეობის ნაწილის წინააღმდეგ მიმართულ პროცესად აღიქმება. შესაბამისად, მთავრობის მიერ ევროპეიზაციის პროცესის ერთგულებაც იკლებს. საქართველოში ევროკავშირის წევრობა ქვეყნისათვის პრიორიტეტული და უალტერნატივო საკითხია.
- სტურქტურული შერწყმა - ორივე ქვეყანაში ევროკავშირი, როგორც ინსტიტუტი დადებითად აღიქმება, როგორც საერთაშორისო არენაზე ქვეყნის მნიშვნელობის ზრდის საშუალება. საქართველოს შესრულებისა და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე აღნიშნული ფაქტორი ქვეყნის მიზნების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოდგენას მოიცავს, რაც მნიშვნელოვანი სტიმულია ელიტებისათვის პოლიტიკის განხორციელების პროცესში. მოლდოვის შემთხვევაში კი აღნიშნული ფაქტორი მოლდოვისათვის რისკებთან არის დაკავშირებული, რადგანაც ევროკავშირში გაწევრიანება ხშირად რუმინეთთან გაერთიანების სიმბოლოდ აღიქმება, რაც ნაკლებად მიმზიდველს ხდის ევროპეიზაციის პროცესს პრორუსული ელიტებისათვის.

5. დასკვნა

ნაშრომში, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის საქართველოსა და მოლოდვაზე გავლენის ანალიზის პროცესში გამოკვეთილ იქნა ის ძირითადი მახასიათებლები, რაც განაპირობებს ქვეყნებს შორის ევროპეიზაციის

განსხვავებულ მიმდინარეობასა და რეგიონში ლიდერის სტატუსის მინიჭებას. ამ მიმართულებით, საქართველოსა და მოლდოვის 4 სფეროში მიმდინარე ევროპული ინტეგრაციის პროცესის შედარების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ძირითადად განხსვავებები პოლტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის სფეროებში შეიმჩნევა, მაშინ როდესაც როგორც სექტორული, ასევე მობილობისა და თანამშრომლობის მიმართულებით, ორივე ქვეყანაში შენარჩუნებულია დადებითი დინამიკა და ევროპული ნორმების შესაბამისი პროცესების ერთგულება. რაც შეეხება პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებზე ევროინტეგრაციის პროცესის გავლენას, ძირითადი განსხვავებები, რეფორმების საერთაშორისო და სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციის საფუძველზე, ასოცირების დღის წესრიგის ვადების და ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან დაწყებული პროცესი, როგორც საქართველოში, ასევე მოლდოვაში ამ საკთხების გათვალისწიენბით მიმდინარეობდა, თუმცა ვითარება შეიცვალა და 2013-2014 წლებში მოლდოვაში ევროპეიზაციის პროცესის მახასიათებლების ცვლილებასთან ერთად.

შესაბამისად ორი ქვეყნის, ევროპეიზაციის პროცესის შედარებისას, გამოიკვეთა, რომ საქართველო, მოლდოვასთან შედარებით, უფრო დროულად, ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად განაგრძობს ევროპეიზაციის პროცესს, მაშინ როდესაც მოლდოვაში რეფომრების განხორციელება, ხშირად სამოქმედო გეგმების გადავადებასთან, საერთაშორისო და სამოქალაქო სექტორის უგულველყოფასა და ევროპული ღირებულებების შეუსაბამობასთან არის დაკავშირებული. სწორედ აღნიშნული განსხვავება განაპირობებს, ევროკავშირის მიერ, რეგიონში ლიდერად საქართველოს აღქმას.

რაც შეეხება მეორე საკვლევ კითხაზე პასუხს თუ რა განაპირობებს ევროპეიზაციის პროცესის განსხვავებულ მიმდინარეობას ქვეყნებს შორის, ამ მიმართულებით ნათელი გახდა, რომ მოლდოვის შემთხვევაში, ადგილობრივი სტრუქტურების ცვლილების შედეგად, რაც დაკავშირებული იყო პოლიტიკური

კრიზისის, პოლიტიკური სისტემის, სეპარატისტული რეგიონის მნიშვნელობისა და საზოგადოებრივი აზრის ცვლილებასთან, შეიცვალა პოლიტიკური ელიტების იდენტობა და ინტერესები ევროკავშირთან მიმართებაში, რამაც განაპირობა ევროინტეგრაციის პროცესის დინამიკის ცვლილება და მოლოდვის მიერ ევროკავშირის ნორმებთან და აღებულ ვალდებულებეთან შეუსაბამო პოლიტიკის გატარება. შესაბამისად, პოლიტიკური ელიტების იდენტობები და ინტერესები განმსაზღვრელია ევროპეიზაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროპეიზაციის განსხვავებული დონის არსებობა, აიხსნება იდენტობის პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე. ევროკავშირის დონიდან წამოსული სტიმულები არ განაპირობებს ადგილობრივი ინსტიტუტების სპეციფიური ფორმის ჩამოყალიბებას, არამედ უტოვებს დიდ გავლენას ადგილობრივ ინსტიტუტებსა და აქტორებს. საქართველოსა და მოლდოვის შემთხვევაში მართველმა ელიტებმა განახორციელეს ევროინტეგრასიისადმი მიმართული პოლიტიკა, მათი იდენტობებისა და ინტერესების გათვალისწიენბის საფუძველზე, რაც შეესაბამებოდა ქვეყნის უფრო ფართო კოლექტიურად აღიარებულ დისკურსსა და სისტემას. შესაბამისად, ევროპული დონიდან მომდინარე სიგნალები ინტერპრეტირებულია და შეცვლილია შიდა დონეზე არსებული სისტემებით, ინსტიტუტებით, ღირებულებებით, იდენტობებითა და რესურსებით, რაც თავის მხრივ ზღუდავს ევროპეიზაციის პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- *აღმოსავლეთ პარტნიორობა. (2017).* საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. *მოძიებულია:* https://aa-monitoring.ge/site/#/ge/page/10043
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2011). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2015-2018). საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/სტრატეგიული-ამოცანები-და-მიზნები.aspx#str_m_03
- *საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2017). მიხეილ ჯანელიძის შეფასებით საქართველოს ევროპული ტრანსფორმაცია და წარმატებული რეფორმები ევროპის სტაბილურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია* http://mfa.gov.ge/News/%E2%80%8Bmikheil-janelidzis-shefasebit-saqartvelos-evropul.aspx?CatID=5
- წურწუმია-ზურაბაშვილი, ა. (2016) ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრებთა ევროპული არჩევანის და დემოკრატიზაციის პერსპექტივები. *საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი,პოლიტიკის დოკუმენტი* . გვ. http://gip.ge/wp-content/uploads/2016/05/policy_brief_GEO-4.pdf
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2017). „აღმოსავლეთ პარტნიორობით გათვალისწინებული რეფორმების გატარების კუთხით, საქართველო არის გამორჩეული ლიდერი და იმსახურებს განსაკუთრებულ აღიარებას" - გერმანიის ბუნდესტაგი. http://www.mfa.gov.ge/News/agmosavlet-partniorobis-programit-gatvaliscinebuli.aspx
- Adarov, A. & Havlik, P. (2016) Benefits and Costs of DCFTA: Evaluation of the Impact on Georgia, Moldova and Ukraine. *The Vienna Institute for International Economic Studies (wiiw) and Bertelsmann Stiftung.* მოძიებულია: https://www.bertelsmann-stiftung.de/en/publications/publication/did/benefits-and-costs-of-dcfta-evaluation-of-the-impact-on-georgia-moldova-and-ukraine/
- Baar, V. & Jakubek, D.(2017) Divided National Identity in Moldova. Journal of Nationalism, Memory & Language Politics Vol. 11, Issue 1, Pp. 89-91. https://www.degruyter.com/downloadpdf/j/jnmlp.2017.11.issue-1/jnmlp-2017-0004/jnmlp-2017-0004.pdf
- Bird, M. (2015) A union between Moldova and Romania: On the cards?. Eu Observer. https://euobserver.com/beyond-brussels/127824

- Blockmans, S., Kostanyan, H., Remizov, A., Slapakova, L., Loo, W. D. G. (2017) Assessing European Neighbourhood: Perspectives from the literature. (*Brussels: Policy Centre for European Policy Studies) Perspectives from the literature.* მოძიებულია: https://www.ceps.eu/system/files/ENP_LiteratureReviewWithCovers.pdf
- Büscher, K.(2016). The Transnistria Conflict in Light of the Crisis over Ukraine. In *Not Frozen! The Unresolved Conflicts over Transnistria, Abkhazia, South Ossetia and Nagorno-Karabakh in Light of the Crisis over Ukraine*, Fischer, S. Ed. Pp. 25-43. Stiftung Wissenschaft und Politik. https://www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP09_fhs.pdf
- Börzel, A. T. and Risse, T. (2000). When Europe Hits Home: Europeanization and Domestic Change. In *European Integration online Papers (EIoP*) Vol. 4, N°15; http://eiop.or.at/eiop/texte/2000-015a.htm
- Calus, K. & Kosienkowski, M. (2018) Relations Between Moldova and The European Union. In *European union and Its Eastern Neigourhood: Europeanization and its twenty first century contradictions*. Ed. Flenley, P. & Mannin, M. Pp. 99-113. Manchester: Manchester University Press.
- Chitaladze, A. & Grygorian, T. (2015). Understanding Europeanization in Georgia and Armenia - Discourses, Perceptions and the Impact on Bilateral Relations. Analytical Bulletin 8.Pp.44-53. https://cccsysu.com/wp-content/uploads/2016/05/Chitaladze-Ana-Grigoryan-Tatevik-2.pdf
- Commissioner Hahn visits Georgia. (2017). European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/news_corner/news/commissioner-hahn-visits-georgia_en
- Daniel Brett, D. & Knott, E. (2014). The Moldovan Elections of 2014 are more than about Putin or the EU: Corruption, Poverty and Parties. *The London School of Economics and Political Science Blog*. http://blogs.lse.ac.uk/lsee/2014/12/17/the-moldovan-elections-of-2014-are-more-than-about-putin-or-the-eu-corruption-poverty-and-parties/
- DCFTA EU-Moldova. (2016). Progress Report On The Implementation Of The Republic Of Moldova – European Union Association Agenda. http://dcfta.md/uploads/0/images/large/progress-report-on-eu-moldova-association-agenda-march-2016_58ff34d490840.pdf
- Eastern Partnership. (2016). European Union External Action. მოძიებულია: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/419/eastern-partnership_en 13/02/2018
- Eastern Partnership Civil Society Forum. (2017). Moldova: Opposing the Electoral System Change. In *Eap CSF 2017 in a snapshot*. Pp.10-11 http://eap-csf.eu/wp-content/uploads/EaP-CSF-2017-In-a-Snapshot.pdf
- Emerson, M. & Kovziridze, T. (2016) Political Principles, The Rule Of Law And Foreign Policy. In *Deepening EU Georgian Relations: What, Why & How*? Pp. 27-28. Brussels: CEPS https://www.ceps.eu/system/files/Georgia%20e-version%20with%20covers.pdf
- Eastern Partnership Index 2015-2016. (2017). *Charting Progress in European Integration, Democratic Reforms, and Sustainable Development*. Eastern Partnership Civil Society Forum. http://www.eap-index.eu/sites/default/files/EaP_Index_2015-16_0.pdf

- European Integration Index for Eastern Partnership Countries. (2011). *International Renaissance Foundation in cooperation with the Open Society Foundations*. http://www.eap-index.eu/sites/default/files/EaP%20Index%202011.pdf
- European Integration Index for Eastern Partnership Countries. (2012). *International Renaissance Foundation in cooperation with the Open Society Foundations.* http://www.eap-index.eu/sites/default/files/EaP%20Index%20%202012.pdf
- European Integration Index for Eastern Partnership Countries. (2013). *International Renaissance Foundation in cooperation with the Open Society Foundations and Eastern Partnership Civil Society Forum*. http://www.eap-index.eu/sites/default/files/EaP_Index_2013.pdf
- European Integration Index for Eastern Partnership Countries. (2014). *International Renaissance Foundation in cooperation with the Open Society Foundations, Eastern Partnership Civil Society Forum and Policy Association for an open Society*. http://www.eap-index.eu/sites/default/files/EaP_Index_2014_%20flier.pdf
- EUBAM. (2017) European Union External Action. http://eubam.org/who-we-are/
- EU report: Georgia successfully delivering on its reform commitments. (2017). European Commission Press release. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/35408/eu-report-georgia-successfully-delivering-its-reform-commitments_en
- EU report: Further reform efforts needed from the Republic of Moldova to benefit citizens. (2017). European Commission Press release. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/22567/EU%20report:%20Further%20reform%20efforts%20needed%20from%20the%20Republic%20of%20Moldova%20to%20benefit%20citizens
- Euroactiv. (2017) Moldova granted observer status in Eurasian Union. https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/moldova-granted-observer-status-in-eurasian-union/
- European Commission. (2017). Association Implementation Report on the Republic of Moldova. Joint Staff Working Document. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_implementation_report_on_georgia.pdf
- European Commission. (2017). Association Implementation Report on Georgia. Joint Staff Working Document https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_implementation_report_on_the_republic_of_moldova_2017_03_10_final.pdf
- European Commission. (2016). Association Implementation Report on Georgia. Joint Staff Working Document. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_jswd_georgia.pdf
- European Forum For Democracy and Solidarity. (2017). Moldova. https://www.europeanforum.net/countries/moldova
- European Commission (2017) European Union, Trade with Georgia. *Directorate-General for Trade*. P.3 http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113383.pdf
- European Commission (2017) European Union, Trade with Moldova. *Directorate-General for Trade*. P.3 http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113419.pdf
- EU-Moldova: Challenges ahead of signing the Association Agreement. (2014). European Commission Press release. http://europa.eu/rapid/press-release_IP-14-478_en.htm

- 'EU NEIGHBOURS east' (2017). ANNUAL SURVEY REPORT: REPUBLIC OF MOLDOVA 2nd Wave. *ACT LLC & Ecorys*. http://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2017-10/EUNEIGHBOURSeast_AnnualSurvey2017report_MOLDOVA.pdf
- 'EU NEIGHBOURS east' (2017). ANNUAL SURVEY REPORT: Georgia, 2nd Wave. *ACT LLC & Ecorys*. http://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2017-10/EUNEIGHBOURSeast_AnnualSurvey2017report_GEORGIA.pdf
- Fischer, S.(2016). The Conflicts over Abkhazia and South Ossetia in Light of the Crisis over Ukraine. In *Not Frozen! The Unresolved Conflicts over Transnistria, Abkhazia, South Ossetia and Nagorno-Karabakh in Light of the Crisis over Ukraine*, Fischer, S. Ed. Pp. 43-61. Stiftung Wissenschaft und Politik. https://www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2016RP09_fhs.pdf
- Freedom House. (2015). Moldova. https://freedomhouse.org/report/freedom-world/2015/moldova
- Georgia. (2017). European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/georgia_en
- Government of Republic of Moldova. (2016). Moldova's Prime Minister Committed to a Pro-Europe Path. http://www.gov.md/en/content/moldovas-prime-minister-committed-pro-europe-path
- Grigalashvili, M.(2017). What Georgia, Moldova, and Ukraine Want From the Brussels Summit. *GIP Commentary*, Issue #17. http://gip.ge/wp-content/uploads/2017/09/Commentary17.pdf
- International Republican Institute. (2014). Public Opinion Survey Residents of Moldova. http://www.iri.org/sites/default/files/2014%20July%2025%20Public%20Opinion%20Survey-Residents%20of%20Moldova%2C%20June%207-27%2C%202014.pdf
- International Republican Institute. (2013). Georgian National Study. http://www.iri.org/sites/default/files/2013_August_6_Survey_of_Georgian_Public_Opinion_May_17_June_2_2013.pdf
- InfoTag. (2017). Vienna hosting first round of 5+2 format negotiations on Transnistria settlement after long pause. http://www.infotag.md/rebelion-en/256226/
- IPress.(2018) თამარ ხულორდავა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, ერიკ ჰოგს შეხვდა. http://www.ipress.ge/new/99245-tamar-khulordava-evrokavshiris-sadamkvirveblo-misiis-khelmdzghvanels-erik-hogs-shekhvda
- Lavenex S. (2007) The External Face of Europeanization: Third Countries and International Organizations. In: Faist T., Ette A. (eds) The Europeanization of National Policies and Politics of Immigration. *Migration, Minorities and Citizenship*. 246-247 Palgrave Macmillan, London
- Livadari , A. (2017). Dodon: A new national strategy for the security of the Republic of Moldova will be developed. Moldova.org. http://www.moldova.org/en/dodon-new-national-strategy-security-republic-moldova-will-developed/
- Lutenco, A. (2017). The President's New Clothes: Will Moldova move to more powers for the head of state? *ConstitutionNet & International IDEA.* http://www.constitutionnet.org/news/presidents-new-clothes-will-moldova-move-more-powers-head-state
- Maglakelidze, A. (2017). Territorial conflicts in EaP countries and EU security and defense policy. *United Europe*, N11. Pp. https://www.ttu.ee/public/o/oiguse-instituut/No_11_3.pdf

- Meiser, W. J. (2015) Theories of rising Power Expansion and Restrains. In *Power and Restraint: The Rise of the United States, 1898—1941*. Pp. 9-10. Washington DC: Georgetown university Press.
- Moldova: Commissioner Hahn on his first mission to a partner country. (2014). European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/news_corner/news/2014/11/20141106_2_en
- Moldova. (2017). European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/moldova_lt
- Montesano, S. F., Togt W.T. & Zweers, W. (2016) .The Europeanisation of Moldova: Is the EU on the Right Track?. Clingendael Report. https://www.clingendael.org/sites/default/files/pdfs/Clingendael%20Report%20The%20Europeanisation%20of%20Moldova%20-%20July%202016.pdf
- OSCE (2013). Conflict prevention and resolution. *OSCE Mission to moldova.* http://www.osce.org/moldova/104529
- Papadimitriou, D., Baltag, D. & Surubaru, N. (2017) Assessing the performance of the European Union in Central and Eastern Europe and in its neighbourhood. *East European Politics*, 33:1, 1-16, DOI: 10.1080/21599165.2017.1279608
- Presidency of the Republic of Moldova. (2017) Statement by Moldovan President. http://presedinte.md/eng/presa/declaratia-presedintelui-republicii-moldova-igor-dodon
- Publika.Md. (2017). Supreme Court approved Vlad Plahotniuc's initiative to include European integration within Supreme Law. https://en.publika.md/supreme-court-approved-vlad-plahotniuc-s-initiative-to-include-european-integration-within-supreme-law_2643011.html
- Socor, W. (2011). International negotiations on Transnistria conflict set to re-start after six years. *Moldova.org Politics,* http://www.moldova.org/en/international-negotiations-on-transnistria-conflict-set-to-re-start-after-six-years-226896-eng/
- Saurugger, S. & Radaelli, M. C. (2008) The Europeanization of Public Policies: Introduction. *Journal of Comparative Policy Analysis,* 10:3, 213-219, DOI: 10.1080/13876980802276847
- Schimmelfennig, F. (2015) Europeanization beyond Europe. ETH Zurich: *Center for Comparative and International Studies*. Pp. http://www.europeangovernance-livingreviews.org/Articles/lreg-2015-1/download/lreg-2015-1.pdf
- Statement by High Representative/Vice President Federica Mogherini and Commissioner Johannes Hahn on the appointment of Prime Minister Chiril Gaburici and the formation of the government in the Republic of Moldova. (1015). European Commission Press release. http://europa.eu/rapid/press-release_STATEMENT-15-4454_en.htm
- Teleradio Moldova. (2014). Prime Minister Leanca announced year of Moldova's integration into the European Union. http://www.trm.md/en/politic/premierul-iurie-leanca-a-numit-anul-integrarii-republicii-moldova-in-uniunea-europeana/

- Tanil, G. (2014). The Social Constructivist Fusion Perspective: A Theory for Europeanization. *Perspectives on European Politics and Society*. Vol. 15, Iss. 4. Pp 483-499. http://dx.doi.org/10.1080/15705854.2014.900988
- World Heritage Encyclopedia. (2018) Languages Of Moldova. http://self.gutenberg.org/articles/eng/Languages_of_Moldova

დანართი #1.

Ivane Javakhishvili Tbilisi state university

Elene Tskhomelidze

European Union Eastern partnership Politics Impact on Republic of Moldova and Georgia – Comparative analysis

Diplomacy and International Politics

Submitted to obtain Master Degree in Nationalism and Ethnicity Studies

Supervisor: Nikoloz Samkharadze
Assistant Professor

Tbilisi
2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იარაჯული მარიამი

სასწავლო ორგანიზაციის თვისებრივი ანალიზი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნოდარ ბელქანია, სრული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი „სასწავლო ორგანიზაციის თვისებრივი ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე“ წარმოადგენს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელ ნაშრომს, რომელიც სრულდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ ფარგლებში.

მოცემული ნაშრომი ანალიტიკური ხასიათისაა და მისი მთავარი მიზანს წარმოადგენს სასწავლო ტიპის ორგანიზაციის თვისებრივი მახასიათებლების გამოვლენა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. ნაშრომის მიზანი არის აგრეთვე იმის გაცნობიერება, რომ ორგანიზაცია არ არის სტატიკური ორგანიზმი, ის ცოცხალი სტრუქტურაა და შესაძლებელია როგორც მისი ცალკეული ელემენტების, ასევე მთლიანობის ცვლილება და ევოლუცია.

სამაგისტრო ნაშრომის შესავალი მოიცავს თემის მოკლე მიმოხილვას, მის აქტუალობას, კვლევის ამოცანების, გამოყენებული მეთოდის და მისი ანალიზით მიღებული შედეგების პრეზენტაციას. პირველი თავი წარმოადგენს ორგანიზაციის, როგორც ცნების განმარტებას, მის ზოგად კლასიფიკაციას. მეორე თავი შეეხება ორგანიზაციის განვითარების ფაზებს, მათ ძირითად მახასიათებლებს, თითოეული მათგანის დადებით და უარყოფით მხარეებს. მესამე თავში გამოკვეთილია ორგანიზაციის შვიდი არსებითი ელემენტი და თითოეული მათგანი განხილულია განვითარების ოთხი ფაზის ჭრილში. მეოთხე თავი ეთმობა კვლევას, საკვლევი ორგანიზაციის მცირე მიმოხილვას, დასახული მიზნის შესაბამისად გამოკვეთილ ამოცანებს, გამოყენებულ მეთოდს, კვლევის პროცესში წამოჭრილ სირთულეებს, კვლევის შედეგების ანალიზს და რეკომენდაციებს.

ნაშრომის ფარგლებში კვლევა ჩატარდა ორგანიზაციის თვისებრივი დიაგნოზის ადაპტირებული კითხვარით (Glasl, Kalcher, Piber) (დანართი #1).

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად იგეგმებოდა მხოლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების გამოკითხვა, თუმცა საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადაწყდა კვლევის პროცესში სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ჩართვაც.

კვლევის პროცესში გამოვლინდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც სასწავლო ორგანიზაციის ძირითადი თვისებრივი მახასიათებლების ამჟამინდელი მდგომარეობა, ორგანიზაციის წევრებისთვის სასურველი მდგომარეობა, პრობლემები, რომლის წინაშეც დგას უნივერსიტეტი და მათი გადაჭრის სავარაუდო გზები.

Abstract

Qualitative analysis of the educational organization on the example of TSU

Mariami Iarajuli, M.I

Master's thesis "Qualitative analysis of the educational organization on the example of TSU" represents a work to earn master's degree in "Organization development and consulting" and it is performed in Tbilisi state university, faculty of social and political sciences.

Presented work is mostly analytical and its main purpose is to reveal qualitative features of the educational organization on the example of Tbilisi state university. Also, another purpose of this thesis is to realize that organization is not a static organism, it is an active, alive structure and it is possible to change and evolve some of its elements and also on the whole.

The introducing part of the thesis includes a brief description of the topic, its relevance, research tasks, used method and a review of the obtained results.

The first chapter gives a definition of the organization as a concept, its classification in general.

The second chapter describes four phase of the organization development, its mainc characteristics, the advantages and the disadvantages of it.

In the third chapter it is specifically explained the seven basic element of the organization and all of it is discussed in the context of four phases of the organizational development.

In the last chapter is represented a research, a short review of the organization (TSU), research tasks, used method, some difficulties of the research process, analysis of the results and recommendations.

In the research process is used an adapted qualitative diagnosis questionnaire of the organization. (attachment #1)

It should be noted, that from the beginning it was planned to inquire only the staff of the administration, but later, it was decided to envolve students and academic personnel in the process.

In the research process was revealed TSU's main qualitative characteristics condition, as the educational organization, its members desired condition, the problems that the organization is now facing and possible ways for solving them.

სარჩევი

ანოტაცია……..2

Abstract…….……4

სარჩევი…….6

შესავალი……..8

თავი 1. ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება, მათი განვითარების ფაზები და ძირითადი ელემენტები.....10

1.1 ორგანიზაციის ცნება და ზოგადი დახასიათება.....10

1.2 ორგანიზაციის განვითარების 4 ფაზა.....12

1.2.1 პიონერული ფაზა.....12

1.2.2 მართვის სტილი და ტექნიკები პიონერულ ფაზაში.....15

1.2.3 პიონერული ფაზის კრიზისი.....15

1.2.4 მართვა პიონერული ფაზის კრიზისში.....17

1.2.5 დიფერენციაციის ფაზა.....18

1.2.6 მართვის სტილი და ტექნიკები დიფერენციაციის ფაზაში.....20

1.2.7 დიფერენციაციის ფაზის კრიზისი.....21

1.2.8 მართვა დიფერენციაციის ფაზის კრიზისში.....21

1.2.9 ინტეგრაციის ფაზა 23

1.2.10 მართვის სტილი და ტექნიკები ინტეგრაციის ფაზაში.....23

1.2.11 ასოციაციის ფაზა.....25

1.2.12 მართვის სტილი და ტექნიკები ასოციაციის ფაზაში.....26

1.3 ორგანიზაციის 7 ელემენტი და მათი ევოლუცია განვითარების 4 ფაზის ჭრილში.....26

1.3.1 ორგანიზაციის 7 ელემენტი.....26

1.3.2 ორგანიზაციის 7 ელემენტის ევოლუცია განვითარების 4 ფაზის ჭრილში.....28

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია.....30

2.1 კვლევაში მონაწილე ორგანიზაციის აღწერა.....30

2.2 კვლევის მეთოდოლოგია; მიზანი და ამოცანები.....32

2.3 კვლევის ინსტრუმენტი და პროცედურის აღწერა.....33

2.4 კვლევის შედეგების პრეზენტაცია.....35

თავი 3. კვლევის ანალიზი.....42

3.1 კვლევის შეზღუდვები.....51

თავი 4. დასკვნა.....52

თავი 5. რეკომენდაციები.....54

ბიბლიოგრაფია.....56

დანართი #1 (კითხვარი).....57

დანართი #2 (შეფასების ცხრილი).....65

დანართი #3 67

შესავალი

თანამედროვე ეპოქა მუდმივი ცვლილებებით და გარდაქმნებით ხასიათდება, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს, ტექნოლოგიურ და სოციალურ პროგრესს, კონკურენციის გაძლიერებას და ა.შ., თუმცა მხოლოდ ეს ჩამოთვლილი ცვლილებები არ წარმოადგენენ ორგანიზაციის განვითარების და წარმატების საფუძველს. მსოფლიოში მიმდინარე ამ პროცესების მთავარ აქტივს წარმოადგენს არა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, არამედ ადამიანი (ჯაჯი, ა.ტ., რობინსი, პ.ს., 2009), რომელიც აღჭურვილია ცოდნით, ინტელექტით, ინოვაციური ხედვით. სწორედ ამ თვისებების მქონე ადამიანი ხდის ორგანიზაციას წარმატებულს.

დღესდღეობით ორგანიზაციები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, მუდმივი ცვლილებები კი მათი ყოველდღიური საქმიანობის პარალელური პროცესია. ზოგიერთი მათგანი უბრალოდ აიგნორებს ცვლილებების საჭიროებას, ზოგი ამკაცრებს კონტროლს და ხდება უფრო ბიუროკრატიული (Jones, B.B., Brazzel, M. 2014). ის ორგანიზაციები და ხელმძღვანელები კი რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი ორგანიზაციის განვითარებით, განწირულნი არიან.

სასწავლო ორგანიზაციები, რომლებიც არ ეწევიან კომერციულ საქმიანობას, საკმაოდ ხშირად დგებიან ცვლილებების წინაშე. წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ ამ ტიპის ორგანიზაციის ანალიზი და მის წინაშე მდგარი ცვლილებების საჭიროების განსაზღვრაა.

მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ორგანიზაციის თვისებრივი მახასიათებელების მიმოხილვა
- კვლევის ჩატარება
- დასკვნების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება

ორგანიზაციის თვისებრივი ანალიზი თსუ-ს მაგალითზე წარმოადგენს მის დიაგნოსტირებას განვითარების ოთხი ფაზის და შვიდი ბაზისური ელემენტის მიხედვით.

ამისთვის გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - კითხვარი. აღნიშნული კვლევა მოგვცემს პასუხებს შემდეგ კითხვებზე:

- როგორია ორგანიზაციის წევრთა აზრი მისი თითოეული ელემენტის ძირითად მახასიათებლების შესახებ
- განვითარების რომელ ფაზაში ან რომელი ფაზის კრიზისშია ამჟამად უნივერსიტეტი
- რა აუცილებელი ცვლილებების წინაშე დგას ის განვითარების გზაზე
- როგორია ორგანიზაციის წევრთა „სასურველი მდგომარეობა“

ყოველივე ზემოაღნიშნული კი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ცვლილებების საჭიროება და შევიმუშავოთ შესაბამისი რეკომენდაციები.

თავი 1. ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება, მათი განვითარების ფაზები და ძირითადი ელემენტები

1.1 ორგანიზაციის ცნება და ზოგადი დახასიათება.

ორგანიზაცია არის ადამიანთა ჯგუფი, რომლის საქმიანობაც შეგნებულადაა მიმართული საერთო მიზნის ან მიზნების მისაღწევად. ადამიანთა ესა თუ ის ჯგუფი რომ ჩაითვალოს ორგანიზაციად, საჭიროა შესრულდეს შემდეგი პირობები:

1) უნდა არსებობდეს მინიმუმ ორი ადამიანი, რომლებიც თავს მოცემული ჯგუფის წევრებად ჩათვლიან;
2) უნდა არსებობედეს უკიდურეს შემთხვევაში ერთი მიზანი მაინც, რომელსაც ჯგუფის ყველა წევრი გაითავისებს.

განასხვავებენ ფორმალურ და არაფორმალურ ორგანიზაციებს. ფორმალური ორგანიზაციის განმარტება ემთხვევა ორგანიზაციის ზემოთ მოყვანილ განმარტებას, ამიტომ, როცა საუბარია ორგანიზაციაზე, ყოველთვის მხედველობაშია ფორმალური ორგანიზაცია. არაფორმალური ორგანიზაციები ფორმალურისგან განსხვავებით იქმნება სპონტანურად განსაზღვრული მიზნის/მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციის მიზანთან დაკავშირებით მას ყოფენ ორ ჯგუფად: კომერციული (მოგებაზე ორიენტირებული) და არაკომერციული ორგანიზაციები. ფრიდიხ გლაზლი ორგანიზაციის სამ ქვესისტემაზე დაყრდნობით გამოყოფს ორგანიზაციის სამ მთავარ ტიპს: პროფესიული ორგანიზაცია, მომსახურების სფეროს ორგანიზაცია და მაწარმოებელი ორგანიზაცია (Glasl, 2002).

A.Bos-ის (1972) მიხედვით პროფესიულ ორგანიზაციებს გააჩნიათ შემდეგი ძირითადი მახასიათებლები: ორგანიზაციის მიზანი არის „იდეების წარმოება“, მთავარი მაფორმირებელი პრინციპი კი თანამშრომლების პროფესიული თავისუფლება. ამ ტიპის ორგანიზაცია მუდმივადაა დაკავებული თანამშრომლების სწავლებით და განვითარებით (Glasl, 2002). სწორედ პროფესიული ორგანიზაციის ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს სასწავლო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება განვმარტოთ როგორც ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას იმ მიზნებთან შესაბამისობაში, რომლის მისაღწევადაც ეს ორგანიზაცია შეიქმნა.

საქართველოში სასწავლო ორგანიზაციები იყოფა შემდეგ ტიპებად: სკოლამდელი საგანმანათლებლო ორგანიზაცია, ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაცია და უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც თავის მხრივ იყოფა სამ სახედ:

- კოლეჯი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელების აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.
- სასწავლო უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, გარდა დოქტორანტურისა.
- უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს. (http://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo)

1.2 ორგანიზაციის განვითარების 4 ფაზა

1.2.1 პიონერული ფაზა

ბერნარდ ლივეხუდის მიხედვით, ადამიანის მსგავსად, ორგანიზაციაც თავისი განვითარების პროცესში გაივლის 3 ძირითად საფეხურს: პიონერულ, დიფერენციაციის და ინტეგრაციისა ფაზებს. მოგვიანებით ფრიდრიხ გლაზლმა ამ საფეხურებს ასოციაციის ფაზა დაუმატა. ამ პროცესში საწარმო ყალიბდება, როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი ორგანიზმი, რომლის წინაშეც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ახალ-ახალი გამოწვევები და სირთულეები დგას. ადამიანის მსგავსად, ორგანიზაციაც მუდმივად ისწრაფვის განვითარებისაკენ, ცდილობს რომ ფეხი აუწყოს ცვლილებებს და მოერგოს ახალ სტანდარტებს, რასაც მისი გარემო სთავაზობს.

განვიხილოთ თითოეული ფაზის გამოწვევები.

პიონერული საწარმო მისი ყველაზე წმინდა გაგებით წარმოადგენს საწარმოს, რომელსაც ავტოკრატიულად მართავს მისი დამფუძნებელი. (Glasl & Lievegoed; 2004). ხელმძღვანელობა მთლიანად ეყრდნობა იმ პრესტიჟს, რომლითაც პიონერი მეწარმე სარგებლობს თავის თანამშრომლებს შორის. თუ სირთულე წარმოიქმნა, პიონერი აუცილებლად პოულობს გამოსავალს, მისი უდავო ავტორიტეტი კი უფრო მეტად გამყარებულია შემდეგი ფაქტორებით:

- პიონერი პირადად იცნობს ყველა დასაქმებულს, თითოეული მათგანი პირადად მის მიერაა აყვანილი სამუშაოზე.
- მისთვის კარგადაა ცნობილი საწარმოს მუშაობის სპეციფიკა, რადგან ბევრი რამ აქ პირადად მისი შექმნილია.

ურთიერთობა პიონერ მეწარმეს და მის დაქვემდებარებულებს შორის არის პირდაპირი და უშუალო, ის „მათ ენაზე“ საუბრობს და სწორედ ეს ფსიქოლოგიური სიახლოვე ხელმძღვანელს და შემსრულებლებს შორის, განაპირობებს კომუნიკაციის მოქნილობას და ეფექტურობას. პიონერული ფაზის მუშაობის სტილი იმპროვიზაციაა, რაც

სიტუაციასთან მორგების მაღალ ხარისხს განაპირობებს. მომუშავეები არ არიან შეზღუდულნი, მათ აქვთ ფართო სპეციალიზირებული ცოდნა და შეუძლიათ შეასრულონ ერთზე მეტი დავალება. გარდა ამისა, საწარმო სწრაფად ახდენს ადაპტირებას ცვალებად საბაზრო პირობებში. (Glasl & Lievegoed; 2004).

პიონერულ საწარმოს არ ახასიათებს პერსონალზე ზრუნვა. თანამშრომლებთან დაკავშირებით ასეთი ტიპის საწარმოში საკმაოდ მარტივი გადაწყვეტა არსებობს - როდესაც ბაზარზე მოთხოვნა იზრდება, საწარმო იყვანს დამხმარე ძალას, როცა მცირდება - ათავისუფლებს მათ. ვინ ასეთი სტილით მუშაობას უძლებს, ის ხდება ორგანიზაციის ნაწილი, ვინც ვერა - მეტწილად „უხმაუროდ“ ქრება ორგანიზაციიდან.

პიონერული საწარმო ძირითადად მოღვაწეობს განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში, სადაც პირადად იცნობს მთელ თავის კლიენტურას. მისი ძირითადი მიზანი მათთან ურთიერთობაა პირადი კონტაქტების დონეზე.

პიონერული საწარმო მუშაობს შეკვეთიდან შეკვეთამდე: იწარმოება ის რაც შეკვეთილია და რაც იყიდება. ძველი და კარგად ნაცნობი მომხმარებლისთვის ხშირად სხვა სამუშაოებიც სრულდება. ამ დროს პიონერმა მმართველმა არ იცის, თუ რამდენი უჯდება გარკვეული სახის მომსახურება და სამუშაო, ის მხოლოდ საერთო შემოსავლით ინტერესდება, სხვა დანარჩენზე კი გამოცდილებას და ინტუიციას ეყრდნობა.

პიონერული საწარმოს გაზრდისთვის პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- „კონგლომერატის ფორმა“ - თავდაპირველი საწარმო იშლება უფრო მცირე ნაწილებად, რომლებიც იმართებიან პიონერული სტილით, ხოლო ცენტრალური საწარმო ხდება ე.წ. „ფინანსური ჰოლდინგი“. სამუშაოდ მიიღებიან ახალგაზრდები პიონერული მენტალიტეტით. ყოველი შვილობილი კომპანია ვალდებულია ანგარიშით წარსდგეს პიონერთან ცენტრალურ საწარმოში.

- „ოჯახური საწარმო“ - ერთი შეხედვით ცოტა უცნაურია, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას პიონერულ სტილთან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ უკანასკნელისგან გამომდინარეობს, განსაკუთრებით მმართველობის სფეროში.

„ოჯახურია“ საწარმო, როდესაც:

- საწარმოს ხელმძღვანელობა ერთი ოჯახის ხელშია (ერთ თაობაზე მეტი);
- ხელმძღვანელის ოჯახის წევრები შედიან მრჩეველთა კომისიაში ან მსგავს ორგანოში;
- საწარმოს მმართველობის სტილი ოჯახური მმართველობის სტილის იდენტურია;
- ოჯახი აფინანსებს საწარმოს;
- ადგილი ოჯახში განსაზღვრავს ადგილს საწარმოში;

„ოჯახურ“ საწარმოს ახასიათებს შემდეგი სუსტი მხარეები:

- ოჯახური კონფლიქტი და ინტერესთა შეჯახება;

- ნეპოტიზმი - ოჯახის წევრებმა „უნდა“ დაიკავონ წამყვანი

  თანამდებობები საწარმოში;

- პანიკური შიში გარე ფინანსირების მიმართ;
- წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეუფასებლობა;

უნდა აღინიშნოს, რომ სუსტი მხარეების მიუხედავად, ზოგიერთმა ოჯახურმა საწარმომ დიდ წარმატებას მიაღწია. ეს კი მოხდა იმ „რკინის კანონის“ წყალობით, რომლის მიხედვითაც ოჯახის წევრი მხოლოდ მაშინ ხდება საწარმოს ნაწილი, როცა ის მიაღწევს წარმატებას მის ფარგლებს გარეთ.

1.2.2 მართვის სტილი და ტექნიკები პიონერულ ფაზაში

პიონერი - განსაკუთრებით ორგანიზაციის თავდაპირველი ჩამოყალიბების ეტაპზე - გვევლინება როგორც ძლიერი, ქარიზმატული მმართველი, რომელიც აღაფრთოვანებს გარშემომყოფებს. გავლენიან პირებთან პირადი ურთიერთობის გზით პიონერი ქმნის კაპიტალს, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ნაწილს კი საკუთარი შეხედულებების და პირადი ნდობის საფუძველზე ანაწილებს. სანამ პიონერული ფაზა ჯერ კიდევ „ჯანმრთელია“, ხელმძღვანელობის სტილი არ იწვევს არანაირ ეჭვს. სიტუაცია იცვლება, როგორც კი კრიზისის პირველი ნიშნები იჩენს თავს - ავტოკრატიული მმართველობა გარდაიქმნება დიქტატორულად და მოუქნელად.

თუ პიონერული ფაზა მიიღებს ე.წ „განათლებულ“ სახეს, მაშინ ხელმძღვანელობა ხდება პატრიარქალური/მატრიარქალური.

პიონერული ფაზისთვის უცხოა მართვის სტანდარტიზებული ტექნიკა. მათ სწამთ პიროვნების და იმპროვიზაციის ძალის, ამიტომ მართვაც მარტივია. პეტერსი და ვეტერმანი გვთავაზობენ მართვის ტექნიკას „Management By Walking Around” - პიონერს არ სჯერა სტატისტიკური მონაცემების და მათ საფუძველზე არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებს, მას ურჩევნია პირადი საუბრებით მოაგროვოს საჭირო ინფორმაცია.

ორგანიზაციაში ჩნდება „თეთრი ლაქები“ მაშინვე, როცა პიონერს აღარ შეუძლია სამუშაო ადგილების პირადად გაკონტროლება.

1.2.3 პიონერული ფაზის კრიზისი

პიონერული საწარმოს სიძლიერე მის პოტენციალში და იდენტურობაშია, რაც თავს იჩენს პიონერის პიროვნებაში. პიონერი მეწარმე ერთი თავით მაღლა დგას თავის თანამშრომლებზე. მას არ შეუძლია აღიქვას კიდევ ერთი ლიდერის არსებობის ფაქტი.

პიონერი მმართველი ხელმძღვანელობს საწარმოს და არ ავითარებს მენეჯმენტს, სწორედ ამიტომაა, რომ ხშირად მათი წინსვლა გარდაუვალ კრიზისს ნიშნავს.

პიონერული საწარმო განაგრძობს კრიზისის ფაზაში არსებობას მანამ, სანამ:

- პიონერი პირადად იცნობს ყველა თანამშრომელს;
- პიონერი პირადად იცნობს ყველა მომხმარებელს;
- ტექნიკის და ბაზრის სტაბილურობის სფეროში დაგროვილი გამოცდილება თამაშობს გარკვეულ როლს;
- წარმოების პროცესი და სამუშაო ბოლომდე აღქმულია;

აქედან გამომდინარე, პიონერი აღიქვამს საწარმოს, როგორც დახურულ, დინამიურ სისტემას, რომლის ნაწილი არის პერსონალიც და მომხმარებელიც. დახურულობაშია ერთდროულად მისი სიძლიერეც და სისუსტეც. პიონერული საწარმო აღწევს თავისი შესაძლებლობების პიკს, როდესაც:

- გარე სამყარო იცვლება და აღარ ემთხვევა პიონერის „სამყაროს მოდელს“;
- ტექნიკის ცვლილებისას, როდესაც მხოლოდ ახალ პროდუქციას შეუძლია დააკმაყოფილოს მომხმარებელი;
- ბაზარზე შემოდის ახალი კონკურენტი, რომელიც ითვისებს მის მომხმარებელს;
- ბაზარი იზრდება და პირადი კონტაქტები მომხმარებელთან შეუძლებელი ხდება;
- მნიშვნელოვანი სოციალური ძვრისას, მაგალითად, თუ სამსახურში მიიღეს ახალი თანამშრომლები აბსოლუტურად სხვა წარმოდგენებით მმართველობზე;

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა არსებობს აგრეთვე პიონერული საწარმოს ხანდაზმულობის ფაქტორიც, რომელსაც ასევე მივყავართ კრიზისამდე. კრიზისულ სიტუაციას ახასიათებს შემდეგი სიმპტომები:

- მოგების შემცირება;
- კონფლიქტის აღმოცენება ხელმძღვანელობაში;
- მომხმარებელთა პრეტენზიების ზრდა;

- კომუნიკაციის დარღვევა;
- ინფორმაციის ნაკლებობა;
- მოტივაციის დაქვეითება;

ამ სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში პიონერი შეიძლება მოიცვას შიშმა, რომ მისი ინტუიცია და გამოცდილება აღარ არის საკმარისი. თანამშრომლები ამჩნევენ მათი მმართველის სისუსტეს და ნელ-ნელა იწყება ღია ბრძოლა ძალაუფლების გადასანაწილებლად.

1.2.4 მართვა პიონერული ფაზის კრიზისში

როდესაც ორგანიზაცია შედის პიონერული ფაზის კრიზისში, ეს პირველ რიგში თავს იჩენს მართვაში. წარმოიშვება ისეთი პრობლემები, რომლებიც ვეღარ გადაწყდება პიონერული ფაზის ფარგლებში:

- შინაგანი და გარეგანი ზოგადი ხედვის დაკარგვა:
- კომუნიკაციის რღვევა
- ხელმძღვანელობის უმოქმედობა;
- კომპეტენციების გაურკვევლობა განყოფილებებში;
- პიონერისთვის „გაფილტრული“ ინფორმაციის მიწოდება, რათა დაუმალონ მას რეალური მდგომარეობა;
- ძალაუფლებისთვის ბრძოლა თანამშრომლებს შორის;
- კონფლიქტები;

როგორც წესი, პიონერი ამ ყველაფერზე რეაგირებს პანიკით, ცდილობს დაიცვას თავისი ავტორიტეტი და მოქმედებს მკაცრად.

ზემოთ აღწერილ პიონერული მმართველობის სტილს ადგილი აქვს ნებისმიერი

ორგანიზაციის ისტორიაში, რომელიც პატარა საწარმოდან უფრო მოცულობით საწარმოდ გარდაიქმნა.

1.2.5 დიფერენციაციის ფაზა

პიონერული საწარმოს პრობლემატიკაზე ლოგიკური პასუხი არის საწარმოს მეცნიერული მართვა, (Glasl & Lievegoed; 2004) რაც წარმოადგენს დიფერენციაციის ფაზის ამოსავალ წერტილს.

საწარმოს მართვის ახალი ფილოსოფიის სათავეებთან ორი პიროვნება დგას: ამერიკელი ფ.უ. ტეილორი და ფრანგი ა. ფაიოლი.(Glasl & Lievegoed; 2004). მათ გააერთიანეს ერთმანეთში ორგანიზაციის შესახებ პრაქტიკაში აპრობირებული სწავლება და საწარმოს მმართველობის სამეცნიერო თეორიები. ორივე მათგანი ერთსა და იმავე მოსაზრებაზე მუშაობდა, განსხვავება ისაა, რომ ტეილორი იწყებს ქვემოდან, პირველადი პროცესებიდან, შრომის სისტემატიზირებული განაწილებიდან და სპეციალიზაციიდან, სამუშაო ადგილების რაციონალური ორგანიზებიდან მანქანა-დანადგარების დახმარებით. ის არ ეხება იერარქიის ზედა საფეხურს - მეწარმეს.

ფაიოლი კი პირიქით, ზემოდან იწყებს და აგებს თავიდან ბოლომდე ცენტრალიზებულ ორგანიზაციას. მას საწარმოს რაციონალურ მმართველად „ადმინისტრაცია“ წარმოუდგენია.

დიფერნციაციის ფაზას პიონერულთან შედარებით მეტი წესრიგი ახასიათებს. ამ ფაზაში ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს დაგეგმვას იმპროვიზაციის ნაცვლად. მოქმედებების ემოციურობას და სპონტანურობას ცვლის რაციონალური სისტემა. განვითარების ამ საფეხურს საერთო საქმეზე ცენტრალიზება ახასიათებს, არაფორმალურ ურთიერთობებს კი მოწესრიგებული და ფორმალური ურთიერთობები ცვლის. ამ ფაზაში ორგანიზაციები მუშაობენ რამდენიმე მთავარი პრინციპით:

- მექანიზაცია

- სტანდარტიზაცია
- სპეციალიზაცია
- კოორდინაცია
- ფორმალიზაცია

მექანიზაციის პრინციპი - ამ პრინციპის თანახმად დამხმარე ტექნიკური საშუალებების გამოყენება რეკომენდირებულია ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია.

სტანდარტიზაციის პრინიციპის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს ყველა ნივთის, პროცესის და წარმოების ყველა საშუალების რედუცირება ზუსტად განსაზღვრული სისტემის თანახმად.

სპეციალიზაციის პრინციპს მივყავართ იქამდე, რომ ცოდნის გაღრმავების, შესაძლებლობათა სრულყოფის და შეზღუდულ სფეროზე კონცენტრაციის წყალობით იზრდება შესრულებული სამუშაოს რაოდენობა და უმჯობესდება ხარისხი. დიფერენციაციის ფაზა სამი სახის სპეციალიზაციას ცნობს: ფუნქციური სპეციალიზაცია, სპეციალიზაცია მმართველობის სიბრტყეზე და სამუშაო ფაზების სპეციალიზაცია.

კოორდინაციის პრინციპის განხორციელების რამდენიმე განსხვავებული ხერხი გამოიყოფა:

- ერთპიროვნული ხელმძღვანელობა - ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძანებების აღსაკვეთად;
- კონტროლის დიაპაზონი - პირდაპირ დაქვემდებარებულთა რიცხვი არ აღემატება 6-8 ადამიანს;
- შტაბურ-ხაზობრივი ორგანიზაცია - ერთმანეთისგან განცალკევებით მოღვაწეობენ შტაბური დანაყოფების და ხაზობრივი დანაყოფების სპეციალისტები;
- ფულადი ჯილდო - გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ადამიანი მხოლოდ მაღალი ხელფასით შეიძლება იყოს მოტივირებული:

- კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებები - ხელმძღვანელობა უნდა ფლობდეს ინფორმაციას დაქვემდებარებული პირების მოქმედებების შესახებ, ხოლო დაქვემდებარებული პირები უნდა იყვნენ ხელმძღვანელობის გეგმების საქმის კურსში;
- მომზადების და სწავლების პროგრამა - ძირითადად არასამუშაო დროს ხდება ადამიანების მომზადება და იმის სწავლება, თუ როგორ შეასრულონ თავიანთი სამუშაო;

ფორმალიზაციის პრინციპი წარმოადგენს დავალებების ლოგიკურ დალაგებას, აღწერას და დაფიქსირებას.

1.2.6 მართვის სტილი და ტექნიკები დიფერენციაციის ფაზაში

დიფერენციაციის ფაზისთვის ყველაზე შესაფერისი არის მექანოკრატიული, ანუ როგორც მაქს ვებერი უწოდებს, ბიუროკრატიული მართვის სტილი. ამ ფაზაში მართვის იდეალურ სტილზე შეხედულება ვარირებს ავტორიტარულ სტილში ერთობლივი მოქმედებიდან კონსულტაციურ მოქმედებამდე.

მართვის სტილის ნორმირებისთვის ძალაუფლება ხდება ობიექტური, პირადი ურთიერთობები და მოთხოვნები ქრება, ან გადაიფარება ახალი ნორმებით - სამუშაოს გაწერილი ფორმით, ხელმძღვანელთა ინსტრუქციებით, ქცევის წესებით და სტანდარტებით.

დიფერენციაციის ფაზასთან ყველაზე ახლოსაა სისტემური მართვის ტექნიკა. ამ ფაზისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ მომუშავეები ბევრს ელიან ტექნიკური მმართველობიდან და არ აინტერესებთ შეესაბამება თუ არა მართვის სტილს და მენეჯმენტის ფილოსოფიას. აქ ორგანიზაცია და თანამშრომლები განიხილებიან როგორც ინსტრუმენტული უპირატესობა.

1.2.7 დიფერენციაციის ფაზის კრიზისი

დიფერენციაციას გარდაუვლად მივყავართ დანაყოფთა მრავალფეროვნებასთან, რა დროსაც თავს იჩენს რიგი პრობლემებისა. ამ პრობლების გაცნობიერების ფაქტს თავისთავად მოჰყვება იმის გაცნობიერებაც, რომ განვითარების ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს.

დიფერენციაციის ფაზის კრიზისის მნიშვნელოვანი სიმპტომებია:

- გახევება - ორგანიზაციის მოქნილობის საგრძნობლად შემცირება ფორმალიზაციის და ბიუროკრატიზაციის შედეგად;
- კოორდინაციის პრობლემები - დანაყოფები სულ უფრო სცილდებიან ერთმანეთს, რაც ართულებს კოორდინაციას;
- ვერტიკალური კომუნიკაციის პრობლემები - ფერხდება კომუნიკაცია განყოფილებებს და ქვეგანყოფილებებს შორის;
- შტაბურ-ხაზობრივი ორგანიზაციის პრობლემები - პროფესიონალთა რჩევები, რომლებიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო როგორც პრეროგატივა, გადადის ბრძანებებში;
- მოტივაცია - მოტივაციის და თვითპროდუქტიულობის დაქვეითება;
- “By drives” მენეჯმენტი - ტოპ-მენეჯერების მცდელობას დამოუკიდებლად გადაჭრან პრობლემები მოაქვს უარყოფითი შედეგები;

1.2.8 მართვა დიფერენციაციის ფაზის კრიზისში

იმ აზრების და შეხედულებების დეფორმაცია, რომელიც თავიდან გამოსადეგი და წარმატების მომტანი იყო საწარმოსთვის, ახლა მას კრიზისში შეიყვანს. ეს კრიზისი მართვის ჭრილში შემდეგნაირად გამოიხატება:

- აზროვნების გახევება;
- თანამშრომლის მენტალიტეტი;

- დაყოფილი აზროვნება;
- კომპეტენციის ნეგატიური კონფლიქტები;
- ორგანიზაციის კოორდინაციის პარალელიზმი;
- მოტივაციის პრობლემები;

ორგანიზაციის ბევრი მმართველი ამაზე რეაგირებს სრულყოფილად ქცევის მცდელობით, თუმცა, როდესაც დიფერენციაციის ფაზის კრიზისი საკმაოდ გამძაფრდება, გამოსავალი მხოლოდ თანამშრომლების მზადყოფნა იქნება, გადახედონ ორგანიზაციის და მართვის სისტემებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადაიდგას ნაბიჯი განვითარების შემდეგი ფაზისაკენ.

თუმცა, ყველა ფაზას ახასიათებს დასაწყისი და დასასრული. ამ ფაზის ბოლოსაც, თავს იჩენს ცვლილებების საჭიროება, რადგან ორგანიზაცია რამდენიმე ასპექტში არსებული სირთულეების გამო ვეღარ აგრძელებს ძველებურად ფუნქციონირებას, დიფერენციაციის ფაზის კრიზისს კი გადავყავართ ინტეგრაციის ფაზაში.

1.2.9 ინტეგრაციის ფაზა

ფრიდრიხ გეგელის მიხედვით, უნდა მოხდეს პირველი და მეორე ფაზების დადებითი ელემენტების სინთეზი და დაემატოს მას ახალი ელემენტი, რომელიც შესაძლებელს გახდის მათ შერწყმას. ამის შედეგად მივიღებთ მესამე ფაზას, რომელსაც ინტეგრაციის ფაზის სახელით მოვიხსენიებთ.

ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ არის სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი, როდესაც შესაძლებელია მისი ზრდა და განვითარება. ორგანიზაციის თანამშრომლები ხელმძღვანელზე კი არ უნდა იყვნენ ორიენტირებულნი, არამედ სამუშაოს შესრულებაზე. (Glasl & Livegoed, 2004). ინტეგრაციის ფაზა ყურადღებას ამახვილებს ადამიანზე და თითოეული მათგანის სურვილზე განვითარდნენ და იგრძნონ თავი რეალიზებულად. ინტეგრაციის ფაზაში მყოფი ორგანიზაციის თანამშრომლებს გარანტირებული აქვთ

უწყვეტი პირადი განვითარება, რათა მუდმივად შეეძლოთ ახალი პასუხისმგებლობების მიღება, იცვლებოდეს სიტუაცია და არ იქმნებოდეს სტატიკურობა.

გადამწიფებული დიფერენციაციის ფაზიდან ინტეგრაციის ფაზაში გადასასვლელად აუცილებელია სოციალური ქვესისტემის სხვაგვარად გაგება, მის „აყვავებაზე“ ზრუნვა და კულტურულ და ტექნიკურ ქვესისტემებთან მისი სინთეზი. ამ ფაზის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა აგრეთვე მენეჯმენტის ზედა საფეხურის გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ურთიერთობს მმართველობის სხვადასხვა დონის გუნდებთან.

დიფერენციაციის ფაზაში ორგანიზაცია თავის ფილოსოფიაში არ რთავდა ჯგუფებს, ამის საპირისპიროდ, ინტეგრაციის ფაზაში იქმნება ავტონომიური ან ნაწილობრივ ავტონომიური ჯგუფები, რომლებსაც სხვადასხვა დავალებების შესრულების პასუხისმგებლობა აკისრიათ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ყოველი ჯგუფის სამუშაო მჭიდროდ დაკავშირებულ მთლიანობას ქმნის. თუ დიფერენციაციის ფაზაში დაგეგმვის, მართვის და კონტროლის საშულებით ხდებოდა პროდუქტიულობის გაზრდა, ამ ფაზაში თანამშრომელთა მოტივაცია ქმნის პროდუქტიულობის მაღალ დონეს.

ინტეგრაციის მოდელის რეალიზაციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროცესების და საშუალებების ღირებულებათა საფუძვლიანი განხილვა, მათი ჯანსაღი მართვა, რაც გულისხმობს ოქროს შუალედის პოვნას - ის არ უნდა იყოს არც მკაცრად ნორმირებული და არც მთლად გაუკონტროლებელი.

პიონერულ ფაზაში თუ ეკონომიკური მიზნები იყო ყველა მოქმედების საფუძველი, დიფერენციაციის ფაზაში სისტემური დაგეგმვა გახდა უპირველესი, ინტეგრაციის ფაზა კი არის პირველი, სადაც სისტემური საწარმოს პოლიტიკის განვითარებაზე იწყება ზრუნვა.

1.2.10 მართვის სტილი და ტექნიკები ინტეგრაციის ფაზაში

ინტეგრაციის ფაზაში ორგანიზაციის მართვის ძირითადი ფუნქცია არის კლიენტთა მოთხოვნების შესწავლა, ეს არის მისი მოქმედების საწყისი და სხვა ყველაფერი

გამომდინარეობს სწორედ ამ ამოცანის შესრულებიდან. მართვა ასრულებს აგრეთვე ისეთ ფუნქციებს, როგორებიცაა ბაზრის კვლევა, პროცესების მართვა და რესურსების განსაზღვრა, ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითადი დებულებების შემუშავება, შიდა კონტაქტების შენარჩუნება და ორგანიზაციის მმართველობა. მართვის სტილი ამ ფაზაში იმითაა გამორჩეული, რომ აქ ორგანიზაციის სათავეში „მბრძანებლის“ ნაცვლად ვხვდებით ადამიანს, რომელიც არის თანამშრომელთა ცოდნის ხელშემწყობი. (Glasl & Lievegoed; 2004).

ინტეგრაციის ფაზაში მმართველობა სამი ძირითადი ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება:

- მთავარ იდეაზე ორიენტირებული მმართველობის მეთოდის დახმარებით თანამშრომლებმა იციან თავიანთი საქმიანობის არსი და მიზანი. (Management By Ideas)
- მიზნის შეთანხმების საშუალებით - თანამშრომლები მოქმედებენ დამოუკიდებლად, გონივრულად და თვითონ განსჯიან შესაძლებელია თუ არა გარკვეული მიზნის მიღწევა. შემდგომ ხდება შეჯამება და იმის გარკვევა, თუ რა სირთულეები წარმოიშვა და როგორ უნდა იქნას ისინი დაძლეული. (Management By Objectives).
- დელეგირების საშუალებით - თანამშრომლებზე ნაწილდება გარკვეული უფლებამოსილებები, რაც მათი მუშაობის პროცესზე ახდენს ზემოქმედებას.

ინტეგრაციის ფაზის კონცეფციას ერთგვარად სინთეზში მოჰყავს გავლილი ფაზების ძლიერი მხარეები. ამ ფაზაში ხდება აქტუალური განვითარების დონის დიაგნოზი, რაც ამარტივებს ცვლილებების პროცესს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში აღარ არის წარმოდგენილი ქარიზმატულობა როგორც პერსონალური თვისება, არამედ მთელი სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ყველა თანამშრომელს საკუთარ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა შეუძლია. ორგანიზაცია აცნობიერებს საკუთარ სისუსტეებს და ცდილობს მათ გამოსწორებას. თუმცა, არც ამ ფაზის შემდგომ წყვეტს განვითარებას და გადადის ასოციაციის ფაზაში.

1.2.11 ასოციაციის ფაზა

აქამდე წარმოდგენილი იყო საწარმოს განვითარების სამი ფაზა: პიონერული, დიფერენციაციის და ინტეგრაციის. შემდგომში მათ დაემატა მეოთხე, ასოციაციის ფაზა. 1975 წლიდან მეოთხე ფაზის წინასწარი კონცეფცია დაკონკრეტებულ იქნა „მოხდენილი საწარმოს“ მოდელამდე. მოხდენილი საწარმო ნიშნავს, რომ მუშას პროდუქციის შექმნაზე მეტი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია და აქედან გამომდინარე უფრო მოტივირებულია შექმნას კარგი პროდუქტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მოხდენილი საწარმო“ არ არის ასოციაციის ფაზის მოდელი, არამედ მისი რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება.

Nils Brunsson-მა თავის წიგნში „The Organization Of Hipocrisy” (1991) გააჟღერა, რომ საწარმოს გადარჩენისთვის გადამწყვეტი ხდება ის მომენტი, თუ როგორ შეუძლა მას ზეგავლენის მომხდენი ფაქტორების არსებობის პირობებში ფუნქციონირება. სწორედ აქ მოიხსენიებს ავტორი მეოთხე ფაზას „ასოციაციის ფაზად“.(Glasl & Lievegoed; 2004).

ასოციაციის ფაზის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ორგანიზაციის დაკავშირება და ასოციაციური ინტეგრირება გარემოსთან ისე, რომ მას პარტნიორობის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლია ამ გარემოსთან ურთიერთქმედება. ეს ფაზა მთლიანად ორიენტირებულია გარე ურთიერთობებზე. განვითარების ამ ფაზაში ორგანიზაცია დომინანტური როლის მოსაპოვებლად ეძებს კონკრეტულ გზებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება საწინააღმდეგო აზრების და შეხედულებების კონსტრუქციულად მოგვარება. სწორედ ამ გზით იქმნება ერთმანეთთან დაკავშირებული საწარმო-ჯგუფები, ე.წ საწარმო-ბიოტიპები.

წინა სამი ფაზის მსგავსად ასოციაციის ფაზასაც გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები. ამაში იგულისხმება ის, რომ შესაძლებელია ზემოთ ნახსენებმა ბიო-ტიპებმა არასასურველი დომინანტობა მიიღონ, რაც ეკონომიკურ ტოტალიტარიზმამდე მიგვიყვანს.

1.1.12 მართვის სტილი და ტექნიკები ასოციაციის ფაზაში

ასოციაციური ფაზის დანერგვა საშუალებას იძლევა გავიგოთ, რომ ორგანიზაციას შეუძლია სრულიად სხვა პოზიცია დაიკავოს მაკრო-ეკონომიკურ, მაკრო-პოლიტიკურ და მაკრო-კულტურულ გარემოში. ეს მას საშუალებას მისცემს კონსტრუქციულად გადაწყვიტოს გარდაუვალი კონფლიქტები. სწორედ კონფლიქტ-მენეჯმენტი საჭიროებს განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ამ ფაზაში (F. Glasl 1991). მართვის დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით კი ასოციაციის ფაზა ინტეგრაციის ფაზის ანალოგიურია.

მართვის სტილი გამყარებული უნდა იყოს შესატყვისი ტექნიკით. ასოციაციის ფაზა აქაც მთლიანად იმეორებს ინტეგრაციის ფაზაში გამოყენებულ მართვის ტექნიკებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფაზას ახასიათებს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ორგანიზაცია თავისი განვითარების გზაზე ასე თუ ისე ყველა მათგანს გაივლის. ლოგიკურად რომ ვიფიქროთ, ზუსტად ისევე, როგორც ადამიანის განვითარების პროცესშია. თუმცა ისევე, როგორც პიროვნების შემთხვევაში, აქაც ხდება გამონაკლისები. მნიშნველოვანი არის ის, რომ თითოეული სირთულის დაძლევის შემდეგ, ორგანიზაცია პოულობს ძალას, ახალი შემართებით შეუდგეს საქმიანობას. სწორედ ეს არის მისი განვითარების მთავარი ინდიკატორი.

1.3 ორგანიზაციის 7 ელემენტი და მათი ევოლუცია განვითარების ოთხი ფაზის ჭრილში

1.3.1 ორგანიზაციის 7 ელემენტი

ორგანიზაციის განვითარების სისტემური თეორიების გაანალიზების შემდეგ, ფრიდრიხ გლაზლმა 1970-1980-იან წლებში შექმნა ორგანიზაციის მოდელი, რომელშიც 7 ბაზისური ელემენტია გამოყოფილი. მათ ორგანიზაციის განვითარებაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ. მხოლოდ მათი ურთიერთკავშირის ხარჯზე ახერხებს ორგანიზაცია ფუნქციონირებას, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. (Glasl; et al; 2008).

გლაზლის მოდელის მიხედვით ორგანიზაცია შემდეგი 7 ბაზისური ელემენტის მთლიანობაა: (Glasl & Lievegoed; 2004)

1. იდენტობა - ორგანიზაციის მისია, აზრი, მიზანი, ფილოსოფია, ძირითადი ღირებულებები, შიდა იმიჯი.
2. პოლიტიკა/სტრატეგია - გრძელვადიანი პროგრამები, საწარმოს პოლიტიკა.
3. სტრუქტურა - მმართველობის იერარქია, ორგანიზაციის აგების პრინციპი.
4. ადამიანები - თანამშრომელთა ცოდნა, ურთიერთდამოკიდებულება, ხელმძღვანელობის სტილი, ფორმალური და არაფორმალური კავშირები.
5. ცალკეული ორგანოები/ფუნქციები - კომპეტენციები და პასუხისმგებლობები.
6. პროცესები - ძირითადი სამუშაო პროცესები, გადაწყვეტილებების მიღება, მმართველობა და დაგეგმარება.
7. ფიზიკური საშუალებები - ინსტრუმენტები, დანადგარები, ტექნიკური



საშუალებები.

სურ. №1 ორგანიზაციის 7 ელემენტი ფრიდრიხ გლაზლის (Glasl, et al; 2008) მოდელის მიხედვით.

ეს არსებითი ელემენტები ერთიანდებიან სამ ქვესისტემაში: იდენტობა და პოლიტიკა/სტრატეგია ქმნის კულტურულ ქვესისტემას, სტრუქტურა, ადამიანები და ცალკეული ორგანოები/ფუნქციები ერთიანდებიან სოციალურ ქვესისტემაში, ხოლო პროცესები და ფიზიკური საშუალებები ერთად წარმოადგენენ ტექნო-ინსტრუმენტულ ქვესისტემას.

იმისათვის, რომ ორგანიზაცია ერთი ფაზიდან მეორეში გადავიდეს, აუცილებელია ამ პროცესში ჩართული იყოს კულტურული, სოციალური და ტექნიკური ქვესისტემები, თუმცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოსაც.

1.3.2 ორგანიზაციის 7 ელემენტის ევოლუცია განვითარების 4 ფაზის ჭრილში

პიონერული ფაზის დასაწყისში ორგანიზაციის იდენტობა თავის თავში მოიაზრებს პიონერი მეწარმის ინდივიდუალურ მახასიათებლებს. დიფერენციაციის ფაზის დადგომისთანავე პიროვნებაზე ორიენტაცია ქრება, ხოლო ინტეგრაციის ფაზა არის პირველი, როდესაც ორგანიზაციის ამ ელემენტის გააზრებული ფორმირება იწყება, რასაც მოჰყვება მუშაობა მისიაზე. ასოციაციის ფაზა „თავდაყირა აყენებს“ იდენტობის პრინციპს: მუდმივი, ღია დიალოგის მეშვეობით გარე სამყაროს წარმომადგენლებთან ფორმირდება ორგანიზაციის იდენტობის მუდმივად განახლებადი პროფილი.

პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები შემდეგნაირად იცვლება: პიონერულ ფაზაში ისინი მთლიანად პიონერი მეწარმის ინტუაციაზე იყო დამოკიდებული, სპონტანურად ვითარდებოდა. დიფერენციაციის ფაზაში ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია შემუშავდება ხელმძღვანელობის მაღალ დონეზე ექსპერტებთან ერთად, შემდეგ ის გადაეცემა საბაზრო, ფინანსურ და გენერალურ ხელმძღვანელობას შესასრულებლად. მხოლოდ ინტეგრაციის ფაზაში მყოფი ორგანიზაციის თანამშრომლებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიის და პროგრამების ფორმირებაში, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინიციატივას, პასუხისმგებლობას და თვითორგანიზებულობას.

პიონერულ ფაზაში ორგანიზაციის სტრუქტურის არანაირი ფორმალიზაცია არ არსებობს, ორგანიზაცია ყალიბდება პიონერის გარშემო და შედეგად იზრდება მხოლოდ სიგანეში, არ ხდება ფუნქციების გადანაწილება და მიზნობრივი ჯგუფების ჩამოყალიბება. პიონერული ფაზის ოდნავ შესამჩნევი სტრუქტურა და ქაოსი დიფერენციაციის ფაზაში რადიკალურად იცვლება წესრიგით - ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულები ყალიბდებიან ფუნქციური და ფორმალური ნიშნით. ინტეგრაციის ფაზაში ორგანიზაციის

მოქნილობას განაპირობებს მრავალრიცხოვანი სტრუქტურული კონცეფციები, რომლებიც ისეა ორგანიზებული, რომ თითოეულ ადამიანს აძლევს სწავლის და განვიათარების საშუალებას. წინა ფაზისგან განსხვავებით აქ ნაკლები იერარქიაა. ასოციაციის ფაზაში ორგანიზაციის საზღვრები გამჭვირვალეა. არსებითი ცვლილებები ეხება მმართველობით სტრუქტურას: ხელმძღვანელობის კომპეტენციები და ამოცანები შეძლებისდაგვარად ნაწილდება ქვედა საფეხურებზე.

პიონერულ ფაზაში სამუშაოზე მისაღებად პიონერთან პირადი დამოკიდებულება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე კომპეტენციები - სამუშაოზე მიღება ხდება არაფორმალური კონტაქტების გზით. დიფერენციაციის ფაზაში სამუშაო ურთიერთობა წარმოიშვება საჭიროებისამებრ, და არა პირადი სიმპათია-ანტიპათიის საფუძველზე. თუმცა ამ ფაზაში კვლავ ვხვდებით პიონერული ფაზიდან შემორჩენილ არაფორმალურ ურთიერთობებს. ინტეგრაციის ფაზაში პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა ხელმძღვანელობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცევა და იძენს სტრატეგიულ მნიშნვნელობას. ასოციაციის ფაზაში პრიორიტეტი ენიჭება სამუშაო პროცესში ინტეგრირებულ სწავლებას, როგორც მუდმივი განვითარების და გაუმჯობესების წინაპირობას.

ცალკეული ფუნქციები და სამუშაო ადგილები პიონერულ ფაზაში იქმნება არა ლოგიკურ და რაციონალურ საფუძველზე, არამედ განსაზღვრული პიროვნების გარშემო: ჯერ მოდის ადამიანი, შემდეგ ჩნდება სამუშაო პოზიცია. ამის საპირისპიროდ, დიფერენეციაციის ფაზაში ფუნქციები სრულად გაწერილი, ფორმალიზებული და ფიქსირებულია. ინტეგრაციის ფაზაში ცალკეული ფუნქციები ერთმანეთთან აკავშირებს დაგეგმვას, შესრულებას და კონტროლს. თანამშრომლების სისტემატური როტაცია ზრდის მათ პოტენციალს და საქმიანობის ეფექტურობის და მოქნილობის საშულებას იძლევა. ასოციაციის ფაზა ამ ელემენტთან დაკავშირებით მთლიანად ეყრდნობა ინტეგრაციის ფაზის მიღწევებს და ცდილობს უფრო მეტად განავითაროს ისინი.

პროცესებთან დაკავშირებით ორგანიზაცია განვითარების პიონერულ ფაზაში ხასიათდება საკმაოდ მარტივი მიდგომით - წარმატების საიდუმლო არის იმპროვიზაცია. ამიტომ პიონერულ ორგანიზაციაში არ იმუშავებს არც პროცესების თანამიმდევრული

დაგეგმვა და მართვა, არც მოქმედებათა სტანდარტიზაცია. დიფერენციაციის ფაზაში მისი მთავარი მახასიათებლები - სიტემატიზაცია და ავტომატიზაცია მთლიანად მოიცავს სამუშაო პროცესებსაც: პროდუქციის დამზადებით დაწყებული, მიწოდებით დამთავრებული. ინტეგრაციის ფაზაში ორგანიზაცია მოითხოვს და შესაძლებელს ხდის მასში მიმდინარე ყველა პროცესის გაცნობას თანამშრომელთათვის. ასოციაციის ფაზაში კი ცალკეული პროცესები ერთ მთლიანობაში ფორმირდება.

ფიზიკური საშუალებები პიონერულ ფაზაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს, განსხვავებით დიფერენციაციის ფაზისგან, რომელიც შეგვიძლია მოვიხსენიოთ როგორც „ტექნო-ორიენტირებული“. განვითარების ამ ფაზაში ორგანიზაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყოველგვარ ფიზიკურ საშუალებებს და დანადგარებს. ინტეგრაციის ფაზაში ფიზიკური საშუალებების უმთავრესი ფუნქცია თანამშრომლების მუშაობის ეფექტურობის გაზრდაა, ხოლო ასოციაციის ფაზაში ამ ელემენტს ორგანიზაციის მართვის პროცესის გაიოლების ფუნქცია ეკისრება.

სწორედ ამ 7 ელემენტის და განვითარების 4 ფაზის მიხედვით გავაანალიზებთ თსუ- ს. ვნახავთ კონკრეტულად რომელ ელემენტს ექცევა მეტი ყურადღება, რომელი ბაზისური ელემენტი განვითარების რომელ ფაზაში იმყოფება და კვლევის შედეგების გათვალისწინებით რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია.

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1 კვლევაში მონაწილე ორგანიზაციის აღწერა

ორგანიზაციული კვლევის ჩასატარებლად შერჩეულ იქნა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი ერთ-ერთი უდიდესი უნივერსიტეტი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წელს დაარსდა. ის იყო კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. (https://www.tsu.ge/ge/about/history/). დაარსების მომენტიდანვე უნივერსიტეტს უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრა ქართველი საზოგადოების განათლებისა და განვითარების საქმეში. მისი, როგორც პირველი ქართული უნივერსიტეტის მისიაა:

- ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება:
- საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება;
- აკადემიური თავისუფლების დაცვა;
- სტუდენტისა და პროფესორის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- ცოდნის შექმნა, შენახვა და გადაცემა;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განვითარება;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- უწყვეტი განათლების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება;
- თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირესული წევრობა;

დღეისათვის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. ყოველწლიურად აქ 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი

მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში - თსუ-ს 7 ფაკულტეტზე 22 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. (www.tsu.ge)

2.2 კვლევის მეთოდოლოგია; მიზანი და ამოცანები

მეთოდი	რაოდენობრივი
ტექნიკა	კითხვარი
სამიზნე ჯგუფი	• სტუდენტები • ადმინისტრაცია • აკადემიური პერსონალი
შერჩევის ზომა	90 რესპონდენტი
შერჩევის მეთოდი	შემთხვევითი შერჩევა
კვლევის არეალი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კვლევის ხანგრძლივობა	20-25 წუთი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო ორგანიზაციის მაგალითზე ორგანიზაციაში არსებული სიტუაციის ანალიზი მისი განვითარების ოთხი ფაზის და შვიდი არსებითი ელემენტის მიხედვით, მათი კავშირი ერთმანეთთან და ორგანიზაციის განვითარებასთან.

ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ინფორმაციის შესაგროვებლად ადაპტირებული კითხვარის დარიგება კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე შერჩეული ჯგუფებისთვის:

თსუ-ს ადმინისტრაციის თანამშრომლები, აკადემიური პერსონალი, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები.

2.3 კვლევის ინსტრუმენტი და პროცედურის აღწერა

ინფორმაციის შეგროვება მოხდა სპეციალურად ადაპტირებული კითხვარის საშუალებით, რომლის 10 შეკითხვა მოიცავს ორგანიზაციის თითოეულ ძირითად ელემენტთან შესაბამის 4 პოსტულატს, რესპონდენტებს კი უნდა შეერჩიათ ამ 4 დებულებიდან რომელი შეესაბამება მათი აზრით თსუ-ს „არის-მდგომარეობას“ და რომელია მათთვის ყველაზე სასურველი „უნდა იყოს“ მდგომარეობა. (დანართი #1) კითხვარის პირველი 3 კითხვა (A,B,C) შემუშავებულია იმისთვის, რომ გამოავლინოს გამოკითხულთა აზრით, ორგანიზაციის განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფება ამ ორგანიზაციის იდენტობა (მისია, აზრი, მიზანი, შიდა იმიჯი), პოლიტიკა, სტრატეგია/პროგრამები და მისი სტრუქტურა. მეოთხე ბაზისური ელემენტი - ცალკეული ადამიანი, ჯგუფები და ორგანიზაციული კლიმატი იშლება მეოთხე და მეხუთე კითხვაში (D1 და D2). მეხუთე ელემენტი - ცალკეული ფუნქციები და ორგანოები წარმოდგენილია მეექვსე და მეშვიდე კითხვით (E1 და E2). მერვე და მეცხრე კითხვა (F1 და F2) მოიცავს ძირითად და მეორეხარისხოვან სამუშაო პროცესებს, ასევე მმართველობის და დელეგირების საკითხებს. ბოლო, მეათე კითხვა (G) დაკავშირებულია ფიზიკურ საშუალებებთან. ათივე კითხვა შემუშავებულია იმისთვის, რომ გამოავლინოს გამოკითხულთა აზრით, ორგანიზაციის ამ 7 ელემენტიდან თითოეული განვითარების რომელ საფეხურზეა და რომელზე სურთ რომ იყოს.

კითხვარის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის თავდაპირველ ეტაპზე დაგეგმილი იყო მხოლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების გამოკითხვა. თუმცა, მოგვიანებით გადაწყდა, რომ კვლევის მიზნების გათვალისწინებით, საინტერესო იქნებოდა პროცესში ისეთი რესპონდენტების ჩართვაც, რომელსაც პირდაპირ ეხება და რომელთა საქმიანობაზეც აისახება თითოეული ცვლილება ორგანიზაციაში, იმის

გარკვევა, თუ როგორ აღიქვამენ ისინი ორგანიზაციაში არსებულ სიტუაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამივე საფეხურის სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა.

კითხვარი ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნა უნივერსიტეტის ოცივე ადმინისტრაციული დეპარტამენტის თანამშრომლებს, აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების გარკვეულ ნაწილს, ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან კი გამოკითხვა პირისპირ ჩატარდა. შევსებული კითხვარების ნაწილი ისევ ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაბრუნდა, ნაწილი კი ამობეჭდილი სახით.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 90-მა რესპონდენტმა, მათ შორის იყვნენ სამივე საფეხურის სტუდენტები (ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სხვადასხვა ფაკულტეტებიდან (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა, ტურიზმის, იურიდიული და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), თსუ-ს აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის თანამშრომლები შემდეგი დეპარტამენტებიდან: კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვა, საგარეო ურთიერთობები, საფინანსო დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, დაცვის და უსაფრთხოების სამსახური, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, შესყიდვების სამსახური, უწყვეტი განათლების ცენტრი და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

2.4 კვლევის შედეგების პრეზენტაცია

1. ორგანიზაციის იდენტობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

A.ორგანიზაციის მთავარი მიზანი და აზრი-არის მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	26	57.7	64	67.3	90	64.3
2	12	26.7	26	27.3	38	27.2
3	0	-	5	5.4	5	3.5
4	7	15.6	0	-	7	5
	45	100%	95	100%	140	100%

A.ორგანიზაციის მთავარი მიზანი და აზრი-უნდა იყოს მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	1	2.2	0	-	1	0.7
2	2	4.4	7	7.3	9	6.4
3	32	71.1	66	69.5	98	70
4	10	22.2	22	23.2	32	22.9
	45	100%	95	100%	140	100%

2. ორგანიზაციის პოლიტიკასთან, მოკლე და გრძელვადიან კონცეფციებთან და გეგმებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

B.ორგანიზაციის პოლიტიკა, კონცეფციები და გეგმები-არის მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	8	17.8	28	29.5	36	25.7
2	25	55.5	60	63.2	85	60.7
3	5	11.1	7	7.3	12	8.6
4	7	15.6	0	-	7	5
	45	100%	95	100%	140	100%

B.ორგანიზაციის პოლიტიკა, კონცეფციები და გეგმები-უნდა იყოს მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	0	-	0	-
2	1	2.2	0	-	1	0.7
3	31	68.9	27	28.4	58	41.4
4	13	28.9	68	71.6	81	57.9
	45	100%	95	100%	140	100%

3. ორგანიზაციის სტრუქტურასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

C.ორგანიზაციის სტრუქტურა, მმართველობის იერარქია-არის მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	7	15.6	31	32.6	38	27.1
2	35	77.8	60	63.2	95	67.8
3	1	2.2	2	2.1	3	2.1
4	2	4.4	2	2.1	4	3
	45	100%	95	100%	140	100%

C.ორგანიზაციის სტრუქტურა, მმართველობის იერარქია-უნდა იყოს მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	0	-	0	-
2	5	11.1	14	14.7	19	13.6
3	35	77.8	76	80	111	79.3
4	5	11.1	5	5.3	10	7.1
	45	100%	95	100%	140	100%

4. თანამშრომლებთან და პროფესიული წინსვლის შესაძლებლობებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

D1.<u>თანამშრომლები, პროფესიული წინსვლის შესაძლებლობა-არის მდგომარეობა</u>

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	9	20	24	25.3	33	23.6
2	29	64.4	62	65.3	91	65
3	7	15.6	7	7.4	14	10
4	0	-	2	2	2	1.4
	45	100%	95	100%	140	100%

D1. <u>თანამშრომლები, პროფესიული წინსვლის შესაძლებლობა-უნდა იყოს მდგომარეობა</u>

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	3	6.6	8	8.4	11	7.8
2	9	20	8	8.4	17	12.1
3	3	6.6	16	16.8	19	13.6
4	30	66.8	63	66.4	93	66.5
	45	100%	95	100%	140	100%

5. კონფლიქტებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

<u>D2.აზრთა სხვადასხვაობა, კონფლიქტები-არის მდგომარეობა</u>

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	31	68.9	72	75.8	103	73.6
2	4	8.9	6	6.3	10	7.1
3	6	13.3	17	17.9	23	16.4
4	4	8.9	0	-	4	2.9
	45	100%	95	100%	140	100%

D2.აზრთა სხვადასხვაობა, კონფლიქტები-უნდა იყოს მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	0	-	0	-
2	8	17.8	16	16.8	24	17.1
3	4	8.9	23	24.2	27	19.3
4	33	73.3	56	59	89	63.6
	45	100%	95	100%	140	100%

6. ცალკეულ სამუშაო პოზიციებთან და ფუნქციებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

E1.ცალკეული პოზიციები, ფუნქციები-არის მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	5	11.1	54	56.8	59	42.1
2	30	66.7	6	6.3	36	25.7
3	9	20	23	24.2	32	22.8
4	1	2.2	12	12.7	13	9.4
	45	100%	95	100%	140	100%

E1.ცალკეული პოზიციები, ფუნქციები-უნდა იყოს მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	8	8.4	8	5.7
2	15	33.4	48	50.5	63	45
3	8	17.8	16	16.8	24	17.1
4	22	48.8	23	24.3	45	32.2
	45	100%	95	100%	140	100%

7. განსაკუთრებულ დავალებებთან და პროექტებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

E2.<u>განსაკუთრებული დავალებები და პროექტები-არის მდგომარეობა</u>

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	18	40	56	59	74	52.8
2	22	48.9	29	30.4	51	36.4
3	5	11.1	5	5.3	10	7.1
4	0	-	5	5.3	5	3.7
	45	100%	95	100%	140	100%

E2.<u>განსაკუთრებული დავალებები და პროექტები-უნდა იყოს მდგომარეობა</u>

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	5	5.3	5	3.7
2	7	15.6	7	7.4	14	10
3	10	22.2	52	54.7	62	44.3
4	28	62.2	31	32.6	59	42
	45	100%	95	100%	140	100%

8. სამუშაო პროცესების მახასიათებლებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

F1.<u>სამუშაო პროცესის მახასიათებლები-არის მდგომარეობა</u>

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	5	11.1	48	50.5	53	37.8
2	31	68.9	31	32.6	62	44.3
3	9	20	11	11.6	20	14.3
4	0	-	5	5.3	5	3.6
	45	100%	95	100%	140	100%

F1.<u>სამუშაო პროცესის მახასიათებლები-უნდა იყოს მდგომარეობა</u>

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	5	5.3	5	3.6
2	5	11.1	10	10.5	15	10.7
3	5	11.1	20	21	25	17.8
4	35	77.8	60	63.2	95	67.9
	45	100%	95	100%	140	100%

9. დელეგირებასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

F2.<u>სამუშაოს დელეგირების საკითხი-არის მდგომარეობა</u>

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	27	60	74	77.9	101	72.1
2	8	17.8	16	16.8	24	17.1
3	5	11.1	5	5.3	10	7.1
4	5	11.1	0	-	5	3.7
	45	100%	95	100%	140	100%

F2.<u>სამუშაოს დელეგირების საკითხი-უნდა იყოს მდგომარეობა</u>

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	1	2.2	0	-	1	0.7
2	6	13.3	7	7.4	13	9.3
3	7	15.5	52	54.7	59	42.1
4	31	68.9	36	37.9	67	47.9
	45	100%	95	100%	140	100%

10. ტექნიკურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

G.ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ფინანსირების და კონტროლის სისტემები-არის მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	7	15.6	54	56.9	61	43.6
2	29	64.4	18	18.9	47	33.6
3	6	13.3	16	16.8	22	15.7
4	3	6.7	7	7.4	10	7.1
	45	100%	95	100%	140	100%

G.ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ფინანსირების და კონტროლის სისტემები-უნდა იყოს მდგომარეობა

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	5	5.3	5	3.7
2	9	20	46	48.4	55	39.3
3	5	11.1	18	18.9	23	16.4
4	31	68.9	26	27.4	57	40.6
	45	100%	95	100%	140	100%

თავი 3. კვლევის ანალიზი

A. ორგანიზაციის იდენტობა. გამოკითხვის საშუალებით გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა 57.7%, ხოლო სტუდენტების და აკადემიური პერსონალის 67.3%-ს აზრით, ორგანიზაციის მიზნები მომდინარეობს ხელმძღვანელობის შეხედულებიდან, ამიტომ თანამშრომლები მათზე იღებენ ორიენტაციას (საერთო რაოდენობის 64.3%). შედარებით ნაკლები, 26.7% ადმინისტრაციიდან ფიქრობს, რომ მიზნები ძირითადად ოფიციალურად, წერილობითაა გაწერილი ხედვების და მისიის სახით, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის შეიძლება მიეცეს ახალი ინტერპრეტაცია. ანალოგიურად აღწერს არსებულ მდგომარეობას სტუდენტების და აკადემიური პერსონალის 27.3% (საერთო რაოდენობის 27.2%).

ადმინისტრაციის თანაშრომელთა 71.1%-სთვის ორგანიზაციის მთავარ მიზანთან და აზრთან დაკავშირებით სასურველია მდგომარეობა, სადაც ორგანიზაციის მიზნები არ წარმოადგენს რაიმე უცვლელ კონცეფციას და მის შესახებ საუბრები ატარებს მუდმივ ხასიათს, რათა თითოეულ თანამშრომელს მიეცეს საშუალება, მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ორგანიზაციის მიზნებთან. ამისთვის კი საჭიროა მუდმივი საუბრები და დისკუსია. ანალოგიურ პასუხს აფიქსირებს სტუდენტების და აკადემიურ პერსონალის 69.5% (საერთო რაოდენობის 70%).

საერთო რაოდენობის გაცილებით მცირე, 22.9% (ადმინისტრაციის თანამშრომლები 22.2%, სტუდენტები/აკადემიური პერსონალი 23.2%) აზრით, ორგანიზაციის მიზნები უფრო ნათელი და გარკვეული უნდა იყოს. ასევე ისინი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას უნდა ემსახურებოდეს მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან.

ამ შედეგების გათვალისწინებით, ორგანიზაციის შვიდი ბაზისური ელემენტიდან პირველი - იდენტობა - თსუ-ში განვითარების პიონერულ ფაზაშია, სასურველი მდგომარეობა და მთლიანად ინტეგრაციის ფაზას მოიაზრებს.

B.ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია. საერთო რაოდენობის 60.7%-ს აზრით, (ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა 55.5% და 63.2%

სტუდენტები/აკადემიური პერსონალიდან). ორგანიზაციის პოლიტიკა, მოკლე და გრძელვადიანი გეგმები უნივერსიტეტში ატარებენ შემდეგ ხასიათს: ისინი მართვის ზედა რგოლებში ფორმულირდება, წერილობით მტკიცდება და შემდეგ გადაეცემა მომდევნო რგოლებს.

გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 25.7% (შესაბამისად 17.8% და 29.5% პირველი და მეორე სამიზნე ჯგუფებიდან) თვლის, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს აქვთ სწორი სამომავლო ხედვები და ინტუიცია, ხოლო იმისთვის, რომ იცოდე ორგანიზაციის გეგმების შესახებ, მნიშვნელოვანია ყველაზე მაღალი რგოლის ხელმძღვანელთან გქონდეს კარგი პირდაპირი კონტაქტი.

ადმინისტაციის თანამშრომელთა 68.9%, მეორე ჯგუფის 28.4% (საერთო რაოდენობის 41.4%) აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია სხვადასხვა რგოლის ხელმძღვანელებს შორის უნდა განიხილებოდეს და შემდეგ არსებულ რეალობას ერგებოდეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საშუალოვადიანი გეგმები თანამშრომელთა სამუშაო ცხოვრების ნაწილი გახდეს. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციის გეგმები თანამშრომლებისგან არ იყოს გასაიდუმლოებული.

ადმინისტრაციის თანამშრომელთა 28.9% სურს, რომ ხელმძღვანელები აძლევდნენ მათ საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა ორგანიზაციის სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავებაში. ამ პროცესში კი გათვალისწინებული უნდა იყოს პარტნიორი ორგანიზაციების გამოცდილება. ანალოგიური მდგომარეობაა სასურველი სტუდენტთა/აკადემიურ პერსონალთა 71.6%-სთვის (საერთო რაოდენობის 57.9%)

ამ შედეგების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები არსებული მდგომარეობით დიფერენციაციის ფაზაშია. სასურველ მდგომარეობასთან დაკავშირებით კი იკვეთება ჯგუფებს შორის აზრთა სხვადასხვაობა: ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმრავლესობისთვის სასურველი მდგომარეობა ინტეგრაციის ფაზას გულისხმობს, ხოლო სტუდენტების/აკადემიურ პერსონალისთვის ასოციაციის ფაზის მდგომარეობა უფრო მიმზიდველია.

C.ორგანიზაციის სტრუქტურა. ადმინისტრაციის თანამშრომელთა 77.8% და სტუდენტები-აკადემიური პერსონალის 63.2%-ს (საერთო გამოკითხულთა 67.8%) აზრით, უნივერსიტეტში მართვის დონეები ერთმანეთისგან ოფიციალურად არის გაყოფილი, დავალებების ლოგიკური დანაწილების შედეგად კი კონკრეტულ სამუშაო პოზიციაზე მყოფებმა იციან, სად არის მათი ადგილი ორგანიზაციაში. საერთო რაოდენობის 27.1% (15.6% ადმინისტრაციიდან და მეორე სამიზნე ჯგუფის 32.6%) თვლის, რომ ორგანიზაციის სტრუქტურა ბუნდოვანია, რადგან ფორმალურად ნაკლებადაა გაწერილი. ფუნქციები და მუშაობის სფეროები შესაძლებლობების მიხედვით ნაწილდება, თანამშრომლებმა კი უფროსებთან პირდაპირი კონტაქტის წყალობით იციან, სად არის მათი ადგილი ორგანიზაციაში.

სასურველ მდგომარეობასთან დაკავშირებით თითქმის თანაბარი რაოდენობა, 77.8% ადმინისტრაციული დეპარტამენტებიდან და გამოკითხული სტუდენტების/აკადემიური პერსონალის 80% ფიქრობს, რომ ორგანიზაციის სტრუქტურა უნდა შედგებოდეს გამჭვირვალე ერთეულებისგან, რომლების მიზნის და შესასრულებელი ამოცანების მიხედვით იქნება დაყოფილი, ერთეულებს უნდა პასუხისმგებლობის მაღალი დონე, თანამშრომლებს კი რეგულარული საქმიანობის გარდა, სხვადასხვა პროექტებში ჩართვის საშუალებაც ექნებათ (საერთო რაოდენობის 79.3%).

გაცილებით მცირე, საერთო რაოდენობის 7.1% აზრით (11.1% პირველი და 5.3% მეორე ჯგუფიდან) კი ორგანიზაციის წყობა ერთმანეთთან უნდა აკავშირებდეს მრავალ დამოუკიდებელ ერთეულს და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ხელმშემწყობი უნდა იყოს.

როგორც ჩანს, ორგანიზაციის სტრუქტურა აქ დიფერენციაციის ფაზაშია, ხოლო უმრავლესობისთვის სასურველი ინტეგრაციის ფაზაა.

D1.ადამიანები, მართვა, თანამშრომლობა. გამოკითხულთა თითქმის თანაბარი რაოდენობა, 64.4% ადმინისტრაციიდან და 65.3% მეორე ჯგუფიდან, ფიქრობს, რომ ორგანიზაციის თანამშრომლები მუშაობენ განსაზღვრული პროცესების და სტანდარტების შესაბამისად,

შედეგები კი შეფასების აღიარებული, ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით პერიოდულად მოწმდება. შესაბამისი განყოფილებები (მაგ. ადამიანური რესურსების მართვის) ზრუნავენ იმაზე, რომ პოზიციები სწორად გადანაწილდეს ორგანიზაციაში (საერთო რაოდენობის 65%) გაცილებით ნაკლები, 20%-ის აზრით კი თანამშრომლები თუ ბეჯითად მუშაობენ, ამას ამჩნევს ხელმძღვანელობა და აძლევს მათ თავის გამოჩენის და განვითარების შესაძლებლობას. შესრულებული საქმე უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ფორმალური განათლება და დიპლომები.(სტუდენტები/აკადემიური პერსონალი 25.3% და საერთო რაოდენობის 23.6%).

მეტ-ნაკლებად ემთხვევა ადმინისტრაციის და სტუდენტების/ლექტორების აზრი სასურველ მდგომარეობასთან დაკავშირებით - 66.8% და შესაბამისად 66.4%-ის აზრით, სასურველია, თუ ხელმძღვანელები იგრძნობენ პასუხისმგებლობას თანამშრომლების განვითარების საკითხში და მათ აქტიურად შეუწყობენ ხელს ამაში. (საერთო რაოდენობის 66.5%) მხოლოდ 6.6 %-ს ადმინისტრაციიდან და 16.8%-ს მეორე ჯგუფიდან მიაჩნია, რომ უკეთესი იქნება, თუ ხელმძღვანელობა თანამშრომლების ინდივიდუალური განვითარების ხედვებს შეუსაბამებს ორგანიზაციის მოთხოვნებს (საერთო რაოდენობის 13.6%).

ადამიანები, როგორც ორგანიზაციის კიდევ ერთი ელემენტი, უმრავლესობის აზრით უნივერსიტეტში დიფერენციაციის ფაზის მახასიათებლების მატარებელია. სასურველი მდგომარეობა კი ასოციაციის ფაზას მოიაზრებს.

D2.ადამიანები, მართვა, თანამშრომლობა. გამოკითხულ ადმინისტრაციის თანამშრომელთა 68.9% ფიქრობს, რომ როდესაც ორგანიზაციაში აზრთა სხვადასხვაობა და კონფლიქტები ჩნდება, საბოლოო სიტყვას ამბობენ ისინი, ვისაც უფრო მეტი ნდობით აღსავსე, პირადი ურთიერთობა აქვს ხელმძღვანელთან. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ორგანიზაციაში წამოჭრილ კონფლიქტებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაზე სწორედ პირადი ურთიერთობის ხარისხს აქვს უდიდესი გავლენა. ამ აზრს იზიარებას გამოკითხული სტუდენტების და აკადემიური პერსონალის 75.8% (საერთო რაოდენობის 73.6%). გაცილებით მცირე, ადმინისტრაციის 13.3% და 17.9% მეორე ჯგუფიდან მიიჩნევს, რომ

აზრთა სხვადასხვაობის ან კონფლიქტის დროს დაპირისპირებული მხარეები ჯერ საკუთარი ძალებით ცდილობენ ისეთი გამოსავლის პოვნას, რომელიც მისაღებია როგორც ორივე მხარისთვის, ასევე ორგანიზაციისათვის. ხელმძღვანელობის ამოცანას კი წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებაში ხელის შეწყობა (საერთო რაოდენობის 16.4%).

სტუდენტთა/აკადემიურ პერსონალთა 59%-ს, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომელთა 73.3%-აზრით, კონფლიქტებთან დაკავშირებული სიტუაციის შემდეგნაირი გადაწყვეტა უნდა არსებობდეს: დაპირისპირებულ მხარეებს თავად უნდა შეეძლოთ მისი მოგვარება, კონფლიქტების მართვის უნარს კი დიდი ადგილი უნდა ეკავოს ორგანიზაციაში. (საერთო რაოდენობის 63.6%)

ერთმანეთისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული, ადმინისტრაციის 17.8%-ს და მეორე ჯგუფის 16.8%-ს აზრით კი უმჯობესი იქნება,თუ დავის საგანი უფროსებს და შესაბამის განყოფილებებს გაეცნობა, რომლებიც ორგანიზაციაში არსებული გამჭვირვალე წესებით დაარეგულირებენ მდგომარეობას. (საერთო რაოდენობის 17.1%)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კონფლიქტებისადმი მიდგომა ორგანიზაციაში პიონერულ ფაზაშია, სასურველი მდგომარეობა კი გამოკითხულთა უმრავლესობისთვის ასოციაციის ფაზის შესაბამისია.

E1.ფუნქციები და ორგანოები. ადმინისტრაციაში გამოკითხულთა 66.7% არსებულ სიტუაციას აღიქვამს შემდეგნაირად: ყველა ფუნქცია ნათლად დაყოფილია და საზღვრებიც დადგენილი. თანამშრომლები იცნობენ მთელი აპარატის ლოგიკას და თავს მის ნაწილად თვლიან. დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი მაქსიმალურად გამოყოფილია ერთმანეთისგან. ამ შეფასებას იზიარებს სტუდენტების/აკადემიური პერსონალის მხოლოდ 6.3%. (საერთო რაოდენობის 25.7%). სტუდენტების 24.2%-ს და ადმინისტრაციის 20%-ს აზრით კი ფუნქციები ძირითადად ამოცანების და კომპეტენციების მიხედვით არის გადანაწილებული, თუმცა არა დაწვრილებით. თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარ ფუნქციებში მეტი თვითდაგეგმარების, თვითორგანიზების და თვითკონტროლის საშუალება.(საერთო რაოდენობის 22.8%) საინტერესოა ცალკეულ პოზიციებთან და

ფუნქციებთან დაკავშირებით სტუდენტების და აკადემიური პერსონალის 56.8%-ს შეფასება: ისინი თვლიან, რომ ცალკეულ სამუშაო პოზიციებთან და ფუნქციებთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი: ჯერ მოდის ადამიანი, შემდეგ ჩნდება სამუშაო პოზიცია. ამ აზრს იზიარებს ადმინისტრაციის თანამშრომელთა 11.1%. (საერთო რაოდენობის 42.1%).

გამოკითხული სტუდენტების/აკადემიური პერსონალის უმრავლესობის, 50.5% აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ყველა ფუნქცია ნათლად დაიყოფა და საზღვრებიც დადგინდება. დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი კი მაქსიმალურად იქნება ერთმანეთისგან გაყოფილი.

ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა 48.8%-სთვის და მხოლოდ 24.3%-სთვის მეორე ჯგუფიდან, სასურველია მდგომარეობა, სადაც დაგეგმვას, კონტროლს და მმართველობით ამოცანებს გუნდები თვითონ ასრულებენ. (გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 32.2%).

ამ ელემენტის შეფასებისას კვლავ განსხვავებული შედეგები გვაქვს: ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით, ცალკეული პოზიციები და ფუნქციები დიფერენციაციის ფაზის სპეციფიკის მატარებელია, ხოლო სტუდენტთა/აკადემიურ პერსონალთა უმრავლესობის შეფასებით - პიონერული ფაზის. ამავე დროს, ამ უკანასკნელისთვის სასურველი მდგომარეობა დიფერენციაციის ფაზაა, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომლების უმრავლესობისთვის - ასოციაციის ფაზა. საერთო შედეგების მიხედვით, ეს ელემენტი არსებული მდგომარეობით დიფერენციაციის ფაზაში უნდა მოვიაზროთ, ხოლო სასურველი მდგომარეობით - ასოციაციის ფაზაში.

E2.ფუნქციები და ორგანოები. ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა 40% თვლის, რომ ორგანიზაციაში განსაკუთრებული დავალებების და პროექტების განსახორციელებლად, წამყვან პოზიციებს ის ადამიანები იკავებენ, ვის მიმართაც პოზიტიური განწყობა ჩნდება, ყოველგვარ ფორმალურ წესებზე მაღლა ნდობის საკითხი დგას. ანალოგიურია სტუდენტების/აკადემიური პერსონალის 59%-ს შეფასება. (საერთო

რაოდენობის 52.8%). შედარებით ნაკლები, 30.4% სტუდენტებიდან/აკადემიური პერსონალიდან და 48.9% ადმინისტრაციიდან ფიქრობს, რომ უნივერსიტეტში ყურადღება ექცევა იმას, რომ განსაკუთრებული დავალებები და პროექტები ჯდებოდეს არსებულ წესებში, სტანდარტები და რეგულაციები კი უზრუნველყოფს პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას (საერთო რაოდენობის 36.4%).

სასურველ მდგომარეობასთან დაკავშირებით, სტუდენტები/აკადემიური პერსონალის 54.7% და ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხოლოდ 22.2%-ს მიაჩნია, რომ უკეთესი იქნება, თუ ჯერ ახალი პროექტის მიზანი და ამოცანები დამუშავდება, რათა თანამშრომლებმა დაინახონ მათი კავშირი მთელ დანარჩენ ორგანიზაციასთან (საერთო რაოდენობის 44.3%). 62.2% ადმინისტრაციიდან და 32.6% მეორე ჯგუფიდან კი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში განსაკუთრებულ დავალებებთან და პროექტებთან დაკავშირებით უნდა ხდებოდეს მათი მიზნების, აზრის და ძირითადი შესასრულებელი ამოცანის შეთანხმება, პროექტის ხელმძღვანელი კი შესაბამისი კომპეტენციებით უნდა იყოს აღჭურვილი (საერთო რაოდენობის 42%).

ამ შედეგების გათვალისწინებით, ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმრავლესობის შეფასებით, ორგანიზაციის ეს ელემენტი დიფერენციაციის ფაზაშია, მათთვის სასურველი კი ასოციაციის ფაზაა. სტუდენტების/აკადემიური პერსონალის უმრავლესობის აზრით, უფრო მეტად პიონერული ფაზაშია და მათთვის სასურველი ინტეგრაციის ფაზაა.

საერთო შეფასებით, ეს ელემენტი უნივერსიტეტში დიფერენციაციის ფაზაშია, „უნდა იყოს“ მდგომარეობა კი უფრო მეტად ასოციაციის ფაზისკენ იხრება.

F1.სამუშაო პროცესები. ადმინისტრაციიდან გამოკითხულთა 68.9% და მხოლოდ 32.6% მეორე ჯგუფიდან, ფიქრობს, რომ ორგანიზაციაში სამუშაოები გეგმიურად და მაქსიმალურად სტანდარტიზებულად სრულდება. ამის შემდეგ კი მოდის მცდელობა, ყველა პროცესი ნათლად და ეფექტურად მიმდინარეობდეს. (საერთო რაოდენობის 44.3%). სტუდენტები/აკადემიური პერსონალის უმრავლესობის, 50.5% შეფასებით, ორგანიზაციაში

ფაქტობრივად არ არსებობს რეგულაციები, როგორ უნდა წარიმართოს სამუშაო პროცესი. ყველა თანამშრომელს შეუძლია მიმართოს იმპროვიზაციას და შეარჩიოს სიტუაციის შესაბამისი ქცევა. (საერთო რაოდენობის 37.8%).

ადმინისტრაციაში გამოკითხულთა 20%-ს შეფასებით, სამუშაო პროცესებს წინ უძღვის ზოგადი გეგმები, მოქმედების ზოგადი ჩარჩოები კი შემსრულებელს საშუალებას აძლევს, თვითონ დაარეგულიროს დეტალები. მხოლოდ ეს რაოდენობა თვლის, რომ უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან იმ პროცესებს, რომლებიც სტუდენტის და აკადემიური პერსონალის საჭიროებების რელევანტურია. (საერთო რაოდენობის 14.3%)

ადმინისტრაციის გამოკითხულთა 77.8% და სტუდენტები/აკადემიური პერსონალის 63.2%-სთვის სასურველია მდგომარეობა, სადაც ორგანიზაციაში მიმდინარე ცალკეულ პროცესებში ჩართულ ადამიანებს გაცნობიერებული აქვთ მთლიანი პროცესიც, ეს ადამიანები პერიოდულად საუბრობენ გაუმჯობესების საშუალებებზე და თავადვე ახორციელებენ მათ (საერთო რაოდენობის 67.9%).

ორივე სამიზნე ჯგუფის უმრავლესობის აზრით, სასურველი მდგომარეობა ასოციაციის ფაზაა, თუმცა არსებულ მდგომარეობას ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულად აფასებენ: ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ეს ელემენტი დიფერენციაციის ფაზაშია, სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის - პიონერულში.

F2.სამუშაო პროცესები. დელეგირების საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციაში გამოკითხულთა 60% არსებულ მდგომარეობას აღწერს შემდეგნაირად: ხელმძღვანელები დავალებებს აძლევენ დაქვემდებარებულებს, თუმცა ნებისმიერ დროს შეიძლება ჩაერიონ ამ უკანასკნელთა საქმიანობაში, როცა ისინი რამეს ისე ვერ აკეთებენ, როგორც ამას მათი უფროსი გააკეთებდა. ანალოგიურად აფასებს ამ საკითხს სტუდენტების/აკადემიური პერსონალის 77.9% (საერთო რაოდენობის 71.1%). თითქმის თანაბარი, 17.8% და 16.8%-ს

აზრით კი დარეგულირებულია როდის, სად და როგორ შეიძლება ჩაერიოს უფროსი დაქვემდებარებულის საქმიანობაში. (საერთო რაოდენობის 17.1%).

სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გამოკითხულთა 54.7% და მხოლოდ 15.5% ადმინისტრაციიდან თვლის, რომ უკეთესი იქნება თუ ხელმძღვანელები პერიოდულად ითათბირებენ დაქვემდებარებულებთან მათთვის დახმარების გაწევის საკითხზე, ასევე ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ თანამშრომლებს შეუნარჩუნდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა - მაქსიმალურად ანდობენ მათ დელეგირებული დავალებების შესრულებას. (საერთო რაოდენობის 42.1%). ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმრავლესობა - 68.9% და მეორე ჯგუფის 37.9% მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება, თუ ხელმძღვანელები უფრო მეტი ნდობით იქნებიან აღჭურვილნი დაქვემდებარებულების მიმართ და ირწმუნებენ, რომ მათ შესწევთ თვითმენეჯმენტის ძალა. (საერთო რაოდენობის 47.9%).

უმრავლესობის შეფასებით, ეს ელემენტი პიონერულ ფაზაშია. სასურველი მდგომარეობა კი განსხვავდება ჯგუფებს შორის: სტუდენტების/აკადემიური პერსონალის აზრით ის ინტეგრაციის ფაზის შესაბამისად უნდა შეიცვალოს, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ასოციაციის ფაზა უფრო მისაღები და სასურველია.

G.მატერიალური საშუალებები. ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა უმრავლესობის, 64.4%-ს აზრით, სამუშაო ადგილების მოსაწყობად ორგანიზაციაში არსებობებს მკაფიო რეგულაციები. ფინანსური საკითხები გამჭვირვალეა - ცნობილია, ვინ რა ხარჯებსა და დანაკარგებზეა პასუხისმგებელი. (საერთო რაოდენობის 33.6%). სტუდენტების/აკადემიური პერსონალის 56.9% კი თვლის, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანია, როგორაა მოწყობილი სამუშაო ადგილები, უფრო მეტი ყურადღება ექცევა უშუალო კონტაქტს როგორც ხელმძღვანელებთან, ასევე სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. ფინანსების საკითხში ისინი მთლიანად ენდობიან ხელმძღვანელობას. ანალოგიურია ამ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხოლოდ 15.6%-ს შეფასება. (საერთო 43.6%).

ადმინისტრაციის თანამშრომელთა 68.9% და 27.4% მეორე ჯგუფიდან თვლის, რომ უკეთესი იქნება, თუ იარსებებს რაციონალური ცენტრალური რესურსები და ინფრასტრუქტურა, რომლებსაც მოქნილი წესით გამოიყენებენ სხვადასხვა ერთეულები და მიმართულებები. (საერთო რაოდენობის 40.6%). სტუდენტების 48.4%-ს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტში სასწავლო თუ სამუშაო ადგილების მოსაწყობად უნდა არსებობებს მკაფიო რეგულაციები. ფინანსური საკითხები კი გამჭვირვალე უნდა იყოს. საერთო რაოდენობის 16.4%-ს აზრით კი ცალკეული ერთეულები და ფაკულტეტები საკუთარი პასუხისმგებლობის მიხედვით უნდა განკარგავდნენ დადგენილ ბიუჯეტს.

ამ სტატისტიკის გათვალისწინებით, ორგანიზაციის ბოლო ელემენტი ადმინისტრაციის შეფასებით დიფერენციაციის ფაზაშია, მეორე ჯგუფის უმრავლესობის აზრით კი პიონერულში. სასურველი მდგომარეობაც განსხვავდება: პირველისთვის ის ასოციაციის ფაზაა, მეორესთვის დიფერენციაციის.

3.1 კვლევის შეზღუდვები

კვლევის პროცესში წამოჭრილ საკითხებს შორის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან დროში გაწელილი პასუხები. ასევე, კვლევის ანონიმურობის მიუხედავად, გულწრფელი პასუხებისგან თავის შეკავების მცდელობა.

სასურველი იქნებოდა ასევე კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უფრო მეტი რაოდენობა, რაც სამწუხაროდ ვერ განხორციელდა.

თავი 4. დასკვნა

ნაშრომში მიმოხილულ ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით და კვლევის საერთო შედეგებიდან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი ტენდენციები: ორგანიზაციის შვიდი ბაზისური ელემენტიდან პირველი - იდენტობა - თსუ-ში განვითარების პიონერულ ფაზაშია. რაც შეეხება მეორე ელემენტს, ორგანიზაციის პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები აქ ძირითადად დიფერენციაციის ფაზის მახასიათებლების მატარებელია. დიფერენციაციის ფაზაშია ასევე მისი სტრუქტურა.

გამოკითხულთა უმრავლესობის პასუხებით თუ ვიმსჯელებთ, როცა საქმე პროფესიული წინსვლის საკითხს ეხება, ორგანიზაციაში თანამშრომლებისადმი დამოკიდებულება დიფერენციაციის ფაზაშია.

როდესაც ორგანიზაციაში აზრთა სხვადასხვაობა და კონფლიქტი ჩნდება, ორგანიზაცია მათ პიონერული ფაზისთვის დამახასიათებელი გზებით წყვეტს.

დიფერენციაციის ფაზის სპეციფიკა იკვეთება კვლავ ცალკეულ პოზიციებზე, ფუნქციებზე საუბრისას.

განსაკუთრებულ დავალებების და პროექტების განსახორციელებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განვითარების დიფერენციაციული ფაზისთვის დამახასიათებელი გზებს იყენებს.

რაც შეეხება სამუშაო პროცესების მახასიათებლებს, რესპონდენტთა უმრავლესობის შეფასებით თუ ვიმსჯელებთ, ორგანიზაციის ეს ელემენტი განვითარების დიფერენციაციის ფაზაშია.

დელეგირების საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაცია კვლავ დიფერენციაციის ფაზისთვის დამახასიათებელი მიდგომით ხასიათდება.

გამოკითხულთა უმრავლესობის შეფასებით, ორგანიზაციის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ფინანსირების და კონტროლის სისტემები, იმყოფება განვითარების დიფერეციაციულ ფაზაში.

როგორც აღმოჩნდა, ორგანიზაცია არ არის სწავლებაზე ორიენტირებული . არ ხდება შედეგების შეფასება. არ ეთმობა დრო შეკითხვებს, თუ როგორ სრულდება მიზნები, რამდენად კარგად ემსახურებიან სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს, რამდენად კარგად ეთავსებიან ორგანიზაციის მისიას და ხედვას. ორგანიზაციები, რომლებიც არასოდეს ახდენენ შეფასებას თუ საითკენ მიდიან, ყოველთვის აღმოაჩენენ თავს არასწორი მიმართულებით. იქ სადაც არ არსებობს დაგეგმვა, ნაკლები შესაძლებლობაა სწავლის. შესაბამისად განვითარების შანსიც ნაკლებია. (Kellett, P.M., Dalton D.G, 2001).

ორგანიზაცია გამოირჩევა ბიუროკრატიული მართვის პრინციპებით. თანამშრომლების შემოქმედებითი ჩართულობა თითქმის ნულის ტოლია. გადაწყვეტილებები ზემოდან ქვემოთ ერთპიროვნულად მიიღება. არ არსებობს შესრულების მიზანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ ორგანიზაცია იმყოფება განვითარების დიფერენციაციის კრიზისულ ფაზაში. ნიშნები, რომელიც აღნიშნულ კრიზისულ ფაზას ახასიათებს, არის სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული სირთულეები, მეტისმეტი ფორმალიზაცია, ვერტიკალური კომუნიკაციის პრობლემები, ბიუროკრატიული მმართველობა, აზროვნების გახევება , კომპეტენციებთან და ფუნქციებთან დაკავშირებული პრობლემები, კოორდინაციის დარღვევა, მოტივაციის არარსებობა (Glasl, F., & Livegoed, B. 2004). გამოდის რომ ორგანიზაციისთვის აუცილებელია განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასვლა.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის მტკიცებაც, რომ ორგანიზაციის წევრებს აშკარად აქვთ გაცნობიერებული ცვლილებების საჭიროება. მათი უმრავლესობისთვის „სასურველი მდგომარეობა“ ასოციაციის ფაზის მახასიათებლების მატარებელია. ორგანიზაციის წევრებს სურთ, რომ უნივერსიტეტი უფრო მეტად იყოს მიმართული გარე ურთიერთობებისკენ, ხოლო ორგანიზაციის შიგნით წამოჭრილი აზრთა სხვადასხვაობა და კონფლიქტები კონსტრუქციული გზებით გვარდებოდეს. თუმცა, ასოციაციის ფაზამდე საკმაოდ დიდი გზა აქვს გასავლელი. სასურველ მდგომარეობამდე

მისასვლელად აუცილებელია ორგანიზაციამ ჯერ დიფერენციაციის ფაზის კრიზისი წარმატებით დაძლიოს და მისი ძირითადი ელემენტები ინტეგრაციის ფაზის შესაბამისად გარდაქმნას.

თავი 5. რეკომენდაციები

იმისათვის, რომ ორგანიზაციამ დაძლიოს დიფერენციაციის ფაზის კრიზისი და მიაღწიოს მისთვის სასურველ მდგომარეობას, პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია მისმა წევრებმა მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ორგანიზაციის მიზნებთან. ეს კი მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ორგანიზაციის მიზნების შესახებ საუბრებში. ორგანიზაციის პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები არ უნდა იყოს მათგან გასაიდუმლოებული. აუცილებელია შეიცვალოს ხელმძღვანელების მიდგომა დაქვემდებარებულების მიმართ, მიეცეთ მათ სწავლის და განვითარების საშუალება და ამაში თვითონ ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს აქტიური ხელშემწყობის როლი.

დიფერენციაციის ფაზის კრიზისიდან, განვითარების შემდგომ, ინტეგრაციის ფაზაში გადასვლისას, მნიშვნელოვანია გაირღვეს მექანიკური აზროვნება. თუ ორგანიზაცია გაანალიზებს რეალობის სირთულეს და დაინახავს ცვლილებების საჭიროებას, ეს იქნება აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ განვითარებას ჩაეყაროს საფუძველი. ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს რომ განვითარებას აქვს მიმართულება და ამ მიმართულების მიმცემი უნდა იყოს მმართველი გუნდი.

წარმატებული კონფლიქტ-მენეჯმენტი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მისცემს მას განვითარების და ასოციაციის ფაზაში გადასვლის საშუალებას.

აუცილებელია, რომ ორგანიზაციამ გარდაქმნას სოციალური ქვესისტემის ელემენტები (ადამიანები და ცალკეული ფუნქციები/პოზიციები) და მის ფარგლებში შექმნას უნივერსიტეტის სტრატეგიაზე მორგებული ადამიანური რესურსების მართვის

სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მას თანამშრომელთა ეფექტურობის გაზრდაში და ძირითადი მიზნების მიღწევაში. პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს სამუშაოს დეტალური ანალიზი, რათა აღმოიფხვრას არსებული ბუნდოვანი მხარეები, სწორად ჩამოყალიბდეს და დაიგეგმოს სამუშაო ფუნქცია-მოვალეობები, გაუმჯობესდეს თანამშრომელთა მართვა და მოტივირება. საჭიროა მონაწილეობის, ჩართულობის მაღალი დონე როგორც ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე პროცესებში, ისე გარემოსთან კავშირში.

სისტემური მიდგომა გამოიყვანს ორგანიზაციას დიფერენციაციის ფაზის კრიზისიდან და მისცემს მას შემდგომი განვითარების შანსს.

ბიბლიოგრაფია

- შუბლაძე, გ., მღებრიშვილი,გ., წოწკოლაური, ფ. (2008) მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი
- ჯაჯი, ა,ტ., რობინსი, პ,ს. (2009). ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

- Armstrong, M. (2006). A Handbook of Human Resource Management Practice, 10th Edition. Kogan Page

- Glasl, F., & Livegoed, B. (2004). Dynamische Unternehmens-Entwiklung. (R. Tschiren, Ed.) Berne: Haupt.

- Glasl, F. (2002). Konflikt-management, Ein Handbuch für Führungskrafte, Beraterinnen und Berater. Verlag Paul Haupt Bern

- Jones, B.B., Brazzel, M. (2014). The NTL Handbook of Organization Development And Change. 2nd Edition. The NTL Institute., Wiley

- Kellet P.M., & Dalton D.G. (2001) Managing Conflict in a negotiated World

- Rothwell, W.J., Stavros, J.M., Sullivan, R.L., Sullivan, A. Practicing Organization Development. Pfeiffer

http://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo

https://www.tsu.ge/ge/about/history/

დანართი #1

Friedrich Glasl / Trude Kalcher / Hannes Piber

ორგანიზაციის თვისებრივი დიაგნოზი

თქვენ იხილავთ ორგანიზაციის თითოეულ ძირითად ელემენტებთან შესაბამის (A-დან G-მდე) 4 პოსტულატს (აღწერილობას). მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ ცხრილში ჩაწერეთ:

რომელი ფორმულირება შეესაბამება ყველაზე მეტად თქვენს „არის-მდგომარეობას“?

რომელი ფორმულირება შეესაბამება ყველაზე მეტად თქვენი აზრით სასურველ „უნდა იყოს-წარმოდგენას“? ანუ რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი ორგანიზაციის განვითარების გზაზე.

მაგალითად:

ელემენტი	არის	უნდა იყოს
A.	**1**	**3**

A. ორგანიზაციის იდენტობა

ელემენტი	არის	უნდა იყოს
A.		

ორგანიზაციის მთავარი მიზანი და აზრი ჩვენთან ასე გამოიყურება:

1. ორგანიზაციის მიზნები მომდინარეობს ხელმძღვანელობის შეხედულებებიდან. ამიტომ ორგანიზაციის თანამშრომლები ორიენტაციას იღებენ ხელმძღვანელ პირებზე.
2. ორგანიზაციის მიზნები ძირითადად ოფიციალურად, წერილობითაა ქაღალდზე გაწერილი ხედვების, მისიის და მსგავსი მუხლების სახით. ისინი გადაიხედება, გადამოწმდება და ახალი ინტერპრეტაცია მიეცემა როგორც კი გაჩნდება კითხვები, გაურკვევლობები ან დადგება ცვლილებების საჭიროება.

3. ორგანიზაციის მიზნები არ არის რაიმე უცვლელი კონცეფცია. ისინი არც თავისთავადია. საუბრები და დისკუსია ორგანიზაციის მიზნების შესახებ ატარებს მუდმივ ხასიათს, რათა ყველა რგოლის ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს მიეცეთ საშუალება, მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ორგანიზაციის მიზნებთან.

4. ორგანიზაციის მიზნები ნათელი და გარკვეულია და ისინი დაწვრილებით განიხილება ორგანიზაციაში. ეს მიზნები ემსახურება იმასაც, რომ პარტნიორული ურთიერთობები ჩამოყალიბდეს სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩვენი ორგანიზაციის ფილოსოფიასთან ახლოს დგანან.

B. ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია

ელემენტი	არის	უნდა იყოს
B.		

ორგანიზაციის პოლიტიკა, მოკლე და გრძელვადიანი კონცეფციები, გეგმები და ა.შ. ჩვენთან ატარებენ ძირითადად შემდეგ ხასიათს:

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელებს აქვთ სწორი სამომავლო ხედვები და ინტუიცია. მიზნები და გეგმები ძალიან იშვიათადაა გაწერილი. იმისათვის, რომ იცოდე, რა არის ორგანიზაციის გეგმები, მნიშვნელოვანია ყველაზე მაღალი რგოლის ხელმძღვანელთან გქონდეს კარგი პირდაპირი კონტაქტი.

2. მართვის ზედა რგოლებში ტარდება (მაგალითად წელიწადში ერთხელ ან მეტჯერ) საუბრები ორგანიზაციის პოლიტიკასა და სტრატეგიაზე. შედეგები ფორმულირდება და წერილობით მტკიცდება. შემდეგ ეს გადაეცემა მომდევნო რგოლებს.

3. ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია სხვადასხვა რგოლის ხელმძღვანელებს შორის განიხილება, მუშავდება და არსებულ რეალობას ერგება. მნიშვნელოვანია, რომ საშუალოვადიანი გეგმები თანამშრომლების ცხოვრების ნაწილი გახდეს და არ დარჩეს მათგან გასაიდუმლოებული.

4. ხელმძღვანელები ორგანიზაციის თანამშრომლებს საშუალებას აძლევენ მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიის შემუშავებაში. ისინი ასევე ითვალისწინებენ იმ ორგანიზაციების პოლიტიკას,

რომლებთანაც მჭიდრო და ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობებზე ზრუნავენ და მათთანაც განიხილავენ თავის გეგმებს.

C. ორგანიზაციის სტრუქტურა

ელემენტი	არის	უნდა იყოს
C.		

ორგანიზაციის წყობას ჩვენთან განსაზღვრავენ შემდეგი ასპექტები:

1. ორგანიზაციის სტრუქტურა ფორმალურად ნაკლებადაა გაწერილი. ცალკეული ფუნქციები თუ სფეროები თავისუფლად, ძალდატანების გარეშე გადანაწილდება, შესაძლებლობების მიხედვით. თანამშრომლებმა უფროსებთან პირდაპირი კონტაქტის წყალობით იციან, სად არის მათი ადგილი ორგანიზაციაში.
2. მართვის დონეები ერთმანეთისაგან ოფიციალურად არის გაყოფილი. დავალებების ლოგიკური დანაწილების შედეგად კონკრეტული სამუშაო პოზიციის მფლობელებმა იციან, სად არის მათი ადგილი ორგანიზაციაში.
3. ორგანიზაციის სტრუქტურა შედგება გამჭვირვალე ერთეულებისგან, რომლებიც მიზნის და სხვა ძირითადი თემების მიხედვით არის დაყოფილი. ამ ერთეულებს აქვთ პასუხისმგებლობის მაღალი დონე. მართვის მაქსიმალურად ჰორიზონტალური იერარქია პირდაპირი და მოკლე გზით გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. თანამშრომლები რეგულარული საქმის გარდა პროექტებშიც არიან ჩართულნი.
4. ორგანიზაციის წყობა ერთმანეთთან აკავშირებს მრავალ დამოუკიდებელ ერთეულს. ორგანიზატორულ თავისებურებებს დიდი ქმედების არეალი აქვთ პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის აწყობის საქმეში.

D.(**1**) ადამიანები, მართვა, თანამშრომლობა

ელემენტი	არის	უნდა იყოს
D. (1)		

ჩვენთან თანამშრომლებს ყველაზე მეტად აქვთ პროფესიული წინსვლის შანსი, როცა...

5. ისინი ბეჯითად მუშაობენ. ამას ამჩნევენ ხელმძღვანელები და აფასებენ. შედეგად ისინი ახალ დავალებებს იღებენ, რითაც ისევ თავის გამოჩენის და განვითარების შანსი ეძლევათ. გაწეული სამსახური უფრო ბევრს ნიშნავს, ვიდრე ფორმალური განათლება და დიპლომები.

6. თანამშრომლები მუშაობენ განსაზღვრული პროცესების და სტანდარტების შესაბამისად. შედეგები შეფასების აღიარებული, ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით პერიოდულად მოწმდება. განყოფილებები (მაგ. ადამიანური რესურსების მართვის) ზრუნავენ იმაზე, რომ სწორად გადანაწილდეს პოზიციები ორგანიზაციაში.

7. ხელმძღვანელები ატარებენ პერიოდულ საუბრებს თავის თანამშრომლებთან, რათა მათი ინდივიდუალური განვითარების ხედვები ორგანიზაციის მოთხოვნებს შეუსაბამონ. ადამიანების განვითარების ხელშეწყობა ხელმძღვანელობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

8. ხელმძღვანელები პასუხისმგებლობას გრძნობენ თანამშრომლების განვითარების საკითხში და ამ განვითარებას აქტიურად უწყობენ ხელს. ამ თემაზე თანამშრომლობენ პარტნიორ ორგანიზაციებთანაც, რომლებთანაც საერთო პროექტები აქვთ და მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის პერსონალს უგზავნიან ერთმანეთს, ხდება თანამშრომლების როტაცია.

D.(**2**) ადამიანები, მართვა, თანამშრომლობა

ელემენტი	არის	უნდა იყოს
D. (2)		

როცა ჩვენს ორგანიზაციაში აზრთა სხვადასხვაობა ან კონფლიქტი ჩნდება, ხდება შემდეგი:

9. საბოლოო სიტყვას ისინი იტყვიან ვისაც უფრო მეტი ნდობით აღსავსე, პირადი ურთიერთობები აქვს ხელმძღვანელებთან. ურთიერთობების ხარისხს დიდი გავლენა აქვს გადაწყვეტილების მიღებაზე.

10. განსხვავებები (დავის საგანი) უფროსებს და შესაბამის განყოფილებებს გაეცნობა, რომლებიც შემდეგ არსებული გამჭვირვალე წესების მიხედვით დაარეგულირებენ საკითხს.

11. დაპირისპირებული მხარეები შეეცდებიან ჯერ საკუთარი ძალებით იპოვონ ისეთი გამოსავალი, რომელიც ორგანიზაციისთვის და მხარეებისთვის მისაღები იქნება. უფროსები თავის ამოცანას ხედავენ იმაში, რომ მხარეებს ამ გადაწყვეტილების მიღებაში შეუწყონ ხელი

(კონფლიქტის მოდერირება, გადაწყვეტილებების მიღება, გარე დამხმარე ძალის მოწვევა და ა. შ.).

12. დაპირისპირებული მხარეები უმეტეს შემთხვევაში ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ თავად შეუძლიათ კონფლიქტის მოგვარება ან დახმარების ორგანიზება. კონფლიქტების მართვის უნარს დიდი ადგილი უჭირავს ორგანიზაციაში, რათა წარმატებულად იმართოს მრავალი შიდა და გარე აქტორის ურთიერთობა.

E.(1) ფუნქციები და ორგანოები

ელემენტი	არის	უნდა იყოს
E. (1)		

ცალკეული პოზიციებისთვის, ფუნქციებისთვის ჩვენს ორგანიზაციაში მოქმედებს შემდეგი:

13. ჯერ მოდის ადამიანი, შემდეგ ჩნდება სამუშაო პოზიცია. თანამშრომლებს აქვთ ის დავალებები, რომლებიც მათ შეესაბამებათ. ჩვენ გვაქვს „შესაბამისი კოსტუმები“, რათა ადამიანები სტანდარტებით არ შეიზღუდონ და მათ ამის გამო უნარები არ დაებლოკოთ. ყველაზე მეტად გვიყვარს „უნივერსალური ფუნქციები“ დავალებების მრავალფეროვნებით.

14. ყველა ფუნქცია ნათლად დაყოფილია და საზღვრებიც დადგენილია. თანამშრომლები იცნობენ მთელი აპარატის ლოგიკას და თავს მთლიანის ერთ სპეციფიურ ნაწილად თვლიან. დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი მაქსიმალურად გამოყოფილია ერთმანეთისგან და გადანაწილებულია სხვადასხვა ადგილებზე. სპეციალიცაზიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

15. ფუნქციები არის რაციონალური, აღქმადი მთლიანობა. ისინი ძირითადი ამოცანებისა და მათთან დაკავშირებული კომპეტენციების მიხედვითაა განაწილებული და გაწერილი, თუმცა არა დაწვრილებით, უკანასკნელ დეტალამდე. მიზნების შეთანხმების წყალობით საკუთარ ფუნქციებში მეტი თვითდაგეგმარების, თვითორგანიზებისა და თვითკონტროლის საშუალება ჩნდება.

16. დაგეგმვას და კონტროლს, ისევე როგორც მმართველობით ამოცანებს გუნდები თვითონ ასრულებენ. შესაძლებელია გუნდის მმართველობის ამოცანების როტაცია. გარკვეულია, რომელი ფუნქციები ემსახურება პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობას.

E.(2) ფუნქციები და ორგანოები

ელემენტი	არის	უნდა იყოს
E. (2)		

განსაკუთრებული დავალებები და პროექტები ჩვეულებრივ შემდეგი გზით ხორციელდება:

17. წამყვან პოზიციებს ის ადამიანები იკავებენ, ვის მიმართაც ჩნდება პოზიტიური განწყობა. მათ უცხადებენ დიდ ნდობას, რაც ყოველგვარ ფორმალურ წესებზე მნიშვნელოვანია.
18. ყურადღება ექცევა იმას, რომ განსაკუთრებული დავალებები და პროექტები ჯდებოდეს არსებულ წესებში. ერთმნიშვნელოვანი და დეტალური რეგულაციებისა და სტანდარტების წყალობით უზრუნველყოფილია პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობა.
19. ჯერ ახალი პროექტის თუ ამოცანის მიზანი მუშავდება, რათა თანამშრომლებმა დაინახონ მათი ახალი დავალებების კავშირი მთელ დანარჩენ ორგანიზაციასთან. წესებში დატოვებულია დიდი თავისუფალი სივრცე, რათა მიზნების განხორციელებას ნაკლებად შეეშალოს ხელი.
20. განსაკუთრებული პროექტებისთვის ხდება მიზნების, აზრის და ძირითადი შესასრულებელი ამოცანების შეთანხმება. პროექტის ხელმძღვანელი შესაბამისი კომპეტენციებით „აღიჭურვება“. პროექტში ერთვებიან პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლებიც.

F.(**1**) სამუშაო პროცესები

)ელემენტი	არის	უნდა იყოს
F. (1)		

სამუშაო პროცესისათვის ჩვენთან დამახასიათებელია:

21. ფაქტიობრივად არ არსებობს რეგულაციები, როგორ უნდა წარიმართოს პროცესები. ყველა თანამშრომელს შეუძლია იმპროვიზაცია და სიტუაციის შესაბამისი ქცევის შერჩევა. ასე სრულდება სამუშაო ყველაზე კარგად.
22. სამუშაოები გეგმიურად და მაქსიმალურად სტარდატიზებულად სრულდება. შემდეგ მოდის მცდელობა, რომ ყველა პროცესი ნათლად და ეფექტურად მიმდინარეობდეს. შედარებით კომპლექსურ პროცესებს სპეციალური განყოფილება კურირებს.
23. პროცესებს წინ უძღვის ზოგადი გეგმები, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ერთ მთლიანს ემსახურება. მოქმედების ზოგადი ჩარჩოები შემსრულებლებს საშუალებას აძლევთ თავად

დაარეგულირონ დეტალები. პასუხისმგებლობაც თავად შემსრულებელს ეკისრება. განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან იმ პროცესებს, რომლებიც სტუდენტის და პროფესორის საჭიროებების რელევანტურია.

24. ადამიანებს, რომლებიც პროცესებში ჩართულნი არიან, გაცნობიერებული აქვთ ორგანიზაციაში მიმდინარე მთლიანი პროცესიც. დიდი ყურადღება ეთმობა პროცესის როგორც გარკვეულ მონაკვეთებს, ისე გარემოსთან კავშირში მიმდინარე პროცესებს. პროცესებში ჩართული ადამიანები პერიოდულად საუბრობენ გაუმჯობესების საშუალებებზე და მათ თავადვე ახორციელებენ.

F.(2) სამუშაო პროცესები

ელემენტი	არის	უნდა იყოს
F. (2)		

დელეგირების საკითხს ჩვენთან ასე ვეპყრობით:

25. ხელმძღვანელები დავალებებს აძლევენ დაქვემდებარებულებს თუმცა ისინი ნებისმიერ დროს შეიძლება ჩაერიონ ამ უკანასკნელთა საქმიანობაში, როცა ისინი რამეს ისე ვერ აკეთებენ, როგორც ამას მათი უფროსი გააკეთებდა.

26. ხელმძღვანელები ამოწმებენ, რამდენად შეესაბამება სამუშაოს შესრულება გეგმებს, მოცემულობებს და შეთანხმებებს. ასევე დარეგულირებულია, როდის და როგორ შეიძლება ჩაერიოს უფროსი დაქვემდებარებულის საქმიანობაში. დასაქმებულები მოახსენებენ უფროსს მათი შესრულებული სამუშაოსა და წინსვლის შესახებ.

27. ხელმძღვანელები დაქვემდებარებულებთან რეგულარულად თათბირობენ იმაზე, ხომ არ წამოიჭრა რამე მოულოდნელი საკითხი, რაშიც ისინი დახმარებას საჭიროებაენ. ასევე ყურადღებას აქცევენ იმას, რომ თანამშრომლებს შეუნარჩუნდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და ამიტომ ისევ თავისკენ არ „ექაჩებიან“ დელეგირებულ დავალებებს.

28. ხელმძღვანელებში არის ნდობა, რომ თანამშრომლებს შესწევთ თვითმენეჯმენტის ძალა. მათი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, იზრუნონ თანამშრომლების საერთო საქმეში ჩართვაზე.

G. მატერიალური საშუალებები

ელემენტი	არის	უნდა იყოს
G.		

ტექნიკური ინფრასტრუქტურა, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები, საოფისე ოთახები, ფინანსირებისა და კონტროლის სისტემები ჩვენთან ნიშნავს შემდეგს:

29. ჩვენთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, როგორაა მოწყობილი ჩვენი სამუშაო ადგილები და უფრო მნიშვნელოვანია უშუალო კონტაქტი სტუდენტებთან, პროფესორებთან და ხელმძღვანელებთან. ფინანსებზე ინფორმაციას ხელმძღვანელობა ფლობს, რომელთაც ჩვენ ვენდობით.

30. სამუშაო ადგილების მოსაწყობად არსებობს მკაფიო რეგულაციები. არსებობს პროცედურები სამუშაო მასალებით და საოფისე ტექნიკით უზრუნველსაყოფად. ცნობილია, ვინ რა ხარჯებსა და დანაკარგებზეა პასუხისმგებელი. ფინანსური საკითხები გამჭვირვალეა და წლიურ ანგარიშებში ქვეყნდება.

31. ცალკეული ერთეულები და ფაკულტეტები საკუთარი პასუხისმგებლობის მიხედვით განკარგავენ დადგენილ ბიუჯეტს სამუშაო ადგილების ადეკვატურად მოსაწყობად. ფინანსური საშუალებები წლიურად თანხმდება და ეს შეთანხმება შემდეგ საკუთარი ძალებით კონტროლდება.

32. არსებობს რაციონალური ცენტრალური რესურსები და ინფრასტრუქტურა, რომლებსაც მოქნილი წესით იყენებენ სხვადასხვა ერთეულები და მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკური და ორგანიზაციული სტანდარტების გარე პარტნიორების სტანდარტებთან შესაბამისობას.

დანართი #2

შეფასების ცხრილი

არის მდგომარეობა

	1	2	3	4
A. ორგანიზაციის იდენტობა	90X	38X	5X	7X
B. ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია	36X	85X	12X	7X
C. სტრუქტურა	38X	95X	3X	4X
D. ადამიანები **/** მართვა **/** თანამშრომლობა **(1)**	33X	91X	14X	2X
D. ადამიანები **/** მართვა **/** თანამშრომლობა **(2)**	103X	10X	23X	4X
E. ფუნქციები და ორგანოები **(1)**	59X	36X	32X	13X
E. ფუნქციები და ორგანოები **(2)**	74X	51X	10X	5X
F. სამუშაო პროცესები **(1)**	53X	62X	20X	5X
F. სამუშაო პროცესები **(2)**	101X	24X	10X	5X
G. მატერიალური საშუალებები	61X	47X	22X	10X

შეფასების ცხრილი

უნდა იყოს მდგომარეობა

	1	2	3	4
A. ორგანიზაციის იდენტობა	X	9X	98X	32X
B. ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია		X	58X	81X
C. სტრუქტურა		19X	111X	10X
D. ადამიანები **/** მართვა **/** თანამშრომლობა **(1)**	11X	17X	19X	93X
D. ადამიანები **/** მართვა **/** თანამშრომლობა **(2)**		24X	27X	89X
E. ფუნქციები და ორგანოები **(1)**	8X	63X	24X	45X
E. ფუნქციები და ორგანოები **(2)**	5X	14X	62X	59X
F. სამუშაო პროცესები **(1)**	5X	15X	25X	95X
F. სამუშაო პროცესები **(2)**	X	13X	59X	67X
G. მატერიალური საშუალებები	5X	55X	23X	57X

დანართი #3 Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Iarajuli Mariami

Qualitative analysis of the educational organization on the example of TSU

The work is written in order to earn a Master's Degree of Social and Political Sciences in Organization Development and Consulting

Supervisor: Full Professor Nodar Belqania

TBILISI

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იარაჯული მარიამი

სასწავლო ორგანიზაციის თვისებრივი ანალიზი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნოდარ ბელქანია, სრული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი „სასწავლო ორგანიზაციის თვისებრივი ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე“ წარმოადგენს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელ ნაშრომს, რომელიც სრულდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ ფარგლებში.

მოცემული ნაშრომი ანალიტიკური ხასიათისაა და მისი მთავარი მიზანს წარმოადგენს სასწავლო ტიპის ორგანიზაციის თვისებრივი მახასიათებლების გამოვლენა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. ნაშრომის მიზანი არის აგრეთვე იმის გაცნობიერება, რომ ორგანიზაცია არ არის სტატიკური ორგანიზმი, ის ცოცხალი სტრუქტურაა და შესაძლებელია როგორც მისი ცალკეული ელემენტების, ასევე მთლიანობის ცვლილება და ევოლუცია.

სამაგისტრო ნაშრომის შესავალი მოიცავს თემის მოკლე მიმოხილვას, მის აქტუალობას, კვლევის ამოცანების, გამოყენებული მეთოდის და მისი ანალიზით მიღებული შედეგების პრეზენტაციას. პირველი თავი წარმოადგენს ორგანიზაციის, როგორც ცნების განმარტებას, მის ზოგად კლასიფიკაციას. მეორე თავი შეეხება ორგანიზაციის განვითარების ფაზებს, მათ ძირითად მახასიათებლებს, თითოეული მათგანის დადებით და უარყოფით მხარეებს. მესამე თავში გამოკვეთილია ორგანიზაციის შვიდი არსებითი ელემენტი და თითოეული მათგანი განხილულია განვითარების ოთხი ფაზის ჭრილში. მეოთხე თავი ეთმობა კვლევას, საკვლევი ორგანიზაციის მცირე მიმოხილვას, დასახული მიზნის შესაბამისად გამოკვეთილ ამოცანებს, გამოყენებულ მეთოდს, კვლევის პროცესში წამოჭრილ სირთულეებს, კვლევის შედეგების ანალიზს და რეკომენდაციებს.

ნაშრომის ფარგლებში კვლევა ჩატარდა ორგანიზაციის თვისებრივი დიაგნოზის ადაპტირებული კითხვარით (Glasl, Kalcher, Piber) (დანართი #1).

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად იგეგმებოდა მხოლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების გამოკითხვა, თუმცა საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადაწყდა კვლევის პროცესში სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ჩართვაც.

კვლევის პროცესში გამოვლინდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც სასწავლო ორგანიზაციის ძირითადი თვისებრივი მახასიათებლების ამჟამინდელი მდგომარეობა, ორგანიზაციის წევრებისთვის სასურველი მდგომარეობა, პრობლემები, რომლის წინაშეც დგას უნივერსიტეტი და მათი გადაჭრის სავარაუდო გზები.

Abstract

Qualitative analysis of the educational organization on the example of TSU

Mariami Iarajuli, M.I

Master's thesis "Qualitative analysis of the educational organization on the example of TSU" represents a work to earn master's degree in "Organization development and consulting" and it is performed in Tbilisi state university, faculty of social and political sciences.

Presented work is mostly analytical and its main purpose is to reveal qualitative features of the educational organization on the example of Tbilisi state university. Also, another purpose of this thesis is to realize that organization is not a static organism, it is an active, alive structure and it is possible to change and evolve some of its elements and also on the whole.

The introducing part of the thesis includes a brief description of the topic, its relevance, research tasks, used method and a review of the obtained results.

The first chapter gives a definition of the organization as a concept, its classification in general.

The second chapter describes four phase of the organization development, its mainc characteristics, the advantages and the disadvantages of it.

In the third chapter it is specifically explained the seven basic element of the organization and all of it is discussed in the context of four phases of the organizational development.

In the last chapter is represented a research, a short review of the organization (TSU), research tasks, used method, some difficulties of the research process, analysis of the results and recommendations.

In the research process is used an adapted qualitative diagnosis questionnaire of the organization. (attachment #1)

It should be noted, that from the beginning it was planned to inquire only the staff of the administration, but later, it was decided to envolve students and academic personnel in the process.

In the research process was revealed TSU's main qualitative characteristics condition, as the educational organization, its members desired condition, the problems that the organization is now facing and possible ways for solving them.

სარჩევი

ანოტაცია……..2

Abstract…….……4

სარჩევი……6

შესავალი……..8

თავი 1. ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება, მათი განვითარების ფაზები და ძირითადი ელემენტები.....10

1.1 ორგანიზაციის ცნება და ზოგადი დახასიათება.....10

1.2 ორგანიზაციის განვითარების 4 ფაზა.....12

1.2.1 პიონერული ფაზა.....12

1.2.2 მართვის სტილი და ტექნიკები პიონერულ ფაზაში.....15

1.2.3 პიონერული ფაზის კრიზისი.....15

1.2.4 მართვა პიონერული ფაზის კრიზისში.....17

1.2.5 დიფერენციაციის ფაზა.....18

1.2.6 მართვის სტილი და ტექნიკები დიფერენციაციის ფაზაში.....20

1.2.7 დიფერენციაციის ფაზის კრიზისი.....21

1.2.8 მართვა დიფერენციაციის ფაზის კრიზისში.....21

1.2.9 ინტეგრაციის ფაზა 23

1.2.10 მართვის სტილი და ტექნიკები ინტეგრაციის ფაზაში.....23

1.2.11 ასოციაციის ფაზა.....25

1.2.12 მართვის სტილი და ტექნიკები ასოციაციის ფაზაში.....26

1.3 ორგანიზაციის 7 ელემენტი და მათი ევოლუცია განვითარების 4 ფაზის ჭრილში.....26

1.3.1 ორგანიზაციის 7 ელემენტი.....26

1.3.2 ორგანიზაციის 7 ელემენტის ევოლუცია განვითარების 4 ფაზის ჭრილში.....28

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია.....30

2.1 კვლევაში მონაწილე ორგანიზაციის აღწერა.....30

2.2 კვლევის მეთოდოლოგია; მიზანი და ამოცანები.....32

2.3 კვლევის ინსტრუმენტი და პროცედურის აღწერა.....33

2.4 კვლევის შედეგების პრეზენტაცია.....35

თავი 3. კვლევის ანალიზი.....42

3.1 კვლევის შეზღუდვები.....51

თავი 4. დასკვნა.....52

თავი 5. რეკომენდაციები.....54

ბიბლიოგრაფია.....56

დანართი #1 (კითხვარი).....57

დანართი #2 (შეფასების ცხრილი).....65

დანართი #3 67

შესავალი

თანამედროვე ეპოქა მუდმივი ცვლილებებით და გარდაქმნებით ხასიათდება, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს, ტექნოლოგიურ და სოციალურ პროგრესს, კონკურენციის გაძლიერებას და ა.შ., თუმცა მხოლოდ ეს ჩამოთვლილი ცვლილებები არ წარმოადგენენ ორგანიზაციის განვითარების და წარმატების საფუძველს. მსოფლიოში მიმდინარე ამ პროცესების მთავარ აქტივს წარმოადგენს არა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, არამედ ადამიანი (ჯაჯი, ა.ტ., რობინსი, პ.ს., 2009), რომელიც აღჭურვილია ცოდნით, ინტელექტით, ინოვაციური ხედვით. სწორედ ამ თვისებების მქონე ადამიანი ხდის ორგანიზაციას წარმატებულს.

დღესდღეობით ორგანიზაციები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, მუდმივი ცვლილებები კი მათი ყოველდღიური საქმიანობის პარალელური პროცესია. ზოგიერთი მათგანი უბრალოდ აიგნორებს ცვლილებების საჭიროებას, ზოგი ამკაცრებს კონტროლს და ხდება უფრო ბიუროკრატიული (Jones, B.B., Brazzel, M. 2014). ის ორგანიზაციები და ხელმძღვანელები კი რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი ორგანიზაციის განვითარებით, განწირულნი არიან.

სასწავლო ორგანიზაციები, რომლებიც არ ეწევიან კომერციულ საქმიანობას, საკმაოდ ხშირად დგებიან ცვლილებების წინაშე. წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ ამ ტიპის ორგანიზაციის ანალიზი და მის წინაშე მდგარი ცვლილებების საჭიროების განსაზღვრაა.

მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ორგანიზაციის თვისებრივი მახასიათებელების მიმოხილვა
- კვლევის ჩატარება
- დასკვნების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება

ორგანიზაციის თვისებრივი ანალიზი თსუ-ს მაგალითზე წარმოადგენს მის დიაგნოსტირებას განვითარების ოთხი ფაზის და შვიდი ბაზისური ელემენტის მიხედვით.

ამისთვის გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - კითხვარი. აღნიშნული კვლევა მოგვცემს პასუხებს შემდეგ კითხვებზე:

- როგორია ორგანიზაციის წევრთა აზრი მისი თითოეული ელემენტის ძირითად მახასიათებლების შესახებ
- განვითარების რომელ ფაზაში ან რომელი ფაზის კრიზისშია ამჟამად უნივერსიტეტი
- რა აუცილებელი ცვლილებების წინაშე დგას ის განვითარების გზაზე
- როგორია ორგანიზაციის წევრთა „სასურველი მდგომარეობა“

ყოველივე ზემოაღნიშნული კი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ცვლილებების საჭიროება და შევიმუშავოთ შესაბამისი რეკომენდაციები.

თავი 1. ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება, მათი განვითარების ფაზები და ძირითადი ელემენტები

1.1 ორგანიზაციის ცნება და ზოგადი დახასიათება.

ორგანიზაცია არის ადამიანთა ჯგუფი, რომლის საქმიანობაც შეგნებულადაა მიმართული საერთო მიზნის ან მიზნების მისაღწევად. ადამიანთა ესა თუ ის ჯგუფი რომ ჩაითვალოს ორგანიზაციად, საჭიროა შესრულდეს შემდეგი პირობები:

1) უნდა არსებობდეს მინიმუმ ორი ადამიანი, რომლებიც თავს მოცემული ჯგუფის წევრებად ჩათვლიან;
2) უნდა არსებობედეს უკიდურეს შემთხვევაში ერთი მიზანი მაინც, რომელსაც ჯგუფის ყველა წევრი გაითავისებს.

განასხვავებენ ფორმალურ და არაფორმალურ ორგანიზაციებს. ფორმალური ორგანიზაციის განმარტება ემთხვევა ორგანიზაციის ზემოთ მოყვანილ განმარტებას, ამიტომ, როცა საუბარია ორგანიზაციაზე, ყოველთვის მხედველობაშია ფორმალური ორგანიზაცია. არაფორმალური ორგანიზაციები ფორმალურისგან განსხვავებით იქმნება სპონტანურად განსაზღვრული მიზნის/მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციის მიზანთან დაკავშირებით მას ყოფენ ორ ჯგუფად: კომერციული (მოგებაზე ორიენტირებული) და არაკომერციული ორგანიზაციები. ფრიდიხ გლაზლი ორგანიზაციის სამ ქვესისტემაზე დაყრდნობით გამოყოფს ორგანიზაციის სამ მთავარ ტიპს: პროფესიული ორგანიზაცია, მომსახურების სფეროს ორგანიზაცია და მაწარმოებელი ორგანიზაცია (Glasl, 2002).

A.Bos-ის (1972) მიხედვით პროფესიულ ორგანიზაციებს გააჩნიათ შემდეგი ძირითადი მახასიათებლები: ორგანიზაციის მიზანი არის „იდეების წარმოება“, მთავარი მაფორმირებელი პრინციპი კი თანამშრომლების პროფესიული თავისუფლება. ამ ტიპის ორგანიზაცია მუდმივადაა დაკავებული თანამშრომლების სწავლებით და განვითარებით (Glasl, 2002). სწორედ პროფესიული ორგანიზაციის ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს სასწავლო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება განვმარტოთ როგორც ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას იმ მიზნებთან შესაბამისობაში, რომლის მისაღწევადაც ეს ორგანიზაცია შეიქმნა.

საქართველოში სასწავლო ორგანიზაციები იყოფა შემდეგ ტიპებად: სკოლამდელი საგანმანათლებლო ორგანიზაცია, ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაცია და უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც თავის მხრივ იყოფა სამ სახედ:

- კოლეჯი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელების აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.
- სასწავლო უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს, გარდა დოქტორანტურისა.
- უნივერსიტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს. (http://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo)

1.2 ორგანიზაციის განვითარების 4 ფაზა

1.2.1 პიონერული ფაზა

ბერნარდ ლივეხუდის მიხედვით, ადამიანის მსგავსად, ორგანიზაციაც თავისი განვითარების პროცესში გაივლის 3 ძირითად საფეხურს: პიონერულ, დიფერენციაციის და ინტეგრაციისა ფაზებს. მოგვიანებით ფრიდრიხ გლაზლმა ამ საფეხურებს ასოციაციის ფაზა დაუმატა. ამ პროცესში საწარმო ყალიბდება, როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი ორგანიზმი, რომლის წინაშეც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ახალ-ახალი გამოწვევები და სირთულეები დგას. ადამიანის მსგავსად, ორგანიზაციაც მუდმივად ისწრაფვის განვითარებისაკენ, ცდილობს რომ ფეხი აუწყოს ცვლილებებს და მოერგოს ახალ სტანდარტებს, რასაც მისი გარემო სთავაზობს.

განვიხილოთ თითოეული ფაზის გამოწვევები.

პიონერული საწარმო მისი ყველაზე წმინდა გაგებით წარმოადგენს საწარმოს, რომელსაც ავტოკრატიულად მართავს მისი დამფუძნებელი. (Glasl & Lievegoed; 2004). ხელმძღვანელობა მთლიანად ეყრდნობა იმ პრესტიჟს, რომლითაც პიონერი მეწარმე სარგებლობს თავის თანამშრომლებს შორის. თუ სირთულე წარმოიქმნა, პიონერი აუცილებლად პოულობს გამოსავალს, მისი უდავო ავტორიტეტი კი უფრო მეტად გამყარებულია შემდეგი ფაქტორებით:

- პიონერი პირადად იცნობს ყველა დასაქმებულს, თითოეული მათგანი პირადად მის მიერაა აყვანილი სამუშაოზე.
- მისთვის კარგადაა ცნობილი საწარმოს მუშაობის სპეციფიკა, რადგან ბევრი რამ აქ პირადად მისი შექმნილია.

ურთიერთობა პიონერ მეწარმეს და მის დაქვემდებარებულებს შორის არის პირდაპირი და უშუალო, ის „მათ ენაზე“ საუბრობს და სწორედ ეს ფსიქოლოგიური სიახლოვე ხელმძღვანელს და შემსრულებლებს შორის, განაპირობებს კომუნიკაციის მოქნილობას და ეფექტურობას. პიონერული ფაზის მუშაობის სტილი იმპროვიზაციაა, რაც

სიტუაციასთან მორგების მაღალ ხარისხს განაპირობებს. მომუშავეები არ არიან შეზღუდულნი, მათ აქვთ ფართო სპეციალიზირებული ცოდნა და შეუძლიათ შეასრულონ ერთზე მეტი დავალება. გარდა ამისა, საწარმო სწრაფად ახდენს ადაპტირებას ცვალებად საბაზრო პირობებში. (Glasl & Lievegoed; 2004).

პიონერულ საწარმოს არ ახასიათებს პერსონალზე ზრუნვა. თანამშრომლებთან დაკავშირებით ასეთი ტიპის საწარმოში საკმაოდ მარტივი გადაწყვეტა არსებობს - როდესაც ბაზარზე მოთხოვნა იზრდება, საწარმო იყვანს დამხმარე ძალას, როცა მცირდება - ათავისუფლებს მათ. ვინ ასეთი სტილით მუშაობას უძლებს, ის ხდება ორგანიზაციის ნაწილი, ვინც ვერა - მეტწილად „უხმაუროდ“ ქრება ორგანიზაციიდან.

პიონერული საწარმო ძირითადად მოღვაწეობს განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში, სადაც პირადად იცნობს მთელ თავის კლიენტურას. მისი ძირითადი მიზანი მათთან ურთიერთობაა პირადი კონტაქტების დონეზე.

პიონერული საწარმო მუშაობს შეკვეთიდან შეკვეთამდე: იწარმოება ის რაც შეკვეთილია და რაც იყიდება. ძველი და კარგად ნაცნობი მომხმარებლისთვის ხშირად სხვა სამუშაოებიც სრულდება. ამ დროს პიონერმა მმართველმა არ იცის, თუ რამდენი უჯდება გარკვეული სახის მომსახურება და სამუშაო, ის მხოლოდ საერთო შემოსავლით ინტერესდება, სხვა დანარჩენზე კი გამოცდილებას და ინტუიციას ეყრდნობა.

პიონერული საწარმოს გაზრდისთვის პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- „კონგლომერატის ფორმა“ - თავდაპირველი საწარმო იშლება უფრო მცირე ნაწილებად, რომლებიც იმართებიან პიონერული სტილით, ხოლო ცენტრალური საწარმო ხდება ე.წ. „ფინანსური ჰოლდინგი“. სამუშაოდ მიიღებიან ახალგაზრდები პიონერული მენტალიტეტით. ყოველი შვილობილი კომპანია ვალდებულია ანგარიშით წარსდგეს პიონერთან ცენტრალურ საწარმოში.

- „ოჯახური საწარმო“ - ერთი შეხედვით ცოტა უცნაურია, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას პიონერულ სტილთან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ უკანასკნელისგან გამომდინარეობს, განსაკუთრებით მმართველობის სფეროში.

„ოჯახურია“ საწარმო, როდესაც:

- საწარმოს ხელმძღვანელობა ერთი ოჯახის ხელშია (ერთ თაობაზე მეტი);
- ხელმძღვანელის ოჯახის წევრები შედიან მრჩეველთა კომისიაში ან მსგავს ორგანოში;
- საწარმოს მმართველობის სტილი ოჯახური მმართველობის სტილის იდენტურია;
- ოჯახი აფინანსებს საწარმოს;
- ადგილი ოჯახში განსაზღვრავს ადგილს საწარმოში;

„ოჯახურ“ საწარმოს ახასიათებს შემდეგი სუსტი მხარეები:

- ოჯახური კონფლიქტი და ინტერესთა შეჯახება;

- ნეპოტიზმი - ოჯახის წევრებმა „უნდა“ დაიკავონ წამყვანი

  თანამდებობები საწარმოში;

- პანიკური შიში გარე ფინანსირების მიმართ;
- წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეუფასებლობა;

უნდა აღინიშნოს, რომ სუსტი მხარეების მიუხედავად, ზოგიერთმა ოჯახურმა საწარმომ დიდ წარმატებას მიაღწია. ეს კი მოხდა იმ „რკინის კანონის“ წყალობით, რომლის მიხედვითაც ოჯახის წევრი მხოლოდ მაშინ ხდება საწარმოს ნაწილი, როცა ის მიაღწევს წარმატებას მის ფარგლებს გარეთ.

1.2.2 მართვის სტილი და ტექნიკები პიონერულ ფაზაში

პიონერი - განსაკუთრებით ორგანიზაციის თავდაპირველი ჩამოყალიბების ეტაპზე - გვევლინება როგორც ძლიერი, ქარიზმატული მმართველი, რომელიც აღაფრთოვანებს გარშემომყოფებს. გავლენიან პირებთან პირადი ურთიერთობის გზით პიონერი ქმნის კაპიტალს, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ნაწილს კი საკუთარი შეხედულებების და პირადი ნდობის საფუძველზე ანაწილებს. სანამ პიონერული ფაზა ჯერ კიდევ „ჯანმრთელია“, ხელმძღვანელობის სტილი არ იწვევს არანაირ ეჭვს. სიტუაცია იცვლება, როგორც კი კრიზისის პირველი ნიშნები იჩენს თავს - ავტოკრატიული მმართველობა გარდაიქმნება დიქტატორულად და მოუქნელად.

თუ პიონერული ფაზა მიიღებს ე.წ „განათლებულ“ სახეს, მაშინ ხელმძღვანელობა ხდება პატრიარქალური/მატრიარქალური.

პიონერული ფაზისთვის უცხოა მართვის სტანდარტიზებული ტექნიკა. მათ სწამთ პიროვნების და იმპროვიზაციის ძალის, ამიტომ მართვაც მარტივია. პეტერსი და ვეტერმანი გვთავაზობენ მართვის ტექნიკას „Management By Walking Around” - პიონერს არ სჯერა სტატისტიკური მონაცემების და მათ საფუძველზე არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებს, მას ურჩევნია პირადი საუბრებით მოაგროვოს საჭირო ინფორმაცია.

ორგანიზაციაში ჩნდება „თეთრი ლაქები“ მაშინვე, როცა პიონერს აღარ შეუძლია სამუშაო ადგილების პირადად გაკონტროლება.

1.2.3 პიონერული ფაზის კრიზისი

პიონერული საწარმოს სიძლიერე მის პოტენციალში და იდენტურობაშია, რაც თავს იჩენს პიონერის პიროვნებაში. პიონერი მეწარმე ერთი თავით მაღლა დგას თავის თანამშრომლებზე. მას არ შეუძლია აღიქვას კიდევ ერთი ლიდერის არსებობის ფაქტი.

პიონერი მმართველი ხელმძღვანელობს საწარმოს და არ ავითარებს მენეჯმენტს, სწორედ ამიტომაა, რომ ხშირად მათი წინსვლა გარდაუვალ კრიზისს ნიშნავს.

პიონერული საწარმო განაგრძობს კრიზისის ფაზაში არსებობას მანამ, სანამ:

- პიონერი პირადად იცნობს ყველა თანამშრომელს;
- პიონერი პირადად იცნობს ყველა მომხმარებელს;
- ტექნიკის და ბაზრის სტაბილურობის სფეროში დაგროვილი გამოცდილება თამაშობს გარკვეულ როლს;
- წარმოების პროცესი და სამუშაო ბოლომდე აღქმულია;

აქედან გამომდინარე, პიონერი აღიქვამს საწარმოს, როგორც დახურულ, დინამიურ სისტემას, რომლის ნაწილი არის პერსონალიც და მომხმარებელიც. დახურულობაშია ერთდროულად მისი სიძლიერეც და სისუსტეც. პიონერული საწარმო აღწევს თავისი შესაძლებლობების პიკს, როდესაც:

- გარე სამყარო იცვლება და აღარ ემთხვევა პიონერის „სამყაროს მოდელს“;
- ტექნიკის ცვლილებისას, როდესაც მხოლოდ ახალ პროდუქციას შეუძლია დააკმაყოფილოს მომხმარებელი;
- ბაზარზე შემოდის ახალი კონკურენტი, რომელიც ითვისებს მის მომხმარებელს;
- ბაზარი იზრდება და პირადი კონტაქტები მომხმარებელთან შეუძლებელი ხდება;
- მნიშვნელოვანი სოციალური ძვრისას, მაგალითად, თუ სამსახურში მიიღეს ახალი თანამშრომლები აბსოლუტურად სხვა წარმოდგენებით მმართველობზე;

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა არსებობს აგრეთვე პიონერული საწარმოს ხანდაზმულობის ფაქტორიც, რომელსაც ასევე მივყავართ კრიზისამდე. კრიზისულ სიტუაციას ახასიათებს შემდეგი სიმპტომები:

- მოგების შემცირება;
- კონფლიქტის აღმოცენება ხელმძღვანელობაში;
- მომხმარებელთა პრეტენზიების ზრდა;

- კომუნიკაციის დარღვევა;
- ინფორმაციის ნაკლებობა;
- მოტივაციის დაქვეითება;

ამ სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში პიონერი შეიძლება მოიცვას შიშმა, რომ მისი ინტუიცია და გამოცდილება აღარ არის საკმარისი. თანამშრომლები ამჩნევენ მათი მმართველის სისუსტეს და ნელ-ნელა იწყება ღია ბრძოლა ძალაუფლების გადასანაწილებლად.

1.2.4 მართვა პიონერული ფაზის კრიზისში

როდესაც ორგანიზაცია შედის პიონერული ფაზის კრიზისში, ეს პირველ რიგში თავს იჩენს მართვაში. წარმოიშვება ისეთი პრობლემები, რომლებიც ვეღარ გადაწყდება პიონერული ფაზის ფარგლებში:

- შინაგანი და გარეგანი ზოგადი ხედვის დაკარგვა:
- კომუნიკაციის რღვევა
- ხელმძღვანელობის უმოქმედობა;
- კომპეტენციების გაურკვევლობა განყოფილებებში;
- პიონერისთვის „გაფილტრული“ ინფორმაციის მიწოდება, რათა დაუმალონ მას რეალური მდგომარეობა;
- ძალაუფლებისთვის ბრძოლა თანამშრომლებს შორის;
- კონფლიქტები;

როგორც წესი, პიონერი ამ ყველაფერზე რეაგირებს პანიკით, ცდილობს დაიცვას თავისი ავტორიტეტი და მოქმედებს მკაცრად.

ზემოთ აღწერილ პიონერული მმართველობის სტილს ადგილი აქვს ნებისმიერი

ორგანიზაციის ისტორიაში, რომელიც პატარა საწარმოდან უფრო მოცულობით საწარმოდ გარდაიქმნა.

1.2.5 დიფერენციაციის ფაზა

პიონერული საწარმოს პრობლემატიკაზე ლოგიკური პასუხი არის საწარმოს მეცნიერული მართვა, (Glasl & Lievegoed; 2004) რაც წარმოადგენს დიფერენციაციის ფაზის ამოსავალ წერტილს.

საწარმოს მართვის ახალი ფილოსოფიის სათავეებთან ორი პიროვნება დგას: ამერიკელი ფ.უ. ტეილორი და ფრანგი ა. ფაიოლი.(Glasl & Lievegoed; 2004). მათ გააერთიანეს ერთმანეთში ორგანიზაციის შესახებ პრაქტიკაში აპრობირებული სწავლება და საწარმოს მმართველობის სამეცნიერო თეორიები. ორივე მათგანი ერთსა და იმავე მოსაზრებაზე მუშაობდა, განსხვავება ისაა, რომ ტეილორი იწყებს ქვემოდან, პირველადი პროცესებიდან, შრომის სისტემატიზირებული განაწილებიდან და სპეციალიზაციიდან, სამუშაო ადგილების რაციონალური ორგანიზებიდან მანქანა-დანადგარების დახმარებით. ის არ ეხება იერარქიის ზედა საფეხურს - მეწარმეს.

ფაიოლი კი პირიქით, ზემოდან იწყებს და აგებს თავიდან ბოლომდე ცენტრალიზებულ ორგანიზაციას. მას საწარმოს რაციონალურ მმართველად „ადმინისტრაცია“ წარმოუდგენია.

დიფერნციაციის ფაზას პიონერულთან შედარებით მეტი წესრიგი ახასიათებს. ამ ფაზაში ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს დაგეგმვას იმპროვიზაციის ნაცვლად. მოქმედებების ემოციურობას და სპონტანურობას ცვლის რაციონალური სისტემა. განვითარების ამ საფეხურს საერთო საქმეზე ცენტრალიზება ახასიათებს, არაფორმალურ ურთიერთობებს კი მოწესრიგებული და ფორმალური ურთიერთობები ცვლის. ამ ფაზაში ორგანიზაციები მუშაობენ რამდენიმე მთავარი პრინციპით:

- მექანიზაცია

- სტანდარტიზაცია
- სპეციალიზაცია
- კოორდინაცია
- ფორმალიზაცია

მექანიზაციის პრინციპი - ამ პრინციპის თანახმად დამხმარე ტექნიკური საშუალებების გამოყენება რეკომენდირებულია ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია.

სტანდარტიზაციის პრინიციპის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს ყველა ნივთის, პროცესის და წარმოების ყველა საშუალების რედუცირება ზუსტად განსაზღვრული სისტემის თანახმად.

სპეციალიზაციის პრინციპს მივყავართ იქამდე, რომ ცოდნის გაღრმავების, შესაძლებლობათა სრულყოფის და შეზღუდულ სფეროზე კონცენტრაციის წყალობით იზრდება შესრულებული სამუშაოს რაოდენობა და უმჯობესდება ხარისხი. დიფერენციაციის ფაზა სამი სახის სპეციალიზაციას ცნობს: ფუნქციური სპეციალიზაცია, სპეციალიზაცია მმართველობის სიბრტყეზე და სამუშაო ფაზების სპეციალიზაცია.

კოორდინაციის პრინციპის განხორციელების რამდენიმე განსხვავებული ხერხი გამოიყოფა:

- ერთპიროვნული ხელმძღვანელობა - ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძანებების აღსაკვეთად;
- კონტროლის დიაპაზონი - პირდაპირ დაქვემდებარებულთა რიცხვი არ აღემატება 6-8 ადამიანს;
- შტაბურ-ხაზობრივი ორგანიზაცია - ერთმანეთისგან განცალკევებით მოღვაწეობენ შტაბური დანაყოფების და ხაზობრივი დანაყოფების სპეციალისტები;
- ფულადი ჯილდო - გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ადამიანი მხოლოდ მაღალი ხელფასით შეიძლება იყოს მოტივირებული:

- კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებები - ხელმძღვანელობა უნდა ფლობდეს ინფორმაციას დაქვემდებარებული პირების მოქმედებების შესახებ, ხოლო დაქვემდებარებული პირები უნდა იყვნენ ხელმძღვანელობის გეგმების საქმის კურსში;
- მომზადების და სწავლების პროგრამა - ძირითადად არასამუშაო დროს ხდება ადამიანების მომზადება და იმის სწავლება, თუ როგორ შეასრულონ თავიანთი სამუშაო;

ფორმალიზაციის პრინციპი წარმოადგენს დავალებების ლოგიკურ დალაგებას, აღწერას და დაფიქსირებას.

1.2.6 მართვის სტილი და ტექნიკები დიფერენციაციის ფაზაში

დიფერენციაციის ფაზისთვის ყველაზე შესაფერისი არის მექანოკრატიული, ანუ როგორც მაქს ვებერი უწოდებს, ბიუროკრატიული მართვის სტილი. ამ ფაზაში მართვის იდეალურ სტილზე შეხედულება ვარირებს ავტორიტარულ სტილში ერთობლივი მოქმედებიდან კონსულტაციურ მოქმედებამდე.

მართვის სტილის ნორმირებისთვის ძალაუფლება ხდება ობიექტური, პირადი ურთიერთობები და მოთხოვნები ქრება, ან გადაიფარება ახალი ნორმებით - სამუშაოს გაწერილი ფორმით, ხელმძღვანელთა ინსტრუქციებით, ქცევის წესებით და სტანდარტებით.

დიფერენციაციის ფაზასთან ყველაზე ახლოსაა სისტემური მართვის ტექნიკა. ამ ფაზისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ მომუშავეები ბევრს ელიან ტექნიკური მმართველობიდან და არ აინტერესებთ შეესაბამება თუ არა მართვის სტილს და მენეჯმენტის ფილოსოფიას. აქ ორგანიზაცია და თანამშრომლები განიხილებიან როგორც ინსტრუმენტული უპირატესობა.

1.2.7 დიფერენციაციის ფაზის კრიზისი

დიფერენციაციას გარდაუვლად მივყავართ დანაყოფთა მრავალფეროვნებასთან, რა დროსაც თავს იჩენს რიგი პრობლემებისა. ამ პრობლების გაცნობიერების ფაქტს თავისთავად მოჰყვება იმის გაცნობიერებაც, რომ განვითარების ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს.

დიფერენციაციის ფაზის კრიზისის მნიშვნელოვანი სიმპტომებია:

- გახევება - ორგანიზაციის მოქნილობის საგრძნობლად შემცირება ფორმალიზაციის და ბიუროკრატიზაციის შედეგად;
- კოორდინაციის პრობლემები - დანაყოფები სულ უფრო სცილდებიან ერთმანეთს, რაც ართულებს კოორდინაციას;
- ვერტიკალური კომუნიკაციის პრობლემები - ფერხდება კომუნიკაცია განყოფილებებს და ქვეგანყოფილებებს შორის;
- შტაბურ-ხაზობრივი ორგანიზაციის პრობლემები - პროფესიონალთა რჩევები, რომლებიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო როგორც პრეროგატივა, გადადის ბრძანებებში;
- მოტივაცია - მოტივაციის და თვითპროდუქტიულობის დაქვეითება;
- “By drives” მენეჯმენტი - ტოპ-მენეჯერების მცდელობას დამოუკიდებლად გადაჭრან პრობლემები მოაქვს უარყოფითი შედეგები;

1.2.8 მართვა დიფერენციაციის ფაზის კრიზისში

იმ აზრების და შეხედულებების დეფორმაცია, რომელიც თავიდან გამოსადეგი და წარმატების მომტანი იყო საწარმოსთვის, ახლა მას კრიზისში შეიყვანს. ეს კრიზისი მართვის ჭრილში შემდეგნაირად გამოიხატება:

- აზროვნების გახევება;
- თანამშრომლის მენტალიტეტი;

- დაყოფილი აზროვნება;
- კომპეტენციის ნეგატიური კონფლიქტები;
- ორგანიზაციის კოორდინაციის პარალელიზმი;
- მოტივაციის პრობლემები;

ორგანიზაციის ბევრი მმართველი ამაზე რეაგირებს სრულყოფილად ქცევის მცდელობით, თუმცა, როდესაც დიფერენციაციის ფაზის კრიზისი საკმაოდ გამძაფრდება, გამოსავალი მხოლოდ თანამშრომლების მზადყოფნა იქნება, გადახედონ ორგანიზაციის და მართვის სისტემებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადაიდგას ნაბიჯი განვითარების შემდეგი ფაზისაკენ.

თუმცა, ყველა ფაზას ახასიათებს დასაწყისი და დასასრული. ამ ფაზის ბოლოსაც, თავს იჩენს ცვლილებების საჭიროება, რადგან ორგანიზაცია რამდენიმე ასპექტში არსებული სირთულეების გამო ვეღარ აგრძელებს ძველებურად ფუნქციონირებას, დიფერენციაციის ფაზის კრიზისს კი გადავყავართ ინტეგრაციის ფაზაში.

1.2.9 ინტეგრაციის ფაზა

ფრიდრიხ გეგელის მიხედვით, უნდა მოხდეს პირველი და მეორე ფაზების დადებითი ელემენტების სინთეზი და დაემატოს მას ახალი ელემენტი, რომელიც შესაძლებელს გახდის მათ შერწყმას. ამის შედეგად მივიღებთ მესამე ფაზას, რომელსაც ინტეგრაციის ფაზის სახელით მოვიხსენიებთ.

ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ არის სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი, როდესაც შესაძლებელია მისი ზრდა და განვითარება. ორგანიზაციის თანამშრომლები ხელმძღვანელზე კი არ უნდა იყვნენ ორიენტირებულნი, არამედ სამუშაოს შესრულებაზე. (Glasl & Livegoed, 2004). ინტეგრაციის ფაზა ყურადღებას ამახვილებს ადამიანზე და თითოეული მათგანის სურვილზე განვითარდნენ და იგრძნონ თავი რეალიზებულად. ინტეგრაციის ფაზაში მყოფი ორგანიზაციის თანამშრომლებს გარანტირებული აქვთ

უწყვეტი პირადი განვითარება, რათა მუდმივად შეეძლოთ ახალი პასუხისმგებლობების მიღება, იცვლებოდეს სიტუაცია და არ იქმნებოდეს სტატიკურობა.

გადამწიფებული დიფერენციაციის ფაზიდან ინტეგრაციის ფაზაში გადასასვლელად აუცილებელია სოციალური ქვესისტემის სხვაგვარად გაგება, მის „აყვავებაზე“ ზრუნვა და კულტურულ და ტექნიკურ ქვესისტემებთან მისი სინთეზი. ამ ფაზის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა აგრეთვე მენეჯმენტის ზედა საფეხურის გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ურთიერთობს მმართველობის სხვადასხვა დონის გუნდებთან.

დიფერენციაციის ფაზაში ორგანიზაცია თავის ფილოსოფიაში არ რთავდა ჯგუფებს, ამის საპირისპიროდ, ინტეგრაციის ფაზაში იქმნება ავტონომიური ან ნაწილობრივ ავტონომიური ჯგუფები, რომლებსაც სხვადასხვა დავალებების შესრულების პასუხისმგებლობა აკისრიათ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ყოველი ჯგუფის სამუშაო მჭიდროდ დაკავშირებულ მთლიანობას ქმნის. თუ დიფერენციაციის ფაზაში დაგეგმვის, მართვის და კონტროლის საშულებით ხდებოდა პროდუქტიულობის გაზრდა, ამ ფაზაში თანამშრომელთა მოტივაცია ქმნის პროდუქტიულობის მაღალ დონეს.

ინტეგრაციის მოდელის რეალიზაციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროცესების და საშუალებების ღირებულებათა საფუძვლიანი განხილვა, მათი ჯანსაღი მართვა, რაც გულისხმობს ოქროს შუალედის პოვნას - ის არ უნდა იყოს არც მკაცრად ნორმირებული და არც მთლად გაუკონტროლებელი.

პიონერულ ფაზაში თუ ეკონომიკური მიზნები იყო ყველა მოქმედების საფუძველი, დიფერენციაციის ფაზაში სისტემური დაგეგმვა გახდა უპირველესი, ინტეგრაციის ფაზა კი არის პირველი, სადაც სისტემური საწარმოს პოლიტიკის განვითარებაზე იწყება ზრუნვა.

1.2.10 მართვის სტილი და ტექნიკები ინტეგრაციის ფაზაში

ინტეგრაციის ფაზაში ორგანიზაციის მართვის ძირითადი ფუნქცია არის კლიენტთა მოთხოვნების შესწავლა, ეს არის მისი მოქმედების საწყისი და სხვა ყველაფერი

გამომდინარეობს სწორედ ამ ამოცანის შესრულებიდან. მართვა ასრულებს აგრეთვე ისეთ ფუნქციებს, როგორებიცაა ბაზრის კვლევა, პროცესების მართვა და რესურსების განსაზღვრა, ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითადი დებულებების შემუშავება, შიდა კონტაქტების შენარჩუნება და ორგანიზაციის მმართველობა. მართვის სტილი ამ ფაზაში იმითაა გამორჩეული, რომ აქ ორგანიზაციის სათავეში „მბრძანებლის“ ნაცვლად ვხვდებით ადამიანს, რომელიც არის თანამშრომელთა ცოდნის ხელშემწყობი. (Glasl & Lievegoed; 2004).

ინტეგრაციის ფაზაში მმართველობა სამი ძირითადი ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება:

- მთავარ იდეაზე ორიენტირებული მმართველობის მეთოდის დახმარებით თანამშრომლებმა იციან თავიანთი საქმიანობის არსი და მიზანი. (Management By Ideas)
- მიზნის შეთანხმების საშუალებით - თანამშრომლები მოქმედებენ დამოუკიდებლად, გონივრულად და თვითონ განსჯიან შესაძლებელია თუ არა გარკვეული მიზნის მიღწევა. შემდგომ ხდება შეჯამება და იმის გარკვევა, თუ რა სირთულეები წარმოიშვა და როგორ უნდა იქნას ისინი დაძლეული. (Management By Objectives).
- დელეგირების საშუალებით - თანამშრომლებზე ნაწილდება გარკვეული უფლებამოსილებები, რაც მათი მუშაობის პროცესზე ახდენს ზემოქმედებას.

ინტეგრაციის ფაზის კონცეფციას ერთგვარად სინთეზში მოჰყავს გავლილი ფაზების ძლიერი მხარეები. ამ ფაზაში ხდება აქტუალური განვითარების დონის დიაგნოზი, რაც ამარტივებს ცვლილებების პროცესს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში აღარ არის წარმოდგენილი ქარიზმატულობა როგორც პერსონალური თვისება, არამედ მთელი სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ყველა თანამშრომელს საკუთარ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა შეუძლია. ორგანიზაცია აცნობიერებს საკუთარ სისუსტეებს და ცდილობს მათ გამოსწორებას. თუმცა, არც ამ ფაზის შემდგომ წყვეტს განვითარებას და გადადის ასოციაციის ფაზაში.

1.2.11 ასოციაციის ფაზა

აქამდე წარმოდგენილი იყო საწარმოს განვითარების სამი ფაზა: პიონერული, დიფერენციაციის და ინტეგრაციის. შემდგომში მათ დაემატა მეოთხე, ასოციაციის ფაზა. 1975 წლიდან მეოთხე ფაზის წინასწარი კონცეფცია დაკონკრეტებულ იქნა „მოხდენილი საწარმოს“ მოდელამდე. მოხდენილი საწარმო ნიშნავს, რომ მუშას პროდუქციის შექმნაზე მეტი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია და აქედან გამომდინარე უფრო მოტივირებულია შექმნას კარგი პროდუქტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მოხდენილი საწარმო“ არ არის ასოციაციის ფაზის მოდელი, არამედ მისი რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება.

Nils Brunsson-მა თავის წიგნში „The Organization Of Hipocrisy” (1991) გააჟღერა, რომ საწარმოს გადარჩენისთვის გადამწყვეტი ხდება ის მომენტი, თუ როგორ შეუძლა მას ზეგავლენის მომხდენი ფაქტორების არსებობის პირობებში ფუნქციონირება. სწორედ აქ მოიხსენიებს ავტორი მეოთხე ფაზას „ასოციაციის ფაზად“.(Glasl & Lievegoed; 2004).

ასოციაციის ფაზის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ორგანიზაციის დაკავშირება და ასოციაციური ინტეგრირება გარემოსთან ისე, რომ მას პარტნიორობის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლია ამ გარემოსთან ურთიერთქმედება. ეს ფაზა მთლიანად ორიენტირებულია გარე ურთიერთობებზე. განვითარების ამ ფაზაში ორგანიზაცია დომინანტური როლის მოსაპოვებლად ეძებს კონკრეტულ გზებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება საწინააღმდეგო აზრების და შეხედულებების კონსტრუქციულად მოგვარება. სწორედ ამ გზით იქმნება ერთმანეთთან დაკავშირებული საწარმო-ჯგუფები, ე.წ საწარმო-ბიოტიპები.

წინა სამი ფაზის მსგავსად ასოციაციის ფაზასაც გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები. ამაში იგულისხმება ის, რომ შესაძლებელია ზემოთ ნახსენებმა ბიო-ტიპებმა არასასურველი დომინანტობა მიიღონ, რაც ეკონომიკურ ტოტალიტარიზმამდე მიგვიყვანს.

1.1.12 მართვის სტილი და ტექნიკები ასოციაციის ფაზაში

ასოციაციური ფაზის დანერგვა საშუალებას იძლევა გავიგოთ, რომ ორგანიზაციას შეუძლია სრულიად სხვა პოზიცია დაიკავოს მაკრო-ეკონომიკურ, მაკრო-პოლიტიკურ და მაკრო-კულტურულ გარემოში. ეს მას საშუალებას მისცემს კონსტრუქციულად გადაწყვიტოს გარდაუვალი კონფლიქტები. სწორედ კონფლიქტ-მენეჯმენტი საჭიროებს განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ამ ფაზაში (F. Glasl 1991). მართვის დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით კი ასოციაციის ფაზა ინტეგრაციის ფაზის ანალოგიურია.

მართვის სტილი გამყარებული უნდა იყოს შესატყვისი ტექნიკით. ასოციაციის ფაზა აქაც მთლიანად იმეორებს ინტეგრაციის ფაზაში გამოყენებულ მართვის ტექნიკებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფაზას ახასიათებს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ორგანიზაცია თავისი განვითარების გზაზე ასე თუ ისე ყველა მათგანს გაივლის. ლოგიკურად რომ ვიფიქროთ, ზუსტად ისევე, როგორც ადამიანის განვითარების პროცესშია. თუმცა ისევე, როგორც პიროვნების შემთხვევაში, აქაც ხდება გამონაკლისები. მნიშნველოვანი არის ის, რომ თითოეული სირთულის დაძლევის შემდეგ, ორგანიზაცია პოულობს ძალას, ახალი შემართებით შეუდგეს საქმიანობას. სწორედ ეს არის მისი განვითარების მთავარი ინდიკატორი.

1.3 ორგანიზაციის 7 ელემენტი და მათი ევოლუცია განვითარების ოთხი ფაზის ჭრილში

1.3.1 ორგანიზაციის 7 ელემენტი

ორგანიზაციის განვითარების სისტემური თეორიების გაანალიზების შემდეგ, ფრიდრიხ გლაზლმა 1970-1980-იან წლებში შექმნა ორგანიზაციის მოდელი, რომელშიც 7 ბაზისური ელემენტია გამოყოფილი. მათ ორგანიზაციის განვითარებაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ. მხოლოდ მათი ურთიერთკავშირის ხარჯზე ახერხებს ორგანიზაცია ფუნქციონირებას, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. (Glasl; et al; 2008).

გლაზლის მოდელის მიხედვით ორგანიზაცია შემდეგი 7 ბაზისური ელემენტის მთლიანობაა: (Glasl & Lievegoed; 2004)

1. იდენტობა - ორგანიზაციის მისია, აზრი, მიზანი, ფილოსოფია, ძირითადი ღირებულებები, შიდა იმიჯი.
2. პოლიტიკა/სტრატეგია - გრძელვადიანი პროგრამები, საწარმოს პოლიტიკა.
3. სტრუქტურა - მმართველობის იერარქია, ორგანიზაციის აგების პრინციპი.
4. ადამიანები - თანამშრომელთა ცოდნა, ურთიერთდამოკიდებულება, ხელმძღვანელობის სტილი, ფორმალური და არაფორმალური კავშირები.
5. ცალკეული ორგანოები/ფუნქციები - კომპეტენციები და პასუხისმგებლობები.
6. პროცესები - ძირითადი სამუშაო პროცესები, გადაწყვეტილებების მიღება, მმართველობა და დაგეგმარება.
7. ფიზიკური საშუალებები - ინსტრუმენტები, დანადგარები, ტექნიკური



საშუალებები.

სურ. №1 ორგანიზაციის 7 ელემენტი ფრიდრიხ გლაზლის (Glasl, et al; 2008) მოდელის მიხედვით.

ეს არსებითი ელემენტები ერთიანდებიან სამ ქვესისტემაში: იდენტობა და პოლიტიკა/სტრატეგია ქმნის კულტურულ ქვესისტემას, სტრუქტურა, ადამიანები და ცალკეული ორგანოები/ფუნქციები ერთიანდებიან სოციალურ ქვესისტემაში, ხოლო პროცესები და ფიზიკური საშუალებები ერთად წარმოადგენენ ტექნო-ინსტრუმენტულ ქვესისტემას.

იმისათვის, რომ ორგანიზაცია ერთი ფაზიდან მეორეში გადავიდეს, აუცილებელია ამ პროცესში ჩართული იყოს კულტურული, სოციალური და ტექნიკური ქვესისტემები, თუმცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოსაც.

1.3.2 ორგანიზაციის 7 ელემენტის ევოლუცია განვითარების 4 ფაზის ჭრილში

პიონერული ფაზის დასაწყისში ორგანიზაციის იდენტობა თავის თავში მოიაზრებს პიონერი მეწარმის ინდივიდუალურ მახასიათებლებს. დიფერენციაციის ფაზის დადგომისთანავე პიროვნებაზე ორიენტაცია ქრება, ხოლო ინტეგრაციის ფაზა არის პირველი, როდესაც ორგანიზაციის ამ ელემენტის გააზრებული ფორმირება იწყება, რასაც მოჰყვება მუშაობა მისიაზე. ასოციაციის ფაზა „თავდაყირა აყენებს“ იდენტობის პრინციპს: მუდმივი, ღია დიალოგის მეშვეობით გარე სამყაროს წარმომადგენლებთან ფორმირდება ორგანიზაციის იდენტობის მუდმივად განახლებადი პროფილი.

პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები შემდეგნაირად იცვლება: პიონერულ ფაზაში ისინი მთლიანად პიონერი მეწარმის ინტუაციაზე იყო დამოკიდებული, სპონტანურად ვითარდებოდა. დიფერენციაციის ფაზაში ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია შემუშავდება ხელმძღვანელობის მაღალ დონეზე ექსპერტებთან ერთად, შემდეგ ის გადაეცემა საბაზრო, ფინანსურ და გენერალურ ხელმძღვანელობას შესასრულებლად. მხოლოდ ინტეგრაციის ფაზაში მყოფი ორგანიზაციის თანამშრომლებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიის და პროგრამების ფორმირებაში, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინიციატივას, პასუხისმგებლობას და თვითორგანიზებულობას.

პიონერულ ფაზაში ორგანიზაციის სტრუქტურის არანაირი ფორმალიზაცია არ არსებობს, ორგანიზაცია ყალიბდება პიონერის გარშემო და შედეგად იზრდება მხოლოდ სიგანეში, არ ხდება ფუნქციების გადანაწილება და მიზნობრივი ჯგუფების ჩამოყალიბება. პიონერული ფაზის ოდნავ შესამჩნევი სტრუქტურა და ქაოსი დიფერენციაციის ფაზაში რადიკალურად იცვლება წესრიგით - ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულები ყალიბდებიან ფუნქციური და ფორმალური ნიშნით. ინტეგრაციის ფაზაში ორგანიზაციის

მოქნილობას განაპირობებს მრავალრიცხოვანი სტრუქტურული კონცეფციები, რომლებიც ისეა ორგანიზებული, რომ თითოეულ ადამიანს აძლევს სწავლის და განვიათარების საშუალებას. წინა ფაზისგან განსხვავებით აქ ნაკლები იერარქიაა. ასოციაციის ფაზაში ორგანიზაციის საზღვრები გამჭვირვალეა. არსებითი ცვლილებები ეხება მმართველობით სტრუქტურას: ხელმძღვანელობის კომპეტენციები და ამოცანები შეძლებისდაგვარად ნაწილდება ქვედა საფეხურებზე.

პიონერულ ფაზაში სამუშაოზე მისაღებად პიონერთან პირადი დამოკიდებულება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე კომპეტენციები - სამუშაოზე მიღება ხდება არაფორმალური კონტაქტების გზით. დიფერენციაციის ფაზაში სამუშაო ურთიერთობა წარმოიშვება საჭიროებისამებრ, და არა პირადი სიმპათია-ანტიპათიის საფუძველზე. თუმცა ამ ფაზაში კვლავ ვხვდებით პიონერული ფაზიდან შემორჩენილ არაფორმალურ ურთიერთობებს. ინტეგრაციის ფაზაში პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა ხელმძღვანელობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცევა და იძენს სტრატეგიულ მნიშნვნელობას. ასოციაციის ფაზაში პრიორიტეტი ენიჭება სამუშაო პროცესში ინტეგრირებულ სწავლებას, როგორც მუდმივი განვითარების და გაუმჯობესების წინაპირობას.

ცალკეული ფუნქციები და სამუშაო ადგილები პიონერულ ფაზაში იქმნება არა ლოგიკურ და რაციონალურ საფუძველზე, არამედ განსაზღვრული პიროვნების გარშემო: ჯერ მოდის ადამიანი, შემდეგ ჩნდება სამუშაო პოზიცია. ამის საპირისპიროდ, დიფერენეციაციის ფაზაში ფუნქციები სრულად გაწერილი, ფორმალიზებული და ფიქსირებულია. ინტეგრაციის ფაზაში ცალკეული ფუნქციები ერთმანეთთან აკავშირებს დაგეგმვას, შესრულებას და კონტროლს. თანამშრომლების სისტემატური როტაცია ზრდის მათ პოტენციალს და საქმიანობის ეფექტურობის და მოქნილობის საშულებას იძლევა. ასოციაციის ფაზა ამ ელემენტთან დაკავშირებით მთლიანად ეყრდნობა ინტეგრაციის ფაზის მიღწევებს და ცდილობს უფრო მეტად განავითაროს ისინი.

პროცესებთან დაკავშირებით ორგანიზაცია განვითარების პიონერულ ფაზაში ხასიათდება საკმაოდ მარტივი მიდგომით - წარმატების საიდუმლო არის იმპროვიზაცია. ამიტომ პიონერულ ორგანიზაციაში არ იმუშავებს არც პროცესების თანამიმდევრული

დაგეგმვა და მართვა, არც მოქმედებათა სტანდარტიზაცია. დიფერენციაციის ფაზაში მისი მთავარი მახასიათებლები - სიტემატიზაცია და ავტომატიზაცია მთლიანად მოიცავს სამუშაო პროცესებსაც: პროდუქციის დამზადებით დაწყებული, მიწოდებით დამთავრებული. ინტეგრაციის ფაზაში ორგანიზაცია მოითხოვს და შესაძლებელს ხდის მასში მიმდინარე ყველა პროცესის გაცნობას თანამშრომელთათვის. ასოციაციის ფაზაში კი ცალკეული პროცესები ერთ მთლიანობაში ფორმირდება.

ფიზიკური საშუალებები პიონერულ ფაზაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს, განსხვავებით დიფერენციაციის ფაზისგან, რომელიც შეგვიძლია მოვიხსენიოთ როგორც „ტექნო-ორიენტირებული“. განვითარების ამ ფაზაში ორგანიზაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყოველგვარ ფიზიკურ საშუალებებს და დანადგარებს. ინტეგრაციის ფაზაში ფიზიკური საშუალებების უმთავრესი ფუნქცია თანამშრომლების მუშაობის ეფექტურობის გაზრდაა, ხოლო ასოციაციის ფაზაში ამ ელემენტს ორგანიზაციის მართვის პროცესის გაიოლების ფუნქცია ეკისრება.

სწორედ ამ 7 ელემენტის და განვითარების 4 ფაზის მიხედვით გავაანალიზებთ თსუ-ს. ვნახავთ კონკრეტულად რომელ ელემენტს ექცევა მეტი ყურადღება, რომელი ბაზისური ელემენტი განვითარების რომელ ფაზაში იმყოფება და კვლევის შედეგების გათვალისწინებით რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია.

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1 კვლევაში მონაწილე ორგანიზაციის აღწერა

ორგანიზაციული კვლევის ჩასატარებლად შერჩეულ იქნა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი ერთ-ერთი უდიდესი უნივერსიტეტი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წელს დაარსდა. ის იყო კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. (https://www.tsu.ge/ge/about/history/). დაარსების მომენტიდანვე უნივერსიტეტს უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრა ქართველი საზოგადოების განათლებისა და განვითარების საქმეში. მისი, როგორც პირველი ქართული უნივერსიტეტის მისიაა:

- ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება:
- საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება;
- აკადემიური თავისუფლების დაცვა;
- სტუდენტისა და პროფესორის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- ცოდნის შექმნა, შენახვა და გადაცემა;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განვითარება;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- უწყვეტი განათლების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება;
- თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირესული წევრობა;

დღეისათვის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. ყოველწლიურად აქ 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი

მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში - თსუ-ს 7 ფაკულტეტზე 22 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. (www.tsu.ge)

2.2 კვლევის მეთოდოლოგია; მიზანი და ამოცანები

მეთოდი	რაოდენობრივი
ტექნიკა	კითხვარი
სამიზნე ჯგუფი	• სტუდენტები • ადმინისტრაცია • აკადემიური პერსონალი
შერჩევის ზომა	90 რესპონდენტი
შერჩევის მეთოდი	შემთხვევითი შერჩევა
კვლევის არეალი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კვლევის ხანგრძლივობა	20-25 წუთი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო ორგანიზაციის მაგალითზე ორგანიზაციაში არსებული სიტუაციის ანალიზი მისი განვითარების ოთხი ფაზის და შვიდი არსებითი ელემენტის მიხედვით, მათი კავშირი ერთმანეთთან და ორგანიზაციის განვითარებასთან.

ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ინფორმაციის შესაგროვებლად ადაპტირებული კითხვარის დარიგება კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე შერჩეული ჯგუფებისთვის:

თსუ-ს ადმინისტრაციის თანამშრომლები, აკადემიური პერსონალი, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები.

2.3 კვლევის ინსტრუმენტი და პროცედურის აღწერა

ინფორმაციის შეგროვება მოხდა სპეციალურად ადაპტირებული კითხვარის საშუალებით, რომლის 10 შეკითხვა მოიცავს ორგანიზაციის თითოეულ ძირითად ელემენტთან შესაბამის 4 პოსტულატს, რესპონდენტებს კი უნდა შეერჩიათ ამ 4 დებულებიდან რომელი შეესაბამება მათი აზრით თსუ-ს „არის-მდგომარეობას“ და რომელია მათთვის ყველაზე სასურველი „უნდა იყოს“ მდგომარეობა. (დანართი #1) კითხვარის პირველი 3 კითხვა (A,B,C) შემუშავებულია იმისთვის, რომ გამოავლინოს გამოკითხულთა აზრით, ორგანიზაციის განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფება ამ ორგანიზაციის იდენტობა (მისია, აზრი, მიზანი, შიდა იმიჯი), პოლიტიკა, სტრატეგია/პროგრამები და მისი სტრუქტურა. მეოთხე ბაზისური ელემენტი - ცალკეული ადამიანი, ჯგუფები და ორგანიზაციული კლიმატი იშლება მეოთხე და მეხუთე კითხვაში (D1 და D2). მეხუთე ელემენტი - ცალკეული ფუნქციები და ორგანოები წარმოდგენილია მეექვსე და მეშვიდე კითხვით (E1 და E2). მერვე და მეცხრე კითხვა (F1 და F2) მოიცავს ძირითად და მეორეხარისხოვან სამუშაო პროცესებს, ასევე მმართველობის და დელეგირების საკითხებს. ბოლო, მეათე კითხვა (G) დაკავშირებულია ფიზიკურ საშუალებებთან. ათივე კითხვა შემუშავებულია იმისთვის, რომ გამოავლინოს გამოკითხულთა აზრით, ორგანიზაციის ამ 7 ელემენტიდან თითოეული განვითარების რომელ საფეხურზეა და რომელზე სურთ რომ იყოს.

კითხვარის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის თავდაპირველ ეტაპზე დაგეგმილი იყო მხოლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების გამოკითხვა. თუმცა, მოგვიანებით გადაწყდა, რომ კვლევის მიზნების გათვალისწინებით, საინტერესო იქნებოდა პროცესში ისეთი რესპონდენტების ჩართვაც, რომელსაც პირდაპირ ეხება და რომელთა საქმიანობაზეც აისახება თითოეული ცვლილება ორგანიზაციაში, იმის

გარკვევა, თუ როგორ აღიქვამენ ისინი ორგანიზაციაში არსებულ სიტუაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამივე საფეხურის სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა.

კითხვარი ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნა უნივერსიტეტის ოცივე ადმინისტრაციული დეპარტამენტის თანამშრომლებს, აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების გარკვეულ ნაწილს, ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან კი გამოკითხვა პირისპირ ჩატარდა. შევსებული კითხვარების ნაწილი ისევ ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაბრუნდა, ნაწილი კი ამობეჭდილი სახით.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 90-მა რესპონდენტმა, მათ შორის იყვნენ სამივე საფეხურის სტუდენტები (ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სხვადასხვა ფაკულტეტებიდან (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა, ტურიზმის, იურიდიული და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), თსუ-ს აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის თანამშრომლები შემდეგი დეპარტამენტებიდან: კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვა, საგარეო ურთიერთობები, საფინანსო დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, დაცვის და უსაფრთხოების სამსახური, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, შესყიდვების სამსახური, უწყვეტი განათლების ცენტრი და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

2.4 კვლევის შედეგების პრეზენტაცია

1. ორგანიზაციის იდენტობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

A.*ორგანიზაციის მთავარი მიზანი და აზრი*-**არის მდგომარეობა**

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	26	57.7	64	67.3	90	64.3
2	12	26.7	26	27.3	38	27.2
3	0	-	5	5.4	5	3.5
4	7	15.6	0	-	7	5
	45	100%	95	100%	140	100%

A.*ორგანიზაციის მთავარი მიზანი და აზრი*-***უნდა იყოს მდგომარეობა***

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	1	2.2	0	-	1	0.7
2	2	4.4	7	7.3	9	6.4
3	32	71.1	66	69.5	98	70
4	10	22.2	22	23.2	32	22.9
	45	100%	95	100%	140	100%

2. ორგანიზაციის პოლიტიკასთან, მოკლე და გრძელვადიან კონცეფციებთან და გეგმებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

B.*ორგანიზაციის პოლიტიკა, კონცეფციები და გეგმები*-**არის მდგომარეობა**

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	8	17.8	28	29.5	36	25.7
2	25	55.5	60	63.2	85	60.7
3	5	11.1	7	7.3	12	8.6
4	7	15.6	0	-	7	5
	45	100%	95	100%	140	100%

B.*ორგანიზაციის პოლიტიკა, კონცეფციები და გეგმები-**უნდა იყოს მდგომარეობა***

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	0	-	0	-
2	1	2.2	0	-	1	0.7
3	31	68.9	27	28.4	58	41.4
4	13	28.9	68	71.6	81	57.9
	45	100%	95	100%	140	100%

3. ორგანიზაციის სტრუქტურასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

C.*ორგანიზაციის სტრუქტურა, მმართველობის იერარქია-**არის მდგომარეობა***

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	7	15.6	31	32.6	38	27.1
2	35	77.8	60	63.2	95	67.8
3	1	2.2	2	2.1	3	2.1
4	2	4.4	2	2.1	4	3
	45	100%	95	100%	140	100%

C.*ორგანიზაციის სტრუქტურა, მმართველობის იერარქია-**უნდა იყოს მდგომარეობა***

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	0	-	0	-
2	5	11.1	14	14.7	19	13.6
3	35	77.8	76	80	111	79.3
4	5	11.1	5	5.3	10	7.1
	45	100%	95	100%	140	100%

4. თანამშრომლებთან და პროფესიული წინსვლის შესაძლებლობებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

D1*.თანამშრომლები, პროფესიული წინსვლის შესაძლებლობა*-**არის მდგომარეობა**

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	9	20	24	25.3	33	23.6
2	29	64.4	62	65.3	91	65
3	7	15.6	7	7.4	14	10
4	0	-	2	2	2	1.4
	45	100%	95	100%	140	100%

D1*. თანამშრომლები, პროფესიული წინსვლის შესაძლებლობა*-***უნდა იყოს მდგომარეობა***

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	3	6.6	8	8.4	11	7.8
2	9	20	8	8.4	17	12.1
3	3	6.6	16	16.8	19	13.6
4	30	66.8	63	66.4	93	66.5
	45	100%	95	100%	140	100%

5. კონფლიქტებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

D2.*აზრთა სხვადასხვაობა, კონფლიქტები*-**არის მდგომარეობა**

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	31	68.9	72	75.8	103	73.6
2	4	8.9	6	6.3	10	7.1
3	6	13.3	17	17.9	23	16.4
4	4	8.9	0	-	4	2.9
	45	100%	95	100%	140	100%

D2.*აზრთა სხვადასხვაობა, კონფლიქტები-**უნდა იყოს მდგომარეობა***

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	0	-	0	-
2	8	17.8	16	16.8	24	17.1
3	4	8.9	23	24.2	27	19.3
4	33	73.3	56	59	89	63.6
	45	100%	95	100%	140	100%

6. ცალკეულ სამუშაო პოზიციებთან და ფუნქციებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

E1.*ცალკეული პოზიციები, ფუნქციები-**არის მდგომარეობა***

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	5	11.1	54	56.8	59	42.1
2	30	66.7	6	6.3	36	25.7
3	9	20	23	24.2	32	22.8
4	1	2.2	12	12.7	13	9.4
	45	100%	95	100%	140	100%

E1.*ცალკეული პოზიციები, ფუნქციები-**უნდა იყოს მდგომარეობა***

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	8	8.4	8	5.7
2	15	33.4	48	50.5	63	45
3	8	17.8	16	16.8	24	17.1
4	22	48.8	23	24.3	45	32.2
	45	100%	95	100%	140	100%

7. განსაკუთრებულ დავალებებთან და პროექტებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

E2.*<u>განსაკუთრებული დავალებები და პროექტები-</u>***<u>არის მდგომარეობა</u>**

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	18	40	56	59	74	52.8
2	22	48.9	29	30.4	51	36.4
3	5	11.1	5	5.3	10	7.1
4	0	-	5	5.3	5	3.7
	45	100%	95	100%	140	100%

E2.*<u>განსაკუთრებული დავალებები და პროექტები-</u>***<u>*უნდა იყოს* მდგომარეობა</u>**

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	5	5.3	5	3.7
2	7	15.6	7	7.4	14	10
3	10	22.2	52	54.7	62	44.3
4	28	62.2	31	32.6	59	42
	45	100%	95	100%	140	100%

8. სამუშაო პროცესების მახასიათებლებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

F1.*<u>სამუშაო პროცესის მახასიათებლები-</u>***<u>არის მდგომარეობა</u>**

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	5	11.1	48	50.5	53	37.8
2	31	68.9	31	32.6	62	44.3
3	9	20	11	11.6	20	14.3
4	0	-	5	5.3	5	3.6
	45	100%	95	100%	140	100%

F1.*<u>სამუშაო პროცესის მახასიათებლები-**უნდა იყოს მდგომარეობა**</u>*

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	5	5.3	5	3.6
2	5	11.1	10	10.5	15	10.7
3	5	11.1	20	21	25	17.8
4	35	77.8	60	63.2	95	67.9
	45	100%	95	100%	140	100%

9. დელეგირებასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

F2.*<u>სამუშაოს დელეგირების საკითხი-**არის** მდგომარეობა</u>*

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	27	60	74	77.9	101	72.1
2	8	17.8	16	16.8	24	17.1
3	5	11.1	5	5.3	10	7.1
4	5	11.1	0	-	5	3.7
	45	100%	95	100%	140	100%

F2.*<u>სამუშაოს დელეგირების საკითხი-**უნდა იყოს მდგომარეობა**</u>*

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	1	2.2	0	-	1	0.7
2	6	13.3	7	7.4	13	9.3
3	7	15.5	52	54.7	59	42.1
4	31	68.9	36	37.9	67	47.9
	45	100%	95	100%	140	100%

10. ტექნიკურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე:

G.*ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ფინანსირების და კონტროლის სისტემები*-**არის მდგომარეობა**

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	7	15.6	54	56.9	61	43.6
2	29	64.4	18	18.9	47	33.6
3	6	13.3	16	16.8	22	15.7
4	3	6.7	7	7.4	10	7.1
	45	100%	95	100%	140	100%

G.*ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ფინანსირების და კონტროლის სისტემები*-***უნდა იყოს მდგომარეობა***

	ადმინისტრაციის თანამშრომლები		სტუდენტები და აკადემიური პერსონალი		საერთო რაოდენობა	
1	0	-	5	5.3	5	3.7
2	9	20	46	48.4	55	39.3
3	5	11.1	18	18.9	23	16.4
4	31	68.9	26	27.4	57	40.6
	45	100%	95	100%	140	100%

თავი 3. კვლევის ანალიზი

A. ორგანიზაციის იდენტობა. გამოკითხვის საშუალებით გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა 57.7%, ხოლო სტუდენტების და აკადემიური პერსონალის 67.3%-ს აზრით, ორგანიზაციის მიზნები მომდინარეობს ხელმძღვანელობის შეხედულებიდან, ამიტომ თანამშრომლები მათზე იღებენ ორიენტაციას (საერთო რაოდენობის 64.3%). შედარებით ნაკლები, 26.7% ადმინისტრაციიდან ფიქრობს, რომ მიზნები ძირითადად ოფიციალურად, წერილობითაა გაწერილი ხედვების და მისიის სახით, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის შეიძლება მიეცეს ახალი ინტერპრეტაცია. ანალოგიურად აღწერს არსებულ მდგომარეობას სტუდენტების და აკადემიური პერსონალის 27.3% (საერთო რაოდენობის 27.2%).

ადმინისტრაციის თანაშრომელთა 71.1%-სთვის ორგანიზაციის მთავარ მიზანთან და აზრთან დაკავშირებით სასურველია მდგომარეობა, სადაც ორგანიზაციის მიზნები არ წარმოადგენს რაიმე უცვლელ კონცეფციას და მის შესახებ საუბრები ატარებს მუდმივ ხასიათს, რათა თითოეულ თანამშრომელს მიეცეს საშუალება, მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ორგანიზაციის მიზნებთან. ამისთვის კი საჭიროა მუდმივი საუბრები და დისკუსია. ანალოგიურ პასუხს აფიქსირებს სტუდენტების და აკადემიურ პერსონალის 69.5% (საერთო რაოდენობის 70%).

საერთო რაოდენობის გაცილებით მცირე, 22.9% (ადმინისტრაციის თანამშრომლები 22.2%, სტუდენტები/აკადემიური პერსონალი 23.2%) აზრით, ორგანიზაციის მიზნები უფრო ნათელი და გარკვეული უნდა იყოს. ასევე ისინი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას უნდა ემსახურებოდეს მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან.

ამ შედეგების გათვალისწინებით, ორგანიზაციის შვიდი ბაზისური ელემენტიდან პირველი - იდენტობა - თსუ-ში განვითარების პიონერულ ფაზაშია, სასურველი მდგომარეობა და მთლიანად ინტეგრაციის ფაზას მოიაზრებს.

B.ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია. საერთო რაოდენობის 60.7%-ს აზრით, (ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა 55.5% და 63.2%

სტუდენტები/აკადემიური პერსონალიდან). ორგანიზაციის პოლიტიკა, მოკლე და გრძელვადიანი გეგმები უნივერსიტეტში ატარებენ შემდეგ ხასიათს: ისინი მართვის ზედა რგოლებში ფორმულირდება, წერილობით მტკიცდება და შემდეგ გადაეცემა მომდევნო რგოლებს.

გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 25.7% (შესაბამისად 17.8% და 29.5% პირველი და მეორე სამიზნე ჯგუფებიდან) თვლის, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს აქვთ სწორი სამომავლო ხედვები და ინტუიცია, ხოლო იმისთვის, რომ იცოდე ორგანიზაციის გეგმების შესახებ, მნიშვნელოვანია ყველაზე მაღალი რგოლის ხელმძღვანელთან გქონდეს კარგი პირდაპირი კონტაქტი.

ადმინისტაციის თანამშრომელთა 68.9%, მეორე ჯგუფის 28.4% (საერთო რაოდენობის 41.4%) აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია სხვადასხვა რგოლის ხელმძღვანელებს შორის უნდა განიხილებოდეს და შემდეგ არსებულ რეალობას ერგებოდეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საშუალოვადიანი გეგმები თანამშრომელთა სამუშაო ცხოვრების ნაწილი გახდეს. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციის გეგმები თანამშრომლებისგან არ იყოს გასაიდუმლოებული.

ადმინისტრაციის თანამშრომელთა 28.9% სურს, რომ ხელმძღვანელები აძლევდნენ მათ საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა ორგანიზაციის სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავებაში. ამ პროცესში კი გათვალისწინებული უნდა იყოს პარტნიორი ორგანიზაციების გამოცდილება. ანალოგიური მდგომარეობაა სასურველი სტუდენტთა/აკადემიურ პერსონალთა 71.6%-სთვის (საერთო რაოდენობის 57.9%)

ამ შედეგების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები არსებული მდგომარეობით დიფერენციაციის ფაზაშია. სასურველ მდგომარეობასთან დაკავშირებით კი იკვეთება ჯგუფებს შორის აზრთა სხვადასხვაობა: ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმრავლესობისთვის სასურველი მდგომარეობა ინტეგრაციის ფაზას გულისხმობს, ხოლო სტუდენტების/აკადემიურ პერსონალისთვის ასოციაციის ფაზის მდგომარეობა უფრო მიმზიდველია.

C.ორგანიზაციის სტრუქტურა. ადმინისტრაციის თანამშრომელთა 77.8% და სტუდენტები-აკადემიური პერსონალის 63.2%-ს (საერთო გამოკითხულთა 67.8%) აზრით, უნივერსიტეტში მართვის დონეები ერთმანეთისგან ოფიციალურად არის გაყოფილი, დავალებების ლოგიკური დანაწილების შედეგად კი კონკრეტულ სამუშაო პოზიციაზე მყოფებმა იციან, სად არის მათი ადგილი ორგანიზაციაში. საერთო რაოდენობის 27.1% (15.6% ადმინისტრაციიდან და მეორე სამიზნე ჯგუფის 32.6%) თვლის, რომ ორგანიზაციის სტრუქტურა ბუნდოვანია, რადგან ფორმალურად ნაკლებადაა გაწერილი. ფუნქციები და მუშაობის სფეროები შესაძლებლობების მიხედვით ნაწილდება, თანამშრომლებმა კი უფროსებთან პირდაპირი კონტაქტის წყალობით იციან, სად არის მათი ადგილი ორგანიზაციაში.

სასურველ მდგომარეობასთან დაკავშირებით თითქმის თანაბარი რაოდენობა, 77.8% ადმინისტრაციული დეპარტამენტებიდან და გამოკითხული სტუდენტების/აკადემიური პერსონალის 80% ფიქრობს, რომ ორგანიზაციის სტრუქტურა უნდა შედგებოდეს გამჭვირვალე ერთეულებისგან, რომლების მიზნის და შესასრულებელი ამოცანების მიხედვით იქნება დაყოფილი, ერთეულებს უნდა პასუხისმგებლობის მაღალი დონე, თანამშრომლებს კი რეგულარული საქმიანობის გარდა, სხვადასხვა პროექტებში ჩართვის საშუალებაც ექნებათ (საერთო რაოდენობის 79.3%).

გაცილებით მცირე, საერთო რაოდენობის 7.1% აზრით (11.1% პირველი და 5.3% მეორე ჯგუფიდან) კი ორგანიზაციის წყობა ერთმანეთთან უნდა აკავშირებდეს მრავალ დამოუკიდებელ ერთეულს და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ხელმშემწყობი უნდა იყოს.

როგორც ჩანს, ორგანიზაციის სტრუქტურა აქ დიფერენციაციის ფაზაშია, ხოლო უმრავლესობისთვის სასურველი ინტეგრაციის ფაზაა.

D1.ადამიანები, მართვა, თანამშრომლობა. გამოკითხულთა თითქმის თანაბარი რაოდენობა, 64.4% ადმინისტრაციიდან და 65.3% მეორე ჯგუფიდან, ფიქრობს, რომ ორგანიზაციის თანამშრომლები მუშაობენ განსაზღვრული პროცესების და სტანდარტების შესაბამისად,

შედეგები კი შეფასების აღიარებული, ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით პერიოდულად მოწმდება. შესაბამისი განყოფილებები (მაგ. ადამიანური რესურსების მართვის) ზრუნავენ იმაზე, რომ პოზიციები სწორად გადანაწილდეს ორგანიზაციაში (საერთო რაოდენობის 65%) გაცილებით ნაკლები, 20%-ის აზრით კი თანამშრომლები თუ ბეჯითად მუშაობენ, ამას ამჩნევს ხელმძღვანელობა და აძლევს მათ თავის გამოჩენის და განვითარების შესაძლებლობას. შესრულებული საქმე უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ფორმალური განათლება და დიპლომები.(სტუდენტები/აკადემიური პერსონალი 25.3% და საერთო რაოდენობის 23.6%).

მეტ-ნაკლებად ემთხვევა ადმინისტრაციის და სტუდენტების/ლექტორების აზრი სასურველ მდგომარეობასთან დაკავშირებით - 66.8% და შესაბამისად 66.4%-ის აზრით, სასურველია, თუ ხელმძღვანელები იგრძნობენ პასუხისმგებლობას თანამშრომლების განვითარების საკითხში და მათ აქტიურად შეუწყობენ ხელს ამაში. (საერთო რაოდენობის 66.5%) მხოლოდ 6.6 %-ს ადმინისტრაციიდან და 16.8%-ს მეორე ჯგუფიდან მიაჩნია, რომ უკეთესი იქნება, თუ ხელმძღვანელობა თანამშრომლების ინდივიდუალური განვითარების ხედვებს შეუსაბამებს ორგანიზაციის მოთხოვნებს (საერთო რაოდენობის 13.6%).

ადამიანები, როგორც ორგანიზაციის კიდევ ერთი ელემენტი, უმრავლესობის აზრით უნივერსიტეტში დიფერენციაციის ფაზის მახასიათებლების მატარებელია. სასურველი მდგომარეობა კი ასოციაციის ფაზას მოიაზრებს.

D2.ადამიანები, მართვა, თანამშრომლობა. გამოკითხულ ადმინისტრაციის თანამშრომელთა 68.9% ფიქრობს, რომ როდესაც ორგანიზაციაში აზრთა სხვადასხვაობა და კონფლიქტები ჩნდება, საბოლოო სიტყვას ამბობენ ისინი, ვისაც უფრო მეტი ნდობით აღსავსე, პირადი ურთიერთობა აქვს ხელმძღვანელთან. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ორგანიზაციაში წამოჭრილ კონფლიქტებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაზე სწორედ პირადი ურთიერთობის ხარისხს აქვს უდიდესი გავლენა. ამ აზრს იზიარებას გამოკითხული სტუდენტების და აკადემიური პერსონალის 75.8% (საერთო რაოდენობის 73.6%). გაცილებით მცირე, ადმინისტრაციის 13.3% და 17.9% მეორე ჯგუფიდან მიიჩნევს, რომ

აზრთა სხვადასხვაობის ან კონფლიქტის დროს დაპირისპირებული მხარეები ჯერ საკუთარი ძალებით ცდილობენ ისეთი გამოსავლის პოვნას, რომელიც მისაღებია როგორც ორივე მხარისთვის, ასევე ორგანიზაციისათვის. ხელმძღვანელობის ამოცანას კი წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებაში ხელის შეწყობა (საერთო რაოდენობის 16.4%).

სტუდენტთა/აკადემიურ პერსონალთა 59%-ს, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომელთა 73.3%-აზრით, კონფლიქტებთან დაკავშირებული სიტუაციის შემდეგნაირი გადაწყვეტა უნდა არსებობდეს: დაპირისპირებულ მხარეებს თავად უნდა შეეძლოთ მისი მოგვარება, კონფლიქტების მართვის უნარს კი დიდი ადგილი უნდა ეკავოს ორგანიზაციაში. (საერთო რაოდენობის 63.6%)

ერთმანეთისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული, ადმინისტრაციის 17.8%-ს და მეორე ჯგუფის 16.8%-ს აზრით კი უმჯობესი იქნება,თუ დავის საგანი უფროსებს და შესაბამის განყოფილებებს გაეცნობა, რომლებიც ორგანიზაციაში არსებული გამჭვირვალე წესებით დაარეგულირებენ მდგომარეობას. (საერთო რაოდენობის 17.1%)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კონფლიქტებისადმი მიდგომა ორგანიზაციაში პიონერულ ფაზაშია, სასურველი მდგომარეობა კი გამოკითხულთა უმრავლესობისთვის ასოციაციის ფაზის შესაბამისია.

E1.ფუნქციები და ორგანოები. ადმინისტრაციაში გამოკითხულთა 66.7% არსებულ სიტუაციას აღიქვამს შემდეგნაირად: ყველა ფუნქცია ნათლად დაყოფილია და საზღვრებიც დადგენილი. თანამშრომლები იცნობენ მთელი აპარატის ლოგიკას და თავს მის ნაწილად თვლიან. დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი მაქსიმალურად გამოყოფილია ერთმანეთისგან. ამ შეფასებას იზიარებს სტუდენტების/აკადემიური პერსონალის მხოლოდ 6.3%. (საერთო რაოდენობის 25.7%). სტუდენტების 24.2%-ს და ადმინისტრაციის 20%-ს აზრით კი ფუნქციები ძირითადად ამოცანების და კომპეტენციების მიხედვით არის გადანაწილებული, თუმცა არა დაწვრილებით. თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარ ფუნქციებში მეტი თვითდაგეგმარების, თვითორგანიზების და თვითკონტროლის საშუალება.(საერთო რაოდენობის 22.8%) საინტერესოა ცალკეულ პოზიციებთან და

ფუნქციებთან დაკავშირებით სტუდენტების და აკადემიური პერსონალის 56.8%-ს შეფასება: ისინი თვლიან, რომ ცალკეულ სამუშაო პოზიციებთან და ფუნქციებთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი: ჯერ მოდის ადამიანი, შემდეგ ჩნდება სამუშაო პოზიცია. ამ აზრს იზიარებს ადმინისტრაციის თანამშრომელთა 11.1%. (საერთო რაოდენობის 42.1%).

გამოკითხული სტუდენტების/აკადემიური პერსონალის უმრავლესობის, 50.5% აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ყველა ფუნქცია ნათლად დაიყოფა და საზღვრებიც დადგინდება. დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი კი მაქსიმალურად იქნება ერთმანეთისგან გაყოფილი.

ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა 48.8%-სთვის და მხოლოდ 24.3%-სთვის მეორე ჯგუფიდან, სასურველია მდგომარეობა, სადაც დაგეგმვას, კონტროლს და მმართველობით ამოცანებს გუნდები თვითონ ასრულებენ. (გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 32.2%).

ამ ელემენტის შეფასებისას კვლავ განსხვავებული შედეგები გვაქვს: ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით, ცალკეული პოზიციები და ფუნქციები დიფერენციაციის ფაზის სპეციფიკის მატარებელია, ხოლო სტუდენტთა/აკადემიურ პერსონალთა უმრავლესობის შეფასებით - პიონერული ფაზის. ამავე დროს, ამ უკანასკნელისთვის სასურველი მდგომარეობა დიფერენციაციის ფაზაა, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომლების უმრავლესობისთვის - ასოციაციის ფაზა. საერთო შედეგების მიხედვით, ეს ელემენტი არსებული მდგომარეობით დიფერენციაციის ფაზაში უნდა მოვიაზროთ, ხოლო სასურველი მდგომარეობით - ასოციაციის ფაზაში.

E2.ფუნქციები და ორგანოები. ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა 40% თვლის, რომ ორგანიზაციაში განსაკუთრებული დავალებების და პროექტების განსახორციელებლად, წამყვან პოზიციებს ის ადამიანები იკავებენ, ვის მიმართაც პოზიტიური განწყობა ჩნდება, ყოველგვარ ფორმალურ წესებზე მაღლა ნდობის საკითხი დგას. ანალოგიურია სტუდენტების/აკადემიური პერსონალის 59%-ს შეფასება. (საერთო

რაოდენობის 52.8%). შედარებით ნაკლები, 30.4% სტუდენტებიდან/აკადემიური პერსონალიდან და 48.9% ადმინისტრაციიდან ფიქრობს, რომ უნივერსიტეტში ყურადღება ექცევა იმას, რომ განსაკუთრებული დავალებები და პროექტები ჯდებოდეს არსებულ წესებში, სტანდარტები და რეგულაციები კი უზრუნველყოფს პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას (საერთო რაოდენობის 36.4%).

სასურველ მდგომარეობასთან დაკავშირებით, სტუდენტები/აკადემიური პერსონალის 54.7% და ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხოლოდ 22.2%-ს მიაჩნია, რომ უკეთესი იქნება, თუ ჯერ ახალი პროექტის მიზანი და ამოცანები დამუშავდება, რათა თანამშრომლებმა დაინახონ მათი კავშირი მთელ დანარჩენ ორგანიზაციასთან (საერთო რაოდენობის 44.3%). 62.2% ადმინისტრაციიდან და 32.6% მეორე ჯგუფიდან კი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში განსაკუთრებულ დავალებებთან და პროექტებთან დაკავშირებით უნდა ხდებოდეს მათი მიზნების, აზრის და ძირითადი შესასრულებელი ამოცანის შეთანხმება, პროექტის ხელმძღვანელი კი შესაბამისი კომპეტენციებით უნდა იყოს აღჭურვილი (საერთო რაოდენობის 42%).

ამ შედეგების გათვალისწინებით, ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმრავლესობის შეფასებით, ორგანიზაციის ეს ელემენტი დიფერენციაციის ფაზაშია, მათთვის სასურველი კი ასოციაციის ფაზაა. სტუდენტების/აკადემიური პერსონალის უმრავლესობის აზრით, უფრო მეტად პიონერული ფაზაშია და მათთვის სასურველი ინტეგრაციის ფაზაა.

საერთო შეფასებით, ეს ელემენტი უნივერსიტეტში დიფერენციაციის ფაზაშია, „უნდა იყოს“ მდგომარეობა კი უფრო მეტად ასოციაციის ფაზისკენ იხრება.

F1.სამუშაო პროცესები. ადმინისტრაციიდან გამოკითხულთა 68.9% და მხოლოდ 32.6% მეორე ჯგუფიდან, ფიქრობს, რომ ორგანიზაციაში სამუშაოები გეგმიურად და მაქსიმალურად სტანდარტიზებულად სრულდება. ამის შემდეგ კი მოდის მცდელობა, ყველა პროცესი ნათლად და ეფექტურად მიმდინარეობდეს. (საერთო რაოდენობის 44.3%). სტუდენტები/აკადემიური პერსონალის უმრავლესობის, 50.5% შეფასებით, ორგანიზაციაში

ფაქტობრივად არ არსებობს რეგულაციები, როგორ უნდა წარიმართოს სამუშაო პროცესი. ყველა თანამშრომელს შეუძლია მიმართოს იმპროვიზაციას და შეარჩიოს სიტუაციის შესაბამისი ქცევა. (საერთო რაოდენობის 37.8%).

ადმინისტრაციაში გამოკითხულთა 20%-ს შეფასებით, სამუშაო პროცესებს წინ უძღვის ზოგადი გეგმები, მოქმედების ზოგადი ჩარჩოები კი შემსრულებელს საშუალებას აძლევს, თვითონ დაარეგულიროს დეტალები. მხოლოდ ეს რაოდენობა თვლის, რომ უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან იმ პროცესებს, რომლებიც სტუდენტის და აკადემიური პერსონალის საჭიროებების რელევანტურია. (საერთო რაოდენობის 14.3%)

ადმინისტრაციის გამოკითხულთა 77.8% და სტუდენტები/აკადემიური პერსონალის 63.2%-სთვის სასურველია მდგომარეობა, სადაც ორგანიზაციაში მიმდინარე ცალკეულ პროცესებში ჩართულ ადამიანებს გაცნობიერებული აქვთ მთლიანი პროცესიც, ეს ადამიანები პერიოდულად საუბრობენ გაუმჯობესების საშუალებებზე და თავადვე ახორციელებენ მათ (საერთო რაოდენობის 67.9%).

ორივე სამიზნე ჯგუფის უმრავლესობის აზრით, სასურველი მდგომარეობა ასოციაციის ფაზაა, თუმცა არსებულ მდგომარეობას ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულად აფასებენ: ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ეს ელემენტი დიფერენციაციის ფაზაშია, სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის - პიონერულში.

F2.სამუშაო პროცესები. დელეგირების საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციაში გამოკითხულთა 60% არსებულ მდგომარეობას აღწერს შემდეგნაირად: ხელმძღვანელები დავალებებს აძლევენ დაქვემდებარებულებს, თუმცა ნებისმიერ დროს შეიძლება ჩაერიონ ამ უკანასკნელთა საქმიანობაში, როცა ისინი რამეს ისე ვერ აკეთებენ, როგორც ამას მათი უფროსი გააკეთებდა. ანალოგიურად აფასებს ამ საკითხს სტუდენტების/აკადემიური პერსონალის 77.9% (საერთო რაოდენობის 71.1%). თითქმის თანაბარი, 17.8% და 16.8%-ს

აზრით კი დარეგულირებულია როდის, სად და როგორ შეიძლება ჩაერიოს უფროსი დაქვემდებარებულის საქმიანობაში. (საერთო რაოდენობის 17.1%).

სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გამოკითხულთა 54.7% და მხოლოდ 15.5% ადმინისტრაციიდან თვლის, რომ უკეთესი იქნება თუ ხელმძღვანელები პერიოდულად ითათბირებენ დაქვემდებარებულებთან მათთვის დახმარების გაწევის საკითხზე, ასევე ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ თანამშრომლებს შეუნარჩუნდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა - მაქსიმალურად ანდობენ მათ დელეგირებული დავალებების შესრულებას. (საერთო რაოდენობის 42.1%). ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმრავლესობა - 68.9% და მეორე ჯგუფის 37.9% მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება, თუ ხელმძღვანელები უფრო მეტი ნდობით იქნებიან აღჭურვილნი დაქვემდებარებულების მიმართ და ირწმუნებენ, რომ მათ შესწევთ თვითმენეჯმენტის ძალა. (საერთო რაოდენობის 47.9%).

უმრავლესობის შეფასებით, ეს ელემენტი პიონერულ ფაზაშია. სასურველი მდგომარეობა კი განსხვავდება ჯგუფებს შორის: სტუდენტების/აკადემიური პერსონალის აზრით ის ინტეგრაციის ფაზის შესაბამისად უნდა შეიცვალოს, ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ასოციაციის ფაზა უფრო მისაღები და სასურველია.

G.მატერიალური საშუალებები. ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა უმრავლესობის, 64.4%-ს აზრით, სამუშაო ადგილების მოსაწყობად ორგანიზაციაში არსებობებს მკაფიო რეგულაციები. ფინანსური საკითხები გამჭვირვალეა - ცნობილია, ვინ რა ხარჯებსა და დანაკარგებზეა პასუხისმგებელი. (საერთო რაოდენობის 33.6%). სტუდენტების/აკადემიური პერსონალის 56.9% კი თვლის, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანია, როგორაა მოწყობილი სამუშაო ადგილები, უფრო მეტი ყურადღება ექცევა უშუალო კონტაქტს როგორც ხელმძღვანელებთან, ასევე სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. ფინანსების საკითხში ისინი მთლიანად ენდობიან ხელმძღვანელობას. ანალოგიურია ამ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხოლოდ 15.6%-ს შეფასება. (საერთო 43.6%).

ადმინისტრაციის თანამშრომელთა 68.9% და 27.4% მეორე ჯგუფიდან თვლის, რომ უკეთესი იქნება, თუ იარსებებს რაციონალური ცენტრალური რესურსები და ინფრასტრუქტურა, რომლებსაც მოქნილი წესით გამოიყენებენ სხვადასხვა ერთეულები და მიმართულებები. (საერთო რაოდენობის 40.6%). სტუდენტების 48.4%-ს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტში სასწავლო თუ სამუშაო ადგილების მოსაწყობად უნდა არსებობებს მკაფიო რეგულაციები. ფინანსური საკითხები კი გამჭვირვალე უნდა იყოს. საერთო რაოდენობის 16.4%-ს აზრით კი ცალკეული ერთეულები და ფაკულტეტები საკუთარი პასუხისმგებლობის მიხედვით უნდა განკარგავდნენ დადგენილ ბიუჯეტს.

ამ სტატისტიკის გათვალისწინებით, ორგანიზაციის ბოლო ელემენტი ადმინისტრაციის შეფასებით დიფერენციაციის ფაზაშია, მეორე ჯგუფის უმრავლესობის აზრით კი პიონერულში. სასურველი მდგომარეობაც განსხვავდება: პირველისთვის ის ასოციაციის ფაზაა, მეორესთვის დიფერენციაციის.

3.1 კვლევის შეზღუდვები

კვლევის პროცესში წამოჭრილ საკითხებს შორის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან დროში გაწელილი პასუხები. ასევე, კვლევის ანონიმურობის მიუხედავად, გულწრფელი პასუხებისგან თავის შეკავების მცდელობა.

სასურველი იქნებოდა ასევე კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უფრო მეტი რაოდენობა, რაც სამწუხაროდ ვერ განხორციელდა.

თავი 4. დასკვნა

ნაშრომში მიმოხილულ ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით და კვლევის საერთო შედეგებიდან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი ტენდენციები: ორგანიზაციის შვიდი ბაზისური ელემენტიდან პირველი - იდენტობა - თსუ-ში განვითარების პიონერულ ფაზაშია. რაც შეეხება მეორე ელემენტს, ორგანიზაციის პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები აქ ძირითადად დიფერენციაციის ფაზის მახასიათებლების მატარებელია. დიფერენციაციის ფაზაშია ასევე მისი სტრუქტურა.

გამოკითხულთა უმრავლესობის პასუხებით თუ ვიმსჯელებთ, როცა საქმე პროფესიული წინსვლის საკითხს ეხება, ორგანიზაციაში თანამშრომლებისადმი დამოკიდებულება დიფერენციაციის ფაზაშია.

როდესაც ორგანიზაციაში აზრთა სხვადასხვაობა და კონფლიქტი ჩნდება, ორგანიზაცია მათ პიონერული ფაზისთვის დამახასიათებელი გზებით წყვეტს.

დიფერენციაციის ფაზის სპეციფიკა იკვეთება კვლავ ცალკეულ პოზიციებზე, ფუნქციებზე საუბრისას.

განსაკუთრებულ დავალებების და პროექტების განსახორციელებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განვითარების დიფერენციაციული ფაზისთვის დამახასიათებელი გზებს იყენებს.

რაც შეეხება სამუშაო პროცესების მახასიათებლებს, რესპონდენტთა უმრავლესობის შეფასებით თუ ვიმსჯელებთ, ორგანიზაციის ეს ელემენტი განვითარების დიფერენციაციის ფაზაშია.

დელეგირების საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაცია კვლავ დიფერენციაციის ფაზისთვის დამახასიათებელი მიდგომით ხასიათდება.

გამოკითხულთა უმრავლესობის შეფასებით, ორგანიზაციის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ფინანსირების და კონტროლის სისტემები, იმყოფება განვითარების დიფერეციაციულ ფაზაში.

როგორც აღმოჩნდა, ორგანიზაცია არ არის სწავლებაზე ორიენტირებული . არ ხდება შედეგების შეფასება. არ ეთმობა დრო შეკითხვებს, თუ როგორ სრულდება მიზნები, რამდენად კარგად ემსახურებიან სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს, რამდენად კარგად ეთავსებიან ორგანიზაციის მისიას და ხედვას. ორგანიზაციები, რომლებიც არასოდეს ახდენენ შეფასებას თუ საითკენ მიდიან, ყოველთვის აღმოაჩენენ თავს არასწორი მიმართულებით. იქ სადაც არ არსებობს დაგეგმვა, ნაკლები შესაძლებლობაა სწავლის. შესაბამისად განვითარების შანსიც ნაკლებია. (Kellett, P.M., Dalton D.G, 2001).

ორგანიზაცია გამოირჩევა ბიუროკრატიული მართვის პრინციპებით. თანამშრომლების შემოქმედებითი ჩართულობა თითქმის ნულის ტოლია. გადაწყვეტილებები ზემოდან ქვემოთ ერთპიროვნულად მიიღება. არ არსებობს შესრულების მიზანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ ორგანიზაცია იმყოფება განვითარების დიფერენციაციის კრიზისულ ფაზაში. ნიშნები, რომელიც აღნიშნულ კრიზისულ ფაზას ახასიათებს, არის სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული სირთულეები, მეტისმეტი ფორმალიზაცია, ვერტიკალური კომუნიკაციის პრობლემები, ბიუროკრატიული მმართველობა, აზროვნების გახევება , კომპეტენციებთან და ფუნქციებთან დაკავშირებული პრობლემები, კოორდინაციის დარღვევა, მოტივაციის არარსებობა (Glasl, F., & Livegoed, B. 2004). გამოდის რომ ორგანიზაციისთვის აუცილებელია განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასვლა.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის მტკიცებაც, რომ ორგანიზაციის წევრებს აშკარად აქვთ გაცნობიერებული ცვლილებების საჭიროება. მათი უმრავლესობისთვის „სასურველი მდგომარეობა“ ასოციაციის ფაზის მახასიათებლების მატარებელია. ორგანიზაციის წევრებს სურთ, რომ უნივერსიტეტი უფრო მეტად იყოს მიმართული გარე ურთიერთობებისკენ, ხოლო ორგანიზაციის შიგნით წამოჭრილი აზრთა სხვადასხვაობა და კონფლიქტები კონსტრუქციული გზებით გვარდებოდეს. თუმცა, ასოციაციის ფაზამდე საკმაოდ დიდი გზა აქვს გასავლელი. სასურველ მდგომარეობამდე

მისასვლელად აუცილებელია ორგანიზაციამ ჯერ დიფერენციაციის ფაზის კრიზისი წარმატებით დაძლიოს და მისი ძირითადი ელემენტები ინტეგრაციის ფაზის შესაბამისად გარდაქმნას.

თავი 5. რეკომენდაციები

იმისათვის, რომ ორგანიზაციამ დაძლიოს დიფერენციაციის ფაზის კრიზისი და მიაღწიოს მისთვის სასურველ მდგომარეობას, პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია მისმა წევრებმა მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ორგანიზაციის მიზნებთან. ეს კი მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ორგანიზაციის მიზნების შესახებ საუბრებში. ორგანიზაციის პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები არ უნდა იყოს მათგან გასაიდუმლოებული. აუცილებელია შეიცვალოს ხელმძღვანელების მიდგომა დაქვემდებარებულების მიმართ, მიეცეთ მათ სწავლის და განვითარების საშუალება და ამაში თვითონ ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს აქტიური ხელშემწყობის როლი.

დიფერენციაციის ფაზის კრიზისიდან, განვითარების შემდგომ, ინტეგრაციის ფაზაში გადასვლისას, მნიშვნელოვანია გაირღვეს მექანიკური აზროვნება. თუ ორგანიზაცია გაანალიზებს რეალობის სირთულეს და დაინახავს ცვლილებების საჭიროებას, ეს იქნება აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ განვითარებას ჩაეყაროს საფუძველი. ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს რომ განვითარებას აქვს მიმართულება და ამ მიმართულების მიმცემი უნდა იყოს მმართველი გუნდი.

წარმატებული კონფლიქტ-მენეჯმენტი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მისცემს მას განვითარების და ასოციაციის ფაზაში გადასვლის საშუალებას.

აუცილებელია, რომ ორგანიზაციამ გარდაქმნას სოციალური ქვესისტემის ელემენტები (ადამიანები და ცალკეული ფუნქციები/პოზიციები) და მის ფარგლებში შექმნას უნივერსიტეტის სტრატეგიაზე მორგებული ადამიანური რესურსების მართვის

სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მას თანამშრომელთა ეფექტურობის გაზრდაში და ძირითადი მიზნების მიღწევაში. პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს სამუშაოს დეტალური ანალიზი, რათა აღმოიფხვრას არსებული ბუნდოვანი მხარეები, სწორად ჩამოყალიბდეს და დაიგეგმოს სამუშაო ფუნქცია-მოვალეობები, გაუმჯობესდეს თანამშრომელთა მართვა და მოტივირება. საჭიროა მონაწილეობის, ჩართულობის მაღალი დონე როგორც ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე პროცესებში, ისე გარემოსთან კავშირში.

სისტემური მიდგომა გამოიყვანს ორგანიზაციას დიფერენციაციის ფაზის კრიზისიდან და მისცემს მას შემდგომი განვითარების შანსს.

ბიბლიოგრაფია

- შუბლაძე, გ., მღებრიშვილი,გ., წოწკოლაური, ფ. (2008) მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი
- ჯაჯი, ა,ტ., რობინსი, პ,ს. (2009). ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

- Armstrong, M. (2006). A Handbook of Human Resource Management Practice, 10th Edition. Kogan Page

- Glasl, F., & Livegoed, B. (2004). Dynamische Unternehmens-Entwiklung. (R. Tschiren, Ed.) Berne: Haupt.

- Glasl, F. (2002). Konflikt-management, Ein Handbuch für Führungskrafte, Beraterinnen und Berater. Verlag Paul Haupt Bern

- Jones, B.B., Brazzel, M. (2014). The NTL Handbook of Organization Development And Change. 2nd Edition. The NTL Institute., Wiley

- Kellet P.M., & Dalton D.G. (2001) Managing Conflict in a negotiated World

- Rothwell, W.J., Stavros, J.M., Sullivan, R.L., Sullivan, A. Practicing Organization Development. Pfeiffer

http://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo

https://www.tsu.ge/ge/about/history/

დანართი #1

Friedrich Glasl / Trude Kalcher / Hannes Piber

ორგანიზაციის თვისებრივი დიაგნოზი

თქვენ იხილავთ ორგანიზაციის თითოეულ ძირითად ელემენტებთან შესაბამის (A-დან G-მდე) 4 პოსტულატს (აღწერილობას). მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ ცხრილში ჩაწერეთ:

რომელი ფორმულირება შეესაბამება ყველაზე მეტად თქვენს „**არის-მდგომარეობას**“?

რომელი ფორმულირება შეესაბამება ყველაზე მეტად თქვენი აზრით სასურველ **„უნდა იყოს-წარმოდგენას**“? ანუ რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი ორგანიზაციის განვითარების გზაზე.

მაგალითად:

ელემენტი	არის	უნდა იყოს
A.	**1**	**3**

A. ორგანიზაციის იდენტობა

ელემენტი	არის	უნდა იყოს
A.		

ორგანიზაციის მთავარი მიზანი და აზრი ჩვენთან ასე გამოიყურება:

1. ორგანიზაციის მიზნები მომდინარეობს ხელმძღვანელობის შეხედულებებიდან. ამიტომ ორგანიზაციის თანამშრომლები ორიენტაციას იღებენ ხელმძღვანელ პირებზე.
2. ორგანიზაციის მიზნები ძირითადად ოფიციალურად, წერილობითაა ქაღალდზე გაწერილი ხედვების, მისიის და მსგავსი მუხლების სახით. ისინი გადაიხედება, გადამოწმდება და ახალი ინტერპრეტაცია მიეცემა როგორც კი გაჩნდება კითხვები, გაურკვევლობები ან დადგება ცვლილებების საჭიროება.

3. ორგანიზაციის მიზნები არ არის რაიმე უცვლელი კონცეფცია. ისინი არც თავისთავადია. საუბრები და დისკუსია ორგანიზაციის მიზნების შესახებ ატარებს მუდმივ ხასიათს, რათა ყველა რგოლის ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს მიეცეთ საშუალება, მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ორგანიზაციის მიზნებთან.

4. ორგანიზაციის მიზნები ნათელი და გარკვეულია და ისინი დაწვრილებით განიხილება ორგანიზაციაში. ეს მიზნები ემსახურება იმასაც, რომ პარტნიორული ურთიერთობები ჩამოყალიბდეს სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩვენი ორგანიზაციის ფილოსოფიასთან ახლოს დგანან.

B. ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია

ელემენტი	არის	უნდა იყოს
B.		

ორგანიზაციის პოლიტიკა, მოკლე და გრძელვადიანი **კონცეფციები, გეგმები** და ა.შ. ჩვენთან ატარებენ ძირითადად შემდეგ ხასიათს:

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელებს აქვთ სწორი სამომავლო ხედვები და ინტუიცია. მიზნები და გეგმები ძალიან იშვიათადაა გაწერილი. იმისათვის, რომ იცოდე, რა არის ორგანიზაციის გეგმები, მნიშვნელოვანია ყველაზე მაღალი რგოლის ხელმძღვანელთან გქონდეს კარგი პირდაპირი კონტაქტი.

2. მართვის ზედა რგოლებში ტარდება (მაგალითად წელიწადში ერთხელ ან მეტჯერ) საუბრები ორგანიზაციის პოლიტიკასა და სტრატეგიაზე. შედეგები ფორმულირდება და წერილობით მტკიცდება. შემდეგ ეს გადაეცემა მომდევნო რგოლებს.

3. ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია სხვადასხვა რგოლის ხელმძღვანელებს შორის განიხილება, მუშავდება და არსებულ რეალობას ერგება. მნიშვნელოვანია, რომ საშუალოვადიანი გეგმები თანამშრომლების ცხოვრების ნაწილი გახდეს და არ დარჩეს მათგან გასაიდუმლოებული.

4. ხელმძღვანელები ორგანიზაციის თანამშრომლებს საშუალებას აძლევენ მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიის შემუშავებაში. ისინი ასევე ითვალისწინებენ იმ ორგანიზაციების პოლიტიკას,

რომლებთანაც მჭიდრო და ხანგრძლივ პარტნიორულ ურთიერთობებზე ზრუნავენ და მათთანაც განიხილავენ თავის გეგმებს.

C. ორგანიზაციის სტრუქტურა

ელემენტი	არის	უნდა იყოს
C.		

ორგანიზაციის წყობას ჩვენთან განსაზღვრავენ შემდეგი ასპექტები:

1. ორგანიზაციის სტრუქტურა ფორმალურად ნაკლებადაა გაწერილი. ცალკეული ფუნქციები თუ სფეროები თავისუფლად, ძალდატანების გარეშე გადანაწილდება, შესაძლებლობების მიხედვით. თანამშრომლებმა უფროსებთან პირდაპირი კონტაქტის წყალობით იციან, სად არის მათი ადგილი ორგანიზაციაში.
2. მართვის დონეები ერთმანეთისაგან ოფიციალურად არის გაყოფილი. დავალებების ლოგიკური დანაწილების შედეგად კონკრეტული სამუშაო პოზიციის მფლობელებმა იციან, სად არის მათი ადგილი ორგანიზაციაში.
3. ორგანიზაციის სტრუქტურა შედგება გამჭვირვალე ერთეულებისგან, რომლებიც მიზნის და სხვა ძირითადი თემების მიხედვით არის დაყოფილი. ამ ერთეულებს აქვთ პასუხისმგებლობის მაღალი დონე. მართვის მაქსიმალურად ჰორიზონტალური იერარქია პირდაპირი და მოკლე გზით გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. თანამშრომლები რეგულარული საქმის გარდა პროექტებშიც არიან ჩართულნი.
4. ორგანიზაციის წყობა ერთმანეთთან აკავშირებს მრავალ დამოუკიდებელ ერთეულს. ორგანიზატორულ თავისებურებებს დიდი ქმედების არეალი აქვთ პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის აწყობის საქმეში.

D.(1) ადამიანები, მართვა, თანამშრომლობა

ელემენტი	არის	უნდა იყოს
D. (1)		

ჩვენთან თანამშრომლებს ყველაზე მეტად აქვთ **პროფესიული წინსვლის შანსი**, როცა...

5. ისინი ბეჯითად მუშაობენ. ამას ამჩნევენ ხელმძღვანელები და აფასებენ. შედეგად ისინი ახალ დავალებებს იღებენ, რითაც ისევ თავის გამოჩენის და განვითარების შანსი ეძლევათ. გაწეული სამსახური უფრო ბევრს ნიშნავს, ვიდრე ფორმალური განათლება და დიპლომები.

6. თანამშრომლები მუშაობენ განსაზღვრული პროცესების და სტანდარტების შესაბამისად. შედეგები შეფასების აღიარებული, ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით პერიოდულად მოწმდება. განყოფილებები (მაგ. ადამიანური რესურსების მართვის) ზრუნავენ იმაზე, რომ სწორად გადანაწილდეს პოზიციები ორგანიზაციაში.

7. ხელმძღვანელები ატარებენ პერიოდულ საუბრებს თავის თანამშრომლებთან, რათა მათი ინდივიდუალური განვითარების ხედვები ორგანიზაციის მოთხოვნებს შეუსაბამონ. ადამიანების განვითარების ხელშეწყობა ხელმძღვანელობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

8. ხელმძღვანელები პასუხისმგებლობას გრძნობენ თანამშრომლების განვითარების საკითხში და ამ განვითარებას აქტიურად უწყობენ ხელს. ამ თემაზე თანამშრომლობენ პარტნიორ ორგანიზაციებთანაც, რომლებთანაც საერთო პროექტები აქვთ და მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის პერსონალს უგზავნიან ერთმანეთს, ხდება თანამშრომლების როტაცია.

D.(2) ადამიანები, მართვა, თანამშრომლობა

ელემენტი	არის	უნდა იყოს
D. (2)		

როცა ჩვენს ორგანიზაციაში **აზრთა სხვადასხვაობა** ან **კონფლიქტი** ჩნდება, ხდება შემდეგი:

9. საბოლოო სიტყვას ისინი იტყვიან ვისაც უფრო მეტი ნდობით აღსავსე, პირადი ურთიერთობები აქვს ხელმძღვანელებთან. ურთიერთობების ხარისხს დიდი გავლენა აქვს გადაწყვეტილების მიღებაზე.

10. განსხვავებები (დავის საგანი) უფროსებს და შესაბამის განყოფილებებს გაეცნობა, რომლებიც შემდეგ არსებული გამჭვირვალე წესების მიხედვით დაარეგულირებენ საკითხს.

11. დაპირისპირებული მხარეები შეეცდებიან ჯერ საკუთარი ძალებით იპოვონ ისეთი გამოსავალი, რომელიც ორგანიზაციისთვის და მხარეებისთვის მისაღები იქნება. უფროსები თავის ამოცანას ხედავენ იმაში, რომ მხარეებს ამ გადაწყვეტილების მიღებაში შეუწყონ ხელი

(კონფლიქტის მოდერირება, გადაწყვეტილებების მიღება, გარე დამხმარე ძალის მოწვევა და ა. შ.).

12. დაპირისპირებული მხარეები უმეტეს შემთხვევაში ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ თავად შეუძლიათ კონფლიქტის მოგვარება ან დახმარების ორგანიზება. კონფლიქტების მართვის უნარს დიდი ადგილი უჭირავს ორგანიზაციაში, რათა წარმატებულად იმართოს მრავალი შიდა და გარე აქტორის ურთიერთობა.

E.(1) ფუნქციები და ორგანოები

ელემენტი	არის	უნდა იყოს
E. (1)		

ცალკეული პოზიციებისთვის, ფუნქციებისთვის ჩვენს ორგანიზაციაში მოქმედებს შემდეგი:

13. ჯერ მოდის ადამიანი, შემდეგ ჩნდება სამუშაო პოზიცია. თანამშრომლებს აქვთ ის დავალებები, რომლებიც მათ შეესაბამებათ. ჩვენ გვაქვს „შესაბამისი კოსტუმები“, რათა ადამიანები სტანდარტებით არ შეიზღუდონ და მათ ამის გამო უნარები არ დაებლოკოთ. ყველაზე მეტად გვიყვარს „უნივერსალური ფუნქციები“ დავალებების მრავალფეროვნებით.

14. ყველა ფუნქცია ნათლად დაყოფილია და საზღვრებიც დადგენილია. თანამშრომლები იცნობენ მთელი აპარატის ლოგიკას და თავს მთლიანის ერთ სპეციფიურ ნაწილად თვლიან. დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი მაქსიმალურად გამოყოფილია ერთმანეთისგან და გადანაწილებულია სხვადასხვა ადგილებზე. სპეციალიცაზიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

15. ფუნქციები არის რაციონალური, აღქმადი მთლიანობა. ისინი ძირითადი ამოცანებისა და მათთან დაკავშირებული კომპეტენციების მიხედვითაა განაწილებული და გაწერილი, თუმცა არა დაწვრილებით, უკანასკნელ დეტალამდე. მიზნების შეთანხმების წყალობით საკუთარ ფუნქციებში მეტი თვითდაგეგმარების, თვითორგანიზებისა და თვითკონტროლის საშუალება ჩნდება.

16. დაგეგმვას და კონტროლს, ისევე როგორც მმართველობით ამოცანებს გუნდები თვითონ ასრულებენ. შესაძლებელია გუნდის მმართველობის ამოცანების როტაცია. გარკვეულია, რომელი ფუნქციები ემსახურება პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობას.

E.(2) ფუნქციები და ორგანოები

ელემენტი	არის	უნდა იყოს
E. (2)		

განსაკუთრებული დავალებები და პროექტები ჩვეულებრივ შემდეგი გზით ხორციელდება:

17. წამყვან პოზიციებს ის ადამიანები იკავებენ, ვის მიმართაც ჩნდება პოზიტიური განწყობა. მათ უცხადებენ დიდ ნდობას, რაც ყოველგვარ ფორმალურ წესებზე მნიშვნელოვანია.

18. ყურადღება ექცევა იმას, რომ განსაკუთრებული დავალებები და პროექტები ჯდებოდეს არსებულ წესებში. ერთმნიშვნელოვანი და დეტალური რეგულაციებისა და სტანდარტების წყალობით უზრუნველყოფილია პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობა.

19. ჯერ ახალი პროექტის თუ ამოცანის მიზანი მუშავდება, რათა თანამშრომლებმა დაინახონ მათი ახალი დავალებების კავშირი მთელ დანარჩენ ორგანიზაციასთან. წესებში დატოვებულია დიდი თავისუფალი სივრცე, რათა მიზნების განხორციელებას ნაკლებად შეეშალოს ხელი.

20. განსაკუთრებული პროექტებისთვის ხდება მიზნების, აზრის და ძირითადი შესასრულებელი ამოცანების შეთანხმება. პროექტის ხელმძღვანელი შესაბამისი კომპეტენციებით „აღიჭურვება“. პროექტში ერთვებიან პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლებიც.

F.(1) სამუშაო პროცესები

)ელემენტი	არის	უნდა იყოს
F. (1)		

სამუშაო პროცესისათვის ჩვენთან დამახასიათებელია:

21. ფაქტიობრივად არ არსებობს რეგულაციები, როგორ უნდა წარიმართოს პროცესები. ყველა თანამშრომელს შეუძლია იმპროვიზაცია და სიტუაციის შესაბამისი ქცევის შერჩევა. ასე სრულდება სამუშაო ყველაზე კარგად.

22. სამუშაოები გეგმიურად და მაქსიმალურად სტარდატიზებულად სრულდება. შემდეგ მოდის მცდელობა, რომ ყველა პროცესი ნათლად და ეფექტურად მიმდინარეობდეს. შედარებით კომპლექსურ პროცესებს სპეციალური განყოფილება კურირებს.

23. პროცესებს წინ უძღვის ზოგადი გეგმები, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ერთ მთლიანს ემსახურება. მოქმედების ზოგადი ჩარჩოები შემსრულებლებს საშუალებას აძლევთ თავად

დაარეგულირონ დეტალები. პასუხისმგებლობაც თავად შემსრულებელს ეკისრება. განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან იმ პროცესებს, რომლებიც სტუდენტის და პროფესორის საჭიროებების რელევანტურია.

24. ადამიანებს, რომლებიც პროცესებში ჩართულნი არიან, გაცნობიერებული აქვთ ორგანიზაციაში მიმდინარე მთლიანი პროცესიც. დიდი ყურადღება ეთმობა პროცესის როგორც გარკვეულ მონაკვეთებს, ისე გარემოსთან კავშირში მიმდინარე პროცესებს. პროცესებში ჩართული ადამიანები პერიოდულად საუბრობენ გაუმჯობესების საშუალებებზე და მათ თავადვე ახორციელებენ.

F.(2) სამუშაო პროცესები

ელემენტი	არის	უნდა იყოს
F. (2)		

დელეგირების საკითხს ჩვენთან ასე ვეპყრობით:

25. ხელმძღვანელები დავალებებს აძლევენ დაქვემდებარებულებს თუმცა ისინი ნებისმიერ დროს შეიძლება ჩაერიონ ამ უკანასკნელთა საქმიანობაში, როცა ისინი რამეს ისე ვერ აკეთებენ, როგორც ამას მათი უფროსი გააკეთებდა.

26. ხელმძღვანელები ამოწმებენ, რამდენად შეესაბამება სამუშაოს შესრულება გეგმებს, მოცემულობებს და შეთანხმებებს. ასევე დარეგულირებულია, როდის და როგორ შეიძლება ჩაერიოს უფროსი დაქვემდებარებულის საქმიანობაში. დასაქმებულები მოახსენებენ უფროსს მათი შესრულებული სამუშაოსა და წინსვლის შესახებ.

27. ხელმძღვანელები დაქვემდებარებულებთან რეგულარულად თათბირობენ იმაზე, ხომ არ წამოიჭრა რამე მოულოდნელი საკითხი, რაშიც ისინი დახმარებას საჭიროებაენ. ასევე ყურადღებას აქცევენ იმას, რომ თანამშრომლებს შეუნარჩუნდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და ამიტომ ისევ თავისკენ არ „ექაჩებიან“ დელეგირებულ დავალებებს.

28. ხელმძღვანელებში არის ნდობა, რომ თანამშრომლებს შესწევთ თვითმენეჯმენტის ძალა. მათი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, იზრუნონ თანამშრომლების საერთო საქმეში ჩართვაზე.

G. მატერიალური საშუალებები

ელემენტი	არის	უნდა იყოს
G.		

ტექნიკური ინფრასტრუქტურა, როგორიცაა **საინფორმაციო ტექნოლოგიები, საოფისე ოთახები, ფინანსირებისა და კონტროლის სისტემები** ჩვენთან ნიშნავს შემდეგს:

29. ჩვენთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, როგორაა მოწყობილი ჩვენი სამუშაო ადგილები და უფრო მნიშვნელოვანია უშუალო კონტაქტი სტუდენტებთან, პროფესორებთან და ხელმძღვანელებთან. ფინანსებზე ინფორმაციას ხელმძღვანელობა ფლობს, რომელთაც ჩვენ ვენდობით.

30. სამუშაო ადგილების მოსაწყობად არსებობს მკაფიო რეგულაციები. არსებობს პროცედურები სამუშაო მასალებით და საოფისე ტექნიკით უზრუნველსაყოფად. ცნობილია, ვინ რა ხარჯებსა და დანაკარგებზეა პასუხისმგებელი. ფინანსური საკითხები გამჭვირვალეა და წლიურ ანგარიშებში ქვეყნდება.

31. ცალკეული ერთეულები და ფაკულტეტები საკუთარი პასუხისმგებლობის მიხედვით განკარგავენ დადგენილ ბიუჯეტს სამუშაო ადგილების ადეკვატურად მოსაწყობად. ფინანსური საშუალებები წლიურად თანხმდება და ეს შეთანხმება შემდეგ საკუთარი ძალებით კონტროლდება.

32. არსებობს რაციონალური ცენტრალური რესურსები და ინფრასტრუქტურა, რომლებსაც მოქნილი წესით იყენებენ სხვადასხვა ერთეულები და მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკური და ორგანიზაციული სტანდარტების გარე პარტნიორების სტანდარტებთან შესაბამისობას.

დანართი #2

შეფასების ცხრილი

არის მდგომარეობა

	1	2	3	4
A. ორგანიზაციის იდენტობა	90X	38X	5X	7X
B. ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია	36X	85X	12X	7X
C. სტრუქტურა	38X	95X	3X	4X
D. ადამიანები / მართვა / თანამშრომლობა **(1)**	33X	91X	14X	2X
D. ადამიანები / მართვა / თანამშრომლობა **(2)**	103X	10X	23X	4X
E. ფუნქციები და ორგანოები **(1)**	59X	36X	32X	13X
E. ფუნქციები და ორგანოები **(2)**	74X	51X	10X	5X
F. სამუშაო პროცესები **(1)**	53X	62X	20X	5X
F. სამუშაო პროცესები **(2)**	101X	24X	10X	5X
G. მატერიალური საშუალებები	61X	47X	22X	10X

შეფასების ცხრილი

უნდა იყოს მდგომარეობა

	1	2	3	4
A. ორგანიზაციის იდენტობა	X	9X	98X	32X
B. ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია		X	58X	81X
C. სტრუქტურა		19X	111X	10X
D. ადამიანები / მართვა / თანამშრომლობა **(1)**	11X	17X	19X	93X
D. ადამიანები / მართვა / თანამშრომლობა **(2)**		24X	27X	89X
E. ფუნქციები და ორგანოები **(1)**	8X	63X	24X	45X
E. ფუნქციები და ორგანოები **(2)**	5X	14X	62X	59X
F. სამუშაო პროცესები **(1)**	5X	15X	25X	95X
F. სამუშაო პროცესები **(2)**	X	13X	59X	67X
G. მატერიალური საშუალებები	5X	55X	23X	57X

დანართი #3 Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Iarajuli Mariami

Qualitative analysis of the educational organization on the example of TSU

The work is written in order to earn a Master's Degree of Social and Political Sciences in Organization Development and Consulting

Supervisor: Full Professor Nodar Belqania

TBILISI

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ კაკუბავა

სოციალური პლატფორმა ,,ფეისბუქი“ როგორც მარკეტინგული სივრცე ქართული ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი: მარი წერეთელი

თბილისი, 2018

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სოციალური მედიის როლი საქართველოში ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად. ნაშრომის შესავალში დეტალურადაა აღწერილი კვლევის მიზნები, მეთოდოლოგია და აქტუალურობა. წარმოდგენილი ნაშრომი სიახლეა, ვინაიდან საქართველოში ამ საკითხზე თითქმის არ განხორციელებულა მსგავსი კვლევა. აღსანიშნავია, რომ შესასწავლ საკითხზე შეიმჩნევა აკადემიური ნაშრომების სიმწირე. არსებობს კვლევები საქართველოში ინტერნეტმომხმარებელთა სტატისტიკის (რაოდენობის) შესახებ, თუმცა, როდესაც ვეხებით ქვეყანაში სოციალური ქსელების, როგორც მარკეტინგული ინსტრუმენტის მოხმარების სტატისტიკას, რთულია მოვიძიოთ აკადემიური ნაშრომები ამ თემის შესახებ. ნებისმიერი სახის კვლევის მოძიება ამ თემატიკასთან დაკავშირებით, პრობლემატურია, რადგან თვითონ სოციალური ქსელების ფართოდ გავრცელება ქართული რეალობისთვის ახალი ფენომენია. ნაშრომზე მუშაობისას მოძიებულ იქნა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები, რომლებიც შეეხებოდა აღნიშნულ თემატიკას. თუმცა, როგორც წესი, ეს კვლევები რაიმე კონკრეტულ მიმართულებას ასახავს, მაგალითად, რომელიმე სოციალური ქსელის უსაფრთხოდ გამოყენებას და ა.შ. ბრენდისა და სოციალური მედიის თანხვედრა ძირითადად, შესწავლილია უცხოურ ლიტერატურაში.

ნაშრომში საუბარი ბრენდის განმარტებითა და მისი განვითარების ისტორიით იწყება, შემდეგ კი თემა იშლება ბრენდის სოციოლოგიური კუთხით შესწავლის მნიშვნელობაზე საუბრით. ნაშრომში აღნიშნულია, რომ აუცილებელია ბრენდი მარკეტინგის ჭრილს გარეთაც იყოს განხილული, რადგან ბრენდი არ არის მხოლოდ ეკონომიკას მიკუთვნებული ერთეული. ამ არგუმენტს სამაგისტრო თეზისის ლიტერატურის ანალიზის ნაწილი ამყარებს.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს საქართველოში არსებულ ინტერნეტსურათს, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ ვებგვერდებს შორის სოციალური ქსელებია. ამ ყოველივეს მოსდევს ინფორმაცია, თუ როგორ გამოვიყენოთ სოციალური მედია ეფექტურად.

სამაგისტრო თეზისის დასკვნით ნაწილს წარმოადგენს თვისებრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც 7 ქართული კომპანია და მათი ამჟამინდელი და პოტენციური 86 მომხმარებელი გამოიკითხა. ასევე, განხორციელდა ზემოხსენებული 7-ივე კომპანიის Facebook გვერდების კონტენტ ანალიზი.

თვისებრივი კვლევის და კონტენტ ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა კომპანიები, რომლებიც ყველაზე მეტ რესურსს მოახმარენ სოციალურ მედიას. კვლევამ წარმოაჩინა სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგში, თანხვედრა კომპანიათა სოციალურ მედიაგვერდებს შორის და ნაკლოვანებები მათ სოციალურ მედიასტრატეგიებში.

Abstract

This thesis aims to explore the role of social media in increasing brand awareness in Georgia. While there are numerous studies related to the use of the internet more broadly, social media is still a relatively young research field in Georgia. Existing research is limited to a few notable studies done by Georgian NGOs however, these studies predominantly focus on the safe use of social media and other aspects not related to branding. Although the topic of social media in relation to brand awareness is increasingly being addressed in foreign literature, research specific to the Georgian context appear to be missing. This thesis contributes to the literature by addressing the gap in research concerning the role of social media for brand awareness in Georgian.

The preface of this thesis outlines the research question, the motivation for the topic of research and the methodology applied. This is followed by an introduction of the "brand" definition applied, and a historical overview of the concept. With references to the literature, the thesis argues the importance of studying brands beyond the domain of marketing and to economics, from a sociological perspective, which will be the focus of this thesis. Aftert this, a presentation follows of the literature and theoretical framework concerning effective use of social media by businness.

In the analytical chapters, a qualitative analysis of 7 Georgian companies is carried out in order to explore the relationship between social media use and brand-awareness for the companies. This includes a content analysis of the companies' respective Facebook pages as well as interviews with 86 current and potential costumers of the selected companies. The findings of the analysis highlight the important role of social media in branding of Georgian companies, and sheds light on the similarities between the social media profiles and specific shortcomings in their social media strategies.

სარჩევი

შესავალი.....1

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა.....7

ბრენდი - განვითარების ისტორია.....7

ვინ ქმნის ბრენდს? 9

ბრენდინგი როგორც მარკეტინგის დისციპლინა 12

სოციალური მედიის როლი ბრენდის შერჩევის პროცესში.....14

სოციალური მედია მარკეტინგის გავლენის ზრდა მსოფლიოში 16

თავი 2. სოციალური მედია და ბიზნესი.....23

MySpace 24

YouTube.....25

Facebook 26

2.1. ინტერნეტის მოხმარება საქართველოში.....29

2.2. სოციალური მედია ეფექტიანობა.....32

თავი 3. კვლევის შედეგები.....35

3.1. თვისებრივი ანალიზის შედეგები 36

3.2. კომპანიათა Facebook გვერდების კონტენტ-ანალიზი 46

3.3. მომხმარებელთა თვისებრივი კვლევის შედეგები 62

დასკვნა.....65

ბიბლიოგრაფია 67

დანართი 1 69

დანართი 2 71

გამოსახულებებისა და დიაგრამების ჩამონათვალი

გამოსახულება 1 34

გამოსახულება 2 47

გამოსახულება 3 50

გამოსახულება 4 52

გამოსახულება 5 54

გამოსახულება 6 56

გამოსახულება 7 57

გამოსახულება 8 51

დიაგრამა 1 62

შესავალი

სოციალური მედია ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და განხილვის ინტერნეტსაშუალებაა. ნებისმიერ ვებგვერდს, რომელიც ხელს უწყობს მომხმარებლებს შორის ურთიერთობას და მათ შესაძლებლობას აძლევს, გააზიარონ კონტენტი, საკუთარი აზრი და შეხედულებები, შეიძლება ეწოდოს სოციალური მედია (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems , გვ. 3). სოციალური მედიის იდეაა, დაამყაროს კავშირი და გააძლიეროს მხარეებს შორის ნდობა. ნდობა და კეთილგანწყობა სოციალური მედია კავშირის ბაზისებია (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 2).

სოციალური მედიის ერთ-ერთი განმარტების მიხედვით: მედია მოიაზრებს ზოგადად, ყველაფერს, რასაც კავშირი აქვს რეკლამასთან და იდეების თუ ინფორმაციის გადმოცემასთან საგამომცემლო არხების მეშვეობით. სიტყვა „სოციალური“ კი - ხაზს უსვამს ინდივიდებს შორის ურთიერთობას, რაიმე ჯგუფში ან ერთობაში. ერთად აღებული ეს ორი ტერმინი გულისხმობს საკომუნიკაციო/საგამომცემლო პლატფორმას, რომელიც შექმნილია სპეციფიკური ინსტრუმენტების საშუალებით და ინდივიდებს შორის პერსონალური ინტერაქციისთვის გამოიყენება (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 3).

ამჟამად სხვადასხვა სოციალური მედიაპლატფორმები არსებობს. Andrea Kaplan და Michael Haenlein სოციალურ მედიას აღწერენ, როგორც ინტერნეტ აპლიკაციების ჯგუფს, რომელიც web 2.0-ის იდეოლოგიურ და ტექნოლოგიურ ბაზისებზეა შექმნილი და რომელიც ხელს უწყობს მომხმარებლის მიერ კონტენტის შექმნას და მის გაზიარებას (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 4). დღეს კონტენტს ქმნიან და აზიარებენ არა მხოლოდ ინდივიდები, არამედ კომპანიები, რომლებიც თავიანთ პროდუქტს ონლაინ, შუამავლის გარეშე, პირდაპირ მომხმარებელს აცნობენ.

სოციალური მედია, ეს თანამედროვე ტრენდია, ბიზნესისთვის კი ის ერთ-ერთი მარკეტინგული შესაძლებლობაა, რომელიც გამორიცხავს ტრადიციულ შუამავალს და კომპანიებს პირდაპირ მომხმარებლებთან აკავშირებს. სწორედ ამის გამო, პლანეტის თითქმის ყველა ბიზნესი, დაწყებული ისეთი გიგანტებით, როგორებიც ,,სტარბაქსი" და ,,აიბიემია", დამთავრებული ადგილობრივი სანაყინეებით, აქტიურად ნერგავენ სოციალურ მედიასტრატეგიებს (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 2).
ხშირად კომპანიები ქმნიან ცალკეულ განყოფილებებსაც, რომლებიც სოციალური მედიამარკეტინგის სტრატეგიაზეა პასუხისმგებელი.

სოციალური მედია მარკეტინგის სამი მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში რომ:

1) ის ქმნის შესაძლებლობას მარკეტოლოგებისთვის, რომ მათ არა მხოლოდ წარმოადგინონ თავიანთი პროდუქცია, არამედ მოუსმინონ მომხმარებლის რჩევებს და გაითვალისწინონ ისინი.

2) მარკეტოლოგებს ის უადვილებს ისეთი სამიზნე ჯგუფების მოძიების პროცესს, რომლებმაც შესაძლოა, მომავალში ბრენდის ზრდის პროცესში მიიღონ მონაწილეობა.

3) ნებისმიერი აქტივობა თითქმის ნულოვანი დანახარჯის პირობებში ხდება, რადგან, როგორც წესი, სოციალური მედიავებგვერდების უმეტესობა უფასოა (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 7).

სოციალური მედია დაბალბიუჯეტიანი ინტერნეტ/მობილური ინსტრუმენტია, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიას და სოციალურ ურთიერთობებს, სიტყვების (სიმბოლოების) გამოყენებით (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems , გვ. 4).
დღესდღეობით კომპანიები გაძლიერებული ძალებით ითვისებენ სოციალურ მედია მარკეტინგს. ელფოსტებისა და ვებსაიტების მსგავსად, სოციალური მედია ახალი ტალღაა მარკეტინგში (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 2).

გლობალური კომპანიები სოციალურ მედიას აღიქვამენ, როგორც პოტენციურ მარკეტინგულ პლატფორმას, თავიანთი სარეკლამო კამპანიების გასაძლიერებლად (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 2).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, თუ რატომ მოიხმარენ დღესდღეობით, როგორც მოსახლეობა, ისე ბიზნესწრეები სოციალურ მედიას ასე აქტიურად. აღსანიშნავია, რომ მობილური ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, სოციალური მედიაპლატფორმებიც ავითარებენ საკუთარ მობილურ ვერსიებსა თუ აპლიკაციებს, რაც ამ პლატფორმებზე კიდევ უფრო მეტი მომხმარებლის წვდომის პოტენციალს სახავს. რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთმა ამერიკელმა რედაქტორმა (Tim Nudd - პუბლიკაცია Adweek) საკუთარი თვითერის გვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის მასალას ეცნობა დღეში, დაინტერესებული ადამიანი სოციალურ მედია პლატფორმაზე. მისი თქმით, საშუალოდ მომხმარებელი 300 ფუტის ოდენობის მობილურ კონტენტს ათვალიერებს, რაც თავისუფლების ქანდაკების სიგრძეს უტოლდება (https://twitter.com/nudd/status/912669813406912512).

დღეისათვის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 70% კარგად იცნობს სოციალურ მედიასივრცეს (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 9). ხშირად მომხმარებლები ერთსა და იმავე სოციალურ მედიაპლატფორმას სხვადასხვა მოწყობილობაზე იყენებენ, რაც მათ ონლაინჩართულობას აძლიერებს. მაგალითად, მომხმარებლები სოციალური ქსელი Facebook-ის ვებვერსიის პარალელურად, ასევე მოიხმარენ მის მობილურ და პლანშეტის აპლიკაციებს. მომხმარებლების ნაწილი, ასევე სარგებლობს Facebook-ის მესენჯერის აპლიკაციით. სოციალური მედია ალბათ ყველაზე სწრაფი და მარტივი საშუალებაა, მომხმარებლების ნაკადის დასაკავშირებლად კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდთან. ეს მარტივად შეიძლება გაკეთდეს მაგალითად, სოციალურ მედია გვერდზე კომპანიის ვებგვერდის მისამართის მიბმით (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 11).

დიდი რაოდენობის მომხმარებლის მოზიდვის და გაყიდვების მაჩვენებლის პოტენციური ზრდის გარდა, სოციალური მედია ასევე მიმზიდველი ინსტრუმენტია ბრენდის იმიჯის შესაქმნელად; დღეს იგი ბრენდინგის ყველაზე სწრაფი და ძლიერი საშუალებაა (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 11).

ჩვენს ეპოქაში მარკეტოლოგებს განსაკუთრებით იზიდავს ბრენდის შექმნის ალტერნატიული გზები. დიდი ყურადღება ეთმობა ემოციურ მარკეტინგს, მათ შორის, როგორც რეალურ, ისე ონლაინ კავშირების შექმნას. (Keller, K. L. (2016, October 5). Brands and Branding: Research Findings and Future Priorities, გვ. 744).

ბიზნესისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მედიის ორი მხარე:

1. ხარჯების შემცირება, მუშახელის დროის შემცირების ხარჯზე
2. შემოსავლის მიღების ალბათობის ზრდა

სოციალური მედიის მეშვეობით, კომპანიებს საშუალება ეძლევათ:

1. გააზიარონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება
2. შეაღწიონ მომხმარებლის გონებაში

სოციალური მედია მომხმარებელს აძლევს საშუალებას, სხვა მომხმარებლებს დაეხმაროს. იგი, ასევე, ზრდის პოტენციური კლიენტების წრეს, სამომხმარებლო ევანგელისზმის[1] მეშვეობით, შესაბამისად, სოციალური მედიის უპირატესობებს შორისაა ბრენდზე წვდომისა და მისი ცნობადობის გაზრდა (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 4).

სოციალური მედიამარკეტინგი ეს სტრატეგიული და მეთოდოლოგიური პროცესია, რომლის მეშვეობით კომპანია აყალიბებს ბრენდის გავლენას და რეპუტაციას პოტენციურ მომხმარებლებს, მკითხველებსა და მხარდამჭერებს შორის (Neti, S. (2011)

[1] ტერმინი სამომხმარებლო ევანგელიზმი გულისხმობს სიტუაციას, როდესაც კომპანია იზიდავს მომხმარებლებს, რომლებიც იმდენად ძლიერ ენდობიან რომელიმე პროდუქტს, ისინი სხვებსაც მარტივად არწმუნებენ, გამოცადონ და შეიძინონ ეს პროდუქცია.

SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 5).

გლობალური ტენდენციის პარალელურად, დღითიდღე იზრდება ჩამონათვალი იმ ქართული კომპანიებისა, რომლებიც სოციალურ მედიას მარკეტინგული მიზნით აქტიურად მოიხმარენ. ასევე იზრდება იმ მომხმარებლების რიცხვი, რომლებიც ინფორმაციას კონკრეტული ბრენდის შესახებ სწორედ სოციალური ქსელებიდან იგებენ. საქართველოში ასეთ სოციალურ ქსელებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „Facebook"-ი. მას ქვეყნის მასშტაბით უამრავი, სხვადასხვა ასაკის მომხმარებელი ჰყავს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია დაადგინოს:

1. რა როლს ასრულებს საქართველოში სოციალური მედია ბრენდის ცნობადობის გაზრდაში?

2. რამდენად ზემოქმედებს მომხმარებელზე სოციალური მედია ბრენდის შერჩევისას?

3. ინტენსიურად გამოიყენება თუ არა საქართველოში ბრენდის შერჩევისას სოციალური ქსელები?

კვლევა წარმოშობს ახალ ცოდნას იმის შესახებ, თუ რა დადებითი მხარეები აქვს სოციალური მედიის გამოყენებას მარკეტინგში; რა ტენდენციები არსებობს ამ მხრივ მსოფლიოში და როგორი სურათია საქართველოში.

კვლევის ჰიპოთეზა: სოციალური მედია საგრძნობ გავლენას ახდენს საქართველოში ბრენდის ცნობადობის გასაზრდელ

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევა მოიცავს, როგორც ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილს, ასევე მომხმარებლების წრის გამოკითხვასა და ინტერვიუებს კონკრეტულ ადგილობრივ კომპანიებთან, რათა დადგინდეს, თუ რა სახის ინტერაქტიული დიალოგი არსებობს, ან შეიძლება არსებობდეს ბრენდსა და მომხმარებლებს შორის. კვლევა ასევე ითვალისწინებს კონკრეტული კომპანიების სოციალური მედია (Facebook) გვერდების თვისებრივ ანალიზს.

ინტერვიუ კვლევის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ფუნდამეტური მეთოდია. კვლევითი ინტერვიუს 4 სახიდან, აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, არასტრუქტურებული ინტერვიუს ტიპი შეირჩა, როგორც აკადემიური კვლევის ერთ-ერთი რელევანტური მეთოდი. კვლევის ფარგლებში მომზადდა სპეციალური კითხვარი, რომელიც 8 ქართულ კომპანიას გაეგზავნა ციფრულ ფორმატში. ასევე ონლაინ რეჟიმში გამოიკითხა 100 რესპოდენტი/მომხმარებლი.

შერჩევა:

საკვლევი პერიოდი მოიცავს 3 თვეს, 2017 წლის ოქტომბერ-დეკემბერს, ვინაიდან, ჩვენი დაკვირვებით ეს 3 თვე შესამჩნევად აქტიური იყო. ამ პერიოდში გამოკითხულ იქნა ადგილობრივი კომპანიები და მომხმარებლები. ასევე შესწავლილ იქნა კონკრეტული კომპანიების Facebook გვერდები და განხორციელდა კონტენტის სიღრმისეული ანალიზი.

სოციალური მედიას შორის შერჩეულ იქნა Facebook, როგორც საქართველოში ყველაზე ხშირად მოხმარებადი და პოპულარული სოციალური ქსელი.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ბრენდი - განვითარების ისტორია

ბრენდი - ეს სიტყვა ძალიან ხშირად გვესმის ბიზნესწრეებში, მედიასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბრენდის ერთიან განმარტებაზე თავად ექსპერტებიც კი ვერ თანხმდებიან და ხშირად თითოეული მათგანი საკუთარ განმარტებას, ან განმარტებასთან დაკავშირებულ ნიუანსებს გვთავაზობს, რაც ბრენდის ინტერპრეტაციას კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის.

თავად სიტყვა („brandr") ძველი სკანდინავიური ენიდან მომდინარეობს და წვას აღნიშნავს. ინგლისურ განმარტებებში სიტყვა „ბრენდი" თავდაპირველად აღნიშნავდა რაიმეს, რაც იყო ცხელი ან იწვოდა (Bulletin of the Transilvania University of Brasov. (2016) Series 7th, Social Sciences. Law. Vol. 9 (58) No. 2, გვ. 1).

XIX საუკუნეში, შეფუთული პროდუქციის განვითარების პარალელურად, ინდუსტრიალიზაციამ ბევრი ყოველდღიური მოხმარების საგნის (მაგალითად, საპონი) მცირე წარმოება ცენტრალიზებულ ქარხნებში გადაიტანა. ახალი შეფუთვის (არა ადგილობრივ) პროდუქტებს უნდა დაერწმუნებინა ბაზარი, რომ მომხმარებლებისგან ისინი ანალოგიურ ნდობას დაიმსახურებდნენ. ასეთ ბრენდებს შორის იყო მაგალითად: „Coca Cola", და „Juicy Fruit", რომლებიც დღევანდელ დღემდე მოვიდნენ. სხვადასხვა ბრენდების განვითარების ისტორიას თუ უფრო ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული ბრენდები უკვე 50 წელზე მეტია, არსებობენ (Bulletin of the Transilvania University of Brasov. (2016) Series 7th, Social Sciences. Law. Vol. 9 (58) No. 2, გვ. 139).

ბრენდები მსოფლიო სიმდიდრის 1/3 -ს შეადგენენ; ეს ბრენდის კომერციული განსაზღვრებაა, თუმცა, მსოფლიოს ზოგიერთი ყველაზე გავლენიანი და ცნობილი ბრენდები ისეთი არაკომერციული ორგანიზაციებია, როგორებიცაა მაგალითად, ოქსფამი და წითელი ჯვარი (Clifton, R. Simmons, J. (2003) Brands and Branding. The Economist, გვ. 2).

შეუძლებელია, უარვყოთ ის ეკონომიკური გავლენა, რაც ბრენდებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გააჩნიათ; მაგალითად, 2001 წელს, როდესაც ტაილანდის მთლიანი შიდა პროდუქტი $115 მილიარდს შეადგენდა, ორი ცნობილი ბრენდის (,,კოკა კოლა“ და ,,მაიქროსოფტი“) საერთო ღირებულება $134 მილარდს უტოლდებოდა (Clifton, R. Simmons, J. (2003) Brands and Branding. The Economist, გვ. 2). თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია ბრენდის განხილვა მარკეტინგის ჭრილს გარეთაც. ბრენდი არ არის მხოლოდ ეკონომიკას მიკუთვნებული ერთეული (Clifton, R. Simmons, J. (2003) Brands and Branding. The Economist, გვ. 3). დღეისათვის ,,ბრენდი“ უფრო და უფრო მეტად ხდება აკადემიური კვლევის საგანი. გარდა მენეჯერებისა და მარკეტოლოგებისა, ბრენდის ფილოსოფიას აქტიურად იკვლევენ სამეცნიერო წრეები. ინდუსტრიის ზრდასთან ერთად, მკვლევარები განიხილავენ ბრენდთან დაკავშირებულ მრავალ თემას. ასევე ბრენდის თემატიკაზე იქმნება ბევრი ნაშრომი, სტატია, კვლევა თუ წიგნი (Clifton, R. Simmons, J. (2003) Brands and Branding. The Economist, გვ. 1).

სხვადასხვა აკადემიურ ნაშრომში, ბრენდის ისტორიულ ჭრილში განხილვისას, ორი მთავარი მახასიათებელი - „კუთვნილება“ და „ხარისხი“ იკვეთება. ანუ ბრენდი არის ის, რაც ვინმეს/რაიმეს მიეკუთვნება და ხაზს უსვამს მის ხარისხს. ამერიკის მარკეტინგის ასოციაცია ბრენდს განმარტავს (1960), როგორც სახელს, ტერმინს, დიზაინს, სიმბოლოს ან მათ კომბინაციას შექმნილს იმ მიზნით, რათა მოახდინოს ერთი გამყიდველის ან გამყიდველთა კონკრეტული ჯგუფის პროდუქციის ან სერვისების იდენტიფიკაცია და პროდუქცია გამოირჩეს კონკურენტებისაგან (ან პოტენციური მომავალი კონკურენტებისაგან) (Maurya, U. K. Mirsha, P. (2012) What is Brand? A perspective on Brand Meaning. European Journal of Business and Management, გვ. 123).

ერთ-ერთი კლასიფიკაციის (Chernatony and Riley, 1998) მიხედვით ბრენდი იყოფა 12 თემატურ ნაწილად: ბრენდი, როგორც ლოგო; ბრენდი, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტი; ბრენდი, როგორც კომპანია; ბრენდი, როგორც „სტენოგრაფია“, ბრენდი, როგორც რისკის შემამსუბუქებელი ბერკეტი; ბრენდი, როგორც იდენტობის სისტემა; ბრენდი, როგორც სურათი მომხმარებლის გონებაში; ბრენდი, როგორც ღირებულებების სისტემა; ბრენდი, როგორც ინდივიდუალურობა; ბრენდი, როგორც კომუნიკაცია; ბრენდი, როგორც დამატებითი ღირებულება და ბრენდი, როგორც დროში

განვითარებადი ობიექტი (Maurya, U. K. Mirsha, P. (2012) What is Brand? A perspective on Brand Meaning. European Journal of Business and Management, გვ. 123).

არის შემთხვევები, როდესაც თავდაპირველად იქმნება მხოლოდ ბრენდი და ამის შემდეგ ხდება მისი პროდუქტად გარდაქმნა. ბრენდის პროდუქტად გარდაქმნის დროს დაისმის კითხვა: როგორი დიზაინი მოახდენს მომხმარებლებზე ყველაზე დიდ გავლენას? ეს შეიძლება იყოს: შეფუთვა, რეკლამა, პიარი, ფასი, პირადი გაყიდვები, გაყიდვების არხები და სხვა კორპორატიული ოპერაციები. ბრენდინგი გრძელვადიან პერიოდში კარგი საშუალებაა მომხმარებლის გონებაში ლოიალური იმიჯის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა, სადავოა მისი მოკლევადიანი ეფექტი. მარკეტინგული თვალსაზრისით, ბრენდინგი არ არის საუკეთესო საშუალება მოკლევადიან პესპექტივაში გაყიდვების გასაზრდელად (Maurya, U. K. Mirsha, P. (2012) What is Brand? A perspective on Brand Meaning. European Journal of Business and Management, გვ. 122).

ბრენდის სამართლებრივი შესატყვისი „სავაჭრო მარკაა“. ეკონომიკური თვალსაზრისით, ბრენდი ბაზრის სეგმენტაციის პირდაპირი შედეგია (Maurya, U. K. Mirsha, P. (2012) What is Brand? A perspective on Brand Meaning. European Journal of Business and Management, გვ. 122)

ბოლო ათწლეულში, ბრენდინგი მენეჯმენტის ტოპპრიორიტეტი გახდა, რადგან ბრენდი დღეს ყველაზე მოწყვლადი არამატერიალური აქტივია, რაც ფირმას შესაძლოა გააჩნდეს (Clifton, R. Simmons, J. (2003) Brands and Branding. The Economist, გვ. 1).

ვინ ქმნის ბრენდს?

ბრენდი პირდაპირი გამოცდილებაა, რაც მომხმარებელს პროდუქტთან აკავშირებს და ის უფრო მეტია, ვიდრე სახელი ან ნიშანი (Brands & Branding გვ. 5), შესაბამისად, მისი ინჟინერია არც ისე მარტივია და მრავალ ასპექტს მოიცავს. გავრცელებული შეხედულების მიხედვით ბრენდს ქმნის ის კომპანია, რომელსაც იგი მიეკუთვნება, თუმცა, რეალურად ბრენდს 4 ძირითადი ავტორი/შემქმნელი ჰყავს:

კომპანიები, მომხმარებლები, გავლენის მომხდენნი და პოპ-კულტურა (ტელევიზია, კინო, წიგნები, პრესა, ინტერნეტი, მასმედია) (Clifton, R. Simmons, J. (2003) Brands and Branding. The Economist, გვ. 150).

ბრენდზე პოპკულტურის ზემოქმედება კიდევ ერთხელ ცხადყოფს მისი განხილვისა და კვლევის აუცილებლობას არა მხოლოდ მარკეტინგული, არამედ სოციოლოგიური კუთხითაც.

დღევანდელ რეალობაში, ბრენდი გვხვდება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სპორტულ და რელიგიურ ცხოვრებაშიც კი. ასეთი ყოვლისმომცველობის გამო, ხშირად ის კრიტიკის საგანიც ხდება. პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში, სადაც ინდივიდებს, საკუთარი დანახარჯებისთვის სახელის მიკუთვნება სურთ, ბრენდი მრავალი კუთხიდან უნდა იყოს გაანალიზებული, იქნება ეს მაკრო და მიკროეკონომიკა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ისტორია, სემიოტიკა, ფილოსოფია თუ სხვა (Maurya, U. K. Mirsha, P. (2012) What is Brand? A perspective on Brand Meaning. European Journal of Business and Management, გვ. 122)

ნაშრომში „Brands and Branding" („ბრენდები და ბრენდირება") ვკითხულობთ, რომ ბრენდის კულტურა კოლექტიურად ყალიბდება და ასევე, კოლექტიურად ხდება მისი დეკომისიაც. ამგვარი ჯაჭვური ეფექტის გამო, ბრენდები მყარად ინარჩუნებენ პოზიციებს მანამ, სანამ მომხმარებლების კრიტიკული მასა არ ერთიანდება ამ კონვენციის შესაცვლელად (Holt, D. B. Brands and Branding. Cultural Strategy Group, გვ. 4).

Forbes-ის მიხედვით, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ბრენდებს შორის არიან:

#1) Apple

#2) Google

#3) Microsoft

#4) Facebook

#5) CocaCola

#6) Amazon

#7) Disney

#8) Toyota

#9) McDonald's

#10) Samsung

#11) General Electronics

#12) AT&T

#13) IBM

#14) Intel

#15) Cisco

#16) Nike

#17) Merzedes-Benz

#18) Oracle

#19) Verizon

#20) Louis Vuitton

ყველა მათგანი მომხმარებლის გონებაში იმდენად ძლიერ არის ჩაბეჭდილი, რომ ისინი პირდაპირ ასოცირდება ბრენდის წარმატებასა და სიძლიერესთან.

საქართველოში წარმატებული ბრენდებს მიეკუთვნება ისეთი სახელები, როგორებიცაა: „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“, „ლაღიძის წყლები“, „ხვანჭკარა“, „მეღვინეობა ხარება“, „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“, ,,ბარამბო“, „ზარაფხანა“ და სხვა. ეს ის ბრენდებია, რომლებიც ბაზარზე მრავალი წელია არსებობენ და ანალოგებს წარმატებით უწევენ კონკურენციას.

ბრენდები გამოხატავენ სტატუსს, ცხოვრების წესს, პოლიტიკას და მრავალ სასურველ სოციალურ იდენტობას. მაგალითისთვის, გავიხსენოთ, როგორ გახდა „Nike“ ამერიკული მიღწევების და შეუპოვრობის იდეალი 1990-იან წლებში, ან როგორ გახდა „Apple“, ახალი ეკონომიკის პროფესიონალების მხრიდან, შემოქმედებით და ლიბერტარიანული ღირებულებებთან ასოცირებული მეამბოხე ბრენდი (Holt, D. B. Brands and Branding. Cultural Strategy Group, გვ. 5).

ჩვენს საუკუნეში ბრენდებს შორის გაზრდილი კონკურენციის პირობებში კომპანიებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მომხმარებელთან სწორი კომუნიკაცია. თუმცა, ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, სხვადასხვა ბრენდის არსებობა მხოლოდ გაზრდილი კონკურენციით არ არის გამოწვეული.

ბრენდები იარსებებდნენ პროდუქტის რეკლამირებისა და პრომოუშენის არარსებობის შემთხვევაშიც კი. ასეთ რეალობაში, მომხმარებლები მაინც იპოვნიდნენ რაიმე განმასხვავებელ/დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს (სახელი, ფერი, ფორმა), რათა მოეხდინათ პროდუქტებისა და სერვისების იდენტიფიკაცია (Keller, K. L. 2016, October

5). Brands and Branding: Research Findings and Future Priorities. Marketing Science 25(6): 740-759. http://dx.doi.org/10.1287/mksc.1050.0153, გვ. 750).

ამჟამად სოციალური მედიაპლატფორმების საშუალებით არამხოლოდ კომპანიები ამყარებენ კომუნიკაციას მომხმარებელთან, არამედ მომხმარებლებიც ურთიერთობენ სასურველ ბრენდთან.

მომხმარებლები ბრენდთან კომუნიკაციას თანამედროვე გზებით ახორციელებენ. ხშირად ეს ხდება მედიაარხების საშუალებით, რომლებიც მწარმოებლებისა და გამსაღებლების კონტროლს მიღმაა, რაც წარმოშობს იმის საჭიროებას, რომ ტრადიციული მარკეტინგული სტრატეგიები შეიცვალოს ბრენდთან მომხმარებლის დამოკიდებულების მიხედვით (Edelman, D. C. (2010) Branding in the Digital Age. You're Spending Your Money in All the Wrong Places, Harvard Business Review, გვ. 1) მომხმარებლის დამოკიდებულებაზე საუბრისას აღსანიშნავია ბრენდინგის, როგორც მარკეტინგის დისციპლინის მნიშვნელობა და მისი განვითარება.

ბრენდინგი, როგორც მარკეტინგის დისციპლინა

ბრენდინგის, როგორც მარკეტინგის დისციპლინის კვლევა აქტიურად 1970-იან 1980-იან წლებში დაიწყო. 70-იან წლებამდე ბრენდინგი მასიურ წარმოებასთან ასოცირდებოდა და კომპანიები ბრენდის რეკლამას მხოლოდ იმისთვის იყენებდნენ, რომ საკუთარი პროდუქცია ხარისხითა და ფუნქციებით განესხვავებინათ. 1970-იან 1990-იან წლებში კი კომპანიებმა წინ წამოწიეს ისეთი არამატერიალური ღირებულებები, რომლებსაც კონკურენტებისგან განსხვავებით მხოლოდ მათი პროდუქცია სთავაზობდა მომხმარებელს. ამ პერიოდის ბრენდები ჩამოყალიბდნენ, როგორც ამბის მთხრობელი ბრედნები (storytelling brands), რომელთაც მომხმარებლის გონებაში რაიმე აზრი უნდა შესძენოდათ (Hampf, A. Lidberg-Repo, K. (2011) Branding: The Past, Present and Future. A study of Evolution and Future of Branding. Hanken School of Economcs Working Papers, გვ. 4)

ბრენდის განვითარების ისტორიას თუ ჩავუღრმავდებით, უკეთ დავინახავთ, თუ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა მან ოცწლიან შუალედში, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, 90-იან წლებამდე.

70-იანი წლებიდან მოყოლებული, განიხილებოდა ბრენდის შემეცნებითი მოდელი (mind-sharing branding) რომელიც მენტალურ ასოციაციებზეა დამყარებული (სხვაგვარად - positional branding). 1990-იანი წლებიდან ეს მოდელი ემოციურ ბრენდინგად (emotional branding) გარდაიქმნა. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად კი - გაჩნდა ე.წ ვირუსული ბრენდინგი (viral branding). სადღეისოდ ეს სამი მოდელი, ბრენდინგის ყველა შესაძლო მცდელობას აერთიანებს, იქნება ეს აგენტების, კონსულტანტების, თუ კომპანიის მფლობელების მიერ განხორციელებული ბრენდინგი (Bulletin of the Transilvania University of Brasov. (2016) Series 7thL Social Sciences. Law. Vol. 9 (58) No. 2, გვ. 140)

ჩვენს საუკუნეში ინტერნეტმა შეცვალა მომხმარებლის დამოკიდებულება ბრენდთან. დროსთან ერთად, ასევე, უფრო და უფრო ნაკლებად დგება ეჭვქვეშ ციფრულ არხებთან ნდობის საკითხი. დღევანდელი მომხმარებელი ციფრულ ინტერაქციებს ენდობა, განიხილავს შემოთავაზებულ ვარიანტებს და ბრენდთან ურთიერთობას სოციალური მედიის საშუალებით პროდუქტის შეძენის შემდეგაც აგრძელებს. გონიერი მარკეტოლოგები სწავლობენ მომხმარებლის განვლილ გზას გადაწყვეტილების მიღებამდე და მიღებული შედეგების მიხედვით მოდიფიცირებას უკეთებენ სტრატეგიას, მედიადანახარჯებსა და ორგანიზაციულ როლებს (Edelman, D. C. (2010) Branding in the Digital Age. You’re Spending Your Money in All the Wrong Places, Harvard Business Review, გვ. 1)

მიიჩნევა, რომ სოციალურ მედიას ბრენდის ,,ჰუმანური სახის“ საუკეთესოდ ჩვენება შეუძლია; ამის გამო, მომხმარებლების ნაწილი დიდ ყურადღებას უთმობს ბრენდების სოციალურ გვერდებს. ჟურნალი ,,თაიმსი“ გვამცნობს, რომ მილენიალები უფრო მეტ ინვესტიციას დებენ სოციალურ მედიაში, ვიდრე რაიმე სხვაში, რასაც მათ მთავრობა, ბიზნესი, თუ რელიგიური ინსტიტუტები სთავაზობენ (How to Preserve Brand Health in Social Media. White Paper (2015), გვ. 4)

სოციალურ მედიას ბრენდზე დღეს უდაოდ დიდი ეფექტის მოხდენა შეუძლია; ის საუკეთესო საშუალებაა, პოტენციური მომხმარებლების ბრენდთან დასაკავშირებლად. სოციალური მედია მარკეტინგი კი, ასევე ერთ-ერთი მიღებული სტრატეგიაა რიგი ბრენდებისთვის Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems. გვ 1).

სოციალური მედიის როლი ბრენდის შერჩევის პროცესში

მაშინ, როდესაც სამყარო დიდი არჩევნის საშუალებას იძლევა, რთულია განვსაზღვროთ, თუ რომელი მათგანი მოგვიტანს საუკეთესო შედეგს.

ერთ-ერთი თანამედროვე მოდელის მიხედვით (McKinsey Quarterly, David Court), მომხმარებელი პროდუქტის დაუფლებამდე 4 ეტაპს გადის:

შერჩევა (Consider) - ამ ეტაპზე მომხმარებელი შესაძლო ვარიანტებად ბევრ ბრენდს მოიაზრებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში მედიის ზეგავლენით მალევე ახდენს მათ გაფილტვრას.

შეფასება (Evaluate) - ამ ეტაპზე მომხმარებლის მიერ საწყის ეტაპზე შერჩეული ვარიანტები შესაძლოა გაფართოვდეს, რადგან მომხმარებელი ხშირად ეძებს რჩევას შემფასებლებისა და მწარმოებლებისგან (რაც, თავისთავად, ახალ იდეებსა და ვარიანტებს წარმოშობს).

შეძენა (Buy) - მომხმარებლების მზარდი რაოდენობა პროდუქტის შეძენის საბოლოო გადაწვეტილებას არ იღებს მანამ, სანამ რეალურად მაღაზიაში არ აღმოჩნდება. ამ ეტაპზე გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: შეფუთვა, ხელმისაწვდომობა და ფასი.

სიხარული და შეკავშირება (Enjoy, advocate, bond) - მას შემდეგ, რაც მომხმარებელი რომელიმე ბრენდზე გააკეთებს არჩევანს და კონკრეტულ პროდუქტს შეიძენს, იწყება უფრო ღრმა კავშირი მასსა და ბრენდს შორის. მომხმარებელი აყალიბებს ურთიერთობას ბრენდთან, მათ შორის ონლაინ ურთიერთობას. კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლების 60%-ზე მეტი, რომლებმაც (ერთ-ერთი ბრენდის) კანის მოვლის საშუალებები შეიძინეს, პროდუქციის შეძენის შემდეგაც აწარმოებდნენ მის შესახებ ონლაინ კვლევას. თუ მომხმარებელი კმაყოფილი რჩება შენაძენით, ის რეკომენდაციას უწევს ამ პროდუქტს

Edelman, D. C. (2010) Branding in the Digital Age. You're Spending Your Money in All the Wrong Places, Harvard Business Review, გვ. 3).

ბრენდის ელემენტების შერჩევისას მომხმარებელზე მრავალგვარი კრიტერიუმი ახდენს გავლენას, მაგალითად, როგორებიცაა: ადვილად დამახსოვრებადობა, აზრიანობა, ესთეტიკა, მოქნილობა (პროდუქტის კატეგორიებს შორის, ასევე, გეოგრაფიულ/კულტურულ საზღვრებსა და ბაზრის სეგმენტებს შორის), დროში ადაპტაციის უნარი და სამართლებრივად მართებულობა, ასევე, ბრენდის კონკურენტუნარიანობა (Holt, D. B. Brands and Branding. Cultural Strategy Group, გვ. 5) ბრენდის ესთეტიკაში, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ვიზუალური მხარე გაიაზრება, ამიტომაც დიდი ყურადღება ეთმობა ვიზუალს - ლოგოსა და შეფუთვას (Holt, D. B. Brands and Branding. Cultural Strategy Group, გვ. 5).

Sheth et al. (1991) ბრენდს აღწერს, როგორც ღირებულებათა სისტემას. განმარტების მიხედვით, ბრენდის არჩევის გადაწყვეტილება განისაზღვრება ხუთი ძირითადი ღირებულებით:

- ფუნქციური ღირებულება - პროდუქციის ხარისხი სხვა ალტერნატივებთან შედარებით.
- სოციალური ღირებულება - სურვილი, დავაკმაყოფილოთ სხვები; ვიყოთ მიღებული სოციუმში/საზოგადოებაში.
- ემოციური ღირებულება - გამოიხატება გადაწყვეტილებებში, რომელთა მიღება გრძნობებზე და ესთეტიკაზე დაყრდნობით ხდება.
- ეპისთემიკური ღირებულება - უკავშირდება ნოვაციური ცოდნის მიღების სურვილს (მაგალითად, ადამიანი, რომელიც საკუთარ სმარტფონს ცვლის უახლესი მოდელის სმარტფონზე, რათა პირველი გაეცნოს ახალი ნივთს).
- პირობითი ღირებულებები - ეს ღირებულებები სხვადასხვა სიტუაციაზე და მოვლენაზეა დამოკიდებული (მაგალითად, შობა, ქორწილი და ა.შ). ეს ღირებულებები აერთიანებს სოციო-ეკონომიკურ და ფიზიკურ ასპექტებს (Modelling brand value from the consumer perspective: Evidence from the high-tech Brandscape in Saudi Arabia, გვ. 2).

დღევანდელი სოციალური მედიაპლატფორმები იძლევა შესაძლებლობას, მრავალმხრივ წარმოჩნდეს ბრენდის ღირებულებები, იქნება ეს ბრენდის აუდიო, ვიზუალური თუ ტექსტური მეთოდებით წარმოდგენა, ციფრული თხრობის ახალი გზების გამოყენება თუ სხვა. დღეს სოციალური მედიაპლატფორმები თითქმის ამოუწურავ შესაძლებლობებს ქმნის, რაც, ერთი მხრივ, მარკეტოლოგებს აძლევს ლავირების ფართო საშუალებას, მეორეს მხრივ, ზრდის მომხმარებლის მოლოდინებს და უბიძგებს მას აირჩიოს ის ბრენდი, რომელიც ყველაზე მეტად მოახდენს მასზე შთაბეჭდილებას. ამგვარი გაძლიერებული შეჯიბრის დროს მომხმარებელზე შთაბეჭდილების მოხდენის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი ინოვაციებზე გადის; მნიშვნელოვანია, კომპანიებმა ინოვაციური მეთოდებით მიაწვდინონ მომხმარებელს ხმა, სოციალური მედიაპლატფორმები კი, ყველაზე უკეთ იტევენ ინოვაციურობის კომპონენტს. გლობალური კომპანიები სოციალურ მედიამარკეტინგს აღიარებენ, როგორც პოტენციურ მარკეტინგ პლატფორმას, რათა ინოვაციების მეშვეობით გააძლიერონ საკუთარი სარეკლამო კამპანიები (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 1). დღეს აღარავინ იყენებს მოძველებულ მარკეტინგულ მეთოდებს. მარკეტოლოგებმა იციან, რომ მოძველებული მეთოდების გამოყენებით ბიზნესს ვერ შეინარჩუნებენ (Edelman, D. C. (2010) Branding in the Digital Age. You're Spending Your Money in All the Wrong Places, Harvard Business Review, გვ. 3).

მრავალი კვლევა მეტყველებს მარკეტინგში სოციალური მედიის აქტუალობასა და მის გავლენაზე. დღეს კომპანიები ელვის სისწრაფით ითვისებენ სოციალურ მედიასტრატეგიებს (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems. გვ. 4).

სოციალური მედიამარკეტინგის გავლენის ზრდა მსოფლიოში:

5 კომპანიიდან 1 აქტიურად იყენებს სოციალურ მედიას, როგორც მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილს. 2009 წელს კომპანიების მხოლოდ 23% იყენებდა სოციალურ მედიას. ქვემოთ ასახულია, თუ როგორ იყენებენ მცირე ბიზნესები სოციალურ მედიას:

1. 75%-ს აქვს კომპანიის გვერდი სოციალურ ქსელში
2. 69% ანახლებს სტატუსს და ათავსებს სტატიებს სოციალურ ქსელში
3. 57% აყალიბებს ურთიერთობებს ვებგვერდით LinkedIn
4. 54% იღებს შეფასებებს ბიზნესის შესახებ, სოციალური მედიის საშუალებით
5. 39% აწარმოებს ბლოგს
6. 26% დებს თვითებს (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 5).

ნაშრომში „Social Media and Its Role in Marketing" („სოციალური მედია და მისი როლი მარკეტინგში") ასევე ვკითხულობთ, რომ სოციალური მედია მარკეტინგის იდეა ბრენდის ხასიათის ჩამოაყალიბებაა. სოციალური მედია მარკეტინგი უნდა დაეხმაროს ბრენდს, დაამყაროს კონტაქტები, რომლებსაც იგი სხვაგვარად ვერ დაამყარებდა. ეს მოიზიდავს არა მხოლოდ ისეთ მომხმარებელს, რომელიც ხშირად იძენს პროდუქტს, არამედ განაპირობებს ზოგად ლოიალურობას ბრენდის მიმართ (Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 7).

მართალია სოციალური მედიის გამოყენება წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს კომპანიებისათვის, თუმცა, ის ასევე წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ რისკებს.
ხშირია შემთხვევები, როდესაც არაკეთილმოსურნეები ბრენდის სახელს ყალბი ანგარიშის შესაქმნელად იყენებენ. მნიშვნელოვანია კომპანია აკონტოლებდეს, თუ რა ვრცელდება მისი პროდუქციისა და ბრენდის შესახებ სოციალურ მედიაში. ბრენდის ლოგოსა და ფოტოების გამოყენებამ შესაძლოა მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს ამგვარმა თაღლითობამ ბრენდს შესაძლოა, სერიოზული საფრთხე შეუქმნას. ასევე, მეტად სავარაუდოა, მომხმარებლებმა დაკარგონ ნდობა ბრენდის მიმართ (How to Preserve Brand Health in Social Media. White Paper (2015), გვ. 3). უფრო და უფრო მეტი კომპანია ქმნის საკუთარი ბრენდის ოფიციალურ გვერდს სოციალურ მედიაში, თუმცა, არ ამოწმებს, არის თუ არა მათი ბრენდის სახელით დარეგისტრირებული ყალბი ანგარიშები (How to Preserve Brand Health in Social Media. White Paper (2015), გვ. 4).

მნიშვნელოვანია კომპანიის სოციალური მედიამარკეტინგის განყოფილება რეგულარულად ახდენდეს ყალბი ანგარიშების მონიტორინგს.

ნაშრომი „How to Preserve Brand Health in Social Media“ („როგორ შევინარჩუნოთ ბრენდის სიჯანსაღე სოციალური მედიის პირობებში“) გვირჩევს, რომ როდესაც სოციალურ მედიაში ვქმნით ჩვენი ბრენდის გვერდს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავრწმუნდეთ, რომ გვერდი ოფიციალურია, ანუ მისი დარეგისტრირება ოფიციალური სტატუსის ქვეშ უნდა მოვახდინოთ. ზოგიერთი სოციალური მედია პლატფორმა ლეგიტიმურობის ონლაინდადასტურების შესაძლებლობას იძლევა. ასევე მნიშვნელოვანია, ბრენდის ოფიციალური ვებგვერდი შეიცავდეს ბრენდის სოციალურ მედია გვერდებთან დამაკავშირებელს ბმულებს (How to Preserve Brand Health in Social Media. White Paper (2015), გვ. 4).

მარკეტოლოგებისთვის სოციალური მედიის მოხმარების კიდევ ერთი მიმზიდველი მხარე დიდი მოცულობის მონაცემების სწრაფად შეგროვების შესაძლებლობაა, თუმცა, მნიშვნელოვანია, მათ სწორად გამიჯნონ საჯარო და პირადი ინფორმაცია/მონაცემები.

ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც კომპანიები ირჩევენ სოციალურ მედიამარკეტინგს, არის ის, რომ მათ შეუძლიათ, შეაგროვონ დიდი რაოდენობით ნამდვილი, უახლესი და აქტუალური მონაცემები ყველა სახის მომხმარებელზე, შესაბამისად, ისინი შეძლებენ მომხმარებლების მიზნობრივი ჯგუფების გამოვლენას და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას (Sarabdeen, J. (2014). Legal Risks in Social Media Marketing, გვ. 1).

სოციალური მედიააქტივობები დიდი მოცულობის პირად მონაცემებთან წვდომის საშუალებას იძლევა და ეს მონაცემთა ბაზის შესაქმნელად გამოიყენება. მომხმარებელთა მონაცემთა ბაზის შედგენა შეიძლება ყველაზე კარგი საშუალება იყოს, რათა კომპანიებმა მომხმარებლებს საუკეთესო სერვისი შესთავაზონ, თუმცა, ბიზნესმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს პირადი მონაცემების დაცვისა და მისი გამოყენების ნებართვის საკითხი (Sarabdeen, J. (2014). Legal Risks in Social Media Marketing, გვ. 1).

ამგვარ პირად მონაცემებში იგულისხმება ტელეფონის ნომრები, ელფოსტისა და საცხოვრებელი მისამართები, რომლებიც ხშირად სოციალური მედიის ბევრ

მომხმარებელს თავიანთ პირად გვერდზე ღიად აქვს მითითებული. მარკეტოლოგებმა, რომლებიც სოციალურ მედიას მარკეტინგული მიზნებისათვის იყენებენ, შეუძლიათ შეაგროვონ ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლები თანახმა არიან (Sarabdeen, J. (2014). Legal Risks in Social Media Marketing, გვ. 4). ამ ინფორმაციის ნებართვის გარეშე, მარკეტინგული მიზნებისთვის გამოყენებისას, ირღვევა არა მხოლოდ პირადი ინფორმაციის დაცვის არამედ რეკლამირების (promotion) კანონიც (Sarabdeen, J. (2014). Legal Risks in Social Media Marketing, გვ. 4).

პირადი ინფორმაციის გამოყენება ნებისმიერი ფორმით, ვადებისა და პირობების მითითების ან იმის ხსენების გარეშე, რომ შეგროვებული ინფორმაცია შესაძლოა კომპანიის მონაცემთა ბაზაში შევიდეს, ბევრ ქვეყანაში კონფიდენციალურობის კანონს არღვევს (Sarabdeen, J. (2014). Legal Risks in Social Media Marketing, გვ. 5).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი ნინო ენუქიძე, საკუთარ სადოქტორო ნაშრომში „სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში“ აღნიშნავს, რომ „ბრენდინგი სოციალურ მედიაში ეფექტურია ყველა ეტაპზე. ბრენდის ცნობადობის ეტაპიდან, WOM (Word of Mouth Marketing) მარკეტინგამდე. მის ეფექტურობას მსოფლიოს არაერთი კველვა განიხილავს“.

2011 წელს, ამერიკის მარკეტინგის ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ ჟურნალში, ვრცელი სტატია დაეთმო Facebook-ის „მოწონების ღილაკის“ გავლენას. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ავტორები აცხადებენ, რომ გამოკვლეული 500 კომპანიიდან 83% მომხმარებელთან ურთიერთობას სოციალური მედიის საშუალებით ახორციელებს. მეტიც, კვლევები ცხადყოფს, რომ მომხმარებელი დამოკიდებულია სოციალურ მედიაზე მაშინ, როდესაც მისთვის უცნობი ბრენდის შესახებ ინფორმაციის მოძიება სურს. კვლევა, რომლის მიზანი იყო ბრენდის ელექტრონული მხარდამჭერების დემოგრაფიული იდენტიფიცირება, აჩვენებს, რომ დემოგრაფიული ნიშნით მომხმარებლის ქცევა იცვლება სოციალურ მედიასივრცეში. შესაბამისად, მკვლევრები ურჩევენ კომპანიებს იხელმძღვანელონ ელექტრონული მხარდამჭერების

დემოგრაფიული ნიშნით და ინდენტიფიცირება გაუკეთონ ბრენდს ასეთი ტიპის მომხმარებელთან (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 13).

ამავე ნაშრომში ენუქიძე საუბრობს, რომ საქართველოში სოციალური მედიასივრცის გამოყენების განსხვავებული, თავისებური ფორმა და ტენდენციები არსებობს. ორგანიზაციები სხვადასხვა სოციალურ მედიაარხებს შორის, სოციალურ ქსელ - Facebook-ს ანიჭებენ უპირატესობას, თუმცა სოციალური ქსელის მართვის კამპანიის დაგეგმვის, შეფასების და კონტროლის საშუალებები განსხვავებული და ხშირად არაგეგმიურია (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 16).

ნინო ენუქიძე საკუთარ ნაშრომში აღნიშნავს, რომ სოციალური მედიის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც ცდილობენ ფართო აუდიტორიისთვის მარკეტინგული მესიჯის მიწოდებას მინიმალური დანახარჯით და ბრენდის პოზიციონირებას ბაზარზე და რომ ტრადიციული მედია არხები - ტელევიზია და რადიო, ბეჭდური მედია, გარე რეკლამა და სხვა, ეფექტური და საინტერესო კომუნიკაციის საშუალებაა, თუმცა, მათი წვდომა მიზნობრივ აუდიტორიასთან არაერთგვაროვანი და არაგეგმიურია (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 2).

ავტორი დეტალურად განიხილავს ქართული კომპანიების მხრიდან სოციალური მედიის მოხმარების თავისებურებებს და აღნიშნავს, რომ ქართული კომპანიების სტრატეგიები ხშირ შემთხვევაში განსხვავდება უცხოური ანალოგებისგან.

სოციალურ მედიაში აქტიური კომპანიები განსხვავებულად აღიქვამენ ამ პლატფორმას და მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მომხმარებლის მოლოდინი და კომპანიის მიერ სოციალურ მედიასივრცეში გადადგმული ნაბიჯები, რიგ შემთხვევებში, წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. შედეგად მარკეტინგული ძალისხმევა არამიზნობრივია (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 3).

ნაშრომში ენუქიძეს ასევე მოჰყავს ისეთი ქართული არსამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული მასალები, როგორებიცაა: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“.

2009 წელს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი აქვეყნებს საქართველოს მედიის სიღრმისეულ კვლევას. კვლევის თანახმად, საქართველოში მედია მოსახლეობის უფრო დიდი ნდობით სარგებლობს, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. საქართველოში გამოკითხული რესპოდენტების 47% ნაწილობრივ, ან სრულად ენდობა მედიას (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 19).

ამავე ნაშრომში საუბარია, რომ 2011 წლის დეკემბერში, ,,საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო“ აქვეყნებს საქართველოს სარეკლამო ბაზრის კვლევას, რომელშიც საყურადღებოა სარეკლამო დანახარჯების წილი სხვადასხვა მედიასაშუალებებზე. საქართველოში სარეკლამო დანახარჯების უდიდესი ნაწილი, 78% - ძირითადად, ,,რუსთავი 2“ და ,,იმედის“ ტელევიზიებზე ნაწილდება (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 21).

აღნიშნული კვლევა მიუთითებს იმაზე, რომ ქართულ კომპანიებს გარკვეული, სკეპტიკური დამოკიდებულება გააჩნიათ ონლაინ რეკლამის, ამ შემთხვევაში სოციალურ მედიაში რეკლამის მიმართ და რესურსების უდიდეს ნაწილს ტრადიციულ მედიაში რეკლამირებაში აბანდებენ, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საკვლევი პერიოდი 2011 წლიდან დღევანდელ დღემდე გრძელვადიან ფანჯარას ტოვებს.

საკუთარ ნაშრომში ენუქიძე აღნიშნავს იმასაც, რომ ინტერნეტმომხმარებელთა რიცხვი გაცილებით სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე იმ კომპანიების რიცხვი, რომელიც ინტერნეტს რეკლამის განსათავსებლად იყენებს (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 21). „საერთოშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ გაანგარიშებით, 2010 წელს ინტერნეტ რეკლამებზე გაწეული დანახარჯები 0,5 და 1 მილიონ აშშ დოლარს შორის მერყეობდა (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი

ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 22).

თუკი „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ 2011 წლის კვლევას გავეცნობით, დავინახავთ, რომ მიუხედავად ტრადიციულ მედიაში რეკლამირებაზე დახარჯული რესურსებისა, ქვეყანაში სოციალური მედია პლატფორმები კვლავ ყველაზე ხშირად მოხმარებულ ვებგვერდებს შორისაა.

2011 წლის მედიის კვლევის მიხედვით საქართველოში ყველაზე პოპულარულ ინტერნეტ-გვერდებს სოციალური ქსელები წარმოადგენს. საქართველოში წამყვან სოციალურ ქსელს Facebook წარმოადგენს. საქართველოს სამთავრობო ინსტიტუტები, პოლიტიკოსები და მცირე თუ საშუალო ზომის კომპანიები საკუთარი საქმიანობისა და ნაწარმის რეკლამირებას Facebook-ის საშუალებით ახდენენ. მაგალითად, საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში ფეისბუქზე განთავსებულ რეკლამებზე 27 338 ლარი დახარჯა (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 22).

სოციალური მედიის მოხმარების სიხშირის ზრდა, რა თქმა უნდა, პირდაპირ ასოცირდება ქვეყანაში ინტერნეტმომხმარებლების სტატისტიკის ზრდასთან. საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება დღეს ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს საქართველოში ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი.

თავი 2. სოციალური მედია და ბიზნესი

სოციალურმა მედიამ შექმნიდან დღემდე მრავალგვარი ტრანსფორმაცია განიცადა. ჩვენს პერიოდში სოციალური მედია ადამიანური კომუნიკაციის მრავალ ასპექტსა და ასევე, ბიზნესზეც ახდენს გავლენას (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 3).

მოყოლებული 2000 წლიდან დღემდე, ბევრი სოციალური მედიაპლატფორმა შეიქმნა იმ მიზნით, რომ გაადვილებულიყო კომუნიკაცია იმ ადამიანებს შორის, რომლებიც საერთო ინტერესებს იზიარებდნენ. ასეთ ინტერესებს, როგორც წესი, წარმოადგენდა: მუსიკა, განათლების სფერო, კინო და ა.შ. ამ ყველაფერმა აგრეთვე იმოქმედა იმაზე, თუ როგორ დაიწყო სხვადასხვა ბიზნესმა საკუთარი პროდუქციის რეკლამირება (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 3).

არსებობს არაერთი ვერსია, თუ როგორ დაიბადა სოციალური მედია. სოციალური ქსელების მასიური გამოჩენა 1990-იან წლებთან ასოცირდება. ასეთი ქსელების მაგალითებს წარმოადგენს: ,,Six Degress", ,,BlackPlanet" და ,,Asian Avenue". ეს ონლაინ სოციალური ვებგვერდები იყო, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან ინტერაქცია ვებ საკონტაქტო სიაზე დაყრდნობით შეეძლოთ განეხორციელებინათ (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 3). ცხადია, დღესდღეობით, უფრო და უფრო ნაკლები ადამიანი სარგებლოს ამგვარი პლატფორმებით, რადგან ისინი შემდგომში შექმნილმა ცნობილმა ანალოგებმა ჩაანაცვლა.

90-იანი წლები მიმზიდველი პერიოდი იყო, ასევე, ბლოგერებისთვის. ამ პერიოდში აქტიურად ვითარდებოდა სხვადასხვა ბლოგი, მაგალითად, ,,Blogger" და ,,Epinions". ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ვებგვერდს, სადაც მომხმარებლებს შეეძლოთ გაცნობოდნენ კონკრეტულ პროდუქციას და შეეფასებინათ იგი. 90-იან წლებშივე შეიქმნა აპლიკაციები ,,ThirdVoice" და ,,Napster", რომლებიც დღეს აღარ არსებობს ბაზარზე. ,,ThirdVoice" წარმოადგენდა უფასო დანამატს, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევდა, დაეტოვებინა კომენტარები ვებგვერდზე. აპლიკაციის კონკურენტები ხშირად დავობდნენ იმაზე, რომ დატოვებული

კომენტარები ხშირ შემთხვევაში ვულგარული ან ცილისმწამებლური იყო. ,,Napster“ მასალების გასაზიარებელ სერვისს წარმოადგენდა. მისი საშუალებით მომხმარებლებს შეეძლოთ, ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ მუსიკა, ჩვეულებრივი მიწოდების გზების გვერდით ავლით, რაც შემდგომში საკუთრების უფლების დარღვევად იქნა მიჩნეული (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 3).

2000 წელს სოციალურმა მედიამ განვითარების ახალ ტალღას მიაღწია. ამ პერიოდში მრავალი ახალი სოციალური ქსელი გამოჩნდა ასპარესზე. ასეთ პლატფორმებს შორის იყო: ,,LunarStorm“, ,,six degress“, ,,cyworld“, ,,ryze“ და ,,Wikipedia“ (The History of Social Media and it's Impact on Business გვ. 1). 2003 წელს გამოჩნდნენ ისეთი ცნობილი პლატფორმები, როგორიცაა ,,MySpace“, ,,LinkedIn“, ,,lastFm“, ,,tribe.net“, ,,Hi5“ და ა.შ. 2004 წელს კი - ,,Facebook Harvard“, ,,Dogster“ და ,,Mixi“ (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 4).

MySpace

შექმნის დღიდან, ისევე, როგორც ყველგან, საქართველოშიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა პლატფორმა ,,MySpace“-ი. ,,MySpace“-ი სოციალური ქსელია, რომლის სათაო ოფისი, აშშ-ში, კალიფორნიის შტატში, კერძოდ, ბევერლი ჰილსშია განთავსებული. ის ეკუთვნის კომპანია ,,News Corporation“-ს (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 5). ,,MySpace"-ით ხშირად სარგებლობდნენ მუსიკალური ბენდები, რომლებიც საკუთარ ანგარიშსა და გვერდს ქმნიდნენ და ამ გზით ფართო აუდიტორიას საკუთარ შემოქმედებას უზიარებდნენ, თუმცა, აქ ნაკლებად შეხვდებით კონკრეტული ბრენდების გვერდებს, რომლებიც ამ გზით პროდუქციის აგიტაციას ეწევიან.

მუსიკალური ბენდებისთვის ასევე მიმზიდველი გახდა პლატფორმა ,,YouTube“, თუმცა, ის არა მხოლოდ ბენდებისთვისაა, გამოსადეგი, არამედ დღესდღეობით, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში, ყველაზე პოპულარული ვიდეო ვებგვერდია. მასზე წუთში 300 საათის ხანგრძლივობის ვიდეო ფაილები იტვირთება

(https://fortunelords.com/youtube-statistics/), შესაბამისად, მარტივია საუბარი იმაზე, თუ რა სახის ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მას აუდიტორიაზე, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში.

YouTube

,,YouTube"-ი 2005 წელს დაარსდა. ის წარმოადგენს პლატფორმას, სადაც მილიონობით ადამიანს შეუძლია აღმოაჩინოს, უყუროს და გააზიაროს ვიდეომასალები. ,,YouTube"-ი უზრუნველყოფს ფორუმს მომხმარებლებისათვის, რათა ისინი შეკავშირდნენ, მიიღონ ინფორმაცია ერთმანეთისაგან და მისცენ შთაგონება მსოფლიოს სხვა ადამიანებს. ის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სადისტრიბუციო პლატფორმას ინდივიდებისათვის, რომლებიც თავად ქმნიან კონტენტს, ან მუშაობენ სარეკლამო სფეროში, იქნება ეს დიდი, თუ პატარა კომპანიები. მისი მთავარი ოფისი კალიფორნიაში მდებარეობს. პლატფორმა ,,Adobe Flash Video" ტექნოლოგიას იყენებს იმისთვის, რომ უზრუნველყოს მომხმარებლების მიერ ატვირთული ვიდეომასალების ჩვენება (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 5).

შექმნიდან ერთი წლის თავზე, 2006 წელს, ,,YouTube" კომპანია ,,Google"-მა შეისყიდა. მას შემდეგ მან ითანამშრომლა ისეთ გიგანტებთან, როგორებიცაა: ,,CBC", ,,BBC", ,,Universal Music Group", ,,Sony Music Group", ,,Warner Music Group", ,,NBA", ,,The Sundance Channel" და სხვ. (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 5).

მართალია ,,YouTube"-ის მაშტაბები ძალიან დიდია და ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის ამ პლატფორმის გამოყენება დიდ პერსპექტივებს სახავს, მისი ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე, ის მხოლოდ ვიდეომასალების გაზიარების საშუალებას იძლევა, რის დამზადებაზეც ბრენდის მფლობელებს ხშირად დამატებითი რესურსი ესაჭიროებათ.

სოციალური მედიაპლატფორმების განვითარების ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რამდენიმე პლატფორმას, რომლებმაც შექმნის დღიდანვე დიდი

პოპულარობა მოიპოვეს. 2006 წელს ,,MySpace“ აშშ-ში ყველაზე პოპულარული სოციალური ვებგვერდი გახდა, თუმცა, 2008 წელს ის მისმა კონკურენტმა ,,Facebook“-მა ჩაანაცვლა (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 5).

Facebook

,,Facebook“-ი საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 2 მილიონზე მეტი ,,Facebook“ ანგარიშია დარეგისტრირებული, ხოლო, სოციალური ქსელების მომხმარებელთა 79% სულ მცირე კვირაში ერთხელ მაინც ამოწმებს ,,Facebook“-ს (IDFI (2017, ივლისი), როგორ დავიცვათ პირადი უსაფრთხოება ,,Facebook“-ში, გვ. 1).

,,Facebook“-ი სოციალური ურთიერთობებისთვის შექმნილი ვებგვერდია. ის 2004 წელს შეიქმნა და კორპორაცია ,,Facebook“-ს ეკუთვნის. ის დააფუძნა მარკ ცუკერბერგმა, რამდენიმე ადამიანთან ერთად, ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლისას. ქსელში ვებგვერდის პირველად ჩაშვების პერიოდში, ის მხოლოდ ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის იყო ხელმისაწვდომი. მოგვიანებით იგი ხელმისწავდომი გახდა სკოლის მოსწავლეთათვის და ყველასთვის, ვინც არის 13 წლის ან, უფროსი.

2009 წელს ,,Facebook“-ი დასახელდა, როგორც ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი მსოფლიოში. 2010 წელს კი - კომპანია ,,Google“-მა გამოაცხადა, რომ ეს არის ვებგვერდი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მეტი ადამიანი სტუმრობს (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 5).

,,Facebook“-ს გააჩნია სპეციალური განყოფილება თინეიჯერებისთვის, რათა უფრო მეტად დაიცვას მათი უსაფრთხოება.

შექმნის დღიდან, ,,Facebook“-ი მალევე გახდა პოპულარული საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ფილიპინები, ავსტრალია, ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური, ახალი ზელანდია, ჰონკონგი და ვიეტნამი.

ტეხასის უნივერსიტეტის მკვლევარი Nea Shanea 2011 წელს გამოქვეყნებულ სამაგისტრო ნაშრომში „A Study of Social Media Use and the Cultivation of Brand Affect, Trust, and Loyalty“ („სოციალური მედიის გამოყენებისა და ბრენდის გავლენის, მის მიმართ ნდობის და ლოიალურობის კულტივირების შესწავლა“) აღნიშნავს, რომ 2011 წელს ,,Facebook“-ს 8 მილიონი აქტიური მომხმარებელი ჰყავდა (Shanea, N. (2011). Social Media's Role in Branding: A study of Social Media Use and the Cultivation of Brand Affect, Trust, and Loyalty, გვ. 1). 6 წლის თავზე, 2017 წელს ეს მონაცემი თვეში 2.07 მილიარდ აქტიურ მომხმარებელს უტოლდება (https://zephoria.com/top-15-valuable-facebook-statistics/). ამავე სტატისტიკის მიხედვით, რომელიც 2018 წლის 4 იანვარს გამოქვეყნდა, მსოფლიოში ,,Facebook“ მომხმარებლების წლიურ 16%-იან მატებაზეა საუბარი, რაც ამ პლატფორმის მოხმარების მასშტაბურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

2016 წელს, მსოფლიოს მასშტაბით ,,Facebook“-ს დღეში 1.15 მილიარდი აქტიური მობილური მომხმარებელი ჰყავდა, რაც ყოველწლიურად ამ მონაცემის 23%-იან მატებას ასახავს (https://zephoria.com/top-15-valuable-facebook-statistics/). ამგვარ სტატისტიკაზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ მცირე რაოდენობის მასალებია ხელმისაწვდომი საქართველოში ,,Facebook“-ის და ზოგადად, სოციალური მედიის მოხმარების სტატისტიკასთან დაკავშირებით. კვლევების უმრავლესობა ასახავს ქვეყანაში ინტერნეტ მომხმარებელთა სტატისტიკას, თუმცა, რთულია მოვიძიოთ საქართველოში კონკრეტული სოციალური ქსელის მომხმარებელთა ზუსტი მონაცემები და მახასიათებლები. ,,Facebook“-ის მოხმარების მსოფლიო ტენდენციებიდან გამომდინარე მარტივი სათქმელია, თუ რამხელა პოტენციალი გააჩნია ამ პლატფორმას ქართული კომპანიებისათვის, რათა მათ საკუთარი ბრენდების პოზიციონირება მოახდინონ როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

,,Facebook“-ის ყოვლისმომცველობის და მისი მეშვეობით ბრენდზე ეფექტის მოხდენის საკითხის კვლევას მსოფლიოს მასშტაბითაც დიდი ყურადღება ეთმობა. ნაშრომში „A Study of Social Media Use and the Cultivation of Brand Affect, Trust, and Loyalty“ („სოციალური მედიის გამოყენებისა და ბრენდის გავლენის, მის მიმართ ნდობისა და ლოიალურობის კულტივირების შესწავლა“) ავტორი Nea Shanea საუბრობს იმაზეც, რომ ხშირად სოციალური მედიის გამოყენებასა და ბრენდის მიმართ ლოიალურობას შორის

კავშირი არ არის. მისი თქმით, არსებობს შანსი, რომ სოციალური მედიის ინტენსიურად გამოყენება, პირიქით, უკუშედეგს მოიტანს ბრენდის მიმართ ნდობისა და ლოიალურობის კუთხით (Shanea, N. (2011). Social Media's Role in Branding: A study of Social Media Use and the Cultivation of Brand Affect, Trust, and Loyalty, გვ. 21). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მედიალანდშაფტი საგრძნობლად შეიცვალა ინტერნეტისა და სოციალური მედიის მოხმარების შედეგად და დღეს მარკეტინგში მისი მასიურად გამოყენება გარდაუვალია (Kaplan, A. M. & Haenlein, M. (2010). Users of the world, unite! The challenges and opportunities of Social Media, გვ. 64). საჭიროა კომპანიებმა სწორად მოახდინონ სხვადასხვა სოციალური პლატფორმის, მათ შორის, Facebook-ის გამოყენება ბრენდის რეკლამირებისას.

2007 წელს კომპანია „მაიქროსოფტმა" ,,Facebook"-ის აქციების 1.6% 240 მილიონ დოლარად შეიძინა, ამით მისი სრული ღირებულება დაახლოებით 15 მილიარდი დოლარი გახდა. ,,მაიქროსოფტმა" აქციების წილთან ერთად, შეიძინა უფლება ,,Facebook"-ში განეთავსებინა კომერციული რეკლამები. მაგალითად, 2010 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დროს, ,,Facebook"-ზე განთავსდა კომპანია ,,Nike"-ის რეკლამა, რის შედეგადაც რამდენიმე წუთში პლატფორმაზე 8 მილიონი მნახველი დარეგისტრირდა (Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business, გვ. 5).

2007 წლიდან მოყოლებული „მაიქროსოფტს" მრავალმა კომპანიამ მიბაძა. დღეისათვის ,,Facebook"-ზე განთავსებულ კომერციულ მასალას შორის მრავლად შეხვდებით ასევე, ქართული კომპანიების რეკლამებს. კომპანიათა ნაწილი ასევე ქმნის კომპანიის ოფიციალურ ,,Facebook" ანგარიშს/გვერდს. ეს ძალიან სწრაფად და მარტივად, ყოველგვარი დანახარჯის გარეშე ხდება და მოქნილი საშუალებაა პროდუქციის თუ სერვისის აგიტაციისთვის.

2.1. ინტერნეტის მოხმარება საქართველოში

ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა პირდაპირ კავშირშია სოციალური ქსელების მოხმარებასთან. რაც მეტი ინტერნეტმომხმარებელია ქვეყანაში, მით უფრო დიდია სოციალური ქსელების მოხმარების ალბათობაც.

საქართველოში ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ადმინისტრირებს.

პროგრამა ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BfD) წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტის შემადგენელ ნაწილს. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოში მოღვაწე ფირმებისა და ფიზიკური პირების ინოვაციური საქმიანობის გაზრდა და ციფრულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფაა (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. (2017, 31 ოქტომბერი). ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BFD) პროგრამის სახელმძღვანელო, გვ. 1).

,,BfD“ პროგრამის მიზანია, დაეხმაროს თბილისის გარეთ მცხოვრებ 33,000-დან 60,000-მდე შინამეურნეობას (გამოყოფილია 10 მილიონ ლარამდე დაფინანსება) და 3,000-დან 10,000-მდე საწარმოს (გამოყოფილია 10 მილიონ ლარამდე დაფინანსება), დააკავშიროს ისინი ფართოზოლოვან ინტერნეტთან, უზრუნველყოს მათი დატრენინგება ციფრულ უნარებში და ამასთანავე დაეხმაროს საწარმოებს ელექტრონული კომერციისთვის საჭირო უნარების ათვისებაში (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. (2017, 31 ოქტომბერი). ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BFD) პროგრამის სახელმძღვანელო, გვ. 7).

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულმა პროექტმა შესაძლოა, ერთიორად გაზარდოს ქვეყანაში ინტერნეტის მოხმარების სტატისტიკა, განსაკუთრებით კი მცირე თუ საშუალო ბიზნესების მიერ ინტერნეტ ტექნოლოგიების მოხმარების სიხშირე, რაც ასევე სოციალურ მედიაზე წვდომის და მისი მოხმარების ზრდის წინაპირობაა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქართული საწარმოებისათვის გათვალისწინებულია კონკრეტული ტრეინინგ კურსები ციფრული წიგნიერების მიმართულებით.

პროგრამაში მონაწილე თითოეული საწარმო გაივლის ტრეინინგ კურსის პირველ ეტაპს ერთჯერადი ვაუჩერის მისაღებად, ხოლო ელექტრონული კომერციის უნარების განვითარებაში დახმარების მისაღებად საწარმო გაივლის ტრეინინგ კურსის ორივე ეტაპს (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. (2017, 31 ოქტომბერი). ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BFD) პროგრამის სახელმძღვანელო, გვ. 19).

,,BfD“ ვაუჩერზე წვდომის მოსაპოვებლად, შინამეურნეობამ უნდა გაიაროს ტრეინინგი ციფრული წიგნიერებაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დისტანციურად სხვადასხვა ენებზე, როგორიცაა: ქართული, აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული და სომხური (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. (2017, 31 ოქტომბერი). ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BFD) პროგრამის სახელმძღვანელო, გვ. 39).

დღევანდელი სურათით, თბილისში 313,576 შინამეურნეობა და 50-ზე მეტი ინტერნეტ სერვის პროვაიდერია რეგისტრირებული (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის სექტემბრის მონაცემები) (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. (2017, 31 ოქტომბერი). ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BFD) პროგრამის სახელმძღვანელო, გვ. 44).

საქსტატისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ყოველწლიურად ჩატარებული აქტიური ბიზნესის კვლევის 2015 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოში ბიზნეს საქმიანობას 43,316 აქტიური მეწარმე ეწევა. არსებობს მრავალი მიკრო და მცირე საწარმო, რომელიც ინტერნეტს ფიზიკური პირის სახით იყენებს, უფრო დაბალი სააბონენტო გადასახადის გამო. კომპანიების უმეტესობა ადასტურებს, რომ მათ გააჩნიათ ინტერნეტზე წვდომა. მათგან თითქმის ნახევარს საკუთარი ვებგვერდი აქვს, ხოლო ოთხიდან სამი ელ-ფოსტას იყენებს მომხმარებლებთან/მომწოდებლებთან საურთიერთოდ. ელექტრონული კომერციის მაჩვენებელი მხოლოდ 9.5% შეადგენს (საქსტატი, 2015). თუმცა, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია თბილისის გარეთ მდებარე საწარმოებისათვის, რაც ციფრულ უთანასწორობაზე მიუთითებს (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების

სააგენტო. (2017, 31 ოქტომბერი). ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BFD) პროგრამის სახელმძღვანელო, გვ. 47).

ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რეგიონია, სადაც მოსახლეობას, მცირე, თუ საშუალო ბიზნესებს და მეურნეობებს ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ.

რაც შეეხება ქვეყანაში სოციალური მედიის განვითარებასა და პროგნოზებს, ნინო ენუქიძე საკუთარ სამაგისტრო ნაშრომში „სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში“, აღნიშნავს, რომ სოციალური მედია საქართველოში ნელი ტემპით და განსხვავებული ფორმით ვითარდებოდა. მისი ისტორია 90-იან წლებში არსებული სხვადასხვა ჩატებით იწყება, რომელიც კომპანიებისთვის დახურულ სივრცეს წარმოადგენდა. მოგვიანებით გაჩნდა ფორუმები, სადაც მომხმარებელს მიეცა შესაძლებლობა გამოეხატა მოსაზრება არა მხოლოდ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებზე, არამედ სხვადასხვა კომპანიების მიერ შეთავაზებულ მომსახურებასა და პროდუქტზე. აღნიშნული პლატფორმა კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებად იქცა და გახდა სოციალური ქსელების ერთგვარი წინამორბედი (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში, გვ. 31).

როდესაც მსოფლიო აქტიურად მოიხმარს ,,Twitter“-ს, ქართველი მომხმარებელი და შესაბამისად, ორგანიზაციები ,,Facebook“-ზე აქტიურობენ, ინტერნეტ მომხმარებელთა 51%-იანი მაჩვენებლით ის პოპულარულ 32 სოციალურ მედიასაშუალებებს შორის პირველ ადგილს იკავებს (ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში, გვ. 32).

2.3. სოციალური მედიაეფექტიანობა

ციფრული მარკეტინგის ერთ-ერთი ქართული სააგენტო, „IRIS“ საკუთარ ბლოგზე აქვეყნებს სტატიას სოციალური მედიის ეფექტურად გამოყენების შესახებ. სტატიაში საუბარია, რომ სოციალური მედია ეფექტურად გამოიყენება მიზნობრივ აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის. განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევა ვიდეო რგოლებისა და ანიმაციის გამოყენება (iris.ge).

სტატიაში ასევე საუბარია იმაზე, რომ სოციალურ მედიაში ბრენდირების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია, დაცული იქნეს ბრენდირებული დიზაინის ნორმები: ბრენდის ფერთა შეხამება, ლოგო, ფოტო და ვიდეო მასალის ხარისხი და სხვა. წარმატებული ბრენდირების მნიშვნელოვანი ელემენტია მომხმარებელთან კომუნიკაცია, რომელიც მომხმარებლისთვის პოზიტიური ემოციების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

სტატია ასევე განიხილავს, სოციალური მედიის საშუალებით, მომხმარებელთან კომუნიკაციის გამარტივების მეთოდებს. ბოლო დროს კომპანიები სულ უფრო აქტიურად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც კომუნიკაციის ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა. მაგალითად ჩატბოტები, რომლებსაც უნარი აქვთ დაოუყოვნებლივ შევიდნენ კომუნიკაციაში მომხმარებელთან და მიაწოდონ მას პირველადი ინფორმაცია (iris.ge).

ამავე საკითხს განიხილავს კიდევ ერთი ტექ-ბლოგი www.socialsharks.ge. ,,Socialshark“-ის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში საუბარია იმაზე, რომ კომპანიები ხშირად სოციალური მედიის „მოწონებისა“ და „ჩართულობის“ პარამეტრებს ზომავენ (Click Through Rate).

მარკეტერები უკვე დიდი ხანია ელიან უფრო ზუსტ ინსტრუმენტს თუ მეთოდს, რომელიც მათ ცნობადობის რეალურ დროში გაზომვის საშუალებას მისცემთ. (https://blog.socialsharks.ge/brand-awareness-objective/). სტატიაში საუბარია ამ პრობლემის გადაჭრის მეთოდებზე. ავტორის თქმით, ,,Facebook“ პრობლემის გადასაჭრელად ე.წ „Brand Awareness Objective“-ს თავაზობს მომხმარებელს. „Brand Awareness Objective“

,,Facebook“-ის ახალი კამპანიაა, რომელიც კომპანიებს პლატფორმის საშუალებით ბრენდის ცნობადობის ამაღლებაში დაეხმარება. მასში ჩაშენებულია რამდენიმე ახალი საზომი (მეტრიკა).

,,Facebook“-ის „Brand Awareness Objective” მოიცავს ორ ახალ ოპტიმიზაციას, ესენია ბრენდის ცნობადობის ოპტიმიზაცია და წვდომის ოპტიმიზაცია (Brand Awareness optimization and Reach optimization).

- ბრენდის ცნობადობის ოპტიმიზაცია წვდომისა და ყურადღების კომბინაციას წარმოადგენს და მარკეტერებს ეხმარება ბრენდის ცნობადობის ზრდაში. იგი დაფუძნებულია ყურადღების მიქცევის პრინციპზე, რადგან ადამიანები რაც მეტ ყურადღებას იჩენენ რეკლამების მიმართ, მით უკეთ იმახსოვრებენ მას.
- წვდომის ოპტიმიზაცია დამატებითი საშუალებაა. მისი დახმარებით შესაძლებელია იმ ადამიანთა რაოდენობის მაქსიმიზაცია მოცემულ დროში, ვინც რეკლამას ნახავს. წვდომის აუქციონის წესით ოპტიმიზება, როგორც წესი, რეკლამის სპეციალისტებს მოქმედებისას მეტ მოქნილობას ანიჭებს (https://blog.socialsharks.ge/brand-awareness-objective/).

ორივე ოპტიმიზაცია მაღალეფექტურია იმ კომპანიებში, რომელთა მიზანიც ბრენდის ცნობადობის ზრდაა. პრე-ტესტებმა აჩვენა, რომ ახალი ბრენდის ცნობადობის ოპტიმიზაცია საშუალოდ 60%-ით უფრო მეტ ,,ad recall“-ს (რე-რეკლამა - რეკლამა რომელიც ხელახლა გაეგზავნა ადამიანს, რომელსაც უკვე ნანახი აქვს) წარმოშობს, ვიდრე არსებული ,,Page Post Engagement objective“ (https://blog.socialsharks.ge/brand-awareness-objective/).

ამავე სტატიაში მითითებულია, თუ როგორ ითვლება სავარაუდო რეკლამის ხელახლა მნახველების ზრდა:



გამოსახულება 1: როგორ ითვლება სავარაუდო რეკლამის ხელახლა მნახველების ზრდა (წყარო: https://blog.socialsharks.ge/brand-awareness-objective/)

„Facebook"-ის სწორ ოპტიმიზირების მნიშვნელობაზე საუბრობს კიდევ ერთი ადგილობრივი ბლოგი trendbook.ge, რომლის მიხედვითაც „Facebook"-ის სწორი ოპტიმიზირება დიდ გამოცდილებასა და შრომას მოითხოვს. მნიშვნელოვანია, თითოეული „Facebook" პოსტი იყოს ბრენდირებული დიზაინით და გააჩნდეს მარტივად აღქმადი და რელევანტური ტექსტი. ამასთან, აუცილებელია, „Facebook"-ის განვითარებასაც აუწყონ კომპანიებმა ფეხი (https://www.trendbook.ge/ka/marketingi/article/13162acebooksocialurimediisgavlenabrendistsarmatebaze).

გარდა სარეკლამო კამპანიების შექმნისა, პოზიციების გამყარების მიზნით, სოციალური ქსელები მუდმივ მონიტორინგს მოითხოვენ. „Facebook" გვერდი მუდმივ მონიტორინგსა და შედეგების ანალიზს მოითხოვს (https://www.trendbook.ge/ka/marketingi/article/13162acebooksocialurimediisgavlenabrendistsarmatebaze). საინტერესოა, თუ როგორ ახორციელებენ „Facebook" გვერდების მონიტორინგს და ანალიზს ქართული კომპანიები.

თავი 3. კვლევის შედეგები:

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა 7 ქართული, მოწინავე კომპანია და 100 მომხმარებელი (კითხვარი იხილეთ დანართი 1-ის სახით).

საკვლევი პერიოდი მოიცავს 3 თვეს, 2017 წლის ოქტომბერ-დეკემბერს. სწორედ ამ პერიოდში იქნა შერჩეული საკვლევი აუდიტორია და ჩატარდა თვისებრივი კვლევა ონლაინ გამოკითხვის სახით. კითხვარი კომპანიებს ელექტრონული სახით გაეგზავნათ, ხოლო მომხმარებლების კითხვარი გაზიარებულ იქნა სოციალურ ქსელ ,,Facebook"-ში. სტრუქტურებული ინტერვიუს ფარგლებში გამოკითხულ იქნა მონაწილე კომპანიების მარკეტინგისა და პიარის მენეჯერები, ჯამში 7 ადამიანი (გამოკითხვაში არ არის მითითებული კონკრეტული პირების სახელები და გვარები).

კომპანიებისათვის განკუთვნილი გამოკითხვა 18 შეკითხვას აერთიანებს. კითხვარი გაეგზავნა შემდეგ კომპანიებს:

1) **AlterSocks • ალტერსოქსი**
2) **Geoposter**
3) **შპს „ბარამბო"**
4) **მეღვინეობა „ხარება"**
5) **Fredo Handmade**
6) **სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები**
7) **CROSTY**

ყველა კომპანია წარმოადგენს ქართულ ბრენდს და აერთიანებს შემდეგ ბიზნეს სექტორებს: ტანსაცმლის წარმოება, ტურიზმი (სტარტაპი, რომელიც ქმნის ტურისტულ პოსტერებს), საკვები პროდუქტების (ტკბილეულის) წარმოება, ღვინის წარმოება, ხელნაკეთი ნივთების წარმოება, საკვები პრუდუქტების (რძის პროდუქტების) წარმოება.

3.1. თვისებრივი ანალიზის შედეგები

AlterSocks • ალტერსოქსი

,,AlterSocks“ • ალტერსოქსი ქართული კომპანიაა, რომელიც ბაზარზე 2016 წლიდან არსებობს და ის მომხმარებელს ფერად, სახალისო წინდების ფართო არჩევანს სთავაზობს.

- ✓ **ალტერსოქსი** რეკლამირებისათვის უპირატესობას სოციალურ მედიას ანიჭებს.
- ✓ კომპანიის სამიზნე აუდიტორიის ძირითადი ნაწილი ახალგაზრდები არიან, რომლებიც საკმაოდ დიდ დროს ატარებენ სოციალურ ქსელებში. მათი დიდი ნაწილი თითქმის აღარ უყურებს ტელევიზორს, არ კითხულობს გაზეთებს და არ უსმენს რადიოს, შესაბამისად რეკლამირებისათვის ამ არხების გამოყენება არაეფექტურია.
- ✓ კომპანია ინფორმაციის გასავრცელებლად ძალიან ხშირად იყენებს სოციალურ ქსელ ,,Facebook“-ს.
- ✓ ამავე მიზნით კომპანიაში იყენებენ ,,Instagram“-ს.
- ✓ **ალტერსოქსის** ,,Facebook“ გვერდს 96 000 მიმდევარი/მომხმარებელი ჰყავს.
- ✓ კომპანია ყოველდღიურად ახდენს მომხმარებელთან ,,Facebook“-ის მეშვეობით კომუნიკაციას.
- ✓ ინფორმაციის გავრცელების გარდა, **ალტერსოქსი** ,,Facebook“-ს მომხმარებლების კითხვებზე პასუხის გასაცემად იყენებს.
- ✓ კომპანიის ,,Facebook“ გვერდს ყოველდღიურად ემატება ახალი მომხმარებელი.
- ✓ კომპანიაში შემლებისდაგვარად ითვალისწინებენ ,,Facebook“ მომხმარებლების რჩევებს.
- ✓ **ალტერსოქსი** ცდილობს, ყოველდღიურად განათავსოს ახალი მასალა კომპანიის ,,Facebook“ გვერდზე.
- ✓ კომპანიაში აქვთ ზოგადი მონახაზი, თუ რა სახის ინფორმაცია რამდენ ხანში ერთხელ უნდა განთავსდეს ,,Facebook“-ში.

- ✓ კომპანიაში მიიჩნევენ, რომ მათი ბრენდის წარმატებაში სოციალურმა ქსელმა დიდი როლი ითამაშა.
- ✓ კომპანია სოციალურ ქსელს იყენებს, როგორც ბრენდინგისთვის, ასევე, გაყიდვების გასაზრდელად და იმიჯის შესაქმნელად.
- ✓ **ალტერსოქსში** აცხადებენ, რომ იცნობენ სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო დონეზე არსებულ სტანდარტებს და ნაწილობრივ ხელმძღვანელობენ ამ სტანდარტებით.
- ✓ **ალტერსოქსი** არ ახდენს სოციალურ ქსელში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესის მონიტორინგს.
- ✓ **ალტერსოქსი** იყენებს სოციალურ მედიასივრცეში მომხმარებელთან კომუნიკაციის ყველა მეთოდს, თუმცა, კომპანია ამ მხრივ მთავარ აქცენტს აკეთებს ვიზუალზე.
- ✓ კომპანიას არ აქვს პასუხი იმაზე, თუ რის გაუმჯობესებას ისურვებდა ,,Facebook"-ში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესში.

Geoposter

,,Geoposter" წარმოადგენს სტარტაპს, რომელიც ქმნის ტურისტულ პოსტერებს. კომპანია 2015 წელს დაარსდა.

- ✓ **,,Geoposter"** უპირატესობას ბრენდის რეკლამირების კუთხით სოციალურ მედიას ანიჭებს.
- ✓ კომპანიაში აცხადებენ, რომ მათი ბრენდის ცნობადობისთვის სოციალური ქსელები მნიშვნელოვანია, რადგან სოციალური ქსელების მეშვეობით მარტივია სეგმენტთან წვდომა, ასევე იზრდება ინფორმაციის გავრცელების არეალი და ეს ყოველივე ფინანსურადაც ხელმისაწვდომია.

- ✓ კომპანიაში ძალიან ხშირად იყენებენ სოციალურ ქსელ ,,Facebook“-ს ინფორმაციის გასავრცელებლად.
- ✓ ამავე მიზნით იყენებენ სოციალურ ქსელ ,,Instagram“-ს.
- ✓ კომპანიის Facebook გვერდს 1 300 მომხმარებელი ჰყავს.
- ✓ **,,Geoposter“**-ი ხშირად ამყარებს კომუნიკაციას მომხმარებელთან ,,Facebook“-ის მეშვეობით.
- ✓ კომპანია ხშირად პასუხობს მომხმარებლის კონკრეტულ შეტყობინებებს და კითხვებს.
- ✓ მათ არც ისე ხშირად ემატებათ ახალი მომხმარებელი ,,Facebook“-ში.
- ✓ **,,Geoposter“**-ი ითვალისწინებს ,,Facebook“-ის მომხმარებლის კომენტარებს და რჩევებს.
- ✓ კომპანიის ,,Facebook“ გვერდზე ახალი ინფორმაცია კვირაში რამდენჯერმე თავსდება.
- ✓ **,,Geoposter“**-ს აქვს განსაზღვრული გეგმა/სტრატეგია სოციალური მედიისთვის.
- ✓ კომპანიაში უჭირთ იმის თქმა, განაპირობა თუ არა მათი ბრენდის წარმატება სოციალურმა ქსელმა, რადგან ამ საკითზე არ ჩაუტარებიათ კონკრეტული კვლევა.
- ✓ **,,Geoposter“** სოციალურ მედიას ძირითადად კომპანიის იმიჯის ჩამოსაყალიბებლად და ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად იყენებს.
- ✓ კომპანიაში არ იცნობენ სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო დონეზე არსებულ სტანდარტებს.
- ✓ კომპანიაში მუდმივად ხორციელდება მომხმარებლებთან კომუნიკაციის პროცესის მონიტორინგი.
- ✓ **,,Geoposter“** სოციალურ ქსელში მომხმარებელს ძირითადად ტექსტისა და ფოტო მასალის მეშვეობით ეკონტაქტება, იშვიათად, ამავე მიზნით იყენებენ ვიდეო მასალას.
- ✓ კითხვაზე, თუ რის გაუმჯობესებას ისურვებდა კომპანია ,,Facebook“-ში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცეში, **,,Geoposter“** პასუხობს, რომ კარგი იქნებოდა, პლატფორმას გააჩნდეს გიფების (მოძრავი სურათების) შექმნის

საშუალება. მათი თქმით, ასევე კარგი იქნებოდა, სიახლეები მომხმარებელს მუდმივად უჩანდეს კედელზე.

შპს „ბარამბო“

შპს „ბარამბო“ ქართული ტკბილეულის მწარმოებელ კომპანიას წარმოადგენს. იგი 2009 წელს დაარსდა.

- ✓ კომპანია აქტიურად მუშაობს სოციალური მედიის მიმართულებით, თუმცა, რეკლამირების კუთხით ტრადიციულ მედიასთანაც თანამშრომლობს.
- ✓ კომპანიაში მიაჩნიათ, რომ სოციალური ქსელები ძალიან კარგი საშუალებაა მომხმარებელთან კომუნიკაციის დასამყარებლად.
- ✓ **შპს „ბარამბო“** ინფორმაციის გასავრცელებლად სოციალურ ქსელ ,,Facebook“-ს ყოველდღიურ რეჟიმში მოიხმარს.
- ✓ ამავე მიზნით, აქტიურად იყენებენ ,,Instagram“-ს.
- ✓ **„ბარამბოს“** ჰყავს 161 148 Facebook მომწონებელი და 159 377 მიმდევარი (follower).
- ✓ კომპანიას ყოველდღიურად აქვს მომხმარებლებთან ,,Facebook“-ის მეშვეობით კავშირი.
- ✓ კომპანია საკუთარ მომხმარებელს, ,,Facebook“-ის მეშვეობით, ხშირად აწვდის ინფორმაციის პროდუქციის შესახებ; ყოველდღიურ რეჟიმში დებენ სხვადასხვა თემაზე პოსტს, ასევე აქვთ ინტერაქტიული პროდუქტებიც. კომპანია მუდმივ კომუნიკაციაშია საკუთარ ,,Facebook“ მომხმარებელთან იქნება ეს კომენტარებზე პასუხის გაცემა, თუ შემოსულ შეტყობინებებზე პასუხი. მათი თქმით, მომხმარებელი ხშირად გზავნის შეკითხვებს.
- ✓ **შპს „ბარამბოში“** აცხადებენ, რომ რაც აქტიურად დაიწყეს ,,Facebook“-ის გამოყენება, მათ გვერდს კვირაში, დაახლოებით, 500 ახალი მომხმარებელი ემატება.

- ✓ **„ბარამბო“** ითვალისწინებს ,,Facebook“-ის მომხმარებლების კომენტარებს და რჩევებს.
- ✓ კომპანიას აქვს სოციალური მედიისათვის განსაზღვრული გეგმა და სტრატეგია.
- ✓ კომპანიაში ფიქრობენ, რომ სოციალურმა ქსელმა წვლილი შეიტანა მათი ბრენდის წარმატებაში და ის ასევე გაყიდვების სტიმულირებასაც ახდენს.
- ✓ **„ბარამბოში“** მიიჩნევენ, რომ კომპანიისთვის სოციალური მედიის გამოყენება აუცილებელია ბრენდის დადებითი იმიჯის შენარჩუნებისათვის, ასევე, ახალი მომხმარებლების მოცვისა და გაყიდვების სტიმულირებისათვის.
- ✓ კომპანიაში იცნობენ სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებს და მათ შესაბამისად მოქმედებენ.
- ✓ სოციალურ ქსელში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესის მონიტორინგს ყოველკვირეული სტატისტიკით და ყოველთვიური ანგარიშის წარმოებით ახდენენ.
- ✓ გადაწყვეტილებას, თუ რა ფორმით ეკონტაქტონ მომხმარებელს სოციალურ მედიასივრცეში (ამ შემთხვევაში ,,Facebook“-ში) იმ კვირის სიახლეებიდან გამომდინარე იღებენ. აქცენტი კეთდება კვირის სიახლეზე და შემდეგ ისახება სამოქმედო გეგმა.
- ✓ კითხვაზე, თუ რის გაუმჯობესებას ისურვებდა კომპანია ,,Facebook“-ში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესში, **შპს „ბარამბო“** პასუხობს, რომ კარგი იქნებოდა, შეიძლებოდეს დადებითი და უარყოფითი გამოხმაურებების გამიჯვნა, ეს გაადვილებდა, როგორც მონიტორინგის, ისე რეპორტინგის პროცესს.

მეღვინეობა „ხარება“ ღვინის მწარმოებელი ქართული კომპანიაა, რომელიც 1995 წელს დაარსდა. კომპანიის მთავარი საქმიანობა ღვინის წარმოება და გაყიდვაა.

- ✓ კომპანია რეკლამირებისათვის სოციალური მედიის გამოყენებას ანიჭებს უპირატესობას, რადგან, სოციალური მედია უფრო ხელმისაწვდომია, თუმცა კომპანიის მიზნებიდან გამომდინარე ის ასევე თამაშრომლობს ტრადიციულ მედიასთან.
- ✓ კომპანიაში ფიქრობენ, რომ ბრენდის ცნობადობის გასაზრდელად სოციალური მედიის გამოყენება მნიშვნელოვანია, რადგან საგრძნობლად გაზრდილია სოციალური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა, რაც ბრენდს საშუალებას აძლევს, მიაწვდინოს ინფორმაცია სასურველ სეგმენტს.
- ✓ **მეღვინეობა „ხარება“** კომპანიის აქტივობების გასავრცელებლად და პროდუქციის პოპულარიზაციისთვის სისტემატიურად იყენებს სოციალურ ქსელ ,,Facebook“-ს.
- ✓ ამავე მიზნით იყენებენ ,,Instagram“-ს, თუმცა, აცხადებენ, რომ ,,Facebook“-ის მეშვეობით უფრო ფართო სეგმენტზე ახდენენ წვდომას.
- ✓ კომპანიის ,,Facebook“ გვერდს 11 646 მომხმარებელი ჰყავს.
- ✓ კომპანიას ,,Facebook“ მომხმარებლებთან კავშირი საშუალოდ კვირაში 3-ჯერ აქვს (დამოკიდებულია აქტივობაზე).
- ✓ ,,Facebook“-ს იყენებენ, როგორც ინფორმაციის გასავრცელებლად, ასევე მომხმარებელთან კომუნიკაციისთვის, მათ კითხვებზე პასუხის გასაცემად და ა.შ.
- ✓ კომპანიაში არ აქვთ პასუხი, აქვთ თუ არა განსაზღვრული გეგმა/სტრატეგია სოციალური მედიისათვის.
- ✓ ასევე, არ აქვთ პასუხი, განაპირობა თუ არა სოციალურმა ქსელმა მათი ბრენდის წარმატება და იცნობენ თუ არა სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებს და მოქმედებენ თუ არა მათ შესაბამისად.
- ✓ **მეღვინეობა „ხარება“** უპასუხოდ ტოვებს კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ ახდენს კომპანია სოციალურ ქსელში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესის

მონიტორინგს და როგორ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა ფორმით ეკონტაქტოს მომხმარებელს სოციალურ მედიასივრცეში (ამ შემთხვევაში ,,Facebook“-ში).

Fredo Handmade

,,Fredo Handmade“ ხელნაკეთი აქსესუარების მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც 2016 წელს შეიქმნა.

- ✓ კომპანია ბრენდის რეკლამირებისათვის სოციალურ მედიას ანიჭებს უპირატესობას.
- ✓ კომპანიაში მიიჩნევენ, რომ მათი ბრენდის ცნობადობისთვის სოციალური ქსელები მნიშვნელოვანია, რადგან მათ დიდი რაოდენობის მომხმარებელი ჰყავთ.
- ✓ **,,Fredo Handmade**“ კომპანიის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ყველაზე ხშირად სოციალურ ქსელ ,,Facebook“-ს იყენებს.
- ✓ ამავე მიზნით იყენებენ ,,Instagram“-ს.
- ✓ კომპანიის ,,Facebook“ გვერდს 46 000 მომხმარებელი ჰყავს.
- ✓ კომპანიას ყოველდღიური კომუნიკაციაა აქვს მომხმარებელთან ,,Facebook“-ით.
- ✓ **,,Fredo Handmade**“ არ ატარებს გამოკითხვებს სოციალური ქსელის მეშვეობით.
- ✓ კომპანიის ოფიციალურ ,,Facebook“ გვერდს ყოველდღიურად ემატება ახალი მომხმარებელი.
- ✓ კომპანია აუცილებლად ითვალისწინებს ,,Facebook“ მომხმარებლის რჩევებს და კომენტარებს.
- ✓ ახალი ინფორმაცია კომპანიის ,,Facebook“ გვერდზე დღეში რამდენჯერმე თავსდება.
- ✓ კომპანიას აქვს სპეციალურად განსაზღვრული სოციალური მედიასტრატეგია.
- ✓ კომპანიაში ფიქრობენ, რომ სოციალურმა ქსელმა მათი ბრენდის წარმატება ნამდვილად განაპირობა.

- ✓ **„Fredo Handmade**“-ისთვის სოციალური მედიის გამოყენება აუცილებელია, როგორც გაყიდვების მაჩვენებლის ზრდისათვის, ასევე ბრენდის ცნობადობის ამაღლებისა და კომპანიის იმიჯის ჩამოსაყალიბებლად.
  - ✓ კომპანიაში იცნობენ სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებს და მოქმედებენ მათ შესაბამისად.
  - ✓ კომპანია სოციალურ ქსელში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესის მონიტორინგს შეტყობინებების რაოდენობის დათვლით ახორციელებს.
  - ✓ **„Fredo Handmade** Facebook“-ში ძირითადად ფოტო მასალას ათავსებს და ამგვარად ახდენს მომხმარებელთან კომუნიკაციას.
  - ✓ კომპანიაში არ აქვთ კონკრეტული შენიშვნები, თუ რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ „Facebook“-ში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესში.

სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები

სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც 1998 წელს დაარსდა.

- ✓ კომპანია პროდუქციის რეკლამირების მიზნით თანამშრომლობს, როგორც ტრადიციულ მედიასთან, ასევე სოციალურ მედიაარხებთან, თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, უპირატესობას სოციალურ მედიას ანიჭებს.
- ✓ კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ბრენდის ცნობადობის გასაზრდელად სოციალური მედია არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელიცაა. მათი თქმით, თუ კომპანია არ იყენებს სოციალურ ქსელს, ე.ი ზოგადადაც არ არსებობს კომპანიის იმიჯი (მომხმარებელთან ურთიერთობა, ჩართულობა, ბრენდის შეხსენება, პირდაპირი გავრცელების არეალი). **სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების** თქმით, სხვა არცერთი პლატფორმა იძლევა მსგავს შედეგს ისე სწრაფად, როგორც სოციალური მედია.

- ✓ კომპანია ინფორმაციის გასავრცელებლად ყოველდღე იყენებს სოციალურ ქსელ Facebook-ს.
- ✓ ამავე მიზნით იყენებენ ,,Instagram“-ს და ,,YouTube“-ს.
- ✓ **სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების** გვერდებს ,,Facebook“-ში შემდეგი რაოდენობის მომხმარებელი ჰყავს: სანტე - 80 000, ამორე - 24 000, სანებო - 23 000, ლოკომოკო - 35 000.
- ✓ კომპანია ძალიან ხშირად ახდენს მომხმარებელთან კომუნიკაციას ,,Facebook“-ის საშუალებით.
- ✓ კომპანია არ ატარებს გამოკითხვებს სოციალური ქსელის მეშვეობით, თუმცა, აცხადებს, რომ ძალიან ხშირად იღებს შეტყობინებებს, კითხვებს და თხოვნებს.
- ✓ კომპანიის ,,Facebook“ გვერდს ყოველდღიურად ემატება ახალი მომხმარებელი.
- ✓ **სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები** აუცილებლად ითავლისწინებს ,,Facebook“ მომხმარებლის კომენტარებს და რჩევებს.
- ✓ კომპანია ცდილობს, ხშირად განათავსოს სიახლეები ,,Facebook“-ში.
- ✓ კომპანიას აქვს განსაზღვრული სოციალური მედიასტრატეგია/გეგმა.
- ✓ კომპანიაში ფიქრობენ, რომ სოციალურმა ქსელმა მათი ბრენდის წარმატება ნამდვილად განაპირობა (მგ. პროდუქტ „ლოკომოკოს“ შემთხვევაში).
- ✓ კომპანიისთვის სოციალური ქსელის გამოყენება აუცილებელია, როგორც გაყიდვების მაჩვენებლის გასაზრდელად, ასევე ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად და კომპანიის იმიჯის ჩამოსაყალიბებლად.
- ✓ **სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები** იცნობს სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებს და მოქმედებს მათ შესაბამისად.
- ✓ კომპანია ითვალისწინებს ,,Facebook“-ის ნებისმიერ ახალ ტრენდს და მომხმარებელთან კომუნიკაციასაც მათი გათვალისწინებით ახდენს.
- ✓ კომპანიას არ აქვს კონკრეტული შენიშვნა, თუ რის გაუმჯობესებას ისურვებდა ,,Facebook“-ში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესში.

CROSTY

„CROSTY“ ფეხსაცმლის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც 2016 წელს დაარსდა.

- ✓ კომპანია რეკლამირებისათვის ციფრულ მარკეტინგს, სოციალურ მედიას ანიჭებს უპირატესობას.
- ✓ კომპანიის თქმით, მოდის ინდუსტრიაში ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების გამოყენება და მათთვის, ამ მხრივ, პრიოტიტეტულია Instagram, სადაც ბლოგერების გავლენა აუდიტორიაზე ძალიან დიდია. კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ რესურსის კომპლექსურად და სტრატეგიულად გამოყენება იძლევა ძალიან კარგ შედეგს და რომ სოციალური ქსელი ძლიერი ინსტრუმენტია, როგორც ბრენდის პოზიციონირების გასამყარებლად, ასევე გაყიდვების სტიმულირებისათვის.
- ✓ **„CROSTY**“ კვირაში რამდენჯერმე აქვეყნებს ახალ ,,Facebook“ პოსტს, თუმცა, მათი თქმით, ,,Facebook“-ი არ არის პრიორიტეტული სოციალური ქსელი „Luxury Goods“ (ძვირადღირებული ნივთების) სეგმენტში.
- ✓ კომპანიაში იყენებენ ძირითადად ,,Instagram“-ს, თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბრენდი უკვე საერთაშორისო ბაზარზეც ოპერირებს, კომპანიამ ასევე დაიწყო ,,Twitter“-ისა და ,,YouTube“-ის გამოყენება, რომელთა გააქტიურებაზეც უკვე მუშაობს.
- ✓ კომპანიას ამჟამად 10 088 ,,Facebook“ მომხმარებელი ჰყავს, თუმცა, მათ მოსაზიდად რესურს საერთოდ არ ხარჯავს.
- ✓ კომპანია ხშირად იღებს კითხვებს ,,Facebook“ მომხმარებლებისაგან, პროდუქციის ზომებზე, მიწოდებასა და მაღაზიების ადგილმდებარეობის შესახებ.
- ✓ სტრატეგიულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ბრენდი კომენტარებში არ ესაუბრება მომხმარებელს. კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ პირადი შეტყობინებებით ხდება. ბრენდი არის თავაზიანი და მეგობრული, თუმცა არ შედის მომხმარებელთან ახლო ურთიერთობაში.

- ✓ კომპანიაში არ აქვთ პასუხი, თუ რამდენად ხშირად ემატება მათ ,,Facebook“ გვერდს ახალი მომხმარებელი (არ ახდენენ ამ მონაცემების ანალიზს).
- ✓ **„CROSTY**“ ითვლისწინებს მხოლოდ იმ მომხმარებლის აზრებს და კომენტარებს, ვინც უკვე შეიძინა პროდუქტი და აქედან გამომდინარე გააკეთა შეფასება.
- ✓ კომპანია ,,Facebook“-ის გვერდზე ახალ ინფორმციას კვირაში 2-3 ჯერ ათავსებს.
- ✓ კომპანიას აქვს განსაზღვრული განრიგი და გეგმა/სტრატეგია სოციალური მედიისათვის, თუმცა, ეს არ არის ღია ინფორმაცია. ძირითადი მიმართულება სოციალურ მედიაში „ინფლუენსერებთან“ და ბლოგერებთან კომუნიკაციაა.
- ✓ **„CROSTY**“-ში აცხადებენ, რომ სოციალურ ქსელებს მათ ინდუსტრიაში დიდი გავლენა აქვთ.
- ✓ **„CROSTY**“-ში აცხადებენ, რომ სოციალურ ქსელები ბრენდის იმიჯის, ცნობადობისა და პოზიციონირების გამყარებისათვის მნიშვნელოვანია.
- ✓ კითხვაზე იცნობენ თუ არა სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებს და მოქმედებენ თუ არა მათ შესაბამისად, კომპანიაში პასუხობენ, რომ არასტანდარტულად, თუმცა სტრატეგიულად/კომპლექსურად ახორციელებენ კომუნიკაციას.
- ✓ კომპანია სოციალურ ქსელში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესის მონიტორინგს, ქსელში არსებული რეპორტის მექანიზმების მეშვეობით ახორციელებს.
- ✓ **„CROSTY**“-ის ბრენდის სტრატეგიაში წინასწარ არის განსაზღვრული მომხმარებელთან კომუნიკაციის არხები და ტონი.
- ✓ კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე არ კონცენტრირდებიან ,,Facebook“ მომხმარებელზე.

3.2. კომპანიათა „Facebook“ გვერდების კონტენტ-ანალიზი

კომპანიათა ,,Facebook“ გვერდების კონტენტ ანალიზისთვის 3 თვიანი პერიოდი, 2017 წლის ოქტომბერ-დეკემბერი შეირჩა.

საკვლევი მასალა მოიცავს შემდეგს: მონაცემები, ტექსტი/პოსტი, რეკლამა, გრაფიკული სურათი, (ასევე მოძრავი სურათი) ფოტო და ვიდეო .

კონტენტანალიზის ფარგლებში, დავაკვირდით, თუ რა სახის მონაცემები მოიპოვებოდა ყველაზე ხშირად კომპანიების ,,Facebook“ გვერდებზე, რომელი ფერი დომინირებს, რა სიხშირით ხდება ზემოაღნიშნული მასალების განთავსება, არის თუ არა, კონტენტის მხრივ, გვერდებს შორის თანხვედრა და იკვეთება თუ არა რომელიმე კომპანიის უპირატესობა, ამ მხრივ.

AlterSocks • ალტერსოქსი

გამოსახულება 2: კომპანია „ალტერსოქსის“ Facebook პოსტი, 1 ოქტომბერი, 2017 (წყარო: https://www.facebook.com/altersocks/)

ალტერსოქსი პოსტების განთავსებისას იყენებს: ე.წ „ჰეშთეგებს“ („#“), ,,Facebook“-ში არსებულ „ღიმილებსა“ და სიმბოლოებს. დაკვირვებამ აჩვენა, რომ კომპანია პოსტების კომენტარებშივე სცემს პასუხს მომხმარებლის კითხვებს.

<u>მონაცემები:</u>

კომპანიის ,,Facebook“ გვერდი ინფორმატიულია და მომხმარებელს აწვდის მონაცემებს ვაკანსიების, თუ სხვა შეთავაზებების შესახებ. გვერდი, 5 ვარსკვლავიდან,

4,9 ვარსკვლავითაა შეფასებული. სექციაში „შესახებ“ დეტალურადაა გადმოცემული როგორც კომპანიის ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე დანიშნულება.

<u>ტექსტი/პოსტი, რეკლამა:</u>

საკვლევი პერიოდის განმავლობაში, ანუ 2017 წლის 1 ოქტომბრიდან, ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (92 კალენდარული დღე) კომპანიის Facebook გვერდზე 59 პოსტია განთავსებული. 59 პოსტიდან 56 წარმოადგენს „ტექსტი + გრაფიკული სურათი/ფოტო“ სახის ინფორმაციას, ხოლო 3 პოსტში გვხვდება „ტექსტი + ვიდეო“. ტექსტებს შორის გვხვდება თემატური ტექსტები, კერძოდ შემოდგომის პერიოდში, შემოდგომის თემატიკასთან ასოცირებული სარეკლამო ხასიათის ტექსტები, ხოლო საახალწლო პერიოდში საახალწლო შინაარსის სარეკლამო პოსტები. კომპანია ასევე თემატურ პოსტებს ათავსებს ღირშესანიშნავ თარიღებში (მაგალითად, პოსტი ვიზალიბერალიზაციის შესახებ). ტექსტებს შორის ასევე გვხვდება თბილისს გარეთ, კერძოდ ბათუმსა და ქუთაისში განთავსებული **ალტერსოქსის** მაღაზიათა რეკლამები. კომპანიის Facebook გვერდზე ძირითადად ქართული ტექსტებია განთავსებული, თუმცა, გვხვდება რამდენიმე ინგლისურენოვანი პოსტიც. საკვლევ პერიოდში **ალტერსოქსის** ,,Facebook“ გვერდზე, პოსტების სახით 1 432 სიტყვაა განთავსებული, რაც თითო პოსტში საშუალოდ 24,27 სიტყვას გულისხმობს.

<u>გრაფიკული სურათი (ასევე მოძრავი სურათი), ფოტო და ვიდეო:</u>

კომპანიის ,,Facebook“ გვერდზე მრავლად შეხვდებით მიმზიდველ, ფერად ვიზუალურ მასალას. საკვლევ პერიოდში განთავსებულ ვიზუალურ მასალას შორის არ გვხვდება მოძრავი სურათები. გრაფიკული სურათები და ფოტოები ყოველთვის თან ერთვის რაიმე ტექსტს. გრაფიკულ სურათებსა და ფოტოებს შორის გვხვდება თემატური სარეკლამო მასალები, კერძოდ, შემოდგომის პერიოდში - შემოდგომის თემატიკასთან ასოცირებული მასალა, ხოლო საახალწლო პერიოდში - საახალწლო სარეკლამო მასალები. ფოტომასალებს შორის გვხვდება ასევე თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში არსებული (კომპანიის) მაღაზიების ფოტოები.

ვიდეოები განთავსებულია შემდეგ თარიღებში: 2017 წლის 27 და 30 ოქტომბერი და ამავე წლის 6 დეკემბერი. ვიდეომასალა წარამოდგენს: ტელესიუჟეტს კომპანიის შესახებ, სიუჟეტს ბიზნესდაჯილდოვების შესახებ და სარეკლამო სახის ვიდეორგოლს კომპანიის შესახებ.

<u>დომინანტი ფერები:</u>

დომინანტ ფერებს შორის ყველაზე ხშირად იკვეთება ყვითლის, ლურჯისა და ცისფრის შემდეგი ტონები:

#fdc72d #00249e #82e2f3

Geoposter

გამოსახულება 3: კომპანია „Geoposter"-ის Facebook პოსტი, 11 ოქტომბერი, 2017 (წყარო: https://www.facebook.com/pg/Geoposter/posts/?ref=page_internal)

პოსტების განთავსებისას, **ალტერსოქსის** მსგავსად, **,,Geoposter**"-იც იყენებს: ე.წ „ჰეშთეგებს" („#"), ,,Facebook"-ში არსებულ „ღიმილებსა" და სიმბოლოებს. კომპანია პოსტების კომენტარებშივე სცემს პასუხს მომხმარებლის კითხვებს, პოსტების განთავსებისას კი, უთითებს ვიზუალური მასალის ავტორის რეკვიზიტებს.

<u>მონაცემები:</u>

კომპანია ,,**Geoposter**"-ის ,,Facebook" გვერდი, 5-იდან, 5 ვარსკვლავითაა შეფასებული. გვერდი ინფორმატიულია და სექციაში „შესახებ" დეტალურადაა გადმოცემული როგორც კომპანიის ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე დანიშნულება.

<u>ტექსტი/პოსტი, რეკლამა:</u>

საკვლევ პერიოდში, ე.ი 92 კალენდარულ დღეში, ,,**Geoposter**"-ის ,,Facebook" გვერდზე სულ გვხვდება 16 პოსტი, აქედან 13 „ტექსტი + გრაფიკული სურათი/ფოტო", 2 – „ტექსტი + ვიდეო" და 1 - მხოლოდ გრაფიკული პოსტია. **ალტერსოქსის** მსგავსად,

„**Geoposter**“-ის პოსტებიც თემატურია; დეკემბრის თვეში, ძირითადად ჭარბობს საახალწლო შინაარსის რეკლამები.

მთლიან საკვლევ პერიოდში, კომპანიას პოსტების სახით, სულ 427 სიტყვა აქვს განთავსებული, რაც თითო პოსტში საშუალოდ 26,6 სიტყვას გულისხმობს. ტექსტები ძირითადად ქართულ ენაზეა განთავსებული, თუმცა, გვხვდება მცირე რაოდენობის ინგლისურენოვანი პოსტებიც.

<u>გრაფიკული სურათი (ასევე მოძრავი სურათი), ფოტო და ვიდეო:</u>

საკვლევ პერიოდში განთავსებულ ვიზუალურ მასალას შორის არ მოიძებნება მოძრავი სურათები. ვიზუალური მასალა ყოველთვის თან ერთვის ტექსტს, გარდა 1 პოსტისა (2017 წლის 31 ოქტომბერი). გრაფიკულ სურათებსა და ფოტოებში ძირითადად გვხვდება კომპანიის საახალწლო მისალოცი ბარათების დიზაინი, ვიდეომასალას შორის კი - კომპანიის შესახებ ტელესიუჟეტი და საახალწლო რეკლამა (განთავსებულია 2017 წლის 20 ოქტომბერს და 20 ნოემბერს).

<u>დომინანტი ფერები:</u>

განთავსებული ვიზუალური მასალის დომინანტ ფერებს შორის ძირითადად გვხვდება ცისფრისა და ლურჯის შემდეგი ტონები:

#c1d6d1 #9aaec7

შპს „ბარამბო“



გამოსახულება 4: კომპანია „ბარამბოს“ Facebook პოსტი, 2 ოქტომბერი, 2017 (წყარო: https://www.facebook.com/pg/barambo.ge/posts/?ref=page_internal)

კომპანიის ,,Facebook“ გვერდი ფერადი და ხალისიანია. „**ბარამბო“** პოსტების განთავსებისას იყენებს: ე.წ „ჰეშთეგებს“ („#“), Facebook-ში არსებულ „ღიმილებსა“ და სიმბოლოებს. კომპანია პოსტების კომენტარებშივე სცემს პასუხს მომხმარებლის კითხვებს. კომპანიის გვერდს ფონად გასდევს თანმიმდევრობით ცვალებადი მოძრავი, ფერადი ბანერები, რომლებიც გამორჩეულად თვალშისაცემია.

<u>მონაცემები:</u>

კომპანიის ,,Facebook“ გვერდს, 5-იდან, 4,8 ვარსკვლავი აქვს. სექციაში „შესახებ“ დეტალურადაა გადმოცემული როგორც კომპანიის ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე დანიშნულება.

ტექსტი/პოსტი, რეკლამა:

2017 წლის 1 ოქტომბრიდან, ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (92 კალენდარული დღე) კომპანიის ,,Facebook“ გვერდზე გვხვდება 72 პოსტი. აქედან 31 „ტექსტი + ვიდეო“ სახის ინფორმაციაა, ხოლო 41 – „ტექსტი + გრაფიკული სურათი/ფოტო“. წინა 2 კომპანიის მსგავსად, **„ბარამბოც“** თემატურად ათავსებს ინფორმაციას ,,Facebook“ გვერდზე; დეკემბრის თვეში ჭარბობს საახალწლო შინაარსის ინფორმაცია. **ალტერსოქსის** მსგავსად, **„ბარამბოსაც“** აქვს პოსტი ვიზალიბერალიზაციის თემატიკასთან დაკავშირებით.

ტექსტები წარმოადგენს კომპანიის პროდუქციის რეკლამებს, სხვადასხვა ტკბილეულის რეცეპტებს და ვიქტორინებს. აღსანიშნავია, რომ რეკლამებს შორის ჭარბობს პროდუქტ „ბარმელოს“ რეკლამა.

ყველა პოსტი ქართულენოვანია. საკვლევ პერიოდში, კომპანიის გვერდზე, პოსტების სახით, სულ 631 სიტყვაა განთავსებული, რაც თითო პოსტში საშუალოდ 8,7 სიტყვას გულისხმობს.

გრაფიკული სურათი (ასევე მოძრავი სურათი), ფოტო და ვიდეო:

ვიზუალურ მასალას შორის განთავსებულია **„ბარამბოს“** პროდუქტების რეკლამები. დეკემრის თვეში განსაკუთრებით ჭარბობს პროდუქტ „ბარმელოს“ რეკლამა. ვიდეომასალას შორის გვხვდება ტელესიუჟეტები კომპანიის შესახებ და სხვადასხვა ტკბილეულის ვიდეო რეცეპტები. პოსტებს შორის არ გვხვდება მოძრავი სურათები.

დომინანტი ფერები:

განთავსებული მასალის დომინანტ ფერებს შორის ძირითადად გვხვდება ყვითლისა და შოკოლადისფრის შემდეგი ტონები:

f1b430 502816

მეღვინეობა „ხარება“

გამოსახულება 5: კომპანიის - „მეღვინეობა ხარება“ Facebook პოსტი, 2 ოქტომბერი, 2017 (წყარო: https://www.facebook.com/pg/WineryKhareba/posts/?ref=page_internal)

მეღვინეობა „ხარებას“ ,,Facebook“ გვერდზე შეხვდებით, როგორც კომპანიის მიერ განთავსებულ პოსტებს, ასევე მომხმარებლის შეფასებებს.

კომპანია პოსტების განთავსებისას იყენებს: ე.წ „ჰეშთეგებს“ („#“), ,,Facebook“-ში არსებულ „ღიმილებსა“ და სიმბოლოებს. კომპანია მომხმარებლის კითხვებს ძირითადად პირადი შეტყობინებებით პასუხობს. ზოგიერთ შემთხვევაში, განთავსებულ ვიზუალურ მასალას თან ახლავს ავტორის რეკვიზიტები. **მეღვინეობა „ხარებას“** ,,Facebook“ გვერდს ფონად გასდევს კომპანიის პროდუქციის ამსახველი ვიდეობანერი, რომელიც განსაკუთრებით თვალშისაცემი და მიმზიდველია.

<u>მონაცემები:</u>

კომპანიის ,,Facebook“ გვერდი, 5-იდან, 5 ვარსკვლავითაა შეფასებული. სექციაში „შესახებ“ დეტალურადაა გადმოცემული როგორც კომპანიის ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე მისი დანიშნულება.

ტექსტი/პოსტი, რეკლამა:

საკვლევ პერიოდში, ე.ი 92 კალენდარულ დღეში კომპანიის გვერდზე 25 პოსტია განთავსებული. ტექსტების შინაარსი ძირითადად ეხება სხვადასხვა პროდუქციის რეკლამას, ფასდაკლებების შეთავაზებას, ინფორმაციას ღვინის ფესტივალებისა და გამოფენების შესახებ, რომლებშიც **მეღვინეობა „ხარებამ“** მიიღო მონაწილეობა.

3 პოსტი „ტექსტი + ბმული“ სახით არის წარმოდგენილი. ასევე 3 პოსტში გვხვდება ვიდეო მასალა (2 პოსტი – „ტექსტი + ვიდეო“, 1 პოსტი - მხოლოდ ვიდე). 1 პოსტში გვხვდება „ტექსტი + ღონისძიების ბმული“. 17 პოსტში გვხვდება „ტექსტი + ფოტო“, ხოლო, მხოლოდ 1 პოსტში - „ტექსტი + გრაფიკული სურათი“.

საკვლევ პერიოდში, პოსტების სახით, ჯამში კომპანიას 1 397 სიტყვა აქვს განთავსებული, რაც თითო პოსტში საშუალოდ 55,88 სიტყვას გულისხმობს.

25-იდან, 23 პოსტი სრულად ქართულენოვანია, 1 - სრულად ინგლისურენოვანი და 1 - ორივე, ქართულ და ინგლისურ ენაზეა განთავსებული.

გრაფიკული სურათი (ასევე მოძრავი სურათი), ფოტო და ვიდეო:

აღსანიშნავია, რომ ვიზუალურ მასალას შორის არ გვხვდება მოძრავი სურათები; 17 პოსტს ახლავს თან ფოტო მასალა, ხოლო, მხოლოდ 1 პოსტს (საახალწლო მილოცვა) - გრაფიკული სურათი. ფოტო მასალაში ძირითადად ის ღონისძიებებია ასახული, რომლებშიც კომპანია მონაწილეობდა საკვლევ პერიოდში.

ვიდეომასალა წარმოადგენს კომპანიის პროდუქციის რეკლამებსა და კომპანიის შესახებ ტელესიუჟეტებს (ძირითადად ის ღონისძიებები, რომლებშიც კომპანია მონაწილეობდა).

დომინანტი ფერები:

საკვლევ პერიოდში გვხვდება მრავალი ფერის, ჭრელი ვიზუალური მასალა. დომინანტ ტონებს შორის, შესაძლოა გამოირჩეს კომპანიის ლოგოში არსებული წითელი:

#ea3639

Fredo Handmade

გამოსახულება 6: კომპანიის - „Fredo Handmade“ Facebook პოსტი, 1 ოქტომბერი, 2017 (წყარო: https://www.facebook.com/pg/FredoHandmade/posts/?ref=page_internal)

კომპანია პოსტების განთავსებისას იყენებს: ე.წ „ჰეშთეგებს“ („#“), ,,Facebook“-ში არსებულ „ღიმილებსა“ და სიმბოლოებს. ,,**Fredo Handmade**“ არსებულ შეკითხვებს ზოგ შემთხვევაში კომენტარებშივე პასუხობს, ზოგჯერ კი - პირად შეტყობინებებში. ზოგიერთ ვიზუალურ მასალას (მოდელს) თან ახლავს ავტორის რეკვიზიტები.

<u>მონაცემები:</u>

კომპანიის გვერდი არ არის ოფიციალური სტატუსით დარეგისტრირებული, შესაბამისად, რთულია გავიგოთ, თუ რამდენი ვარსკვლავითაა ის შეფასებული. სექციაში „შესახებ“ მოცემულია კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია და მისი მოკლე აღწერა, ასევე ოფიციალური ვებგვერდის მისამართი.

<u>ტექსტი/პოსტი, რეკლამა:</u>

საკვლევი პერიოდის, ე.ი 92 კალენდარული დღის განმავლობაში კომპანიის ,,Facebook“ გვერდზე 131 პოსტი გვხვდება. ტექსტები ,,**Fredo Handmade**“-ის პროდუქციის

რეკლამები და შეთავაზებებია. კომპანიის გვერდზე, საკვლევ პერიოდში, ჯამში პოსტების სახით სულ 1 001 სიტყვაა განთავსებული, რაც თითო პოსტზე საშუალოდ 7,64 სიტყვას გულისხმობს. პოსტებს შორის გვხვდება 99 სრულად ქართულენოვანი, 7 სრულად ინგლისურენოვანი და 3 ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ტექსტი. პოსტებს შორის 12 მხოლოდ ფოტოა, 116 „ტექსტი + ფოტო“, ხოლო 3 „ტექსტი + ვიდეო“.

<u>გრაფიკული სურათი (ასევე მოძრავი სურათი), ფოტო და ვიდეო:</u>

ვიზუალურ მასალას შორის არ გვხვდება გრაფიკული და მოძრავი სურათები. ფოტო მასალა გვხვდება 128 პოსტში. ხოლო ვიდეომასალა 3 პოსტში. ფოტო და ვიდეო მასალა ასახავს კომპანიის პროდუქციას.

<u>დომინანტი ფერები:</u>

დომინანტ ფერებს შორის გამოირჩევა ღია ხისფერის შემდეგი ტონალობა:

#febb77

სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები

გამოსახულება 7: კომპანიის - „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ Facebook პოსტი, 9 ოქტომბერი, 2017 (წყარო: https://www.facebook.com/pg/santegmtproducts/posts/?ref=page_internal)

კომპანია პოსტების განთავსებისას იყენებს: ე.წ „ჰეშთეგებს“ („#“), ,,Facebook“-ში არსებულ „ღიმილებსა“ და სიმბოლოებს. კომპანიის ,,Facebook“ გვერდს ფონად გასდევს **სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების** პროდუქციის ამსახველი ვიდეობანერი, რომელიც განსაკუთრებით თვალშისაცემი და მიმზიდველია.

<u>მონაცემები:</u>

გვერდი არ არის ოფიციალური სტატუსით დარეგისტრირებული, შესაბამისად რთულია გავიგოთ, თუ რამდენი ვარსკვლავითაა ის შეფასებული. სექციაში „შესახებ“ მოცემულია კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია, მისი მოკლე აღწერა და ჯილდოების ჩამონათვალი. აქვეა ბმული ოფიციალურ ვებგვერდთან.

<u>ტექსტი/პოსტი, რეკლამა:</u>

საკვლევ პერიოდში, ანუ 92 კალენდარულ დღეში **სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების** Facebook გვერდზე გვხვდება მხოლოდ 6 პოსტი, აქედან 4 „ტექსტი + ფოტო“, 1 - მხოლოდ ვიდეო (ვიდეორეცეპტი) და 1 - „ტექსტი + ვიდეო“. ჯამში საკვლევ პერიოდში, პოსტების სახით განთავსებულია სულ 305 სიტყვა, რაც თითო პოსტზე საშუალოდ 51 სიტყვას გულისხმობს. ახალი წლის პერიოდში ჭარბობს საახალწლო რეცეპტების ამსახველი პოსტები.

<u>გრაფიკული სურათი (ასევე მოძრავი სურათი), ფოტო და ვიდეო:</u>

გვერდზე განთავსებული ვიზუალური მასალა წარმოადგენს გრაფიკულ სურათებს, რომლებიც ასახავს კომპანიის პროდუქციას, გრაფიკულ ვიდეორეცეპტს და ვიდეოს კომპანიის შესახებ. გვერდზე არ არის განთავსებული ფოტომასალა და მოძრავი სურათები.

<u>დომინანტი ფერები:</u>

განთავსებული ვიზუალური მასალის დომინანტ ფერებს შორისაა წითელის და ლურჯის შემდეგი ტონები:

#f82021 #1b7fbd



CROSTY

გამოსახულება 8: კომპანიის - „CROSTY“ Facebook პოსტი, 2 ოქტომბერი, 2017 (წყარო: https://www.facebook.com/pg/crosty/posts/?ref=page_internal)

კომპანია პოსტების განთავსებისას იყენებს: ე.წ „ჰეშთეგებს“ („#“), თუმცა, არ იყენებს ,,Facebook“-ში არსებულ „ღიმილებსა“ და სიმბოლოებს.

<u>მონაცემები:</u>

კომპანიის ,,Facebook“ გვერდი, 5-იდან, 5 ვარსკვლავითაა შეფასებული. სექციაში „შესახებ“ მოცემულია კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია, მისი მოკლე აღწერა და

ბმული ოფიციალურ ვებგვერდთან. აქვე, არსებული ლინკის საშუალებით შეგიძლიათ გაეცნოთ კომპანიის კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

<u>ტექსტი/პოსტი, რეკლამა:</u>

საკვლევი პერიოდის განმავლობაში, ანუ 92 კალენდარულ დღეში კომპანიის გვერდზე გვხვდება 17 პოსტი, აქედან 16 „ტექსტი + ფოტო“ პოსტია, ხოლო 1 - „ტექსტი + ვიდეო“. ტექსტების 100% ინგლისურ ენაზეა განთავსებული. საკვლევ პერიოდში, ჯამში, პოსტების სახით 275 სიტყვაა განთავსებული, რაც თითო პოსტზე საშუალოდ 16 სიტყვას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის თვეში კომპანიას არ აქვს განთავსებული არცერთი პოსტი. ტექსტები ძირითადად კომპანიის პროდუქციის რეკლამებია.

<u>გრაფიკული სურათი (ასევე მოძრავი სურათი), ფოტო და ვიდეო:</u>

საკვლევი პერიოდის განმავლობაში, კომპანიის გვერდზე არ გვხვდება გრაფიკული ან მოძრავი სურათები. გვერდზე წარმოდგენილია ფოტო და ვიდეო მასალა, რომლებიც კომპანიის პროდუქციას ასახავს.

<u>დომინანტი ფერები:</u>

საკვლევ პერიოდში, წარმოდგენილი ვიზუალური მასალა ჭრელია, შესაბამისად, ანალიზის შედეგად, არ იკვეთება რომელიმე კონკრეტული დომინანტი ფერი.

<u>**შედეგები:**</u>

ვიზუალურ მასალაში დომინანტი ტონები შვიდი კომპანიის ანალიზის საფუძველზე:



დაკვირვება აჩვენებს, რომ შვიდი კომპანიის ვიზუალურ მასალაში არსებულ ფერებს შორის გარკვეული თანხვედრაა, კერძოდ, დომინანტურია: ყვითლის, ცისფრის, ლურჯისა და წითელი ფერის სხვადასხვა გრადაცია.

შეფასებების (ვარსკვლავების) მიხედვით ლიდერობს: ,,**Geoposter**"-ი, **მეღვინეობა „ხარება" და ,,CROSTY**" (სამივე კომპანიას, 5-იდან, 5 ვარსკვლავი აქვს). მათ მოსდევს **ალტერსოქსი** - 4,9 და **„ბარამბო „** - 4,8 ვარსკვლავებით (დანარჩენი 2 კომპანიის შემთხვევაში ინფორმაცია არ არის მოცემული).

პოსტების განთავსების რაოდენობით კომპანიები ლიდერობენ შემდეგი თანმიმდევრობით:

I. **Fredo Handmade**
II. **შპს „ბარამბო"**
III. **ალტერსოქსი**
IV. **მეღვინეობა „ხარება"**
V. **CROSTY**
VI. **Geoposter**
VII. **სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები**

კომპანიები შემდეგი თანმიმდევრობით იყენებენ თითო პოსტში ყველაზე დიდი მოცულობის ტექსტს:

I. **მეღვინეობა „ხარება"**
II. **„სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები"**
III. **Geoposter**
IV. **ალტერსოქსი**
V. **CROSTY**
VI. **შპს „ბარამბო"**
VII. **Fredo Handmade**

3.3. მომხმარებელთა თვისებრივი კვლევის შედეგები

2017 წლის 27 ნოემბერს 200 ადამიანს „Facebook“-ის მეშვეობით გაეგზავნა ონლაინ კითხვარი (იხილეთ დანართი 2), რომელიც 10 კითხვისგან შედგებოდა.

ქვემოთ ასახულია გამოკითხვის ზოგადი ანალიზი:



დიაგრამა 1: მომხმარებლების გამოკითხვის ზოგადი ანალიზი (წყარო: https://admin.typeform.com/form/6390080/analyze/#/section/metrics)

როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები, გამოკითხვის შედეგად ბმულზე დაფიქსირდა 163 უნიკალური სტუმარი[2], მათგან 48-ს კითხვარზე წვდომა ჰქონდა ლეპტოპიდან და პერსონალური კომპიუტერიდან, ხოლო 115-ს სმარტფონიდან. კითხვარის შევსების საშუალო დრო 04:03 წუთია. ჯამში კითხვარი სულ 86 ადამიანმა შეავსო.

შედეგების მიხედვით, კითხვარი შეავსო უფრო მეტმა ქალმა (57 ქალი, 5 მამაკაცი, ხოლო რესპოდენტების დანარჩენი რაოდენობა არ ასახელებს სქესს), ვიდრე მამაკაცმა. რესპოდენტთა ასაკი 19-იდან 61 წლამდე მერყეობს, საშუალო ასაკი კი - 24 წელია.

[2] კითხვარის ანალიზისას, საკველ პერიოდში, სულ დაფიქსირდა 195 სტუმრობა, აქედან 32 იყო განმეორებითი სტუმარი, ხოლო 163 უნიკალური.

- კითხვაზე, ადევნებენ თუ არა მომხმარებლები ქართულ კომპანიებს თვალყურს ,,Facebook“-ის მეშვეობით, 11 რესპოდენტი პასუხს, რომ დიახ, ისინი ადევნებენ თვალს ქართულ კომპანიებს ,,Facebook“-ის მეშვეობით, ხოლო 38 პასუხობს, რომ ისინი ამ აქტივობას ხშირად ან ძალიან ხშირად ახორციელებენ.
- კითხვაზე, გაუგიათ თუ არა მომხმარებლებს რომელიმე ბრენდის შესახებ ,,Facebook“-ის მეშვეობით, რესპოდენტთა უმრავლესობა პასუხობს, რომ დიახ გაუგიათ მინიმუმ ერთი ან რამდენიმე ბრენდის შესახებ ,,Facebook“-ის მეშვეობით. 86 რესოპდენტიდან, მხოლოდ 3-ს არ ახსენდება ამგვარი შემთხვევა. 86 რესპოდენტიდან 5 ამბობს, რომ თითქმის ყოველთვის ,,Facebook“-ის მეშვეობით იგებს ახალი ბრენდების შესახებ.
- კითხვაზე, მათი აზრით, „მოქმედებს თუ არა სოციალური მედია დადებითად ბრენდის იმიჯზე“ 80 რესპოდენტი პასუხობს, რომ დიახ, მოქმედებს, ხოლო 6 რესპოდენტის აზრი სიტუაციის მიხედვით იცვლება.
- კითხვაზე, მოუძებნიათ თუ არა რესპოდენტებს რომელიმე ბრენდის შესახებ ინფორმაცია ,,Facebook“-ის დახმარებით, რესპოდენტთა უმრავლესობა (გარდა ერთისა) დადებით პასუხს იძლევა.
- კითხვაზე, შეუძენიათ თუ არა რომელიმე ბრენდის პროდუქცია ,,Facebook“-ის მეშვეობით, რესპოდენტთა უმრავლესობა უარყოფით პასუხს იძლევა.
- კითხვაზე, „რა მიზნით იწონებთ კომპანიის ,,Facebook“ გვერდს“, რესპოდენტები გამოყოფენ შემდეგ ძირითად მიზეზებს: რათა მიადევნონ თვალი სიახლეებს, შეიტყონ ინფორმაცია კომპანიის შესახებ, მუდმივად ჰქონდეთ სიახლეები კომპანიის შესახებ, და რათა გაეცნონ კომპანიის პროდუქციას.
- კითხვაზე, „კომპანიის მიერ გაკეთებული რა ტიპის პოსტი იქცევს ყველაზე მეტად თქვენს ყურადღებას“ რესპოდენტები ასეხელებენ შემდეგ პასუხებს პრიორიტეტის მიხედვით: ტექსტი, ფოტო, ვიდეო, გიფი.
- რესპოდენტთა უმრავლესობა ვერ იხსენებს სოციალურ ქსელში დაგეგმილ რომელიმე კომპანიის აქციას. ზოგიერთი რესპოდენტი იხსენებს „თი-ბი-სი ბანკისა“, „საქართველოს ბანკის“, კომპანია სანტეს, „მარკეტერისა“ და ნატახტარის, ასევე „კოკა კოლასა“ და „ისთ ფოინთის“ აქციებს. რესპოდენტები

ასევე იხსენებენ „თი-ბი-სი ბანკის“ #გააზიარეწარმატება-ს და ახალი მზიურის თავისუფალი ფილმების კინო ჩვენების აქციებს.

- კითხვაზე, „გაგიკეთებიათ თუ არა „unlike“ რომელიმე კომპანიის გვერდისთვის და თუ კი, რატომ?“ რესპოდენტების უმრავლესობა პასუხობს კი-ს. მიზეზებად სახელდება უინტერესო პოსტები, ზედმეტი რეკლამები, არააქტიური გვერდი, სექსისტურ/ჰომოფობიური შინაარსის რეკლამები, არაკომპეტენტური ინფრმაციის გავრცელება, პოსტების სიმრავლე, არასაკმარისი ინფორმაცია, შეუსაბამობა სოციალურ მედიაში წარმოდგენილი სერვისსა და რეალურ ხარისხს შორის, არაეთიკური პოლიტიკური ქვეტექსტები და ცხოველთა უფლებების დარღვევა.

დასკვნა

კვლევამ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, კოპანიებმა სწორად წარმართონ სოციალური მედია მარკეტინგის სტრატეგია, რათა თავიდან აიცილონ არამიზნობრივი ხარჯები და გაზრდილი კონკურენციის პირობებში ეფექტურად მოახდინონ ბრენდის პოზიციონირება ბაზარზე. ეს ყოველივე ნაშრომში თავდაპირევლად თეორიული ანალიზით არის გამტკიცებული, შემდეგ კი მას თან ერთვის თვისებრივი კვლევა.

კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური ქსელები საქართველოში ყველაზე პოპულარულ ვებგვერდებს შორისაა, მათ შორის კი წამყვანი ,,Facebook"-ია. კომპანიები ,,Facebook"-ს პროდუქციის რეკლამირებისათვის იყენებენ.

კვლევამ ცხადყო, რომ ქვეყანაში დაგეგმილი ფართოზოლოვანი ინტერნეტის განვითარების პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ადგილობრივი საწარმოებისათვის ტრეინინგ კურსები ციფრულ წიგნიერებაში. პროექტმა უნდა გააუმჯობესოს ქვეყანაში ინტერნეტზე წვდომა და აამაღლოს ციფრული წიგნიერება, განსაკუთრებით კი, მცირე საწარმოებში, რაც, თავისთავად სოციალური მედიაუნარების ათვისებას და ამ პლათფორმების მოხმარების გაძლიერებას განაპირობებს.

კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც შესაძლოა სოციალური ქსელის უფრო ეფექტურად გამოყენება ბრენდის ცნობადობის ამაღლების კუთხით, თუმცა, ქართულ კომპანიებთან ინტერვიუს დროს, ზოგ შემთხვევაში, ამ მექანიზმების გამოყენება არ ფიქსირდება. მიუხედავად ამისა, კომპანიები აქტიურად მოიხმარენ სოციალურ მედიას, განსაკუთრებით კი - ,,Facebook"-ს და მათი გვერდების არქიტექონიკაც თანხვედრაშია თეორიასთან. კვლევამ აჩვენა, რომ ,,Facebook"-ის გარდა ქართული კომპანიები აქტიურად მოიხმარენ სოციალურ ქსელ ,,Instagram"-ს.

გამოკითხული კომპანიები თანამშრომლობენ ტრადიციულ მედიასთან, თუმცა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა, რეკლამირების თვალსაზრისით, სოციალურ მედიას ანიჭებს უპირატესობას და ამას სხვადასხვა მიზეზით (სეგმენტზე სწრაფი წვდომა, დანახარჯების შემცირება...) ხსნის.

გამოკითხვამ ასევე აჩვენა, რომ კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა ითვალისწინებს ,,Facebook" მომხმარებლების რჩევებს და შენიშვნებს და იცნობს

სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსების საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე მოქმედებს მათ შესაბამისად.

ამგვარად, დასტურდება შერჩეული ჰიპოთეზა: „სოციალური მედია საგრძნობ გავლენას ახდენს საქართველოში ბრენდის ცნობადობის გაზრდაში“.

რაც შეეხება რესპოდენტებს - მომხმარებლების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას გაუგია ,,Facebook“-ის მეშვეობით ერთი ან რამდენიმე ბრენდის შესახებ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში სოციალური მედია ბრენდის ცნობადობის გაზრდაში დიდ როლს თამაშობს. კვლევის მიხედვით, მომხმარებელთა ძალიან დიდი უმეტესობა ფიქრობს, რომ სოციალური მედია დადებითად მოქმედებს ბრენდის იმიჯზე, შესაბამისად საქართველოში ბრენდის შერჩევისას სოციალური მედია მომხმარებელზე საგრძნობ გავლენას ახდენს. რესპოდენტთა დიდ უმრავლესობას მოუძებნია ინფორმაცია რომელიმე ბრენდის შესახებ ,,Facebook“-ის მეშვეობით, რაც ბრენდის შერჩევისას სოციალური ქსელების ინტენსიურ გამოყენებას ადასტურებს.

გამოკითხვის საფუძველზე, ხშირად ფიქსირდება ასევე “unlike” ღილაკის გამოყენების პრეცედენტიც. ეს ბრენდის შერჩევისას, მომხმარებელთა ,,Facebook“ აქტივობაში ჩართულობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

კომპანიათა ,,Facebook“ გვერდების კონტენტ ანალიზის საფუძველზე იკვეთება ვიზუალურ მასალებში გამოყენებული დომინანტ ფერთა ტონები. ამ მხრივ, გამოკითხულ 7 კომპანიას გარკვეული თანხვედრა აქვთ, კერძოდ, საკვლევ პერიოდში, ყველაზე ხშირად გამოიყენება: ყვითელი, ცისფერი, ლურჯი და წითელი ფერების სხვადასხვა გრადაციები.

,,Facebook“ კონტენტისა და მოწონებების რაოდენობის მხრივ, ყველაზე ძლიერ ბრენდად შესაძლოა დასახელდეს **„შპს ბარამბო“** და **,,Fredo Handmade“**. **„შპს ბარამბო“** -ს გვერდი ასევე გამოირჩევა მრავალფეროვანი კონტენტით (გვერდზე შეხვდებით ფოტო, ვიდეო და ტექსტურ მასალებს).

კვლევა ასახავს ქართული კომპანიების აქტიურ, თუმცა ხშირად ერთმანეთის მსგავს მიდგომას სოციალური ქსელების გამოყენების კუთხით, ადასტურებს თეორიულ ანალიზში გამოთქმულ ვარაუდებს და სახავს ახალ შესაძლებლობებს საკითხის შემდგომში შესწავლისათვის.

ბიბლიოგრაფია

Bulletin of the Transilvania University of Brasov. (2016) Series 7thL Social Sciences. Law. Vol. 9 (58) No. 2, გვ. 1, 139, 140

Clifton, R. Simmons, J. (2003) Brands and Branding. The Economist, გვ. 1, 2, 150

Edosowman, S. O (January, 2011). The history of social media and its impact on business. Journal of Applied Management and Entrepreneurship, გვ. 3, 4, 5

ენუქიძე, ნ. (2014). სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 2, 3, 13, 16, 19, 21, 22, 31, 32

Hampf, A. Lidberg-Repo, K. (2011) Branding: The Past, Present and Future. A study of Evolution and Future of Branding. Hanken School of Economcs Working Papers, გვ. 4

Holt, D. B. Brands and Branding. Cultural Strategy Group, გვ. 4, 5

How to Preserve Brand Health in Social Media. White Paper (2015), გვ. 3, 4, 5

IDFI (2017, ივლისი). როგორ დავიცვათ პირადი უსაფრთხოება Facebook-ში, გვ. 1

Kaplan, A. M. & Haenlein, M. (2010). Users of the world, unite! The challenges and opportunities of Social Media. Business Horizons, 53, 59-68 doi:10.1016/j.bushor.2009.09.003, გვ. 64

Keller, K. L. (2016, October 5). Brands and Branding: Research Findings and Future Priorities. Marketing Science 25(6): 740-759. http://dx.doi.org/10.1287/mksc.1050.0153, გვ. 744, 750

Maurya, U. K. Mirsha, P. (2012) What is Brand? A perspective on Brand Meaning. European Journal of Business and Management, გვ. 122, 123

Modelling brand value from the consumer perspective: Evidence from the high-tech Brandscape in Saudi Arabia. Retrived from: marketing.conference-services, გვ. 2

Neti, S. (2011) SOCIAL MEDIA AND ITS ROLE IN MARKETING. International Journal of Enterprise Computing and Business Systems, გვ. 1-11

Sarabdeen, J. (June, 2014). Legal Risks in Social Media Marketing. International journal of e-education, e-business, e-management and e-Learning, Vol 4, N. 3, გვ. 1, 4, 5

Shanea, N. (2011). Social Media's Role in Branding: A study of Social Media Use and the Cultivation of Brand Affect, Trust, and Loyalty, გვ. 1, 21

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. (2017, 31 ოქტომბერი). ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BFD) პროგრამის სახელმძღვანელო, გვ. 1, 7, 19, 39, 44, 47, 48, 49

ინტერნეტ წყაროები:

https://twitter.com/nudd/status/912669813406912512

https://fortunelords.com/youtube-statistics/

https://zephoria.com/top-15-valuable-facebook-statistics/

https://blog.socialsharks.ge/brand-awareness-objective/

www.trendbook.ge

www.iris.ge

დანართი 1

კომპანიებისთვის განკუთვნილი კითხვარი:

1. კომპანიის სახელწოდება (ასევე საქმიანობა და დაარსების წელი) *

2. რომელს ანიჭებთ უპირატესობას თქვენი ბრენდის რეკლამისთვის სოციალურ მედიას თუ ტრადიციულ მედიას? *

3. როგორ ფიქრობთ, მნიშვნელოვანია თუ არა თქვენი ბრენდის ცნობადობისთვის სოციალური ქსელები? თუ კი, რატომ? *

4. რამდენად ხშირად იყენებთ კომპანიის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად სოციალურ ქსელ Facebook-ს? *

5. იყენებთ თუ არა სხვა რომელიმე სოციალურ ქსელს ამავე მიზნით? *

6. თუ თქვენი კომპანია იყენებს სოციალურ ქსელ Facebook-ს, რამდენი მომხმარებელი (Follower) ჰყავს თქვენს გვერდს? *

7. რამდენად ხშირად გაქვთ კომუნიკაცია მომხმარებელთან Facebook-ის მეშვეობით? *

8. თუ თქვენ გაქვთ კომუნიკაცია მომხმარებლებთან Facebook-ის მეშვეობით, შეგიძლიათ აღწეროთ იგი? (მაგალითად, ატარებთ თუ არა გამოკითხვებს პროდუქტის შესახებ; მოგდით თუ არა კონკრეტული შეტყობინებები/კითხვები მომხმარებლებისგან და ა.შ) *

9. რამდენად ხშირად გემატებათ ახალი მომხმარებელი Facebook-ზე? *

10. ითვალისწინებთ თუ არა Facebook მომხმარებლების კომენტარებს და რჩევებს? *

11. რამდენად ხშირად ათავსებთ ახალ ინფორმაციას თქვენი კომპანიის Facebook გვერდზე? *

12. გაქვთ თუ არა განსაზღვრული განრიგი და გეგმა/სტრატეგია სოციალური მედიისთვის? *

13. როგორ ფიქრობთ, განაპირობა თუ არა სოციალურმა ქსელებმა თქვენი ბრენდის წარმატება? *

14. რა მიზნით არის თქვენი კომპანიისთვის აუცილებელი სოციალური მედიის გამოყენება? (მაგალითად, გსურთ გაყიდვების მაჩვენებლის გაზრდა, ან ბრენდის ცნობადობის ამაღლება, კომპანიის იმიჯის ჩამოყალიბება და ა.შ) *

15. იცნობთ თუ არა სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელების საეთაშორისო დონეზე არსებულ სტანდარტებს და მოქმედებთ თუ არა მათ შესაბამისად? *

16. როგორ ახდენთ სოციალურ ქსელში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესის მონიტორინგს?

17. როგორ იღებთ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა ფორმით ეკონტაქტოთ მომხმარებელს სოციალურ მედიასივრცეში (ამ შემთხვევაში Facebook-ში)? (განათავსოთ ფოტო/ვიდეო/ტექსტური მასალა, შეატყობინოთ სიახლეების შესახებ და ა.შ.) *

18. რის გაუმჯობესებას ისურვებდით Facebook-ში მომხმარებელთან კომუნიკაციის პროცესში? *

დანართი 2

მომხმარებლებისთვის განკუთვნილი კითხვარი:

რა როლს ასრულებს საქართველოში სოციალური მედია ბრენდის ცნობადობის გაზრდაში

1	თქვენი ასაკი და სქესი:
2	ადევნებთ თუ არა ქართულ კომპანიებს თვალყურს Facebook-ის მეშვეობით? თუ კი, რამდენად ხშირად?
3	გაგიგიათ თუ არა რომელიმე ბრენდის შესახებ სოციალური მედიის (ამ შემთხვევაში Facebook-ის) მეშვეობით?
4	თქვენი აზრით მოქმედებს თუ არა სოციალური მედია დადებითად ბრენდის იმიჯზე?
5	მოგიძებნიათ თუ არა ბრენდის შესახებ ინფორმაცია Facebook-ის დახმარებით?
6	შეგიძენიათ თუ არა რომელიმე ბრენდის პროდუქცია სოციალური ქსელების (ამ შემთხვევაში Facebook-ის) საშუალებით?
7	რა მიზნით იწონებთ კომპანიას Facebook-ის გვერდზე?
8	კომპანიის მიერ გაკეთებული რა ტიპის ,,პოსტი'' იქცევს ყველაზე მეტად თქვენს ყურადღებას? (ტექსტი, ფოტო, ვიდეო, მო...
9	შეგიძლიათ, გაიხსენოთ რომელიმე კომპანიის მიერ დაგეგმილი, თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი რაიმე აქცია სოც...
10	გაგიკეთებიათ თუ არა ,,unlike'' კომპანიის რომელიმე გვერდისთვის? თუ კი, რატომ?

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამი ხაჩიძე

ეკონომიკური სანქციის, როგორც ეკონომიკური დიპლომატიის ინსტრუმენტის ეფექტიანობა - ჩრდილოეთ კორეის მაგალითი

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი წარმოდგენლია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკა აკობია

თბილისი 2018

ანოტაცია

მოცემული ნაშრომის ამოცანაა ეკონომიკური დიპლომატის ეფექტიანობის განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზი. კვლევა ეფუძვნება ფართო ლიტერატურის მიმოხილვას. მეთოდოლოგიად გამოყენებულია დისკურს ანალიზი, კონტენტ ანალიზი და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

კვლევის მიზანია გამოავლინოს, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა 2003 – 2016 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ჩრდილოეთ კორეისათვის დაწესებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობა, ბირთვული პროგრამის შეჩერების კუთხით. ჰიპოთეზა ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად - 2003 – 2016 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ, ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ გატარებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობა, ბირთვული პროგრამის შეერების კუთხით, განპირობებული იყო ა) ინიციატორსა და სამიზნეს შორის კონფლიქტის მაღალი მოლოდინითა და ბ) სამიზნისათვის მიყენებული დაბალი ეკონომიკური დანახარჯით. ჰიპოთეზის განხილულია კონფლიქტის მოლოდინის მოდელის თეორიულ ჭრილში.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მტკიცდება, რომ მოცემულ პერიოდში, სანქციების დაწესების შედეგად, ჩრდილოეთ კორეისათვის მიყენებული მარგინალური ეკონომიკური დანახარჯი და ამერიკის შეერთებულ შტატებთან კონფლიქის მოლოდინის მაღალი დონე, განაპირობებს ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობას ბირთვული პროგრამის შეჩერების კუთხით. დამატებით დადგინდა, რომ ეკონომიკურ სანქციათა არაეფექტიანობის მესამე, განმაპირობებელი ფაქტორი არის აღსრულების არაადექვატური მექანიზმი.

Abstract

The objective of the thesis is to analyze the factors that influence the efficiency of the economic diplomacy. The study is based on a wide range of literature reviews. The methodology used includes: discourse analysis, content analysis and analysis of statistical data.

The The purpose of this paper is to examin the sanctions imposed by the United States and the United nations from 2003 untill 2016 to persuade North Korea to discontinue its nuclear weapon programs and reverse to Non Proliferation Treaty. The hypothesis is formatted as follows: In the years of 2003- 2016, negative economic sanctions of the United States and the United Nations against North Korea, in terms of nuclear restructuring, was inefficient because: a) a high expectation rate of conflict between the initiator and the target and b) the low economic cost of the target. The hypothesis is discussed in the theoretical context of conflict expectation model.

On the basis of data analysis, it is confirmed that in the given period, due to the imposition of sanctions, low marginal economic cost of North Korea and the high level of expected confrontation with the United States caused the inefficiency of economic sanctions in terms of stopping the nuclear program. Furthermore, the third factor of the inefficiency of economic sanctions is the inadequate mechanism of enforcement.

შინაარსი

ანოტაცია 2
Abstract 3
შესავალი 5
თემის აქტუალობა 6
კვლევის სიახლე 6
საკვლევი კითხვა 6
ჰიპოთეზა 7
ცვლადების ოპერაციონალიზაცია 7
ტერმინთა განმარტება 7
მეთოდოლოგია 7
ნაშრომის გეგმა 8
განმარტებები 8
ლიტერატურის მიმოხილვა 9
თეორიული ჩარჩო 13
კონფლიქტის მოლოდინის მოდელი 15
ინიციატორისა და სამიზნის ურთიერთობები - დისკურს ანალიზი 18
ჩრილოეთ კორეის პოლიტიკური ეკოკნომიკა 21
გაეროს დაწესებული სანქციების ანალიზი 24
ამერიკის დაწესებული სანქციების ანალიზი 29
ეკონომიკური სანქციის ეფექტიანობის ინდიკატორი 30
დაწესებული სანქციების ეკონომიკური ეფექტი ჩრდილოეთ კორეაზე 31
ალტერნატიული ამხსენილი ცვლადები 34
სანქციების აღსრულების მექანიზმის ანალიზი 35
თეორიული ახსნა 38
დასკვნა 41
გამოყენებული ლიტერატურა 44
დანართი 1.2 47
დანართი 1.3 47
დანართი 1.4 47
დანართი 1.5 47

შესავალი

ეკონომიკური დიპლომატია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში პოპულარულ სგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა. მისი გამოყენება განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ეკონომიკური დიპლომატიის ფენომენისა და საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობის გაანალიზების კუთხით საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ჩრდილოეთ კორეა.

1950 წელს, კორეის ომის დასაწყისიდან, ჩრიდლოეთ კორეა არაერთხელ გამხდარა ეკონომიკური სანქციების სამიზნე. ოფიციალური ფხენიანის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, სავაჭრო ემბარგოსა და ბოიკოტის, ფინანსური აკრძალვის, მოგზაურობის შეზღუდვის, დახმარების შეჩერებისა და სხვა ფორმებით, განხორციელდა ეკონომიკურ სანქციათა რამდენიმე რაუნდი. ცივი ომის დასრულების შემდეგ, აღნიშნული ეკონომიკური სანქციები ძირითადად მიმართული იყო ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შეჩერებისა და კუნძულზე მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ. მრავალმხრივმა სანქციებმა, ჩრდილოეთ კორეა ჩამოაშორა გლობალურ ეკონომიკას. დღეს, ოფიციალურ ფხეიანს აქვს ძალიან შეზღუდული საგარეო სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობები, რომლის დიდი ნაწილიც, დაახლოებით 90%, მხოლოდ ერთ ქვეყანაზე, ჩინეთზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეაზე, უკვე ათეულობით წლებია, ძალიან მძიმე საგარეო ეკონომიკური ზეწოლა ხორციელდება, სანქციებს დღემდე არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა რეჟიმის სტაბილურობასა და მის მიერ ბირთვული პროგრამის განხოციელებაზე.

ჩრდილოეთ კორეის მიმართ ახალი ეკონომიკური სანქციების დაწესების პროცესი კვლავ გრძელდება და უფრო აქტიურ სახეს იღებს. 2017 წლის სექტემბერში, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, ჩრდილოეთ კორეისათვის დამატებითი ეკონომიკური სანქციების დაწესების შესახებ რეზოლუციის მიღების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, ნიკი ჰეილიმ, განაცხადა - „ჩვენ დავასრულეთ მცდელობა დაგვერწმუნებინა ჩრდილოეთ კორეა გაეკეთებინა სწორი არჩევანი. ხლა, ჩვენ ვცდილობთ წავართვათ მას შესაძლებლობა გააკეთოს არასწორი არჩევანი". (Haley, 2017) აღიშნული რიტორიკა მიგვანიშნებს, რომ უახლოეს მომავალში

ჩრდილოეთ კორეის მიერ სანქციების დაწესება კიდევ მოსალოდნელი. აქედან გამომდინარე, საჭიროა იმის ანალიზი, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ, ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობას.

თემის აქტუალობა

უკანასკნელ პერიოდში, ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის განვითარების წარმატებული მცდელობა წარმოადგენს დიდ გამოწვევას საერთაშორისო უსაფრთხოებისა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. მიუხედავად საერთაშორისო ზეწოლისა, ჩრდილოეთ კორეის ავტორიტარული რეჟიმი, კვლავ განაგრძობს ბირთვული პროგრამისა და ბალისტიკური რაკეტის განვითარებას. ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის განვითარება არ შეიძლება განხილული იყოს მხოლოდ კორეის ნახევარკუნძულის ჭრილში რადგან ის წარმოადგენს საფრთხე ზოგადად სერთაშორისო სისტემის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

კვლევის სიახლე

ჩემი ნაშრომის წვლილს ერთის მხრივ ვხედავ, როგორც ეკონომიკური დიპლომატიის ეფექტიანობის შესახებ კვლევის სფეროში არსებული ლიტერატურის შევსების მცდელობას. ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგების პროგნოზირებისათვის ღირებული ბაზის შექმნას.

საკვლევი კითხვა

რა ფაქტორებმა განაპირობა 2003 – 2016 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ჩრდილოეთ კორეისათვის დაწესებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობა, ბირთვული პროგრამის შეჩერების კუთხით

ჰიპოთეზა

2003 – 2016 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ, ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ გატარებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობა, ბირთვული პროგრამის შეერების კუთხით, განპირობებული იყო ა) ინიციატორსა და სამიზნეს შორის კონფლიქტის მაღალი მოლოდინითა და ბ) სამიზნისათვის მიყენებული დაბალი ეკონომიკური დანახარჯით

ცვლადების ოპერაციონალიზაცია

ნაშრომში დამოუკიდებელ ცვლადებად ოპერაციონალიზბული მაქვს ა) ინიციატორსა და სამიზნეს შორის კონფლიქტის მოლოდინის დონე და ბ) ეკონომიკური სანქციების შედეგად, სამიზნისათვის მიყენებული ეკონომიკური დანახარჯები.

დამოკიდებული ცვლადი იქნება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა

ტერმინთა განმარტება

„ინიციატორი“ - აღნიშნავს სახელმწიფოს (ან საერთაშორისო ორგანიზაციას) რომელიც არის ეკონომიკური სანქციის დაწესების მთავარი ინიციატორი და ავტორი. ჩემს ნაშრომში, ტერმინი „ინიციატორი“ გულისხობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას

„სამიზნე“ - სახელმწიფო, რომელიც არის ეკონომიკური სანქციის უშუალო ობიექტი. მოცემული კვლევის შემთხვევაში - ჩრდილოეთ კორეა. (Hufbauer, 2007)

მეთოდოლოგია

ჩემს ნაშრომში, კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნება შემთხვევის შესწავლა. დეტალურად განვიხილავ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ 2003-2016 წლებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს. ნაშრომში ასევე გამოყენებული იქნება დისკურს ანალიზი და კონტენტ ანალიზი, რომლთა საფუძველზე განვიხილავ მოცემული საკვლევი თემის ირგვლივ არსებულ ოფიციალურ საბუთებს, მოხსენებებსა და განცხადებებს. განსაკუთრებული

ყურადღება დაეთმობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩრდილოეთ კორეის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადების განხილვას. ასევე გაანალიზებული იქნება ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ემპირიული და სტატისტიკური მონაცემები. ამ მომაცემების საფუძველზე გაკეთდება ჩრდილოეთ კორეისათვის ეკონომიკური სანქციების დაწესებით მიყენებული ეკონომიკური დანახარჯები.

ნაშრომის გეგმა

ნაშრომი ვიწყებ საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული მასალის ლიტერატურული მიმოხილვით. გაანალიზებული მაქვს როგორც ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობასთან დაკავშირებული ლიტერატურა, ასევე კონკრეტულად ჩრდილოეთ კორეისადმი დაწესებული ეკონომიკური სანქციების ირგვლივ შექმნილი ნაშრომები და სტატიები.

შემდეგ სექციაში განხილული მაქვს დენიელ დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი, რომელსაც გამოვიყენებ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თეორიულ ჭრილში ანალიზისათვის.

ნაშრომის მომდევნო სექციები დაეთმობა 2003 – 2016 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ, ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ გატარებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების ანალიზს.

სანქციათა ანალიზის საფუძველზე, შემდეგი კვლევის მიზნით, გამოვყოფ დამოუკიდებელ ცვლადებს და დამოკიდებულ ცვლადზე მათი გავლენის დასადასტურებლად გამოვიყენებ კვლევის შემდეგ მეთოდოლოგიას: დისკურს ანალიზი, კონტენტ ანალიზი და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

ბოლო სექციაში შევაჯემებ კვლევის შედეგებსა და გავაკეთებ ზოგად დასკვნას.

განმარტებები

ძნელია იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად როდის დაიწყო ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღის განვითარების პროგრამა. ანალიტიკოსთა გარკვეული ნაწილი

მიიჩნევს რომ ათვლის წერტილად უნდა ჩაითვალოს 1993 წელს ჩრდილოეთ კორეის მიერ გაკეთებული განცხადება ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლასთან დაკავშირებით, მის მიერ სარაკეტო ტეესტის განხორციელება და ამის საფუძველზე აღმოცენებული 1993-1994 წლების ბირთვული კრიზისი. (Sigal, 1997) სხვათა მოსაზრებით, კვლევის დაწყება საჭიროა 2002 წლიდან, როდესაც ჩრდილოეთ კორეის მთავრობასა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების შეხვედრაზე, ჩრდილოეთ კორეამ აღიარა ბირთვული პროგრამის დაწყება. (Powel, 2005) იქიდან გამომდინარე, რომ 1993-1994 წლების ბირთვული კრიზისი ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა, ხოლო 2002 წელს ბირთვული კრიზისის ნიშნები მხოლოდ ორმხირივ განხადებებით შემოიფარგლებოდა, ჩემს ნაშრომში, კვლევის დაწყების თარიღად განვსაზღვრავ 2003 წლის 10 იანვარს, ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ოფიციალურად თარიღს. შესაბამისად, კვლევს პროცესში არ იქნება განხილული, ჩრდილოეთ კორეის მიმართ 2003 – 2016 წლების შუალედში დაწესებული ეკონომიკური სანქციები.

ეკონომიკური სანქციების ანალიზს ვასრულებ 2016 წლის 30 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული # 2321 რეზოლუციით. 2017 წელს გაეროს უშიშროების საჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები ნაშრომში ოკლედ იქნება აღწერილი, და არ იქნება გაანალიზებული კვლევის თემასთან ომართებაში, რადგან 2017 წელს დაწესებული ეკონომიკური სანქციების ანალიზი შეუძლებელია სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის ფონზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

გარი ჰაფბაუერის, ჯეფრი სკოტის, კიმბერლი ენ ელიოტისა და ბარბარა ოეგი, წიგნში „ეკონომიკური სანქციების გადააზრება“ დეტალურად აანალიზებენ ეკონომიკური ეფექტიანობის შემზღუდველ ფაქტორებს და მსჯელობის საფუძველზე ასკვნიან, რომ ეკონომიკური სანქცია წარუმატებელია, თუ 1) დასახულ მიზანთან მიმართებაში არაადექვატურია; 2) სამიზნე ქვეყანა მოახერხებს მოსახლეობის მობილიზებას; 4) სამიზსნის მოკავშირრები მის დასახმარებლად გაერთიანდებიან; 4) ინიციატორს საკუთარი საერთაშორისო მოკავშირეები დაუპირისპირდებიან.

ავტორთა მოსაზრებით, ეკონომიკური სანქციის წარმატებას განაპირობებს მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სამიზნე ქვეყნის სავაჭრო და ფინანსური დანაკარგით გამოწვეული ეკონომიკური და პოლიტიკური დანახარჯები. ინიციატორს, სამიზნის ეკონომიკური დანახარჯების გაზრდა შეუძლია საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების გზით, ხოლო სანქციების პოლიტიკური დანახარჯის გაზრდა შესაძლებელია ლეგიტიმური საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობისა და მხარდაჭერის მეშვეობით.

გარი ჰაფბაუერი და სხვები ასევე ამტკიცებენ, რომ სწრაფი და მტკივნეული სანქციები გაცილებით უფრო ეფექტურია დროში გაწელილ, მსუბუქ სანქციებთან შედარებით. (Hufbauer, 2007)

ჯან-მარკ ბლუჩარდის წიგნი „ეკონომიკური დიპლომატია და საგარეო პოლიტიკა“ საინტერესოა ეკონოიკური სანქციების ეფექტიანობის ანალიზის კუთხით. ნაშრომში ბლანჩეტი ავითარებს ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის შეფასების პოლიტიკურ თეორიას, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ ცვლადებს. საერთაშორისო ცვლადს წარმოაგენს სამიზნე ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები, ხოლო შიდა პოლიტიკური ცვლადს - სამიზნე ქვეყნის სახელმწიფოებრიობა, რომელიც, თავის მხრივ, შედგება სამი კომპონენტისაგან: ავტონომია, შესაძლებლობა და ლეგიტიმურობა. ავტორი ასკვნის, რომ სტრატეგიული ინტერესებისათვის შექმნილ საფრთხეს პირდაპირი გავლენა აქვს სამიზნის მხრიდან პოლიტიკური მოთხოვნის შესრულებაზე. რაც უფრო დიდია ეკონომიკური დიპლომატიის შედეგად სამიზნე ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებისატვის შექმნილი საფრთხე, მით უფრო დიდია ალბათობა რომ ის შეასრულებს ინიციატორის მოთხოვნებს. (Blanchard, 2013)

სტეფან ჰაგარდი და მარკუს ნოლანდი, წიგნში „სანქციები ჩრდილოეთ კორეაზე: დენუკრიალიზაციისა და გაუვრცელებლობის პოლიტიკური ეკონომიკა“, ასკვნიან, რომ ეკონომიკური სანქციებისადმი ჩრდილოეთ კორეის საპასუხო რეაქცია დიდწილადაა განპირობებული ქვეყნის შიდა ეკონომიკური პოლიტიკითა და მისი საგარეო განზომილებით. ავტორები მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებასა და ამტკიებენ, რომ ჩრდილოეთ კორეის მთავრობის მიერ,

2005 წელს, თვითკმარი ეკონომიკური კურსისაკენ მობრუნება და კონტროლის გამკაცრება მიგვანიშნებს, რომ ჩრდილოეთ კორეის მთავრობას თავადვე არ სურს საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკაში ქვეყნის მზარდი ჩართულობა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური სანქციების მეშვეობით ჩრდილოეთ კორეის კიდევ უფრო იზოლირება მას ვერ აიძულებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური დათმობის გაკეთებას. ავტორთა მტკიცებით, მეორე ფაქტორი რაც გავლენას ახდენს ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაწესებუბლი ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობაზე, არის ქვეყნის ეკონომიკის საგარეო განზომილება. მათი მოსაზრებით, ჩრდილოეთ კორეის სავაჭრო პარტნიორების გეოგრაფია შეიცვალა, რის შედეგადაც ოფიციალურ ფხენიანს სავაჭრო ურთიერთობები აქვს ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებიც სანქციათა აღსრულებით არ არაინ დაინტერესებულები.

რუედიგერ ფრანკი, „ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაეწესებული სანქციების პოლიტიკურ ეკონომიკაში“ განიხილავს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებსა და ასკვნის, რომ სანქციების იმპლემენტაცია დამოკიდებულია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა კარტელურ შეთანხმებაზე. წარმატება კი დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად პირნათლად შეასრულებს ყველა ჩართული მხარე შეთანხმებას, რაც სირთულეებთანაა დაკავშირებული ჩართულ მხარეთა განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ჩრდილოეთ კორეისათვის ბირთვული იარაღის მნიშვნელობასა და გამოტანილია დასკვნა, რომ ჩრდილოეთ კორეისათვის ბირთვული პროგრამის განხორციელებას აქვს 3 დატვირთვა - არსებული რეჟიმის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოლაპარაკებებში მისი გამოყენება სასურველი შედეგის მისაღებად და ენერგო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ავტორის ოსაზრებით, ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღის განვითარებაზე უარი რომ თქვას, მან ეკონომიკური ინიციატივის სახით უნდა მიიღოს აღნიშნული სამი მოთხოვნის დაკმაყოფილების გარანტიები. შესაბამისად, ასკვნის, რომ ჩრდილოეთ კორეის შემთხვევაში აკონომიკური ინიციატივის გამოყენება უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ეკონომიკური სანქციის დაწესება. (Haggard, 2009)

დურსუნ პეკსენი, ნაშრომში „ავტორიტარული რეჟიმები და ეკნომიკური სანქციის ეფექტიანობა: ჩრდილოეთ კორეის შემთხვევა“, აანალიზებს ჩრდილოეთ კორეის

შიდა პოლიტიკის იმ მახასიათებლებს, რაც მას დაეხმარა საგარეო ზეწოლის წარმატებით დაძლევაში. დურსუნ პეკსენი, ზოგადად სკეპტიკურად აფასებს ეკონომიკური სანქციათა ეფექტიანობასა და ამტკიცებს, რომ ხშირ შემთხვევაში, ყოვლისმოცველი ეკონომიკური სანქციები ხელს უშლის სამიზნე ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმაბის განხორციელებასა და კონტრპროდუქტიული შედეგის მომტაია. მისი თვალსაზრისით, გამიზნული სანქციები შედარებით გამოსადეგი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტია. ავტორი ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ კორეის სიმტკიცე ეკონომიკური სანქციების მიმართ განპირობებულია ორი ფაქტორით: 1) მთავრობა ახერხებს მმართველი ელიტის დაცვას ეკონომიკური სანქციების უარყოფითი გავლენისაგან და 2) იყენებს რეპრესიულ მექანიზმს დანარჩენი მოსახლეობის უკმაყოილების ჩასახშობად.

პეკსენი იზიარებს ეკნომიკურ სანქციათა ეფექტიანობის ტრადიციულ გააზრებას და ამტკიცებს, რომ სწორედ ავტორიტარული რეჟიმის ხასიათმა განაპირობა ჩრდილოეთ კორეის რეზისტენტულობა ეკონომიკური ზეწოლის იმართ. ჩრდილოეთ კორეისათვის მარტივი იყო მცირე მმრთველი ელიტის დაცვა სანქციების ნეგატიური ეფექტისაგან. ავტორი ასევე ვარაუდობს, რომ ზოგ შემთხვევაში ავტორიტარული რეჟიმების ლიდერები პირიქით მეტ მოგებას ნახულობენ ეკონომიკური სანქციებისაგან, რადგან ეწევიან არაკანონიერ საქმიანობას. (Peksen, 2016)

ხუან ზარატე, „მეორადი სანქციებ ნაშრომში „მეორადი სანქციები ჩინეთის ინსტიტუტების მიმართ: ჩრდილოეთ კოკრეის შესაკავებლად მათი გამოყენების შეფასება“ ამბობს, რომ ჩრდილოეთ კორეისაგან მომავალი, მზარდი საფრთხის გათვალისწინებით, საჭიროა მის მიმართ უფრო აგრესიული და ყოვლისმომცველი ეკონომიკური სანქციების დაწესება. ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით, აუცილებელია მეორადი სანქციების გამოყენება იმ ქვეყნებისა და ერთეულების მიმართაც, რომლებთაც კვლავ აქვთ ეკონომიკური და ბიზნეს კავშირები ჩრდილოეთ კორეასთან. ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს ჩინეთზე, როგორც, ჩრდილოეთ კორეის მთავარ სავაჭრო პარტნიორზე, ზეწოლის აუცილებლობასა და აცხადებს, რომ „ჩინეთი წარმოადგენს ჩრდილოეთ კორეის საყრდენს, ამიტომ ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანია ჩინეთის ჩართულობა და დახმარება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შეჩერების კუთხით. (Zarate, 2017)

მათიას მაასი, კვლევაში „ეკონომიკური სანქციების მიღმა: ჩრდილოეთ კორეის სანქციების გადააზრება“ მიიჩნევს, რომ ეკონომიკური სანქციები არის ძალიან ვიწრო და არაეფექტური საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი, ამიტომ მხოლოდ მასზე დაყრდნობით შეუძლებელია ჩრდილოეთ კორეის იძულება შეწყვიტოს მასობრივი განადგურების იარაღის განვითარება და დაუბრუნდეს ბირთვული პროგრამის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. (Maas, 2011)

ჰუკ კიმი, ნაშრომში „გაერთიანებული ერების სანქციების გავლენა ჩრდილოეთ კორეაზე“, ყურადღებას ამახვილებს, ჩრდიოეთ კორეის წინააღმდეგ განხორციელებული ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის ზრდის კუთხით, სანქციების აღსრულებისა და მონიტორინგის მნიშვნელობაზე. მკვლევარის მოსაზრებით, საჭიროა სანქციების წარმატებულ აღსრულებასთან დაკავშირებით დეტალური ინსტრუქციების შემუშავება. (Kim, 2009)

ვუკ ვუკსანოვიჩი სტატიაში „ბირთვული იარაღი, ჩრდილოეთ კორეის საგარეო და შიდა პოლიტიკის დომინანტური იარაღი“ განმარტავს, რომ ბირთვული იარაღს განვითარების პროგრამა ჩრდილოეთ კორეისათვის რამდენიმე კუთხით არის მნიშვნელოვანი. კერძოდ, ბირთვული იარაღი წარმოადგენს შეკავების პოლიტიკის ინსტრუმენტს საგარეო ინტერვენციისაგან ქვეყნის დასაცავად, არის ქმედითი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი და საზოგადოების მობილიზების საშუალება. აღნიშნულზე დაყრნობით ავტორი ასკვნის, რომ ჩრდილოეთ კორეა ასეთ მძლავრ იარაღს მარტივად არ დათმობს და სწორედ ამით არის განპირობებული მის მიმართ განხორციელებული ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობა. (Vuksanovic, 2017)

თეორიული ჩარჩო

ნაშრომში, კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გაოყენებულია დენიელ დრეზნერის მიერ ეკონომიკური იძულების თეორიაში განვითარებული კონფლიქტის მოლოდინის მოდელი. აღნიშნული მოდელი მიზნად ისახავს შემდეგი კითხვებისათვის პასუხის

გაცემას: რა შემთხვევაში გამოიყენებენ ქვეყნები ეკონომიკურ იძულების საგარეო პოლიტიკურ ინსტრუმენტს? როდის წამოვლენ სამიზნე ქვეყნები დათმობაზე? რამდენად დიდი იქნება მათი დათმობა? ეკონომიკური სანქციის დაწესება გულისხმობს ეკონომიკური ბერკეტის გამოყენებას, პოლიტიკური აქტივის მისაღებად. შესაბამისად, სანქციის წარმატება გულისხმობს პოლიტიკური აქტივების გამოკვეთილ ტრანსფერს სამიზნე ქვეყნიდან ინიციატორ ქვეყანაში.

კონფლიქტის მოლოდინის მოდელი დაფუძვნებულია ორ დაშვებაზე ა) სახელმწიფოები არიან უნიტარული, რაციონალური აქტორები. ბ) ეკონომიკური სანქციის ეფექტიანობა განპირობებულია ინიციატორსა და სამიზნეს შორის სამომავლო კონფლიქტის მოლოდინის დონით.

რაციონალურობა გულისხმობს ისეთი ლიდერის არსებობას, რომელსაც აქვს საბოლოო საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ავტორიტეტი და ამასთან, მოქმედებს ინტერესების მაქიმალური დაკმაყოფილების სტრატეგიით. დრეზნერის მოსაზრებით, ქვეყნები საკუთარ ინტერესებს აყალიბებენ საერთაშორისო სისტემაში სხვა სახელმწიფოების შესაძლებლობებისა და ინტერესების განსაზღვრის საფუძველზე. საგარეო პოლიტიკის ლიდერისათვის, კეთილდღეობის მაქსიმიზაცია და მისი დაცვა წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს.

დრეზნერი განმარტებით, ინიციატორსა და სამიზნეს შორის სამომავლო კონფლიქტის მოლოდინი ორგვარად განაპირობებს ეკონომიკური სანქციის ეფექტიანობას. ა) რაც უფრო მაღალია ინიციატორთან სამომავლო კონფლიქტის მოლოდინის დონე, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ სამიზნე ქვეყნისაგან დათმობის შედეგად მიღებულ ფარდობით მოგებას ინიციატორი, სამომავლო კონფლიქტის შემთხვევაში, მისსავე წინააღმდეგ გამოიყენებს. ბ) კონფლიქტის მაღალი მოლოდინის პირობებში, სამიზნე ქვეყნის მიერ დათობაზე წასვლა იწვევს მისი რეპუტაციის ფარდობით შემცირებას, რაც თავის მხრივ აუარსებეს სამიზნე ქვეყნის სავაჭრო პოზიციას სამომავლო კონფლიქტისა და მოლაპარაკებების დროს.

აღინიშნულ მსჯელობაზე დაყრნობით, დრეზნერი ასკვნის, რომ კონფლიქტის მაღალი მოლოდინის პირობებში სამიზნე ქვეყანა რეზისტენტული იქნება ინიციატორის მოთხოვნების მიმართ. კონფლიქტის მოლოდინი დაკავშირებულია

საფრთხის მოლოდინთან, საფრთხის მოლოდინი კი მაღალია დაპირისპირებულ და არა მოკავშირე მხარეებს შორის. ყოველივე აქედან გამომდინარე, ეკონომიკური სანქციის გამოყენება გაცილებით ეფექტიანია მოკავშირე, და არა მტრულად განწყობილი სამიზნის მიმართ. სახელმწიფოები მოკავშირეებად ითვლებიან, თუ მათ აქვთ თანამშრომლობის ისტორია და ორმხრივი ნდობა უსაფრთხოებასა, თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მოკავშირეებად არ ითვლებიან დროებითი, კონკეტული მიზნით გაერთიანებული სახელმწიფოები. ქვეყნები არიან მტრები, როდესაც მათ აქვთ კონფლიქტის ისტორია და უთანხმოება უსაფრთხოებასა, თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მტრებად არ ითვლებიან სახელმწიფოები, რომელთა უთანხმოებაც შემოიფარგლება კონკრეტულ, ეფემერულ საკითხთან დაკავშირებით. სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა და მტრობა კონსისტენტურია და არ არის დამოკიდებული საერთაშორისო სისტემაში ძალთა გადანაწილებაზე.

და ბოლოს, ეკონომიკური სანქციის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს სამიზნის მიმართ წაყენებული მოთხოვნის ხასიათიც. დრეზნერის განმარტებით, არსებობს ისეთი მოთხოვნები, რომლებზეც მოლაპარაკება შეუძლებელია. პოლიტიკური აქტივების, კერძოდ ინფორმაციისა და ინსტიტუციური წვდომის გადაცემის მოთხოვნა, სწორედ ასეთ მოთხოვნათა რიგს განეკუთვნება, რადგან ინფორმაციის ან ინსტიტუციური წვდომის სხვა ქვეყნისათვის გადაცემა, ისე ცვლის ძალთა გადანაწილებასა და ფარდობით რეპუტაციას, რომ რაიმე სხვა პოლიტიკური აქტივით მისი ანაზღაურება პრაქტიკულად შეუძლებელია.

კონფლიქტის მოლოდინის მოდელი

დენიელ დრეზნერი დეტალურად განმარტავს ეკონომიკური სანქციის ინიცირებისა და განხორციელების ფაზებს და ანვითარებს კონფლიქტის მოლოდინის მოდელს.

მოქმედებას პირველი იწყებს ინიციატორი (S). ინიციატორს აქვს ორი არჩევანი, არ გადადგას შემდგომი ნაბიჯი და თამაში დაამთავროს სტატუს ქვოთი (SQA) ან ეკონომიკური სანქციით მუქარაზე დაყრნობით გააკეთოს მოთხოვნა. მოთხოვნის მასშტაბს განსაზღვრავს ინციატორი და ის შეიძლება იყოს სხვადასხვა ხასიათის: საერთაშორისო საკითხთან დაკავშირებით სამიზნე ქვეყნის პოზიციის შეცვლა,

ინიციატორთან მიმართებაში სამიზნე ქვეყნის პოლიტიკის შეცვლა, ან სამიზნე ქვეყნის ისეთი შიდა პოლიტიკის ცვლილება, რომელსაც აქვს საერთაშორისო განზომილება. მოთხოვნა ზოგადად არის ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სამიზნეს, ინიციატორის სასარგებლოდ.

როდესაც ინიციატორი მოთხოვნას წამოაყენებს, სამიზნეს შეუძლია უკან დაიხიოს ან მტიკეც დადგეს საკუთარი პოზიციის დასაცავად. თუ სამიზნე უკან დაიხევს, შედეგი იქნება დათმობა (AQ) ანუ ინიციატორის მოთხოვნის შესრულება. იმ შემთხვევაში, თუ სამიზნემ წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტა, ინიციატორს აქვს ორი გზა, მას შეუძლია უკან დახევა და სტატუს ქვოს შენარჩუნება (SQ), ან მუქარის რეალობაში განხორციელება და სამიზნესთან გარკვეული სახის ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტა, რაც გულისხმობს ჩიხში შესვლას (DL). ჩიხი ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტას გულისხმობს და შესაძლოა მოიცვას ეკონომიკური სანქციის ნებისმიერი სახე - დახმარების შეჩერება, ფინანსური აქტივების გაყინვა, ინვესტიციების შეჩერება, სავაჭრო ბოიკოტი ან/და ემბარგო.

ეკონომიკური სანქიით გამოწვეული ალტერნატიული დანახარჯი სამიზნისათვის შეიძლება იყოს მცირე ან დიდი. თუ ხარჯი მცირეა, ეს ნიშავს, რომ გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირი სამიზნისათვის არც თუ ისე მნიშვნელოვანი იყო და მას აქვს კომპენსირების საშუალება დაბალი დანახარჯებით. ასეთ შემთხვევაში სამიზნე არ მოდის დათმობაზე. მეორე მხრივ, თუ ეკონომიკური სანქციის დაწესების შედეგად სამიზნის ალტერნატიული დანახარჯი მაღალია, იგი წამოვა გარკვეულ დათმობაზე. დათმობის მოცულობა განპირობებულია ინიციატორსა და სამიზნეს შორის კონფლიქტის მლოდინის დონით.

ინიციატორის მიერ სამიზნისათვის ეკონომიკური სანქციის დაწესების გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კონფლიქტის მოლოდინი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი, ცვლადი. გარდა კონფლიქტის მოლოდინისა, მნიშვნელოვანია ალტერნატიული დანახარჯის რაციონალური გააზრება. ინიციატორი სახელმწიფოს ლიდერი გადაწყვეტილებას იღებს რაციონალურად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი დანახარჯების შეფასების საფუძველზე. გამონაკლისი შეიძლება იყოს ინიციატორსა და სამიზნეს შორის

სრულყოფილი მტრობა ან მოკავშირეობა. აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრნობით, დენიელ დრეზნერი აყალიბებსს კონფლიქტის მოლოდინის მოდელს, რომელიც შედგება ოთხი კატეგორიისაგან და პროგნოზირებს ეკონომიკური სანქციის დაწესების ალბათობასა და სავარაუდო შედეგს:

1. ინიციატორი ეკონომიკური სანქციის გამოყენების გადაყვეტილებას მიიღებს, თუ სამიზნესთან კონფლიქტის მოლოდინის დონე მაღალია და ამავდროულად, სამიზნის მოსალოდნელი დანახარჯი გაცილებით მაღალია ინიციატორის დანახარჯზე. ასეთ შემთხვევაში, სამიზნისაგან ზომიერი დათმობის მიღებაა მოსალოდნელი.
2. ინიციატორი ეკონომიკური სანქციის დაწესების გადაწყვეტილებას მიიღებს მტრულად განწყობილ სამიზნესთან მიმართებაში, მაშინაც კი, როდესაც მათ დანახარჯებს შორის მხოლოდ მარგინალური სხვაობაა. ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ უმნიშვნელო კომპრომისია მოსალოდნელი
3. თუ, სამიზნე ქვეყანა არის ინიციატორის მოკავშირე, მაშინ ეკონომიკური სანქციის გამოყენება მოსალოდნელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამიზნის მოსალოდნელი დანახარჯი მნიშვნელოვნად აღემატება ინიციატორის დანახარჯს. ანუ, დანახარჯებს შორის სხვაობა უნდა იყოს ექსტრემალურად მაღალი. ასეთ შემთხვევაში, მოსალოდნელია მნიშვნელოვანი დათმობის მიღება.
4. თუ, ინიციატორი და სამიზნე სახელმწიფოები მოკავშირეები არიან და ამავდროულად ეკონომიკური სანქციის დაწესების შემთხვევაში მოსალოდნელი დანახარჯებს შორის სხვაობა დაბალია, ინიციატორის მხრიდან ეკონომიკური იძულების პოლიტიკის გამოყენება საერთოდ არაა მოსალოდნელი.

დრეზნერი, სტატისტიკურ ანალიზზე დყრნობით, გამორიცხავს ეკონომიკური სანქციის ეფექტიანობაზე ისეთი ალტერნატიული ცვლადების გავლენას, როგორიცაა: ძალა, სამხედრო ძალით დამუქრება ან/და მულტილატერალური თანამშრომლობა. მისი მტკიცებით, ამ და სხვა ალტერნატიულ ამხსნელ ცვლადებს გარკვეული გავლენა

აქვთ კონკრეტულ ქეისების შემთხვევაში, თუმცა მნიშვნელოვანი ფაქტების ასახსნელად ისინი გამოუსადეგარია. (Drezner, 1999)

ინიციატორისა და სამიზნის ურთიერთობები - დისკურს ანალიზი

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის მტრული ურთიერთობების ჩამოყალიბების ათვლის წერტილს კორეის ომის დასაწყისი წარმოადგენს. აღნიშნულ ომში, ჩრდილოეთ კორეა სარგებლობდა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით, ხოლო სამხრეთ კორეის მთავარი მოკავშირე ამერიკის შეერთებული შტატები იყო. კორეის ომი 1953 წელს საზავო ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო: ჩრდილოეთით - კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით - კორეის რესპუბლიკა.

ომის დასრულების შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სამხრეთ კორეამ, მჭიდრო კავშირები შეინარჩუნეს. სამხრეთ კორეა წარმოადგენს მერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ პარტნიორს აზიის კონტინენტზე. ეს განპირობებულია როგორც სამხედრო, ასევე სავაჭრო ინტერესებით. ქვეყნებს შორის გაფორმებულია ორმხრივი თავდაცვითი ხელშეკრულება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს ავალდებულებს სამხრეთ კორეის თავდაცვითი პოტენციალის გაძლიერებაში მონაწილეობას. კორეის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულია დაახლოებით 28,500 ამერიკელი სამხედრო. ორ სახელმწიფოს შორის ასევე გაფორმებულია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. სამხრეთ კორეა არის ამერიკის რიგით მეშვიდე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, ხოლო თავის მხრივ, ამერიკა არის კორეის რესპუბლიკის რიგით მეორე უდიდესი სავაჭრო პარტნიორი. (Manyin, 2017)

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კორეის ომის დროს სამხრეთ კორეის მხარდაჭერა, შემდგომში მათი ურთიერთობების გაღრმავება და ამერიკის სამხედრო დანაყოფების განლაგება კორეის ნახევარკუნძულზე, საფრთხედ აღიქმება ჩრდილოეთ კორეის მიერ, რაც თავის მხრივ განაპირობებს მრავალწლიან მტრულ დამოკიდებულებას ამ ორ სახელმწიფოს შორის.

დაპირისპირების ახალი ეტაპად შეიძლება გამოიყოს ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდი, როდესაც ორ ქვეყანას შორის დავა გადავიდა ახლა ჭრილში და დაუკავშირდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ნორმას. აღნიშნული პერიოდიდან, ამერიკის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შეჩერებისა და კუნძულზე მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ. 1994 წელს, ოფიციალური ფხენიანის მიერ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დატოვების მცდელობის კვალდაკვალ, პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც ამერიკის შეერთებულ შტატების მტკიცე პოზიცია იყო ყველა შესაძლებელი გზით, მათ შორის ომით, აღეკვეთა ჩრდილოეთ კორეის მცდელობა განევითარებინა ბირთვული არსენალი. (Charpenter, 2017)

ჩრდილოეთ კორეის მიერ მკაცრი რიტორიკით გამოირჩეოდა შემდეგი პრეზიდენტის, ჯორჯ ვაშინგტონ ბუშის ადმინისტრაციაც. ბუშმა ჩრდილოეთ კორეას 2002 წელს, კონგრესის წინაშე ამერიკის მდგომარეობაზე მოხსენების გაკეთების დროს „ბოროტეების ღერძი“ უწოდა და მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის მცდელობაში დაადანაშაულა. (Bush, 2003)

ოფიციალური ვაშინგტონის რიტორიკას მოყვა მოლაარაკებების რამდენიმე რაუნდი და დიალოგი, თუმცა საბოლოოდ, 2003 წელს, კორეის სახალხო დემოკრატიუილმა რესპუბლიკამ მაინც დატოვა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, რამაც განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ზეწოლის ზრდა და ორ ქვეყანას შორის კონფროტაცის კიდევ უფრო გაღრმავება.

მოცემული პერიოდიდან, ჩრდილოეთ კორეის რიტორიკა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ განსაკუთრებულად მტრულ ხასიათს იძენს. ოფიციალური ფხენიანის ყოველწლიურ ერთობლივ მოხსენებებში, ამერიკა მუდმივად ნახსენებია როგორც „იმპერიალისტი“, ნახევარკუნძულზე „მშვიდობის დამრღვევი“ „მთავარი საფრთხე“ და „მტერი“. 2003 წლის ერთობლივ საახალწლო მოხსენებაში, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი, კიმ ჩენ ირი, მშვიდობის დარღვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებს ადანაშაულებს - „კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობის დამსხვევასა და ეროვნული თანამშრომლობისათვის ხელის შეშლაში მთავარი დამნაშავე არის ამერიკის შეერთებული შტატები“ და ხალხს შეიარაღებული წინააღმდეგობის

გაწევისაკენ მოუწოდებს - „შეუძლებელია ქვეყნის სუვერენიტეტისა და მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფა, თუ ამერიკის შეერთებული შტატების „ძალის ლოგიკას“ წინ სამხედრო ძალით არ აღვუდგებით.“ (Korea, Joint Year Editorial, 2003)

ოფიციალური ფხენიანი, მოსახლეობის მობილიზებას, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მტრის ხატის შექმნით ცდილობს. 2005 წლის ერთობლივ საახალწლო მოხსენებაში ვკითხულობთ - „ერისათვის აუტანელი სირცხვილია ის ფაქტი, რომ სუვერენიტეტი 100 წელიწადზე მეტია ხელყოფილია გარეშე ძალების მიერ, 40 წლის განმავლობაში იაპონიის იმპერიალისტური მმართველობის, ხოლო 60 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დანაყოფების კორეის ნახევარკუნძულზე ყოფნის გამო.“ კიმ ჩენ ირი განსაკუთრებულ ყურადრებას ამახვილებს სამხედრო პოტენციალის ზრდისა და არმიის განვითარების პრიორიტეტულობაზე - „აუცილებელია „არმია უპირველეს ყოვლისა“ პოლიტიკის რევოლუციური ხაზის შემდგომი განვითარება და ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობების ყველა გზით გაზრდა.“ (Korea, Joint Year Editorial, 2005)
ოფიციალური ფხენიანის მტრული რიტორიკა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ წლების განმავლობაში უცვლელი რჩება და ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის იდენტობის განუყოფელი ნაწილია. ოფიციალური ფხენიანის ლიდერების ნებისიერი გამოსვლა, ამერიკის მიმართ კრიტიკისა და მუქარის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. დროდადრო შეინიშნება მოწოდებები ოფიციალურ ვაშინგტონთან ურთიერთობების ნორმალიზებასთან დაკავშირებითაც. 2010 წლის ერთობლივ საახალწლო მოხსენებაში, კიმ ჩენ ირი კორეის ნახევარკუნძულსა და აზიაში მშვიობის დამყარების კუთხით ამერიკასთან კონსტრუქციული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადრებას თუმცა 2013 წლის ერთობლივ მოსენებაში, კორეის ახალი მმართველი, კიმ ჩენ ინი აქცენტს კვლავ სამხედრო პოლიტიკის პრიორიტეტულობაზე აკეთებს და აცხადებს, რომ - „კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა აყვავდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანა ყველა საშუალების გამოყენებით განავითარებს სამხედრო ძალასა და შეძლებს თავისი ხალხის უსაფრთხოებისა და ბედნიერების დაცვას იმპერიალისტური ძალებისაგან“. (Korea, Joint Year Editorial, 2010, 2013)

ასევე უცვლელად ანტაგონისტურია ოფიციალური ვაშინგტონის განცადებები კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. ამერიკის 44-ე პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, არაერთხელ დაგმო ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის განვითარების მცდელობა, მოუწოდა სხვა ჩართულ მხარეებს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ და 2016 წელს ბირთვული იარაღის მომდევნო ტესტირების შემდეგ განაცხადა, რომ „ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონის უსაფრთხოებას, საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობას“ (Obama, 2016)

საპასუხოდ, ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა დაგმო სამხრეთ კორეისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოველწლიური ერთობლივი წვრთნები და აღნიშნა, რომ „კოკრეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა გააგრძელებს უფრო მრავალფეროვანი სამხედრო ტექნიკის განვითარებას საკუთარ სტილში“. (Korea, New Year Editorial, 2016)

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის დაპირისპირება ათეულობით წლებია გრძელდება, რასაც საფუძვლად უდევს არა მხოლოდ განცხადებები, არამედ რეალური ქმედებები. ამერიკისაგან მტრის ხატის შექმნა ჩრდილოეთ კორეის ავტორიტარული რეჟიმის ინტეგრალური, სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაწილია. დღემდე, ამ ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებისა და ურთიერთობების რეგულაციის ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა და ამ კუთხით არც სამომავლო პერსპექტივაა იმედის მომცემი.

ჩრილოეთ კორეის პოლიტიკური ეკოკნომიკა

1990 წელს, მთავარი ეკონომიკური და პოლიტიკური მოკავშირის, საბჭოთა კავშირის, კოლაფსი მძიმე ეკონომიკური დარტყმა აღმოჩნდა ჩრდილოეთ კორეისათვის. კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა რუსეთისა და ჩინეთის მიერ საგარეო ვაჭრობის ახალ სისტემაზე გადასვლის მოთხოვნამ, რაც ანგარიშსწორებაში მხოლოდ მყარი

ვალუტის გამოყენებას გულისხმობდა. აღნიშნულ გარე ფაქტორებს თან დაერთო არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა და რესურსების არამალთზომიერი გამოყენება, რის გამოც პრაქტიკულად ჩამოინგრა გეგმიური განაწილების სისტემა და გაჩნდა არასაკმარისი საკვები პოდუქტის პრობლემა. უკანასკნელ პერიოდში შიდა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება გაიზარდა, თუმცა წარმოების დონე მაინც არ არს საკმარისი ჩდილოეთ კორეის მთელი მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. (The World Facebook)

2002 წლიდან, ჩრდილოეთ კორეის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გარკვეულწილად დაუშვა ნახევრად თავისუფალი ბაზრების ფუნქციონირება რათა გაუმჯობესებულიყო მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტი. დაიწყო ეგრეთ წოდებული „მარკეტიზაცია დაბლიდან“, ანუ ქვეყანა, გარკვეული თვალსაზრისით, საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა. ჩრდილოეთ კორეის რეჟიმმა მოახდინა ეკონომიკური ცვლილებების წარმატებული რატიფიკაცია და 2005 წლის ივლისში მიიღო ამ რეფორმების პოლიტიკაში ასახვის გადაწყვეტილება. თუმცა, მალევე, კონსერვატიულმა, რეფორმის მოწინააღმდეგე ძალებმა მოიპოვეს უპირატესობა და 2005 წლის აგვისტოში, ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ გადაწყვიტა სრულად აღედგინა საზოგადოებრივი განაწილების სისტემა, ხოლო იმავე წლის პირველი ოქტომბრიდან აკრძალა მარცვლეულით კერძო ვაჭრობა. პარალელურად მთავრობამ მოითხოვა ქვეყნიდან „მსოფლიო საკვების პროგრამის“ (WFP) გასვლა. (Haggard, 2009) ჩრდილოეთ კორეის თვითიზოლაციის პოლიტიკამ ასახვა ჰპოვა საგარეო ვაჭრობის ნიშნულში. 2005 წელს ჩრდილოეთ კორეის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 14.4 %-ით შემირდა და 3,002 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. მომდევნო 2 წლის განმავლობაში, საგარეო სავაჭრო ბრუნვის კიდევ უფრო შემცირდა და ზრდის მაჩვენებელი შესაბამისად - 0.2 და -1.8 %-ს გაუთანაბრდა. **(დანართი 1.2).** აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში, 2006 წლის 14 ოქტომბერს, გაეროს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ტესტის საპასუხოდ მიიღო რეზოლუცია # 1718. თუმცა, მისი უარყოფითი გავლენა ჩრდილოეთ კორეის სგარეო სავაჭრო ბრუნვაზე გამორიცხულია, რადგან რეზოლუციით გათვალისწინებული სანქციები შეზღუდვებს აწესებდა მხოლოდ

მძიმე სამხედრო შეიარაღების, სარაკეტო ტექნოლოგიებისა და გარკვეული ფუფუნების საგნების ექსპორტზე. (Resolution 1718, 2006)

მალევე, ქვეყანაში კვლავ შეიქმნა დეფიციტი და აღმოცენდა მცირე ზომის თავისუფალი ბაზრები. მთავრობა სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების წახალისებას, თუმცა უშედეგოდ. 2008 წლისათვის ჩრდილოეთ კორეაში საკვების კრიზისი კვლავ ისეთ დონეზე იყო, როგორც 90-იანი წლების პერიოდში. საკვების დეფიციტით შეიძლება აიხსნას ჩრდილოეთ კორეის მთავრობის გადაწყვეტილება 2008 წელს ჩართულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებთან სასურსათო დახმარების მოლაპარაკებებში. გაჩნდა მოლოდინი, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე ჩრდილოეთ კორეა დათანხმდებოდა ბირთვულ საკითხებზე მოლაპარაკებებსაც. თუმცა, მომდევნო, 2009 წელს ოფიციალურმა ფხენიანმა თავადვე განაცხადა უარი ამერიკისგან 500,000 კუბური მეტრის მოცულობის სასურსათო დახმარების მიღებაზე. ეს ფაქტი წარმოადგენდა იმის დემონსტრირება, რომ ჩრდილოეთ კორეას არ სურდა საერთაშორისო ჩართულობის ზრდა. (Haggard, 2009)

საბაზზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა ჩრდილოეთ კორეისათვის რამდენიმა იზეზის გამოა მიუღებელი. კერძოდ, საბაზრო ეკონომიკა ასუსტებს სახელმწიფოს კუთვნილ ინდუსტრიულ სექტორს რადგან სამუშაო ძალა სახელმწიფო სექტორიდან კერძოში გადადის. გარდა ამისა, თავისუფალი ვაჭრობა წინააღმდეგობაში მოდის და ძირს უთხრის სოციალისტურ სისტემას, რადგან მოსახლეობას უწევს მზარდი თანხის გადახდა საკვებ პროდუქციაში და საბოლოოდ სიტუაცის განსაზღვრავს ფასები და არა პროდუქტის საერთო მიწოდება. და ბოლოს, ეკონომიკის დეცენტრალიზაცია და თავისუფალი ვაჭრობა ჩრდილოეთ კორეის მთავრობისათვის განსაკუთრებით საშიში იდეოლოგიური თვალსაზრისითაა. კერძოდ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა პროდუქციისა და მომსახურების თავისუფალ გაცვლასთან ერთად, ინფორმაციის დაუბრკოლებელ შემოდინებასაც უზრუნველყოფს. ინფორმაციის თავისუფალი შემოდინება კი პრინციპულად ეწინააღმდეგება ჩრდილოეთ კორეის ტიპის ავტორიტარული რეჟიმის საჭიროებებს, სადაც მოსახლეობის მართვა სწორედ ინფორმაციული ვაკუუმის პირობებშია შესაძლებელი. ამიტომ, თავისუფალი ბაზრის

წინააღმდეგ წარმართულ კამპანიას არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მყარი იდეოლოგიური კომპონენტიც აქვს. (Haggard, 2009)

მოცემული ინფორმაცია საფუძველს მაძლევს ვივარაუდო, რომ 1990-იანი წლებიდან, ყოვლისმომცველი ეკონომიკური სანქციების დაწესებამდე, ჩრდილოეთ კორეაში არსებული ეკონომიკური პრობლემები დიდწილად განპირობებული იყო რეჟიმის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით. ჩრდილოეთ კორეის რეჟიმი ეფუძვნება ეგრეთ წოდებულ „ჩუჩხე" იდეოლოგიას, რომელიც წაროადგენს მარქსიზმის ჩრდილოკორეულ ვერსიას და გულისხმობს თვითკმარ, ჩაკეტილ ეკონომიკას. გარდა ამისა, ჩრდილოეთ კორეას შეზღუდული რესურსები აქვს სერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი საქონლის შექმნისა და შედარებითი სავაჭრო უპირატესობის მოპოვებისათვის არასაკმარისი რესურსები აქვს. შესაბამისად მისი საექსპოტო საქონლის მოცულობა მცირეა. ექსპორტის გარეშე კი ჩრდილოეთ კორეა ვერ მიიღებს იმპორტისათვის საჭირო მყარ ვალუტას. (Elliott, 1994)

გაეროს დაწესებული სანქციების ანალიზი

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა წლების განმავლობაში იყო ჩართული საერთაშორისო საზოგადოებისთვის მიუღებელ აქტივობაში, კერძოდ ბირთვული იარაღის განვითარების პროცესში, რამაც საბოლოოდ ეკონომიკური სანქციებით გამოხატული საერთაშორისო უკმაყოფილება გამოიწვია. სანქციების ძირითადი დეტერმინატი, როგორც აღვნიშნე, არის ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური სარაკეტო ტექნოლოგიის განვითარება, რაც მზარდ საფრთხეს წარმოადგენს მეზობელი სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

კვლევის დაწყების თარიღად ავიღე 2003 წლის 10 იანვარი, ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული გაუვცელებლობის ხელშეკრულების დატოვების თარიღი, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საერთაშორისო საზოგადოების ფართო ჩართულობა და ინტერესი ჩრდილოთ კორეის საკითხის მიმართ. წამოჭრილი პრობლემის მოგვარების პირველი მცდელობა იყო ექვსმხრივი მოლაპარაკებები, რომლიც

ჩრდილოეთ კორეის ინიციატივით დაიწყო და 2003 – 2009 წლებში და სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა. მოლაპარაკებების მხარეებს წარმოადგენდნენ ჩრდილოეთ კორეა, ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, იაპონია და რუსეთი.

ექვსმხრივი მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართა 2003 წელს, ჩინეთის დედაქალაქ პაკინში. შეხვედრაზე, ჩრდილოეთ კორეამ წამოაყენა თანმიმდევრული მოლაპარაკებების მოთხოვნა და მოუწონა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეემუშავებინა "არა აგრესიული" ხელშეკრულება, მოეხდინა ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზება, შეეწყვიტა ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისათვის ხელის შემშლელი პოლიტიკის გატარება, დაესრულებინა შეპირებული მსუბუქი წყლის რეაქტორების მშენებლობა, განეახლებინა ნავთობის მიწოდება და გაეზარდა დახმარება. სანაცვლოდ, ოფიციალური ფხენიანი იღებდა ვალდებულებას შეეწყვიტა ურანიუმის გამდიდრება და ბირთვული პროგრამის განვითარება. ბუშის ადმინისტრაცია დათანხმდა ეკონომიკური სანქციების მოხსნასა და 3.72 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების დახმარების გაწევას კორეის ნახევარკუნძულის ენერგიის განვითარების ორგანიზაციისათვის. (Devenport, 2018)

ექვსმხრივი მოლაპარაკებების მცდელობა შედეგი არ გამოიღო, რასაც 2006 წლის 9 ოქტომბერს, ჩრდილოეთ კორეის მიერ პირველი ბირთვული ტესტის განხორციელება მოყვა. საპასუხოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ 2006 წლის 14 ოქტომბერს მიიღო რეზოლუცია # 1718, რომელის საფუძველზეც შეიქმნა „გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტი ჩრდილოეთ კორეაზე“. კომიტეტის მხარდასაჭერად შეიქმნა ექსპერტთა პანელიც. რეზოლუცია კრძალავდა ჩრდილოეთ კორეაში მძიმე სამხედრო შეიარაღების, სარაკეტო ტექნოლოგიებისა და გარკვეული ფუფუნების საგანთა ექსპორტს.

რეზოლუცია # 1718 არ წარმოადგენს სავაჭრო ემბარგოს რადგან არ ვრცელდება კომერციულ ვაჭრობაზე და მოიცავს მხოლოდ იარაღით ვაჭობის აკრძალვას. აღნიშნულ რეზოლუციაში, ერთადაერთი ზოგადი სანქცია, რომელი არ ეხება იარაღით ვაჭრობას არის ფორმალური მოწოდება საერთაშორისო ინსტიტუტებისა და გაეროს წევრი სახელმწიფოების მიმართ, არ გამოუყონ ჩრდილოეთ კორეას ახალი

გრანტები, ფინანსური დახმარება, თუ შეღავათიანი სესხი და შემოიფარგლონ მხოლოდ მიმდინარე დახმარების პროგრამით. რეზოლუცია გაეროს წევრ ქვეყნებს ნებას რთავს დაბლოკონ ჩრდილოეთ კორეის ის ფინანსური ტრანზაქციები და აქტივები, რომლის მიზანი შესაძლოა იყოს ბირთვული იარაღის პროგრამის განვითარებაში წვლილის შეტანა. ეს რეგულაციაც ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. (Nations, 2009)

სანქციების საპასუხოდ, 2008 წლის ივნისში, ოფიციალური ფხენიანი დათანხმდა ბირთვული პროგრამის ჩინეთისათვის გადაცემასა და აიღო იონგბიონში ბირთვული რეაქტორის გარკვეული ნაწილის დახურვის პასუხისმგებლობა. თუმცა, სტეფან ჰაგარდისა და მარკუს ნოლანდის დაკვირვებით, ბირთვული იარაღის პირველი ტესტირების შემდეგ, ჩრდილოეთ კორეა მხოლოდ სიმულირებდა რომ შეასრულებდა მოთხოვნებს და აღარ განავითარებდა ბირთვულ იარაღსა და ბალისტიკურ რაკეტას. ამ გზით, ოფიციალური ფხენიანი შეძლებდა სანქციების ნეგატიური გავლენის შემცირებასა და ბირთვული იარაღის განვითარებისათვის დროის მოგებას. (Haggard, 2009)

მართლაც, ჩრდილოეთ კორეამ კვლავ განაგრძო ბირთვული პროგრამაზე მუშაობა და 2009 წლის 25 მაისს განახორციელა მეორე ბირთვული ტესტი. გაეროს უშიშროების საბჭომ ფხენინის ქმედების დასაგმობად 2009 წლის 12 ივნისს კვლავ მიიღო რეზოლუცია # 1874 რითაც გააძლიერა ეკონომიკური სანქციები. კონკრეტულად, სანქციები გაფართოვდა და მოიცვა ყველა სახის შეიარაღება და მასთან დაკავშირებული ფინანსური ტრანზაქციები, ტექნიკური წვრთნები, რჩევები, მომსახურება ან დახმარება ამ სფეროში, სამხედრო ინფრასტრუქტურის წარმოება და შენარჩუნება. რეზოლუცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებდა შეემოწმებინათ გემები და გაენადგურებინათ ბირთვული იარაღის პროგრამასთან სავარაუდოდ დაკავშირებული ნებისმიერი ტვირთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეზოლუციის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს 41-ე პარაგრაფის მე-7 თავი, რომელიც ავადებულებს ქვეყნებს სავაჭრო ტვირთის ინსპექცირებამდე მიიღონ იმ ქვეყნის ნებართვა, რომლის დროშის ქვეშაც ცურავს ხომალდი.

გაეროს უშიშროების საბჭოს შემდგომი რეზოლუციები მიღებულ იქნა უკვე განხორციელებული ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობის შედეგად ჩრდილოეთ კორეის მიერ, 2013 წლის 12 თებერვალს, მესამე ბითვული ტესტის განხორციელების საპასუხოდ. 2013 წლის 22 იანვარსა და 7 მარტს მიღებული # 2087

და # 2094 რეზოლუციები განმარტავდა და აკონკრეტებდა წევრი სახელმწიფოების უფლებას გაენადგურებინათ ჩრდილოეთ კორეაში მივავალი, ან იქიდან მომავალი ნებისმიერი ტვირთი, რომელიც სავარაუდოდ გამოიყენებოდა სამხედრო კვლევისა და განვითარებისათვის. სნქციები დაწესდა ფულად ტრანზაქციებზეც, რაც მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ კორეის საერთაშორისო ფინანსური სისტემიდან მოწყვეტას.

ეკონომიკური სანქციები კიდევ ერთხელ გამკაცრდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2016 წლის 2 მარტს მიღებული # 2270 რეზოლუციით, რომელსაც წინ უძღოდა 2016 წლის 6 აინვარს ჩრდილოეთ კორეის მიერ მეოთხე ბირთვული ტესტის განხორციელება. სანქციამ მოიცვა ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით მიმავალი და იქიდან მომავალი ყველა სატვირთო გადაზიდვა, აკრძალა ყველანაირი იარაღით ვაჭრობა ქვეყანასთან, დააწესა დამატებითი აკრძალვა ჩრდილოეთ კორეაში ფუფუნების საგნების, ოქროს, ვანადიუმის, ტიტანის და სხვა იშვიათი ლითონების ექსპორტზე. ასევე, აიკრძალა ნახშირისა და რკინის ექსპორტიც გარდა წმინდად „სასიცოცხლო დანიშნულებისა“. ახალი სანქციები გულისხმობდა არალეგალურ საქმიანობაში ეჭვმიტანილი ჩრდილოეთ კორეელი დიპლომატების გაძევებასაც.

მეხუთე ბირთვული ტესტი ოფიციალურმა ფხენიანმა განახორციელა იმავე, 2016 წლის 9 სექტემბერს. საპასუხოდ, 2016 წლის 30 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულმა # 2321 რეზოლუციამ ერთხმად გაამკაცრა სანქციები ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. სრულიად აიკრძალა ნახშირის ექსპორტი და ასევე აკრძალვა დაწესდა სპილენძის, ნიკელისა და თუთიის ექსპორტზეც.

2017 წლის 5 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია # 2371 იყო პასუხი 2017 წლის 28 ივლისის სარაკეტო ტესტზე. რეზოლუციამ გაამკაცრა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდგ მიღებული ეკონომიკური სანქციები. სრულიად აიკრძალა ჩრდილოეთ კორეაში ქვანახშირის, რკინის, ტყვიისა და ზღვის პროდუქტების ექსპორტი. ასევე დაწესდა ახალი შეზღუდვები ჩრდილოეთ კორეის საგარეო ვაჭრობის ბანკზე და აიკრძალა უცხო ქვეყნებში დასაქმბული ჩრდილოეთ კორეელი თანამშრომლების რიცხვის ზრდა.

ბოლო, და ყველაზე დიდი ბირთვული ტესტი ჩრდილოეთ კორეამ განახორციელა 2017 წლის 3 სექტემბერს, და საპასუხოდ მიიღო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დამტკიცებული რეზოლუცია # 2375 რომელმაც ერთხმად გაამკაცრდა ნავთობთან

დაკავშირებული სანქციები ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. რეზოლუციით გათვალისწინებული სანქცია ჩრდილოეთ კორეაში ნედლი ნავთობის ექსპორტის ზღვრად მიმდინარე წლიურ დონეს, 4 მილიონ ბარელს აწესებს და 2 მილიონ ბარელამე ამცირებს გადამუშავებული ნავთობის ექსპორტს. ყველა სანქცია ერთობლიობაში ჩრდილოეთ კორეის ნავთობის საგარეო წყაროს 30%-ით ამცირებს. რეზოლუცია ასევე კრძალავს ჩრდილოეთ კორეის ტექსტილით საგარეო ვაჭრობას, ბუნებრივი და თხევადი გაზის ექსპორტს, საერთო საწაროების შექმნასა და კრძალავს ჩრდილოეთ კორეის მოქალაქეების უცხოეთში მუშაობას.

ჩრდილოეთ კორეის მიერ ჰვასონგ-15 ტიპის კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის გაშვების საპასუხოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია # 2397 რითაც კვლავ გაამკაცრა სანქციები. დაწესდა ახალი შეზღუდვები ჩრდილოეთ კორეაში ნავთობის იმპორტზე, ასევე ქვეყნიდან მეტალის, სასოფლო სამეურნეო პროდუქციისა და მუშახელის ექსპორტზე.

საერთო ჯამში, პირველი ბირთვული ტესტის შემდეგ, გაეროს უშიშროების საბჭომ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ერთხმად მიიღო 9 რეზოლუცია, რომელიც აწესებდა სხვადასხვა სახის ფართომაშტაბიან ეკონომიკურ სანქციებს. ოფიციალური ფხენიანისათვის ყველაზე მტკივნეული არის ტექსტილის ექსპოტისა და ნავთობის იმპორტის შემზღუდველი ეკონომიკური სანქციები. ქვანახშირისა და სხვა მინერალების შემდეგ, ტექსტილი წარმოადგენს მეორე უდიდეს საექსპორტო პროდუქციას ჩრდილოეთ კორეისათვის. ტექსტილის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს ჩრდილოეთ კორეის საგარეო ვაჭრობიდან მიღებული საერთო შემოსალის მეოთხედს. ტექსტილის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება ჩინეთში. გაეროში ამერიკის მისიის დასკვნის თანახმად, განხორციელებული სანქციების შედეგად ემბარგო დაედო ჩრდილოეთ კორეის მიერ საჯაროდ განცხადებული ექპორტის 90 %-ს. გარდა ამისა, ნავთობპროდუქტების შედინების შემცირება სერიოზული დაბრკოლებაა ჩრდილოეთ კორეისათვის ტექნოლოგიური ამბიციების განხორციელების კუთხით. (Resolution 2375 Strengthening Sanctions on North Korea, 2017)

ამერიკის დაწესებული სანქციების ანალიზი

რაც შეეხება, ამერიკის შეერთებული შტატების სანქციებს ოფიციალური ფხენიანის მიმართ, ის ძირითადად არაპირდაპირი სახისაა, ანუ გამიზნულია არა პირდაპირ ჩრდილოთ კორეის, არამედ მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ. ამის მიზეზი მარტივია, 2017 წლის ამერიკის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, ჩრდილოეთ კორეასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნულოვანი სავაჭრო ურთიერთობაა. (United States Census)

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მესამე მხარეზე ზეწოლის დემონსტრირება იყო 2005 წელს სახაზინო დეპარტამენტის გაფრთხილება მაკაუ ბანკი, ბანკო დელტა აზია-ს მიმართ, რომელიც სავარაუდოდ ჩართული იყო ჩრდილოეთ კორეის სახელით ფულის გათეთრების პროცესში. მხოლოდ მინიშნება საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბანკიდან დეპოზიტების გადინება დაწყებულიყო რის შედეგადაც ბანკმა მყისიერად გადაწყვიტა გაეყინა ჩრდილოეთ კორეის კუთვნილი 25 მილიონი ამერიკული დოლარი.

ამ კუთხით ასევე აღსანიშნია ამერიკის კონგრესის მიერ 2016 წელის 18 თებერვალს მიღებული აქტი „ჩრდილოეთ კორეის სანქციებსა და პოლიტიკის გაფართოებაზე“. სხვა აკრძალვებთან ერთად, აქტი პირდაპირ ავალდებულებს პრეზიდენტს სანქცია დაუწესოს ნებისმიერ ერთეულს, რომელიც ეჭვმიტანილი იქნება ჩრდილოეთ კორეასთან იარაღით ვაჭრობაში, მასობრივი განადგურების იარაღის შექნაში მონაწილეობის მიღებაში, ადამიანთა უფლებების დარღვევაში ან/და რაიმე სხვა არაკანონიერ ქმედებაში. ეჭვმიტანილ ერთეულს შესაძლოა სანქცია დაუწესდეს ამერიკის ფინანსურ ბაზარზე წვდომის აკრძალვის, სამოქალაქო ან სისხლის სამართებლივი სასჯელის სახით. სანქციები ასევე უწესდება ერთეულებს, რომლებიც ჩართული არიან ჩრდილოთ კორეასთან მინერალებითა და მეტალით ვაჭრობაში. ასევე აქტის საფუძველზე პრეზიდენტმა მიიღო დისკრეციული უფლება სანქცია დაუწესოს ნებისმიერ ერთეულს, რომელიც დაეხმარება გაეროს მიერ სანქცირებულ პიროვნებებს. აღნიშნული აქტი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ეს დემნსტრირებაა კონგრესის ჩართულობისა, რადგან მანამდე ამერიკის პრეზიდენტები სანქციებს დამოუკიდებლად ახორციელებდა.

2017 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, ფინანსთა სამინისტროს მისცა ჩრდილოეთ კორეასთან ვაჭრობის წახალისებაში შემჩნეული ნებისმიერი ერთეულის, ბიზნესისა და პიროვნების, ამერიკის ფინანსური სისტემიდან დაბლოკვის უფლება.

ეკონომიკური სანქციის ეფექტიანობის ინდიკატორი

ეკონომიკური სანქციის დაწესების მთავარი მიზანი, სამიზნე სახელმწიფოსათვის ეკონომიკური ზიანის მიყენების გზით მისგან გარკვეული პოლიტიკური აქტივის მიმღებაა. ეს დეფინიცია ორი კომპონენტისგან შეგდება. კერძოდ, ეკონომიკური ზიანისა და პოლიტიკური აქტივისაგან, სადაც ეკონომიკური ზიანის მასშტაბი არის პოლიტიკური აქტივის გადაცემის წინაპირობა და მთავარი დეტერმინანტი. აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ გატარებული ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის ანალიზს მისთვის მიყენებული ეკონომიკური დანახარჯის შეფასებით ვიწყებ. სამიზნე სახელმწიფოსათვის მიყენებული ეკონომიკური ზარალის მოცულობის შეფასება გარკვეულწილად შესაძლებელია მთლიანი შიდა პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის ტენდენციების ანალიზით.

სამიზნისათვის მიყენებული ეკონომიკური დანახარჯის მნიშვნელობის ინტერპრეტირებისათვის გამოვიყენებ კიმბერლი ენ ელიოტის მიერ, ვრცელ კვლევაზე დაყრდნობით შეუშავებულ ინდიკატორს, რომელიც მდგომაერობს შემდეგში - იმისათვის, რომ სამიზნე ქვეყანამ მოკრძალებული მოთხოვნა შეასრულოს, მისთვის ეკონომიკური სანქციით მიყენებული ზიანი უნდა აღემატებოდეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 2.4 %-ს, ხოლო, ძირეული მოთხოვნის შესასრულებად საჭიროა სამიზნე ქვეყნის ეკონომიკური დანახარჯი აღემატებოდეს მის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის 4.5 %-ს. (Hufbauer, 2007)

ჩრდილოეთ კორეის შემთვევაში, ბირთვული პროგრამის განივთარების შეჩერების მოთხოვნა მაღალპროფილურ მიზანთა რიცხვს განეკუთვნება. ინდიკატორის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ასეთი სახის მინის მისაღწევად საჭიროა, რომ

ჩრდილოეთ კორეის მიერ, ეკონომიკური სანქციებით მიღებული ეკონომიკური დანახარჯი მთლიანი შიდა პროდუქტის 4.5% -ს აღემატებოდეს.

დაწესებული სანქციების ეკონომიკური ეფექტი ჩრდილოეთ კორეაზე

კვლევაში გაანალიზებულია ჩრდილოეთ კორეის მიმართ, გაეროს უშიშროების საბჭოს 2006, 2009, 2013 და 2016 წლების რეზოლუციებით გათვალისწინებული ეკონომიკური სანქციების შედეგად, ჩრდილოეთ კორეისათვის მიყენებული ეკონომიკური ზარალის მოცულობა და მნიშვნელობა.

ჩრდილოეთ კორეის მიერ, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დატოვების შემდეგ, მის მიმართ პირველი ეკონომიკური სანქცია 2006 წელს მიღებული # 1718 რეზოლუციის საფუძველზე დაწესდა. აღნიშნული სანქციათა პაკეტი ძირითადად არაკომერციული ხასიათის იყო და ითვალისწინებდა იარაღით ვაჭრობის აკრძალვას. აქედან გამომდინარე, მისი გავლენა ჩრდიოეთ კორეის საგარეო ვაჭრობის კომპონენტზე არ იყო მოსალოდნელი.

2009 წელს მიღებული # 1874 რეზოლუცია აფართოებდა უკვე დაწესებულ სანქციებს და მოიცავდა მცირე კომეციულ კომპონენტსაც, რასაც შედეგად უნდა მოყოლოდა ჩრდილოეთ კორეის საგარეო სავაჭრო ბრუნვის შემცირებაც. სტატისტიკური მონაცემების თანახმად ეს ასე არ მომხდარა. მართალია, 2009 წელს, წინა წელთან შედარებით ჩრდილოეთ კორეის სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 402 მილიონი ამერიკული დოლარით შემცირდა, თუმცა შემდეგი 3 წლის მანძილზე შეინიშნებოდა მკვეთრი მატება. 2012 წელს, ჩრდილოეთ კორეის სავაჭრო ბრუნვა, 2009 წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და 6811.3 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა.**(დანართი 1.3)**

გაეროს ეგიდით დაწესებულ სანქციათა შემდეგი რაუნდი განხორციელდა 2013 წელს. ამ შემთხვევაშიც იგივე ტენდენცია შეინიშნება. 2013 წლის 22 იანვარსა და 7 მარტს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დამტკიცებული # 2087 და # 2094 რეზულიციები კიდევ უფრო აფართოებდა დაწესებული ეკონომიკური სანქციების სამოქმედო არეალს. სანქციათა იმპლემენტაციას ჩრდილოეთ კორეის საგარეო ვაჭრობაზე

გავლენა უნდა მოეხდინა 2013 წლის მეორე ნახევარსა და 2014 წლებში. რეალური სურათი მოსალოდნელისაგან განსხვავებულია, 2013 და 2014 წლებში, ჩრდილოეთ კორეის საგარეო ვაჭრობის ნიშნულმა, წინა წლებთან შედარებით 533 და 266 მილიონი ამერიკული დოლარით მოიმატა.**(დანართი 1.3)**

2016 წელს, გაეროს უშიშროების საბჭოს მორიგი რეზოლუციების დაწესებასაც არ ჰქონია უარყოფითი ეკონომიკური გავლენა ჩრდილოეთ კორეის საგარეო ვაჭრობაზე. პირიქით, უმნიშვნელოდ, თუმცა კვლავ გაიზარდა ქვეყნის საერთო სავაჭრო ბრუნვა და 2016 წლის ბოლოს 6,531.7 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა.

საერთო ჯამში, 2006 წელს ეკონომიკური სანქციების დაწესებიდან 2016 წლის ჩათვლით, ჩრდილოეთ კორეის სავაჭრო ბრუნვამ 3590 მილიონი ამერიკული დოლარით, ანუ დაახლოებით 122 %-ით მოიმატა.

რაც შეეხება ინდივიდუალურ სანქციებს, ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩრდილოეთ კორეასთან ყველანაირი სავაჭრო და ფინანსური ურთიერთობები აქვს გაწყვეტილი, შესაბამისად მისი პირდაპირი ბერკეტი ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში ძალიან შეზღუდულია. (United States Census Bureau)

თუმცა, ამერიკის სეერთებულ შტატებს მაინც აქვს გარკვეული ბერკეტები ჩრდილოეთ კორეასთან იმართებაში. მაგალითად, 2007 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჩრდილოეთ კორეას მიეცა დოლარის სავალუტო სისტემის გამოყენებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ სექტორზე წვდომის უფლება, ამერიკის ფინანსთა სამინისტროს საშუალებას აძლევს ეფექტურად აკონტროლოს ოფიციალური ფხენიანის დოლარში დენომინირებული ტრანზაქციები. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ბერკეტის გამოყენების პრეცენდენტი საკმაოდ მცირეა. პირველად ის გამოყენებულ იქნა 2007 წელს. მოცემულ პერიოდში, ამერიკის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურმა პირება, საბანკო სექტორის წარმომადგენლებს მოუწოდეს არ მიეღოთ მონაწილეობა კორეის არაკანონიერ ფინანსურ ტრანზაქციებში და ამ აქტით არ დაეკარგათ ამერიკული დოლარის სავალუტო სისტემაზე წვდომა. ბანკები, რომლებიც ჩრდილოეთ კორეის კუთვლი ფინანსების ტრანზაქციაში იყვნენ შემჩნეულნი, ამერიკული დოლარის სავალუტო სისტემაზე წვდომის დაკარგვის საფრთხის წინ იდგნენ. ამერიკის სახაზინო დეპარტამენტის მიერ მაკაუ ბანკი, ბანკო დელტა აზია-ს მიმარართ მხოლოდ ერთი

გაფრთხილებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბანკს მაშინვე გაეყინა ჩრდილოეთ კორეის კუთვნილი აქტივები, რაც ჩრილოეთ კორეას 25 მილიონი ამერიკული დოლარის დაკარგვად დაუჯდა. აღნიშნული პრეცენდენტის შემდგე, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულმა ჩინეთის ბანკმაც კი უარი განაცხადა შეესრულებინათ ჩინეთის მთავრობის მოთხოვნა და განეხორციელებინა ფინანსური ტრანზაქცია ფხენიანის კუთვნილ ანგარიშზე. ეს პრეცენდენტი არის კარგი დემონსტრირება იმისა, რომ ძლისხმევის შემთხვევასი ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია ეკონომიკური სანქციების უფრო წარმატებით გამოყენება.

2016 წლის სექტემბერში, ჩრდილოეთ კორეის მიერ რიგით მეხუთე ბირთვული რაკეტის ტესტირების საპასუხოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების დარღვევაში, პირველად დაადანაშაულა ჩინური ბანკი და გაყინი მისი კუთვნილი ანგარიშები. თუმცა, ამ ქმედებასაც არ ქონია კომპლექსური სახე. (Stanton)

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, მესამე მხარისათვის სანქციის დაწესების გზით ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლის მოხდენის მცდელობა საკმაოდ ფრაგმენტული ხასიათისაა და კვლევის მიზნით მისი რეალური ეფექტის უფრო კონკრეტულად შეფასება, სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია.

კორეის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს მონაცემებით, 2016 წელს, მიუხედავად გამკაცრებული ეკონომიკური სანქციებისა, ჩრდილოეთ კორეის მთლიანი შიდა პოდუქტის მოცულობა 3.9 %-ით გაიზარდა, რაც ზრდის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. მოცემულ პირობებში, კიმბერლი ენ ელიოტის შეფასების კრიტერიუმზე დაყრნობით, ჩრდილოეთ კორეისაგან მოთხოვნის შესრულებისა და ბირთვული იარაღის პროგრამის შეწყვეტის ალბათობა არ არსებობს.

მოცემული შედეგი საჭიროებს შემდგომ კვლევასა და ანალიზს.

ალტერნატიული ამხსენილი ცვლადები

კვლევის დასრულების მიზნით, მნიშნელოვანია ალტერნატიული ამხსნელი ცვლადების ანალიზი. ამისათვის გამოვიყენებ გარი ჰაფბაუერის, ჯეფრი სკოტის, კიმბერლი ენ ელიოტისა და ბარბარა ოეგის მიერ შემუშავებულ ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის შეფასების ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც მოიცავს 10 ადამოუკიდებელ ცვლადს. ეს ფააქტორებია: სამიზნე ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმი; სმიზნის წინააღმდეგ გატარებული ეკონომიკური სანქციების თანმხლები პოლიტიკური ღონისძიებები; საერთაშორისო თანამშრომლობა სამიზნის წინააღმდეგ; საერთაშორისო დახმარება სამიზნე ქვეყანას; ინიციატორსა და სამიზნეს შორის ეკონომიკური სანქციის დაწესებამდე არსებული ურთიერთობა; ინიციატორსა და სამიზნეს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები; სამიზნის მიერ ეკონომიკური სანქციებისაგან მიღებული ეკონომიკური დანახარჯები; სამიზნე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა; სამიზნის მიმართ გამოყენებული ეკონომიკური სანქციების ტიპები; ეკონომიკური დანახარჯები, რომელიც ინიციატორმა მიიღო ეკონომიკური სანქციის დაწესებით.

წინა მოკვლევის საფუძველზე, გარი ჰაფბაუერისა და სხვათა მიერ შემოთავაზებული ათი ალტერნატიული დამმოუკიდებელი ცვლადიდან გამოვყოფ ორს: თანმხლები პოლიტიკური ღონისძიებები; საერთაშორისო თანამშრომლობა სამიზნის წინააღმდეგ.

დანარჩენი ალტერნატიული ცვლადების ანალიზი მოცემული კვლევისათვის არა მიმაჩნია საინტერესოდ. რადგან, ძირითად პრობლემად უკვე გამოიკვეთა ჩრდილოეთ კორეისათვის მიყენებული არასათანადო ეკონომიკური დანახარჯი, რაც გამორიცხავს ისეთი ალტერნატიული ამხსნელი ცვლდების მნიშვნელობას, როგორიცაა მაგალიათად სამიზნე ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმი და სმიზნის წინააღმდეგ გატარებული ეკონომიკური სანქციების თანმხლები პოლიტიკური ღონისძიებები. დარჩენილი ალტერნატიული ცვლადები კვლევის პროცესში გარკვეული თვალსაზრისით გაანალიზებულია, უფრო ღრმა ანალიზის ჩატარება კი კვლევის მიზნიდან გამომდინარე არაადექვატურად მიმაჩნია

სანქციების აღსრულების მექანიზმის ანალიზი

ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ, 2003 – 2016 წლებში, ჩრდილოეთ კორეის მიმართ გატარებული ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობის ანალიზის პროცესში დადასტურდა, რომ ა) ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ისტორიულად მტრული ნარატივი და შესაბამისად კონფლიქტის მოლოდინის მაღალი დონეა და ბ) ეკონომიკური სანქციების დაწესებას, ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკური ინდიკატორების გაუარესება არ გამოუწვევია

გარდა ამისა, გამოიკვეთა ეკონომიკური სანქციების აღსრულების სუსტი მექანიზმის გავლენა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობის თვალსაზრისით. შესაბამისად საჭირო გახდა შემდგომი მოკვლევის ჩატარება.

ეკონომიკურ სანქციათა აღსრულების პრაქტიკულად ერთადერთ მექანიზმს წამორადგენს ბირთვული იარაღის გავრცელების უზრუნველყოფის ინიციატივა, რომელიც 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით შეიქმნა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფის მცდელობაა. უსაფრთხოების საბჭოს მიერ 2004 წელს მიღებული # 1540 რეზოლუციით მოხდა აღნიშნული ინიციატივის ფორმალურ მონიტორინგის ინსტრუმენტად დამტკიცება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ მექანიზმს არ გააჩნია იძულების ძალა, შესაბამისად სუსტად არის ინსტიტუციონალიზებული.

ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციის დაწესებისა და აღსრულების მიმართ განსაკუთრებით რეზისტენტულია ჩინეთი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ჩრდილოეთ კორეის ძირითად სავაჭრო პარტიორს. პარადოქსულია, რომ ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამკაცრების პარალელურად ღრმავდება, ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირებიც. აღნიშნული ფაქტი დიდწილად განპირობებულია ჩინეთის მიერ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზულუციებით გათვალისწინებული, სანქციების იმპლემენტაციის დაბალი მაჩვენებლით რაც თავის მხრივ

განპირობებულია აღსრულების სუსტი მექანიზმით. უკანასკნელ წლებში, დაწესებული ეკონომიკური სანქციების ფონზე, ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკის გასაოცარი მდგრადობა სწორედ ჩინეთთან მყარი სავაჭრო ურთიერთობებით შეიძლება აიხსნება. კორეის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს მონაცემებით 2005 წელს, ჩრდილოეთ კორეის სავაჭრო ბრუნვამ ჩინეთთან პირველად გადააჭარბა ჩრდილოეთ კორეას მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 50 %-ს და შეადინა 52.6 %. მაშ შემდეგ, ჩრდილოეთ კორეას სავაჭრო დამოკიდებულება ჩინეთზე მკვეთრად იზრდებოდა და 2013 წელს უკვე გადააჭარბა ქვეყნის მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 90%-ს. მომდევნო 2 წლის განმავლობაში, ჩინეთზე სავაჭო დამოკიდებულება მცირედით შემცირდა, თუმცა, მიუხედავად გაეროს უშიშროების საბჭოს # 2270 და # 2321 რეზოლუციებისა, რომელიც ჩრდილოეთ კორეას უწესებდა ახალ ეკონომიკურ სანქციებს, კვლავ გაიზარდა 2016 წელს.(1.4) 2016 წლის მონაცემებით, ჩინეთზე მოდის ჩრდილოეთ კორეის მთლიანი საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 92.7 % მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2003 წელს 32.8 %-ს **(დანართი 1.5)** არ აღემატებოოდა. ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელი კიდევ უფრო შთამბეჭდავია თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩრდილოეთ კორეის რიგირთ მეორე სავაჭრო პარტნიორზე, რუსეთზე, მთლიანი საგარეო ვაჭრობის მხოლოდ 1.2 % მოდის **(დანართი 1.4)**

ჩინეთი მუდმივად ეწინააღმდეგებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ხისტ პოზიციას ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში და ბლოკავდა გაეროს ეგიდით ჩრდილოეთ კორეისათვის მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესების ინიციატივებს. ეს განპირობებული იყო ოფიციალური ფხენიანისა და ვაშინგტონის განსხვავებული ინტერესებით რეგიონში. ოფიციალური ფხენიანი, უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია ჩრდილოეთ კორეაში სტაბილური სიტუაციის შენარჩუნებით, რათა არ მოხდეს ქვეყნის კოლაფსი და არ შეიქმნას დევნილების კრიზისი ჩინეთის საზღვართან. გარდა ამისა, არსებობს მოლოდინი, რომ ჩრდილოეთ კორეაში რეჟიმის ჩამონგრევის შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატები გაზრდის სამხედრო დანაყოფების რაოდენობას რეგიონში რათა უზრუნველყოს ბირთვული შეიარაღების უსაფრთხოება. ჩინეთისათვის, ჩრდილოეთ კორეის პოტენციური კოლაფსი და რეგიონაში ამერიკის სამხედრო წარმომადგენლობის ზრდა

მოკლევადიან პერიოდში გაცილებით უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩინეთისათვის, ვიდრე ოფიციალური ფხენიანის მიერ ბირთვული იარაღის განვითარება.

ჩინეთის მიერ, ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაწესებული სანქციების იმპლემენტაცია საყურადღებოა იმ კუთხით, რომ თითქმის 92%-იანი დამოკიდებულების პირობებში, თუ ჩინეთი არ მოახდენს სანქციების რეალურ იმპლემენტაციას, მაშინ ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაწესებული სანქციები უბრალო ფორმალობა იქნება.

ჩინეთის გარდა, ჩრდილოეთ კორეის მიმართ არათანმიმდევრული პოლიტიკით გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატებიც. ბუშის ადმინისტრაციის მტრული რიტორიკა ჩრდილოეთ კორეის მიმართ, რეალური ქმედებით არ იყო გამყარებული. პირიქით, ბუშის ადმინისტრაციის დროს, ჩრდილოეთ კორეა ამოიღეს ტერორიზმის დამფინანსებელი ქვეყნების სიიდან. გარდა ამისა, 2007 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჩრდილოეთ კორეას შეეძლოთ დოლარის სისტემის გამოყენება და შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ სექტორზე წვდომა. ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებული იყო მეტი ფინანსური დახმარება და ეკონომიკური სანქციების შემსუბუქება. 2007 წლის შემოდგომაზევე, ექვს მხრიანი მოლაპარაკებების პროგრესის კვალდაკვალ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო ჩრდილოეთ კორეის მძიმე საწვავით მომარაგებაც. (Manyin E. N.)

2012 წლის 29 თებერვალს, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში დაიდო კიდევ ერთი შეთანხმება ჩრდილოეთ კორეასთან. შეთანხმების საფუძველზე, ჩრდილოეთ კორეა დათანხმდა ბირთვული პროგრამის შეჩერებას ამერიკის მხრიდან დახმარების სანაცვლოდ. თუმც, შეთანხმების მიღწევიდან ექვსი კვირის შემდეგ, ოფიციალურმა ფხენიანმა ბირთვული რაკეტა სატესტო რეჟიმში გაუშვა.

ჩრდილოეთ კორეამ ინიციატორთა არათანმიმდევული პოლიტიკით ისარგებლა, ხელი მოაწერა, ხოლო მალევე ცალმხრივად დაარღვია არაერთი ხელშეკრულება. მათ შორის იყო ორი ხელშეკრულება საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს ეგიდით, ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, 2005 წლის ერთობლივი

მოხსენება, 2007 და 2012 წლების შეთანხმებები, ექვსმხრივი მოლაპარაკებების ფორმატი და სხვა.

მოცემულ პერიოდში, ჩრდილოეთ კორეაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები საკმაოდ მძიმე უნდა ყოფილიყო, რომ არა მათ აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები. რეალურად, გაეროს არ აქვს იძულების მექანიზმი, რაც დაწესებულ სანქციებს არაფექტურს ხდის. 2017 წლის თებერვალში, გაეროს ექსპერტთა პანელმა განაცადა, რომ 193 წევრი სახელმწიფოდან, 166-ს არ ჰქონდა წარდგენილი ანგარიში დაწესებული სანქციების შესრულებაზე.

სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და არათანმიმდევრული მიდგომის აღიარებად შეიძლება მივიჩიოთ გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, ნიკი ჰეილის მიერ 2017 წელს გაკეთებული განცხადება - „ჩვენ დავასრულეთ მცდელობა დაგვერწმუნებინა ჩრდილოეთ კორეა გაეკეთებინა სწორი არჩევანი. ხლა, ჩვენ ვცდილობთ წავართვათ მას შესაძლებლობა გააკეთოს არასწორი არჩევანი"

თეორიული ახსნა

ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ 2003 – 2016 წლების შუალედში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ დაწესებულ ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის ანალიზზე დაყრდნობით მიღებული დასკვნები სრულ თანხვედრაში მოდის დენიელ დრეზნერის კონფლიქტების მოლოდინის მოდელთან.

როგორც უკვე აღვნიშნე, კონფლიქტის მოლოდინის მოდელი ავითარებს ეკონომიკური სანქციის ეფექტიანობის განმსაზღვრელ ორ დამოუკიდებელ ცვლადს. ესენია: ა) კონფლიქტის მოლოდინის დონე და ბ) ინიციატორსა და სამიზნის დანახარჯს შორის სხვაობა

ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების მთავარ ინიციატორს. ჩრდილოეთ კორეასა და ამერიკას შორის კონფლიქტური დამოკიდებულება ათეულობით წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და ღრმავდებოდა. მათ შორის მტრული

დამოკიდებულება გამყარებულია ისტორიული ფაქტორებითა და იდეოლოგიური განსხვავებით. ოფიციალური ვაშინგტონი ჩრდილოეთ კორეას აღიქვამს „ბოროტების ღერძად“, ოფიციალური ფხენიანისათვის კი ამერიკისაგან მტრის ხატის შექმნა იდეოლოგიისა და რიტორიკის განუყოფელ ნაწილს წაროადგენს. კვლევის პროცესში განხილულია ორივე მხარის ოფიციალური განცხადებები და დისკურს ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ინიციატორსა და სამიზნეს შორის არის სრულყოფილი მტრობა, რაც თავის მხრივ განაპირობებს სამიზნის მხრიდან სამომავლო კონფლიქტის მოლოდინის მაღალ დონეს.

მეორე მხრივ, კვლევაში გაანალიზებულია მეორე დამოუკიდებელი ცვლადი, ეკონომიკური სანქციის დაწესებით, სამიზნე სახელმწიფოსათვის მიყენებული ეკონომიკური დანახარჯის მოცულობა. ანალიზისას გამოყენებულია ისეთი ეკონომიკური ინდიკატორები, როგორიაცა მთლიანი შიდა პროდუქტი და საგარეო სავაჭრო ბრუნვა. ორივე ინდიკატორზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნა, რომ ჩრდილოეთ კორეას, მის მიმართ გატარებული მრავალი ეკონომიკური სნქციის მიუხედავად, არ ჰქონია დიდი ეკონომიკური დანახარჯი. უფრო მეტიც. 2006 – 2016 ქლების შუალედში, ჩრდილოეთ კორეის საგარეო ვაჭრობა 122%-ით გაიზარდა, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრის მაჩვენებელი მხოლოდ 2016 წელს, 3.9% იყო.

ორივე კრიტერიუმზე დაყრნობით, ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქცია ხვდება კონფლიქტის შეფასების მოდელის მეორე კატეგორიაში. რომლის თანახმადაც, მაღალი კონფლიქტის მოლოდინისა და დაბალი ეკონომიკური დანახარჯის პირობებში, სამიზნე სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ უმნნიშვნელო კომპრომისის მიღებაა მოსალოდნელი.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩრდილოეთ კორეის მიმართ წაყენებული მოთხოვნა, ბირთვული იარაღის პროგრამის შეჩერება, წრმოადგენს მნიშნელოვან საერთაშორისო ნორმას, ინიციატორისათვის სამიზნის მხრიდან კომპორმისუილ, ნაწილობრივი დათმობა მიუღებელია რაც საბოლოოდ იწვევს ჩიხს, ანუ ეკონომიკური სანქციის ეპიზოდის უშედეგოდ დამთავრდებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, განხილულ ეკონომიკური სანქციის ეპიზოდს კონფლიქტის მოლოდინის მოდელი ადექვატურად ხისნის. თუმცა, კვლევის პროესში გამოვლენილმა დამატებითმა ფაქტორებმა განაპირობა შემდგომი კვლევის აუცილებლობა რათა შევსებულიყო დარჩენილი ემპირიული და თეორიული სივრცე.

კვლევის შედეგად, დამატებითი დამოუკიდებელი ცვლადის სახით გამოვლინდა ეკონომიკურ სანქციათა აღსრულების მექანიზმი. არადექვატური აღსრულების მექანიზმი დიდწილად განაპირობებს ეკონომიკური სანქციის არაეფექტიანობას. აღნიშნული მოსაზრება დასაბუთებულია ეკონომიკური სანქციების ფონზე, ჩდილოეთ კორეისა და ჩინეთის გაღრმავებული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განხილვის მაგალითზე. იმ ფონზე, როდესაც ოფიციალური ფხენიანისათვის ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ დაწესებული ეკონომიკურ სანქციებს საერთო ჯამში უნდა აღეკვეთა ჩრდილოეთ კორეის ოფიციალურად გაცხადებული საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 90 %, ჩრდილოეთ კორეის საგარეო ვაჭრობა პირიქით 3.9 %-ით გაიზარდა. აღნიშნული პარადოქსი განპირობებულია სწორედ ეკონომიკურ სანქციათა აღსრულების არაადექვატური მექანიზმით.

დასკვნა

ჩემი ნაშრომი მიზნად ისახავდა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, 2003-2016 წლებში, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განვითარების აღსაკვეთად დაწესებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების ანალიზს.

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბე შემდეგი ჰიპოთეზა - 2003-2016 წლებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ გატარებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობა, ბირთვული პროგრამის შეჩერების კუთხით, განპირობებული იყო ა) ინიციატორსა და სამიზნეს შორის კონფლიქტის მაღალი მოლოდინითა და ბ) სამიზნისათვის მიყენებული დაბალი ეკონომიკური დანახარჯით.

ჰიპოთეზის შეამოწმებლად ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაოვლინდა შემდეგი

ა) ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის დაპირისპირება ათეულობით წლებია გრძელდება. ამ დაპირისპირებას საფუძვლად უდევს არა მხოლოდ განცხადებები, არამედ რეალური ქმედებებიც. ამერიკისაგან მტრის ხატის შექმნა ჩრდილოეთ კორეის ავტორიტარული რეჟიმის ინტეგრალური, სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაწილია. დღემდე, ამ ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებისა და ურთიერთობების რეგულაციის ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მტრობა თავის მხრივ წარმოადგენს კონფლიქტის მოლოდინის საზომს. აქედან გამომდინარე, დავასკვენი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის არის სამომავლო კონფლიქტის მოლოდინის მაღალი დონე.

ბ) 2003 – 2016 წლების შუალედში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ, ოფიციალური ფხენიანისათვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციების პირობებში, ჩრდილოეთ კორეის სავაჭრო ბრუნვამ 3590 მილიონი ამერიკული დოლარით, ანუ დაახლოებით 122 %-ით მოიმატა. 2016 წელს, გაეროს მიერ ჩრდილოეთ კორეისათვის დაწესებული ახალი სანქციების ფონზე კი, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 3.9 %-იანი ზრდა დაფიქსირდა. კიმბერლი ენ ელიოტის

კრიტერიუმის მიხედვით, სამიზნე ქვეყნისაგან მნიშვნელოვანი დათმობის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ეკონომიკური სანქციების შედეგად მისი მთლიანი შიდა პროდქტის მოცულობა დაახლოებით 4.5 %-ით შემცირდება. ჩრდილოეთ კორეის შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი პირიქით გაიზარდა. შესაბამისად, დადგინდა, რომ 2003 -2016 წლების შუალედში ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს მისთვის დიდი ეკონომიკური ხარჯი არ მოუტანია.

მოკვლევის საფუძველზე გაჩნდა დამატებითი საკვლევი კითხვა. მრავლმხრივი სანქციებისა და მაღალი საერთაშორისო ჩართულობის ფონზე, რა ფაქტორებმა განაპირობა ჩრდილოეთ კორეის დაბალი ეკონომიკური დანახარჯი.

შემდგომი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაწესებულ ეკონოიკურ სანქციებს ერთობლიობაში უნდა შეეზღუდათ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 90 %, რაც რეალურად არ განხორციელებულა. დადგინდა, რომ აღნიშნული ფაქტი განპირობებულია ეკონომიკურ სანქციათა აღსრულების სათანადო მექანიზმის არ არსებობით. 2017 წლის თებერვალში, გაეროს ექსპერტთა პანელმა განაცადა, რომ 193 წევრი სახელმწიფოდან, 166-ს არ ჰქონდა წარდგენილი ანგარიში დაწესებული სანქციების შესრულებაზე. სანქციათა მონიტორინგის ერთადერთ მექანიზმს ამჟამად წარმოადგენს 2003 წელს ამერიკის შეერთებუილი შტატების ინიციატივით შექმნილი, ბირთვული იარაღის გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივა, რომელსაც არ აქვს იძულების მექანიზმი და მხოლოდ ფორმალურდაა ინსტიტუციონალიზებული.

ეკონომიკურ სანქციათა აღსრულების სათანადო მექანიზმის გარეშე, ჩრდილოეთ კორეის საგარეო ვაჭრობა არ შეზღუდულა, უბრალოდ შეიცვალა მისი სავაჭრო გეოგრაფია. 2016 წლის მონაცემებით, ჩრდილეოთ კორეის მთავარი სავაჭრო პარტნიორი დაახლოებით 92 %-იანი წილით არის ჩინეთი, მაშინ როდესაც საწყის ეტაპზე, 2003 წელს, ანიშნული მაჩვენებელი არ აღემატებოდა 32 %-ს.

მიღებული შედეგის საფუძველზე, დავადგინე, რომ 2003-2016 წლებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაეროს მიერ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ გატარებული ნეგატიური ეკონომიკური სანქციების არაეფექტიანობა, ბირთვული

პროგრამის შეჩერების კუთხით, განპირობებული იყო ა) ინიციატორსა და სამიზნეს შორის კონფლიქტის მაღალი მოლოდინითა, ბ) სამიზნისათვის მიყენებული დაბალი ეკონომიკური დანახარჯით და ც) სანქციათა აღსრულების სუსტი მექანიზმით

მოცემული შედეგი არ მოდის წინააღმდეგობაში ჩემ მიერ, კვლევის დასაწყისისში, ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზასთან. პირიქით, სანქციათა აღსრულების სუსტი მექანიზმის, როგორც დამოუკიდებელი ცვლადის, ოპერაციონალიზაცია, წარმოადგენს თეორიის შევსების მცდელობას.

დასკვნის სახით მინდა ხაზი გავუსვა მოცემული კვლევის მნიშვნელობასა და სიახლეს. ჩემი ნაშრომის წვლილს ერთის მხრივ ვხედავ, როგორც დენიელ დრეზნერის მიერ შემუშავებული კონფლიქტების მოლოდინის მოდელის შევსების მცდელობას რომელიც საშიროებს შემდგომ კვლევასა და ანალიზ. იმის გათვალისწინებით, რომ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ახალი სანქციების დაწესების პროცესი კვლავ გრძელდება, აღნიშნული კვლევა იქნება ღირებული საფუძველი ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების შემდგომი პროგნოზირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Blanchard, J. R. (2013). *Economic Statecraft and Foreign Policy.* New Youk : Routledge Global Security Studies.

Bush, W. (2003). The President's State of the Union Address.

Charpenter, G. (18 April 2017 r.). *The National Interest*. Получено 17 01 2018 г., из The 1994 North Korea Crisis: Military Force a Bad Idea Then (and a Worse One Now): https://translate.google.ge/#en/ka/pril%2018%2C%202017

Devenport, K. (2018). Chronology of U.S.-North Korean Nuclear and Missile Diplomacy. *Arms Control Association* .

Drezner, D. (1999). *The Sanctions Paradox.* Cembridzge: Cambridge Studies in International Relations.

Elliott, K. (1994). Will Econoic Sanctions Work Against North Korea?

Haggard, S. N. (2009). *Sanctioning North Korea: The Political Economy of Denuclearization and Proliferation.*

Haley, N. (11 09 2017 r.). *Unites States mission to the United Nation.* Получено 01 08 2018 г., из Remarks Following the Adoption of UN Security Council Resolution 2375 on North Korea Sanctions: https://usun.state.gov/remarks/7970

Hufbauer, G. S. (2007). *Economic Sanctions Reconsideration.* Washington: Peterson Institute for International Eonomics.

Kim, H. (2009). The Impact Of United Nations Sanctions on North Korea (DPRK). *Arms Trade Control Programme* .

Korea, N. (2003). *Joint Year Editorial.*

Korea, N. (2005). *Joint Year Editorial.*

Korea, N. (2010, 2013). *Joint Year Editorial.*

Korea, N. (2016). *New Year Editorial.*

Maas, M. (2011). Beyond Economic Sanctions: Rethinking the North Korean Sanctions Regime. *Research Gate* .

Manyin, E. N. (б.д.). U.S Assistance to North Korea. *Foreign Affairs, Defense and Trade Devision* .

Manyin, M. C.-A. (2017). U.S.-South Korea Relations. *Congressional Research Service* .

Nations, U. (2009). *Resolution 1874*. Получено 23 12 2017 г., из https://www.un.org/sc/suborg/en/s/res/1874-%282009%29

Obama, B. (09 09 2016 г.). *Statement by the President on North Korea's Nuclear Test*. Получено 24 12 2017 г., из The White House: https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2016/09/09/statement-president-north-koreas-nuclear-test

Peksen, D. (2016). *Authoritarian Regimes and Economic Sanction Effectiveness: The Case of North Korea.* Memphis: Korea Economic Institute of America.

Powel, B. (2005). Walking the Tightrope; Kim Jong Il's Nuclear Brinkmanship Has China, South Korea, and. *Time International* .

Resolution 1718. (2006). Получено 16 01 2018 г., из United Nations: https://www.un.org/press/en/2006/sc8853.doc.htm

Resolution 2375 Strengthening Sanctions on North Korea. (2017). Получено 07 01 2018 г., из Unted States mission to the Uited Nations: https://usun.state.gov/remarks/7969

Sigal, V. (1 May 1997 г.). *Arms Control Association*. Получено 01 02 https://www.armscontrol.org/act/1997_05/sigal г., из The North Korean Nuclear Crisis: Understanding The Failure of the 'Crime-and-Punishment' Strategy: 2018

Stanton, J. (б.д.). *Getting Tough on North Korea*. Получено из Foreign Affairs: https://www.foreignaffairs.com/articles/north-korea/2017-04-17/getting-tough-north-korea

The World Facebook. (б.д.). Получено из Central Inteligence Agency: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/kn.html

United States Census. (б.д.). Получено 01 02 2018 г., из https://www.census.gov/foreign-trade/balance/c5790.html

United States Census Bureau. (б.д.). Получено из https://www.census.gov/foreign-trade/balance/c5790.html

Vuksanovic, V. (2017). Nuclear weapons dominate North Korea's foreign and domestic policy; diplomatic engagement is the onlyway to encourage regime change.

Zarate, J. (2017). Secondary Sanctions Against Chinese Institutions: Assessing their Utility for Constraining North Korea. *Financial Integrity Network* .

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariami Khachidze

Efficiency of Coercive Economic Diplomacy -The Case of North Korea

Master's in Diplomacy and Internatonal Politics

A thesis submitted for the masters degree of the Faculty of Social and Political Sciences

Under supervision of: Associate Professor Eka Akobia

Tbilisi 2018

დანართი 1.2

პერიოდი	ექსპორტი		იმპორტი		სავაჭრო ბრუნვა	
	მუცულობა	ზრდის მაჩვენებელი (%)	მოცულობა	ზრდის მაჩვენებელი (%)	მოცულობა	ზრდის მაჩვენებელი (%)
2000	556	8.0	1,413	46.4	1,969	33.0
2001	650	16.9	1,620	14.6	2,270	15.3
2002	735	13.1	1,525	- 5.9	2,260	- 0.4
2003	777	5.5	1,614	5.9	2,391	5.8
2004	1,020	31.3	1,837	13.8	2,857	19.5
2005	998	- 2.1	2,003	9.1	3,002	5.1
2006	947	- 5.2	2,049	2.3	2,996	- 0.2
2007	918	-3.0	2,022	-1.3	2,941	-1.8

დანართი 1.3

კატეგორია	2007 წ.	2008 წ.	2009 წ.	2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.
ექსპორტი	918.8	1,130.2	1,062.8	1,513.6	2,789.4	2,880.1	3,218.4	3,164.7	2,696.5	2,820.9
იმპორტი	2,022.3	2,685.5	2,351.0	2,660.8	3,567.7	3,931.2	4,126.4	4,446.2	3,555.3	3,710.8
სავაჭრო ბრუნვა	2,941.1	3,815.7	3,413.8	4,174.4	6,357.1	6,811.3	7,344.8	7,610.9	6,251.8	6,531.7
სავაჭრო ბალანსი	-1,103.5	-1,555.3	-1,288.2	-1,147.1	-778.4	-1,051.1	-908.0	-1,281.6	-858.7	-889.9

დანართი 1.4

პოზიცია	ქვეყანა	ექსპორტი		იმპორტი		სავაჭრო ბრუნვა		მნიშვნელობა	წინა წლის რეიტინგი
		მოცულობა	ზრდის მაჩვენებელი (%)	მოცულობა	ზრდის მაჩვენებელი (%)	მოცულობა	ზრდის მაჩვენებელი (%)		
1	ჩინეთი	2,634,402	6.1	3,422,035	6.1	6,056,437	6.1	92.7	1(-)
2	რუსეთი	8,853	46.5	68,047	-13.1	76,900	-8.9	1.2	2(-)
3	ინდოეთი	14,678	-35.3	44,316	-17.7	58,994	-22.9	0.9	3(-)
4	ტაილანდი	2,945	-57.8	46,795	8.7	49,740	-0.6	0.8	4(-)
5	ფილიპინები	16,150	170.5	28,821	80.2	44,971	104.7	0.7	8(↑3)
6	პაკისტანი	25,691	23.5	0	-	25,691	23.5	0.4	9(↑3)
7	სინგაპური	127	-90.5	12,865	-54.8	12,992	-56.4	0.2	7(-)
8	ტაივანი	12,190	-59.2	507	422.7	12,697	-57.7	0.2	6(↓2)
9	შრი-ლანკა	8,958	52.8	3,528	160.6	12,486	73.0	0.2	15(↑6)
10	უკრაინა	3,826	89.3	7,685	-77.2	11,511	-67.8	0.2	5(↓5)

დანართი 1.5

კლასიფიკაცია	**2002**		**2003**		**2004**		**2005**		**2006**		**2007**	
	მოცულობა	**წილი**	**მოცულობა**	**წილი**	**მოცულობა**	**წილი**	**მოცულობა**	**წილი**	**მოცულობა**	**წილი**	**მოცულობა**	**წილი**
ჩინეთი	738.2	25.4	1,022.9	32.8	1,385.2	39.0	1,580.3	38.9	1,699.6	39.1	1,974.0	41.9
კორეა	641	22.1	724	23.2	697	19.6	1,055.8	26	1,349.7	31.1	1,797.9	38.2
ტაილანდი	216.6	7.5	254.3	8.2	329.9	9.3	329.2	8.1	374.2	8.6	228.7	4.9
რუსეთი	80.7	2.8	118.4	3.8	213.4	6.0	232.3	5.7	210.6	4.8	159.6	3.4
იაპონია	369.5	12.7	265.3	8.5	252.6	7.1	193.6	4.8	121.6	2.8	93.1	2.0
სხვა	855.4	29.5	730.4	23.4	676	19.0	666.2	16.4	589.8	13.6	457.2	9.7
ჯამი	2,901.4	100.0	3,115.3	100.0	3,554.1	100.0	4,057.4	100.0	4345.5	100.0	4,710.5	100.0

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქეთევან ლალიაშვილი

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის დინამიკა

უკრაინის ინტერვენციის ანალიზი

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ნიკოლოზ სამხარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსია წარმოადგენდა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის, რამდენიმე მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულების და დამკვიდრებული საერთაშორისო ნორმების სასტიკ დარღვევას და მან საგრძნობლად შეცვალა სახელმწიფოებს შორის დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი.

დასავლეთის მიერ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოკრატიზაციის მხარდაჭერა და მათი პოტენციური გაწევრიანება ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში რუსეთის მიერ აღიქმება მთავარ ეროვნულ საფრთხედ. შესაბამისად, ამის საპასუხოდ რუსეთმა მიმართა თვითდამკვიდრების საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს საკუთარი ეროვნული ინტერესები და ძლიერების სტატუსი. მისი კონფრონტაციული დამოკიდებულების გამოხატულება იყო 2008 წელს საქართველოში, 2014 წელს კი უკრაინაში ინტერვენცია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია უკრაინის ინტერვენციის შემთხვევის ანალიზი, რათა პასუხი გავცეთ მთავარ საკვლევ კითხვას, **თუ *რა მოტივები იყო განმსაზღვრელი რუსეთისათვის უკრაინაში ინტერვენციის განსახორციელებლად*** გაანალიზებულ იქნა რუსეთის საგარეო პოლიტიკის დინამიკა თანამედროვე მულტიპოლარულ სამყაროში, რამდენადაც კონფლიქტის საწყისებს რუსეთის რეალპოლიტიკაში ვხედავთ. კვლევის პროცესში მივედით დასკვნამდე, რომ **რუსეთის ქმედებები ყირიმში აიხსნება მისი დასავლეთთან გეოპოლიტიკური მეტოქეობით და უსაფრთხოების /საფრთხეების აღქმებით (ახლო სამეზობლოს ქვეყნებზე გავლენის დაკარგვის საფრთხით) .**

ნაშრომში გამოვიყენებთ დისკურსის ანალიზისა და თვისებრივი კონტენტ ანალიზის მეთოდს და შევისწავლით უკრაინის ინტერვენციის შემთხვევას, თეორიულ ჩარჩოდ კი თავდასხმით რეალიზმს გამოვიყენებთ, რათა გავაანალიზოთ რუსეთის ფედერაციის ქმედებების მოტივები.

საკვანძო სიტყვები : ყირიმის ანექსია, უკრაინის კრიზისი, დასავლეთი, რუსეთი

Summary

Recent challenges in the relationship between the West and Russia have led to a suspension of political and military cooperation. NATO's (EU's) eastward enlargement to include former Soviet republics in its membership is identified as the main components that fuelled the deterioration in relations with Russia. Responding from a sense of insecurity, Russia has grown more assertive in regional politics to ensure its national interests. Russia has been able to project power in regional politics aiming to regain its former power status. Russia's increasingly confrontational stance has eventually been manifested in military interventions in Georgia (2008) and in Ukraine (2014).

The following thesis titled "**Dynamics of foreign policy of Russian Federation, Analysis of Ukraine Intervention"** studies Ukraine Crisis, its background and motives of the parties involved. As **the thesis aims to explore external incentives and reasons behind Russia's decision to annex Crimea and to intervene in Ukraine**, we will analyze Russia's foreign policy dynamics in the changing – multipolar world.

After having conducted a thorough research we concluded, that **Russia's decision to intervene in Ukraine was caused by its diverse threat perceptions towards west and by geopolitical controversy between the West and Russia over Ukraine.**

In the following thesis we will use qualitative research methods, namely discourse analysis method, qualitative content analysis and a case study of Ukraine intervention. As for the theoretical framework, we consider offensive realism to be the most suitable theory among other IR theories for explaining actor's interests to gain more relative power and hegemony in anarchic International system.

KEY WORDS: Ukrainian crisis, Annexation of Crimea, Ukraine, Russia, NATO & EU expansion, West, Geopolitical controversy, Security, Threat perceptions.

Laliashvili Ketevan

სარჩევი

1. შესავალი 5

1.1. კვლევის საგანი და აქტუალობა 7

1.2. საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა 7

1.3. თეორიული ჩარჩო 8

1.4. მეთოდოლოგია და ნაშრომის სტრუქტურა 8

1.5. ტერმინები და აბრევიატურები 10

2. ლიტერატურის მიმოხილვა 12

3. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1991-1999 წლებში, განგრძობითობა და ცვლილებები 17

3.1. შეჯამება 25

4. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 2000-2014 წლებში 27

4.1. ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი 33

4.2. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები - რეალპოლიტიკა?! 38

4.3. შეჯამება 41

5. უკრაინის მოვლენები და მისი ისტორიული წინაპირობები 42

5.1. ყირიმის ისტორია 42

5.2. უკრაინის კრიზისი, მოვლენათა განვითარება 46

5.3. ყირიმის ანექსია და საერთაშორისო სამართალი 54

6. უკრაინის კრიზისის გამომწვევი გარე ფაქტორები 57

6.1. საფრთხეების აღქმები 59

6.2. გეოპოლიტიკური მეტოქეობა 60

7. თეორიული ჩარჩო 63

7.1. თავდასხმითი რეალიზმი - ძირითადი მონახაზი 63

7.2. თავდაცვითი რეალიზმი 65

7.3. უკრაინის კრიზისი თავდასხმითი რეალიზმის თვალთახედვიდან 66

8. დასკვნა 70

დანართი #1 74

დანართი #2 74

დანართი#3 75

გამოყენებული ლიტერატურა 76

1. შესავალი

“ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ და

სუსტნი ურიგდებიან იმას, რასაც უნდა შეურიგდნენ”

თუკიდიდე

1.1 კვლევის საგანი და აქტუალობა

რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 წელს უკრაინაში ინტერვენციამ და ყირიმის ანექსიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ცივი ომის შემდგომი ევროპის უსაფრთხოების წესრიგი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დათბობის გარკვეული ნიშნები შეინიშნებოდა, როგორიცაა მაგალითად ნატო-რუსეთის საბჭოში მონაწილეობა ან ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო) „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PFP) პროგრამაში ჩართულობა, აშშ-მ და რუსეთმა მოახერხეს თანამშრომლობა ისეთი საკითხების სტაბილიზაციისათვის, როგორიცაა მაგალითად კონტრ ტერორიზმი, ავღანეთის საკითხი, თუმცა მიუხედავად აღნიშნული გარკვეული დონის პარტნიორობისა და თანამშრომლობისა რუსეთის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის შემთხვევები - 2008 წელს საქართველოსთან ომი, 2014 წელს კი მეორე ყოფილ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოს - უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფა და მისი ტერიტორიის ნაწილის ანექსია დასავლეთში დიდი კრიტიკის მიზეზი გახდა. აღნიშნული საკითხი მრავალი მკვლევარის შესწავლის საგანია და ის აქტუალურია პირველ რიგში მის მიერ საერთაშორისო სამართლის პრინციპების მრავალმხრივი დარღვევის უპრეცედენტობის გამო, თუმცა გარდა ამისა, საქართველოსთვის, რუსეთის ფედერაციის მეზობელი პოსტ-საბჭოთა ქვეყნისთვის, რომელსაც პრო-დასავლური მისწრაფებები აქვს, რუსეთის მიერ უკრაინაში ინტერვენციის მიზეზების კვლევა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა . კვლევა გარდა უშუალოდ უკრაინის კრიზისისა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის რაობის კუთხით იქნება საინტერესო, რამდენადაც რუსეთის თვითდამკვიდრების პოლიტიკა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ინტერვენციებში (2008,2014) ცხადად ჩანს, და რამდენადაც ეს უკვე

ერთეული შემთხვევა აღარაა, სასურველია მისი ღრმა შესწავლა და ანალიზი, რაც შესაძლოა მომავალი მოვლენების განსაზღვრაში გახდეს გამოსადეგი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეისწავლოს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემთხვევა და მისი გამომწვევი გარე ფაქტორების დასადგენად შესწავლილი იქნება რუსეთის საგარეო პოლიტიკა დინამიკაში - საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან უკრაინის კრიზისამდე, რათა დავასაბუთოთ, რომ უკრაინის მოვლენები რუსეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულ იქნება რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის (1993, 2000, 2008, 2013 წლების) კონცეფციები, ასევე მნიშვნელოვანი ასპექტები ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიების, სხვა ოფიციალური დოკუმენტებისა და საჯარო გამოსვლების ტექსტები, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ ის ცვლილებები და ტენდენციები, რაც ქვეყანაში მთავრობის შეცვლას თუ საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარ მოვლენას/გამოწვევას უკავშირდებოდა და რათა დავინახოთ, თუ როგორ იცვლებოდა რუსეთის მიმართება დასავლეთისა და პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნების მიმართ (რომელსაც თავად რუსეთი ახლო სამეზობლოს და საკუთარ გავლენის სფეროს უწოდებს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ ის ფოკუსირებული იქნება უკრაინაში განვითარებული მოვლენების რუსეთის პოზიციიდან გაანალიზებაზე, შევისწავლით რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებს მისი დამოუკიდებლად არსებობის პირველი წლებიდან , ასევე სისტემაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს და მათ გავლენას რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე და შევეცდებით უკრაინის მოვლენები ავხსნათ მისი განმაპირობებელი მ ხ ო ლ ო დ გარე ფაქტორებით.

აღნიშნული საკვლევი საკითხი მნიშვნელოვანია და აქტუალურობას არ კარგავს, როგორც დასავლეთისთვის, ისე საქართველოსთვის, რამდენადაც უკრაინის შემთხვევა და სხვა პოტენციური მსგავსი კრიზისი, რომელიც რუსეთის რევიზიონისტულ საგარეო პოლიტიკას შეიძლება მოჰყვეს პოსტ-საბჭოთა სივრცის დესტაბილიზაციის საფრთხის

შემცველია. უკრაინის კრიზისმა მნიშვნელოვნად შეცვალა ცივი ომის შემდგომი უსაფრთხოების წესრიგი ევროპაში და ნატო-ს კოლექტიური თავდაცვის სისტემას ახალი როლი შესძინა, მოკავშირე/წევრ ქვეყნებს კი ამისათვის მზადყოფნის საჭიროება აჩვენა.

1.2 *საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა*

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ვუპასუხოთ **მთავარ საკვლევ კითხვას, თუ რა მოტივები იყო განმსაზღვრელი რუსეთისათვის უკრაინაში ინტერვენციის განსახორციელებლად.**

რუსეთის ქმედებები ყირიმში აიხსნება მისი (რუსეთის ფედერაციის) დასავლეთთან გეოპოლიტიკური მეტოქეობით და უსაფრთხოების/საფრთხეების აღქმებით (ახლო სამეზობლოს ქვეყნების მისი ორბიტიდან , გავლენის სფეროდან გაქრობის საფრთხით) .

ნაშრომში დამოკიდებული ცვლადია უკრაინის ინტერვენცია, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადია ის გარე ფაქტორები, რომლებმაც ითამაშეს დენთის როლი კონფლიქტის გაღვივებაში - რუსეთსა და დასავლეთს შორის გეოპოლიტიკური მეტოქეობა და რუსეთის ფედერაციის მიერ აღქმული საფრთხეები.

ამგვარად, წინამდებარე კვლევა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის ინტერვენციის შემთხვევისა კარგი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ მიდიან სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლისა და დამკვიდრებული ნორმების წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ისინი მათ ეროვნულ ინტერესებსა და მიზნებს ეწინააღმდეგება.

რუსეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო შეენარჩუნებინა საკუთარი გავლენა და პოზიცია ყირიმში (და შავი ზღვის ფლოტი სევასტოპოლში), მაშინ როდესაც უკრაინამ დაიჭირა პრო-დასავლური მხარე. ასევე, ვაჩვენებთ იმას, თუ რა საშუალებებს იყენებს რუსეთის ფედერაცია საკუთარი ქმედებების შესანიღბად და როგორ ხსნის თავად საკუთარ აგრესიულ ქმედებებს. ზემოთ აღნიშნული საკითხის კომპლექსური კვლევა და ყირიმის ანექსიის რეალური მოტივების დადგენა კარგი ბაზისი იქნება იმისათვის რომ საერთშორისო არენაზე მსგავსი მოვლენების წინასწარ განსაზღვრა მოხდეს.

1.3 თეორიული ჩარჩო

საკვლევი საგნისა და შემუშავებული ჰიპოთეზის არსიდან გამომდინარე, თეორიულ ჩარჩოდ ერთ-ერთი ყველაზე ძველი თეორიული სკოლა - რეალიზმი იქნა მიჩნეული ყველაზე შესაბამისად, რამდენადაც მისთვის მნიშვნელოვანია ძალის პრიმატი. კერძოდ საკვლევ საკითხს მისი ერთ-ერთი განშტოება - თავდასხმითი რეალიზმი მივუსადაგეთ, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია ჯონ მირშაიმერი.

აღნიშნული თეორია მიიჩნევს , რომ სახელმწიფოები იბრძვიან ძალის მაქსიმიზაციისთვის - შედარებითი ძალა სხვა სახელმწიფოებთან მიმართებით, მხოლოდ ესაა გადარჩენის გარანტია ანარქიულ სისტემაში. მისი აზრით, სწორედ ანარქია და შესაძლებლობების გადანაწილება ხსნის ყველაზე უკეთ ისეთ დიდ საკითხებს საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორიცაა ომი და მშვიდობა. (ვოიტი და კაუპი, 2012, 64)

საერთაშორისი ურთიერთობების აღნიშნული თეორია კარგად ხსნის რუსეთის მიერ უკრაინის ინტერვენციის განხორციელების მიზეზებს - მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს რეგიონში, რაც პირდაპირ მოდიოდა დაპირისპირებაში დასავლეთის პოლიტიკასთან რეგიონთან მიმართებით. ორივე მათგანი - უსაფრთხოების აღქმები და გეოპოლიტიკური მეტოქეობა ერთმანეთან ღრმა კავშირშია, თავდასხმითი რეალიზმი კი, როგორც თეორია, სწორედ დიდი ძალების მიერ ჰეგემონიისთვის ბრძოლას და ერთმანეთთან მიმართებით შედარებითი მოგების მოპოვებისკენ მიდრეკილების ასახსნელად გამოდგება.

1.4 მეთოდოლოგია და ნაშრომის სტრუქტურა

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის თვისებრივი მეთოდები, მათ შორის თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. ჰიპოთეზის შესამოწმებლად დამჭირდება გამოვიყენო საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა, დავეყრდნობი პირველწყაროებს - როგორიცაა სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს მიერ შემუშავებული ოფიციალური დოკუმენტები, ორგანიზაციების მიერ გამოცემული რეზოლუციები და ოფიციალური განცხადებები , პოლიტიკური ლიდერების ოფიციალური საჯარო გამოსვლის ტექსტები,

ასევე გაანალიზებული იქნება თეორეტიკოსებისა და მკვლევარების ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები და ნიუსები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხება საკვლევ საკითხს. ამგვარად, დავეყრდნობი არა მხოლოდ პირველად წყაროებს, არამედ მეორეულ და მესამეულ მონაცემებსაც. თეზისში მოვახდენთ ყველა ჩამოთვლილის გაანალიზებას, რაც გულისხმობს დისკურსის ანალიზის მეთოდს. ნაშრომში შესწავლილი იქნება უკრაინის ინტერვენციის შემთხვევა.

ხოლო ნაშრომის სტრუქტურის შესახებ: პირველ რიგში მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს საკვლევ პრობლემას, საკითხს და კითხვას. შესავალში მოცემული იქნება კვლევის საგანი და განხილული იქნება მისი აქტუალურობა, ასევე თეორიული ჩარჩო, რომელიც გამოდგება იმ მოვლენების ასახსნელად, რასაც აღნიშნული თეზისის დასაწყისში შემუშავებული ჰიპოთეზა და მის დასამტკიცებლად (თუ უარსაყოფად) ჩატარებული ქვემოთმდებარე კვლევა ეხება. შესავლის ბოლოს მოცემული იქნება ტერმინებისა და აბრევიატურების ჩამონათვალი, ნაშრომის კითხვის პროცესში მეტი სიცხადისთვის. შემდეგ თავში მიმოხილული იქნება საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მნიშვნელოვანი ლიტერატურა- რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, მის უსაფრთხოების აღქმებზე, რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებზე და ასევე უკრაინის კრიზისზე, რამდენადაც ნაშრომის ფოკუსია ბოლო წლებში საერთაშორისო არენაზე განვითარებული მოვლენების დანახვა რუსეთის მიერ საფრთხეების აღქმის პრიზმიდან (და არა ვთქვათ ყირიმის ანექსიის გაანალიზება უკრაინის თვალთახედვიდან ან შიდა პრობლემების გათვალისწინებით).

შემდგომ თემის მთავარ ნაწილში გავაანალიზებთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკის დინამიკას. აღნიშნულ პერიოდს დავყოფთ ორ ნაწილად - ელცინის პრეზიდენტობის პერიოდი (1991-1999) და პუტინის/მედვედევის პრეზიდენტობის პერიოდი (2000-2014). ვინაიდან ნაშრომი მიზნად ისახავს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის ინტერვენციის მოტივების შესწავლას, ფიკუსირებას მოვახდენთ რუსეთის დასავლეთთან და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან მიმართების

შესწავლაზე და მოვლენების განვითარების ფონზე და ოფიციალური დოკუმენტების გაანალიზების შედეგად შევეცდებით დავადგინოთ ის მოვლენები და მიზეზები, რის შედეგადაც უკრაინის კრიზისი მივიღეთ 2014 წელს. ცალკე თავები დაეთმობა ასევე ცვლადების ანალიზს: უკრაინის კრიზისის მოვლენათა განვითარებას , მათ შორის ყირიმის ისტორიას და რუსეთის მიერ საკუთარი ქმედებების გასამართლებლად მოყვანილ მიზეზებს და ამ კრიზისის გამომწვევ გარე ფაქტორებს: დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთმიმართებას, რასაც ინტეგრაციის დილემა შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ინტერვენციის შემთხვევა წარმოადგენს რუსეთის მიერ აღქმული საფრთხეების პირდაპირ შედეგს და ვისაუბრებთ ასევე გეოპოლიტიკურ მეტოქეობაზე. ბოლოს მკითხველს შევთავაზებთ თეორიის ჭრილში მოვლენების გააზრებას და დასკვნას - შემაჯამებელ შენიშვნებსა და იმ მიგნებებს, რომელთა პოვნასაც წინამდებარე ნაშრომი ემსახურება.

1.5 ტერმინები და აბრევიატურები

ახლო სამეზობლო - near abroad, რუსულ წყაროებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში ნახსენები, როგორც ближнее зарубежье, გულისხმობს ყოფილ საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებს, (ლიტვა, ლატვია, ესტონეთის გამოკლებით) შემდგომში დსთ-ს წევრ ქვეყნებს.

დასავლეთი - ამერიკა და ევროპის ქვეყნები

ინტერვენცია - სახელმწიფოს მიერ სხვა სხვა სახელმწიფოს საშინაო ან საგარეო საქმიანობაში ჩარევა

ჰუმანიტარული ინტერვენცია - ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო ორგანიზაციის (ორგანიზაციების) მიერ სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა სახის მოქმედებით ძალის გამოყენება; [1]

---

[1] ინტერვენციისაგან განსხვავებით, რომელიც საერთაშორისო სამართლით აკრძალულია, როგორც სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა.

R2P – Responsibility to Protect - დაცვის პასუხისმგებლობა, გაეროს ნორმა სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ ომის დანაშაულებებისგან, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებისგან, ეთნიკური წმენდისა და გენოცოდისგან.

დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

სსრკ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (საბჭოთა კავშირი)

ეუთო - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

P5 – Permanent 5 Members - გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი 5 წევრი

START[2] - სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ ხელშეკრულება

BRICS – ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა.

EAEU - ევრაზიული კავშირი - ევრაზიული ეკონომიკური კავშირი

---

[2] პირველ ხელშეკრულებას ხელი ბუშსა და გორბაჩოვს შორის - 1991 წელს მოეწერა. ხელშეკრულების შედეგად ორი მხარემ 50%-ით შეამცირა საკუთარი განთავსებული ქობინების რაოდენობა - სტრატეგიული ბირთვული იარაღები - 1600-მდე, ქობინები კი 6000-მდე. ხელშეკრულება ასევე ავალდებულებდა მხარეებს ინტერკონტინენტური ბალისტიკური სარაკეტო (ICBM) და წყალქვეშა ბალისტიკური სარაკეტო (SLBM) წვრთნების განხორციელების შესახებ ერთმანეთისთვის ინფორმაციის მიწოდებას. ბორის ელცინსა და ჯორჯ ბუშს შორის სტარტ-ის მეორე ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომელსაც ვადა 2009 წლის დეკემბერში გაუვიდა, ახალ START -ს კი ხელი 2010 წლის აპრილში მოეწერა. (რაც აშშ-რუსეთის "ურთიერთობების გადატვირთვის „ პერიოდს ემთხვევა.) (State.gov)

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ანდრეი ციგანკოვის ნაშრომი სახელად *„რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილებები და განგრძობითობა ეროვნულ იდენტობაში“* (2013) გვთავაზობს ღრმა ანალიზს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში არსებული სამი ტრადიციული სკოლისა: ვესტერნიზმი, სტატიზმი და ცივილიზაციონიზმი. წიგნი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ რუსული ეროვნული ინტერესისა და იდენტობის განვითარებას იკვლევს. ასევე ციგანკოვის 2014 წლის ნაშრომი სახელად *„ძლიერი სახელმწიფო რუსეთში: განვითარება და კრიზისი“* მნიშვნელოვანია რუსეთის საფრთხეების აღქმების გასაანალიზებლად. ავტორის მიხედვით, რუსეთი და დასავლეთი ახერხებდნენ თანამშრომლობას გარკვეულ საკითხებზე (მაგალითად კონტრ-ტერორიზმი, ავღანეთის საკითხი და სხვა) თუმცა კრემლი გრძნობდა, რომ მას ეპყრობოდნენ როგორც „უმცროს“ პარტნიორს. რეალურად, რუსეთი და აშშ თანამშრომლობენ საერთო საფრთხეების წინააღმდეგ და არა მშვიდობის დროს (ციგანკოვი, 2014, 196-200). დასავლეთსა და რუსეთს შორის უნდობლობა ცივი ომის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას და აღნიშნული ორი მხარის ინტერესები ყოველთვის შეუთავსებლობაში იყო: „როცა დასავლეთის მთავრობები რუსეთისგან მოელოდნენ, რომ მიჰყოლოდა მათ უსაფრთხოების პოლიტიკას, რუსეთი მკაცრად ითხოვდა თანასწორ ურთიერთობებს და დასავლეთის მიერ მისი შეხედულებების იგნორირებას აღიქვამდა უპატივცემულობად და რუსეთის ინტერესებისთვის საფრთხედ“, ვკითხულობთ იგივე ავტორის ნაშრომში სათაურით *„რუსეთისა და ნატოს უნდობლობა: ეთნოფობია და ორმაგი გაფართოება რათა შეკავებულ იქნას „რუსული დათვი“.* (ციგანკოვი, 2013, 179)

ელენა მორენკოვა პერიერის ნაშრომი სახელწოდებით *„რუსეთის სტრატეგიული აზროვნების მთავარი პრინციპები“* (2014) მნიშვნელოვანია , რამდენადაც ის გვაძლევს საშუალებას დავინახოთ თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები , თუ რომელ სკოლას ეფუძნება ის (ნეო-ევრაზიანიზმი და ვესტერნიზმი) . ნეო-ევრაზიანიზმის შემთხვევაში პერიერი გამოყოფს სამ მთავარ ნიშანს :

1. რუსეთის ისტორია არის უნიკალური;

2. რუსეთის ხვედრს წარმოადგენს მისი ევრაზიული ფესვებისადმი ერთგულება და დასავლური მოდელების უარყოფა;
3. რუსეთის განვითარება აიხსნება შემდეგი გარე ფაქტორებით: კლიმატი, გეოგრაფიული პოზიცია და გეოპოლიტიკური სიტუაცია;

ავტორის მიხედვით, ახლა მარგინალიზებული ვესტერნიზმი, 1990-იანი წლების პირველ ნახევარში დომინანტი იდეოლოგიური ტრენდი იყო .

ჯეფრი მანკოფის წიგნი სახელწოდებით *„რუსეთის საგარეო პოლიტიკა : დაბრუნება დიდი ძალის პოლიტიკაში“* (2009) ერთ-ერთი სახელმძღვანელო წიგნია რუსეთის საგარეო პოლიტიკის დინამიკისა და განვითარების შესასწავლად. ავტორის მტკიცებით, რუსეთის მკაცრი რიტორიკის უკან დგას ღრმად ფესვგადგმული ამბიცია, რომ სახელმწიფოს სტატუსი როგორც დიდი, მთავარი ძალა იქნას იდენტიფიცირებული და დამყარებული (და მისი პირდაპირი მიზანი არაა დასავლური სამყაროს გამოწვევა). მანკოფი შეგვახსენებს, რომ რუსეთს არასდროს უარსებია, როგორც ერ-სახელმწიფოს და მას ყოველთვის აკლდა ეთნიკური ერთობა და ბუნებრივად განსაზღვრული საზღვრები, შესაბამისად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა განსაკუთრებულ სტრატეგიულ დაგეგმვას მოითხოვდა. **ავტორს ასევე მოჰყავს საქართველოსთან ომის მაგალითი, როგორც რუსეთის მცდელობა ხაზი გაესვა საკუთარი ძალისთვის და „მთავარი ძალის“ , ძლიერი სახელმწიფოს სტატუსისთვის (resurgence as a major power).** (მანკოფი , 2009, 293-294) ასევე, ავტორი გვთავაზობს ღირებულ ანალიზს პოსტ-საბჭოთა რუსეთის ლიდერების მიზნებისა და ამბიციების შესახებ.

მარსელ ვან ჰერპენის 2014 წელს გამოქვეყნებული წიგნი *„პუტინის ომები : რუსეთის ახალი იმპერიალიზმის აღზევება“* გვაძლევს საშუალებას გავაანალიზოთ კონფლიქტები, რომლებშიც რუსეთი იყო ჩართული, აქცენტი გაკეთებულია ჩეჩნეთის ომსა და საქართველოსთან 2008 წლის ომზე და ავტორის მტკიცებით, პუტინის რუსეთმა კონსოლიდირება და საკუთარი თავის ლეგიტიმაცია მოახდინა სწორედ კონფლიქტების

შედეგად. (რომელთა პარალელურად მიმდინარეობდა ქვეყნის „შიდა ომი“) . ავტორი აანალიზებს რუსეთის ისტორიას და მას ადარებს დღევანდელ იმპერიის მშენებლობას .

ალექსანდრე ლუკინის ესე სათაურით *„რაზე ფიქრობს კრემლი“* (2014) იკვლევს რუსეთის პოლიტიკურ მიმართულებას ცივი ომის დასრულების შემდეგ. ავტორის მტკიცებით, რუსეთ-უკრაინის ომი იყო პირდაპირი შედეგი დასავლეთის მცდელობებისა,რომ რუსეთის ასიმილირება მოეხდინა დასავლური სამყაროს ნორმებსა და ღირებულებებთან. რუსეთის სურვილი - იყოს „ახალ მულტიპოლარულ მსოფლიოში ძალის ცენტრი“ ეჯახება დასავლეთის სურვილს მოახვიოს მას საკუთარი იდეები და ღირებულებები თავს. აღნიშნული „შეჯახების“ ეპიცენტრი გახდა უკრაინა. ნაშრომი ღირებულ მოსაზრებებს გვთავაზობს რუსეთის პოლიტიკური აზროვნებისა და სურვილების შესახებ, რომ დაუპირისპირდეს დასავლურ პრაქტიკებს.

ალექსანდრე მოტილის 2014 წლის სტატია *„რუსეთის ქმედებების წყაროები“* ჯორჯ კენანის რამდენიმე ათწლეულის წინ, 1947 წელს გამოქვეყნებული ცნობილი “ X”სტატიის რელევანტურობაზე საუბრობს და ამტკიცებს, რომ კენანის მოსაზრებები საბჭოთა კავშირის შესახებ ზუსტად ესადაგება რუსეთის თანამედროვე ქმედებებს უკრაინაში და რომ რუსეთის შეკავება უნდა მოხდეს მის წინააღმდეგ ისეთი სტრატეგიებით ბრძოლით, როგორიცაა, მაგალითად მის (რუსეთის) მიერ ენერგო შესაძლებლობების გამოყენება როგორც პოლიტიკური იარაღი .

უკრაინისა და რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობების საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსის ჯონ ჯ.მირშაიმერის შრომებში მრავალი მოიძებნება. სტატიაში „რატომ არის უკრაინის კრიზისი დასავლეთის ბრალი“ (2014) იგი ამტკიცებს, რომ დასავლეთის ქმედებებმა გამოიწვია უკრაინის კრიზისი და მისი მთავარი არგუმენტებია, რომ ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოება (უკრაინის პოტენციური წევრობა) და დასავლეთის მიერ უკრაინაში დემოკრატიის გამალებული მხარდაჭერა გახდა მაპროვოცირებელი ფაქტორი. ავტორის მტკიცებით, უკრაინა რუსეთისთვის წარმოადგენს ეროვნულ ინტერესს და უკრაინის მისი ორბიტიდან გაქრობა აღიქმება ეროვნულ

საფრთხედ. ავტორი შესაძლო გამოსავალსაც გვთავაზობს და დასავლურ სამყაროს მოუწოდებს შეწყვიტოს უკრაინის (და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების - რუსეთის მიერ „ახლო სამეზობლოდ„ წოდებული ქვეყნების) და ზოგადად რუსეთის გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნების მხარდაჭერა, ვესტერნიზაცია და გადააქციოს ისინი ბუფერულ ქვეყნებად, რამდენადაც რუსეთისთვის აღნიშნული ქვეყნები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ეროვნული უსაფრთხოების საკითხად აღიქმება და იწვევს დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებას (ასევე აღნიშნულ ქვეყნებში არეულობას). აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ კი სტეფან სესტანოვიჩი სტატიაში *„რატომ მოიგო დასავლეთმა“* (2014) ამტკიცებს, რომ უკრაინის კრიზისი არ იყო გამოწვეული ნატო-ს გაფართოებით, არამედ აშშ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ევროპის სტაბილიზირებას ცდილობდა და ნატო-ს გაფართოებამ პირიქით შეასუსტა კრიზისის შესაძლო სიმძაფრე, ნატო რომ არ გაფართოებულიყო იმ საზღვრებში, რომელშიც ის ახლაა, უკრაინაში მეტად დამანგრეველ კონფლიქტს მივიღებდით. სერგეი კარაგანოვი (*„რუსეთი და აშშ: გრძელვადიანი კონფრონტაცია?“* 2014) კი საკუთარი ქვეყნის (რუსეთი) სასარგებლოდ ამტკიცებს , რომ ორ დიდ ძალას შორის კონფლიქტი მათი შავი ზღვის რეგიონში გეოპოლიტიკური ინტერესების გამო ხდება და რომ აშშ-ს სურს რუსეთის გაძლიერება აიცილოს თავიდან“ - თავის სასიკეთოდ.

ჰენრი კისინჯერი 2014 წლის მარტში, ყირიმის ანექსიამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნებულ სტატიაში „უკრაინის კრიზისის გადასაჭრელად, დაიწყეთ ბოლოდან“ საუბრობს რუსეთისათვის უკრაინის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, „უკრაინა ვერასდროს იქნება რუსეთისათვის უბრალოდ უცხო სახელმწიფო“ და „თუ უკრაინას სურს გადარჩენა მან არცერთის (დასავლეთი, რუსეთი) მხარე არ უნდა დაიჭიროს, არამედ უნდა იფუნქციონიროს, როგორც ამ ორს შორის ხიდმა“. ყოფილი სახელმწიფო მდივანი მიიჩნევს, რომ უკრაინა არ უნდა გახდეს ნატოს წევრი, თუმცა ამასთან „რუსეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ არ უნდა სცადოს უკრაინის ძალით სატელიტად გახდა და რუსეთის საზღვრების კვლავ გაფართოება..“. ალექსანდრე მოტილი (სტატიაში *„რეალიზმის სიურეალიზმი“,* 2014) არ ეთანხმება უკრაინის მოვლენების მირშაიმერისეულ და

ზოგადად რეალიზმის თეორიის პრინციპებით ახსნას და ამტკიცებს, რომ დასავლეთმა იმიტომ კი არ უნდა შეაჩეროს რუსეთის ქმედებები უკრაინაში, რომ ეს მორალურად სწორია, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის იდეოლოგია და იმპერიული ამბიციები სრულიად დასავლეთისთვის წარმოადგენს საფრთხეს და რუსეთის შეჩერება უფრო მარტივია ახლა დონბასში, ვიდრე სილეზიაში იქნებოდა.

3. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1991-1999 წლებში

განგრძობითობა და ცვლილებები

„რუსეთს მხოლოდ ორი მეგობარი ჰყავს მსოფლიოში:
მისი ჯარი და მისი საზღვაო ფლოტი“
ალექსანდრე III

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად რუსეთმა დაკარგა კონტროლი 5.3 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიასა და 139 მილიონ მოსახლეობაზე, რომელთაგან 17%-ს წარმოადგენდნენ ეთნიკურად რუსები. გარდა ამისა მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები, ისტორიული თუ კულტურული მნიშვნელობის ძეგლები და ზოგიერთი მნიშვნელოვანი საბჭოთა სამხედრო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის ნაწილი მოსკოვის გავლენის ფარგლებს გარეთ დარჩა. მსოფლიო პოლიტიკა ბიპოლარულიდან უნიპოლარულ სისტემად გარდაიქმნა, ხოლო რუსეთი დაკნინებული ეკონომიკისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე ტრანზიციის პრობლემების წინაშე იდგა. (ესეები, 2015)

რუსეთის ფედერაციამ 1991 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიიის წარმოება დაიწყო. სახელმწიფო აღიარებულ იქნა მსოფლიოს ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საბჭოთა კავშირის მემკვიდრე ქვეყნად და გახდა პასუხისმგებელი საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებზე და მფლობელი მისი აქტივებისა (რაც მოიცავდა დიპლომატიურ საკუთრებას მსოფლიოს მასშტაბით და არსებულ დიპლომატიურ პერსონალს). რუსეთმა ასევე დაიკავა საბჭოთა კავშირის კუთვნილი ადგილი გაეროში, უშიშროების საბჭოში, რამაც მისცა სასუალება შეერთებოდა ისეთი ქვეყნების „ელიტარულ“, ძლიერი სახელმწიფოების ჯგუფს, რომელშიც მასთან ერთად ბრიტანეთი, ჩინეთი, აშშ და საფრანგეთი შედიოდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში და განხორციელებაში პოლიტიკური ელიტის 4 ჯგუფი ახდენდა გავლენას, რომელიც იდეოლოგიურ ბაზისით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. 1993 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე (როდესაც ჟირინოვსკის პარტიამ 1/4 აიღო ხმების) პროდასავლური იდეალისტები, რომლებიც დასავლეთის დახმარების მისაღებად და მასთან დასაახლოებლად ბევრ საკითხზე იყვნენ დათმობაზე წამსვლელები იყვნენ დომინანტი ძალა, თუმცა მათ კიდევ მეტად დაკარგეს წონა, როდესაც 1995 წლის არჩევნებით კომუნისტური პარტია გახდა მთავარი ოპოზიციური პარტია . ამავე წელს კოზირევი ჩანაცვლებულ იქნა პრიმაკოვით, თუმცა მის მოსვლას არ მოჰყოლია დიდი ცვლილებები საგარეო პოლიტიკურ კურსში (მიუხედავად იმისა, რომ ის თავს ანტი-დასავლურ პრაგმატისტთა ჯგუფს მიაკუთვნებდა), არამედ პრო-დასავლური მიმართულებისთვის გამოწვევა გახდა ნატოს გაფართოების დღის წესრიგში დაყენება. პრო-დასავლური ორიენტაციის პოლიტიკურმა ლიდერებმა და ეკონომიკურმა ჯგუფებმა მნიშვნელოვანი უკუსვლა განიცადეს 1998 წლის აგვისტოს ეკონომიკური კრიზისის შედეგად,როდესაც რუსმა ოლიგარქებმა დაკარგეს გავლენა მთავრობაზე, ელცინის ძალაუფლება საგრძნობლად დასუსტდა, პრიმაკოვი გახდა პრემიერი მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრად კი მისი „მარჯვენა ხელი“ ივანოვი იქნა დანიშნული, რაც პრიმაკოვს აძლევდა საშუალებას გამოეხატა მისი ანტი-დასავლური პრაგმატიზმი და განეხორციელებინა შესაბამისი პოლიტიკა. (მაკფაული, 1999)

ამგვარად , 1990-იანი წლებიდან საუკუნის დასასრულამდე რუსეთის საგარეო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ძვრები განიცადა. რუსეთი თანდათანობით გადაერთო გლობალური სამხედრო და პოლიტიკური როლიდან აშშ-სთან, ევროპასთან და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების დარეგულირებაზე, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მან დაკარგა უნარი გაეწია დახმარება სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის და შესაბამისად დაკარგა ეკონომიკური მომხიბვლელობა მათ თვალში, ამის პარალელურად კი რეგიონში კვლავ არსებობდნენ ნატო და ევროკავშირი , რომლებიც აღნიშნული (ყოფილი

საბჭოთა კავშირის და ვარშავის პაქტის) ქვეყნებისათვის წევრობის მინიჭებით იყვნენ დაინტერესებულნი.

რაც შეეხება რუსეთის ენერგოსექტორს, აღნიშნულმა სფერომაც დაღმასვლა განიცადა 1980-იან 1990-იან წლებში, რაც ნავთობზე დაბალმა ფასებმა და მრავალი ნავთობის კომპანიის პრივატიზაციამ განაპირობა. 1990-1995 წლებში ნავთობ პროდუქტების მოხმარება შემცირდა 600-დან 300 ტონამდე, ყოველწლიურად. (თუმცა რუსეთის ფედერაციის ნავთობის მარაგმა და დიდი რაოდენობის მილსადენების ქონამ გახადა შესაძლებელი სახელმწიფოს ეკონომიკური აღმავლობა ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ, ამაზე დაწვრილებით შემდეგ თავში ვისაუბრებთ)

1992 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა განსხვავებული იქნებოდა გორბაჩოვის „ახალი ხედვისაგან“ , რადგანაც ამას დემოკრატიული პრინციპები მოითხოვდა. **კოზირევი ხაზს უსვამდა რუსეთის ეროვნული ინტერესების პრიმატს ე.წ საერთაშორისო კლასის ინტერესების ნაცვლად,** რაც ახასიათებდა საბჭოთა კავშირს. ამ უკანასკნელს დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის პირველი წლების განმავლობაში რუსეთის საგარეო პოლიტიკა მეტწილად დასავლეთთან შემრიგებლური პოლიტიკის ხასიათს ატარებდა. კოზირევის მიხედვით დასავლეთთან კარგი ურთიერთობების დამყარება შესაძლებელი იყო რამდენადაც „დემოკრატიული, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება არ წარმოადგენს საფრთხეს რუსეთისათვის“ (ლუ, 2002) საგარეო პოლიტიკის კონცეფცია რუსეთის ფედერაციაში 1993 წელს იქნა შემუშავებული, მანამდე კი საგარეო პოლიტიკის შესახებ მრავალი ასპექტის შესახებ ბუნდოვანება მრავალ კითხვას წარმოშობდა რუსეთის ადგილის შესახებ მსოფლიოში. მიმდინარეობდა დებატები იმის შესახებ, თუ რომელი მიმართულება უნდა აერჩია რუსეთს - დასავლეთი თუ აღმოსავლეთი, იყო თუ არა ის კვლავ სუპერძალა, რა მიზნები გააჩნია დასავლეთს მის მიმართ. ყოველი მათგანი იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნულ ეტაპზე რუსეთის ფედერაცია იდენტობის ძიების პროცესში იყო. ულტრანაციონალისტებისა და

კომუნისტების პოზიცია პრო-დასავლური პოლიტიკის შესახებ კრიტიკული იყო და ისინი მიიჩნევდნენ, რომ რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისათვის დასავლეთი საფრთხის შემცველი იყო.

1993 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის მიხედვით რუსეთი არის დიდი ძალა და გააჩნია შემდეგი მთავარი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი :

1. დიპლომატიის გზით ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
2. სახელმწიფოს ერთიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა (სასაზღვრო სტაბილურობაზე ხაზგასმით) ;
3. <u>რუსეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები რუსების უფლებების დაცვა[3];</u>
4. შიდა დემოკრატიული რეფორმების გასაფორმებლად სასიკეთო საგარეო პირობების შექმნა;
5. რუსეთის საბაზრო ეკონომიკის განსავითარებლად საერთაშორისო დახმარების მობილიზება ;
6. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის[4] (დსთ) ქვეყნების/ქვეყნებთან ინტეგრაციის გაღრმავება და სარგებლის მომტანი ურთიერთობების დამყარება ახლო მდებარე ქვეყნებთან, მათ შორის ცენტრალურ ევროპასთან;
7. ურთიერთობების დამყარება და გაღრმავება სახელმწიფოებთან, რომლებსაც გააჩნდათ/გადაჭრეს პრობლემები, რომელთა მსგავსის წინაშეც ახლა რუსეთი დგას;
8. რუსეთის აქტიური როლის უზრუნველყოფა როგორც დიდი ძალა.

დონალდსონის მიხედვით საგარეო პოლიტიკის 1993 წლის კონცეფცია წარმოადგენდა „ ლიბერალური ვერტერნიზაციის“ იდეაზე უარის თქმას და „ესთაბლიშმენტის პრაგმატულ ნაციონალისტურ“ მოსაზრებებს გამოხატავდა. კონცეფცია ხაზს უსვამდა რუსეთის

---

[3] აღნიშნულს მრავალ ოფიციალურ დოკუმენტში შევხვდებით, ასევე რუსეთის ფედერაციის მიერ საკუთარი ქმედებების - უცხო ქვეყნებში შეჭრის გასამართებელ არგუმენტებში (ავტორის შენიშვნა)

[4] ლიტვა, ლატვია და ესტონეთი (ქვეყნები, რომლებიც ახლა ევროკავშირის და ნატოს წევრები არიან) არასდროს ყოფილან აღნიშნული ორგანიზაციის წევრები, ხოლო საქართველო 2008 წელს რუსეთის ფედერაციასთან აგვისტოს ომის შემდეგ გამოვიდა ორგანიზაციიდან (ავტორის შენიშვნა)

უფლებებსა და მოვალეობებს ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (რომლებიც მოიხსენიებოდნენ როგორც „ახლო სამეზობლო“ - ближнее зарубежье) და ასევე ადგილი დათმობილი ჰქონდა რუსეთის ურთიერთობების მნიშვნელობას აშშ-სთან, ასევე ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობას ჩინეთთან და აზიის სხვა ქვეყნებთან.

კონცეფციის თანახმად, რუსეთს ყოფილ საბჭოთა კავშირს ქვეყნებთან სურდა „ რაც შეიძლება ახლო ინტეგრაცია„ და უპირველესი პრიორიტეტი და ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხი კვლავ ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში დომინანტობას უკავშირდება: „რუსეთის ფედერაცია, მიუხედავად იმ კრიზისისა რომლის წინაშეც დგას რჩება ძლიერ სახელმწიფოდ, მისი პოტენციალისა და გავლენის გათვალისწინებით მსოფლიო მოვლენებზე და პასუხისმგებლობების აღების კუთხით. ის პასუხისმგებელია არა მხოლოდ ახალ მსოფლიო წესრიგზე, რაც სოციალისტური ბანაკის დაშლას მოჰყვა, არამედ იმ ახალი სისტემის შექმნაზეც სახელმწიფოებს შორის, რომლებიც შეადგენდნენ საბჭოთა კავშირის ნაწილს და ის (რუსეთი) არის ამ ურთიერთობების სტაბილურობის გარანტორი“ . აღსანიშნავია, რომ ელცინის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ღრმა ინტეგრაციას ეძიებდა, თუმცა ის უნდა დაფუძნებოდა „მკაცრად ნებაყოფლობითი მონაწილეობისა და ნაცვალგების“ პრინციპს. მისთვის მთავარ პრიორიტეტს სამხედრო უსაფრთხოება წარმოადგენდა, რაც საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შედეგად დადგა რეგიონში და შესაბამისად „დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად“ მას სურდა დსთ-ს საზღვრების დაცვა და ეფექტური კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, სადაც რუსეთს ექნებოდა ერთადერთი ბირთვული სახელმწიფოს სტატუსი . (დონალდსონი, 2000)

1995 წელს საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი შეცვალა პრიმაკოვმა და მან 1996 წელს გამოსვლაში თავი მიაკუთვნა “პრაგმატულ ნაციონალისტებს“ და „ევრაზიანისტებს“ და განაცხადა, რომ რუსეთი იყო და რჩება დიდ ძალად და რომ მისი სხვა ქვეყნების მიმართ პოლიტიკა უნდა იყოს მისი სტატუსის შესაბამისი. ის იზიარებდა მისი წინამორბედის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რუსეთმა უნდა განახორციელოს პოლიტიკა, რომელმაც

უნდა შექმნას „ მაქსიმალურად სასიკეთო გარემო, რათა მიღწეულ ქნას ეკონომიკური განვითარება და განგრძობითი დემოკრატიული პროცესები რუსულ საზოგადოებაში“, ხოლო ურთიერთობები ცივი ომის დროინდელ მტრებთან უნდა იქნას დარეგულირებული, რომ მივიღოთ „ორივე მხარისათვის მომგებიანი პარტნიორობა“.

პრიმაკოვის 4 ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი შემდეგნაირად ფორმულირდება:

1. ისეთი გარემო პირობების შექმნა, რაც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას გააძლიერებს.
2. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რეინტეგრაცია (მათი სუვერენიტეტის ხელყოფის გარეშე), პირველ რიგში ეკონომიკურ სფეროში.
3. რეგიონულ დონეზე საერთაშორისო სიტუაციის სტაბილიზაცია. რეგიონული, ნაციონალიზმზე დაფუძნებული, ეთნოსთა და სახელმწიფოთა შორისი კონფლიქტების დარეგულირება. (ხაზგასმა კვლავ დსთ-ს ქვეყნებზეა და მოიცავს იუგოსლავიიის კონფლიქტის დარეგულირების სურვილსაც)
4. ნაყოფიერი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, რაც ხელს შეუშლის დაძაბულობის ახალი კერების შექმნას, განსაკუთრებით მასობრივი განადგურების იარაღის (ან ჩვეულებრივი იარაღის) გავრცელებას.

რუსეთის ახლად დამოუკიდებელობა მიღებული რესპუბლიკის მეორე საგარეო საქმეთა მინისტრს ეკუთვნის აღნიშნული ფრაზაც, რომ „**რუსეთს არ ჰყავს მუდმივი მტრები, მაგრამ მას გააჩნია მუდმივი ინტერესები“ .** (დონალდსონი, 2000)

რუსეთის მიერ ამ პერიოდში გამოქვეყნებული საგარეო პოლიტიკის კონცეფცია ასახავდა მეტად რეალისტურ სურათს (კოზირევის იდეალიზმისაგან განსხვავებით) და ასევე რუსეთის მიერ გარემოს პესიმისტურ აღქმას. უსაფრთხოების სტრატეგიაში კი უსაფრთხოების სისტემის შექმნის იდეაა გაცხადებული, სადაც რუსეთს წამყვანი როლი ექნებოდა, დსთ-ს ქვეყნებში კი რუსეთი თავს ხედავდა როგორც ერთადერთი ძალა,

რომელსაც ცალმხრივი ინტერვენციის უფლება აქვს თუკი საფრთხე ექმნებათ რუს უმცირესობებს.

ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი რუსეთის მულტიპოლარულობის პარადიგმიდან კი სამი მნიშვნელოვანი ასპექტი შეიძლება გამოვყოთ :

- რუსეთის მიერ უნიპოლარული მისწაფებების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, მისთვის მიუღებელია ისეთი უსაფრთხოების სისტემები, სადაც აშშ-ს წამყვანი როლი აქვს, შესაბამისად ნატოს გაფართოება, როგორც ფენომენი აღიქმება მისთვის ეროვნული უსაფრთხოების საფრთხედ.
- მულტიპოლარულობაზე ხაზგასმა ერთგვარად ლეგიტიმურს ხდის რუსეთის უფლებებს თავის გავლენის სფეროზე და მის ფარგლებში ძალის გამოყენებას. [5]
- მულტიპოლარულობის პარადიგმა და რუსეთის „დიდი სტრატეგია“ რუსეთს აძლევს იმაზე ბევრად მეტად მნიშვნელოვან როლს მსოფლიო პოლიტიკაში, ვიდრე ამას მისი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო შესაძლებლობები აძლევდა მას. [6]

ბორის ელცინის პერიოდის რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებში შეინიშნა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიღწევა, მაგალითად 1993 წელს მოსკოვში, ჯორჯ ბუშთან ერთად გამართულ სამიტზე ხელი მოეწერა „სტარტ II” ხელშეკრულებას, რაც აშშ-სა და რუსეთის ბირთვული შეიარაღების 2/3-ით შემცირებას ითვალისწინებდა, თუმცა ამის

[5] დოქტრინის შეხედულების მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, რაც ძალთა ბალანსის პოლიტიკაა პოლუსებს შორის, სისტემისათვის „სამართლიანია“ ის, რომ თითოეულ პოლუსმა შეინარჩუნოს წესრიგი იმ არეალში, რომელსაც ის თავის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ასეთად რუსეთი დსთ-ს მიიჩნევს (ავტორის შენიშვნა)

[6] **ამ კუთხით მულტიპოლარულობის პარადიგმა საფრთხის შემცველია, რამდენადაც მაშინ, როცა შეიქმნება დაპირისპირება რუსეთის თვით-აღქმასა და მის მიმართ სხვა ქვეყნების მიერ მინიჭებულ როლს შორის - მაგალითად ნატო-ს განგრძობითი გაფართოების პროცესის შედეგად - ის შეიძლება გადაიზარდოს რუსეთის მიერ ძალის დემონსტრირებაში, რათა მოიპოვოს დიდი ძალის სტატუსი და აღიარება სხვა ქვეყნებისგან. (ჰეიკა, 2005, 31)**

პარალელურად ნატოს გაფართოება რუსეთის მიერ აღიქმებოდა, როგორც „საბჭოთა კავშირის დამარცხების რუსეთის ცხვირწინ ტრიალი - ეროვნული დამცირება“. **პრიმაკოვმა 1993 წელს , როდესაც ის საგარეო სადაზვერვო სამსახურის დირექტორი იყო განაცხადა, რომ ისტორიულად ნატო და ყოფილი საბჭოთა კავშირი ერთმანეთს მტრებად აღიქვამდნენ და ეს ასე უმტკივნეულოდ ვერ წაიშლება მეხსიერებიდან , ამასთანავე ნატოს გაფართოება ქმნის ახალ გეოპოლიტიკურ სიტუაციას, რაც რუსეთს არამომგებიან პოზიციაში აყენებს.** (დონალდსონი, 2000)

ნატოსა და რუსეთის ურთიერთობებს უფრო ახლო ლინზიდან რომ შევხედოთ, ცივი ომის დასრულებისთანავე, 1991 წელსვე რუსეთი შეუერთდა ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს და 1994 წელს ის ჩაერთო „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PFP) პროგრამაში. 1997 წელს კი ნატოსა და რუსეთს შორის ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად მაისში გაფორმდა ნატო-რუსეთის დამაფუძნებელი აქტი, რაც მათი ფორმალური ურთიერთობების ბაზისს ქმნიდა და გახდა საფუძველი ნატო-რუსეთის საბჭოს დაარსებისა (რომელიც პერიოდულად შეიკრიბებოდა და განიხილავდა ევროპაში მიმდინარე პრობლემატურ საკითხებს) რაც შეეხება ბალკანეთის ქვეყნებს , იქ რუსეთისა და ნატოს სამხედრო კონტიგენტები შეთანხმებულად მოქმედებდნენ , მაგალითად 1999 წელს დაარსებულ სამშვიდობო მისიაში „კოსოვოს ძალებში“ (KFOR), რომელშიც ნატოსთან ერთად რუსეთი ახორციელებდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუციას კოსოვოში. (ნატოს ოფიციალური ვებგვერდი) თუმცა, რუსი მკვლევარებისა და კვლევითი ორგანიზაციების (think tank) მიხედვით, აშშ-ნატოს ინტერვენცია იუგოსლავიაში მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოს ავტორიზაციის გარეშე იქ განხორციელებულმა ოპერაციამ (1999 წლის 24 მარტიდან 10 ივნისის ჩათვლით, რუსეთის სამხედროები მხოლოდ 12 ივნისს ჩაერთვნენ სამშვიდობო ძალებში კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში) გაამწვავა რუსეთის მიერ ნატოს ეჭვის თვალით აღქმა. **როდესაც მოგვიანებით პუტინს დაუსვეს კითხვა დასავლურ სამყაროსთან დაპირისპირებისა და ურთიერთობების გაუარესების შესახებ, იყო თუ არა ეს მისი ქმედებების შედეგი ყირიმსა და სირიაში, მან უპასუხა „ ცდებით, დაფიქრდით იუგოსლავიაზე, ყველაფერი იმით**

დაიწყო“ - ვკითხულობთ შნაიდერის ანალიტიკურ სტატიაში სათაურით „როგორ აღმოჩნდა რუსეთი დასავლეთის წინააღმდეგ ნატოს მიერ 1999 წელს განხორციელებული ოპერაციის შედეგად“ (შნაიდერი, 2017)

3.1 შეჯამება

რომ შევაჯამოთ, საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან რუსეთი საგარეო პოლიტიკური კურსისა ძიებასა და მისი შემუშავების პროცესში იყო. **რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ლიბერალური ინტერნაციონალიზმის ეპოქა და კოზირევის მიერ ლიბერალური შეხედულებების გამოთქმა საჯარო გამოსვლებსა და ინტერვიუებში თანდათანობით შეიცვალა გეოპოლიტიკური რეალიზმით - რუსეთის როლის ხაზგასმით ახლო სამეზობლოში .** ნაშრომში „რუსეთის დიდი სტრატეგიის ევოლუცია“ ვკითხულობთ , კოზირევის ერთ-ერთი ინტერვიუდან ფრაზას **„ან ჩვენ ვისწავლით როგორ ჩავატაროთ სამხედრო მოქმედებები მშვიდობის დასამყარებლად და მხარდასაჭერად იმ ზონებში, რომლებიც ჩვენს ტრადიციულ გეოპოლიტიკურ ინტერესებში შედის, ან ჩვენ ვრისკავთ იქ ჩვენი გავლენის დაკარგვით და ვაკუუმი შევსებული იქნება სხვების მიერ“** (ჰეიკა, 2005,23)

მოგვიანებით, **„პრიმაკოვის დოქტრინა“,** რომლის იდეებიც ამ პერიოდში გამოცემულ ორ ოფიციალურ დოკუმენტში - ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და სამხედრო დოქტრინაშია გაბნეული **რუსეთის *დიდი სტრატეგიის* მაკონსტრუირებელი ბაზისია.** ელცინის პრეზიდენტობის პერიოდის დასაწყისში საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი ცდილობდა დისტანცირება მოეხდინა მისი წინამორბედებისაგან (გორბაჩოვი და შევარდნაძე) და რუსეთს ხედავდა დემოკრატიულ საზოგადოებასა და ცივილიზებული ქვეყნების რიგში. თუმცა აღნიშნული საწყისი გატაცება „ატლანტიციზმით“ მალე დასრულდა და მის მიერ საგარეო საქმეთა საბჭოს წინაშე წარდგენილ კონცეფციაში გაცხადებულ იქნა, რომ **რუსეთის ინტერესები შესაძლოა სულაც არ ესადაგებოდეს დასავლეთის ინტერესებს, შესაბამისად რუსეთი ახლო სამეზობლოში გამოცხადდა რუსი უმცირესობების დამცველად და აღნიშნულ არეალში თანასწორუფლებიანი**

პარტნიორობის ხელშემწყობად. 1997 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და შემდგომი სამხედრო დოქტრინაც რუსეთის დიდი სტრატეგიის საბაზისო ოფიციალური დოკუმენტებია და მათში ვკითხულობთ მოსაზრებებს აშშ-ს უნიპოლარულ მისწრაფებებსა და მულტიპოლარული მსოფლიოს რეალობას შორის დაპირისპირების შესახებ.

რუსეთის მულტიპოლარულობის პარადიგმის მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ მისთვის მიუღებელია ისეთი უშიშროების სისტემები, სადაც აშშ-ს ლიდერის როლი აქვს, შესაბამსად ცხადია, რუსეთისათვის ნატო-ს დომინანტური როლი ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურაში , რომლის წევრიც თავად რუსეთი არ არის[7] და მისი (ნატოს) გაფართოების მიზნები რუსეთისათვის ცალსახად მტრულ ნაბიჯს წარმოადგენდა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხად მიიჩნეოდა. 2000 წელს ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის დასაწყისში გამოცემული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც დასახელებული 8 მთავარი საფრთხიდან ნატო-ს გაფართოება ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს.[8]

[7] ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა აქვს, თუმცა რუსეთი ვერ მოიაზრება დასავლური სტრუქტურების ნაწილად, იდეოლოგიური და ღირებულებებითი შეუთავსებლობის გამო (ავტორის შენიშვნა)
[8]ვრცლად იხილეთ ნაშრომის შემდეგი თავი.

4 რუსეთის საგარეო პოლიტიკა 2000-2014 წლებში

„50 წლის წინ ერთი წესი ვისწავლე ლენინგრადის ქუჩებში :
თუ ჩხუბის არიდება შეუძლებელია, შენ უნდა შეუტიო პირველმა.“
ვლადიმერ პუტინი (2015)

1999 წლის 31 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გადადგომის შესახებ მოულოდნელი განცხადება გააკეთა, რის შედეგადაც მისი პოსტი პრემიერ მინისტრს - ვლადიმერ პუტინს ერგო. სამი თვის შემდეგ პუტინმა ხმათა 53%-ით გაიმარჯვა და არჩეულ იქნა რუსეთის ფედერაციის რიგით მეორე პრეზიდენტად. ბორის ელცინსა და ბილ კლინტონს ძლიერი პირადი ურთიერთიერთობები და ერთად ჩატარებული 18 ორმხრივი შეხვედრა აკავშირებდათ, თუმცა პუტინმა განაცხადა, რომ არ იყო დაინტერესებული მისი წინამორბედის კვალს მიჰყოლოდა.

ამ პერიოდისთვის რუსეთში ისეთი ერთსულოვნება არსებობდა, როგორიც მისი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან არ ყოფილა. ნატო-ს მიერ კოსოვოში ინტერვენციის შესახებ უარყოფით დამოკიდებულებაზე ყველა ერთხმად თანხმდებოდა, მათ შორის ლიბერალური პარტიის წარმომადგენლებიც და აკრიტიკებდნენ დასავლეთს აგრესიისთვის, ზოგი ლიდერი ნატო-ს იდეოლოგიას „ჰიტლერიზმსაც“ კი უწოდებდა. ანტი ამერიკული განწყობები რუსეთისთვის ახალი არ ყოფილა, თუმცა სხვადასხვა იდეოლოგიური ჯგუფების და ამასთან საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდირება (65% ნატო-ს აგრესორად მიიჩნევდა კონფლიქტში) ანტი-ნატო და ანტი-ამერიკული სენტიმენტებით მაკფაულის[9] მიხედვით აღნიშვნის ღირსია ამ კრიზისში. (მაკფაული, 1999)

2000 წლიდან, პუტინის მმართველობის დაწყებიდან რუსეთმა თანმიმდევრული და პრაგმატული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას მიჰყო ხელი, მკაფიოდ

[9] მაიკლ მაკფაული ობამას ადმინისტრაციაში 5 წლის მანძილზე მუშაობდა, მათ შორის 2012-2014 წლებში ის იყო აშშ-ს ელჩი რუსეთის ფედერაციაში (ავტორის შენიშვნა)

განსაზღვრული პრიორიტეტებითა და კარგად სტრუქტურირებული ინტერესებით. კრემლმა ასევე ენერგია მიმართა იმისაკენ, რომ შეემცირებინა არასაჭირო დანახარჯები და ნაცვლად სუპერძალის სტატუსის აღდგენაზე ფიქრისა, კონცენტრირება მოეხდინა ახლო სამეზობლოზე (ე.წ ближнее зарубежье), რამდენადაც **რუსეთისათვის რეგიონული დომინანტობა წარმოადგენდა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს, დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობები გახდა რუსეთის მულტივექტორული საგარეო პოლიტიკის უმაღლესი პრიორიტეტი.** პრიმაკოვის აგრესიული მულტიპოლარულობის ნაცვლად, აღნიშნული პოლიტიკის კურსი აკმაყოფილებდა რუსეთის ინტერესებს განევითარებინა არაკონფლიქტური ურთიერთობები და ახლო ინტერაქცია ჰქონოდა დასავლეთთან და ზოგიერთი აზიის სახელმწიფოსთან, დსთ-ს სივრცეში დომინანტური როლის შესრულების პარალელურად. **კრემლის გრძელვადიან მიზნად რჩება „ახლო სამეზობლოს“ ფარგლებს გარეთ ძლიერი პოზიციების მოპოვება, რისი წინაპირობაც აღნიშნული მულტივექტორული პოლიტიკა და დსთ-ს სივრცეზე ფოკუსირებაა.** (ნაროუკა, 2016)

ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტად არჩევას აშშ-შიც ხელისუფლების ცვლილება მოჰყვა , 2001 წლის იანვარში ჯორჯ ბუში გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მასაც მისი რუსი კოლეგის მსგავსად სურდა მისი წინამორბედისაგან, წინა ადმინისტრაციის მიდგომებისგან დისტანცირება მოეხდინა და ეს ეხებოდა რუსეთთან საგარეო ურთიერთობებსაც. პრეზიდენტებმა საბოლოოდ ძლიერი პირადი ურთიერთობები დაამყარეს, რაც კიდევ უფრო გამყარდა 2001 წლის ტერაქტის- 9/11-ის შემდეგ - გაძლიერებული თანამშრომლობით და ანტი-ტერორისტული პოლიტიკით. რუსეთმა აშშ-ს ცენტრალურ აზიაში სამხედრო ძალის განთავსების უფლებაც კი დართო ოპერაცია „ჩამოუშლელი თავისუფლებისთვის“ ავღანეთში. ამის შემდეგ აშშ რუსეთს უფრო მეტად თანამშრომლობის მოსურნედ განიხილავდა. ამას გარდა აშშ-სა და რუსეთს საერთო ინტერესები გააჩნდათ მრავალ სფეროში, როგორიცაა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა თუ ანტი-ტერორისტული კამპანია.

თუმცა 2003 წელს , აშშ-ს მიერ ერაყში ომის დაწყებამ არსებული ძლიერი პერსონალური პერსონალური კავშირები და ურთიერთობები საგრძნობლად შეარყია. აშშ-მ ერთპიროვნულად გადაწყვიტა ემოქმედა,მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში გატანილი რეზოლუცია სამხედრო ქმედებების დაწყებაზე ერაყში არ იქნა მხარდაჭერილი. ერაყში შესვლისთანავე (2003 წლის მარტში) პუტინმა მკაცრად გააკრიტიკა აშშ-ს ქმედება და განაცხადა „ვერაფერი გაამართლებს სამხედრო ქმედებას, ვერც ერაყის დადანაშაულება იმაში, რომ ის საერთაშორისო ტერორიზმის მხარდამჭერია (ჩვენ არასდროს გვქონია და არ გვაქვს ამ სახის ინფორმაცია) არც სურვილი გაგვაჩნია, რომ შევცვალოთ პოლიტიკური რეჟიმი აღნიშნულ ქვეყანაში, რაც პირდაპირ მოდის დაპირისპირებაში საერთაშორისო სამართალთან და ეს (რეჟიმის შეცვლა) გადაწყვეტილ უნდა იქნას მხოლოდ თავად სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ“ (კრემლი, 2003) , 2004 წელს კი ნატოს გაფართოებამ იქონია გავლენა რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებზე, როდესაც ნატომ 7 ქვეყანა მიიღო ორგანიზაციის წევრად , მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები - ესტონეთი, ლიტვა და ლატვია. ამავე წელს ბესლანის ტერაქტი მოხდა, რომელსაც აშშ-ს კრიტიკა მოჰყვა რუსეთის მიერ იქ განხორციელებული ქმედებებისა და ადამიანთა უფლებების შელახვის გამო.[10] ურთიერთობების გაუარესებამ გეზი აიღო და მას ნატოს გაფართოების დღის წესრიგი და ფერადი რევოლუციები კიდევ მეტად უწყობდა ხელს. (ნაროუკა,2016)

რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებში გარდამტეხ მოვლენად 2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია მიიჩნევა, რომელზეც რუსეთმა კარგად განვითარებული და წლების მანძილზე ჩამოყალიბებული რწმენები და მის მიერ აღქმული საფრთხეები გააჟღერა . ვლადიმერ პუტინის საჯარო გამოსვლაში ვკითხულობთ „კონფერენციის ფორმატი მაძლევს საშუალებას ვისაუბრო პირდაპირ და დაუფარავად საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების შესახებ...რა თქმა უნდა ჩვენ ვაცნობიერებთ,

[10]ევროპის სასამართლოს მიხედვით, რუსეთმა დაარღვია ევროპის ადამიანთა უფლებების კანონი, როდესაც მძევლებით სავსე სკოლა შტურმით აიღო, რასაც 330 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ხოლო ასეულობით დაშავდა. იხილეთ ვრცლად: https://www.nytimes.com/2017/04/13/world/europe/beslan-school-siege-european-court-ruling.html

რომ დემოკრატიას სჭირდება მხარდაჭერა და დახმარება, თუმცა თუკი ჩვენ დაუსრულებელი რევოლუციების გეზს ავიღებთ/გავაგრძელებთ, ეს არ იქნება კარგი არც ქვეყნებისთვის და არც მათი ხალხისთვის. მთელი პოსტ-საბჭოთა სივრცე გაეხვევა დაუსრულებელ კონფლიქტებში და მივიღებთ ტრაგიკულ შედეგებს". (გაილსი, 2017, 4) მიუნხენის კონფერენციაზე ცხადად გამოჩნდა, თუ რამდენად დიდ საფრთხედ აღიქვამდა რუსეთის ფედერაცია მის ახლო სამეზობლოში (პოსტ-საბჭოთა სივრცეში) მიმდინარე მოვლენებს - ფერად რევოლუციებს. [11]

მიუნხენში გამართული უსაფრთხოების პოლიტიკის რიგით 43-ე კონფერენციიდან მალევე, 2008 წელს ბუქარესტში გაიმართა ნატო-ს სამიტი[12], რომელზეც ნატო-ს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ უკრაინა და საქართველო აუცილებლად გახდებოდნენ ალიანსის წევრები[13]. პუტინის მიერ ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოება აღქმულ იქნა ეროვნული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან საფრთხედ, რასაც შედეგად ბუშის ადმინისტრაციისა და დასავლეთის მიმართ უნდობლობის გაძლიერება და აგვისტოში საქართველოსთან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვა მოჰყვა.

რუსეთის ფედერაციას საქართველოსთან ომით და მოგვიანებით უკრაინისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტით სურდა ეჩვენებინა, რომ ბუშის ადმინისტრაციასთან (აშშ-სთან ზოგადად) ურთიერთობების მოწესრიგებას რუსეთის ეროვნულ ინტერესზე წინ არ აყენებდა და რომ ალიანსის მის საზღვრებთან, მისი

[11] ტერმინი „ფერადი რევოლუცია" რუსული გაგებით ფართო მნიშვნელობით იხმარება, კერძოდ ის მოიცავს მოვლენებს, რომელსაც მთავრობის რადიკალური ცვლილებები მოჰყვა და არა მხოლოდ მის ახლო სამეზობლოში : საქართველოში 2003 წელს, უკრაინაში 2004 წელს, ყირგიზეთში 2005 წელს, უზბეკეთში (მცდელობები) 2005 წელს, ბელარუსში 2006 წელს, სომხეთში 2008 წელს. ზოგიერთ რუსული წყაროს ჩამონათვალში ასევე ვხვდებით სერბეთის 2000 წლის, ლიბანის 2005 წელს და 2009 წლის მოლდოვის მოვლენებს „ფერადი რევოლუციების" რიგებში. (გაილსი, 2017, 12)

[12] ვრცლად იხილეთ ბუქარესტის სამიტის დეკლარაცია , გამოცემული 2008 წლის 3 აპრილს (ნატო-ს ოფიციალური ვებ-გვერდი, 2008) https://www.nato.int/cps/ua/natohq/official_texts_8443.htm

[13] საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციის თანახმად აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიწვევდა რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას, თუმცა ინტეგრაციის შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტ ბუშის მიერ იქნა ძლიერად მხარდაჭერილი/წახალისებული. (ნაროუკა, 2016, 10)

„გავლენის სფეროების ხარჯზე“ გაფართოება პირდაპირ აღიქმებოდა მისი ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ განხორციელებულ მოქმედებად.

2008 წელს ბარაკ ობამამაც საპრეზიდენტო კამპანიის დროს მკაცრად დაგმო რუსეთის ქმედებები საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა ასევე განაცხადა რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მოერიდებოდა კონფრონტაციულ რიტორიკას რუსეთის მიმართ. ამგვარად, 2009 წლიდან ობამას ადმინისტრაციამ დაიწყო რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება. ჰილარი კლინტონისა და ლავროვის ჟენევაში შეხვედრა ურთიერთობების „გადატვირთვის“ დასაწყისი იყო. [14] ხელმოწერილ იქნა ახალი START ხელშეკრულება, ირანის წინააღმდეგ სანქციებს ორივე სახელმწიფომ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი უშიშროების საბჭოში, აშშ-ს ჯარების მარშრუტი ავღანეთისაკენ ნაწილობრივ რუსეთზე გავიდა, რუსეთის მსოფლიოს ვაჭრობის ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანებაზე აშშ რუსეთთან ერთად მოქმედებდა აქტიურად და შექმნეს ორმხრივი საპრეზიდენტო კომისია კონტრტერორიზმის, ბირთვული იარაღისა და სხვა საკითხებს გარშემო თანამშრომლობისათვის. (აქვე აღსანიშნავია, რომ 2010 წელს აშშ-ს შესახებ რუსი მოსახლეობის 60%-ს პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდა). (მაკფაული და სესტანოვიჩი, 2014)

ურთიერთობების „გადატვირთვა“ (reset) წარმატებით გრძელდებოდა ლიბიის მოვლენებამდე, 2011 წელს, როდესაც ჩინეთთან ერთად რუსეთმა გააკრიტიკა ნატო-ს მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია. იმ დროს პრემიერ მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ის მიიჩნია არალეგიტიმურად, რამდენადაც სხვა სახელწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. პუტინმა აშშ ასევე დაადანაშაულა საერთაშორისო ასპარეზზე არსებული პრობლემების ძალისმიერი

[14] შეხვედრაზე კლინტონმა სიმბოლურად წითელი ღილაკი მიიტანა, რომელზეც ეწერა „Reset” - გადატვირთვა, როგორც სიმბოლო მათი ორმხრივი ურთიერთობების გადატვირთვისა.

მოგვარების სურვილსა და ჩვევაში.)[15] პუტინი ლიბიაში დასავლეთის ინტერვენციის შემდეგ კრიტიკული განცხადებებით გამოირჩეოდა და მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა მედვედევმა გაეროს უშიშროების საბჭოში გატანილ რეზოლუციას ლიბიის შესახებ ვეტო არ დაადო, პუტინმა აღნიშნულ რეზოლუციას „შუა საუკუნეების ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მოწოდება“ უწოდა, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში რეზოლუციას უშიშროების საბჭოში ერთ-ერთი მუდმივი წევრისაგან - რუსეთის ფედერაციისგან ვეტო ექნებოდა.[16] (ბრაიანსკი, 2011)

გარდა პოსტ-საბჭოთა სივრცეში მომხდარი გარდაქმნებისა და მის სამეზობლოში მყოფი ქვეყნების ევროკავშირთან და ნატო-სთან დაახლოებისა რუსეთი „არაბულ გაზაფხულს“, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს არანაკლებ მნიშვნელოვნად თვლიდა უსაფრთხოების თვალსაზრისით. ერთ-ერთი რუსი გენერლის მიხედვით ხომ ახლო აღმოსავლეთი „სულ აქვე ახლოსაა“ (совсем рядом).

ამგვარად, ახალი ათასწლეულის დაწყებიდან განვითარებული მოვლენები, როგორიცაა აშშ-ს ერაყში შესვლა, ფერადი რევოლუციები და არაბული გაზაფხული, დასავლეთს ლიბიაში ინტერვენცია და ამავე - 2011 წელს არჩევნებთან დაკავშირებული საპროტესტო გამოსვლები რუსეთში - ყველა ერთი ტრაექტორიით მიდიოდა. აღნიშნული მოვლენები ზეგავლენას ახდენდა რუსეთის უსაფრთხოებაზე და მისი საფრთხის აღქმებზე - რომ „გარედან“ დაფინანსებულ და წახალისებულ მოძრაობებს შეუძლიათ ისევე მოახდინონ ცვლილებები რუსეთში, როგორც ამას მის ახლო სამეზობლოში თუ ახლო აღმოსავლეთში - „არაბული გაზაფხულის“ სახით აკეთებდა დასავლეთი . „სადებატოა კვლავ საკითხი, დგას თუ არა მართლაც დასავლეთის დღის წესრიგში რუსეთის განადგურება, როგორც ამას თავად რუსეთი აღიქვამს/ფიქრობს, თუმცა დასავლეთისაგან მომავალი საფრთხეების

---

[15] ვრცლად რუსეთისა და „არაბული გაზაფხულის“ შესახებ იხილეთ ნაშრომი: Stephen,B and Saivetz. C.R , (2012), *Playing to Lose? Russia and the" Arab Spring". Problems of Post-Communism* გვ.6 ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს 1970-ე რეზოლუცია ლიბიის შესახებ, 2011 წლის 26 თებერვალი, ბმულზე: undocs.org/S/RES/1970

[16] https://www.reuters.com/article/us-russia-putin-libya/putin-libya-coalition-has-no-right-to-kill-gaddafi-idUSTRE73P4L920110426

შესახებ იმდენად ხშირად და სწორხაზოვნად კეთდება განცხადებები რუსეთის მთავრობის მიერ, რომ აღნიშნული აღქმ(ებ)ი რეალობის ტოლფასია“. (გაილსი, 2017, 9)

4.1ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი

(გამოცემული 2000-2014 წლებში)

პუტინის პირველი ვადით პრეზიდენტობის (2000-2004) წლებში რუსეთის ფედერაციამ პირველივე წელს ახალი საგარეო პოლიტიკის კონცეფცია შეიმუშავა, რომელშიც კვლავ შეინიშნება უსაფრთხოების დეფიციტის აღქმა (რაც ტრამვული ისტორიული გამოცდილებითა და ჩრდილო კავკასიის სეცესიონისტური მოძრაობებით შეიძლება აიხსნას). **2000 წელს ვლადიმერ პუტინის მიერ გამოცემული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში დასახელებული 8 მთავარი საფრთხიდან ნატოს გაფართოება ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს.**

კონცეფციაში რუსეთის ფედერაციის წინაშე არსებული საფრთხეების ჩამონათვალში ვხვდებით შემდეგ ორს: „სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებისა და ალიანსების გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოება“ და „დსთ-ს ქვეყნებთან ინტეგრაციის პროცესის შესუსტება“. „სამხედრო სფეროში საფრთხის დონე და მასშტაბი ზრდადია ... ნატო-ს მიერ სამხედრო ძალის გამოყენების პრაქტიკა მისი პასუხისმგებლობის ზონის ფარგლებს გარეთ და გაეროს უშიშრეოების საბჭოს ავტორიზაციის გარეშე საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს სტრატეგიული სიტუაციის დესტაბილიზაციას“. (ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2000)

კონცეფციაში ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია რუსეთის მიერ „მყარი პოზიციის მოპოვებაზე“ ხაზგასმა, რაც 2008 წლის კონცეფციაში უკვე „გაძლიერებული პოზიციის მოპოვებით“ არის შეცვლილი. აღნიშნული ცვლილება შეიძლება აიხსნას იმით, რომ პუტინის პრეზიდენტობის პირველ პერიოდში (2000-2004) რუსეთი იყენებდა ძირითადად რბილი ძალის ინსტრუმენტებს მეზობელი სახელმწიფოების მიმართ და დასავლეთთან

თანამშრომლობის დამყარებას ცდილობდა იმ საკითხების გარშემო, რაც საერთო ინტერესს წარმოადგენდა, მაშინ როცა მეორე ვადით პრეზიდენტობის პერიოდში (2004-2008 წლებში) მისი ურთიერთობები „ახლო სამეზობლოსთან“ დაფუძნებული იყო ძირითადად ხისტი ძალის ინსტრუმენტებზე და აშშ-სა და მის მოკავშირეებთან ურთიერთობებზე იყო ხაზგასმა გაკეთებული. რომ შევაჯამოთ ორივე პერიოდი ერთად - 2000-2008 წლების საგარეო პოლიტიკა ეხებოდა რუსეთის მთავარ ძალას და მის მსოფლიოს ერთ-ერთ პოლუსად გადაქცევის სურვილს. [17] (გონსალესი, 2013)

ჰაასის მიხედვით ვლადიმერ პუტინისა და დიმიტრი მედვედევის მმართველობის პერიოდში რუსეთმა რეგიონული ძალიდან გადაინაცვლა და გახდა თვით-გამოცხადებული „აღორძინებადი“ სუპერძალა. მოსკოვის საერთაშორისო არენაზე დაბრუნება და ასპარეზობა შეიძლება სამართლიანად დავუკავშიროთ უზარმაზარი ნავთობისა და გაზის შემოსავლებს - მასზე მსოფლიო ფასების სწრაფ ზრდას. (მომავალ დიდ ძალებთან) ჩინეთთან და ინდოეთთან ახლო ურთიერთობების ქონამ გარკვეულად ხელი შეუწყო მის გავლენიან სტატუსს მსოფლიოში. ამას გარდა, მოსკოვმა განავითარა თვითდამკვიდრების პოლიტიკა დასავლეთისა და მისი მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, რის კულმინაციაც საქართველოსთან 2008 წლის ომი იყო.[18]

კრემლმა პუტინის პრეზიდენტობის პერიოდიდან მკვეთრად ანტი-დასავლური გეზი აიღო, ამის მაგალითია ნატო-ს გაფართოებისა და პოლიტიკის ხშირი კრიტიკა. პრეზიდენტმა მედვედევმაც მისი წინამორბედის პოლიტიკა გააგრძელა და ახალი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა შესთავაზა დასავლეთს, რაც რუსეთის ტრადიციული პოლიტიკისთვის დამახასიათებელია - დასავლური უსაფთხოების ორგანიზაციების გაუქმების სურვილი. მოგვიანებით მან გამოსცა (განაახლა) მთავარი უსაფრთხოების დოკუმენტები და გამოსცა ახალი სტრატეგია რომელიც არქტიკის რეგიონს ეძღვნებოდა, ასევე მიიღო ახალი სამხედრო სფეროს განახლების გეგმა. ამრიგად,

[17] აღნიშნული სტატუსი რეალურად ელცინის პერიოდში დაკარგულ იქნა, ხოლო 2013 წლის კონცეფციაში კი ფოკუსი კეთდება უკვე მიღწეული პროგრესის კონსოლიდაციაზ (ავტორის შენიშვნა)

[18] უკრაინის კონფლიქტი 2014 წელს, მარსელ დე ჰაასის აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მოხდა.

პრეზიდენტმა მედვედევმა საკუთარი ქვეყნის მტკიცე საგარეო პოლიტიკური პოზიციის განგრძობითობა დაამტკიცა და ჩაერთო საქართველოსთან შეიარაღებულ კონფლიქტში, მოგვიანებით კი ბუნებრივი აირის კონფლიქტში უკრაინასთან (როგორც პუტინმა გააკეთა 2005-2006 წლებში[19]) (ჰაასი, 2010)

აქვე აღსანიშნავია, რომ მარსელ დე ჰაასი უსაფრთხოების დოკუმენტებს პროპაგანდისტულს უწოდებს, თუმცა ცხადია ისინი გამოდგება იმის შესაფასებლად თუ როგორ აღიქვამს და განსაზღვრავს მოსკოვი საკუთარ უსაფრთხოების პოლიტიკას დღეს თუ მომავალში. დოკუმენტების გაანალიზებითა და მათი ერთმანეთთან შედარებით საშუალება გვაქვს დავინახოთ რუსეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განგრძობითობა.

2003 წელს მიღებულ იქნა „თავდაცვის თეთრი დოკუმენტი“ (Defence White Paper – DWP) , სადაც ხაზგასმული იყო კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა და მათი მზადყოფნა მსოფლიო კონფლიქტებში ჩართვისათვის. აღნიშნული კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმულ პუტინის მიღებულ 2020 წლის სტრატეგიის საჯარო გამოსვლაში 2008 წელს და გახდა ბაზისი იმ რეფორმებისა , რაც მედვედევმა დააანონსა საქართველოსთან კონფლიქტის დასრულებისთანავე (ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ახალი ვარიანტი, გამოცემული 2009 წლის მაისში).

მეორე განგრძობითი ასპექტი ოფიციალურ დოკუმენტებში არის დასავლეთისაგან მომავალი შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირება - ძირითადად ნატოსა და აშშ-საგან. ხოლო მესამე დამახასიათებელი ასპექტი ვლადიმერ პუტინის 2007 წლის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვაში იკითხება, რაც კოსოვოსა და საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს ეხება - კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და საქართველოსთან კონფლიქტმა სერიოზული გაუარესება გამოიწვია რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებში. ასევე, პუტინის მეორე ვადით პრეზიდენტობის დროს მიღებულ

[19] რუსეთსა და უკრაინას შორის ბუნებრივი აირის შესახებ დავაზე,რომელიც რამდენიმეჯერ გამწვავდა, იხილეთ შემდგომი სტატია: http://www.bbc.com/news/world-europe-29521564

დოკუმენტებში, ისევე როგორც მედვედევის მიერ 2008 წელს გამოცემულ „საგარეო პოლიტიკის კონცეფციასა“ და „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში“ ხაზგასმულია, რომ *რუსეთი ახლა მოქმედებს ძლიერების პოზიციიდან, რაც მას საშუალებას აძლევს რომ არა მხოლოდ ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო არენაზე, არამედ მოახდინოს დღის წესრიგის ფორმირება/ზეგავლენაც.* **მეხუთე განგრძობითი დამახასიათებელი ასპექტი რუსეთის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკისთვის, რაც ყველა უსაფრთხოების დოკუმენტსა თუ პუტინისა და მედვედევის საჯარო გამოსვლებში ჩანს არის რუსეთის მოქალაქეების დაცვა , ყველგან, (რუსეთის ფარგლებს გარეთ), რამაც პრაქტიკაში განხორციელება ჰპოვა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის თუ უკრაინის კრიზისის (ყირიმის ანექსიის) დროს.** ენერგეტიკა (ენერგო რესურსები და ენერგო უსაფრთხოება) პუტინის მეორე ვადის პრეზიდენტობის დოკუმენტებსა და მედვედევის მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებში მნიშვნელოვანი საკითხია , ამას ადასტურებს ბუნებრივ აირთან დაკავშირებული კონფლიქტები (2005-2006 და 2008-2009) წლებში - „ენერგო იარაღი“ მოსკოვის უმთავრესი პოლიტიკის ინსტრუმენტია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილებისა კრემლი განგრძობითად ინარჩუნებდა მტკიცე ენერგიულ პოზიციას დემონსტრირება მოეხდინე საკუთარი სამხედრო ძალისა „მტრების“ წინააღმდეგ, მაგალითად, წითელ მოედანზე ტრადიციული სამხედრო პარადებით, ან სამხედრო თანამშრომლობის დაწყებით დასავლეთისადმი „მტრულად განწყობილ“ ქვეყნებთან - მის ტრადიციულ მეგობრებთან , როგორებიცაა სირია, კუბა, ვენესუელა, ლიბია. 2008 წელს, როდესაც საერთაშორისო ფინანსური კრიზისი მწარედ შეეხო კრემლს, მან მხოლოდ დროებით შეცვალა აგრესიული დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ, შედარებით ზომიერით, საერთო ჯამში კი , როგორც პუტინის ისე მედვედევის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთი აგრძელებდა მისი საგარეო პოლიტიკის უწყვეტ ხაზს, რაც მოსკოვის მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებშიც თვალნათლივ იკითხება. (ჰაასი, 2010)

2000 წლიდან მოყოლებული - ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ 2014 წლამდე - ყირიმის ანექსიამდე რუსეთის ფედერაციამ სამი საგარეო პოლიტიკის კონცეფცია შეიმუშავა და გამოსცა : 2000 წელს, 2008 და 2013 წელს. სამივე დოკუმენტში ხუთი მთავარი თავია: **ზოგადი პრინციპები; თანამედროვე მსოფლიო და რუსეთის საგარეო პოლიტიკა; რუსეთის ფედერაციის პრიორიტეტები გლობალური პრობლემების გადასაჭრელად; რეგიონული პრიორიტეტები და რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება** .რაც სამივე დოკუმენტს აერთიანებს არის „მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის“ პრინციპი (რამაც, როგორც ზემოთ მოყვანილ ჰაასის ციტირებაშია პრაქტიკაში განხორციელება ჰპოვა რუსეთ-საქართველოს ომისა (და მოგვიანებით უკრაინის მოვლენების დროს)

ასევე ყურადღების ღირსია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია 2020 (2009), რომელმაც 1997 წლის დოკუმენტი ჩაანაცვლა. დოკუმენტი, რომელიც იწყება ფრაზით „ რუსეთმა დასძლია მრავალი შედეგი მეოცე საუკუნის ბოლოს განვითარებული პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური სისტემური კრიზისისა“...მიზნად ისახავს განსაზღვროს სტრატეგიული პრიორიტეტები, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს მდგრადი განვითარება და ეროვნული უსაფრთხოება გრძელვადიან პერსპექტივაში. დოკუმენტი საერთაშორისო ურთიერთობებს მულტიპოლარულ სისტემად განიხილავს და რუსეთის ადგილს დომინანტური როლის თამაშში ხედავს.

დოკუმენტში ეკონომიკური განვითარებისთვის უმაღლესი პრიორიტეტის მინიჭება აჩვენებს, რომ როგორც მედვედევი, ისე პუტინი (დოკუმენტზე მუშაობა პუტინის მმართველობის დროს დაიწყო) „ისინი რეალისტურად აღიქვამენ რუსეთის სტატუს ქვო-ს და აცნობიერებენ, რომ მხოლოდ ეკონომიკური ზრდით „ზურგგამაგრებულს“ შეუძლია რუსეთმა მიაღწიოს სასურველ - დიდი ძალის სტატუსს. მას საერთაშორისო პრესტიჟისა და უსაფრთხოების მოსაპოვებლად სჭირდება ეროვნული ეკონომიკის ზრდა და ინოვაციების მეცნიერებსა და ტექნოლოგიების განვითარება.“ (რუსული ანალიტიკური დაიჯესტი, 2009,

10) სწორედ ამიტომ , მედვედევმა „2020 წლის სტრატეგიის“ პრეზენტაციისას მისი ფორმულა შემდეგ ფრაზაში შეაჯამა „ უსაფრთხოება განვითარების გზით“

ამგვარად, რომ შევაჯამოთ რუსეთის ფედერაციის მიერ გამოცემულ დოკუმენტებში თვალნათლივ ჩანს განგრძობითი მისწრაფება და მზაობა სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება იქნას დაცული, რაც შესაბამისობაშია რეალიზმის გაგებასთან სახელმწიფოს მთავარი ინტერესების შესახებ. (გრიეკო, 1997) რუსეთი გამუდმებით ესწრაფვის „ეროვნული ეკონომიკის განვითარებას“ (სპკ, 2000) „მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში ინტეგრაციას“, რაც ჯერ არ იქნა მიღწეული. (სპკ, 2008) აღსანიშნავია, რომ რუსეთს სურს გახდეს ეკონომიკურად ძლიერი vis-à-vis დასავლეთის ქვეყნები (რაც რეალიზმისთვის დამახასიათებელი თვისებაა) და ის ესწრაფვის დიდი ძალის თანასწორ სტატუსს, რაც რამდენიმე დოკუმენტშია ნახსენები, ოპტიმისტურად. მედვედევის 2009 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ვკითხულობთ „რუსეთმა დაძლია სისტემური პრობლემები... XX-ე საუკუნის ბოლოს არსებული კრიზისი... ყველა წინაპირობა იქნა შექმნილი ... იმისათვის რომ რუსეთის ფედერაცია გარდაიქმნას ერთ-ერთ წამყვან დიდ ძალად „ .

4.2 _რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები - რეალპოლიტიკა?!

რუსეთის ფედერაციის ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის შედეგად, დაწყებული „უსაფრთხოების შესახებ კანონით“ (1992), „სამხედრო დოქტრინის ძირითადი დებულებები“ (1993) , „საგარეო პოლიტიკის კონცეფცია“ (1993,2000,2008,2013), „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“ (1997,2000,2009) და „სამხედრო დოქტრინა“ (2000,2010) - ყველა მათგანში რეალიზმის ძირითადი პრინციპები მეორდება და განგრძობითობაშია, მიუხედავად რუსეთში განხორციელებული შიდა ცვლილებებისა (პრეზიდენტის, მინისტრების ცვლილება) თუ საგარეო ასპარეზზე ევროკავშირში, ნატოსა და აშშ-ში მომხდარი ცვლილებებისა.

2002 წელს გამოცემულ ბობო ლუ-ს წიგნში (2002, 103-118), პოსტ-საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ, რუსეთის პოლიტიკა მყარადაა ფესვგადგმული რეალიზმში და ეს გამოიხატება შემდეგ სამ ტენდენციაში:

1. **საგარეო ურთიერთობების შესახებ ნულოვანი ჯამის (zero-sum)შეხედულება** - თუ ერთი მხარე იგებს, ეს მეორე მხარის წაგებას ნიშნავს. ეს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის, სადაც ორივე მხარე მოგებული დარჩებოდა არ ტოვებს ადგილს.
2. **ძალთა ბალანსის ძიება** - მოსაზრება, რომ დისბალანსი იწვევს არასტაბილურობას. არსებობს რისკი რომ ძლიერი ქვეყანა გამოიყენებს თავის პოზიციას და კიდევ უფრო გაზრდის თავის ძალას (რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამუდმებით ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს „უნიპოლარულ“ ჰიპერძალას.
3. **(გეოგრაფიული) გავლენის სფეროების შესახებ რწმენა** - ვლადიმერ პუტინის მმართველობის პერიოდში „პრივილეგირებული გავლენის სფეროების“ ცნება რუსეთს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა.

თემთა პალატის ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ ნაშრომში ვკითხულობთ: რუსეთის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია ტრადიციულ , რეალისტურ მოსაზრებებზე. გარდა საგარეო ურთიერთობების შესახებ ნულოვანი ჯამის თამაშის შეხედულებისა, არსებობს რუსეთის განსხვავებულობის აღქმა და მოსაზრება, რომ ის არის გლობალური ძალა , რომელიც დასავლეთს უწევს მეტოქეობას.

საგარეო პოლიტიკა რუსეთში საშინაო პოლიტიკის იარაღიც გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შიდა საფრთხეები გაიზარდა მთავრობის მიმართ (ეკონომიკური დაკნინების შედეგად). ეკონომიკური ინტერესებიც (კორუფცია) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

2009 წელს დაწყებული „ურთიერთობების გადატვირთვის“ წარუმატებელი მცდელობისა და ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტად დაბრუნების შემდგომ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში დაღმასვლა შეინიშნება.

ამას გარდა, რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასა და საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში გაზრდილია „პოლიცენტრული“ საერთაშორისო სისტემის არსებობის,BRICS

ქვეყნების და ევრაზიული კავშირის მნიშვნელობა. ასევე „ხაზგასმულია გლობალური მეტოქეობის მნიშვნელობა (შესაძლოა „ცივილიზაციურ“ დონეზეც) და აღნიშნულია რუსეთის რ ბ ი ლ ი ძ ა ლ ი ს განვითარება და როლი“ (რაც წინა ოფიციალურ დოკუმენტებში ნახსენები არ იყო) (სმიტი, 2016, 8)

როგორც ყველა სახელმწიფოს, რუსეთსაც სურს პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის თავიდან არიდება (სადაც შესაძლებელია), რადგან დანახარჯები მაღალია, თუმცა მან 2008 წელს საქართველოს მიმართ , 2014 წელს კი უკრაინის მიმართ გამოიყენა სამხედრო ძალა[20], რაც იმის დადასტურებაა, რომ რუსეთი არ შეეგუება დასავლეთის მიერ შედარებითი მოგების მოპოვებას რეგიონში და საკუთარი გავლენის სფეროების ორბიტიდან გაშვებას, და თუმცა ომის დანახარჯების ციფრებში გამოსახვა მარტივია მოგება ისეთ ასპექტებს მოიცავს ხშირად, რაც ამდენად მარტივი დასათვლელი არაა, თუმცა ერთი რამ ცხადია - რუსეთმა უკრაინასთან ომით საერთაშორისო იმიჯი გაიმყარა.

როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო სისტემას რეალისტები მიიჩნევენ, რომ ძალთა გადანაწილების შეცვლა (ძალთა ბალანსის დარღვევა) არის სახიფათო, შესაბამისად რუსეთის რაციონალური და რეალპოლიტიკით ნაკარნახევი ქმედებები უკრაინაში იყო მცდელობა გაეფართოვებინა საკუთარი საზღვრები (დე ფაქტო), დასავლეთის მცდელობების საპირისპიროდ, რომ უკრაინის გაწევრიანებით ნატო-სა და ევროკავშირში გააფართოვოს საკუთარი „საზღვრები“.

[20] სულ უფრო და უფრო მეტი იწერება სამეცნიერო წრეებში რუსეთის „ჰიბრიდული“ ტაქტიკების შესახებ, რაც მოიცავს სამხედრო ძალის გარდა სხვა მრავალ ხერხებს სასურველი მიზნების მისაღწევად, მაგალითად საბჭოთა ნაცად პროპაგანდას, სპეციალურ ძალებს, საბოტაჟს, ჯაშუშებს და ა.შ.

4.3 შეჯამება

ამგვარად, ნატო-რუსეთის ურთიერთობები იმ სფეროთაგანია, რაც ცივი ომის მემკვიდრეობათა შორის ყველაზე რთული აღმოჩნდა წასაშლელად. რუსეთის ნატოს მიმართ დაპირისპირება ეფუძნება ორ არგუმენტს : ერთის მხრივ ნატო მიიჩნევა საშიშ, ძლიერ და არაკეთილგანწყობილ სამხედრო ბლოკად, რომელიც საფრთხეს უქმნის რუსეთის ინტერესებს, მეორეს მხრივ კი ის ცივი ომის რელიქვიად მიიჩნევა და თანამედროვე შეცვლილ გარემოში უსაფრთხოების გამოწვევებზე რეაგირებისთვის უუნაროდ.

მრავალ კონტექსტში რუსეთის საგარეო პოლიტიკის დისკურსში ნატო მოიხსენიება როგორც აქტორი, რომელიც ძირს უთხრის რუსეთის უსაფრთხოებას და იწვევს უნდობლობას, თუმცა როგორც თავად როგოზინმა განაცხადა, თავად რუსეთის პოლიტიკურ ესთაბლიშმენტშიც არ სჯერათ ნატო-სთან შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლებლობის : „ორივე ნატოც და მოსკოვიც აცნობიერებენ, რომ რეალური საფრთხე შეიძლება მხოლოდ სამხრეთიდან დაემუქროთ „ (ციგარი, 2009)

რამდენიმე ძირეული ოფიციალური დოკუმენტის გაანალიზების შედეგად კი დავასკვენით, რომ რუსეთის მისწრაფებები განგრძობითობაშია და როგორც პუტინის ისე მედვედევის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთი აგრძელებდა მისი საგარეო პოლიტიკის უწყვეტ ხაზს, ის დიდი ძალის სტატუსის მოპოვებას და მსოფლიოს ერთ-ერთ პოლუსად გადაქცევას ესწრაფვის. ამისათვის რუსეთი ეკონომიკური და სამხედრო ფაქტორის მნიშვნელობას აცნობიერებს. დსთ-ს ქვეყნების მნიშვნელობაც, ნატო-სადმი ანტაგონისტური დამოკიდებულების პარალელურად განგრძობითობაშია და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, არა მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებსა და საჯარო გამოსვლებში არამედ პრაქტიკაში განხორციელებაში.

5 უკრაინის მოვლენები და მისი ისტორიული წინაპირობები

КрымНаш - რუსული ნეოლოგიზმი
2014 წლის გაზაფხულის მოვლენების შემდეგ

ყირიმის რესპუბლიკა და სევასტოპოლის ფედერალური ქალაქი დღეს დეფაქტო რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიან, როგორც ყირიმის ფედერალური რაიონი და რუსეთის სამხრეთ სამხედრო რაიონის ნაწილი. 2014 წლის აპრილში ყირიმის რესპუბლიკამ ახალი კონსტიტუციაც მიიღო, თუმცა საერთაშორისო საზოგადოება ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკას კვლავ უკრაინის ნაწილად მიიჩნევს. 2015 წლის აპრილში უკრაინის პარლამენტმა ყირიმი და სევასტოპოლი „ოკუპირებულ რეგიონებად“ გამოაცხადა, პრემიერ მინისტრმა კი განაცხადა რამდენჯერმე ცხადად, რომ „ყირიმი იყო, არის და იქნება უკრაინა“. (ბებლერი, 2015,28) იმისათვის, რომ ყირიმის გეოპოლიტიკური თუ სიმბოლური მნიშვნელობა უკეთ გავიგოთ, სასურველია თვალი გადავავლოთ მის ისტორიას. (იხილეთ ყირიმის რუკა, დანართი #2)

5.1ყირიმის ისტორია

სანამ აღნიშნული ნახევარკუნძული ყირიმის სახელით იქნებოდა ცნობილი, ის ცნობილი იყო „ტაურიკა“-ს სახელით საბერძნეთისა და რომის იმპერიის მიერ (ორივე მათგანის შემადგენლობაში შედიოდა ტერიტორია სხვადასხვა დროს), ასევე წარსულის გარკვეულ პერიოდებში ტერიტორია დაიპყრეს გოთებმა, კიევის რუსეთის სახელმწიფომ, ბიზანტიის იმპერიამ, მონღოლებმა და სხვა. მე-15 საუკუნის შუა პერიოდიდან დაარსდა ყირიმის სახანო, ოტომანთა იმპერიის პროტექტორატი. სახელი „ყირიმი“ ყირიმელი თათრების მიერაა დამკვიდრებული - „ქირიმ“ , ხოლო როდესაც რუსეთმა მისი ანექსია მოახდინა 1783 წელს ძველი სახელის დაბრუნება სცადა, თუმცა არაფორმალურად ყოველთვის „ყირიმი“ გამოიყენებოდა და 1917 წელს ოფიციალურადაც დამკვიდრდა. ოქტომბრის რევოლუციის

შემდეგ, სანამ 1921 წელს ის საბჭოთა ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა გახდებოდა და სსრკ-ს ნაწილი, იგი არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1945 წელს ის ყირიმის ოლქი ანუ რუსეთის ადმინისტრაციული რეგიონი გახდა. აღსანიშნავია მისი ისტორია II მსოფლიო ომის დროსაც : ის ოკუპირებული იყო ნაცისტური გერმანიის მიერ და სევასტოპოლის პორტი თითქმის მთლიანად განადგურდა. ხოლო როცა წითელმა არმიამ აიღო ყირიმი, 1944 წელს ყირიმელი თათრების მთელი მოსახლეობა ძალით დეპორტირებულ იქნენ ცენტრალურ აზიასა და ციმბირში (რომელთაგან ნახევარი მიიჩნევა, რომ დაიღუპა გზაზე) და საუკუნეების მანძილზე ნახევარკუნძულის მკვიდრებს - ყირიმელ თათრებს აკრძალული ჰქონდათ ყირიმში დაბრუნება სსრკ-ს დაშლამდე. ყირიმი ასევე გაიწმინდა ბერძნებისგან, სომხებისა და ბულგარელებისგან სტალინის რეჟიმის დროს და იქაური მოსახლეობა უმეტესად რუსებს შეადგენდნენ. 1954 წელს კი ნიკიტა ხრუშჩოვმა უკრაინას გადასცა ნახევარკუნძული. (ტეილორი, 2014)

1954 წლის ამ აქტის სამართლებრივი საფუძველი საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია გახდა. 1954 წლის 19 თებერვლის სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმზე ტარასოვმა განაცხადა რომ *„ ყირიმის პროვინცია ტერიტორიულად უკრაინის რესპუბლიკის ნაწილია... მისი ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია უკრაინის რესპუბლიკის ეკონომიკასთან, შესაბამისად გეოგრაფიული და ეკონომიკური გაანგარიშებების საფუძველზე პროვინციის გადაცემა ... იქნება უკრაინელ და რუს ხალხს შორის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის გამაძლიერებელი.. „* (ბუტკევიჩი, 1992) 1954 წლის მოვლენას ზოგი რუსეთის მიერ უკრაინისთვის გაკეთებულ „საჩუქარს“ უწოდებს, მას უკრაინა-რუსეთის ერთიანობის 300 წლისთავისადმი მიძღვნას ან ნიკიტა ხრუშჩოვის პირად სიმპათიებს უკავშირებენ უკრაინის მიმართ. თუმცა მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედების მიზანი იყო უკრაინაზე მეტი ბერკეტის ქონა და ცხადია,აღნიშნულ გადაწყვეტილებას თავის დროზე ეკონომიკური გათვლა ჰქონდა.

ყირიმი ცნობილი იყო როგორც ავტონომიური რესპუბლიკა , რომელიც 1945 წლიდან „ობლასტ“-ის ანუ ოლქის სახელწოდებით მოიხსენიებოდა, („თათრების ძალით გადასახლების შემდეგ ავტონომიის აუცილებლობა აღარ იყო.“), ხოლო 1954 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე - 37 წლის მანძილზე ის უკრაინის შემადგენლობაში იწოდებოდა პროვინციად. 1991 წელს უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, უკრაინის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია და ყირიმს აღუდგინა „ავტონომიური რესპუბლიკის“ სტატუსი. რაც შეეხება მის უკანასკნელ სტატუსს „2014 წლის მარტში ხელმოწერილი ანექსიის ხელშეკრულების მიხედვით ნახევარკუნძულის სტატუსი გარდაიქმნა „რესპუბლიკად“ და გახდა ნაწილი რუსეთის ფედერაციისა, სხვა 21 „რესპუბლიკასთან“ ერთად. „ (კრამერი, 2014)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინასა და რუსეთს შორის დაძაბულობებს რამდენიმე საკითხის გარშემო ჰქონდა ადგილი , ეს მოიცავდა ყირიმის სტატუსს, შავი ზღვის ფლოტის განაწილებას ქვეყნებს შორის, რუსეთის მიერ სამხედრო აღჭურვილობის გამოყენებას ყირიმში, უკრაინის ტერტორიაზე განლაგებული რუსი სამხედროების რიცხვი და სტატუსი და სხვა. 1994 წელს **ბუდაპეშტის მემორანდუმს** მოეწერა ხელი, უკრაინის, რუსეთის აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ, რომლის მიხედვითაც უკრაინა ბირთვულ იარაღს ჩააბარებდა , ხოლო რუსეთი და ხელმომწერი ქვეყნები აღიარებდნენ მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ ბუდაპეშტის მემორანდუმი ჰელსინკის აქტის პრინციპებს იმეორებდა, მათ შორისაა ჩაურევლობის პრინციპი. (rferl.org, 2014) 1997 წელს უკრაინასა და რუსეთს შორის მიიღწა შეთანხმება და გაფორმდა **ორმხრივი ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ,** რომლის მეორე მუხლით მეზობლები თანხმდებოდნენ, რომ „პატივს სცემდნენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და მათ შორის საზღვრების ურღვევობას“, ასევე მიიღწა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც უკრაინა რუსეთს ფორმალურად აძლევდა ნებას შეენარჩუნებინა საკუთარი შავი ზღვის ფლოტი

სევასტოპოლში[21]. შეთანხმების თანახმად რუსეთს არ უნდა განეთავსებინა 25.000 ჯარისკაცზე , 132 ჯავშანტექნიკასა და 23 ერთეულ საარტილერიო დანადგარზე მეტი , ამასთან მას მოეთხოვებოდა „პატივი ეცა უკრაინის სუვერენიტეტისთვის და თავი შეეკავებინა უკრაინის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან“.[22] (კიმბალი, 2014)

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დროს, „როდესაც ყირიმის უკრაინისთვის გადაცემა მოხდა უკრაინასა და რუსეთს შორის განსხვავება ფაქტობრივად ნომინალურად იგრძნობოდა“, ცივი ომის დასრულების შემდეგ კი ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. ბორის ელცინისაგან არსებობდა მოლოდინები, რომ რუსეთი ყირიმის უკან დაბრუნებას მოითხოვდა (ტეილორი, 2014), მაგრამ ასე რა მოხდა, თუმცა 2014 წელს , როდესაც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია მოხდა ვლადიმერ პუტინმა 18 მარტის მიმართვაში განაცხადა:

„ყირიმი არის ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი რეგიონული სტაბილურობის მხრივ. აღნიშნული სტრატეგიული ტერიტორია უნდა იყოს ძლიერი და სტაბილური სუვერენიტეტის ნაწილი, რაც მხოლოდ რუსეთს შეუძლია უზრუნველყოს, ***წინააღმდეგ შემთხვევაში... თქვენ (უკრაინა) და ჩვენ - ორივე დავკარგავდით ყირიმს სრულებით, და ეს მოხდებოდა ახლო ისტორიულ პერსპექტივაში.***

მრავალჯერ მოვისმინეთ კიევის განცხადებები უკრაინის ნატო-ში შეცვლის შესახებ. რას ნიშნავს ეს ყირიმისა და სევასტოპოლისთვის?იმას, რომ ნატო-ს საზღვაო ფლოტი განლაგდებოდა რუსული სამხედრო დიდების ქალაქში (სევასტოპოლში) და ეს შეუქმნიდა არა ილუზორულ, არამედ რეალურ და პირდაპირ საფრთხეს სრულიად სამხრეთ რუსეთს“ (კრემლი, 2014)

---

[21] კრემლმა მიიღო საბრძოლო ხომალდების უმრავლესობა ხელშეკრულებით, რის სანაცვლოდაც კიევს გადაუხდიდა 526 მილიონ $-ს კიევი ასევე ყრიმის საზღვაო აღჭურვილობას იჯარით აძლევდა რუსეთს , ყოველწლიურად 97მილიონი დოლარის სანაცვლოდ. ხელშეკრულება განახლდა 2010 წელს ხარკოვის აქტით და ძალაშია 2042 წლამდე. (კიმბალი, 2014)

[22] თითოეული ხელშეკრულება ხაზს უსვამდა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის პრინციპის/ვალდებულების პრიმატს, თუმცა რუსეთის ფედერაციამ ყველა მათგანი დაარღვია ყირიმის ანექსიით. იხილეთ ვრცლად თავი „ ყირიმის ანექსია და საერთაშორისო სამართალი“ (ავტორის შენიშვნა)

ბებლერის თანახმად, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია მის განხორციელებამდე ბევრად ადრე მომზადდა. მაგალითად, 1996 წელს ცნობილმა რუსმა გეოსტრატეგისტმა - სერგეი კარაგანოვმა დაწერა უკრაინის შესაძლო დაშლისა და რუსეთის მიერ მისი ნაწილების შეერთების შესაძლებლობაზე, 2007 წელს კი იულია ტიმოშენკომ დასავლეთი გააფრთხილა უკრაინაში , განსაკუთრებით კი ყირიმში რუსეთის მადესტაბილიზირებელი პოლიტიკის არსებობის შესახებ. 2008 წელს ბუქარესტის სამიტის დროს სიტყვის გამოსვლისასაც მკაცრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა პუტინმა საქართველოსა და უკრაინის შესაძლო წევრობის შესახებ ნატო-ში.

2008 წელს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი შეშფოთებას გამოთქვამდა ყირიმში რუსული „პასპორტიზაციის“ პოლიტიკის შესახებ (რაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც ხდებოდა), რაც რუსეთის გაცხადებულ პოლიტიკასთან ერთობლიობაში - განახორციელოს სამხედრო ინტერვენციები „ქვეყნის გარეთ მცხოვრები რუსი თანამემამულეების“ დასაცავად სახიფათო სურათს იძლეოდა.

ბებლერის მიხედვით,“ყირიმის ანექსიის (ოპტიმალურ მომენტში) განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება 2008 წელს იქნა მიღებული სავარაუდოდ (ბუქარესტის სამიტის შედეგის შემდეგ), თუმცა იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტად , რუსი მოქალაქეების მაღალი თანამდებობის პირებად დანიშვნის შესაძლებლობა, ასევე უკრაინის გაზრდილი ფინანსური დამოკიდებულება რუსეთზე და გაღრმავებული თანამშრომლობა ორ სამხედრო-სამრეწველო კომპლექს შორის ანექსიის საჭიროებას ამცირებდა“ , მანამ სანამ 2014 წლის 22 თებერვალს სიტუაცია რადიკალურად არ შეიცვალა. (ბებლერი, 2015, 10)

5.2 უკრაინის კრიზისი - მოვლენათა განვითარება

უკრაინის კრიზისი დაიწყო რუსეთსა და ევროპას შორის „საერთო სამეზობლოში“ გავლენისათვის ბრძოლის კონტექსტში . 2013 წლის ნოემბრის ბოლოს, როდესაც უკრაინის მთავრობამ ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერაზე უარი განაცხადა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინა იმ პერიოდში გზისგასაყარზე იდგა - აერჩია ევროკაშირთან

ხელშეკრულების გაფორმება, რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიღებდა შედეგს უკრაინის ეკონომიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით; გაერგრძელებინა არსებობა საკუთარ გზაზე , რაც ნიშნავდა შედარებით ჩაკეტილ, ბიზნესმენთა მცირე ჯგუფების მიერ კონტროლირებულ და არაკონკურენტუნარიან ეკონომიკას თუ გამხდარიყო საბაჟო კავშირის[23] წევრი რუსეთთან, ბელარუსთან და ყაზახეთთან ერთად. (შუმილო-ტაპიოლა, 2012). ეს უკანასკნელი ვარიანტები - ევროკავშირისა და ევრაზიულ კავშირს შორის არჩევანის გაკეთებისა ცხადია ერთმანეთს გამორიცხავდა. [24]

ვიდრე უშუალოდ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს უკრაინის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში (2015 წლიდან, იმ დროს კი საბაჟო კავშირის სახელით არსებულ ორგანიზაციაში) გაწევრიანების მნიშვნელობა. რუსეთისათვის უკრაინის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება აღიქმებოდა მისი გლობალური ამბიციების მიღწევის განუყოფელ ნაწილად. ის უკრაინის დასარწმუნებლად იანუკოვიჩის პრეზიდენტობის პერიოდში (2010-2014) მრავალ კამპანიას აწარმოებდა. 2013 წლისთვის, როდესაც უკრაინის ეკონომიკა კრიზისს განიცდიდა, იანუკოვიჩისთვის რუსეთის შეთავაზება - ბუნებრივ აირზე დაბალი ფასები და ფინანსური პაკეტი მომხიბვლელად ჟღერდა. (დრაგნევა და ვოლცუკი, 2017)

„რუსეთის კრახი , რომ უზრუნველეყო უკრაინის წევრობა ევრაზიულ კავშირში იყო ორგანიზაციისთვის მოსკოვის ამბიციების მარცხი. თავად ორგანიზაციაზე მას უარყოფითი გავლენა ჰქონდა, რამდენადაც რუსეთის ჰეგემონური მიდრეკილებები ამან მეტად ინტენსიური გახადა, ხოლო სხვა წევრ სახელმწიფოებში გაზარდა თავიანთი სუვერენიტეტის მიმართ მგრძნობელობა. ცხადია წევრ ქვეყნებს არ სურთ მონაწილენი იყვნენ დასავლეთსა და რუსეთს შორის გეოპოლიტიკური მეტოქეობისა.“ (იგივე, 2017,11)

---

[23] რომელიც 2015 წელს გარდაიქმნა ევრაზიის ეკონომიკურ კავშირად და მასში დღეის მდგომარეობით გაწევრიანებულნი არიან დამფუძნებელი სამი წევრის გარდა სომხეთი და ყირგიზეთი. (eaeunion.org)

[24] "ჩატამჰაუსის“ მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში ვკითხულობ ევრაზიული კავშირის შესახებ , რომ „რუსეთის უპირველესი ინტერესი ევრაზიულ ინტეგრაციაში არის მისი გლობალური გავლენის გაძლიერება“ , იხილეთ ბმული : https://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/publications/research/2017-05-02-eurasian-economic-union-dragneva-wolczuk.pdf

ევროკავშირისა და ასპირანტი ქვეყნის ურთიერთობები იმ ეტაპზე გულისხმობდა ევროკავშირის ნორმებისა და რეგულაციების მიღებას ქვეყანაში ვაჭრობის ლიბერალიზაციის, ვიზის პროცედურების გამარტივებისა და უფრო ახლო პოლიტიკური ასოცირების მიღწევის სანაცვლოდ. (ევროკავშირის დაუყოვნებლივ წევრობა ამ შემთხვევაში არც იყო შეთავაზებაში). ამის სანაცვლოდ, რუსეთის ზეწოლის შედეგად, უკრაინის პრეზიდენტმა ხელშეკრულებაზე ხელმოწერისგან თავი შეიკავა, რასაც მოჰყვა რამდენიმე ათასიანი საპროტესტო გამოსვლები - კიევის ცენტრალურ მოედანზე (სახელად Maidan Nezalezhnosti). მშვიდობიანი, შეუიარაღებელი პროტესტი 30 ნოემბრის ღამეს სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა (რადგან ვიღაცამ მთავრობაში, იდენტიფიცირებული არ არის კონკრეტულად ვინ, მიიღო გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ აქციაზე გამოსული სტუდენტების წინააღმდეგ) (ჩარაპი და შაპირო, 2014, 268)

მეორე დღეს 10.000-ის ნაცვლად ქუჩაში ნახევარი მილიონი ადამიანი გამოვიდა გასაპროტესტებლად და მიუხედავად კვლავ ევროკავშირის დროშების გამოყენებისა, ისინი ახლა იანუკოვიჩის კორუფციული ავტორიტარული რეჟიმის დამხობას მოითხოვდნენ, რის შემდეგაც მთავრობა და რადიკალური ჯგუფები (ძირითადად შეიარაღებული მემარჯვენე ნაციონალისტური ჯგუფები) ძალადობის სპირალში ჩაერთვნენ. 21 თებერვალს იანუკოვიჩმა და ოპოზიციის ლიდერებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, დასავლეთისა და რუსეთის მიერ შემუშავებულ ხელშეკრულებას კრიზისის დასრულების შესახებ. ის ეხებოდა ასევე 2004 წლის კონსტიტუციის დაბრუნებას, შეზღუდული საპრეზიდენტო და გაზრდილი საპარლამენტო ავტორიტეტის უფლებებით. უკრაინის პარლამენტს უნდა მიეღო კანონი 2004 წლის კონსტიტუციის დაბრუნებაზე 386 ხმით მის სასარგებლოდ. ხელშეკრულებების პირობების თანახმად, 48 საათში უნდა ყოფილიყო მიღებული კონსტიტუციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ხოლო ამის შემდეგ 10 დღის ვადაში ნაციონალური ერთიანი მთავრობა უნდა ჩამოყალიბებულიყო. შეთანხმება ჩაიშალა, როგორც კი იანუკოვიჩმა დატოვა დედაქალაქი (და საბოლოოდ უკრაინა) , 22 ოქტომბერს

პარლამენტმა მიმართა დამატებით კონსტიტუციურ ქმედებას და 22 თებერვალს კენჭი უყარა მის პოსტიდან გაძევებას და ახალი მთავრობის ფორმირებას. (ბიბისი, 2014)

მაშინ, როცა დასავლეთი დემოკრატიულ განვითარებას ხედავდა აღნიშნულ მოვლენებში, კრემლი რეჟიმის ცვლილების პერსპექტივას აღიქვამდა რუსეთის უკრაინაზე გავლენის დაკარგვის საფრთხედ. „შიშები“ გაამყარა უკრაინის ახალი კაბინეტის შემადგენლობამ - უმაღლესი ოფიციალური პირების მესამედს შეადგენდა მემარჯვენე, ანტი-რუსულად განწყობილი პარტია სახელად „სვაბოდა“. *„პუტინი და მისი ახლო წრე დარწმუნებული იყო, რომ 21 თებერვლის ხელშეკრულების ჩაშლა იყო დასავლეთის სცენარის ნაწილი რათა მის მიმართ ლოიალური მთავრობის ჩამოყალიბება მოეხდინა კიევში - ეს მოიცავდა რადიკალურ მემარჯვენე ლიდერებს, ვინც რუსეთთან ყირიმის ბაზის შესახებ წვდომის ხელშეკრულებისთვის წარმოადგენდნენ საფრთხეს - შესაბამისად უკრაინა მალე დაუბრუნდებოდა ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანების გზას და გაწყვეტდა რუსეთთან ორმხრივ კავშირებს, რაზეც რუსეთის ენერგო და სამხედრო-ინდუსტრიული სექტორებია დამოკიდებული.“* (ჩარაპი და შაპირო, 2014) **სავარაუდოა, რომ სწორედ აღნიშნულ ვარაუდებზე დაყრდნობით რუსეთმა გადაწყვიტა სპეციალური ძალების განთავსება ყირიმში, რათა თავი დაეზღვა კიევში მიმდინარე სტრატეგიული უკუსვლებისგან, რაც რუსეთისათვის სტრატეგიული კატასტროფა იქნებოდა. მკვლევარების მიხედვით რუსეთის „კოშმარული სცენარი“ იყო, რომ უკრაინა დასავლეთისა და მათი ინსტიტუტების მიერ მთლიანად ხელიდან ეცლებოდა.** (იგივე, 2014, 270) შესაბამისად რუსეთის განზრახვა იყო დაეცვა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიზიკური აქტივი უკრაინაში - შავი ზღვის ფლოტის ბაზა სევასტოპოლში და ეეძულებინა უკრაინის ახალი ავტორიტეტული პირები დანებებოდა/შერიგებოდა მოსკოვის სხვა ინტერესებსაც უკრაინაში. ყირიმის ანექსია და მოგვიანებით აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაციის მცდელობები მართული იყო იმ საჭიროებით, რომ რუსეთს აღნიშნული „კოშმარული სცენარი“ აერიდებინა თავიდა.

პუტინის მაისის ინტერვიუში ვკითხულობთ:

„კიდევ ერთხელ გავიმეორებ: სად არის გარანტიები, რომ „გადატრიალების“ - მეორე ფერადი რევოლუციის შემდეგ უკრაინაში ნატო არ დამკვიდრდება? ... მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენთან არავის ჰქონია ამაზე აზრიანი დიალოგი. რაც გვესმის არის ერთიდაიგივე პასუხი, გაფუჭებული ჩანაწერივით, რომ „ყველა ერს აქვს უფლება თავად განსაზღვროს, თუ რომელ უსაფრთხოების სისტემაში სურს ცხოვრება და რომ ამას ჩვენთან არავითარი კავშირი არ აქვს“ „(ციტირებულია ჩარაპი &შაპიროს კვლევაში, 2014, 270).

ამგვარად, 27 თებერვალს პრო-რუსულმა ჯარისკაცებმა დაიკავეს მთავრობის შენობები ყირიმის დედაქალაქ - სიმფეროპოლში, 16 მარტს კი ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც რუსეთთან შეერთების სასიკეთოდ ხმა ყირიმის მოსახლეობის 97%-მა მისცა, რის შემდეგაც 2 დღეში ვლადიმერ პუტინმა მიიღო კანონი ყირიმის რუსეთთან შეერთების შესახებ.[25] 2014 წლის 7 აპრილს აღმოსავლეთ უკრაინაში ვხედავთ კრიზისის მწვავე განვითარებას - ხარკოვში, დონეცკში და ლუგანსკში აქციის მონაწილეები იკავებენ მთავრობის შენობებს, რასაც **მაისში, რეფერენდუმის შემდეგ დონეცკისა და ლუგანსკის „ხალხთა რესპუბლიკების“ დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა.** 25 მაისს უკრაინაში ახალი პრეზიდენტი - პეტრო პოროშენკო იქნა არჩეული ხოლო მაისში ევროკავშირსა და უკრაინას შორის ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ხდება. (ტელეგრაფი, უკრაინის კრიზისის მოვლენათა ქრონოლოგია, 2015) აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ივლისში, (დაუსაბუთებელი ინფორმაციით პრო-რუსული მეამბოხეების მიერ) მალაიზიის ავიახაზების ფრენა #MH17 იქნა ჩამოგდებული, რასაც 298 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. რამდენიმე დღეში ევროკავშირი რუსეთს უწესებს სანქციებს და სექტემბერში მიღწეულ იქნა შეთანხმება მეამბოხეებს, უკრაინას,რუსეთსა და ეუთო-ს მიერ და ხელი მოეწერ სამშვიდობო ხელშეკრულებას მინსკში, ბელარუსში. (ბიბისი, 2017). (იხილეთ დანართი #3, უკრაინის რუკა 2017 წლის მდგომარეობით)

---

[25] აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმი ჩატარებულ იქნა პირველ რიგში უკრაინის კონსტიტუციის საწინააღმდეგ, და ამასთან „არ იყო დაცული თავისუფლება, რამდენადაც (პრო) რუსი ჯარისკაცები აკონტროლებდნენ ყირიმს და სახელმწიფოს ინფრასტრუქტურას.. რეფერენდუმი მოითხოვს დაპირისპირებული მხარეების მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენებისგან თავის შეკავებას.ასევე რეფერენდუმის კითხვა არ შეესაბამებოდა „კი“ და „არა“ პასუხის ტიპს“, „რეფერენდუმს არ დაურღვევია საერთაშორისო სამართალი, თუმცა ის არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს“. (მარქსენი, 2014,381)

2017 წლის 13 ივნისს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, გაეროს უმაღლესი კომისარის მიერ ადამიანთა უფლებათა დარგში (OHCHR), უკრაინის კრიზისის მსხვერპლთა რაოდენობა დონბასში 2014 წლის აპრილიდან 2017 წლის მაისამდე ითვლის 34.056 სამოქალაქო პირს, ხოლო სამხედროთაგან დაღუპულია 10.090, 23.966 კი დაჭრილი, ხოლო ამათგან 2017 წლის თებერვალი-მაისის პერიოდში, OHCHR-ის მიხედვით 36 ადამიანია დაღუპული, 157 კი დაჭრილი. (OHCHR, 2017)

უკრაინის მიერ რუსეთის წინააღმდეგ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში (ICJ) იქნა სარჩელი შეტანილი და ის ითხოვს კონპენსაციას იმისთვის, რასაც თავად უწოდებს „მის მიწა-წყალზე ჩადენილ ტერორისტულ აქტებს“. რუსეთი დადანაშაულებულია ყირიმში მცხოვრები ეთნიკურად თათრების არასწორად მოპყრობაში, მათი ორგანიზაციის - სახელად „ყირიმის თათარი ხალხის მაჯლისის“ წარმომადგებლობის აკრძალვაში ტერიტორიის ანექსიის შემდეგ, რაც მათი (უკრაინის) მტკიცებით წარმოადგენს საერთაშორისო კონვენციის დარღვევას „რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმების შეზღუდვის შესახებ (CERD). (BBC, 2017) აღნიშნულზე სასამართლომ რუსეთს მოუწოდა შეზღუდვებისაგან თავი შეიკავოს და ასევე უზრუნველყოს უკრაინულ ენაზე განათლების მიღება ყირიმში (ICJ, 2017) რუსეთი უარყოფს აღნიშნულ აქტში მის მონაწილეობას და ასევე აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში მის ჩარევას, ტერორიზმის მხარდაჭერას კი „არალეგალურს და ფაქტობრივად გაუმყარებელს უწოდებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ICJ -ს გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა, თუმცა არ გააჩნია განხორციელების იძულების საშუალებები . (Rferl, 2017)

დღესდღეობით, თანამედროვე მოვლენებიდან აღსანიშნავია 2018 წლის 18 იანვარს მიღებული კანონი უკრაინის პარლამენტის მიერ, რომელმაც პრო-რუსული სეპარატისტების მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში დაკავებული ტერიტორიები გამოაცხადა რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიად. რეინტეგრაციის შესახებ კანონში კი

რუსეთი „აგრესორ“ სახელმწიფოდ არის მოხსენიებული. ამას მოსკოვის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა და აღნიშნულ ნაბიჯს „ახალი ომისთვის „ მზადება უწოდა. (BBC, 2018)

აქვე მოკლედ რუსეთის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების შესახებ ,ყირიმის ინტერვენციისა და აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერისათვის. აშშ-სა და ევროკავშირის სანქციების 2014 წელს ძალაში შესვლის დროს რუსეთი კვლავ 2008-2009 წლის გლობალური ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევას ცდილობდა. *„2000-იან წლებში თუ მან (რუსეთის ეკონომიკამ) გაზრდილი ნავთობის ფასების შედეგად საგრძნობლად მოიგო, ამ პერიოდში მისი ეკონომიკა მრავალი მაჩვენებლით განაგრძობდა დაღმასვლას. სანქციების შემდეგ კი, 2013 წლის 6.8% ინფლაციის მაჩვენებელი 2015 წელს 15.5%-ს გაუტოლდა, სიღარიბე კი 3.1 მილიონიდან 2015 წელს 19.2 მილიონამდე (მოსახლეობის 13.4%) გაიზარდა.“*(ნელსონი, 2017, 4)

2014 წლის ნოემბერში რუსეთის ფინანსთა მინისტრმა დაიანგარიშა დაწესებული სანქციების წლიური ზარალი რუსეთის ეკონომიკისათვის და ის 40 მილიარდ დოლარს შეადგენდა (შედარებისთვის - ნავთობზე ფასების კლებით მიღებული ზარალი 90-100 მილიარდს), ხოლო რუსი ეკონომისტების დაანგარიშებით ფინანსური სანქციები 2017 წელს მშპ-ს 2.4%ით კლებას გამოიწვევს. 2016 წლის დეკემბერში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა სანქციების ეფექტი ფირმების/კომპანიების დონეზე, რის მიხედვითაც „რუსეთში მოქმედი კომპანიების საბაზრო ფასი საშუალოდ 1/3-ით გაუფასურდა...თუმცა სანქციების შედეგად მიყენებული ზარალი რუსეთის ეკონომიკისათვის საერთო ჯამში (მშპ და იმპორტზე მოთხოვნა) ნავთობის ფასების ცვლილებით მიყენებულ ზარალზე საგრძნობლად ნაკლებია“ (იგივე, 2017, 8)

ამგვარად, რუსეთისა და უკრაინის დაპირისპირებას სავალალო შედეგები მოჰყვა პირველ რიგში უკრაინისთვის (ადამიანური თუ ფინანსური დანახარჯები) და რაღა თქმა უნდა არც რუსეთისთვის ჩაუვლია აღნიშნულ ომს დანახარჯების გარეშე , თუმცა ყირიმის ანექსიითა და აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული მოძრაობების გაღვივება/მხარდაჭერით

რუსეთმა მიაღწია უპირატეს, სტრატეგიულ მიზანს, რაც სამხედრო დანახარჯებსა თუ ეკონომიკური სანქციების შედეგად მიყენებულ ზიანზე მაღლა დგას , არ დაუშვა მისთვის სტრატეგიული ინტერესის მქონე ქვეყნის დასავლეთთან ინტეგრაცია და საკუთარი ორბიტიდან გაშვება. პუტინმა 2014 წლის მარტში (ყირიმის შესახებ) გაკეთებულ საჯარო გამოსვლაში ყირიმის შემთხვევა კოსოვოს შემთხვევას შეადარა და აღნიშნა *„ყირიმის ხელისუფლებამ მიმართა კარგად ცნობილ კოსოვოს პრეცედენტს - პრეცედენტს რომელიც დასავლელმა კოლეგებმა საკუთარი ხელით შექმნეს ... ხშირად გვესმის აშშ და დასავლეთ ევროპისგან, რომ კოსოვო არის უნიკალური შემთხვევა, რა ხდის მას უნიკალურად? ... ეს ორმაგი სტანდარტებიც კი არ არის - ეს პრიმიტიული ცინიზმია.“* (კრემლი, 2014)უშუალოდ კოსოვოს შესახებ დასავლეთის 1999 წლის ინტერვენციის შესახებ გაკეთებული მწვავედ უარყოფითი განცხადებები და ასევე 2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით არსებული კრიტიკული განცხადებები ცხადყოფს რუსეთის პოზიციას და მის მწვავედ უარყოფით დამოკიდებულებას კოსოვოში დასავლეთის დომინანტური როლის მიმართ.

როგორც მრავალი მკვლევარი ამტკიცებს, ისევე როგორც კოსოვო წარმოადგენდა დასავლეთისათვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვან შემთხვევას, ასევე უკრაინა წარმოადგენს რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანას. მისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. **„პუტინმა ჯერ კიდევ ბუშთან საუბარში გამჭვირვალედ მიანიშნა, რომ თუ უკრაინა შეუერთდებოდა ნატო-ს, ის შეწყვეტდა არსებობას„ (მირშაიმერი, 2014) , ხოლო 2017 წლის ივლისში უკრაინაში ნატოს გენერალური მდივნის - ჯენს სტოლტენბერგის ვიზიტის დროს, როდესაც მან მოსკოვს უკრაინიდან ჯარების გაყვანისკენ მოუწოდა, უკრაინასთან კი სამოქმედო გეგმის შესახებ დისკუსიები დაიწყო, რუსეთმა ღრმად დაგმო ნატო-ს გაფართოება მის საზღვრებთან და განაცხადა, რომ უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება არ შეუწყობს ხელს ევროპაში სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.**

5.3ყირიმის ანექსია და საერთაშორისო სამართალი

ვიდრე ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში ინტერვენციის პოლიტიკური მოტივების ახსნას შემოგთავაზებდეთ შემდგომ თავში, სასურველია რუსეთის მიერ გამოყენებული არგუმენტები განვიხილოთ, რაც ყირიმში სამხედრო ინტერვენციის გასამართლებლად იქნა მოყვანილი და ასევე მოკლედ ვისაუბროთ იმაზე, თუ რა მხრივ დაარღვია რუსეთის ფედერაციამ ყირიმის ანექსიით საერთაშორისო სამართალი.

რუსეთმა მიმართა ორ მთავარ სამართლებრივ არგუმენტს: უცხოეთში მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების დაცვა და ინტერვენციის განხორციელება მოწვევით. რუსი უმცირესობის , ეთნიკურად რუსი უკრაინაში მცხოვრები მოსახლეობის დაცვის მიზეზით ინტერვენციის განხორციელება გაუმართლებელია. „R2P პრინციპის მიხედვით კი, ამისათვის უშიშროების საბჭოს ავტორიზაციაა საჭირო, თუმცა თუკი არ არსებობს მწვავე დარღვევები ადამიანთა უფლებების კუთხით რუსულად მოლაპარაკე უმცირესობების მიმართ, შესაბამისად ჰუმანიტარული ინტერვენციის მიზეზი და საჭიროებაც არ არსებობს“ (მარქსენი, 2014, 374)

რუსეთი ყირიმის სეცესიისა და თვითგამორკვევის უფლებას კოსოვოს შემთხვევას არაერთხელ ადარებს (მაგალითად 2014 წლის 18 მარტის სიტყვით მიმართვაში), თუმცა „ყირიმს ჰქონდა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი უკრაინის კონსტიტუციის 137-ე მუხლის თანახმად, რუსული მთავარი ენა იყო , სკოლების უმეტესობა რუსულენოვანი იყო, რუსი მოსახლება პარლამენტსა და მთავრობაში იყო წარმოდგენილი“ , შესაბამისად მათი თვითგამორკვევის უფლება არ იყო დარღვეული უკრაინის შემადგენლობაში ყოფნით და “ყირიმის სეცესია არ იყო პრობლემის მოგვარების ბოლო გზა (LAST RESORT) „ და შესაბამისად „თვითგამორკვევის უფლებაში მხარდაჭერის„ არგუმენტიც ვალიდურობას კარგავს. (გერძიკოვა, 2015, 29)

მეორე მიზეზის გარშემო უნდა აღინიშნოს, რომ იანუკოვიჩმა თავად აღიარა, რომ უკრაინიდან მისი წასვლის შ ე მ დ ე გ რუსეთს თავად სთხოვა დახმარება. მარქსენის მიხედვით, აღნიშნული არგუმენტის გარშემო არსებობს რამდენიმე საკითხი: „1.იანუკოვიჩმა უკრაინიდან გაფრენისთანავე დაკარგა ეფექტური კონტროლი, შესაბამისად მას არ ჰქონდა უფლება ეთხოვა სხვა ქვეყნისათვის უკრაინაში ჩარევა, 2. მთავრობების ლეგიტიმურობის კუთხით არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ იანუკოვიჩს გააჩნდა მეტი ლეტიგიმურობა, ვიდრე მაიდანის დროებით მთავრობას. მართალია ის დემოკრატიულად იქნა არჩეული, თუმცა იმ პერიოდისთვის , როგორც საზოგადოების, ისე პარლამენტის გადაწყვეტილებით არჩევნების შედეგები **დეფაქტო** ანულირებულად შეიძლება ჩაითვალოს. 3.მიუხედავად იმისა, რომ თავად იანუკოვიჩის „მოწვევის“ შინაარსი ცნობილი არ არის, შეუძლებელია მას მოეცვა უკრაინის ტერიტორიის ხელყოფა და მისი ნაწილის სეცესია. რუსეთის ინტერვენცია გამიზნული იყო არა იანუკოვიჩის მთავრობის აღდგენის მიმართ, არამედ საკუთარი ეროვნული ინტერესების მიღწევისათვის. „ (მარქსენი, 2014, 379) **შესაბამისად, რუსეთის ორივე არგუმენტი არავალიდურია და რუსეთის ჯარების მიერ უკრაინის სამხედრო ძალების ბლოკირება და სამხედრო ინფრასტრუქტურის ჩამორთმევა წარმოადგენდა ძალის უკანონო გამოყენებას და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას.**

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ საერთაშორისო სამართლის რამდენიმე ძირეული პრინციპი დაარღვია, ამასთანავე მრავალმხრივი ხელშეკრულებები, როგორიცაა: 1970 წლის მეგობრული ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულება, ჰელსინკის აქტი (რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს „თავი შეიკავონ მუქარის ან ძალის გამოყენებისგან“ (1975, 4); ბუდაპეშტის მემორანდუმი 1994 (რომლის მიხედვითაც მხარეები (რუსეთი, აშშ და დიდი ბრიტანეთი) თანხმდებოდნენ, რომ თავს შეიკავებდნენ მუქარის ან ძალის გამოყენებისგან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“, 1997 წლის ნატო-რუსეთს შორის გაფორმებული დამაფუძნებელი აქტი; ორმხრივი ხელშეკრულებები : მეგობრობის, თანამშრომლობისა და

პარტნიორობის შესახებ (მეორე მუხლით მეზობლები თანხმდებოდნენ, რომ „პატივს სცემდნენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და მათ შორის არსებული საზღვრების ურღვევობას“) და შავი ზღვის ფლოტის შესახებ ხელშეკრულებები, 1997 და 2010 წლების; (ოლივიერი, 2015)

6 უკრაინის კრიზისის გამომწვევი გარე ფაქტორები

დღეს აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს, აღარც აღმოსავლეთის ბლოკი და აღარც ვარშავის პაქტი, მაშინ ვისთვის წინააღმდეგობის გასაწევად არსებობს ნატო?! (პუტინი, 2008)

2014 წლის უკრაინის მოვლენებამდე, ევროკავშირი და ნატო განაგრძობდნენ ლიბერალური მანტრის გამეორებას რბილი ძალისა და მულტილატერალიზმის შესახებ, როდესაც ასოცირების ხელშეკრულებებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებისაკენ მიიწევდნენ წინ. ევროკავშირს/ნატოსა და აღმოსავლეთ პარტნიორებს[26] შორის გაღრმავებული ურთიერთობები კი კრემლის მიერ აღიქმებოდა გეოპოლიტიკურ ნაბიჯებად, რაც მის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს აზიანებდა მის „ახლო სამეზობლოში“. როგორც ჩარაპსა და ტროიცკის ნაშრომში ვკითხულობთ (2013, 50) ამან მიგვიყვანა „ინტეგრაციის დილემამდე“.

რობერტ ჯერვისი უსაფრთხოების დილემას განმარტავს, როგორც ფენომენს, როდესაც ერთი სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფა იწვევს მეორე სახელმწიფოში საფრთხის შეგრძნების გაღრმავებას. **ჯერვისის ცენტრალური მიგნება აღნიშნული ცნების გარშემო ის არის, რომ აქტორის წმინდად თავდაცვითი ქმედებები მარტივად შეიძლება აღქმულ იქნას აგრესიულად მეორე აქტორის მიერ. უსაფრთხოების დილემა ცხადად გვაჩვენებს იმ უკუკავშირს, რაც განზრახვებსა და შედეგებს შორის არსებობს საერთაშორისო ურთიერთობებში.**

„როდესაც უსაფრთხოების დილემა მუშაობს, საერთაშორისო პოლიტიკა შეიძლება დავინახოთ ტრაგიკულად იმ ასპექტში, რომ სახელმწიფოებს შესაძლოა სურდეთ, ან სულ

[26] აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნები - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

მცირე სურდეთ დასჯერდნენ მხოლოდ ორმხრივ უსაფრთხოებას, მაგრამ მათი ქმედებები მათსავე მიზნებს კიდევ უფრო ხელმიუწვდომელს და შორეულს ხდის" (ჯერვისი, 2001, 36)

უსაფრთხოების დილემის ვარიაცია არსებობს ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამხედრო რეგიონულ ინტეგრაციის ინიციატივებს შორის და მას ანალოგიურად **„ინტეგრაციის დილემა"** შეიძლება ვუწუდოთ. ტერმინი გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ერთი სახელმწიფო მეზობელი ქვეყნების სამხედრო ალიანსებსა თუ ეკონომიკურ გაერთიანებებში გაწევრიანებას აღიქვამს საკუთარი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის საფრთხედ. აღნიშნული დილემას წარმოადგენს, რამდენადაც ის ინტეგრაციას - სრულებით **პოზიტიური ჯამის პროცესს გარდაქმნის ნულოვანი ჯამის თამაშად,** იმ სახელმწიფოსთვის რომელსაც შეზღუდული აქვს საშუალება გაწევრიანდეს იგივე ორგანიზაციებში. (ჩარაპი და ტროიცკი, 2014)

და აქაც, როგორც უსაფრთხოების დილემაში, არაა აუცილებელი ინტეგრაციის პროცესები იყოს მტრული იმ სახელმწიფოს, მიმართ რომელიც ინტეგრაციის მიღმა რჩება, იმისათვის რომ დილემა ამოქმედდეს, ცხადია დილემა ხდება კონფლიქტის გამომწვევი იმ წინასწარი დაშვებით, რომ სახელმწიფოები განიხილავენ ყველაზე უარეს ვარაუდებს სხვა სახელმწიფოების მოტივების შესახებ[27]. (იგივე, 2014, 50)

მაშ ასე, უკრაინის კრიზისის/ ყირიმის ანექსიის გამომწვევ გარე ფაქტორებს რომ დავუბრუნდეთ : უკრაინა, ყირიმის ჩათვლით, ევროკავშირისა და ნატო-ს წევრ ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციას შორის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სივრცეს იკავებს, თავისი შავ ზღვაზე გასასვლელით. ხოლო რუსეთისათვის, ცარისტული რუსეთიდან მოყოლებული დღემდე, ყირიმი წარმოადგენდა სტრატეგიულ ტერიტორიას თავისი გეოპოლიტიკითა და იმ პოზიციით, რასაც რუსეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ასრულებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი რუსეთმა შეინარჩუნა შავი ზღვის ფლოტი ყირიმის ნახევარკუნძულზე სწორედ უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური

[27] იხილეთ თავი 7.2 სახელმწიფოებს შორის უნდობლობის პრინციპის შესახებ - თავდასხმითი რეალიზმი

მიზნებიდან გამომდინარე. ამგვარად რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისთვის მამოტივირებელი ფაქტორებია: რუსეთის ფედერაციის მიერ დასავლეთისგან საფრთხის აღქმები და გეოპოლიტიკური მეტოქეობა რუსეთსა და დასავლეთს შორის. ორივე ფაქტორი ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვულია.

6.1საფრთხეების აღქმები

როგორც ოფიციალური დოკუმენტების/კონცეფციების გაანალიზების შედეგად დავინახეთ, უსაფრთხოება რუსეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან, განსაკუთრებით უკრაინასთან ურთიერთობები რუსეთის უსაფრთხოების სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთაგანი იყო ყოველთვის. **მანკოფის მიხედვით (2009) რუსეთი ცდილობს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე შეინარჩუნოს კონტროლი, რათა არ დაკარგოს პოზიცია საერთაშორისო არენაზე.** ამგვარად, კიევში პრო-რუსული მთავრობის პრო-დასავლური მთავრობით შეცვლა რუსეთის მიერ აღქმული იქნა რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებისთვის პირდაპირ საფრთხედ - მეზობელ ქვეყანაზე კონტროლისა და გავლენის დაკარგვის გამო. რუსეთის ფედერაციის მიერ ნატო-ს გაფართოება ყოველთვის ნეგატიურად აღიქმებოდა, ამას მოწმობს, როგორც ოფიციალური დოკუმენტების, ისე საჯარო გამოსვლების ტექსტების ანალიზი. რუსეთი ყოველთვის აკრიტიკებდა „ევროკავშირ-ნატო-ზე დაფუძნებულ უსაფრთხოების სისტემას ევროპაში“ „ახალი გამყოფი ხაზების“ უარყოფითი გავლენის გამო, რაც საერთო ისტორიის მქონე ერებს შორის არსებობს“ (ციგანკოვი, 2015, 282) .

ამგვარად, არის რა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საზრუნავი რუსეთისათვის, ყირიმის ანექსია შეიძლება აიხსნას, როგორც ამ უსაფრთხოების უზრუნველყოფა რუსეთის საზღვრებთან , ასევე ნახევარკუნძულზე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის არსებობით.

მიუნხენის შემდეგ რუსეთმა საჯაროდ კიდევ ერთხელ დააფიქსირა მისი დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ, კერძოდ ბუქარესტის სამიტის დროს, 2008 წელს ნატო-რუსეთის საბჭოში ვლადიმერ პუტინის საჯარო გამოსვლის ტექსტში ცხადად ვკითხულობთ რუსეთის საფრთხეების აღქმების შესახებ : „ალიანსის გაფართოება არის რუსეთისათვის „პირდაპირი საფრთხე“ - სერიოზული გამაფრთხილებელი სიგნალი. რუსეთს არ აქვს ვეტო-ს უფლება, მაგრამ არც სურს. სახელმწიფოებმა უნდა მოუსმინონ ერთმანეთის მოსაზრებებს. **ნატო-მ არ უნდა უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება სხვების ხარჯზე, რუსეთის ჩათვლით...თუ ნატო განაგრძობს რუსეთის საზღვრებთან მოახლოებას, მოსკოვი მიიღებს „საჭირო ზომებს““**

6.2 გეოპოლიტიკური მეტოქეობა

საფრთხის აღქმები მჭიდრო კავშირშია რუსეთისა და დასავლეთის მეტოქეობასთან უკრაინის გარშემო. კარაგანოვის მიხედვით, რუსეთსა და დასავლეთს შორის „დაპირისპირების ახალი ეპოქა“ სწორედ გეოპოლიტიკის საფუძველზე დაიწყო და „ამან გაზარდა მზაოდა და შესაძლებლობა რუსეთმა განახლებული ძალებით დაიცვას საკუთარი ინტერესები „ (კარაგანოვი, 2007,25)

გეოპოლიტიკური დაპირისპირება, რამაც საბოლოოდ ყირიმის ანექსია გამოიწვია, დაიწყო ნარინჯისფერი რევოლუციით უკრაინაში 2004 წელს[28] და დასრულდა პრო-რუსული მთავრობის „ ჩამოგდებით“ 2014 წლის 22 თებერვალს. ციგანკოვი (2015) შენიშნავს, რომ ის 2004 წელს ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ პრო-დასავლურ და პრო-რუსულ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დაიწყო, 2010 წლამდე ქვეყანას პრო-დასავლური ორიენტაციის მქონე პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი მართავდა, იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ კი რუსეთის მთავრობა უკრაინის მისი კონტროლისა და გავლენის სფეროში მოქცევას ცდილობდა და პრეზიდენტი ამ „ძლიერი კავშირების“ გარანტორი იყო ,

[28] ზოგადად რუსეთს არაერთხელ აღუნიშნავს „ფერადი რევოლუციებისა“ და არაბული გაზაფხულის - „ძალით თავს მოხვეული“ დემოკრატიზაციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.

„რუსეთის უსაფრთხოების ინტერესების დამცველი“ . (ციგანკოვი, 2015, 284-291) რუსეთის მცდელობებს შორის ბოლოს წარმოადგენდა 2013 წლის ოქტომბერში უკრაინისთვის 15 მილიარდი დოლარის დახმარების შეთავაზება, თუმცა საბოლოოდ იანუკოვიჩის მთავრობამ ქვეყანა დატოვა (22 თებერვალს, ევრომაიდანის დროს) და რუსეთმა „დაკარგა“ უკრაინა.

მირშაიმერიც (2014) გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას უკავშირებს ყირიმის ანექსიას , გარდა იმისა, რომ ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოება ხდება რუსეთის საზღვრებთან, უკრაინის რევოლუცია და პრო-დასავლური მთავრობის დაფუძნება იყო ის მიზეზები, რამაც რუსეთის ქმედებების „პროვოცირება მოახდინა“ და არა აუცილებლად რუსეთის აგრესიულობა. და ეს შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: 2013 წლის თებერვალში ძალაუფლების/უკრაინაში მთავრობის ცვლილებამ უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის გადაწყვეტილებაზე მოეპოვებინა ყირიმზე კონტროლი. პრო-რუსული ორიენტაციის პრეზიდენტითა და ბუნებრივ აირზე დამოკიდებულებით რუსეთს გარანტირებული ჰქონდა საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიციები, ხოლო აღნიშნული ცვლილებები და „პრო-რუსული მთავრობის კრახი ბოლო წვეთი იყო“ რუსეთისთვის და კონტროლის მოპოვება ყირიმის ანექსიით გადაწყვიტა. რუსეთის გადასახედიდან ევროკავშირთან პარტნიორობა და შეთავაზებები „ტროას ცხენის როლს თამაშობენ უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებისთვის“ (ციგანკოვი, 2015, 281-290).

როგორც 2009 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მე-17 პარაგრაფში ვკითხულობთ *„ნატო-სთან ურთიერთობებში განმსაზღვრელი ფაქტორია, რომ რუსეთის გეგმებისთვის მიუღებელია ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება მის (რუსეთის) საზღვრებთან ახლოს და მცდელობები, რომ შეითავსოს გლობალური ფუნქციები, რაც საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ქმედებაა“.*

შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია იყო სწორი სტრატეგიული სვლა „გეოპოლიტიკურ მეტოქეობაში“ ბალანსის მოსაპოვებლად, კერძოდ, შავ ზღვაზე

(თბილ წყლებზე ზოგადად) კონტროლს აქვს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა , რამდენადაც დასავლეთს უკვე ჰქონდა შავ ზღვაზე წვდომა; გარდა ამისა სევასტოპოლში სამხედრო ბაზის შენარჩუნებაც რუსეთის მნიშვნელოვანი ინტერესი იყო. ამგვარად, ყირიმის ანექსია იყო ბოლო რამ, რაც რუსეთს შეეძლო გაეკეთებინა იმისათვის, რომ საკუთარი „დამარცხება“ არ ეგემა - *„უკრაინაზე გავლენის დაკარგვა უდავოდ იქნებოდა მთავარი გეოპოლიტიკური დამარცხება კრემლისთვის და პუტინი ცდილობს დაანახოს გარე სამყაროს, რომ რუსეთს შეუძლია საკუთარი პოზიციების დაცვა, იმ შემთხვევაშიც კი თუ ამისათვის უკრაინის სახელმწიფოებრიობისათვის ძირის გამოთხრაა საჭირო“* (ციგანკოვი, 2015, 298) და “დასავლეთს შესაძლოა არ მოსწონდეს რუსეთის პოზიცია, თუმცა მას უნდა ესმოდეს მისი ლოგიკა“ (მირშაიმერი, 2014, 3)

ყირიმის ანექსია კარგი ილუსტრაციაა იმ მაგალითისა, როდესაც სახელმწიფო საერთაშორისო ნორმებს იშველიებს და „მათი სახელით მოქმედებს“, მაშინ როდესაც საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას ემსახურება მისი ქმედებები, კერძოდ, რუსეთმა მრავალი ორმხრივი და მრავლმხრივი ხელშეკრულება დაარღვია ყირიმის ანექსიით, ასევე უკრაინის კონსტიტუცია და ბუდაპეშტის მემორანდუმი - (რომელიც, რეალურად უნდა ყოფილიყო უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტორი ბირთვული იარაღის ჩაბარების სანაცვლოდ);

„საერთო ქმედებების ღირებულებების დაფუძნება უკრაინისა და სხვა ევრაზიის სახელმწიფოების მიმართ ფუჭი იყო; რუსეთი და დასავლეთი რომ შეთანხმებულიყვნენ ასეთ წესებზე, ევრომაიდანის რევოლუცია, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი და უკრაინის აღმოსავლეთ-დასავლეთ ნაწილებში ძალადობა შესაძლოა თავიდან არიდებული ყოფილიყო“ (ციგანკოვი, 2015, 298)

7 თეორიული ჩარჩო

„პოლიტიკური რეალიზმი აცნობიერებს პოლიტიკური ქმედების მორალურობის მნიშვნელობას, თუმცა ის ასევე აცნობიერებს მორალსა და წარმატებულ პოლიტიკურ ქმედებას შორის თავიდან აუცილებელ დაძაბულობას...“ ჰანს მორგენთაუ

რამდენადაც ნაშრომის ფოკუსს წარმოადგენს უკრაინის კონფლიქტში დიდი ძალების გავლენის კვლევა, კერძოდ ის, თუ რა გავლენა იქონია რუსეთის საგარეო პოლიტიკამ (რეალპოლიტიკამ) უკრაინის მოვლენების ამგვარ განვითარებაში. თეზისის მთავარი მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ უკრაინა გახდა დასავლეთსა და რუსეთს შორის გეოპოლიტიკური ბრძოლის სარბიელი, შესაბამისად თეორიის გამოყენება შეავსებს ამხსნელ ფაქტორებს. თეორიულ ჩარჩოდ **თავდასხმითი რეალიზმის** არჩევა ხელს შეგვიწყობს დიდი ძალების მოტივები უკეთ ავხსნათ და გავაანალიზოთ.

7.1 თავდასხმითი რეალიზმი - ძირითადი მონახაზი

თავდასხმითი რეალიზმი არის როგორც აღწერითი, ისე ნორმატიული თეორია: ის გამოდგება, როგორც დიდი ძალების წარსული ქმედებების ასახსნელად , ასევე მათი მომავალი ქმედებების წინასწარგანსასაზღვრად. თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით სახელმწიფოსთვის საკუთარი ძალის პოზიციების მაქსიმიზაცია წარმოადგენს უმაღლეს მიზანს, რათა გახდეს სისტემაში ჰეგემონი. *„საუკეთესო გზა იმისათვის, რომ ანარქიულ სისტემაში სახელმწიფო გადარჩეს არის ის, რომ სხვა სახელმწიფოების ხარჯზე მოიპოვოს მოგება“.* მიიჩნევა, რომ ანარქია და შესაძლებლობების გადანაწილება არის ის, რაც საერთაშორისო პოლიტიკაში დიდ საკითხებს ხსნის. (ვოიტი და კაუპი, 2012, 64)

ჯონ. ჯ მირშაიმერი წიგნში „დიდი ძალების პოლიტიკის ტრაგედია“ (2001) აღწერს თავდასხმით რეალიზმსს , როგორც თეორიას დიდი ძალების , ძლიერი სახელმწიფოების ურთიერთობების შესახებ. მირშაიმერის მიხედვით თეორიის მთავარ მიზანს წარმოადგენს

ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკის , მათი ქმედებების (წინასწარ) განსაზღვრა და ახსნა თანამედროვე ერაში.

თეორეტიკოსი აყალიბებს თავდასხმითი რეალიზმის თეორიის 5 მთავარ მოსაზრებას:

- ძლიერი სახელმწიფოები (დიდი ძალები) წარმოადგენენ ანარქიული საერთაშორისო სისტემის უმთავრეს აქტორებს;
- სახელმწიფოების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო სისტემაში გადარჩენა;
- სახელმწიფოები არასდროს ენდობიან სხვა სახელმწიფოების განზრახვებს;
- სახელმწიფოები არიან რაციონალური აქტორები და მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს ძალის მაქსიმიზაცია;
- ყველა სახელმწიფოს გააჩნია თავდასხმითი სამხედრო შესაძლებლობები; (მირშამერი, 2001, 8-11, 30-32)

სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას რაც შეეხება, ის შესაძლებელია, თუმცა საერთაშორისო სისტემის სტრუქტურიდან გამომდინარე ის არსებობს მხოლოდ შეზღუდულად, რამდენადაც ქვეყნებს ძალთა ბალანსის პირობებში არა მხოლოდ აბსოლუტური მოგება ადარდებთ, არამედ შედარებითი მოგება, რადგან **მტრის შედარებითმა მოგებამ შეიძლება შეცვალოს აღნიშნული ბალანსი.**

თავდასხმითი რეალიზმის პოსტულატებზე საუბრისას, მარტივად დავინახავთ მის მსგავსებას რეალიზმის სხვა განშტოებებთან (მაგ: სისტემის ანარქიულობა, თვითგადარჩენის პრინციპი ..) , თუმცა აუცილებელია ასევე განვიხილოთ მისი მთავარი „მეტოქე“ თეორია - თავდაცვითი რეალიზმი და ასევე თავად თავდასხმითი რეალიზმის კრიტიკა.

7.2 თავდაცვითი რეალიზმი

თავდაცვითი რეალიზმიც სისტემას ანარქიულად მიიჩნევს, სახელმწიფოებს შორის უნდობლობას კი მთავარ მოცემულობად, თუმცა ის სახელმწიფოებს ნაკლებ აგრესიულად მიიჩნევს საგარეო პოლიტიკაში, რაც სწორედ მათ მიერ უსაფრთხოების მაქსიმიზაციის სურვილით აიხსნება , მოკლედ რომ შევაჯამოთ თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით დიდ, ძლიერ სახელმწიფოებს შეუძლიათ სტატუს ქვო-ს შენაჩუნება.

მნიშვნელოვანი საკითხია უსაფრთხოების დილემა: ნაუსა და ჯერვისის მიხედვით რეალისტებს სჯერათ, რომ ომი არის გარდაუვალი ნაწილი ანარქიული სისტემისა, სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები და მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს თავდაცვა ძალის მაქსიმიზაციით - რაც უფრო დიდი ძალა აქვს სახელმწიფოს, მით უკეთაა უზრუნველყოფილი მისი უსაფრთხოება, შესაბამისად როდესაც ერთი სახელმწიფო ზრდის საკუთარ უსაფრთხოებას (ძლიერების გაზრდით), ეს იწვევს მეორე სახელმწიფოში საფრთხის შეგრძნებას და მივყავართ მდგომარეობამდე სახელად „უსაფრთხოების დილემა“. ნაუსა და ჯერვისის მიხედვით უსაფრთხოების დილემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც სახელმწიფო ზრდის თავის უსაფრთხოებას შეიარაღებით; უსაფრთხოების დილემასთან გამკლავების გზაა მათ შორის ძალთა ბალანსის დამყარება. (ნაუ, 2011,30-33, ჯერვისი, 2011,413)

მონტგომერის მიხედვით, **თავდაცვითი რეალიზმი საერთაშორისო სისტემას ანარქიულად აღიქვამს და თვლის, რომ სახელმწიფოებს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სურთ ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად, თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით კი საერთაშორისო პოლიტიკაში საერთაშორისო სისტემის სტრუქტურიდან გამომდინარე სტატუს ქვო ძალები იშვიათია, სახელმწიფოებს აინტერესებთ შედარებითი მოგების მოპოვება, სახელმწიფოები ანტაგონისტურად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილები და ისინი ესწრაფიან ძალის მაქსიმიზაციას და არა უსაფრთხოების უზრუნველყოფას.**

სახელმწიფებს სურთ **შედარებითი ძალის** მაქსიმიზაცია თავიანთი მეტოქეების წინააღმდეგ, რათა გახსნენ ჰეგემონები[29] და ეს წარმოადგენს მათ მთავარ მიზანს.

რაც შეეხება თავდასხმითი რეალიზმის კრიტიკას, ის მდგომარეობს მის მთავარ ამხსნელ ფაქტორში: მირშაიმერი შიშს მიიჩნევს უმთავრესად სახელმწიფოების (შედარებითი) ძალის მაქსიმიზაციის ასახსნელად. ჯეკ დონელის მიხედვით, შიში ვერ იქნება აგრესიული ქმედების განმსაზღვრელი (როგორც ამას თეორია ამტკიცებს), რადგან ფსიქოლოგიური კვლევები შიშს აღწერენ, როგორც ემოციურ აქტს და შიში აქტორებს უბიძგებს თავდაცვისკენ, ანუ თუ ისინი „გარბიან“ ამას აკეთებენ თავდაცვის მიზნით, ამგვარად შიში მათი ქმედებების მოტივების ასახსნელად ვერ გამოდგება, ასევე ისეთ შემთხვევებში, როდესაც შიდა ფაქტორები თამაშობენ დიდ როლს, „თავდასხმით რეალიზმსს სათქმელი ბევრი არაფერი აქვს“ (ვოიტი და კაუპი, 2012, 64), თუმცა ვინაიდან ნაშრომი შეეხება უკრაინის კრიზისის განმაპირობებელი გარე ფაქტორების შესწავლას, თეორია აღნიშნულის ახსნაში ცალსახად გამოსადეგია.

7.3 უკრაინის კრიზისი თავდასხმითი რეალიზმის თვალთახედვიდან

უკრაინის კონფლიქტი წარმოადგენს იმის ცხად მაგალითს, რომ სახელმწიფოს ეროვნული ინტერესი ყველაფერზე მაღლა დგას სახელმწიფოებისათვის. უკრაინის კრიზისის საწყისებს რუსეთის საგარეო პოლიტიკის ბუნებაში ვხედავთ, რამდენადაც ცივი ომის შემდგომაც (პირველი რამოდენიმე წლის გამოკლებით) რუსეთის ფედერაცია განაგრძობდა საერთაშორისო პოლიტიკაში რეალიზმის პრინციპების თანახმად ოპერირებას, განსაკუთრებით კი 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, მთავრობის შეცვლის შემდეგ. ეკონომიკური აღმავლობის შემდეგ საერთაშორისო მოვლენებში ჩართულობის სურვილი , აშშ-სა და დასავლეთის მიერ „უმცროს პარტნიორად“ აღქმა, ყოფილი პოსტ-საბჭოთა ქვეყნების/მათზე გავლენის დაკარგვის შიში (იქ დასავლეთის გავლენის დამკვიდრება) და

[29] ჰეგემონი - “უმაღლესი ლიდერი“ (ოქსფორდის ლექსიკონი) საერთაშორისო ურთიერთობებში ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფო

დიდი ძალის სტატუსის დაბრუნება ის მიზეზებია, რასაც რუსეთის თვითდამკვიდრების პოლიტიკა ემსახურება და ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პუტინი რეალპოლიტიკით ხელმძღვანელობს.

იმისათვის , რომ გავაანალიზოთ ის თუ რამდენად ხსნის თავდასხმითი რეალიზმი 2014 წლის უკრაინის მოვლენებს, სასურველია პირველ რიგში აქტორებს შორის ურთიერთმიმართებას და სისტემურ ცვლილებებს მივაქციოთ ყურადღება. ევროკავშირის ქმედებები უკრაინის მიმართ ძირითადად ეფუძნება დიპლომატიას, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაც მისი ნაწილია და რაციონალურობის პრინციპში ჯდება, მისი მიზანია რუსეთის შეჩერება, რათა მან მეზობელი ქვეყნის დესტაბილიზაცია არ მოახდინოს.

პუტინის 18 მარტის მიმართვაში ვკითხულობთ:

„მათ (დასავლეთი) მრავალჯერ მოგვატყუეს, მიიღეს გადაწყვეტილებები ჩვენს ზურგს უკან... ეს მოხდა ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებით, სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებით ჩვენს საზღვრებთან.., სარაკეტო თავდაცვის სისტემის განთავსებით, მიუხედავად ჩვენი გაღიზიანებისა პროექტი მუშაობს და წინ მიიწევს... და ისინი აგრძელებენ ჩვენთვიის თქმას „ეს თქვენ არ გეხებათ“, ... მრავალჯერ მოგვისმენია კიევის განცხადებები ნატო-ში შესვლის შესახებ, ეს რას უნდა ნიშნავდეს ყირიმისა და სევასტოპოლის მომავლისათვის? ***ნატო-ს საზღვაო ფლოტი იქნებოდა ახლა ზუსტად რუსეთის სამხედრო დიდების ქალაქში...*** *რომ არა ყირიმელი ხალხის არჩევანი . (* რომ არა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია - ავტორის შენიშვნა) *ჩვენ წინააღმდეგები ვართ, რომ სამხედრო ალიანსმა (ნატო) ჩვენს უკანა ეზოში (backyard) ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე დაიდოს ბინა. (კრემლი, 2014)*

აღნიშნული ამონარიდი ცხადყოფს იმას, რომ რუსეთი ცივი ომის დაშლის დღიდან თავს აშშ-ს „ჯუნიორ პარტნიორად“ აღიქვამდა, რასაც მის „ზურგს უკან“ მიმდინარე ნატო-ს

გაფართოებაც ემატებოდა, ასევე მის ახლო სამეზობლოში - გავლენის სფეროში შემავალ ქვეყნებში „ფერადი რევოლუციები“, დემოკრატიზაციის გამალებული პროცესი და ევროკავშირთან აღნიშნული ქვეყნების დაახლოება. მიუხედავად რუსეთის მიერ რეგულარულად გამოთქმული უარყოფითი განცხადებებისა აღნიშნული მოვლენების მიმართ, დასავლეთი კვლავ განაგრძობდა იგივე გზით სვლას. **ამგვარად, რუსეთის ქმედებები - ყირიმის ანექსია და მოგვიანებით აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების მხარდაჭერა უკრაინის შემდგომი დესტაბილიზაციისათვის აბსოლუტურად რაციონალური ქმედება იყო და რუსეთის მიზანს შედარებითი მოგების მაქსიმიზაცია წარმოადგენდა დასავლეთთან მიმართებით.**

თავდასხმითი რეალიზმის[30] მიხედვით ორივე მხარე - რუსეთიც და დასავლეთიც მოქმედებდა მაქსიმალური მოგების მოპოვების ტაქტიკით სხვის ხარჯზე. თეორიის მიხედვით „საერთაშორისო სისტემაში დიდი ძალები ცდილობენ შედარებითი მოგების მაქსიმიზაციას, რადგან ეს არის ოპტიმალური გზა თავიანთი უსაფრთხოების უზრუველყოფისა“, უკრაინის შემთხვევაშიც იგივეს ვხედავთ - რუსეთმა ყირიმის ანექსიითა და პრო-რუსული ძალების მხარდაჭერით უკრაინაში ხელი შეუწყო უკრაინის დასუსტებას და დაყოფას. ამ გზით უკრაინის „ღირებულება“ დასავლეთისთვის გააუფასურა, შედეგად ის მოგება, რაც დასავლეთს ექნებოდა უკრაინისგან შემცირდა, რაც რუსეთისათვის სასიკეთო ფაქტორია, რადგან შედარებითი მოგების (ევროკავშირისა და ნატო-ს მხრიდან) წილმაც რუსეთთან მიმართებით შესაბამისად დაიწია.

ჯონ.ჯ მირშაიმერის სტატიაშიც (2014) ვკითხულობთ, რომ ის კრიზისის საწყისებს ხედავს ნარინჯისფერი რევოლუციიდან (2004) მოყოლებული, რაც დასავლური „შეტევით“ გრძელდებოდა მთელი დეკადის მანძილზე (2004-2014 წლებში). კლინტონის ადმინისტრაციის მიერ ნატო-ს ექსპანსიის წახალისება, გაფართოების ორი რაუნდი 1999 წელს, 2004 წელს - ყველა აღნიშნული არის დასავლეთის რეალპოლიტიკის გამოძახილი

[30] მაშინ როცა თავდაცვითი რეალისტები ამტკიცებენ, რომ უკრაინის კონფლიქტი საერთაშორისო სისტემაში რუსეთის მიერ საკუთარი არსებული ადგილის შენარჩუნებით იქნა განპირობებული და ინტერვენცია იყო „გადარჩენის“ სურვილი, დასავლეთისაგან მომავალი გეოპოლიტიკური საფრთხისგან გადარჩენის.

და ამ ქმედებების ფესვები თავდასხმით რეალიზმშია. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე (რომელზეც აშშ-ს დაჟინებული მხარდაჭერით) ნატო-მ საქართველო და უკრაინა პოტენციურ კანდიდატებად გამოაცხადა[31], ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება უკრაინასთან კი იყო „მოსკოვის ორბიტიდან უკრაინის მოწყვეტის ბოლო იარაღი". დასავლური ღირებულებებისა და დემოკრატიული მოდელის მხარდაჭერა დასავლეთის მიერ (ორგანიზაციებისა და ინდივიდების დაფინანსების გზით) და ყველა ზემოთჩამოთვლილი ქმედებები - მათი გათვალისწინებით უკრაინის კრიზისის დაწყებაზე პასუხისმგებლობა - რუსეთის პროვოცირება- დასავლეთს ეკუთვნის, შესაბამისად „პუტინის საპასუხო ქმედება არ უნდა ყოფილიყო სიურპრიზი" , არც პრინციპული და არც სპეციფიკური ტაქტიკური მიდგომის თვალსაზრისით. ყირიმის ანექსია გათვლილი იყო რუსეთის ძირითადი სამხედრო ბაზის დაკარგვის თავიდან არიდებაზე. ამას გარდა ეს იყო პასუხი დასავლეთის „მცდელობებზე, რომ „ „გადაექციათ უკრაინა დასავლეთის დასაყრდენად ზედ რუსეთის საზღვართან" .

[31] „ რაზეც პუტინმა ..განაცხადა რომ ის გაანადგურებდა უკრაინას ვიდრე დაუშვებდა მის ნატო-ს წევრობას " Foreign Affairs, კონფერენცია უკრაინის კრიზისის შესახებ, 2014, სექტემბერი, https://www.foreignaffairs.com/press/conference-call-john-mearsheimer-ukraine-crisis

8. დასკვნა

რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიისა და უკრაინაში ინტერვენციის შემდეგ რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დაძაბულობამ ცივი ომის დასრულების შემდგომ უპრეცედენტოდ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია. უკრაინის მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო წესრიგი, რაც თავისთავად განაპირობებს აღნიშნული თემის აქტუალობას. ყირიმის ანექსიის/უკრაინაში ინტერვენციის შემთხვევა კარგი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ მიდიან სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლისა და დამკვიდრებული ნორმების წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ისინი მათ ეროვნულ ინტერესებსა და მიზნებს ეწინააღმდეგება. რუსეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო შეენარჩუნებინა საკუთარი გავლენა და პოზიცია უკრაინაში/ყირიმში (და შავი ზღვის ფლოტი სევასტოპოლში) და დაუყოვნებლივ იმოქმედა, როდესაც უკრაინამ დაიჭირა პრო-დასავლური მხარე.

ზემოთმდებარე ნაშრომი ემსახურებოდა მიზანს, რომ პასუხი გაეცა მთავარი საკვლევი კითხვისთვის, **თუ რა მოტივები იყო განმსაზღვრელი რუსეთისათვის უკრაინაში ინტერვენციის განსახორციელებლად.** მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის კომპლექსური კვლევა კარგი ბაზისია იმისათვის, რომ საერთშორისო არენაზე მსგავსი მოვლენების - რუსეთის ფედერაციის სხვა პოტენციური მსგავსი ნაბიჯების წინასწარ განსაზღვრა მოხდეს. უკრაინის ინტერვენციის ანალიზი განსაკუთრებით საქართველოსთვისაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც საქართველოსა და უკრაინას საერთო აქვთ რამდენიმე რამ: ახლო წარსული , რუსეთის ფედერაციის განსაკუთრებული ინტერესი მათ მიმართ (ახლო სამეზობლოს ქვეყნები, გავლენის სფერო, რომელშიც რუსეთს პრივილეგირებული ინტერესები გააჩნია) და ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვა, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის ინტერესებს, მოაქციოს და დატოვოს ისინი საკუთარ ორბიტაში. ამასთან, რუსეთმა 2008 წელს საქართველოშიც განახორციელა ინტერვენცია, რაც ყირიმის ანექსიის შემთხვევასთან ერთად დამაფიქრებელ ტენდენციას ქმნის.

2014 წლის მოვლენების საწყისები რუსეთის საგარეო პოლიტიკის დინამიკაში უნდა ვეძიოთ. საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები განგრძობითობაში იყო - ლიბერალური ინტერნაციონალიზმის ეპოქა მალევე შეიცვალა გეოპოლიტიკური რეალიზმით, რუსეთის როლის ხაზგასმით ახლო სამეზობლოში; კერძოდ **„პრიმაკოვის დოქტრინა“** რეალპოლიტიკის გარდამტეხი წერტილი და რუსეთის **დიდი სტრატეგიის** მაკონსტრუირებელი აღმოჩნდა. რუსეთი ნატო-ს გაფართოების მიზნების ეროვნული უსაფრთხოების საკითხად და მტრულ ნაბიჯად მოხსენიებას, ასევე დსთ-ს ქვეყნებში რუსეთის წამყვანი როლის ხაზგასმას აქტიურად ახორციელებდა წლების მანძილზე და ის თავს აღიქვამდა ერთადერთ ძალად, რომელსაც ცალმხრივი ინტერვენციის უფლება აქვს, თუკი საფრთხე ექმნებათ რუს უმცირესობებს, რის გამოძახილსაც ვხედავთ ყირიმის ანექსიის შემთხვევისას.

XXI საუკუნის დასაწყისიდან განვითარებული მოვლენები - აშშ-ს ერაყში შესვლა, ფერადი რევოლუციები და არაბული გაზაფხული, დასავლეთის ლიბიაში ინტერვენცია, ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებები, ასევე 2011 წელს არჩევნებთან დაკავშირებული საპროტესტო გამოსვლები რუსეთში - ისინი ზეგავლენას ახდენდა რუსეთის (დასავლეთისგან მომავალი) საფრთხეების აღქმებზე , პარალელურად კი ოფიციალურ დოკუმენტებსა და განცხადებებში ცხადად ვხედავდით რუსეთის მთავარ ძალად და მის მსოფლიოს ერთ-ერთ პოლუსად გადაქცევის განგრძობით სურვილს. ხოლო 2008 წლის ბუქარესტის სამიტი ერთგვარად გარდამტეხი წერტილი იყო და მას რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესია მოჰყვა, ხოლო 2014 წელს უკრაინის ინტერვენცია.

რუსეთის ფედერაციას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ნატო წარმოადგენს მისთვის პირდაპირ საფრთხეს, რომ თუ უკრაინა შეუერთდებოდა ნატო-ს, ის შეწყვეტდა არსებობას, ან რომ უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება არ შეუწყობს ხელს ევროპაში სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ამრიგად, უკრაინაში ინტერვენციის შემდეგი მთავარი მოტივები გამოიკვეთა :

რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებობს **„ინტეგრაციის დილემა“**, რაც ინტეგრაციას - სრულებით **პოზიტიური ჯამის პროცესს გარდაქმნის ნულოვანი ჯამის თამაშად,** იმ სახელმწიფოსთვის რომელსაც შეზღუდული აქვს საშუალება გაწევრიანდეს იგივე ორგანიზაციებში; შესაბამისად, რუსეთს ყირიმის ანექსიითა და უკრაინის ინტერვენციით სურდა მოეპოვებინა გეოპოლიტიკური უპირატესობა და ეპასუხა იმ საფრთხეებზე, რაც დასავლეთისგან მოდის; ორივე მათგანი ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული.

გეოპოლიტიკური დაპირისპირება უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუციით დაიწყო და დასრულდა პრო-რუსული მთავრობის „ჩამოგდებით“ 2014 წელს. ყირიმის ანექსია იყო სწორი სტრატეგიული სვლა „გეოპოლიტიკურ მეტოქეობაში“ ბალანსის მოსაპოვებლად, კერძოდ, შავ ზღვაზე/თბილ წყლებზე კონტროლია მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის, რამდენადაც დასავლეთს უკვე ჰქონდა შავ ზღვაზე წვდომა; სევასტოპოლში სამხედრო ბაზის შენარჩუნებაც; შესაბამისად ყირიმის ანექსია იყო ბოლო რამ, რაც რუსეთს შეეძლო გაეკეთებინა იმისათვის, რომ საკუთარი გეოპოლიტიკური მარცხი არ ეგემა.

„თუ ნატო განაგრძობს რუსეთის საზღვრებთან მოახლოებას, მოსკოვი მიიღებს „საჭირო ზომებს...“, სწორედ ეს საჭირო ზომა აღმოჩნდა ყირიმის ანექსია, როდესაც კიევში პრო-რუსული მთავრობის პრო-დასავლური მთავრობით შეცვლა რუსეთის მიერ აღქმული იქნა რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებისთვის პირდაპირ საფრთხედ, ყირიმის ანექსიით მან მოახერხა უსაფრთხოების უზრუნველყოფა საკუთარ საზღვრებთან.

ამრიგად, ზემოთმდებარე კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ რუსეთის ქმედებები ყირიმში აიხსნება მისი დასავლეთის მიმართ გეოპოლიტიკური მეტოქეობით და საფრთხეების აღქმებით - ახლო სამეზობლოს ქვეყნების მისი ორბიტიდან , გავლენის სფეროდან გაქრობის საფრთხით .

თავდასხმითი რეალიზმი აღნიშნული კრიზისის თეორიულ გააზრებაში მნიშვნელოვან წვლილს თამაშობს, რამდენადაც თეორიის მიხედვით დიდი ძალები ცდილობენ შედარებითი მოგების მაქსიმიზაციას, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, შესაბამისად უკრაინაში ორივე მხარე - რუსეთიც და დასავლეთიც მოქმედებდა მაქსიმალური მოგების მოპოვების ტაქტიკით სხვის ხარჯზე, ყირიმის ანექსია და მოგვიანებით აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების მხარდაჭერა უკრაინის შემდგომი დესტაბილიზაციისათვის აბსოლუტურად რაციონალური ქმედება იყო რუსეთის მხრიდან და მის მიზანს წარმოადგენდა დასავლეთთან მიმართებით შედარებითი მოგების მაქსიმიზაცია.

დანართი N1 - რუსეთის ხუთი ხედვა მსოფლიოს შესახებ და ეროვნული ინტერესები

	მსოფლიოს აღქმა	**ეროვნული ინტერესი**
გორბაჩოვი	ცივი ომის კრიზისი	ახალი ხედვა და კულტურათშორისი დიალოგი
ელცინი/ კოზირევი	დასავლეთის ინსტიტუციონალური დომინანტობა	დასავლეთთან ინტეგრაცია
პრიმაკოვი	აშშ-ს ჰეგემონობა (ძლიერება)	აშშ-ს დაბალანსება
პუტინი I	ტერორიზმი და ეკონომიკური მეტოქეობა	პრაგმატული თანამშრომლობა დასავლეთთან
პუტინი II	აშშ-ს უნილატერალიზმი	თვით-დამკვიდრება (ASSERTIVENESS)

წყარო - ციგანკოვი, ა, (2010) , *რუსეთის საგარეო პოლიტიკა : ცვლილებები და განგრძობითობა ეროვნულ იდენტობაში* , გვ.226. (ციტირებულია სიგურდსონი, 2015)

დანართი N2 - ყირიმის რუკა

წყარო - BBC, 2018, ყირიმის პროფილი

დანართი #3, უკრაინის რუკა

წითლად აღნიშნული ტერიტორია - პრო რუსული მეამბოხეების მიერ კონტროლირებადი

ნაცრისფრად - უკრაინის მთავრობის მიერ კონტროლირებადი

შავად - ყირიმი, რუსეთის მიერ ანექსირებული

წყარო - Aljazeera.com *(2017)*

გამოყენებული ლიტერატურა:

(ყველა ბმული ბოლოს ნანახია 07.02.2018)

1. Alcari, R, (2015), *West-Russia Relations in Light of the Ukraine Crisis*, Edizioni Nuova Cultura, Rome, internet http://www.iai.it/sites/default/files/iairp_18.pdf
2. Aljazeera, (2017), *Ukraine: Who controls what A map showing which areas are controlled by the government and pro-Russian rebels.* http://www.aljazeera.com/indepth/interactive/2017/02/ukraine-map-170205081953296.html
3. Allison, R, (2014) *Russian 'deniable' intervention in Ukraine: how and why Russia broke the rules , International Affairs, 90 (6)* http://commonweb.unifr.ch/artsdean/pub/gestens/f/as/files/4760/39349_202339.pdf
4. Artman,V,M (2014), *Annexation by passport* http://america.aljazeera.com/opinions/2014/3/ukraine-russia-crimeapassportizationcitizenship.html
5. BBC News, (2017), *Ukraine conflict: Russia accused of terrorism and discrimination at ICJ ,* http://www.bbc.com/news/world-europe-39177504
6. BBC News, (2018), *Crimea Profile,* http://www.bbc.com/news/world-europe-18287223
7. BBC News, (2018), *Ukraine crisis: Kiev defines Russia as 'aggressor' state* http://www.bbc.com/news/world-europe-42741778
8. BBC. (2014). *Ukraine Crisis-Timeline*. [Online] Available at: http://www.bbc.com/news/world-middle-east-26248275
9. BBC. (2015). *Ukraine crisis: Rebels 'intensify Donetsk and Luhansk attacks,* [Online] Available at: http://www.bbc.com/news/world-europe-30744825
10. Bebler, A, (2015), Crimea and the Russian Ukrainian Conflict, Security Policy Library, The Norwegian Atlantic Committee,

http://www.atlanterhavskomiteen.no/files/dnak/Documents/Publikasjoner/2015/Spb_1-15.pdf

11. Brzezinski, Z (1998). *The Grand Chessboard, American Primacy and its Geostrategic Imperatives.* Basic books, USA (http://www.takeoverworld.info/Grand Chcssboard.pdf)
12. Butkevych, V, G. (1992), who Has A Right To Crimea , http://www.infoukes.com/history/crimea/page-12.html
13. Chan, S., (2017), *European Court Faults Russia's Handling of 2004 Beslan School Siege* https://www.nytimes.com/2017/04/13/world/europe/beslan-school-siege-european-court-ruling.html
14. Charap S. & Shapiro J. (2014), *How to Avoid a New Cold War,* internet **,** http://scharap.fastmail.net/files/CurrentHistory.pdf
15. Charap, S & Troitskiy, M, Russia, (20014), the *West and the Integration Dilemma,* The International Institute for Strategic Studies, vol. 55 no. 6, http://scharap.fastmail.net/files/55-6-04-Charap-and-Troitskiy.pdf
16. Deutsche Welle, (2014), *Caucasus history almost repeats itself in Crimea* , http://www.dw.com/en/caucasus-history-almost-repeats-itself-in-crimea/a-17482549
17. Donaldson, H, R., (2000) *BORIS YELTSIN'S FOREIGN POLICY LEGACY,* University of Tulsa Presented to the 41st Annual Meeting of the International Studies Association, Los Angeles, California, http://www.personal.utulsa.edu/~robert-donaldson/yeltsin.htm
18. Donnelly, J, (2000) *Realism and International Relations,* University Press, Cambridge, UK, intenet : https://pdfs.semanticscholar.org/6bba/17bdf690c86a6ecc5b28f8696825b8786faa.pdf
19. Dragneva, R & Wolczuk , K, (2017), *The Eurasian Economic Union Deals, Rules and the Exercise of Power,* Russia and Eurasia Programme , Chatham House, https://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/publications/research/2017-05-02-eurasian-economic-union-dragneva-wolczuk.pdf
20. Duke S. & Gebhard C. (2017), *The EU and NATO's Dilemmas with Russia and the Prospects for Deconfliction*, European Security 26 (3).

http://www.pol.ed.ac.uk/__data/assets/pdf_file/0007/233854/Duke_and_Gebhard_-_The_EU_and_NATOs_Dilemmas_PURE.pdf

21. EAEUNION.org, *About EAEU, http://www.eaeunion.org/?lang=en*

22. EEAS.EUROPA.EU, *Eastern Partnership* https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/419/eastern-partnership_en

23. Essays, UK., *(2013). Putin And Yeltsin Foreign Policy Applications Politics Essay. Retrieved from* https://www.ukessays.com/essays/politics/putin-and-yeltsin-foreign-policy-applications-politics-essay.php?cref=1

24. Foreign Affairs, (2014), *Conference Call with John Mearsheimer on the Ukraine Crisis*, https://www.foreignaffairs.com/press/conference-call-john-mearsheimer-ukraine-crisis

25. Gerdzhikova, D, (2015),*The Russian Intervention and Use of Force in Crimea – "Did the annexation of Crimea constitute an act of aggression by Russia?",* Tilburg University, http://arno.uvt.nl/show.cgi?fid=137385

26. Giles , k , (2009), *review of Russia's National Security strategy to 2020*, NATO Defence College, https://www.files.ethz.ch/isn/154909/RusNatSecStrategyto2020.pdf

27. Giles, K, (2017), *The Turning Point for Russian Foreign Policy,* The Letort Papers, Strategic Studies Institute, U.S Army War College, Carlisle, PA

28. Globalresearch, (2008) *Putin's speech on Bucharest Summit,* https://www.globalresearch.ca/putin-confronts-nato-at-bucharest-summit/8558

29. Heikka, H (2005),*The Evolution of Russian Grand Strategy – Implications for Europe's North,* University of Birmingam http://www.bits.de/EURA/heikka.pdf

30. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf

31. International court of justice,(2017), *The Court finds that Russia must refrain from imposing limitations on the ability of the Crimean Tatar community to conserve its*

representative institutions, including the Mejlis, and ensure the availability of education in the Ukrainian language http://www.icj-cij.org/files/case-related/166/19412.pdf

32. Jervis, R, (2001), https://pdfs.semanticscholar.org/7b75/edde209e5584c0f179066389979981898702.pdf Journal of Cold War Studies Vol. 3, No. 1, Winter 2001, pp. 36–60
33. Karaganov, S. (2014). *Russia and the U.S.: A Long Confrontation?.* Russia in Global Affairs.[Online] Available at: http://eng.globalaffairs.ru/number/Russia-and-the-US-A-Long-Confrontation-16990
34. Kimball, S, (2014) *Bound by treaty: Russia, Ukraine and Crimea,* http://www.dw.com/en/bound-by-treaty-russia-ukraine-and-crimea/a-17487632
35. Kimball, S, (2014), *Bound by treaty: Russia, Ukraine and Crimea* http://www.dw.com/en/bound-by-treaty-russia-ukraine-and-crimea/a-17487632
36. Kissinger, A, H (2014), *To Settle the Ukraine Crisis, Start at the End, Washington Post,* https://www.washingtonpost.com/opinions/henry-kissinger-to-settle-the-ukraine-crisis-start-at-the-end/2014/03/05/46dad868-a496-11e3-8466-d34c451760b9_story.html?utm_term=.b3841f0762c1
37. Kramer, M. (2014) , *Why Did Russia Give Away Crimea Sixty Years Ago?,* Wilson Center, CWIHP e-Dossier No. 47, https://www.wilsoncenter.org/publication/why-did-russia-give-away-crimea-sixty-years-ago
38. Kravchenko, V. (2016). *Frontline Ukraine. Review of the book by Sakwa.R (2015), Frontline Ukraine, Crisis in the Borderlands* . London: I.B. Tauris, 2015, Journal of Ukrainian Studies. 3. 155. 10.21226/T2V88W, https://www.researchgate.net/publication/304577389_Frontline_Ukraine
39. Light M. (2015) Russian *Foreign Policy Themes in Official Documents and Speeches: Tracing Continuity and Change.* In: Cadier D., Light M. (eds) Russia's Foreign Policy. Palgrave Studies in International Relations Series. Palgrave Macmillan, London

40. Lo,B (2002) . *Russian Foreign Policy in the Post-Soviet Era Reality, Illusion and Mythmaking,* Palgrave Macmillan , NY https://www.e-reading.by/bookreader.php/135956/Russian_Foreign_Policy_in_the_Post-Soviet_Era_-_Reality,_Illusion_and_Mythmaking.pdf

41. Lukin,A., (2014), What the Kremlin Is Thinking ; Putin's Vision for Eurasia , Foreign Affairs July/August, https://www.foreignaffairs.com/articles/russia-fsu/2014-06-16/what-kremlin-thinking
42. Mansfield, K, (2017), *THIS MEANS WAR? Russia warns attempt by Ukraine to join NATO will mean end of peace,* https://www.express.co.uk/news/world/827282/russia-ukraine-nato-peace-alliance-war-crimea-putin
43. Marxsen, C, (2014), *The Crimea Crisis: An International Law Perspective*, Heidelberg Journal of International Law 367 , http://www.mpil.de/files/pdf4/Marxsen_2014_-_The_crimea_crisis_-_an_international_law_perspective.pdf
44. Marxsen, C. (2014), The Crimea Crisis An International Law Perspective, ZaöRV 74 , 367-391, http://www.socialglobalstudies.com/LAW-12/clnunit4caseukrainethecrimeacrisis.pdf
45. McFaul M, Sestanovich S & Mearsheimer J.J, (2014) *Faulty Powers Who Started the Ukraine Crisis?,* Foreign Affairs, November-December 2014, https://www.foreignaffairs.com/articles/eastern-europe-caucasus/2014-10-17/faulty-powers
46. McFaul, M, (1999), *What Are Russian Foreign Policy Objectives?,* Carnegie Endowment for International Peace, http://carnegieendowment.org/1999/05/01/what-are-russian-foreign-policy-objectives-pub-424
47. Mearsheimer, J.J. (2001). *The tragedy of great power politics.* New York: W.W , Norton & Company, internet https://samuelbhfauredotcom.files.wordpress.com/2015/10/s2-mearsheimer-2001.pdf
48. Mearsheimer, John J. (2014) "Why the Ukraine Crisis Is the West's Fault: The Liberal Delusions That Provoked Putin". Foreign Affairs, September. http://www.foreignaffairs.com/articles/141769/john-jmearsheimer/why-the-ukraine-crisis-is-the-wests-fault

49. Morenkova Perrier, E, (2014), *The Key Principles of Russian Strategic Thinking,* LABORATOIRE DE L'IRSEM , #22
50. NATO.int, (1999), *agreed Points on Russian Participation in KFOR ,* https://www.nato.int/kosovo/docu/a990618a.htm
51. NATO.int, (2008), *Bucharest Summit Declaration*, https://www.nato.int/cps/ua/natohq/official_texts_8443.htm
52. Nato.int, (2017), *Enlargement* , internet https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49212.htm
53. Nelson , R. M. (2017), *U.S. Sanctions and Russia's Economy ,* Congressional Research Service 7-5700 , https://fas.org/sgp/crs/row/R43895.pdf
54. Nitoiu, C (2017), *Book Review: Andrei P Tsygankov, Russia's Foreign Policy: Change and Continuity in National Identity* , http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/1478929916687777
55. Nünlist , C & Thränert, O, (2015) Putin's Russia and European Security, CSS Analyses in Security Policy, N0. 172, http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CSSAnalyse172-EN.pdf
56. Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, (2017), *Report on the human rights situation in Ukraine 16 February to 15 May 2017* , http://www.ohchr.org/Documents/Countries/UA/UAReport18th_EN.pdf
57. Ollivier, M (2015), *Russia's Resurgence An international legal analysis of Russia's intervention in Ukraine,* University of Otago, http://www.otago.ac.nz/law/research/journals/otago451219.pdf
58. OSCE.org, *Helsinki Final act*, http://www.osce.org/helsinki-final-act?download=true
59. Pircenter.org, (1994), *Memorandum on Security Assurances in connection with Ukraine's accession to the Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons* http://www.pircenter.org/media/content/files/12/13943175580.pdf
60. RFERL, 2014, Explainer: The Budapest Memorandum And Its Relevance To Crimea https://www.rferl.org/a/ukraine-explainer-budapest-memorandum/25280502.html

61. Rühle, M. (2014). *NATO Enlargement and Russia: Discerning Fact from Fiction.* American Foreign Policy Interests: The Journal of the National Committee on American Foreign Policy. Vol. 36 Issue 4, pp. 234-239, 5p. Article. [Online] Available at: http://dx.doi.org/10.1080/10803920.2014.947879
62. Russian Analytical Digest, (2009), #62, internet http://www.css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/RAD-62.pdf
63. Russian Foreign Policy Concept, 2000, https://fas.org/nuke/guide/russia/doctrine/econcept.htm
64. Russian National Security Strategy, (2015), http://www.ieee.es/Galerias/fichero/OtrasPublicaciones/Internacional/2016/Russian-National-Security-Strategy-31Dec2015.pdf

65. Rybak, V (2017), *Number of those killed in Donbas war rises to 10,090 – UN report* http://euromaidanpress.com/2017/06/13/number-of-those-killed-in-donbas-war-rises-to-10090-un-report/#arvlbdata
66. Sakwa, R. (2008), New Cold War or Twenty Years' Crisis? Russia and International Politics, International Affairs (Royal Institute of International Affairs) 84(2): 241-267. https://is.cuni.cz/studium/predmety/index.php?do=download&did=30439&kod=JPM522
67. Sestanovich, S. (2014). *How the West has won*. Foreign Affairs.Vol. 93 Issue 6, p171-175. 5p. [Online] Available at: http://eds.b.ebscohost.com/eds/detail/detail?vid=8&sid=507eaad3-8b674d88-81711bdbf77af968%40sessionmgr198&hid=117&bdata=Jmxhbmc9c3Ymc2l0ZT1lZHMtbGl2ZSZzY29wZT1zaXRl#db=afh&AN=98998194
68. Shumylo-Tapiola , O., (2012*) Ukraine at the Crossroads: Between the EU DCFTA & Customs Union, Russia/NIS Center, IFRI- Brussels, https://carnegieendowment.org/files/Ukraine_at_the_Crossroads-Between_the_EU_DCFTA__Customs_Union.pdf*

69. Sigurdsson, A , (2015*) Lost in Annexation? The Causes of Russia's Foreign Policy Choices in Crimea,* Iceland , https://skemman.is/bitstream/1946/20832/1/%C3%81rni%20%C3%9E%C3%B3r%20Sigur%C3%B0sson%203007604579%20Meistararitger%C3%B0.pdf

70. Sigurosson, A , (2015*) Lost in Annexation? The Causes of Russia's Foreign Policy Choices in Crimea, Iceland , internet https://skemman.is/bitstream/1946/20832/1/%C3%81rni%20%C3%9E%C3%B3r%20Sigur%C3%B0sson%203007604579%20Meistararitger%C3%B0.pdf*

71. Smith, B, (2016), *Russian foreign and security policy,* Briefing paper, Number CBP 7646, House of Commons, UK

72. Snyder, C, (2017) *Analysis: How a 1999 NATO operation turned Russia against the West* https://pittnews.com/article/121917/opinions/analysis-1999-nato-operation-turned-russia-west/

73. State.gov, *New START,* https://www.state.gov/t/avc/newstart/

74. Taylor, A. (2014), *To understand Crimea, take a look back at its complicated history,* https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2014/02/27/to-understand-crimea-take-a-look-back-at-its-complicated-history/?utm_term=.edd5ddb987cd

75. Telegraph, (2015), *Ukraine crisis: timeline of major events Timeline of the key events in Ukraine following protests in December 2013* , http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/ukraine/11449122/Ukraine-crisis-timeline-of-major-events.html

76. The White House. (2014). *Statement by the President on Ukraine,* Office of the Press Secretary. [Online] Available at: https://www.whitehouse.gov/the-press-office/2014/07/29/statement-presidentukraine

77. Tsygankov, A. (2015). *Vladimir Putin's last stand: the sources of Russia's Ukraine policy*. Post-Soviet Affairs, 31(4), 279-303.

https://www.researchgate.net/publication/272400923_Vladimir_Putin's_last_stand_The_sources_of_Russia's_Ukraine_policy

78. Unknown, (2014). *Boris Yeltsin Leads Russia: 1991–1999*. In J. Stock (Ed.), *Global Events*: *Milestone Events Throughout History* (Vol. 2). Farmington Hills, MI: Gale. Retrieved from http://link.galegroup.com/apps/doc/CNYMAP866511725/WHIC?u=pl2982&xid=227dbcd4

79. Viotti.p & Kauppi,M (2012) *International Relations Theory*, 5th ed. New York: R.R. Donnelley and Sons, 2012

80. Zygar, M,(2009), Voennoe chistilische, Russian Newsweek, 2 December. http://www.runewsweek.ru/country/31376/

81. Караганов, С, А, (2007) ВОКРУГ РОССИИ: 2017 КОНТУРЫ НЕДАЛЕКОГО БУДУЩЕГО, СОВЕТ ПО ВНЕШНЕЙ И ОБОРОННОЙ ПОЛИТИКЕ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ – ВЫСШАЯ ШКОЛА ЭКОНОМИКИ РИО – ЦЕНТР , http://www.svop.ru/public/docs_2007_3_21_1350646666.pdf

82. Концепция внешней политики Российской Федерации (утверждена Президентом Российской Федерации В.В.Путиным 30 ноября 2016 г.), (2016), http://www.mid.ru/foreign_policy/news/-/asset_publisher/cKNonkJE02Bw/content/id/2542248

83. Концепция внешней политики Российской Федерации, (2008), kremlin.ru/acts/news/785

84. Концепция национальной безопасности Российской Федерации, (2000), http://www.mid.ru/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptICkB6BZ29/content/id/589768

85. Обращение Президента Российской Федерации, (2014), http://kremlin.ru/events/president/news/20603

86. Стратегия национальной безопасности Российской Федерации до 2020 года, (2009), http://www.mid.ru/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptICkB6BZ29/content/id/294430

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიზი სრესელი

პოლიტიკური რეკლამების გენდერული ასპექტები (2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების მიხედვით)

მასობრივი კომუნიკაცია და მედიის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მედიის კვლევებში
მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სამაგისტრო პროგრამის
პროფესორი მარიამ გერსამია

საქართველო
თბილისი
2018

ანოტაცია

პოლიტიკური არჩევნები 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელ მსოფლიოში, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ქვეყანაში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესი შესაძლოა საერთაშორისო საზოგადოების ინტერესის საგანიც გახდეს.

სხვადასხვა პარტიის წინასაარჩევნო სარეკლამო რგოლები ერთგვარი ინსტრუმენტია პოლიტიკური გაერთიანებების სოციალიზაციასა თუ რე-სოციალიზაციაში. ექსპერტები წინასაარჩევნო რეკლამას უწოდებენ ბაზრის კონკურენციის ერთგვარ ინსტრუმენტს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოში 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ანალიზი. უფრო კონკრეტულად კი,საკვლევ სუბიექტს მერობის ქალი კანდიდატების წინასაარჩევნო რეკლამები და მათიშედარებითი ანალიზიმამაკაცი კანდიდატების სარეკლამო რგოლებს შორის.

იქიდან გამომდინარე, რომ ქალი პოლიტიკოსების ჩართულობა დღემდე გარკვეული გამოწვევაა არამატო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, საინტერესოა წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების გენდერულ ჭრილში განხილვა.

საქართველოში ამ ეტაპისათვის ჯერ არ ჩატარებულა წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის გენდერულ ჭრილში კვლევა. ეს აჩენს ვარაუდს, რომ ნაშრომი საინტერესო იქნება მკვლევართა ფართო წრისთვის.

სარჩევი

ანოტაცია

სარჩევი

1. შესავალი 4

1.1. ტერმინთა განმარტება 7

2. ლიტერატურის მიმოხილვა 10

2.1.ქართული პოლიტიკის ისტორიის მიმოხილვა გენდერულ ჭრილში 12

2.2.კვლევები - ქართული პოლიტიკის გენდერული წრილში 15

2.3. საერთაშორისო კვლეები - პოლიტიკა გენდერულ ჭრილში 19

2.3.1. ფემინიზმი და გენდერული თანასწორობა 23

2.4.პოლიტიკური რეკლამის არსი და ფუნქციები 26

2.5.უფასო და ფასიანი რეკლამების არსი 28

3. კვლევისმეთოდოლოგია, საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა 31

4. შედეგები და დისკუსია 35

5. დასკვნა 43

ბიბლიოგრაფია

1. შესავალი

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში, თბილისში 12 საარჩევნო ბლოკი/პარტია, ხოლო მერობის 13 კანდიდატი (მათ შორის ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი) იყრიდა კენჭს. წარდგენილი ცამეტი კანდიდატიდან მხოლოდ ორია ქალი - ელენე ხოშტარია და ირმა ინაშვილი.

წარდგენილი საარჩვენო ბლოკი/პარტია და მათი მერობის კანდიდატები იყვნენ:

- სარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო; კანდიდატი - ელენე ხოშტარია
- საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო; მერობის კანდიდატი - კახა კუკავა
- საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; კანდიდატი - ზაალ უდუმაშვილი
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"; კანდიდატი - ირმა ინაშვილი
- „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია"; კანდიდატი - გიორგი გუგავა
- „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა"; კანდიდატი - დავით შუკაკიძე
- „საქართველო"; კანდიდატი - გიორგი ლილუაშვილი
- „ტრადიციონალისტები"; კანდიდატი - ნიკოლოზ სანებლიძე
- „შენების მოძრაობა"; კანდიდატი - თენგიზ შერგელაშვილი
- საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - ერთობა ახალი საქართველო"; კანდიდატი - გიორგი ვაშაძე
- „პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა"; კანდიდატი - ლაშა სტურუა

- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; კანდიდატი - კახა კალაძე
- საინიციატივო ჯგუფი; კანდიდატი -ალექსანდრე ელისაშვილი

მოცემულ ნაშრომში, განხილულია 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე წარდგენილი ორივე ქალი კანდიდატის - ელენე ხოშტარიასა და ირმა ინაშვილის წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამები. გარდა ამისა, შედარებისათვის კვლევის ობიექტად შერჩეულია კაცი კანდიდატების წინასაარჩევნო პოლიტიკური რგოლებიც.

დღევანდელ რეალობაში, სადაც არჩევნები მნიშვნელოვანი მოვლენაა როგორც ქვეყნის ასევე საერთაშორისო მასტაბით, წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების კვლევა, მათი განვითარება აქტუალობას იძენს.

საინტერესო იქნება კვლევის გენდერულ ჭრილში განხილვაც, ვინაიდან ქალების ჩართულობა პოლიტიკაში ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია 21-ე საუკუნეში.

საარჩევნო პერიოდი და მისთვის დამახასიათებელი პროცესები მოცემული დროის გამოწვევებს ასახავს, ხოლო მულტიმედიური კომუნიკაციის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მეტად იზრდება პოლიტიკური რეკლამის როლი.

წინასაარჩევნო რეკლამა ორ ძირითად მიზანს ემსახურება: პარტიის მთავარი იდეა გადასცეს ამომრჩეველს ემოციური, ამავე დროს ლაკონური და ადვილად დასამახსოვრებელი ფორმით; შეუქმნას ამომრჩეველს დადებითი ფსიქოლოგიური განწყობა, რათა ის გარდაქმნას პარტიის ან კანდიდატის მხარმდამჭერად, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მიზნის მიღწევას - გამარჯვებას.

კვლევის საგანს წარმოადგენს 2017 წლის თვითმმართველი ქალაქების არჩევნებში, კერძოდ თბილისში წარდგენილი მერობის ორი ქალი კანდიდატის ფასიანი და უფასო წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამები.

წარდგენილი ქალი კანდიდატები არიან: სარჩევნო ბლოკიდან „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“ წარდგენილი კანდიდატი ელენე ხოშტარია და „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“ - ირმა ინაშვილი.

რაც შეეხება მამაკაც კანდიდატებს, კვლევის ობიექტად შევარჩიე გამარჯვებული პარტიის - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატის კახა კალაძის სარეკლამო რგოლები, მეორე ადგილზე დამოუკიდებელი კანდიდატის - ალექსანდრე ელისაშვილის სარეკლამო რგოლები და მესამე ადგილზე გასული ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ - ზაალ უდუმაშვილის წინასაარჩევნო რეკლამები.

კვლევის მეთოდად შერჩეულია რიტორიკული ანალიზი. კვლევაში ასევე მიმოხილულია რეკლამის განთავსების ასპექტები საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით; სხვა სამართლებრივი საკითხები ფასიანი და უფასო რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით;

საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური განვითარება და არსებული პრობლემები გენდერულ ჭრილში; საქართველოში ჩატარებული კვლევები, რომლებმაც შეისწავლეს ქვეყნის მოსახლეობის მზაობა ქალი პოლიტიკოსების ჩართულობით და გარდა ამისა, ამერიკელი პოლიტიკოსების ქალების ჩართულობის დინამიკა პოლიტიკაში.

1.1 ტერმინთა განმარტება

ნაშრომში გამოყენებული ვიწროსპეციალური ტერმინები საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, განმარტებულია შემდეგნაირად:

- **არჩევნები** – საარჩევნოპროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთ აარჩევა;
- **საარჩევნო სუბიექტი** – შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატი, საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი;
- **მერობის კანდიდატი** – მერის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე.
- **ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო** – საკრებულო; საქართველოს დედაქალაქის – თბილისის საკრებულო, თვითმმართველი თემის საკრებულო, თვითმმართველი ქალაქის საკრებულო.
- **წინასაარჩევნო კამპანია** – საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.
- **პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა** – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომ – მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელისშეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი

ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლებისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ

რეგულაციის მიხედვით პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა **„ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“** ან **„უფასო პოლიტიკური რეკლამა“.** ასეთ რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფაც რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა;

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ განმარტავს, რომ:

- **წინასაარჩევნო რეკლამა არის** – რეკლამა, რომლის მიზანია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირის – მერის არჩევის ხელშეწყობა;

სხვა ტერმინების პროფესიულ ლიტერატურაში განმარტებულია შემდეგნაირად:

- **გენდერი** - გენდერი არის ფიზიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის განსხვავებას საზოგადოებებში. გენდერის ეს თანამედროვე მნიშნელობა თავიდან დამკვიდრდა ქალურობისა და მამაკაცურობის სოციალურ-კულტურული, ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავებული, კონსტრუქტის აღსანიშნავად (**ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში:**http://dictionary.css.ge/content/gender, (ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017)

- **მასკულინობა** - მასკულინობა (ანუ მამაკაცურობა) იმ თვისებათა ნაკრებს გულისხმობს, რომელიც კონკრეტულად მამაკაცთთათვის დამახასიათებლად მიიჩნევა. მისი შესატყვისი ქალებისათვის არის ფემინურობა (ქალურობა) (**ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში:**http://dictionary.css.ge/content/gender, (ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017).
- **ფემინიზმი** - ფემინიზმი მოიცავს თეორიების, იდეოლოგიებისა და სოციალური მოძრაობების ერთობას, რომელთა მიზანიც ქალთა მდგომარეობის თუ გამოცდილებების აღწერა და ანალიზი, ქალის პერსპექტივისა და ავტორიტეტის წინ წამოწევა და ქალთათვის თანასწორი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული უფლებების მოპოვებაა(**ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში:** http://dictionary.css.ge/content/gender, (ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017).

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. ქართული პოლიტიკის ისტორიის მოკლე მიმოხილვა გენდერულ ჭრილში

მას შემდეგ, რაც 1989 წლიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირმა დაიწყო ნგრევა, არაერთი ცვლილება საქართველოს პოლიტიკურ წყობასაც შეეხო. ქვეყანა გამოვიდა კოლონიალური მმართველობიდან, მოიპოვა დამოუკიდებლობა და გადავიდა მმართველობის დემოკრატიულ სტილზე[1].

აღმოსავლეთ ევროპა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. პოსტ-საბჭოთა ქვეყნები ჩაერთვნენ ახალი კონსტიტუციების დაწერისა და მრავალპარტიული საპარლამენტო წყობის შექმნის მორევში. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი წარმატებული აღმოჩნდა რიგი ქვეყნებისათვის, მათ მაინც მოუწიათ გარკვეული ეკონომიკური თუ პოლიტიკური სირთულეების დაძლევა (გიდენსი, 2012). [2]

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის საკმაოდ მწირი გამოცდილება ჰქონდა, ის აღმოჩნდა იმ ქვეყნათაგან, რომელსაც ბევრ დამატებით პრობლემასთან მოუწია გამკლავება.

ცვლილებებმა ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა ქალების ჩართულობას სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

---

[1]გ. ურჩუხიშვილი,ქალები პარტიებში, მითების დეკონსტრუქცია, თბილისი, 2017

[2]ე. გიდენსი, "სოციოლოგია", ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2012, გვ. 388-421

კაპიტალისტურ წყობაზე გადასვლამ, გამოიწვია უმუშევრობის მაღალი დონე, ყველაზე მეტად კი ეს ქალებისთვის გახდა აქტუალური (გიდენტი, 2012). [3]

რაც შეეხება საქართველოს - აქ მდგომარეობა სხვა დისკურსით წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის პოსტ კოლონიალური ქვეყანა, აქ დემოკრატიზაცია და გენდერული თანასწორობა დაუპირისპირდა ეროვნულობას, როგორც ჩამოყალიბდა სხვადასხვა დისკურსები, ისეთი როგორიც არის მაგალითად „ქართველობის წარმევა“, ქალის შრომის გაუფასურება და ა.შ (ურჩუხიშვილი, 2016)[4]

სხვადასხვა წყაროს ანალიზით დგინდება, რომ „90-იანი წლები მძიმე გამოდგა საქართველოსთის და ამ პერიოდში ქალების რაოდენობის ნაკლებობა პოლიტიკაში არ იყო გასაკვირი. თუმცა, შემდგომ წლებში გატარდა უამრავი ღონისძიება, რათა გაზრდილიყო გენდერული თანასწორობა და ინტერესი ქალების პოლიტიკაში ჩართვისა. ამის მიუხედავად, ბევრი დადებითი ცვლილება არ მომხდარა: 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში სულ 18 ქალი პარლამენტარი იყო, რაც შეეხება 2016-2020 წლების მოწვევას პარლამენტში, რაოდება ძალიან არ გაზრდილა და 150 დეპუტატიდან, მხოლოდ 24 არის ქალი. უფრო მეტად მძიმე სურათია რეგიონებსა და თვითმმართველ ერთეულებში“ (ურჩუხიშვილი, 2017).[5]

[3]ე. გიდენსი, “სოციოლოგია“, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2012
[4]გ.ურჩუხიშვილი, ქართული სხეულის სოციოლოგია, „ბოილის ფონდი“, თბილისი, 2016
[5]გ. ურჩუხიშვილი,ქალები პარტიებში, მითების დეკონსტრუქცია, თბილისი, 2017

2.2. კვლევები - ქართული პოლიტიკის გენდერული ჭრილი

2016 წლის ნომებერში NDI - მ (National Democratic Institute)[6] ჩაატარა რაოდენობრივი გამოკითხვა: „ საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“, რომლის კვლევის მიზანი იყო შეესწავლა მოსახლეობის დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით. მოცემულმა კვლევამ ორი დებულება გამოამჟღავნა: მოსახლეობა თვლის, რომ ქალი ქართული პოლიტიკისთვის დადებითი მოვლენა იქნება და წაადგება მას, რისთვისაც აცხადებს მზაობას, მეორე მხრივ კი ეს ყველაფერი არ ხორციელდება რეალობაში (იხილეთ გრაფები: N1, N2)

გრაფა N 1: „ საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“, 2016 წ.



[6]„საზოგადოებრივი განწყობის კვლევა საქართველოში, 2016, NDI, https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_November%202016%20poll_Issues_GEO_vf.pdf , ბოლო ნახვა 5 დეკემბერი, 2017

გრაფა N 1: „ საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“, 2016 წ.



საინტერესოა სხვა კვლევებიც, რომლიც ეხება პოლიტიკური პარტიების გენდერულ ჭრილში შესწავლას. 2012 წლის კვლევების თანახმად, რომელიც შეისწავლიდა შიდაპარტიულ დემოკრატიას საქართველოში, გამოვლინდა საინტერესო მიგნებები (ბაგრათია და სხვები, 2012)[7]:

- *პარტიებში ქალთა ჯგუფებს სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი გეგმები აქვთ.*
- *პარტიებს არ გააჩნიათ გენდერული აუდიტი და თავად პარტიების მიერ შეგროვებული გენდერული ინფორმაცია არის ცდომილებებით სავსე და ინფორმაცია არ არის ბევრის მომცემი.*

[7]T. Bagratia and M. Badashvili/D.Jijelava /I. Khmaladze. “Intra-party democracy and local governance”, NIMD (Nitherlands Institute for Multiparty Democracy), Tbilisi, 2012

- *ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, აღმოჩნდა, რომ პარტიებში არსებობს „ძალაუფლების გენდერული პირამიდა“, რაც გულისხმობს იმას, რომ რაც უფრო მაღალია ძალაუფლების მოცულობა, მით ნაკლებ როლს ასრულებს ქალი.*
- *მამაკაცებს ქალებთან შედარებით აქვთ გაცილებით მეტი ფუნქცია და პასუხისმგებლობა.*
- *ქალები და კაცები თანაბრად არიან ჩართულნი წინასაარჩევნო ღონისძიებებში, ასევე წინასაარჩევნო პროგრამის შემუშავებაში და საარჩევნო მონიტორინგის პროცესში.*
- *ქალები აქტიურად ჩართულები არიან მედიასთან კომუნიკაციაში და მოხალისეობრივ სამუშაოებში.*

მოცემული კვლევის თანახმად, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ „მამაკაცური პროფილი“. მათი დომინანტურობა ჩანს თითქმის ყველა ასპექტში და ამის შედეგად ქალი პოლიტიკოსები ნაკლებადახერხებენ პოლიტიკური კარიერის შექმნას.

2.3. საერთაშორისო გამოცდილებები - პოლიტიკა გენდერულ ჭრილში

პოსტსაბჭოთა სივრცე და კონკრეტულად საქართველო, რომელიც მრავალი ეკონომიკური და სოციალური პრობლემის წინაშე დადგა სოციალისტური რეჟიმის რღვევის შემდეგ, არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ლიდერ პოზიციებზე დაყენება პრობლემაა.

ქვემოთ მოყვანილი კვლევები ცხადყოფს, რომ ისეთი ლიდერი ქვეყნისათვის, როგორც ამერიკაა, ქალების ჩართულობა ასევე დიდი გამოწვევაა.

ამერიკელების უმეტესობა ამბობს, რომ ქალები და მამაკაცები თანასწორნი არიან, თუმცა, როდესაც საქმე ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ლიდერობა, ინტელექტუალური შრომა, პოტენციალი გარკვეული ინოვაციებისათის და სხვ., კვლევები გვანახებს, რომ ქალები მაინც უმცირესობაში არიან მაღალი თანამდებობის პირების რანგში (ბრაუნი, 2017)[8].

გრაფაში (N3) ნაჩვენებია 1966 – 2016 წლის მონაცემები, რომელიც აღნიშნავს ქალების პროცენტულობას ამერიკის სენატში წლების მიხედვით. 2016 წლის მონაცემების მიხედვით, ქალების რაოდეონა ამერიკის სენატში შეადგენს 21.0%-ს.

[8]ანა ბრაუნი, მონაცემები ქალ ლიდერებზე, 2017; Pew Research Center, http://www.pewsocialtrends.org/2017/03/17/the-data-on-women-leaders/, ბოლო ნახვა 20 დეკემბერი, 2017

გრაფა N 3: ამერიკელი ქალი სენატორების პრცენტული მაჩვენებელი



პიუს კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც ეხება რეკრუტირებას პოლიტიკურ სფეროში, გამოვლინდა რამდენიმე დებულება (ბრაუნი, 2017)[9]. ესენია:

- ქალები ნაკლებად გამოხატავენ ინტერესს იმუშაონ პოლიტიკურ პარტიაში
- ქალები ნაკლებად გამოხატავენ ინტერესს წააყენონ თავიანთი კანდიდატურა

[9]ანა ბრაუნი, მონაცემები ქალ ლიდერებზე, 2017; Pew Research Center, http://www.pewsocialtrends.org/2017/03/17/the-data-on-women-leaders/, ბოლო ნახვა 20 დეკემბერი, 2017

- მიუხედავად კვალიფიკაციისაა, ქალები მაინც არ თვლიან თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას საკმარისად, იმისათვის რომ ჩაერთონ პოლიტიკაში.
- ქალები თვლიან, რომ პოლიტიკაში ჩართვა არ არის კარგი არჩევანი მათი სოციალური მდგომარეობის შესაცვლელად (იხილეთ გრაფა N4)

გრაფა N4: ქალების რეკრუტირება პოლიტიკაში



ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის კვლევებში ევროპაც აქტიურადაა ჩართული. ევროპარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ 2013 წლის ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი მიგნებები:

- *ქალთა ინტერესი ფორმალურ პოლიტიკაში კაცებთან შედარებით დაბალია. გარდა ამისა, ქალების ინტერესი პოლიტიკისადმი, თვისობრივადაც განსხვავდება კაცების ინტერესებისგან.*

- *არსებობს გარკვეული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს პოლიტიკაში ჩართულობასა და წინსვლისთვის. ასეთი ბარიერებია სოციალური (რაც გულისხმობს კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს), სტრუქტურული (დაკავშირებულია ქალების ნაკლებ ჩართულობას ეკონომიკურ რესურსებში), სიტუაციური (იგულისხმება ქალის როლი ოჯახში).*

- *ქალებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციებში და სოციალური მუშაობა უფრო მეტად აქტუალურია, ვიდრე კაცებისთვის.*
- *ქალები უფრო მეტად ჩართულები არიან არაფორმალურ პოლიტიკურ საქმიანობაში (რაც გულისხმობს რომ ეს საქმიანობა არ არის დაკავშირებული პარტიულ პოლიტიკასთან) და მათი ინტერესის ძირითადი სფერო არ აისახება პოლიტიკურ დებატებში[10].*

ასევე, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ქალებს ნაკლები ინტერესი აქვთ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, ვიდრე კაცებს. არჩევნებში ხმის მისაცემად, ქალები და კაცები თითქმის ერთნაირად აქტიურობენ, თუმცა ქალები უფრო ხშირად იღებენ მონაწილეობას უპარტიო აქციებში, პეტიციებსა თუ ბოიკოტებში, ვიდრე კაცები. კაცები კი, უფრო მეტად ფორმალურ პოლიტიკაში დგამენ ნაბიჯს და შედიან პარტიაში.[11]

[10]Women in decision-making: The role of the new media for increased political participation, POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS, European Parliament, 2013

[11] Women in decision-making: The role of the new media for increased political participation, POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS, European Parliament, 2013

2.4. პოლიტიკური რეკლამების კვლევები გენდერულ ჭრილში

გენდერული ასპექტების კვლევა წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამებში, ბევრი მკვლევარის ინტერესის საკითხი გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ასპარეზის დღის წესრიგში დადგა ქალთა უფლებებისა და ზოგადად გენდერის ასპექტები.

გენდერული თანასწორობისკენ მიმავალმა გზამ, გაცილებით მეტი შესაძლებლობა მისცა ქალ პოლიტიკოსებს. მდგომარეობა უმჯობესდება და ქალ პოლიტიკოსებს გაცილებით უკეთესი გარემო აქვთ პოლიტიკის შესაქმენლად დღეს, ვიდრე ჰქონდათ ადრე (შეიმსი, 2015).[12]

წინასაარჩვენო პოლიტიკური კამპანიის განმავლობაში, კანდიდატისთვის აუცილებელია გაითვალისწინოს თავისი ამომრჩევლის ფსიქოლოგია, რომელიც ძირითადად სტერეოტიპული აზროვნებისკენ არის მიმართული, განსაკუთრებით კი ისეთ სენსიტიურ ასპექტთან მიმართებაში, როგორიცაა გენდერი.

ამერიკის სენატის წინასაარჩევნო კამპანიების კვლევისას, სხვადასხვა ავტორები მივიდნენ მიგნებამდე, რომ კანდიდატები ყურადღებას ამახვილებენ თავიანთ პიროვნულ ძლიერ მხარეებს. ამომრჩევლების სტერეოტიპული დამოკიდებულების მიზეზით, კანდიდატები ხაზს უსვამენ სწორედ პიროვნულ თვისებებს კამპანიის განმავლობაში. მაშინ, როდესაც

[12]Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015
http://portfolios.creativegroup.com/c/1179/123897ca4c179003f175ab876d196383.pdf ბოლო ნახვა 1 დეკემბერი, 2017

ამომრჩევლები კაც კანდიდატებში ყურადღებას ამახვილებენ მათ ლიდერულ უნარებსა და ცოდნაზე, ქალების შემთხვევაში ისინი აფასებენ მათ თანაგრძნობის უნარს, პატიოსნებასა და გულწრფფელობას. გარდა ამისა,ა მომრჩევლები თვლიან, რომ კაცი კანდიდატების საუკეთესო თვისებებია: დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, ლიდერობის ძლიერი უნარი, ხოლო ქალებში - მშვიდ და უწყინარ ბუნებას (Ashmore and Del Boca 1979; National Women's Political Caucus 1987)

ეშმორის და ბოვას კვლევის თანახმად, კანდიდატების სქესი შეიძლება გახდეს იმის განმსაზღვრელი, თუ როგორ მოიხმობს კანდიდატი თავის ამომრჩევლებს - პირადი (ემოციური) თუ პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით. იქიდან გამომდინარე, რომ ელექტორატის დიდი რაოდენობა თვლის, რომ ქალები ნაკლებად კომპეტენტურნი არიან ვიდრე კაცები, ისინი თავიანთ წინასაარჩვენო რეკლამებში ზახს უნდა უსვამდნენ პოლიტიკურ საკითხებს. რაც შეეხება კაც კანდიდატებს, მათ მოქნილობის უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ, რადგან ისინი უფრო მეტ ნდობას „იმსახურებენ" ამომრჩევლების მხრიდან (Ashmore and Del Bova 1979; National women's political Caucus 1987)

ამერიკაში ჩატარებულმა კვლევებმა, დაგვანახა, რომ კანდიდატის გამარჯვება არ არის აუცილებლად კორელაციურად მიბმული მის გენდერზე. თუმცა, არსებობს გარკვეული მიგნებები, რომლებიც დაგვანახებს, რომ გენდერი გარკვეულწილად მოქმედებს კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო კამპანიებსა და რეკლამებში გამოყენებულ მთავარ მესიჯებსა და აქცენტზებზე. მაგალითისათვის, ამერიკელი მკველვრის კიმ ფრიდკინ კანის კვლევების მიხედვით, პოლიტიკურ სივრცეში, ქალი კანდიდატები თავიანთი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ყურადღებას ამახვილებენ განათლებაზე,

რაცამომრჩევლებისათვის სტერეოტიპულად ძლიერი მხარეა.[13] გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ ქალებისა და მამაკაცების წინასაარჩევნო კამპანია და მათი აჯენდა სტრატეგიულად სხვა საკითხებითაც განსხვავდება. ქალი კანდიდატების და მათი თანანმდებობრივი საქმიანობის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ქალები ისეთ სოციალურ საკითხებს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, მაგალითად როგორიცაა აბორტის საკითხები (Carroll 1985; Darcy, Welch, and Clark 1987; Poole and Zeigler 1985).

საგულისხმოა ისიც, რომ კანდიდატების სქესი შეიძლება გახდეს იმის განმსაზღვრელი, თუ როგორ მოიხმობს კანდიდატი თავის ამომრჩევლებს - პირადი (ემოციური) თუ პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით. იქიდან გამომდინარე, რომ ელექტორატის დიდი რაოდენობა თვლის, რომ ქალები ნაკლებად კომპეტენტურნი არიან ვიდრე კაცები, ისინი თავიანთ წინასაარჩვენო რეკლამებში ზახს უნდა უსვამდნენ პოლიტიკურ საკითხებს. რაც შეეხება კაც კანდიდატებს, მათ მოქნილობის უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ, რადგან ისინი უფრო მეტ ნდობას „იმსახურებენ“ ამომრჩევლების მხრიდან (Ashmore and Del Bova 1979)

კვლევებმა ასევე აჩვენეს, რომ სხვაობა კაცისა და ქალის წინასაარჩვენო კამპანიაში სტრატეგიულია. მაგალითად კიმ ფრიდკინი და დანია ბისტორმი, თავიანთი კვლევების მიხედვით ამბობენ, რომ ქალები თავიანთ სარეკლამო რგოლებში უფრო დახვეწილად და პროფესიონალურად შერჩეული

[13]Gender Differences in Campaign Messages: The Political Advertisements of Men and Women Candidates for U. S. Senate, Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015

ტანსაცმლით არიან ჩაცმულნი და ასევე ნაკლებად აჩენენ თავიანთი ოჯახის წევრებს ტელეკრანსა თუ სხვა მედია საშუალებებზე (შაუმა, 2015).[14]

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ქალი კანიდატების წარმატება და ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობაში, დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მაგალითად, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი შერწყმა გენდერულ, რასობრივ და პარტიულ ასპექტებთან (შაუმა, 2015). [15]იმის გათვალისწინებით, თუ რა სტერეოტიპული მიდგომები არსებობს საზოგადოებასი, ქალი კანდიდატები ცდილობენ გაითვალისწინონ მოცემული ტენდენციები და შეარჩიონ ისეთი ქცევა, მანერა თუ მესიჯები, რაც მას გამარჯვებისკენ მიიყვანს. ამიტომაც ქალები ყურადღებას ამახვილებენ თავიანთ კვალიფიკაციაზე და ცდილობენ გადმოიტანონ მასკულინური თვისებები, რათა დაარწმუნონ ამომრჩევლები, რომ ისინი გაუმკლავდებიან დაკისრებულ სამუშაოს (დოლანი, კატლინი, 2005).[16] ავტორის აზრით: „იმის გათვალისწინებით, რომ ამომრჩევლებში კაცი კანდიდატები მეტ ნდობას ჰპოვებენ, ქალი კანდიდატები ხშირად მიმართავენ ტრადიციულ მასკულინურ აქცენტებს“ (დოლანი, 2005).გარდა მასკულინური მიდგომებისა, ქალები მაინც ცდილობენ თავიან ქცევაში შეიტანონ ფემინისტრური შტრიხებიც.[17]

---

[14]Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015 http://portfolios.creativegroup.com/c/1179/123897ca4c179003f175ab876d196383.pdf ბოლო ნახვა 1 დეკემბერი, 2017

[15] Dolan, Kathleen. 2005 “Do Women Candidates Play to Gender Stereotypes? Do Men Candidates Play to Women? Candidate Sex and Issues Priorities on Campaign Websites.”

[16]Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015 http://portfolios.creativegroup.com/c/1179/123897ca4c179003f175ab876d196383.pdf ბოლო ნახვა 1 დეკემბერი, 2017

[17]იქვე

2.3.1.ფემინიზმი და გენდერული თანასწორობა

ფემინიზმი მოიცავს თეორიების, იდეოლოგიებისა და სოციალური მოძრაობების ერთობას, რომელთა მიზანიც ქალთა მდგომარეობის თუ გამოცდილებების აღწერა და ანალიზი, ქალის პერსპექტივისა და ავტორიტეტის წინ წამოწევა და ქალთათვის თანასწორი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული უფლებების მოპოვებაა (ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: http://dictionary.css.ge/content/feminism, ბოლო ნახვა 8 ნოემბერი, 2017).[18]

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ფემინიზმი არის სწორედ ის მოვლენა, რამაც განაპირობა ქალების ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფემინიზმმა გარკვეული ეტაპები გაიარა. თავდაპირველად, ქალებმა მოითხოვეს არჩევნებზე ხმის მიცემის უფლება. ფემინიზმის განვითარებასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნებიც და ქალები ჩაერივნენ პოლიტიკური ცხოვრების მორევში.ქალთა მოძრაობები უკვე დიდი ხანი არის მამოძრავებელი ძალა სოციალური ცვლილებების პროცესებში. მის მობილიზებას ახდენენ როგორც პოლიტიკური სუბიექტები ასევე სოციალური აგენტები, სხვადასხვა მიზეზით - სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ა.შ.

ფემინიზმი და ზოგადად ქალთა მოძრაობები, დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან როგორიცაა ქალთა უთანასწორობა და სხვა რიგი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია გენდერის გამო. ფემინისტური მოძრაობა არის

[18]სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, CSS ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: http://dictionary.css.ge/content/feminism, ბოლო ნახვა 8 ნოემბერი, 2017

პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მთავარი მიზანია შეცვალოს სოციალური პირობები, აამაღლოს ცნობიერება საზოგადობაში და განდევნოს უარყოფითი მიმართებები საზოგადოების მხრიდან.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, ფემინიზმი, როგორც სოციალური მოძრაობა, დაიწყო 1920-იან წლებში. ე.წ „პირველი ტალღა“ ამოქმედდა აშშ-სა და ევროპაში. ამ მოძღაობის მთავარი მოთხოვნა იყო ქალებს მოეპოვებინათ საკუთრები ფლობის უფლება, მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა, ქალების პოლიტიკაში ჩართვა, ქალების ლეგალური აღიარების მოპოვება და იმ ბაიერების გადალახვა, რაც მათ ხელს უშლიდა გენდერული თანასწორობისთვის.

ფემინიზმის „მეორე ტალღამ“, როგორც რადიკალურმა ფემინიზმმა აღიარა, რომ ლეგალური თანასწორობა არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ მომხდარიყო ქალების სუბორდნაცია საზოგადოებაში. მათი მამოძრავებელი სლოგანი გახდა - „ პირადი არის პოლიტიკური“. მათი მოძრაობის მთავარი მიზანი იყო ქალების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ტრანსფორმაცია.

მესამე, პოსტმოდერნულ ფემინისტურ ტალღას, მთელი ყურადღება იურიდიული ასპექტებიდან და ჯგუფის ინდენტიფიკაციიდან გადააქვს თანასწორობის ახალ კონცეფციაზე, რაც გულისხმობს ქალსა და კაცს შორის ყველა ფუნდამენტური განსხვავებების იგნორირებას. ამ ტალღამ უარყო ყველა შესაძლო ფაქტორი, რომელიც აერთიანებს ქალებს როგორც კლასს ან ჯგუფს, ასევე ყველა ის ჰომოგენიზირებული განმარტებები და განზოგადებები. პოსტმოდერნული ფეინისტური მიდგომა ფოკუსირდება უფრო მეტად კულტურულ და ინდივიდუალურ უფლებებზე.[19]

[19] World Bank (2011) World Development Report 2012, Gender Equality and Development.

ქალებისა და კაცების თანასწორობა პოლიტიკაში, დემოკრატიულ ქვეყნებში საგრძნობლად გაიზარდა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში (Coffe and Bolzendahl, 2010, Mestre and Marin, 2012). ქალები აყენებენ თავიანთ კანდიდატურებს ნაციონალურ პარლამენტში შესასვლელად და მათი რიცხვი იზრდება, გარდა ამისა, ბოლო წლებში რეკორდული რაოდენობაა ქალებისა, რომლებიც მთავრობაში აღმასრულებელ პოზიციაზეა (Lovenduski 2005; Paxton et al. 2007).

პეკინის დეკლარაციის მიხედვით „ქალების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დონე და მათი გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობა, პირდაპირპროორციულად ასახავს გენდერული თანასწორობის მდგომარეობას მოცემულ სოციუმში. გენდერული თანასწორობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა განიხილებოდეს შემდეგ კონტექსტში - შეუძლიათ თუ არა ქალებმა გავლენა იქონიონ საზოგადოებრივ გადაწყვეტილებებზე, ისევე როგორც კაცებს. პეკინის 1995 წლის პლატფორმა, ხაზგასმულია, რომ თანასწორობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქალთა უფლებების გასაუმჯობესებლად. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქალების თანაბარი მონაწილეობა არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობას ან/და დემოკრატიას, არამედ ეს არის აუცილებელი პირობა. ქალების ინტერესები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული“.[20]

[20] Platform for Action and Beijing Declaration. World Conference on women Beijing, China, 4-15 Sept. 1995. Un, 1996

2.4. პოლიტიკური რეკლამის არსი და ფუნქციები

სარეკლამო კაპანიის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა ასახავდეს სოციალურ (იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სხვ.) ან/და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც გააჩნიათ ამომრჩევლებს (ილიასოვი, 2000)[21]. პოლიტიკური რეკლამის არსებობა ქვეყანაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არასტაბილურია (ჩართოლანი, 2008)[22].

ქართველი მედიასამართლის ექსპერტი(ჯორბენაძე, 2013) განმარტავს, რომ პოლიტიკური რეკლამა უნდა აკმაყოფილებდეს სამ პრინციპს. ესენია:

1. რეკლამის მიზანი უნდა იყოს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობა ან ხელის შეშლა
2. რეკლამაში აუცილებლად უნდა იყოს ნაჩვენები საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი საარჩევნო ნომერი
3. რეკლამა უნდა შეიცავდეს წინასაარჩევნო კამპანიის გარკვეულ ნიშნებს.

ჯორნებაძე განმარტავს, რომ მაუწყებელი ვალდებულება, პირველ რიგში შეამოწმოს, თუ რამდენად არის შესაბამისობაში პოლიტიკური რეკლამა მის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დეფინიციასთან[23]. ილიასოვის (2000) აზრით, პოლიტიკური რეკლამის შინაარსი არის ზუსტად ის, რისი გადაცემაც გვინდა ამომრჩევლისთვის (ანუ მივყიდოთ მას) - კანდიდატის მოდელირებული იმიჯი. ის გადმოიცემა შემდეგი მოცემულობებით:

---

[21]Ильясов Ф. Н. Политический маркетинг. Искусство и наука побеждать на выборах, М.: ИМА-пресс, 2000. – 200 с

[22]ჩართოლანიგ., ტელე-რადიოჟურნალისტიკა, 2008 გვ 228

[23]ჯორბენაძე ს., რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013, გვ. 92

1. კანდიდატის ვიზუალი (კანდიდატის გარეგნობა, მისი ფოტო, სატელევიზიო იმიჯი, და ა.შ)
2. ხმა (კანდიდატის ხმა და მასთანა სოცირებული ხმები და მუსიკა)
3. მოცემული ინფორმაციები კონკრეტულ ფაქტებზე, რომლებიც შეიძლება იყოს გამოგონილი ან რეალური (კანდიდატის ბიოგრაფია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მის სამუშაო გამოცდილებას, ოჯახურ მდგომარეობას, ცხოვრების სტილს, მსოფლმხედველობასა და ღირებულებებს, განზრახვებსა და პროგრამას).
4. სარეკლამო კამპანიის ძირითადი იდეები[24].

[24]Ильясов Ф. Н. Политический маркетинг. Искусство и наука побеждать на выборах, М.: ИМА-пресс, 2000. – 200 с

2. 5. უფასო და ფასიანი რეკლამების არსი

ჯორბენაძის (2013) განმარტებით პოლიტიკური რეკლამა მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა არჩევნები ჩატარდეს თავისუფლად და გამჭირვავლედ. თავის მხრივ, არჩევნების თავისუფლება და გამჭვირვალეობა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ამომრჩევლებმა ნდობა გამოუცხადონ საბოლოო შედეგს[25].

უფასო პოლიტიკური რეკლამა საჭირო დღევანდელ რეალობაში. ის წარმოადგენს ერთგვარ „კონტაქტს“ ამომრჩეველსა და პოლიტიკოსებს შორის (ლანგი, 2004)[26].

ჯორბენაძის აზრით, ჩნდება კითხვები, თუ როგორ უნდა მოხდეს დროის განაწილება სამართლიანი წესით ისე, რომ საზოგადოებისთვის მოცემული რეკლამები არ გახდეს მოსაბეზრებელი. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს გადაწყვეტილება, თუ როგორ იქნება განაწილებული უფასო რეკლამის დრო - პროპორციულად თუ თანაბრად, ასევე რა ხანგრძლივობის უნდა იყოს რეკლამა და არის თუ არა საჭირო მასზე მაქსუმალური ზღვარის დაწესება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა და საარჩევნო სისტემა. იმ შემთხვევაში, თუ ახალდაშექმნილ პარტიასა და კანდიდატს დიდი შანსი აქვს გამარჯვების, მაშინ სავსებით გამართლებულია თანაბარი დროით სარგებლობა და პირიქით. რაც შეეხება პროპორციულ განაწილებას, ის გვაძლევს შესაძლებლობას, რომ წარუმატებელმა პარტიებმა დიდი საეთერო დრო არ დაიკავონ.

---

[25]ჯორბენაძე ს., რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013

[26]ლანგი ი., მედია და არჩევნები, გამომცემლობა რეგთაიმი, თბილისი, 2004

ისევე როგორც პროპორციულ, ასევე თანაბარ განაწლებას თავისი ნაკლოვანებები აქვთ. უფასო სარეკლამო დროის პროპორციული განაწილების ყველაზე მნიშვნელოვან კონტრარგუმენტს წარმოადგენს ის, რომ ასეთი განაწილება ხელს უწყობს ისედაც უკვე წარმატებულ პარტიას თავისი სიძლიერისა და წარმატების შენარჩუნებას. რაც შეეხება თანაბარი განაწილების პრინციპს - მისი წყალობით ზედმეტად დიდი დრო ეთმობა უმნიშვნელო პარტიებსა და კანდიდატებს.

რაც შეეხება **ფასიან პოლიტიკურ რეკლამას,** მასთან დაკავშირებით გამუდმებით მიმდინარეობს კამათი. კამათობენ როგორც სიტყვის თავისუფლების ქომაგები, ასევე ადამიანები, რომლებიც ემხრობიან დროის სამართლიანი განაწილების პრინციპს.

საზოგადოების ერთი ნაწილის მტკიცებით, ფასიანი პოლიტიკური რეკლამა შესაძლებლობას აძლევს უცნობ კანდიდატს გახდეს ცნობადი და გაიზარდოს მისი წარმატების შანსები. შეზღუდვებით კი შეილახება სიტყვის თავისუფლება. საზოგადოების მეორე ნაწილი თვლის, რომ ფასიანი რეკლამის დაშვება არის უთანასწორობის დაკანონება, რადგან იმ კანდიდატს, ვისაც მეტი ფული აქვს, გაცილებით მეტ საეთერო დროს ყიდულობს. შედეგად, კანდიდატის მიერ ფონდების მოზიდვა ხდება ზედმეტად მნიშვნელოვანი და ზღვარგადასული. კერძო შემოწირულობები კი გარკვეულწილად ზემოქმედებას ახდენენ პოლიტიკაზე, რაც საფრთხეს უქმნის აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებლობას (ლანგი, 2004)[27].

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ფასიანი პოლიტიკური რეკლამა არ წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას. პოსტსაბჭოთა სივრცეში, საკმაოდ გავრცელებულია ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსება

[27]ი. ლანგი, მედია და არჩევნები, გამომცემლობა რეგთაიმი, თბილისი, 2004

მაუწყებელზე (რასაც ვერ ვიტყვით დასავლეთზე), და ამ მოვლენას აქვს ორი ძირითადი მიზეზი: 1) ფასიანი პოლიტიკური რეკლამა ხდება შემოსავლის წყარო იმ მედია საშუალებებისთვის, რომლებიც იბრძვიან არსებობისათის; 2)არსებობს იმის საშიშროება, რომ აკრძალვის შემდეგ, პოლიტიკური რეკლამა მაინც გავიდეს ეთერში, მაგრამ სარედაქციო მასალის ნიღბით (ლანგი, 2004). [28]

ჯორნებაძის მოსაზრებით, დღევანდელ საქართველოში, მაუწყებელს არ გააჩნია იმდენად დიდი შემოსავალი, რომ უარი თქვას ფასიან პოლიტიკურ რეკლამაზე[29].

[28]იქვე

[29]ს. ჯორბენაძე, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013

3. კვლევის მეთოდოლოგია, ჰიპოთეზები და საკვლევი კითხვები

ნაშრომი ეფუძვნება, საქართველოში ჩატარებული 2017 წლის 21 ოქტომბერს თვითმმართველობის არჩევნების მერობის კანდიდატების სატელევიზიო წინასაარჩევნო რეკლამის მონიტორინგს. საკვლევ პერიოდად განსაზღვრულია 2017 წლის თხუტმეტი სექტემბრიდან ოცდაერთ ოქტომბრამდე დროის მონაკვეთი. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა როგორც ფასიან, ასევე უფასო პოლიტიკურ რეკლამებზე 3 სატელევიზიო არხზე: რუსთავი 2; იმედი; საზოგადოებრივი მაუწყებელი. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგი კანდიდატი საქართველოს კანონმდებლობით ვერ სარგებლობდა უფასო პპოლიტიკური რეკლამის დროით ტელესივრცეში, ისინი უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოციალურ ქსელებში. შესაბამისად მონიტორინგი ვაწარმოე მათ ოფიციალურ Facebook გვერდებზეც.

ნაშრომში წარდგენილია ხუთი მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო რეკლამის მონიტორინგი:

- სარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო; კანდიდატი - **ელენე ხოშტარია**
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; კანდიდატი - **ირმა ინაშვილი**
- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; კანდიდატი - **კახა კალაძე**

- საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; კანდიდატი - **ზაალ უდუმაშვილი**
- საინიციატივო ჯგუფი ; კანდიდატი - **ალექსანდრე ელისაშვილი**

კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულია **რიტორიკული ანალიზი.** მოცემული კვლევის მეთოდი შეირჩა მისი რელევანტურობის გამო, რადგან ის გვაძლევს შესაძლებლობას ახლებურად შევისწავლოთ რეკლამის კონცეფცია. ამ კვლევის მეთოდში მნიშვნელოვანი კომპონენტებია როგორც ვიზუალური (McQuarrie and Mick 1999), ისე ვერბალური და ხმოვანი მახასიათებლები. მოცემული კვლევის მეთოდი საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ გათვალისწინებულია სემიოტიკური მიდგომებიც. თუ უმბერტო ეკოს დავესესხებით, ნიშნებს შეუძლიათ როგორც სიმართლის, ასევე ტყუილის გადმოცემა (Eco Umberto, 1998).

მუსიკა და ხმოვანი ეფექტები, გამოიყენება იმისათის, რათა გენერირდეს გარკვეული უკუკავშირები აუდიტორიაში. ეს ძირითადად ხორციელდება კულტურაში აღიარებულ ხმოვან ეფექტებსა და მუსიკაზე, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ ემოციებთან.

მუსიკა, ფრაზა ან ხმოვანი სიგნალი არის კავშირი აღმნიშვნელსა და აღნიშნულს შორის, სადაც ხმა არის აღმნიშვნელი, ხოლო ის ემოციები, რომლებიც გენერირდება გაგებისას, ის არის აღნიშნული.

მუსიკის შერჩევა გარკვეულ მედია პროდუქტზე, ხდება იმისათვის, რომ მაყურებელზე მოავხდინოთ ის ზეგავლენა, აღვუძრათ ის ემოცია, რაც ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული.[30]

რეკლამის რიტორიკული კვლევის მეთოდის გამოყენებისას, გასათვალისწინებელია რიგი შეკითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გაიცეს ანალიზის პროცესში. ეს ძირითადი კითხვებია:

- რა არის რეკლამის ზოგადი არსი?
- რის შესახებ მოგვითხრობს რეკლამა?
- რა სიმბოლოებს ვხედავთ რეკლამაში?
- რა ფერები არის გამოყენებული რეკლამაში?
- სხვა ადამიანები რეკლამაში - მათი როლი; ვიზუალური მხარე.
- რისი დანახვა შეგვიძლია მონაწილე ადამიანების გამომეტყველებაში და ემოცაში?
- თან სდევს თუ არა მუსიკალური ან ხმოვანი გაფორმება რეკლამას?

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების პოლიტიკური რეკლამების კვლევის დროს მოხდა კოდირების სახელმძღვანელოს შექმნა, რომ გამოკვეთილიყო როგორც განმასხვავებელი, ასევე საერთო ნიშნან-თვისებები. თითიოეული კანდიდატის ყოველი რეკლამა განვიხილე გრაფიკში წარმოდგენილი მახასიათებლების მიხედვით.

[30] https://in.sagepub.com/sites/default/files/upm-binaries/41303_1.pdf. ბოლო ნახვა 10 ნოემბერი, 2017

გარდა ამისა, საინტერესოა პოლიტიკური კანდიდატების დევიზებიც. კანდიდატის (პარტიის, პოლიტიკური მოძრაობის) დევიზი (სლოგანი, ლოზუნგი) არის ფრაზა, რომელიც გამოხატავს წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ იდეას (კონცეფციას, აქცენტს) და გამოიყენება ყველა სახის პოლიტიკური რეკლამისთვის. პოლიტიკურ დევიზს დიდი ისტორია გააჩნია. ზოგადად, პოლიტიკური დევიზებისა და ლოზუნგების მეშვეობით შეგვიძლია შევისწავლოთ კაცობრიობის ისტორიაც. როგორც წესი, ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოძრაობები მსოფლიო ისტორიაში, მოიცავდა თავის დევიზებსა და ლოზუნგებს. პოლიტიკური დევიზის ძირითადი ამოცანაა - დავპირდეთ უკეთესობისკენ სვლა, შევთავაზოთ გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან, შევაშინოთ, მივუთითოთ ნაკლოვანებებზე და ა.შ.[31]

კონტენტ ანალიზის კვლევის ფარგლებში, გამოვიყენე შემდეგი ცვლადები:

- დისკურსი - დისკურში შედის ის სიტყვები, რომლებსაც კანდიდატი იყენებს თავის სარეკლამო რგოლში; ასევე მთავარი მესიჯები - რა არის ძირითადი მესიჯი, რასაც კანდიდატი იყენებს ამომრჩევლისთვის?

---

[31] Ильясов Ф. Н. Политический маркетинг. Искусство и наука побеждать на выборах, М.: ИМА-пресс, 2000. – 200 с.

- ქცევა - არავერბალური კომუნიკაციის ნიშნები (თავის მოძრაობა, თვალების მოძრაობა, ხელების მოძრაობა, სხეულის მოძრაობა); ორიენტაცია (რა კუთხით დგას პუბლიკასთან - ანფასი, პროფილი, 1/3); დისტანცია პუბლიკასთან (ახლოს მიდის თუ არა ხალხთან, რა დისტანციას იცავს); ხმის ინტონაცია; გამომეტყველება/ემოცია
- ვიზუალი - რეკლამაში გამოყენებული ფერები; კანდიდატის ჩაცმულობა, ვარცხნილობა
- რეკლამის სხვა მონაწილეები

კვლევის ჰიპოთეზაა: თვითმმართველობის არჩევნებისათვის ქალი კანდიდატების მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამებსა და კაცი კანდიდატების მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამებს შორის ბევრი საერთო მახასიათებელი არსებობს.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მთავარი კითხვებია:

1. რა ძირითადი მახასიათებლები გააჩნია ქალი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო რეკლამებს ქართულ ტელესივრცეში?
2. რა განმასხვავებელი ნიშნები იკვეთება ქალი პოლიტიკოსებისა და კაცი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო რეკლამაში?
3. რა საერთო მახასიათებლები ჩანს ქალი პოლიტიკოსებისა და კაცი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო რეკლამაში?

კვლევისას რეკლამების უმეტესობა მოძიებული იქნა ინტერნეტით, კერძოდ კი, მათ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე. იქიდან გამომდინარე, რომ ირმა ინაშვილის რეკლამების მოზიება არმოცდნა რტული, რადგან არ იყო გავრცელებული ინტერნეტ სივრცეში, თავად კანდიდატმა გადმოგვცა ფაილების სახით. ასევე ელენე ხოშტარიამ wetransfer-ის მეშვეობით მომაწოდა ის რამდენიმე ვიდეო, რომლებიც რთული მოსაძიებელი იყო ინტერნეტ სივრცეში. სულ გაანალიზდა 5 კანდიდატის 36 რეკლამა.

4. შედეგები და დისკუსია

პარტია „ევროპული საქართველოს“ კანდიდატის **ელენე ხოშტარიას** რეკლამები არ გამოირჩევა ფემინისტური შტრიხებით. გარდა იმისა, რომ მისი ვიზუალი, თმის ვარცხნილობა, ჩაცმულობის სტილი არის მასკულინური, მის რამდენიმე წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამებში, ყურადღების მიღმა არ რჩებიან პარტიის კაცი ლიდერები(დავით ბაქრაძე და გიგა ბოკერია). უფრო მეტიც, მათზე მეტი აქცენტი არის გაკეთებული, ვიდრე თავად კანდიდატზე.

რიტორიკული ანალიზისას გასათვალისწინებელი შტრიხია კანდიდატის ოპოზიციური განწყობები. ელენე ხოშტრაიას წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანია აქცენტირებულია სოციალურ პრობლემებზე. მისი მთავარი მესიჯები გვეუბნება, რომ ჩინოვნიკები სრულიად უსარგებლოდ ხარჯავენ თანხებს ბიუჯეტიდან უსარგებლო პროექტებსა და ფუფუნების საგნებზე, მაშინ როდესაც ქალაქში მაცხოვრებებისათვის საკმარისი არ არის პენსია და გაჭირვებულ ადამიანებს უსამართლოდ აქვთ მოხსნილი სოციალური დახმარება.

გარდა ამისა, ის თავის დაპირებებში ეხება ქალაქის განტვირთვას და საცობების მოხსნის შესაძლებლობებს, რაც თავის მხრივ შემქნის ბიზნესისთვის ხელსაყრელ პირობებსა და შესაბამისად სამუშაო ადგილებსაც. მის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ პენსიონერებს, ის საუბრობს ახალგარზდებზეც და ამბობს, რომ მათ გარეშე განვითარება და პროგრესი არის წარმოუდგენელი. ელენე

ხოშტარია არის ერთადერთი კანდიდატი, რომელიც ასე მკაფიოდ ამახვილებს ყურადღებას ახალგაზრდა თაობაზე.

რაც შეეხება ელენე ხოშტარიას ემოციებს, გამომეტყველებასა და ინტონაციას, ის ძირითად შემთხვევაში, ინარჩუნებს მკაცრ, საქმიან და ცივ იმიჯს, რომელიც მკაფიოდ და გამოკვეთილად საუბრობს იმ პრობლემებზე, რაც აქვს თბილისს და მის მაცხოვრებლებს და ასევე საუბრობს მათი გამოსწორების მეთოდებს, გამოთვლილი, მათემტიკური სიზუსტით.

თავისთავად, რეკლამებში ჩანს მისი ურთიერთობა ადამიანებთან, ამომრჩევლებთან, ის წარდგენისას გადაღებულ კლიპში ეხუტება კიდეც მათ და ამით გამოხატავს სითბოს, თუმცა მისი რეკლამების ძირითადი კონცეფცია აგებულია იმაზე, რომ ის მკაცრად უდგება მოცემულ პრობლემებს, ესაუბრება ადამიანებს, მაგრამ დისტანციის დაცვით.

კანდიდატის მიერ გამოყენებული სიტყვები არის როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი კონტექსტის. ნეგატიური სიტყვები გამოყენებულია დღევანდელი არსებული მდგომარეობის შესაფასებლად, ხოლო პოზოტიური სიტყვები გამარჯვების შემთხვევასი, სამომავლო პერსპექტივებს უკავშირდება.

გარად იმისა, თუ რა სიტყვებსა და მესიჯებს იყენებს თავად კანდიდატი, საინტერესოა თუ როგორ ახასიათებენ მას სხვები და რა ეპითეტებს იყენებენ მის შესაფასებლად.

ახალგარზდები, ელენეს ახასიათებენ როგორც სანდო ადამიანს, განსხვავებულ პოლიტიკოსს, ახალი თაობის პოლიტიკოსს, პიროვნებას,

რომელსაც აქვს უნარი, მოგანდომოს მისი მოსმენა. ის ერთმნიშვნელოვნად არ იღებს გადაწყვეტილებებს, ისმენს სხვების აზრს და მართავს დისკუსიას, ამის შემდეგ კი მიდის გარკვეულ კონსესუსამდე.

საინტერესოა მხარდამჭერი ქალის შეფასებები და სიტყვები, რომელსაც ელენე ხოშტარიას გარშემო იყენებს: „რომ დავინახე ელენე, ვიგრძენი, რომ ამ ქალში იყო ისეთი რაღაც შემართება, ისეთი ძალა, რო ბევრ ვაჟკაცს შეშურდებოდა“.

წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამაში, ხაზგასმულია ელენეს მასკულინური თვისებები, რასაც ადასტურებს რიგითი ამომრჩევლის რიტორიკა: „შემართება, ძალა...ვაჟკაცსაც კი შეშურდებოდა“.

გამოდის, რომ ელენე, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო კვლევებში დადასტურდა ქალ კანდიდატებთან მიმართებით, ცდილობს მასკულინური თვისებების ხაზგასმას, რაც ეხმარება მას, უფრო მეტ წარმატებას მიაღწიოს. თავისი მასკულინური ხასიათ, თისებები და გარეგნობა არ არის ხელოვნური, ეს გამომდინარეობს მისი ტიპაჟიდან.

რაც შეეხება მეორე მერობის ქალ კანდიდატს **ირმა ინაშვილს,** ის ძირითადად პარტიულ პოლიტიკურ ასპექტებზე აკეთებს აქცენტს და ყველა თავის სარეკლამო რგოლში აანონსებს თბილისსა და ბათუმში გასამართ საპროტესტო აქციებს.

მისი ყველა წინასაარჩევნო რეკლამა უფასოა და მასში გამოყენებულია, სტუდიური, გადაცემის ჩანაწერის, საპროტესტო აქციის კადრები და ასევე ფოტოები მხარდაჭერებთან შეხვედრისას.

ირმა ინაშვილის იმიჯი ასევე არის მკაცრი. მისი ჩაცმულობის სტილიც, არ არის ფემინური შტრიხებით. ის იყენებს პერანგსა და კოსტუმს და ყველა ნაჩვენებ კადრში, ის შარვლითაა წარმოდგენილი.

წინა კანდიდატისგან განსხვავებით, ის ხალხთან ურთიერთობისას ნაკლებ დისტანცირებას ახდენს. ის იყენებს ერთ გავრცელებულ ჟესტს-ხელის მხარზე გადახვევა ამომრჩევლისთვის. ის ეხუტება ადამიანებს, უღიმის და ყველა კადრში მათ მიმართ სითბოს გამოხატავს.

გარდა იმისა, რომ წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამებში, მის მთავარ მესიჯებს ზოგადად პოლიტიკური პარტიის - პატრიოტთა ალიანსის კონცეფციებს მოიცავდა (მაგალითად საქართველო-ნატო რუსეთი; გაერთიანებული საქართველო; დიალოგი მოსკოვთან და სხვ.) ის მთელ აქცენტს აკეთებს სოციალურადა დაუცველ ოჯახებზე, შიმშილის ზღვარზე მისულ ბავშვებზე და იმ სოცალურ ფონზე, რის გამოც ბევრი ადამიანი ცხოვრობს სიღარიბეში.

გასაკვირი არაა, რომ ოპოზიციური პარტიის კანდიდატი თავის სარეკლამო რგოლებში ძირითადა იყენებს ნეგატიური კონტექსტის სიტყვებს. პოზოტიური სიტყვები გაოიყენება მხოლოდ მის გამარჯვებასთან დაკავშირებულ წინადადებებში.

მის არცერთ სარეკლამო რგოლში არ არის წარმოდგენილი სხვა ადამიანების, მხარდაჭერებისა თუ კოლეგების შეფასებები მისი საქმიანობისა და პიროვნული ტვისებების ირგვლივ, რაც არის გამონაკლისი ყველა სხვა კანდიდატთან მიმართებაში.

საერთო ჯამში, ირმა ინაშვილის სარეკლამო რგოლების, მისი მესიჯების, იმიჯის შეფასებების მიხედვით, არც ის არის გამორჩეული რაიმე განსაკუთრებული ფემინური თვისებებითა ან შტრიხებით თავის კამპანიაში.

მეორე ადგილზე გასული, უპარტიო კანდიდატ **ალეკო ელისაშვილი,** თავის საარჩევნო პროგრამაში ძირითად აქცენტს აკეთებს გარემოზე, ეკოლოგიაზე, გზების ახალ კონცეფციაზე და საცობებისგან გათავისუფლებულ ქალაქზე, ფეხით მოსიარულეთა კომფორტსა და ამთ უფლებებზე, ქალაქის განაშენებებასა და მათ კონცეფციებზე. ალეკო ელისაშვილის მიერ თავის საარჩევნო კამპანიაში წარდგენილი მესიჯების გათვალისიწნებით, მისი ლოგოსა და ზოგადად სარეკლამო რგოლების ძირითადი ფერი არის მწვანე, რაც თავისთავად ასოცირდება ბუნებასთან, ეკოლოგიასთან და გარემოსთან. მწვანე ფერის გარდა, ის იყენებს ნათელ, მზიან ფერებს, რაც ასევე აცოცირდება კარგ გარემოსთან და მის სარეკლამო რგოლის შემყურე ამომრჩეველს, უქმნის შთაბეჭდილებას, რომ სწორედ ასეთი ნათელი, გამწვანებული, ფერადი და თბილი გარემო იქნება ირგვლივ.

გარდა თავისი ძირითადი წინასაარჩვენო დპაირებებისა, ის თავის სარეკლამო რგოლში მოყწოდებს თბილისის მაცხოვრებლებს რაც შეიძლება მეტი აქტიურობისკენ და არჩევნებზე მოსვლისკენ. ის თავისი დადებითი ინტონაციითა და ემოციით, ცდილობს დააჯეროს ადამიანებს, რომ აუცილებელი არ არის იყო მმართველი პარტიის კანდიდატი, რათა მოიგო არჩევნებში. ხალხი ამ აზრს არ უნდა შეეგუოს

და მათი აქტიურბიდან გამომდინარე, შესაძლებელია ეს მითი დაიმსხვრას.

საინტერესოა სხვა ადამიანების შეფასებები ალეკო ელისაშვილის მიმართ. თავის მხარდასაჭერ სარეკლამო რგოლში, მონაწილეობენ ძირითადად ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ზოგი ცნობილია საზოგადოებისთვის, ზოგიც ნაკლებად. ეს ადამიანები კანდიდატს აფასებენ როგორ მებრძოლ, საქმის გამკეთებელ პიროვნებად, რომელსაც არ სჩვევია ერთპიროვნულად გადაწყვეტილებების მიღება. მათ სჯერათ კანდიდატის და იმის, რომ ის მართლა მოწოდებულია თბილისის გადარჩენისკენ და ამის უკან სხვა განზრახვა არ დგას.

მესამე ადგილზე გასული თბილისის მერობის კანდიდატის, ზაალ უდუმაშვილის მთავარი აქცენტი კეთდება ასევე სოციალურად დაუცველ ადამიანებზე და ზოგადად სოციალურ პრობლემებზე. ისევე როგორც ელენე ხოშტარია, ისიც თავის დაპირებებში ხაზს უსვამს ჩინოვნიკების მიერ გაფლანგულ თანხაზე, რომმლის კონტროლის შემთხვევაში, შესაძლებელია ბევრი სოცილურად დაუცველი ადმიანის დასახმარებლად იყოს გამოყენებული.

ზაალ უდუმაშვილი თავის სარეკლამო რგოლებში ნაკლებად იღწვის სიმკაცრის გამოჩენისკენ - პირიქით ის ცდილობს თავის რგოლებში დაანახოს ამომრჩეველს, თუ რამდენად ახლოს არის ქალაქის მაცხოვრებლებთან. ის თავისთავად იყენებს ნეგატიური კონტექსტის სიტყვებს მმართველი პარტიის მისამართით, თუმცა აქცენტი გაკეთებულია მეტ პოზიტივზე. ის სლოგანიც კი მოიცავს სიტყვას -

ბედნიერებას: „ჩემი მავარი მიზანია - თბილისი ვაქციო დასაქმებული, წარმატებული და ბედნიერი ადამიანების ქალაქად!.“

მხარდამჭერების შეფასებებშიც აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ რამდენად პოზიტიურია წარგენილი კანდიდატურა. ისინი მას სუფთა და პატიოსან პიროვნებად ასახელებენ, რომელიც ხალხს უყვარს და არჩევის შემთხვევაში, უფრო მეტად შეუყვარდებათ მის მიერ გაკეთებული სასარგებლო საქმეების გათვალისიწნებით.

რაც შეეხება გამარჯვებულ კანდიდატს - კახა კალაძე, როგორც მმართველ პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატი, თავის სარეკლამო რგოლებში იყენებს პოზიტიურ სიტყვებს და ამომრჩევლებს ჰპირდება თავიანთი ოცნების ქალაქის აშენებაში, რომელიც იქნება ჯანსაღი, თანამედროვე და მომავალზე ორიენტირებული დედაქალაქი. თავის მესიჯებში იყენებს მიდგომას, რომ თავად არ იქნება ერთპიროვნული და ოსახლეობა მონაწილეობას მიიღების ქალაქის განვითარებაში: „ჩვენი ოცნებების თბილისი იქნება ისეთი, როგორსაც ჩვენი ხელით შევქმნით“. მის სარეკლამო რგოლებში, გარდა პარტიული ლურჯი ფერის გამოყენებისა, ვხვდებით ნათელ ფერებს, რაც ასოცირდება სწორედ ნათელ მომავალთან, რომელსაც კანდიდატი პირდება თბილისის მოსახლეობას. გარდა ამისა, სიანტერესოა სხვებიც შეფასებები. როგორც ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, კახი კალაძეს შესაძლებლობებზე საუბრობენ ამ სფეროს წარმომადგენლები და აფასებენ მას, როგორც შრომის მოყვარე და საქმის გამკეთებელ პიროვნებას. თავად პრემიერისგან გიორგი კვირიკაშვილისგან კი ისმის ფარზა:„სადაც კახი კალაძე იქნება, იქ იქნება წარმატებაც“

კახი კალაძის რეკლამებში ნაჩვენებია მისი სერიოზული, შრმისმოყვარე, კარიერული წინსვლისკენ იმავალი ადამიანის, პროგრესული პიროვნების იმიჯი, რომლის ხელშიც ხორციელდება ქვეყნისთვის სასიკეთო პროექტები.

კვლევის ლიმიტია ის, რომ შემოიფარგლება მხოლოდ კონტენტ-ანალიზით და რიტორიკაზე დაკვირვებით. სამომავლოდ, ამგვარი კვლევის პერსპექტივას წარმოადგენს სიღრმისეული ინტერვიუები კანდიდატებთან, რეკლამის და სცენარის ავტორებთან.

დასკვნა

კვლევამ პასუხი გასცა საკვლევ კითხვებს, კერძოდ, გამოიკვეთა, რომ ზემოთ ხსნებული კანდიდატების სარეკლამო რგოლების განხილვისას, მივედი მიგნებამდე, რომ ქალი კანდიდატები არ ცდილობენ მათი როგორც ქალის წამროჩენას - პირიქით, ისინი თავიანთ მასკულინურ ხასიათს უსვამენ ხაზს და ცდილობენ წინ წამოწიონ ის თვისებეი, რაც უფრო მეტად მასკულინურს ხდის მათ.

დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ თვითმმართველობის არჩევნებისათვის ქალი კანდიდატების მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამებსა და კაცი კანდიდატების მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამებს შორის ბევრი საერთო მახასიათებელი არსებობს.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ,https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168 , ბოლო ნახვა 5 დეკემბერი, 2017 წ.

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866, ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017 წ.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტი, CSS, ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: http://dictionary.css.ge/content/gender, (ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017)

გიდენსი ე.,, "სოციოლოგია", ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2012, გვ. 388-421

ჩართოლანიგ., ტელე-რადიოჟურნალისტიკა, 228

ურჩუხიშვილი გ.,ქალები პარტიებში, მითების დეკონსტრუქცია, თბილისი, 2017

გ.ურჩუხიშვილი, ქართული სხეულის სოციოლოგია, „ბოილის ფონდი", თბილისი, 2016

ანა ბრაუნი, მონაცემები ქალ ლიდერებზე, 2017; Pew Research Center, http://www.pewsocialtrends.org/2017/03/17/the-data-on-women-leaders/, ბოლო ნახვა 20 დეკემბერი, 2017

Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015
http://portfolios.creativegroup.com/c/1179/123897ca4c179003f175ab876d196383.pdf
ბოლო ნახვა 1 დეკემბერი, 2017

Dolan, Kathleen. 2005 "Do Women Candidates Play to Gender Stereotypes? Do Men Candidates Play to Women? Candidate Sex and Issues Priorities on Campaign Websites."

World Bank (2011) World Development Report 2012, Gender Equality and Development.

Platform for Action and Beijing Declaration. World Conference on women Beijing, China, 4-15 Sept. 1995. Un, 1996

Platform for Action and Beijing Declaration. World Conference on women Beijing, China, 4-15 Sept. 1995. Un, 1996

Ильясов Ф. Н. Политический маркетинг. Искусство и наука побеждать на выборах, М.: ИМА-пресс, 2000. – 200 с

თვითმმართველობის არჩევნების კანდიდატების წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების ლინკები:

ელენე ხოშტარია:

- https://youtu.be/TNrCDqAbKpU ბოლო ნახვა 6 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=4&v=e5-AaNTOXXA ბოლო ნახვა 6 იანვარი, 2018
- https://www.facebook.com/tbilisimayor/videos/1915856911765569/ ბოლო ნახვა 6 იანვარი, 2018
- https://www.facebook.com/tbilisimayor/videos/1883772041640723/ ბოლო ნახვა, 6 იანვარი

ალეკო ელისაშვილი

- https://www.youtube.com/watch?v=liOCGeywO_o ბოლო ნახვა, 8 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=dPvbpqC1Mbc&index=9&list=UUWvdR3Z1m31h43uTvZg2xbg ბოლო ნახვა, 8 ინავარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=7PER57-ScL4 ბოლო ნახვა 8 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=8xrIcDHW-EU ბოლო ნახვა 8 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=5BbFNfTZHiAბოლო ნახვა 8 იანვარი, 2018

ზაალ უდუმაშვილი

- https://www.youtube.com/watch?v=oSG1xdfySMc ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=2&v=kz6OVEsEafg ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=4wqq50NQojg ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=2&v=UqJ1QtRavPw ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=50&v=YaKVbwhES9wბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018

- https://www.youtube.com/watch?time_continue=4&v=lchXPt-ewrw ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=oSG1xdfySMc ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018

კახა კალაძე

- https://youtu.be/RP2991WZ-ZA ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=8JgSkeCNAqQ ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=DBe3hNGG28U ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=7&v=QUkhiUs5fLM ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=1&v=7pM3bSjJmvE ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=IVSxXbU2Oc0 ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=O7sUbvKhdSA ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=HVOh4GcKAVE ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიზი სრესელი

პოლიტიკური რეკლამების გენდერული ასპექტები (2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების მიხედვით)

მასობრივი კომუნიკაცია და მედიის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მედიის კვლევებში
მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სამაგისტრო პროგრამის
პროფესორი მარიამ გერსამია

საქართველო
თბილისი
2018

ანოტაცია

პოლიტიკური არჩევნები 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელ მსოფლიოში, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ქვეყანაში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესი შესაძლოა საერთაშორისო საზოგადოების ინტერესის საგანიც გახდეს.

სხვადასხვა პარტიის წინასაარჩევნო სარეკლამო რგოლები ერთგვარი ინსტრუმენტია პოლიტიკური გაერთიანებების სოციალიზაციასა თუ რე-სოციალიზაციაში. ექსპერტები წინასაარჩევნო რეკლამას უწოდებენ ბაზრის კონკურენციის ერთგვარ ინსტრუმენტს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოში 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ანალიზი. უფრო კონკრეტულად კი,საკვლევ სუბიექტს მერობის ქალი კანდიდატების წინასაარჩევნო რეკლამები და მათიშედარებითი ანალიზიმამაკაცი კანდიდატების სარეკლამო რგოლებს შორის.

იქიდან გამომდინარე, რომ ქალი პოლიტიკოსების ჩართულობა დღემდე გარკვეული გამოწვევაა არამატო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, საინტერესოა წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების გენდერულ ჭრილში განხილვა.

საქართველოში ამ ეტაპისათვის ჯერ არ ჩატარებულა წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის გენდერულ ჭრილში კვლევა. ეს აჩენს ვარაუდს, რომ ნაშრომი საინტერესო იქნება მკვლევართა ფართო წრისთვის.

Annotation

Political election is one of the most important event in 21st century - locally and internationally. As long as pre-election process is so considerable in the country, it may become the subject of interest of the international community.

Pre-election advertising campaigns of various parties are the keys of socialization or re-socialization of political unions. Experts call pre-election advertisements as a tool for market competition.

The goal of my Master's Thesis is to analyze pre-election political advertisements of candidates participating in the self-government elections in Georgia in 2017. To be more specific, my study subject is to find out the main differences and similarities between male and female candidates political advertismements.

Since the involvement of female politicians is a challenge not only for Georgia, but for the whole world, it is interesting to study pre-election political advertisements in the gender context.

Nowadays, this kind of research has not been conducted in Georgia yet. As this will be new view of political advertisments studies in Georgia, I think it will be interesting for wide rage of researchers.

სარჩევი

ანოტაცია

სარჩევი

1. შესავალი 4

1.1. ტერმინთა განმარტება 7

2. ლიტერატურის მიმოხილვა 10

2.1.ქართული პოლიტიკის ისტორიის მიმოხილვა გენდერულ ჭრილში 12

2.2.კვლევები - ქართული პოლიტიკის გენდერული წრილში 15

2.3. საერთაშორისო კვლეები - პოლიტიკა გენდერულ ჭრილში 19

2.3.1. ფემინიზმი და გენდერული თანასწორობა 23

2.4.პოლიტიკური რეკლამის არსი და ფუნქციები 26

2.5.უფასო და ფასიანი რეკლამების არსი 28

3. კვლევისმეთოდოლოგია, საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა 31

4. შედეგები და დისკუსია 35

5. დასკვნა 43

ბიბლიოგრაფია

1. შესავალი

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში, თბილისში 12 საარჩევნო ბლოკი/პარტია, ხოლო მერობის 13 კანდიდატი (მათ შორის ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი) იყრიდა კენჭს. წარდგენილი ცამეტი კანდიდატიდან მხოლოდ ორია ქალი - ელენე ხოშტარია და ირმა ინაშვილი.

წარდგენილი საარჩვენო ბლოკი/პარტია და მათი მერობის კანდიდატები იყვნენ:

- სარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო; კანდიდატი - ელენე ხოშტარია
- საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო; მერობის კანდიდატი - კახა კუკავა
- საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; კანდიდატი - ზაალ უდუმაშვილი
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"; კანდიდატი - ირმა ინაშვილი
- „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია"; კანდიდატი - გიორგი გუგავა
- „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა"; კანდიდატი - დავით შუკაკიძე
- „საქართველო"; კანდიდატი - გიორგი ლილუაშვილი
- „ტრადიციონალისტები"; კანდიდატი - ნიკოლოზ სანებლიძე
- „შენების მოძრაობა"; კანდიდატი - თენგიზ შერგელაშვილი
- საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - ერთობა ახალი საქართველო"; კანდიდატი - გიორგი ვაშაძე
- „პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა"; კანდიდატი - ლაშა სტურუა

- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; კანდიდატი - კახა კალაძე
- საინიციატივო ჯგუფი; კანდიდატი -ალექსანდრე ელისაშვილი

მოცემულ ნაშრომში, განხილულია 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე წარდგენილი ორივე ქალი კანდიდატის - ელენე ხოშტარიასა და ირმა ინაშვილის წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამები. გარდა ამისა, შედარებისათვის კვლევის ობიექტად შერჩეულია კაცი კანდიდატების წინასაარჩევნო პოლიტიკური რგოლებიც.

დღევანდელ რეალობაში, სადაც არჩევნები მნიშვნელოვანი მოვლენაა როგორც ქვეყნის ასევე საერთაშორისო მასტაბით, წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების კვლევა, მათი განვითარება აქტუალობას იძენს.

საინტერესო იქნება კვლევის გენდერულ ჭრილში განხილვაც, ვინაიდან ქალების ჩართულობა პოლიტიკაში ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია 21-ე საუკუნეში.

საარჩევნო პერიოდი და მისთვის დამახასიათებელი პროცესები მოცემული დროის გამოწვევებს ასახავს, ხოლო მულტიმედიური კომუნიკაციის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მეტად იზრდება პოლიტიკური რეკლამის როლი.

წინასაარჩევნო რეკლამა ორ ძირითად მიზანს ემსახურება: პარტიის მთავარი იდეა გადასცეს ამომრჩეველს ემოციური, ამავე დროს ლაკონური და ადვილად დასამახსოვრებელი ფორმით; შეუქმნას ამომრჩეველს დადებითი ფსიქოლოგიური განწყობა, რათა ის გარდაქმნას პარტიის ან კანდიდატის მხარმდამჭერად, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მიზნის მიღწევას - გამარჯვებას.

კვლევის საგანს წარმოადგენს 2017 წლის თვითმმართველი ქალაქების არჩევნებში, კერძოდ თბილისში წარდგენილი მერობის ორი ქალი კანდიდატის ფასიანი და უფასო წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამები.

წარდგენილი ქალი კანდიდატები არიან: სარჩევნო ბლოკიდან „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“ წარდგენილი კანდიდატი ელენე ხოშტარია და „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“ - ირმა ინაშვილი.

რაც შეეხება მამაკაც კანდიდატებს, კვლევის ობიექტად შევარჩიე გამარჯვებული პარტიის - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატის კახა კალაძის სარეკლამო რგოლები, მეორე ადგილზე დამოუკიდებელი კანდიდატის - ალექსანდრე ელისაშვილის სარეკლამო რგოლები და მესამე ადგილზე გასული ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ - ზაალ უდუმაშვილის წინასაარჩევნო რეკლამები.

კვლევის მეთოდად შერჩეულია რიტორიკული ანალიზი. კვლევაში ასევე მიმოხილულია რეკლამის განთავსების ასპექტები საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით; სხვა სამართლებრივი საკითხები ფასიანი და უფასო რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით;

საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური განვითარება და არსებული პრობლემები გენდერულ ჭრილში; საქართველოში ჩატარებული კვლევები, რომლებმაც შეისწავლეს ქვეყნის მოსახლეობის მზაობა ქალი პოლიტიკოსების ჩართულობით და გარდა ამისა, ამერიკელი პოლიტიკოსების ქალების ჩართულობის დინამიკა პოლიტიკაში.

1.1 ტერმინთა განმარტება

ნაშრომში გამოყენებული ვიწროსპეციალური ტერმინები საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, განმარტებულია შემდეგნაირად:

- **არჩევნები** – საარჩევნოპროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთ აარჩევა;
- **საარჩევნო სუბიექტი** – შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატი, საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი;
- **მერობის კანდიდატი** – მერის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე.
- **ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო** – საკრებულო; საქართველოს დედაქალაქის – თბილისის საკრებულო, თვითმმართველი თემის საკრებულო, თვითმმართველი ქალაქის საკრებულო.
- **წინასაარჩევნო კამპანია** – საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.
- **პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა** – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომ – მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელისშეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი

ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლებისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ

რეგულაციის მიხედვით პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა **„ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“** ან **„უფასო პოლიტიკური რეკლამა“.** ასეთ რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფაც რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა;

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ განმარტავს, რომ:

- **წინასაარჩევნო რეკლამა არის** – რეკლამა, რომლის მიზანია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირის – მერის არჩევის ხელშეწყობა;

სხვა ტერმინების პროფესიულ ლიტერატურაში განმარტებულია შემდეგნაირად:

- **გენდერი** - გენდერი არის ფიზიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის განსხვავებას საზოგადოებებში. გენდერის ეს თანამედროვე მნიშნელობა თავიდან დამკვიდრდა ქალურობისა და მამაკაცურობის სოციალურ-კულტურული, ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავებული, კონსტრუქტის აღსანიშნავად (**ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში:**http://dictionary.css.ge/content/gender, (ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017)

- **მასკულინობა** - მასკულინობა (ანუ მამაკაცურობა) იმ თვისებათა ნაკრებს გულისხმობს, რომელიც კონკრეტულად მამაკაცთთათვის დამახასიათებლად მიიჩნევა. მისი შესატყვისი ქალებისათვის არის ფემინურობა (ქალურობა) (**ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში:**http://dictionary.css.ge/content/gender, (ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017).
- **ფემინიზმი** - ფემინიზმი მოიცავს თეორიების, იდეოლოგიებისა და სოციალური მოძრაობების ერთობას, რომელთა მიზანიც ქალთა მდგომარეობის თუ გამოცდილებების აღწერა და ანალიზი, ქალის პერსპექტივისა და ავტორიტეტის წინ წამოწევა და ქალთათვის თანასწორი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული უფლებების მოპოვებაა(**ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში:** http://dictionary.css.ge/content/gender, (ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017).

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. ქართული პოლიტიკის ისტორიის მოკლე მიმოხილვა გენდერულ ჭრილში

მას შემდეგ, რაც 1989 წლიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირმა დაიწყო ნგრევა, არაერთი ცვლილება საქართველოს პოლიტიკურ წყობასაც შეეხო. ქვეყანა გამოვიდა კოლონიალური მმართველობიდან, მოიპოვა დამოუკიდებლობა და გადავიდა მმართველობის დემოკრატიულ სტილზე[1].

აღმოსავლეთ ევროპა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. პოსტ-საბჭოთა ქვეყნები ჩაერთვნენ ახალი კონსტიტუციების დაწერისა და მრავალპარტიული საპარლამენტო წყობის შექმნის მორევში. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი წარმატებული აღმოჩნდა რიგი ქვეყნებისათვის, მათ მაინც მოუწიათ გარკვეული ეკონომიკური თუ პოლიტიკური სირთულეების დაძლევა (გიდენსი, 2012). [2]

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის საკმაოდ მწირი გამოცდილება ჰქონდა, ის აღმოჩნდა იმ ქვეყნათაგან, რომელსაც ბევრ დამატებით პრობლემასთან მოუწია გამკლავება.

ცვლილებებმა ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა ქალების ჩართულობას სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კაპიტალისტურ წყობაზე გადასვლამ, გამოიწვია უმუშევრობის მაღალი დონე, ყველაზე მეტად კი ეს ქალებისთვის გახდა აქტუალური (გიდენტი, 2012). [3]

---

[1]გ. ურჩუხიშვილი,ქალები პარტიებში, მითების დეკონსტრუქცია, თბილისი, 2017

[2]ე. გიდენსი, "სოციოლოგია", ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2012, გვ. 388-421

[3]ე. გიდენსი, "სოციოლოგია", ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2012

რაც შეეხება საქართველოს - აქ მდგომარეობა სხვა დისკურსით წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის პოსტ კოლონიალური ქვეყანა, აქ დემოკრატიზაცია და გენდერული თანასწორობა დაუპირისპირდა ეროვნულობას, როგორც ჩამოყალიბდა სხვადასხვა დისკურსები, ისეთი როგორიც არის მაგალითად „ქართველობის წარმევა“, ქალის შრომის გაუფასურება და ა.შ (ურჩუხიშვილი, 2016)[4]

სხვადასხვა წყაროს ანალიზით დგინდება, რომ „90-იანი წლები მძიმე გამოდგა საქართველოსთის და ამ პერიოდში ქალების რაოდენობის ნაკლებობა პოლიტიკაში არ იყო გასაკვირი. თუმცა, შემდგომ წლებში გატარდა უამრავი ღონისძიება, რათა გაზრდილიყო გენდერული თანასწორობა და ინტერესი ქალების პოლიტიკაში ჩართვისა. ამის მიუხედავად, ბევრი დადებითი ცვლილება არ მომხდარა: 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში სულ 18 ქალი პარლამენტარი იყო, რაც შეეხება 2016-2020 წლების მოწვევას პარლამენტში, რაოდება ძალიან არ გაზრდილა და 150 დეპუტატიდან, მხოლოდ 24 არის ქალი. უფრო მეტად მძიმე სურათია რეგიონებსა და თვითმმართველ ერთეულებში“ (ურჩუხიშვილი, 2017).[5]

2.2. კვლევები - ქართული პოლიტიკის გენდერული ჭრილი

[4]გ.ურჩუხიშვილი, ქართული სხეულის სოციოლოგია, „ბოილის ფონდი“, თბილისი, 2016

[5]გ. ურჩუხიშვილი,ქალები პარტიებში, მითების დეკონსტრუქცია, თბილისი, 2017

2016 წლის ნომებერში NDI - მ (National Democratic Institute)[6] ჩაატარა რაოდენობრივი გამოკითხვა: „ საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“, რომლის კვლევის მიზანი იყო შეესწავლა მოსახლეობის დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით. მოცემულმა კვლევამ ორი დებულება გამოამჟღავნა: მოსახლეობა თვლის, რომ ქალი ქართული პოლიტიკისთვის დადებითი მოვლენა იქნება და წაადგება მას, რისთვისაც აცხადებს მზაობას, მეორე მხრივ კი ეს ყველაფერი არ ხორციელდება რეალობაში (იხილეთ გრაფები: N1, N2)

გრაფა N 1: „ საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“, 2016 წ.



გრაფა N 1: „ საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში“, 2016 წ.

[6]„საზოგადოებრივი განწყობის კვლევა საქართველოში, 2016, NDI, https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_November%202016%20poll_Issues_GEO_vf.pdf , ბოლო ნახვა 5 დეკემბერი, 2017



საინტერესოა სხვა კვლევებიც, რომლიც ეხება პოლიტიკური პარტიების გენდერულ ჭრილში შესწავლას. 2012 წლის კვლევების თანახმად, რომელიც შეისწავლიდა შიდაპარტიულ დემოკრატიას საქართველოში, გამოვლინდა საინტერესო მიგნებები (ბაგრათია და სხვები, 2012)[7]:

- *პარტიებში ქალთა ჯგუფებს სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი გეგმები აქვთ.*
- *პარტიებს არ გააჩნიათ გენდერული აუდიტი და თავად პარტიების მიერ შეგროვებული გენდერული ინფორმაცია არის ცდომილებებით სავსე და ინფორმაცია არ არის ბევრის მომცემი.*
- *ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, აღმოჩნდა, რომ პარტიებში არსებობს „ძალაუფლების გენდერული პირამიდა“, რაც გულისხმობს იმას, რომ რაც უფრო მაღალია ძალაუფლების მოცულობა, მით ნაკლებ როლს ასრულებს ქალი.*

[7]T. Bagratia and M. Badashvili/D.Jijelava /I. Khmaladze. “Intra-party democracy and local governance”, NIMD (Nitherlands Institute for Multiparty Democracy), Tbilisi, 2012

- *მამაკაცებს ქალებთან შედარებით აქვთ გაცილებით მეტი ფუნქცია და პასუხისმგებლობა.*
- *ქალები და კაცები თანაბრად არიან ჩართულნი წინასაარჩევნო ღონისძიებებში, ასევე წინასაარჩევნო პროგრამის შემუშავებაში და საარჩევნო მონიტორინგის პროცესში.*
- *ქალები აქტიურად ჩართულები არიან მედიასთან კომუნიკაციაში და მოხალისეობრივ სამუშაოებში.*

მოცემული კვლევის თანახმად, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ „მამაკაცური პროფილი“. მათი დომინანტურობა ჩანს თითქმის ყველა ასპექტში და ამის შედეგად ქალი პოლიტიკოსები ნაკლებადახერხებენ პოლიტიკური კარიერის შექმნას.

2.3. საერთაშორისო გამოცდილებები - პოლიტიკა გენდერულ ჭრილში

პოსტსაბჭოთა სივრცე და კონკრეტულად საქართველო, რომელიც მრავალი ეკონომიკური და სოციალური პრობლემის წინაშე დადგა სოციალისტური რეჟიმის რღვევის შემდეგ, არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ლიდერ პოზიციებზე დაყენება პრობლემაა.

ქვემოთ მოყვანილი კვლევები ცხადყოფს, რომ ისეთი ლიდერი ქვეყნისათვის, როგორც ამერიკაა, ქალების ჩართულობა ასევე დიდი გამოწვევაა.

ამერიკელების უმეტესობა ამბობს, რომ ქალები და მამაკაცები თანასწორნი არიან, თუმცა, როდესაც საქმე ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ლიდერობა, ინტელექტუალური შრომა, პოტენციალი გარკვეული ინოვაციებისათის და სხვ., კვლევები გვანახებს, რომ ქალები მაინც უმცირესობაში არიან მაღალი თანამდებობის პირების რანგში (ბრაუნი, 2017)[8].

გრაფაში (N3) ნაჩვენებია 1966 – 2016 წლის მონაცემები, რომელიც აღნიშნავს ქალების პროცენტულობას ამერიკის სენატში წლების მიხედვით. 2016 წლის მონაცემების მიხედვით, ქალების რაოდეონა ამერიკის სენატში შეადგენს 21.0%-ს.

გრაფა N 3: ამერიკელი ქალი სენატორების პრცენტული მაჩვენებელი

[8]ანა ბრაუნი, მონაცემები ქალ ლიდერებზე, 2017; Pew Research Center, http://www.pewsocialtrends.org/2017/03/17/the-data-on-women-leaders/, ბოლო ნახვა 20 დეკემბერი, 2017



პიუს კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც ეხება რეკრუტირებას პოლიტიკურ სფეროში, გამოვლინდა რამდენიმე დებულება (ბრაუნი, 2017)[9]. ესენია:

- ქალები ნაკლებად გამოხატავენ ინტერესს იმუშაონ პოლიტიკურ პარტიაში
- ქალები ნაკლებად გამოხატავენ ინტერესს წააყენონ თავიანთი კანდიდატურა
- მიუხედავად კვალიფიკაციისაა, ქალები მაინც არ თვლიან თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას საკმარისად, იმისათვის რომ ჩაერთონ პოლიტიკაში.

[9]ანა ბრაუნი, მონაცემები ქალ ლიდერებზე, 2017; Pew Research Center, http://www.pewsocialtrends.org/2017/03/17/the-data-on-women-leaders/, ბოლო ნახვა 20 დეკემბერი, 2017

- ქალები თვლიან, რომ პოლიტიკაში ჩართვა არ არის კარგი არჩევანი მათი სოციალური მდგომარეობის შესაცვლელად (იხილეთ გრაფა N4)

გრაფა N4: ქალების რეკრუტირება პოლიტიკაში



ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის კვლევებში ევროპაც აქტიურადაა ჩართული. ევროპარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ 2013 წლის ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი მიგნებები:

- *ქალთა ინტერესი ფორმალურ პოლიტიკაში კაცებთან შედარებით დაბალია. გარდა ამისა, ქალების ინტერესი პოლიტიკისადმი, თვისობრივადაც განსხვავდება კაცების ინტერესებისგან.*

- *არსებობს გარკვეული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს პოლიტიკაში ჩართულობასა და წინსვლისთვის. ასეთი ბარიერებია სოციალური (რაც გულისხმობს კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს), სტრუქტურული (დაკავშირებულია ქალების ნაკლებ ჩართულობას ეკონომიკურ რესურსებში), სიტუაციური (იგულისხმება ქალის როლი ოჯახში).*

- *ქალებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციებში და სოციალური მუშაობა უფრო მეტად აქტუალურია, ვიდრე კაცებისთვის.*

- *ქალები უფრო მეტად ჩართულები არიან არაფორმალურ პოლიტიკურ საქმიანობაში (რაც გულისხმობს რომ ეს საქმიანობა არ არის*

დაკავშირებული პარტიულ პოლიტიკასთან) და მათი ინტერესის ძირითადი სფერო არ აისახება პოლიტიკურ დებატებში[10].

ასევე, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ქალებს ნაკლები ინტერესი აქვთ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, ვიდრე კაცებს. არჩევნებში ხმის მისაცემად, ქალები და კაცები თითქმის ერთნაირად აქტიურობენ, თუმცა ქალები უფრო ხშირად იღებენ მონაწილეობას უპარტიო აქციებში, პეტიციებსა თუ ბოიკოტებში, ვიდრე კაცები. კაცები კი, უფრო მეტად ფორმალურ პოლიტიკაში დგამენ ნაბიჯს და შედიან პარტიაში.[11]

2.4. პოლიტიკური რეკლამების კვლევები გენდერულ ჭრილში

გენდერული ასპექტების კვლევა წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამებში, ბევრი მკვლევარის ინტერესის საკითხი გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ,

[10]Women in decision-making: The role of the new media for increased political participation, POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS, European Parliament, 2013

[11] Women in decision-making: The role of the new media for increased political participation, POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS, European Parliament, 2013

რაც საერთაშორისო ასპარეზის დღის წესრიგში დადგა ქალთა უფლებებისა და ზოგადად გენდერის ასპექტები.

გენდერული თანასწორობისკენ მიმავალმა გზამ, გაცილებით მეტი შესაძლებლობა მისცა ქალ პოლიტიკოსებს. მდგომარეობა უმჯობესდება და ქალ პოლიტიკოსებს გაცილებით უკეთესი გარემო აქვთ პოლიტიკის შესაქმენლად დღეს, ვიდრე ჰქონდათ ადრე (შეიმსი, 2015).[12]

წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანიის განმავლობაში, კანდიდატისთვის აუცილებელია გაითვალისწინოს თავისი ამომრჩევლის ფსიქოლოგია, რომელიც ძირითადად სტერეოტიპული აზროვნებისკენ არის მიმართული, განსაკუთრებით კი ისეთ სენსიტიურ ასპექტთან მიმართებაში, როგორიცაა გენდერი.

ამერიკის სენატის წინასაარჩევნო კამპანიების კვლევისას, სხვადასხვა ავტორები მივიდნენ მიგნებამდე, რომ კანდიდატები ყურადღებას ამახვილებენ თავიანთ პიროვნულ ძლიერ მხარეებს. ამომრჩევლების სტერეოტიპული დამოკიდებულების მიზეზით, კანდიდატები ხაზს უსვამენ სწორედ პიროვნულ თვისებებს კამპანიის განმავლობაში. მაშინ, როდესაც ამომრჩევლები კაც კანდიდატებში ყურადღებას ამახვილებენ მათ ლიდერულ უნარებსა და ცოდნაზე, ქალების შემთხვევაში ისინი აფასებენ მათ თანაგრძნობის უნარს, პატიოსნებასა და გულწრფფელობას. გარდა ამისა,ა მომრჩევლები თვლიან, რომ კაცი კანდიდატების საუკეთესო თვისებებია: დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, ლიდერობის ძლიერი უნარი, ხოლო

[12]Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015
http://portfolios.creativegroup.com/c/1179/123897ca4c179003f175ab876d196383.pdf ბოლო ნახვა 1 დეკემბერი, 2017

ქალებში - მშვიდ და უწყინარ ბუნებას (Ashmore and Del Boca 1979; National Women's Political Caucus 1987)

ეშმორის და ბოვას კვლევის თანახმად, კანდიდატების სქესი შეიძლება გახდეს იმის განმსაზღვრელი, თუ როგორ მოიხმობს კანდიდატი თავის ამომრჩევლებს - პირადი (ემოციური) თუ პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით. იქიდან გამომდინარე, რომ ელექტორატის დიდი რაოდენობა თვლის, რომ ქალები ნაკლებად კომპეტენტურნი არიან ვიდრე კაცები, ისინი თავიანთ წინასაარჩევნო რეკლამებში ზახს უნდა უსვამდნენ პოლიტიკურ საკითხებს. რაც შეეხება კაც კანდიდატებს, მათ მოქნილობის უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ, რადგან ისინი უფრო მეტ ნდობას „იმსახურებენ" ამომრჩევლების მხრიდან (Ashmore and Del Bova 1979; National women's political Caucus 1987)

ამერიკაში ჩატარებულმა კვლევებმა, დაგვანახა, რომ კანდიდატის გამარჯვება არ არის აუცილებლად კორელაციურად მიბმული მის გენდერზე. თუმცა, არსებობს გარკვეული მიგნებები, რომლებიც დაგვანახებს, რომ გენდერი გარკვეულწილად მოქმედებს კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო კამპანიებსა და რეკლამებში გამოყენებულ მთავარ მესიჯებსა და აქცენტზებზე. მაგალითისათვის, ამერიკელი მკველვრის კიმ ფრიდკინ კანის კვლევების მიხედვით, პოლიტიკურ სივრცეში, ქალი კანდიდატები თავიანთი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ყურადღებას ამახვილებენ განათლებაზე, რაცამომრჩევლებისათვის სტერეოტიპულად ძლიერი მხარეა.[13] გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ ქალებისა და მამაკაცების წინასაარჩევნო კამპანია და მათი აჯენდა სტრატეგიულად სხვა საკითხებითაც განსხვავდება. ქალი კანდიდატების და მათი თანანმდებობრივი საქმიანობის შესწავლისას

[13]Gender Differences in Campaign Messages: The Political Advertisements of Men and Women Candidates for U. S. Senate, Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015

აღმოჩნდა, რომ ქალები ისეთ სოციალურ საკითხებს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, მაგალითად როგორიცაა აბორტის საკითხები (Carroll 1985; Darcy, Welch, and Clark 1987; Poole and Zeigler 1985).

საგულისხმოა ისიც, რომ კანდიდატების სქესი შეიძლება გახდეს იმის განმსაზღვრელი, თუ როგორ მოიხმობს კანდიდატი თავის ამომრჩევლებს - პირადი (ემოციური) თუ პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით. იქიდან გამომდინარე, რომ ელექტორატის დიდი რაოდენობა თვლის, რომ ქალები ნაკლებად კომპეტენტურნი არიან ვიდრე კაცები, ისინი თავიანთ წინასაარჩევნო რეკლამებში ზახს უნდა უსვამდნენ პოლიტიკურ საკითხებს. რაც შეეხება კაც კანდიდატებს, მათ მოქნილობის უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ, რადგან ისინი უფრო მეტ ნდობას „იმსახურებენ" ამომრჩევლების მხრიდან (Ashmore and Del Bova 1979)

კვლევებმა ასევე აჩვენეს, რომ სხვაობა კაცისა და ქალის წინასაარჩევნო კამპანიაში სტრატეგიულია. მაგალითად კიმ ფრიდკინი და დანია ბისტორმი, თავიანთი კვლევების მიხედვით ამბობენ, რომ ქალები თავიანთ სარეკლამო რგოლებში უფრო დახვეწილად და პროფესიონალურად შერჩეული ტანსაცმლით არიან ჩაცმულნი და ასევე ნაკლებად აჩენენ თავიანთი ოჯახის წევრებს ტელეკრანსა თუ სხვა მედია საშუალებებზე (შაუმა, 2015).[14]

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ქალი კანიდატების წარმატება და ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობაში, დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მაგალითად, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი შერწყმა

[14]Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015 http://portfolios.creativegroup.com/c/1179/123897ca4c179003f175ab876d196383.pdf ბოლო ნახვა 1 დეკემბერი, 2017

გენდერულ, რასობრივ და პარტიულ ასპექტებთან (შაუმა, 2015). [15]იმის გათვალისწინებით, თუ რა სტერეოტიპული მიდგომები არსებობს საზოგადოებასი, ქალი კანდიდატები ცდილობენ გაითვალისწინონ მოცემული ტენდენციები და შეარჩიონ ისეთი ქცევა, მანერა თუ მესიჯები, რაც მას გამარჯვებისკენ მიიყვანს. ამიტომაც ქალები ყურადღებას ამახვილებენ თავიანთ კვალიფიკაციაზე და ცდილობენ გადმოიტანონ მასკულინური თვისებები, რათა დაარწმუნონ ამომრჩევლები, რომ ისინი გაუმკლავდებიან დაკისრებულ სამუშაოს (დოლანი, კატლინი, 2005).[16] ავტორის აზრით: „იმის გათვალისწინებით, რომ ამომრჩევლებში კაცი კანდიდატები მეტ ნდობას ჰპოვებენ, ქალი კანდიდატები ხშირად მიმართავენ ტრადიციულ მასკულინურ აქცენტებს“ (დოლანი, 2005).გარდა მასკულინური მიდგომებისა, ქალები მაინც ცდილობენ თავიან ქცევაში შეიტანონ ფემინისტრური შტრიხებიც.[17]

2.3.1.ფემინიზმი და გენდერული თანასწორობა

ფემინიზმი მოიცავს თეორიების, იდეოლოგიებისა და სოციალური მოძრაობების ერთობას, რომელთა მიზანიც ქალთა მდგომარეობის თუ გამოცდილებების აღწერა და ანალიზი, ქალის პერსპექტივისა და ავტორიტეტის წინ წამოწევა და ქალთათვის თანასწორი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული უფლებების მოპოვებაა

[15] Dolan, Kathleen. 2005 “Do Women Candidates Play to Gender Stereotypes? Do Men Candidates Play to Women? Candidate Sex and Issues Priorities on Campaign Websites.”
[16]Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015 http://portfolios.creativegroup.com/c/1179/123897ca4c179003f175ab876d196383.pdf ბოლო ნახვა 1 დეკემბერი, 2017
[17]იქვე

(ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: http://dictionary.css.ge/content/feminism, ბოლო ნახვა 8 ნოემბერი, 2017).[18]

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ფემინიზმი არის სწორედ ის მოვლენა, რამაც განაპირობა ქალების ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფემინიზმმა გარკვეული ეტაპები გაიარა. თავდაპირველად, ქალებმა მოითხოვეს არჩევნებზე ხმის მიცემის უფლება. ფემინიზმის განვითარებასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნებიც და ქალები ჩაერივნენ პოლიტიკური ცხოვრების მორევში.ქალთა მოძრაობები უკვე დიდი ხანი არის მამოძრავებელი ძალა სოციალური ცვლილებების პროცესებში. მის მობილიზებას ახდენენ როგორც პოლიტიკური სუბიექტები ასევე სოციალური აგენტები, სხვადასხვა მიზეზით - სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ა.შ.

ფემინიზმი და ზოგადად ქალთა მოძრაობები, დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან როგორიცაა ქალთა უთანასწორობა და სხვა რიგი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია გენდერის გამო. ფემინისტური მოძრაობა არის პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მთავარი მიზანია შეცვალოს სოციალური პირობები, აამაღლოს ცნობიერება საზოგადობაში და განდევნოს უარყოფითი მიმართებები საზოგადოების მხრიდან.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, ფემინიზმი, როგორც სოციალური მოძრაობა, დაიწყო 1920-იან წლებში. ე.წ „პირველი ტალღა“ ამოქმედდა აშშ-სა და ევროპაში. ამ მოძღაობის მთავარი მოთხოვნა იყო ქალებს მოეპოვებინათ საკუთრები ფლობის უფლება, მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა, ქალების პოლიტიკაში ჩართვა, ქალების ლეგალური

[18]სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, CSS ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: http://dictionary.css.ge/content/feminism, ბოლო ნახვა 8 ნოემბერი, 2017

აღიარების მოპოვება და იმ ბაიერების გადალახვა, რაც მათ ხელს უშლიდა გენდერული თანასწორობისთვის.

ფემინიზმის „მეორე ტალღამ“, როგორც რადიკალურმა ფემინიზმმა აღიარა, რომ ლეგალური თანასწორობა არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ მომხდარიყო ქალების სუბორდნაცია საზოგადოებაში. მათი მამოძრავებელი სლოგანი გახდა - „ პირადი არის პოლიტიკური“. მათი მოძრაობის მთავარი მიზანი იყო ქალების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ტრანსფორმაცია.

მესამე, პოსტმოდერნულ ფემინისტურ ტალღას, მთელი ყურადღება იურიდიული ასპექტებიდან და ჯგუფის ინდენტიფიკაციიდან გადააქვს თანასწორობის ახალ კონცეფციაზე, რაც გულისხმობს ქალსა და კაცს შორის ყველა ფუნდამენტური განსხვავებების იგნორირებას. ამ ტალღამ უარყო ყველა შესაძლო ფაქტორი, რომელიც აერთიანებს ქალებს როგორც კლასს ან ჯგუფს, ასევე ყველა ის ჰომოგენიზირებული განმარტებები და განზოგადებები. პოსტმოდერნული ფეინისტური მიდგომა ფოკუსირდება უფრო მეტად კულტურულ და ინდივიდუალურ უფლებებზე.[19]

ქალებისა და კაცების თანასწორობა პოლიტიკაში, დემოკრატიულ ქვეყნებში საგრძნობლად გაიზარდა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში (Coffe and Bolzendahl, 2010, Mestre and Marin, 2012). ქალები აყენებენ თავიანთ კანდიდატურებს ნაციონალურ პარლამენტში შესასვლელად და მათი რიცხვი იზრდება, გარდა ამისა, ბოლო წლებში რეკორდული რაოდენობაა ქალებისა, რომლებიც მთავრობაში აღმასრულებელ პოზიციაზეა (Lovenduski 2005; Paxton et al. 2007).

[19] World Bank (2011) World Development Report 2012, Gender Equality and Development.

პეკინის დეკლარაციის მიხედვით „ქალების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დონე და მათი გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართულობა, პირდაპირპროორციულად ასახავს გენდერული თანასწორობის მდგომარეობას მოცემულ სოციუმში. გენდერული თანასწორობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა განიხილებოდეს შემდეგ კონტექსტში - შეუძლიათ თუ არა ქალებმა გავლენა იქონიონ საზოგადოებრივ გადაწყვეტილებებზე, ისევე როგორც კაცებს. პეკინის 1995 წლის პლატფორმა, ხაზგასმულია, რომ თანასწორობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქალთა უფლებების გასაუმჯობესებლად. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქალების თანაბარი მონაწილეობა არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობას ან/და დემოკრატიას, არამედ ეს არის აუცილებელი პირობა. ქალების ინტერესები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული“.[20]

2.4. პოლიტიკური რეკლამის არსი და ფუნქციები

სარეკლამო კაპანიის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა ასახავდეს სოციალურ (იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სხვ.) ან/და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც გააჩნიათ ამომრჩევლებს (ილიასოვი, 2000)[21]. პოლიტიკური რეკლამის არსებობა ქვეყანაში,

[20] Platform for Action and Beijing Declaration. World Conference on women Beijing, China, 4-15 Sept. 1995. Un, 1996

[21]Ильясов Ф. Н. Политический маркетинг. Искусство и наука побеждать на выборах, М.: ИМА-пресс, 2000. – 200 с

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არასტაბილურია (ჩართოლანი, 2008)[22].

ქართველი მედიასამართლის ექსპერტი(ჯორბენაძე, 2013) განმარტავს, რომ პოლიტიკური რეკლამა უნდა აკმაყოფილებდეს სამ პრინციპს. ესენია:

1. რეკლამის მიზანი უნდა იყოს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობა ან ხელის შეშლა
2. რეკლამაში აუცილებლად უნდა იყოს ნაჩვენები საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი საარჩევნო ნომერი
3. რეკლამა უნდა შეიცავდეს წინასაარჩევნო კამპანიის გარკვეულ ნიშნებს.

ჯორნებაძე განმარტავს, რომ მაუწყებელი ვალდებულება, პირველ რიგში შეამოწმოს, თუ რამდენად არის შესაბამისობაში პოლიტიკური რეკლამა მის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დეფინიციასთან[23]. ილიასოვის (2000) აზრით, პოლიტიკური რეკლამის შინაარსი არის ზუსტად ის, რისი გადაცემაც გვინდა ამომრჩევლისთვის (ანუ მივყიდოთ მას) - კანდიდატის მოდელირებული იმიჯი. ის გადმოიცემა შემდეგი მოცემულობებით:

1. კანდიდატის ვიზუალი (კანდიდატის გარეგნობა, მისი ფოტო, სატელევიზიო იმიჯი, და ა.შ)
2. ხმა (კანდიდატის ხმა და მასთანა სოცირებული ხმები და მუსიკა)
3. მოცემული ინფორმაციები კონკრეტულ ფაქტებზე, რომლებიც შეიძლება იყოს გამოგონილი ან რეალური (კანდიდატის ბიოგრაფია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მის სამუშაო გამოცდილებას, ოჯახურ

[22]ჩართოლანიგ., ტელე-რადიოჟურნალისტიკა, 2008 გვ 228
[23]ჯორბენაძე ს., რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013, გვ. 92

მდგომარეობას, ცხოვრების სტილს, მსოფლმხედველობასა და ღირებულებებს, განზრახვებსა და პროგრამას).

4. სარეკლამო კამპანიის ძირითადი იდეები[24].

2. 5. უფასო და ფასიანი რეკლამების არსი

ჯორბენაძის (2013) განმარტებით პოლიტიკური რეკლამა მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა არჩევნები ჩატარდეს თავისუფლად და გამჭირვავლედ.

[24]Ильясов Ф. Н. Политический маркетинг. Искусство и наука побеждать на выборах, М.: ИМА-пресс, 2000. – 200 с

თავის მხრივ, არჩევნების თავისუფლება და გამჭვირვალეობა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ამომრჩევლებმა ნდობა გამოუცხადონ საბოლოო შედეგს[25].

უფასო პოლიტიკური რეკლამა საჭირო დღევანდელ რეალობაში. ის წარმოადგენს ერთგვარ „კონტაქტს“ ამომრჩეველსა და პოლიტიკოსებს შორის (ლანგი, 2004)[26].

ჯორბენაძის აზრით, ჩნდება კითხვები, თუ როგორ უნდა მოხდეს დროის განაწილება სამართლიანი წესით ისე, რომ საზოგადოებისთვის მოცემული რეკლამები არ გახდეს მოსაბეზრებელი. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს გადაწყვეტილება, თუ როგორ იქნება განაწილებული უფასო რეკლამის დრო - პროპორციულად თუ თანაბრად, ასევე რა ხანგრძლივობის უნდა იყოს რეკლამა და არის თუ არა საჭირო მასზე მაქსუმალური ზღვარის დაწესება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა და საარჩევნო სისტემა. იმ შემთხვევაში, თუ ახალდაშექმნილ პარტიასა და კანდიდატს დიდი შანსი აქვს გამარჯვების, მაშინ სავსებით გამართლებულია თანაბარი დროით სარგებლობა და პირიქით. რაც შეეხება პროპორციულ განაწილებას, ის გვაძლევს შესაძლებლობას, რომ წარუმატებელმა პარტიებმა დიდი საეთერო დრო არ დაიკავონ.

ისევე როგორც პროპორციულ, ასევე თანაბარ განაწლებას თავისი ნაკლოვანებები აქვთ. უფასო სარეკლამო დროის პროპორციული განაწილების ყველაზე მნიშვნელოვან კონტრარგუმენტს წარმოადგენს ის, რომ ასეთი განაწილება ხელს უწყობს ისედაც უკვე წარმატებულ პარტიას თავისი

[25]ჯორბენაძე ს., რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013

[26]ლანგი ი., მედია და არჩევნები, გამომცემლობა რეგთაიმი, თბილისი, 2004

სიძლიერისა და წარმატების შენარჩუნებას. რაც შეეხება თანაბარი განაწილების პრინციპს - მისი წყალობით ზედმეტად დიდი დრო ეთმობა უმნიშვნელო პარტიებსა და კანდიდატებს.

რაც შეეხება **ფასიან პოლიტიკურ რეკლამას,** მასთან დაკავშირებით გამუდმებით მიმდინარეობს კამათი. კამათობენ როგორც სიტყვის თავისუფლების ქომაგები, ასევე ადამიანები, რომლებიც ემხრობიან დროის სამართლიანი განაწილების პრინციპს.

საზოგადოების ერთი ნაწილის მტკიცებით, ფასიანი პოლიტიკური რეკლამა შესაძლებლობას აძლევს უცნობ კანდიდატს გახდეს ცნობადი და გაიზარდოს მისი წარმატების შანსები. შეზღუდვებით კი შეილახება სიტყვის თავისუფლება. საზოგადოების მეორე ნაწილი თვლის, რომ ფასიანი რეკლამის დაშვება არის უთანასწორობის დაკანონება, რადგან იმ კანდიდატს, ვისაც მეტი ფული აქვს, გაცილებით მეტ საეთერო დროს ყიდულობს. შედეგად, კანდიდატის მიერ ფონდების მოზიდვა ხდება ზედმეტად მნიშვნელოვანი და ზღვარგადასული. კერძო შემოწირულობები კი გარკვეულწილად ზემოქმედებას ახდენენ პოლიტიკაზე, რაც საფრთხეს უქმნის აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებლობას (ლანგი, 2004)[27].

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ფასიანი პოლიტიკური რეკლამა არ წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას. პოსტსაბჭოთა სივრცეში, საკმაოდ გავრცელებულია ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსება მაუწყებელზე (რასაც ვერ ვიტყვით დასავლეთზე), და ამ მოვლენას აქვს ორი ძირითადი მიზეზი: 1) ფასიანი პოლიტიკური რეკლამა ხდება შემოსავლის წყარო იმ მედია საშუალებებისთვის, რომლებიც იბრძვიან არსებობისათის;

[27]ი. ლანგი, მედია და არჩევნები, გამომცემლობა რეგთაიმი, თბილისი, 2004

2)არსებობს იმის საშიშროება, რომ აკრძალვის შემდეგ, პოლიტიკური რეკლამა მაინც გავიდეს ეთერში, მაგრამ სარედაქციო მასალის ნიღბით (ლანგი, 2004). [28]

ჯორნებაძის მოსაზრებით, დღევანდელ საქართველოში, მაუწყებელს არ გააჩნია იმდენად დიდი შემოსავალი, რომ უარი თქვას ფასიან პოლიტიკურ რეკლამაზე[29].

3. კვლევის მეთოდოლოგია, ჰიპოთეზები და საკვლევი კითხვები

[28]იქვე

[29]ს. ჯორბენაძე, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013

ნაშრომი ეფუძვნება, საქართველოში ჩატარებული 2017 წლის 21 ოქტომბერს თვითმმართველობის არჩევნების მერობის კანდიდატების სატელევიზიო წინასაარჩევნო რეკლამის მონიტორინგს. საკვლევ პერიოდად განსაზღვრულია 2017 წლის თხუტმეტი სექტემბრიდან ოცდაერთ ოქტომბრამდე დროის მონაკვეთი. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა როგორც ფასიან, ასევე უფასო პოლიტიკურ რეკლამებზე 3 სატელევიზიო არხზე: რუსთავი 2; იმედი; საზოგადოებრივი მაუწყებელი. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგი კანდიდატი საქართველოს კანონმდებლობით ვერ სარგებლობდა უფასო პპოლიტიკური რეკლამის დროით ტელესივრცეში, ისინი უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოციალურ ქსელებში. შესაბამისად მონიტორინგი ვაწარმოე მათ ოფიციალურ Facebook გვერდებზეც.

ნაშრომში წარდგენილია ხუთი მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო რეკლამის მონიტორინგი:

- სარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო; კანდიდატი - **ელენე ხოშტარია**
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; კანდიდატი - **ირმა ინაშვილი**
- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; კანდიდატი - **კახა კალაძე**
- საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; კანდიდატი - **ზაალ უდუმაშვილი**
- საინიციატივო ჯგუფი ; კანდიდატი **- ალექსანდრე ელისაშვილი**

კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულია **რიტორიკული ანალიზი.** მოცემული კვლევის მეთოდი შეირჩა მისი რელევანტურობის გამო, რადგან ის გვაძლევს შესაძლებლობას ახლებურად შევისწავლოთ რეკლამის კონცეფცია. ამ კვლევის მეთოდში მნიშვნელოვანი კომპონენტებია როგორც ვიზუალური (McQuarrie and Mick 1999), ისე ვერბალური და ხმოვანი მახასიათებლები. მოცემული კვლევის მეთოდი საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ გათვალისწინებულია სემიოტიკური მიდგომებიც. თუ უმბერტო ეკოს დავესესხებით, ნიშნებს შეუძლიათ როგორც სიმართლის, ასევე ტყუილის გადმოცემა (Eco Umberto, 1998).

მუსიკა და ხმოვანი ეფექტები, გამოიყენება იმისათის, რათა გენერირდეს გარკვეული უკუკავშირები აუდიტორიაში. ეს ძირითადად ხორციელდება კულტურაში აღიარებულ ხმოვან ეფექტებსა და მუსიკაზე, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ ემოციებთან.

მუსიკა, ფრაზა ან ხმოვანი სიგნალი არის კავშირი აღმნიშვნელსა და აღნიშნულს შორის, სადაც ხმა არის აღმნიშვნელი, ხოლო ის ემოციები, რომლებიც გენერირდება გაგებისას, ის არის აღნიშნული.

მუსიკის შერჩევა გარკვეულ მედია პროდუქტზე, ხდება იმისათვის, რომ მაყურებელზე მოავხდინოთ ის ზეგავლენა, აღვუძრათ ის ემოცია, რაც ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული.[30]

[30] https://in.sagepub.com/sites/default/files/upm-binaries/41303_1.pdf. ბოლო ნახვა 10 ნოემბერი, 2017

რეკლამის რიტორიკული კვლევის მეთოდის გამოყენებისას, გასათვალისწინებელია რიგი შეკითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გაიცეს ანალიზის პროცესში. ეს ძირითადი კითხვებია:

- რა არის რეკლამის ზოგადი არსი?
- რის შესახებ მოგვითხრობს რეკლამა?
- რა სიმბოლოებს ვხედავთ რეკლამაში?
- რა ფერები არის გამოყენებული რეკლამაში?
- სხვა ადამიანები რეკლამაში - მათი როლი; ვიზუალური მხარე.
- რისი დანახვა შეგვიძლია მონაწილე ადამიანების გამომეტყველებაში და ემოცაში?
- თან სდევს თუ არა მუსიკალური ან ხმოვანი გაფორმება რეკლამას?

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების პოლიტიკური რეკლამების კვლევის დროს მოხდა კოდირების სახელმძღვანელოს შექმნა, რომ გამოკვეთილიყო როგორც განმასხვავებელი, ასევე საერთო ნიშნან-თვისებები. თითიოეული კანდიდატის ყოველი რეკლამა განვიხილე გრაფიკში წარმოდგენილი მახასიათებლების მიხედვით.

გარდა ამისა, საინტერესოა პოლიტიკური კანდიდატების დევიზებიც. კანდიდატის (პარტიის, პოლიტიკური მოძრაობის) დევიზი (სლოგანი, ლოზუნგი) არის ფრაზა, რომელიც გამოხატავს წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ იდეას (კონცეფციას, აქცენტს) და გამოიყენება ყველა სახის პოლიტიკური რეკლამისთვის. პოლიტიკურ დევიზს დიდი ისტორია გააჩნია. ზოგადად, პოლიტიკური

დევიზებისა და ლოზუნგების მეშვეობით შეგვიძლია შევისწავლოთ კაცობრიობის ისტორიაც. როგორც წესი, ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოძრაობები მსოფლიო ისტორიაში, მოიცავდა თავის დევიზებსა და ლოზუნგებს. პოლიტიკური დევიზის ძირითადი ამოცანაა - დავპირდეთ უკეთესობისკენ სვლა, შევთავაზოთ გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან, შევაშინოთ, მივუთითოთ ნაკლოვანებებზე და ა.შ.[31]

კონტენტ ანალიზის კვლევის ფარგლებში, გამოვიყენე შემდეგი ცვლადები:

- დისკურსი - დისკურში შედის ის სიტყვები, რომლებსაც კანდიდატი იყენებს თავის სარეკლამო რგოლში; ასევე მთავარი მესიჯები - რა არის ძირითადი მესიჯი, რასაც კანდიდატი იყენებს ამომრჩევლისთვის?
- ქცევა - არავერბალური კომუნიკაციის ნიშნები (თავის მოძრაობა, თვალების მოძრაობა, ხელების მოძრაობა, სხეულის მოძრაობა); ორიენტაცია (რა კუთხით დგას პუბლიკასთან - ანფასი, პროფილი, 1/3); დისტანცია პუბლიკასთან (ახლოს მიდის თუ არა ხალხთან, რა დისტანციას იცავს); ხმის ინტონაცია; გამომეტყველება/ემოცია

[31] Ильясов Ф. Н. Политический маркетинг. Искусство и наука побеждать на выборах, М.: ИМА-пресс, 2000. – 200 с.

- ვიზუალი - რეკლამაში გამოყენებული ფერები; კანდიდატის ჩაცმულობა, ვარცხნილობა
- რეკლამის სხვა მონაწილეები

კვლევის ჰიპოთეზაა: თვითმმართველობის არჩევნებისათვის ქალი კანდიდატების მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამებსა და კაცი კანდიდატების მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამებს შორის ბევრი საერთო მახასიათებელი არსებობს.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მთავარი კითხვებია:

1. რა ძირითადი მახასიათებლები გააჩნია ქალი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო რეკლამებს ქართულ ტელესივრცეში?
2. რა განმასხვავებელი ნიშნები იკვეთება ქალი პოლიტიკოსებისა და კაცი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო რეკლამაში?
3. რა საერთო მახასიათებლები ჩანს ქალი პოლიტიკოსებისა და კაცი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო რეკლამაში?

კვლევისას რეკლამების უმეტესობა მოძიებული იქნა ინტერნეტით, კერძოდ კი, მათ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე. იქიდან გამომდინარე, რომ ირმა ინაშვილის რეკლამების მოზიება არმოცდნა რტული, რადგან არ იყო გავრცელებული ინტერნეტ სივრცეში, თავად კანდიდატმა გადმოგვცა ფაილების სახით. ასევე ელენე ხოშტარიამ

wetransfer-ის მეშვეობით მომაწოდა ის რამდენიმე ვიდეო, რომლებიც რთული მოსაძიებელი იყო ინტერნეტ სივრცეში. სულ გაანალიზდა 5 კანდიდატის 36 რეკლამა.

4. შედეგები და დისკუსია

პარტია „ევროპული საქართველოს“ კანდიდატის **ელენე ხოშტარიას** რეკლამები არ გამოირჩევა ფემინისტური შტრიხებით. გარდა იმისა, რომ მისი ვიზუალი, თმის ვარცხნილობა, ჩაცმულობის სტილი არის

მასკულინური, მის რამდენიმე წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამებში, ყურადღების მიღმა არ რჩებიან პარტიის კაცი ლიდერები(დავით ბაქრაძე და გიგა ბოკერია). უფრო მეტიც, მათზე მეტი აქცენტი არის გაკეთებული, ვიდრე თავად კანდიდატზე.

რიტორიკული ანალიზისას გასათვალისწინებელი შტრიხია კანდიდატის ოპოზიციური განწყობები. ელენე ხოშტრაიას წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანია აქცენტირებულია სოციალურ პრობლემებზე. მისი მთავარი მესიჯები გვეუბნება, რომ ჩინოვნიკები სრულიად უსარგებლოდ ხარჯავენ თანხებს ბიუჯეტიდან უსარგებლო პროექტებსა და ფუფუნების საგნებზე, მაშინ როდესაც ქალაქში მაცხოვრებებისათვის საკმარისი არ არის პენსია და გაჭირვებულ ადამიანებს უსამართლოდ აქვთ მოხსნილი სოციალური დახმარება.

გარდა ამისა, ის თავის დაპირებებში ეხება ქალაქის განტვირთვას და საცობების მოხსნის შესაძლებლობებს, რაც თავის მხრივ შემქნის ბიზნესისთვის ხელსაყრელ პირობებსა და შესაბამისად სამუშაო ადგილებსაც. მის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ პენსიონერებს, ის საუბრობს ახალგარზდებზეც და ამბობს, რომ მათ გარეშე განვითარება და პროგრესი არის წარმოუდგენელი. ელენე ხოშტარია არის ერთადერთი კანდიდატი, რომელიც ასე მკაფიოდ ამახვილებს ყურადღებას ახალგაზრდა თაობაზე.

რაც შეეხება ელენე ხოშტარიას ემოციებს, გამომეტყველებასა და ინტონაციას, ის ძირითად შემთხვევაში, ინარჩუნებს მკაცრ, საქმიან და ცივ იმიჯს, რომელიც მკაფიოდ და გამოკვეთილად საუბრობს იმ პრობლემებზე, რაც აქვს თბილისს და მის მაცხოვრებლებს და ასევე

საუბრობს მათი გამოსწორების მეთოდებს, გამოთვლილი, მათემტიკური სიზუსტით.

თავისთავად, რეკლამებში ჩანს მისი ურთიერთობა ადამიანებთან, ამომრჩევლებთან, ის წარდგენისას გადაღებულ კლიპში ეხუტება კიდეც მათ და ამით გამოხატავს სითბოს, თუმცა მისი რეკლამების ძირითადი კონცეფცია აგებულია იმაზე, რომ ის მკაცრად უდგება მოცემულ პრობლემებს, ესაუბრება ადამიანებს, მაგრამ დისტანციის დაცვით.

კანდიდატის მიერ გამოყენებული სიტყვები არის როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი კონტექსტის. ნეგატიური სიტყვები გამოყენებულია დღევანდელი არსებული მდგომარეობის შესაფასებლად, ხოლო პოზიტიური სიტყვები გამარჯვების შემთხვევასი, სამომავლო პერსპექტივებს უკავშირდება.

გარად იმისა, თუ რა სიტყვებსა და მესიჯებს იყენებს თავად კანდიდატი, საინტერესოა თუ როგორ ახასიათებენ მას სხვები და რა ეპითეტებს იყენებენ მის შესაფასებლად.

ახალგარზდები, ელენეს ახასიათებენ როგორც სანდო ადამიანს, განსხვავებულ პოლიტიკოსს, ახალი თაობის პოლიტიკოსს, პიროვნებას, რომელსაც აქვს უნარი, მოგანდომოს მისი მოსმენა. ის ერთმნიშვნელოვნად არ იღებს გადაწყვეტილებებს, ისმენს სხვების აზრს და მართავს დისკუსიას, ამის შემდეგ კი მიდის გარკვეულ კონსესუსამდე.

საინტერესოა მხარდამჭერი ქალის შეფასებები და სიტყვები, რომელსაც ელენე ხოშტარიას გარშემო იყენებს: „რომ დავინახე ელენე, ვიგრძენი,

რომ ამ ქალში იყო ისეთი რაღაც შემართება, ისეთი ძალა, რო ბევრ ვაჟკაცს შეშურდებოდა“.

წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამაში, ხაზგასმულია ელენეს მასკულინური თვისებები, რასაც ადასტურებს რიგითი ამომრჩევლის რიტორიკა: „შემართება, ძალა...ვაჟკაცსაც კი შეშურდებოდა“.

გამოდის, რომ ელენე, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო კვლევებში დადასტურდა ქალ კანდიდატებთან მიმართებით, ცდილობს მასკულინური თვისებების ხაზგასმას, რაც ეხმარება მას, უფრო მეტ წარმატებას მიაღწიოს. თავისი მასკულინური ხასიათ, თისებები და გარეგნობა არ არის ხელოვნური, ეს გამომდინარეობს მისი ტიპაჟიდან.

რაც შეეხება მეორე მერობის ქალ კანდიდატს **ირმა ინაშვილს,** ის ძირითადად პარტიულ პოლიტიკურ ასპექტებზე აკეთებს აქცენტს და ყველა თავის სარეკლამო რგოლში აანონსებს თბილისსა და ბათუმში გასამართ საპროტესტო აქციებს.

მისი ყველა წინასაარჩევნო რეკლამა უფასოა და მასში გამოყენებულია, სტუდიური, გადაცემის ჩანაწერის, საპროტესტო აქციის კადრები და ასევე ფოტოები მხარდაჭერებთან შეხვედრისას.

ირმა ინაშვილის იმიჯი ასევე არის მკაცრი. მისი ჩაცმულობის სტილიც, არ არის ფემინური შტრიხებით. ის იყენებს პერანგსა და კოსტუმს და ყველა ნაჩვენებ კადრში, ის შარვლითაა წარმოდგენილი.

წინა კანდიდატისგან განსხვავებით, ის ხალხთან ურთიერთობისას ნაკლებ დისტანცირებას ახდენს. ის იყენებს ერთ გავრცელებულ ჟესტს-

ხელის მხარზე გადახვევა ამომრჩევლისთვის. ის ეხუტება ადამიანებს, უღიმის და ყველა კადრში მათ მიმართ სითბოს გამოხატავს.

გარდა იმისა, რომ წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამებში, მის მთავარ მესიჯებს ზოგადად პოლიტიკური პარტიის - პატრიოტთა ალიანსის კონცეფციებს მოიცავდა (მაგალითად საქართველო-ნატო რუსეთი; გაერთიანებული საქართველო; დიალოგი მოსკოვთან და სხვ.) ის მთელ აქცენტს აკეთებს სოციალურადა დაუცველ ოჯახებზე, შიმშილის ზღვარზე მისულ ბავშვებზე და იმ სოცალურ ფონზე, რის გამოც ბევრი ადამიანი ცხოვრობს სიღარიბეში.

გასაკვირი არაა, რომ ოპოზიციური პარტიის კანდიდატი თავის სარეკლამო რგოლებში ძირითადა იყენებს ნეგატიური კონტექსტის სიტყვებს. პოზოტიური სიტყვები გაოიყენება მხოლოდ მის გამარჯვებასთან დაკავშირებულ წინადადებებში.

მის არცერთ სარეკლამო რგოლში არ არის წარმოდგენილი სხვა ადამიანების, მხარდაჭერებისა თუ კოლეგების შეფასებები მისი საქმიანობისა და პიროვნული ტვისებების ირგვლივ, რაც არის გამონაკლისი ყველა სხვა კანდიდატთან მიმართებაში.

საერთო ჯამში, ირმა ინაშვილის სარეკლამო რგოლების, მისი მესიჯების, იმიჯის შეფასებების მიხედვით, არც ის არის გამორჩეული რაიმე განსაკუთრებული ფემინური თვისებებითა ან შტრიხებით თავის კამპანიაში.

მეორე ადგილზე გასული, უპარტიო კანდიდატ **ალეკო ელისაშვილი,** თავის საარჩევნო პროგრამაში ძირითად აქცენტს აკეთებს გარემოზე,

ეკოლოგიაზე, გზების ახალ კონცეფციაზე და საცობებისგან გათავისუფლებულ ქალაქზე, ფეხით მოსიარულეთა კომფორტსა და ამთ უფლებებზე, ქალაქის განაშენებებასა და მათ კონცეფციებზე. ალეკო ელისაშვილის მიერ თავის საარჩევნო კამპანიაში წარდგენილი მესიჯების გათვალისიწნებით, მისი ლოგოსა და ზოგადად სარეკლამო რგოლების ძირითადი ფერი არის მწვანე, რაც თავისთავად ასოცირდება ბუნებასთან, ეკოლოგიასთან და გარემოსთან. მწვანე ფერის გარდა, ის იყენებს ნათელ, მზიან ფერებს, რაც ასევე აცოცირდება კარგ გარემოსთან და მის სარეკლამო რგოლის შემყურე ამომრჩეველს, უქმნის შთაბეჭდილებას, რომ სწორედ ასეთი ნათელი, გამწვანებული, ფერადი და თბილი გარემო იქნება ირგვლივ.

გარდა თავისი ძირითადი წინასაარჩვენო დპაირებებისა, ის თავის სარეკლამო რგოლში მოყწოდებს თბილისის მაცხოვრებლებს რაც შეიძლება მეტი აქტიურობისკენ და არჩევნებზე მოსვლისკენ. ის თავისი დადებითი ინტონაციითა და ემოციით, ცდილობს დააჯეროს ადამიანებს, რომ აუცილებელი არ არის იყო მმართველი პარტიის კანდიდატი, რათა მოიგო არჩევნებში. ხალხი ამ აზრს არ უნდა შეეგუოს და მათი აქტიურბიდან გამომდინარე, შესაძლებელია ეს მითი დაიმსხვრას.

საინტერესოა სხვა ადამიანების შეფასებები ალეკო ელისაშვილის მიმართ. თავის მხარდასაჭერ სარეკლამო რგოლში, მონაწილეობენ ძირითადად ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ზოგი ცნობილია საზოგადოებისთვის, ზოგიც ნაკლებად. ეს ადამიანები კანდიდატს აფასებენ როგორ მებრძოლ, საქმის გამკეთებელ პიროვნებად, რომელსაც

არ სჩვევია ერთპიროვნულად გადაწყვეტილებების მიღება. მათ სჯერათ კანდიდატის და იმის, რომ ის მართლა მოწოდებულია თბილისის გადარჩენისკენ და ამის უკან სხვა განზრახვა არ დგას.

მესამე ადგილზე გასული თბილისის მერობის კანდიდატის, ზაალ უდუმაშვილის მთავარი აქცენტი კეთდება ასევე სოციალურად დაუცველ ადამიანებზე და ზოგადად სოციალურ პრობლემებზე. ისევე როგორც ელენე ხოშტარია, ისიც თავის დაპირებებში ხაზს უსვამს ჩინოვნიკების მიერ გაფლანგულ თანხაზე, რომმლის კონტროლის შემთხვევაში, შესაძლებელია ბევრი სოცილურად დაუცველი ადმიანის დასახმარებლად იყოს გამოყენებული.

ზაალ უდუმაშვილი თავის სარეკლამო რგოლებში ნაკლებად იღწვის სიმკაცრის გამოჩენისკენ - პირიქით ის ცდილობს თავის რგოლებში დაანახოს ამომრჩეველს, თუ რამდენად ახლოს არის ქალაქის მაცხოვრებლებთან. ის თავისთავად იყენებს ნეგატიური კონტექსტის სიტყვებს მმართველი პარტიის მისამართით, თუმცა აქცენტი გაკეთებულია მეტ პოზიტივზე. ის სლოგანიც კი მოიცავს სიტყვას - ბედნიერებას: „ჩემი მავარი მიზანია - თბილისი ვაქციო დასაქმებული, წარმატებული და ბედნიერი ადამიანების ქალაქად!.“

მხარდამჭერების შეფასებებშიც აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ რამდენად პოზიტიურია წარგენილი კანდიდატურა. ისინი მას სუფთა და პატიოსან პიროვნებად ასახელებენ, რომელიც ხალხს უყვარს და არჩევის შემთხვევაში, უფრო მეტად შეუყვარდებათ მის მიერ გაკეთებული სასარგებლო საქმეების გათვალისიწნებით.

რაც შეეხება გამარჯვებულ კანდიდატს - კახა კალაძე, როგორც მმართველ პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატი, თავის სარეკლამო რგოლებში იყენებს პოზიტიურ სიტყვებს და ამომრჩევლებს ჰპირდება თავიანთი ოცნების ქალაქის აშენებაში, რომელიც იქნება ჯანსაღი, თანამედროვე და მომავალზე ორიენტირებული დედაქალაქი. თავის მესიჯებში იყენებს მიდგომას, რომ თავად არ იქნება ერთპიროვნული და ოსახლეობა მონაწილეობას მიიღების ქალაქის განვითარებაში: „ჩვენი ოცნებების თბილისი იქნება ისეთი, როგორსაც ჩვენი ხელით შევქმნით“. მის სარეკლამო რგოლებში, გარდა პარტიული ლურჯი ფერის გამოყენებისა, ვხვდებით ნათელ ფერებს, რაც ასოცირდება სწორედ ნათელ მომავალთან, რომელსაც კანდიდატი პირდება თბილისის მოსახლეობას. გარდა ამისა, სიანტერესოა სხვებიც შეფასებები. როგორც ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, კახი კალაძეს შესაძლებლობებზე საუბრობენ ამ სფეროს წარმომადგენლები და აფასებენ მას, როგორც შრომის მოყვარე და საქმის გამკეთებელ პიროვნებას. თავად პრემიერისგან გიორგი კვირიკაშვილისგან კი ისმის ფარზა:„სადაც კახი კალაძე იქნება, იქ იქნება წარმატებაც“

კახი კალაძის რეკლამებში ნაჩვენებია მისი სერიოზული, შრმისმოყვარე, კარიერული წინსვლისკენ იმავალი ადამიანის, პროგრესული პიროვნების იმიჯი, რომლის ხელშიც ხორციელდება ქვეყნისთვის სასიკეთო პროექტები.

კვლევის ლიმიტია ის, რომ შემოიფარგლება მხოლოდ კონტენტ-ანალიზით და რიტორიკაზე დაკვირვებით. სამომავლოდ, ამგვარი

კვლევის პერსპექტივას წარმოადგენს სიღრმისეული ინტერვიუები კანდიდატებთან, რეკლამის და სცენარის ავტორებთან.

დასკვნა

კვლევამ პასუხი გასცა საკვლევ კითხვებს, კერძოდ, გამოიკვეთა, რომ ზემოთ ხსნებული კანდიდატების სარეკლამო რგოლების განხილვისას, მივედი მიგნებამდე, რომ ქალი კანდიდატები არ ცდილობენ მათი როგორც ქალის წამროჩენას - პირიქით, ისინი თავიანთ მასკულინურ

ხასიათს უსვამენ ხაზს და ცდილობენ წინ წამოწიონ ის თვისებები, რაც უფრო მეტად მასკულინურს ხდის მათ.

დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ თვითმმართველობის არჩევნებისათვის ქალი კანდიდატების მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამებსა და კაცი კანდიდატების მიერ წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამებს შორის ბევრი საერთო მახასიათებელი არსებობს.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ,https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168 , ბოლო ნახვა 5 დეკემბერი, 2017 წ.

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ:
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866, ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017 წ.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტი, CSS, ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: http://dictionary.css.ge/content/gender, (ბოლო ნახვა 10 დეკემბერი, 2017)

გიდენსი ე.,, "სოციოლოგია", ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2012, გვ. 388-421

ჩართოლანიგ., ტელე-რადიოჟურნალისტიკა, 228

ურჩუხიშვილი გ.,ქალები პარტიებში, მითების დეკონსტრუქცია, თბილისი, 2017

გ.ურჩუხიშვილი, ქართული სხეულის სოციოლოგია, „ბოილის ფონდი", თბილისი, 2016

ანა ბრაუნი, მონაცემები ქალ ლიდერებზე, 2017; Pew Research Center, http://www.pewsocialtrends.org/2017/03/17/the-data-on-women-leaders/, ბოლო ნახვა 20 დეკემბერი, 2017

Shauma Shames, Women Candidates and their Campaigns, Political Parity, a program of hunt Alternatives, 2015 http://portfolios.creativegroup.com/c/1179/123897ca4c179003f175ab876d196383.pdf ბოლო ნახვა 1 დეკემბერი, 2017

Dolan, Kathleen. 2005 “Do Women Candidates Play to Gender Stereotypes? Do Men Candidates Play to Women? Candidate Sex and Issues Priorities on Campaign Websites.”

World Bank (2011) World Development Report 2012, Gender Equality and Development.

Platform for Action and Beijing Declaration. World Conference on women Beijing, China, 4-15 Sept. 1995. Un, 1996

Platform for Action and Beijing Declaration. World Conference on women Beijing, China, 4-15 Sept. 1995. Un, 1996

Ильясов Ф. Н. Политический маркетинг. Искусство и наука побеждать на выборах, М.: ИМА-пресс, 2000. – 200 с

თვითმმართველობის არჩევნების კანდიდატების წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების ლინკები:

ელენე ხოშტარია:

- https://youtu.be/TNrCDqAbKpU ბოლო ნახვა 6 იანვარი, 2018

- https://www.youtube.com/watch?time_continue=4&v=e5-AaNTOXXA ბოლო ნახვა 6 იანვარი, 2018
- https://www.facebook.com/tbilisimayor/videos/1915856911765569/ ბოლო ნახვა 6 იანვარი, 2018
- https://www.facebook.com/tbilisimayor/videos/1883772041640723/ ბოლო ნახვა, 6 იანვარი

ალეკო ელისაშვილი

- https://www.youtube.com/watch?v=liOCGeywO_o ბოლო ნახვა, 8 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=dPvbpqC1Mbc&index=9&list=UUWvdR3Z1m31h43uTvZg2xbg ბოლო ნახვა, 8 ინავარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=7PER57-ScL4 ბოლო ნახვა 8 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=8xrIcDHW-EU ბოლო ნახვა 8 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=5BbFNfTZHiAბოლო ნახვა 8 იანვარი, 2018

ზაალ უდუმაშვილი

- https://www.youtube.com/watch?v=oSG1xdfySMc ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=2&v=kz6OVEsEafg ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=4wqq50NQojg ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=2&v=UqJ1QtRavPw ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=50&v=YaKVbwhES9wბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=4&v=lchXPt-ewrw ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=oSG1xdfySMc ბოლო ნახვა 7 იანვარი, 2018

კახა კალაძე

- https://youtu.be/RP2991WZ-ZA ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018

- https://www.youtube.com/watch?v=8JgSkeCNAqQ ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=DBe3hNGG28U ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=7&v=QUkhiUs5fLM ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?time_continue=1&v=7pM3bSjJmvE ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=IVSxXbU2Oc0 ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=O7sUbvKhdSA ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018
- https://www.youtube.com/watch?v=HVOh4GcKAVE ბოლო ნახვა 10 იანვარი, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მანანა წიკლაური

საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების სპეციფიკა:რეინტეგრაციის მიზეზები

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი
პროფესორი
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი, 2018

საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების სპეციფიკა:რეინტეგრაციის მიზეზები

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი „საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების სპეციფიკა-რეინტეგრაციის მიზეზები“ იკვლევს 2009 წელს საფრანგეთის ნატოს სამხედრო სტრუქტურებში ოფიციალური დაბრუნების განმსაზღვრელ მთავარი ფაქტორებს ,რისთვისაც იგი შეისწავლის ცივი ომის შემდეგ პერიოდს- 1990 წლიდან უშუალოდ 2009 წლის რეინტეგრაციამდე.

ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვა შემდეგნაირადაა ფორმულირებული: რა ფაქტორებმა განაპირობა ნატოს მიმართ საფრანგეთის წინააღმდეგობრივი პოლიტიკის ცვლილება და 2009 წელს ნატოში რეინტეგრაცია? საკვლევ ჰიპოთეზად კი მოტანილია მოსაზრება, რომ საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაცია განპირობა აშშ-ის მიმართ მისი „რბილი ბალანსირების“ პოლიტიკის უშედეგობამ. შესაბამისად, კვლევაში დამოუკიდებელი ცვლადია აშშ-სადმი „რბილი ბალანსირება“,რომლის უშედეგობამაც განსაზღვრა დამოკიდებული ცვლადი-საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაცია.

კვლევის მთავარი მიზნის მისაღწევად და წარმოდგენილი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები: ერთის მხრივ შემთხვევის შესწავლა და ამ კუთხით განხილულია ცივი ომის შემდეგ საფრანგეთის მხრიდან აშშ-ის მიმართ „რბილი ბალანსირების“ პოლიტიკის კონკრეტული შემთხვევები,ხოლო მეორეს მხრივ კი , კონტენტ-ანალიზის გამოყენებით არგუმენტირებულადაა გაანალიზებული მათი უშედეგობის დამამტკიცებელი ფაქტები.

ნაშრომში წარმოდგენილი საკვლევი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად და ცვლადებს შორის კავშირის მარტივად აღქმისთვის კვლევაში გამოყენებულია ნეორეალიზმის თეორიული ჩარჩო და საფრანგეთის მიერ ნატოში რეინტეგრაცია სწორედ სისტემური დონიდანაა შეფასებული.

კვლევის განმავლობაში დასმული საკითხები აქტუალური და საინტერესოა,რამდენადაც ნატო თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვან მოთამაშედ გვევლინება და წევრთა შორის ურთიერთობების სპეციფიკის ცვლა მნიშვნელოვნად მოქმედებს მის გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ერთიანობის შენარჩუნებაზე.

ამრიგად,ნაშრომი მიზნად ისახავს საფრანგეთ-ნატოს ურთიერთოებების სპეციფიკაზე დაყრდნობითა და რეინტეგრაციის მიზეზების ძიებით თავისი წვლილი შეიტანოს ალიანსების შიგნით სახელმწიფოთა წინააღმდეგობრივი ქმედებების შეცვლის განსაზღვრელი მოტივების კვლევაში.კვლევა საინტერესოა იმიტომაც,რომ იგი გულისხმობს ნეორეალიზმის თეორიული ჭრილიდან ახალი მოვლენის ახსნას და ამით მოცემული თეორიის მოქმედების არეალის გაფართოებას.

საკვანძო სიტყვები: ნატო, საფრანგეთი, რეინტეგრაცია, “რბილი ბალანსირება“,უშედეგობა,ნეორეალიზმი

The Specificity of France -NATO Relations-The Reasons for Reintegration

M.Tsiklauri

Abstract

The present research paper explores the specificity of France-Nato relations from the end of cold war-from 1990 to 2009. It attemps to identify those main factors and reasons that have caused French official reintegration to Natos military structures.

The mains research question is: What has led France to change its contradictory attitudes to NATO and to re-integrate fully in it? Accordingly, the main hypothesis of research paper is that: the failure of "soft Balancing" used by France against USA after the end of cold war have caused its reintegration into NATO. Therefore, the independent variable is failure of "soft balancing" against USA that have affected the dependent variable-France's return to Nato's military structures.

To proof the main research hypothesis , the paper uses qualitative research methodology -Case Study in the context of French "soft balancing" after the end of cold war and Content Analysis-to analize the proofs of "soft balancing" failure.

The research uses the theoretical framework of Neorealism as French return to NATO is explained from the perspective of System level of analysis in international relations.

The research issue raised in the paper is relevant and interesting as NATO remains important actor in the filed of security in transatlantic relations and the changing attitudes between its member can have significant influence on its efficiency and values.

Thus the purpose of present paper is to contribute the research of factors that provides to change one countrys former contradictory policy toward the whole alliance and particular member , by using the example of France's return to NATO military structures.At the same time it attemps to adapt Neorealism to the new reality and use it for further discussion about relations between NATO and its memebers.

Key words: France,NATO,reintegration,"Soft Balancing",failure,Neorealism

სარჩევი

აბრევიატურები.....6

შესავალი.....7

თავი 1. საკითხის გარეშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო.....13

1.1. ლიტერატურის მიმოხილვა.....14

1.2. თეორიული ჩარჩო -ნეორეალიზმი.....20

თავი 2. ისტორიული ფონი-გზა განდგომიდან რეინტეგრაციამდე-.....26

თავი 3. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის სპეციფიკა და მისი ცვლილება ცივი ომის შემდეგ.....32

3.1. ევროპული თავდაცვის სისტემის მნიშვნელობა და მისი უშედეგობა.....36

3.2. აფრიკის მნიშვნელობა და გავლენის შენარჩუნების უშედეგობა.....45

3.3. საერთაშორისო ორგანიზაციებში აშშ-ისადმი წინააღმდეგობრივი პოლიტიკის უშედეგობა.....54

3.3.1. აშშ-ის წინააღმდეგობა ნატოში.....55

3.3.2. აშშ-ის წინააღმდეგობა გაეროში.....58

თავი 4. საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაცია ნეორეალიზმის ჭრილში.....61

დასკვნა.....65

ბიბლიოგრაფია.....67

აბრევიატურები:

- **NATO**-ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
- **CFSP** - საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა
- **CSDP** - საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა
- **IFOR** -საერთაშორისო საიმპლემენტაციო ძალები ბოსნია-ჰერცეგოვინაში
- **SFOR**-ნატოს სტაბილიზაციის ძალები ბოსნია-ჰერცეგოვინაში
- **KFOR**-კოსოვოს ძალები
- **ISAF**- საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები ავღანეთში
- **NRF**-ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები
- **ESDI** -ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტობა
- **ESDP**-ევროკავშირ ისუსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა
- **WEU**-დასავლეთ ევროპული კავშირი
- **RECAMP**-აფრიკის სამშვიდობო შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა
- **TSCTI**-ტრანს-საჰარული ტერორიზმთან საბრძოლო ინიციატივა
- **AFRICOM**-აშშ-ის აფრიკული სარდლობა
- **AFSOUTH**- ნატოს სამხრეთ სარდლობის საჰაერო ძალები
- **TCE**- შეთანხმება ევროპაში საერთო კონსტიტუციის შექმნის თაობაზე

შესავალი

საფრანგეთი ნატოს დამფუძნებელ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთია, თუმცა ცივი ომის ეპოქის შუაგულში 1966 წელს შარლ დე გოლის მეთაურობით ქვეყანამ ალიანსში საკუთარი გავლენის ნაკლებობისა და აშშ-ის დომინანტობაზე პროტესტის ნიშნად ნატოს სამხედრო სტრუქტურები დატოვა.ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შედეგად ახალი რეალობისა და გამოწვევების წინაშე მდგარმა საფრანგეთმა გეზი კვლავ ნატოში რეინტეგრაციისკენ აიღო,თუმცა მეცნიერები ამ პროცესს ხშირად "მცოცავი ინტეგრაციის" (Ghez and Larrabee, 2009, გვ.78) სახელით მოიხსენიებენ, რადგან ამ ურთიერთობების განვითარება თანაბარ დინამიკაში არ ჯდებოდა და სისტემაში მიმდინარე მოვლენების, საფრანგეთის წინაშე მდგარი მოცემულობებისა და საფრანგეთის პრეზიდენტების საგარეო პოლიტიკური კურსის სპეციფიკის მიხედვით იცვლებოდა.მიუხედავად ამისა, 2009 წელს ეს ცვალებადი ინტენსივობის პროცესი მაინც საფრანგეთის ნატოს სამხედრო სტრუქტურებში ოფიციალური დაბრუნებით დასრულდა.

ამდენად , ნაშრომის **კვლევის საგანს** წარმოადგენს საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების სპეციფიკა და არასტაბილური განვითარების შესწავლა იმ მიზეზების კუთხით,რამაც საბოლოოდ საფრანგეთის ნატოში ოფიციალური დაბრუნება განსაზღვრა. აქედან გამომდინარე **ნაშრომის მიზანია** საფრანგეთ-ნატოს შორის ცივი ომის დასრულებიდან მოყოლებული არსებული მერყევი ურთიერთობების ფონზე იმ ფაქტორების კვლევა,რამაც განაპირობა 2009 წელს საფრანგეთის ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში რეინტეგრაცია.საკვლევ პერიოდად აღებული დროის შერჩევა კი იმით აიხსნება,რომ 1966 წლიდან მოყოლებული ნატოსადმი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის დოქტრინას მრავალწილად გოლისტური მემკვიდრეობა განსაზღვრავდა და ნატოსადმი ურთიერთობებში დადებითი გარღვევა სწორედ ცივი ომის დასრულების შემდეგ მოხდა.

აქედან გამომდინარე ნაშრომის **საკვლევი კითხვა** შემდეგში მდგომარეობს: რამ განაპირობა საფრანგეთის ნატოს მიმართ წინააღმდეგობრივი პოლიტიკის დაძლევა და საბოლოოდ 2009 წელს ალიანსში რეინტეგრაცია?

ნაშრომი მიმართულია დაამტკიცოს შემდეგი **ჰიპოთეზა**: საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაცია განაპირობა ცივი ომის შემდეგ საფრანგეთის აშშ-ისადმი გამოყენებული „რბილი ბალანსირების“ უშედეგობამ.

ამდენად კვლევაში **დამოუკიდებელ ცვლადს** წარმოადგენს:საფრანგეთის მიერ „რბილი ბალანსირების „ უშედეგობა ,ხოლო **დამოკიდებულ ცვლადს** კი - საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაცია.

აღნიშნული საკითხის შესწავლა აქტუალურია , რამდენადაც ნატო კვლავ რჩება ტრანსატლატიკურ ურთიერთობებსა და მთლიანად საერთაშორისო სისტემაში ერთ-ერთ მოწინავე და მნიშვნელოვან მოთამაშედ. შესაბამისად მისი დამფუძნებელი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი წევრის -საფრანგეთის მხრიდან ალიანსისა თუ მისი რომელიმე კონკრეტული წევრის(აშშ) საწინააღმდეგო პოლიტიკის გამოაშკარავება მთლიანად ორგანიზაციის ქმედითუნარიანობასა და ერთობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტიც,როდესაც ათწლეულების განმავლობაში დისტანცირების შემდეგ საფრანგეთმა ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში ინტეგრირებისკენ მიმავალი გზა ცივი ომის დასრულების შემდეგ გაცილებით მალე გაიარა და საბოლოოდ იგი როგორც „უძღები შვილი“(Martin, 2013, გვ.1) კვლავ დაუბრუნდა ალიანსს.

აღნიშნული საკითხი უნიკალურია ნატოს ისტორიაში, რადგან სხვა სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი წინააღმდეგობრივი პოლიტიკა, სანახევროდ წევრობა და შემდეგ კვლავ ოფიციალური და სრული რეინტეგრაცია არასოდეს დაფიქსირებულა. შესაბამისად ნაშრომის განმავლობაში ჩატარებული კვლევა საინტერესო იქნება თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ალიანსების ფუნქციონირების,მათში ცალკეული სახელმწიფოების ცვალებადი ქცევით დაინტერესებული მკვლევარებისთვის. ნაშრომი სიახლის შემცველია ,რადგან იკვლევს ნატოს სამხედრო სტრუქტურებისაგან დიდი ხნის მანძილზე დისტანცირებული საფრანგეთის საბოლოო რეინტეგრაციის ისეთ მიზეზებს, რომლებიც ამ საკითხზე მომუშავე მკვლევარების ნაშრომებში აქამდე კვლევის ცვლადად ჯერ არ გაჟღერებულა.

აღსანიშნავია,რომ საკვლევი თემის კომპლექსური და საინტერესო ხასიათიდან გამომდინარე მკითხველში შეიძლება გაჩნდეს დამატებითი კითხვები იმის შესახებ, რომ თუ საფრანგეთის მხრიდან „რბილმა ბალანსირებამ“ შედეგი ვერ მოიტანა , ალიანსის სრულფასოვანი წევრობა მას აშშ-ის დაბალანსების ახალ გზას მისცემდა თუ მისი მიზნები შეიცვალა. მიუხედავად იმისა,რომ ნაშრომში განხილული მიმართულებები და ინფორმაცია უშუალოდ მთავარი საკვლევი ჰიპოთეზის დამტკიცებაზეა ორიენტირებული,შესაძლოა , მისი ანალიზი ნაწილობრივ ამ კითხვებზე პასუხსაც შეიცავდეს.თუმცა მსგავსი ინტერესები უკვე სხვა, 2009 წლის შემდეგი, პერიოდის ურთიერთობებისადმი მასშტაბური კვლევის ჩატარებას მოითხოვს.

ტერმინთა ოპერაციონალიზაცია

ნაშრომის კონტექსტის გასაგებად და ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად მნიშვნელოვანია ჰიპოთეზასა და ცვლადებში არსებული ტერმინების განმარტება-ოპერაციონალიზაცია,რომელიც გულისხმობს თეორიული კონცეფციების ემპირიულად გაზომვად და ცხად სიდიდეებად ქცევას,მათ "გადმოთარგმნას" მარტივ ენაზე, კვლევაში გამოყენებული თეორიის დასამტკიცებლად საჭირო ინფორმაციის შეგროვებისთვის (Aneshensel, 2013, გვ.39).

- **რბილი ბალანსირება**

ტერმინი "რბილი ბალანსირება" აქტუალური გახდა ცივი ომის დასრულების შემდეგ შეცვლილ საერთაშორისო გარემოში აშშ-ის მზარდი გავლენასთან დასაპირისპირებლად. "რბილი ბალანსირება" ესაა ტაქტიკა ,როდესაც მეორეხარისხოვანი სახელმწიფოები (მათ შორის საფრანგეთი) იყენებენ არასამხედრო საშუალებებს ლიდერი სახელმწიფოს (აშშ-ის) აგრესიული უნილატერალური სამხედრო პოლიტიკის განვითარების შეფერხების, ჩახშობისა და თავიდან არიდებისთვის.იგი აერთიანებს ქმედებებს,რომლებიც პირდაპირ არ ემუქრება ლიდერის (აშშ) სამხედრო უპირატესობას,არამედ იყენებს საერთაშორისო ინსტიტუტებს,ეკონომიკურ ძალაუფებას,დიპლომატიურ ღონისძიებებს და ა.შ.(Pape,

2005,გვ.10-11) . მეორეხარისხოვანი ქვეყნები ასეთ ტაქტიკას მიმართავენ რათა შეინარჩუნონ უსაფრთხოება,გავლენა და შეზღუდონ აშშ-ის ძალაუფლების ზრდა (Paul,2005, გვ. 47).

ნაშრომის ფარგლებში საფრანგეთის მიერ „რბილი ბალანსირების“ კონტესტში განხილულია ცალკეული შემთხვევები-ევროპული თავდაცვის სისტემის მშენებლობა,საფრანგეთის მიერ აფრიკაში გავლენის შენარჩუნება და საერთაშორისო ინსტიტუტებში (გაერო,ნატო) აშშ-ის წინააღმდეგობრივი პოლიტიკა.

- **მეორეხარისხოვანი სახელმწიფო**

მეორეხარისხოვნად ითვლება სახელმწიფო,რომელიც საერთაშორისო სისტემაში არსებულ ძალთა გადანაწილებისას ადგილს იკავებს სუპერ ძალასა და დიდ ძალას ქვემოთ,თუმცა მას მაინც ძალუძს საერთაშორისო მოვლენებზე გარკვეული გავლენის მოხდენა (Baç ,2015). ამ კონტესტში საფრანგეთის შეფასებისას მეცნიერები მხედველობაში ძირითადად მის სამხედრო შესაძლებლობებს იღებენ. ზბიგნევ ბჟეზინსკის აზრით, საფრანგეთის სამხედრო პოტენციალი გამოდგება თუნდაც აფრიკის სახელმწიფოების საშინაო გადატრიალებების ჩაქრობაში, თუმცა იგი უუნაროა დაცვას ევროპა ან გაავრცელოს თავისი ზეგავლენა ევროპის საზღვრებიდან შორს.სწორედ ამიტომ საფრანგეთი საშუალო რანგის ეროპული სახელმწიფოა (ბჟეზინსკი,2014,გვ.101).

- **ცივი ომის დასასრული**

მეცნიერებსა და მკვლევარებს შორის არ არსებობს შეთანხმებული აზრი არც ცივი ომის დასაწყისისა და არც მისი დასრულების შესახებ და რადგანაც ნაშრომის ძირითად მიმართულებაზე ამ ფაქტორის ზუსტ კვლევას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს,მასში ნაგულისხმევი იქნება 1990 წლის შემდეგი პერიოდი.

- **ნატოში რეინტეგრაცია**

შესაძლოა ეს ტერმინი დამაბნევლად ჟღერდეს,რადგან საფრანგეთს არასოდეს დაუტოვებია ნატო ,რჩებოდა რა მის პოლიტიკურ ნაწილში გადაწყვეტილებების მიმღებად, თუმცა ნაშრომის ფარგლებში იგი გულისხმობს საფრანგეთის მიერ ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში სრულად და ოფიციალურად დაბრუნებას,რაც

პოლიტიკურ ყოფნასთან შედარებით ახალი რეალობაა და კვლავ სრულფასოვანი წევრობის მიღწევის ასოციაციას აჩენს.

- **წინააღმდეგობრივი პოლიტიკა**

ეს ფრაზა გულისმობს იმ პოლიტიკას, რასაც საფრანგეთი ნატოს ფარგლებში ატარებდა- კერძოდ აშშ-ის ლიდერობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საკუთარი როლის სისუსტეზე პროტესტის ნიშნად მის მიერ 1966წელს ნატოს სამხედრო სტრუქტურებიდან გამიჯვნას ცივი ომის დასასრულამდე.

- **უშედეგობა**

გულისხმობს მდგომარეობას,როდესაც საფრანგეთის მხრიდან აშშ-ის გავლენის შესუსტებისა და მისი პოლიტიკის ხელისშემშლელმა „რბილი ბალანსირების“ პოლიტიკამ რეალური შედეგი ვერ მოიტანა- სხვადასხვა მასზე დამოკიდებული მიზეზებისა თუ დამოუკიდებელი გარემოებების თანხვედრისას თავიდან ვერ აიცილა აშშ-ის სასურველი პოლიტიკის გატარება და მისი ძალაუფლების ზრდა.

- **ძალაუფლება**

ძალა/ძალაუფლება შედარებითი და კომპლექსური ტერმინებია,თუმცა ნაშრომის ფარგლებში მასში მოიაზრება ერთი აქტორის უნარი და გავლენა გააკეთებინოს სხვა აქტორებს ის, რასაც რასაც ისინი სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდნენ (Dahl,1957),განსაკუთრებით კი სამხედრო და სტრატეგიული კუთხით.

კვლევის მეთოდოლოგია და მიმართულებები

ნაშრომის ამოცანაა გამოიკვლიოს მნიშვნელოვანი საკითხები,როგორც ემპირიული,ასევე თეორიული კუთხით, დასკვნები გააკეთოს რა როგორც საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაციის მიზეზებზე ,ასევე მოგვცეს ამ დასკვნების განზოგადების საშუალება რაიმე მიმართულებით. შესაბამისად, მთავარი მიზნის მისაღწევად, ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების ადვილად აღსაქმელად და მთელი ნაშრომის მსჯელობის ლოგიკური განვითარების წარმოსაჩენად ,აუცილებელია, აღინიშნოს კვლევის განმავლობაში გამოყენებული მეთოდები, კონკრეტულად კი კვლევის

თვისებრივი მეთოდების სახეები: კონტენტ ანალიზი და შემთხვევის შესწავლა (Case study).

განხორციელებული კვლევა ძირითადად დაეყრდნობა ერთის მხრივ მასში განხილულ საკითხებზე მომუშავე მეცნიერების, მკვლევარებისა და ექსპერტების მეორად წყაროებს- წიგნებს,აკადემიურ სტატიებს,ხოლო მეორეს მხრივ კი საფრანგეთის გადაწყვეტილების მიმღები პირების განცხადებების ანალიზს, სტატისტიკურ მონაცემებს,რისი დამუშავებისათვის ყველაზე უპრიანი იქნება კვლევის მეთოდის ერთ-ერთი სახის-კონტენტ ანალიზის თვისებრივი ფორმის გამოყენება ,რომლის მიზანია მოახდინოს არსებული მონაცემების არა რაოდენობრივი სიხშირის გაზომვა, არამედ კომუნიკაციის ამა თუ იმ ფორმაში ჩადებული შინაარსის, აზრის, მიზნის, დასმული ძირითადი აქცენტების გამოვლენა (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 101).

კვლევის განმავლობაში წარმოშობილი ერთ-ერთი სირთულე სწორედ კვლევის ამ მეთოდის გამოყენებას უკავშირდება, რადგან ხშირად სახელმწიფოთა რეალური განზრახვები ასხვას სულაც არ ჰპოვებს სტრატეგიულ დოკუმენტებსა თუ პირველი პირების საჯარო გამოსვლებსა და განცხადებებში. სწორედ ამიტომ ნაშრომში გამოთქმული აზრები უმეტესად განმტკიცებულია სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემებით.

ნაშრომში გამოთქმული მთავარი ვარაუდების გასამყარებლად ასევე გამოყენებულია შემთხვევის შესწავლა. მეცნიერები „შემთხვევას“ (case) განსაზღვრავენ , როგორც “გარკვეული მოვლენების კლასის შემადგენელ მაგალითს, შემთხვევის შესწავლას (case study) კი , როგორც „ისტორიული ეპიზოდის ასპექტის შესწავლას იმ ახსნის აღმოსაჩენად, ან დასატესტად, რომელიც შეიძლება განზოგადდეს სხვა მოვლენებზეც“ (George and Bennett ,2004, გვ.5). ეს მეთოდი ამ ნაშრომის ფარგლებში განსაკუთრებით პრიორიტეტულია, რადგან მთლიანი კვლევის სპეციფიკა ერთი შემთხვევის (2009 წელს საფრანგეთის ნატოში ოფიციალური რეინტეგრაცია) შესწავლის ფარგლებში იყენებს რამდენიმე განსხვავებული, დამოუკიდებელი შემთხვევის (საფრანგეთსა და ნატოს შორის ურთიერთობების დინამიკის ცვლილების მომენტები ცივი ომის დასრულებიდან მოყოლებული 2009 წლამდე) ანალიზს.

მთლიანი კვლევა კარგად ესადაგება ე.წ. „დისციპლინის მაინტერპრეტირებელ შემთხვევის შესწავლას“ (the disciplined interpretive case study), რომლის მეშვეობითაც უკვე არსებული თეორიული ცოდნა შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი მოვლენის ასახსნელად. ამით პრაქტიკულად ნაჩვენები იქნება, რომ შესაძლებელია უკვე ცნობილი თეორიის გავრცელება, გაფართოება და მის მიერ ახალი ასპექტების დაფარვა. (Odell ,2001,გვ. 163).

ნაშრომის შედეგად მიღებული დასკვნების თეორიული მნიშვნელობა კვლევის მეორე სირთულეს წარმოშობს, რადგან ერთგვარად ბუნდოვანია, თუ რამდენად შეიძლება ერთი შემთხვევის შესწავლის (თუნდაც მის ფარგლებში რამდენიმე განსხვავებული შემთხვევაც იყოს გაანალიზებული) საფუძველზე მიღებული დასკვნები განზოგადდეს სხვა შემთხვევებზე, მითუმეტეს რომ ეს ქეისი (საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაცია) უნიკალურია თავისი ხასიათიდან და ისტორიიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა , ნაშრომში სწორედ ეს სირთულეა ერთგვარ სიძლიერედ გამოყვანილი, რადგან კვლევის შესაბამისი მიმართულებების განხილვით ნაჩვენებია, რომ საფრანგეთის ნატოსადმი უნიკალური, ისტორიულად რთული და ამბივალენტური დამოკიდებულება გარკვეული ფაქტორების გამო მოკლე დროში შეიცვალა, შესაბამისად არსებობს აღნიშნული შედეგის ნატოს სხვა წევრებზე გავრცელების შანსიც. ე.ი. კვლევის თეორიული დასკვნები ნატოს ფუნქციონირების, წევრი ქვეყნების მხრიდან ორგანიზაციის ღირებულებებისადმი ერთგულების კონტექსტში გაკეთდება.

თავი 1

საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ნაშრომის თეორიული ჩარჩო

იმის გასარკვევად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნაშრომის ფარგლებში მოცემული კვლევა, მისი ჰიპოთეზა და რა სიახლის შემცველია იგი საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაციის მიზეზების კვლევისთვის ,აუცილებელია, ამ საკითხის გარშემო არსებული ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვა და ექსპერტების,მეცნიერების და მკვლევარების მოსაზრებების და შეფასებების განხილვა.არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ თავის მეორე ნაწილიც,რომელიც მოიცავს ნაშრომის თეორიული ჩარჩოს აღქმისთვის საჭირო ლიტერატურის ანალიზს .იგი გვეხმარება საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული თეორიული მიდგომით ავხსნათ ჩვენთვის საინტერესო მოვლენა და გავამარტივოთ ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობივი კავშირის დანახვა.

1.1. ლიტერატურის მიმოხილვა

საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაციის და ზოგადად საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების საკითხზე მომუშავე ავტორების ნაშრომების, მათი აზრების რაიმე ნიშნით კლასიფიკაცია გაცილებით გაამარტივებს და ადვილად აღსაქმელს გახდის კვლევას, სწორედ ამიტომ მოცემულ ქვეთავში საფრანგეთის ნატოსკენ დაახლოების შესახებ ლიტერატურა რამდენიმე მიმართულებითაა დაჯგუფებული. აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე ავტორის ნაშრომი შესაძლოა რამდენიმე ჯგუფში იყოს განხილული, რადგან ისინი საფრანგეთის ნატოსთან დაახლოების რომელიმე მიზეზს უპირატესობას ანიჭებდნენ, სხვას კი დამატებით ფაქტორად აღიქვამდნენ.

პირველი ასეთი ჯგუფი აერთიანებს ავტორებს, რომლებიც საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაციას 1990-იანი წლებიდან მოყოლებულ განგრძობით, ეტაპობრივ და ცვალებადი ინტენსივობის პროცესად მიიჩნევს, რაც საბოლოოდ 2009 წლის

გადაწყვეტილებით ლოგიკურად დასრულდა სწორედ სარკოზის მმართველობისას, როდესაც გეოპოლიტიკური კონტექსტი, მხარეების მამოტივირებელი ინტერესები და პოლიტიკური პირობები ერთმანეთს დაემთხვა ატლანტიკის ორივე მხარეს (Cizel and Hlatky, 2014,გვ.355).

შესაბამისად საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაციას ეს ავტორები საფრანგეთის სტრატეგიულ დაგეგმარებაში „არა რევოლუციად,არამედ ევოლუციად“ მიიჩნევენ (Cameron, 2009, გვ.2) . მათთვის ნატოს მიმართ პოლიტიკა არაა ახალი და წარსული გამოცდილებიდან უეცარი გადახვევა. ეს ნაბიჯი კეთილგონივრული, პრაგმატული და გასაგებია საფრანგეთისთვის, როგორც საშუალო ძალის სტატუსის მქონე სახელმწიფოსთვის (Lagadec, 2012, გვ.77). ამრიგად ნატოში დაბრუნების გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიტიკური და სიმბოლური დატვირთვის მატარებელია და სამხედრო კუთხით რეალურად არაფერს შეცვლის საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობებში (Bozo,2008,გვ. 14).

ავტორთა მეორე ჯგუფი კი საფრანგეთის რეინტეგრაციის მიზეზებს საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე რეგიონულ და გლობალურ მოვლენებში ეძებენ. მაგალითად, Eckert (2013) აცხადებს, რომ 21-ე საუკუნეში საფრანგეთს ნატო საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში მნიშვნელოვან მოთამაშედ ესახებოდა.სწორედ ამიტომ ალიანსის შიგნით მარგინალიზების და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისაგან გამიჯვნის თავიდან ასაცილებლად იგი კვლავ ინარჩუნებდა მასში რეინტეგრაციის განგრძობით სურვილს. ამ რაციონალურმა გათვლამ განაპირობა საფრანგეთის დაახლოება და გოლისტური ტრადიციის დათმობა (Eckert ,2013,გვ.203).

აღნიშნულ მიმართულებას აგრძელებს პოლ ბელკინიც (Belkin ,2011) . მისი აზრით, ფრანგი გადაწყვეტილების მიმღები პირები აცნობიერებდნენ, რომ სამხედრო თვითკმარობა გლობალური საფრთხეების ეპოქაში შეუძლებელია,და რომ ევროკავშირის თავდაცვითი სამხედრო ძალები შესაძლოა საკმარისი იყოს რეგიონული,მაგრამ არა მსოფლიო მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად. მიუხედავად იმისა,რომ თავდაპირველად საფრანგეთი ეწინააღმდეგებოდა სამხედრო ოპერაციებში ჩართვას ხელშეკრულებით განსაზღვრული ევროპის კონტინენტს

მიღმა,1990 იან წლებში იუგოსლავიის კრიზისებმა და 11 სექტემბრის შემდეგმა მოვლენებმა აიძულა ის შეეცვალა აზრი (Belkin,2011, გვ.13). ამრიგად შეცვლილ უსაფრთხოების გარემოში მულტილატერალური ხელშეკრულებები საფრანგეთისთვის საუკეთესო არჩევნად იქცა არსებულ საფრთხეებთან გასამკლავებლად (Cameron, 2009, გვ.2).

ცნობილი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი (2014) კი თავის წიგნში "დიდი საჭადრაკო დაფა" ავითარებს აზრს, რომ 1990-იან წლებიდან მოყოლებული საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაციის სურვილის გაჩენა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ევროპის მასშტაბით მიმდინარე მოვლენებმა,კერძოდ გერმანიის გაერთიანებამ. საქმე ისაა,რომ გერმანიის როლის გაზრდამ პარალელურად ევროპაში მისი პოლიტიკური წონა შეამცირა. ამიტომ საფრანგეთს ამ "პოლიტიკური მარცხის" დაბალანსებისთვის ესაჭიროებოდა აღედგინა გავლენა ნატოში სრულუფლებიანი წევრობით (ბჟეზინკსი 2014,გვ.103).

შემდეგი ავტორების (Ghez and Larrabee, 2009) აზრით, ცივი ომის შემდეგ საერთაშორისო სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო გოლიზმი საფრანგეთისათვის აღარ იყო მომგებიანი, რამაც განაპირობა საფრანგეთის ნელ-ნელა დაახლოება ნატოსთან და საბოლოოდ მისი რეინტეგრაცია. პირველ რიგში ეს იყო ევროპის მარცხი კრიზისების მართვის სფეროში იუგოსლავიის მაგალითზე. საფრანგეთი მიხვდა, რომ აშშ და ნატო კვლავაც არანაკლებ საჭირო იყო ევროპის უსაფრთხოების საკითხებში (Ghez and Larrabee, 2009, გვ.78-80) . შესაბამისად მან აქტიურად განაგრძო ნატოს სამხედრო ოპერაციებში როგორც პერსონალით, ასევე ფინანსური კუთხით მონაწილოება (Irondelle and Merand, 2011, გვ.34).

ავტორები ასევე მიუთითებენ, რომ ნატოს და ევროკავშირის გაფართოებამაც საკუთარი წვლილი შეიტანა საფრანგეთის მხრიდან დაახლოების სურვილის გამძაფრებაში. კერძოდ ახალი წევრები არ აპირებდნენ საფრანგეთის ამბიციების დამორჩილებას, რადგან მათთვის ევროპის მმართველობაში საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერობა დასრულებული იყო,ამის საპირისპიროდ ისინი აქტიურ და აშშ-ს ინტერესების

ერთგულ პოლიტიკურ კურსს ატარებდნენ, რამაც საფრანგეთს სრულფსოვანი წევრობის საჭიროებისაკენ უბიძგა (იქვე).

ჩამოთვლილმა მოვლენებმა კი საფრანგეთის წინააღმდეგობა სამხედრო და პოლიტიკური კუთხით ნაკლებად მომგებიანი გახადა. ერთის მხრივ, იგი ხელს უშლიდა ქვეყანას გავლენის იმ წილის მოპოვებაში, რაც სამხედრო ოპერაციებში მისი მონაწილეობისათვის უნდა ჰქონოდა, მეორეც, ეს ეჭვსა და უნდობლობას თესდა ევროპელ მოკავშირეებში და საფრანგეთისთვის პოლიტიკურ ამბიციებს ერთიანი ევროპის თავდაცვითი პოტენციალის მიღწევის შესახებ აძნელებდა (Ghez and Larrabee,2009,გვ.78-80).

ავტორთა მესამე ჯგუფი (Irondelle and Merand, 2011), (VERLUISE, 2012) ,(Simons, 2009) (Gary, 2014) ნატოს სრულფასოვანი წევრობის მოტივად სწორედ ევროპული თავდაცვითი პოტენციალის გაზრდას ხედავს. მათთვის ნატოში რეინტეგრაცია გადაწყვეტილებაა,რომელიც მიზნად ისახავდა საფრანგეთის ევროპელი პარტნიორების წარსული ეჭვებისაგან განთავისუფლებას.ევროპისთვის საიმედო პარტნიორობის დამტკიცებით საფრანგეთი აჩვენებდა, რომ რომ ნატო და ევროპული თავდაცვა შეჯიბრის ნაცვლად შესაძლოა ერთმანეთს ავსებდნენ. ყველაფერი კი წაახალისებდა ევროპული თავდაცვის საფრანგეთისეული ვერსიის მხარდაჭერას (Irondelle and Merand, 2011), (VERLUISE, 2012,გვ.1) ,(Simons, 2009) (Gary, 2014,გვ.57-58).

ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში არსებული დაძაბულობის გადალახვას და აშშ-სთვის ერთგული პატნიორობის დამტკიცებას მიიჩნევს ზოგიერთი მკვლევარი საფრანგეთის ნაბიჯის განმსაზღვრელად (Schmitt, 2017, გვ.464). მაგალითად ნაშრომში "Cross-currents in French Defense and U.S. Interests" ავტორს (Michel, 2012) მოჰყავს საფრანგეთსა და აშშ-ს შორის არსებული დაძაბულობის მომენტები, მათ შორის 2003 წლის ერაყის ომიც,რომლის შესახებ შეუთანხმებლობის კონტექსტის გათვალისწინებით, საჭირო იყო ამერიკისა და მისი მხარდამჭერების თვალში ეჭების გაქრობა,რომ **CFSP** (ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა) არ ისახავდა მიზნად ევროკავშირის ნატოს ალტერნატივად ქცევას (Michel, 2012, გვ.5).

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ოფიციალური პირები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ ღიად არ მიენიჭებინათ უპირატესობა ევროპული თავდაცვის სისტემისათვის ნატოს წინააღმდეგ და თავიდან აერიდებინათ მისი, როგორც ალიანსის საპირწონედ აღქმა, ბევრი მკვლევარისთვის საფრანგეთი კვლავაც ევროპის "ტროას ცხენად "(RUSSE, 2010,გვ.21) რჩება ალიანის შიგნით. ამის დასტურად კი ის ფაქტი მოჰყავთ, რომ სარკოზიმ ალიანსში რეინტეგრაციისთვის სწორედ ევროპული თავდაცვისა და ალიანსში ევროპის, როგორც ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში თანაბარ პარტნიორად აღქმის საკითხი დააყენა (Müller, 2009, გვ.102).

ამ მიმართულებას აგრძელებს ულრიხ კროტციც ნაშრომში "History and Foreign Policy in France and Germany" (2015). მისი აზრით, ნატოში დაბრუნება ემსახურებოდა პირველ რიგში ევროპული თავდაცვის განვითარებას და ახალ შეცვლილ საერთაშორისო გარემოში ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედი ფართო სპექტრის აქტორად ჩამოყალიბებას. ავტორი ვერ ხედავს საფრანგეთის მხრიდან გოლისტური ტრადიციის დათმობის ნიშნებს. პირიქით, იგი ნატოს წევრობას აღიქვამს ევროპული მიმართულების გაზრდით ალიანსში ამერიკის გავლენის დაბალანსებად (Krotz,2015,გვ.90).

ავტორთა შემდეგი , მეოთხე ჯგუფი კი საუბრობს საფრანგეთის პრაგმატულ და სტრატეგიულ გათვლებზე. მაგალითად, ნატოში დაბრუნების გზით, საფრანგეთი ცდილობდა გავლენის გაზრდას და ამით კი იგი შეძლებდა აქტიურად გამოეყენებინა ბერკეტი ალიანსის სამომავლო ევოლუციის მიმართულების განსაზღვრისთვის.კერძოდ,საფრანგეთს სურდა ხელი შეეშალა ნატოს კონსოლიდაციისთვის,როგორც მსოფლიოს მასშტაბით ამერიკის სამხედრო ჩართულობის ლეგიტიმაციის ინსტიტუციური მექანიზმისთვის. ნატოში სრულფასოვანი წევრობა მას უფლებას მისცემდა სხვების თანაბრად განსაზღვრა ალიანსის მომავალი და სურვილისამებრ შეეზღუდა მისი როლი საერთაშორისო სისტემაში (Krotz, 2015, გვ.139-140).

ნატოს "გლობალიზაციის" წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს საფრანგეთის რეინტეგრაციას "France’s New NATO Policy Leveraging a Realignment of the Alliance?" ის

ავტორიც (Müller, 2009). ამის დასტური კი მისთვის გერმანიასთან ერთად საქართველოს და უკრაინისთვის ნატოს სწრაფი წევრობისთვის ხელის შეშლაა. საფრანგეთი მოწოდებული იყო ალიანსის შიგნით ამერიკის სასარგებლოდ არსებული ძალაუფლების ასიმეტრიულობა შეეცვალა, რისთვისაც მას ესაჭიროებოდა დაეკავებინა მაღალი მნიშვნელობის თანამდებობები (Müller, 2009, გვ.102).

ამისათვის სარკოზიმ არჩია კვლავ შეერთებოდა თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტს (Defense Planning Committee) - ორგანიზაციის სამხედრო სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებში გადაწყვეტილების მიმღებ უმაღლეს ორგანოს, სადაც საფრანგეთის გავლენა ყველაზე მეტად გამოჩნდებოდა. მაგალითად მას შეეძლებოდა აშშ-ს სარაკეტო თავდაცვითი ფარის საკითხის განხილვაში საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. ამასთანავე სარკოზიმ განაცხადა, რომ საფრანგეთისთვის თავისი ბირთვული შესაძლებლობები დარჩებოდა ეროვნული კონტროლის ქვეშ, რაც ,ავტორისათვის იმის მანიშნებელია, რომ ნატოში რეინტეგრაცია სინამდვილეში არასრულია (იქვე, გვ.104).

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ზოგიერთი ავტორი აცხადებს, რომ ასეულობით ფრანგი ჯარისკაცი მიიღებდა ნატოში სამსახურს, ხოლო საფრანგეთი კი ორ მნიშვნელოვან სარდლობას: მოკავშირეთა სარდლობა ტრანსფორმაციის დარგში "Allied Command Transformation", შტაბ-ბინით ნორფოლკში (ვირჯინია, აშშ), რომელიც პასუხისმგებელია ალიანსის სამხედრო შესაძლებლობათა მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესზე და "Allied Joint Force Command Lisbon,"რომელიც სათავეში უდგას სწრაფი რეაგირების ძალებს (ERLANGER, 2009).

შემდეგი ავტორი, მარსელ ვან ჰერპენი (Herpen,2009) კი გამოყოფს საფრანგეთის ნატოში ინტეგრაციის მამოტივირებელ სამ მნიშვნელოვან ასპექტს: პირველი, ნატოს სრულფასოვანი წევრობა ხელს შეუწყობდა საფრანგეთის არმიის სრულ თავსებადობას ამერიკის და ნატოს ევროპული ქვეყნების არმიებთან. მეორე, აშშ-სთან (რომელიც მსოფლიოს ყველაზე დაწინაურებული სამხედრო ძალებით გამოირჩევა) ერთად ჩატარებული საერთო წვრთნები დააჩქარებდა საფრანგეთის არმიის მოდერნიზაციას და

მესამე,ეს ფრანგულ შეიარაღების ინდუსტრიებს მისცემდა აშშ-ს უზარმაზარ ბაზარზე თავისუფალი შესვლის საშუალებას (Herpen,2009).

შეჯამებისთვის ასევე აღსანიშნავია ის ავტორები, რომლებიც საფრანგეთის გადაწყვეტილებას კომპლექსურად უდგებიან და ზემოთ აღნიშნული მიზეზების ერთიანობას გვთავაზობენ. მაგალითად, მაიკლ გელდრის (Gueldry, 2001) მიხედვით, საფრანგეთის ნატოსთან დაახლოება განაპირობა რამდენიმე ფაქტორის თანხვედრამ: პირველ რიგში, საერთაშორისო სისტემის უსაფრთხოების ახალი გამოწვევების და საფრთხეების პირობებში ნატო იყო საიმედო დამცველი. მეორე-ნატოს გავლით მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებში მონაწილეობა გაუმყარებდა საფრანგეთს სასურველი გლობალური ძალის მქონე სახელმწიფოს იმიჯს. მესამე-ნატოსთან თანამშრომლობა ამცირებდა მის ევროპელ მოკავშირეებთან პოლიტიკებს შორის სხვაობას, რაც აუცილებელი იყო ევროპული თავდაცვის ფორმირებისთვის და მეოთხე, მარგინალიზების და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებში დაფიქსირების ისტორიული შანსის გაშვების შიშმა ასევე თავისი წვლილი შეიტანა ამ გადაწყვეტილების მიღებაში (Gueldry, 2001, გვ.165-166).

1.2. თეორიული ჩარჩო- ნეორეალიზმი

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ აღებულია საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი ცენტრალური და მნიშვნელოვანი კონცეფციის თანამედროვე სახესხვაობა, სტრუქტურული, იგივე ნეორეალიზმი. იგი საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოთა ქმედებების განსაზღვრისას, რეალიზმისაგან განსხვავებით ,უმთავრეს ყურადღებას არა ინდივიდუალურ ან სახელმწიფო დონეებს, არამედ საერთაშორისო სისტემას და მის სპეციფიკას ანიჭებს.

ნეორეალიზმის ჩამოყალიბება უკავშირდება ქენეთ უოლცის სახელს და მის ნაშრომს „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ (1979), რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი სამეცნიერო ელფერი და მეთოდოლოგიური შესწავლის საშუალება მიეცა და მანამდე არ არსებული სისტემური მიდგომა

ჩამოეყალიბებინა. უოლცის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები ისტორიულად მსგავს მეთოდებს იყენებდნენ საკუთარი ინტერესების მისაღწევად, რასაც უმთავრსად საერთაშორისო სისტემა განსაზღვრავს. მაშასადამე, უოლცმა რეალისტებისაგან განსხვავებით სახელმწიფოთა ქმედებების მთავარ განმსაზღვრელად საერთაშორისო სისტემა და მისი სტრუქტურა მიიჩნია, რომელიც სამი ელემენტის ერთობის შედეგია:

1. სისტემის მოწყობის პრინციპი: უოლცის მიხედვით საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და არ არსებობს უზენაესი ხელისუფლება, რომელიც თამაშის წესებს განსაზრავს. იგი საერთაშორისო სისტემას ეკონომიკურ ბაზარს ადარებს, რომელშიც ფირმებისა და კორპორაციების ნაცვლად მთავარ (და არა ერთადერთ) აქტორებად სახელმწიფოები გვევლინებიან და სწორედ მათი თანაარსებობა წარმოშობს სტრუქტურას. ცალკეულ სახელმწიფოებს რომელიმე ეტაპზე შესაძლოა აღარ სურდეს სტრუქტურის შეზღუდვებს დამორჩილდეს და მისი თამაშის წესებს მისდიოს, თუმცა თუ მას გადარჩენა სურს სხვა გზა არ აქვს გარდა იმისა, რომ არსებულ ინდივიდუალისტურ სტრუქტურას ანგარიში გაუწიოს.

2. სისტემის შემადგენელი ერთეულების მახასიათებლები: უოლცისეულ საერთაშორისო სისტემაში, რომელიც ანარქიულია, სახელმწიფოები ერთმანეთისაგან არა ფუნქციებით და მათ წინაშე მდგარი ამოცანებით, არამედ მათი შესრულებისთვის საჭირო შესაძლებლობების თვალსაზრისით განსხვავდებიან.

3. ძალთა განაწილება :უოლცის მიხედვით, ანარქიულ სისტემაში ერთეულებს შორის ძალისა და ძალაუფლების განაწილების ცვლილება იწვევს სტრუქტურის ცვლილებას, ხოლო ეს თავის მხრივ სისტემის ერთეულების ქცევასა და მათ შორის ურთიერთქმედების შესახებ შეცვლილ მოლოდინებს იწვევს (Waltz, 1979, გვ.88-99).

ამრიგად, როგორც ნეორეალიზმის ღირებულებებიდან ჩანს ანარქიულ და სახელმწიფოთა მხრიდან თვითდახმარების მოლოდინის მქონე სისტემაში მიმდინარე ცვლილებებში და სტრუქტურის განსაზღვრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალთა ბალანსს, რომელსაც ერთდროულად სახელმწიფოთა ქმედებების (ომი, კავშირები, გაძლიერება და ა.შ.) ლოგიკურ მიზნად და შედეგადაც მიიჩნევა (რონდელი, 2006).

თავის მხრივ კი „ძალთა ბალანსი“(ან „ძალთა წონასწორობა“) საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ცენტრალური კონცეფციაა, რომლის შესახებ ბევრი განსხვავებული აზრი არსებობს, თუმცა ყველაზე მარტივი განმარტებით , იგი გულისხმობს ისეთ სიტუაციას, როდესაც საერთაშორისო სისტემაში ერთი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფის) ძალაუფლების ზრდა გაწონასწორებული და შეზღუდულია სხვა სახელმწიფოთა მიერ (Britannica).

საერთაშორისო ურთიერთობებში კლასიკური, ასევე ნეორეალისტებისთვის ძალთა ბალანსი იზომება მოსახლეობისა და ტერიტორიის, რესურსების, ეკონომიკური შესაძლებლობების, სამხედრო ძალის, პოლიტიკური სტაბილურობის კომბინაციით (Waltz,1979,გვ.131), ხოლო აქტორის (ან ალიანსის) სხვა აქტორზე (ალიანსზე) გავლენის მოხდენის მოკლევადიან პერიოდში გაზომვისთვის ყველაზე კარგი საშუალებაა ძალთა ბალანსის სამხედრო კუთხის გამოყენება, თუმცა გასათვალისწინებელია მისი სხვა ფაქტორებიც, რადგან ხანგრძლივ პერიოდში სწორედ ისინი გარდაიქმნება სამხედრო ძალაში (Rousseau and Garcia-Retamero, 2007, გვ.746).

ნეორეალიზმისეულ ანარქიულ სისტემაში, რომელში სახელმწიფოთა მიზანი გადარჩენა და უსაფრთხოების შენარჩუნებაა, სახელმწიფოები დგებიან რამდენიმე სახის გამოწვევის წინაშე:

1.სხვა მთავარი ძალების მხრიდან პირდაპირი თავდასხმის საფრთხე. 2. არაპირდაპირი საფრთხე, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთავარი ძალის სამხედრო ქმედებები თუნდაც გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც ემუქრება სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებას და 3. იმის შესაძლებლობა და ალბათობა, რომ მთავარი ძალა საბოლოოდ გლობალურ ჰეგემონად ჩამოყალიბდება ,რაც თავისთავად საზიანოა სისტემის დანარჩენი აქტორებისთვის, რადგან მას შეეძლება სათავისოდ შეცვალოს ქცევის წესები, შედარებითი მოგების გასაზრდელად გამოიყენოს მსოფლიო ეკონომიკური რესურსები, იმპერიული მმართველობა დაამყაროს მეორეხარისხოვან სახელმწიფოებზე და სურვილის მიხედვით დაიპყროს კიდეც სხვა ქვეყნები (Pape, 2005, გვ.13).

ასეთ პირობებში სახელმწიფოებს არსებული ძალთა ბალანსის შენარჩუნებისთვის და საფრთხეებთან დაკავშირებით ქცევის გარკვეულ სტრატეგიებს შორის არჩევანის

გაკეთება უწევთ, რაც გულისხმობს მათ მიერ რომელიმე საგარეო პოლიტიური სტრატეგიის სასაგებლოდ გაკეთებულ არჩევანს ,რაც ხშირად ან „ბალანსირებაა“,ან „მიტმასნება“.

საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალისტურ სკოლაში ამ ტერმინების ერთ-ერთი პირველი განმარტება კენეთ უოლცს უკავშირდება, რომელიც ბალანსირებაში უმეტესად მოიაზრებს კავშირში შესვლა ძლიერების ან საფრთხის წყაროს წინააღმდეგ მისი ძალის დაბალანსების მიზნით, ხოლო ტერმინი „მიტმასნებას „ კი ბალანსირების საწინააღმდეგო ტაქტიკად მიიჩნევს , რომელიც მისგან განსხვავებით უფრო ძლიერ მხარესთან გაერთიანებას გულისხმობს. თუმცა ორივე სტატეგიის არჩევას იგი სისტემის სტრუქტურაზე დამოკიდებულად აღიქვამს (Waltz, 1979, გვ.125-126).

რანდალ შველერი (1994) საუბრობს აღნიშნული სტრატეგიების ეფექტიანობაზე სხვადასხვა გარემოში. მაგალითად,იგი ბალანსირებას უფრო ხარჯიან პოლიტიკად მიიჩნევს, რასაც რესურსების დიდი მობილიზაცია ჭირდება, თუმცა ის მოწოდებულია სახელმწიფოს გადარჩენისა და ღირებულებების შენარჩუნებისთვის და დანაკარგების შემცირებისთვის, ხოლო მიტმასნება კი უმეტესად მიზნად ისახავს სარგებლის მიღებას. სწორედ ამიტომ ავტორი ამ უკანასკნელს უფრო გავრცელებულს თვლის (Schweller, 1994).

ნეორეალიზმის განვითარების პარალელურად სხვადასხვა ავტორებმა მოახდინეს ქვეყნების მიერ არჩეული სტრატეგიების მნიშვნელობის მოდიფიკაცია. მათ შორისაა სტივენ უოლტი (1987), რომელმაც ბალანსირება და მიტმასნება ძალთა წონასწორობის ნაცვლად ე.წ.“საფრთხის წონასწორობის“ კონტექსტში ახსნა და ბალანსირება საფრთხის წინააღმდეგ სხვებთან კავშირის შეკვრად,ხოლო მიტმასნება საფრთხის წყაროსთან კავშირად მიიჩნია (Walt,1987).

უოლტი საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოების მიერ ბალანსირების ან მიტმასნების პოლიტიკის არჩევის რამდენიმე განმსაზღვრელ ფაქტორს გვთავაზობს. პირველ რიგში , მისი აზრით, რაც უფრო სუსტია სახელმწიფო, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ იგი მიტმასნებას მიმართავს და არა დაბალანსებას. ამასთან მიტმასნება სახელმწიფოებისთვის იმ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს მიმზიდველი, თუ

მოკავშირეები არ არსებობს. თუმცა სახელმწიფოებს დაბალანსება საკუთარი რესურსების მობილიზაციის გზითაც შეუძლიათ, ნაცვლად მოკავშირეთა მხარდაჭერაზე დაყრდნობისა. დაბალანსებას ისინი უფრო მაშინ მიმართავენ თუ დარწმუნებულები იქნებიან მოკავშირეების დახმარების ხელმისაწვდომობაში.ამგვარად დაბალანსების პოლიტიკის კიდევ ერთი წინაპირობა დიპლომატიური კომუნიკაციის ეფეტიანი სისტემაა. კომუნიკაციის უნარი პოტენციურ მოკავშირეებს საერთო ინტერესების იდენტიფიცირებისა და რეაგირების კოორდინირების საშუალებას აძლევს, თუმცა თუ სუსტი სახელმწიფოები გარეშე ძალებისაგან დახმარების მიღების პერსპექტივას ვერ ხედავენ,ისინი შესაძლოა იძულებულნი გახდნენ,რომ საფრთხიდან გამომდინარე იმოქმედონ (Walt, 1987, გვ.21-31).[1]

აღსანიშნავია, რომ ცივი ომის შემდგომ საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების და აშშ-ის მზარდი ჰეგემონიის კვალდაკვალ გაჩნდა საჭიროება „ბალანსირებისა“ და „მიტმასნების“ უკვე არსებული და ტრადიციული გაგების მოდიფიკაციისა. სწორედ ამიტომ ამ ორი ტერმინის შიგნით „რბილი“ და „ხისტი“ მიმართულებები გამოიკვეთა. თუ ტრადიციული, ხისტი ბალანსირება დომინანტი ძალის სამხედრო საშუალებებით დაბალანსებას გულისხმობდა, მისი რბილი ვარიანტი აქცენტს არასამხედრო საშუალებების გამოყენებაზე აკეთებდა. მიტმასნების კონტესტში კი თუ ხისტ მიტმასნებაში მოიაზრებოდა ყველაზე ძლიერ ან საფრთხის შემცველ სახელმწიფოსთან ღია და სრულ კავშირში შესვლა მისგან მატერიალური ან სხვა სახის სარგებლის მისაღებად, რბილი მიტმასნება უფრო მორიდებულ და შეზღუდული სახის ურთიერთობას გულისხმობს, რომლის მიზანია უმთავრესად საკუთარი უსაფრთხოების ოპტიმიზაცია, ასევე რაიმე სარგებლის მიღება (Paquin and James, 2014,გვ.51).

როგორც დავინახეთ ნეორეალიზმი საერთაშორისო სისტემის ანარქიულობის გათვალისწინებით უშვებს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას ალიანსების სახით, რაც მათი მხრიდან საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აიხსნება. სახელმწიფოები ალიანსების ფორმირებისა თუ შენარჩუნების გადაწყვეტილებებს

[1] ნაშრომის ამ ნაწილში კონტექსტიდან გამომდინარე განხილული არაა უოლტის მიერ შემოთავაზებული კიდევ ერთი წინაპირობა ქვეყნების მიერ დაბალანსების ან მიტმასნების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევნისა-მშვიდობა და ომი

თანამშრომლობისგან მიღებული ხარჯისა და სარგებლის შედარებით ახდენენ : სარგებელი გულისხმობს საფრთხის შემცველი ძალის მხრიდან თავდასხმის და მუქარის ალბათობის შემცირებას და დახმარებას, თავდაცვის გაზრდას სხვების თავდასხმის შემთხვევაში, ხოლო ხარჯები მოიცავს არსებული ვალდებულებების გამო სხვის კონფლიქტში ჩაბმისა და ქვეყნის ქმედებების ავტონომიურობის შეზღუდვის გაზრდილ ალბათობას (Snyder, 1990, გვ. 110).

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ თუკი „ალიანსები მხოლოდ დროებითი, ანგარებიანი ქორწინებებია” (Mearsheimer, 2001, გვ.33) , მაშინ საერთაშორისო სისტემის ანარქიულობიდან გამომდინარე ქვეყნები თანამშრომლობის კუთხითაც იმ შემთხვევაში შეიტანენ თავის ქმედებებში ცვლილებებს, თუ მოეჩვენებათ, რომ მათი სავარუდო “მოგება” “ხარჯებზე” მეტი იქნება (რონდელი, 2006,გვ.54).

თავი 2

ისტორიული ფონი:გზა განდგომიდან რეინტეგრაციამდე

საფრანგეთის ნატოში წევრობა თავიდანვე არ ყოფილა მარტივი მნიშვნელობის საკითხი,რადგან ამ საკითხის პარალელურად გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის იდგა ევროპული მიმართულების განვითარების ალტერნატივა, თუმცა საბოლოოდ საბჭოთა კავშირიდან მომავალი საგარეო საფრთხის გათვალისწინებით და ომის შემდგომი რთული მდგომარეობის ამერიკული დახმარებით აღმოსაფხვრელად საფრანგეთმა ეჭვით, თუმცა მაინც დართო ნება აშშ-ს ევროპის კონტინენტზე მიმდინარე საქმეებში ჩარევისა. ამ ეჭვის გამო საფრანგეთის ნატოში შესვლის წინაპირობად თავიდანვე დააყენა აშშ-საფრანგეთ-გაერთიანებული სამეფოს მუდმივმოქმედი ჯგუფის (Standing group) შექმნა და მისი ნატოში ინკორპორირება, თუმცა ამას რეალური შედეგი საფრანგეთის გავლენისთვის არ მოუტანია (Chafetz, Frankel and Spirtaz, 1999, გვ. 317-325).

საგარეო საფრთხის კლებასთან ერთად საფრანგეთის თავიდანვე ამბივალენტური დამოკიდებულება ალიანსის მიმართ ნელ-ნელა აშკარა უარყოფით ელფერს იძენდა. მისთვის მალე ცხადი გახდა, რომ 1949 წლის 4 აპრილს დადებული ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება და 1951 წელს ჩამოყალიბებული ორგანიზაცია ორი განსხვავებული რეალობა იყო,რომელთაგანაც უკანასკნელი საფრანგეთის ინტერესებს ვერ აკმაყოფილებდა (Cogan, 2003, გვ. 84).

1958 წელს ხელისუფლებაში დე გოლის დაბრუნების შემდეგ ნატოში საფრანგეთის პოზიციების გადახედვა დღის წესრიგში დადგა. დე გოლმა აქტიული დიპლომატიური ზეწოლა წამოიწყო აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის პირველი პირების მიმათ რათა ძველი იდეა ნატოში საფრანგეთ-აშშ-ბრიტანეთის ტრიუმვირატის შესახებ რეალობაში განხორციელებულიყო "“NATO executive committee” -ის სახით და საფრანგეთს უფრო აქტიური როლი ეთამაშა გადაწყვეტილებების მიღებაში. თუმცა ეს იდეა ალიანსის გახლეჩის მოტივით უარყოფილ იქნა. ამ ინიციატივის ჩავარდნის შემდგომ დე გოლი უფრო რადიკალური გახდა, მაშინდელი ფორმით არსებული ნატო გამოწვევებისთვის

უსარგებლოდ გამოაცხადა და ალაპარაკდა უსაფრთხოების ახალ ორგანიზაციის შექმნაზე. შუამავლები ცდილობდნენ დე გოლთან მოლაპარაკებას , თუმცა დე გოლის მემორანდუმები საწინააღმდეგო მიმართულებას ადგა (Locher and Nuenlist, 2010,გვ.85).

შარლ დე გოლის მცდელობებმა და ზეწოლამ მისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგები არ მოიტანა და ამიტომ საფრანგეთმა ნელ-ნელა დაიწყო ნატოსგან ოფიციალური დისტანცირება და გამოყოფა. იგი გამოეთიშა ნატოს ფლოტს და სამხედრო ძალებს, აუკრძალა ნატოს საფრანგეთის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განლაგება და მოითხოვა საკუთარ ავიაბაზებსა და ტერიტორიაზე სრული, ერთპიროვნული კონტროლი.ამასთანავე დე გოლმა დაიწყო დამოუკიდებელი თავდაცვის სისტემის და ბირთვული პოტენციალის (force de frappe) შენება თავისი ქვეყნისათვის. საბოლოოდ 1966 წელს საფრანგეთის სამხედრო დანაყოფები მთლიანად გამოეთიშნენ ნატოს სამხედრო სტრუქტურებს (Hauss ,2007).

მიუხედავად იმისა, რომ 1962 წელს კუბის სარაკეტო კრიზისის დროს საფრანგეთი იზიარებდა ნატოს პოზიციას და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წარმოდგენილი დანაყოფებით ასრულებდა კომუნისტური საფრთხისაგან თავდაცვის ვალდებულებას, მისი ნატოსგან სამხედრო კუთხით გამიჯვნა მაინც უარყოფითად იქნა შეფასებული, რადგან საფრანგეთმა, ყველაზე დიდი სახმელეთო ფართობის მქონე დასავლეთ ევროპულმა ქვეყანამ ფაქტობრივად კონსულტაციების გარეშე უნილატერალურად დატოვა ალიანსი (Ali, 2012, გვ.207) . დე გოლის ამ გადაწყვეტილებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არამხოლოდ ევროპაში ამერიკის ლიდერობა, არამედ მთლიანად იმ პერიოდში კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ არსებული ე.წ. შეკავების სტრატეგიაც და სამხედრო ალიანსი ერთ-ერთ ყველაზე გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდო (იქვე, გვ. 208), გამოიწვია რა ფინანსური, ლოჯისტიკური, სოციალური და სტრატეგიული პრობლემები, რადგან ნატოს მთავარი ბაზები და შტაბბინები საფრანგეთის ტერიტორიაზე იყო განლაგებული (Vaïsse and Sebag,2009, გვ.142).

დე გოლის შემდგომი პრეზიდენტებიდან არაერთი კონცეფციად ჩამოყალიბებულ "გოლიზმის" ტრადიციის თავისებურ ვარიანტს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის

განხორციელებისას აქტიურად იყენებდა, რაც მნიშვნელოვანწილად აშშ-სა და ნატოს მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულების შენარჩუნებასაც გულისხმობდა (Kramer, 1994, გვ. 32) და კარგად ერგებოდა იმ ტაქტიკას, რომლის მიხედვითაც საფრანგეთს "ცალი ფეხი ნატოში ჰქონდა,ცალი კი-მის გარეთ"(Irondelle and Mérand, 2011, გვ.1).

მკვლევარები ფრანსუა მიტერანის პრეზიდენტობას გოლიზმის ტრადიციიდან გადახვევის პირველ ღირებულ მცდელობად აფასებენ. იგი წინამორბედებთან შედარებით უფრო ატლანტისტური იდეებით გამოირჩეოდა აცნობიერებდა რა ნატოს და აშშ-ს საჭიროებას ევროპის კონტინენტის უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის. ნატოსადმი განახლებული მიდგომის დასტურად საფრანგეთმა 14,500 ჯარისკაცით მონაწილეობა მიიღო 1991 წელს სპარსეთის ყურის ომში და კარგადაც დაინახა ამერიკელებთან შედარებით საკუთარი სამხედრო შესაძლებლობების სისუსტე (Müller ,2009,გვ. 96), რამაც ალიანსის საჭიროების საკითხი დღის წესრიგში დააყენა. ამავდროულად, 1993 წელს იუგოსლავიის მოვლენებში ევროპის სისუსტის და ნატოს როლის მნიშვნელობის გათვალისწინებით საფრანგეთმა გაანალიზა ისიც , რომ ნატოში რეიტეგრაციით მისი გავლენა უფრო გაიზრდებოდა. ამიტომ საფრანგეთის წარმომადგენლებმა დაიწყეს ნატოს სამხედრო კომიტეტის (Military Committee) სხდომებზე აქტიური დასწრება, რომელიც ორგანიზაციის უმაღლესი მნიშვნელობის სამხედრო ორგანოს წარმოადგენდა და პოლიტიკური სტრუქტურებისა და სტრატეგიული სარდლობებისათვის კონსულტაციებით, რეკომენდაციებით დახმარება ევალებოდა ისეთ საკითხებში, რომლებიც სამხედრო პოლიტიკას ეხება (საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევოკავშირის შესახებ). ჩამოთვილი მიზეზების გამო სწორედ ამ პერიოდს მიიჩნევენ ხოლმე გარდამტეხად საფრანგეთის ნატოსკენ დაახლოების პროცესში.

ნატოსადმი ერთგულების დასტურად საფრანგეთმა აქტიურად ჩართო თავისი სამხედრო ძალები ნატოს ოპერაციებში, მაგალითად ბოსნიაში (IFOR , SFOR), კოსოვოში((KFOR) მოგვიანებით ავღანეთში (ISAF). ამის შედეგად 1990 იან წლებში ნატოს დროში ქვეშ საფრანგეთს უფრო მეტი ჯარისკაცი ჰყავდა, ვიდრე თავად აშშ-ს (Rieker, 2017 ,გვ.109).

მიტერანის მემკვიდრემ, ჟაკ შირაკმა, ნატოს მიმართ არანაკლებ პრაგმატული და პოლიტიკური სარგებლის მიღებაზე გათვლილი გეზი აიღო და კიდევ უფრო დაწინაურდა რეინტეგრაციის გზაზე.იგი ნატოში საფრანგეთის სრული წევრობის პერსპექტივის წინ წამოწევით ცდილობდა, რომ ალიანსის სტრუქტურასა და პრიორიტეტებში თავის სასარგებლო ცვლილებებისთვის მიეღწია. პირველ რიგში შირაკმა გააცნობიერა, რომ ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი იყო ევროპული იდენტობის ფორმირება ნატოს ხარჯზე და მის მიღმა, სწორედ ამიტომ დღის წესრიგში დააყენა ალიანსის შიგნით ევროპული სვეტის რე-ბალანსირების საკითხი (Hodge,2002,გვ.129). საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის,ერვე დე შარეტის განცხადებით "დასავლეთ ევროპული კავშირი უნდა ქცეულიყო ნატოს ევროპულ სვეტად", რაც ალიანსში სამომავლო წინსვლის წინაპირობად იქნა დაყენებული (Cohen, 1995).

ალიანსში ევროპული განზომილების იდეის წარმატებული დასაწყისის შემდეგ შირაკმა აქცენტი უკვე ორგანიზაციის პრიორიტეტების ცვლილებისკენ აიღო,რაც გამოიხატა 1995-1997 წლებში მისი მცდელობებით, გადაეწია ნატოს სტრატეგიული აქცენტი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, რათა თავიდან აეცილებინა რისკები ხმელთაშუაზღვისპირეთის "არამზადა სახელმწიფოების"[2] მხრიდან (Keiger, 2001,გვ.222-223).

1997 წელს საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების გზაზე შემდეგ ლოგიკურ ნაბიჯად სრული რეინტეგრაცია ისახებოდა, რაც საფრანგეთისთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ნატოს სტრუქტურების ევროპეიზაციის შემდგომ განვითარებას იგი ალიანსის შიგნიდან უფრო კარგად შეუწყობდა ხელს. თუმცა ევროპელ პარტნიორებსა და აშშ-ს შორის პასუხისმგებლობების სფეროს გადანაწილებამ ურთიერთობა გაამწვავა და ფრანგების სასურველი ანგარებიანი სტილით დაბრუნებაზე ოპტიმიზმი დასრულდა კლინტონის პრეზიდენტობისას საფრანგეთის გეგმების ზედმეტად "მაღალი ფასის" გამო უარყოფის

[2] "**Rogue States**" – "არამზადა სახელმწიფოები" – საერთაშორისო ურთიერთობებში ამ სახელით მოიხსენიებენ სახელმწიფოებს,რომლებიც თავიანთი ავტორიტარიზმის,არამდემოკრატიულობის,ადამიანთა უფლებების დაღევევის,ტერორიზმთან კავშირისა და მასობრივი განადგურებების იარაღის ფლობის გამო საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო საზოგადოებასა და მშვიდობას.აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი სხვადასხვა პერიოდში ამ სიას მიაკუთვნებდა ირანს,ერაყს,ლიბიას,ჩრდ.კორეას,კუბას,ლიბიას,სუდანს,ვენესუელას

შემდეგ, რამაც კვლავ ურთიერთობების გაციება გამოწვია და საფრანგეთი აშშ-ის ჰეგემონობის და ნატოს იარაღად გამოყენების შესახებ ძველ რიტორიკას დაუბრუნდა, რის ხელშემწყობ დამატებით ფაქტორად ბუშის პრეზიდენტობისას უნიპოლარული სისტემის და უნილატერალიზმის ტენდენციების მომძლავრებაც იქცა (Keiger, 2001,გვ.222-223).

ამ შეუთანხმებლობამ მართალია შეაჩერა ნატოში საფრანგეთის ოფიციალური რეინტეგრაცია, თუმცა ექსპერტების აზრით, შემდგომ წლებში მაინც გაგრძელდა ალიანსთან დეფაქტო დაახლოება, რაც მნიშვნელოვანწილად 11 სექტემბრის ტერაქტმა განაპირობა. ამ მოვლენის გათვალისწინებით 2002 წელს საფრანგეთი შეუერთდა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს (NRF) და გაერთიანებული სარდლობის ტრანსფორმაციას (Allied Command Transformation) .ასევე აქტიურად განაგრძო მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში, თუმცა ეს არ აისახებოდა ალიანსში მისი გავლენის გაზრდაზე და საფრანგეთის გამოთვლებით მისთვის ნატოს კონტექსტში სარგებელ-ხარჯის კალკულაცია ნეგატიური იყო (Müller , 2009, გვ. 98).

საფრანგეთის პრეზიდენტად ნიკოლა სარკოზის გახდომით საფრანგეთის -ნატოს ურთიერთობები ნორმალიზაციის რეალურ და შედეგიან გზას დაადგა. სარკოზის აშშ-სადმი დადებითი დამოკიდებულების გამო თავიდანვე უწოდებდნენ "ამერიკელ ნეო-კონსერვატორს ფრანგული პასპორტით","ამერიკელ სარკოს" და სხვა. მართლაც 2007 წლის სექტემბერში ნიუ-იორკ თაიმსთან მიცემულ ინტერვიუში სარკოზიმ პირველად გააჟღერა ნატოსადმი ახალი პოლიტიკა და ხაზი გაუსვა, რომ **CFSP** (საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა) და ნატო ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებოდა ,არამედ ავსებდა და ორივე მათგანის თანხვედრა იყო საჭირო. ამ საკითხს სარკოზი 2007 წლის ნოემბერში დაუბრუნდა , როდესაც მიანიშნა, რომ ევროპული თავდაცვის არსებობა და გაძლიერება პირდაპირპოროპორციულად აისახებოდა საფრანგეთის ნატოს სრულუფლებიან წევრობაზე. 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე სარკოზი კიდევ ერთხელ შეეხო ევროპის და ნატოს ურთიერთობებს და განაცხადა ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის გაზრდის შესახებ, ხოლო პრეზიდენტ ბუშის მიერ მისი განცხადებების მოწონების და განაცხადების შემდეგ, რომ „ძლიერი ალიანსის ფორმირება მოითხოვს ძლიერ ევროპულ თავდაცვით შესაძლებლობებს“, სარკოზიმ დააანონსა ნატოსთან

ურთიერთობის ფუნდამენტური განახლება და პირველად დაასახელა ამ მოვლენის ვადაც, კერძოდ 2009 წელს სტრასბურგ-კელის სამიტი, როგორც სიმბოლური თარიღი 60 წლისთავი ნატოს შექმნიდან (იქვე,გვ.99-100).

მკვლევარების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სარკოზის ჰქონდა პრო-ამერიკული ზრახვები, იგი ასევე რჩებოდა ევრო-ცენტრისტულად, რის დასტურადაც მან საფრანგეთის ნატოში კვლავ გაწევრიანებისთვის, შირაკის მსაგავსად საკუთარი პირობები წამოაყენა, თუმცა სარკოზი უფრო ფრთხილობდა, რათა არ დაესახელებინა ევროპული თავდაცვის შესაძლებლობებისაგან განსხვავებული ისეთი ინდივიდუალური ფასი, რაც ამერიკისთვის მიუღებელი იქნებოდა (Cameron,2009,გვ.2). საფრანგეთის წინაპირობებს წარმოადგენდა ამერიკის თანხმობა ევროპული თავდაცვის განვითარებისთვის და საფრანგეთის წამყვანი როლი სამხედრო სტრუქტურებში (Echeverría, 2008). ამავდროულად, საფრანგეთის ბირთვული შესაძლებლობები ეროვნული კონტროლის ქვშ დარჩებოდა, იგი შენარჩუნებდა კონტროლს ნატოს სამხედრო ოპერაციებში ფრანგული ჯარების გაგზავნაზე და მშვიდობიანობის დროს ქვეყნის ჯარები ნატოს კონტროლს არ დაექვემდებარებოდნენ (Ghez and Larrabee, 2009, გვ.80-81).

საბოლოოოდ 2009 წელს მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ საფრანგეთი დაუბრუნდა თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტს (Defense Planning Committee) ,რომელიც ორგანიზაციის სამხედრო სტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებში გადაწყვეტილების მიმღებ უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა და მისი საქმიანობის სფერო აერთიანებდა ალიანსის თავდაცვასა და კოლექტიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ამოცანებს. იგი ზედამხედველობდა ალიანსის სამხედრო დაგეგმარების პროცესს, ჰქონდა იგივე უფლებამოსილება როგორც ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს (North Atlantic Council) და ბირთვული დაგეგმარების ჯგუფს (Nuclear Planning Group)(Nato Official Page).

თავი 3

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის სპეციფიკა და მისი ცვლილება ცივი ომის შემდეგ

ისტორიულად საფრანგეთის ურთიერთობებს დანარჩენ მსოფლიოსთან და მისი საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს განსაზღვრავდა მთელი რიგი მატერიალური და ფსიქოლოგიური ასპექტები. მატერიალური ასპექტები გულისხმობდა ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას (ერთდროულად სახმელეთო და საზღვაო საზღვრები), დემოგრაფიასა და ეკონომიკას, ხოლო ფსიქოლოგიური- სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ იდენტობასა და ერთობას, რაც მიიღწეოდა მე-17-მე-18 საუკუნეებში საფრანგეთის კულტურული და პოლიტიკური ჰეგემონიით განპირობებულ სიდიადეზე ხაზგასმით. საფრანგეთისთვის ფრანგული ცივილიზაცია, რომელიც განმანათლებლობის ეპოქამ შექმნა და შემდეგ რევოლუციამ თავისი ღირებულებებით განავითარა (თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა), იყო უნიკალური და უნივერსალური. სწორედ ამიტომ იგი ფრანგული ენის გამოყენებით ცდილობდა გაევრცელებინა ღირებულებები ჯერ ევროპაში, ხოლო შემდეგ კოლონიების გავლით მთელს მსოფლიოში .საუკუნეების განმავლობაში ამ რეალობაში ყოფნის მიუხედავად, საფრანგეთის სტატუსი და გავლენა უცვლელი არ ყოფილა და მასზე დიდ გავლენას საერთაშორისო მოვლენები ახდენდა. ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენები მეოცე საუკუნეში ჯერ მეორე მსოფლიო ომი, შემდეგ დეკოლონიზაცია და ბოლოს უკვე ცივი ომი, მისი დასასრული იყო (Keiger, 2001, გვ.17) .

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი 1945 წლის იალტის შეთანხმების მიერ ომის შემდგომი წესრიგის პრინციპს ცუდი თვალით უყურებდა და მას აბრალებდა ევროპის ორ ბანაკად გაყოფასა და ცივი ომის მდგომარეობაში გადასვლას, სწორედ ამ ისტორიული მოვლენით ისარგებლა საფრანგეთმა ყველაზე კარგად ომის შემდგომი მძიმე შედეგების აღმოსაფხვრელად და საერთაშორისო ურთიერთობებში კვლავ სიდიადის ამბიციის დასაკმაყოფილებლად. პირველ რიგში, მან საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ სუპერ ძალებს შორის დაიკავა გარკვეული ნიშა, ადგილი და

ნეოკოლონიური მემკვიდრეობა შეინარჩუნა. მეორეც, მან ისარგებლა აშშ-ის ბირთვული ქოლგით და ამავდროულად შეინარჩუნა კარგი ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან გერმანიის გასაკონტროლებლად. მესამე, ამით მას გაუნეიტრალდა გერმანიისგან ისტორიულად მომავალი საფრთხე. მეოთხე, ცივმა ომმა „გაამართლა“ საფრანგეთის მიერ ბირთვული პოტენციალის განვითარება საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხის გამო. ამის გათვალისწინებით იგი დიდი ძალის სტატუსსაც მიუახლოვდა და დამატებითი უსაფრთხოების გარანტიებიც მოიპოვა. და ბოლოს, საფრანგეთმა ასევე მიიღო მუდმივი ადგილი გაეროს უშიშროების საბჭოში, რაც მისი სიდიადის კიდევ ერთ ნიშანს წარმოადგენდა. თუმცა ცივი ომის დასრულებამ საფრანგეთის მიერ საერთაშორისო სისტემაში დაკავებული „მყუდრო“ პოზიცია დაარღვია, ძველი პრობლემები ზედაპირზე ამოიტანა და ახალიც დაუმატა, რამაც მას უბიძგა საგარეო პოლიტიკის ცვლილებისაკენ (Keiger,2001, 215-216).

ცივი ომის დასასრულის მიერ მოტანილი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შოკი საფრანგეთისთვის იყო აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ძალაუფლების რღვევა, რაც ნიშნავდა ევროპის სამხედრო და პოლიტიკური კუთხით დაყოფის დასასრულს და ამით განპირობებულ ახალ უსაფრთხოების გარემოს. საფრანგეთისთვის ცივი ომის დროს მიღწეული სამხედრო ძალა და „მსოფლიოს მესამე ბირთვული ძალის“ სტატუსი ეროვნულ პრესტიჟთან ასოცირდებოდა ,რაც მას დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ლიდერად წარმოაჩენდა, ანიჭებდა პატივისცემასა და ყურადღებას ორი სუპერძალის მხრიდან და უპირატესობას გერმანიასთან მიმართებით, ხოლო საბჭოთა საფრთხის განეიტრალებამ, თავის მხრივ ევროპაში სამხედრო ძალის ღირებულების და ლეგიტიმურობის გაქრობით, საფრანგეთი უსაფრთხოების ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა (Gordon, 1992, გვ.4-7).

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა და საფრანგეთის უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილების განმსაზღვრელი საკითხი იყო გერმანიის გაერთიანება. ამ ფაქტმა ევროპაში საფრანგეთის ლიდერობა, მისი შედარებითი ძალა და სამომავლო ამბიციები მნიშვნელოვნად შეამცირა. თუ ადრე საფრანგეთი ევროპაში ახდენდა ისეთი პოლიტიკის ინიცირებას, რაც შეზღუდავდა გერმანიას და არ შეეხებოდა თავად მას, ახალ გარემოებებში საფრანგეთი იძულებული უნდა დაეთმო საკუთარი

დამოუკიდებლობის ნაწილი,რომ გაერთიანებულ და ძლიერ გერმანიასაც იგივე გაეკეთებინა (იქვე).

მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი საფრანგეთის უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილებისა კი იყო სპარსეთის ყურის ომი. მან აჩვენა, რომ საფრანგეთსა და ევროპის იმდროინდელ ფორმას არ ძალუძდა არც საგარეო და არც სამხედრო კუთხით ეფექტური მოქმედება. ამან წარმოაჩინა საფრანგეთის ეროვნული სამხედრო დამოუკიდებლობის გაუფასურება და მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობის საჭიროება როგორც ევროპის მასშტაბით, ასევე აშშ-სთან და ნატოსთანაც (იქვე).

ფინალური ნაკრები ფაქტორებისა, რომლებმაც განაპირობა საფრანგეთის უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილება, არის არა გეოპოლიტიკური, არამედ ფისკალური ხასიათის.კერძოდ,საქმე ეხება საფრანგეთის თავდაცვის ბიუჯეტის შემცირებას 1980- იანი წლების პიკთან შედარებით,რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საფრანგეთის ამბიციური სამხედრო პროგრამები (იქვე).

საინტერესო ფაქტია ის , რომ ზოგიერთი მკვლევარი ცივი ომის შემდგომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების კვლევისას პარალელებს ავლებს რუსეთთან და მის მცდელობასთან აღიდგინოს სტატუსი საერთაშორისო პოლიტიკაში. ცივი ომის შემდეგ საფრანგეთის პოზიის ცვლილებას ავტორი (Rieker, 2017) "დამცირებას" უწოდებს და ამას ამსგავსებს რუსეთში არსებულ გრძნობებს. მისთვის ეს ხსნის , თუ რატომაა საფრანგეთში უფრო მეტი გაგება და მიმღებლობა რუსული მიდგომებისა, ვიდრე სხვა დასავლურ ქვეყნებში(Rieker, 2017, გვ. 78).

ცივი ომის დასრულებამ საფრანგეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც უკვე აღინიშნა გამოწვევების წინაშე დააყენა, რამაც ერთგვარი დილემის წარმოქმნა განაპირობა რა როგორც არსებული პოლიტიკის ცვლილების, ასევე მისი განგრძობითობის საჭიროება. ერთ მხარეს დადგა საფრანგეთის ეროვნული სამხედრო დამოუკიდებლობის შემცირება ევროპაში ერთიანობის მისაღწევად, აშშს ა და ნატოსთან უფრო დაახლოება, მეორეს მხარეს კი ტრადიციული ფრანგული მიზნები, როგორიცაა იმიჯის, გავლენის და და მოქმედების ავტონომიურობის შენარჩუნება-გაძლიერება და ამის გათვალისწინებით ნატოსთან ოფიციალური ინტეგრაციისგან თავშეკავება, მასში

აშშ-ის ლიდერობის კრიტიკა. ამ განსხვავებულმა მიმართულებებმა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში ერთგვარი გაურკვევლობა განაპირობა (Gordon, 1992 , გვ.9) .

მეცნიერები მთლიანობაში საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის სპეციფიკაზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ იგი არაა კოლექტიური მოთამაშე, რის დასტურადაც მოყავთ ისეთი მახასიათებლები,როგორიცაა 1966 წლიდან ნატოს სამხედრო სტრუქტურისგან გამიჯვნა, დამოუკიდებელი თავდაცვითი და შეკავების დოქტრინის ჩამოყალიბება, ევროპული თავდაცვის სისტემის ფორმირება ნატოსაგან პოტენციურად დაშორებულად ან მცირედად დაკავშირებულად, თავისი "დამოუკიდებლობის", სიდიადის, წოდების გათვალისწინებით ნატოს უმცროსი პარტნიორის როლის უკუგდება. საფრანგეთს ყოველთვის ახასიათებდა სურვილი ავტონომიურად და სწრაფად მოქმედებისა, თუ შესაძლებელი იყო ალიანსში ღრმა ჩართულობის გარეშე. მისი მიზნები და საერთაშორისო ინსტიტუციური წესრიგისადმი დამოკიდებულება კი შემდეგში მდგომარეობდა: ევროპის, როგორც პოტენციური საერთაშორისო პოლიტიკური აქტორის წარმოდგენა, ევროპის მასშტაბით ლიდერობა , ცივი ომის შემდგომ პერიოდში ამერიკის ლიდერობის მიუღებლობა. აქედან გამომდინარე ცივი ომის დასასრულს ქვეყნის ძირითად დევიზებად იქცა "ევროპა მსოფლიოში" და "საფრანგეთი ევროპაში"(Krotz, 2015, გვ.90).

შესაბამისად ცივი ომის დასრულების შემდეგ საფრანგეთის ამბიციური ეროვნული და ევროპული პოლიტიკა მუდმივად ასახვას ჰპოვებდა მის სტრატეგიაში ნატოს მიმართაც და არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ორ მოცემულობას შორის მერყეობდა: ევროპული სვეტის შექმნა და გაძლიერება ან ნატოს შიგნით (ESDI) ან მის მიღმა (ESDP). ამიტომ საფრანგეთის ნატოსადმი დამოკიდებულება, ევროპული თავდაცვის გაძლიერება და ნატოს რეფორმირება ურთიერთგადაჯაჭვული საკითხებია, რომლებიც მუდამ ერთგვარ სამკუთხედს ქმნიდა (Irondelle and Mérand ,2011, გვ.31) .

გარდა ევროპული მიმართულებისა, საფრანგეთის სიდიადისა და გლობალური ძალის იმიჯის შენარჩუნებაში აფრიკაც სასიცოცხლო როლს თამაშობდა. აფრიკასთან ურთიერთობები მნიშვნელოვანი იყო, რადგან იგი ხელს უწყობდა საფრანგეთის ეროვნულ ეკონომიკას, დიდ გავლენას რეგიონალურ და საერთაშორისო

ორგანიზაციებში, ზრდიდა საფრანგეთის შედარებით ძალას და სტატუსს რესურსების მობილიზაციით და აუმჯობესებდა საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის პოზიციას ქვეყნებში (Rieker, 2017, გვ. 39), თუმცა ცივი ომის დასრულებისას არსებულმა ფინანსურმა და სხვა გეოპოლიტიკურმა სირთულეებმა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში აფრიკის საკითხის გადასინჯვაც განაპირობა.

ექსპერტების აზრით, ცივი ომის შემდეგ არსებული გამოწვევები გაგრძელდა ოცდამეერთე საუკუნეშიც, რაც აისახება გავლენის დაკარგვის შიშის გაძლიერებაში. ეს მდგომარეობა კი განპირობებულია როგორც ობიექტური (ევროკავშირის გაფართოება, გლობალური ეკონომიკური რეცესია, განვითარებადი ქვეყნების კონკურენცია),ისე სუბიექტური ფაქტორებით (საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური დისკურსი შეიცვალა გოლისტური "სიდიადის" შერბილებით ბილატერალიზმის, მულტილატერალიზმისა და გლობალური თანამშრომლობის ღირებულებების სასარგებლოდ) (Drake ,2011).

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლა სარკოზიმ მკაფიოდ გამოცხადა ძველი ურთიერთობების სტილის შეცვლა როგორც გლობალურ დონეზე (აშშ-სთან, აფრიკის ყოფილ კოლონიებთან) ასევე რეგიონულ პოლიტიკაში (ნატო, ევროკავშირი, რუსეთი) (Rieker, 2017,გვ.4), ზოგიერთი მკვლევარი მას მაინც ტრადიციულ გოლისტად მიიჩნევს, რომელსაც სურდა ცივი ომის შემდეგი სირთულეების გამო საფრანგეთს ცენტრალური როლი ჰქონოდა მსოფლიოში: ევროპაში- ევროკავშირის CFSP –ის მეშვეობით ლიდერობით, სუბ -საჰარულ აფრიკაში ცენტრალური როლითა და ახლო აღმოსავლეთისადმი გაზრდილი ინტერესით (Belkin, 2011).

3.1. ევროპული თავდაცვის სისტემის მნიშვნელობა და მისი უშედეგობა

საგარეო პოლიტიკის მოცემული სპეციფიკიდან გამომდინარე აშკარაა, რომ მულტიპოლარულ მსოფლიოში გაერთიანებული ევროპის მიერ მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ადგილის დაკავების პროექტი მუდმივად პრევალირებდა ყველა ფრანგი პრეზიდენტის დღის წესრიგში დე გოლიდან მოყოლებული . "Europe puissance"- ნიშნავდა „ევროპულ“ ევროპას,აშშ ს დომინაციისგან თავისუფალს (Irondelle and

Mérand, 2011. გვ.31), თუმცა ,აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად 1940-50 იან წლებში საფრანგეთი ევროპული ინტეგრაციის სხვადასხვაგვარი გამოვლინების , მათ შორის უსაფრთხოების სფეროშიც, წინააღმდეგი იყო. 1960- იან წლებში კი ნატოსადმი დამოკიდებულების ცვლილებამ უბიძგა ქვეყნის მიერ ამ მიმართულების გაგრძელებას, რომელიც აღქმულ იყო როგორც საფრანგეთის სიდიადის, მსოფლიო ძალად ქცევის მიღწევის საშუალება ევროპის გაერთიანებითა და აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გავლენის შემცირებით (Ali, 2012, გვ. 208)

ნატოს დაარსებიდან მოყოლებული, ევროპელი მოკავშირეები, განსაკუთრებით კი საფრანგეთი, ცდილობდნენ აშშ-ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო დომინაციასა და ევროპის სურვილებს შორის გარკვეული წონასწორობა მოეძებნათ. საფრანგეთისთვის ეს ბალანსი სამ ურთიერთდაკავშირებული მიზნის თანხვედრაში გამოხატებოდა: პირველი- დამოუკიდებელი, ეროვნული ძალის სტატუსის შენარჩუნება. მეორე- ევროპისათვის საერთაშორისო ასპარეზზე კუთვნილი პოზიციის აღდგენა და მესამე, მსოფლიოში აშშ-ის აგრესიული უნილატერალიზმის საპირწონის როლის შესრულება. აღნიშნული მიმართულებების განსახორციელებელ საუკეთესო ინსტრუმენტად საფრანგეთს კი სწორედ ევროპის დამოუკიდებელი პოლიტიკური და სამხედრო შესაძლებლობების განვითარება ესახებოდა (Howorth, 2002, გვ.2).

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარების აზრით, საფრანგეთის მოწოდება ყოველთვის იყო თავად განასახიერებინა ერთიანი ევროპა , როგორც ერთგვარი იარაღი ძველი დიდების დასაბრუნებლად, ეს სურვილი საფრანგეთს დილემის წინაშე აყენებდა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ცივი ომის დასრულების შემდეგ, რადგან მას ერთის მხრივ კვლავ ესაჭიროებოდა ევროპის უსაფრთხოების საქმეში აშშ-ის მონაწილეობა, თუმცა ასევე სურდა ევროპის საქმეებში ამერიკის გავლენის შემცირება (ბჟეზინსკი, 2014, გვ.101).

ევროპის დამოუკიდებელ პოლიტიკურ აქტორად ჩამოყალიბება პირველ რიგში გულისხმობდა მისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებას, რომლის მეშვეობითაც იგი ევროპის კონტინენტზე მიმდინარე მოვლენებში ჩაერეოდა და აშშ-ის გავლენის სფეროებსაც შეზღუდავდა. 50-იანი წლებიდან მოყოლებული საფრანგეთის

მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, როგორიც იყო პლევენის გეგმა (1950 წ), დასავლეთ ევროპული კავშირი (1954წ), ფუშეს კომიტეტი (1961წ) , ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის ფორუმი (1970-იანები) და სხვა ნაბიჯები ევროპის პოლიტიკური და უსაფრთხოების სფეროში ინტეგრაციას ისახავდა მიზნად, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა 1990-იან წლებამდე სხვადასხვა მიზეზების გამო ხელშესახებ და რეალურ შედეგს ვერ მიაღწია (Bindi and Angelescu, 2012, გვ. 11-12).

ცივი ომის დასრულების შემდეგ კი საფრანგეთმა ევროპის თავდაცვითი სისტემისა და საერთო იდენტობის ფორმირებისთვის გარკვეული სტრატეგია შეიმუშავა. ერთის მხრივ იგი აქტიურად ამყარებდა ბილატერალურ კავშირებს ცალკე წევრ ქვეყნებთან - გერმანიასთან და დიდ ბიტანეთთან, მეორეს მხრივ კი ლობირებდა ამ კუთხით მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს და სამხედრო ტიპის ოპერაციებს. სწორედ ამ მიმართულებების შესახებაა საუბარი ამ ქვეთავში.

სიცოცხლისუნარიანი ევროპული თავდაცვის იდენტობის ჩამოყალიბება ფართოდ უკავშირდება ფრანგულ-გერმანულ ინიციატივას. 1985 წელს დასავლეთ ევროპული კავშირის (WEU) თავიდან გაატიურება გახდა საფრანგეთის მიერ არჩეული მექანიზმი ამ პროცესის დასაძრავად, რის გარშემოც შემდეგ ვითარდებოდა ფრანგულ-გერმანული თანამშრომლობა . მეცნიერების აზრით, ეს პროგრესი იყო ნელი,თუმცა მტკიცე, განსაკუთრებით 1987 წლიდან, როდესაც ჰააგის პლატფორმით გაკეთდა მტკიცე განცხადებები, რომ შიდა თანამშრომლობის გზით ევროპა გახდებოდა უფრო საიმედო პარტნიორი სხვა აქტორებისთვისაც და საკუთარ როლს ითამაშებდა არამარტო ევროპის უსაფრთხოების სფეროში. 1991 წელს მიტერანისა და კოლის თანამშრომლობამ განაახლა ევროპული თავდაცვის სისტემის მშენებლობის იდეა და იქცა კიდეც მაასტრიხტის ხელშეკრულების შთაგონებად (Chafer, 2013, გვ.81-82).

1992 წელს ევროპის დამოუკიდებელ აქტორად ჩამოყალიბების გზაზე წარმატებული ახალი ნაბიჯი გადაიდგა მაასტრიხტის ხელშეკრულების გაფორმებით. ამ ფაქტს მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ბევრი სხვა ცვლილების გვერდით მან წარმოადგინა ევროკავშირი, როგორც არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური დატვირთვის მქონე აქტორი, რომელსაც უკვე გააჩნდა ერთგვარი "ჰიბრიდული" ბუნება

და საფრანგეთის მიზნად ქცეული საკუთარი CFSP-ის განვითარების პერსპექტივა (Christiansen and Duke, 2016 ,გვ. 4) .

როგორც უკვე აღინიშნა, ცივი ომის დასრულებამდეც საფრანგეთი ევროპისათვის თავდაცვის პოტენციალის გაძლიერებას ხედავდა უკვე არსებული დასავლეთ ევროპული კავშირის ევროკავშირთან შეერთებით. ამ შემთხვევაში ახლადშექმნილი ევროპული ძალები იმოქმედებდნენ ნატოს მანდატის მიღმა. შესაბამისად 1990-91 წლებში საფრანგეთმა წინ წამოწია ეს ინიციატივაც, თუმცა ლონდონისა და ვაშინგტონისთვის ეს პრობლემური საკითხი აღმოჩნდა, რადგან იქმნებოდა გერმანიის ჯარების ნატოსაგან გამიჯვნის ალბათობა. საერთოდ აშშ და დიდი ბიტანეთი ეწინააღმდეგებოდნენ ნებისმიერ გეგმას, რაც ასუსტებდა ნატოს, ან აშშ-ის ლიდერობას ალიანსში. ოფიციალური თანხმობის მიუხედავად საფრანგეთმა აშშ-ის წინააღმდეგობა ევროპის დამოუკიდებელი ჯარის-EUROCORPS-ის შექმნისა და დასავლეთ ევროპული კავშირის ევროკავშირში ინკორპორირების შესახებ არაგულწრფელ ქმედებად მიიღო თუმცა მალევე ბუშმა პირადად მიწერა საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა მიტერანს და გააფრთხილა, რომ მისი გაზრახვები ნატოს გაერთიანებულ სარდლობას ასუსტებდა და ახალისებდა ამერიკის იზოლაციონიზმს. შესაბამისად, აშშ-მა ახალი გეგმა შესთავაზა საფრანგეთს: WEU დაეკავშირებინათ ნატოსთან და შეექმნათ სწრაფი რეაგირების ძალები. პარიზმა უარყო პირველი წინადადება და იძულებით უხალისოდ დაეთანხმა მეორეს. საფრანგეთის მხრიდან დათმობა განაპირობა იმის გაცნობიერებამაც, რომ მისი გეგმები არც ისე სასურველი იყო ევროპელებისთვის, რადგან ევროპაში იიიმ დროს გაზრდის ნაცვლად აქტიურად ამცირებდნენ სამხედრო ხარჯებს (Kuisel , 2012, გვ. 226-230) .

მიუხედავად ამ დათმობისა, 1992 წელს საფრანგეთის ინიციატივით საფრანგეთმა და გერმანიამ 1992 წლის 22 მაისს ხელი მოაწერეს ევროპის გაერთიანებული არმიის (EUROCORPS) ფორმირების ხელშეკრულებას.მათი თქმით, ეს ქმედება ევროკავშირს საკუთარ სამხედრო შესაძლებლობებს გაუზრდიდა, რადგან ხშირად აშშ ევროპის საზღვრების ფართოდ გაზიარებას ითხოვდა სამხედრო დახმარების სანაცვლოდ. ეს ხელშეკრულება ძალიან მალე მომზადდა და განხორციელდა, რამაც კვლავ ნატოს დასუსტების შესახებ გააჩინა ეჭვები, თუმცა ამჯერად საფრანგეთმა და გერმანიამ

ყურადღება არ მიაქციეს ლონდონიდან და ვაშინგტონიდან მომდინარე გზავნილებს. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთმა ამ ნაბიჯით რთულ მდგომარეობაში ჩააყენა გერმანიაც, რადგან მას კონსტიტუცია და ვაშინგტონის წინაშე ალიანსის ფარგლებში არსებული პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად უზღუდავდა თავისუფალი მოქმედების არეალს.

ევროპული თავდაცვის დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი არც ეს ნაბიჯი აღმოჩნდა წარმატებული, რადგან 1992 წლის 30 ნოემბერს საფრანგეთმა და გერმანიამ განაცხადეს, რომ ევროკორპი დაექვემდებარებოდა ნატოს სამხედრო სტრუქტურას კრიზისებისა და ალიანსზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში, ასევე სამშვიდობო მისიებში . 1993 წლის 21 იანვარს კი ნატოს და ევროკორპს შორის დაიდო ოფიციალური თანამშრომლობის ხელშეკრულება , რამაც დაასრულა შიშები ნატოს შესუსტების შესახებ (Hunter, 2002, გვ.17). ამ ხელშეკრულების თანახმად ევროკორპის გავლით საფრანგეთის სამხედრო ძალებიც დაექვემდებარებოდნენ ნატოს "ოპერატიულ სარდლობას" კრიზისების შემთხვევაში,ამიტომ ვაშინგტონი იყო "სასიამოვნოდ გაოცებული" იმით, რომ პარიზი დათანხმდა ამ ნაბიჯს (Gordon, 1997, გვ.56).

თუმცა აღსანიშნავია, რომ ევროკორპის დაქვემდებარების ხელშეკრულებაში ჩაიდო გარკვეული პირობები: ჯარების გამოყენების წინასწარი ნებართვა უნდა გაეცათ გერმანიასა და საფრანგეთს, სამხედრო ძალებს უნდა ემოქმედათ წინასწარ განსაზღვრული სახელით "როგორც ევროპული ერთობა,მთლიანობა" და მათი დაყოფა, გაუქმება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ გერმანია-საფრანგეთის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე (Hürsoy, 2002 , გვ.182).

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროკორპი ნატოს სარდლობას მშვიდობიანობის პერიოდში არ ექვემდებარებოდა, ნატოს მაინც ჰქონდა უფლება რომ ჩარეულიყო სამშვიდობო მისიების წარმოებაში, რათა ამით შენარჩუნებულიყო ნატოსთან და მის დოქტრინასთან ევროკორპის მუდმივი თავსებადობა. ეს კი ისევ და ისევ საფრანგეთის მისწრაფებებს ზღუდავდა. ამავდროულად, თეორიულად ევროკორპის ფორმირება აღიქმებოდა როგორც საფრანგეთის მხრიდან ნატოსგან დისტანცირება ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტობის (ESDI) განმტკიცების სასარგებლოდ, თუმცა საბოლოოდ საფრანგეთი ამ ნაბიჯით უფრო

დაუახლოვდა ალიანსს, მისცა რა უფლება საკუთარი ჯარების ევროკორპის კონტექსტში გამოყენებისა. მეცნიერები ამ დათმობებს გარკვეულწილად გერმანიის ზეწოლას მიაწერენ, რომელსაც სურდა ნატოს და აშშ-ის წინაშე ევროკორპის მნიშვნელობის და სარგებლობის წარმოჩინება (Kay ,1998, გვ.128).

1992 წელს მაასტრიხტის მიერ ვერ დაფარული საკითხების შევსებას ეხებოდა 1996 წლის ამსტერდამის ხელშეკრულება, რომელიც მოწოდებული იყო გაეძლიერებინა ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის აქტორი და განევითარებინა მისი საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და უკვე ხელშეკრულებაში მოცემული საკითხები რეალური რესურსებითა და ქმედებებით გაემყარებინა. ეს საკითხი განსაკუთრებით აუცილებელი იყო იუგოსლავიაში მიმდინარე კრიზისების ფონზე, სადაც კარგად გამოჩნდა საფრანგეთისთვის სასურველი ევროპული ერთიანობის ნაკლებობა. ამ უარყოფითი გამოცდილების დასაძლევად შეიქმნა "პოლიტიკის დაგეგმარების და ადრეული გაფრთხილების დანაყოფი", რათა ევროკავშირს პრობლემური საკითხების შესწავლითა და ინფორმაციის მოპოვების გზით სწრაფად და ეფექტურად მოეხდინა რეაგირება საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენებზე, პრობლემებსა და კრიზისებზე. ამ ხელშეკრულებით პეტერსბერგის ამოცანები მიეკუთვნა CFSP –ის კომპეტენციას. ე.ი. ევროკავშირმა როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა აქტორმა იკისრა ისეთი კონფლიქტებზე რეაგირება, რომლებიც მოითხოვდა სამშვიდობო , სამაშველო და ჰუმანიტარულ ოპერაციებს. ამ სფეროს გაძლიერების მიზნით შეიქმნა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობაც (კაპანაძე, 2006).

გერმანიის გარდა საფრანგეთი კარგად ურთიერთობდა დიდ ბრიტანეთთანაც ევროპის თავდაცვითი პოტენციალის გასაზრდელად როგორც ნატოს შიგნით, ასევე მის მიღმა, ოღონდ დიდი ბრიტანეთის მხრიდან იმ პირობის გაცხადებით, რომ საფრანგეთთან თანამშრომლობა არ მოხდებოდა ნატოს და აშშ-ს დასუსტების ხარჯზე (Krotz, 2015, გვ.221). ამ თანამშრომლობის შედეგი იყო 1998 წლის სანტ-მალოს დეკლარაცია, რომელიც საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმოადგენლებს შორის წინა წლებში გამართული ბილატერალური შეხვედრების ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენდა. დეკლარაცია ასკვნიდა, რომ დასავლეთ ევროპული კავშირი (WEU) ინკორპორირებულ

იქნებოდა ევროკავშირში. ევროკავშირს ასევე უნდა ჰქონოდა ავტონომიური მოქმედების შესაძლებლობა სხავადასხვა მოვლენებთან, მათ შორის იმ პერიოდში მიმდინარე კრიზისებთან საპასუხოდ და ამისთვის მას ესაჭიროებოდა საკუთარი შეიარაღებული ძალები, რაც ნატოს საქმიანობის ფარგლებს სცდებოდა და ერთგვარ გაერთიანებულ მოწოდებას წარმოადგენდა, იმისთვის, რასაც მოგვიანებით ESDP ეწოდა (Sutton, 2007,გვ. 307-308). ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რადგან ევროკავშირს პირველად ენიჭებოდა სამხედრო აქტორის როლი. ხოლო საფრანგეთისთვის ბალკანეთის კრიზისების მართვაში დამოუკიდებლობა პირველი ნაბიჯი იქნებოდა სრული თავდაცვითი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (Irondelle and Merand, 2011, გვ. 32) .

1999 წელს კოსოვოს ომის მიმდინარეობამ ცხადი გახადა ,რომ ევროკავშირს მაინც არ ჰქონდა კრიზისებზე ადეკვატური რეაგირების საშუალება. 1999 წელს ამ პრობლემის მოსაგვარებლად გამართულ ჰელსინკის სამიტზე დიდ ბრიტანეთთან ერთად დაიგეგმა ევროპული სწრაფი რეაგირების ძალების (European Rapid Reaction Forces) ჩამოყალიბება , რაც გულისხმობდა 2003 წლისთვის 60 000 -იანი ძლიერი ევროპული ჯარის ფორმირებას, თუმცა 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა და 2003 წლის ერაყის ომმა დიდი გავლენა მოადინა ამ გეგმის განხორციელებაზე. ამ მოვლენების კვალდაკვალ შექმნილმა დაძაბულობამ და ე.წ."ტრანსატლანტიკურმა განქორწინებამ" საფრანგეთსა და აშშ-ს შორის თავის მხრივ მთელი რიგ ახალ იდეებს დაუდო საფუძველი, რომლებიც ემსახურებოდა ევროკავშირის სამხედრო პოტენციალის განვითარებასა და გაძლიერებას (Lakomy, 2011, გვ. 135-136).

საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ევროპული თავდაცვისა და შეიარაღების სფეროში პოტენციალის გაზრდის განვითარების მიზნით ბილატერალური სამიტების ლოგიკური წერტილი იყო 2003 წელს ევროპის თავდაცვის სააგენტოს (EDA) შექმნაც, რომელიც მიმართული იყო ტექნოლოგიური კვლევებისკენ. საინტერესოა წინა უშედეგო მცდელობების მიუხედავად, რატომ მოინდომეს ამ ქვეყნებმა სააგენტოს ფორმირება. მეცნიერების აზრით, საფრანგეთის შემთხვევაში ამის მიზეზი სწორედ აშშ-ის სამხედრო ინდუსტრიის დაბალანსება იყო (Shabu, 2006, გვ.3) თუმცა ევროპული თავდაცვის სააგენტოს შექმნის მიუხედავად, ცოტა პროგრესი იქნა მიღწეული

თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების კუთხით (Irondelle and Mérand, 2011, გვ.33) .

მკვლევარები 21-ე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის ყველაზე მნიშვნელოვან ინიციატივად ევროპული თავდაცვითი პოტენციალის მშნებლობისთვის, მიიჩნევენ ევროპული კონსტიტუციის შეთანხმებას (TCE) ,რომელიც საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის სრულიად ახალ პერსპექტივებს სახავდა. პროექტი აფუძნებდა საგარეო საქმეთა მინისტერიალს (Foreign Affairs Ministerial) საგარეო და უსაფრთხოების სფეროში მინისტრთა საბჭოს მანდატით, ასევე საგარეო საქმეთა ევროპული სამსახურს (Lakomy,2011,გვ.136). რაც შეეხება უშუალოდ CFSP-ში შეტანილ ცვლილებებს:

წევრი სახელმწიფოები თანმხდებოდნენ, რომ შექმნილიყო მულტიეროვნული სამხედრო ძალები, ევროპული თავდაცვის სააგენტო, როგორც ინსტიტუცია, რომელიც თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას უზრუნველყოფდა. აღსანიშნავია, რომ შეთანხმების 41-ე მუხლს შემოჰქონდა "საერთო სოლიდარობის" ცნება თუ ნებისმიერი წევრი სახელმწიფო გახდებოდა სამხედრო აგრესიის სამიზნე. თავის მხრივ საფრანგეთი ცდილობდა თავისთვის უფრო საზრიანი და ფართო ვარიანტების შეთავაზებას, ვიდრე ეს მოხდა ნატოს ვაშინგტონის ხელშეკრულებაში, რომელსაც ხშირად აკრიტიკებდა და მიიჩნევდა, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი არასაკმარისი იყო ნატოს ევროპელი წევრების უსაფრთხოების დასაცავად. ე.ი. ფაქტობრივად ევროპის კონსტიტუციის 41-ე მუხლით ხელშეკრულებას შემოჰქონდა წევრი სახელმწიფოების დახმარების ვალდებულება ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით, რაც კარგად შეესაბამებოდა საფრანგეთის საკუთარ საერთაშორისო ამბიციებს (იქვე).

საბოლოოდ სწორედ ხელშეკრულების დებულებებსა და მის საერთაშორისო მისწრაფებებს შორის არსებული კავშირის გამო უკმაყოფილება წარმოიშვა ხალხსა და მმართველ წრეებში ტრადიციულად ნეიტრალურ სახელმწიფოებშიც კი (ავსტრია, შვედეთი, ფინეთი), ხოლო თავად ინიციატორი საფრანგეთის მოსახლეობაში სუვერენიტეტის ნაწილის დათმობის გამო, ელექტორატის 44,87 %-მა უარყო კონსტიტუციის პროექტის რატიფიცირება (იქვე,137).

2005 წელს ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის ჩავარდნამ, მეცნიერების აზრით, ეკონომიკურ ინტეგრაციასთან შედარებით კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მომავალი განვითარება, რაც თავად ევროკავშირმაც აღიარა (ჯენტლესონი, 2015, გვ. 633).

მეცნიერები ევროპის თავდაცვითი სისტემის ხელისშემშლელ ფაქტორებზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკურ მიზეზებზეც. კერძოდ , უპრიანია აღინიშნოს, რომ 2005 წლიდან ევროპული ქვეყნების შიდა სამხედრო დანახარჯების შემცირება ისედაც დაფიქსირდა ,რასაც თეორიულად უნდა წაეხალისებინა ევროპის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით უფრო ღრმა თანამშრომლობა, თუმცა ეს ასე არ მოხდა, რადგან ქვეყნის შიგნით არჩეული პარტიებისა და ოფიციალური პირებისათვის განსაკუთრებით რთული იყო ელექტორატი დაერწმუნებინათ იმაში, რომ შიდა პრობლემებისა და ეროვნულ თავდაცვაზე ბიუჯეტის შემცირების ფონზე ევროკავშირის თავდაცვითი პოტენციალის გაზრდაში უფრო დიდი შენატანი იყო საჭირო (Larivé, 2014, გვ.87-88). ასე რომ ევროკრიზისის დროს წევრი სახელმწიფოებმა შეინარჩუნეს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისადმი კავშირი, თუმცა მათი ფინანსური შენატანი ამ მიმართულებით საგრძნობლად შემცირდა (იქვე, გვ.91) და კრიზისის საწყის ფაზაში, ევროკავშირის სამხედრო დანახარჯები შეიკვეცა 4 %- ით (Magone, Laffan and Schweiger, 2016, გვ.273).

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი სწორედაც რომ საფრანგეთში დაიწყო 2007 წლის აგვისტოში (The Wall Street Journal). საფრანგეთმა კი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის თანამდებობა 2008 წლის 1 ივლისს მიიღო. სარკოზი თავისი პრო-ამერიკული პოლიტიკის მიუხედავად მიზნად ისახავდა , საფრანგეთის თავმჯდომარეობა გამოეყენებინა ამბიციური ევროპული თადაცვის სისტემისა და სსუპისთვის ახალი სიცოცხლის მისანიჭებლად. თუმცა იმ პერიოდში საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენებმა, როგორიც იყო 2009 წელს ირლანდიის მიერ ლისაბონის ხელშეკრულების უარყოფა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მზარდი ეკონომიკური კრიზისი, აიძულა სარკოზი, რომ შეეცვალა თავისი პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი კვლავ აგრძელებდა

ევროპის თავდაცვითი შესაძლებლობების რიტორიკულ ხელშეწყობას, მისმა ამბიციებმა საგრძნობლად უკან დაიხია (Ghez and Larrabee, 2009, გვ.81) .

ამრიგად, ამ ქვეთავში განხილულ იქნა საფრანგეთის მიერ აშშ-ისადმი „რბილი ბალანსირების“ გამოყენების ერთ-ერთი კონკრეტული შემთხვევა- ევროპის თავდაცვითი სისტემის მშენებლობის მცდელობები.ზემოთ მიმოხილული ისტორიული ნაბიჯები ამ გზაზე საბოლოოდ უშედეგო აღმოჩნდა, რადგან მას ხელს უშლიდა ერთის მხრივ აშშ, რომელიც ევროპის სამხედრო ერთობას ნატოს ალტერნატივად და თავის გავლენის შესუსტებად აღიქვამდა, ხოლო მეორეს მხრივ, ევროპელ მოკავშირეებს შორის ამ სისტემის ჩამოყალიბებისათვის საჭირო სურვილისა და მოტივაციის არ ქონა. ამ ყველაფერს კი საბოლოოდ ეკონომიკური სირთულეებიც დაემატა, რამაც მეცნიერების აზრით , საფრანგეთისთვის სრული სიცხადით წარმოაჩინა, რომ ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება რთული იქნებოდა ნატოსა და აშშ-ს მხარდაჭერის გარეშე (Ghez and Larrabee, 2009, გვ.79-80).

3.2. აფრიკის მნიშვნელობა და გავლენის შენარჩუნების უშედეგობა

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში აფრიკის როლს რომ ისტორიულ პერსპექტივაში გადავხედოთ, კოლონიური კავშირების დამყარება თარიღდება მე -16 საუკუნით. აქედან მოყოლებული აფრიკის მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო საფრანგეთმა თანდათანობით გაავრცელა თავისი გავლენა კონტინენტის ჩრდილოეთ, დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილზე (Stratfor Worldview). 1958-1961 წლების დეკოლონიზაციის პროცესამდე აფრიკის 14 სახელმწიფო იყო საფრანგეთის ზეგავლენისა და მმართველობის სფეროში, მათ შორისაა: მავრიტანია, სენეგალი, გვინეა, კოტ-დივუარი, მალი, ბურკინა- ფასო, ბენინი და ნიგერი, ტოგო, ჩადი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, გაბონი, კონგოს რესპუბლიკა, კამერუნი (Lynne , 2004, გვ.1).

მიუხედავად იმისა , რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთმა დაკარგა თავის კოლონიებზე კონტროლი და ამ ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, საფრანგეთმა თავისი პოლიტიკის მეშვეობით კვლავ ძლიერი ეკონომიკური და სამხედრო კავშირები

შეინარჩუნა მათთან. სავაჭრო და სტრატეგიული საკითხების მიღმა ფრანგული ენის ,ჩვეულებების აფრიკაში გავრცელებით საფრანგეთი თავის თავს ცივილიზაციის შემტან ძალად აღიქვამდა , რაც მის იმპერიულ ამბიციებს კარგად შეესაბამებოდა (Stratfor Worldview). სწორედ ამ კულტურული და სხვა სახის ზეგავლენის გამო საფრანგეთი თავს უფლებას აძლევდა, რომ დეკოლონიზაციის შემდეგაც კი აქტიურად ჩარეულიყო აფრიკის "ფრანკოფონიული" ნაწილის ქვეყნების დღის წესრიგის ფორმირებაში. მაგალითად 1962-1995 წლებში მან ამ ქვეყნებში პოლიტიკური გარემოს შეცვლისათვის სამხედრო ინტერვენცია 19 ჯერ მოახდინა (Hansen, 2008).

სწორედ ამიტომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში აფრიკული კოლონიები ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან და ცენტრალური საკითხად ითვლებოდა, რის დასტურადაც აფრიკისადმი საფრანგეთის პოლიტიკას მეცნიერები ახასიათებდნენ შემდეგი სიტყვებით: ექსკლუზიურობა, სტაბილურობა და განგრძობადობა (Martin, 2000, გვ.5) , თუმცა მეცნიერთა და მკვლევართა ნაწილის აზრით, ცივი ომის დასრულების შემდეგ საფრანგეთის მხრიდან გადადგმულმა მცდარმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა (მაგალითად, 1994 წელს დარფურის მოვლენები) ,ბიუჯეტის პრობლემებმა, სტრატეგიული გარემოს ცვლილებამ (ცივი ომის შემდეგ საფრანგეთის ყოფილი კოლონიებს სათავეში აღარ იყვნენ ძველი ,საფრანგეთის მხარდამჭერი ლიდერები) განაპირობა აფრიკაში საფრანგეთის გავლენის და ბილატერული კავშირების შესუსტება და საფრანგეთი იძულებული გახდა თავისი გავლენის შესანარჩუნებლად მულტილატერალური ფორმატების მეშვეობით ემოქმედა (Hansen, 2007) .

საფრანგეთის აფრიკასთან კავშირების შესუსტება და ამ საკითხის მნიშვნელობა ცივ ომში აშშ-ის გამარჯვებამ განსაკუთრებით ცხადი გახადა. თუ ცივი ომის დასრულებამდე საფრანგეთს რეგიონში არ ჰყავდა რეალური კონკურენტი ძალა, რომელიც დასუსტების შემთხვევაშიცკი მას აფრიკაში ლიდერობისთვის შეეჯიბრებოდა, 1990 იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც ამის პრეტენზია აშშ-მა გამოთქვა .ამის შემდეგ საფრანგეთმა გაზრდილი ძალისხმევით დაიწყო აშშ-ის ძალაუფლების ხელისშემშლელი პოლიტიკის გატარება, რადგან ცხადი იყო, რომ მისი ინტერესები მალე გადაიკვეთებოდა აშშ-ის მზარდ ზეგავლენასთან. საფრანგეთისთვის

გააქტიურების პირველი მამოტივირებელი ფაქტორი პირველ რიგში იყო ეკონომიკური ფაქტორი.მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი გადაწყვეტილების მიმღები ოფიციალური პირები ყოველთვის ცდილობდნენ ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობის მინიმიზაცია მოეხდინათ და მიუთითებდნენ,რომ "შავი აფრიკა" საფრანგეთისთვის ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვან წყაროს სულაც არ წარმოადგენდა , რეალურად აფრიკა ყოველთვის შეუცვლელი იყო საფრანგეთისთვის ბუნებრივი რესურსების, მანუფაქტურული საქონლის ბაზრის და ტექნოლოგიის, კაპიტალის ინვესტირების კუთხით (Martin ,1985, გვ. 196) და ცივი ომის დასასრულს ევროპა და მათ შორის საფრანგეთიც მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული აფრიკულ სასარგებლო წიაღისეულზე (ურანი და ნავთობი), რაც აუცილებელი იყო ისეთი მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიების ფუნქციონირებისთვის,როგორიც იყო აერონავტიკა,შეიარაღება და ბირთვული ენერგია (იქვე, გვ. 20).

მეორეც, საფრანგეთი ასევე დაინტერესებული იყო აფრიკის კონტინენტზე მოქმედებით საკუთარი როლის, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე აქტორის დაცვით და მესამე-მისთვის პრიორიტეტი იყო აფრიკაში სამხედრო წარმომადგენლობის შენარჩუნებით თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ხელშეწყობა და ეროვნებით ფრანგი მოსახლეობის დიდი წილის დაცვა (Stratfor Worldview).

ცივი ომის დასრულებამ და მისმა თანმდევმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა და ცვლილებებმა კი საფრანგეთი ზოგადად საგარეო პოლიტიკის მიმართულებების გადახედვის და რეფორმების აუცილებლობის წინაშე დააყენა. ცვლილებები შეეხო ქვეყნის აფრიკულ ორიენტირსაც. ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ამ ახალი რეალობისა აღმოჩნდა 1994 წლის რუანდის გენოციდი, რომელიც მკვლევარების მხრიდან თავის გავლენის სფეროში საფრანგეთის უმოქმედობისა და მისი სასტიკი შედეგების გამო შეფასდა როგორც საფრანგეთისთვის "პოლიტიკური კატასტროფის" ტოლფასი მოვლენა (Adebajo and Whiteman ,2011, გვ .330). ცვლილებები ასევე ერთის მხრივ განაპირობა გადაწყვეტილების მიმღები პირების ყურადღების გადატანამ ისეთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებზე, როგორიც იმ დროისთვის იყო ევროპული თავდაცვის სისტემის მშენებლობა, ნატოს გაფართოება, ბალკანეთის კონფლიქტები მეორეს მხრივ, კი საფრანგეთის მოსახლეობის ინტერესმა გამოიწვია აფრიკის ქვეყნებში

სამხედრო ჩარევებისა და ფინანსური ჩართულობის პოლიტიკის გადახედვა. ამ ყველაფრის შედეგად სუბ- საჰარული აფრიკა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში პერიფერიულ ნაწილად იქცა და მასთან კავშირისა და ჩართულობის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა. ამის დასტურად, 1997 წელს საფრანგეთში მიღებულ იქნა კანონი, რომელიც გულისხმობდა აფრიკის მიმართ სამხედრო ვალდებულების შემცირებას. აფრიკის საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა უფრო გაამყარა ქვეყნის სათავეში სოციალისტების მოსვლამ, რომლებსაც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაზე ახალი იდეები ჰქონდათ (Berman and Sams, 2000, გვ. 293-296).

აფრიკის მიმართ ახალი იდეების რეალობაში განხორციელება დაიწყო კონტინენტზე საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლობის შემცირებით, როდესაც 1997 წელს საფრანგეთმა დააანონსა ე.წ. “Pre positioned troops" რაოდენობის 30%- ით შემცირება , რაც 8100 სამხედროდან 6000 -იან მაჩვენებლამდე ჩამოსვლას ნიშნავდა. განახლებული პოლიტიკის ფარგლებში დაიხურა სამხედრო ბაზა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და 1998 წელს საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლობამ სრულიად დატოვა ქვეყანა. საბოლოოდ, 1999 წელს, პოლიტიკის ოფიციალური ცვლილებიდან ორი წლის შემდეგ, საფრანგეთს აფრიკის კონტინენტზე დარჩენილ ბაზებზე 6, 300 სამხედრო ჰყავდა, რაც პერსპექტივაში 2002 წლისთვის 5,600 ადამიანამდე კიდევ უნდა შემცირებულიყო. შეზღუდვები შეეხო აფრიკასთან სამხედრო თანამშრომლობის ბიუჯეტსაც (კრედიტები, ლოჯისტიკური ხარჯები, აღჭურვილობის ხარჯები და ა.შ.) და 1997 წლის 150 მილიონი ფრანკის მაჩვენებელი 1999 წელს უკვე 142 -იან ნიშნულზე დავიდა. საფრანგეთმა ასევე უკან გაიწვია თავისი სამხედრო მრჩეველები და 1996-დან 1997 წლამდე მათი რიცხვი 697 -დან 625- მდე შეამცირა (Berman and Sams, 2000 ,გვ. 293-296).

აფრიკისადმი სამხედრო პოლიტიკის ცვლილების დინამიკის დასანახად უნდა ითქვას, რომ თუ 1980- იან წლებში 13 000 ფრანგი სამხედრო იყო წამოდგენილი და ეს ზრდის ტენდენცია 1990-იანებშიც გაგარძელდა, უკვე 1999 წელს მათი რიცხვი დაახლოებით 6000-მდე შემცირდა (იქვე).

საფრანგეთისთვის ცხადი გახდა, რომ მას ასეთი შეზღუდვების ფონზე აფრიკაზე გავლენის შესანარჩუნებლად უფრო და უფრო უჭირდა მარტო მოქმედება, სწორედ

ამიტომ გააქტიურა ბილატერალური და მულტილატერალური კავშირები გავლენის სფეროს შენარჩუნებისათივს. საფრანგეთისთვის მთავარი ინსტრუმენტი ამ კუთხით ევროკავშირი და იმ დროს განსაკუთრებით პრიორიტეტული საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა იქცა. მკვლევარების აზრით, რადგან ზოგადად, საფრანგეთის აშშ-სთან ნებისმიერი სახის ალიანსი კი არ ზრდიდა ,არამედ ამცირებდა საფრანგეთის შედარებით ძალას საერთაშორისო სისტემაში, ამიტომ ცდილობდა იგი აფრიკული პოლიტიკის ევროპული განზომილებით მართვას აშშ-ის მზარდი გავლენის დასაბალანსებლად.ეს იმის დემონსტრირებაც იყო, რომ აშშ-ის უმცროს პარტნიორად ყოფნას მას ევროკავშირის მეშვეობით მულტიპოლარულ სამყაროში ლიდერობას ერჩივნა (Chafer, 2013, გვ. 133-134) .

აღსანიშნავია ,რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ცხადი ხდებოდა, რომ აშშ-ის ჰეგემონიას ევროკავშირი ვერ აღუდგებოდა წინ, ცალკე საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთიც შეთანხმდნენ, რომ გვერდით გადაედოთ წარსული მეტოქეობა და ერთად ემუშავათ აფრიკულ საკითხებზე, რათა იქ მაინც სათანადოდ დაეცვათ ევროპული იმპერიული პრივილეგიები. შესაბამისად, 1998 წელს სანტ- მალოს დეკლარაციით მხარეები ევროპის საკითხის გარდა იმაზეც შეთანხმდნენ, რომ გაეძლიერებინათ თანამშრომლობა აფრიკაში. სწორედ ამიტომ, როდესაც აშშ-მა გადაწყვიტა ყოფილიყო უფრო მეტად შეჯიბრისუნარიანი ევროკავშირის ქვეყნებთან და დააპირა ამერიკის აფრიკული სარდლობის წინამორბედის შექმნა, საფრანგეთი ამას აქტიურად შეეწინააღმდეგა (Campbell, 2013, გვ.61-62) .

CFSP კი საფრანგეთს იმის საშუალებას აძლევდა, რომ კვლავაც დარჩენილიყო აფრიკულ საკითხებში ჩართული პატერნალიზმსა და კოლონიალიზმზე ბრალდებების მიუხედავად . ასევე კვლავ მონაწილეობა მიეღო "დიდი ტბების" რეგიონში მიმდინარე მოვლენებში,სადაც 1994 წელს რუანდის შემდეგ აღარ იყო წამოდგენილი. აფრიკული პოლიტიკის ევროპიზაცია ასევე გამოსადეგარი იყო საკუთარი სამხედრო და თავდაცვის ხარჯების გადანაწილებისა და გაზიარებისათვის. შესაბამისად, ევროკავშირის ფარგლებში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციები წარმოადგენდა კონტინენტზე აშშ-ის მზარდი ზეგავლენის დასაბალანსებლად ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ გზას. ფრანგული პერსპექტივიდან ევროკავშირის უფრო მეტი ჩართულობა

ნიშნავდა აფრიკაში ნატოს ჩართულობის თავიდან არიდებას, რისი პერსპექტივაც უკვე 1994 წლის დარფურის მოვლენების შემდეგ იყო აშკარა. 2003 წელს კონგოში განხორციელებულმა ოპერაციამ "არტემისი" დაამტკიცა, რომ ევროკავშირს შეეძლო სამხედრო ოპერაციის ავტონომიურად დაგეგმვა, ნატოს ინსტრუმენტებისა და საშუალებების გარეშე. ერთი სიტყვით, საფრანგეთისთვის აფრიკა იქცა ადგილად ,სადაც ევროკავშირის გააქტიურებით თავიდან აირიდებდა "ბერლინ პლიუსის"[3] ხელშეკრულების მკაცრ იმპლემენტაციას და აშშ-ის გავლენის გავრცელებას. საფრანგეთის მხრიდან ფართო ჩართულობა ჩადის მისიაშიც აჩვენებდა ამ გავლენის შემსუბუქების მცდელობას. საფრანგეთის უსაფრთხოების ევროპეიზაციის კიდევ ერთი მნიშნელოვანი ელემენტს წარმოადგენდა RECAMP პროგრამის შეტანა ევროპულ ჩარჩოში, რომელიც შემდეგში იწოდა EURORECAMP-ად (Chafer, 2013, გვ.133-134).

აღნიშნული მცდელობების ფონზე, 2007 წლის მონაცემებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით სულ 12 000 ფრანგი ჯარისკაცი მონაწილეობდა სამშვიდობო ოპერაციებში, აქედან კი თითქმის ნახევარი თავმოყრილი იყო აფრიკაში, სადაც საფრანგეთი ფლობდა სამ მთავარ სამხედრო ბაზას. მათგან უდიდესი მდებარეობდა ჯიბუტიში, რომელიც საფრანგეთს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებში მონაწილეობის საშუალებასაც აძლევდა. ბაზები ასევე განლაგებული იყო სენეგალში და გაბონში და მათი ძირითად დანიშნულებას რეგიონული სტაბილურობისათვის ხელშეწყობა წამოდგენდა. მულტილატერალურ ფორმატებში ფრანგები ასევე მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი მადაგასკარზე, ჩადში, ცენტრ,აფრიკის რესპუბლიკაში, კოტ-დივუარში (Hansen, 2007).

აშშ-ის და ნატოს აფრიკული საკითხით დაინტერესება მართლაც შეიმჩნეოდა 1994 წლის რუანდის მოვლენების შემდგომ, თუმცა განსაკუთრებით ნაყოფიერი ამ მხრივ 2000 -იანი წლების დასაწყისი აღმოჩნდა, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა. აშშ-სა და ნატოსთვის აფრიკამ ახალი სტრატეგიული დატვირთვა შეიძინა ტერორიზმთან და ალ -ქაედასთან წინააღმდეგ

[3] ბერლინ პლიუსის შეთანხმება გულისხმობს 2003 წლის დასაწყისში ევროკავშირსა და ნატო-ს შორის მიღწეული შეთანხმებების სრულ პაკეტს, რომელიც საშუალებას აძლევს ევროკავშირს გამოიყენოს ნატოს აქტივები და სამხედრო შესაძლებლობები ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისების მართვის ოპერაციებისთვის

ბრძოლაში. ამ პოლიტიკის გააქტიურების ერთ-ერთი პირველი დამადატურებელი იყო 2002 წელს ჯიბუტიში, ქვეყანაში სადაც საფრანგეთის ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა მდებარეობდა, საფრანგეთის ყოფილ ბაზაზე აშშ-ის სამხედრო ბაზის დაარსება.ბაზა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო (სომალისთან და იემენთან, ახლო აღმოსავლეთთან სიახლოვის გამო) მიმართული იყო "Combined Joint Task Force – Horn of Africa“ პროგრამის სამოქმედოდ (Davis , 2016).

ცხადი გახდა, რომ აშშ-ის დღის წესრიგში ნელ-ნელა დგებოდა აფრიკისადმი ერთიანი პოზიციის და მიდგომის ჩამოყალიბების საკითხი და იქ სამხედრო ყოფნის საფუძველის ჩაყრა. თუ ადრე აფრიკის შესახებ საქმეებს განკარგავდა აშშ-ის სამი სხვადასხვა სარდლობა: აშშ-ის ევროპული სარდლობა (EUCOM) დასავლეთ აფრიკას, ცენტრალური სარდლობა (CENTCOM) აღმოსავლეთ აფრიკას, წყნარი ოკეანის სარდლობა (PACOM) აღმოსავლეთ აფრიკის კუნძულებს, 2004 წელს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება EUCOM-ის ეგიდით დაეფუძნებინათ „Cooperative Security Locations (CSLs) და Forward Operating Sites (FOSs)“, რაც ჯიბუტის ბაზასთან ერთად ერთგვარ წინაპირობას ქმნიდა აშშ-ის აფრიკული სარდლობის ჩამოყალიბებისთვის (Lostumbo and others, 2013, გვ.10).

2002 წელს აშშ-მა ასევე წარმოადგინა "Pan-Sahel Initiative", რომელსა მეცნიერები 21-ე საუკუნეში აფრიკის კონტინენტზე ამერიკის მხრიდან პირველ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პროექტად მოიხსენიებენ. ეს ინიციატივა მიზნად ისახავდა მავრიტანიის, მალის, ნიგერის, ჩადის მთავრობების დახმარებას, რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში საკუთარი საზღვრების უკეთ დასაცავად. 2005 წელს კიდევ ერთ ახალ გეგმას წარმოადგენდა "Sahara Regional Initiative", რომელიც მოგვიანებით ინტეგრირდა სხვა ინიციატივაში სახელწოდებით "Trans-Saharan Counterterrorism Initiative"(TSCTI). აღნიშნული გეგმის ფარგლებში ჩადებულ იქნა 230 მლნ დოლარი 2005-2007 წლებში, ხოლო ფრანკოფონიულმა ქვეყნებმა -მავრიტანიამ, ნიგერმა, მალიმ და ჩადმა ამ ფონდის ფინანასების 74 % მიიღეს (Farhaoui, 2013, გვ.33-34).

აღნიშნული სამხედრო ინიციატივები დაგვირგვინდა 2006 წელს ჯორჯ ბუშის მიერ ინიცირებული ამერიკის შეერთებული შტატების აფრიკის სარდლობის გეგმით

(AFRICOM), რომლის გაცხადებულ მიზანს წარმოადგენდა უწყებათაშორის და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად აფრიკის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, კრიზისებზე რეაგირება, ტრანსნაციონალური საფრთხეების დამარცხება აშშ-ს ეროვნული ინტერესების დაცვისა და რეგიონალური უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით (United States African Command-Official Page), თუმცა მეცნიერები ხშირად კონტინენტზე სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგო და მინერალური რესურსებით აშშ-ის ფარულ მოტივებზეც უსვამდნენ ხაზს (Beswick and Jackson, 2013, გვ. 147) და აცხადებდნენ, რომ "უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის" გარდა აშშ-ს უფრო მეტად გეოსტრატეგიული მნიშვნელობის საკითხები აწუხებდა. სწორედ ამიტომ აფრიკომის ცენტრალური ფოკუსი რესურსებით მდიდარ ნიგერიაზე, ეკვატორულ გვინეაზე, გაბონზე, ანგოლაზე და კონგოს რესპუბლიკაზე მიიმართა (Mentan, 2010 ,გვ.192).

აღნიშნული საკითხი არ დარჩენილა საფრანგეთის ყურადღების მიღმა და მკვლევარების აზრით, აფრიკომის შექმნის წინა და შემდეგ მოვლენებზე საფრანგეთის რეაქცია უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ "ცუდი". პირველ რიგში, ჯიბუტიში აშშ-ის ბაზის დაფუძნება საფრანგეთმა ღალატად აღიქვა თავისი ტრადიციული პარტნიორისა და კონტინენტზე მთავარი სამხედრო დასაყრდენისგან, ხოლო აფრიკომის ინიციატივასთან ერთად ეს ყველაფერი საფრანგეთის მიერ თავისი გავლენის სფეროს შევიწროვების ხარჯზე აშშ-ის ჰეგემონობის გაფართოებად იქნა მიღებული .შესაბამისად გასაკვირი არაა , რომ საფრანგეთს სურდა ხელი შეეშალა ამ ინიციატივის განხორციელებისათვის. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ის, რომ იგი ცდილობდა ფრანკოფონული ქვეყნები დაერწმუნებინა, არ ემასპინძლათ აფრიკომის სათაო ოფისისთვის. საფრანგეთს აფრიკაში აშშ-ის სამხედრო ყოფნის არც ერთი მოტივი არ მოსწონდა, არც როგორც ინსტრუმენტი აშშ-ს უსაფრთხოების პროგრამის განსახორციელებლად, კერძოდ კი ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აფრიკაში და არც მეორე, აფრიკული რესურსების, კონკრეტულად კი ნავთობის ექსპლუატაცია (Chafer, 2013 ,გვ. 133-134).

მეცნიერების აზრით, აშშ-მა აფრიკის კონტინენტზე საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობის ლეგალური ჩარჩოს მშენებლობისთვის აქტიურად გამოიყენა

ეკონომიკური კუთხეც. მაგალითად კონგრესმა 2000 წელს მიიღო "აფრიკული ზრდისა და შესაძლებლობების აქტი", რომელიც გულისხმობდა აფრიკულ საქონელზე საბაჟო შეზღუდვების მოხსნას. მოგვიანებით აშშ- მა დაიწყო ბილატერალური მოლაპარაკებებების წარმოება ანგოლასთან, ნიგერიასთან და სამხრეთ აფრიკასთან "ვაჭრობისა და ინვესტირების ჩარჩო შეთანხმებების" მისაღწევად. ბილატერალური ხელშეკრულებები დაიდო კამერუნთან და სენეგალთან. მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონმა ვერ შეძლო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების შექმნა სუბ-საჰარულ ქვეყნებთან, 2004 წელს ასეთი ხელშეკრულება დადებულ იქნა მაროკოსთან. ამასობაში აშშ- მა ასევე შექმნა ფონდი "Millenium Challenge Corporation", რომლის მეშვეობითაც იგი უზრუნველყოფდა ეკონომიკური დახმარებების ცალკეულ პროექტებს აფრიკის კონტინენტზე. ამ პროგრამებმა და შეთანხმებებმა შეშფოთება გაზარდა პარიზში ,რადგან ესეც აღქმულ იყო მის გავლენის სფეროში შეჭრად (Fouad Farhaoui, 2013, გვ.33-34).

ამის დასტურად, თუ 1989 წლამდე საგარეო დახმარების პროგრამა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ინტრუმენტს წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა აფრიკის ქვეყნების მასზე დამოკიდებულების გაზრდას, ცივი ომის შემდეგ პრიორიტეტად იქცა ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებით არსებული კავშირების შენარჩუნება. საგარეო დახმარების პოლიტიკის ინტენსივობის გაზრდით საფრანგეთი ცდილობდა აფრიკის კონტინენტზე აშშ-ის შესაძლო ამბიციების გავრცელების შეზღუდვას. სწორედ აშშ-ის გავლენის გაზრდის საფრთხემ "აიძულა" საფრანგეთი,რომ საგარეო დახმარების პოლიტიკა არამარტო უფრო ინტენსიური გამხდარიყო, არამედ მოეცვა ახალი ანგლოფონური ქვეყნებიც, მაგ: სამხრეთ აფრიკა, ნიგერია და კენია. ფინანსური დახმარების პირდაპირი (ბილატერალური) ტიპის გარდა საფრანგეთმა გაზარდა მულტილატერალური ფორმატების (ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი) დატვირთვაც საერთაშორისო პრესტიჟის გასაზრდელად (Sıradağ, 2014, გვ.113-114).

ამის მიუხედავად თუ 2000 წლამდე საფრანგეთის საგარეო დახმარება აფრიკის ქვეყნებისადმი აღემატებოდა ყველა სხვა ქვეყნის (გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი) მიერ გაცემულ დახმარებას, 2002 წლიდან ამერიკული დახმარება გაუთანაბრდა და გაუსწრო ფრანგულს და 2007 წელს დაახლოებით 6,5 მლრდ. დოლარი შეადგინა, ხოლო

ფრანგულმა მხოლოდ 4,2 მლრდ (Organization for Economic Co-operation and Development — **OECD**) .

აფრიკის სტრატეგიული მნიშვნელობა უფრო გამოიკვეთა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, როდესაც აშშ-ის დღის წესრიგში განსაკუთრებით დადგა ახლო აღმოსავლეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირება. ამის კვალდაკვალ 2001 წელს აშშ- ის იმპორტმა სპარსეთის ყურიდან შეადგინა 1,008 მლნ.ბარელი,ხოლო აფრიკიდან 526.მლნ. . 2003 წელს კი ახლო აღმოსავლეთიდან იმპორტი გაიზარდა 10%- ით, აფრიკიდან კი 25%-ით (Kalu and Kieh, 2013, გვ.55-56) .

ზრდის ტენდენციები მომდევნო წლებშიც გაგრძელდა და 2005 წელს აშშ- ის მიერ იმპორტირებული ნავთობის 18.6% მოდიოდა აფრიკულ ქვეყნებზე, ხოლო 17,4 % ახლო აღმოსავლეთზე. 2006 წელს კი აფრიკის მაჩვენებელმა 20,1 % შეადგინა,ხოლო ახლო აღმოსავლეთის მაჩვენებელი 15,5 % მდე დაეცა (Schaefer, 2006).

ამრიგად, ამ ქვეთავში მოტანილი ფაქტებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ცივი ომის შემდეგ აფრიკაში საფრანგეთის მცდელობების მიუხედავად, მისი გავლენის შესუსტების პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზარდა აშშ-ის გავლენა, რაც გამოიხატა ერთის მხრივ მთელ რიგ სამხედრო ინიციატივებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებში, ხოლო მეორეს მხრივ ტრადიციული ფრანკოფონული ქვეყნების მხრიდან აშშ-სადმი ლოიალობის გაზრდასა და მისი პოლიტიკის მხარდაჭერაში.

3.3. საერთაშორისო ორგანიზაციებში აშშ-ისადმი წინააღმდეგობრივი პოლიტიკის უშედეგობა

მკვლევარების აზრით, ცივი ომის დასრულებამ და მზარდმა უნიპოლარულობის ტენდენციამ აშშ-ს მისცა საშუალება საერთაშორისო ასპარეზზე თავისუფალი და თითქმის შეუზღუდავი ქმედებისა. აშშ-ის სამხედრო , ეკონომიკური და ტექნოლოგიური ძალის ზრდამ უფრო რეალური გახადა მსოფლიოში მისი დომინაცია

და სხვა ქვეყნებზე კონტროლის ალბათობა. შესაბამისად მსოფლიოში ბიპოლარული ან მულტილატერალური შეჯიბრის გარეშე ბუნდოვანი გახდა თუ ვის შეეძლებოდა აშშ-ის მზარდი გავლენის კონტროლი და მის ქმედებებზე პასუხის გება. მეორეხარისხოვან ქვეყნებს შესაძლოა არ ძალუძდათ აშშ-ის აშკარა საპირწონე ალიანსების ფორმირება, თუმცა მათ შეეძლოთ მისი პოლიტიკის შეზღუდვა და შეწინააღმდეგება საერთაშორისო ინსტიტუტების მეშვეობით (Bourantonis, Ifantis and Tsakonas, 2007, გვ.39). შესაბამისად მეორეხარისხოვანი სახელმწიფოების მხრიდან ხშირ პრაქტიკად იქცა დიპლომატიური კოალიციებისა და ერთობების ფორმირება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციის -გაეროს ფარგლებში (Paul, 2005 ,გვ. 47).

აღნიშნული მიმართულებით საკმაოდ აქტიურობდა საფრანგეთიც, რომელიც არამარტო გაეროში, ასევე ნატოში ცდილობდა აშშ-ის წინააღმდეგობრივი და გვალენის შემზღუდავი პოლიტიკა გაეტარებინა. სწორედ ამ საკითხის გარშემო არსებულ კონკრეტულ შემთხვევებზეა ამ ქვეთავში საუბარი.

3.3.1. აშშ-ის წინააღმდეგობა ნატოში

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის დასაწყისში ისტორიული ფონის ნაწილში განხილულ იქნა საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების ზოგადი ხასიათი, ამ ნაწილში უფრო ფართოდ გაიშლება ის მომენტები, სადაც კარგად ჩანს საფრანგეთის მხრიდან აშშ-ის გეგემების საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკის უშედეგობა.

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების დინამიკა შეიცვალა დადებითი კუთხით სრულფასოვანი წევრობის პერსპექტივის გააქტიურებით, პერიოდულად საფრანგეთი მაინც ცდილობდა რომ ალიანსის შიგნით საკუთარი პირობებით ეთამაშა და აშშ-ის სტრატეგიული გეგმების მართვის ბერკეტი ეგდო ხელთ. ამის დასტურად 1995 წლის დეკემბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა , საკუთარი პირობები წამოაყენა ნატოში სრული რეინტეგრაციისთვის. კონკრეტულად კი ის , რომ ევროპელი(ფრანგი) ოფიცერი გამხდარიყო ნატოს სამხრეთ სარდლობის (AFSOUTH) მეთაური (Keiger, 2001,

გვ.222-223). ეს მოთხოვნა 1997 წლის მადრიდის სამიტზე კიდევ უფრო მტკიცედ დაისვა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ნატოს წევრები, განსაკუთრებით კი აშშ, არ იყო მზად იმისთვის, რაც ფრანგებს ნატოს სტრატეგიულ დაგეგმარებაში "რეალურ" ევროპეიზაციად ესახებოდათ (იქვე ,გვ. 110). საქმე იმაშია, რომ American Sixth Fleet, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ხმელთაშუაზღვისპირეთში, ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურეში სამოქმედოდ, ფაქტობრივად აღმოჩნდებოდა საფრანგეთის კონტროლის ქვეშ, რაც სულაც არ შედიოდა აშშ-ის გეგმებში (Godin and Chafer, 2005, გვ.131).

გარდა სტრატეგიის კუთხით აშშ-ის რბილი ბალანსირებისა, საფრანგეთი ასევე ცდილობდა, რომ სამხედრო კუთხით თავის არასრულყოფილი წევრობით განპირობებული შეზღუდული რესურსების კომპენსირება მოეხდინა ალიანსში პოლიტიკური წონის გამოყენებით და ამით ხელი შეეშალა აშშ-ის სასურველი პოლიტიკის გატარებისთვის. ამ მოტივით იგი მოქმედებდა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ნატოს წევრ და არაწევრ სახელმწიფოებთან ერთად. ამ ვითარების კარგი ილუსტრაციაციაა ნატოს გაფართოების 1999 წლის რაუნდისადმი საფრანგეთის დამოკიდებულება.

საქმე იმაშია, რომ ცივი ომის შემდგომ აშშ დადგა ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წინაშე, რომელშიც საბჭოთა კავშირით დაშლით მიღებულ გამარჯვებას და სისტემაში ლიდერობას განმტკიცება სჭირდებოდა. ამის განხორციელების საუკეთესო გზად კი კლინტონის ადმინისტრაციას ევროპის კონტინენტზე ნატოს ზეგავლენის სფეროს გავრცელება რუსეთის საზღვრამდე და ორგანიზაციის გაფართოება ესახებოდა. ე.ი. ნატოს გაფართოების ინიციატორი თავიდანვე აშშ იყო, ხოლო გაფართოების შემდეგი რაუნდები მისი ლიდერობით ამ პროცესის უკვე ლოგიკურ და ინერციულ ნაბიჯებს წარმოადგენდა (Kurečić, 2008, გვ.30). 1999 წელს ნატოს გაფართოების ინიციატივას აშშ-ის მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად გადაწყვეტილების მიმღები პირები მაინც თვლიდნენ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სფეროში გადადგმულ უმთავრეს ნაბიჯად, რომელიც ქვეყნის კავშირებისა და ინტერესებისთვის არსებითად მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანდა (Mattox and Rachwald, 2001, გვ.15).

საფრანგეთს კი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებისადმი თავიდანვე ზერელე მხარდაჭერა ჰქონდა და ცდილობდა თავისი პოზიციის ცვლილება აშშ-სთან საკუთარი გავლენის გასამყარებლად გამოეყენებინა. მითუმეტეს ნატოს სპეციფიკის გათვალისწინებით, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა ყველა წევრი ქვეყნის ერთსულოვანი და უსიტყვო მხარდაჭერა. საფრანგეთი შენიღბულად უშვებდა გზავნილებს იმის შესახებ, რომ ამ პროცესს შესაძლოა რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყოლოდა და ამით იმასაც ცდილობდა, რომ მოსკოვთან გულისხმიერ ევროპელად გამოსულიყო. არსებობდა ეჭვებიც იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის გავლენას საფრანგეთი სულაც არ უპირისპირდებოდა.რუსეთის ფაქტორის მხედველობაში მიღება საფრანგეთს აწყობდა , რათა დაპირისპირებოდა ამერიკის სურვილებს და განემტკიცებინა ნატოს რეფორმირების შესახებ საფრანგეთის მოთხოვნილების დადებითად განხილვის აუცილებლობა აშშ-ის მხრიდან (ბჟეზინსკი, 2014, გვ.105)

კიდევ ერთი მომენტი, როდესაც აშკარა გახდა საფრანგეთის მხრიდან აშშ-ის პოლიტიკის წინააღმდეგობა და ხელის შეშლა, იყო 2003 წლის აშშ-ის მიერ ინიცირებული ერაყის ომი, რომლის მიმართ საფრანგეთის წინააღმდეგობამ მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა როგორც ნატოს შიგნით, ისე მის მიღმა. ნატოს ფარგლებში ეს აშკარა გახდა 2003 წლის დასაწყისში, როდესაც ალიანსის დღის წესრიგში დადგა საკითხი ერაყის ომის კონტექსტში ფუძემდებლური დოკუმენტის მე-4 მუხლის ამოქმედებისა თურქეთის უსაფრთხოების დასაცავად. [4] 2003 წლის იანვარში კი საფრანგეთმა გერმანიასთან და ბელგიასთან ერთად დაბლოკა თურქეთის დასახმარებლად აშშ-ის მოწოდება . მეცნიერების აზრით, საფრანგეთთან ერთად ეს ქვეყნები გრძნობდნენ, რომ ნატოს ფარგლებში ერაყის ომის მიმართ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი გაეროში სავარაუდო ომისადმი მათ წინააღმდეგობას შეასუსტებდა. ნატოში ამ ქვეყნების წინააღმდეგობით შექმნილი კრიზისი მხოლოდ 16 თებერვალს გადაწყდა, როდესაც ნატოს გენერალურმა მდივანმა ლორდ ჯორჯ რობერტსონმა

[4] ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, ნატოს წევრ ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს ნებისმიერ დროს საკონსულტაციოდ შეკრიბოს მთელი ალიანსი, თუკი მის ტერიტორიულ მთლიანობას,უსაფრთხოებას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას რაიმე დაემუქრება. პრაქტიკაში ამ მუხლის გამოყენება თურქეთის ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე პირველად მოხდა

საკითხი გადაამისამართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოდან ნატოს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტში, სადაც იმ პერიოდში საფრანგეთს არ ჰქონდა გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და სამხედრო დაგეგმარებაზე. რობერტსონმა ეს ქვეყნები თავიანთი წინააღმდეგობრივი პოლიტიკის გამო ალიანსის „განადგურების“ („vandalizing”) მცდელობაში დაადანაშაულა (Lansford,2017,გვ.291).

ამ ქმედებების საპასუხოდ აშშ-მა განაცხადა, რომ ნატოს ჩარჩოს მიღმაც ყველაფერს გააკეთებდა, გააერთიანებდა მოკავშირეებს და თურქეთს თავდაცვისთვის საჭირო აღჭურვილობით მაინც მოამარაგებდა (Finn, 2003).

რთული და გრძელი მოლაპარაკებების შედეგად საბოლოოდ 16 თებერვალს ბელგია და გერმანია დათანხმდნენ თურქეთისთვის დახმარების გაწევას და 19 თებერვალს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტმა ალიანსის სამხედრო ხელისუფლებას ფორმალურად ნება დართო თურქეთის თავდაცვითი შეიარაღებით უზრუნველყოფის თაობაზე (Sloan, 2005, გვ .270).

ერაყის ომის კონტექსტში აშშ-ს პოლიტიკის საწინააღმდეგო და დამაბალანსირებელი პოლიტიკის ერთ-ერთი მაგალითია ისიც, რომ 2003 წელს საფრანგეთი ბელგიასთან,გერმანიასთან და ლუქსემბურგთან ერთად ცდილობდა შეექმნა ევროკავშირის პოლიტიკის დაგეგმარების ახალი დანაყოფი ბრიუსელში (Ghez and Larrabee, 2009, გვ. 79-80)თავად ევროკავშირის წევრების და აშშ-ის მხრიდან ეს ნაბიჯი აღქმულ იქნა, როგორც ერთდროულად ევროკავშირის, ნატოს დასუსტების მცდელობა და ბერლინ პლიუსის შეთანხმების პირობების დარღვევა (Schweiss, Johnson and Adamski , 2013 ,გვ.68).

3.3.2. აშშ-ის წინააღმდეგობა გაეროში

როგორც ზემოთ აღინიშნა, საფრანგეთი ნატოს გარდა აშშ-ის გავლენის გაზრდისა და სასურველი პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა გაეროს ფარგლებშიც,რისი ერთ-ერთი კარგი მაგალითიცაა კვლავაც ერაყის ომის პერიოდი.

ერაყის ომის კონტექსტში აშშ-ის პოლიტიკის წინააღმდეგობისას საფრანგეთი უპირველეს ყოვლისა ხაზს უსვამდა საერთაშორისო სამართლისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების მნიშვნელობას (გაერო,ნატო,ევროკავშირი) მსოფლიოში, სადაც არც

ერთ ძალას არ შეეძლებოდა თავისი სურვილების მიხედვით უნილატერალურად მოქმედება,რაც განსაკუთრებით დამახასიათებელი ბუშის ადმინისტრაციის დროს იყო (Hoffman, 2004). შესაბამისად აშკარა იყო, რომ საფრანგეთს სურდა ამერიკის „ჰიპერძალის“ სტატუსის დასაბალანსებლად მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის წახალისება (Bozo , 2016, გვ.5).

საფრანგეთის პოზიციას ამყარებდა ის ფაქტიც, რომ მკვლევარების ნაწილის აზრით, ერაყის ომი არ ეფუძნებოდა სადამ ჰუსეინის მხრიდან მომავალ რეალურ საფრთხეს, არამედ იგი მიზნად ისახავდა რეგიონში აშშ-ის ძალაუფლების გაფართოებას ნავთობის რესურსების მიღების მიზნით და ზოგადად აშშ-ის გავლენის სფეროს გაზრდას (Davis, 2008, გვ. 51).

ამ ყველაფრიდან გამომდინარე და ფრანგებისათვის ბუნებრივი ანტი ამერიკანიზმის გათვალისწინებით, ლოგიკური იყო, რომ ერაყის ომის დროს ფრანგები ფიქრობდნენ აშშ-ის მედიდურობისა და ძლიერების აქტიური შეზღუდვის საჭიროებაზე სხვა ძალების დახმარებით (Hoffman, 2004).

შესაბამისად გასაკვირი არ იყო ის ,რომ ერაყის ომის კონტექსტში საფრანგეთი, რუსეთი და გერმანია თანამშრომლობდნენ გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ფაგლებში, რათა თავიდან აეცილებინათ 2002-2003 წლებში აშშ-ის სასურველი ომის წამოწყება. ამ კავშირის ფორმირებას ხშირად ზოგიერთი ავტორი შეზღუდული უსაფრთხოების თანამშრომლობად მიიჩნევს, რომელიც თავისი ბუნებით პრევენციული ხასიათის იყო (Wirtz and Fortmann, 2004,გვ.14). ეს ქვეყნები იყენებდნენ მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტიტუტს აშშ-ის უნილატერალიზმის შესაზღუდად იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რომ წარსულში გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის მოპოვებით აშშ ხშირად ახდენდა საკუთარი სამხედრო და საგარეო პოლიტიკის ინტერესების მიღწევას. შესაბამისად, 2002 წელს იგი ცდილობდა ასეთი მხარდაჭერის მიღებას ერაყის ომისთვისაც, თუმცა საფრანგეთი რუსეთთან ერთად იმუქრებოდა ომის მხარდამჭერი რეზოლუციისთვის ვეტოს დადებით, რაც პრაქტიკაში პირველი ასეთი ქმედება იქნებოდა (Pape, 2005, გვ.39).

საბოლოოდ მოცემულ ქვეთავში საფრანგეთის მხრიდან აშშ-ის რბილი ბალანსირების მესამე კომპონენეტის -საერთაშორისო ინსტიტუტების ,ამ შემთხვევაში კი გაეროსა და ნატოს მეშვეობით ,შეჯამების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის ყველა ღირებული და მნიშვნელოვანი მცდელობა ამ მიმართულებით უშედეგო აღმოჩნდა, რადგან მან თავიდან ვერ აიცილა აშშ-ის სასურველი ნატოს გაფართოება, ერაყის ომი და ვერც ამ ომისას თურქეთის დახმარება.

თავი 4

საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაცია ნეორეალიზმის ჭრილში

საფრანგეთ-ნატოს შორის ურთიერთობის ისტორიული ფონის,სამხედრო სტრუქტურების დისტანცირებიდან 2009 წელს ოფიციალურ რეინტეგრაციამდე გავლილი გზისა და როგორც ბილატერალურ ასევე მულტილატერალურ ფორმატებში საფრანგეთის მხრიდან აშშ-სადმი მიმართული „რბილი ბალანსირების“ პოლიტიკის უშედეგობის კონკრეტული მაგალითების განხილვის შემდეგ საჭიროა ნაშრომში მოცემული ცვლადების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მართებულობა შემოწმდეს ზემოთ უკვე განხილული სისტემური თეორიის-ნეორეალიზმის მეშვეობით.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს,რომ საერთაშორისო ურთიერთობებში იშვიათი და რთულია , კვლევის განმავლობაში შემოთავაზებული ჰიპოთეზა და ცვლადები ერთი კონკრეტული თეორიის ფარგლებში ზუსტად ჩაჯდეს და სხვა მოვლენებზე განზოგადდეს, თუმცა მეცნიერების აზრით,ეს არცაა საჭირო.რაიმე მოვლენის თეორიულმა მოდელის მიერ ახსნის უნარი უფრო მნიშვნელოვანია,ვიდრე წინასწარმეტყველების. ამავდროულად რეალობა კომპლექსური და რთული მოვლენების ერთობლიობაა, ხოლო თეორია უფრო მარტივი. შესაბამისად თეორიას ამ რთულ მოვლენებს შორის მხოლოდ კავშირების დანახვა და ახსნის გაადვილება ევალება, სხვა შემთხვევაში მასაც რეალობა ეწოდებოდა (Waltz, 1997).

ნაშრომის განმავლობაში განხილული საკითხების სპეციფიკიდან ჩანს, რომ ცივი ომის შემდეგ საფრანგეთი ცდილობდა საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელობისა და სტატუსის შენარჩუნებისათვის საჭირო საგარეო პოლიტიკის სამი მიმართულება შეესრულებინა: ნატოსა და გაეროში საკუთარი ბერკეტები გამოყენებინა, ევროპა სამხედრო კუთხით ერთ მთლიანობად ექცია და აფრიკაში გავლენა შეენარჩუნებინა. ამ მიზნების თანხვედრა და შესრულება საფრანგეთს აშშ-ის მზარდი გავლენის არაპირდაპირი და არასამხედრო “რბილი“ დაბალანსებისა და უნიპოლარიზმის თავიდან ასარიდებლად სჭირდებოდა. თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო ამ მიმართულებებიდან არც ერთი წარმატებული არ გამოდგა. ე.ი.მისი მცდელობების

მიუხედავად სისტემის სტრუქტურაში როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით მისთვის არასასურველი ცვლილებები განხორციელდა.

ეს ყველაფერი ნეორეალიზმის გადმოსახედიდან რომ შეფასდეს, ძალთა და საფრთხის წონასწორობა ორივე სისტემური კონცეფციებია. შესაბამისად მათი ცვლილება თვითდახმარების სამყაროში არსებულ სახელმწიფოებს სამოქმედო კურსს უჩვენებს. ძალთა ბალანსის გადმოსახედიდან, საფრანგეთის შემთხვევაში „რბილი ბალანსირების" სამივე მიმართულების უშედეგობით როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო მასშტაბით არსებული ბალანსი საფრანგეთის გავლენის სფეროების შემცირებით შეიცვალა აშშ-ის სასარგებლოდ, ხოლო საფრთხის წონასწორობის კუხით კი- აშშ-ის გავლენის სფეროების ზრდა ავტომატურად მისგან მომავალი საფრთხის აღქმის გაზრდის გამომწვევად იქცა. შესაბამისად, ამ მონაცემებმა და არსებულმა რეალობამ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში მისი სურვილისგან დამოუკიდებლად ცვლილებების შეტანა განაპირობა და იქცა მისი მხრიდან ნატოში სრული დაბრუნების მასტიმულირებელ ფაქტორად.

ნეორეალისტებისთვის საერთაშორისო სიტემის ანარქიულობა სახელმწიფოთა მიზნებისა და მათ მიერ არჩეული გზების განმსაზღვრელია. უზენაესი მმართველის არ არსებობისა და ძალთა ბალანსის მუდმივი ცვლის პირობებში სახელმწიფოები თავს დაცულად და უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ და იმასაც ითვალისწინებენ, რომ ასეთ თვითგადარჩენის მდგომარეობაში ყველა მოქმედებს „გადარჩენიდან მსოფლიო ბატონობამდე" ფარგლებში საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით (რონდელი, 2006, გვ.58) და რომ „შესაძლოა დღევანდელი მეგობარი ხვალ მტრად იქცეს" (Mearsheimer, 2001,გვ.33)

ამავდროულად ძალთა წონასწორობის თეორიის მომხრე თეორეტიკოსების უმრავლესობა ძლიერებას და საფრთხეს შორის აშკარა კავშირზე მიუთითებს და არ მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან.ამ კონტექსტში, საფრთხის ადეკვატურად გასაზომად ძლიერების შეფასებაც საკმარისია. ამიტომაც ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები აკვირდებიან ძალთა გადანაწილებას, სხვა ქვეყნების გაძლიერებას და

ეს იწვევს უნდობლობას, რადგან ეს შეიძლება ისე იქნას აღქმული, როგორც საფრთხე მათი საკუთარი პოზიციისთვის (Burt and Añorve, 2013, გვ.97).

ეს მიმართულება უპრიანია საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შესაფასებლადაც, რადგან საფრანგეთი აშშ-ის მზარდ გავლენას ისე არ შეეწინააღმდეგებოდა, თუ მასში გარკვეულ საფრთხეს არ დაინახავდა.აქ საუბარი არაა საფრთხის ტრადიციულ სამხედრო და ომის კუთხით გაგებაზე. საქმე ეხება იმას, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-ის ისედაც დიდი გავლენის ზრდა ნიშნავდა, რომ ეს მოხდებოდა სხვა ქვეყნების გავლენის სფეროების შემცირების ხარჯზე. ბუნებრივია , ეს შეუმჩნეველი არც საფრანგეთს დარჩებოდა. ქვეყანამ კარგად გაანალიზა მის წინაშე მდგარი მოცემულობა. ფაქტი იყო, რომ არც ნატოსა და გაეროში წინააღმდეგობა, არც ევროპის თავდაცვითი სისტემის ფორმირება, არც აფრიკაში გავლენის შენარჩუნება სხვადასხვა მიზეზების გამო არ გამოვიდა. ისიც ცხადი გახდა, რომ ამ „რბილი ბალანსირების“ პოლიტიკის გაგრძელებას დიდი რესურსები და მოკავშირეების მხარდაჭერა ჭირდებოდა, თუმცა საფრანგეთი ორივე მიმართულებით მოიკოჭლებდა: ცივი ომის დასრულების შემდეგ ისედაც რთულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფს აღარ ძალუძდა რამდენიმე მიმართულებით ერთად მოეხდინა რესურსების მობილიზება და აღარც ტრადიციული მოკავშირეების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა უკვე მრავალგზის იმედგაცრუების გამო.

საბოლოოდ საფრანგეთის „რბილი ბალანსირების“ უშედეგობამ, რაც ავტომატურად ნიშნავდა ძალაუფლების კონფიგურაციის აშშ-ის სასარგებლოდ გადაწყობას და სისტემურ ცვლილებას, განაპირობა საფრანგეთის მხრიდან ნატოდან მიღებული სარგებელ/ხარჯის კიდევ ერთხელ გადასინჯვა, რაც კარგად შეესაბამება ნეორალისტურ ღირებულებებს ალიანსების ფორმირებისა და შენარჩუნების შესახებ, რადგან ქვეყნები მხოლოდ მაშინ გადაწყვეტენ თავიანთ ქმედებებში ცვლილებების შეტანას, როდესაც მოგება დანახარჯზე მეტი იქნება. საფრანგეთმაც გააცნობიერა, რომ სისტემური გამოწვევების წინაშე დგომისას მისთვის ალიანსის შიგნით ყოფნა უფრო მომგებიანი და ნაკლებ ხარჯიანი იყო, ვიდრე წინააღმდეგობრივი „რბილი ბალანსირების „პოლიტიკის გაგრძელება, რაც უფრო მეტ უშედეგო დანახარჯებს მოუტანდა.

შესაბამისად, ამდენი სისტემური გამოწვევის წინაშე საფრანგეთი უძლური აღმოჩნდა და შეიძლება ითქვას, რომ იძულებული გახდა წინააღმდეგობრივი პოლიტიკა კვლავ ნატოში აშშ-ის პარტნიორობაზე გაეცვალა.

ნაშრომის შესავალშივე აღინიშნა, რომ კვლევის ჰიპოთეზას შესაძლოა მკითხველში გაეჩინა კითხვა იმის შესახებ, რომ თუ საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაცია მისი მხრიდან „რბილი ბალანსირების“ პოლიტიკის უშედეგობამ განაპირობა, ხომ არ შეიძლება ეს ნაბიჯი ავტომატურად ნატოს მეშვეობით აშშ-სთან მიტმასნების პოლიტიკის არჩევანად ჩაითვალოს. მეცნიერთა ნაწილის შეფასებით, საფრანგეთის მიერ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე იმის დაანონსება,რომ იგი გაგზავნიდა უფრო მეტ ჯარებს ავღანეთში კონკრეტულად აშშ-ის მართვად აღმოსავლეთ რეგიონში ამერიკულ ძალებთან ერთად ყოფნისთვის, სწორედაც რომ მიტმასნების პოლიტიკის გზავნილებს შეიცავდა. მსგავსი ქვეტექსტები შეიძლება ვეძიოთ სარკოზის მიერ საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის წინაშე ნატოში დაბრუნების შესახებ ხმის მიცემამდე გაჟღერებულ სიტყვებში, რომ „აშშ არის მთავარი ეკონომიკური,მონეტარული და სამხედრო ძალა მსოფლიოში. დიდი სტრატეგიული აზროვნება არ სჭირდება იმას, რომ ჩვენს ინტერესებშია ყველაზე კარგი შესაძლო ურთიერთობები ამ ქვეყანასთან“ (Thalakada, 2012).

აღნიშნული ფაქტების მიუხედავად , ვფიქრობ, რომ ნატოში დაბრუნების კონტექსტში საფრანგეთის მხრიდან რბილი ბალანსირების პოლიტიკის უშედეგობა ავტომატურად არ ნიშნავს ამ პოლიტიკის შეცვლას საწინააღმდეგო- მიტმასნების სტრატეგიით. ნატოში დაბრუნების მეშვეობით საფრანგეთის აშშ-სადმი მიტმასნების შესაძლებლობა ცალკე, ამ ნაშრომისაგან დამოუკიდებელ საკვლევ ფართო თემას წარმოადგენს,რადგან მართებული არაა წარსული მოვლენების აწმყოში არსებული მტკიცებულებებით პოსტფაქტუმ შეფასება. ამის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად კვლევის განმავლობაში მოტანილი ფაქტები თუ მონაცემები საკმარისი არაა და საჭიროა უშუალოდ საფრანგეთის ნატოში ოფიციალური რეინტეგრაციიდან დღემდე არსებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენდა საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების სპეციფიკა, რაც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და გამორჩეული საკითხია ნატოს, როგორც საერთაშორისო სისტემასა და ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ორგანიზაციის კონტექსტში. ცივი ომის დროს აშშ-ის დომინაციასა და საკუთარი გავლენის ნაკლებობის გამო ალიანსის სამხედრო სტრუქტურებიდან გამიჯნული დამფუძნებელი ქვეყანა-საფრანგეთი ცივი ომის შემდეგ ცვალებადი დინამიკის ურთიერთობების მიუხედავად 2009 წელს კვლავ სრულუფლებიან წევრად იქცა . აქედან გამომდინარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა 2009 წელს საფრანგეთის ნატოს სამხედრო სტრუქტურებში ოფიციალური დაბრუნების განმსაზღვრელი მიზეზების კვლევა, ხოლო მთავარი საკვლევი კითხვა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: რა მიზეზებმა განაპირობა საფრანგეთის ნატოსადმი წინააღმდეგობის დაძლევა და ნატოში სრული რეინტეგრაცია? ნაშრომში სამუშაო ჰიპოთეზად წარმოდგენილი იყო შემდეგი: საფრანგეთის ნატოში რეინტეგრაცია გამოიწვია ცივი ომის შემდეგ მის მიერ აშშ-ის მიმართ გამოყენებული „რბილი ბალანსირების“ პოლიტიკის უშედეგობამ.

საკვლევ პერიოდად აღებულ იყო ცივი ომის დასრულების შემდეგ-1990 წლიდან 2009 წლამდელი მონაკვეთი, რადგან საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების ახალი ცვლილებების ეტაპი და საფრანგეთის მხრიდან „რბილი ბალანსირების“ გააქტიურება სწორედ ამ დროს ემთხვევა.

ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად კვლევა რამდენიმე მიმართულებით გაიშალა. პირველ რიგში, საერთო სურათის წარმოსადგენად მოკლედ იქნა განხილული საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების ისტორიული ფონი. ამავდროულად შესწავლილ იქნა ამ თემაზე მომუშავე მეცნიერებისა და მკვლევარების მნიშვნელოვანი ნაშრომები, რის შემდეგაც გაანალიზდა საფრანგეთის მიერ აშშ-სადმი გამოყენებული „რბილი ბალანსირების“ პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებები მათი უშედეგობის არგუმენტირებულ შეფასებასთან ერთად .კერძოდ, დეტალურად იქნა განხილული 2009 წლამდე ევროპული თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბების,

აფრიკაში საფრანგეთის გავლენის შესუსტების პარალელურად აშშ-ის წარმომადგენლობის გაზრდის შეჩერების და ნატოსა და გაეროს ფარგლებში აშშ-ის პოლიტიკის შემზღუდავი ქმედებების უშედეგობა.

მოცემული ნაშრომის საკვლევი ჰიპოთეზის შესამოწმებლად და კვლევის მიზეზ-შედეგობრიობის ადვილად აღსაქმელად გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალისტური თეორია, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სისტემაში ქვეყანათა ურთიერთობების დინამიკაში შეტანილი ცვლილები იწვევს სისტემის სტრუქტურის შეცვლას, რაც მის წევრებს ასევე სტრატეგიის ცვლილებებისკენ უბიძგებს. ნეორეალიზმის აღნიშნული პრინციპები კარგად ერგება ნაშრომში წარმოდგენილ და განვითარებულ მსჯელობასაც, რადგან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანმა სამმა მიმართულებამ-ევროპული თავდაცვის სისტემის ჩავარდნამ, აფრიკაში აშშ-ის გავლენის თავიდან ვერ აცილებამ და ნატოში აშშ-ის გეგმების საწინააღმდეგო პოლიტიკის უშედეგობამ საერთაშორისო სისტემის ანარქიულობიდან გამომდინარე იგი წამგებიან პოზიციაში ჩააყენა. სისტემის სტრუქტურა აშკარად აშშ-ის სასარგებლოდ შეცვალა, რამაც საფრანგეთის მხრიდან საგარეო პოლიტიკის ცვლილების საჭიროება დააყენა.

მოცემული მიმართულებების კვლევის, არგუმენტირებული მსჯელობისა და გაანალიზების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომით დასახული მიზანი მიღწეულია და მას თავისი წვლილი შეაქვს საფრანგეთ-ნატოს ურთიერთობების შესახებ არსებულ აკადემიურ კვლევებში, რადგან წარმოდგენილი ჰიპოთეზის ამგვარი ფორმულირება არც ერთ აკადემიურ ნაშრომში არაა გაჟღერებული. ამავდროულად ნაშრომმა საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული თეორიული მიდომა ,ნეორეალიზმის სახით, ახალ რეალობას შეუსაბამა და ამ კუთხით უფრო განავრცო მისი მოქმედების არეალი.

კვლევის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ,საინტერესოა, მისი პრაქტიკული და უფრო ზოგადი შედეგების წარმოჩენაც. ნაშრომი შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის- ნატოს და მისი ფუნქციონირების წარმატების შესახებ გარკვეული დასკვნები და შეფასებები გაკეთდეს. კერძოდ,

საფრანგეთის, როგორც ნატოს დამფუძნებელი ერთ-ერთი სახელმწიფოს მხრიდან სხვა წევრის-აშშ-ის მიმართ გატარებული წინააღმდეგობრივი პოლიტიკა, შემდეგ მისგან დამოუკიდებელი სისტემური მიზეზების გამო ამ პოლიტიკის დათმობა და კვლავ სრულუფლებიანი წევრობა, სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს ალიანსის კოლექტიური ღირებულებების რეალურობისა და თანამედროვე ეპოქაში მისი ადექვატურობის მიმართ. სწორედ ამიტომ ნაშრომის განმავლობაში წამოჭრილი ეს საკითხები თავისი მნიშვნელობის გამო სამომავლო კვლევისთვის საინტერესო შთაგონებას უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ამ მიმართულებით საკითხის გავრცობა საჭიროებს უშუალოდ საფრანგეთის ნატოში ოფიციალური დაბრუნების შემდგომი მოვლენებისა და ფაქტების სისტემატიზებულ შესწავლასა და ანალიზს.

ბიბლიოგრაფია

ბჟეზინსკი, ზ.(2014). დიდი საჭადრაკო დაფა:ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები.თბილისი:გამომცემლობა არტანუჯი

ზურაბიშვილი, თ. (2006) .თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.თბილისი:სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

კაპანაძე,ს.(2006) .ევროკავშირის პოლიტიკა.თბილისი:სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.მე-9 თავი

რონდელი, ა.(2006). საერთაშორისო ურთიერთობები. მესამე გამოცემა. თბილისი:გამომცემლობა „ნეკერი"

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევოკავშირის შესახებ.რა არის ნატო? ბოლო ნახვა 19 01.2018 http://infocenter.gov.ge/nato-structure/

ჯენტლესონი,ბ.(2015).ამერიკის საგარეო პოლიტიკა.თბილისი:ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Aneshense, C.S. (2013) .Theory-Based Data Analysis for the Social Sciences, ,SAGE

Ali,A.M.(2012,December). France and NATO: The Gaullist Legacy and Roots of Dispute. International Journal of Humanities and Social Science Vol. 2 No. 24

Adebajo,A.(august 1 2011) The EU and Africa: From Eurafrique to Afro-Europa.Whiteman Paperback

Baç ,Meltem M. (2015).The definition of Middle Power, Retrieved 09 12, 2017, from https://www.britannica.com/topic/middle-power

Bozo, F. (2008,March) france and nato under sarkozy: end of the french exception? .Fondation pour l'innovation politique,working paper

Belkin, P.(2011,April).France: Factors Shaping Foreign Policy and Issues in U. S. -French Relations. CRS Report for Congress,Prepared for Members and Committees of Congress

Bindi,M.F.,& Angelescu, I.(2012)The Foreign Policy of the European Union: Assessing Europe's Role in the World, ,Brookings Institution Press

Beswick,D.,& Jackson,P.(2013,Jun).Conflict, Security and Development: An Introduction.Routledge

Burt,S.,& Añorve,D.(2013) .Global Perspectives on US Foreign Policy: From the Outside In. Springer

BRITANNICA:The Balance of power, Retrieved 13 11,2017 from https://www.britannica.com/topic/balance-of-power

Bourantonis,D., Ifantis, K.,& Tsakonas,P.(2007). Multilateralism and Security Institutions in an Era of Globalization.Routledge

Berman,E.,& Sams, Katie E. (2000). Peacekeeping in Africa: Capabilities and Culpabilities, Institute for Security Studies (South Africa),United Nations Publications, UNIDIR

Campbell,H.(2013).NATO's Failure in Libya: Lessons for Africa. African Books Collective

Cizel ,A.,& Hlatky, S. (2014).From exceptional to special? A reassessment of,France–NATO relations since reintegration. Journal of Transatlantic Studies,Vol. 12, No. 4 http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/14794012.2014.962760

Cameron,A. & Maulny J.P. (2009,February).france's nato reintegrationFresh Views with the Sarkozy Presidency?.edited By Alexis Crow Richard .Royal United Services Institute Occasional Paper

Chafetz, G., Frankel,B.,& Spirtaz ,M.(2012) Origins of National Interests, Routledge

Cogan,C. (2003). French Negotiating Behavior: Dealing with La Grande Nation.US Institute of Peace Press

Cohen,R.(1995,December 6).FRANCE TO REJOIN MILITARY COMMAND OF NATO ALLIANCE,retrived 01 02.2018 from http://www.nytimes.com/1995/12/06/world/france-to-rejoin-military-command-of-nato-alliance.html

Cumming,G.,&Chafer ,T.(2013)From Rivalry to Partnership?: New Approaches to the Challenges of Africa.Ashgate Publishing

Dahl, Robert A. (1957). The concept of power. Behavioral Science https://welcometorel.files.wordpress.com/2008/08/conceptpower_r-dahl.pdf

Drake,H.(2011).Contemporary France,Palgrave Macmillan

Duke,S.,&Christiansen,T.(2016,May 6).The Maastricht Treaty: Second Thoughts After 20 Years.Routledge

Davis,J.(2016).Africa and the War on Terrorism, John Davis Routledge

Davis,Todd A.(2008).The Global War on Terror: 9/11, Iraq, and America's Crisis in the Middle East.Xlibris Corporation

Eckert, J.(2013,October)French Ambiguities:of civilizing,diplomatic and military missions in :*The Militant Face of Democracy: Liberal Forces for Good*, edited by Geis, A., Müller, H., Schörnig,N., Cambridge University Press

Erlanger, S.(March 11 2009) France Will Take Full NATO Membership Again, With Greater Military Role.Retrived 13 02 .2018 from http://www.nytimes.com/2009/03/12/world/europe/12france.html

Finn,P. (2003, February 11). U.S.-Europe Rifts Widen Over Iraq Retrieved 11 02.2018 from https://www.washingtonpost.com/archive/politics/2003/02/11/us-europe-rifts-widen-over-iraq/bc52e9d4-d359-4949-9def-63dc992c6883/?utm_term=.821e75ab6f28

Farhaoui,F.(2013). The Great Power Struggle for Africa The Crisis in Mali,International Strategic Research Organization.USAK report N13

George, A. L., & Bennett, A. (2005). Case studies and theory development in the social sciences. Cambridge, Mass: MIT Press

Ghez ,J., & Larrabee F.S. (2009) France and NATO, Survival: Global Politics and Strategy. Routledge

Gary ,A.(2014).French European Defense Strategy and Its Relationship with NATO, ASPJ Africa & Francophonie ,1 st Quarter http://www.airuniversity.af.mil/Portals/10/ASPJ_French/journals_E/Volume-05_Issue-1/Gary_e.pdf

Gordon,Philip H.(1997) .NATO's Transformation: The Changing Shape of the Atlantic Alliance.Rowman & Littlefield

Ghez,J.,& Larrabee,S.F. (2009) France and NATO, Survival: Global,Politics and Strategy,Routlege

Gueldry,R.M.(2001).France and European Integration:Toward a Trsansnational polity? .London:Praeger Publishers

Gordon, H.(1992).French Security Policy After the Cold War: Continuity, Change, and Implications for the United States. Santa Monica;RAND

Godin,E.,&Chafer,T.(2005). The French Exception, Berghahn Books

Hoffman,S.(2004, January 29). France, the United States & Iraq. Retrieved 11 02,208 from https://www.thenation.com/article/france-united-states-iraq/

Hansen,A.(2008, February 8).The French Military in Africa. Retrieved 23 02.2018 from https://www.cfr.org/backgrounder/french-military-africa

Hunter ,Robert E.(2002) The European Security and Defense Policy:NATO's Companion - or Competitor? .RAND Corporation

Howorth,J.(2002). France, NATO and European Security: Status Quo Unsustainable, New Balance Unattainable?, Politique étrangère, No. 4, Winter

Hodge,C.C.(2002) . Redefining European Security, Routledge

Hauss,C.(2007, October 15,).Politics in France, Charles Hauss,CQ Press

Herpern ,M.H.(2009). France and NATO or How to Build a European Defence .Retrived 13 03.2018 from http://www.realinstitutoelcano.org/wps/portal/rielcano_en/contenido?WCM_GLOBAL_CONTEXT=/elcano/elcano_in/zonas_in/defense+security/ari40-2009

Hürsoy , S.(2002) .The New Security Concept and German-French Approaches to the European "Pillar of Defence," 1990-2000. Tectum Verlag DE

Hansen,A.(2007, February 9).Backgrounder: The French Military in Africa. Retrieved 11 02. 2018 http://www.nytimes.com/cfr/world/slot2_20070209.html?_r=0

Irondelle, B., & Mérand,F. (2011). France's Return to NATO: The Death Knell for ESDP?. European Security,Taylor & Francis,Routledge

Jesus C.E.(2008, November 1). Why France Wants to Rejoin NATO,Retrived 03 02, 2018 from http://gees.org/articulos/why-france-wants-to-rejoin-nato

Kramer,S.P. (1994).Does France Still Count?: The French Role in the New Europe.The Washington Papers

Krotz,U.(August 2015) History and Foreign Policy in France and Germany, Palgrave Macmillan

Kuisel ,Richard F.(2012). The French Way: How France Embraced and Rejected American Values and Power. Princeton University Press

Kay,S.(1998).NATO and the Future of European Security.Rowman & Littlefield

Kalu, Kelechi A. ,& Kieh, G.Klay. (Nov 7, 2013). United States - Africa Security Relations: Terrorism, Regional Security and National Interests. Routledge

Keiger,J.V.F.(2001)France AND THE WORLD SINCE 1870.London:European Studies Research Institute University of Salford

Locher,A.,&Nuenlist ,N.(2010).NATO Strategies toward de Gaulle's France, 1958–1966:Learning to Cope from *Globalizing de Gaulle: International Perspectives on French Foreign Policies, 1958–1969*, edited by Nuenlist, C., Locher,A.,& Martin,G. Lexington Books

Lakomy,M.(2011).French Foreign Policy and the EU's CFSP. http://www.cejiss.org/static/data/uploaded/13823927603473/cejiss_5_2_lakomy.pdf

Lagadec, E. (2012) Transatlantic Relations in the 21st Century: Europe, America and the Rise of the Rest.Routledge

Larivé, Maxime H. A.(2014). Debating European Security and Defense Policy: Understanding the Complexity.Routledge

Lansford ,T.(2017).Old Europe, New Europe and the US: Renegotiating Transatlantic Security in the Post 9/11 Era. Taylor & Francis

Lostumbo, Michael J. , McNerney, Michael J. , Peltz,E., Eaton,D., Frelinger ,David R.,…Overseas Basing of U.S. Military Forces, , , , Worman, Stephen M. (2013). RAND Corporation

Mentah,T.(2010).The New World Order Ideology and Africa: Understanding and Appreciating Ambiguity, Deceit and Recapture of Decolonized Spaces in 21st Century Historical Argument and Presentation.African Books Collective

Magone, José M. , Laffan,B., & Schweiger,C.(2008). The 2008 Financial Crisis: How It All Began,The Wall Street Journal.Retrieved 23 01.2018 from https://www.wsj.com/articles/the-2008-financial-crisis-how-it-all-began-1502997466

Mattox, Gale A. ,& Rachwald, Arthur R.(2001).Enlarging NATO: The National Debates. Lynne Rienner Publishers

Michel,L.G. (2012) Cross-currents in French Defense and U.S. Interests.Washinton:Institute for National Strategic Studies Strategic Perspectives, No. 10 Edited by Nicholas Rostow

Müller, G.(Winter 2009). France's New NATO Policy Leveraging a Realignment of the Alliance?. Strategic Studies Quarterly

Mearsheimer John J.(2001).The Tragedy of Great Power Politics,University of Chicago

Martin,G.(March 3 2000). Paper prepared for presentation at the African Studies Interdisciplinary Seminar, Center for African Studies, University of Illinois at Urbana Champaign.http://www.afrst.illinois.edu/news/archive/seminar/documents/sem-martin-2000.pdf

Martin,G.(Jun 1985).The Historical, Economic, and Political Bases of France's African Policy. Journal of Modern African Studies,Vol. 23, No. 2

Martin, G.J. (2013).General de Gaulle's Cold War: Challenging American Hegemony, 1963-68,Berghahn Books

NATO. (2014). The Defence Planning Committee Retrieved 12 12,2017 from https://www.nato.int/cps/ua/natohq/topics_49201.htm

Odell, John S.(2001).Case Study Methods in International Political Economy. International Studies Perspectives .International Studies Association

OECD(2016). DEVELOPMENT AID AT A GLANCE STATISTICS BY REGION:Africa https://www.oecd.org/dac/stats/documentupload/2%20Africa%20-%20Development%20Aid%20at%20a%20Glance%202016.pdf

Pape, R. (2005).Soft Balancing against the United States,Robert Pape, International Security, Vol. 30, No. 1

Paul, T.V.(2005) .Soft Balancing in the Age of U.S. Primacy.International security,vol 30,no 1 ,The MIT Press

Paul, T.V., Wirtz, James J. ,& Fortmann, M.(2004).BALANCE OF POWER ,Theory and Practice in the 21 st Century. Stanford University Press

Paquin,J.,&James ,P.(2014).Game Changer: The Impact of 9/11 on North American Security.UBC Press

RUSSEF, A.H.(October 2010) France's Return into NATO:French Military Culture and Strategic Identity in Question,Focus stratégique, No 22

Rieker,P.(2017) French Foreign Policy in a Changing World Practising Grandeur,Palgrave Macmillan

Rousseau , David L. & Garcia-Retamero,R.(2007, October 5).Identity, Power, and Threat Perception A Cross-National Experimental Study, Journal of Conflict Resolution Volume 51 Number 5

Simons, S.(2009, March 12).France's Return to NATOSarkozy Breaks with De Gaulle and Tradition ,Retrieved 15 01, 2018 from http://www.spiegel.de/international/europe/france-s-return-to-nato-sarkozy-breaks-with-de-gaulle-and-tradition-a-612840.html

Schmitt, O. (2017) The Reluctant Atlanticist: France's Security and Defence Policy in a Transatlantic Context, Journal of Strategic Studies, vol.40,No.4 http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/01402390.2016.1220367?needAccess=true

Snyder, Glenn H. (1990).Alliance theory: A neorealist first cut,Journal of International Affairs;Spring/Summer.Vol. 44

Schweller,R.(1994). Bandwagoning fro Profit: Bringing the Revisionist State Back In International Security, Vol. 19, No. 1.The MIT press

Sutton,M.(2007). France and the Construction of Europe, 1944-2007: The Geopolitical Imperative. Berghahn Books

Shabu,M.(2006, August 28). THE EUROPEAN DEFENCE AGENCY. A REAL BREAKTHROUGH OR STANDARD AGENCY ?. https://www.amo.cz/wp-content/uploads/2015/11/The-European-Defence-Agency.pdf

SHAEFER,B.(2006,JUN). REPORT AFRICA,America's Growing Reliance on African Energy Resources .Retrieved 23 12.2017 from https://www.heritage.org/node/16676/print-display

Sıradağ,A.(2014, Spring).Understanding French Foreign and Security Policy towards Africa: Pragmatism or Altruism?. Afro Eurasian Studies Journal. Vol 3. Issue 1

Sloan Stanley R.(2005).NATO, the European Union, and the Atlantic Community: The Transatlantic Bargain Challenged. Rowman & Littlefield Publishers

Schweiss, Christina M. , Johnson,M.,& Adamski,J.(2013). Old Europe, New Security: Evolution for a Complex World. Ashgate Publishing, Ltd.

United States African Command. AFRICOM Mission Statement.Retrieved 22 12.2017 from http://www.africom.mil/what-we-do

VERLUISE, P.(2012). The geopolitical consequences of the economic,crisis for France Retrieved 12 12, 2017, from https://www.diploweb.com/The-geopolitical-consequences-of.html

Vaïsse, M.& Sebag, C. (2009).FRANCE AND NATO: AN HISTORY.politique étrangère, English edition

Vine Victor T.(2004). Politics in Francophone Africa. Rienner Publishers

Waltz,K.N.(1979)Theory of International Politics,Addison-Wesley Publishing Company

Walt, S.M.(1987).The Origins of Alliances.Cornell University Press

Worldview Statfor.(2013,December 6).France Struggles to Retain Colonial Ties in Africa .Retrieved 03 02.2018 from https://worldview.stratfor.com/article/france-struggles-retain-colonial-ties-africa

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Manana Tsiklauri

The Specificity of France-NATO relations:The Reasons for Reintegration

Master of Diplomacy and International Politics

The Thesis is submitted in partial fulfillment of the requirements for a degree of Master of Diplomacy and International Politics

Supervisor: Zurab Davitashvili
Professor
Doctor of Political Sciences

Tbilisi,2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქეთი ფშაველაშვილი

მართვის სტილი მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციებში სამაგისტრო

პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნოდარ ბელქანია, სრული
პროფესორი

თბილისი, 2018

სარჩევი

ანოტაცია 4

Abstract 6

შესავალი.....8

თავი I - მართვის სტილის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 ორგანიზაცია…….....10

1.2 მართვა და მართვის სტილის განსაზღვრა.....13

1.3 მართვის ტექნიკები 23

1.4 მეტნაკლებად ხშირად გამოყენებადი მართვის ტექნიკები 26

1.4.1 მართვა იდეებით 26

1.4.2 მართვა გარღვევით 27

1.4.3 მართვა მიზნით.....27

1.4.4 დელეგირებით მართვა 28

1.4.5 ხელმძღვანელობა გამონაკლის შემთხვევებში ჩარევით 29

1.4.6 შედეგზე ორიენტირებული მმართველობა 29

1.4.7 სისტემური მმართველობით ხელმძღვანელობა 30

1.4.8. მმართველობის მოდელის შეცვლის შედეგები 30

1.5 მმართველი, ძალაუფლება, ლიდერობა 31

თავი II – კვლევის აღწერა

2.1 კვლევაში მონაწილე ორგანიზაცების აღწერა.....……...34

2.2 კვლევის მეთოდი და მიზანი 35

2.3 კვლევის პროცესი და მიღებული შედეგები…….....35

თავი III - დასკვნა 51

ბიბლიოგრაფია…… 54

დანართი 1 …… 55

დანართი 2 …… 80

ანოტაცია

ორგანიზაციის არსს და რაობას მისი მიმართულება, მოქმედების/ ცხოვრების წესი, თანამშრომლები, მუშაობის სტილი, ორგანიზაციის კულტურა, მენეჯერის ტაქტიკა განსაზღვრავს. ეს ყოველივე კი მართვის სტილთანაა დაკავშირებული.

დღესდღეისობით მზარდი ტრაექტორიით არის მცდელობები მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერების, საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესების და საქართველოს სამეწარმეო, ბიზნეს მდგომარეობის მიხედვით საინტერესო, მიმზიდველი სურათის შექმნის. ბაზარზე ჩნდება ბევრი ახალი მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცია.

ნაშრომის მიზანი იყო დაგვენახა რას წარმოადგენს დღევანდელი ქართული მცირე და საშუალო ზომის ბიზნესი - ნაშრომით გამოვიკვლიე, თუ რა ტიპის მმართველობის სტილი და მასთან დაკავშირებული ტექნიკებია გავრცელებული მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციებში დღეს არსებულ ქართულ ორგანიზაციებში. გამოკვლეული იყო 200 მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცია. ყველაზე მცირე ორგანიზაციის თანამშრომლების რაოდენობა იყო 5, ყველაზე დიდის კი -136.

ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო კითხვარი. გამოკითხული იყო მმართველეს დაქვემდებარებული თანამშრომლები. მათ შორის რესპოდენტის შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევით. კვლევა იყო ანონიმური. კვლევის შედეგების მონაცემების ანალიზი მოხდა სტატისტიკურ ელექტრონულ პროგრამაში.

ნაშრომი შეიცავს შესავალს, ორ თავს, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად, დასკვნასა და ბიბლიოგრაფიას.

პირველ თავში აღწერილი მაქვს ორგანიზაციასთან და მმართველობის სტილთან და

ტექნიკებთან დაკავშირებული თეორიები. მეორე თავში აღწერილი მაქვს კვლევა, საკვლევი

მასალა, კვლევის პროცესი და შედეგები. დასკვნა კი წარმოადგენს კვლევის მიღებული შედეგების განხილვას და შეჯამებას.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა მცირე და საშუალო ორგანიზაციებში დემოკრატიული მმართველობითი სტილის ტენდენცია, მმართველის მიერ საქმის დელეგირების ტექნიკით.

მიღებული შედეგი ჩემთვის მოსალოდნელი არ იყო, რადგან ბაზარზე არსებული სტერეოტიპები განსხვავებულია და კარიერის დამწყები მოქალაქეები ამაზე აპელირებენ სოციალურ ქსელში. მიღებული შედეგი კვეთავს მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციების განვითარების და ბაზარზე ფუნქიონირების ტენდენციას.

Abstract

Management Style in Small and Medium Size Organizations

Keti Pshavelashvili

Organization meaning is identified by it's destination, living style, employees, working style, manager's tactic . All of these are connected to organization culture and management style.

Currently there are increasing attempts to empower small and medium size business, to interest international investors and to make an attractive image of Georgia in a business field. More and more small and medium size organizations are appeared on market.

With this thesis I made a survey of management style and appropriated tecnics spread among small and medium size organizations in Georgia.

The thesis includes description, 2 paragraphs that are devided into sub-paragraphs, conclusion.

In first paragraph I described theories about organization and management style and management tecnics. In second paragraph I described survey and topic of survey, survey process and results. The conclusion presents survey results and summarizes them.

I made a survey of 200 employees from 8 small and medium size organizations. The smallest one included 5 employees and the largest one included 136 employees. I used quantitative survey. Survey instrument was a questionary. Employees were selected by random selection. Filling of questionary was anonymous. Received data was analyzed n a statistic electronic program.

According to survey result the tendency of using democratic management style and using management by delegation tecnic is visible.

For me the received result was not so much expactable as stereotypes of management style in small and medium size organizations are quite different from the result. According to the received result it gives a tendency that small and medium size organizations are on ongoing path to functioning and development.

შესავალი

დღესდღეისობით საქართველოს ეკონომიკაში აქცენტი გადატანილია მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის განვითარებაზე. დამწყები ბიზნესი, ეგრეთ წოდებული „სტარტაპ- ბიზნესიც“ საკმაოდ პოპულარული გახდა საქართველოში, როგორც სახელწიფოს ასევე კერძო ფონდების ინვესტირებით და ხელშეწყობით. ფონდ „აწარმოე საქართველოს“ მონაცემებით, პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარებიის სააგენტოს მიერ ინდუსტრიული მიმართულებით მხარდაჭერილია 172 პროექტი და ახალი ორგანიზაცია, ჯამური ინვესტიციით 386.77 მლნ ლარი და 7619 დასაქმებული ადამიანით.

ამ საკითხის აქტუალურობას ამძაფრებს რამდენიმე თვის წინ მომხდარი გახმაურებული ფაქტები საქართველოში დაფუძნებულ ორგანიზაციებში, რომლებმაც მათ რეპუტაციასა და კლიენტების ნდობაზე დიდი გავლენა მოახდინა: სურსათის მაღაზიათა ქსელი „ფრესკო“ და წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“. ორგანიზაციის კულტურა და არასწორი მართვის სტილი, სახელფასო პოლიტიკის, მოტივაციის და კონტროლის შეუსაბამო აქტივობების გამო შიდა დაპირისპირებამ სრულიად საქართველო მოიცვა. საჯარო მიმართვებში განხილული იყო არაშესაბამისი სამუშაო გრაფიკი და პირობები, სამუშაო გრაფიკის არაშესაბამისი ანაზღაურება, სისტემური ხასიათით ნორმაზე მეტი სამუშაო, არაშესაბამისი სამუშაო გეგმა, უსაფრთხოების სისტემის უქონლობა, გაუმართავი ტექნიკური საშუალებები.

ამ სიტუაციის ფონზე საინტერესოა რა კორპორატიული კულტურა აქვთ დაგეგმილი მმართველებს ორგანიზაციებში, რა მართვის სტილია დომინანტი, როგორ ცდილობენ წარმატების მიღწევას, როგორია თანამშრომელთა კმაყოფილების დონე, მასტიმულირებელი ბიძგების შედეგად გაზრდილი ორგანიზაციების მიხედით არის კი მართვის ან შიდა ურთიერთობის, საერთო ხედვის, საერთო გეგმის და ამ გეგმის შესრულებამდე მისასვლელი ნაბიჯები გააზრებული, რამდენად აქვთ თანამშრომლებს მენეჯერის მხარდაჭერა, როგორ უწევთ პრობლემის გადაჭრა , თუ არიან

გადაწყვეტილებაში ჩართულნი თანამშრომლები და თუ არის მათი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული.

კვლევის მიზანია გაირკვეს თუ რას წარმოადგენს დღეს საქართველოს ბაზარზე არსებული მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცია, რომელი მართვის სტილით და მასთან დაკავშირებული ტაქტიკით ანვითარებს მმართველი ორგანიზაციას.

საკვლევი თემის ინსტრუმენტად გამოყენებულია რაოდენობრივი ტიპის კვლევა - კითხვარი. მონაცემები მიღებულია მცირე და საშუალო ზომის 8 ორგანიზაციის თანამშრომლებისგან. ორგანიზაციები მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში. თანამშრომლებისგან პასუხების მიღება მოხდა ანონიმურობის დაცვით. კვლევის შედეგების ანალიზი მოხდა სტატიკურ პროგრამებში.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს ანოტაციას, შესავალს, ორ თავს, დასკვნას, ბიბლიოგრაფიას.

თავი I – მართვის სტილის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 რა არის ორგანიზაცია?

რადგან თემა ეხება მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცებს განვიხილოთ ორგანიზაციის არსი და მისი შემადგენელი ელემენტები.

ორგანიზაცია მენეჯმენტის, მენეჯერთა სამყაროს არსებობის საფუძველია. იგი 2 ან მეტ ადამიანთა ჯგუფია, რომლის საქმიანობაც შეგნებულად წარიმართება საერთო მიზნის ან მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციათა ერთ-ერთი დამახასიათებელი საერთო ნიშანია მათი არსებობისათვის აუცილებელია რესურსების განსაზღვრული ოდენობა. ძირითადი რესურსები, რომელთაც იყენებს ორგანიზაცია შემდეგია: ადამიანები - შრომითი რესურსები, კაპიტალი, მასალები, ტექნოლოგია და ინფორმაცია. საჭიროა რესურსების მართვა სათანადო დონეზე ორგანიზაციის მიზნის ან მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციაში ყალიბდება ორგანიზაციული სისტემა. მას სჭირდება ლიდერი, მმართველი რომელიც დასახავს მიზნებს და გეგმებს, სტრატეგიებს, გამოყოფს ორგანიზაციის მისიას და რაც მთავარია ახდენს შრომის დანაწილებას თანამშრომლებს შორის.

თანამშრომლები, პროცესები და ორგანიზაციის პოლიტიკა ორგანიზაციის სხვა ელემენტებთან ერთად ის ერთობლიობაა, რომელიც ქმნის ორგანიზაციის მიზნისკენ სავალ გზას.

ორგანიზაცია მოიცავს 7 ელემენტს:

1) იდენტობა - ანუ რა მისია და მიზნები აქვს ორგანიზაციას, რა არის მისი არსი და რატომ უნდა იფუნქციონიროს ბაზარზე, რა ფილოსოფიის და ღირებულებების გამტარებელია.
2) პოლიტიკა, სტრატეგია, პროგრამები - რა საფასო და საბაზრო პოლიტიკა აქვს კომპანიას, რა არის მისი გრძელვადიანი გეგმა და გამოსაყენებელი ინსტრუმენტები, რა გზა აქვს შერჩეული პოზიციონირებისთვის.
3) სტრუქტურა - ორგანიზაციის წესდება და იერარქია, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემა
4) ადამიანები, ჯგუფები, კლიმატი - თანამშრომელთა ცოდნა, ურთიერთობა, შიდა გარემო, მმართვის სტილი, შიდა დაჯგუფებები
5) ცალკეული ფუნქციები, ორგანოები - დავალებები, პასუხისმგებლობის გადანაწილება, კოორდინაცია
6) პროცესები - ძირითადი სამუშაო პროცესები, მეორეხარისხოვანი სამუშაო პროცესები, ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების და დაგეგმარების პროცესები.
7) ფიზიკური საშუალებები - აღჭურვილობა, დანადგარები, მატერიალური მასალები რისგანაც შედგება კომპანია.

ეს ელემენტები ერთიანდებიან ერთ ქვესისტემაში: 1 და 2 კულტურულ ქვესისტემაში; 3,4 და 5 სოციალურ ქვესისტემაში; 6 და 7 ტექნო-ინსტრუმენტულ ქვესისტემაში.

ორგანიზაცია თავისი შემადგენელიდ და განუყოფელი ნაწილებით განვითარების ეტაპზე სხვადასხვა ფაზაში იმყოფება. ფაზებში ყალიბდება კომპანიის პოლიტიკა და სტრუქტურული მიდგომები.

პირველი ფაზაა პიონერული ფაზა - ამ ფაზაში ორგანიზაციას ჰყავს ერთი ლიდერი, რომელიც თანამშრომლებზე მაღლა დგას და ყველაფერი აგებულია მის გარშემო. თანამშრომლის აყვანა მაშინ ხდება, როცა ბაზარზე მოთხოვნა იზრდება. ლიდერი პირადად

იცნობს ყველა თანამშრომელს. ლიდერი და თანამშრომლები პირადად იცნობენ

მომხარებლებს, მომხარებლები კი ძირითადად მათი პირადი საკონტაქტო სივრციდან არიან. წინ არის წამოწეული არაფორმალური კავშირები. თანამშრომლებს არ აქვთ მკვეთრი სამუშაო ჩარჩოები და ფარგლები, რა საკითხზეც გახდება საჭირო მუშაობა, რა საკითხიც წამოიწევს წინ ორგანიზაციაში იმ ადგილისკენ ხდება მათი ძალის ფოკუსირება. ამ ფაზაში ორგანიზაცია აწარმოებს იმდენს, რაც შეკვეთილია მომხმარებლისგან. გადაწყვეტილებების მიღება ხდება ემოციაზე, იმპროვიზაციაზე დაფუძნებით, დამახასიათებელია იმპულსურობა.

2) დიფერენციაციის ფაზა - ამ ფაზაში უკვე ადამიანური შრომა მაქიმალურად ნაცვლდება მანქანებით და ტექნოლოგიით. ყურადღება ექცევა წესრიგს, სამუშაო ჩარჩოებს, დაგეგმარებას, ხდება ნაკლებად ემოციური და მეტად რაციონალური, ურთიერთობები ხდება ფორმალიზებული, ადამიანის ნაცვლად კონცენტრირება ხდება საქმეზე

ორგანიზაციაში ყალიბდება მექანიზაცია, სტანდარტიზაცია, სპეციალიზაცია, კოორდინაცია. ძირითადი ამონცანაა კონტროლირებადი აპარატის შექმნა.

3) ფრიდრიხ გეგელის მიხედვით, უნდა მოხდეს პირველი და მეორე ფაზების დადებითი ელემენტების სინთეზი და უნდა დავუმატოთ ახალი ელემენტი,რომელიც შესაძლებელს გახდის მათ შერწყმას. ამის შედეგად მივიღებთ ორგანიზაციის განვითარების მესამე ფაზას - ინტეგრაციის ფაზას. ამ ფაზაში ფოკუსირება ხდება თანამშრომელზე, მის განვითარებასა და მის სურვილებზე. ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს თანამშრომლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მისცეს მას რეალიზების საშუალება. მმართველი ამ ფაზაში სახავს მიზანს, სტილს და ნორმებს, ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, ცვლილებებთან გამკლავებაზე. ორგანიზაცია იღებს სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმის სახეს.

4) ასოციაციის ფაზა - იგივე მოხდენილი საწარმო გულისხმობს რომ რაც არ უნდა ცვლილება მოხდეს გარე ფაქტორებზე, ორგანიზაცია მზადაა მოახდინოს რეაგირება. რთულ პირობებში კი დამაკავშირებელ საშუალებებს მიაგნოს, მოახდინოს ინფორმაციის

გაცვლა. ახალ ფაზას უნდა გააჩნდეს მენეჯმენტისა და ორგანიზაციისთვის უფრო ფართო შესაძლებლობები, მნიშვნელოვანი ხდება საწინააღმდეგო აზრების და შეხედულებებიის კონსტრუქციულად მოგვარება.

ასე იქმნება და ფუნქციონირებს ნებისმიერი ტიპის და ზომის ორგანიზაცია, მათ შორის: მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციები. ამ ტიპის ორგანიზაციები ერთმანეთისგან განსხვავდება სამუშაო ძალის სიდიდით, მცირე ზომის ორგანიზაცია გულისხმობს 100-მდე თანამშრომლისგან შემდგარ სამუშაოს, ხოლო საშუალო 100-999 -მდე თანამშრომელთა რაოდენობას.

1.2 მართვა და მართვის სტილის განსაზღვრა

ნებისმიერი ტიპის, ზომის და ასაკის ორგანიზაციას ფუნქციონირებისთვის სჭირდება მართვა. რომ არ ყოფილიყო მართვა ვერ მივიღებდით მსოფლიო შედეევრებს, თუნდაც ეგვიპტის პირამიდებს. განსაზღვრული მიზნით შეკრებილი ადამიანების საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა გახდა მენეჯმენტის წარმოშობის საფუძველი.მართვა ორგანიზებას უკეთებს ორგანიზაციის მიზნებს, პერსონალს, სტრუქტურას, ტექნიკას და პროცესებს. განსაზღვრული მიზნით შეკრებილი ადამიანების საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა გახდა მენეჯმენტის წარმოშობის საფუძველი.

მმართველი დაქვემდებარებულ თანამშრომელთა გუნდის მუშაობაობის კოორდინირებით ორგანიზაციის დასახულის მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული.

ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭიროა შრომის დანაწილება მმართველის მიერ. არსებობს ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილება.

იმისათვის, რომ ორგანიზაციამ განახორციელოს გარკვეული საქმიანობა ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად, საჭიროა, სამუშაო დანაწილდეს შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ შრომის ჰორიზონტალურ დანაწილებას. შრომის ჰორიზონტალური დანაწილება ხელს უწყობს მუშაკთა დასპეციალებას ამა თუ იმ შრომითი პროცესით, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მიიღოს გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე მაშინ, როცა იგივე ადამიანები იმუშავებდნენ დამოუკიდებლად.

იმისათვის, რომ ორგანიზაციაში ცალკეული ქმედებების მიხედვით დანაწილებული სამუშაო შესრულდეს საერთო მიზნის მისაღწევად, საჭიროა სამუშაოს გამოყოფილი ნაწილების კოორდინაცია, რაც ხორციელდება შრომის ვერტიკალური დანაწილების საფუძველზე. ასეთი კოორდინაციის გარეშე ორგანიზაცია ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს
ან მიზნებს.

კონკრეტულად მართვის არსი ვლინდება ჰორიზონტალურად დანაწილებული შრომის კოორდინაციაში შრომის ვერტიკალური დანაწილების მეშვეობით. ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკების საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა შრომის ვერტიკალური დანაწილების გზით წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც აღმოცენდა და განვითარდა მენეჯმენტი.

მმართვასთან ურთიერთკავშირშია ორგანიზაციის ხელმძღვანელის როლი და მისი ქმედებები. მენეჯმენტის ცნობილი მკვლევარი ნ. მინცბერგი ხელმძღვანელის როლს განსაზღვრავს, როგორც „განსაზღვრული ქცევის წესების ნაკრებს, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ დაწესებულებას ან კონკრეტულ თანამდებობას“. მისი აზრით, მსახიობების მსგავსად მენეჯერები იკავებენ განსაზღვრულ თანამდებობას ორგანიზაციაში განსაზღვრული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის სახით, რაც განაპირობებს მათი ქცევის ხასიათს სამსახურში.

მართვის სტილი გულისხმობს ხელმძღვანელის ქცევას და მის ხასიათს თანამშრომელებთან ურთიერთობაში ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად მათზე გავლენის მოხდენისა და მათი მოტივაციის გზით. მართვის სტილს ახასიათებს უფლებამოსილებათა დელეგირების ხარისხი, ხელმძღვანელების მიერ გამოყენებული ძალაუფლების ფორმები, ზრუნვა ადამიანურ ურთიერთობებზე, დასახული ამოცანების შესრულებაზე.

მმართველები ისევე როგორც ინდივიდუალურად ადამიანები, ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც პიროვნულობით ასევე მართვის სტილით. ანუ შეუძლებლია ყველა მმართველის მართვის სტილი ერთი და იგივე იყოს. მმართველობის სტილს ძირითადად აღწერენ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსის წარმოდგენით. ყველაზე ხშირად გამოყენებეული მმართველობის სტილის პოლუსებია:

დირექტიული - არადირექტიული

ავტოკრატიული - მოქმედების თავისუფლება

ავტორიტარული - კოოპერატიული

პიროვნებაზე ორიენტირებული - პოზიციაზე ორიენტირებული

პატრიარქალური - ბიუროკრატიული

ორიენტირებული ნივთიერზე - ორიენტირებული თანამშრომლობაზე

მმართველობის 7 სტილს წარმოგვიდგენს ტანენბაუმისა და შმიდტის შკალა:

ავტორიტარული სტილი - მმართველი იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს და ბრძანებებს. დაქვემდებარებულები არ ერთვებიან გადაწყვეტილების მიღებაში, განხილვის გარეშე მიყვებიან მმართველის მიერ დადგენილ წესებს და დავალებებს.

პატრიარქალური - ამ სტილის მმართველი იღებს გადაწყვეტილებებს და მის სისწორეში

არწმუნებს დაქვემდებარებულებს, რომელთაც შეუძლიათ გადაწყვეტილების შესახებ

დასვან კითხვები.

სათათბირო - ამ სტილის მმართველი იღებს გადაწყვეტილებას და განიხილავს დაქვემდებარებულებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში, ცდილობს დაარწმუნოს თანამშრომლები მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში.

კოოპერატიული - ამ სტილის მმართველი გადაწყვეტილების მიღებამდე დაქვემდებარებულებს აცნობს გადაწყვეტილების ვარიანტს, თანამშრომლები ახდენენ შეფასებას.

ერთობლივი - ამ სტილის მმართველისთვის დაქვემდებარებულები ამზადებენ გადაწყვეტილებების ვარიანტებს, ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებებიდან მმართველი არჩევს ერთ საბოლოო ვარიანტს.

დემოკრატიული - 1. ჯგუფი წყვეტს ხელმძღვანელობის მიერ დასმულ პრობლემას და ადგენს საზღვრებს, რომლებშიც უნდა მოხდეს მიღებული გადაწყვეტილების ვარირება.

დემოკრატიული - 2. ჯგუფი წყვეტს, ხოლო ხელმძღვანელი წარმოგვიდგება როგორც შიდა და გარე კოორდინატორი.

ამ შკალას ნოიბერგერმა დაუმატა ჯგუფური მუშაობის, მმართველის ჯგუფის საქმიანობაში ჩარევის, მისი კონტროლი და მოტივაციის მნიშვნელობა.

მმართველობის 7 სტილს გლაზლი 4 ძირითადში აერთიანებს:

ავტორიტარული და პატრიარქალური ____> ავტორიტარული სათათბირო _____> კონსულტაციური

კოოპერატიული და ერთობლივი _____> პარტიციპარული

დემოკრატიულის 2 ნაირსახეობა _____> კოოპერატიული

დამატებით გავლენის შკალას გლაზლი ყოფს გადაწყვეტილების მიღების 3 ფაზად:

ხატის შემნა- საჭირო ინფორმაციის მოპოვება

აზრის ჩამოყალიბება - ალტერნატივების გადამოწმება კრიტერიუმების მიხედვით

დასკვნის ფაზა - მოქმედებისთვის საუკეთესო ალტერნატივის არჩევა.

შესაბამისად გვაქვს მმართველობის სტილის შემდეგი ვარიანტები:

„1. ავტორიტარული სტილი ------> 1. ერთობლივო მოღვაწეობა

2. ერთობლივი შეცნობა

2. კონსულტაციური ------> 3. ერთობლივი აზროვნება

3. პარტიციპარული -----> 4. ერთობლივი განხილვა

5. ერთობლივი თათბირი

4. კოოპერატიული ---------> 6. ერთობლივი გადაწყვეტილება

7. ავტონომიური გადაწყვეტილება

ავტოკრატიული ხელმძღვანელი ფლობს საკმაო ძალაუფლებას იმისათვის, რომ თავისი ნება მოახვიოს თავს შემსრულებელებს და აუცილებლობის შემთხვევაში ყოველგვარი მერყეობის გარეშე მიმართავს მას.

ავტოკრატიული ხელმძღვანელობის წინაპირობები ჩამოაყალიბა მენეჯმენტის ცნობილმა მკვლევარმა დუგლას მაკგრეგორმა და უწოდა მას თეორია-X. ამ თეორიის თანახმად:

მმართველი მკაცრად აკონტროლებს და დიდი ზეგავლენა აქვს თანამშრომლებზე, ახდენს

უფლებამოსილებათა ცენტრალიზაციას, ხელქვეითთა შრომის სტრუქტურირებას და თითქმის არ აძლევს მათ თავისუფლებას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, არ ძლევს რაიმე ინიციატივის წარმოთქმის ან განხორციელების საშუალებას, ხაზს უსვამს თანამშრომლების შეცდომებს. თვითონ კი არის ის კადრი, რომელიც არცერთ ჯგუფს არ ეკუთვნის, ვერავინ დაუდგენს სამუშაოსთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ვერავინ გააკრიტიკებს მას. თანამშრომლები კი ხდებიან ერთგვარი მარიონეტები, რომლებშიც აღარ არის რაიმე ინიციატივა ან ენთუზიაზმი დარჩენილი და თვითონვე ორიენტირებულნი არიან მმართველის მიერ დაწესებულ წესებზე. სამუშაოს შესრულების მიზნით ავტოკრატს შეუძლია ფსიქოლოგიური ზეწოლა ხელქვეითზე.

ამით მმართველი თანამშრომლებში კლავს გადაწყვეტილების მიღების და დამოუკიდებლად მუშაობის უნარს.

დაქვემდებარებულ მუშაკებზე ავტოკრატიული ხელმძღვანელებისაგან განსხვავებული შეხედულებები აქვთ დემოკრატიულ ხელმძღვანელებს.

თეორია Y-ის მიხედვით კი მმართველი წარმოდგენილია როგორც ყურადღებიანი და მეგობრული საკუთარი თანამშრომლების მიმართ, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლების წახალისებაზე, მათგან ინიციატივების მიღებაზე, მათი შესაძლებლობების წარმოჩენაზე და ჩართულობაზე ორგანიზაციის ზრდასა და წინსვლაში. მმართველი ძირითად მოქმედებს შემდეგი ლოგიკით:

- შრომა ბუნებრივი პროცესია და ხელსაყრელ პირობებში ადამიანი ისწრაფვის მისკენ, თანაც თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას შედეგებზე;
- თუ ადამიანი კარგად იცნობს ორგანიზაციის მიზნებს, მან შეიძლება დამოუკიდებლად იშრომოს ორგანიზაციის საკეთილდღეოდ და თვითონ გაიკონტროლოს თავი;

- მიზნების გაცნობა მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული წახალისების ფუნქციაა;

- პრობლემის შემოქმედებითი გადაჭრის უნარი ადამიანებში ხშირია, საშუალო ადამიანის ინტელექტუალური პოტენციალი კი გამოიყენება მხოლოდ ნაწილობრივ.

ამ ტიპის მმართველები თანამშრომლებისგან დამოუკიდებლად არ იღეენ გადაწყვეტილებებს. ქმნიან ჯგუფებს და თვითონაც განიხილავენ თავიანთ თავს როგორც ამ ჯგუფის/ჯგუფების წევრად. ღია არიან ჯანსაღი კრიტიკისთვის, შენიშვნისთვის და მას თავიანთი მუშაობის გასაუმჯობესებლად იყენებენ. მათი თანამშრომლები მონდომებულნი არიან ამ სამსახურში მუშაობისთვის, არ გაურბიან პასუხისმგებლობას და არ არიან ინერტულნი ორგანიზაციის განვითარების და ცხოვრების მიმართ.

ორგანიზაციები, სადაც გაბატონებულია ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილი, ხასიათდება უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით. ხელქვეითები აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღებაში და სარგებლობენ თავისუფლებით დავალებათა შესრულების პროცესში. სასურველია, რომ დემოკრატიულმა ხელმძღვანელმა მკაცრი კონტროლი დააწესოს დაქვემდებარებულებზე დავალებათა შესრულების პროცესში. ამის ნაცვლად ქვედა დონის ხელმძღვანელი ჩვეულებრივ უცდის სამუშაოს ბოლომდე შესრულებას, რომ შემდეგ შეაფასოს ის. დემოკრატიული ხელმძღვანელი თავისი სამუშაო დროის დიდ ნაწილს ხარჯავს საწარმოო ჯგუფის მიზნების ორგანიზაციის საერთო მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანაზე, აგრეთვე, ჯგუფის აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფაზე.

მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი დემოკრატიული ხელმძღვანელი ცდილობს, დაარწმუნოს ხელქვეითები თვითონ გადაწყვიტონ წარმოშობილი პრობლემები და არ ეძებონ ხელმძღვანელთა მხრიდან დახმარება ან მოწონება. ამასთან იგი დიდ ენერგიას ხარჯავს ღია ატმოსფეროს შექმნაზე, რომ არ მოერიდოთ დაქვემდებარებულ მუშაკებს მასთან მისვლა რჩევის მისაღებად. დემოკრატიული ხელმძღვანელი გამოდის რჩევის მიმცემის როლში.

იმ დროიდან, როცა პირველად განასხვავეს ერთმანეთისაგან ხელმძღვანელობის ავტოკრატიული და დემოკრატიული, ან სამუშაოზე და ადამიანებზე ორიენტირებული სტილი, დაიწყო დიდი დებატები ამის შესახებ. ადამიანური ურთიერთობის პოზიციის მომხრეები ავტოკრატებს თვლიდნენ რეაქციონერებად, ტრადიციული მეთოდის მიმდევრებს კი მიაჩნდათ, რომ დემოკრატები დაუსაბუთებელ შეხედულებებს ეყრდნობოდნენ ადამიანების უნარის შესახებ.

ორივე ბანაკის არგუმენტები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, მაგრამ შეიძლება მათი დაყვანა რამდენიმე არსებითი ხასიათის შეხედულებამდე.

თეორია-X-ზე დამატებით ავტოკრატიული ან სამუშაოზე ორიენტირებული ხელმძღვანელობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ:

1) ხელმძღვანელობის ავტოკრატიული სტილი, განსაკუთრებით კი კეთილგანწყობილი ავტოკრატიულობა, უფრო ეფექტიანია დემოკრატიულ სტილთან შედარებით, რადგან აძლიერებს ხელმძღვანელის ერთპიროვნულ ძალაუფლებას და ამით ზრდის ხელქვეითებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობებს;

2) სამუშაოზე ორიენტაცია იძლევა შრომის მაქსიმალურ ნაყოფიერებას.

Y-თეორიის დამატებით დემოკრატიული ან ადამიანებზე ორიენტირებული ხელმძღვანელობის სტილის მომხრეთა აზრით:

1) თუ არ იქნება დროულად მიღებული ზომები, შემსრულებელთა ძალუფლება შეიძლება გაიზარდოს იმ დონემდე, რომ შეარყიოს ხელმძღვანელის გავლენა და დამატებითი პრობლემები შეუქმნას ორგანიზაციას;

2) ადამიანებზე ორიენტირებული ხელმძღვანელობა ქმნის მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევის შესაძლებლობებს იმით, რომ სამუშაოს შემსრულებლებს ამ შემთხვევაში

ყველაზე მეტი საშუალება ეძლევათ მისი გარდაქმნისათვის ორგანიზაციის საკეთილდღეოდ. ამასთან ასეთ პირობებში იზრდება მუშაკთა დაკმაყოფილების ხარისხიც.

დემოკრატიული სტილის მომხრეთა აზრით, ხელმძღვანელობის ეს ფორმა, სწორი გამოყენების შემთხვევაში, ყოველთვის უზრუნველყოფს მუშაკთა დაკმაყოფილების ხარისხის ამაღლებას და ამ საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის მაღალ დონეს.

ხელმძღვანელობის არც დემოკრატიული და არც ავტოკრატიული სტილი არ უნდა ჩაითვალოს მეორეზე უკეთესად ყველა შემთხვევაში. როგორც წესი, მათი ეფექტიანობა დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. ამიტომ კარგი ხელმძღვანელი ყოველთვის აანალიზებს შექმნილ ვითარებას და მხოლოდ ამის საფუძველზე ირჩევს მოქმედების კურსს.

ხელმძღვანელობის სტილის შესწავლას სათანადო ყურადღება დაუთმო ლაიკერტმა. ლაიკერტი და შაინი ორიენტირებულნი იყვნენ კომპლექსურ ფაქტორების ერთიანობაზე, რომ თითოეული ადამიანი წარმოადგენს სხვადასხვა აზრის, მოტივაციის, რაციონალური და ირაციონალური ფაქტორების კომბინაციას.

ლაიკერტი ცნობდა ხელმძღვანელთა ქცევის კლასიფიკაციის ოთხი სისტემას:

1) ექსპლოატატორულ-ავტორიტარული სისტემა - ლეიკერტის ეს პირველი სისტემა ხასიათდება იმით , რომ ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღება ხდება მაღალ ეშელონებში, არანაირი ჯგუფური მუშაობით და მცირე კომუნიკაციით.;
2) კეთილგანწყობილ-ავტორიტარული სისტემა - ეს სისტემა დაფუძნებულია უფროსი-მსახურის ურთიერთობაზე მმართველსა და თანამშრომელს შორის, გუნდური მუშაობა და კომუნიკაცია კი მინიმუმამდეა დაყვანილი.
3) კონსულტაციურ-დემოკრატიული სისტემა - ამ სტილში, მმართველი ნაწილობრივ

ენდობა დაქვემდებარებულს, იყენებს ორივეს დაჯილდოებას და ჩართულობას რომ მეტი მოტივაცია მისცეს, გაამყაროს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, არის საშუალო რაოდენობის ჯგუფური მუშაობა და კომუნიკაცია.

4) მონაწილეობაზე დაფუძნებული სისტემა - ეს სისტემა დაფუძნებულია მმართველის მიერ თანამშრომლების ნდობაზე; მისთვის დამახასიათებელია კოლექტიურად მიზანზე დაფუძნებული ჯილდოები, კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა კომპანიის მიზნების მისაღწევად; მზაობა ჯგუფური მუშაობაზე და ღია კომუნიკაციაზე.

პირველი და მეორე სისტემის პირობებში ხელმძღვანელები არიან ავტოკრატები. ამასთან პირველი სისტემის ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით, მეორე სისტემის ხელმძღვანელები გარკვეულ საზღვრებში ნებას აძლევენ დაქვემდებარებულებს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისათვის. მესამე სისტემის ხელმძღვანელები, ლაიკერტის მიხედვით, ხელქვეითებისადმი ავლენენ მნიშვნელოვან, მაგრამ არასრულ ნდობას. ბევრ არსებითი ხასიათის გადაწყვეტილებას იღებენ ხელქვეითები. ხელმძღვანელებსა და ხელქვეითებს შორის არსებობს ნდობის გარკვეული ატმოსფერო. მეოთხე სისტემა გულისხმობს მუშაკთა ჯგუფურ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში. ლაიკერტის აზრით, მეოთხე სისტემა ყველაზე უფრო ქმედითუნარიანია. ხელმძღვანელები მთლიანად ენდობიან ხელქვეითებს, მათ შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებაა.

ლაიკერტის გამოკვლევებმა უჩვენა, რომ მართვის ქვედა დონის ყველაზე ეფექტიანი ხელმძღვანელები ყურადღებას აქცევენ პირველ რიგში ხელქვეითთა პრობლემების ადამიანურ მხარეებს და ხელქვეითებთან ტრადიციული ინდივიდუალური საუბრების ნაცვლად მიმართავენ ჯგუფურ მეთოდს.

ლაიკერტის და დ. მაკგრეგორის შრომებმა სტიმული მისცა თანამშრომელთა

ჩართულობის ზრდას გადაწყვეტილების მიღებისას.

ფრედერიკ ტეილორის თეორიით მართვაში ცენტრალური ბირთვი არის სამუშაო პროცესი, აქედან გამომდინარეობს ორგანიზაციის მართვის მახასიათებელები, თავისებურებები და წესები. ამ თეორიას საფუძვლად დაედო ხალხის, დავალებების, სამუშაო ქცევის სისტემური შესწავლის შედეგად, ტეილორის მიერ სამუშაო პროცესის დაყოფა პატარა ნაწილებად ან ქვე-დავალებებად იმ მიზნით, რომ განესაზღვრა ყველაზე ეფექტური შესაძლო მეთოდი კონკრეტული დავალების შესრულებისთვის. ის მოიცავდა სხვადასხვა დავალებების შესრულების დატესტვას, რომ განესაზღვრა რა რაოდენობის სამუშაო შესრულდებოდა კონკრეტულ დროში. შედეგად დადგინდა, რომ მმართველმა უნდა განსაზღვროს რომელია ყველაზე ეფექტური გზა საქმის შესასრულებლად, დაატრენინგოს თანამშრომლები ისე, რომ გაუმკლავდნენ საქმის თითოეულ ელემენტს და დაამყაროს თანასწორი სამოტივაციო ღონისძიებები ორგანიზაციის მართვისას. შედეგად მართველი იღებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას პროდუქტიულობაში, ზრდის თანამშრომლების ჩართულობას, აუმჯობესებს ხარისხის კონტროლს, აუმჯობესებს პერსონალის მუშაობას და მათ ურთიერთკავშირს მენეჯერთან.

მართვის სტილი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის კულტურაზე, მმართვეის ქცევით მკვიდრდება ნორმები, რაც მთელ ორგანიზაციაში ვრცელდება რისკიანობასთან, თანამშრომლების აზრის გამოთქმის თავისუფლებასთან , თანამშრომლების ჩაცმის კულტურასთან , ანაზღაურებასთან, ჯილდოებთან და მსგავს საკითხებთან მიმართებაში.

შესაბამისად ყალიბდება კულტურა, რომელიც კონკრეტულ ორგანიზაციას სხვა ორგანიზაციაისგან განასხვავებს, თანამშრომლებში ერთიანობის გრძნობას ქმნის, აყალიბებს თანამშრომლების გრძნობას სამსახურისადმი.

1.3. მართვის ტექნიკები

იყო ეფექტური მმართველი მოითხოვს სხვადასხვა მმართვის ტექნიკებს. მმართვის ტექნიკა კი მოიცავს იმ წესებს და ინსტრუმენტებს, რაც მმართველს ეხმარება ორგანიზაციის ყოველდღიურ მმართვაში. მართვის ტექნიკების არის ის, რაც ეხმარება მმართველს ჩამოყალიბოს თავისი მართვის სტილი და გახადოს სამუშაო პროდუქტიულ სამუშაო ადგილად.

მიხედვით მართვის ერთი და იგივე ტექნიკა ხელმძღვანელობამ შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციაში. თუმცა არ არსებობს მართვის ტექნიკა, რომელიც ყველა ტიპის თანამშრომლეზე ვრცელდება, ამიტომ გამოიყენება ტექნიკათა კომბინაცია ორგანიზაციის სხვადასხვა მიმართულების და საკითხის სამართავად.

გამოცემა „Dun and Bradstreet Small Business Solutions“-ის მიხედვით, მართვის ტექნიკაა სამუშაო ძალის განვითარება - ეფექტური სამუშაო ძალის შექმნა ნიშნავს რომ მმართველი მართავს თანამშრომელთა განვითარების აქტივობებ. გასაგები და აღსაქმელი სამუშაო აღწერა თითოეული პოზიციისთვიის, რომელზეც თანამშრომლის აყვანაა დაგეგმილი, შემდეგ მონიტორინგის სისტემის დაწესება საშუალებას აძლევს მმართველს რომ შეამოწმოს თანამშრომლის განვითარება და პროგრესი. ყოველწლიური სამუშაოს შესრულების შეფასება კი მმართველსა და თანამშრომლებს შორის უფრო ძლიერ სამუშაო ურთიერთობებს აყალიბებს. მონიტორინგის სრული სისტემა შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ შეხვედრებს კონკრეტულ თანამშრომლებთან მათი პროგრესის განსახილველად და განვითარებაში დახმარების შეთავაზებისთვის.

ზრდის მენეჯმენტი

მენეჯმენტის მნიშვნელოვანი როლია რომ მოახდინოს ზრდა ორგანიზაციაშივე. ზრდა შეიძლება გამოხატული იყოს შემოსავლის, თანამშრომელთა რაოდენობის, ფილიალების

ზრდის ან გაფართოების კუთხით. „All Business“ ელექტრონული ჟურნალის მიხედვით,

მმართვის ტექნიკები როგორიცაა შეფასება, ძველი მონაცემების გადახედვა , ცვლილებები მინზობრივ ბაზრებზე და არსებული რესურსების შედარება საჭირო რესურსებთან ზრდი მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილია.

პერსონალის
მართვა

გამოცემა Free Management Library -ის „Free Basic Guide to Leadership and Supervision" ნაწილის მიხედვით მმართველები იყენებენ სხვადასხვა ტექნიკებს გუნდის მართვისთვის და მოტივაციისთვის. მმართველმა უნდა გადაანაწილოს სამუშაო ძალა სწორად კვალიფიციური თანამშრომლების სხვადასხვა დეპარტამენტებსა და პროექტებში გადანაწილებით, უნდა შეადგინოს გრაფიკი რომელიც თავს მოუყრის ყველა იმ სამუშაო ძალას, რაც საჭიროა ამოცანის შესასრულებლად. იზრუნოს თანამშრომელთა მოტივაციაზე რომ გაუმჯობესდეს წარმოება და ორგანიზაციამ მიაღწიოს დასახულ გეგმებს. მმართველი უნდა იყოს მზად თანამშრომელთა უნარ -ჩვევების ცვლილებისთვის ტრეინინგების და დამატებითი განათლების მეშვეობით, რაც თანამშრომელს უფრო ღირებულს გახდის კომპანიისთვის.

გლაზლი ლივეხუდის მიხედვით კი მართვის ტექნიკებად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი მეთოდები:

- „როგორ შეიძლება მენეჯმენტმა თანამშრომლების ცნობიერებამდე მიიტანოს ორგანიზაციის ფილოსოფია და ხედვები;
- როგორ შეიძლება ისე დავსახოთ მიზნები, რომ ისინი პრაქტიკულად განხორციელებადი და მოქმედი გამოდგნენ გრძელვადიანი მოქმედებებისთვის;
- როგორ გადანაწილდეს დავალებები და პასუხისმგებლობები;
- როგორ აღმოვუჩინოთ დახმარება დავალების შესრულებისას;
- როგორ ვაკონტროლოთ პროცესები და ა.შ. „

რისი გადამოწმებაც უნდა მოხდეს შემდეგი კითხვებით:

- „გაიგეს თუ არა თანამშრომლებმა მოცემული დავალების არსი ბოლომდე?
- დარწმუნებული ვარ თუ არა, რომ ეს დავალება მათ ძალებს არ აღემატება შესრულების კუთხით?
- რა წესების დაცვით უნდა მივცეთ დავალება თანამშრომლებს, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ შესრულება?
- ვინ უნდა აცნობოს წარმატებული დელეგირების შესახებ? „

ამისთვის ხელმძღვანელობა უნდა ფლობდეს შესაფერის უნარებს, რომელიც შემდგომ შესაძლებლობებად გადაიქცევიან.

1.4 მეტნაკლებად ხშირად გამოყენებადი მართვის ტექნიკები

იმის გამო, რომ სახეზეა შემოთავაზებული მართვის ტექნიკის უამრავი სახეობა, ქვემოთ განვიხილავთ მიზნების საერთო მონახაზს და მეთოდების პრაქტიკულად გამოყენების ხერხებს.

1.4.1 მართვა იდეებით

მაკგრეგორი და ლაიკერტი ცდილობდნენ რისკის აღების იდეა ჩაედოთ მართვის ტექნიკების დამუშავებაში, რაც შემდგომში მართვის ნაწილი გახდა. ასე გაჩნდა „Management by ideas“, როგორც მართვის ტექნიკა.

მართვის ამ ტექნიკის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანად გამოვლინდეს ორგანიზაციის იდეა, არსი და საწარმო საქმიანობა. რაც თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის მიზნის და ქმედებების განმსაზღვრელი ხდება. მმართველები სხვადასხვა სახით რთავენ ტექნიკას თავიანთ მმართველობით ფორმაში: გამოკვეთენ ორგანიზაციის არსს, რაც ხდება ორგანიზაციის არსებობის ბაზა; დამოკიდებულება აქვს საზოგადოების სხვადასხვა წრეებთან და საზოგადოებრივ

მომხმარებლების და ბაზრის მოთხოვნილებები; რით განსხვავდება კონკურენტებისგან; რა

დამოკიდებულება აქვს საზოგადოების სხვადასხვა წრეებთან და საზოგადოებრივ

ცხოვრებასთან; რა რესურსები აქვს და სამომავლო განვითარებისთვის რა რესურსებია საჭირო. ამ ტაქტიკით მმართველი საშუალებას აძლევს თანამშრომლებს იყვნენ შემოქმედებითები და ინიციატივები გააჩნდეთ.

1.4.2. მართვა გარღვევით

ტექნიკა გულისხმობს რომ ქმედებები გაწერილია თანმიმდევრულად, შესაბამისად უმჯობესდება ორგანიზაციის მუშაობა და მართვა. ამ სტრატეგიას ახასიათებს დაპყრობითი აქციები , შეტევა თავდასხმა და მიზნების მოპოვება (ახალი საკონტაქტო არხების გამოყენება, ხელმძღვანელთა შემადგენლობის ცვლილება, რესურების და მარაგების განსაზღვრა და მონიტორინგი; ახალი გზების აღმოჩენა და სხვა.)

ასევე დამახასიათებელია მიღწეულის შენარჩუნების აქცია, კონსოლიდაცია: შიდა ადმინისტრირების კანონებით ხდება მიღწეული შედეგების დაცვას გარე აგრესიული ძალებისაგან, განისაზღვრება რა საჭიროებს კონსოლიდირებას და რა - გაკონტროლებას; ზომები მიიღება მართვისა და კონტროლისათვის; ხდება სამუშაო სტანდარტების დამტკიცება და სხვა აქტივობები.

1.4.3. მართვა მიზნით

მოცემული ტექნიკით მმართველი დაქვემდებარებულ პერსონალს თანამშრომლებთან განხილვის და დისკუსიის შედეგად უსახავს მიზნებს, რომლებიც არის მკაფიო და ყველასთვის გასაგები, მმართველი თანამშრომლებს პასუხისმგებლობის აღებისკენ მიმართავს, ხოლო პერსონალის საქმიანობა არის შედეგზე ორიენტირებული, თანამშრომლებს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებაც აქვთ რათა სხვადასხვა გზით მიაღწიონ სამუშაო

შედეგს.

მიზნების დასახვისთვის არის ორი მიმართულება: ანგლო-ამერიკული მიმართულებით ეს ტექნიკა მოიცავს არა ზემოდან ქვემოთ მიზნების დასახვას, არამედ თანამშრომლებთან ერთად მიღებულ გადაწყვეტილებას, რითაც დაკავშირებულია კოოპერატიულ და ადგილობრივ სტილებთან.

მიზნების მართვის ტექნიკა შედგება შემდეგი ეტაპებისგან: მიზნების განხილვის ეტაპი; მიზნების დასმა; მიზნების განხორციელების დრო; შედეგების შეფასება

1.4.4. დელეგირებით მართვა

ამ ტექნიკით მმართველი თანამშრომლებს აძლევს გარკვეულ დავალებებს, ამოცანები და მიზნები არის ნათელი და გასაგები პერსონალისთვის; დავალებები გადანაწილებულია და პერსონალმა იცის რა უნდა გააკეთოს, რა არის თითოეულის კომპეტენცია და ხომ არ აღემატება მათ ძალებს. პერსონალს აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებაც. მმართველი აკონტროლებს სამუშაო შედეგებს.

არსებობს პერმანენტული დელეგირება: საერთო გეგმის თანახმად, ყველა დავალება ნაწილებდა თანამშრომლებზე, განისაზღვრება სამუშაო ადგილები და ა.შ. ამ ტექნიკას ყველაზე კარგად „ჰარცბურგის მოდელი“ და რ. ჰოლნი ასახავს. თანამშრომლებს და მმართველს არ შეუძლიათ წესრიგში ცვლილებების შეტანა. ასე წარმოიქმნება მკაცრად ფიქსირებული ფუნქციები. ორგანიზაცია იძენს მართვადობას.

„Ad hoc” დელეგირება (ნ. გარდინერი, ჯ.დევისის მიხედვით): ვინაიდან ყველა დავალება ხანგრძლივ პერიოდზე არის გაწერილი, აუცილებელი ხდება სხვადასხვა საკითხების დამატებით დელეგირება. ასეთი საკითხებია: მოულოდნელად ახალი პროექტების გამოჩენა, გარკვეული თანამშრომლების ჩართულობის აუცილებლობა, შემსრულებლის დროებითი შეცვლა, კარიერის განვითარება. ამ მხრივ პერსონალი მეტად

ორიენტირებულია მის მოვალეობებზე და ჩარჩოებზე. მმართველმა უნდა იმუშავოს თანამშრომლების მოტივაციაზე.

1.4.5 ხელმძღვანელობა გამონაკლის შემთხვევებში ჩარევით

ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ორგანიზაციაში განაწილებულია საფეხურობრივად. ზედა საფეხური ორიენტირებულია იმ საკითხების გადაწყვეტაზე, რომელიც ვერ წყდება ქვედა საფეხურზე. მაგალითად, ცენტრალურ მმართველობით ორგანოსა და სხვადასხვა განყოფილებებს შორის ურთერთობების ჩამოყალიბებისას, რათა თავიდან იყოს აცილებული ძლიერი ცენტრალიზაციის ტენდენცია; ერთ ორგანიზაციაში სხვადასხვა მმართველობის დონის არსებობისას; შტაბური და ხაზობრივი განყოფილებების ურთერთობების მოგვარებისას; მმართველის და თანამშრომლების ურთიერთობის დროს.

ამ მეთოდის მიხედვით ორგანიზაციის ყოველი საფეხური დაკავებულია იმ საკითხის გადაწყვეტით, რომელსაც წინა საფეხური ვერ გაუმკლავდა, რაც პასუხიმგებლობის გადანაწილებისთვის ეფექტურია. თუმცა შესაძლოა ბოლო საფეხური რომელიც ტოპ-მენეჯმენტს უკავია, გააქტიურდეს მხოლოდ პრობლემის გადაჭრისას, რითაც თანამშრომლებში არასათანადო დაფასების ეჭვი ჩნდება.

1.4.6 შედეგზე ორიენტირებული მმართველობა

ტექნიკა ორიენტირებულია ორგანიზაციის ეკონომიკურ ფუნქციებზე, ორგანიზაციის და მოგების ზრდაზე, მიზნებსა და დავალებებზე ფოკუსირებაზე.

ამ ტექნიკის მიხედვით კონცენტრირება ხდება ბაზრის კვლევაზე, მოგების რელევანტობაზე, ორგანიზაციის ღირებულებების გამოკვეთაზე, პასუხისმგებლობების გადანაწილებასა და

კონტროლზე.

1.4.7 სისტემური მმართველობით ხელმძღვანელობა

ამ ტექნიკის მიხედვით მმართველი ორიენტირებულია მიზნების დასახვაზე, გადაწყვეტილებების მიღებაზე, გადაწყვეტილების შესრულებაზე, აკონტროლებს პროცესებს, აქვს წინასწარ განსაზღვრული შედეგები, შესაბამისად ორიენტირებულია დაგეგმვის, მართვის, კონტროლის ურთიერთინტეგრირებაზე. ტექნიკის მიხედვით თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია თავის სამუშაო ნაწილზე და ჩარჩოზე. ორგანიზაციის ყველა ასპექტი სტრუქტურირებული და მართვადია.

1.4.8. მმართველობის მოდელის შეცვლის შედეგები

მმართველობა საკმაოდ მრავალასპექტიანია, ამ ტექნიკის მიხედვით მმართველი ორიენტირებული უნდა იყოს გაანალიზოს რომელ ასპექტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ გააუმჯობესოს ორგანიზაცია და მმართველობა. მმართველმა უნდა აღმოაჩინოს ორგანიზაციის სუსტი ადგილი, რომელსაც სჭირდება განვითარება და ასე გადავიდეს შემდეგ სუსტი რგოლის განვითარებაზე, რაც ფაქტიურად ხელმძღვანელს მმართველობის ყველა პროცესის განვითარებაში რთავს. „მენეჯმენტ-ფილოსოფია, მართვის ტექნიკები და მმართველობის სტილი ერთად ქმნიან მმართველობის კოჰერენტურ კონცეფციას, რომელიც შინაგანი წინააღმდეგობისგან არის თავისუფალი.“ მმართველმა თანამშრომლებთან ერთად უნდა შეაფასოს დღევანდელი მმართველობა, რა პრობლემები აქვს დღეს და იმსჯელონ თუ როგორ შეიძლება მისი გამოსწორება. ხოლო მმართველობის მოდელის ნებისმიერი ცვლილება ორგანიზაციის სტრატეგიასთან თანამიმდრევობაში უნდა იყოს.

1.5 მმართველის ძალაუფლება, გავლენა, ლიდერობა

ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობა ხელმძღვანელობის სწორი ფორმების შერჩევა და გამოყენებაა. ხელმძღვანელობა ეყრდნობა ძალაუფლებასა და ხელმძღვანელის პირად თვისებებს.

ადამიანები სხვადასხვა პირადი თვისებებით ხასიათდებიან. არიან წყნარი, ემოციური, სერიოზული, მხიარული და სიცოცხლით სავსე, იმპულსური და კიდევ მრავალი სხვა თვისებების მქონე. ადამიანთა ეს თვისებები უდიდეს გავლენას ახდენენ ხელმძღვანელობის სტილზე. ხელმძღვანელობის ფორმების შერჩევა და შესაბამისად ხელმძღვანელობის შედეგები აღნიშნული თვისებებით არის განპირობებული.

მმართველის ძალაუფლება პერსონალის ქცევაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობაა. გავლენაში იგულისხმება მმართველის ქმედება, რომელიც იწვევს ცვლილებებს პერსონალის ქცევაში, შეგრძნებებში, ურთიერთობებში და სხვა.

ძალაუფლება და გავლენა ის საშუალებებია, რომელთაც მენეჯერი იყენებს კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად. თუ მენჯერი არ ფლობს თანამშრომლებზე ზემოქმედებისათვის საკმარის ძალაუფლებას, ის ვერ შეძლებს მათ წარმართვას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ძალაუფლება ორგანიზაციათა წარმატებით ფუნქციონირების აუცილებლი პირობაა, თუმცა ზოგჯერ ის არასწორად გამოიყენება.

მენეჯერთა ძალაუფლებას თანამშრომლებზე განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ისინი მასზე დამოკიდებულნი არიან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ხელფასის მომატება, სამსახურში დაწინაურება, უფლებამოსილებათა გაფართოება, სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სხვა. ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ხელმძღვანელობაზე თანამშრომლების გავლენას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მოპოვების, სხვა ქვედანაყოფების თანამშრომლებთან არაფორმალური კონტაქტების დამყარების, დავალებების

შესრულებისას. ძალაუფლება და გავლენა ერთნაირად არის დამოკიდებული მენეჯერის

უნარზე, სიტუაციაზე და იმ პიროვნებაზე, რომლის მიმართაც გავლენის მოხდენის სურვილი ჩნდება.

მმართველი პერსონალზე ზემოქმედებისათვის იყენებს იძულებას, წახალისებას, ტრადიციებს, ავტორიტეტს. ამის შესაბამისად განასხვავებენ მმართველის ძალაუფლების შემდეგ ფორმებს:

1) ძალაუფლება, დამყარებული იძულებაზე;
2) ძალაუფლება, დამყარებული წახალისებაზე;
3) ძალაუფლება, დამყარებული ტრადიციებზე;
4) პიროვნების ავტორიტეტზე დამყარებული ძალაუფლება.

იძულებაზე დამყარებული ძალაუფლების საფუძველი არის რაიმეს დაკარგვის შიში, რომელიც აიძულებს თანამშრომლებს იმოქმედონ მმართველის მითითების შესაბამისად.

შიშზე დამყარებული იძულების პირობებში აუცილებელია კონტროლის ეფექტიანი სისტემის შემოღება, რაც ძალიან ძნელდება იმის გამო, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანებზე ძლიერდება ორგანიზაციის მმართველის მხრიდან შეგნებულად მოტყუების მისწრაფება.

ადამიანებზე გავლენის მოხდენის ძველი და ხშირად ყველაზე ეფექტიანი ხერხია წახალისება, რომელიც დადებით განწყობას ქმნის ხელქვეითებში.

გავლენის მოხდენის ყველაზე უფრო გავრცელებული ინსტრუმენტი ისტორიულად ტრადიციაა. ეს ფორმა ქმედითია მხოლოდ იმ პირობებში, როცა ტრადიცია, კულტურის ნორმები ასწავლიან ადამიანებს, რომ სასურველი ქცევაა ხელმძღვანელობისადმი დამორჩილება. ათასწლეულების მანძილზე, ტრადიცია აიძულებდა ადამიანებს დამორჩილებოდნენ მას, ვისაც ეკავა განსაზღვრული თანამდებობა. იშვიათად თუ ვინმეს მოუვიდოდა თავში აზრად ან ეყოფოდა გამბედაობა, წინააღმდეგობა გაეწია პოლიციის მუშაკების ბრძანებისათვის. შესაძლებლობა - წაახალისო და დასაჯო ადამიანები აძლიერებს ხელმძღვანელის უფლებამოსილებას, გასცეს ბრძანება.

ხელმძღვანელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლიდერობის მექანიზმსაც. ლიდერი თანამშრომლებს უქმნის მომავლის ხედვას და შთააგონებს მათ, მოტივაციას უქმნის რომ ჩაერთონ მიზნის მისაღწევად, მაგალითს აძლევს და თვითონვე გუნდის წევრი მიზნისკენ სავალ სრულ გზაზე. ლიდერობაში იგულისხმება ცალკეულ პიროვნებებსა და ჯგუფებზე გავლენის მოხდენის უნარი, რომელიც უზრუნველყოფს მათი ძალისხმევის წარმართვას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. თუ ლიდერობის უნარი მენეჯერებს სათანადოდ არა აქვთ განვითარებული, ისინი ვერ შეძლებენ ორგანიზაციის ეფექტიან მართვას. ლიდერები არიან კომუნიკაბეულერები, შრომისმოყვარეები, აქვთ აღქმის და გაგების უნარი, თავიანთი გადაწყვეტილების დამცველები, მჭერმეტყველები და ჭკვიანები.

ლიდერი შეიძლება იყოს ქარიზმატული, გამორჩეული ჯგუფისგან და სხვა თანამშრომლებისგან, ნდობით აღჭურვილი, აღქმული როგორც ზებუნებრივი ძალის მქონე პერსონა ; შესაძლოა იყოს ტრანსფორმაციული - ამ ტიპის ლიდერი თანამშრომლებს შთააგონებს ორგანიზაციის კეთილდღეობა დააყენონ წინ და ამჯობინონ თავიანთ ინტერესებს.

ეფექტური მართვა ლიდერობის უნარის მქონე მმართველს გამოსდის, რამეთუ მას გააჩნია ქარიზმა და იდეები, შეუძლია თავისი აზრის გამოვლენა, შთაგონების აღძრვა თანამშრომლებში და მისი იდეის განხორციელება.

თავი II- კვლევის აღწერა

2.1 კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების აღწერა

კვლევის ჩასატარებლად შერჩეული იქნა 8 მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცია. ორგანიზაციების მინიმალური ზომა შეადგენს 5 თანამშრომელს, მაქსიმალური 136-ს. არის როგორც კერძო ასევე საჯარო კომპანიები. ორგანიზაციების ძირითადი მახასიათებლები - თითქმის ყველა მომსახურების სფეროშია და ძირიტადად არის პიონერულ ან პიონერულიდან დიფერენციაციის ფაზაში გარდამავალი. მინიმალური ხაგრძლივობა ბაზარზე არსებობის - 3 წელი.

ორგანიზაცია I

მოღვაწეობს ტურიზმის სფეროში. სულ შედგება 5 წევრისგან . არსებობს 3 წელი .

ორგანიზაცია II

ასევე მოღვაწეობს ტურიზმის სფეროში. შედგება 7 წევრისგან. არსებობს 3 წელი.

ორგანიზაცია III

მოღვაწეობს სამედიცინო სფეროში. შედგება 107 თანამშრომლისგან. აქვს რამდენიმე დეპარტამენტი. ბაზარზე მოღვაწეობს 12 წლის განმავლობაში.

ორგანიზაცია IV

მოღვაწეობს სამედიცინო სფეროში. შედგება 56 თანამშრომლისგან. აქვს რამდენიმე დეპარტამენტი. ბაზარზე მოღვაწეობს 7 წლის განმავლობაში.

ორგანიზაცია V

მოღვაწობს საგანმანათლებლო სფეროში. შედგება 136 თანამშრომლისგან. აქვს რამდენიმე დეპარტამენტი. ბაზარზე მოღვაწეობს 5 წლის განმავლობაში.

ორგანიზაცია VI

მოღვაწეობს კომპიუტერული სისტემის სფეროში. შედგება 48 თანამშრომლისგან. აქვს რამდნეიმე დეპარტამენტი. ბაზარზე მოღვაწეობს 17 წელი.

ორგანიზაცია VII

მოღვაწეობს საგნმანათლებლო სფეროში. შედგება 15 წევრისგან. ბაზარზეა 5 წლის განმავლობაში.

ორგანიზაცია VIII

მოღვაწეობს მიკრო-საფინანსო სფეროში. ბაზარზეა 6 წელი. შედგება 40 წევრისგან.

2.2 კვლევის მეთოდი და მიზანი

გამოყენებულია რაოდენობრივი ტიპის კვლევა კითხვარის საფუძველზე. კითხვარი შედგენილია დახურული კითხვებისგან, რაც სტატისტიკური ანალიზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. სამიზნე ჯგუფი - მმართველს დაქვემდებარებული თანამშრომლები, კვლევაში ჩაერთვნენ შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე. სულ გამოიკითხა 200 დასაქმებული, მმართველს დაქვემდებარებული თანამშრომელი. გამოკითხვა იყო ანონიმური. კითხვარის შევსებისთვის საჭირო იყო 10-15 წუთი.

2.3 კვლევის პროცესი და მიღებული შედეგები

კითხვარში მოცემული იყო 14 კითხვა.

პირველ კითხვაზე კვლევაში მონაწილე პირებს უნდა შეეფასებინათ, რამდენად მონაწილეობენ თავიანთი სამუშაო გეგმის შედგენაში თვითონ, მათი კოლეგები, მათდამი დაქვემდებარებული პირები, მათი უშუალო ხელმძღვანელობა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, სხვები.



შედეგად, 39.8%-ით ლიდერობს საკუთარი თავის მონაწილეობა პირადი სამუშაო გეგმების (ნორმების) შედგენაში, შემდეგ მოდის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა 26,5%, შემდეგ უშუალო ხელმძღვანელობა 17.8%-ით, 8.2%-ით გამოკითხულთა კოლეგები, 4,5% - სხვა დანარჩენ ფაქტორებს უკავია, ხოლო ბოლო ადგილზე 3,3%-ით არის გამოკითხულთა დაქვემდებარებული პირები.

მეორე კითხვაზე გამოკითხულ პირებს უნდა შეეფასებინათ ეს პირები რამდენად უფლებამოსილნი იყვნენ, რამდენად საჭირო იყო ამ პირების მონაწილეობა გამოკითხული პირის სამუშაო გეგმის შედგენაში.



შედეგად, კვლევაში მონაწილე პირთა პასუხებიდან 40.2%-ით ლიდერობს საკუთარი თავი, თითქმის ერთ დონეზე არის უშუალო და ორგანიზაციის ხელმძღვანელობა: 24.9%-ით უშუალო ხელმძღვანელობა, 23,8 %-ით ორგანიზაციის ხელძღვანელობა, 7,3 % კოლეგებს უკავია ხოლო დაქვემდებარებულ პირებს 2.1%, სხვებზე მოდის 1.7%.

მესამე კითხვაში მონაწილებ პირებს უნდა გამოევლინათ თუ რამდენად შეუძლიათ მისი გუნდში მიმდინარე პროცესებზე გადაწყვეტილებს მიმღებ პირზე ან ჯგუფზე გავლენის მოხდენა.



გამოკითხულთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 45%-ით პირველი ადგილი დაიკავა პასუხმა „ვახდენ საკმაო გავლენას“, 25%-ით პასუხი „შემიძლია მოვახდინო უმნიშვნელო გავლენა“ მეორე ადგილზეა, მას მოჰყვება პასუხი „ვახდენ დიდ გავლენას“ 16,7%-ით, ხოლო უერთიერთსაწინააღმდეგო პოლუსების პასუხებმა „მე თითქმის არავითარი გავლენის მოხდენა არ შემიძლია „ და „ვახდენ ძალზე დიდ გავლენას“ თანაბარი 6,7-6,7% მიიღო.

მეოთხე კითხვაზე ინტერვიუერებს უნდა გაეცათ პასუხი თუ რამდენად მოსწონთ მათ თავიანთი ამჟამინდელი სამუშაო .



ხმათა 40% პირველ ადგილზე გავიდა პასუხი " მომწონს", თანამშრომლების 30% -ს კი ძალიან მოსწონს მისი სამუშაო, 25% ნეიტრალურ განწყობას იკავებს, 3.3%-ს არ მოსწონს და მხოლოდ 1,7%-ს აქვს უკიდურესი ნეიტრალური განწყობა და არ მოსწონს ძალიან.

მეხუთეს კითხვაზე ინტერვიუერებს უნდა ეჩვენებინათ თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ თავიანთი ამჟამინდელი სამუშაო.



ხმათა გადანაწილება ასე მოხდა: თანაბარი ხმები 31,7-31.7% აიღეს „ძალიან მნიშვნელოვანია“ და „აქვს დიდი მნიშვნელობა“ პასუხებმა, 30%-ს კი მიაჩნია რომ გარკვეული მნიშვნელოვა აქვს ამჟამინდელ სამუშაოს, მხოლოდ 5% თვლის ნაკლებ მნიშვნელოვნად და 1,7% კი სავსებით უმნიშვნელოდ.

მეექვსე კითხვით ირკვევა თუ რამდენად მნიშვნელოვანია რესპოდენტების პირადი წვლილი, იმ საქმეში რომელსაც მათი ჯგუფი აკეთებს.



მიღებული პასუხების მიხედვით, ყველაზე მაღალი შეფასება 38,3% მიღებული აქვს პასუხს „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“, 33,3%-ისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის წვლილს ჯგუფის საქმეში, 25%-ისთვის საკმაო მნიშვნელობა აქვს, ხოლო პასუხებს „სავსებით უმნიშვნელობა“ და „აქვს მცირე მნიშვნელობა“ 1,7-1,7% აქვს მიღებული.

მეშვიდე კითხვაზე მათი მოთხოვნილებებისთვის სამსახურთან მიმართებაში უნდა მიეთითებინათ თუ რა მნიშნელობას მიანიჭებდნენ.



თანამშრომლებისთვის სამსახურის შერჩევისას გაითვალისწინონ მათი ცოდნის გამოყენების საშუალება ძალიან დიდი მნიშვნელობის აღმოჩნდა და ხმების 60% მიიღო, 26,7%-მა კი დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, 13,3%-მა კი საკმაო მნიშვნელობა.

კრიტერიუმს ჰქონდეთ მისაღები ხელფასი ძალიან დიდი მნიშვნელობა რესპოდენტთა 53,3%-მა მიანიჭა, ხოლო დიდი მნიშვნელობა 36,7%-მა, 10%-მა კი საკმაო მნიშვნელობა.

სამსახურში დაწინაურების კრიტერიუმს რესპოდენტთა 33,3%-მა ძალიან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, დიდი მნიშვნელობა 28,3%-მა, საკმაო მნიშვნელობა 15%-მა, მცირე მნიშვნელობა 15%-მა, არავითარი მნიშვნელობა მიანიჭა 8,3%-მა.

ვიმუშავო საქმის მცოდნე ერუდირებულ კოლეგებთან ერთად 76,7%-მა ძალიან დიდი მნიშვნელოვნად მიიჩნია, პასუხებმა „დიდი მნიშვნელობა“ და „საკმაო მნიშნელობა“ ხმების თანაბარი 10-10% მიიღეს, ხმების 3,3% მიიღო პასუხმა „არავითარი მნიშვნელობა“.

კრიტერიუმზე „შევიქმნა სასურველი პროფესიული რეპუტაცია“ - 60% მიიღო პასუხმა „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“, 23,3%- „დიდი მნიშნელობა აქვს“, 13,3% - საკმაო მნიშვნელობა აქვს, 3,3% - არავითარი მნიშვნელობა აქვს.

კრიტერიუმზე „ვიმუშავო რთულ და საინტერესო საკითხებზე“ – 33,3%-ისთვის ძალიან დიდი მნიშნელობა აქვს, 35%-ისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, 23,3%-ისთვის საკმაო მნიშვნელობა აქვს, 5%-ისთვის მცირე მნიშვნელობა აქვს, 3,3%-ისთვის არავითარი მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ კითხვაში რესპოდენტებს უნდა ეპასუხათ რამდენად აძლევდა ამ მოთხოვნილებებს ამჟამინდელი სამუშაო.



ცოდნის გამოყენების საშუალებას რესპოდენტთა 31,7%-ს სრულად აძლევს თავისი სამსახური, 35%-ს საკმაო შესაძლებლობას აძლევს, 26,7%-ს მცირე შესაძლებლობას, 6,7%-ს არ აძლევს ამის შესაძლებლობას.

მისაღებ ხელფასის სრულ შესაძლებლობას რესპოდენტთა 10% იღებს თავიანთი სამსახურებისგან, 35% -ს საკმაო შესაძლებლობას აძლევს, 35%-ს მცირე შესაძლებლობას, 20%-ს არ აძლევს ამის შესაძლებლობას.

სამსახურში დაწინაურების სრულ შესაძლებლობას იღებს 6,7%, საკმაო შესაძლებლობას 33,3%, მცირე შესაძლებლობას 38,3 %, არავითარ შესაძლებლობას - 21,7%.

საქმის მცოდნე, ერუდირებულ კოლეგებთან მუშაობის სრულ შესაძლებლობას სამსახურისგან იღებს 21,7%, საკმაო შესაძლებლობას -45%, მცირე შესაძლებლობას - 25%, არავითარ შესაძლებლობას 8,3%.

სასურველი პროფესიული რეპუტაციის შექმნის სრულ შესაძლებლობას სამსახურისგან იღებს 26,7%, საკმაო შესაძლებლობას - 36,7%, მცირე შესაძლებლობას 23,3%, არავითარ შესაძლებლობას -13,3%.

რთულ და საინტერესო საკითხებზე მუშაობის სრულ შესაძლებლობას გამოკითხულთა 23,3 % იღებს, საკმაო შესაძლებლობას 36,7%, მცირე შესაძლებლობას 20%, არავითარ შესაძლებლობას 20%.

შემდეგ კითხვაზე რესპოდენტებს მმართველის მოცემული ორი დახასიათებიდან უნდა შეერჩიათ რომელი შეესაბამება მათ უშუალო მმართველს.



51,7%-ს მიაჩნია, რომ მათ უშუალო ხელმძღვანელს უფრო ადამიანები აინტერესებს, ვიდრე პროდუქცია, როცა ადამიანები გრძნობენ, რომ მათი პირადი პრობლემებით ინტერესდებიან, ისინი ყველაფერს გააკეთებენ პროდუქტიულობის მისაღწევად.

48,3%-ს კი მიაჩნია რომ მათი უშუალო ხელმძღვანელისთვის ადამიანთან პირადი პრობლემებით დაინტერესება კარგი საქმება, თუმცა მას ეს ზედმეტად მიაჩნია და მისთვის მნიშვნელოვანია პროდუქცია/ წარმოება, ხოლო როცა ეს მხარე უზრუნველყოფილია, შეიძლება გამონახოს დრო და დაინტერესდეს დაქვემდებარებულთა პირადი პრობლემებით.

შემდეგ კითხვაში რეპსოდენტებს უნდა მიეთითებინათ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ხელმძღვანელის ფუნქციები.



შრომის განაწილება და წესრიგის დამყარება რესპოდენტთა 71,7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 21.7%-მა მნიშვნელოვნად , 3.3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 3.3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

ჯგუფის მომარაგება საჭირო და ტექნიკური მასალებით რესპოდენტთა 68,3%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 21.7%-მა მნიშვნელოვნად , 6.7%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 3.3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

სტანდარტების დაწესება და შესასრულებელი მიზნების დასახვა რესპოდენტთა 63.3%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 25%-მა მნიშვნელოვნად, 8.3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 1.7%-მა უმნიშვნელოდ, 1.7%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

შესრულებული სამუშაოს კონტროლი რესპოდენტთა 71,7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 26.7%-მა მნიშვნელოვნად , 1.7%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად.

წამახალისებელი აქტივობების ორგანიზება ან რეკომენდაციის მიწოდება (პრემიები და სხვა) რესპოდენტთა 56,7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 33.3%-მა მნიშვნელოვნად , 3,3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 3.3%-მა უმნიშვნელოდა და ასევე 3,3%-მა სრულიან უმნიშვნელოდ მიიჩნია.

თანამშრომელთა აზრის მოსმენა და მხედველობაში მიღება რესპოდენტთა 63,3%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 31.7%-მა მნიშვნელოვნად, 3.3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 1.7%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევების სისტემურად გაცნობა რესპოდენტთა 50%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 33.3%-მა მნიშვნელოვნად, 11.7%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 1.7%-მა უმნიშვნელოდ ხოლო 3,3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

თანამშრომლების კეთილდღეობაზე ზრუნვა რესპოდენტთა 61.7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 23.3%-მა მნიშვნელოვნად, 10%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 1.7%-მა უმნიშვნელოდ ხოლო 3,3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

თითოეული თანამშრომლის კვალიფიციურობის ამაღლებაზე ზრუნვა რესპოდენტთა 61.7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 26.7%-მა მნიშვნელოვნად, 3.3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 5%-მა უმნიშვნელოდ ხოლო 3,3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

ამის შემდეგ კი რესპოდენტებს უნდა ეპასუხათ, ამ ფუნქციებდან რომელ ფუნქციებს ასრულებდა მათი ხელმძღვანელი ეფექტურად.



ხელმძღვანელების მიერ საქმის განაწილებამ და წესრიგის დამყარების ეფექტურად შესრულებამ ხმების 58,3% მიიღო, ჯგუფის მომარაგებამ საჭირო მასალით და ტექნიკური საშუალებებით ხმების 50%, შესრულებული სამუშაოს კონტროლმა 75%, სტანდარტების დაწესებამ და მიზნების დასახვის ეფექტურმა შესრულებამ ხმების 38.3 % მიიღო, თანამშრომელთა სამოტივაციო წამახალისებელი აქტივობების (პრემიები და სხვა) ეფექტურად უზრუნველყოფამ ხმების 31.7% მიიღო; თანამშრომლების მოსმენამ და მათი პრობლემების, საკითხების მხედველობაში მიღების ეფექტურად განხორციელებამ ხმების 31.7% მიიღო; თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევების სისტემურად გაცნობის ეფექტურად განხორციელებამ ხმების 51.7% მიიღო;

თანამშრომელთა კეთილდღეობის ზრუნვამ - 33.3%, ხოლო თითოეული თანამშრომლის კვალიფიკაციაზე ზრუნვამ - 23.3%.

შემდეგ ეტაპზე რესპოდენტებს უნდა შეეფასებინათ, სამუშაო პროცესში მოეთხოვებათ თუ არა იმაზე მეტის შესრულება, ვიდრე მათ გონივრულად მიანჩნდათ.



გამოკითხულთა 38.3% სულ არ გრძნობდ, რომ სთხოვენ იმუშავოს იმეტი, ვიდრე გონივრულად მიაჩნია. 28.3% გრძნობს, რომ სთხოვონ იმუშავონ ცოტათი მეტი, ვიდრე გონივრულად მიაჩნიათ; 18.3%-ს მიაჩნია, რომ სთხოვენ იმუშაონ საკმაოდ მეტი, ვიდრე გონივრულად მიაჩნიათ; ხოლო გამოკითხულთა 15% გრძნობს რომ სთხოვენ იმუშავონ გაცილებით მეტი, ვიდრე გონივრულად მიაჩნიათ.

შემდეგ ეტაპზე რესპოდენტებს ორი საპირისპირო პოლუსების მმართველის მახასიათებლებს შორის უნდა მოენიშნათ 1-დან 7 ქულამდე (სადაც 1 ყველაზე დადებითია, ხოლო 7 - უარყოფითი) რომელი შეესაბამებოდა მათ ხელმძღვანელს.

სასიამოვნოდან არასასიამოვნომდე გრადაცია ასე შეფასდა: ხელმძღვანელს ყველაზე დადებითი - 1 ქულა მიანიჭა 51,7%-მა, 2 ქულა - 10%-მა, 3 ქულა-13.3%-მა, 4 ქულა - 15%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -1.7%-მა, ხოლო ყველაზე უარყოფითი 7 ქულა - 3.3%-მა.

სამართლიანიდან არასამართლიანამდე გრადაცია ასე შეფასდა: ხელმძღვანელს ყველაზე დადებითი - 1 ქულა მიანიჭა 43.3%-მა, 2 ქულა - 15%-მა, 3 ქულა-15%-მა, 4 ქულა - 11.7%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -10%-მა, ხოლო ყველაზე უარყოფითი 7 ქულით არცერთ რესპოდენტს არ შეუფასებია მისი ხელმძღვანელი.

კეთილიდან ბოროტამდე კი ასე განადაწილდა ქულები: ხელმძღვანელს ყველაზე დადებითი - 1 ქულა მიანიჭა 51.7%-მა, 2 ქულა - 13.3%-მა, 3 ქულა-6.7%-მა, 4 ქულა - 15%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -8.3%-მა, ხოლო ყველაზე უარყოფითი 7 ქულით არცერთ რესპოდენტს არ შეუფასებია მისი ხელმძღვანელი.

კვალიფიციურიდან არაკვალიფიციურამდე კი ასე განადაწილდა ქულები: ხელმძღვანელს ყველაზე დადებითი - 1 ქულა მიანიჭა 53.3%-მა, 2 ქულა - 8.3%-მა, 3 ქულა-10%-მა, 4 ქულა - 15%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -5%-მა, ხოლო ყველაზე უარყოფითი 7 ქულით 3.3%-მა შეაფასა.

ძლიერიდან სუსტამდე გრადაცია კი ასე გამოიყურება: ხელმძღვანელი ყველაზე ძლიერად მიიჩნია და 1 ქულა მიანიჭა 48.3%-მა, 2 ქულა - 10%-მა, 3 ქულა-16.7%-მა, 4 ქულა - 8.3%-მა, 5 ქულა - 11.7%-მა, 6 ქულა -3.3%-მა, ხოლო 1.7% მიიჩნევს რომ მათი ხელმძღვანელი ძალიან სუსტია და 7 ქულით შეაფასა.

ხელმძღვანელი ძალიან მკაცრად მიიჩნია და 1 ქულა მიანიჭა რესპოდენტთა 15%-მა, 2 ქულა მიანიჭა - 6.7%-მა, 3 ქულა-20%-მა, 4 ქულა - 21.7%-მა, 5 ქულა - 15%-მა, 6 ქულა -10%-მა, ხოლო 11.7% მიიჩნევს რომ მათი ხელმძღვანელი ძალიან ლმობიერია და 7 ქულით შეაფასა.

ხელმძღვანელი ძალიან აქტიურად მიიჩნია და 1 ქულა მიანიჭა რესპოდენტთა 43.3%-მა, 2 ქულა მიანიჭა - 11.7%-მა, 3 ქულა-18.3%-მა, 4 ქულა - 10%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -8.3%-მა, ხოლო 3.3% მიიჩნევს რომ მათი ხელმძღვანელი ძალიან პასიურია და 7 ქულით შეაფასა.

ხელმძღვანელი ძალიან დინამიურად მიიჩნია და 1 ქულა მიანიჭა რესპოდენტთა 25%-მა, 2 ქულა მიანიჭა - 15%-მა, 3 ქულა-15%-მა, 4 ქულა - 16.7%-მა, 5 ქულა - 6.7%-მა, 6 ქულა -6.7%-მა, ხოლო 5% მიიჩნევს რომ მათი ხელმძღვანელი ძალიან სტატიკურია და 7 ქულით შეაფასა.

თავი III- დასკვნა

მიღებულმა შედეგების მიხედვით იკვეთება ტენდენცია, რომ სტანდარტული მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციის თანამშრომლის სურვილი - მაქსიმალურად იყოს ჩართული თავისი სამუშაო გეგმის შედგენაში და რეალობა სრულ თანხვედრაშია. ანუ თანამშრომელი აქვს უფლებამოსილება გამოთქვას მისი აზრი და შეიტანოს მისი წვლილი. მისი სამუშაო არ შედგება ხელმძღვანელის ბრძანების უპირობო შესურლებისგან, სადაც მას აზრის გამოთქმის საშუალება არ აქვს. ასევე არ მოდის წინააღმდეგობაში ხელმძღვანელის ჩართულობის საჭიროება თანამშრომლის სამუშაო გეგმის შედგენისას და რეალური ჩართულობის დონე.

იკვეთება ტენდენცია რომ მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციების თანამშრომელი გვევლინება ძალად, რომელსაც შეუძლია გარკვეული გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღებაზე. მას არ აქვს გადამწყვეტი ძალა, თუმცა თავისი სიტყვა, აზრი და შეხედულების წარდგენაში შეზღუდული არ არის. ანუ შეხება გვაქვს არა ავტოკრატიულ ან სხვა ტიპის მართველობასთან არამედ მართვის დემოკრატიულ სტილთან.

კვლევის შედეგების მიხედვით, თანამშრომელს ზიზღი კი არ აქვს თავისი სამსახურის მიმართ და მისგან გაუცხოებულია და გაქცევა სურს, არამედ დადებითად არის განწყობილი მოსწონს მისი ამჟამინდელი სამუშაო. ასევე ის მუშაობს, არამხოლოდ იმისთვის რომ უნდა იმუშაობს შაბლონურად, არამედ მისთვის მნიშვნელოვანია ეს სამსახური და მისი საქმიანობა ორგანიზაციაში. მას გააზრებული აქვს ორგანიზაციის მიზანი და ამ მიზნისკენ მისი მონაწილეობის მნიშვნელობა; რატომ აკეთებს ამა თუ იმ დავალებას მისი კომპეტენციის ფარგლებში.

გამოკითხულთა შეფასებებით დღევანდელი მმართველის დახასიათებიდან პირველ სამეულს საქმის განაწილება, წესრიგის დამყარება, შესრულებული სამუშაოს კონტროლი, თანამშრომელთა სამოტივაციო წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა,

თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევების შესახებ

ინფორმაციის სისტემურად მიწოდება წარმოადგენს. 50%-ზე მეტი შეფასებების მიხედვით მმართველი არის სასიამოვნო, სამართლიანი, კეთილი, კვალიფიციური. ის თავს წარმოადგენს როგორც კონკრეტული ჯგუფის წევრი, ქმნის სასიამოვნო სამუშაო გარემოს, თანამშრომლებს შეუძლიათ საქმის გადანაწილება და კმაყოფილნი არიან თავიანთი ჯგუფის წევრობით.

კვლევის შედეგებით, იკვეთება ტენდენცია, რომ ამჟამინდელი ორგანიზაციები თანამშრომლის მოთხოვნილებებს მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებენ. მოთხოვნილებების ძირითადი ნაწილი როგორიცაა ცოდნის გამოყენება, სასურველი პროფესიული რეპუტაციის შექმნა და მასთან დაკავშირებული საკითხებზე ორგანიზაცია თანამშრომლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თანხვედრაშია.

რაც მიგვითითებს მმართველის მიერ დელეგირებით მართვის ტექნიკით სარგებლობაზე. ამოცანები და მიზნები არის ნათელი და გასაგები პერსონალისთვის; დავალებები გადანაწილებულია და პერსონალმა იცის რა უნდა გააკეთოს, რა არის თითოეულის კომპეტენცია და ხომ არ აღემატება მათ ძალებს. პერსონალს აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებაც. მმართველი აკონტროლებს სამუშაო შედეგებს. ასევე ხდება სხვადასხვა საკითხების დამატებით დელეგირება.: გარკვეული თანამშრომლების ჩართულობის აუცილებლობა, შემსრულებლის დროებითი შეცვლა, კარიერის განვითარება. ამ მხრივ პერსონალი მეტად ორიენტირებულია მის მოვალეობებზე და ჩარჩოებზე. მმართველი მუშაობს თანამშრომლების მოტივაციაზე.

შედეგად კვლევა კვეთას ტენდენციას, რომ მცირე და საშუალო ზომის ქართულ ორგანიზაციებში ძირითადი მმართველობის სტილი დემოკრატიული სტილია, დუგლას მაკრეგორის მართველობის სტილის Y თეორიის მიხედვით მმართველი ყურადღებიანი და მეგობრულია საკუთარი თანამშრომლების მიმართ, ორიენტირებულია თანამშრომლების წახალისებაზე, მათგან ინიციატივების მიღებაზე, მათი შესაძლებლობების წარმოჩენაზე და

ჩართულობაზე ორგანიზაციის ზრდასა და წინსვლაში. მმართველი თანამშრომლებისგან დამოუკიდებლად არ იღებს გადაწყვეტილებებს. ქმნის ჯგუფებს და თვითონაც

განიხილავენ თავიანთ თავს როგორც ამ ჯგუფის/ ჯგუფების წევრად. მათი თანამშრომლები მონდომებულნი არიან ამ სამსახურში მუშაობისთვის, არ გაურბიან პასუხისგმებლობას და არ არიან ინერტული ორგანიზაციის განვითარების და ცხოვრების მიმართ.

ბიბლიოგრაფია

Daft Richard L. Organizational Theory and Design. South-Western Cengage Learning, 2013

Glasl, F., & Livegoed, B. (2004). Dynamische Unternehmens-Entwiklung. (R. Tschiren, Ed.)

Richard L.Daft (2015) . Management

Robert Bolton (1984). Social Style /Management style

Ronny Behr, (2016). Management styles, management techniques and management methods learned easily

Stephen. P. Robbins (2013) Management (12th Edition)

ბაკაშვილი ნ., მესხიშვილი დ., ქადაგიშვილი ლ. „ ორგანიზაციის თეორია“ . უნივერსალი, თბილისი, 2009

შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ. „მენეჯმენტის საფუძველი“ , თბილისი, 2008

https://www.thebalance.com/leadership-definition-2948275 (ნანახია 08.02.18)

http://smallbusiness.chron.com/meaning-business-organization-41925.html (ნანახია 08.02.18)

https://www.thebalance.com/what-is-a-manager-2276096 (ნანახია 08.02.18)

დანართი 1

კვლევის ინსტრუმენტი




თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი პირები რამდენად უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ თქვენი სამუშაო გეგმა? გთხოვთ, აჩვენოთ თქვენი გეგმის შედგენაში დაახლოებით რამდენადაა საჭირო ამ პირთა მონაწილეობა. ჯამმა უნდა მოგვცეს 100%
Assign 100 percents
მე თვითონ
0
100
ჩემი კოლეგები
0
100

ჩემდამი დაქვემდებარებული პირები
0
100
ჩემი უშუალო ხელმძღვანელობა
0
100
ორგანიზაციის ხელმძღვანელობა
0
100
სხვები
0
100

რამდენად შეგიძლიათ გავლენა მოახდინოთ იმ პიროვნებაზე ან ჯგუფებზე, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება თქვენ ჯგუფში მიმდინარე პროცესებზე?

- [ ] მე თითქმის არავითარი გავლენის მოხდენა არ შემიძლია
- [ ] შემიძლია მოვახდინო უმნიშვნელო გავლენა
- [ ] ვახდენა საკმაო გავლენას
- [ ] ვახდენ დიდ გავლენას
- [ ] ვახდენ ძალზე დიდ გავლენას

რამდენად მოგწონთ თქვენი სამუშაო?

- ძალიან მომწონს
- მომწონს
- ნეიტრალური განწყობა მაქვს
- არ მომწონს
- ძალიან არ მომწონს

რამდენად მნიშნელოვნად მიგაჩნიათ თქვენი ამჟამინდელი სამუშაო?

- სავსებით უმნიშვნელოა
- ნაკლებმნიშნელოვანია
- აქვს გარკვეული მნიშვნელობა
- აქვს დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს

თქვენი აზრით, რამდენად მნიშნელოვანია თქვენი პირადი წვლილი იმ საქმეში, რომელსაც თქვენი ჯგუფი აკეთებს?

- სავსებით უმნიშვნელოა
- აქვს მცირე მნიშვნელობა
- აქვს საკმაო მნიშვნელობა
- აქვს დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს

ნებისმიერი სამუშაო იძლევა სხვადასხვა შესაძლებლობებს ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ქვემოთ ჩამოთვლილია ასეთი შესაძლებლობები. თქვენ რომ სამსახურს ეძებდეთ, რა მნიშვნელობას მიანიჭებდით თითოეულ მათგანს?

გამოვიყენო ჩემი ცოდნა

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

მქონდეს მისაღები ხელფასი

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

დამაწინაურონ სამსახურში

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

ვიმუშავო საქმის მცოდნე, ერუდირებულ კოლეგებთან

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

შევიქმნა სასურველი პროფესიული რეპუტაცია

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

ვიმუშავო რთულ და საინტერესო საკითხებზე

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

ახლა კი გთხოვთ მიუთითოთ, აქედან რომელ შესაძლებლობას გაძლევთ ამჟამინდელი სამუშაო?

გამოვიყენო ჩემი ცოდნა

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

მქონდეს მისაღები ხელფასი

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

დამაწინაურონ სამსახურში

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

ვიმუშავო საქმის მცოდნე კოლგებთან

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

შევიქმნა სასურველი პროფესიული რეპუტაცია

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ

შევიქმნა სასურველი პროფესიული რეპუტაცია

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

ვიმუშავო რთულ და საინტერესო საკითხებზე

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

მეტად დამახასიათებელი თქვენი უშუალო ხელმძღვანელისთვის?

- მე უფრო ადამიანები მაინტერესებს, ვიდრე პროდუქცია. როცა ადამიანები გრძნობენ, რომ მათი პირადი პრობლემებით ინტერესდებიან, ისინი ყველფაერს გააკეთებენ პროდუქტიულობის მისაღწევად.
- ადამიანთან პირადი პრობლემებით დაინტერესება კარგი საქმეა, თუმცა ეს ზედმეტად მიმაჩნია, ჩემთვის მნიშვნელოვანია პროდუქცია/წარმოება, ხოლო როცა ეს მხარე უზრუნველყოფილია, შეიძლება გამოვნახო დრო და დავინტერესდე დაქვემდებარებულთა პირადი პრობლემებით.

ქვემოთ ჩამოთვლილია ხელმძღვანელის ფუნქციები, რამდენად მნიშნელოვნად მიგაჩნიათ თითოეული მათგანი?

შრომის განაწილება და წესრიგის დამყარება

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

ჯგუფის მომარაგება საჭირო და ტექნიკური საშუალებებით

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

სტანდარტების დაწესება და შესასრულებელი მიზნების დასახვა

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

შესრულებული სამუშაოს კონტროლი

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

წამახალისებელი აქტივობების ორგანიზება ან რეკომენდაციების მიწოდება (პრემიები და სხვა)

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

თანამშრომელთა აზრის მოსმენა და მხედველობაში მიღება

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევების სისტემურად გაცნობა

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

თანამშრომლების კეთილდღეობაზე ზრუნვა

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

თითოეული თანამშრომლის კვალიფიცურობის ამაღლებაზე ზრუნვა

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან, თქვენი აზრით, რომელს ასრულებს თქვენი უშუალო ხელმძღვანელი ეფექტურად? (მონიშნეთ სასურველი ვარიანტები)

- [ ] ანაწილებს საქმეს, ამყარებს წესრიგს
- [ ] ჯგუფს ამარაგებს საჭირო მასალით და ტექნიკური საშუალებებით
- [ ] აკონტროლებს შესრულებულ სამუშაოს
- [ ] აწესებს სტანდარტებს და სახავს შესასრულებელ მიზნებს
- [ ] უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამოტივაციო წამახალისებელ აქტივობებს (პრემიები და სხვა)

- [ ] ისმენს და მხედველობაში იღებს თანამშრომლების საკითხებს, პრობლემებს.
- [ ] სისტემატურად აცნობს თანამშრომლებს ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევის შესახებ
- [ ] ზრუნავს თანამშრომელთა კეთილდღეობისთვის
- [ ] ზრუნავს თითოეული თანამშრომელის კვალიფიციურობის ასამაღლებლად

თქვენი მუშაობის პროცესში, გრძნობთ თუ არა რომ გთხოვენ გააკეთოთ იმაზე მეტი, ვიდრე თქვენ გონივრულად მიგაჩნიათ?

- სულ არ ვგრძნობ რომ მთხოვენ ვიმუშავო მეტი, ვიდრე გონივრულად მიმაჩნია.
- ვგრძნობ რომ მთხოვენ ვიმუშავო ცოტათი მეტი, ვიდრე გონივრულად მიმაჩნია
- ვგრძნობ რომ მთხოვენ ვიმუშავო საკმაოდ მეტი, ვიდრე გონივრულად მიმაჩნია.
- ვგრძნობ რომ მთხოვენ ვიმუშავო გაცილებით მეტი, ვიდრე გონივრულად მიმაჩნია

გთხოვთ , მონიშნოთ სასურველი პასუხი ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე

კმაყოფილი ხართ თქვენი სამუშაო ჯგუფით?

- კი
- არა
- არ ვიცი

გსიამოვნებთ ამ ჯგუფში მუშაობა?

- კი
- არა
- არ ვიცი

ეხმარებით თუ არა ერთმანეთს?

- კი
- არა
- არ ვიცი

რომელიმე წევრის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დანარჩენები ინაწილებთ მის სამუშაოს?

- კი
- არა
- არ ვიცი

მიგაჩნიათ თქვენი თავი იმ ჯგუფის ნამდვილ წევრად, სადაც მუშაობთ?

- კი
- არა
- არ ვიცი

თქვენი უშუალო ხელმძღვანელი არის თუ არა ამ ჯგუფის ნამდვილი წევრი?

- კი
- არა
- არ ვიცი

გთხოვთ შეაფასოთ თქვენი მენეჯერი 1-და 7 ქულამდე (სადაც 1 - ყველაზე დადებითია, 7 ყველაზე უარყოფითი)

სასიამოვნო

1 2 3 4 5 6 7

არასასიამოვნო

სამართლიანი

1 2 3 4 5 6 7

არასამართლიანი

კეთილი

1 2 3 4 5 6 7

ბოროტი

კვალიფიცური
1 2 3 4 5 6 7
არაკვალიფიციური
ძლიერი
1 2 3 4 5 6 7
სუსტი
მკაცრი
1 2 3 4 5 6 7
ლმობიერი
აქტიური
1 2 3 4 5 6 7
პასიური


დინამიური
1 2 3 4 5 6 7
სტატიკური

დანართი 2

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Keti Pshavelashvili

Management Style in small and medium size Organizations

Master Program Organisational Development and Consulting

The work is written in order to receive a Master's Degree of Social and Political Sciences in Organization Development and Consulting

Supervisor: Full Professor Nodar Belqania

TBILISI 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქეთი ფშაველაშვილი

მართვის სტილი მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციებში

სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნოდარ ბელქანია, სრული პროფესორი

თბილისი, 2018

სარჩევი

ანოტაცია 4

Abstract 6

შესავალი.....8

თავი I - მართვის სტილის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 ორგანიზაცია…….....10

1.2 მართვა და მართვის სტილის განსაზღვრა.....13

1.3 მართვის ტექნიკები 23

1.4 მეტნაკლებად ხშირად გამოყენებადი მართვის ტექნიკები 26

1.4.1 მართვა იდეებით 26

1.4.2 მართვა გარღვევით 27

1.4.3 მართვა მიზნით.....27

1.4.4 დელეგირებით მართვა 28

1.4.5 ხელმძღვანელობა გამონაკლის შემთხვევებში ჩარევით 29

1.4.6 შედეგზე ორიენტირებული მმართველობა 29

1.4.7 სისტემური მმართველობით ხელმძღვანელობა 30

1.4.8. მმართველობის მოდელის შეცვლის შედეგები 30

1.5 მმართველი, ძალაუფლება, ლიდერობა 31

თავი II – კვლევის აღწერა

2.1 კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების აღწერა.....……....34

2.2 კვლევის მეთოდი და მიზანი 35

2.3 კვლევის პროცესი და მიღებული შედეგები…….....35

თავი III - დასკვნა 51

ბიბლიოგრაფია…… 54

დანართი 1 …… 55

დანართი 2 …… 80

ანოტაცია

ორგანიზაციის არსს და რაობას მისი მიმართულება, მოქმედების/ ცხოვრების წესი, თანამშრომლები, მუშაობის სტილი, ორგანიზაციის კულტურა, მენეჯერის ტაქტიკა განსაზღვრავს. ეს ყოველივე კი მართვის სტილთანაა დაკავშირებული.

დღესდღეისობით მზარდი ტრაექტორიით არის მცდელობები მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერების, საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესების და საქართველოს სამეწარმეო, ბიზნეს მდგომარეობის მიხედვით საინტერესო, მიმზიდველი სურათის შექმნის. ბაზარზე ჩნდება ბევრი ახალი მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცია.

ნაშრომის მიზანი იყო დაგვენახა რას წარმოადგენს დღევანდელი ქართული მცირე და საშუალო ზომის ბიზნესი - ნაშრომით გამოვიკვლიე, თუ რა ტიპის მმართველობის სტილი და მასთან დაკავშირებული ტექნიკებია გავრცელებული მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციებში დღეს არსებულ ქართულ ორგანიზაციებში. გამოკვლეული იყო 200 მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცია. ყველაზე მცირე ორგანიზაციის თანამშრომლების რაოდენობა იყო 5, ყველაზე დიდის კი -136.

ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო კითხვარი. გამოკითხული იყო მმართველეს დაქვემდებარებული თანამშრომლები. მათ შორის რესპოდენტის შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევით. კვლევა იყო ანონიმური. კვლევის შედეგების მონაცემების ანალიზი მოხდა სტატისტიკურ ელექტრონულ პროგრამაში.

ნაშრომი შეიცავს შესავალს, ორ თავს, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად, დასკვნასა და ბიბლიოგრაფიას.

პირველ თავში აღწერილი მაქვს ორგანიზაციასთან და მმართველობის სტილთან და ტექნიკებთან დაკავშირებული თეორიები. მეორე თავში აღწერილი მაქვს კვლევა, საკვლევი

მასალა, კვლევის პროცესი და შედეგები. დასკვნა კი წარმოადგენს კვლევის მიღებული შედეგების განხილვას და შეჯამებას.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა მცირე და საშუალო ორგანიზაციებში დემოკრატიული მმართველობითი სტილის ტენდენცია, მმართველის მიერ საქმის დელეგირების ტექნიკით.

მიღებული შედეგი ჩემთვის მოსალოდნელი არ იყო, რადგან ბაზარზე არსებული სტერეოტიპები განსხვავებულია და კარიერის დამწყები მოქალაქეები ამაზე აპელირებენ სოციალურ ქსელში. მიღებული შედეგი კვეთავს მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციების განვითარების და ბაზარზე ფუნქიონირების ტენდენციას.

Abstract

Management Style in Small and Medium Size Organizations

Keti Pshavelashvili

Organization meaning is identified by it's destination, living style, employees, working style, manager's tactic . All of these are connected to organization culture and management style.

Currently there are increasing attempts to empower small and medium size business, to interest international investors and to make an attractive image of Georgia in a business field. More and more small and medium size organizations are appeared on market.

With this thesis I made a survey of management style and appropriated tecnics spread among small and medium size organizations in Georgia.

The thesis includes description, 2 paragraphs that are devided into sub-paragraphs, conclusion.

In first paragraph I described theories about organization and management style and management tecnics. In second paragraph I described survey and topic of survey, survey process and results. The conclusion presents survey results and summarizes them.

I made a survey of 200 employees from 8 small and medium size organizations. The smallest one included 5 employees and the largest one included 136 employees. I used quantitative survey. Survey instrument was a questionary. Employees were selected by random selection. Filling of questionary was anonymous. Received data was analyzed n a statistic electronic program.

According to survey result the tendency of using democratic management style and using management by delegation tecnic is visible.

For me the received result was not so much expactable as stereotypes of management style in small and medium size organizations are quite different from the result. According to the received result it gives a tendency that small and medium size organizations are on ongoing path to functioning and development.

შესავალი

დღესდღეისობით საქართველოს ეკონომიკაში აქცენტი გადატანილია მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის განვითარებაზე. დამწყები ბიზნესი, ეგრეთ წოდებული „სტარტაპ-ბიზნესიც“ საკმაოდ პოპულარული გახდა საქართველოში, როგორც სახელწიფოს ასევე კერძო ფონდების ინვესტირებით და ხელშეწყობით. ფონდ „აწარმოე საქართველოს“ მონაცემებით, პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარებიის სააგენტოს მიერ ინდუსტრიული მიმართულებით მხარდაჭერილია 172 პროექტი და ახალი ორგანიზაცია, ჯამური ინვესტიციით 386.77 მლნ ლარი და 7619 დასაქმებული ადამიანით.

ამ საკითხის აქტუალურობას ამძაფრებს რამდენიმე თვის წინ მომხდარი გახმაურებული ფაქტები საქართველოში დაფუძნებულ ორგანიზაციებში, რომლებმაც მათ რეპუტაციასა და კლიენტების ნდობაზე დიდი გავლენა მოახდინა: სურსათის მაღაზიათა ქსელი „ფრესკო“ და წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“. ორგანიზაციის კულტურა და არასწორი მართვის სტილი, სახელფასო პოლიტიკის, მოტივაციის და კონტროლის შეუსაბამო აქტივობების გამო შიდა დაპირისპირებამ სრულიად საქართველო მოიცვა. საჯარო მიმართვებში განხილული იყო არაშესაბამისი სამუშაო გრაფიკი და პირობები, სამუშაო გრაფიკის არაშესაბამისი ანაზღაურება, სისტემური ხასიათით ნორმაზე მეტი სამუშაო, არაშესაბამისი სამუშაო გეგმა, უსაფრთხოების სისტემის უქონლობა, გაუმართავი ტექნიკური საშუალებები.

ამ სიტუაციის ფონზე საინტერესოა რა კორპორატიული კულტურა აქვთ დაგეგმილი მმართველებს ორგანიზაციებში, რა მართვის სტილია დომინანტი, როგორ ცდილობენ წარმატების მიღწევას, როგორია თანამშრომელთა კმაყოფილების დონე, მასტიმულირებელი ბიძგების შედეგად გაზრდილი ორგანიზაციების მიხედით არის კი მართვის ან შიდა ურთიერთობის, საერთო ხედვის, საერთო გეგმის და ამ გეგმის შესრულებამდე მისასვლელი ნაბიჯები გააზრებული, რამდენად აქვთ თანამშრომლებს მენეჯერის მხარდაჭერა, როგორ უწევთ პრობლემის გადაჭრა , თუ არიან

გადაწყვეტილებაში ჩართულნი თანამშრომლები და თუ არის მათი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული.

კვლევის მიზანია გაირკვეს თუ რას წარმოადგენს დღეს საქართველოს ბაზარზე არსებული მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცია, რომელი მართვის სტილით და მასთან დაკავშირებული ტაქტიკით ანვითარებს მმართველი ორგანიზაციას.

საკვლევი თემის ინსტრუმენტად გამოყენებულია რაოდენობრივი ტიპის კვლევა - კითხვარი. მონაცემები მიღებულია მცირე და საშუალო ზომის 8 ორგანიზაციის თანამშრომლებისგან. ორგანიზაციები მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში. თანამშრომლებისგან პასუხების მიღება მოხდა ანონიმურობის დაცვით. კვლევის შედეგების ანალიზი მოხდა სტატიკურ პროგრამებში.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს ანოტაციას, შესავალს, ორ თავს, დასკვნას, ბიბლიოგრაფიას.

თავი I – მართვის სტილის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 რა არის ორგანიზაცია?

რადგან თემა ეხება მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცებს განვიხილოთ ორგანიზაციის არსი და მისი შემადგენელი ელემენტები.

ორგანიზაცია მენეჯმენტის, მენეჯერთა სამყაროს არსებობის საფუძველია. იგი 2 ან მეტ ადამიანთა ჯგუფია, რომლის საქმიანობაც შეგნებულად წარიმართება საერთო მიზნის ან მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციათა ერთ-ერთი დამახასიათებელი საერთო ნიშანია მათი არსებობისათვის აუცილებელია რესურსების განსაზღვრული ოდენობა. ძირითადი რესურსები, რომელთაც იყენებს ორგანიზაცია შემდეგია: ადამიანები - შრომითი რესურსები, კაპიტალი, მასალები, ტექნოლოგია და ინფორმაცია. საჭიროა რესურსების მართვა სათანადო დონეზე ორგანიზაციის მიზნის ან მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციაში ყალიბდება ორგანიზაციული სისტემა. მას სჭირდება ლიდერი, მმართველი რომელიც დასახავს მიზნებს და გეგმებს, სტრატეგიებს, გამოყოფს ორგანიზაციის მისიას და რაც მთავარია ახდენს შრომის დანაწილებას თანამშრომლებს შორის.

თანამშრომლები, პროცესები და ორგანიზაციის პოლიტიკა ორგანიზაციის სხვა ელემენტებთან ერთად ის ერთობლიობაა, რომელიც ქმნის ორგანიზაციის მიზნისკენ სავალ გზას.

ორგანიზაცია მოიცავს 7 ელემენტს:

1) იდენტობა - ანუ რა მისია და მიზნები აქვს ორგანიზაციას, რა არის მისი არსი და რატომ უნდა იფუნქციონიროს ბაზარზე, რა ფილოსოფიის და ღირებულებების გამტარებელია.
2) პოლიტიკა, სტრატეგია, პროგრამები - რა საფასო და საბაზრო პოლიტიკა აქვს კომპანიას, რა არის მისი გრძელვადიანი გეგმა და გამოსაყენებელი ინსტრუმენტები, რა გზა აქვს შერჩეული პოზიციონირებისთვის.
3) სტრუქტურა - ორგანიზაციის წესდება და იერარქია, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემა
4) ადამიანები, ჯგუფები, კლიმატი - თანამშრომელთა ცოდნა, ურთიერთობა, შიდა გარემო, მმართვის სტილი, შიდა დაჯგუფებები
5) ცალკეული ფუნქციები, ორგანოები - დავალებები, პასუხისმგებლობის გადანაწილება, კოორდინაცია
6) პროცესები - ძირითადი სამუშაო პროცესები, მეორეხარისხოვანი სამუშაო პროცესები, ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების და დაგეგმარების პროცესები.
7) ფიზიკური საშუალებები - აღჭურვილობა, დანადგარები, მატერიალური მასალები რისგანაც შედგება კომპანია.

ეს ელემენტები ერთიანდებიან ერთ ქვესისტემაში: 1 და 2 კულტურულ ქვესისტემაში; 3,4 და 5 სოციალურ ქვესისტემაში; 6 და 7 ტექნო-ინსტრუმენტულ ქვესისტემაში.

ორგანიზაცია თავისი შემადგენელიდ და განუყოფელი ნაწილებით განვითარების ეტაპზე სხვადასხვა ფაზაში იმყოფება. ფაზებში ყალიბდება კომპანიის პოლიტიკა და სტრუქტურული მიდგომები.

პირველი ფაზაა პიონერული ფაზა - ამ ფაზაში ორგანიზაციას ჰყავს ერთი ლიდერი, რომელიც თანამშრომლებზე მაღლა დგას და ყველაფერი აგებულია მის გარშემო. თანამშრომლის აყვანა მაშინ ხდება, როცა ბაზარზე მოთხოვნა იზრდება. ლიდერი პირადად იცნობს ყველა თანამშრომელს. ლიდერი და თანამშრომლები პირადად იცნობენ

მომხარებლებს, მომხარებლები კი ძირითადად მათი პირადი საკონტაქტო სივრციდან არიან. წინ არის წამოწეული არაფორმალური კავშირები. თანამშრომლებს არ აქვთ მკვეთრი სამუშაო ჩარჩოები და ფარგლები, რა საკითხზეც გახდება საჭირო მუშაობა, რა საკითხიც წამოიწევს წინ ორგანიზაციაში იმ ადგილისკენ ხდება მათი ძალის ფოკუსირება. ამ ფაზაში ორგანიზაცია აწარმოებს იმდენს, რაც შეკვეთილია მომხმარებლისგან. გადაწყვეტილებების მიღება ხდება ემოციაზე, იმპროვიზაციაზე დაფუძნებით, დამახასიათებელია იმპულსურობა.

2) დიფერენციაციის ფაზა - ამ ფაზაში უკვე ადამიანური შრომა მაქიმალურად ნაცვლდება მანქანებით და ტექნოლოგიით. ყურადღება ექცევა წესრიგს, სამუშაო ჩარჩოებს, დაგეგმარებას, ხდება ნაკლებად ემოციური და მეტად რაციონალური, ურთიერთობები ხდება ფორმალიზებული, ადამიანის ნაცვლად კონცენტრირება ხდება საქმეზე

ორგანიზაციაში ყალიბდება მექანიზაცია, სტანდარტიზაცია, სპეციალიზაცია, კოორდინაცია. ძირითადი ამონცანაა კონტროლირებადი აპარატის შექმნა.

3) ფრიდრიხ გეგელის მიხედვით, უნდა მოხდეს პირველი და მეორე ფაზების დადებითი ელემენტების სინთეზი და უნდა დავუმატოთ ახალი ელემენტი,რომელიც შესაძლებელს გახდის მათ შერწყმას. ამის შედეგად მივიღებთ ორგანიზაციის განვითარების მესამე ფაზას - ინტეგრაციის ფაზას. ამ ფაზაში ფოკუსირება ხდება თანამშრომელზე, მის განვითარებასა და მის სურვილებზე. ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს თანამშრომლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მისცეს მას რეალიზების საშუალება. მმართველი ამ ფაზაში სახავს მიზანს, სტილს და ნორმებს, ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, ცვლილებებთან გამკლავებაზე. ორგანიზაცია იღებს სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმის სახეს.

4) ასოციაციის ფაზა - იგივე მოხდენილი საწარმო გულისხმობს რომ რაც არ უნდა ცვლილება მოხდეს გარე ფაქტორებზე, ორგანიზაცია მზადაა მოახდინოს რეაგირება. რთულ პირობებში კი დამაკავშირებელ საშუალებებს მიაგნოს, მოახდინოს ინფორმაციის

გაცვლა. ახალ ფაზას უნდა გააჩნდეს მენეჯმენტისა და ორგანიზაციისთვის უფრო ფართო შესაძლებლობები, მნიშვნელოვანი ხდება საწინააღმდეგო აზრების და შეხედულებებიის კონსტრუქციულად მოგვარება.

ასე იქმნება და ფუნქციონირებს ნებისმიერი ტიპის და ზომის ორგანიზაცია, მათ შორის: მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციები. ამ ტიპის ორგანიზაციები ერთმანეთისგან განსხვავდება სამუშაო ძალის სიდიდით, მცირე ზომის ორგანიზაცია გულისხმობს 100-მდე თანამშრომლისგან შემდგარ სამუშაოს, ხოლო საშუალო 100-999 -მდე თანამშრომელთა რაოდენობას.

1.2 მართვა და მართვის სტილის განსაზღვრა

ნებისმიერი ტიპის, ზომის და ასაკის ორგანიზაციას ფუნქციონირებისთვის სჭირდება მართვა. რომ არ ყოფილიყო მართვა ვერ მივიღებდით მსოფლიო შედევრებს, თუნდაც ეგვიპტის პირამიდებს. განსაზღვრული მიზნით შეკრებილი ადამიანების საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა გახდა მენეჯმენტის წარმოშობის საფუძველი.მართვა ორგანიზებას უკეთებს ორგანიზაციის მიზნებს, პერსონალს, სტრუქტურას, ტექნიკას და პროცესებს. განსაზღვრული მიზნით შეკრებილი ადამიანების საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა გახდა მენეჯმენტის წარმოშობის საფუძველი.

მმართველი დაქვემდებარებულ თანამშრომელთა გუნდის მუშაობაობის კოორდინირებით ორგანიზაციის დასახულის მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული.

ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭიროა შრომის დანაწილება მმართველის მიერ. არსებობს ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილება.

იმისათვის, რომ ორგანიზაციამ განახორციელოს გარკვეული საქმიანობა ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად, საჭიროა, სამუშაო დანაწილდეს შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ შრომის ჰორიზონტალურ დანაწილებას. შრომის ჰორიზონტალური დანაწილება ხელს უწყობს მუშაკთა დასპეციალებას ამა თუ იმ შრომითი პროცესით, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მიიღოს გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე მაშინ, როცა იგივე ადამიანები იმუშავებდნენ დამოუკიდებლად.

იმისათვის, რომ ორგანიზაციაში ცალკეული ქმედებების მიხედვით დანაწილებული სამუშაო შესრულდეს საერთო მიზნის მისაღწევად, საჭიროა სამუშაოს გამოყოფილი ნაწილების კოორდინაცია, რაც ხორციელდება შრომის ვერტიკალური დანაწილების საფუძველზე. ასეთი კოორდინაციის გარეშე ორგანიზაცია ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს ან მიზნებს.

კონკრეტულად მართვის არსი ვლინდება ჰორიზონტალურად დანაწილებული შრომის კოორდინაციაში შრომის ვერტიკალური დანაწილების მეშვეობით. ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკების საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა შრომის ვერტიკალური დანაწილების გზით წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც აღმოცენდა და განვითარდა მენეჯმენტი.

მმართვასთან ურთიერთკავშირშია ორგანიზაციის ხელმძღვანელის როლი და მისი ქმედებები. მენეჯმენტის ცნობილი მკვლევარი ნ. მინცბერგი ხელმძღვანელის როლს განსაზღვრავს, როგორც „განსაზღვრული ქცევის წესების ნაკრებს, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ დაწესებულებას ან კონკრეტულ თანამდებობას“. მისი აზრით, მსახიობების მსგავსად მენეჯერები იკავებენ განსაზღვრულ თანამდებობას ორგანიზაციაში განსაზღვრული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის სახით, რაც განაპირობებს მათი ქცევის ხასიათს სამსახურში.

მართვის სტილი გულისხმობს ხელმძღვანელის ქცევას და მის ხასიათს თანამშრომელებთან ურთიერთობაში ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად მათზე გავლენის მოხდენისა და მათი მოტივაციის გზით. მართვის სტილს ახასიათებს უფლებამოსილებათა დელეგირების ხარისხი, ხელმძღვანელების მიერ გამოყენებული ძალაუფლების ფორმები, ზრუნვა ადამიანურ ურთიერთობებზე, დასახული ამოცანების შესრულებაზე.

მმართველები ისევე როგორც ინდივიდუალურად ადამიანები, ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც პიროვნულობით ასევე მართვის სტილით. ანუ შეუძლებლია ყველა მმართველის მართვის სტილი ერთი და იგივე იყოს. მმართველობის სტილს ძირითადად აღწერენ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსის წარმოდგენით. ყველაზე ხშირად გამოყენებეული მმართველობის სტილის პოლუსებია:

დირექტიული - არადირექტიული

ავტოკრატიული - მოქმედების თავისუფლება

ავტორიტარული - კოოპერატიული

პიროვნებაზე ორიენტირებული - პოზიციაზე ორიენტირებული

პატრიარქალური - ბიუროკრატიული

ორიენტირებული ნივთიერზე - ორიენტირებული თანამშრომლობაზე

მმართველობის 7 სტილს წარმოგვიდგენს ტანენბაუმისა და შმიდტის შკალა:

ავტორიტარული სტილი - მმართველი იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს და ბრძანებებს. დაქვემდებარებულები არ ერთვებიან გადაწყვეტილების მიღებაში, განხილვის გარეშე მიყვებიან მმართველის მიერ დადგენილ წესებს და დავალებებს.

პატრიარქალური - ამ სტილის მმართველი იღებს გადაწყვეტილებებს და მის სისწორეში არწმუნებს დაქვემდებარებულებს, რომელთაც შეუძლიათ გადაწყვეტილების შესახებ

დასვან კითხვები.

სათათბირო - ამ სტილის მმართველი იღებს გადაწყვეტილებას და განიხილავს დაქვემდებარებულებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში, ცდილობს დაარწმუნოს თანამშრომლები მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში.

კოოპერატიული - ამ სტილის მმართველი გადაწყვეტილების მიღებამდე დაქვემდებარებულებს აცნობს გადაწყვეტილების ვარიანტს, თანამშრომლები ახდენენ შეფასებას.

ერთობლივი - ამ სტილის მმართველისთვის დაქვემდებარებულები ამზადებენ გადაწყვეტილებების ვარიანტებს, ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებებიდან მმართველი არჩევს ერთ საბოლოო ვარიანტს.

დემოკრატიული - 1. ჯგუფი წყვეტს ხელმძღვანელობის მიერ დასმულ პრობლემას და ადგენს საზღვრებს, რომლებშიც უნდა მოხდეს მიღებული გადაწყვეტილების ვარირება.

დემოკრატიული - 2. ჯგუფი წყვეტს, ხოლო ხელმძღვანელი წარმოგვიდგება როგორც შიდა და გარე კოორდინატორი.

ამ შკალას ნოიბერგერმა დაუმატა ჯგუფური მუშაობის, მმართველის ჯგუფის საქმიანობაში ჩარევის, მისი კონტროლი და მოტივაციის მნიშვნელობა.

მმართველობის 7 სტილს გლაზლი 4 ძირითადში აერთიანებს:

ავტორიტარული და პატრიარქალური ____> ავტორიტარული სათათბირო ____> კონსულტაციური

კოოპერატიული და ერთობლივი ____> პარტიციპარული

დემოკრატიულის 2 ნაირსახეობა ____> კოოპერატიული

დამატებით გავლენის შკალას გლაზლი ყოფს გადაწყვეტილების მიღების 3 ფაზად:

ხატის შემნა- საჭირო ინფორმაციის მოპოვება

აზრის ჩამოყალიბება - ალტერნატივების გადამოწმება კრიტერიუმების მიხედვით

დასკვნის ფაზა - მოქმედებისთვის საუკეთესო ალტერნატივის არჩევა.

შესაბამისად გვაქვს მმართველობის სტილის შემდეგი ვარიანტები:

„1. ავტორიტარული სტილი ------> 1. ერთობლივო მოღვაწეობა

2. ერთობლივი შეცნობა

2. კონსულტაციური ------> 3. ერთობლივი აზროვნება

3. პარტიციპარული -----> 4. ერთობლივი განხილვა

5. ერთობლივი თათბირი

4. კოოპერატიული ---------> 6. ერთობლივი გადაწყვეტილება

7. ავტონომიური გადაწყვეტილება

ავტოკრატიული ხელმძღვანელი ფლობს საკმაო ძალაუფლებას იმისათვის, რომ თავისი ნება მოახვიოს თავს შემსრულებელებს და აუცილებლობის შემთხვევაში ყოველგვარი მერყეობის გარეშე მიმართავს მას.

ავტოკრატიული ხელმძღვანელობის წინაპირობები ჩამოაყალიბა მენეჯმენტის ცნობილმა მკვლევარმა დუგლას მაკგრეგორმა და უწოდა მას თეორია-X. ამ თეორიის თანახმად:

მმართველი მკაცრად აკონტროლებს და დიდი ზეგავლენა აქვს თანამშრომლებზე, ახდენს

უფლებამოსილებათა ცენტრალიზაციას, ხელქვეითთა შრომის სტრუქტურირებას და თითქმის არ აძლევს მათ თავისუფლებას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, არ ძლევს რაიმე ინიციატივის წარმოთქმის ან განხორციელების საშუალებას, ხაზს უსვამს თანამშრომლების შეცდომებს. თვითონ კი არის ის კადრი, რომელიც არცერთ ჯგუფს არ ეკუთვნის, ვერავინ დაუდგენს სამუშაოსთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ვერავინ გააკრიტიკებს მას. თანამშრომლები კი ხდებიან ერთგვარი მარიონეტები, რომლებშიც აღარ არის რაიმე ინიციატივა ან ენთუზიაზმი დარჩენილი და თვითონვე ორიენტირებულნი არიან მმართველის მიერ დაწესებულ წესებზე. სამუშაოს შესრულების მიზნით ავტოკრატს შეუძლია ფსიქოლოგიური ზეწოლა ხელქვეითზე.

ამით მმართველი თანამშრომლებში კლავს გადაწყვეტილების მიღების და დამოუკიდებლად მუშაობის უნარს.

დაქვემდებარებულ მუშაკებზე ავტოკრატიული ხელმძღვანელებისაგან განსხვავებული შეხედულებები აქვთ დემოკრატიულ ხელმძღვანელებს.

თეორია Y-ის მიხედვით კი მმართველი წარმოდგენილია როგორც ყურადღებიანი და მეგობრული საკუთარი თანამშრომლების მიმართ, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლების წახალისებაზე, მათგან ინიციატივების მიღებაზე, მათი შესაძლებლობების წარმოჩენაზე და ჩართულობაზე ორგანიზაციის ზრდასა და წინსვლაში. მმართველი ძირითად მოქმედებს შემდეგი ლოგიკით:

- შრომა ბუნებრივი პროცესია და ხელსაყრელ პირობებში ადამიანი ისწრაფვის მისკენ, თანაც თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას შედეგებზე;
- თუ ადამიანი კარგად იცნობს ორგანიზაციის მიზნებს, მან შეიძლება დამოუკიდებლად იშრომოს ორგანიზაციის საკეთილდღეოდ და თვითონ გაიკონტროლოს თავი;
- მიზნების გაცნობა მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული წახალისების ფუნქციაა;

- პრობლემის შემოქმედებითი გადაჭრის უნარი ადამიანებში ხშირია, საშუალო ადამიანის ინტელექტუალური პოტენციალი კი გამოიყენება მხოლოდ ნაწილობრივ.

ამ ტიპის მმართველები თანამშრომლებისგან დამოუკიდებლად არ იღეენ გადაწყვეტილებებს. ქმნიან ჯგუფებს და თვითონაც განიხილავენ თავიანთ თავს როგორც ამ ჯგუფის/ჯგუფების წევრად. ღია არიან ჯანსაღი კრიტიკისთვის, შენიშვნისთვის და მას თავიანთი მუშაობის გასაუმჯობესებლად იყენებენ. მათი თანამშრომლები მონდომებულნი არიან ამ სამსახურში მუშაობისთვის, არ გაურბიან პასუხისმგებლობას და არ არიან ინერტულნი ორგანიზაციის განვითარების და ცხოვრების მიმართ.

ორგანიზაციები, სადაც გაბატონებულია ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილი, ხასიათდება უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით. ხელქვეითები აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღებაში და სარგებლობენ თავისუფლებით დავალებათა შესრულების პროცესში. სასურველია, რომ დემოკრატიულმა ხელმძღვანელმა მკაცრი კონტროლი დააწესოს დაქვემდებარებულებზე დავალებათა შესრულების პროცესში. ამის ნაცვლად ქვედა დონის ხელმძღვანელი ჩვეულებრივ უცდის სამუშაოს ბოლომდე შესრულებას, რომ შემდეგ შეაფასოს ის. დემოკრატიული ხელმძღვანელი თავისი სამუშაო დროის დიდ ნაწილს ხარჯავს საწარმოო ჯგუფის მიზნების ორგანიზაციის საერთო მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანაზე, აგრეთვე, ჯგუფის აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფაზე.

მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი დემოკრატიული ხელმძღვანელი ცდილობს, დაარწმუნოს ხელქვეითები თვითონ გადაწყვიტონ წარმოშობილი პრობლემები და არ ეძებონ ხელმძღვანელთა მხრიდან დახმარება ან მოწონება. ამასთან იგი დიდ ენერგიას ხარჯავს ღია ატმოსფეროს შექმნაზე, რომ არ მოერიდოთ დაქვემდებარებულ მუშაკებს მასთან მისვლა რჩევის მისაღებად. დემოკრატიული ხელმძღვანელი გამოდის რჩევის მიმცემის როლში.

იმ დროიდან, როცა პირველად განასხვავეს ერთმანეთისაგან ხელმძღვანელობის ავტოკრატიული და დემოკრატიული, ან სამუშაოზე და ადამიანებზე ორიენტირებული სტილი, დაიწყო დიდი დებატები ამის შესახებ. ადამიანური ურთიერთობის პოზიციის მომხრეები ავტოკრატებს თვლიდნენ რეაქციონერებად, ტრადიციული მეთოდის მიმდევრებს კი მიაჩნდათ, რომ დემოკრატები დაუსაბუთებელ შეხედულებებს ეყრდნობოდნენ ადამიანების უნარის შესახებ.

ორივე ბანაკის არგუმენტები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, მაგრამ შეიძლება მათი დაყვანა რამდენიმე არსებითი ხასიათის შეხედულებამდე.

თეორია-X-ზე დამატებით ავტოკრატიული ან სამუშაოზე ორიენტირებული ხელმძღვანელობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ:

1) ხელმძღვანელობის ავტოკრატიული სტილი, განსაკუთრებით კი კეთილგანწყობილი ავტოკრატიულობა, უფრო ეფექტიანია დემოკრატიულ სტილთან შედარებით, რადგან აძლიერებს ხელმძღვანელის ერთპიროვნულ ძალაუფლებას და ამით ზრდის ხელქვეითებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობებს;

2) სამუშაოზე ორიენტაცია იძლევა შრომის მაქსიმალურ ნაყოფიერებას.

Y-თეორიის დამატებით დემოკრატიული ან ადამიანებზე ორიენტირებული ხელმძღვანელობის სტილის მომხრეთა აზრით:

1) თუ არ იქნება დროულად მიღებული ზომები, შემსრულებელთა ძალუფლება შეიძლება გაიზარდოს იმ დონემდე, რომ შეარყიოს ხელმძღვანელის გავლენა და დამატებითი პრობლემები შეუქმნას ორგანიზაციას;

2) ადამიანებზე ორიენტირებული ხელმძღვანელობა ქმნის მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევის შესაძლებლობებს იმით, რომ სამუშაოს შემსრულებლებს ამ შემთხვევაში

ყველაზე მეტი საშუალება ეძლევათ მისი გარდაქმნისათვის ორგანიზაციის საკეთილდღეოდ. ამასთან ასეთ პირობებში იზრდება მუშაკთა დაკმაყოფილების ხარისხიც.

დემოკრატიული სტილის მომხრეთა აზრით, ხელმძღვანელობის ეს ფორმა, სწორი გამოყენების შემთხვევაში, ყოველთვის უზრუნველყოფს მუშაკთა დაკმაყოფილების ხარისხის ამაღლებას და ამ საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის მაღალ დონეს.

ხელმძღვანელობის არც დემოკრატიული და არც ავტოკრატიული სტილი არ უნდა ჩაითვალოს მეორეზე უკეთესად ყველა შემთხვევაში. როგორც წესი, მათი ეფექტიანობა დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. ამიტომ კარგი ხელმძღვანელი ყოველთვის აანალიზებს შექმნილ ვითარებას და მხოლოდ ამის საფუძველზე ირჩევს მოქმედების კურსს.

ხელმძღვანელობის სტილის შესწავლას სათანადო ყურადღება დაუთმო ლაიკერტმა. ლაიკერტი და შაინი ორიენტირებულნი იყვნენ კომპლექსურ ფაქტორების ერთიანობაზე, რომ თითოეული ადამიანი წარმოადგენს სხვადასხვა აზრის, მოტივაციის, რაციონალური და ირაციონალური ფაქტორების კომბინაციას.

ლაიკერტი ცნობდა ხელმძღვანელთა ქცევის კლასიფიკაციის ოთხი სისტემას:

1) ექსპლოატატორულ-ავტორიტარული სისტემა - ლეიკერტის ეს პირველი სისტემა ხასიათდება იმით , რომ ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღება ხდება მაღალ ეშელონებში, არანაირი ჯგუფური მუშაობით და მცირე კომუნიკაციით.;
2) კეთილგანწყობილ-ავტორიტარული სისტემა - ეს სისტემა დაფუძნებულია უფროსი-მსახურის ურთიერთობაზე მმართველსა და თანამშრომელს შორის, გუნდური მუშაობა და კომუნიკაცია კი მინიმუმამდეა დაყვანილი.
3) კონსულტაციურ-დემოკრატიული სისტემა - ამ სტილში, მმართველი ნაწილობრივ

ენდობა დაქვემდებარებულს, იყენებს ორივეს დაჯილდოებას და ჩართულობას რომ მეტი მოტივაცია მისცეს, გაამყაროს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, არის საშუალო რაოდენობის ჯგუფური მუშაობა და კომუნიკაცია.
4) მონაწილეობაზე დაფუძნებული სისტემა - ეს სისტემა დაფუძნებულია მმართველის მიერ თანამშრომლების ნდობაზე; მისთვის დამახასიათებელია კოლექტიურად მიზანზე დაფუძნებული ჯილდოები, კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა კომპანიის მიზნების მისაღწევად; მზაობა ჯგუფური მუშაობაზე და ღია კომუნიკაციაზე.

პირველი და მეორე სისტემის პირობებში ხელმძღვანელები არიან ავტოკრატები. ამასთან პირველი სისტემის ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით, მეორე სისტემის ხელმძღვანელები გარკვეულ საზღვრებში ნებას აძლევენ დაქვემდებარებულებს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისათვის. მესამე სისტემის ხელმძღვანელები, ლაიკერტის მიხედვით, ხელქვეითებისადმი ავლენენ მნიშვნელოვან, მაგრამ არასრულ ნდობას. ბევრ არსებითი ხასიათის გადაწყვეტილებას იღებენ ხელქვეითები. ხელმძღვანელებსა და ხელქვეითებს შორის არსებობს ნდობის გარკვეული ატმოსფერო. მეოთხე სისტემა გულისხმობს მუშაკთა ჯგუფურ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში. ლაიკერტის აზრით, მეოთხე სისტემა ყველაზე უფრო ქმედითუნარიანია. ხელმძღვანელები მთლიანად ენდობიან ხელქვეითებს, მათ შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებაა.

ლაიკერტის გამოკვლევებმა უჩვენა, რომ მართვის ქვედა დონის ყველაზე ეფექტიანი ხელმძღვანელები ყურადღებას აქცევენ პირველ რიგში ხელქვეითთა პრობლემების ადამიანურ მხარეებს და ხელქვეითებთან ტრადიციული ინდივიდუალური საუბრების ნაცვლად მიმართავენ ჯგუფურ მეთოდს.

ლაიკერტის და დ. მაკგრეგორის შრომებმა სტიმული მისცა თანამშრომელთა

ჩართულობის ზრდას გადაწყვეტილების მიღებისას.

ფრედერიკ ტეილორის თეორიით მართვაში ცენტრალური ბირთვი არის სამუშაო პროცესი, აქედან გამომდინარეობს ორგანიზაციის მართვის მახასიათებელები, თავისებურებები და წესები. ამ თეორიას საფუძვლად დაედო ხალხის, დავალებების, სამუშაო ქცევის სისტემური შესწავლის შედეგად, ტეილორის მიერ სამუშაო პროცესის დაყოფა პატარა ნაწილებად ან ქვე-დავალებებად იმ მიზნით, რომ განესაზღვრა ყველაზე ეფექტური შესაძლო მეთოდი კონკრეტული დავალების შესრულებისთვის. ის მოიცავდა სხვადასხვა დავალებების შესრულების დატესტვას, რომ განესაზღვრა რა რაოდენობის სამუშაო შესრულდებოდა კონკრეტულ დროში. შედეგად დადგინდა, რომ მმართველმა უნდა განსაზღვროს რომელია ყველაზე ეფექტური გზა საქმის შესასრულებლად, დაატრენინგოს თანამშრომლები ისე, რომ გაუმკლავდნენ საქმის თითოეულ ელემენტს და დაამყაროს თანასწორი სამოტივაციო ღონისძიებები ორგანიზაციის მართვისას. შედეგად მართველი იღებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას პროდუქტიულობაში, ზრდის თანამშრომლების ჩართულობას, აუმჯობესებს ხარისხის კონტროლს, აუმჯობესებს პერსონალის მუშაობას და მათ ურთიერთკავშირს მენეჯერთან.

მართვის სტილი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის კულტურაზე, მმართვეის ქცევით მკვიდრდება ნორმები, რაც მთელ ორგანიზაციაში ვრცელდება რისკიანობასთან, თანამშრომლების აზრის გამოთქმის თავისუფლებასთან , თანამშრომლების ჩაცმის კულტურასთან , ანაზღაურებასთან, ჯილდოებთან და მსგავს საკითხებთან მიმართებაში.

შესაბამისად ყალიბდება კულტურა, რომელიც კონკრეტულ ორგანიზაციას სხვა ორგანიზაციაისგან განასხვავებს, თანამშრომლებში ერთიანობის გრძნობას ქმნის, აყალიბებს თანამშრომლების გრძნობას სამსახურისადმი.

1.3. მართვის ტექნიკები

იყო ეფექტური მმართველი მოითხოვს სხვადასხვა მმართვის ტექნიკებს. მმართვის ტექნიკა კი მოიცავს იმ წესებს და ინსტრუმენტებს, რაც მმართველს ეხმარება ორგანიზაციის ყოველდღიურ მმართვაში. მართვის ტექნიკების არის ის, რაც ეხმარება მმართველს ჩამოყალიბოს თავისი მართვის სტილი და გახადოს სამუშაო პროდუქტიულ სამუშაო ადგილად.

მიხედვით მართვის ერთი და იგივე ტექნიკა ხელმძღვანელობამ შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციაში. თუმცა არ არსებობს მართვის ტექნიკა, რომელიც ყველა ტიპის თანამშრომლეზე ვრცელდება, ამიტომ გამოიყენება ტექნიკათა კომბინაცია ორგანიზაციის სხვადასხვა მიმართულების და საკითხის სამართავად.

გამოცემა „Dun and Bradstreet Small Business Solutions“-ის მიხედვით, მართვის ტექნიკაა სამუშაო ძალის განვითარება - ეფექტური სამუშაო ძალის შექმნა ნიშნავს რომ მმართველი მართავს თანამშრომელთა განვითარების აქტივობებ. გასაგები და აღსაქმელი სამუშაო აღწერა თითოეული პოზიციისთვიის, რომელზეც თანამშრომლის აყვანაა დაგეგმილი, შემდეგ მონიტორინგის სისტემის დაწესება საშუალებას აძლევს მმართველს რომ შეამოწმოს თანამშრომლის განვითარება და პროგრესი. ყოველწლიური სამუშაოს შესრულების შეფასება კი მმართველსა და თანამშრომლებს შორის უფრო ძლიერ სამუშაო ურთიერთობებს აყალიბებს. მონიტორინგის სრული სისტემა შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ შეხვედრებს კონკრეტულ თანამშრომლებთან მათი პროგრესის განსახილველად და განვითარებაში დახმარების შეთავაზებისთვის.

ზრდის მენეჯმენტი

მენეჯმენტის მნიშვნელოვანი როლია რომ მოახდინოს ზრდა ორგანიზაციაშივე. ზრდა შეიძლება გამოხატული იყოს შემოსავლის, თანამშრომელთა რაოდენობის, ფილიალების ზრდის ან გაფართოების კუთხით. „All Business“ ელექტრონული ჟურნალის მიხედვით,

მმართვის ტექნიკები როგორიცაა შეფასება, ძველი მონაცემების გადახედვა , ცვლილებები მინზობრივ ბაზრებზე და არსებული რესურსების შედარება საჭირო რესურსებთან ზრდი მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილია.

პერსონალის მართვა

გამოცემა Free Management Library -ის „Free Basic Guide to Leadership and Supervision" ნაწილის მიხედვით მმართველები იყენებენ სხვადასხვა ტექნიკებს გუნდის მართვისთვის და მოტივაციისთვის. მმართველმა უნდა გადაანაწილოს სამუშაო ძალა სწორად კვალიფიციური თანამშრომლების სხვადასხვა დეპარტამენტებსა და პროექტებში გადანაწილებით, უნდა შეადგინოს გრაფიკი რომელიც თავს მოუყრის ყველა იმ სამუშაო ძალას, რაც საჭიროა ამოცანის შესასრულებლად. იზრუნოს თანამშრომელთა მოტივაციაზე რომ გაუმჯობესდეს წარმოება და ორგანიზაციამ მიაღწიოს დასახულ გეგმებს. მმართველი უნდა იყოს მზად თანამშრომელთა უნარ -ჩვევების ცვლილებისთვის ტრეინინგების და დამატებითი განათლების მეშვეობით, რაც თანამშრომელს უფრო ღირებულს გახდის კომპანიისთვის.

გლაზლი ლივეხუდის მიხედვით კი მართვის ტექნიკებად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი მეთოდები:

- „როგორ შეიძლება მენეჯმენტმა თანამშრომლების ცნობიერებამდე მიიტანოს ორგანიზაციის ფილოსოფია და ხედვები;
- როგორ შეიძლება ისე დავსახოთ მიზნები, რომ ისინი პრაქტიკულად განხორციელებადი და მოქმედი გამოდგნენ გრძელვადიანი მოქმედებებისთვის;
- როგორ გადანაწილდეს დავალებები და პასუხისმგებლობები;
- როგორ აღმოვუჩინოთ დახმარება დავალების შესრულებისას;
- როგორ ვაკონტროლოთ პროცესები და ა.შ. „

რისი გადამოწმებაც უნდა მოხდეს შემდეგი კითხვებით:

- „გაიგეს თუ არა თანამშრომლებმა მოცემული დავალების არსი ბოლომდე?
- დარწმუნებული ვარ თუ არა, რომ ეს დავალება მათ ძალებს არ აღემატება შესრულების კუთხით?
- რა წესების დაცვით უნდა მივცეთ დავალება თანამშრომლებს, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ შესრულება?
- ვინ უნდა აცნობოს წარმატებული დელეგირების შესახებ? „

ამისთვის ხელმძღვანელობა უნდა ფლობდეს შესაფერის უნარებს, რომელიც შემდგომ შესაძლებლობებად გადაიქცევიან.

1.4 მეტნაკლებად ხშირად გამოყენებადი მართვის ტექნიკები

იმის გამო, რომ სახეზეა შემოთავაზებული მართვის ტექნიკის უამრავი სახეობა, ქვემოთ განვიხილავთ მიზნების საერთო მონახაზს და მეთოდების პრაქტიკულად გამოყენების ხერხებს.

1.4.1 მართვა იდეებით

მაკგრეგორი და ლაიკერტი ცდილობდნენ რისკის აღების იდეა ჩაედოთ მართვის ტექნიკების დამუშავებაში, რაც შემდგომში მართვის ნაწილი გახდა. ასე გაჩნდა „Management by ideas“, როგორც მართვის ტექნიკა.

მართვის ამ ტექნიკის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანად გამოვლინდეს ორგანიზაციის იდეა, არსი და საწარმო საქმიანობა. რაც თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის მიზნის და ქმედებების განმსაზღვრელი ხდება. მმართველები სხვადასხვა სახით რთავენ ტექნიკას თავიანთ მმართველობით ფორმაში: გამოკვეთენ ორგანიზაციის არსს, რაც ხდება ორგანიზაციის არსებობის ბაზა; მომხმარებლების და ბაზრის მოთხოვნილებები; რით განსხვავდება კონკურენტებისგან; რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოების სხვადასხვა წრეებთან და საზოგადოებრივ

ცხოვრებასთან; რა რესურსები აქვს და სამომავლო განვითარებისთვის რა რესურსებია საჭირო. ამ ტაქტიკით მმართველი საშუალებას აძლევს თანამშრომლებს იყვნენ შემოქმედებითები და ინიციატივები გააჩნდეთ.

1.4.2. მართვა გარღვევით

ტექნიკა გულისხმობს რომ ქმედებები გაწერილია თანმიმდევრულად, შესაბამისად უმჯობესდება ორგანიზაციის მუშაობა და მართვა. ამ სტრატეგიას ახასიათებს დაპყრობითი აქციები , შეტევა თავდასხმა და მიზნების მოპოვება (ახალი საკონტაქტო არხების გამოყენება, ხელმძღვანელთა შემადგენლობის ცვლილება, რესურების და მარაგების განსაზღვრა და მონიტორინგი; ახალი გზების აღმოჩენა და სხვა.)

ასევე დამახასიათებელია მიღწეულის შენარჩუნების აქცია, კონსოლიდაცია: შიდა ადმინისტრირების კანონებით ხდება მიღწეული შედეგების დაცვას გარე აგრესიული ძალებისაგან, განისაზღვრება რა საჭიროებს კონსოლიდირებას და რა - გაკონტროლებას; ზომები მიიღება მართვისა და კონტროლისათვის; ხდება სამუშაო სტანდარტების დამტკიცება და სხვა აქტივობები.

1.4.3. მართვა მიზნით

მოცემული ტექნიკით მმართველი დაქვემდებარებულ პერსონალს თანამშრომლებთან განხილვის და დისკუსიის შედეგად უსახავს მიზნებს, რომლებიც არის მკაფიო და ყველასთვის გასაგები, მმართველი თანამშრომლებს პასუხისმგებლობის აღებისკენ მიმართავს, ხოლო პერსონალის საქმიანობა არის შედეგზე ორიენტირებული, თანამშრომლებს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებაც აქვთ რათა სხვადასხვა გზით მიაღწიონ სამუშაო შედეგს.

მიზნების დასახვისთვის არის ორი მიმართულება: ანგლო-ამერიკული მიმართულებით ეს ტექნიკა მოიცავს არა ზემოდან ქვემოთ მიზნების დასახვას, არამედ თანამშრომლებთან ერთად მიღებულ გადაწყვეტილებას, რითაც დაკავშირებულია კოოპერატიულ და ადგილობრივ სტილებთან.

მიზნების მართვის ტექნიკა შედგება შემდეგი ეტაპებისგან: მიზნების განხილვის ეტაპი; მიზნების დასმა; მიზნების განხორციელების დრო; შედეგების შეფასება

1.4.4. დელეგირებით მართვა

ამ ტექნიკით მმართველი თანამშრომლებს აძლევს გარკვეულ დავალებებს, ამოცანები და მიზნები არის ნათელი და გასაგები პერსონალისთვის; დავალებები გადანაწილებულია და პერსონალმა იცის რა უნდა გააკეთოს, რა არის თითოეულის კომპეტენცია და ხომ არ აღემატება მათ ძალებს. პერსონალს აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებაც. მმართველი აკონტროლებს სამუშაო შედეგებს.

არსებობს პერმანენტული დელეგირება: საერთო გეგმის თანახმად, ყველა დავალება ნაწილებდა თანამშრომლებზე, განისაზღვრება სამუშაო ადგილები და ა.შ. ამ ტექნიკას ყველაზე კარგად „ჰარცბურგის მოდელი“ და რ. ჰოლნი ასახავს. თანამშრომლებს და მმართველს არ შეუძლიათ წესრიგში ცვლილებების შეტანა. ასე წარმოიქმნება მკაცრად ფიქსირებული ფუნქციები. ორგანიზაცია იძენს მართვადობას.

„Ad hoc” დელეგირება (ნ. გარდინერი, ჯ.დევისის მიხედვით): ვინაიდან ყველა დავალება ხანგრძლივ პერიოდზე არის გაწერილი, აუცილებელი ხდება სხვადასხვა საკითხების დამატებით დელეგირება. ასეთი საკითხებია: მოულოდნელად ახალი პროექტების გამოჩენა, გარკვეული თანამშრომლების ჩართულობის აუცილებლობა, შემსრულებლის დროებითი შეცვლა, კარიერის განვითარება. ამ მხრივ პერსონალი მეტად

ორიენტირებულია მის მოვალეობებზე და ჩარჩოებზე. მმართველმა უნდა იმუშავოს თანამშრომლების მოტივაციაზე.

1.4.5 ხელმძღვანელობა გამონაკლის შემთხვევებში ჩარევით

ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ორგანიზაციაში განაწილებულია საფეხურობრივად. ზედა საფეხური ორიენტირებულია იმ საკითხების გადაწყვეტაზე, რომელიც ვერ წყდება ქვედა საფეხურზე. მაგალითად, ცენტრალურ მმართველობით ორგანოსა და სხვადასხვა განყოფილებებს შორის ურთერთობების ჩამოყალიბებისას, რათა თავიდან იყოს აცილებული ძლიერი ცენტრალიზაციის ტენდენცია; ერთ ორგანიზაციაში სხვადასხვა მმართველობის დონის არსებობისას; შტაბური და ხაზობრივი განყოფილებების ურთერთობების მოგვარებისას; მმართველის და თანამშრომლების ურთიერთობის დროს.

ამ მეთოდის მიხედვით ორგანიზაციის ყოველი საფეხური დაკავებულია იმ საკითხის გადაწყვეტით, რომელსაც წინა საფეხური ვერ გაუმკლავდა, რაც პასუხიმგებლობის გადანაწილებისთვის ეფექტურია. თუმცა შესაძლოა ბოლო საფეხური რომელიც ტოპ-მენეჯმენტს უკავია, გააქტიურდეს მხოლოდ პრობლემის გადაჭრისას, რითაც თანამშრომლებში არასათანადო დაფასების ეჭვი ჩნდება.

1.4.6 შედეგზე ორიენტირებული მმართველობა

ტექნიკა ორიენტირებულია ორგანიზაციის ეკონომიკურ ფუნქციებზე, ორგანიზაციის და მოგების ზრდაზე, მიზნებსა და დავალებებზე ფოკუსირებაზე.

ამ ტექნიკის მიხედვით კონცენტრირება ხდება ბაზრის კვლევაზე, მოგების რელევანტობაზე, ორგანიზაციის ღირებულებების გამოკვეთაზე, პასუხისმგებლობების გადანაწილებასა და კონტროლზე.

1.4.7 სისტემური მმართველობით ხელმძღვანელობა

ამ ტექნიკის მიხედვით მმართველი ორიენტირებულია მიზნების დასახვაზე, გადაწყვეტილებების მიღებაზე, გადაწყვეტილების შესრულებაზე, აკონტროლებს პროცესებს, აქვს წინასწარ განსაზღვრული შედეგები, შესაბამისად ორიენტირებულია დაგეგმვის, მართვის, კონტროლის ურთიერთინტეგრირებაზე. ტექნიკის მიხედვით თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია თავის სამუშაო ნაწილზე და ჩარჩოზე. ორგანიზაციის ყველა ასპექტი სტრუქტურირებული და მართვადია.

1.4.8. მმართველობის მოდელის შეცვლის შედეგები

მმართველობა საკმაოდ მრავალასპექტიანია, ამ ტექნიკის მიხედვით მმართველი ორიენტირებული უნდა იყოს გაანალიზოს რომელ ასპექტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ გააუმჯობესოს ორგანიზაცია და მმართველობა. მმართველმა უნდა აღმოაჩინოს ორგანიზაციის სუსტი ადგილი, რომელსაც სჭირდება განვითარება და ასე გადავიდეს შემდეგ სუსტი რგოლის განვითარებაზე, რაც ფაქტიურად ხელმძღვანელს მმართველობის ყველა პროცესის განვითარებაში რთავს. „მენეჯმენტ-ფილოსოფია, მართვის ტექნიკები და მმართველობის სტილი ერთად ქმნიან მმართველობის კოჰერენტურ კონცეფციას, რომელიც შინაგანი წინააღმდეგობისგან არის თავისუფალი.“ მმართველმა თანამშრომლებთან ერთად უნდა შეაფასოს დღევანდელი მმართველობა, რა პრობლემები აქვს დღეს და იმსჯელონ თუ როგორ შეიძლება მისი გამოსწორება. ხოლო მმართველობის მოდელის ნებისმიერი ცვლილება ორგანიზაციის სტრატეგიასთან თანამიმდრევობაში უნდა იყოს.

1.5 მმართველის ძალაუფლება, გავლენა, ლიდერობა

ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობა ხელმძღვანელობის სწორი ფორმების შერჩევა და გამოყენებაა. ხელმძღვანელობა ეყრდნობა ძალაუფლებასა და ხელმძღვანელის პირად თვისებებს.

ადამიანები სხვადასხვა პირადი თვისებებით ხასიათდებიან. არიან წყნარი, ემოციური, სერიოზული, მხიარული და სიცოცხლით სავსე, იმპულსური და კიდევ მრავალი სხვა თვისებების მქონე. ადამიანთა ეს თვისებები უდიდეს გავლენას ახდენენ ხელმძღვანელობის სტილზე. ხელმძღვანელობის ფორმების შერჩევა და შესაბამისად ხელმძღვანელობის შედეგები აღნიშნული თვისებებით არის განპირობებული.

მმართველის ძალაუფლება პერსონალის ქცევაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობაა. გავლენაში იგულისხმება მმართველის ქმედება, რომელიც იწვევს ცვლილებებს პერსონალის ქცევაში, შეგრძნებებში, ურთიერთობებში და სხვა.

ძალაუფლება და გავლენა ის საშუალებებია, რომელთაც მენეჯერი იყენებს კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად. თუ მენჯერი არ ფლობს თანამშრომლებზე ზემოქმედებისათვის საკმარის ძალაუფლებას, ის ვერ შეძლებს მათ წარმართვას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ძალაუფლება ორგანიზაციათა წარმატებით ფუნქციონირების აუცილებლი პირობაა, თუმცა ზოგჯერ ის არასწორად გამოიყენება.

მენეჯერთა ძალაუფლებას თანამშრომლებზე განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ისინი მასზე დამოკიდებულნი არიან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ხელფასის მომატება, სამსახურში დაწინაურება, უფლებამოსილებათა გაფართოება, სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სხვა. ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ხელმძღვანელობაზე თანამშრომლების გავლენას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მოპოვების, სხვა ქვედანაყოფების თანამშრომლებთან არაფორმალური კონტაქტების დამყარების, დავალებების შესრულებისას. ძალაუფლება და გავლენა ერთნაირად არის დამოკიდებული მენეჯერის

უნარზე, სიტუაციაზე და იმ პიროვნებაზე, რომლის მიმართაც გავლენის მოხდენის სურვილი ჩნდება.

მმართველი პერსონალზე ზემოქმედებისათვის იყენებს იძულებას, წახალისებას, ტრადიციებს, ავტორიტეტს. ამის შესაბამისად განასხვავებენ მმართველის ძალაუფლების შემდეგ ფორმებს:

1) ძალაუფლება, დამყარებული იძულებაზე;
2) ძალაუფლება, დამყარებული წახალისებაზე;
3) ძალაუფლება, დამყარებული ტრადიციებზე;
4) პიროვნების ავტორიტეტზე დამყარებული ძალაუფლება.

იძულებაზე დამყარებული ძალაუფლების საფუძველი არის რაიმეს დაკარგვის შიში, რომელიც აიძულებს თანამშრომლებს იმოქმედონ მმართველის მითითების შესაბამისად.

შიშზე დამყარებული იძულების პირობებში აუცილებელია კონტროლის ეფექტიანი სისტემის შემოღება, რაც ძალიან ძნელდება იმის გამო, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანებზე ძლიერდება ორგანიზაციის მმართველის მხრიდან შეგნებულად მოტყუების მისწრაფება.

ადამიანებზე გავლენის მოხდენის ძველი და ხშირად ყველაზე ეფექტიანი ხერხია წახალისება, რომელიც დადებით განწყობას ქმნის ხელქვეითებში.

გავლენის მოხდენის ყველაზე უფრო გავრცელებული ინსტრუმენტი ისტორიულად ტრადიციაა. ეს ფორმა ქმედითია მხოლოდ იმ პირობებში, როცა ტრადიცია, კულტურის ნორმები ასწავლიან ადამიანებს, რომ სასურველი ქცევაა ხელმძღვანელობისადმი დამორჩილება. ათასწლეულების მანძილზე, ტრადიცია აიძულებდა ადამიანებს დამორჩილებოდნენ მას, ვისაც ეკავა განსაზღვრული თანამდებობა. იშვიათად თუ ვინმეს მოუვიდოდა თავში აზრად ან ეყოფოდა გამბედაობა, წინააღმდეგობა გაეწია პოლიციის მუშაკების ბრძანებისათვის. შესაძლებლობა - წაახალისო და დასაჯო ადამიანები აძლიერებს ხელმძღვანელის უფლებამოსილებას, გასცეს ბრძანება.

ხელმძღვანელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლიდერობის მექანიზმსაც. ლიდერი თანამშრომლებს უქმნის მომავლის ხედვას და შთააგონებს მათ, მოტივაციას უქმნის რომ ჩაერთონ მიზნის მისაღწევად, მაგალითს აძლევს და თვითონვე გუნდის წევრი მიზნისკენ სავალ სრულ გზაზე. ლიდერობაში იგულისხმება ცალკეულ პიროვნებებსა და ჯგუფებზე გავლენის მოხდენის უნარი, რომელიც უზრუნველყოფს მათი ძალისხმევის წარმართვას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. თუ ლიდერობის უნარი მენეჯერებს სათანადოდ არა აქვთ განვითარებული, ისინი ვერ შეძლებენ ორგანიზაციის ეფექტიან მართვას. ლიდერები არიან კომუნიკაბეულერები, შრომისმოყვარეები, აქვთ აღქმის და გაგების უნარი, თავიანთი გადაწყვეტილების დამცველები, მჭერმეტყველები და ჭკვიანები.

ლიდერი შეიძლება იყოს ქარიზმატული, გამორჩეული ჯგუფისგან და სხვა თანამშრომლებისგან, ნდობით აღჭურვილი, აღქმული როგორც ზებუნებრივი ძალის მქონე პერსონა ; შესაძლოა იყოს ტრანსფორმაციული - ამ ტიპის ლიდერი თანამშრომლებს შთააგონებს ორგანიზაციის კეთილდღეობა დააყენონ წინ და ამჯობინონ თავიანთ ინტერესებს.

ეფექტური მართვა ლიდერობის უნარის მქონე მმართველს გამოსდის, რამეთუ მას გააჩნია ქარიზმა და იდეები, შეუძლია თავისი აზრის გამოვლენა, შთაგონების აღძრვა თანამშრომლებში და მისი იდეის განხორციელება.

თავი II- კვლევის აღწერა

2.1 კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების აღწერა

კვლევის ჩასატარებლად შერჩეული იქნა 8 მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაცია. ორგანიზაციების მინიმალური ზომა შეადგენს 5 თანამშრომელს, მაქსიმალური 136-ს. არის როგორც კერძო ასევე საჯარო კომპანიები. ორგანიზაციების ძირითადი მახასიათებლები - თითქმის ყველა მომსახურების სფეროშია და ძირიტადად არის პიონერულ ან პიონერულიდან დიფერენციაციის ფაზაში გარდამავალი. მინიმალური ხაგრძლივობა ბაზარზე არსებობის - 3 წელი.

ორგანიზაცია I

მოღვაწეობს ტურიზმის სფეროში. სულ შედგება 5 წევრისგან . არსებობს 3 წელი .

ორგანიზაცია II

ასევე მოღვაწეობს ტურიზმის სფეროში. შედგება 7 წევრისგან. არსებობს 3 წელი.

ორგანიზაცია III

მოღვაწეობს სამედიცინო სფეროში. შედგება 107 თანამშრომლისგან. აქვს რამდენიმე დეპარტამენტი. ბაზარზე მოღვაწეობს 12 წლის განმავლობაში.

ორგანიზაცია IV

მოღვაწეობს სამედიცინო სფეროში. შედგება 56 თანამშრომლისგან. აქვს რამდენიმე დეპარტამენტი. ბაზარზე მოღვაწეობს 7 წლის განმავლობაში.

ორგანიზაცია V

მოღვაწობს საგანმანათლებლო სფეროში. შედგება 136 თანამშრომლისგან. აქვს რამდენიმე დეპარტამენტი. ბაზარზე მოღვაწეობს 5 წლის განმავლობაში.

ორგანიზაცია VI

მოღვაწეობს კომპიუტერული სისტემის სფეროში. შედგება 48 თანამშრომლისგან. აქვს რამდნეიმე დეპარტამენტი. ბაზარზე მოღვაწეობს 17 წელი.

ორგანიზაცია VII

მოღვაწეობს საგნმანათლებლო სფეროში. შედგება 15 წევრისგან. ბაზარზეა 5 წლის განმავლობაში.

ორგანიზაცია VIII

მოღვაწეობს მიკრო-საფინანსო სფეროში. ბაზარზეა 6 წელი. შედგება 40 წევრისგან.

2.2 კვლევის მეთოდი და მიზანი

გამოყენებულია რაოდენობრივი ტიპის კვლევა კითხვარის საფუძველზე. კითხვარი შედგენილია დახურული კითხვებისგან, რაც სტატისტიკური ანალიზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. სამიზნე ჯგუფი - მმართველს დაქვემდებარებული თანამშრომლები, კვლევაში ჩაერთვნენ შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე. სულ გამოიკითხა 200 დასაქმებული, მმართველს დაქვემდებარებული თანამშრომელი. გამოკითხვა იყო ანონიმური. კითხვარის შევსებისთვის საჭირო იყო 10-15 წუთი.

2.3 კვლევის პროცესი და მიღებული შედეგები

კითხვარში მოცემული იყო 14 კითხვა.

პირველ კითხვაზე კვლევაში მონაწილე პირებს უნდა შეეფასებინათ, რამდენად მონაწილეობენ თავიანთი სამუშაო გეგმის შედგენაში თვითონ, მათი კოლეგები, მათდამი დაქვემდებარებული პირები, მათი უშუალო ხელმძღვანელობა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, სხვები.



შედეგად, 39.8%-ით ლიდერობს საკუთარი თავის მონაწილეობა პირადი სამუშაო გეგმების (ნორმების) შედგენაში, შემდეგ მოდის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა 26,5%, შემდეგ უშუალო ხელმძღვანელობა 17.8%-ით, 8.2%-ით გამოკითხულთა კოლეგები, 4,5% - სხვა დანარჩენ ფაქტორებს უკავია, ხოლო ბოლო ადგილზე 3,3%-ით არის გამოკითხულთა დაქვემდებარებული პირები.

მეორე კითხვაზე გამოკითხულ პირებს უნდა შეეფასებინათ ეს პირები რამდენად უფლებამოსილნი იყვნენ, რამდენად საჭირო იყო ამ პირების მონაწილეობა გამოკითხული პირის სამუშაო გეგმის შედგენაში.



შედეგად, კვლევაში მონაწილე პირთა პასუხებიდან 40.2%-ით ლიდერობს საკუთარი თავი, თითქმის ერთ დონეზე არის უშუალო და ორგანიზაციის ხელმძღვანელობა: 24.9%-ით უშუალო ხელმძღვანელობა, 23,8 %-ით ორგანიზაციის ხელძღვანელობა, 7,3 % კოლეგებს უკავია ხოლო დაქვემდებარებულ პირებს 2.1%, სხვებზე მოდის 1.7%.

მესამე კითხვაში მონაწილებ პირებს უნდა გამოევლინათ თუ რამდენად შეუძლიათ მისი გუნდში მიმდინარე პროცესებზე გადაწყვეტილებს მიმღებ პირზე ან ჯგუფზე გავლენის მოხდენა.



გამოკითხულთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 45%-ით პირველი ადგილი დაიკავა პასუხმა „ვახდენ საკმაო გავლენას“, 25%-ით პასუხი „შემიძლია მოვახდინო უმნიშვნელო გავლენა“ მეორე ადგილზეა, მას მოჰყვება პასუხი „ვახდენ დიდ გავლენას“ 16,7%-ით, ხოლო უერთიერთსაწინააღმდეგო პოლუსების პასუხებმა „მე თითქმის არავითარი გავლენის მოხდენა არ შემიძლია „ და „ვახდენ ძალზე დიდ გავლენას“ თანაბარი 6,7-6,7% მიიღო.

მეოთხე კითხვაზე ინტერვიუერებს უნდა გაეცათ პასუხი თუ რამდენად მოსწონთ მათ თავიანთი ამჟამინდელი სამუშაო .



ხმათა 40% პირველ ადგილზე გავიდა პასუხი " მომწონს", თანამშრომლების 30% -ს კი ძალიან მოსწონს მისი სამუშაო, 25% ნეიტრალურ განწყობას იკავებს, 3.3%-ს არ მოსწონს და მხოლოდ 1,7%-ს აქვს უკიდურესი ნეიტრალური განწყობა და არ მოსწონს ძალიან.

მეხუთეს კითხვაზე ინტერვიუერებს უნდა ეჩვენებინათ თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ თავიანთი ამჟამინდელი სამუშაო.



ხმათა გადანაწილება ასე მოხდა: თანაბარი ხმები 31,7-31.7% აიღეს „ძალიან მნიშვნელოვანია“ და „აქვს დიდი მნიშვნელობა“ პასუხებმა, 30%-ს კი მიაჩნია რომ გარკვეული მნიშვნელოვა აქვს ამჟამინდელ სამუშაოს, მხოლოდ 5% თვლის ნაკლებ მნიშვნელოვნად და 1,7% კი სავსებით უმნიშვნელოდ.

მეექვსე კითხვით ირკვევა თუ რამდენად მნიშვნელოვანია რესპოდენტების პირადი წვლილი, იმ საქმეში რომელსაც მათი ჯგუფი აკეთებს.



მიღებული პასუხების მიხედვით, ყველაზე მაღალი შეფასება 38,3% მიღებული აქვს პასუხს „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“, 33,3%-ისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის წვლილს ჯგუფის საქმეში, 25%-ისთვის საკმაო მნიშვნელობა აქვს, ხოლო პასუხებს „სავსებით უმნიშვნელობა“ და „აქვს მცირე მნიშვნელობა“ 1,7-1,7% აქვს მიღებული.

მეშვიდე კითხვაზე მათი მოთხოვნილებებისთვის სამსახურთან მიმართებაში უნდა მიეთითებინათ თუ რა მნიშნელობას მიანიჭებდნენ.



თანამშრომლებისთვის სამსახურის შერჩევისას გაითვალისწინონ მათი ცოდნის გამოყენების საშუალება ძალიან დიდი მნიშვნელობის აღმოჩნდა და ხმების 60% მიიღო, 26,7%-მა კი დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, 13,3%-მა კი საკმაო მნიშვნელობა.

კრიტერიუმს ჰქონდეთ მისაღები ხელფასი ძალიან დიდი მნიშვნელობა რესპოდენტთა 53,3%-მა მიანიჭა, ხოლო დიდი მნიშვნელობა 36,7%-მა, 10%-მა კი საკმაო მნიშვნელობა.

სამსახურში დაწინაურების კრიტერიუმს რესპოდენტთა 33,3%-მა ძალიან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, დიდი მნიშვნელობა 28,3%-მა, საკმაო მნიშვნელობა 15%-მა, მცირე მნიშვნელობა 15%-მა, არავითარი მნიშვნელობა მიანიჭა 8,3%-მა.

ვიმუშავო საქმის მცოდნე ერუდირებულ კოლეგებთან ერთად 76,7%-მა ძალიან დიდი მნიშვნელოვნად მიიჩნია, პასუხებმა „დიდი მნიშვნელობა“ და „საკმაო მნიშნელობა“ ხმების თანაბარი 10-10% მიიღეს, ხმების 3,3% მიიღო პასუხმა „არავითარი მნიშვნელობა“.

კრიტერიუმზე „შევიქმნა სასურველი პროფესიული რეპუტაცია“ - 60% მიიღო პასუხმა „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“, 23,3%- „დიდი მნიშნელობა აქვს“, 13,3% - საკმაო მნიშვნელობა აქვს, 3,3% - არავითარი მნიშვნელობა აქვს.

კრიტერიუმზე „ვიმუშავო რთულ და საინტერესო საკითხებზე“ – 33,3%-ისთვის ძალიან დიდი მნიშნელობა აქვს, 35%-ისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, 23,3%-ისთვის საკმაო მნიშვნელობა აქვს, 5%-ისთვის მცირე მნიშვნელობა აქვს, 3,3%-ისთვის არავითარი მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ კითხვაში რესპოდენტებს უნდა ეპასუხათ რამდენად აძლევდა ამ მოთხოვნილებებს ამჟამინდელი სამუშაო.



ცოდნის გამოყენების საშუალებას რესპოდენტთა 31,7%-ს სრულად აძლევს თავისი სამსახური, 35%-ს საკმაო შესაძლებლობას აძლევს, 26,7%-ს მცირე შესაძლებლობას, 6,7%-ს არ აძლევს ამის შესაძლებლობას.

მისაღებ ხელფასის სრულ შესაძლებლობას რესპოდენტთა 10% იღებს თავიანთი სამსახურებისგან, 35% -ს საკმაო შესაძლებლობას აძლევს, 35%-ს მცირე შესაძლებლობას, 20%-ს არ აძლევს ამის შესაძლებლობას.

სამსახურში დაწინაურების სრულ შესაძლებლობას იღებს 6,7%, საკმაო შესაძლებლობას 33,3%, მცირე შესაძლებლობას 38,3 %, არავითარ შესაძლებლობას - 21,7%.

საქმის მცოდნე, ერუდირებულ კოლეგებთან მუშაობის სრულ შესაძლებლობას სამსახურისგან იღებს 21,7%, საკმაო შესაძლებლობას -45%, მცირე შესაძლებლობას - 25%, არავითარ შესაძლებლობას 8,3%.

სასურველი პროფესიული რეპუტაციის შექმნის სრულ შესაძლებლობას სამსახურისგან იღებს 26,7%, საკმაო შესაძლებლობას - 36,7%, მცირე შესაძლებლობას 23,3%, არავითარ შესაძლებლობას -13,3%.

რთულ და საინტერესო საკითხებზე მუშაობის სრულ შესაძლებლობას გამოკითხულთა 23,3 % იღებს, საკმაო შესაძლებლობას 36,7%, მცირე შესაძლებლობას 20%, არავითარ შესაძლებლობას 20%.

შემდეგ კითხვაზე რესპოდენტებს მმართველის მოცემული ორი დახასიათებიდან უნდა შეერჩიათ რომელი შეესაბამება მათ უშუალო მმართველს.



51,7%-ს მიაჩნია, რომ მათ უშუალო ხელმძღვანელს უფრო ადამიანები აინტერესებს, ვიდრე პროდუქცია, როცა ადამიანები გრძნობენ, რომ მათი პირადი პრობლემებით ინტერესდებიან, ისინი ყველაფერს გააკეთებენ პროდუქტიულობის მისაღწევად.

48,3%-ს კი მიაჩნია რომ მათი უშუალო ხელმძღვანელისთვის ადამიანთან პირადი პრობლემებით დაინტერესება კარგი საქმება, თუმცა მას ეს ზედმეტად მიაჩნია და მისთვის მნიშვნელოვანია პროდუქცია/ წარმოება, ხოლო როცა ეს მხარე უზრუნველყოფილია, შეიძლება გამონახოს დრო და დაინტერესდეს დაქვემდებარებულთა პირადი პრობლემებით.

შემდეგ კითხვაში რეპსოდენტებს უნდა მიეთითებინათ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ხელმძღვანელის ფუნქციები.



შრომის განაწილება და წესრიგის დამყარება რესპოდენტთა 71,7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 21.7%-მა მნიშვნელოვნად , 3.3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 3.3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

ჯგუფის მომარაგება საჭირო და ტექნიკური მასალებით რესპოდენტთა 68,3%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 21.7%-მა მნიშვნელოვნად , 6.7%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 3.3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

სტანდარტების დაწესება და შესასრულებელი მიზნების დასახვა რესპოდენტთა 63.3%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 25%-მა მნიშვნელოვნად, 8.3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 1.7%-მა უმნიშვნელოდ, 1.7%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

შესრულებული სამუშაოს კონტროლი რესპოდენტთა 71,7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 26.7%-მა მნიშვნელოვნად , 1.7%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად.

წამახალისებელი აქტივობების ორგანიზება ან რეკომენდაციის მიწოდება (პრემიები და სხვა) რესპოდენტთა 56,7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 33.3%-მა მნიშვნელოვნად , 3,3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 3.3%-მა უმნიშვნელოდა და ასევე 3,3%-მა სრულიან უმნიშვნელოდ მიიჩნია.

თანამშრომელთა აზრის მოსმენა და მხედველობაში მიღება რესპოდენტთა 63,3%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 31.7%-მა მნიშვნელოვნად, 3.3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 1.7%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევების სისტემურად გაცნობა რესპოდენტთა 50%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 33.3%-მა მნიშვნელოვნად, 11.7%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 1.7%-მა უმნიშვნელოდ ხოლო 3,3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

თანამშრომლების კეთილდღეობაზე ზრუნვა რესპოდენტთა 61.7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 23.3%-მა მნიშვნელოვნად, 10%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 1.7%-მა უმნიშვნელოდ ხოლო 3,3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

თითოეული თანამშრომლის კვალიფიციურობის ამაღლებაზე ზრუნვა რესპოდენტთა 61.7%-მა მიიჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, 26.7%-მა მნიშვნელოვნად, 3.3%-მა ნაკლებ მნიშვნელოვნად, 5%-მა უმნიშვნელოდ ხოლო 3,3%-მა კი სრულიან უმნიშვნელოდ.

ამის შემდეგ კი რესპოდენტებს უნდა ეპასუხათ, ამ ფუნქციებდან რომელ ფუნქციებს ასრულებდა მათი ხელმძღვანელი ეფექტურად.



ხელმძღვანელების მიერ საქმის განაწილებამ და წესრიგის დამყარების ეფექტურად შესრულებამ ხმების 58,3% მიიღო, ჯგუფის მომარაგებამ საჭირო მასალით და ტექნიკური საშუალებებით ხმების 50%, შესრულებული სამუშაოს კონტროლმა 75%, სტანდარტების დაწესებამ და მიზნების დასახვის ეფექტურმა შესრულებამ ხმების 38.3 % მიიღო, თანამშრომელთა სამოტივაციო წამახალისებელი აქტივობების (პრემიები და სხვა) ეფექტურად უზრუნველყოფამ ხმების 31.7% მიიღო; თანამშრომლების მოსმენამ და მათი პრობლემების, საკითხების მხედველობაში მიღების ეფექტურად განხორციელებამ ხმების 31.7% მიიღო; თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევების სისტემურად გაცნობის ეფექტურად განხორციელებამ ხმების 51.7% მიიღო;

თანამშრომელთა კეთილდღეობის ზრუნვამ - 33.3%, ხოლო თითოეული თანამშრომლის კვალიფიკაციაზე ზრუნვამ - 23.3%.

შემდეგ ეტაპზე რესპოდენტებს უნდა შეეფასებინათ, სამუშაო პროცესში მოეთხოვებათ თუ არა იმაზე მეტის შესრულება, ვიდრე მათ გონივრულად მიანჩნდათ.



გამოკითხულთა 38.3% სულ არ გრძნობდ, რომ სთხოვენ იმუშავოს იმეტი, ვიდრე გონივრულად მიაჩნია. 28.3% გრძნობს, რომ სთხოვონ იმუშავონ ცოტათი მეტი, ვიდრე გონივრულად მიაჩნიათ; 18.3%-ს მიაჩნია, რომ სთხოვენ იმუშაონ საკმაოდ მეტი, ვიდრე გონივრულად მიაჩნიათ; ხოლო გამოკითხულთა 15% გრძნობს რომ სთხოვენ იმუშავონ გაცილებით მეტი, ვიდრე გონივრულად მიაჩნიათ.

შემდეგ ეტაპზე რესპოდენტებს ორი საპირისპირო პოლუსების მმართველის მახასიათებლებს შორის უნდა მოენიშნათ 1-დან 7 ქულამდე (სადაც 1 ყველაზე დადებითია, ხოლო 7 - უარყოფითი) რომელი შეესაბამებოდა მათ ხელმძღვანელს.



სასიამოვნოდან არასასიამოვნომდე გრადაცია ასე შეფასდა: ხელმძღვანელს ყველაზე დადებითი - 1 ქულა მიანიჭა 51,7%-მა, 2 ქულა - 10%-მა, 3 ქულა-13.3%-მა, 4 ქულა - 15%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -1.7%-მა, ხოლო ყველაზე უარყოფითი 7 ქულა - 3.3%-მა.

სამართლიანიდან არასამართლიანამდე გრადაცია ასე შეფასდა: ხელმძღვანელს ყველაზე დადებითი - 1 ქულა მიანიჭა 43.3%-მა, 2 ქულა - 15%-მა, 3 ქულა-15%-მა, 4 ქულა - 11.7%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -10%-მა, ხოლო ყველაზე უარყოფითი 7 ქულით არცერთ რესპოდენტს არ შეუფასებია მისი ხელმძღვანელი.

კეთილიდან ბოროტამდე კი ასე განადაწილდა ქულები: ხელმძღვანელს ყველაზე დადებითი - 1 ქულა მიანიჭა 51.7%-მა, 2 ქულა - 13.3%-მა, 3 ქულა-6.7%-მა, 4 ქულა - 15%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -8.3%-მა, ხოლო ყველაზე უარყოფითი 7 ქულით არცერთ რესპოდენტს არ შეუფასებია მისი ხელმძღვანელი.

კვალიფიციურიდან არაკვალიფიციურამდე კი ასე განადაწილდა ქულები: ხელმძღვანელს ყველაზე დადებითი - 1 ქულა მიანიჭა 53.3%-მა, 2 ქულა - 8.3%-მა, 3 ქულა-10%-მა, 4 ქულა - 15%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -5%-მა, ხოლო ყველაზე უარყოფითი 7 ქულით 3.3%-მა შეაფასა.

ძლიერიდან სუსტამდე გრადაცია კი ასე გამოიყურება: ხელმძღვანელი ყველაზე ძლიერად მიიჩნია და 1 ქულა მიანიჭა 48.3%-მა, 2 ქულა - 10%-მა, 3 ქულა-16.7%-მა, 4 ქულა - 8.3%-მა, 5 ქულა - 11.7%-მა, 6 ქულა -3.3%-მა, ხოლო 1.7% მიიჩნევს რომ მათი ხელმძღვანელი ძალიან სუსტია და 7 ქულით შეაფასა.

ხელმძღვანელი ძალიან მკაცრად მიიჩნია და 1 ქულა მიანიჭა რესპოდენტთა 15%-მა, 2 ქულა მიანიჭა - 6.7%-მა, 3 ქულა-20%-მა, 4 ქულა - 21.7%-მა, 5 ქულა - 15%-მა, 6 ქულა -10%-მა, ხოლო 11.7% მიიჩნევს რომ მათი ხელმძღვანელი ძალიან ლმობიერია და 7 ქულით შეაფასა.

ხელმძღვანელი ძალიან აქტიურად მიიჩნია და 1 ქულა მიანიჭა რესპოდენტთა 43.3%-მა, 2 ქულა მიანიჭა - 11.7%-მა, 3 ქულა-18.3%-მა, 4 ქულა - 10%-მა, 5 ქულა - 5%-მა, 6 ქულა -8.3%-მა, ხოლო 3.3% მიიჩნევს რომ მათი ხელმძღვანელი ძალიან პასიურია და 7 ქულით შეაფასა.

ხელმძღვანელი ძალიან დინამიურად მიიჩნია და 1 ქულა მიანიჭა რესპოდენტთა 25%-მა, 2 ქულა მიანიჭა - 15%-მა, 3 ქულა-15%-მა, 4 ქულა - 16.7%-მა, 5 ქულა - 6.7%-მა, 6 ქულა -6.7%-მა, ხოლო 5% მიიჩნევს რომ მათი ხელმძღვანელი ძალიან სტატიკურია და 7 ქულით შეაფასა.

თავი III- დასკვნა

მიღებულმა შედეგების მიხედვით იკვეთება ტენდენცია, რომ სტანდარტული მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციის თანამშრომლის სურვილი - მაქსიმალურად იყოს ჩართული თავისი სამუშაო გეგმის შედგენაში და რეალობა სრულ თანხვედრაშია. ანუ თანამშრომელი აქვს უფლებამოსილება გამოთქვას მისი აზრი და შეიტანოს მისი წვლილი. მისი სამუშაო არ შედგება ხელმძღვანელის ბრძანების უპირობო შესურლებისგან, სადაც მას აზრის გამოთქმის საშუალება არ აქვს. ასევე არ მოდის წინააღმდეგობაში ხელმძღვანელის ჩართულობის საჭიროება თანამშრომლის სამუშაო გეგმის შედგენისას და რეალური ჩართულობის დონე.

იკვეთება ტენდენცია რომ მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციების თანამშრომელი გვევლინება ძალად, რომელსაც შეუძლია გარკვეული გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღებაზე. მას არ აქვს გადამწყვეტი ძალა, თუმცა თავისი სიტყვა, აზრი და შეხედულების წარდგენაში შეზღუდული არ არის. ანუ შეხება გვაქვს არა ავტოკრატიულ ან სხვა ტიპის მართველობასთან არამედ მართვის დემოკრატიულ სტილთან.

კვლევის შედეგების მიხედვით, თანამშრომელს ზიზღი კი არ აქვს თავისი სამსახურის მიმართ და მისგან გაუცხოებულია და გაქცევა სურს, არამედ დადებითად არის განწყობილი მოსწონს მისი ამჟამინდელი სამუშაო. ასევე ის მუშაობს, არამხოლოდ იმისთვის რომ უნდა იმუშაობს შაბლონურად, არამედ მისთვის მნიშვნელოვანია ეს სამსახური და მისი საქმიანობა ორგანიზაციაში. მას გააზრებული აქვს ორგანიზაციის მიზანი და ამ მიზნისკენ მისი მონაწილეობის მნიშვნელობა; რატომ აკეთებს ამა თუ იმ დავალებას მისი კომპეტენციის ფარგლებში.

გამოკითხულთა შეფასებებით დღევანდელი მმართველის დახასიათებიდან პირველ სამეულს საქმის განაწილება, წესრიგის დამყარება, შესრულებული სამუშაოს კონტროლი, თანამშრომელთა სამოტივაციო წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა, თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევების შესახებ

ინფორმაციის სისტემურად მიწოდება წარმოადგენს. 50%-ზე მეტი შეფასებების მიხედვით მმართველი არის სასიამოვნო, სამართლიანი, კეთილი, კვალიფიციური. ის თავს წარმოადგენს როგორც კონკრეტული ჯგუფის წევრი, ქმნის სასიამოვნო სამუშაო გარემოს, თანამშრომლებს შეუძლიათ საქმის გადანაწილება და კმაყოფილნი არიან თავიანთი ჯგუფის წევრობით.

კვლევის შედეგებით, იკვეთება ტენდენცია, რომ ამჟამინდელი ორგანიზაციები თანამშრომლის მოთხოვნილებებს მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებენ. მოთხოვნილებების ძირითადი ნაწილი როგორიცაა ცოდნის გამოყენება, სასურველი პროფესიული რეპუტაციის შექმნა და მასთან დაკავშირებული საკითხებზე ორგანიზაცია თანამშრომლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თანხვედრაშია.

რაც მიგვითითებს მმართველის მიერ დელეგირებით მართვის ტექნიკით სარგებლობაზე. ამოცანები და მიზნები არის ნათელი და გასაგები პერსონალისთვის; დავალებები გადანაწილებულია და პერსონალმა იცის რა უნდა გააკეთოს, რა არის თითოეულის კომპეტენცია და ხომ არ აღემატება მათ ძალებს. პერსონალს აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებაც. მმართველი აკონტროლებს სამუშაო შედეგებს. ასევე ხდება სხვადასხვა საკითხების დამატებით დელეგირება.: გარკვეული თანამშრომლების ჩართულობის აუცილებლობა, შემსრულებლის დროებითი შეცვლა, კარიერის განვითარება. ამ მხრივ პერსონალი მეტად ორიენტირებულია მის მოვალეობებზე და ჩარჩოებზე. მმართველი მუშაობს თანამშრომლების მოტივაციაზე.

შედეგად კვლევა კვეთას ტენდენციას, რომ მცირე და საშუალო ზომის ქართულ ორგანიზაციებში ძირითადი მმართველობის სტილი დემოკრატიული სტილია, დუგლას მაკრეგორის მართველობის სტილის Y თეორიის მიხედვით მმართველი ყურადღებიანი და მეგობრულია საკუთარი თანამშრომლების მიმართ, ორიენტირებულია თანამშრომლების წახალისებაზე, მათგან ინიციატივების მიღებაზე, მათი შესაძლებლობების წარმოჩენაზე და ჩართულობაზე ორგანიზაციის ზრდასა და წინსვლაში. მმართველი თანამშრომლებისგან დამოუკიდებლად არ იღებს გადაწყვეტილებებს. ქმნის ჯგუფებს და თვითონაც

განიხილავენ თავიანთ თავს როგორც ამ ჯგუფის/ ჯგუფების წევრად. მათი თანამშრომლები მონდომებულნი არიან ამ სამსახურში მუშაობისთვის, არ გაურბიან პასუხისგმებლობას და არ არიან ინერტული ორგანიზაციის განვითარების და ცხოვრების მიმართ.

ბიბლიოგრაფია

Daft Richard L. Organizational Theory and Design. South-Western Cengage Learning, 2013

Glasl, F., & Livegoed, B. (2004). Dynamische Unternehmens-Entwiklung. (R. Tschiren, Ed.)

Richard L.Daft (2015) . Management

Robert Bolton (1984). Social Style /Management style

Ronny Behr, (2016). Management styles, management techniques and management methods learned easily

Stephen. P. Robbins (2013) Management (12th Edition)

ბაკაშვილი ნ., მესხიშვილი დ., ქადაგიშვილი ლ. „ ორგანიზაციის თეორია“ . უნივერსალი, თბილისი, 2009

შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ. „მენეჯმენტის საფუძველი“ , თბილისი, 2008

https://www.thebalance.com/leadership-definition-2948275 (ნანახია 08.02.18)

http://smallbusiness.chron.com/meaning-business-organization-41925.html (ნანახია 08.02.18)

https://www.thebalance.com/what-is-a-manager-2276096 (ნანახია 08.02.18)

დანართი 1

კვლევის ინსტრუმენტი



თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი პირები რამდენად უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ თქვენი სამუშაო გეგმა? გთხოვთ, აჩვენოთ თქვენი გეგმის შედგენაში დაახლოებით რამდენადაა საჭირო ამ პირთა მონაწილეობა. ჯამმა უნდა მოგვცეს 100%
Assign 100 percents
მე თვითონ
0
100
ჩემი კოლეგები
0
100


ჩემდამი დაქვემდებარებული პირები
0
100
ჩემი უშუალო ხელმძღვანელობა
0
100
ორგანიზაციის ხელმძღვანელობა
0
100
სხვები
0
100

რამდენად შეგიძლიათ გავლენა მოახდინოთ იმ პიროვნებაზე ან ჯგუფებზე, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება თქვენ ჯგუფში მიმდინარე პროცესებზე?

- [ ] მე თითქმის არავითარი გავლენის მოხდენა არ შემიძლია
- [ ] შემიძლია მოვახდინო უმნიშვნელო გავლენა
- [ ] ვახდენა საკმაო გავლენას
- [ ] ვახდენ დიდ გავლენას
- [ ] ვახდენ ძალზე დიდ გავლენას

რამდენად მოგწონთ თქვენი სამუშაო?

- ძალიან მომწონს
- მომწონს
- ნეიტრალური განწყობა მაქვს
- არ მომწონს
- ძალიან არ მომწონს

რამდენად მნიშნელოვნად მიგაჩნიათ თქვენი ამჟამინდელი სამუშაო?

- სავსებით უმნიშვნელოა
- ნაკლებმნიშნელოვანია
- აქვს გარკვეული მნიშვნელობა
- აქვს დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს

თქვენი აზრით, რამდენად მნიშნელოვანია თქვენი პირადი წვლილი იმ საქმეში, რომელსაც თქვენი ჯგუფი აკეთებს?

- სავსებით უმნიშვნელოა
- აქვს მცირე მნიშვნელობა
- აქვს საკმაო მნიშვნელობა
- აქვს დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს

ნებისმიერი სამუშაო იძლევა სხვადასხვა შესაძლებლობებს ჩვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ქვემოთ ჩამოთვლილია ასეთი შესაძლებლობები. თქვენ რომ სამსახურს ეძებდეთ, რა მნიშვნელობას მიანიჭებდით თითოეულ მათგანს?

გამოვიყენო ჩემი ცოდნა

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

მქონდეს მისაღები ხელფასი

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

დამაწინაურონ სამსახურში

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

ვიმუშავო საქმის მცოდნე, ერუდირებულ კოლეგებთან

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

შევიქმნა სასურველი პროფესიული რეპუტაცია

- არავითარი მნიშვნელობა
- მცირე მნიშვნელობა
- საკმაო მნიშვნელობა
- დიდი მნიშვნელობა
- ძალიან დიდი მნიშნელობა

ვიმუშავო რთულ და საინტერესო საკითხებზე

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

ახლა კი გთხოვთ მიუთითოთ, აქედან რომელ შესაძლებლობას გაძლევთ ამჟამინდელი სამუშაო?

გამოვიყენო ჩემი ცოდნა

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

მქონდეს მისაღები ხელფასი

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

დამაწინაურონ სამსახურში

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

ვიმუშავო საქმის მცოდნე კოლგებთან

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

შევიქმნა სასურველი პროფესიული რეპუტაცია

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ

შევიქმნა სასურველი პროფესიული რეპუტაცია

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

ვიმუშავო რთულ და საინტერესო საკითხებზე

- არ მაძლევს ამის შესაძლებლობას
- მაძლევს მცირე შესაძლებლობას
- მაძლევს საკმაო შესაძლებლობას
- მაძლევს სრულ შესაძლებლობას

მეტად დამახასიათებელი თქვენი უშუალო ხელმძღვანელისთვის?

- მე უფრო ადამიანები მაინტერესებს, ვიდრე პროდუქცია. როცა ადამიანები გრძნობენ, რომ მათი პირადი პრობლემებით ინტერესდებიან, ისინი ყველფაერს გააკეთებენ პროდუქტიულობის მისაღწევად.
- ადამიანთან პირადი პრობლემებით დაინტერესება კარგი საქმეა, თუმცა ეს ზედმეტად მიმაჩნია, ჩემთვის მნიშვნელოვანია პროდუქცია/წარმოება, ხოლო როცა ეს მხარე უზრუნველყოფილია, შეიძლება გამოვნახო დრო და დავინტერესდე დაქვემდებარებულთა პირადი პრობლემებით.

ქვემოთ ჩამოთვლილია ხელმძღვანელის ფუნქციები, რამდენად მნიშნელოვნად მიგაჩნიათ თითოეული მათგანი?

შრომის განაწილება და წესრიგის დამყარება

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

ჯგუფის მომარაგება საჭირო და ტექნიკური საშუალებებით

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

სტანდარტების დაწესება და შესასრულებელი მიზნების დასახვა

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

შესრულებული სამუშაოს კონტროლი

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

წამახალისებელი აქტივობების ორგანიზება ან რეკომენდაციების მიწოდება (პრემიები და სხვა)

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

თანამშრომელთა აზრის მოსმენა და მხედველობაში მიღება

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

თანამშრომლებისთვის ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევების სისტემურად გაცნობა

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

თანამშრომლების კეთილდღეობაზე ზრუნვა

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

თითოეული თანამშრომლის კვალიფიცურობის ამაღლებაზე ზრუნვა

- სრულიად უმნიშნელოდ
- უმნიშვნელოდ
- ნაკლებ მნიშვნელოვნად
- მნიშვნელოვნად
- ძალიან მნიშნელოვნად

ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან, თქვენი აზრით, რომელს ასრულებს თქვენი უშუალო ხელმძღვანელი ეფექტურად? (მონიშნეთ სასურველი ვარიანტები)

- [ ] ანაწილებს საქმეს, ამყარებს წესრიგს
- [ ] ჯგუფს ამარაგებს საჭირო მასალით და ტექნიკური საშუალებებით
- [ ] აკონტროლებს შესრულებულ სამუშაოს
- [ ] აწესებს სტანდარტებს და სახავს შესასრულებელ მიზნებს
- [ ] უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამოტივაციო წამახალისებელ აქტივობებს (პრემიები და სხვა)

- [ ] ისმენს და მხედველობაში იღებს თანამშრომლების საკითხებს, პრობლემებს.
- [ ] სისტემატურად აცნობს თანამშრომლებს ორგანიზაციის პრობლემების და გამოწვევის შესახებ
- [ ] ზრუნავს თანამშრომელთა კეთილდღეობისთვის
- [ ] ზრუნავს თითოეული თანამშრომელის კვალიფიციურობის ასამაღლებლად

თქვენი მუშაობის პროცესში, გრძნობთ თუ არა რომ გთხოვენ გააკეთოთ იმაზე მეტი, ვიდრე თქვენ გონივრულად მიგაჩნიათ?

- სულ არ ვგრძნობ რომ მთხოვენ ვიმუშავო მეტი, ვიდრე გონივრულად მიმაჩნია.
- ვგრძნობ რომ მთხოვენ ვიმუშავო ცოტათი მეტი, ვიდრე გონივრულად მიმაჩნია
- ვგრძნობ რომ მთხოვენ ვიმუშავო საკმაოდ მეტი, ვიდრე გონივრულად მიმაჩნია.
- ვგრძნობ რომ მთხოვენ ვიმუშავო გაცილებით მეტი, ვიდრე გონივრულად მიმაჩნია

გთხოვთ , მონიშნოთ სასურველი პასუხი ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე

კმაყოფილი ხართ თქვენი სამუშაო ჯგუფით?

- კი
- არა
- არ ვიცი

გსიამოვნებთ ამ ჯგუფში მუშაობა?

- კი
- არა
- არ ვიცი

ეხმარებით თუ არა ერთმანეთს?

- კი
- არა
- არ ვიცი

რომელიმე წევრის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დანარჩენები ინაწილებთ მის სამუშაოს?

- კი
- არა
- არ ვიცი

მიგაჩნიათ თქვენი თავი იმ ჯგუფის ნამდვილ წევრად, სადაც მუშაობთ?

- კი
- არა
- არ ვიცი

თქვენი უშუალო ხელმძღვანელი არის თუ არა ამ ჯგუფის ნამდვილი წევრი?

- კი
- არა
- არ ვიცი

გთხოვთ შეაფასოთ თქვენი მენეჯერი 1-და 7 ქულამდე (სადაც 1 - ყველაზე დადებითია, 7 ყველაზე უარყოფითი)

სასიამოვნო

1 2 3 4 5 6 7

არასასიამოვნო

სამართლიანი

1 2 3 4 5 6 7

არასამართლიანი

კეთილი

1 2 3 4 5 6 7

ბოროტი

კვალიფიცური
1 2 3 4 5 6 7
არაკვალიფიციური
ძლიერი
1 2 3 4 5 6 7
სუსტი
მკაცრი
1 2 3 4 5 6 7
ლმობიერი
აქტიური
1 2 3 4 5 6 7
პასიური

დინამიური
1 2 3 4 5 6 7
სტატიკური

დანართი 2

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Keti Pshavelashvili

Management Style in small and medium size Organizations

Master Program Organisational Development and Consulting

The work is written in order to receive a Master's Degree of Social and Political Sciences in Organization Development and Consulting

Supervisor: Full Professor Nodar Belqania

TBILISI 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

რევაზი ხვედელიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის პროგრამების (ბაკლავრიატი/მაგისტრატურა) კურსდამთავრებულთა ძირითადი გამოწვევები, სოციალური მომსახურების სააგენტოში

სოციალური მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავდა, იმ მთავარი გამოწვევების შესწავლას, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოში დღესდღეობით აქვთ თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სოციალურ მუშაკებს. ასვე იმის შესწავლას თუ რამდენად არიან მზად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები პრაქტიკისათვის, კონკრეტულად კი სოციალური მომსახურების სააგენტოში სამუშაოდ.

კვლევის მონაწილეები არიან სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) კურსდამთავრებულები. ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკები და ექსპერტები. კვლევა ჩატარებულია თბილისში თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. კვლევის ინსტრუმენტია სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკების მთავარი გამოწვევები უკავშირდება სამუშაო პირობებს, სოციალური მუშაკების კადრების ნაკლებობას და მათი მოვალეობების სიმრავლეს. ასევე კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთვარებული სოციალური მუშაკები, მეტწილად მზად არიან სოციალური მომსახურების სააგენტოში სამუშაოდ.

Annotation

The aim of this paper is to analyze the main challenges, that have Tbilisi State University's graduate social workers in social service agency. Also to analyze how ready they are for practice, concretely in a social service agency.

The interviewees were conducted with graduates of Tbilisi State University's social work's programmes (baccalaureate and master's studies), who are employed in a social service agency, also senior social workers and experts. The reseach conducted in Tbilisi. The instrument of this research is guidelines of depth interviews.

The main findings of this research are, that main challenges are connected with difficult working conditions, lack of social workers and lots of responsibility. Also Tbilisi State University's graduate social workers are mostly ready to work in a social service agency.

შინაარსი

ანოტაცია 2
Annotation 3
შესავალი 6
საკითხის აქტუალობა 9
საქართველოში სოციალური დაცვის სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევები 9
პრაქტიკისათვის მზაობა. 16
კვლევის მიზანი და ამოცანები 22
კვლევის მიზანი. 22
კვლევის ამოცანებია: 22
კვლევის მეთოდოლოგია 23
კვევის მეთოდი 23
კვლევის ინსტრუმენტი 23
კვლევის მონაწილეები 23
კვლევის არეალი 23
კვლევის პროცედურა 23
კვლევის შეზღუდვები 24
მონაცემთა ანალიზი 24
კვლევის შედეგების ანალიზი 25
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სოცილური მუშაკების ძირითადი გამოწვევები სოციალური მომსახურების სააგენტოში, სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან. 25
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სოციალურ მუშაკთა მზაობა პრაქტიკისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოში. 33
თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული ძირითადი გამოწვევები უფროსი სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან. 36
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სოციალურ მუშაკთა პრაქტიკისათვის მზაობა სოციალური მომსახურების სააგენტოში, უფროსი სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან 39
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სოცილური მუშაკების ძირითადი გამოწვევები სოციალური მომსახურების სააგენტოში, სფეროს ექსპერტების პერსპექტივიდან. 41

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სოციალურ მუშაკთა პრაქტიკისათვის მზაობა სოციალური მომსახურების სააგენტოში, სფეროს ექსპერტების პერსპექტივიდან. 46
ძირითადი მიგნებები....49
დასკვნა და რეკომენდაციები 51
ბიბლიოგრაფია 55
დანართი 1....57
დანართი 2....61

შესავალი

სოციალური მომსახურების სააგენტო სახელმწიფო ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში არსებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს უწევს ადმინისტრირებას. ის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ უწყებას წარმოადგენს და პასუხისმეგებელია, რამდენიმე სოციალურად და პოლიტიკურად სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საკითხზე. სოციალური მომსახურების სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს და საკმაოდ მსხვილ სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციას წარმოადგენს შესაბამისი სოციალური ჯგუფებისათვის. (ssa.gov.ge, 2018) აქედან გამომდინარე ამ სახელმწიფო სტრუქტურის როლი, ქვეყნის სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში მნიშვნელოვანია.

თავის მხრივ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფუნქციონირებაში დიდი წვლილი შეაქვთ სოციალურ მუშაკებს, რომლებიც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობენ. (EMC, 2017) ეს ნაშრომი შეეხება სწორედ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულ იმ სოციალურ მუშაკებს, რომლებმაც დაასრულეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის, სოციალური მუშაობის კურსი, მათ გამოწვევებს, პროფესიულ საქმიანობაში არსებულ სირთულეებს და მზაობას პრაქტიკული სამუშაოსთვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის პროგრამებით სწავლება ყველაზე ადრე დაინერგა. (შატბერაშვილი, 2011) საინტერესოა რამდენად მოერგო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის პროგრამები იმ პრაქტიკულ რეალობას რაც დღესდღეობით სოციალური მუშაობის ველზე არსებობს. ამ შემთხვევაში კვლევის ამოცანაა შეისწავლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული აკადემიური ცოდნის თავსებადობა სოციალური მომსახურების სააგენტოს სამუშაო პრაქტიკასთან, რადგან ხშირად გამოითქმის მოსაზრებები, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სოციალური მუშაკები მიღებულ აკადემიურ ცოდნას, პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს საკმარისად ვერ იყენებენ. (EMC, 2017)

რაოდენობრივად სოციალური მომსახურების სააგენტო საქართველოში ყველაზე მსხვილი ორგანიზაციაა, რომელიც სოციალურ მუშაკებს ქირაობს. (შატბერაშვილი, 2011) აქ დასაქმებული სოციალური მუშაკების მოვალეობებში ძირითადად ბავშვთა მეურვეობისა და მზრუნველობის, ასევე ბავშვთა დაცვის საკითხები შედის. ამის გარდა სოციალური მუშაკის მოვალეობები მოიცავს ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებული მოვალეობების განხორციელებას, მეურვის არ მყოლი არასრულწლოვნის თანხლებას მისი დაკითხვის შემთხვევაში, ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების საკითხების რეგულირებას და სხვა, არამარტო პროცედურულად რთულ, არამედ ფორმალურ საკითხებს. (EMC, 2017)

სოციალური მუშაობა საქართველოში შედარებით ახალი პროფესიაა. სოციალური მომსახურების სააგენტო ერთ-ერთი პირველი ორგანიზაციაა სადაც ამ პროფესიამ ფეხი მოიკიდა. სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის საჭიროება ბავშვთა დაცვის სფეროში გაჩნდა და სახელმწიფომ სოციალური მუშაკების დაქირავება გადაწყვიტა. სოციალური მუშაობის საუნივერსიტეტო პროგრამა პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წელს გაჩნდა. (შატბერაშვილი, 2011) პროფესიის სიახლის, ამ პროფესიაზე ცოდნის ნაკლებობის და აკადემიური ცოდნის წარმოების 2006 წლამდე არ ქონის გამო, სოციალური მუშაობა დღესდღეობითაც დგას სხვადასხვა გამოწვევების წინაშე, მათ შორის სოციალური მომსახურების სააგენტოში. ამ ნაშრომის მიზანი სწორედ ამ გამოწვევების შესწავლაა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალური მუშაობის პროგრამების ფარგლებში მიღებული ცოდნის, პრაქტიკაში გამოყენებადობასთან ერთად.

სოციალური მუშაკებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად გადანაწილებულ სამუშაო საათებსა და სამსახურებრივ დატვირთვას. (EMC, 2017) ნათია ფარცხალაძის მიხედვით, სოციალურ მუშაკს სოციალური მომსახურების სააგენტოში თვეში საშუალოდ 88 საქმეზე უწევს მუშაობა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სტანდარტულად რეკომენდირებულ საქმეების რაოდენობას. (Partskhaladze, 2017)

იმისათვის რომ რთულ და მრავალპროფილურ საკითხებზე მუშაობას თავი წარმატებით გაართვან, მნიშვნელოვანია პროფესიული კვალიფიკაციის სათანადო

დონე, სწორად დაგეგმილი სოციალური პოლიტიკა, დეტალურად/სწორად გაწერილი უფლება-მოვალეობები და შესაბამისი სამუშაო პირობები. ხშირ შემთხვევაში სოციალურ მუშაკებს უწევთ ნორმაზე მეტი სამუშაო, რაც კადრების სიმცირით არის განპირობებული. (EMC, 2017)

ამ თემაზე საქართველოში ჩატარებული ბოლო კვლევის მიხედვით, რომელიც „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრმა“ 2017 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა, სოციალური მომსახურების სააგენტოში სულ დასაქმებულია 19 უფროსი სოციალური მუშაკი და 219 სოციალური მუშაკი. (EMC, 2017) ამ დოკუმენტის მიხედვით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დაქირავებული სოციალური მუშაკების რიცხვი გაზრდილია 2011 წელთან შედარებით. სწორედ 2011 წელს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ჩაატარა კვლევა, რომელიც წარმოადგენდა სოციალური მუშაობის სიტუაციურ ანალიზს საქართველოში. ამ კვლევის თანახმად, 2011 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოში სულ დასაქმებული იყო 195 სოციალური მუშაკი. (შატბერაშვილი, 2011) მიუხედავად ამ წლების განმავლობაში სოციალური მუშაკების გაზრდილი რაოდენობისა, სფეროს ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები სოციალური მომსახურების სააგენტოში, სოციალური მუშაკების კადრების სიმცირეზე საუბრობენ. (EMC, 2017)

აღნიშნული ნაშრომი ზემოთ დასახელებულ რამდენიმე პრობლემასთან და გამოწვევასთან ერთად, შეეხება იმ საკითხს, თუ რამდენად არიან მზად სოციალური მომსახურების სააგენტოში სამუშაოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის პროგრამების: ბაკალვარიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულები.

საკითხის აქტუალობა

საქართველოში სოციალური დაცვის სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევები

ბავშვთა დაცვა სოციალური მუშაობის ერთ ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგად ითვლება არამ ხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. (Whitaker, 2012) საქართველოში აღნიშნული საკითხი უამრავ კომლექსურ პრობლემას მოიცავს, რომლებიც ერთმანეთთან სხვადასხვა კუთხით არიან დაკავშირებულნი. (ნამიჭეიშვილი, 2014) ამის მიუხედავად პასუხისმგებლობა ბავშვთა დაცვის სისტემაზე და შესაბამისად ბავშვებზეც, რომლბიც ამ სისტემისაგან დაცვას მოელიან, სოციალური მომსახურების სააგენტოს ეკისრება, რადგან ეს უწყება ითვლება ბავშთა დაცვის პოლიტიკის მთავარ აქტორად სახელმწიფოს მხრიდან. საქართველოში ზოგადად ბავშვთა დაცვის სფეროში დღესდღეობით რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა არსებობს, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებ.

ბოლო კვლევებით დგინდება, რომ საქართველოში ბავშვთა სიღარიბე მაღალია, (მშვიდობაძე, 2016) რაც კიდევ უფრო ზრდის რისკებსა და პასუხისმგებლობებს. გაეროს ბავშვთა ფონდის 2016 წლის "მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში" ნათქვამია, რომ ფარდობითი სიღარიბის მიხედვით ერთ ან ორბავშვიანი ოჯახების 24.5% ღარიბია, ხოლო თუკი საქმე ეხება სამ ან მეტ ბავშვიან ოჯახებს აქ სიღარიბეში მცხოვრებთა პროცენტულობა იზრდება და 32%_ს აღწევს. ამავე კვლევის ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, სოციალური გარიყულობა რომ აღმოიფხვრას მნიშვნელოვანია შემუშავდეს ბავშვთა დაცვის სტრატეგია რომელიც მრავალმომცველი და ბავშვთა უფლებების კონვენციათან შესაბამისობაში იქნება. ეს ყოველივე კი იმისთვისაა საჭირო, რომ სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები დგანან განსაკუთრებული რისკის წინაშე, ვერ შეინარჩუნონ ჯანმრთელობა ან ვერ მიიღონ შესაბამისი აკადემიური განათლება. (მშვიდობაძე, 2016)

საქართველოში არსებობს ბავშვზე ძალადობის პრობლემაც. გაეროს ბავშვთა ფონდის ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც 2013 წელს ჩატარდა ბავშვთა მიმართ

ძალადობა საქართველოში მიღებული ფენომენია. (დვალიშვილი, 2013) ქართული საზოგადოების 45% მიიჩნევს, რომ ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობა დასაშვებია. ასეთ აზრზე კი უფრო მეტად ქალები არიან, ვიდრე კაცები. საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, რომ ოჯახში, თუნდაც ბავშვზე ძალადობა ხდებოდეს, ჩარევა გაუმართლებელია იმ პროფესიონალებშიც პოპულარულია, რომლებიც ბავშვის აღზრდაში არიან ჩართულნი. სწორედ ამიტომ საქართველოში ბავშვზე ძალადობა მიმდინარეობს ისე, რომ არ ბადებს კითხვებს და მზარდია ძალადობრივი გარემოს მიმართ მიმღებელი დამოკიდებულებაც. (დვალიშვილი, 2013)

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ბავშვთა დაცვის სფეროში გამოწვევას წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს, სოციალური მუშაკების მხრიდან ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გამოვლენა. ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები გადამზადებას/კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებენ. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

გაეროს ბავშვთა ფონდის კიდევ ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც 2016 წლის ნოემბერში გამოიცა, ბავშვთა მიმართ ძალადობა ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული სოციალური ნორმებითაა გამყარებული. (ჯეპრა. აი ერ სი(ARC), 2016) ამავე კვლევის მიხედვით, მშობლები თუ ბავშვზე მოძალადე სხვა პირები უმრავლეს შემთხვევაში დარწმუნებულები არიან, რომ ძალადობა ბავშვისთვის დადებითად იმოქმედებს. კვლევის მიხედვით, ბავშვზე ძალადობის მაღალი დონის შემცირება შეუძლებელია საზოგადოებრივი ნორმების გადაფასების გარეშე. ასევე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის გრძელვადიან პერპექტივაში ცალსახად უარყოფითი გავლენის დანახვა ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს არ შეუძლია. (ჯეპრა. აი ერ სი(ARC), 2016)

რთული მდგომარეობაა ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით სკოლებში. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2017 წელს გამოქვეყნდა. ანგარიშის მიხედვით სკოლებში ფიქსირდება ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მაგალითები, როგორც მოსწავლეებს შორის ასევე

მოსწავლეებზე იმ ზრდასრული პირების მხრიდან რომლებთანაც მოსწავლეები ხშირ და მჭიდრო კონტაქტში არიან. სახალხო დამცველის მიხედვით, სკოლის თანამშრომლები დროულად ვერ ახერხებენ სკოლებში ძალადობის ფაქტების გამოვლენას, ასევე რთული მდგომარეობაა ძალადობის პრევენციის მხრივაც. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017)

საქართველოში რთული მდგომარეობაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე_(შშმ) ბავშვების და სპეციალური სასწავლო საჭიროებების მქონე_(სსსმ) ბავშვების განვითარების მხრივაც. გავრცელებულია მათ მიმართ სტიგმა და დისკრიმინაცია რაც ინსტიტუციური, კულტურული და სოციალური ფაქტორებითაა განპირობებული. (ISSA სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2016) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ინფორმაციის ნაკლებობას ხშირად განიცდიან მათი მშობლები, ასევე დაბალია ცნობიერება მათ შესახებ საზოგადოებაშიც. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ხშირად იზოლირებულნი რჩებიან სოციალური გარემოდან, რაც მათი მშობლების სტრესული გამოცდილებების შედეგიცაა, რადგან გარემო მათ შვილებს ნეგატიურად ხვდება. სკოლებში ხშირია სტიგმის და დისკრიმინაციის (როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური) მაგალითები. (ISSA სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2016) კვლევის მიხედვით ამ კუთხით სტიგმა დისკრიმინაციის დაუძლევლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სუსტი სახელმწიფო პოლიტიკაა. სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე არ არის საკმარისად გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების საჭიროებები. (ISSA სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2016) აღნიშნული მიზეზების გამო ხშირად სახელმწიფო სისტემების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ხილვადობა ნაკლებია.

კიდევ ერთი რთული გამოწვევა, რომელიც ბავშვთა დაცვის სფეროში არსებობს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს შეეხება. ხშირ შემთხვევაში ისე ხდება, რომ ბავშვები რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ ან მუშაობენ საზოგადოების მხრიდან სტიგმის მსხვერპლნი ხდებიან და ისინი აღარ აღიქმებიან ისე, როგორც ჩვეულებრივი ბავშვები.

(ღვედაშვილი, 2016) სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2014 წლიდან 908 ბავშვი ცხოვრობს და მუშაობს ქუჩაში. (ნაჭყებია, 2017)

საქართველოში სოციალური მომსახურების სააგენტოს ფარგლებში, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე მუშაობს სულ ოთხი მობილური ჯგუფი. მათგან სამი თბილისში და ერთი ქუთაისში. (ნაჭყებია, 2017) ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით კანონმდებლობის აღსრულების პრობლემა დგას. ბავშვების მათხოვრობაში ჩაბმის გამო სახალხო დმცველის ანგარიშის მიხედვით, რომელიც საქართველოში ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას აღწერს, 2016 წელს სულ ერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რაც არაადეკვატურად დაბალი მაჩვენებელია. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016) არ არის საკმარისი სერვისებიც, რომლებსაც სახელმწიფო ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს შესთავაზებდა. (ნაჭყებია, 2017)

თვალშისაცემია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების განსაკუთრებული მოწყვლადობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც რომა თემის წევრი ბავშვები მათხოვრობენ და მუშაობენ ქუჩაში, თუმცა, არანაკლებ ხშირია ასეთი მაგალითები ეთნიკურად ქართველი ბავშვების შემთხვევაშიც. მიუხედავად ამისა აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვები სახელმწიფო სისტემიდან გარიყულები და უხილავები რჩებიან. (Partskhaladze, 2017) სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ რომა ბავშვებს უმეტეს შემთხვევებში არა აქვთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები შესაბამისად, არ შეუძლიათ სახლმწიფო სერვისებით სარგებლობა. (ნაჭყებია, 2017)

ამასთან ერთად, სფეროს ექსპერტები საუბრობენ იმის შესახებ, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა სახელმწიფო დღის წესრიგის ნაწილი სამწუხაროდ ვერ გახდა. (ნამიჭეიშვილი, 2014)

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში დიდია შანსი განსაკუთრებით ხშირად დაირღვეს ბავშვის უფლებები, რომლებიც გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციაშია გაწერილი. კერძოდ კი მისი ოთხი ძირითადი პრინციპი:

- მონაწილეობა: მონაწილეობის უფლება.

- შესაძლებლობების გამოვლენა: ჩვენი უფლება, ჩამოვყალიბდეთ იმად, ვინც ვართ. მშობელთა უფლებების დაცვა.
- ნორმალური ცხოვრების პირობები: სიცოცხლის შენარჩუნების უფლება.
- ზიანისაგან დაცვა: დაცვის უფლება. (გოლობი, 2013)

მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოწვევებს სრულფასოვნად სწორედ ბავთა დაცვის სისტემამ, კერძოდ სოციალური მომსახურების სააგენტომ უპასუხოს.

2014 წელს ჩატარებულ კვლევაში, რომელიც "ძლიერი კოალიცია ბავშვის კეთილდღეობის" ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა ნათქვამია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული სისტემური პრობლემები არ იძლევა პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა დაცვის კუთხით. სოციალური მომსახურების სააგენტოს ის სერვისები, რომლებიც შეიძლება პრევენციულად განვიხილოთ: კვების ვაუჩერი, დღის ცენტრი და ადრეული ჩარევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში საკმარისი არაა. ეს პრევენციული კომპონენტები ოჯახის გაძლიერების კომპონენტებთან არ არის შერწყმული, რაც კვლევის მიხედვით, მათი ეფექტურად მოქმედების შემაფერხებლად შეიძლება განვიხილოთ. ამასთან აღნიშნულია, რომ ოჯახისაგან ბავშვის განშორების პრევენციისათვის აუცილებელია პირველადი ჯანდაცვის, სამშობიარო სახლებისა და სკოლების ჩართულობა. კვლევის მიხედვით ექსპერტებისაგან რეკომენდირებულია სოციალური მუშაკის არსებობა ადგილობრივ თვითმმართველობებში, რათა მოხდეს ინფორიაციის სწორად დამუშავება და გადაცემა, პირველადი ადვოკატირება და შემთხვევებისათის სწორი მიმართულების მიცემა. (ნამიჭეიშვილი, 2014)

ამავე კვლევის ფარგლებში, ერთ_ერთი ექსპერტის მხრიდან გაჟღერებულია მოსაზრება, რომ საჭიროა სოციალური მუშაკის მომსახურების მიღების დეცენტრალიზაცია, რადგან გამოკვეთილია საჭიროება, რომ სოციალური მუშაკები არა მხოლოდ რაიონულ არამედ უფრო დავიწროვებულ სოფლის ან თემის დონეზე მუშაობდნენ. ამ რეფორმას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენლებიც, თუკი იქნება ამისათვის საჭირო შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა. (ნამიჭეიშვილი, 2014)

გარკვეული ბარიერები არსებობს სოციალური სერვისების მიღების კუთხითაც. გაეროს ბავშვთა ფონდის 2010 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც სწორედ სოციალური ბარიერებისადმი ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწევდა განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისადმი დადგინდა, რომ საკმაოდ მაღალია იმ ოჯახების რიცხვი, რომელიც მიმართავს სახელმწიფოს სოციალურად დაუცველის სტატუსის და შესაბამისად ფულადი დახმარების მისაღებად (96%), მიუხედავად ამისა კვლავ რჩებიან ადამიანები, რომელთაც ესაჭიროებათ ამ მიზნობრივი პროგრამით დახმარება, მაგრამ არ მიმართვავენ სოციალური მომსახურების სააგენტოს. ამის ძირითადი მიზეზებია ინფორმაციის არ ფლობა ან არასწორი ინფორმაციის ფლობა ამ პროგრამის შესახებ (76%), ხოლო დანარჩენ 24%_ს სმენია სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზის შესახებ, თუმცა, მისთვის მაინც არ მიუმართავს სახლმწიფო სისტემის მიმართ უნდობლობის ან ინფორმაციის არასრულფასოვნად ფლობის გამო. ეს მონაცმები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული ამ განსაკუთრებით მოწყვლად შინამეურნეობებში შედიან ბავშვებიც. (Unicef, 2010)

ამავე კვლევის მიხედვით, განსაკუთრებით ღარიბ ოჯახებში დგას ბავშვების მიმართ არასათანადოდ მოპყრობის პრობლემა, გამოკითხულთა 13%_მა ფიზიკური საფრთხე შეუქმნა ბავშვს კვლევის ჩატარებამდე ერთი კვირის განმავლობაში. ასევე ამ ოჯახების სკოლამდელი ასაკის ბავშვების უმეტესობას (69%) არ მიუწვდება ხელი საბავშვო წიგნებზე, ხოლო 3-5 წლამდე ასაკის ბავშვების 78% ჩამორჩება განვითარების თვალსაზრისით. (Unicef, 2010)

ასევე აღნიშნული კვლევის მიხედვით, ათი გამოკითხულიდან მხოლოდ ერთს სმენია სოციალური მუშაკის არსებობის შესახებ, ხოლო მათ შორის ვისაც სოციალური მუშაკის შესახებ სმენია 62%_მა არ იცის კონკრეტულად რა საქმინობას ეწევა იგი, ხოლო 52%_მა არ იცის სად უნდა მიმართოს სოციალურ მუშაკს. (Unicef, 2010)

ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევებისა და პრობლემების როგორც სიმრავლის ასევე სიმძმის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბავშვთა დაცვის სფეროში საქართველოში რთული მდგომარეობაა. სოციალური მომსახურების საგენტო ჯეროვნად ვერ პასუხობს ყველა ამ გამოწვევას სხვადასხვა მიზეზების გამო.

(ნამიჭეიშვილი, 2014) შესაბამისად ამ თემის მნიშვნელობა და პრობლემატურობა კიდევ უფრო იზრდება.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით პრობლემებია შეძღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებების დაცვით კუთხით. ანგარიშის მიხედვით სტატისკიკა რომელსაც საქართველოს მთავრობა აწარმოებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ, ძირითადად ეყრდნობა მოსახლეობის საყოველთაო აღწერებისას მიღებულ ინფორმაცია და არის გამოკვეთილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკური საჭიროებები. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

გარდა ამისა პრობლემებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამინების უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში არსებულ პანსიონატებში. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ასეთ პანსიონატებში ადამიანების უფლებების დარღვევის ალბათობა მაღალია რადგან არ არის შესაბამისი რაოდენობის და კვალიფიკაციის კადრები. ასეთ დაწესებულებებში არ მუშაობენ სოციალური მშაკები და ფსიქოლოგები. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

შეძღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზე ძალადობა საქათველოში ერთ ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა. ორგანიზაცია "ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიხედვით" კვლევის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს არ მიუწვდებათ ხელი მართმსაჯულების აღსრულების საშუალებებზე, მათ შორის პოლიციასთან კომუნიკაციაზე. (აბაშიძე, 2016) ასევე "ორგანიზაცია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის" კვლევის მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ ძალადობა ხშირად დაფარული რჩება და არ არსებობს მისი გამოვლენის ეფექტიანი მექნიზმები. (გოჩიაშვილი, 2015) ამ პრობლემას თავის 2016 წლის ანგარიშში ეხმიანება სახალხო დამცველიც. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

რთული მდგომარეობაა ხანდაზმული ადამიანების უფლებების დაცვის კუთხით. საქართველოში ხანდაზმულთა პანსიონატებში ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. ასევე მათი სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი და

ხანდაზმულთა დიდი ნაწილი მხოლოდ პენსიის ხარჯზე ცხოვრობს, რომელიც 180 ლარს შეადგენს. ხანდაზმულებისათვის განკუთვნილი სერვისების რაოდენობა ქვეყანაში ძალიან მცირეა, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

ყველა ზემოთ ჩამოთვილი გამოწვევა დაკავშირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოსთან. სწორედ ამ სტრუქტურის ეფექტრი ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემების გადაჭრის საქმეში.

პრაქტიკისათვის მზაობა.

იმისათვის, რომ გავიაზროთ, როგორ შეიძლება ერთმანეთს უკავშირდებოდეს საუნივერსიტეტო აკადემიური ცოდნა და სამუშაო ველზე არსებული პრაქტიკა მიზანშეწონილია, უცხოური გამოცდილების შესწავლა.

ქართულ რეალობაში სოციალური მომსახურების სააგენტოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებობს კავშირი, რომელიც საშუალებას აძლევს სოციალური მუშაობის სტუდენტებს პრაქტიკა გაიარონ სოციალური მომსახურების სააგენტოში. (tsu.edu.ge, 2018) ეს ფაქტი თავისთავად ხელისშემწყობი უნდა იყოს პრაქტიკული სამუშაოსა და აკადემიური ცოდნის სინთეზისათვის.

ამ შემთხვევაში საინტერესოა: რამდენად მზად არიან სტუდენტები უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პრაქტიკისათვის სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში. ანამარია კამპანინიმ და სტეფან ჰოიერმა შეისწავლეს ახალ კურსდამთავრებული სტუდენტების მზადყოფნა პრაქტიკისათვის სამ სხვადასხვა ქვეყანაში. ეს ქვეყნებია: ინგლისი იტალია და შვედეთი. მკვლევარებმა ეს ქვეყნები აარჩიეს იმის გამო, რომ სამივე მათგანში განსხვავებული სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის მოდელები მოქმედებს. სოციალ-დემოკრატიული სოციალური კეთილდღეობის მოდელი შვედეთში, ესპინგ ანდერსენის კომბინირებული მოდელი იტალიაში, ხოლო ლიბერალური სოციალური კეთილდღეობის მოდელი ინგლისში. სამივე სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის კურსს ახასიათებს განსხვავებული მიდგომა სოციალური მუშაობის, როგორც

აკადემიური მეცნიერებისადმი. ავტორების მიხედვით სწორედ ეს არის ძირითადი გამომწვევი მიზეზი იმისა, რომ ამ სამ ქვეყანაში სტუდენტები განსხვავებულად არიან მზად პრაქტიკული სამუშაოებისთვის. (Hojer, 2013)

იტალიური სოციალური მუშაობის პრაქტიკა შეიძლება ითქვას ყველაზე მეტად სუსტია, რადგან იტალიაში სოციალური მუშაობა ჯერ კიდევ არ არის აღიარებული როგორც ცალკე მეცნიერული დისციპლინა. იტალიური სოციალური მუშაობის პრაქტიკა, ძირითადად მორგებულია ოჯახების გაძლიერებასა და მათთვის სერვისების მიწოდებაზე. (Hojer, 2013) სოციალური მუშაობის სხვადასხვა მეთოდს ყველაზე მცირე რაოდენობით სწორედ იტალიურ უნივერსიტეტებში ასწავლიან სტუდენტებს, აქედან მომდინარეობს ავტორების ზემოდმოცემული დასკვნა.

ინგლისსა და შვედეთში სოციალური მუშაობის პროგრამების სწავლა უნივრსიტეტებში უფრო განვითარებულია. ინგლისში სოციალური მუშაობა მნიშვნელოვან პროფესიად მიიჩნევა და მათი კეთილდღეობის მოდელიდან გამომდინარე სოციალური მუშაკები ძირითადად კონცენტრირებულნი არიან სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებზე. ინგლისსში სტუდენტების პრაქტიკისთვის მზადყოფნა მაღალია, ამასთანავე იზრდება სოციალურ მუშაობაზე სწავლების მსურველთა რაოდენობა. შვედეთში სოციალური მუშაკები კონცენტრირებულნი არიან უფრო უნივერსალურ პროგრამებსა და საზოგადოების მთლიანობის შენარჩუნებაზე. მიუხედავად სისტემური და იდეოლოგიური განსხვავებებისა სამივე ქვეყანაში იმ კურდამთავრებულების რიცხვი ვინც მიიჩნევს, რომ მზად არიან ველზე სამუშაოდ მზარდია. (Hojer, 2013)

სოციალური მუშაობის პრაქტიკისათვის მზადყოფნის რამდენიმე ასპექტი გამოყო დოქტორმა კატრინ ჰეიმ ახალი ზელანდიის მაგალითზე. ჰეი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის მზადყოფნა სოციალური მუშაობის პრაქტიკისათვის რამდენიმე ასპექტისაგან შედგება და იგი კომბინირებული ფენომენია. (Hay, 2012) ეს ასპექტებია:

- აკადემიური სწავლების შემადგენელი კომპონენტები

- პიროვნული უნარები და მახასიათებლები
- დამსაქმებელი ორგანიზაციის მიმღებლობა და ტრეინინგები
- დამსაქმებელი ორგანიზაციის სტრუქტურა
- დამსაქმებელი ორგანიზაციის მოქმედების სტილი

ამასთან ერთად ჰეის მიხედვით, იმისათვის რომ შედგეს სრულფასოვანი კავშირი თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკას შორის, ძალიან მნიშვნელოვანია ახალი დაქირავებულის სწორი სუპერვიზია და მხარდაჭერა. თუკი ახალი კურსდამთავრებული მიიღებს მხარდაჭერას დასაქმებული ორგანიზაციის მხრიდან და შეეწყობა ახალი სამუშაო ადგილის სტრუქტურას ამ შემთხვევაში, მოხდება თეორული ცოდნისა და პრატიკული სამუშაოს უკეთესი შერწყმა. (Hay, 2012)

ჰეის მიხედვით, ძალიან მნიშვნელოვანია ახალი კურსდამთავრებული დასაქმდეს მალევე, როდესაც უნივერსიტეტს დაამთავრებს, (Hay, 2012) რადგან ამ დროს ყველაზე უკეთ აქვს განვითარებული ახლის შესწავლის, მოქნილობის, სამსახურთან შემგუებლობის და სტრესის მართვის უნარები. ამასთან სწორი მხარდაჭერის შემთხვევაში ახალკურსდამთავრებული უკეთ უღებს ალღოს სამუშაო პრაქტიკას.

სწორი სუპერვიზიის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას კიდევ ერთი მკვლევარი სკოტ გრანტი, რომელმაც შეისწავლა კურდამთავრებულების მზადყოფნა სოციალური მუშაობის პრაქტიკისათვის შოტლანდიის მაგალითზე. გრანტის მიხედვით, ის კურსდამთავრებულები, რომლებიც დასაქმებულები არიან შოტლანდიის პრობაციის ბიუროში ბევრად უკეთ ერგებიან სოციალური მუშაობის პრაქტიკას ვიდრე ის კურსდამთავრებულები, რომლებიც შოტლანდიის ბავშვთა დაცვის სისტემაში არიან დასაქმებულნი. გრანტი ამ ფაქტს სწორედ იმით ხსნის, რომ ბავშთა დაცვის სიტემაში არ არსებობს განსაზღვრული წესებით მოქმედი სუპერვიზიის სერვისი. სწორედ ამის გამო შოტლანდიის ბავშვთა დაცვის სისტემებში ახალდასაქმებლი კურსდათავრებულები, ბევრად მეტ დროს ანდომებენ პრაქტიკული სამუშაოებისთვის ალღოს აღებას. (Grant, 2014)

გრანტის კვლევის მიხედვით, შოტლანდიელი კურსდამთავრებულების 90% ამბობს, რომ მზადაა სოციალური მუშაობის პრაქტიკისათვის, თუმცა, შემდეგ დამოკიდებულებები იცვლება. ავტორი მიიჩნევს, რომ პრაქტიკულ მუშაობასთან შესათავსებლად უმთავრესია სამსახურში აყვანის პირველი წლის გამცდილება. რესპონდენტების უმრავლესობის პასუხი კითხვაზე თუ როგორი ხარისხის იყო მათი პრაქტიკული მუშაობა სამსახურში აყვანის პირველ წელს იყო ცუდი, ძალიან ცუდი ან დამაკმაყოფილებელი. (Grant, 2014)

ამავე კვლევის მიხედვით, წარმატებული პრაქტიკისათვის ყველაზე დიდი როლი აქვთ სხვა თანამშრომლებს, სუპერვიზიას და ტრეინინგებს, იმ სფეროში სადაც მუშაობენ. ასევე აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციური უნარები და პროფესიული ღირებულებები სახელდება იმ ძირითად თვისებებად, რომელიც ახალკურსდამთავრებულს ხელს უწყობს წარმატებული პრაქტიკის განხორციელებაში. (Grant, 2014)

ახალკურსდამთავრებული სოციალური მუშაკების ჩართვა ბავშვთა დაცვის სისტემაში მნიშვნელოვნად მიიჩნევა, როგორც ამერიკულ ისე ინგლისურ სოციალური მუშაობის პრაქტიკაში. ამერიკელ მკვლევარს ელენ შარპს მაგალითად მოჰყავს ინგლისის ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხედვა, რომლის მიხედვითაც კიდევ ერთელ დასტურდება, რომ სოციალურ მუშაკებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ბავშვთა დაცვის სისტემაში. (Sharp, 2010) ინგლისის ჯანმრთელობის დეპარტამენტის მიხედვით ისინი:

- ხელს შეუწყობენ ახალკურსდამთავრებული სოციალური მუშაკების მხარდაჭერასა და სუპერვიზიას
- გააფართოვებენ დასაქმების სქემას და მოახდენენ კვალიფიციური სოციალური მუშაკების დაბრუნებას პროფესიაში
- დამწყებ სოციალურ მუშაკებს დაასაქმებს ბავშვთა დაცვის სიტემაში. რათა ყველაზე მაღალკვალიფიციური სერვისი მიიღონ ბავშვებმა და ოჯახებმა და განავითარონ თავიანთი კარიერული გზა. (Sharp, 2010)

შარპის მიხედვით, იმისათვის, რომ ახალკურსდამთავრებულებმა შეძლონ პრაქტიკასთან სათანადო ადაპტირება, საჭიროა:

- დებატების განახლება და შენარჩუნება პრაქტიკული სამუშაოს შესახებ
- მეტი განსახილველი კურსების უზრუნველყოფა
- კურსების გაღრმავება ეთიკის, ეთიკური კურსების, ადამიანური დისტრესისა და რეალური ბარიერების შესახებ სამსახურში
- საველე სამუშაოების გაღრმავება
- კურსების გაღრმავება გერონტოლოგიის შესახებ (Sharp, 2010)

აღნიშნული რეკომენდაციები გაცემულია ამერიკული სოციალური მუშაობის პრაქტიკის რეალობისათვის.

ვინაიდან სოციალური მუშაობა არ არის ზუსტი მეცნიერება, ხშირად ესა თუ ის თეორია და პრაქტიკული მიდგომა, პრაქტიკული სამუშაოს დროს ცვლილებას ან ჩასწორებას მოითხოვს. სწორედ იმიტომ რომ არ არსებობს პირდაპირი რეცეპტები ახალგაზრდა სოციალური მუშაკებისათვის, თუ როგორ მოიქცნენ ამა თუ იმ სიტუაციაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილებას. გამოცდილება და ცოდნა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბავშვთა დაცვის სფეროში, რადგან ამ სფეროს სპეციფიკური სირთულეები ახასიათებს. (Wilkins, 2014) დევიდ ვილკინსი აღნიშნავს, რომ წარმატებული პრაქტიკული სამუშაოს განხორციელებისათვის სოციალურ მუშაობაში აუცილებელია სამი სახის ცოდნის კომბინირება. ესენია:

- თეორიული ცოდნა
- ფაქტობრივი ცოდნა
- პრაქტიკული/პერსონალური ცოდნა (Wilkins, 2014)

პრაქტიკული სამუშაოს ხარისხიანად განხორციელებისათვის, ბავშვთა დაცვის სისტემაში ამ სამი ტიპის ცოდნის კომბინირებაა საჭირო. აკადემიურ სფეროს/უნივერსიტეტს, რომელსაც ხშირად მოიხსნიებენ, როგორც აკადემიური

ცოდნის მიმცემ ინსტიტუტს შარპი ამ სამი ტიპის ცოდნის შუაგულში მოიაზრებს. შარპის მიხედვით, სწორედ საუნივერსიტეტო განათლებას შეუძლია/უნდა შეეძლოს დაეხმაროს სტუდენტს ამ სამი ტიპის ცოდნის შერწყმასა და კომბინრებაში. (Sharp, 2010)

პრაქტიკისა და თეორიული ცოდნის შორის კავშირზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ფიშერის და სამერტონის მიხედვით, არსებობს პრაქტიკა, რომელიც თეორიას დაუფიქრებლად იყენებს და არსებობს პრაქტიკა, რომელიც თეორიას იყენებს დაფიქრებულად. (Wilkins, 2014) აქედან მეორე შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პრატიკული ცოდნის მოქნილად გამოყენებაც იგულისხმება, რაც სოციალური მუშაკის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

მეორე მხრივ პრაქტიკულ გამოცდილებასა და თეორიულ ცოდნას ურთიერთშემავსებელი ფუნქცია აქვთ. პრაქტიკულ საქმიანობასა და თეორიულ სწავლებას შორის ინფორმაციების გაცვლის პროცესი გახლავთ აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ მივიღოთ ეფექტური სოციალური მუშაობის პრაქტიკა და შესაბამისად ეფექტური შედეგი. (Wilkins, 2014)

ზემოთ აღნიშნული კვლევების და გამოცდილებების მორგება შესაძლებელია ქართულ რეალობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაობის კურსდამთავრებულები პრაქტიკისათის მზაობის შესახებ საქართველოში ჯერჯერობით არ ჩატარებულა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი პრობლემის გამოკვეთა, რომელიც ხელისშემშლელია პრაქტიკულ სამუშაოებზე მოსარგებად სოციალური მომსახურების სააგენტოში.

უპირველეს ყოვლისა ეს გახლავთ ეფექტური სუპერვიზირების სისტემის არ არსებობა აღნიშნულ სამსახურში. ამასთან პრაქტიკულ საქმიანობაზე კურსდამთავრებულის მორგებას ართულებს ის ძირითადი პრობლემებიც და გამოწვევებიც, რომელიც ამ სტრუქტურაში არსებობს და რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრე.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია, გამოკვეთოს ის ძირითადი გამოწვევები რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სოციალურ მუშაკებს აქვთ სოციალური მომსახურების სააგენტოში მუშაობისას.

კვლევის ამოცანებია:

- შეისწავლოს სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის პროგრამების კურსადამთავრებულთა პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობა კლიენტებთან პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ცოდნა-უნარებთან;
- იმ ძირითადი გამოწვევების გამოკვეთა, რომელსაც სოციალური მუშაკები ხვდებიან სოციალური მომსახურების სააგენტოში და როგორც პასუხობს ამ გამოწვევებს სააგენტოს პოლიტიკა.
- იმ პრობლემების შესწავლა, რომლებიც ხელს უშლის თბილისის სახელმწიფო უნივერსისტში მიღებული ცოდნისა და სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული სამუშაო პრაქტიკის თანხვედრას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვევის მეთოდი

კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის, კერძოდ, ჩაღმავებული ინტერვუს მეთოდით

კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის ინსტრუმენტია სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი. სიღრმისეული ინტერსიუს გზამკვლევი მომზადდა სამი სახის. სოციალური მუშაკებისთვის, უფროსი სოციალური მუშაკებისათის და ექსპერტებისათვის. სამივე სიღრმისეული ინტერვიუს დანართი მოცემულია დანართში. (იხ. დანართი 1)

კვლევის მონაწილეები

კვლევის მონაწილეები იყვნენ:

- სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული ის სოციალური მუშაკები, რომლებმაც დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაბის პროგრამები, ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა. სულ რვა რესპონდენტი.

- თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკები. სულ ორი რესპონდენტი

- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელი და ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე ექსპერტები. სულ სამი რესპონდენტი.

საერთო ჯამში სიღმისეული ინტერვიუ ჩატარდა 13 რესპონდენტთან. ყველა მათგანი ქალია.

კვლევის არეალი

კვლევის არეალია თბილისი. კვლევა თბილისშია ჩატარებული.

კვლევის პროცედურა

კვლევის პროცესის დროს კვლევის მონაწილეებთან მოხდა წინასწარ ტელეფონით დაკავშირება, გაცნობა, კვლევის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიწოდება და ინტერვიუზე შეთანხმება. კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, ნებისმიერ

რესპონდენტს შეეძლო უარი განეცხადებინა კვლევაში მონაწილეობაზე. იყო შემთხვევები როცა შერჩეული კანდიდატები არ თანხმდებოდნენ ინტერვიუში მონაწილეობას, იყო შემთხვევები როცა თანხმდებოდნენ, თუმცა, შემდგომ უარს ამბობდნენ შეხვედრაზე. ინტერვიუები ჩატარდა სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალებში, ასევე კერძო სახლებსა და უნივერსიტეტში. ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა 40 წუთი იყო. კვლევის ჩატარების პერიოდი 2017 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2018 წლის იანვარი.

კვლევის შეზღუდვები

- კვლევა ჩატარებულია მხოლოდ თბილისის მასშტაბით.
- ინტერვიუების ჩაწერა ზოგიერთ შემთხვევაში მოხდა სოციალური მომსახურების სააგენტოს შენობაში რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა კვლევის შედეგებზე.
- კვლევის ყველა მონაწილე ქალია, შესაბამისად კვლევის შედეგებმა შეუძლებელია გამოკვეთოს გენდერულ ასპექტებს შორის სხვაობები.
- ყველა სფეროს ექსპერტი, რომელიც კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ან სწავლობდა, ან ასწავლიდა ან კვლავაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა პასუხებზე.

მონაცემთა ანალიზი

- იმ ლიტერატურის მოძიება და განხილვა, რომელიც დაკავშირებულია საკვლევ თემასთან.
- ინტერვიუების აუდიო ჩანაწერების ანალიზი.

მონაცემების ანალიზის დროს დაცულია ანონიმურობა შესაბამისად კვლევაში არ ფიქსირდება რეპონდენტების სახელები და გვარები

კვლევის შედეგების ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სოცილური მუშაკების ძირითადი გამოწვევები სოციალური მომსახურების სააგენტოში, სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან.

სამუშაოს მოცულობა, სოციალური მუშაკების ნაკლებობა, კოორდინირებულად მუშაობის შეუძლებლობა_სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულ სოცილურ მუშაკებს მთავარ გამოწვევად და ყველაზე პრობლემურ საკითხად შესასრულებელი სამუშაოს დიდი მოცულობა და თავად სოციალური მუშაკების არასაკმარისი რაოდენობა მიაჩნიათ. სოციალური მუშაკები ამბობენ, რომ ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი იმისათვის, რომ სწორი სოციალური მუშაობის პრაქტიკა განხორციელდეს არის მათი მრავალპროფილური საქმიანობაც.

"ძალიან რთულია სრულყოფილად განახორციელო შენი საქმე ასეთ პირობებში, საქმის მოცულობიდან გამომდინარე. თვიურად ძალიან ბევრი საქმე გვეწერება თითოეულ სოციალურ მუშაკს და სწორედ ეს გახლავთ ძირითადი პრობლემა რაც პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების დროს გვექმნება." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

"არის ზოგიერთი ჩვენი მოვალეობა რასაც, ჩვენ რომ არ ვაკეთებდეთ უკეთესი იქნებოდა, მაგალითად ასეთია კვების ვაუჩერი. როცა ბავშვს უწერია ფორმა 100_ში, რომ მას სჭირდება კვების ვაუჩერი რაღა საჭიროა იქ სოციალური მუშაკის მისვლა, როდესაც ექიმი წერს, რომ ესაჭიროება. ამიტომ ვფიქრობ, რომ თუ რაღაც საქმეები ჩვენ ჩამოგვცილდებოდა ამ მხრივ ძალიან შემსუბუქდებოდა ჩვენი მდგომარეობა და უფრო უკეთესად ვიმუშავებდით." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

"სირთულეს წარმოდაგენს ის, რომ მე საკმარის დროს ვერ ვუთმობ ერთ კონკრეტულ შემთხვევას და ეს არის გამოწვევა ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის და ასევე ბენეფიციარისთვის, რომლსაც უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი მომსახურება." - კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

ხშირ შემთხვევაში სოციალური მუშაკები საუბრობენ ისეთ ვითარებაზე როდესაც თავად ხვდებიან უხერხულ სიტუაციებში სამუშაო მოცულობის და სპეციფიკიდან გამომდინარე. ამასთან აქცენტს აკეთებენ იმაზედაც, რომ უჭირთ იმოქმედონ ისე, როგორც პროფესიონალებს შეეფერებათ ამ პრობლემებიდან გამომდინარე.

"პრობლემა ის არის, რომ დროის არ ქონის გამო ვერ ვახერხებთ მოვიქცეთ, როგორც ნამდვილი სოციალური მუშაკი, ანუ საქმეს რასაც ვაკეთებთ ჩემი აზრით არ უდევს წუნი, რადგან ყველა საქმე რასაც ვაკეთებთ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანია, თუმცა საქმე იმდენია, რელურად ვერ ახერხებ ყველას ერთად სრულფასოვნად გაუმკლავდე." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

"მთავარი პრობლემა ისაა, რომ იმდენი საქმეა მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღებას ვეღარ ამახვილებ. მაგალითად ბავშვს აფასებ დღის ცენტრში ჩასარიცხად, მაგრამ შენ ვერ ემუშავები მშობელს, რომ მოიძიოს მაგალითად გადაადგილების წყარო. არ გაქვს იმის შესაძლებლობა, რომ სრული კონსულტირება გაუწიო დავუშვათ რომელ დღის ცენტრში როგორი მომსახურებაა და მას როგორი სჭირდება. ანუ უშუალოდ პროცესში მიყოლებას და მხარდაჭერას ვერ აკეთებ მშობლისას." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

"შეიძლება თვეში დაახლოებით 80_მდე შემთხვევა გქონდეს. ზოგჯერ გირეკავს ტელეფონზე ადამიანი, რომელმაც დღის ცენტრში ბავშვის ჩარიცხვაზე დაწერა განცხადება და შენ ის ოთხი თვის წინ შეაფასე. ამ დროს შენ წარმოდგენა არ გაქვს ვინ გირეკავს, იმიტომ რომ ელემენტარულად შეუძლებელია ყველაფერი დაიმახსოვრო. იმ ადამიანისთვის კი შენ ხარ ერთადერთი საკონტაქტო პირი და სისტემასთან შუამავალი. ასეთ მომენტში შენც უხერხულ მდგომარეობაში ვარდები და ბენეფიციარიც რეალურად ზარალდება." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკები ასევე ამბობენ, რომ მრავალპროფილური საქმის დაყოფა სხვადასხვა მიმართულებებსად მათ საქმინობას უფრო გაამარტივებდა.

"ჩემი აზრით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, სხვადასხვა მიმართულებით რომ ვმუშაობდეთ. მაგალითად ერთი სოციალური მუშაკი, რომ მუშაობდეს

რეინტეგრაციებზე, მეორე გადაუდებელ შემთხვევებზე ან სხვა რამეზე, მაგალითად საპროცესო შეთანხმებებზე ან ადრეული განვითარების პროგრამაზე უფრო გამარტივდებოდა მუშაობა." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

გამოწვევად სახელდება ისიც, რომ სამუშაოს დიდი მოცულობის გამო სოციალური მუშაკები ვერ ახერხებენ საქმის საჭიროებებიდან გამომდინარე ერთმანეთთან ნაყოფიერ კოორდინაციას და კომუნიკაციას.

"პრობლემა არის ის, რომ თუ მე როგორც სოციალურ მუშაკს ძალიან ბევრი საქმე მაქვს, ნიშნავს იმასაც რომ სხვა სოციალურ მუშაკსაც ძალიან ბევრი საქმე აქვს. როდესაც ხდება საერთო შემთხვევაზე გადაკვეთა ჩვენ შორის კომუნიკაცია უკვე გართულებული არის იმიტომ რომ მე რომ მოვიცლი დასარეკად, სალაპარაკოდ წერილის გასაგზავნად, ის იმ მომენტში შეიძლება ორი დღე სასამართლოში დადიოდეს ზედიზედ." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სამუშაო პირობები (ინფრასტრუქტურა, სამუშაო საათები, არაადაპტირებული გარემო, ტრანსპორტირების პრობლემა, ანაზღაურების სიმცირე) _ მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევენ სოციალური მუშაკები სამუშაო პირობებს. ამ კუთხით გამოყოფენ არაადაპტირებულ გარემოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და ასევე მოხუცებულებისათვის, ინფრასტრუქტურის გაუმართაობას და ხშირ შემთხვევაში კონფიდენციალურობის დაცვის შეუძლებლობას.

"ინფრასქტრუქტურის პრობლემა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია ჩვენს სამუშაო ადგილზე, გვაქვს სუფთა წყლის მოწოდების პრობლემა და საპირფარეშოში ჰიგიენური ნორმებიც არ არის საკმარისად დაცული. ასეთ პირობებში კიდევ უფრო რთულდება მუშაობა." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

რესპოდენტები ამბობენ, რომ არა მხოლოდ მათთვისაა რთული ასეთ პირობებში მუშაობა, არამედ იმ ადამიანებისთვისაც ვინც სოციალური მომსახურების სააგენტოში რაიმე სერვისის მისაღებადაა მოსული. მათი თქმით განსაკუთრებით მტკივნეულია მომსახურების არაადაპტირებული გარემო, ლიფტის და გათბობის არ არსებობა სამუშაო ადგილზე.

“ვფიქრობ სხვა რაიონებთან შედარებით ჩვენთან უკეთესი სიტუაციაა. თავიდან რომ მოვედი ორ სოციალურ მუშაკს ერთი მაგიდა და ერთი კომპიუტერი გვქონდა, ეხლა ეს პრობლემა მოგვარდა.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“კონფიდენციალურობის დაცვა ჯერ კიდევ პრობლემატური საკითხია. არ არსებობს ცალკე სივრცე, სადაც ბენეფიციარს პირისპირ დაელაპარაკები. ხანდახან ვახერხებ და ვთხოვ თანამშრომლებს, რომ ოთახში მარტო დაგვტოვონ, თუმცა ყოველთვის ასე არ გამოდის.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“სირთულეა ის, რომ ადამიანებს მუდმივად დერეფანში ვალოდინებთ. არ არის დასაჯდომი, არ არის გათბობა და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან ამის გამო. ეს მათთვის ფაქტობრივად შეურაცხყოფის მიყენებაა და შენ როგორც ამ სისტემის თანამშრომელი თავს მუდმივად დამნაშავედ გრძნობ, როცა ამას ხედავ, მიუხედავად იმისა რომ ინდივიდუალურად შენ ბრალი ამაში არ მიგიძღვის” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“პრობლემაა არადაპტირებული გარემო, მე მაგალითად ძალიან ბევრჯერ შემრცხვენია, როცა ხანდაზმული ამოდის მესამე სართულზე. ძლივს ამოდის ამ კიბეზე და აუცილებლად უნდა ამოვიდეს, რომ განცხადება დაწეროს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თავისით საერთოდ ვერ ამოდიან.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“ხშირია შემთხვევები როდესაც ეტლით მოსარგებლე ან ხანდაზმულ ადამიანებს უწევთ ჩვენთან მოსვლა და ამ კუთხით შენობა ძალიან მოუწესრიგებელია. პირველი სართული მაინც იყოს. შეუძლებელია მეორე, მესამე სართულზე ეტლით მოსარგებლე ადამიანი, დაუხმარებლად ამოვიდეს. არც ლიფტი გვაქვს და მოხუცებულებსაც ძალიან უჭირთ კიბეებზე სიარული.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკები საუბრობენ არანორმირებულ სამუშაო საათებზე, ანაზღაურების შეუსაბამობაზე გაწეულ შრომასთან და ტრანსპორტირების პრობლემებზე, როგორც მთავარ გამოწვევებზე.

“ხშირად გვიწევს მუშაობა შაბათ-კვირასაც, როდესაც გადაუდებელ შემთხვევას ეხება საქმე. შეიძლება ნებისმიერ დროს დაგირეკონ და უნდა წახვიდე.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“გადაუდებელ შემთხვევებზე მორიგეობა გვაქვს დაწესებული, ასე უფრო გვიმარტივდება მუშაობა, მე პირადად ერთი წლის წინ შობა დღესაც მომიწია გადაუდებელ შემთხვევაზე წასვლა.”-კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“სამუშაო საათები არ არის განსაზღვრული, პოლიციას ბავშვის დაკითხვის უფლება კანონით ათ საათამდე აქვს. როდესაც ჩვენი დასწრება აუცილებელია გვიანობამდეც ვრჩებით, რაც ძალიან რთულია.”-კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“ისეთ ადგილებში მიწევს ვიზიტებზე სიარული ტრანსპორტი საერთოდ რომ არ უდგება, ან სამი ტრანსპორტი უნდა გამოიცვალო, რომ როგორმე ადგილამდე მიაღწიო. ტრანსპორტირების ხარჯებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამას ძალიან დიდი დრო და ენერგია მიაქვს.”-კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“მიწევს ხოლმე ისეთ ადგილებზე მისვლა, რომლებიც მანამდე არასდროს გამიგია და ნამყოფიც არ ვარ. ზოგჯერ შეიძლება ტაქსიც დამჭირდეს რადგან სხვა ტრანპორტი იქ არ დადის ან დადის ძალიან დიდი ინტერვალებით, ეს ტრანსპორტირების ხარჯებს ზრდის. ხელფასის გარკვეული ნაწილი ამაში მეხარჯება.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“გადაადგილების პრობლემაა, რამდენადაც ძირითადი ადგილები სადაც მიმოსვლა გვიწევს, ისეთ ადგილებზე მდებარეობს, წინასწარ უნდა დაგეგმო ან ავტობუსი როდის გადის ან სხვა რამე ტრანსპორტი, შეიძლება ფეხითაც მოგიწიოს სიარული რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ნაკლებ უსაფრთხოებასთან, დროის ზედმეტად გაფლანგვასთან და ხარჯებთან.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკები თვლიან, რომ მათ არაადეკვატურად დაბალი ანაზღაურება აქვთ, ამასთან ერთად ისინი საუბრობენ, რომ არა აქვთ შეგრძნება იმისა რომ მათ ვინმე აფასებთ, როგორც კარგ თანამშრომელს.

“არა მაქვს იმის განცდა, რომ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებ, არადა რეალურად ეს ასეა. ძალიან კარგადაც რომ იმუშავო ამას მაინც ვერავინ შემჩნევს და ვერ დაინახავს”- კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“არ არსებობს წახალისების სისტემა, თუ მაგალითად ვინმემ ძალიან კარგად იმუშავა და რეალურად ძალიან კარგი შედეგები მიიღო, ამ შემთხვევაშიც კი არაფერს უნდა მოელოდეს განსაკუთრებულს.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“ვფიქრობ უფრო მეტ ანაზღაურებას ვიმსახურებ, რადგან ტრანსპორტირების ხარჯებსაც ჩვენ ვფარავთ ჩვენი ფულით და საქმეც რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ ძალიან საპასუხისმგებლოა.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“მე როგორც ადამიანი აბსოლუტურად არაადეკვატურ ანაზრაურებას ვიღებ იმ საპასუხისმგებლო საქმეში რასაც ვაკეთებ.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სისტემური პრობლემები, პრევენციული სერვისების ნაკლებობა, პოლიციასთან კომუნიკაცია_სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ მიზნობრივი პროგრამები არასწორადაა დაგეგმილი და შესაბამისად ვერ ხერხდება მათი ეფექტური ფუნქციონირება. ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ ეს პროგრამები არ არის გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული.

“მგონია ხოლმე, რომ ზოგიერთი ეს პროგრამები არ არიან გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული და ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ არის შედეგზე ორიენტირებული. მაგალითად რამდენიმე წელია არსებობს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისთვის დახმარების პროგრამა, ადამიანები განცხადებებს წერენ და ორი და სამი წლის შემდეგ იღებენ დახმარებას. საქმე იმაშია, რომ ამაზე საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება, თანაც კრიზისული დახმარების პროგრამა ქვია და კრიზისი გულისხმობს იმას, რომ აქ და ახლავე მჭირდება ეს დახმარება. და ორი და სამი წლის შემდეგ თუ ეს დამხარება მივიღე ცხადია აღარ იქნება ეფექტური და იმ საჭიროებებს ვეღარ უპასუხებს რისთვისაც ის არსებობს.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთი პროგრამისთვის სხვა ფორმის მიცემა შეიძლებოდა რათა უფრო ეფექტურად ეფუნქციონირა. მაგალითად ადრეული განვითარების ქვეპროგრამა. სახელად ქვია ადრეული განვითარების პროგრამა, მაგრამ ბავშვი რომელსაც აუტისტური სპექტრის აშლილობა აქვს სამი წლიდან შეიძლება ხუთ წლამდე ვერ მოხვდეს საერთოდ დაფინანსებაში. აქ ითვალისწინებენ სოციალურად დაუცველის სტატუსს. ასეთი პროგრამები უფრო დროული და შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს წინააღმდეგ შემთხვევაში მასში დახარჯული თანხები ფუჭი აღმოჩნდება.” - კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“სისტემური პრობლემაა და სისტემის ჩავარდნაა ის რომ ყოველდღიურად ვაწყდებით ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემას და არ არსებობს გეგმა და პოლიტიკური ნება ამის აღმოსაფხვრელად.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკები სისტემურ პრობლემად მიიჩნევენ ასევე პრევენციული სერვისების ნაკლებობას.

“ერთ-ერთ მთავარ პრობლემად პრევენციული სერვისების სიმწირე მიმაჩნია. ვფიქრობ სერვისმა ოჯახი მანამ უნდა გააძლიეროს, სანამ რისკის ქვეშ დადგება ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ან თუნდაც დღის წესრიგში დადგება ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის საკითხი.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სოციალურ მუშაკთა ნაწილი გამოწვევად თვლის პოლიციასთან ურთიერთობას და მათ მიდგომებს.

“ჩემი აზრით გამოწვევაა პოლიციასთან ურთიერთობა, რომლებიც ჩემი დაკვირვებით, ნაკლებად ემპათიურები არიან და როდესაც პრობლემაა ამ პრობლემას ვერ ხედავენ გენდერულ ჭრილში, ვერ ხედავენ სოციალურ ჭრილში, ვერ ხედავენ რელიგიურ ჭრილში.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“პოლიციასთან ურთიერთობა ზოგჯერ პრობლემაა, რადგან ჩვენ განსხვავებული ღირებულებები გვაქვს. აქედან გამომდინარე გვიჭირს ერთმანეთის გაგება და რაღაც

საკითხებსაც ძალიან განსხვავებულად აღვიქვამთ.” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

ეფექტური სუპერვიზიის სისტემის არარსებობა, პროფესიული ზრდის შეფერხება_სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ ეფექტური სუპერვიზიის სისტემის არ არსებობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რაც მათ პროფესიუალ წინსვლას აფერხებს. სოციალური მუშაკები ამბობენ, რომ ყოველთვიური საბჭოები, როგორც სუპერვიზიის მექანიზმი არაეფექტურია, ხოლო კონტორლის მექანიზმი, რომელიც დროთა განმავლობაში მათ შემოწმებას ისახავს მიზნად და წელიწადში ერთხელ საქმეებს სწავლობს სოციალური მომსახურების სააგენტოში ამ ფუნქციას ვერ შეითავსებს რადგან ისინი საქმეების პროცედურული მხარეების შემოწმებაზე არიან ორიენტირებულნი.

“მე როგორც პროფესიონალს არ მაქვს სუპერვიზიის მიღების შესაძლებლობა, მაშინ როდესაც ეს ისეთი სფეროა, ძალიან რთულია ერთმნიშვნელოვნად მიიღო სწორი გადაწყვეტილებები” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“არ არსებობს სუპერვიზიის მექანიზმი რომელიც რეალურად იმუშავებდა, ერთი უფროსი სოციალური მუშაკი ყველა სოციალურ მუშაკს ვერ გაუწევს სუპერვიზიას, ეს ფიზიკურად შეუძლებელია.”-კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

“წესით სუპერვიზიისათვის განკუთვნილია საბჭოები, რომლებიც თვეში ერთხელ იგეგმება და სადაც ყველას გაგვაქვს საქმეები, თუმცა რაოდენობრივად ეს საქმეები იმდენია, ყველას სიღრმისეულად განხილა ამ საბჭოებზე შეუძლებელია” -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკები ამბობენ, რომ მათი დამქირავებელი არ ზრუნავს მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ისინი იშვიათად ერთვებიან ტრენინგებში და სხვა პროფესიული ზრდისთვის საჭირო ღონისძიებებში.

“სოციალური მუშაკების გავითარებაზე ზრუნვა ძალიან მარტივად არის შესაძლებელი თუკი ამის ნება იქნება. მოსამართლეებს, პროკურორებს ჟურნალისტებს, პოლიციელებს მუდმივად რთავენ სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობებში და

ტრენინგებში, რაც მათ პროფესიულ ზრდას ხელს უწყობს. სოციალური მუშაებისთვის კი ასეთი რამეები თითქმის არ კეთდება." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკების აზრით, ამ გამოწვევების უმეტესობის აღმოფხვრა მოკლე დროშია შესაძლებელი, თუკი გაიზრდება ბიუჯეტი, გაიზრდება სოციალურ მუშაკთა რაოდენობა, შეიცვლება ზოგიერთი მიზნობრივი პროგრამის სტრუქტურა და გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სოციალურ მუშაკთა მზაობა პრაქტიკისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოში.

კვლევის რესპოდენტი სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ ისინი მეტწილად მზად იყვნენ პრაქტიკისათვის, სოციალური მომსახურების სააგენტოში როდესაც მუშაობა დაიწყეს, თუმცა აღნიშნავენ, რომ იმ სირთულეებს რომლებიც სამუშაო ადგილზე დახვდათ სხვადასხვა გამოწვევის სახით, უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა ვერ გამოასწორებდა იმ მიზეზის გამო, რომ ეს გამოწვევები ხშირ შემთხვევაში თეორიულ ცოდნას არ უკავშირდება.

"მიმაჩნია, რომ ცოდნის მხრივ მზად ვიყავი სააგენტოში სამუშაოდ, თუმცა რა თქმა უნდა პრაქტიკა მაკლდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მალევე დავიწყე მუშაობა და თავიდან ადაპტაცია ცოტა გამიძნელდა. მიუხედავად იმისა, რომ რასაც უნივერსიტეტში გვასწავლიან დაშორებულია რეალობას, იქ მიღებული თეორიული ცოდნა მაინც ძალიან მეხმარება." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი

სოციალური მუშაკები თვლიან, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა მათ პრაქტიკაში მუშაობის დროს დაეხმარათ.

"უნივერსიტეტის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ დავსაქმდი სოციალური მომსახურების სააგენტოში. მანამდე სხვა სფეროში ვმუშაობდი, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არ ვმუშაობდი და ძირითადი თეორიული ასპექტები რეალურად დავიწყებული მქონდა, მაგალითად ბავშვის განვითარების ეტაპები თუ ასე შემდეგ. რაღაცების გადახსენება დავიწყე პრაქტიკული საქმიანობის პროცესში თუმცა ეს

თეორიული ცოდნა მანამდე რომ არ მქონოდა მიღებული თავიდან სწავლა მომიხდებოდა, რაც იქნებოდა რეალურად შეუძლებელი." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი

სოცალური მუშაკები ასევე მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტი ვერ მოგამზადებს და არც უნდა მოგამზადოს ისეთი პრაქტიკისათვის, როგორიც ამჯერად სოციალური მომსახურების სააგენტოში მიმდინარეობს.

"უნივერსიტეტი ვერ მოგამზადებს სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული სამუშაო პრაქტიკისთვის და ჩემი აზრით, არც უნდა მოგამაზადოს, იმიტომ რომ ასეთი პრაქტიკისთვის თუ დაიწყე მზადება ვერ ისწავლი რა არის სოციალური მუშაობა. უნივერსიტეტმა არ უნდა მოგამაზადოს თვეში 90 საქმეზე სამუშაოდ, რაც რეალურად შეუძლებელია, უნივერსიტმა უნდა მოგამზადოს თვეში 15 საქმეზე სამუშაოდ." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი

სოციალური მუშაკების ნაწილის აზრით, უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სოციალური მუშაობის საგნების სწავლების რაოდენობა და ასევე ეს საგნები უფრო მეტად უნდა იყოს მორგებული ქართულ რეალობას.

"კარგი იქნებოდა თუ უფრო მეტი სოციალური მუშაობის საგანი იქნებოდა უნივერსიტეტებში და ამ მხრივ არჩვანი სტუდენტებისათვის გაფართვოდებოდა. ჩემი აზრით ამჯერად საგნების რაოდენობა უნივერსიტეტში ძალიან ცოტაა." -კვლევის რეპოდენტი, სოციალური მუშაკი.

"უნივერსიტეტში მე პირადად რამდენჯერმე მომიწია სხვა მიმართულების საგნის აღება იმიტომ რომ სოციალური მუშაობის საგანი აღარ იყო, მაშინ როცა ჩემი პროფესიის საგნის გავლა უფრო მეტად მაინტერესებდა და მჭირდებოდა." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი

"ვფიქრობ უფრო მეტად ქართულ რეალობას მორგებული ქეისები უნდა განიხილებოდეს ლექციებზე, რომ სტუდენტებს წარმოდგენა ჰქონდეთ რა ხდება ველზე მშაობის პროცესში." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

რესპოდენტი სოციალური მუშაკებისთვის ხელისშემწყობი ფაქტორი იყო უნივერსიტეტში გავლილი პრაქტიკები სხვადასხვა ორგანიზაციებში. ისინი მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პრაქტიკული კურსები საუნივერსიტეტო განრიგის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია.

"მიმაჩნია რომ პრაქტიკები სწავლების ძალიან მნშვნელოვანი ნაწილია, ყველა პრაქტიკა ერთნაირად კარგი არ გამოდის, გააჩნია პრაქტიკისთვის რომელ ორგანიზაციაში მოხვდები, თუმცა, თუ კარგი სუპერვაიზორი შეგხვდა ბევრ ახალ რამეს ისწავლი." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკების ნაწილი თვლის, რომ საუნივერსიტეტო პრაქტიკა აძლევს შანს სტუდენტს არა მხოლოდ ისწავლოს, არამედ დასაქმების შანსიცაა.

"თუ გაგიმართლა პრაქტიკის ადგილზე შეიძლება დასაქმდე კიდეც. სხვა თუ არაფერი ეს შანსია. საქართველოში არ არის ბევრი ისეთი პროგრამა, სადაც სტუდენტებს ასეთი შანსები ეძლევათ." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი

ზოგიერთი სოციალური მუშაკი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის პრაქტიკა, როგორც ფენომენი თავისთავად პროფესიულად გამოსადეგი რამეა. ამ დროს მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სტუდენტს უცხო გარემოში უწევს სოციალური ფუნქციონირება.

"ჩემი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი რასაც პრაქტიკის პროცესში სწავლობ არის ის თუ როგორ მოიქცე უცხო გარემოში, როგორ დაამყარო კომუნიკაცია და როგორ დაიმკვიდრო თავი. სხვა თუ არაფერი გამარჯობის თქმას სწავლობ. შეიძლება იმ პრაქტიკიდან საერთო ვერაფერი ვერ ისწავლო ამის გარდა, თუმცა ეს ნაწილი სოციალური მუშაკისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია." -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკები თვლიან, რომ უნივერსიტეტი ძირითადად მიკრო პრაქტიკისათვის გამზადებს და არ იძლევა განათლებას მაკრო დონეზე სამუშაოდ.

"თავიდან რაც გვასწავლეს, რომ სოციალური მუშაობა შეიძლება განხორციელდეს მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე იმის შემდეგ მაკრო დონეზე მუშაობა აღარც იყო

ნახსენები არც სასწავლო მასალებში და არც არსად. სოციალურ მუშაკებს უნივერსიტეტი რეალურად მხოლოდ მიკრო დონეზე სამუშაოდ ამზადებს" -კვლევის რესპოდენტი, სოციალური მუშაკი.

თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული ძირითადი გამოწვევები უფროსი სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან.

სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებულ ძირითად გამოწვევებად უფროსი სოციალური მუშაკები სოციალური მუშაკები კადრების ნაკლებობას და ფუნქციების არასწორ შეთავსებას სოციალური მუშაკებისთვის.

"მთავარ გამოწვევად მე მაინც მიმაჩნია, რომ ეს არის ფუნქციების არასწორად გადანაწილება კადრებზე, სოციალურ მუშაკებზე, იმიტომ რომ სოციალურ მუშაკებს აქვთ ბევრი ისეთი ფუნქცია შეთავსებული, რომლებიც არ შეესაბამება პროფესიულად. ეს არის ისეთი ადმინისტრაციული, მენეჯერული ფუნქციები რაც იწვევს უფრო მეტ დატვირთვას სოციალურ მუშაკებზე და ხარისხობრივად მუშაობა ეფექტური აღარ გამოდის ისეთ ქეისებზე რაც სოციალურ მუშაობას ეხება." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

"ისეთი ფუნქციების სოიცალური მუშაკებისთვის მიერთება როგორიცაა დღის ცენტრების, კვებების, ადრეული განვითარების პროგრამების ვაუჩერების მიწოდება ეს ისეთი სახის სერვისებია, რომლებიც შეუძლიათ სხვა არა სოც. მუშაკმა ადამიანებმაც მიაწოდონ ბენეფიციარებს. ამაში იკარგება სოციალური მუშაკების ძალიან ბევრი დროც, რესურსიც და მთავარი გამოწვევაც ესაა რომ ეს ფუნქციები სოციალურ მუშაკებს მოეხსნათ. საჭიროა გაიმიჯნოს რა არის სოციალური მუშაკის საქმიანობა და რა არის მენეჯერის საქმიანობა." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

"სრულიად შესაძლებელია, რომ სოციალურ მუშაკებს არ დაევალოთ განცხადებების მიღება, კვების ვაუჩერების და ადრეული განვითარების პროგრამის ვაუჩერების დარიგება. ეს მათ ბევრ დროს გამოუთავისუფლებდა და მათი შრომაც უფრო ნაყოფიერი გახდებოდა." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი

“პრობლემას ქმნის სოციალური მუშაკების კადრების სიმცირე, შეიძლება ერთმა თანამშრომელმა ვერ მოასწროს ყველა ვიზიტზე მისვლა, ყველგან დარეკვა და ყველა დასკვნის თუ შეფასების მომზადება იმიტომ, რომ ის რამდენიმე ადამიანის საქმეს აკეთებს ერთდროულად.” -კვლევის რეპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

უფროსი სოციალური მუშაკები, სოციალური მუშაკებისგან განსხვავებით გამოწვევად არ ასახელებენ სისტემურ პრობლემებს, პროგრამების არაეფექტურობას და პრევენციული სერვისების ნაკლებობას, თუმცა აქცენტს აკეთებენ სამუშაო პირობებზე, ინფრასტრუქტურაზე, ტრანსპორტირების პრობლემებზე და დაბალ ანაზღაურებაზე, რომელიც მათივე თქმით სოციალურ მუშაკებს ძირითადად არ ყოფნით.

“სამუშაო პირობები ძალიან რთული გვაქვს. თუმცა ჩვენ მეტ-ნაკლებად ეფექტურად ვფუნქციონირებთ. იმ ფონზე რაც ჩვენ გვაქვს თუნდაც სამუშაო პირობების კუთხით მაინც გამართულად ვმუშაობთ.” -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

“რაც უფრო მეტად ცდილობს სოციალური მუშაკი ყველა საქმეს დროულად მიხედოს და ხარისხიანად იმუშავოს მით მეტი ეხარჯება, თუნდაც ტრანსპორტირების ხარჯი. ხელფასიც არ არის მაღალი და შესაბამისად ადამიანს თითქმის ენთუზიაზმზე უწევს მუშაობა.” -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

“სამუშაო პირობები ნამდვილად არასახარბიელო გვაქვს. თვითონ შენობა საკმაოდ ძველია და პირობები საერთოდ არ გვაქვს, არ გვაქვს საკმარისი სივრცე და ოთახები. ერთ პატარა ოთახში რამდენიმე სოციალურ მუშაკს უწევს მუშაობაც და ბენეფიციარის მიღებაც. მოუწესრიგებელია საპირფარეშო, წყალიც კი არ მოგვწოდება ნორმალურად.” - კვლევის რეპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

უფროს სოციალურ მუშაკებს მიაჩნიათ, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სისტემა მეტ-ნაკლებად გამართულად მუშაობს, თუმცა, შეიძლებოდა უკეთესადაც ემუშავა თუ ზემოთ ნახსენებ გამოწვევებს უპასუხებდა. უფროსი სოციალური მუშაკების აზრით იმისათვის, რომ ამ გამოწვევებს, სოციალური მომსახურების სააგენტომ მოკლე ხანში უპასუხოს საჭიროა ბიუჯეტის გაზრდა, სოციალური მუშაკებისთვის

მოვალეობების შემცირება, მეტი სოციალური მუშაკის დაქირავება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და ხელფასების ზრდა.

"ბევრი პრობლემის მიუხედავად ჩვენ მაინც ვაკეთებთ ჩვენ საქმეს. ეს საქმე იმ პროცესის ძალიან მნიშვნელოანი ნაწილია, რასაც ბავშვთა დაცვა მოიცავს. ვიცით რომ ბევრი რამ შესაცვლელია და ძალიან კარგი იქნება თუ უკეთესობისკენ შეიცვლება სიტუაცია, მაგრამ ეს საქმე მუდმივად ვინმემ უნდა აკეთოს და მუშაობის პროცესი არ უნდა შეფერხდეს." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

"შესაძლებელია გამოწვევებს მოკლე ხანში პასუხი გაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი გაიზრდება დაფინანსება. ასეთ შემთხვევაში აღმოიხვრებოდა სხვა პრობლემებიც, რომლებიც მეტწილად ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული. იგივე სამუშაო პირობების თუ სოციალური მუშაკების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, უფრო მეტად ბიუჯეტის ზრდაზეა დამოკიდებული." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

"მოკლე ვადაში შეიძლება ამ გამოწვევებს პასუხი გაეცეს. შეუძლებელი არაფერია თუკი გაიზრდება სოციალური მუშაკების რაოდენობა და სამუშაო დატვირთვაც შემცირდება, ამით უკვე დიდი ნაბიჯი იქნება გადადგმული უკეთესობისკენ. სამთავრობო პრიორიტეტების საკითხია ასევე ჩვენი სამსახურის ბიუჯეტის ზრდა, რაზედაც პირდაპირაა დამოკიდებული ჩვენი სამუშაო პირობები." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

უფროსი სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ საჭიროა სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის შესვლა სკოლებში. მათი აზრით ეს ერთ-ერთი გამოწვევაა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა მომართვიანობის რაოდენობებს სკოლებიდან.

"სკოლებიდან ბევრი შეტყობინება შემოდის უსაფუძვლოდ. ხშირად იმის გამოც კი მოგვმართავენ თუკი ბავშვს ზონარი არა აქვს შეკრული ანდა სკოლა ერთი დღით გააცდინა. ამიტომ ვფიქრობ თუკი სოციალური მუშაკი თვითონ ადგილზე, სკოლაში იმუშავებდა ამ მხრივ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სიტუაციას." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

უფროსი სოციალური მუშაკების აზრით პრაქტიკა რომელიც მათ ორგანიზაციაშია დანერგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სწავლების მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია.

"ჩვენთან მოსული სტუდენტები პრაქტიკით უმეტესად კმაყოფილები არიან. ისინი პრაქტიკის ფარგლებში შიგნიდან ადევნებენ თვალს მუშაობის პროცესს ეცნობიან სოციალური მუშაკების მოვალეობებს და ფუნქიებს, ასევე ხშირად სოციალურ მუშაკებთან ერთად დადიან ვიზიტებზე და თავისი თვალით ხედავენ, რას აკეთებენ ჩვენი სოციალური მუშაკები." კველვის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი

"პრაქტიკის ფარგლებში მოსული სტუდენტები კარგად ეცნობიან სამუშაო პროცესს და სოციალური მუშაკები დახმარებით ერთვებიან სხვადასხვა საქმეებში. დადიან ვიზიტებზე და კავშირს ამყარებენ ბენეფიციარებთან. ჩემი აზრით ეს პროცესი საგრძნობლად უწყობს ხელს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სოციალურ მუშაკთა პრაქტიკისათვის მზაობა სოციალური მომსახურების სააგენტოში, უფროსი სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან.

უფროსი სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ თსუს კურსადმთავრებული სოციალური მუშაკები, მზად იყვნენ სოციალური მომსახურების სააგენტოში სამუშაოდ და სამუშაო გარემოსთან ადაპტირებაც საკმაოდ სწრაფად მოახერხეს.

"ჩვენს რაიონში ბევრია ისეთი თანამშრომელი ვინც თსუ დაამთავრა. ზოგიერთი მათგანი უკვე ჩვენთან აღარ მუშაობს, თუმცა ეხლაც საკმაო რაოდენობით გვყავს ასეთი თანამშრომლები. თითქმის ყველა მათგანი ადვილად მოერგო სამსახურს. საერთო ჯამში ყველა მათგანი მზად იყო სამუშაოდ. რა თქმა უნდა ადაპტაციისათვის დასჭირდათ გარეული პერიოდი, თუმცა, ყველაფერს მალე აუღეს ალღო მოვალეობებსაც, სერვისებსაც და სამუშაო სპეციფიკასაც. ჩვენ ერთი შეკრული გუნდი ვართ და ცოდნას, გამოცდილებას და პრობლემებსაც ვუზიარებთ ერთმანეთს. ჩვენთან შეწყობა რთული

არ არის, პირიქით, ვფიქრობ რომ მარტივია." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

"პრაქტიკისთვის, ჩემი აზრით, მზად იყვნენ თუმცა თავიდან რამდენიმე კვირა სანამ სამუშაო გარემოს შეეწყობა, არის ხოლმე ადაპტაციის სირთულეები, თუმცა როგორც წესი ეს მარტივად გვარდება. სამუშაოთიც არ იტვირთებიან თავიდანვე ისეთი ინტენსიურობით როგორც სხვები იმიტომ, რომ თანდათან შეეგუონ გარემოს. ამ პირველი ეტაპის შემდეგ უკვე სრულყოფილად იწყებენ მუშაობას." -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი

უფროსი სოციალური მუშაკების აზრით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები სხვა სოციალური მუშაკებისაგან განსხვავდებიან თეორიული ცოდნის მაღალი დონით, ღირებულებითი სისტემით და ემპათიის მაღალი ხარისხით, ასევე კომუნიკაციის დამყარების უკეთესი ფომებით ბენეფიციარებთან.

"სხვა უნივერსიტეტის კურსდამთვარებულებს ჩვენთან არ უმუშავიათ, როგორც სოციალურ მუშაკებს, თუმცა იმ სოცილური მუშაკებისაგან რომლებიც ამ სისტემაში უკვე წლებია მუშაობენ თსუს კურსდამთავრებულები განხსვავდებიან თეორული ცოდნის დონით, რომელიც წლების წინ ვერ ექნებოდა სოციალურ მუშაკს გასაგები მიზეზების გამო. ამის მიუხედავად წლების გამოცდილებამ ისინი კარგ პროფესიონალებად აქცია და ჩვენი გუნდის სრულფასოვანი წევრები არიან დღემდე." - კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

"თსუს კურსდამთავრებულები სხვა სოციალური მუშაკებისგან გამოირჩევიან იმით, რომ ღირებულებათა სისტემა აქვთ ისე ჩამოყალიბებული, როგორც ნამდვილ პროფესიონალებს შეეფერებათ. ასევე აქვთ თეორიული ცოდნა და ემპათიის უნარი. ეს უნარები საშუალებას აძლევთ მათ უკეთ დაამყარონ კომუნიკაცია ბენეფიციარებთან." - კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

უფროსი სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი უფრო მეტად ქართულ რეალობაზე მორგებულ მასალას შეიტანდა სასწავლო განრიგში.

“ალბათ თეორიული საკითხების გარდა უფრო პრაქტიკული საკითხებიც უნდა შევიდეს საგანმანათლებლო ლიტერატურაში, იყოს მეტი ქეისების განხილვა, პრაქტიკული შემთხვევების უფრო მეტი განხილვა და უფრო რეალური, საქართველოზე, ჩვენი ქვენის სტატისტიკაზე და რეალობაზე მორგებული ლიტერატურა უნდა ისწავლებოდეს” -კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი.

“მე როგორც ვიცი, ისწავლება ამერიკაზე და უცხოური ქვეყნის გამოცდილებაზე მორგებული ქეისები, ესეც კარგია თუმცა უფრო ჩვენს რეალობაზე მორგებული და ჩვენი პრაქტიკისათვის დამახასიათებელი ნიუანსები რომ ისწავლებოდეს უკეთესი იქნებოდა.”-კვლევის რესპოდენტი, უფროსი სოციალური მუშაკი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სოცილური მუშაკების ძირითადი გამოწვევები სოციალური მომსახურების სააგენტოში, სფეროს ექსპერტების პერსპექტივიდან.

სფეროს ექსპერტებს სოციალური მომსახურების სააგენტოში მთავარ გამოწვევად მიაჩნიათ ის, რომ სოციალური მუშაკები საკუთარი ფუნქციების შესრულებას ვერ ახერხებენ. ექსპერტების აზრით თუკი რომელიმე სოციალური მუშაკი რეალურ სოციალურ სამუშაოს ახორციელებს, ეს მის პირად გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

“პირველ რიგში ყველაზე მთავარი გამოწვევა ის არის, რომ სოციალური მუშაკები ვერ ასრულებენ სოციალური მუშაკების ფუნქციებს და მათი საქმიანობა მათ პირად ინიციატივებზეა დამოკიდებული. თუკი ვინმე რეალურ სოციალურ სამუშაოს ახორციელებს.”-ინტერვიუს რესპონდენტი, სფეროს ექსპერტი

“ძირითადად სოციალური მუშაკების ფუნქცია მოვალეობები შემოიფარგლება და იფარგლება ისეთი საქმიანობით, რომლებიც უმეტესად ბიუროკრატიული პროცესების თანმდევია და ფეხს უწყობს ზოგადად მისი დამსაქმებლის ინტერესებს.” -კვლევის რესპონდენტი, სფეროს ექსპერტი.

სფეროს ექსპერტების აზრით იმ ძირითადი გამოწვევის მიზეზი რასაც ქვია სოციალური მუშაკის ფუნქციის შეუსრულებლობა სოციალური მომსახურებს სააგენტოში რამდენიმეა და ეს მიზეზები თავის მხრივ მნიშვნელოვანი გამოწვევები არიან, რომელთა დაძლევაც აუცილებელია, რათა სოციალურ მუშაკს სრულყოფილად მიეცეს პროფესიული ფუნქციონირების საშუალება. ეს გამოწვევები/მიზეზები თავის მხრივ ორი მიმართულებით იყოფა. ესენია:

- რესურსების ნაკლებობა
- სამუშაოს მოცულობის დაურეგულირებლობა

"აქ შეიძლება გამოიყოს ორი მიზეზი თუ რატომ ვერ ახერხებენ სოციალური მუშაკები პროფესიულ ფუნქციონირებას ისე, როგორც საჭიროა. პირველ რიგში სააგენტოს ამ ეტაპზე აქვს რესურსების პრობლემა. არ გააჩნია შესაბამისი სივრცეები სოციალური სამუშაოს განსახორციელებლად, არ გააჩნია ტრანსპორტირება არ გააჩნიაა შესაბამისი რაოდენობის ტექნიკა და მორეს მხრივ ეს არის დაკავშირებული იმასთან რომ არ არის დარეგულისრებული ერთ სოციალურ მუშაკზე დასაწერი საქმეების რაოდენობა თვიურად."-კვლევის რესპოდენტი, სფეროს ექსპერტი.

სფეროს ექსპერტების აზრით სოციალური მუშაკების რაოდენობა რეკომენდირებულზე საგრძნობლად დაბალია, რაც კვებავს დასახელებულ ძირითად გამოწვევას, კერძოდ სოციალური მუშაკების პროფესიული ფუნქციების ჯეროვნად შესრულების შეუძლებლობას.

"ჯერ კიდევ 2009 წელს როდესაც ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშემწყობი პროექტი მიმდინარეობდა საქართველოში, რომელმაც სოციალური მუშაობის კომპონენტი განათლების სამინისტროდან გადმოიატანა სოციალური მომსახურების სააგენტოში, სოციალური მუშაკების რეკომენდირებული რაოდენობა რაც მაშინ ამ პროექტმა დადო გახლდათ ის რომ მეურვეობა მზრუნველობს ორგანოში 400 სოციალური მუშაკი უნდა დასაქმებულიყო. დღეს არის 2018 წელი და სოციალური მუშაკების რაოდენობა არის 250_მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ მინიმუმ რეკომენდირებულ რაოდენობამდე ჯერ კიდევ დაგვრჩა 150 სოციალური მუშაკი

ასაყვანი. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდა." -კველვის რესპოდენტი, სფეროს ექსპერტი.

ექსპერტების აზრით გამოწვევაა ისიც, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები მრავალპროფილურად მუშაობენ და არ ხდება პროფესიული სპეციალიზაცია. ყურადღება მახვილდება ასევე იმ ფაქტზე, რომ არ მიმდინარეობს სოციალური მომსახურების საგენტოში პროფესიული სუპერვიზია.

"სპეციალიზაცია თვითონ შიგნით სააგენტოში მიმართულებების მიხედვით არ ხდება და ყველა სოციალური მუშაკი მუშაობს ყველა მიმართულებაზე რაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება მათ კომპეტენციასაც უკავშირდებოდეს." -კვლევის რესპოდენტი, სფეროს ექსპერტი.

"სოციალური მომსახურების სააგენტოში არ მიმდინარეობს სოციალური მუშაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მექნიზმის პროფესიული სუპერვიზირების პრაქტიკა, რაც ძალიან დიდი პრობლემაა." -კვლევის რესპონდენტი, სფეროს ექსპერტი

სფეროს ექსპერტების აზრით, გამოწვევაა სააგენტოს სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის დონე და ისიც, რომ დამქირავებელი არ ზრუნავს მათ პროფეისულ ზრდაზე მას შემდეგ რაც სოციალური მუშაკები სოციალური მომსახურების სააგენტოში დაიწყებენ მუშაობას.

"ერთ ერთი გამოწვევაა ის, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული ადამინი კარგავს პროფეისული ზრდის შანსს, რადგან არ არსებობს შესაბამისი პროფესიული გადამზადების და განვითარების მექანიზმები სააგენტოში. ეს ასპექტი სოციალური მუშაკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და შემდგომში უკვე შედეგების კუთხით რთულ მდგომარეობას ქმნის" კვლევის რეპოდენტი, სფეროს ექსპერტი

2009 წელს კანონში შესული ცვლილებით სოციალური მუშაობა რეგულირებული პროფესია აღარ არის და სოციალურ მუშაკად მუშაობის დაწყების უფლება აქვთ არადიპლომირებულ ადამიანებსაც. (EMC, 2017)

"გასაგებია რომ სამუშაო პირობები და დაბალი ხელფასის პრობლემა დგას, თუმცა, სოციალური მომსახურების სააგენოტში ამჯერად უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს. პირველ რიგში ეს სოციალური მუშაკების კვალიფიკაციას ეხება. სოციალური მომსახურების სააგენტოში ამ ფონზე აღარ უნდა ხდებოდეს არადიპლომირებული სოციალური მუშაკების აყვანა. ამასთან ერთად მთავარი პრობლემა ისაა, რომ რეალურად ძალიან მწირია სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვისები და ასევე პრევენციული სერვისები. სწორედ ამიტომ ვფიქრობ ბენეფიციარები უფრო იჩაგრებიან ვიდრე სოციალური მუშაკები მათი რთული სამუშაო პირობების მიუხედავად" - კვლევის რესპონდენტი, სფეროს ექსპერტი.

სფეროს ექსპერტების მიხედვით, კვალიფიკაციის პრობლემაში, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებს უდგათ, არ შედის მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლების ან პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული ასპექტები, არამედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური მუშაკის, როგორც პროფესიონალის ღირებულებათა სისტემასაც.

"ვფიქრობ ღირებულებები ამ სფეროში მომუშავე ადამიანისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე თეორიული ცოდნა ან პრაქტიკული გამოცდილების დიდი მარაგი. ამას უნივერსიტეტი ვერ შეგასწავლის, ამიტომ შეიძლება უნივერსიტეტი დაამთავრო და მაინც არ იყო პროფესიონალი სოციალური მუშაკი. სწორედ ამ პრობლემას ვხედავ სააგენტოში ზოგადად."-კვლევის რესპონდენტი, სფეროს ექსპერტი.

სფეროს ექსპერტები ამბობენ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებულ მთავარ გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ზრდა მომდენვო ერთი წლის განმავლობაში. ასევე კანონი, რომლის მიღებასაც აპირებს საქართველოს პარლამენტის სოციალური მუშაობის შესახებ შეიცავს ბევრ ხარვეზებს, თუმცა სავარაუდოა რომ ამ ხარვეზების ნაწილი აღმოიფხვრება.

"არსებულ მთავარ გამოწვევებზე მოკლე ხანში პასუხის გაცემა არვიცი რამდენად იქნება შესაძლებელი, ყოველ შემთხვევაში ამ წლის ბიუჯეტში ზრდა ნამდვილად არ არის გათვალისწინებული. რაც შეეხება იმას, რომ არის მცდელობა კანონპროექტის

მიღებისა სოციალურ სამუშაოსთან დაკავშირებით, ეს კანონპროექტი შეიძლება გარკვეულწილად არეგულირებდეს მნიშვნელოვან ასპექტებს, მაგრამ იმ რედაქციით როგორიც დღეს არის, ეს კანონპროექტი ძალიან ბევრ ხარვეზებს შეიცავს, თუმცა იმედი ვიქონიოთ რომ გამოსწორდება. ანუ მე უახლოესი ერთი წლის განმავლობაში პოზიტიური ცვლიელების ალბათობას ნაკლებად ვხედავ." -კვლევის რესპონდენტი, სფეროს ექსპერტი.

ინდივიდუალურად სოციალური მუშაკებისთვის არსებულ მთავარ გამოწვევად ექსპერტები მიიჩნევენ სამშაოს ძალიან დიდი მოცულობას.

"კონკრეტული სოციალური მუშაკისთვის მთავარი გამოწვევა არის ის, რომ შემთხვევების რაოდენობა, რომელზეც სოციალურ მუშაკს უწევს მუშაობა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა იყოს ოცი ხოლო თბილისში მომუშავე სოციალური მუშაკებს თვეში 80_დან 100 შეეთხვევაზე უწევთ მუშაობა." -კვლევის რესპოდენტი, სფეროს ექსპერტი.

სფეროს ექსპერტები თვლიან, რომ საჭიროა სოციალური სამუშაოს როგორც სფეროს დეცენტალიზაცია.

"მე ვფიქრობ, რომ სოციალური სამუშაოს აღსასრუებლად ცალკე სსიპ_ი უნდა იყოს და საერთოდ უნდა გამოეყოს ეს კომპონენტი სოციალური მომსახურების სააგენტოს. სოციალური პოლიტიკის ნაწილში ბევრად უფრო აქტიურად უნდა იყოს სოციალური მუშაკების როლი გათვალისწინებული ზოგადად. ანუ მე ვთვლი რომ ეს მეურვეობა მზრუნველობა უნდა იყოს ცალკე ორგანო, ცალკე უწყება, რომელთანაც ასევე იქნება მიბმული ბავშვებისათვის მისაწოდებელი სერვისები. ეს სერვისები უნდა უნდა იყოს გამიჯნული მაგალითად ხანდაზმულებისთვის მისაწოდებელი სერვისებისაგან. უნდა მოხდეს სფეროების გამიჯვნა და სოციალური მუშაკების სფეროების მიხედვით სპეციალიზაცია. ეს ყველაფერი თავად ამ სსიპ_მა უნდა დაარეგულიროს." -კვლევის რესპოდენტი, სფეროს ექსპერტი.

"ჩემი ღრმა რწმნით თუკი დეცენტრალიზაცია მოხდება და ცალკე სსიპ_ი შეიქმნება დაფინანსებაც გაიზრდება, რადგან ეს იქნება ცალკე ორგანო და არა დეპარტამენტი

სსიპ_ში. აქედან გამომდინარე მოხდება სოციალური მუშაკების სპეციალიზაცია სხვადასხვა სფეროებზე და პროფესიული გადამზადების საშუალებაც მეტად გაუჩნდებათ სოციალურ მუშაკებს." -კვლევის რესპოდენტი, სფეროს ექსპერტი.

სფეროს ექსპერტები საუბობენ ასევე იმის შესახებ, რომ სერვისების მიწოდების სქემა უნდა შეიცვალოს, და სერვისებმა უფრო მეტად პრევენციული ხასიათი უნდა მიიღონ.

"დღესდღეობით არსებული სერვისების უმეტესობა არ არის პრევენციული, ასევე თავად სერვისების მიწოდების პროცესში შეინიშნება უამრავი ნაკლი, კონკრეტულად ის რომ მომსახურების მიმღები სერვისს გვიან ღებულობს." -კვლევის რესპოდენტი, სფეროს ექსპეტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სოციალურ მუშაკთა პრაქტიკისათვის მზაობა სოციალური მომსახურების სააგენტოში, სფეროს ექსპერტების პერსპექტივიდან.

სფეროს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები პრაქტიკისათვის მზად არიან, თუმცა თავად სამუშაო სპეციფიკა არ აძლევს მათ თავიანთი თეორიული ცოდნის რეალიზების შესაძლებლობას. მათივე თქმით, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტმა საჭირო არ არის ამ ეტაპზე შეცვალოს სწავლების კურსი.

"ჩემი აზრით, ამ ეტაპზე უნივერსიტეტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიცვალოს გეზი, რაც გულისხმობს სწავლების პროცესს და ძირითად მიმართულებებს და არ უნდა მოერგოს იმ კვაზი სოციალური მუშაობის პრაქტიკას რაც დღესდღეობით ხორციელდება თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოში." -კველვის რესპონდეტი, სფეროს ექსპერტი.

"ჩემთვის წარმოუდგენელია იმ პირობებში რომელშიც დღეს სოციალურ მუშაკებს უწვეთ მუშაობა, როგორ უნდა გამოიყენოს ცოდნა თუნდაც იყოს სათანადო დონეზე მომზადებული და პროფესიონალი. ამისთვის არანაირი ხელისშემწყობი ფაქტორი არ არსებობს. შეიძლება იმ ადამიანმა დაწეროს კარგი დასკვნა და კარგად მიყვეს რამდენიმე

საქმეს თუმცა ხელშესახებ შედეგს ვერანაირად ვერ მიიღებს ასეთ პირობებში." -კვლევის რესპონდეტი, სფეროს ექსპერტი.

"იმდენად დიდია განსვლა ის რაც არის ნამდვილი სოციალური მუშაობა და რაც უნივერსიტეტში ისწავლება და იმის შორის რაც რეალურად პრაქტიკაში მიმდინარეობს, რომ ასეთი პრაქტიკისათვის უნივერსიტეტმა სტუდენტი ვერ და არ უნდა მოამზადოს." -კვლევის რესპონდენტი, სფეროს ექსპერტი.

ექსპერტები თვლიან, რომ პრაქტიკა, რომელსაც სტუდენტი თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტში სწავლის ფარგლებში იღებს მისასალმებელი პროცესია, თუმცა, შეიძლება არსებობდეს ისეთი პრაქტიკის მაგალითები, სადაც სტუდენტები ვერ ითვისებენ პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო უნარებს. მათი აზრით, ეს პროცესი დიდწილადაა დამოკიდებული პრაქტიკის ორგანიზაციასა და სტუდენტის სუპრევიზირებაზე პრაქტიკის პროცესში.

"ჩემი აზრით, ამ პრაქტიკას დიდი მნშვნელობა აქვს, თუმცა აქ გასათვალისწინებელია როგორ მიმდინარეობს პრაქტიკა. კარგი პრაქტიკის მიღება დამოკიდებულია ორგანიზაციაზე, სადაც სტუდენტი მიდის და ხარისხიან სუპერვიზიაზე პრაქტიკის მიმდინარეობისას." -კვლევის რესპონდენტი, სფეროს ექსპერტი.

"ვფიქრობ, თუნდაც ორგანიზაციის შიგნით პრაქტიკოს სტუდენტს, რომ მიეცეს ერთი მარტივი ქეისი რაზედაც ინდივიდუალურად იმუშავებს ეს მას ძალიან ბვერ რამეს ასწავლიდა, თუმცა ეს თავად პრაქტიკის ორგანიზაციის გადასაწყვეტია." -კვლევის რესპონდენტი, სფეროს ექსპერტი.

საერთო ჯამში, სფეროს ექსპეტების მოსაზრებით, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის კურდამთავრებულები მზად არიან სააგენტოში მუშაობისათვის თუ იქ არსებული სამუშაო გარემო არ აძლევს მათ თავიანთი ცოდნის რეალიზების საშუალებას. მიუხედავად ამისა მიიჩნევენ რომ უნივერსიტეტში არსებობს გარკვეული პრობლემები და ეს პრობლემები ძირითად უკავშირდება სოციალურ მუშაობის

დარგებში სტუდენტების სპეციალიზაციას, ასევე საგნებისა და შესაბამისი ლიტერატურის ნაკლებობას.

ძირითადი მიგნებები

1. სოციალური მომსახურები სააგენტოში სოციალური მუშაკებისთვის მთავარი გამოწვევებია:

- პროფესიული საქმიანობის ხარისხიანად შესრულების შეუძლებლობა, რაც გამოწვეული არანორმირებული სამუშაო მოცულობით და სოციალური მუშაკების სიმცირით.
- არასწორად დაგეგმილი პროგრამები, სიტემური პრობლემები, რომლებიც სერვისების შედეგიანობას საგრძნობლად ამცირებს.
- ბიუჯეტის სიმცირე. პრევენციული სერვისების არ არსებობა.
- რთული სამუშაო პირობები, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, არანორმირებული, სამუშაო საათები, არაადაპტირებული გარემო.
- ტრანსპორტირების პრობლემა და ანაზღაურების სიმცირე.
- სუპერვიზიის მექანიზმის არ არსებობა.
- პროფესიული გადამზადების და ზრდისთვის შესაბამისი პირობების არ ქონა.
- ერთმანეთთან კოორდინირებული მუშაობის პრობლემა.
- პოლიციასთან კომუნიკაციის პრობლემა.
- სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის პრობლემა.

2. სოციალური მუშაკები სოციალური მომსახურების სააგენტოში სამუშაოდ მზად იყვნენ, რაშიც მათ დაეხმარათ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა, უნივრსიტეტში სწავლების პრაქტიკული ნაწილი და ღირებულებათა სისტემის ცამოყალიბება რაშიც უნივერსიტეტმა თავისი წვლილი შეიტანა.

3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნაკლებად ეფექტურია სოციალური მუშაობის მაკრო დონზე სწავლების თვალსაზრისით, ასევე დგას სოციალური მუშაობის საგნების ნაკლებობის პრობლემა და ქართულ რეალობაზე მორგებული შემთხვევების და პრაქტიკების შესწავლის უკეთ სესწავლის საჭიროება.

4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ცოდნა, ხშირად შეიძლება დარჩეს გამოუყენებელი იმის გამო, რომ სოციალური მომსახურების

საგენტოში არ მიმდინარეობს სოციალური მუშაობის სტანდარტებისათვის შესაბამისი მუშაობა.

5. სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები ხედავენ საჭიროებას სოციალური მუშაობა სკოლებშიც დაინერგოს.

6. სოციალური მომსახურების სააგენტო ჯეროვნად ვერ პასუხობს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებულ გამოწვევებს, ამ მხრივ განსაკუთრებული პრობლემაა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები და პრევენციული სერვისების ნაკლებობა რაც ხელს უწყობს ოჯახიდან ბავშვების გამოყვანის პრაქტიკის წახალისებას.

7. სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

8. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს ექსპერტებს შორის მიმდინარეობს დეცენტრალიზაციის თემის განხილვა, თუმცა მას სხვადასხვა კუთხით უყურებენ.

დასკვნა და რეკომენდაციები

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ბევრი მნიშვნელოვანი გამოწვევა არსებობს. მნიშვნელოვანი ამ გამოწვევებზე პასუხი, რადგან საბოლოო ჯამში სწორედ ესაა განმსაზღვრელი ფაქტორი თუ როგორ იქნება ბავშვბეის უფლებები დაცული საქართველოში. ქვეყანაში მაღალია ბავშვთა სიღარიბე, საზოგადოების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული, რომ დაუშვებელია ბავშვზე ძალადობა და ბავშვის აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს შეიძლება დამანგრეველი შედეგები მოჰყვეს გრძლევადიან პერსპექტივაში. სათანადოდ არ არის დაცული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებები, გარემო არაადაპტირებულია და საზოგადოება ჯერ კიდევ მოქცეულია სტერეოტიპებისა და მცდარი აზრების გავლენის ქვეშ, რის გამოც მაღალია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ხილვადობა და მათი პოზიტიური თუ ნეგატიური დისკრიმინაციის ალბათობა. მწვავედ დგას ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა, რომლის მოგვარებაზე ზრუნვაც ჯერჯერობით ვერ გახდა სამთავრობო პრიორიტეტების ნაწილი.

ამ ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურების სააგენტოს მოქმედება, მისი როგორც ბავშვთა დაცვის მთავარი ორგანოს გამართულად მუშაობა, ხოლო სოციალური მუშაკი ყველა ამ პრობლემის წინააღმდეგ სამუშაოდ ერთ-ერთი მთავარი რგოლია.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოში სოციალური მუშაკებისთვის მთავარი გამოწვევაა მათი პროფესიული მოვალეობების ჯეროვნად განხორციელების შეუძლებლობა. ამ გამოწვევას თან სდევს რამდენიმე მნშვნელოვანი ქვეგამოწვევა, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური მუშაკების შესასრულებელი არაადეკვატურად დიდი მოცულობასთან, მათი ფუნქციების არასწორ გადანაწილებასთან და თავად სოციალური მუშაკების ნაკლებობასთან, ამ კუთხით მინიმალურ სტანდარტებამდეც კი ბევრი რამაა გასაკეთებლი.

ამ გამოწვევებს თან სდევს გამოწვევები სისტემური პრობლემების მიმართულებით. გამოიკვეთა, რომ მიზნობრივი სერვისები არაეფექტურად მუშაობს, არ არის საკმარისი

სერვისები და აქცენტი არ არის გაკეთებული პრევენციაზე. სოციალური მომსახურების სააგენტო ეფექტურად ვერ მუშაობს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან, რაც განაკუთრებით თვალშისაცემია.

ბევრი პრობლემაა სოციალური მუშაობის სამუშაო პირობების გარშემო. არ არის საკმარისი სივრცეები, ტექნიკა და მწვავედ დგას ტრანსპორტიების პრობლემა. სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ დაბალი ანაზღაურება აქვთ, რაც კიდევ უფრო ართულებს გადაადგილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. არაადაპტირებულია შენობები და არ არის კონფიდენციალობის დაცვის საშუალება ბენეფიციარებთან ურთიერთობის დროს.

გამოიყო ასევე სოციალური მუშაკების ერთმანეთთან ეფექტური კომუნიკაციის პრობლემა, სამუშაოს დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ასევე პოლიციასთან კომუნიკაციის პრობლემები. დამქირავებელი არ ზრუნავს სოციალური მუშაკების პროფესიულ განვითარებაზე, ასევე არ არსებობს სუპერვიზიის ეფექტური მექანიზმი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სოციალური მუშაკები მეტწილად მზად იყვნენ სოციალური მომსახურების სააგენტოში სამუშაოდ. ამ პროცესში მათ ეხმარებოდათ მიღებული თეორიული ცოდნა და საუნივერსიტეტო პროგრამის პრაქტიკული ნაწილი, რომელიც მათ სხვადასხვა ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას აძლევდათ. გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტისგან მიღებულ ცოდნასა და რეალურად ველზე არსებულ მდგომარეობას შორის დიდი სხვაობაა და სოციალური მომსახურების სააგენტოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტს სრულფასოვნად არ ეძლევა თავისი ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების საშუალება.

ამ პრობლემების მიუხედავად, სოციალური მუშაკები საუბრობენ პრაქტიკული ცოდნის კიდევ უფრო განმტკიცების საჭიროებაზე უნივერსიტეტის მხრიდან, რაც გულისხმობს ქართულ რეალობაზე მორგებულ სახელმძღვანელოებსა და მეტი პრაქტიკული შემთხვევების განხილვას ქართული რეალობიდან. ასევე იკვეთება, რომ არსებობს

სოციალური მუშაობის საგნების ნაკლებობა სოციალური მუშაობის საუნივერსიტეტო პროგრამებზე.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სისტემის თანამშრომლებს გაცნონიერებული აქვთ სკოლებში სოციალური მუშაობის დანერგვის აუცილებლობა. ასევე ექსპერტთა გარკვეული ნაწილი საუბრობს სოციალური მუშაობის როგორც სფეროს, სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან დეცენტრალიზაციაზე და აღნიშნავენ ამ მოვლენის რამდენიმე დადებით მხარეს.

კვლევის მიხედვით, სურათი რომ უკეთესობისაკენ შეიცვალოს საჭიროა შესრულდეს შემდეგი რეკომენდაციები:

- განსაზღვრულ იქნას სოციალური მუშაკების შესასრულებელი სამუშაოს მაქსიმალური მოცულობა საერთაშორისო პრაქტიკების გამოცდილებით მიღებული სტანდარტების შესაბამისად.
- გაიზარდოს სოციალური მუშაკების რაოდენობა სტანდარტულად დადგენილ მინიმუმ ზღვრამდე მაინც.
- გაიზარდოს მეურვეობა-მზრუნველობის დეპარტამენტის ბიუჯეტი და დაიწყოს სოციალური მუშაკების სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათ შორის გათვალისწინებული იქნას ტრანსპორტირებასთან და დაბალ ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები.
- შეიცვალოს მიზნობრივი პროგრამების ფუნქციონირების სისტემა და აქცენტი გაკეთდეს პრევენციული სერვისების დანერგვაზე.
- სოციალური მომსახურების სააგენტომ და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებმა მეტი აქცენტი გააკეთონ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემის მოგვარებაზე.
- დაინერგოს სოციალური მუშაკების სუპერვიზიის ეფექტური მექნიზმი.
- სოციალური მომსახურების სააგენტომ რეგულარულად მისცეს დაქირავებულ სოციალურ მუშაკებს პროფესიული ზრდისთვის საჭირო ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებში ჩართვის საშუალება.

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაზარდოს სოციალური მუშაობის პროგრამებზე საგნების რაოდენობა და აქცენტი გააკეთოს ქართულ რეალობაზე მორგებული მასალის სტუდენტებისათვის მიწოდებაზე.

ბიბლიოგრაფია

EMC. (2017). *სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები.* თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.

Grant, S. (2014). Readiness for Practice of Newly Qualified Social Workers. *Glasgow:Glasgow Caledonian University.*

Hay, K. (2012). From student to employee: A conversation about transition and readiness for practice in a statutory social work organisation. *Social Work Now*.

Hojer, S. (2013). Readiness for practice: social work students'perspectives in England, Italy, and Sweden. European Journal of Social Work. *Europen Journal of Social Work*.

ISSA სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. (2016). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაციის კვლევა.* თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი.

Partskhaladze, N. (2017). *Child Protection Social Work Workforce in Georgia and Countries of CEE/CIS Region.* Tbilisi: Tbilisi State University.

Sharp, E. (2010). *The Relationship of Social Work Education to the Readiness for Practice.* Victoria: Univercity of Victoria.

ssa.gov.ge. (2018, January 14). *ssa.gov.ge*. Retrieved from ssa.gov.ge: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=14

tsu.edu.ge. (2018, January 25). *tsu.edu.ge.* Retrieved from tsu.edu.ge: https://www.tsu.ge/data/file_db/PR/katalogi-social-political.pdf

Unicef. (2010). *სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევა.* თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი.

Whitaker, T. R. (2012). Professional Social Workers in the Child Welfare. *Journa of Family Strengths*, 1-2.

Wilkins, D. (2014). The use of theory and research knowledge in child protection social work practice. *Canterbury: University Of Kent.*

აბაშიძე, ა. (2016). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ბარიერები მართმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით.* თბილისი: ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი.

გოლობი, რ. (2013). ბავშვთა უფლებების კვლევა.სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ-საგაკვეთილო გეგმებიზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის. In რ. გოლობი, *ბავშვთა უფლებების კვლევა.სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ-საგაკვეთილო გეგმებიზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის* (pp. 13-14). თბილისი: Council of Europe.

გოჩიაშვილი, ნ. (2015). *ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში_ ძირითადი ტენდენციები.* თილისი: პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის.

დვალიშვილი, დ. (2013). *ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში.* თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი.

მშვიდობაძე, ა. (2016). *მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა.* თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი.

ნამიჭეიშვილი, ს. (2014). *ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება.* თბილისი: ძლიერი კოალიცია ბავშვთა კეთილდღეობისათვის.

ნაჭყებია, თ. (2017). *ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები-რეალობა და გამოწვევები.* თბილისი: თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). *ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში.* თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი.

საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი.

საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში.* თბილისი: საქართველოს სახალხო დამცელი.

საქართველოს სახალხო დამცველი. (2017). *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა.* თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი.

ღვედაშვილი, ქ. (2016). ბავშვები ქუჩებიდან. *ლიბერალი*, 1-2.

შატბერაშვილი, ნ. (2011). *სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი საქართველოში.* თბილისი: საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

ჯეპრა. აი ერ სი(ARC). (2016). *სოციალური ნორმების ანალიზი ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში.* თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი.

დანართი 1.

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი სოციალური მუშაკებისთვის

1.მისალმება, გაცნობა, კვლევის გაცნობა

2.ზოგადად მოგვიყევით პროფესიული საქმიანობის შესახებ, რა მოვალეობები გაქვთ?

ჩაძიება: ძირითადად რა სირთულეებს აწყდებით ველზე მუშაობის პირობებში, პრაქტიკული საქმიანობს განხორციელების დროს?

3.როგორ შეაფასებით სამუშაო პირობებს? (სამუშაო საათების რაოდენობა, ინფრასტრუქტურა, შესასრულებელი მოვალეობები) გთხოვთ ისაუბროთ თითოეულ მათგანზე

4.როგორ შეაფასებდით პოლიტიკურ კურსს (ხედვას) რომელიც თქვენი სამუშაოს ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს?

ჩაძიება: თქვენი აზრით რამდენად შეესაბამება ერთმანეთს არსებული პრობლემები და თქვენი ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობები?

5.თქვენი აზრით რა არის ამ სფეროში სოციალური მუშაობის მთავარი გამოწვევა (გამოწვევები)?

ჩაძიება: რა არის თვენთვის როგორც სოციალური მუშაკისთვის მთავარი გამოწვევა? (რამდენად ემთხვევა ეს ორი ერთმანეთს)

6. თქვენი აზრით რამდენად შესრულებადია აღნიშნული გამოწვევები ახლო მომავალში?

7. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენ ხანში დასაქმდით და რამდენად მზად იყავით ასეთი სამსახურისთვის თქვენი თეორიული ცოდნის გათვალისწინებით?

ჩაძიება: რამდენად შეესაბამება უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა იმ პრაქტიკულ სამუშაოებს რისი შესრულებაც სამსახურში გიწევთ.

8. თვენი აზრით რამდენად მზად მყოფი ტოვებს სოციალური მუშაობის სტუდენტი უნივერსიტეტს იმისათვის რომ ამ სფეროში ველზე მუშაობას თავი გაართვას?

ჩაძიება: თქვენი აზრით რა არის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები იმისთვის რომ სტუდენტი მზად იყოს ამ სფეროში პრაქტიკული სამუშაოებისთვის.

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი უფროსი სოციალური მუშაკებისთვის.

1.მისალმება, გაცნობა, კვლევის გაცნობა.

2.თქვენი აზრით რა არის ამჯერად სოციალური მუშაობის მთავარი გამოწვევა სოციალური მომსახურების სააგენტოში.

ჩაძიება: როგორ ფიქრობთ რატომაა ეს გამოწვევა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი?

3. თქვენი აზრით რა არის კონკრეტულად სოციალური მუშაკებისთვის მთავარი გამოწვევები ყოველდღიურ პრაქტიკაში?

ჩაძიება: დღესდღეობით რამდენად აქვთ სოციალურ მუშაკებს შესაძლებლობა გაუმკლავდნენ ამ გამოწვევებს?

3. თქვენი აზრით რამდენად გამართულად მუშაობს სისტემურად სოც. სააგნეტოს ის ნაწილი სადაც სოციალურ მუშაკებს უწევთ მუშაობა?

ჩაძიება: თქვენი აზრით რა არის ამ სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეები?

4.თქვენი ხედვით რამდენად მზად არიან სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის ის სტუდენტები, რომლებმაც სოც. მუშაობის პროგრამა დაასრულეს თსუში? თუ განსხვავებიან სხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისგან?

ჩაძიება: რამდენად ეხმარებათ მათ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში?

5. . როგორ ფიქრობთ რა მიმართულებები უნდა გააუმჯობესოს უნივერსიტეტმა (თსუ_მ), რომ პრაქტიკისათვის უკეთესი მზაობით გამოუშვას სოციალური მუშაკები?

6. თქვენი აზრით რა არის მთავარი ბარიერები რაც სოციალურ მუშაკს აფერხებს პროფესიულ საქმიანობაში?

ჩაძიება: რამდენად აღმოფხვრადია ეს ბარიერები?

7.თქვენი აზრით რა უნდა შეიცვალოს პოლიტიკის დონეზე რომ სააგენტოს სოციალურმა მუშაკებმა უკეთ იფუნქციონირონ?

8. თქვენი აზრით როგორია სოციალური მუშაკების სამუშაო პირობები ამჯერად?

ჩაძიება: რა არის მთავარი პრობლემა (პრობლემები) ამ კუთხით?

სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი სფეროს ექსპერტებისათვის.

1.მისალმება, გაცნობა, კვლევის გაცნობა

2.როგორ ფიქრობთ რა არის მთავარი გამოწვევები დღესდღეობით სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის სოციალური მუშაობის სფეროში?

ჩაძიება: თქვენი აზრით რამდენად შეიძლება სააგენტომ უპასუხოს ამ გამოწვევებს?

3. თქვენი აზრით რა არის მთავარი გამოწვევები სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკებისთვის?

ჩაძიება: რამდენადაა დამოკიდებული ამ გამოწვევებზე პასუხი სააგენტოს სოციალური მუშაკების ხარისხიან აკადემიურ განათლებაზე?

4.როგორ ფიქრობთ რამდენად არიან მზად სააგენტოს სოციალური მუშაკები პროფესიულად?

ჩაძიება: რა უნდა გაკეთდეს იმისთვის რომ ვითარება პოზიტიურად შეიცვალოს?

5. როგორ ფიქრობთ რა მიმართულებები უნდა გააუმჯობესოს უნივერსიტეტმა (თსუ_მ), რომ პრაქტიკისათვის უკეთესი მზაობით გამოუშვას სოციალური მუშაკები?

6. თქვენი აზრით რა სისტემური ცვლილებებია საჭირო რომ სააგენტოში სოციალური მუშაკების მუშაობამ მთავარ გამოწვევებს უპასუხოს?

ჩაძიება: როგორ ფიქრობთ რამდენად კარგადაა დაგეგმილი სააგენტოში სოციალური მშაკების მშაობის სპეციფიკა სისტემურად?

7.თქვენი აზრით რა უნდა შეიცვალოს პოლიტიკის დონეზე რომ სააგენტოს სოციალურმა მუშაკებმა უკეთ იფუნქციონირონ?

8. თქვენი აზრით როგორია სოციალური მუშაკების სამუშაო პირობები ამჯერად?

ჩაძიება: რა არის მთავარი პრობლემა (პრობლემები) ამ კუთხით?

დანართი 2.

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Revazi Khvedelidze

The Main Challenges of Tbilisi State University's social works programs' (bachelor/master's studys) graduates in a social service agency

Social Work

MA thesis is prepared with the purpose of obtaining Master's Degree in Social work

Supervisor: Tamar Makharadze

Associate professor, Tbilisi State University

Tbilisi

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანა ბაქანიძე

აფხაზეთის პრესა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში (1989 წლის პერიოდულ გამოცემათა მიხედვით)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი
კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი

თბილისი, 2018

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს 1989 წელს აფხაზეთის რეგიონში გამომავალი პრესა და მასში ასახული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები.

გამოქვეყნებულ მასალებზე ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია, თუ რა სიხშირით, რა კონტექსტში წერდა აფხაზეთის პრესა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რამდენად ფიქსირდებოდა განსხვავებული აზრი, როგორი იყო ავტორების შეფასება, როგორ იქმნებოდა პრესის დღის წესრიგი, რა ფრეიმებს გვთავაზობდა მედია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ასახვისას. კვლევის ძირითადი მეთოდია მასალის შინაარსობრივი (კონტენტ) ანალიზი.

კვლევით დადასტურდა ჰიპოთეზა, 1989 წლების აფხაზეთის პრესა განიცდის, საბჭოთა იდეოლოგიის გავლენას. ჟურნალისტები მოკლებულნი არიან თემათა თავისუფალ არჩევანს, პრესის დღის წესრიგი უმეტეს შემთხვევაში აგებულია პარტიისა და ხელისუფლების დღის წესრიგით, გამოსვლების, ბრიფინგების საფუძველზე, სტატიებში უხვადაა შემოთავაზებული იდეოლოგიური გავლენებით შექმნილი ფრეიმები.

საგაზეთო პუბლიკაციებში მხოლოდ ნაწილობრივ აისახებოდა ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც მთელი ქვეყნისთვის იყო აქტუალური, მხოლოდ ბოლო პერიოდში, 1989 წლის მეორე ნახევრიდან იგრძნობა მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა და იდეოლოგიის წნეხისგან გათავისუფლების ტენდენცია.ასევე, ბოლო პერიოდში იზრდება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვისა და გამოხატვის სიხშირე.

Annotation

Subject of the research of the Master's work is the press, being published in Abkhazian region during 1989 and the socio-political events reflected in it.

Research of published materials revealed how often and in what context Abkhazian press was elucidating socio-political events taking place in the country; how the different opinion was stated, how the authors were evaluated, how the press agenda was created, what were the frames that media used during describing public-political events. The main method of the research is the content analysis of the material.

The research put forward following hypothesis - Abkhazian press of 1989 was experiencing the influence of the Soviet ideology. The Abkhazian media of this period did not create agenda, the agenda was mainly created by the government; journalists were not free in choosing the topics, press agenda in most cases wasdictated by the party and the government, articles were full with ideological influences.

The newspaper publications only partially reflected the socio-political events that were urgent for the whole country; only later, from the second half of 1989, feeling of independence appeared among people and the tendency towards releasing from the pressure of ideology began. Besides, in recent years, reflection of current processes taking place in the country became more frequent.

სარჩევი

1. **შესავალი** ---------- 5 გვ.

2. **კვლევის პროცესი და ეტაპები** ---------- 7 გვ.

3. **თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა** ---------- 8 გვ.

- 1989 წლის 25 თებერვლის მიტინგი თბილისში
- ლიხნის ყრილობა
- აპრილის საპროტესტო გამოსვლები
- 1989 წლის ზაფხულის ტრაგიკული მოვლენები აფხაზეთში
- სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები

4. **თავი II - კვლევის მეთოდოლოგია** ---------- 16 გვ.

- კვლევის ძირითადი მეთოდი
- თეორიების, მეთოდებისა და ტერმინების განმარტებები
- კონტენტ-ანალიზი (შინაარსობრივი ანალიზი)
- თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგის თეორია
- კვლევის მიზანი
- საკვლევი მასალები და საკვლევი პერიოდი
- საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები
- რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები

5. **თავი III – კვლევის ძირითადი ნაწილი** ---------- 30 გვ.

6. **თავი IV - დასკვნა** ---------- 77 გვ.

7. **გამოყენებული ლიტერატურა** ---------- 82 გვ.

შესავალი

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ მიხეილ გორბაჩოვის ხელმძღვანელობით გამოაცხადა ე.წ. ,,პერესტროიკა“ (გარდაქმნა), რაც საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შეცვლას გულისხმობდა რეფორმების გზით. გარდაქმნის გეგმა ვერ განხორციელდა, პირიქით, მან გამოამჟღავნა წევრ სახელმწიფოებში წლების განმავლობაში შეკავებული და დაგროვებული პრობლემები, მათ შორის ერების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ.

1978 წლის მოვლენების შემდეგ გააქტიურდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და ისინი აშკარა ბრძოლის ასპარეზზე უკვე 1988-1989 წლებში განვითარებული მოვლენებისას გამოვიდნენ.

საბჭოთა საქართველოს მოსახლეობისთვის უჩვეულო იყო ასეთი ღია მანიფესტაციები და გამოსვლები, მიუხედავად, თუნდაც უახლოეს წარსულში განვითარებული 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებისა.სამთავრობო პრესის ოფიციოზის, მოჩვენებითი საჯაროობის და შელამაზებული რეალობის საპირისპიროდ კი, მედიისთვის იმ პერიოდში წარმოუდგენელი რეალობა იყო ობიექტური, ანალიტიკური და კრიტიკული მასალის შექმნა. არადა, ახალი რეალობა მოითხოვდა საზოგადოებრივი აზრის მედიაში ასახვას, დამოუკიდებლობის იდეაზე აშკარა საუბარს, ქართულ-აფხაზური მშვიდობიანი თანაცხოვრების პროპაგანდას, ისტორიის შეხსენებას.

1989 წელი აღმოჩნდა გარდამტეხი საქართველოს უახლეს ისტორიაში, ამ წელს მიმდინარე მოვლენებმა ცხადი გახადა, რომ შორს არ იყო საბჭოთა საქართველოს ისტორიის დასასრულიდა მეორე მხრივ, ამ დროს აქტიურად დაიწყოახალი, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ათვლა.უაღრესად საინტერესოა ამ პერიოდის მედიის კვლევა, მედიის, რომელიც აღნიშნული მოვლენების რეკონსტრუქციისთვის საუკეთესო წყაროა, მედიის, რომელიც ათწლეულების მანძილზე იყო პარტიული იდეოლოგიის გამტარებელი და

უეცრად ახალი არჩევანის წინაშე დადგა: ან გაეგრძელებინა ძველი კურსი, ან შეესრულებინა თავისი ჭეშმარიტი ფუნქცია და ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ობიექტური ამსახველი გამხდარიყო. ეს არის უაღრესად საინტერესო პერიოდი არა მხოლოდ საქართველოს უახლესი ისტორიის, არამედ მასმედიის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

კიდევ უფრო საინტერესოა ამ პერიოდის აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენები და აფხაზეთის პრესის კვლევა, რადგან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების პარალელურად, აფხაზეთში აქტიურდებოდა სეპარატისტული იდეოლოგიაც. საბოლოოდ, 1989 წელს განვითარებულსაზოგადოებრივ მოვლენებს შედეგად საქართველოს უახლეს ისტორიაში ორი მთავარი მოვლენა: დამოუკიდებლობის აღდგენა და აფხაზეთის ომი მოჰყვა.

ამრიგად, საინტერესოა, როგორ აისახა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები აფხაზეთში გამომავალ პრესაში, როგორ მწიფდებოდა კონკრეტული საკითხები პრესის მასალათა მიხედვით, როგორია აფხაზეთის რეგიონში მოქმედი თანადროული გამოცემების პუბლიკაციათა მთავარი აქცენტები, ძირითადი გზავნილები, ტენდენციები და დისკურსი. რა რაოდენობით, რა სიხშირითაა წარმოდგენილი ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები აფხაზურ პრესაში და რამდენად ობიექტურია ეს მასალები.

კვლევის პროცესი და ეტაპები

ნაშრომი, სამუშაო პროცესის შესაბამისად, იყოფა სამ ძირითად ნაწილად და ოთხ ძირითად ეტაპს მოიცავს:

I ეტაპი -1989 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვა - პირველ ეტაპზე დავამუშავეთ სათანადო ისტორიოგრაფიული ლიტერატურა საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხებზე და განვსაზღვრეთ ის ძირითადი მოვლენები, რომლებიც ჩვენი საკვლევი პერიოდის განმავლობაში იყო აქტუალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტით მთელი ქვეყნის მასშტაბით;

II ეტაპი - მედიის მასალების კონტენტ-ანალიზი: მეორე და ძირითად ეტაპზე დავამუშავეთ 1989 წელს აფხაზეთში გამომავალი პრესის მასალები, შინაარსობრივი ანალიზის მეთოდით;

III ეტაპი - პირველწყაროთა ზეპირი ისტორიების დამუშავება: მესამე ეტაპზე ჩავწერეთ ზეპირი ისტორიები საკვლევ პერიოდში აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთაგან, რათა განგვესაზღვრა: ერთი მხრივ, რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა აფხაზეთში და, მეორე მხრივ, ახდენდა თუ არა გავლენას, ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები საკუთრივ? აფხაზეთის მოსახლეობაზე, ასევე, შევეცადეთ პირველწყაროებზე დაკვირვების საფუძველზე, წარმოგვეჩინა, თუ როგორ აისახებოდა ეს მოვლენები აფხაზეთის პრესაში.

IV ეტაპი - შეჯამება: მესამე ეტაპზე შევეცადეთ მოკლედ ჩამოგვეყალიბებინა დამუშავებული მასალების შედეგად მიღებული დასკვნები და მიგნებები, გვეჩვენებინა საკვლევი მასალების ანალიზის შედეგად მიღებული საბოლოო შედეგი.

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს უახლესი ისტორიის, განსაკუთრებით კი, 80-90-იან წლებში აფხაზეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ არაერთი კვლევა არსებობს. ამ თემებზე მუშაობენ ისტორიკოსები: დიმიტრი შველიძე, ზურაბ პაპასკირი, ჯემალ გამახარია, ნოდარ ნათაძე და სხვები. თუმცა, ისტორიული ნაშრომების პარალელურად, არ არის შესწავლილი აღნიშნული პერიოდის აფხაზური მედია საქართველოს დამოუკიდებლობის წინარე პერიოდის პრესის კონკრეტული გამოცემები დღემდე არ არის გამოკვლეული და გაანალიზებული. არსებული კვლევები ძირითადად ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. შესაბამისად, წარმოდგენილი კვლევა აქტუალურია და სიახლეს წარმოადგენს.

„ე.წ „პერესტროიკის“ პერიოდში კრემლის ხელმძღვანელობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო რადიკალური ცვლილებების გატარება ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაშიც. შედეგად, გამოცხადდა საჯაროობისა და დემოკრატიზაციის კურსი“ (კაპანაძე გ, ქართული მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში. თბილისი 2004).გარდაქმნის პროცესებმა ხელი შეუწყო სამოქალაქო აქტივიზმის ზრდას, ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას: დისიდენტური ჯგუფები პოლიტიკურ პარტიებად ყალიბდება,იწყება ღია ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

„საბჭოთა კავშირში დაწყებული გარდაქმნის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, საჯაროობის კურსის გატარებას ნიშნავდა. გზა უნდა გაეხსნათ აზრის, შეხედულებების თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთებისათვის. სუსტდებოდა საბჭოთა ცენზურის როლი. საჯაროობის პრინციპმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებას. დაიწყო სხვადასხვა მიზნებისა და შეხედულებების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების

ჩამოყალიბების პროცესი. მათ იმხანად არაფორმალებს, არაფორმალურ გაერთიანებებს უწოდებდნენ.

1988–1989 წლებში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ სისტემას. არენაზე გამოვიდნენ: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია(ლიდერი ირაკლი წერეთელი), სახალხო ფრონტი(ნოდარ ნათაძე), წმინდა ილია მართლის საზოგადოება, შოთა რუსთაველის საზოგადოება(აკაკი ბაქრაძე) და სხვა. ზოგიერთი პარტია ადრე იყო დაარსებული და იმხანად შეექმნა ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ: რესპუბლიკური პარტია(ვახტანგ ძაბირაძე), ეროვნულ–დემოკრატიული პარტია(გიორგი ჭანტურია) და სხვ. საქართველოში საფუძველი ეყრებოდა მრავალპარტიულ სისტემას, რაც ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის თანამდევ პროცესს წარმოადგენდა“ (გურული ვ. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. თბილისი, არტანუჯი. 2003. გვ. 217 –218)

ამ პერიოდის სამთავრობო გამოცემები არ იყო მრავალფეროვანი და „საჯაროობა“ თავიდან მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ სხდომის ოქმებსა და დადგენილებებს აქვეყნებდა ხოლმე. საპირისპირო ხასიათის იყო პარტიული პრესა. მართალია, მასშიც ქვეყნდებოდა სხდომის ოქმები, დადგენილებები და განცხადებები, რადგან აღნიშნული გამოცემები, მეტწილად, პარტიულ ინტერესს ატარებდა, მაგრამ მრავალფეროვანი თემატიკითა და პრობლემების სააშკარაოზე გამოტანის ტენდენციით გამოირჩეოდა.

ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენთ იმ ძირითად საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც საკვლევ პერიოდში აღინიშნებოდა და სავარაუდოდ, უნდა ასახულიყო ბეჭდურ მედიაში:

- **1989 წლის 25 თებერვლის მიტინგი თბილისში**

1989 წლის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების დღეს, თბილისში დიდი სამგლოვიარო მიტინგი მოეწყო. მასში ძალიან ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. უნივერსიტეტთან შეკრებილებს სიტყვით მიმართეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა. მომიტინგეებმა ისაუბრეს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიაზე. წაიკითხეს გაეროსა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობებისადმი გასაგზავნი დეკლარაციის ტექსტი საქართველოს საერთაშორისო უფლებების აღდგენის მოთხოვნით, რასაც 10000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი. 1989 წლის 25 თებერვლის ამ მანიფესტაციას მოჰყვა მოძრაობის ლიდერების დაკავება რამდენიმე დღით.

,,ეს მიტინგი და აქცია იყო უკანასკნელი დიდი ღონისძიება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც უსისხლოდ დამთავრდა. ვერ ვიტყვი ზუსტად, რა ნიშნებით, მაგრამ იმ დღეს ჰაერში უკვე იგრძნობოდა, რომ ხელისუფლების კურსი შეცვლილია ან რადიკალურად იცვლება დეპრესიისკენ. მიზეზი 25 თებერვლის აქცია-რეფერენდუმი იყო, რომელმაც ნათლად გამოაჩინა, რომ ქართველ ხალხს სსრკ-ში ყოფნა არ სურს. რატომ არ მოხდა იმ დღეს დარბევა არ ვიცი. შესაძლოა ე.წ. ,,ბეწვის ხიდი'' შემთხვევით არ ჩატყდა. შესაძლოა, რეპრესია გადაიდო იმ დროისთვის, როცა თავმოყრილი იქნებოდა შესაფერისი ძალა, რომ დარბევისთვის ჭეშმარიტად მასშტაბური ხასიათი მიეცა. მთავარი ფაქტორი რეპრესიის გადადებისა მაინც ის იყო, რომ მას ხანგრძლივი გააზრება, დაგეგმვა და დოკუმენტური გაფორმება სჭირდებოდა“ (ნ. ნათაძე, ,,რაც ვიცი'' (ფაქტები და ანალიზი), თბ. 2002, გვ. 63);

- **ლიხნის ყრილობა**

1989 წლის 18 მარტს, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გაიმართა აფხაზების დიდი შეკრება, სადაც მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის სახელზე და ამ მიმართვაში საბჭოთა კავშირის ფარგლებში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისგან აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფა მოითხოვეს. ლიხნის წერილს ხელს აწერდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბაც.

,,ლიხნის ყრილობაზე მიღებული ,,მიმართვა'' იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის მორიგი ტრადიციული დაბეზღება. აფხაზი სეპარატისტები აფხაზი ხალხის თავზე დატეხილ ყველა უბედურებაში ქართველ ერს ადანაშაულებდნენ და მოითხოვდნენ აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას. თვით აფხაზთა მუჰაჯირობის ტრაგედიაც კი, საქართველოსა და ქართველებს ბრალდებოდა. ,,ლიხნის თავყრილობაზე" მიღებულმა გადაწყვეტილებებმა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. სიტუაცია თანდათან იძაბებოდა. ცხადი გახდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდა ის დრო, როდესაც აფხაზეთის და საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა გულგრილად ეკიდებოდა აფხაზ სეპარატისტთა გამოხტომებს" (ლევანიზორია,,აფხაზურისეპარატისტულიმოძრაობა'' (1945–1993 წწ.), თბ. 2015, გვ.90).

1989 წლის 25 მარტს ქალაქ სოხუმში გაიმართა ქართული მოსახლეობის მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი, თუმცა, არც ლიხნის ყრილობა და არც სოხუმის მიტინგი, პრაქტიკულად, არ ასახულა ჩვენ მიერ დამუშავებულ აფხაზეთის გაზეთებში.

- **აპრილის საპროტესტო გამოსვლები**

18 მარტის ლიხნის მიმართვის შინაარსის გახმაურებამ მთელ საქართველოში მღელვარება გამოიწვია, განსაკუთრებით კი, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. 1989 წლის 1 აპრილს მათი საპროტესტო მიტინგი გაიმართა რუსეთის საზღვართან, დაბა ლესელიძეშიც და ამ მიტინგიდან მომავალ ავტობუსებს, საიდანაც საქართველოს სამფეროვან დროშებს აფრიალებდნენ, სოფელ ლიხნის გადასახვევთან აფხაზების ჯგუფმა ქვები დაუშინა.

3 აპრილს სოხუმის ცენტრში მოეწყო დიდი მიტინგი, სადაც სიტყვით გამოვიდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები. მიტინგის დასრულების შემდეგ ისინი შეთანხმდნენ, დედაქალაქში 4 აპრილიდან დაწყებულიყო მასობრივი პოლიტიკური აქციები. აქციების მიზანი აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისათვის სოლიდარობის გამოცხადება და ლიხნის შეკრების ორგანიზატორების დასჯა უნდა ყოფილიყო. პროტესტის ტალღამ რუსთაველზე, მთავრობის სახლთან გადაინაცვლა. თბილისში მიმდინარე აქციაზე აფხაზეთის საკითხმა უკან გადაიწია და მთავარი მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გახდა.

,,აქცია დაიწყო 1 აპრილს. მუდმივი მღელვარე მიტინგი იყო მედინსტიტუტის წინ, აფხაზეთის ამბების გამო. 4 აპრილს იგი მსვლელობით წამოვიდა მთავრობის სასახლისკენ. კოლონას ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ხელმძღვანელობდა და მიუძღოდა. 7 აპრილს საღამოს ცნობილი იყო, რომ თბილისში დამსჯელი ნაწილები ჩამოფრინდნენ. იმავე დღეს, მანამდე ცოტა ხნით ადრე, ავტომანქანებისა და საბრძოლო ტექნიკის გამოყენებით რამდენიმე დამაშინებელი ოპერაცია იყო ჩატარებული. იგივე გამეორებულ იქნა მეორე დღეს, 8 აპრილს და ამან ღამის მთეველი მასა გაზარდა, რადგან მოშიმშილეთა უპატრონოდ დატოვება არ უნდოდათ.'' (ნ. ნათაძე, ,,რაც ვიცი'' (ფაქტები და ანალიზი), თბ. 2002, გვ. 68);

- **9 აპრილი**

5 აპრილიდან საპროტესტო გამოსვლებმა განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა მთავრობის სახლის წინ. 9 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცებმა დაარბიეს და დახოცეს მშვიდობიანი მომიტინგეები, 11 საათზე თბილისში გამოცხადდა კომენდანტის საათი, მაგრამ ცნობა მოსახლეობას ადგილობრივი ტელევიზიით კომენდანტის საათის მოქმედების შესახებ მიეწოდა მხოლოდ 22 საათსა და 15 წუთზე. ქალაქის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა გენერალი იგორ როდიონოვი. აქციის დარბევისას გამოიყენეს მომაკვდინებელი იარაღი: ქიმიური

საშუალებები, სასანგრე ბარები, ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები: ,,9 აპრილი, ერთი მხრივ, იყო ქართველების დასჯა 25 თებერვლის გლოვისთვის და მათი იმპერიის მორჩილებაში დაბრუნების მცდელობა, მეორე მხრივ, ეს იყო ლახვარი სსრკ სამხედრო წრეების გულში, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ,,პერესტროიკის'' მომხრეთა გამარჯვებას თავისი ქვეყნის სამხედრო კასტაზე. ამ მიზნისთვის ქართველ მოქალაქეთა სისხლის შეწირვა საუკეთესოდ ეთანადება ყველა იმის სულისკვეთებასა და პრინციპებს, ვისაც მიზანი საშუალების გამართლებად მიაჩნია“ (ნ. ნათაძე, ,,რაც ვიცი'' (ფაქტები და ანალიზი), თბ. 2002, გვ. 69);

- **1989 წლის ზაფხულის ტრაგიკული მოვლენები აფხაზეთში**

1989 ზაფხულში სიტუაცია საქართველოს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკიდერესად დაიძაბა. ერთ-ერთი საბაბი სოხუმის უნივერსიტეტის ქართული სექტორის თბილისის უნივერსიტეტის ფილიალად გამოცხადების ინიციატივა აღმოჩნდა. 1989 წლის ივლისში სოხუმში ერთდროულად ქართველებისა და აფხაზების მიტინგები გაიმართა… 1989 წლის ივლისში დანებითა და სანადირო თოფებით შეიარაღებული აფხაზები მშვიდობიან ქართველ მომიტინგეებს მიუვარდნენ. განვითარებული მოვლენების დროსდაიღუპა ,,ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ აფხაზეთის ფილიალის ხელმძღვანელი ვოვა ვეკუა და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ქართველი (წყარო: ბლოგი - ,,დამოუკიდებლობის გაკვეთილები, https://lessonsgeo.wordpress.com) აღნიშნულია, რომ ,,15-16 ივლისს სოხუმში შეტაკება მოხდა, რომელსაც ცხრა ქართველის და ექვსი აფხაზის სიცოცხლე შეეწირა. იგი იმით დაიწყო, რომ მკვეთრად ანტიქართულად განწყობილმა აფხაზურმა ბრბომ ზურგიდან მიიტანა იერიში ქართველ აბიტურიენტებზე, რომლებსაც განცხადებები შეჰქონდათ ქართულ უნივერსიტეტში ჩასარიცხად. მოკლეს ვოვა ვეკუა - ახალგაზრდა მათემატიკოსი და სოხუმის უნივერსიტეტის ლექტორი, აფხაზეთის ქართველების ერთ-ერთი ლიდერი''.

ამ პირველ მასობრივ მკვლელობას მთელი საქართველოს, განსაკუთრებით კი დასავლეთის აზვირთება მოჰყვა. ,,ღალიძგაზე გადასასვლელ ხიდთან, როგორც გვიამბობდნენ, 50 ათასამდე საბრძოლველად გამზადებული ადამიანი შეიყარა. რუსები იმედოვნებდნენ ამ მასის ხიდზე გადასვლას იქვე ოჩამჩირის რაიონის აფხაზური დასახლების ზონაში და გზაზე ერთი ან ორი ასეული მეავტომატე ჰყავდათ ჩასაფრებული. ეს მეავტომატეები ამ მოძრაობას ალბათ ვერ შეაჩერებდნენ, რადგან იგი, უთუოდ, გზის აქეთ-იქით ფართო ფრონტით გაიშლებოდა. მაგრამ ეს სტიქიური მოქმედება, ცხადია მაინც ყოველმხრივ არასასურველი იყო. ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც ეს უაღრესად აღელვებული მასა ხიდს აქეთ შეაჩერა, ის იყო, რომ მას წინ მერაბ კოსტავა გადაეფარა'' (ნ. ნათაძე, ,,რაც ვიცი'' (ფაქტები და ანალიზი), თბ. 2002, გვ. 75).

- **სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები**

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების გარდა, იყო ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ამბავი, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს მომავალი. თუმცა, ამ მოვლენების უმეტესობა, აფხაზეთში გამომავალ გაზეთებში არ ასახულა. ზოგადად, იმ პერიოდის პრესას ერთი ტენდენცია ახასიათებდა, აქტიურად იჩქმალებოდა ბევრი საკითხი, მაგალითად, თბილისში გამომავალი გაზეთები, ცხადია, ხელისუფლების გავლენით, შეძლებისდაგვარად არ ახმაურებდნენ აფხაზეთში მომხდარ ამბებს, ხოლო აფხაზეთში გამომავალი გაზეთები, ნაკლებად აშუქებდნენ დანარჩენ რეგიონებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ზოგადად, ქართველ ხალხს, საბჭოთა ხელისუფლებამ გაუხსნა რამდენიმე ,,ფრონტი'', რომელიც უამრავ სირთულეს ქმნიდა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე: ,,9 აპრილიდან კომუნისტები ხელისუფლების გადავარდნამდე საქართველოს ეროვნულ-განმათავისულებელი მოძრაობის შემკავებელი იყო მუდმივი ოთხი ფრონტი: ქვემო ქართლის პრობლემა, აფხაზეთის პრობლემა, ცხინვალის

პრობლემა და მუსლიმანი მესხების პრობლემა, მეხუთე ნელი მოქმედების ბომბი - ჯავახეთის სომხობა - რუსებს დროის იმ მონაკვეთში არ აუმუშავებიათ. თუმცა, მისი ამუშავების შიში და მოლოდინი არც ერთი საათით არ გამქრალა“ (ნ. ნათაძე, ,,რაც ვიცი'' (ფაქტები და ანალიზი), თბ. 2002, გვ. 85).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენებისა, იყო სხვა ფაქტები, რომლებიც თან სდევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და შეადგენს 1989 წლის საქართველოს ისტორიის ნაწილს, კერძოდ: ჯარში გაწვეული ბიჭების დაცვის საკითხი, ,,ადამიანის უფლებათა'' კონფერენცია ლენინგრადში, ჯოხარ დუდაევის ჩამოსვლა თბილისში, მერაბ კოსტავას სიკვდილი და ა.შ. ამ მოვლენებიდან, თითქმის არცერთი არ ასახულა აფხაზეთში გამომავალ გაზეთებში, გარდა მერაბ კოსტავას ტრაგიკული სიკვდილისა.

თავი II

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას ძირითად მეთოდად ვიყენებთ კონტენტ-ანალიზს, რომელიც თვისებრივ და რაოდენობრივ მონიტორინგს გულისხმობს. კვლევის მეთოდად კონტენტ-ანალიზის არჩევა განაპირობა იმან, რომ კვლევის ობიექტია პუბლიკაციები, ტექსტური მასალა, ხოლო, ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ მედიატექსტების თვისებრივი თუ რაოდენობრივი ანალიზი, ჩვენი საკვლევი საკითხების სპეციფიკის მიხედვით, ეს მეთოდი ყველაზე შესაფერისია კვლევისათვის. კვლევის თეორიული ჩარჩოა ფრეიმინგის თეორია. კვლევაში ასევე გამოყენებულია ზეპირი ისტორიების მეთოდიც.

კვლევის ამოცანაა დაადგინოს, როგორ, რამდენჯერ გაშუქდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, (ძირითადად: დამოუკიდებლობისა და ქართულ-აფხაზური მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეასთან დაკავშირებული მოვლენები)1989 წლის აფხაზეთის პრესაში. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონკრეტულ მედიასაშუალებებში ძირითად საკითხებთან დაკავშირებული ასპექტების გამოვლენა.

თეორიების, მეთოდებისა და ტერმინების განმარტებები:

კონტენტ-ანალიზი (შინაარსობრივი ანალიზი) არის კვლევის მეთოდი, რომელსაც იშველიებენ მასმედიის, სხვა მესიჯების ან ტექსტების სისტემური, ობიექტური და რაოდენობრივი ანალიზისათვის, რათა გაზომონ და ერთმანეთს შეადარონ მესიჯის(გზავნილის) მახასიათებლების ცვლადი კატეგორიები. იგი ეყრდნობა წინასწარ დადგენილ წესებს და იყენებს ტექსტის შერჩეულ ნიმუშებს.

აღნიშნული კვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს გაზეთების, საჯარო გამოსვლების, ტელე და რადიოგადაცემების, ოფიციალური და პირადი დოკუმენტების, ინტერვიუების, ანკეტის ღია კითხვებზე პასუხების და ა.შ. შინაარსი.

მარტივად რომ ვთქვათ, ამ მეთოდს იშველიებენ მესიჯების ან ტექსტების სისტემური, ობიექტური და რაოდენობრივი ანალიზისათვის, რათა გაზომონ და ერთმანეთს შეადარონ მესიჯის (გზავნილის) მახასიათებლების ცვლადი კატეგორიები. იგი ეყრდნობა წინასწარ დადგენილ წესებს და იყენებს ტექსტის მეცნიერულად შერჩეულ ნიმუშებს. (2008 Oct 27 Research Methods for Media and Communication, Niranjala Weerakody, Oxsford University Press Australya and New Zealand);

კონტენტ-ანალიზის კვლევის მეთოდი გამოსადეგია, რადგან მას შეუძლია:

- აღწეროს მედიისა თუ სხვა სახის გზავნილის შინაარსი. იგი შეიძლება გამოიყენებოდეს განედურ (განმეორებად) კვლევებში იმის დასადგენად, თუ როგორ აშუქებს ამა თუ იმ ჯგუფის (ქალების, ეთნიკური უმცირესობების, ა.შ.) ამბებს მედია დროის სხვადასხვა მონაკვეთში;
- უპასუხოს კვლევით შეკითხვას ან შეამოწმოს ჰიპოთეზა;
- სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით რეალურ სინამდვილეს შეადაროს, თუ როგორ აშუქებს მედია სხვადასხვა ჯგუფს, საკითხსა თუ მოვლენას. კონტენტ-ანალიზი იკვლევს, შეესაბამება თუ არა მედიის მიერ ასახული მოვლენები ნამდვილად მომხდარ შემთხვევათა რაოდენობის სიხშირეს;
- შეისწავლოს, თუ როგორ წარმოჩნდებიან მედიაგზავნილებში საზოგადოების სხვადასხვა, ძირითადად, მარგინალიზებული, სუსტი და სტიგმატიზებული ჯგუფები. კონტენტ-ანალიზი ადგენს, რამდენად იცვლის სახეს მედიის მიერ შექმნილი ამ ჯგუფების იერ-სახე დროთა განმავლობაში;
- შეიტანოს წვლილი მედიაეფექტების შესწავლაში. ამ მეთოდით შესაძლებელია მედიაგზავნილების შინაარსის შესწავლა, თუმცა შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, თუ რა გავლენა ექნება მას აუდიტორიაზე. ამგვარად, კონტენტ-ანალიზი გვიჩვენებს, თუ რა შინაარსი

აქვს გზავნილს, მაგრამ მას არ შეუძლია იმის ჩვენება, თუ გზავნილის შემადგენლობიდან, რა და როგორ მიიღო მაყურებელმა. ამის შესასწავლად ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები გამოიყენება. (არტურ ასა ბერგერი, „მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები: თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომის შესავალი“, მესამე გამოცემა, SAGE, 2014).

შერჩევა

კონტენტ-ანალიზის დროს მკვლევარი გაივლის რამდენიმე ეტაპს, რათა შეარჩიოს:

- მასალების წყარო (მაგალითად, რომელი გაზეთის მასალები იკვლიოს)
- საკვლევი პერიოდი
- საკვლევი ნიმუშები მთლიანი რაოდენობიდან, უნივერსიდან.

იდეალური იქნებოდა ყველა სტატიისა თუ მასალის შესწავლა და გამოკვლევა, მაგრამ თუკი ეს რაოდენობა ძალზე დიდია (განსაკუთრებით, თუკი საკვლევი პერიოდი თვეებიდან რამდენიმე წელიწადს აღწევს), მაშინ საჭიროა შერჩევა.

კონტენტ-ანალიზში გამოიყენება მიზნობრივი შერჩევა, რადგან თითოეულ კვლევით ნიმუშში წარმოდგენილი უნდა იყოს ის მახასიათებლები, რომლებსაც კვლევა შეისწავლის.

იმას, თუ რა კატეგორიები უნდა შემუშავდეს გასაანალიზებლად, კვლევითი კითხვა ან ჰიპოთეზა გვკარნახობს. კონტენტ-ანალიზი, ძირითადად, აღწერით მონაცემებს იძლევა. კვლევისას, ასევე, პროცენტულად იქნა დათვლილი ოდენობა იმ მასალათა, რომლებიც ერთ კონკრეტულ თემას ეხება.

აღწერილიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში წარმოვადგენთ თითოეულ გაზეთში ჩვენთვის საინტერესო მასალის გაშუქების სიხშირეს და

სიხშირის მიხედვით გაშუქების თანმიმდევრობას, განხილული თემების პროცენტულ გადანაწილებას, მიმოვიხილავთ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც არცერთ გაზეთს არ გაუშუქებია და წარმოვადგენთ საბოლოო დასკვნებს.

თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგის თეორია

მედიის კვლევებში ფართოდაა აპრობირებული დღის წესრიგისა და ფრეიმინგის თეორიები. დღის წესრიგის შექმნის პარადიგმის საფუძველს წარმოადგენს პრობლემურ საკითხებზე კონცენტრირება: როგორ წარმოიქმნება, როგორ იცვლება, როგორ ხდება კომუნიკაცია და მასზე ზემოქმედება პოლიტიკურ პროცესში მონაწილეთა მიერ? (Baumgartner and Jones 1993; Cobb and Elder 1983; Downs 1972; Kingdon 1984). კვლევებში ყურადღება კონცენტრირებულია დღის წესრიგის შედგენის მიკროსაფუძვლებზე. კერძოდ კი, იკვლევენ, თუ რა ურთიერთკავშირია მასმედიაში პრობლემების გაშუქების რაოდენობასა და საზოგადოების მიერ ამ საკითხების მნიშვნელოვან პრობლემად აღქმის მოცულობას შორის (Lyergar and Kinder 1987; McCombs and Shaw 1972).

მასკომუნიკაციაში დღის წესრიგის თეორია ამბების შერჩევა და საინფორმაციო გამოშვების ბადესა თუ გაზეთის ფურცლებზე, მნიშვნელობის მიხედვით, მათი რიგითობის და თანმიმდევრობის განსაზღვრაა.

დღის წესრიგის ჩამოყალიბების თეორიას ხშირად ფრეიმინგის თეორიაც უკავშირდება, რაც გულისხმობს იმას, თუ რა კონტექსტში, როგორი მიმართულებით შუქდება ესა თუ ის თემა. პოლიტიკოსების გავლენა შინაარსზე კიდევ უფრო დიდი პრობლემაა. ასეთ დროს ცდილობენ მედიას ისე მიაწოდონ თემა, რომ ფოკუსირება იმაზე და ისე მოხდეს, როგორც მათ სურთ. სწორედ ამით შეიძლება გაიზომოს პასუხისმგებლიანი მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი - თანამედროვე მსოფლიოში სხვდასხვა საკომუნიკაციო არხებით მედიამდე მისულ ინფორმაციას როგორ სელექციას უკეთებს რედაქცია, ვის მიერ მიწოდებულ

ინფორმაციას ირჩევს, რა ფრეიმს მოარგებს შემდეგ გასაშუქებლად და სად ხედავს ის ერთი რიგითი მოქალაქის ინტერესებს.

„მედიასაშუალებებს ყოველდღიურად უწევთ უამრავი ინფორმაციიდან მნიშვნელოვანების ამორჩევა, რომ გააშუქონ. თუმცა, ამ ინფორმაციის ამორჩევის შემდეგ რედაქტორებს ახალი დავალება უჩნდებათ - როგორ დაალაგონ ინფორმაციები. ნათელია, რომ ზოგი ნიუსი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრესხვები.

გაზეთების შემთხვევაში მნიშვნელოვანი ინფორმაცია პირველ გვერდზე იბეჭდება, დიდი ჰედლაინით. საქმე იმაშია, რომ ჟურნალისტების მიერ ჩამოყალიბებული დღის წესრიგი გავრცელებული აზრით, აყალიბებს საზოგადოებრივ აჯენდასაც. საზოგადოება მედიის მიერ მნიშვნელოვნად აღქმულ საკითხებს ასევე მნიშვნელოვნად აღიქვამს, შედეგად ისინი მნიშვნელოვანი საკითხები ხდება ხელისუფლებისთვისაც.

კომუნიკაციის სხვა დანარჩენ თეორიებსა და მიდგომებს შორის ფრეიმინგის თეორია ყველაზე მეტად გამოიყენება. ,,ენთმანის (Entman, 1991) განმარტებით, ფრეიმის ორი დონე არსებობს. პირველია გონებაში გამჯდარი პრინციპები და მეორე - ახალი ამბების ტექსტის პარამეტრები. ფრეიმინგი არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც ჟურნალისტები არჩევენ და განსაკუთრებული ხაზგასმით გამოყოფენ კონკრეტულ მოვლენებს ინფორმაციის მომზადებისა და მისი საზოგადოებისათვის მიწოდების პროცესში. ფრეიმინგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ არის სტრუქტურირებული საკითხები და მოვლენები და რა შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება მათ (Reese, 2007). ჟურნალისტები გაუცნობიერებლად ქმნიან ფრეიმებს ამბების გადმოცემისა და ამ ამბების საზოგადოების მიერ განსახილველ მოვლენად გარდაქმნის დროს (Tuchman, 1978). ამა თუ იმ საკითხს ფრეიმები ანიჭებენ კონკრეტულ შინაარსს ხაზგასმის, ინტერპრეტაციისა თუ გამორიცხვის საშუალებით (Carragee&Roefs, 2004). ისინი აყალიბებენ საზოგადოების მიერ გაზიარებულ და დროში გამოცდილ პრინციპებს,

რომლებიც სიმბოლურად სამყაროს მრავალმნიშვნელოვან მოწყობას უწყობს ხელს. ენთმანი (Entman,1993) გვაწვდის ფრეიმინგის უფრო ზუსტ განმარტებას, ხაზს უსვამს რა მის ძირითად დამახასიათებელ თვისებებს: ფრეიმის გამოყენება გულისხმობს რეალობის აღქმის ზოგიერთი ასპექტის შერჩევას და მათ გამოკვეთას ტექსტის კომუნიკაციის პროცესში, იმისთვის, რომ მოხდეს კონკრეტული პრობლემის განსაზღვრა, მიზეზ-შედეგობრივი ინტერპრეტაცია, მორალური შეფასება და/ან რეკომენდაციის გაწევა აღწერილი საკითხისადმი მიდგომის შესახებ (გვ. 52). ახალი ამბების ფრეიმები შედგება და ხორციელდება ძირითადი სიტყვების, მეტაფორების, კონცეფციების, სიმბოლოებისა და ვიზუალური გამოსახულებების მეშვეობით, რომელიც გამოკვეთილად წარმოჩენილია ახალი ამბების თხრობისას (Entman, 1991). ტექსტს ძალუძს ინფორმაციის ცალკეული ნაწილის უფრო გამოკვეთა გამეორების ან კულტურული თვალსაზრისით ნაცნობ სიმბოლოებთან დაკავშირების გზით (Entman, 1993). (ნანა მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნოდარ ტანგიაშვილი, ,,პოლიტიკის ადვოკატირების წარმატება საქართველოში: არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის შესაძლებლობები'', თბილისი 2015).

ჟურნალისტები სხვადასხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის გაშუქებისას ირჩევენ ხატებს, სიტყვებს, რათა გავლენა მოახდინონ საზოგადოების წამომადგენლებზე. ეს პროცესი, ნაწილობრივ, ფრეიმინგის ეფექტთანაა დაკავშირებული (Tewksbury, Scheufele, 2007).

„სელექციაც და ფრეიმინგიც აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებებია. ფრეიმინგი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მაშინ, თუ ძალიან გამოკვეთილი არ არის და აუდიტორია არ იცნობს საკითხს. ასეთ შემთხვევაში ის ბოლომდე ენდობა მედიას მისი გაცნობისას“ (Lasorsa (1997).

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს როგორ შუქდებოდა 1989 წლის აფხაზეთის პრესაშისაქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ძირითადად ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ქართულ-აფხაზური მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეასუკავშირდებოდა, რა თემები იყო ყველაზე ხშირად აღნიშნული მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრში, ქვეყანაში არსებულ რომელ პრობლემებს აშუქებდნენ, რა სიხშირით და როგორი ფრეიმებით.

საკვლევი მასალები და საკვლევი პერიოდი:

კვლევის ფარგლებში დამუშავდა 1989 წლის აფხაზეთის პრესის მასალები, კონკრეტულად, შემდეგი გაზეთები:

,,საბჭოთა აფხაზეთი''

აღნიშნული გაზეთის დამუშავება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

- გამოიცემოდა ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პერიოდში;
- იყო ყველაზე პოპულარული გაზეთი აფხაზეთის რეგიონში;
- იბეჭდებოდა აფხაზეთის ყველა სხვა ჟურნალსა და გაზეთზე მეტი ტირაჟით;
- აფხაზეთის გაზეთებს შორის გამოირჩეოდა გამოცემის ხანგრძლივობით;
- ვრცელდებოდა მთელი აფხაზეთის მასშტაბით;

გაზეთი გამოდიოდა სოხუმში, 1937-1990 წლებში, ,,საბჭოთა აფხაზეთის სახელწოდებით'', ხოლო 1990 წლიდან უკვე ,,აფხაზეთის ხმის'" სახელწოდებით თბილისში. ,,საბჭოთა აფხაზეთი'" იყო ყოველდღიური (გამოდიოდა სამუშაო დღეებში);

თემატიკა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ენა - ქართული, იგივე მონაცემების იყო ,,აფხაზეთის ხმა'', მხოლოდ ერთი განსხვავებით: 1990 წლიდან გამოდიოდა კვირაში ერთხელ და არა ყოველდღიურად. ,,საბჭოთა აფხაზეთი'' იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, სოხუმის ქალაქკომის, აფხაზეთის ასსრ ცეკასა და სოხუმის ქალაქის საბჭოს ორგანო, იბეჭდებოდა აფხაზეთის სახელგამის სტამბაში, ვრცელდებოდა აფხაზეთის რეგიონის ყველა ქალაქსა და რაიონში, ხოლო ,,აფხაზეთის ხმა'' იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამინისტრაციული საბჭოს ორგანო, ვრცელდებოდა ძირითადად თბილისში და იბეჭდებოდა გამომცემლობა ,,სამშობლოში" (წყარო: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გაზეთების კატალოგის ცნობარი, http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/000289/set/ ბოლო ნახვა 13.01.2018).

ჩვენი კვლევის ფარგლებში დამუშავდა გაზეთის1989 წელს გამოცემული ნომრები. კერძოდ - 89 ერთეული (იანვრიდან - აგვისტოს ნომრების ჩათვლით, რაც მოიპოვებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში);

გაზეთი ,,ლენინელი"

ამ სახელწოდებით საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა წელს რამდენიმე გაზეთი გამოიცემოდა, მათ შორის გამოდიოდა: გულრიფშში, გალში, ქუთაისში, ზესტაფონში, ზუგდიდში, ქობულეთსა და თბილისში. ჩვენ შემთხვევაში დავამუშავეთ საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების გალის რაისაბჭოს ორგანო. აღნიშნული გაზეთის შესწავლა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

- გამოიცემოდა ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პერიოდში;
- გალის რაიონი, ყოფილი სამურზაყანო, აფხაზეთის ისტორიული ნაწილია. როგორც საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, ისე

თანამედროვე ეპოქაშიც, როცა გალს ოკუპირებული ჰქვია, მაინც განსაკუთრებულია მისი როლი და დანიშნულება კონფლიქტის ორივე მხარისათვის. გალის მოსახლეობა ყოველთვის იყო გამორჩეულად გამოხატული ქართული ცნობიერების მატარებელი და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ინიციატორი. ასე მაგალითად,სამურზაყანოელებმა პირველებმა აიმაღლეს ხმა მუჰაჯირობის წინააღმდეგ; სამურზაყანოელებმა დაარწმუნეს რუსეთის მეფისნაცვალი გალის ცენტრში, სოფელ ოქუმში, აფხაზეთში პირველი ქართულ-რუსული სკოლა გაეხსნათ, საბჭოთა რეჟიმის პერიოდში გალი ყველა რაიონისგან გამოირჩეოდა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სიხშირით და ეროვნული სულიკვეთებით. დღეს კი გალი ერთადერთი რაიონია, სადაც დღემდე არ შეწყვეტილა აქტიური კავშირი და პროგრამები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით (წყარო: გალის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის ნონა შონიას ზეპირი ისტორია, იხილეთ დანართი). სწორედ ამიტომ, საკვლევი თემის ფარგლებში, გალში გამომავალი გაზეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

გაზეთი გამოდიოდა 1966-1990 წლებში, იბეჭდებოდა და ძირითადად ვრცელდებოდა გალის რაიონში, თემატიკა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, გამოდიოდა კვირაში სამჯერ, იყო ქართულენოვანი, 1990 წლის N 73-დან ნუმერაციას აგრძელებს გაზეთი სახელწოდებით ,,გალი“, 1991 წლის N36-დან გამოდიოდა სახელწოდებით ,,სათანჯო''. გაზეთი სხვადასხვა ფორმატითა და ტირაჟით ფუნქციონირებდა 2004 წლამდე.

ჩვენი კვლევის ფარგლებში დამუშავდა გაზეთის1989 წლებში გამოცემული 156 ნომერი (წყარო: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გაზეთების კატალოგის ცნობარი, ბმული: http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/002060/ ბოლო ნახვა 13.01.2018).

გაზეთი ,,ავანგარდი“

ამ სახელწოდებით საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და სხვადასხვა წელს რამდენიმე გაზეთი გამოიცემოდა, მათ შორის გამოდიოდა: გაგრაში, ცხაკაიაში, სენაკსა და თბილისში. ჩვენ შემთხვევაში დავამუშავეთ საქართველოს კომპარტიის გაგრის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო. აღნიშნული გაზეთის შესწავლა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

- გამოიცემოდა ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პერიოდში;
- იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა აფხაზეთის რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ: გაგრის რაიონში, სადაც თითქმის თანაბრად ცხოვრობდა შერეული მოსახლეობა, როგორც ქართველები, ისე აფხაზები და გაზეთიც შესაბამისად გამოხატავდა ორივე მხარის ინტერესებს, განსაკუთრებით მაშინ როცა დაიძაბა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები;
- გაზეთი გამოდიოდა როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ენებზე;
- ,,ავანგარდს'' ფუნქციონირების ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს: 1933-34 წლებში გამოდიოდა "Гагринская Правда"-ს სახელწოდებით, 1943-1944 "ბოლშევიკის" სახელწოდებით, 1953-1957 წლებში ,,გამარჯვების დროშის'' სახელწოდებით, 1957-1991 წლებში ,,ავანგარდის'' სახელწოდებით, 1991-1992 წლებში ,,გაგრის'' სახელწოდებით.

,,ავანგარდი'' იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გაზეთი და გამოდიოდა კვირაში სამჯერ. ჩვენი კვლევის ფარგლებში დამუშავდა გაზეთის1989 წელს გამოცემული ნომრები. კერძოდ: 204 ერთეული(წყარო: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული

ბიბლიოთეკის გაზეთების კატალოგის ცნობარი, ბმული: http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/000021/ბოლო ნახვა 13.01.2018).

გაზეთი ,,სამრეკლო''

აღნიშნული გაზეთით დაინტერესება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

- გამოიცემოდა ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პერიოდში (1989 წელს);
- იყო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გულრიფშის რაიონული განყოფილების გამოცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ, მეტწილად,გამოხატავდა აღნიშნული საზოგადოების ინტერესებსა და იდეებს, რომელიც აფხაზეთის რეგიონში და კონკრეტულად გულრიფშის რაიონში სწორედ აღნიშნული გამოცემით ვრცელდებოდა;

გაზეთი გამოდიოდა: 1989-1990 წლებში გულრიფშის რაიონში, იყო ყოველთვიური გამოცემა, თემატიკა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ენა - ქართული. (წყარო: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გაზეთების კატალოგის ცნობარი, ბმული: http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/002588/ბოლო ნახვა 13.01.2018).

ჩვენი კვლევის ფარგლებში დამუშავდა გაზეთის1989 წლებში გამოცემული სულ ორი ნომერი, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში, კერძოდ: 1989 წლის ნოემბრის N7 და დეკემბრის N21.

გაზეთი ,,აფხაზეთის უნივერსიტეტი''

აღნიშნული გაზეთით დაინტერესება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

- გამოიცემოდა ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პერიოდში;

- იყო მაქსიმ გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, პროფკომისა და კომკავშირის კომიტეტის ორგანო, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოხატავდა აფხაზეთის რეგიონში მთავარი საგანმანათლებლო ცენტრის პოზიციებს, თავს უყრიდა აფხაზეთის მასშტაბით აკადემიური სფეროს წარმომადგენელთა მოსაზრებას და ჰყავდა ასევე სპეციფიკური აუდიტორია, ძირითადად სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა სახით, რითაც განსხვავდებოდა აფხაზეთში გამომავალი სხვა გაზეთებისგან. ხოლო აკადემიური და სამეცნიერო წრის, ასევე ახალი თაობისა და სტუდენტების ხმა (რომელიც სხვა გაზეთების მსგავსად საბჭოური, პარტიული იდეოლოგიით იყო გაჟღენთილი) მაინც ყოველთვის გამორჩეულად აღიქმება საზოგადოებაში.

გაზეთი გამოდიოდა: 1981-1992 წლებში სოხუმში, პერიოდულობა ყოველკვირეული (გამოდიოდა მხოლოდ აქტიურ სასწავლო სემესტრებში), თემატიკა: ძირითადად საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ენა - ქართული (წყარო: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გაზეთების კატალოგის ცნობარი, ბმული: http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/000761/, ბოლო ნახვა 13.01.2018).

ჩვენი კვლევის ფარგლებში დამუშავდა გაზეთის1989 წელს გამოცემული ნომრები. კერძოდ: 1989 წელი - 5 ერთეული;

საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩვენი ძირითადი საკვლევი შეკითხვები ასე ჩამოყალიბდა:

1. რომელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები გაშუქდა 1989 წლის აფხაზურ პრესაში?

2. რა სახის პუბლიკაციები გვხვდება 1989 წლის აფხაზურ მედიაში ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ, და როგორია გაშუქების აქცენტები?

3. დისკურსისა და შინაარსის ანალიზის საფუძველზე, რამდენად ობიექტურადაა ეს მასალები შედგენილი?

ამ მიმართულებით კვლევა საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ:

- ✓ 1989 წელს საქართველოში მიმდინარე რომელი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა მოექცა აფხაზეთის რეგიონში გამომავალი პრესის ინტერესის ობიექტივში;
- ✓ რომელი მოვლენები რჩება აფხაზური პრესის ყურადღების მიღმა;
- ✓ რა ტიპის ინფორმაცია და ტენდენციები ჭარბობს აფხაზურ პრესაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გაშუქების დროს, როგორი იყო პრესის დღის წესრიგი და ფრეიმები.

ყოველივე ეს დაგვეხმარება, გარკვეული წარმოდგენა შევქმნათ აფხაზეთის პრესაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გაშუქების სპეციფიკაზე.

საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე შემუშავდა შემდეგი ჰიპოთეზები:

H1. აფხაზურ მედიაში 1989 წლის 9 აპრილამდე იშვიათად და ნაწილობრივ, ხოლო შემდგომ უფრო აქტიურად ეთმობა სათანადო ყურადღება საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს;

H2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ძირითადად ეროვნულ მოძრაობას უკავშირდებოდა, საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური

გავლენით შუქდებოდა. გაშუქების შემთხვევაში, პრესის ინტერესი სწორედ მოვლენების იდეოლოგიური კუთხით შეფასების მიზნით არის განპირობებული. გამოქვეყნებული მასალა, უმეტესად, ხელს უწყობდა პარტიული იდეოლოგიის გამყარებას.

H3. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ იგრძნობა მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა და იდეოლოგიის წნეხისგან თავისუფლება, ასევე, ბოლო პერიოდში იზრდება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვისა და გამოხატვის სიხშირე და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დადებითი აქცენტებით წარმოჩენის ტენდენცია, იმ პერიოდში მიმდინარე აფხაზეთთან დაკავშირებული კონფლიქტური მოვლენების გასანეიტრალებლად;

თავი III

კვლევის ძირითადი ნაწილი

კვლევის ფარგლებში დამუშავდა აფხაზეთის გაზეთების 1989 წელს გამოცემული ნომრები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდულ გამოცემათა ფონდში. ეს გამოცემებია: ,,საბჭოთა აფხაზეთი'', ,,სამრეკლო'', ,,ლენინელი'', ,,ავანგარდი'' და ,,აფხაზეთის უნივერსიტეტი''.

გავეცანით, დავამუშავეთ და თემატურად დავალაგეთ ყველა პუბლიკაცია, მათ შორის გამოვყავით უკლებლივ ყველა ის წერილი, განცხადება თუ სტატია, რომლებიც რაიმე სახით მაინც ეხებოდა ჩვენს საკვლევ თემას.ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდიკის ფონდში მრავლადაა 1889 წელს აფხაზეთში გამოცემული გაზეთები, ათეულობით ნომრის დამუშავების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ პუბლიკაციების რაოდენობა და ხასიათი გვაძლევს საინტერესო ანალიზის და ზოგადი სურათის დანახვისა და შეფასების საშუალებას.

სანამ პუბლიკაციების შინაარსობრივ ანალიზს წარმოვადგენთ, ინფოგრაფიკის სახით გამოვსახავთ გაშუქების სტატისტიკას გაზეთებისა და თემების მიხედვით, ანუ რომელ გაზეთში, რომელი საკითხი რა სიხშირით გაშუქდა:



გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი" პრაქტიკულად არ გვხვდება არცერთი სტატია 1988 წლის იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რომლებიც ეროვნული მოძრაობის ინიცირებით, თუ საზოგადოების ცალკეული ჯგუფების ინიციატივით მოხდა.



გაზეთი „ლენინელი" იყო ჩვენ მიერ დამუშავებულ მასალაში ერთადერთი გაზეთი, სადაც ლიხნის ყრილობასთან დაკავშირებით ვნახეთ გამოხმაურება;

გაზეთი „ავანგარდი"

აპრილის მოვლენები, 9 აპრილი და ტრაგედიის შემდგომი ვითარება: 12 სტატია

1989 წლის ზაფხულის მოვლენები აფხაზეთში: 18 სტატია



გაზეთი „სამრეკლო"

აპრილის მოვლენები, 9 აპრილი და ტრაგედიის შემდგომი ვითარება: 10 სტატია

1989 წლის ზაფხულის მოვლენები აფხაზეთში: 18 სტატია



როგორია გაზეთების მიხედვით, ზოგადად, 1989 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გაშუქების სიხშირე და სტატისტიკა? მონაცემები ასახულია ქვემოთ, ინფოგრამაზე.



რომელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა გაშუქდა ყველაზე მეტად და როგორია ამ მოვლენების გაშუქების საერთო მონაცემები და სტატისტიკს წარმოაჩენს შემდეგი ინფოგრამა:



შინაარსობრივი ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი და საერთო თემატიკაც:

- 9 აპრილის მოვლენებამდე და შემდეგ ვითარების სტაბილიზაციის თემა;
- ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, ურთიერთნდობის აღდგენა და მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეა;
- საქართველოს დამოუკიდებლობა იდეა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა;

გარდა ძირითადი და საერთო ტენდენციებისა, ცხადია, შიგადაშიგ ჩნდებოდა სხვადასხვა თემატიკაც. მათ შორის:

- გარდაქმნა და საჯაროობა;
- აფხაზური ენის განვითარების პროექტი;
- სახალხო დეპუტატთა არჩევნები;

- უნივერსიტეტის გაფართოება, ახალი კორპუსის მშენებლობა, ქართული და აფხაზური სექტორების ფუნქციონირება;
- მედიის როლი და პრესის მუშაობის საკითხები;
- ეკონომიკური და სატრანსპორტო პრობლემები;

აფხაზეთის მედია აქტიურად აშუქებდა რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებსაც. მათ შორის, ჩვენს საკვლევ პერიოდში ყველაზე აქტიურად გაშუქდა იყო:

- მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი
- სომხეთის მიწისძვრის თემა

ლიხნის ყრილობა

პრაქტიკულად ერთადერთი გაზეთი ჩვენ მიერ დამუშავებულ მასალათა შორის არის გაზეთი ,,ლენინელი'', რომელიც მარტის თვეში აქტიურად და რაც მთავარია, კრიტიკულად გამოეხმაურა ლიხნის ყრილობის საკითხებს. გაზეთი სხვადასხვა სტატიის მეშვეობით ნეგატიურად აფასებს ლიხნის ყრილობას და მის თანამდევ მოვლენებს, მათ მიაჩნიათ, რომ ყრილობა აფხაზებისა და ქართველების დაპირისპირებას უწყობდა ხელს, რასაც ადასტურებს ამონარიდი სტატიიდან: ,,სამწუხაროდ, დღეს ცალკეული პირები, ცდილობენ დაივიწყონ ტრადიციები და ზემოქმედებენ რა, ადამიანის არა გონებაზე, არამედ ემოციაზე, ცდილობენ დაარღვიონ საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი, განხეთქილება შეიტანონ ჩვენი ძმა ხალხების ურთიერთობებში''.

,,ლენინელის'' 28 მარტის 38-ე ნომერში კი მთავარ გვერდზეა გამოტანილი სტატია გალში ჩატარებული მიტინგის შესახებ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტატია დაწერილია საბჭოური მედიის სპეციფიკით, კერძოდ, იწყება იმით, რომ 25 მარტს ლენინის მოედანზე გაიმართა რაიონის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც გარდაქმნის მხარდაჭერისა და ავტონომიური რესპუბლიკის უფლება-მოვალეობათა გაფართოების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი

პლენუმისთვის მზადების საკითხებს მიეძღვნა. ერთი შეხედვით, სტატიაში განსაკუთრებული არაფერია, ამის შემდეგ ჩამონათვალი გვატყობინებს, თუ ვინ გამოვიდა მიტინგზე სიტყვით. პრაქტიკულად, საზოგადოებას მიმართა გალის რაიონის მთელმაინტელიგენციამ, ასევე სხვადასხვა თანამდებობისა და პროფესიის ადამიანებმა, მათ შორის: ექიმებმა, მასწავლებლებმა, დეპუტატებმა, მეჩაიეებმა, მეხანძრეებმა და სხვებმა. სტატიის ბოლოს კი, თითქოს სხვათა შორისაა მიწერილი უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, რომელიც აფხაზეთის სხვა გაზეთებში ვერ ვიპოვეთ: ,,განიხილეს რა ეროვნებთშორისი ურთიერთობების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმთან დაკავშირებული წინადადებები, მიტინგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გუდაუთის რაიონის ს. ლიხნში 1989 წლის 18 მარტს გამართულ მიტინგზე მიღებული მიმართვა ეწინააღმდეგება სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებებს, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მითითებებს, ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობის ინტერესებს. გალის რაიონის მშრომელთა მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია'' (,,ლენინელი'', N28, 1989 წლის 28 მარტი, სტატია: ,,მიტინგი გალში''). სტატიის ანალიზის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალება გვეძლევა:

1. გალის, ყოფილი სამურზაყანოს რაიონის მოსახლეობის პრაქტიკულად სრული უმრავლესობა გამოვიდა ლიხნის ყრილობის საწინააღმდეგოდ;

2. გალის მოსახლეობამ, რომელიც ყოველთვის საქართველოს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა, კრიტიკულ ვითარებაში შეძლო გაეპროტესტებინა სეპარატისტული ყრილობის მიზნები;

3. მიტინგის ორგანიზატორებმა, ერთი მხრივ, და სტატიის ავტორმა, მეორე მხრივ, პრაქტიკულად, საბჭოთა კავშირის პროპაგანდისტული ელფერით შენიღბეს როგორც აქციის მთავარი მიზანი, ასევე სტატიაში წარმოდგენილი მთავარი ფაქტი: ლიხნის ყრილობის საწინააღმდეგო გამოსვლა გალში. სტატიის

ძირითად ტექსტს მოიცავს მხოლოდ გამომსვლელთა გვარები და ტიტულატურა. თუმცა, საინტერესო ისაა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ, 6 აპრილს გაზეთის მთელი გვერდი ეთმობა აღნიშნულ მოვლენას, სტატია გულმოდგინედაა მომზადებული, მას აქვს შესავალი და დასკვნითი ტექსტები, ხოლო ძირითადი ნაწილი მოიცავს მიტინგზე გამომსვლელთა ტექსტებს, რომლებშიც ავტორები მოუწოდებენ ვითარების სტაბილიზაციისკენ, გვხვდება ქართულ-აფხაზური მშვიდობიანი თანაცხოვრების პროპაგანდა, ლიხნის ყრილობის კრიტიკა და ამ შეკრების უარყოფითად შეფასება.

6 აპრილს იგივე გაზეთში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ლიხნის ყრილობის შემდგომ მოვლენებს ეძღვნება, სტატიის ავტორი შ. დარსანია პირადი გამოცდილებით აღნიშნავს, თუ როგორ კეთილგანწყობას გრძნობდა ჯერ კიდევ ბავშვი, როდესაც სოხუმში აფხაზი ექიმი მკურნალობდა, შემდეგ, როგორი კარგი ურთიერთობა ჰქონდა ეთნიკურ აფხაზებთან მუშაობის პროცესში. იხსენებს ნათესაურ ურთიერთობებს ქართველებსა და აფხაზებს შორის და გამოთქვამს წუხილს: ,,მიკვირს, როცა ეკონომიურადაც, განათლებითაც მეტი გვიჭირდა, ასე ვთქვათ, ლუკმა პური გვენატრებოდა, მაშინ ჩვენსა და აფხაზებს შორის მეგობრობაში ხინჯი არ გაჩენილა, და ახლა, როცა ყოველნაირად უკეთ ვცხოვრობთ, რა მოხდა, რა ვერ გავიყავით?“ წარსულის გახსენებით და შემდეგ ე.წ.,,გარდაქმნის'' პროცესის განმარტებით, სტატიაში იკითხება საბჭოთა იდეოლოგიის კრიტიკაც: ,,გარდაქმნა ადამიანის სასიკეთოდ უნდა წარიმართოს და არა საწინააღმდეგოდ. ვისაც გარდაქმნა თავისი ვიწრო, მეშჩანური ინტერესების სარეალიზაციო ასპარეზად გაუხდია, ძალიან ცდება, დროა გონს მოეგოს, ნუ თესავს ღვარძლს, შურს, უნდობლობას ადამიანებს შორის'' (ლენინელი, 1989 წლის 6 აპრილი. N42, სტატია: ,,მარად ერთად'').

კიდევ ერთი გამოხმაურება გვხვდება ,,ლიხნის ყრილობასთან'' დაკავშირებით მოგვიანებით, გაზეთ ,,ავანგარდის'' 16 მაისის ნომერში, რომელშიც წარმოდგენილია სსრკ მწერალთა კავშირის წევრის ნოდარ ხუნდაძის სტატია

,,წერილი რედაქციას''. ავტორი ცდილობს იპოვოს პასუხი კითხვაზე, რამ გამოიწვია აფხაზეთში აპრილისა და მაისის თვეებში ვითარების გამწვავება, რის შესახებაც ასეთი პასუხი აქვს: ,,სავსებით ბუნებრივად მესახება პასუხი გაეცეს კითხვას: რამ გამოიწვია აფხაზეთში ეროვნებათშორისი ვითარების გამწვავება? - ეგრეთ წოდებულმა ,,აფხაზურმა წერილმა'' და ,,ლიხნის მიმართვამ''.სხვა პასუხი არ არსებობს. (,,ავანგარდი'', 1989 წლის 16 მაისი, N76);

9 აპრილის ტრაგედია

9 აპრილამდე, 9 აპრილის ტრაგედიის ღამეს და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა ჩვენ მიერ დამუშავებული ყველა გამოცემა, გარდა ,,აფხაზეთის უნივერსიტეტისა''. ვინაიდან, გაზეთ ,,სამრეკლოს'' მასალები მხოლოდ 1989 წლის ნოემბრის თვიდან მოვიპოვეთ და აპრილის სტატიებზე ხელი არ მიგვიწვდებოდა, ნაშრომში წარმოვადგენთ ,,ლენინელის'', ,,საბჭოთა აფხაზეთისა'' და ,,ავანგარდის'' 9 აპრილთან დაკავშირებული სტატიების ანალიზს. ამათგან, ,,საბჭოთა აფხაზეთში'' გვხვდება ყველაზე მეტი სტატია, თუმცა, ეს იმ ფაქტითაც იყო განპირობებული, რომ ეს უკანასკნელი სხვა გაზეთებზე მეტი სიხშირით გამოდიოდა.

ყველა გამოცემის მთავარი ფრეიმები, გაშუქების ტენდენცია და მესიჯები, პრაქტიკულად ერთნაირი იყო. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, მითუმეტეს, რომ ეს გამოცემებიც ოფიციალური, საბჭოთა პერიოდული გამოცემები გახლდათ.

აპრილის მოვლენებთან დაკავშირებული სტატიები, ძირითადად, სწორედ1989 წლის აპრილისა და მაისის თვეშიიწერებოდა, მომდევნო თვეების მასალები, უმთავრესად, 9 აპრილს დაღუპულთა მოგონებას ეძღვნებოდა. გაზეთების მიხედვით, შინაარსობრივი ანალიზის პროცესში ჩვენ მიერ დამუშავებული სტატიების (სათაურების) ჩამონათვალი ასეთია:

საბჭოთა აფხაზეთი

1. გორბაჩოვის გამოსვლა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე
2. მდგომარეობის სტაბილიზება, კეთილგონიერების გამოჩენა
3. მიმართვა აფხაზეთის ასსრ ყველა მოქალაქისადმი
4. აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება
5. საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმი
6. აფხაზეთის ომისა და შრომის ვეტერანების მიმართვა

რესპუბლიკის ახალგაზრდებისადმი

7. ჩაუტეხელი ხიდი
8. სიახლეთა გათვალისწინებით
9. ხიშბას გამოსვლა ტელევიზიით 7 აპრილს
10. კეთილგონიერება იზეიმებს
11. საღად განვსაჯოთ
12. აფხაზეთის შსს იტყობინება
13. აფხაზეთის პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობა
14. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში
15. საჭიროა მხოლოდ სიმართლე
16. აფხაზეთის მთავრობის სამძიმარი
17. მიმართვა ქალაქ თბილისის მოსახლეობა და მშრომელებს
18. აფხაზეთის შსს იუწყება
19. რას ნიშნავს კომენდანტის საათი
20. მკურნალთა ძნელი დღეები
21. პარტიული აქტივის კრება
22. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში
23. ბრიფინგი ცენტრალურ კომიტეტში
24. გუშინ რესპუბლიკაში

25. ჯანდაცვის სამინისტრო გვატყობინებს (გარდაცვლილების სია)

26. გორბაჩოვის მიმართვა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს

27. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

28. დავიცვათ სიმშვიდე და გამოვიჩინოთ თავშეკავება

29. შეხვედრა მეცნიერებათა აკადემიაში

30. ბრიფინგი კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

31. ნუ აყვებით ჭორებს

32. პარტიული კომიტეტების პლენუმები

33. ინტერვიუ მინისტრთან: ვზრუნავთ საგანგებოდ

34. სამხედრო კომენდანტის ცნობა

35. კომენდანტის საათის საჭიროება რომ არ იყოს

36. იუსტიციის სამინისტროდან გვატყობინებენ

37. აფხაზეთის შსს იუწყება

38. სოხუმის სახალხო სასამართლოში

39. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

40. ხალხთან მოთათბირებით

41. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

42. ბრიფინგები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

43. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

44. გუშინ რესპუბლიკაში

45. საჭიროა საღად შევაფასოთ ვითარება

46. სამხატვრო აკადემია უარყოფს

47. დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

48. ღონისძიებანი ხორციელდება, ვითარება სტაბილური ხდება

49. უარვყოფთ ჭორებს

50. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

51. შევარდნაძის გამოსვლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1989 წლის 14 აპრილს

52. ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის მშრომელებს, კომუნისტებს, ახალგაზრდობას

53. ხელისუფლების ორგანოებთან ერთად

54. წერილი რედაქციას: ვუერთგულოთ წინაპართა ტრადიციებს

55. ტრაგედია არ უნდა განმეორდეს

56. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიმართვა თბილისის მოქალაქეებს

57. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

58. დავუბრუნოთ სიმშვიდე საქართველოს

59. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

60. ახალგაზრდობა კვლავ შეუდგა სწავლას

61. დავძლიოთ კრიზისი, აღვადგინოთ ნდობა (კომპარტიის ბიუროს სხდომა)

62. შეიქმნა სამედიცინო საექსპერტო საზოგადოებრივი კომისია

63. შეხვედრები, საუბრები, დიალოგები

64. საქართველოს სსრ უმალესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ

65. იუწყება სსრ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

66. დიალოგის გზით ნდობისკენ

67. გადაწყვეტის გზები ერთად უნდა გამოვნახოთ

68. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

69. საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტში

70. რეფორმა და პარტიული ორგანიზაცია

71. ავამაღლოთ პასუხისმგებლობა, ვიმუშაოთ გარდაქმნისთვის

72. აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს

73. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

74. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

75. აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

76. გამოძიება გრძელდება

77. გარდაქმნის, აღმასვლის, იმედების გადაფხული - საპირველმაისო დემონსტრაცია

78. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

79. ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური კომიტეტის სხდომა

80. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

81. საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები თბილისში

82. 9 აპრილის სევდა - ლექსები

83. საქართველოს კომპარტიის პლენუმი

84. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

85. დემოკრატია ჩვენი ისტორიული არჩევანია

გაზეთი: „ლენინელი"

1. საინფორმაციო ცნობა: აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

2. მიმართვა აფხაზეთის ყველა მოქალაქისადმი

3. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის სიტყვით გამოსვლა ტელევიზიით 1989 წლის 7 აპრილს

4. მინისტრთა საბჭოს მიმართვა მშრომელებსა და ახალგაზრდებს

5. ამბიციებს ნუ ავყვებით, ჩვენი საქმე ვაკეთოთ (13 აპრილი)

6. გალის რაიკომში

7. კვლავაც ერთად ვიყოთ

8. გონიერება გვიხმობს

9. ძმაო ძმითა ხარ ძლიერი - გავუფრთხილდეთ გულის სიმებს

10. გვიხმობს კეთილგონიერება - გარდაქმნა განა მიტინგებითა და დემონსტრაციებით იქმნება?

11. საკადრისი პასუხი გავცეთ

12. გორბაჩოვის მიმართვა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს

13. აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

14. დამნაშავენი უნდა დაისაჯონ

15. გვიხმობს კეთილგონიერება - ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს

16. მთელი რესპუბლიკის ტრაგედია

17. მთავარია არ დავიბნეთ

18. გვიხმობს კეთილგონიერება - ყველა ქალს, ყველა დედას

19. ჭორებს არ ავყვეთ

20. მარად ერთად

21. გადამწყვეტი სიტყვა თქვენზეა - ახალგაზრდებო - წერილი

22. სიყვარულს უშენებია - წერილი

23. სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისთვის

24. აფხაზ-ქართველთა ურთიერთობის სათავეებთან - მეგობრობის ხიდი არ ჩაგვიტყდება

25. 9 აპრილის მსხვერპლთა პატივსაცემად

26. 9 აპრილის ფონდში

27. მინდა ვეამბორო - 9 აპრილს დაღურულ თამრიკო ჭოველიძეს

28. 9 აპრილის ფონდში

29. 9 აპრილის დაღუპულთა პატივსაცემად

30. სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას

გაზეთი: „ავანგარდი”

1. სიდინჯე და დაფიქრებულობა გვმართებს
2. ყური მივუგდოთ ილიას შეგონებას
3. მოგიწოდებთ ყველას
4. დაფიქრება გვმართებს
5. მიტინგი გაგრაში
6. გორბაჩოვის მიმართვა საქართველოს ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს
7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახელწიფო დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აქტში ზოგიერთი ცვლილების შესახებ
8. ჯანსაღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს
9. ყველამ ერთად გადავწყვიტოთ მშვიდად, საქმიანად
10. საქართველო გლოვობს
11. თანამოძმეთ მხარდაჭერა
12. სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს რიგგარეშე სხდომა

2.1. პუბლიკაციების გაშუქების სპეციფიკა, გამოხატვის საშუალებები და სტილი:

ძირითადად გვხვდება საინფორმაციო სტატიები. 9 აპრილთან დაკავშირებით მოცემული ინფორმაცია სპეციფიკის მიხედვით შეიძლება ასე დაიყოს:

- ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლები ტელევიზიით, მათთან ინტერვიუები, სახელმწიფო და პარტიული ორგანოების სხდომები, ბრიფინგები, სახელმწიფო უწყებათა ცნობები, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართვები მოსახლეობისადმი;
- უმთავრესად ხელმოუწერელი სტატიები, რომლებიც, სავარაუდოდ, გაზეთების რედაქციის მიერ არის მომზადებული და სადაც გვხვდება მოწოდებები, რომ მოსახლეობა ჭორებს არ უნდა აჰყვეს, რომ სიმშვიდის შენარჩუნებაა მთავარი და ა.შ.
- საინფორმაციო სტატიები, სადაც გხვდება ინფორმაციები უსანქციო მიტინგების, ასევედაღუპულების შესახებ, განმარტებები, მაგალითად, თუ რას ნიშნავს კომენდანტის საათი, ინფორმაციები სამედიცინო მუშაკთა საქმიანობის შესახებ, ასევე სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებლად მუშაობის დასწავლის განახლების შესახებ;
- გაზეთის მკითხველთა წერილები, რომლებიც სხვა ინფორმაციასთან შედარებით მეტ-ნაკლებად მოიცავს ანალიტიკას, თუმცა არა საბჭოთა რეჟიმის კრიტიკის კუთხით, არამედ ვითარების სტაბილიზაციის, ტრაგედიის სიმძიმის გაანალიზების თვალსაზრისით;
- ლექსები - ძირითადად სამგლოვიარო ხასიათის, დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი.

დამუშავებულ გაზეთებში, პრაქტიკულად, არ გვხვდება 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებული ფოტომასალა. ასევე, არ არის ანალიტიკური

სტატიები.თვალსაჩინოა ის ფაქტიც, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლები და მოსახლეობისადმი მიმართვები ყველა გაზეთში იბეჭედება. ამათგან, ,,საბჭოთა აფხაზეთში'' თემასთან დაკავშირებული ძირითადი მასალა სწორედ ასეთია, ნაკლებად იძებნება, მაგალითად, მოსახლეობის წერილები და შეფასება, ლენინელისგან განსხვავებით, სადაც მოსახლეობის წერილები მასალის უმეტეს ნაწილს მოიცავს. არსად არ გვხვდება ეროვნული მოძრაობის შესახებ დადებით კონტექსტში საუბარი, მოძრაობის ლიდერთა სახელები და გვარები ან მიტინგებზე მათი გამოსვლების ტექსტები.

გამოხატვის საშულებებში ძირითადად წარმოჩნდება საინფორმაციო ხასიათი, რეპორტაჟური სტილი, ნაწილობრივ მხატვრული და ემოციური ტექსტები, თუმცა, ნაკლებად - ანალიტიკური და კრიტიკული სტატიები.

აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით სხვადასხვა სპეციფიკის სტატიის ანალიზის შედეგად იკვეთება სხვადასხვა ფრეიმი, შესაბამისი მესიჯებით, რომელთა შორისაც გამორჩეულია:

- 9 აპრილი- როგორც ტრაგედია;
- მოსახლეობაში ემოციური სიმშვიდის და კეთილგონიერების შენარჩუნების აუცილებლობა;
- ქვეყანაში კრიზისის დასაძლევად სხვადასხვა სფეროში ინსტიტუციური მუშაობის აღდგენის/განახლების საჭიროება;
- ტრაგედიის განმეორების საშიშროების დაძლევაპარტიული იდეოლოგიური მუშაობის გააქტიურებით;

აღნიშნულ ფრეიმებთან დაკავშირებული საგაზეთო მესიჯები და ტექსტები ძირითადად ასეთია:

- ✓ ხელისუფლება გამოსავალს იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებასა და დეზინფორმაცის გავრცელების პრევენციაში ხედავს, აქვე ჩანს ხელისუფლების შიში, რომ მოსახლეობამ არაპარტიული

იდეოლოგიის, სხვა სახის ინფორმაციაც მიიღოს: ,,შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციებისგან გადამწყვეტი ზომების მიღებას, ადამიანებთან იდეოლოგიური, ახსნა-განმარტებითი, ინდივიდუალური მუშაობის გაძლიერებას. საჭიროა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მთელი აქტივის მობილიზება მდგომარეობის გასაჯანსაღებლად, რათა ადგილი არ ექნეს მონაჭორებს, არასწორ მოსაზრებებს და ზოგიერთ შემთხვევაში დეზინფორმაციის გავრცელებას“ (,,საბჭოთა აფხაზეთი, 1989 წლის აპრილი, N63, სტატია: ,,მდგომარეობის სტაბილიზება, კეთილგონიერების გამოჩენა”).

- ✓ გაზეთის მიხედვით ,,განსაკუთრებული მუშაობა გვმართებს ამჟამად ჩვენ, პედაგოგებს, საჭიროა მოვაწყოთ საუბრები, ლექცია-მოხსენებები, მრგვალი მაგიდები, კითხვა-პასუხის საღამოები, გავმართოთ გულახდილი დიალოგები, გავარკვიოთ ახალგაზრდები მომხდარ მოვლენებში, მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში, გავუფანტოთ უსაფუძვლო მითქმა-მოთქმის შედეგად მიღებული არასწორი შეხედულებანი, განვუმტკიცოთ იმის რწმენა, რომ მხოლოდ ხალხთა მეგობრობა და ძმობა არის ძალა, რომელმაც უნდა შეგვაძლებინოს გარდაქმნის დიადი პროგრამის განხორციელება” (,,ლენინელი’’, 1989 წლის 20 აპრილი, N48);
- ✓ იბეჭდება მოწოდებები, რომ რეგიონის მოსახლეობამ ჩვეულ რეჟიმში იცხოვროს და ყურადღება არ მიაქციოს ან არ ჩაერთოს აპრილში მიმდინარე მოვლენებში: ,,არ დატოვოთ სამუშაო ადგილები, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების აუდიოტორიები, საკლასო ოთახები. დაუბრუნდით თქვენს შრომით კოლექტივებს, სასწავლებლებს, კეთილსინდისიერად იშრომეთ და ისწავლეთ’’ (,,საბჭოთა აფხაზეთი’’, 1989 წლის 7 აპრილი, N67);

- ✓ ქართველებისა და აფხაზების მეგობრული თანაცხოვრების ისტორიის შეხსენება, მრავალეროვნულ რეგიონშიმშვიდობიანი თანაცხოვრების გაგრძელების აუცილებლობა: ,,ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები მშვიდობიან დროშიც და ავბედობის ჟამსაც იჩენდნენ მზრუნველობას ურთიერთის მიმართ, დღეს ჩვენ გული გვტკივა და გვწყინს, საგანგაშო ტენდენციები, რომლებიც შეიმჩნევა ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობაში, შოვინისტური და ნაციონალისტური გამოვლინებანი, რომელთაც აღვივებენ თავიანთი ქვენა მიზნებისთვის ცალკეული ელემენტები, უცხოა ჩვენი ხალხებისთვის და მათ შეიძლება მიგვიყვანოს წინდაუხედავ შედეგებამდე'' (,,საბჭოთა საქართველო'', 1989 წლის 8 აპრილი, N68);
- ✓ ,,აფხაზეთის კომუნისტების, მისი მთელი მრავლფეროვანული მშრომელთა ოჯახის მნიშვნელოვან წარმატებებს საფუძვლად უდევს უწინარეს ყოვლისა მათი ერთგულება ჩვენი წინაპრების - აფხაზებისა და ქართველების ინტერნაციონალური ტრადიციებისადმი, რომლებიც ყოველთვის და ყველაფერში ერთგულნი იყვნენ ერთმანეთისა, რომლებიც გრძნობდნენ მხარდაჭერას ჭირშიც და ლხინშიც'' (,,ლენინელი'', 1989 წლის 11 აპრილი, N44);
- ✓ ,,თუ რა შედეგი მოგვიტანა ერების ურთიერთწაკიდებამ, ერთმანეთის წინააღმდეგ წასისინებამ, კარგად დავინახეთ ყარაბახის საზარელ მაგალითზე. ვფიქრობ, სადავო არ არის აზრი, რომ უხსოვარი დროიდან შესისხლხორცებულა, შეზრდილა აფხაზი და ქართველი ხალხის ურთიერთობაში სადავო და გასაყოფი არაფერი''. (,,ავანგარდი'', 1989 წლის 7 აპრილი, N56);
- ✓ ის, რაც ხდება, ყველას ტრაგედიაა, ყველას თანაბრად აზიანებს: ,,დღეს ჩვენთან არავინ არ უნდა იყოს უსულგულო, ყველაფერი რაც რესპუბლიკაში ხდება, ეხება მის ყველა კომუნისტს, თითოეულ მშრომელს - მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენტს, კომკავშირელს,

ახალგაზრდას, განზე არავინ არ უნდა იდგეს, გულგრილად და გულცივად არავინ არ უნდა უყურებდეს მოვლენების განვითარებას, არც ერთი კაცი, რომელ ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს იგი". (,,საბჭოთა საქართველო", 1989 წლის 8 აპრილი, N68);

- ✓ ,,ჩვენი რაიონის ქალთა საბჭო რესპუბლიკის ყველა მშრომელთან, ყველა ქალთან ერთად გულდათუთქული იზიარებს აუნაზღაურებელ დანაკარგს, რომელიც გამოწვეულია დედაქალაქში თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიით. ეს უბედურება ყველა ჩვენგანმა აღიქვა როგორც პირადი მწუხარება" (,,ლენინელი", 1989 წლის 20 აპრილი, N48);

9 აპრილის მოვლენების ტრაგედიად შეფასება:

- ✓ ,,ამ დღეებში მძიმე ტრაგედია დატრიალდა ჩვენს რესპუბლიკაში, დაიღუპა და დაშავდა მრავალი საბჭოთა ადამიანი, ამ ინცინდენტის შედეგად მომხდარი მძიმე ფაქტით აღშფოთებული ვარ და გამოვთქვამ მწარე სინანულს" (,,ლენინელი", 1989 წლის 15 აპრილი, N46);
- ✓ ,,9 აპრილს თბილისის ტრაგედიით გამოწვეულ ფიზიკურ და სულიერ ტკივილებს ჯერაც მწვავედ განიცდის სრულიად საქართველო, ჯერაც ღიაა და ღრმა მიღებული ჭრილობა" (,,ავანგარდი", 1989 წლის 28 აპრილი, N64);

მიტიგის ანტისახელმწიფოებრივ მოვლენად, ხოლო ლიდერების - ექსპტემისტებად შეფასება და პასუხისმგებლობის დაკისრება ეროვნული მოძრაობის ლიდერებზე:

- ✓ ,,დღეისათვის ცხადია ერთი რამ, პასუხისმგებლობა ამ უბედურებისათვის უპირველესად ეკისრებათ უკიდურესი მიმართულების არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს,რომლებმაც თავიანთი მიუღებელი,

აღვირახსნილი, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით უაღრესად დაძაბეს საზოგადოებრივი ატმოსფერო'' ,,პირდაპირ მოუწოდებდნენ ხელისუფლების წამომადგენლების, სამართალდამცავი ორგანოების დაუმორჩილებლობისაკენ, სისხლის ღვრისაკენ, არსებული წყობილების დამხობისაკენ''(,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 11 აპრილი, N69);

- ✓ ,,ვაგლახ, რომ აფხაზმა და ქართველმა ექსტრემისტებმა თავიანთ ბინძურ ანკესზე ბევრი მერყევი ელემენტის წამოგება შეძლეს, ერთი წუთითაც არ უნდა ვენდოთ მათ, ხალხის ,,მხსნელებად'' და ,,ლიდერებად'' რომ მოაქვთ თავი, მთელი თავისი მოქმედებით ისინი მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს'' (,,ლენინელი'', 1989 წლის 13 აპრილი, N45);
- ✓ მოვლენების არაობიექტური გაშუქება: ,,წესრიგის დამცველებს ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ წარმოქმნილი არეულობის დროს, დაიღუპა 13 კაცი, 200-ზე მეტმა მიიღო დაზიანება, მათ შორის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის 91-მა მოსამსახურემ''. ,,რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გულწრფელად განიცდის ამ ტრაგედიას, მიაჩნია იგი რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შედეგად. '' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 11 აპრილი, N69);

ფაქტობრივი ინფორმაციები, რომლებიც საინტერესო ისტორიულ ფაქტებსაც მოიცავს, მაგ.:

- ✓ 9 აპრილამდე აფხაზეთში სანქცირებული თუ არასანქცირებული მიტინგების შესახებ ინფორმაციები, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის, საკვებისა და პირველადი მოხმარების პროდუქციის დეფიციტის შესახებ;აფხაზეთში მიტინგების ინიციატორების, მათ შორის ნუგზარ მგალობლიშვილის და ვოვა ვეკუას დაჯარიმების შესახებ, მოწამვლის შედეგად ლაშა თაბუკაშვილის მკურნალობის შესახებ,ეროვნული მოძრაობის ლიდერების დაკავების შესახებ, სამხატვრო აკადემიის კედელზე

,,ანტისახელმწიოებრივი'' ინგლისურენოვანი წარწერის გაჩენის შესახებ, სახელმწიფო დაწესებულებებთან სამხედრო ტექნიკისა და ჯარისკაცების მობილიზების შესახებ, კომენტანტის საათის დარღვევის 80-მდე შემთხვევის შესახებ, ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა სამედიცინო ექსპერტიზის კომისიის შექმნის შესახებ, ტრაგედიის გამო 1 მაისის სადღესასწაულო ღონისძიებების ნაცვლად ორგანიზაციებში პოლიტიკურ-მასობრივი აქტივობების ჩატარების შესახებ, წითელი ჯვრის წარმომადგენლების ვიზიტი და შეხვედრები დაზარალებულებთან, გალის მთავარ მოედანზე ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა ფოტოსტენდის მოწყობა, გალში 9 აპრილის ფონდის შექმნა, რომელიც მემორიალის აგებას მოხმარდება, მარტვილში აზა ადამიას მშობლებთან გალის რაიონის ქალთა საბჭოს შეხვედრა.

კრიტიკული წერილები და კითხვები თითქმის არ გვხვდება, ამ მასალებში ყურადღებას იქცევს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა: ,,საბჭოთა აფხაზეთში'' ირაკლი მენაღარიშვილთან ჟურნალისტის ინტერვიუს დროს დასმული კითხვები 9 აპრილის მიტინგის დარბევისას მომწამვლელი მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე საინტერესო სტატიაა 16 მაისის ,,ავანგარდში'' გამოქვეყნებული სტატია ,,წერილი რედაქციას'', სადაც ავტორი ხელისუფლების წარმომადგენლებს აკრიტიკებს ახალგაზრდების დარბევის გამო: ,,მართალი გითხრათ მოველოდი, რომ სესიაზე გამოსული დეპუტატები ხმას აიმაღლებდნენ იმ სამარცხვინო დარბევის წინააღმდეგ რაც მშვიდობიანი (ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს სანქცირებული იყო თუ არა) მიტინგის მონაწილეთა და უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპული ჩვენი თანამოქალაქელი ქალიშვილის გასვენებიდან მომავალი ახალგაზრდებით სავსე ავტობუსებს რომ მოუწყვეს''! იმავე სტატიაშია გაკრიტიკებული გაზეთ ,,ავანგარდის'' რედაქციაც:,,მეგონა სესიაზე გამოსული დეპუტატები პრინციპულ საუბარს გამართავდნენ იმის შესახებ, რომ იმ დროს, როცა მდგომარეობა ნამდვილად

დაიძაბა, ლამის იყო ,,ავანგარდი'' ერთი მხარის კერძოდ ,,აიდგილარას'' - ამ არარეგისტრირებული საზოგადოების ორგანოდ იქცა, რომ გაზეთის თითქმის ყველა ნომერი ანტიქართული გამოხტომებით გამოირჩეოდა, ან რას ნიშნავს იმ ფაქტის წაყრუება, რომ ,,ავანგარდს'' მიმდინარე წლის 9 აპრილის ხალხმრავალმა მიტინგმა ბოიკოტი გამოუცხადა. ეს ხომ უპრეცენდენტო მოვლენაა საბჭოთა პრესის ისტორიაში?'' (,,ავანგარდი'', 1989 წლის 16 მაისი, N76);

მთელი დანარჩენი მასალა არის პროპაგანდისტული მოწოდებები: მაგალითად, პარტიის ერთგულებისკენ, ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის შეხსენება, კომუნისტური პარტიის ,,ამაგის'' ხაზგასმა ქართველი ერის წინაშე და მრავალი სხვა.

ივლისის მოვლენები აფხაზეთში

ივლისის თვეში სოხუმში ვითარება გამწვავდა: ,,1989 წლის 15-16 ივლისს სოხუმში მოხდა აფხაზური (აფსუური) ეროვნების აღტკინებული და ორგანიზებული ბრბოს თავდასხმა უნივერსიტეტში განცხადებების შემტან ქართველ ახალგაზრდებზე და მრავლობითი მკვლელობა, რამაც ქართველების მხრიდან წინააღმდეგობა გამოიწვია. მოკლეს 16 ადამიანი (9 ქართველი და 6 აფსუა). უნივერსიტეტთან დაწყებული კონფლიქტის შემდეგ მოკლეს ქართველი ახალგაზრდა (გამვლელი მატარებლის მგზავრი) სადგურშიც - მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველი იყო. ცხადია, ამ ამბებმა თბილისში დიდი ღელვა გამოიწვია და იმის მარად განახლებადი შეგნება, რომ საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას საქართველოს მოქალაქის სიცოცხლის დაცვის არც უნარი ჰქონდა და არც სურვილი''.(ნ. ნათაძე, ,,რაც ვიცი'' (ფაქტები და ანალიზი), თბ. 2002, გვ. 79);

აფხაზეთში ივლისის თვეში განვითარებულმოვლენებსაქტიურად აშუქებდა გაზეთები: ,,ლენინელი'', ,,საბჭოთა აფხაზეთი'' და ,,ავანგარდი''. თუმცა, ყველა გამოცემის მთავარი ფრეიმები, გაშუქების ტენდენცია და მესიჯები,

პრაქტიკულად ერთნაირი იყო. მასალებისგაშუქების სპეციფიკა, გამოხატვის საშუალებები და სტილი 9 აპრილის თემატიკასთან დაკავშირებული სტატიების მსგავსი, თუმცა აქ უფრო ხშირად გვხვდება მეტ-ნაკლებად კრიტიკული სტატიები და მათი სრული უმრავლესობა მკითხველების წერილების ბლოკშია. სწორედ გაზეთების მკითხველები არიან უფრო მეტად კრიტიკულები და მათი წერილები უფროა ანალიტიკური ხასიათის, ვიდრე გაზეთების სარედაქციო ჯგუფის მიერ მომზადებული მასალები.

გაზეთების მიხედვით, შინაარსობრივი ანალიზის პროცესში ჩვენ მიერ დამუშავებული სტატიების ჩამონათვალი ასეთია:

საბჭოთა აფხაზეთი

1. აფხაზი და ქართველი ქალების მიმართვა
2. ქალაქში წესრიგი ჩვენვე დავამყაროთ
3. რეპლიკა - კვლავინდებურად - სტატია ტელევიზიის პროგრამაზე
4. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობა
5. საქართველოს შსს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა
6. საინფორმაციო ცნობა
7. სავაჭრო მომსახურების სტაბილიზაცია
8. მდგომარეობა ისევ დაძაბულია
9. წერილები რედაქციას
10. ნუ ავყვებით ჭორებს
11. ვეტერანები მოუწოდებენ
12. შევჩერდეთ
13. თვით ხალხმა იფიქროს
14. ერთიან ძალებით
15. გონს მოდით ადამიანობა

16. სამართლიანობა მოითხოვს

17. სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

18. საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს

19. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

20. პლენუმის მონაწილეების მიმართვა აფხაზეთის კომუნისტებისადმი

21. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ცენტრალურ კომიტეტში

22. ბრიფინგი ჟურნალისტებისთვის

23. ჟურნალისტთა კავშირის პრესცენტრში

24. მოძრაობა განახლდა

25. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ცენტრალურ კომიტეტში

26. დავუბრუნოთ სიმშვიდე აფხაზეთს

27. საინფორმაციო ცნობა

28. აფხაზეთის მოსახლეობას

29. ვითარება სტაბილური ხდება

30. მდგომარეობა უმჯობესდება

31. პრესის მუშაობის შესახებ

32. შევკრათ ერთი პირი

33. გონიერების პოზიციებიდან

34. მშვიდობიანი მოლაპარაკებით

35. რესპუბლიკური გაზეთის ფურცლებზე

36. მიმართვა აფხაზეთის უმაღლესი და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისადმი

37. დავუბრუნოთ სიმშვიდე აფხაზეთს

38. ნუ ავატირებთ დედებს

39. სავაჭრო მომსახურება სტაბილური ხდება

40. რკინიგზამ შეუფერხებლად უნდა იმუშაოს

41. კანონის მთელი სიმკაცრით

42. ავტობუსები ქუჩებში გავიდნენ

43. გლოვის დღე

44. აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო იტყობინება

45. პოზიციათა დაახლოების გზები

46. საინფორმაციო ცნობა - აფხაზეთის შსს პრესცენტრი

47. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

48. თბილისში შექმნილი ვითარების გამო

49. პრობლემები საერთოა

50. მოვლენების კვალდაკვალ

51. საინფორმაციო ცნობა - შსს პრესჯგუფი

52. შემოვაბრუნოთ

53. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

54. რუსთაველისებრი სულისკვეთებით

55. სიკეთისა და სამართლიანობის იმედით

56. სიმშვიდე აფხაზეთს, საინფორმაციო ცნობა - დროებითი პრესცენტრი აფხაზეთში

57. გონიერება გაიმარჯვებს

58. გვმართებს წინდახედულობა

59. სწორი შეფასება

60. წერილი კომუნისტს

61. შეხვედრები მშრომელებთან - აღვადგინოთ ურთიერთნდობა

62. წერილები საბჭოთა აფხაზეთს - უსაფრთხოებისა და ნდობისათვის

63. საინფორმაციო ცნობა

64. დავუბრუნოთ სიმშვიდე აფხაზეთს

65. დაგმეს

66. ჯანმრთელობის დაცვის სამსახური იტყობინება

67. ყური მივუგდოთ

68. ყინული დნება

69. საინფორმაციო ცნობა

70. ვითარება მოითხოვს წერილი

71. აღვადგინოთ ნდობა წერილი

72. შვილნო ქართული მიწისა წერილი

73. მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს წერილი

74. ერთად ვზიდოთ ჭაპანი წერილი

75. ეს საერთო ტრაგედიაა წერილი

76. რასაც გულწრფელად ვფიქრობ წერილი

77. ჩვენი გულისხმა წერილი

78. საინფორმაციო ცნობა

79. აღვადგინოთ ნდობა

80. ვითარება რთულია

81. ვთქვათ ჩვენი ღირსეული სიტყვა - გალის რაიონის დედების მიმართვა

82. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

83. საინფორმაციო ცნობა

84. აფეთქება რომელმაც ყველას გულისტკივილი მიაყენა

85. რა ვუანდერძოთ შვილებს (დავუბრუნოთ სიმშვიდე აფხაზეთს)

86. საინფორმაციო ცნობა

87. მტკიცე ბალავრის იმედით წერილი

88. საერთო ძალისხმევით

89. პარტიული ამხანაგობის ვითარებაში

90. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტებს და ყველა მშრომელს

91. შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

92. ვითარების სტაბილიზაცია - მთავარი სადღეისო ამოცანა

93. საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია

,,ლენინელი"

1. მიტინგი გალში

2. მოვლენათა ქრონიკა

3. ექსტრემისტებს - საკადრისი პასუხი

4. მკურნალთა მძიმე დღეები

5. გალის რაიკომისა და რაიონული საბჭოს აღმასკომისგან

6. ჩავაქროთ ჭირი ვიდრე ეპიდემიად არ ქცეულა

7. კმარა მოთმინება

8. მოვლენათა ქრონიკა

9. მენდეთ

10. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის მიღებასთან დაკავშირებით ღონისძიებების შესახებ

11. ვეტერანთა მიმართვა აფხაზ და ქართველ ხალხს

12. მოქალაქეთა საყურადღებოდ - გალის აღმასკომის მიმართვა მოსახლეობას

13. კმარა, კმარა

14. აღდგეს პარიტეტი

15. დავეხმაროთ დაღუპულთა ოჯახებს

16. ღირებას გავუფრთხილდეთ

17. გახსოვდეთ საქართველო

18. იმედით შევყურებთ

19. ღია წერილი აფხაზურ მედიასაშუალებებს - ლენინის რედაქციისგან

20. საოლქო კომიტეტის მეხუთე პლენუმის მონაწილეების მიმართვა აფხაზეთის კომუნისტებისადმი

21. ფეხზე დადგა მთელი კოლექტივი

22. ლმობიერება გონიერთა წილხვედრია

23. ყველა დამნაშავე დაისაჯოს

24. მარად ერთად

25. მოვუხმოთ გონიერებას

26. აღვირახსნილობას ბოლო მოვუღოთ

27. დამნაშავე დაისაჯოს

28. მიმართვა საბჭოთა ხალხს

29. საქართველოს კომპარტიის გალის რაიონში

30. შევქმნათ დახმარების ფონდი

31. განა შუღლით მოვაგვარებთ?

32. არა გაფიცვებით, არამედ გონიერებით

33. ვინ აქცია ძმა ძმის მკვლელად წერილი

34. დაღუპულთა ოჯახების დახმარების ფონდში

35. მეც ამას ვისურვებდი - ოთარ ჭურღულიას წერილი

36. მოვუხმოთ დედის სიტყვის ძალა - მიმართვა ყველა დედისადმი

37. კვლავაც ერთად ვიღვაწოთ

38. შეხვედრები შრომით კოლექტივებთან - ვეძებოთ სწორი, ოპტიმალური გზები

39. გალის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართვა აფხაზეთში მცხოვრები თანატოლებისადმი

40. ძვირფასო დებო და ძმებო

41. შერიგებაშია გამოსავალი

42. ნუ გადავუხვევთ

43. დავიბრუნოთ წარსული

44. საჭიროა თავდაჭერა

45. მხოლოდ გონიერება

46. გავამრთელოთ მეგობრობის ხიდი - სტუმარი ოჩამჩირის რაიონული გაზეთი ,,კომუნიზმისკენ''

47. ვიშრომოთ, ვიმეგობროთ

48. ტკივილი გვწამს

49. ბზარი გავამთელოთ დავაწესოთ ახალი დღესასწაული

გაზეთი ,,ავანგარდი''

1. გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს

2. გონს მოდი ძმაო - ლექსი

3. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

4. მიმართვა აფხაზ და ქართველ ხალხს აფხაზეთის ვეტერანები

5. შეიქმნა შტაბი

6. უნდა მოვიძიოთ თეთრი მანდილი - ქართველ ჟურნალისტ ქალთა მიმართვა აფხაზ ჟურნალისტებს

7. აღვადგინოთ ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი

8. გაბაასება ლადო ასათიანთან - ლექსი

9. რაც შეგვიძლია, რაც მოგვეთხოვება

10. ერთი მიზანი გვამოძრავებდეს

11. შვილნო ქართული მიწისა - აფხაზეთის ამბების გამო

ტექსტების დიდი ნაწილი აქაც ან ხელისუფლების წარმომადგენელთა მოწოდებები, ბრიფინგები ან ინტერვიუებია, ან მშრალი საინფორმაციო მასალა, ან მხატვრული ტექსტი, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი რაოდენობითაა მკითხველთა წერილებიც.სხვადასხვა სპეციფიკის სტატიის ანალიზის შედეგად იკვეთება სხვადასხვა ფრეიმი, შესაბამისი მესიჯებით, რომელთა შორისაც გამორჩეულია:

- ისტორიის ფალსიფიკაციის დაუშვებლობა;
- ქართულ-აფხაზური მშვიდობიანი თანაცხოვრების მოწოდება;
- კონფლიქტით გამოწვეული ყოველდღიური პრობლემები სხვადასხვა სფეროში;

ამ ფრეიმების შესაბამისად, საგაზეთო მასალები ასე შეიძლება დაიყოს:

- **მოწოდებები, რომ მოსახლეობა არ აჰყვეს პროვოკაციებს:**

,,დღეს, როცა აფხაზეთში ვითარება გამწვავდა, როცა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ორი ხალხის თანაარსებობა, გვჭირდება წინდახედულება, გონივრულობა, სიბრძნე, კეთილგონიერება, არ ავყვეთ პროვოკაციებს, თავი შევიკავოთ ყოველგვარი გართულებისგან, აღარ დავუშვათ შეტაკება, სისხლისღვრა'' (,,საბჭოთა აფხაზეთი, 1989 წლის 22 ივლისი, N136);

- **პარტიული მუშაობის გააქტიურება, როგორც პრობლემის გადაწყვეტის გზა**

,,გამოიყენებენ რა პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მდიდარ არსენალს, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიულმა კომიტეტებმა, პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა, ყველა კომუნისტმა, მშრომელებთან მჭიდრო კონტაქტით, უნდა გამონახონ ადამიანებთან მუშაობის არასტანდარტული მეთოდები, ის სტილი,

რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ახალ მეთოდებს'' (..საბჭოთა საქართველო, 1989 წლის 25 ივლისი, N137);

- **მრავალეროვნულობის დადებით კონტექსტში წარმოჩენა და ხაზგასმა**

,,ჩვენს ქალაქში ცხოვრობენ და შრომობენ 45 ეროვნების წარმომადგენლები და ვერ გრძნობდნენ, რომ ისინი სხვადასხვა ერის შვილები არიან. თითოეული მათგანი თავისი შრომით მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელს უწყობდა მშობლიური ქალაქის მიღწევებისა და წარმატებების ზრდას, ეს თითოეულის სისხლხორცეული საქმე იყო და არის. ჩვენ არ უნდა უარვყოთ ეროვნებათშორის არსებული პრობლემები. მათზე თვალის დახუჭვა ყველა ჩვენგანისათვის მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, მაგრამ მათი გადაწყვეტა მუქარით, სამიტინგო ზემოქმედებით, ულტიმატუმებით უაზრობაა!'' (,,ავანგარდი'', 1989 წლის 8 ივლისი, N 109)

- **ფაქტობრივი ინფორმაცია**

დაღუპულთა შესახებ ცნობები: ,,20 ივლისის მონაცემებით ავტონომიურ რესპუბლიკაში გარდაცვლილია 17 სულ 444 დაზარალებულმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, ჰოსპიტალიზებული იყო 150 კაცი. თბილისიდან ჩამოვიდა სპეციალისტ ექიმთა ჯგუფი, კარდიოქირურგი, რეანიმატოლოგი, ანესთეზიოლოგი, მოწვეული 2 ნეიროქირურგი.'' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 22 ივლისი, 1989 წელი, N136);

მატარებლების, მანქანებისთვის ცეცხლის გახსნის, ასევე სახლებისთვის ცეცხლის წაკიდების ფაქტების შესახებ ინფორმაცია, მილიციის პატრულირება ქუჩებზე, სიძნელეები სავაჭრო მომსახურების სფეროში, სხვადასხვა ორგანიზაციის მუშაკთა მიტინგები და გაფიცვები, ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრები აფხაზ და ქართველ მოსახლეობასთან, 18 ივლისს

განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების შესახებ, რომლის თანახმადაც მოქალაქეებს 23:00 საათიდან 6:00 საათამდე გარეთ გასვლა სპეციალური ნებართვის გარეშე ეკრძალებოდათ. მოცემულია ინფორმაცია მატარებლების მოძრაობის აღდგენის, სავაჭრო საქმიანობის განახლების, ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის გაგრძელების, დაღუპულთა ოჯახების დახმარების ფონდის შექმნის შესახებ ინფორმაციები. არის უამრავი მიმართვა: ახალგაზრდებისა ახალგაზრდებისადმი, ვეტერანების მიმართვა მოსახლეობისადმი, დედების მიმართვა დედებისადმი და ა.შ. მრავლადაა დამნაშავეთა დასჯის მოწოდება.

მოვლენების ტრაგედიად შეფასება

პრესაში აღნიშნული მოვლენები ტრაგედიადაა შეფასებული:

,,მოხდა უბედურება, ძმა ძმისაკენ იარაღით გაემართა, ახლა არ უნდა ვარჩიოთ, ვინ არის დამნაშავე და ვინ მართალი. ჩვენ სრულიად უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის ფაქტის წინაშე ვდგავართ'' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 27 ივლისი, N139);

საბჭოთა აფხაზეთმა გამოაქვეყნა გაზეთ კომუნისტისთვის გურამ ფანჯიკიძის მიერ მიწერილი წერილი, სადაც წარმოდგენილია 9 აპრილისა და ივლისის მოვლენებს შორის ობიექტურიანალიზი და მოვლენების ტრაგედიად შეფასება: ,,სწორედ ამ გაუგონარ სიტუაციაში გვჭირდება ერთ მუშტად შეკვრა, შედუღაბება. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? თითქოს 9 აპრილმა გაგვაერთიანა და გაგვამთლიანა, მაგრამ სამწუხაროდ, მოჩვენებითია ჩვენი კონსოლიდაცია''. (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 1 აგვისტო, N141);

გვხვდება წერილები ურთიერთნდობის აღდგენაზე, ყინულის დნობაზე, საერთო ტრაგედიაზე, პრობლემის ერთად მოგვარებაზე, ისტორიულ

მეგობრობასა და თანაცხოვრებაზე, წყენის დავიწყებაზე, აფხაზეთისთვის სიმშვიდის დაბრუნებაზე,

ვითარების სტაბილიზაციის მიზნით ჩატარებული აქტივობები:

,,ეროვნებათშორის ურთიერთობათა ნიადაგზე აფხაზეთში შექმნილ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით 12 ივლისს ქალაქ გალში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელშიც რაიონის მშრომელებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ დასავლეთ საქართველოს რაიონების წარმომადგენლები'' (,,ლენინელი'', 1989 წლის 18 ივლისი);

ხელისუფლებისა და აფხაზი სეპარატისტების კრიტიკა:

,,აფხაზების საწინააღმდეგოდ კი არ გამოვდივარ, არამედ იმათ სასტიკ დასჯას მოვითხოვ, რომლებმაც ,,ჩინმედლებისა'' და რბილი სავარძლების მიღების მოლოდინში თავიანთ მოძმე აფხაზებსაც უღალატეს. რას უცდიან და რაღას ელოდებიან საქართველოსა და აფხაზეთის ხელმძღვანელები? როდემდე უნდა ვითმინოთ?'' (,,ლენინელი'', 1989 წლის 18 ივლისი, რუბრიკა: ,,აღშფოთება'', სტატია: ჩავაქროთ ჭირი, ვიდრე ეპიდემიად არ ქცეულა.'')

,,დათმობებიც კმარა, ეს უსაფუძვლო მოფერებებიც, ლიხნის აქციების ყველა მონაწილემ, რომელთაც სულგრძელობის მეტი არაფერი არ დავუპირისპირეთ დროა იგრძნოს მაგარი ხელი! იგრძნოს ყველამ, ვინც ქართულ სისხლს ღვრიდა აფხაზეთის მიწაზე, რომ სულ ტყუილად აქვს რამეს იმედი. აფხაზეთი მუდამ საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და ასე იქნება აწ და მარადის'' (,,ლენინელი'', 1989 წლის 18 ივლისი, რუბრიკა: ,,აღშფოთება'', სტატია: ,,კმარა მოთმენა!“)

,,რა გახდა ტრაგედიის მიზეზი? პასუხი მხოლოდ ერთია, უმადური, ძმათაგამყიდველების მოქმედება, მათი აფხაზური წერილი'' (,,ლენინელი'', 1989 წლის 29 ივლისი, N91)

პროპაგანდისტული მასალები:

საკვლევი პერიოდის აფხაზეთის გაზეთების მასალთა უმეტესობა პროპაგანდისტულია, ყურადღებას იქცევს ჟურნალისტური ენაც, სადაც განსაკუთრებულად, აღმატებითი და დადებითი ტერმინოლოგიითაა წარმოჩენილი საბჭოთა ხელისუფლების როლი საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მათ შორის აფხაზეთის სსრკ რესპუბლიკის განვითარების საკითხები, ერთი მხრივ სტატიათა ნაწილი ეხება ეკონომიკურ აღმავლობას და მსგავს საკითხებს, მეორე მხრივ, საბჭოთა პროპაგანდა სრული უტიფრობით-ამტკიცებდა, რომ თითქოსდა იცავდა ეროვნულობას,ხალხთა შორის ძმობის იდეოლოგიას და ა.შ. ასეთი სტატიები მრავლად გვხვდება ყველა დამუშავებულ გაზეთში. მარტივად რომ ვთქვათ, სტატიათა უმეტესობა სწორედ ასეთია. ასე მაგალითად:

,,უმაგალითოდ გაიფურჩქნა ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, მასშტაბური ღონისძიებები ხორციელდება ქართული ენის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, მისი გამოყენების არეალის გასაფართოებლად. (ლენინელი, 1989 წლის 25 თებერვალი, N25, სტატია: ,,საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში”); ,,გაზაფხულის ათვლას აფხაზეთში 4 მარტიდან იწყებენ, ნამდვილი გაზაფხული, თავისუფლების გაზაფხული ხომ სწორედ ამ თარიღმა მოუყვანა სულის მიწას. სამოცდარვა წელი გავიდა მას შემდეგ, ვეღარ იცნობთ აფსნის მიწას, ისე შეიცვალა ამ ხნის მანძილზე აფსნი, ყოფილი რუსეთის იმპერიის მივარდნილი მხარე, დღევანდელი განახლებული საბჭოეთის ერთერთი უბრწყინვალესი თვალმარგალიტი” (ლენინელი, 1989 წლის 4 მარტი, N28, სტატი: 4 მარტი, აფხაზეთის გასაბჭოების დღეა, ზეიმია აფსნის მიწაზე”);

მედიასთან დაკავშირებული მასალები:

მედიის მნიშვნელობა:

,,დრომ განუსაზღვრელად აამაღლა ბეჭდვითი სიტყვის ფასი, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა როლი. ამით განისაზღვრება საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების, აფხაზეთის, სახტელერადიოს პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც მოწოდებულნი არიან ოპერატიული ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მდგომარეობაზე, ობიექტურად გააშუქონ მოვლენები, ფართოდ გააანალიზონ ინტერნაციონალიზმის პრინციპების დასამკვიდრებლად პარტიული ორგანიზაციების მუშაობა'' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 25 ივლისი, N137, ,,საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის V პლენუმის მონაწილეების მიმართვა აფხაზეთის კომუნისტებს'');

ბრიფინგები/შეხვედრები მასმედიის წარმომადგენლებთან:

- ✓ ,,10 აპრილს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებსა და საზოგადოებრიოების წარმომადგენლებს გააცნეს დედაქალაქის მთელი სიტუაცია და ღონისძიებანი, რომლებიც მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით ხორციელდება'' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 12 აპრილი, N70);
- ✓ ,,21 აპრილი - პრესის დღე სამისტროში: ,,9 აპრილს მომხდარმა ამბავმა შეაძრწუნა მთელი საზოგადოება, რომელიც სრულიად სამართლიანად მოითხოვდა ბრალეულთა გამოვლენასა და მკაცრად დასჯას - თქვა საქართველოს სახალხო განათლების მინისტრმა გურამ ენუქიძემ, რომელმაც გახსნა პრესკონფერენცია''(,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 21 აპრილი, N77);
- ✓ ,,21 ივლისს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლის სხდომათა დარბაზში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ჩაატარა ბრიფინგი ჟურნალისტებისთვის, რომელსაც ესწრებოდნენ ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის,

ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები''. (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 25 ივლისი, N137, ,,ბრიფინგი ჟურნალისტებისთვის'');

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კრიტიკა

საინტერესო ფაქტია, რომ, ერთი მხრივ, ვხვდებით ხელისუფლების წარმომადგენელთა კრიტიკასმედიის წარმომადგენლებისადმი, იმის თაობაზე, რომ გაზეთები არ უწევენ სათანადო პროპაგანდას პარტიულ იდეოლოგიას, მეორე მხრივ მოსახლეობის და მკითხველების კრიტიკას, რომ გაზეთები ცალმხრივად აშუქებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს:

,,მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებათა საქმიანობაში არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი და გამოუყენებელი რეზერვები. ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ გაზეთები ცხოვრების საბჭოური წესის პროპაგანდას, მშრომელ ადამიანს, იშვიათია მასალები, რომლებიც დამაჯერებლად უჩვენებდნენ ცხოვრების ყველა სფეროში წესრიგის დამყარებისთვის, ნეგატიური ტენდენციებისა და მოვლენების დაძლევისათვის პარტიული, საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევას.'' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 26 ივლისი, N138 ,,საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში);

,,ამ დღეებში აფხაზეთის რედაქციაში და რამდენადაც ვიცით არა მარტო აქ, განუწყვეტლივ რეკავს ტელეფონი, მკითხველები გამოთქვამენ გულისწყრომას, სვამენ კონკრეტულ კითხვებს: ნუთუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, ამგვარ ცილისმწამებლური, ვითარების ცალმხრივად გაშუქების მეთოდებით აპირებენ შეასრულონ თავიანთი ჰუმანური და პროგრესული მისია - ხელი შეუწყონ აფხაზეთში ეროვნებათშორისი დამოკიდებულების სტაბილიზაციას? ნუთუ ბოლო არ მოეღება არაობიექტურ და მიკერძოებულ პროპაგანდას და პასუხი არ მოეთხოვებათ ამის მოქმედთ? ძნელია არ დაეთანხმო მკითხველს. აი, მაგალითი: გუშინწინ აფხაზეთის ტელევიზიით აფხაზმა კოლეგებმა გადმოსცეს

ტელერეპორტაჟი ტყვარჩელიდან.გადაცემაში ინტერვიუთი გამოსულნი ცდას არ აკლებდნენ, რათა ცალმხრივად წარმოედგინათ აფხაზეთში მომხდარი ამბები და მათი გამოწვევი მიზეზები, ხოლო გადაცემის ორგანიზატორები ხელს უწყობენ მის ანტიქართული მიმართულებით მსვლელობას... ორიოდე დღით ადრე აფხაზეთის რადიომ რუსულ ენაზე გადმოცემულ ინფორმაციაში აღნიშნა, რომ გალისა და გულრიფშის რაიონებში მოსახლეობის ჯგუფები თავს დაესხნენ მილიციის რაიგანყოფილებებს ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის მიზნით, მაგრამ ამასთანავე რატომღაც თავი შეიკავა დაესახელებინა ანალოგიური აქტების ჩადენის ფაქტები ავტონომიური რესპუბლიკის სხვა რეგიონებში. აღნიშნული და სხვა ამისმაგვარ მაგალითების ტენდენციურობისა და არაკეთილსინდისიერების კომენტარს თვით მკითხველი გაუკეთებს'' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 22 ივლისი, N136);

ინფორმაცია პრესის მუშაობაზე

,,დიდი დატვირთვით მუშაობს ამ რთულ და დაძაბულ დღეებში აფხაზეთში მოვლინებული საკავშირო და რესპუბლიკური გაზეთების, საინფორმაციო სააგენტოების, ტელევიზიისა და რადიოს კორესპოდენტთა კორპუსი. მათთვის და ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ჟურნალისტებისთვის საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, პრესცენტრში რეგულარულად ეწყობა პრესკონფერენციები და ბრიფინგები, რომელზედაც სათანადო ოპერატიული ინფორმაციებით გამოდიან პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული და ჯანდაცვის ორგანოების ხელმძღვანელები'' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 26 ივლისი, N138);

,,მინდა ვთქვა იმ დადებით ფაქტზე, რომელიც შეასრულა აფხაზეთის ტელევიზიამ, როდესაც მოაწყო გადაცემა 21 ივლისს, სადაც გამოიყვანა აფხაზურ,

ქართულ და რუსულ ენებზე ჩვენი რესპუბლიკის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ მოწოდებაში აფხაზი და ქართველი ხალხებისადმი, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისადმი იყო გულწრფელი მამაშვილური დარიგება'' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 26 ივლისი, N138);

რუსი ჟურნალისტები ცდილობდნენ ვითარების გამწვავებას, რასაც აკრიტიკებს ადგილობრივი მედია: ,,აფხაზეთში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, აქ მომხდარ ტრაგედიას ფართოდ და ოპერატიულად აშუქებენ საკავშირო პრესა, ტელევიზია და რადიო. არის შემთხვევები, როდესაც მკითხველებს აწვდიან არაობიექტურ ინფორმაციას ან კიდევ იჩენენ უსაფუძვლო კატეგორიულობას, როგორც ეს გააკეთა აფხაზეთში სპეციალურად ჩამოსულმა გაზეთ ,,პრავდის'' კორესპოდენტმა, ე. ჩერტკოევმა, რომელმაც ჟურნალისტის პირადი პოზიციით 21 ივლისს გამოქვეყნებულ წერილში დასვა საკითხი აფხაზეთში საკომენდანტო საათის შემოღების თაობაზე. " (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 26 ივლისი, N138);

აფხაზეთში აქტიურად მუშაობს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები: ,,აფხაზეთისკენაა მიპყრობილი ამჟამად მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, რადიოს, ტელევიზიის, პრესის მუშაკთა გულისყური. ქალაქ სოხუმში შექმნილია პრესცენტრი, სადაც საკავშირო, რესპუბლიკური თუ ადგილობრივი პრესის მუშაკები აშუქებენ რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების სურათებს.

ყოველ დღე აფხაზეთიდან გადაიცემა ფოტოტელერეპორტაჟები, საგაზეთო პუბლიკაციები, დოკუმენტური მასალები'' (,,საბჭოთა აფხაზეთი'', 1989 წლის 27 ივლისი, N139);

საჯარო მიმართვები

მაგალითად: ქართველ ჟურნალისტ ქალთა მიმართვა აფხაზ დედებს:

,,ჩვენ იმ მოდგმისანი ვართ, ვეფხვის დედასთან სამძიმრის სათქმელად მისვლაც რომ ვალად გაგვიხდია, მაგრამ თუ ახლავე არ მოვეგეთ გონს და ზღვარი არ დავუდეთ ამ შემაძრწუნებელ უთანხმოებას, თუ არ დავაოკეთ ჩვენი ქმარ-შვილი, ერთმანეთთან სამძიმარზე მისასვლელ გზასაც მოვიჭრით, ასე მტრობაში დავილევით!“ (,,ავანგარდი, 1989 წლის 26 ივლისი, N 116);

გაზეთ ,,ლენინელის'' მიმართვა აფხაზეთის სხვა გაზეთებისადმი:

,,მოგმართავთ რა ამ ღია წერილით, გთხოვთ თავი შეიკავოთ ისეთი პუბლიკაციებისგან და გამოსვლებისგან, რომლებიც ხელს არ უწყობენ ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ურთიერთობის გაჯანსაღებას, კიდევ უფრო გააღრმავებენ კონფრონტაციას, შექმნიან ახალ დაძაბულობებს, გაამძაფრებენ ემოციებს, დათესავენ ეჭვს და უნდობლობას. მხოლოდ ობიექტურობა და თავშეკავება, სიმართლე და ტაქტი, გონიერება და ლმობიერება მოგცემთ საშუალებას ადამიანები გამოვიდნენ შოკის მდგომარეობიდან, დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას'' (,,ლენინელი'', 1989 წლის 27 ივლისი, N20, ,,ღია წერილი აფხაზეთის ასსრ ,,სახტელერადიოს'', ,,აფსნი ყაფშის'', ,,საბჭოთა აფხაზეთის'', ,,სოვეტსკაია აფხაზიას'', რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქციებს'').

საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა

პრაქტიკულად, ერთ-ერთი პირველი დასაბუთება დამოუკიდებლობის მოთხოვნის სამართლიანობისა გაზეთ ,,ავანგარში'' გვხვდება: ,,ძალიან ვთხოვ მკითხველ საზოგადოებასა და ჩემს შესაძლო ოპონენტებს სწორად გამიგონ, განა შეიძლება პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ჰუმანისტი, წინ აღუდგეს ერის სწრაფვას თავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისა და ყოველივე იმის მოპოვებისგან, რაც მისთვის ღვთით დაკანონებულია? არა და არა! ანათემა უნდა

მოუწყო ასეთ ადამიანს. იბრძოლოს აფხაზმა ხალხმა თავისი კანონიერი უფლებებისთვის ჩვენ ეს რატომ უნდა გვეწყინოს? მაგრამ ვიმეორებ კანონიერი უფლებების!“ (,,ავანგარდი'', 1989 წლის 16 მაისი, N76);

საინტერესოა ეროვნული მოძრაობის წევრებისადმი დამოკიდებულებაც. თუ 1989 წლის დასაწყისში ეროვნული მოძრაობის ლიდერები ან საერთოდ არ იყვნენ ნახსენები აფხაზეთის გაზეთებში ან ,,ანტისახელმწიფოებრივ'' პირებად იყვნენ მონათლულნი, წლის ბოლოს უკვე გვხვდება მერაბ კოსტავას ხსოვნსადმი მიძღვნილი სტატია, რომელშიც საუბარია აფხაზეთის მიმართ მის ამაგზე და სტატიას ახლავს მერაბ კოსტავას ფოტო გალში გამართული მიტინგიდან: ,,პირველი შეება მტერს ცხრა აპრილის ღამეს, - ამბობს მერაბ კოსტავას შესახებ მწერალი ნოდარ წულეისკირი, პირველი წავიდა აზერბაიჯანელ ტერორისტებთან ,,საომრად'', პირველი გაიჭრა აფხაზეთშიც ძმათა სისხლისღვრის აღსაკვეთად, პირველი წავიდა მესხებთანაც უმძიმესი ქართული საქმის მოსაგვარებლად და შეეწირა კიდეც ამ საქმეს. აფხაზი ექსტრემისტების გამოსვლის დროსმერაბ კოსტავას სიბრძნემ, სიდინჯემ და ალღომ გახადა შესაძლებელი, რომ ღალიძგის ხიდთან არ მომხდარიყო შეტაკება ჯარის ნაწილებთან, როცა აზვირთებული ქართველები ექსტრემისტებსა და სამხედროებს შორის აღმოჩნდნენ (,,ლენინელი'', 1989 წლის 21 ოქტომბერი, N127)

ზეპირი ისტორიები

სხვადასხვა ეპოქაში სამეცნიერო აზროვნება განსხვავებულად ვითარდებოდა და წარმატების დიფერენცირებულ საფეხურზეც იდგა. თუმცა, სამეცნიერო მუშაობის რევოლუციური ეტაპი ალბათ სწორედ მაშინ დადგა, როცა კავშირი საზოგადოებას, მეცნიერებასა და ტექნოლოგიას შორის მჭიდრო გახდა. ამ კავშირის მეშვეობით დროთა განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა

კვლევების მეთოდოლოგია და ფართოვდებოდა სამეცნიერო მუშაობის თვალსაწიერიც.

,,სამეცნიერო კვლევის ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის ემპირიული და თეორიული, ინტერდისციპლინარული და ვიწრო დარგობრივი მეთოდები. დროთა ვითარებაში იცვლებოდა მათდამი დამოკიდებულება და მათი გამოყენების მიზანშეწონილობა'' (სჯანი, 2008, №10 - ,,ზეპირი ისტორიების კვლევის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი'').

მეოცე საუკუნის 40-იან წლებში, სხვა უკვე არსებული მეთოდოლოგიების პარალელურად ჩამოყალიბდა კიდევ ერთი - **ზეპირი ისტორიის კვლევის მეთოდი,** რომელიც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო პოპულარული გახდა და დღეს, თანამედროვე სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პრაქტიკაში ძალზე ხშირად გამოიყენება.

ზეპირი ისტორია არის კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული ადამიანების მონათხრობი ტექსტით მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მიზნად ისახავს ინფორმაციის სხვადასხვა პერსპექტივიდან მიღებას, განსაკუთრებით კი ისეთი ინფორმაციისა, რომლის წერილობითი წყაროებიც არ არსებობს.

ზეპირ გადმოცემებს ხშირად გაუყალბებელ ისტორიას უწოდებენ. ამ სახის მასალა საშუალებას გვაძლევს, ესა თუ ის მოვლენა პროცესების უშუალო მონაწილეთა მონათხრობით აღვადგინოთ. ამრიგად, ეს მეთოდი უბრალო ადამიანის ინდივიდუალურ მეხსიერებას ეყრდნობა და საერთო ჯამში, კოლექტივის მეხსიერების ნაკრებს ქმნის, საიდანაც, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, სათანადო დასკვნების გამოტანა უკვე მკვლევრის პრეროგატივაა. ზეპირი ისტორიები საშუალებას გვაძლევს, უშუალო კონტაქტი გვქონდეს პირველწყაროსთან, მისგან მივიღოთ ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თეორიული დასკვნებიც გამოვიტანოთ.

ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებული არგუმენტები საკმარისია იმისთვის, რომ დავასაბუთოთ, თუ რატომ ავირჩიეთ ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მეთოდადზეპირი ისტორიები.

ზეპირი ისტორიის მეთოდით კვლევისას საშუალება მოგვეცა, 1985-1989 წლების აფხაზეთში მედიის ფუნქციონირების საკითხებზე კვლევა გვეწარმოებინა არა მხოლოდ ფაქტობრივ საკვლევ მასალასა და კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, არამედ აუთენტური ისტორიებითაც, რომლებიც ინდივიდების მეხსიერებაშია შენახული.

კვლევაში ჩართულმა რესპონდენტებმა გაგვიზიარეს პირადი ისტორიები, რომლებიც მოიცავს უამრავ საინტერესო ინფორმაციას, პირად ემოციებს, ცალკეული საკითხებისადმი სუბიექტურ თუ ობიექტურ დამოკიდებულებებს და ალბათ სამომავლო განზრახვებსა თუ მოლოდინებს. ეს მოგონებები დაფუძნებულია მათ სოციალურ და სუბიექტურ გამოცდილებაზე.

საერთო ჯამში განსხვავებული ასაკის, პროფესიის, ეროვნებისა თუ სოციალური სტატუსის მქონე რესპონდენტთაგან ჩაიწერა 30-მდე ზეპირი ისტორია. შევეცადეთ გამოგვეკითხა აფხაზეთის ყველა რაიონიდან და ქალაქიდან იძულებით დევნილი მოქალაქეები. კვლევის ფარგლებში ჩვენი რესპონდენტები იყვნენ: **გია გვაზავა** (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ბიოლოგიის დოქტორი, გენეტიკოსი, იურისტი); **ჯემალ გამახარია** (ისტორიკოსი); **ზურაბ პაპასკირი** (ისტორიკოსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი); **თეიმურაზ გვანცელაძე** (ფილოლოგი, აფხაზური ენის სპეციალისტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი); **ლია ახალაძე** (ისტორიკოსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი); **ირაკლი გელენავა** (ისტორიკოსი, დევნილი გალიდან); **მაია მირესაშვილი** (ფილოლოგი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი); **დავით ბაძაღუა**(მხატვარი); **ნინო კვარაცხელია** (აფხაზეთის მთავრობის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის

უფროსი, დევნილი სოხუმიდან); **ნონა შონია** (გალის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი, დევნილი გალიდან); **მანანა ანუა** (იური ანუას ქალიშვილი, ექიმი);**ლილი და ნანა ხურითები** (მსახიობები);**ლადო კუკულაძე** (ექიმი, ნევროლოგი, დევნილი სოხუმიდან); **ნუგზარ მგალობლიშვილი** (მხატვარი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი); **თეიმურაზ გრიგოლია** (ისტორიკოსი, დევნილი სოხუმიდან); **ირინა სორდია** (ექიმი, დევნილი გალიდან); **მარინა ბაძაღუა** (არქიტექტორი, დევნილი ოჩამჩირედან),**მარინა შენგელია** (სცენარისტ-რეჟისორი, დევნილი სოხუმიდან); **მონიკა დავლიანიძე** (თარჯიმანი, დევნილი ოჩამჩირედან); **ნინო შამუგია** (ფილოლოგი, დევნილი გალიდან); **რამაზ კილაძე**(ბოტანიკოსი, დევნილი სოხუმიდან); **სოფო ადამია** (ფილოლოგი, დევნილი გალიდან); **ლეილა ბაღბაია** (კალიგრაფი, დევნილი გალიდან); **მაია ჭაავა** (ბიოლოგი, დევნილი სოხუმიდან); **რამინ აფაქიძე** (მხატვარი, დევნილი სოხუმიდან).

ზეპირი ისტორიების კვლევის მეთოდით ანალიზისას და თეორიული დასკვნების ჩამოყალიბების პროცესში, რესპონდენტთა მონათხრობიდან ჩვენთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა:

- **1985-1989 წლებში აფხაზეთის რეგიონში მოსახლეობის უმეტესობა იწერდა და კითხულობდა ადგილობრივ პრესას, გაზეთები იყო ხელმისაწვდომი, ამ გაზეთებს იწერდნენ, ავრცელებდნენ და სამკითხველო დარბაზებშიც ინახავდნენ. შესაბამისად, პრესა იყო აზრისა და ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი საშუალება, პრესის გაცნობა - ყოველდღიური ჩვეულება მოქალაქეთათვის, ხოლო პრესის ფურცლებზე წარმოდგენილი ინფორმაცია ხშირად ხდებოდა განხილვის თემა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;**
- **ამ პერიოდის პრესის სტატიები განიცდიდა კომუნისტური იდეოლოგიის გავლენას; ძირითად ინფორმაციასთან ერთად ყოველთვის**

იგრძნობოდა პარტიული სულისკვეთება ან მასალა მთლიანად პარტიული იდეოლოგიური მიზნებით ხასიათდებოდა;

- ქართული დარუსულენოვანი პრესა უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა, ვიდრეაფხაზურენოვანი. აფხაზურენოვანს უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული გამოყენება;
- პრესის დღის წესრიგი აგებული იყო პარტიისა და ხელისუფლების დღის წესრიგით, ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლების, ბრიფინგების, განცხადებების, მიმართვებისა და ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ახალი პროექტების საფუძველზე;
- რესპონდენტების მიერ გახსენებული ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები ემთხვევა ნაშრომის პირველ თავში ჩვენ მიერ წარმოდგენილ მონიშნულ მოვლენებს;
- რესპონდენტების უმრავლესობას აღნიშნული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაცია პრესის ფურცლებიდან არ მიუღია;
- რესპონდენტების უმრავლესობას უჭირს გაიხსენოს 1989 წლამდე აფხაზეთის პრესაში ეროვნული მოძრაობის აქტივობებზე გამოქვეყნებული სტატიები;
- რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ აფხაზეთის პრესა უფრო თავისუფლად აქვეყნებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციას; ამავე პერიოდიდან გაზეთებში უფრო აქტიურდება მკითხველთა ისეთი წერილების გამოქვეყნებაც, სადაც ქართულ-აფხაზური მეგობრობისა და შუღლის დაუშვებლობაზეა საუბარი, მართალია მკვეთრად არა, მაგრამ თანდათან იცვლება ხელისუფლების კარნახით შედგენილი პრესის დღის წესრიგი, ის უფრო მოვლენათა თანამდევი ხდება და კიდევ უფრო მეტად იცვლება ფრეიმები;

- რესპოდენტთა უმრავლესობა იხსენებს, რომ იმ პერიოდის აფხაზეთის გაზეთები ინფორმაციის „ამოკითხვის" (გამორჩევის) თავისებურ მეთოდს საჭიროებდნენ, ისინი მიიჩნევენ, რომ გაზეთებში მაშინდელ მკითხველს შეეძლო პარტიული იდეოლოგიის ზეგავლენით შექმნილ სტატიებში მთავარი ამბების „ამოკითხვაც", მომხდარი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღებაც;
- რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საერთო ჯამში 1989 წლის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ძირითადი ნაწილი ასახულია აფხაზეთის პრესაში;
- რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით ყველაზე პოპულარული გამოცემა იყო „საბჭოთა აფხაზეთი";
- რესპონდენტების ინფორმაციით „საბჭოთა აფხაზეთის" გარდა, იბეჭდებოდა სხვა გამოცემებიც, რომლებიც კონკრეტული რაიონის გაზეთს ან ამა თუ იმ უწყების პერიოდულ ორგანოს წარმოადგენდა, მაგალითად„„აფხაზეთის უნივერსიტეტი";
- არ გვხვდება ტრაგედიის ამსახველი ფოტო-მასალები

თავი IV

დასკვნა

კვლევის შედეგად შევისწავლეთ 1989 წელს აფხაზეთის გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში. მასალის შესწავლისას არ განხორციელებულა შერჩევა, კვლევაში მოხვდა ყველა სახის პუბლიკაცია, რომელიც რაიმე კუთხით შეეხებოდა ზემოთ აღნიშნულ მოვლენებს. კვლევა ჩატარდა კონტენტ ანალიზის მეთოდის მეშვეობით. საბოლოოდ დადასტურდა სამივე ჰიპოთეზა:

H1. აფხაზურ მედიაში 1989 წლის 9 აპრილამდე იშვიათად და ნაწილობრივ, ხოლო შემდგომ უფრო აქტიურად ეთმობა სათანადო ყურადღება საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს;

H2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ძირითადად ეროვნულ მოძრაობას უკავშირდებოდა, საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური გავლენით შუქდებოდა. გაშუქების შემთხვევაში, პრესის ინტერესი სწორედ მოვლენების იდეოლოგიური კუთხით შეფასების მიზნით არის განპირობებული. გამოქვეყნებული მასალა, უმეტესად, ხელს უწყობდა პარტიული იდეოლოგიის გამყარებას.

H3. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ იგრძნობა მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა და იდეოლოგიის წნეხისგან თავისუფლება, ასევე, ბოლო პერიოდში იზრდება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვისა და გამოხატვის

სიხშირე და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დადებითი აქცენტებით წარმოჩენის ტენდენცია, იმ პერიოდში მიმდინარე აფხაზეთთან დაკავშირებული კონფლიქტური მოვლენების გასანეიტრალებლად;

უფრო ვრცლად, საკვლევ კითხვებზე პასუხები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

რომელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები გააშუქა აფხაზეთის პრესამ:

1989 წლის აფხაზეთის პრესაში ნაწილობრივ აისახა ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ამ პერიოდში განვითარდა საქართველოში. ძირითადად გაშუქდა ის საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა უშუალოდ აფხაზეთს: ლიხნის ყრილობა, 9 აპრილი და 16 ივლისს დაწყებული ქართულ-აფხაზური ფიზიკური დაპირისპირება. ფაქტია, რომ ბევრი ის საკითხი, რაც დედაქალაქში ან საქართველოს სხვა რეგიონში ხდებოდა, არ გაშუქებულა აფხაზეთის მედიაში. იმ პერიოდში ეროვნულ მოძრაობას რამდენიმე ,,ფრონტი'' გაუხსნა ხელისუფლებამ, თუმცა, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები პრაქტიკულად არ განხილულა აფხაზეთის გაზეთებში და ცხადია, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ხელისუფლების მიერ კონტროლირებული პრესა თბილისში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს არ ახმაურებდა, აფხაზეთში კი - დანარჩენ საქართველოში მიმდინარე მოვლენების დაფარვას ცდილობდა.

ნაწილობრივ გაშუქდა და ძალიან მცირე გამოხმაურება მოჰყვა მედიაში ,,ლიხნის ყრილობას'', რაც გახლდათ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა საქართველოს უახლეს ისტორიაში; აქტიურად გაშუქდა 1989 წლის აპრილის მოვლენები, 9 აპრილის ტრაგედიამდე შედარებით ნაკლები რაოდენობის სტატიები გვხდება, თუმცა 9 აპრილის ტრაგიკული ღამის შემდეგ ათობით სტატია ქვეყნდება გაზეთებში როგორც მომხდარი ტრაგედიის, ისე

შემდეგ დღეებში არსებული ვითარების შესახებ;კიდევ უფრო მეტი სტატია გვხვდება 1989 წლის ზაფხულში აფხაზეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შესახებ,სოხუმის უნივერსიტეტის ქართული სექტორის თბილისის უნივერსიტეტის ფილიალად გამოცხადების ინიციატივასთან დაკავშირებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, სოხუმში ერთდროულად ქართველებისა და აფხაზების მიერ ორგანიზებული მიტინგები, ვოვა ვეკუას ტრაგიკული დაღუპვის საკითხები და ა.შ. პრაქტიკულად, ზაფხულის დაძაბულობა აფხაზეთში იყო ჩვენს საკვლევ პერიოდში ყველაზე აქტიურად გაშუქებადი საკითხი აფხაზური პრესის მიერ.

როგორი იყო გაშუქებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების სიხშირე, აქცენტები და ტენდენციები:

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ეროვნულ მოძრაობას უკავშირდებოდა 1989 წლის პირველ ნახევარში ძირითადად ნეგატიურ კონტექსტში და საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური გავლენით შუქდებოდა. გაშუქების შემთხვევაში, პრესის ინტერესი სწორედ მოვლენების იდეოლოგიური კუთხით შეფასების მიზნით არის განპირობებული. გამოქვეყნებული მასალა უმეტესად ხელს უწყობდა პარტიული იდეოლოგიის გამყარებას. ჟანრობრივად სჭარბობდა საინფორმაციო ხასიათის სტატიები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გააქტიურებასთან ერთად იზრდებოდა მედიაში აღნიშნული მოვლენების გაშუქების სიხშირე. ასევე, რაც უფრო მეტ მასშტაბს იძენდა ეროვნული მოძრაობა, გაზეთებში უფრო მკვეთრად ისმოდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. რაც უფრო ღვივდებოდა და სააშკარაოზე გამოდიოდა ეროვნებათშორისი კონფლიქტი, მით უფრო ხშირად გამოიხატებოდა გაზეთებში საკითხის ტრაგიკულობა და ქართულ-აფხაზური მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეა. ასე მაგალითად: 1989 წლის 25 თებერვლის მასშტაბური საპროტესტო აქციის შესახებ საერთოდ ვერ ვხვდებით ინფორმაციას

აფხაზეთის გაზეთებში, მარტში ლიხნის ყრილობაც არ შუქდება აქტიურად, თუმცა აპრილის მოვლენები და ივლისის კონფლიქტი უკვე მასშტაბურად აისახა მედიაში. 1989 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებულ სტატიებში ეროვნული მოძრაობა ანტისახელმწიფოებრივ მოვლენადაა მოხსენიებული, ზაფხულში გაზეთის ფურცლებიდან უკვე ისმის არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლების ან პარტიული ინტელიგენციის ხმა, არამედ საზოგადოებრივი აზრიც, მოსახლეობის თამამი შეკითხვები: აქვს თუ არა უფლება საქართველოს მოითხოვოს დამოუკიდებლობა?რა იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზი?ნელ-ნელა იცვლება მედიის ენა რედაქციის მიერ მომზადებულ მასალაშიც. მაგ.: შემოდგომაზე ეროვნული მოძრაობის ლიდერები უკვე მამულიშვილებად არიან ნახსენები და მერაბ კოსტავას გარდაცვალების გამო გამოქვეყნებული სტატიები სამგლოვიარო ხასიათისაა, მისი აქტიურობა, განსაკუთრებით აფხაზეთის მოვლენების დროს - გმირობადაა შერაცხული.

ამრიგად, მართალია ნელა, მაგრამ იცვლებოდა მედიის ენა, მესიჯები, პათოსი და ტენდენციები. თუ წლის დასაწყისში ძირითადად პარტიული ნომენკლატურის მიერ შექმნილი შინაარსი გვხვდებოდა, წლის მეორე ნახევარში უკვე მედიის შინაარსი, დღის წესრიგი და ფრეიმები მოვლენათა გავლენითაც იქმნება. იცვლება მედიის ადრესატები და წყაროები, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად უკვე უბრალო მკითხველების კრიტიკულ წერილებსაც ვხვდებით. ისიც საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი გაზეთები მომდევნო წლებშიც გამოდის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ისინი პრაქტიკულად სხვა შინაარსის გაზეთებად იქცევიან, სადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები უფრო ობიექტურად ფასდება.

ჯამში, 1989 წელს პერიოდული გამოცემები კონცეპტუალურად იყო მაინც პარტიული იდეოლოგიის მატარებელი და მისი ძირითადი წყაროც იყო უფრო სახელისუფლებო ორგანოები/პირები. თუმცა წლის ბოლოს საბჭოური იდეოლოგიის მატარებლობა უკვე წარსული ინერციით იყო განპირობებული,

ვიდრე ამ იდეოლოგიის გაზიარებით. ცხადია, წლების განმავლობაში პარტიული იდეოლოგიით მართული პრესა უცებ ვერ ტრანსფორმირდებოდა, ვერც სამეტყველო ენას, ფრეიმებს ან წყაროებს შეიცვლიდა ერთბაშად. თუმცა, ფაქტია, რომ აფხაზეთის პრესაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების კონტექტსში იკვეთება საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული მოძრაობის იდეოლოგია, საზოგადოებრივი აზრი ხდება ერთ-ერთი წყარო მოვლენების სწორად აღქმისთვის და მცირედ ცვლილებებს განიცდის ჟურნალისტური ენაც. ეს ცვლილებები მომდევნო წლებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესების პარალელურად - კიდევ უფრო აშკარა და თვალსაჩინო ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამახარია ჯ., ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან / რედ.: ლევან თოიძე. - თბ. : საქართველო, 1991;

2. ვაჩნაძემ., საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები / [რედ.: გულივერ იობაშვილი]. - თბ. : ინტელექტი, 1998;

3. ზურაბიშვილი თ., თვისებრივი მეთოდები სოციალურკ ვლევაში: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის / თინათინ ზურაბიშვილი; [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა] - თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006;

4. იზორია ლ. ,,აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა 1945–1993 წწ.'', თბ. 2015;

5. კაპანაძე გ. „ქართული მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში“. თბ., 2004;

6. კვესელავა ი. დისიდენტური მოძრაობა საქართველოში. თბ., 1999;

7. კვესელავა ი. საბჭოური პოლიტიკური მმართველობა და ანტისაზოგადოებრივი მოვლენების თავისებურებანი. თბ. 1999;

8. კვესელავა ი. საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1999;

9. მაჭარაშვილი ნ, ბასილაია ე, ტანგიაშვილი ნ. პოლიტიკის ადვოკატირების წარმატება საქართველოში: არასამთავრობო ორგანიზაციების საჯაროპოლიტიკაზე ზეგავლენისშესაძლებლობები. თბ. 2015;

10. მაისაშვილი ხ.: ,,სამშობლო, ერი, სახელმწიფო და ქართული ელიტები'', https://semioticsjournal.wordpress.com;

11. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე / [ავტ. კოლ.: ჯემალ გამახარია, ლიაახალაძე, მალხაზ ბარამიძე და სხვ.; სარედ. კოლ.: ჯემალ გამახარია და სხვ.]; თბ., 2007;

12. პაპასქირი, ზ. აფხაზეთი საქართველოა: [ისტორიულ-პუბლიცისტური სტატიები] / ზურაბპ აპასქირი; [რედ. როინ მეტრეველი]; თსუ-ს სოხუმის ფილიალი, აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი. - თბ., 1998;

13. სონღულაშვილი ა. 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია/[რედ.: ა. დაუშვილი]; საქ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტი. - თბ., 1999;

14. „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის“ ვებგვერდი: www.npg.gov.ge;

15. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე : სახელმძღვ. ისტ. ფაკ. სტუდ. / [ავტ.: ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე, დიმიტრი შველიძე და სხვ.] ; თსუ. - თბ., 2003;

16. ყორანაშვილი, გ. 9 აპრილი: მითი და სინამდვილე: (ისტორიკოსის თვალთახედვით). - თბ.: 2001;

17. შველიძე დ., პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.) /[რედ. ვახტანგ გურული]. - თბ., 2008;

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ana Bakanidze

Abkhazian region press in the context of socio-political events (according to the 1989 year's press materials)

Mass Communication and Media Study

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of
Master of Mass Communication and Media Studies

Supervisor: Mari tsereteli

Tbilisi, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით გაფრინდაშვილი

ქვემო ქართლის რეგიონის რესურსული პოტენციალის გამოყენების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეოგრაფიული ასპექტები

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: **ნინო პავლიაშვილი**
ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი

თბილისი 2018

ანოტაცია

ნაშრომის მთავარი **მიზანია** ქვემო ქართლის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეოგრაფიული კვლევა - ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ათვისების ხარისხის შესწავლა და ეკონომიკის ძირითადი დარგების დინამიკისა და გავლენისკვლევა მოსახლეობისკეთილდღეობის ხელშეწყობისათვის. მიგვაჩნია, რომ თემა საკმაოდ **აქტუალურია**, რადგან ქვემო ქართლი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ პრობლემურ რეგიონს (დეპოპულაცია, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი), ამიტომ ამ მიმართულებით ნებისმიერი სახის კვლევა მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტად დაინტერესდება საზო-გადოება აღნიშნული საკითხით, მით უფრო დიდი ნაბიჯები გადაიდგმება არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **ობიექტია** ქვემო ქართლის რეგიონი, კვლევის **საგანია** ქვემო ქართლის რეგიონის გეოგრაფიული ათვისებულობისა და განვითარების დინამიკის შესწავლა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. ნაშრომის მთავარი **ამოცანაა** გამოიკვეთოს ქვემო ქართლის ბუნებრივ-რესურსული ათვისების პოტენციალი რეგიონის სოცია-ლურ-ეკონომიკური განვითარებისა და შემდგომი წინსვლის ხელშეწყობისათვის.

Annotation

The main point of my master thesis is to research geographic aspects of socio-economic development of Kvemo kartli region, including, exploitation resource potential and research of dynamics and influence of the main branches of economics on social welfare. We consider the topic is quite important, because Kvemo Kartli is one of problematic regions in Georgia (Depopulation, difficult social and economic background), hence any kind of research in this field is very considerable. If the society is more interested in this issue, more steps will be done to solve the problems. The object of the following master thesis is Kvemo Kartli region. The research subject is to investigate geographic exploitation and development dynamics of Kvemo Kartli to improve the population living conditions. The following thesis task is to research geographic aspects of exploitation resource poetical for social-economic development of the region.

სარჩევი

შესავალი.....5

თავი 1. თეორიული მიდგომა (ეკონომიკური განვითარების ნეოკლასიკური თეორიები: კოორდინაციის მარცხის თეორია).....7

თავი 2. რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება.....9

თავი 2.1. მოსახლეობა.....10

თავი 2.2. ბუნებრივი რესურსების სამეურნეო შეფასება.....15

თავი 3. რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურა.....20

თავი 4. გარემოს დაცვა.....36

თავი 5. პრობლემები და პერსპექტივები.....44

დასკვნა.....50

გამოყენებული ლიტერატურა.....53

დანართი.....54

შესავალი.

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი კუთხეა, რომელსაც განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, თუმცა, დღესდღეობით, რეგიონში საკმაოდ მძიმე ვითარებაა შექმნილი, რაც არაერთ პრობლემაში (მაგალითად, მოსახლეობის დეპოპულაცია, უმუშევრობა, ეკოლოგიური პრობლემები, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი) გამოიხატება. ნაშრომში სწორედ აღნიშნულ პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული. სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** ქვემო ქართლის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეოგრაფიული კვლევა - ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ათვისების ხარისხის შესწავლა და ეკონომიკის ძირითადი დარგების დინამიკისა და გავლენის კვლევა მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობისათვის.

მიგვაჩნია, რომ თემა საკმაოდ **აქტუალურია**, რადგან ქვემო ქართლში უმუშევრობის საკმაოდ დიდი მაჩვენებელია, ასევე მძიმეა სოციალურ-ეკონომიკური ფონი და ძალიან მწვავეა ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. ამავე დროს ამ რეგიონს საკმაოდ დიდი რესურსული პოტენციალი გააჩნია მისი მომავალი განვითარებისთვის. ამიტომ ამ მიმართულებით ნებისმიერი სახის კვლევა მნიშვნელოვანია. აუცილებელია საზოგადოების რაც შეიძლება ფართო მასების დაინტერესება აღნიშნული საკითხით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **ობიექტია** ქვემოქართლის რეგიონი. კვლევის **საგანია** რეგიონის გეოგრაფიული ათვისებულობისა და განვითარების დინამიკის შესწავლა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. ნაშრომის მთავარი **ამოცანაა** გამოიკვეთოს ქვემო ქართლის ბუნებრივ-რესურსული ათვისების პოტენციალი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შემდგომი წინსვლის ხელშეწყობისათვის.

ამასთან, ტექსტს თან ახლავს საინტერესო სტატისტიკური და საილუსტრაციო მასალა, რაც უფრო მრავალფეროვანს ხდის ნაშრომს. გარდა ამისა, ინფორმაციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მოძიებულია ადგილზე, ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების გზით. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოვიყენე

კვლევის რამდენიმე მეთოდი. კერძოდ, ნაშრომის ძირითად წყაროდ გამოყენებულია ქვემო ქართლის რეგიონის მთავრობის მიერ შექმნილი დოკუმენტები, შესაბამისად, გამოვიყენე *სალიტერატურო მეთოდი.* ნაშრომში წარმოდგენილია მდიდარი სტატისტიკური მასალა, ამიტომ გამოვიყენე *სტატისტიკური მეთოდი.* ასევე, ნაშრომში წარმოდგენილი რამდენიმე რუკა შექმნილია პროგრამა გის-ში (გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები), აქედან გამომდინარე, გამოვიყენე *კარ-ტოგრაფიული მეთოდი.* გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მივმართე *სოციოლოგიურ მეთოდს* და გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუებისთვის რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ინტერვიუები ჩავწერე ბოლნისის რაიონის მაცხოვრებლებთან, (დიდი მანძილისა და დროის დეფიციტის გამო, ვერ მოხერხდა რეგიონის სრული მოცვა). სულ გამოვკითხე 20 რესპონდენტი. ინტერვიუების ჩატარების მთავარი მიზანი იყო ქვემო ქართლის მოსახლეობის აზრის გამოკვეთა რეგიონში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან, მათი წარმოშობის მიზეზებთან და გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. ასევე, კვლევის შედეგებმა აჩვენა გამოკითხული მოსახლეობის აზრი ეკონიმიკის იმ დარგების შესახებ, რომელთა განვითარებაც ყველაზე პერსპექტიულად მიაჩნიათ ქვემო ქართლის რეგიონისთვის. კვლევის შედეგებზე უფრო დაწვრილებით მეშვიდე თავში ვისაუბრებ.

რაც შეეხება სიახლეს, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტიპის კვლევა, სადაც კომპლექსურად იქნებოდა განხილული და გაანალიზებული ქვემო ქართლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, აქამდე არ შექმნილა (სამთავრობო დოკუმენტები, რომლებიც ძირითად წყაროდ მაქვს გამოყენებული ნაშრომში, მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისაა). ამიტომ აღნიშნული ნაშრომი შეიძლება საინტერესო წყარო გახდეს მომავალში ქვემო ქართლის კვლევით დაინტერესებული პირებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება ანოტაციის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შესავლის, 5 თავის, 2 ქვეთავის და დასკვნისგან, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის და დანართისაგან 53-54 გვერდებზე.

თავი 1. თეორიული მიდგომა (ეკონომიკური განვითარების ნეოკლასიკური თეორიები: კოორდინაციის მარცხის თეორია)

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ, რამდენად ერგება საქართველოს რეალობა ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო თეორიებს. კერძოდ, რამდენად ექვემდებარება (ან არ ექვემ-დებარება) ქვემო ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და ტურისტული რეგიონი განვითარების მოდელების მეცნიერულად აღიარებულ ნორმებს.

ჩვენი ნაშრომი ეყრდნობა **ეკონომიკური განვითარების ნეოკლასიკურ თეორიას**, კერძოდ:*კოორდინაციის მარცხის თეორიას.*

1980-იან წლებში წინა პლანზე წამოვიდა *ნეოკლასიკური თეორიები.* მისი მომხრეები აცხადებდნენ, რომ ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზია არა საერთაშორისო ფირმებისა და განვითარებული სახელმწიფოების დომინირება, არამედ ადგილობრივი მთავრობების საშინაო პოლიტიკა, კერძოდ, რესურსების არათანაბარი განაწილება, ფასების დამახინჯება და სახელმწიფოს ზედმეტი ჩარევა ეკონომიკაში (Meier, 2000 in Springer, p. 19). თეორიის მომხრეები საკითხის გადაჭრას ხედავდნენ თავისუფალი ბაზრის განვითარების ხელშეწ-ყობაში და პროტექციონიზმის, სუბსიდირებისა და სახელმწიფო სექტორის შეზღუდვაში, რაც ლიბერალიზაციით, სტაბილიზაციით და პრივატიზაციით მიიღწევა. ამასთან ერთად, ეკონომიკის ეფექტურობის ზრდას ხელს უწყობენ უცხოური კერძო ინვესტიციები. მიუხედავად ამისა, ემპირიულად, აღნიშნულმა მოდელებმა მოსალოდნელი შედეგები ვერ მოიტანა, რაც ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ისტორიულ და კულტურულ ასპექტებს და სხვა ფაქტორებს უკავშირდება (Springer, p.19).

1990-იან წლებში პოპულარული გახდა *კოორდინაციის მარცხის თეორია.* ამ თეორიის მომხრეები (Hoff, 2000; Boweles Durlauf and Hoff, 2006; Glavan, 2008) ეკონომიკას ეკოსისტემას ადარებენ და აღნიშნავენ, რომ სისტემამ გამართულად რომ იმუშაოს, საჭიროა ყველა კომპონენტი შეთანხმებულად ფუნქციონირებდეს. როგორც წესი, შუძლებელია ბაზარზე ყველა ისე მოქმედებდეს, რომ ეკვილიბრიუმი ანუ

სრული წონასწორობა იყოს დაცული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფირმის წარმატება მხოლოდ მის უნარებზე, ძალისხმევაზე, საერთო ეკონომიკურ პირობებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ სხვა აქტორებზეც - სხვა ფირმებზე, ინფრასტრუქტურაზე, რეგულაციებზე, მოსახლეობის შემოსავლებზე და სხვა. კოორდინაციის მარცხის თეორიის მომხრეები აცხადებენ, იმისათვის, რომ გარკვეული წონასწორობა იქნას მიღწეული, შესაძლებელია მთავრობამ „ბიძგი მისცეს" პროცესებს გარკვეული რეგულაციების სახით. ბოლო ათწლეულებში ასეთი „დიდი ბიძგის" („Big push") სტრატეგიის გამტარებლად მრავალ განვითარებად ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციები გვევლინება (მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამა). ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში, მიუხედავად რამდენიმე საერთაშორისო და ლოკალური ორგანიზაციის მოღვაწეობისა, ვერ მიიღწევა ის შედეგი, რისი მოლოდინიც მოსახლეობას აქვს, ანუ ვერ ხერხდება სიღარიბის დაძლევა, ასეთ დროს მნიშვნელოვანია მთავრობის როლი, რომელიც გამოდის, როგორც მარეგულირებელი. თუკი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად (როგორიცაა ზემოთ აღნიშნული გაეროს განვითარების პროგრამა, ათასწლეულის გამოწვევა და სხვა) ქვეყნის ხელისუფლება ჩადებს დიდ კაპიტალს საჯარო ადმინისტრირებაში, მოახდენს ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში, ინ-ფრასტრუქტურულ პროექტებში და ა.შ., სიღარიბის დაძლევა უფრო იოლად მოხდება.[1] სწორედ ეს მიდგომა ერგება ყველაზე მეტად ქვემო ქართლის რეგიონის რეალობას, სადაც ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებისთვის სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების შეთანხმებული თანამშრომლობა სახეზეა.

[1]Springer. (2015). Science+Business. Chapter 2. Theories of Economic Development. Media Singapore.

თავი 2. რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება

ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთით - თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა- მთიანეთი, აღმოსავლეთით - კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით - სომხეთის რესპუბლიკა. ქვემო ქართლის ფართობია 6,5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 9,3%. რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად 424,769 ათასია. რეგიონში შედის 347 დასახლებული პუნქტი - 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელი. **იხ რუკა N1.**

რეგიონის მოსახლეობის 39% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 61% - სოფლებში. მაღალმთიან დასახლებებს მიეკუთვნება დმანისის მუნიციპალიტეტის 19 (1500 მ-ზე ზევით), წალკის მუნიციპალიტეტის 46 (1500 მ-ზე ზევით) და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 35 სოფელი (1300 მ-ზე ზევით). მოსახლეობის 44,7% ეთნიკურად ქართველია, 45,1% - აზერბაიჯანელი, 6,4% - სომეხი, ხოლო 3,8% - აფხაზი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი. ამასთან, რუსთავსა და თეთრწყაროში ჭარბობს ეთნიკურად ქართული, წალკაში - სომხური და ბერძნული, ხოლო გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში - აზერბაიჯანული მოსახლეობა. მოსახლეობის სიმჭიდროვე რეგიონის ტერიტორიაზე შეადგენს 128 ადამიანს კვ.კმ-ზე.

ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედებს 7 თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქი რუსთავი და ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები. რეგიონალურ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქ. რუსთავშია განთავსებული.

ქ. რუსთავი უშუალოდ ესაზღვრება ქვეყნის დედაქალაქს - თბილისს. ქვემო ქართლის სიახლოვე ქ. თბილისთან, თბილისის აეროპორტთან და აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან, მისი მდებარეობა სატრანსპორტო კორიდორების

გადაკვეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოკორიდორის ზონაში და ურბანიზაციის მაღალი დონე რეგიონს განვითარების კარგ შესაძლებლობას უქმნის. ქვემო ქართლის რეგიონი მოქცეულია ზომიერ და სუბტროპიკულ სარტყელებს შორის. რელიეფის თავისებურების გამო, რეგიონის ჰავა საკმაოდ მშრალია. ქვემო ქართლის ბარის ნაწილი მიეკუთვნება ნახევრად ზღვიურ, საკმაოდ ზომიერ კონტინენტური ჰავის ტიპს. რეგიონის შუა სარტყელში ჰავა შედარებით გრილი და ნესტიანია. კიდევ უფრო მაღლა გამეფებულია სუბნივალური ჰავა.

ქვემო ქართლი მდიდარია წიაღისეული რესურსებით, რომელთა პოტენციალი მხოლოდ ნაწილობრივ არის ათვისებული. რეგიონში შესაძლებელია ქარის, მზის და ბიოგაზის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება. სხვა რეგიონებთან შედარებით, ქვემო ქართლში ბუნებრივი მატების შედარებით დადებითი დინამიკაა, რაც წესით ნიშნავს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, რეგიონში მზარდი მოსახლეობის სოციალური ინფრასტრუქტურით, სოციალური მომსახურებით და სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის გამოწვევა არსებობს. თუმცა რეალობაში, სახეზე გვაქვს რეგიონის დეპოპულაცია, რაც მიგრაციულ პროცესებთანაა დაკავშირებული, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებ.[2]

2.1. მოსახლეობა

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ქვემო ქართლის მოსახლეობა 424,769 ათას ადამიანს შეადგენს, რაც 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, 14,6%-ით ნაკლებია. მოსახლეობის საშუალო ასაკი 35,6-ს შეადგენს, აქედან მამაკაცებში 33,6 და ქალებში 37,5 წელს წელს. აქვე საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი მატების დადებითი ბალანსი აღინიშნა. რეგიონის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს შიდა და გარე მიგრაცია. როგორც ვხედავთ, რეგიონში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება საკმაოდ შემაშფოთებელია, ბოლო 12 წლის განმავლობაში რეგიონის მოსახლეობა საგრძნობი რაოდენობით შემცირდა, რაც ზუსტად მიგრაციულ პროცესებთან არის

[2] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94 2017 წ 15ნოემბერი.

დაკავშირებული. მიგრაციული პროცესები კი გამოწვეულია არასაკმარისი სამუშაო ადგილებით, დაბალი ანაზღაურებით, დასაქმების მცირე პერსპექტივით და მძიმე სოციალური პირობებით.[3]

სამწუხაროდ, ქვემო ქართლიდან მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკის აღრიცხვა არ ხდება. მცირე, მაგრამ გარკვეული სახის ინფორმაციას იძლევა 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. კერძოდ, საქართველოში **შიდა მიგრანტთა** *(პირები, რომლებმაც შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ფარგლებში)* რაოდენობა შეადგენს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 28,5%-ს. აქედან, ქვემო ქართლში ცხოვრობს შიდა მიგრანტთა მხოლოდ 8,9%. რაც შეეხება **იმიგრანტებს** *(პირები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ საზღვარგარეთ 12 თვეზე მეტ ხანს)*, მათი რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 5%-ს შეადგენს. რეგიონში მცხოვრები იმიგრანტების რაოდენობა შეადგენს საქართველოში მცხოვრე-ბი იმიგრანტების რაოდენობის მხოლოდ 11%-ს. რაც შეეხება **ემიგრანტების** *(2002 წლის 1 იანვრიდან საქართველოდან უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად წასული პირი, რომლის არყოფნა საქართველოში აღემატებოდა 12 თვეს ან რომელიც აპირებდა საზღვარგარეთ დარჩე-ნას 12 თვეზე მეტ ხანს)* განაწილებას რეგიონების მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონიდან ემიგრირებულია საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის მხოლოდ 12,5%.[4] ეს უკანასკნელი მონაცემები რთულია დადებითად მივიჩნიოთ, რადგან ქვემო ქართლი საქართველოს სხვა რეგიონებისგან აშკარად გამოირჩევა შიდა და გარე მიგრანტების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით, რაც რეგიონის მოსახლეობის კლებაში გამოისახა.

რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობამ 2017 წელს სულ 191,7 ათასი ადამიანი შეადგინა. უმუშევრობის დონემ 8,6%-ს შეადგინა. ასევე აღსანიშნავია, რომ ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალოთვიურმა ანაზღაურებამ 779,2 ლარი შეადგინა. საშუალო თვიური ანაზღაურების ოდენობით, ქვემო ქართლი

[3]სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2017 წელი). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. თბილისი გვ. 3
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/agceris%20cinascari%20shedegebi_30.04.2015.pdf
[4]სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2016 წელი). „მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღ-წერის ძირითადი შედეგები". თბილისი. გვ. 13-15.
ბმული: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf

საქართველოს რეგიონებს შორის მეორე ადგილს იკავებს და მხოლოდ მცხეთა-მთიანეთს ჩამორჩება. უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური მონაცემები რეგიონში დასაქმების რეალურ დონეს არ ასახავს, რაც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულების დასაქმებულებად მიჩნევით არის განპირობებული. თვითდასაქმებულთა უდიდესი ნაწილი, მათი შრომითი საქმიანობის საშუალო წლიური ხანგრძლივობისა და დაბალი შემოსავლების გათვალისწინებით, ვერ მიეკუთვნება სრულფასოვან დასაქმებულთა კატეგორიას. საშუალო თვიური ანაზღაურების ოდენობით, ქვემო ქართლი საქართველოს რეგიონებს შორის მეორე ადგილს იკავებს და მხოლოდ მცხეთა-მთიანეთს ჩამორჩება. რუსთავის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისშია დასაქმებული. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა დარგებზე შემდეგი სახით არის განაწილებული: **იხ. დანართი, დიაგრამა N1.** [5]

მოსახლეობის შემოსავლებში დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავალს ყველაზე დიდი წილი უჭირავს (41%). რეგიონში შინამეურნეობის ყოველთვიური საშუალო ფულადი და არაფულადი შემოსავლები 2016 წელს 485,3 ლარს, ხოლო ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები 412,8 ლარს შეადგენდა. ამ მაჩვენებლებით, ქვემო ქართლი საქართველოს ათ რეგიონს შორის, შესაბამისად, მეცხრე და მეშვიდე ადგილს იკავებს. შინამეურნეობების შემოსავლები მათი სახოების მიხედვით შემდეგი სახით არის განაწილებული: **იხ. დანართი, დიაგრამა N2.**[6]

რეგიონში მაღალია სიღარიბის მაჩვენებლები. ჯერ კიდევ 2012 წელს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო 45,9 ათასი ოჯახი, რომელთაგან შემწეობას იღებდა 9841 ოჯახი. ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობის დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ქვემო ქართლი საქართველოს რეგიონებს შორის პირველ ადგილს იკავებს.

ქვემო ქართლში ირიცხება საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღები 73,6 ათასი პირი, რაც მოსახლეობის 14,4%-ს შეადგენს და მნიშვნელოვნად ნაკლებია ქვეყნის

[5] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

[6] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

საშუალო პროცენტულ მაჩვენებელზე (19,05%). საარსებო შემწეობის მიმღებთა შორის ჭარბობს 40-60 წლის ასაკობრივი კატეგორია, რაც რეგიონში უმუშევრობის კრიტიკულ დონეს კიდევ ერთხელ ადასტურებს. ქ. რუსთავში ფუნქციონირებს რამდენიმე თავშესაფარი: მოხუცთა თავშესაფარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლი, რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი. ქ. გარდაბანში ფუნქციონირებს მუნიციპალური თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, რომლის ბენეფიციართა რაოდენობა 40 ბავშვს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არის უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი სამშენებლო სტანდარტების დაცვა, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სათანადო ინტეგრირებას. ქვემო ქართლში აღრიცხულია 6805 შშმ პირი, რომელთა 36,5% (2483 პირი) საარსებო შემწეობას იღებს. რეგიონში ირიცხება 12,3 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი (4097 ოჯახი), რაც რეგიონის მოსახლეობის 2,4%-ს, ხოლო საქართველოში აღრიცხული დევნილების 5%-ს შეადგენს. დევნილები განსახლებული არიან რამდენიმე თვითმმართველ ერთეულში. მათი უმრავლესობა (9,5 ათასი ადამიანი) ინდივიდუალურად არის ჩასახლებული.[7]

ჯანმრთელობის დაცვა. დედაქალაქთან სიახლოვის გამო, მოსახლეობის უმეტესობა ხარისხიანი სამედიცინო დახმარების მისაღებად თბილისის სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავს. ექიმების რაოდენობა 1000 კაცზე 2.5-ს შეადგენს, რაც ოდნავ ნაკლებია საქართველოს საშუალო მაჩვნებელზე, თბილისის გარდა (2.9). ქვემო ქართლში მოქმედებს 16 საავადმყოფო 770 საწოლით. რეგიონის ყველა თემს ემსახურება 158 სოფლის ექიმი. გარდა ამისა, რეგიონში არსებობს 17 დამოუკიდებელი სამედიცინო ამბულატორია, 12 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა და კაბინეტი, 6 დისპანსერი, 3 სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი, 1 ქალთა კონსულტაცია. ყველა თვითმმართველ ერთეულში ფუნქციონირებს ეპიდემიოლოგიური სამსახური. რეგიონში არსებობს 2 სისხლის გადასხმის ცენტრი, რომლებიც რეგიონის ყველა თვითმმართველ ერთეულს ემსახურება. რეგიონში

[7] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.6-7.

ექიმების რაოდენობა 1,3 ათასს, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა 1,1 ათასს შეადგენს. კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ მარნეულში, გარდაბანში, თეთრიწყაროსა და წალკაში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფოები. მარნეულისა და გარდაბნის საავადმყოფოებს აქვს 25-25 საწოლი, თეთრიწყაროს საავადმყოფოს - 20 საწოლი, ხოლო წალკის საავადმყოფოს - 15 საწოლი. რეგიონში არსებობს 7 სასწრაფო დახმარების სადგური და მოქმედებს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების 28 ბრიგადა. თუმცა, მანქანების უმეტესობა ამორტიზებულია და ავტოპარკი განახლებას საჭიროებს.[8] **იხ ცხრილი N1.**

განათლება. რეგიონში ფუნქციონირებს 268 საჯარო სკოლა, რომლებშიც სულ 65,9 ათასი მოსწავლე სწავლობს. სკოლების ინფრასტრუქტურა, ძირითადად, დამაკმაყოფილებელია. თუმცა, არის სკოლები, რომლებიც სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. მოსწავლეებს, რომელთა სოფლები სკოლიდან 3 კმ-ზე მეტითაა დაშორებული, ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი. რეგიონის ტერიტორიაზე მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მოქმედებს 71 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. სკოლამდელი დაწესებულებები ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტებიდან. დაწესებულებების უმრავლესობა საფუძვლიან რეაბილიტაციას და სათანადო ინვენტარით აღჭურვას საჭიროებს. სკოლამდელი დაწესებულებების ნაკლებობა სოფლებში იგრძნობა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაქართული მოსახლეობის მხრიდან ქართულ ენოვან ბაღებზე მოთხოვნა გაიზრადა. რეგიონში მოქმედებს 2 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. გარდა ამისა, ქ. რუსთავში მოქმედებს 2 საშუალო პროფესიული გადამზადების დაწესებულება, სადაც რამდენიმე პროფესია ისწავლება. აღნიშნული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები საკმაოდ შეზღუდულია. ზოგადად, რეგიონში საგანმანათლებლო დაწესებულებების დეფიციტია. დედაქალაქთან სიახლოვის გამო, ქართულენოვანი ახალგაზრდობა ამჯობინებს უმაღლესი განათლება თბილისში მიიღოს. ეთნიკურად არაქართველი ახალგაზრდები უმაღლესი განათლების მისაღებად, ხშირად, ბაქოსა და ერევანში მიდიან (მიუხედავად იმისა, რომ იქ უფრო ძვირია სწავლის გადასახადი) და მათი

[8] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/2014/Failebi/Angarishebi/2_year-qvemo_qartli.pdf 2017 წლის 21 დეკემბერი.

ძალზე მცირე ნაწილი სწავლობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ქართული ენის არცოდნის გამო, სწავლის გაგრძელების სურვილს არ ამჟღავნებს და ისინი, ხშირად, მეათე-მეთერთმეტე კლასში წყვეტენ სწავლას. აზერბაიჯანულ მოსახლეობაში გამოკვეთილია დამამთავრებელი კლასის გოგონების დაქორწინების ტენდენცია, რის შემდეგაც ისინი სკოლას აღარ ამთავრებენ.[9] **იხ. ცხრილი N2.**

2.2 ბუნებრივი რესურსების სამეურნეო შეფასება

ქვემო ქართლის რეგიონი მდიდარია **წყლის რესურსებით** - მდინარეებით, ტბებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლებით. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, მცირეა მინერალური წყლის (მხოლოდ ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არის მინერალური სამკურნალო მჟავე და გოგირდოვანი წყლები) და თერმული წყლის რესურსები. აღსანიშნავია ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები. რეგიონში არსებული წყლის რესურსები, ძირითადად, ეფექტიანადაა გამოყენებული. 2011 წლის წყალაღების მონაცემების თანახმად, ბუნებრივი წყლის ობიექტებიდან (მიწისქვეშა და ზედაპირული წყალი) წყლის აღებამ 451,75 მლნ კბმ, ხოლო გამოყენებული ახალი წყლის რაოდენობამ 438,07 მლნ კბმ შეადგინა. მათ შორის სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებულ იქნა - 2%, ჰიდროენერგეტიკაში - 30%, სამრეწველო დანიშნულებით - 55%, სარწყავად - 11,7%, სასოფლო–სამეურნეო წყალმომარაგების მიზნით - 0,7%, ხოლო დანარჩენი - თევზის სატბორეებისათვის და რეკრეაციული დანიშნულებით. ქვემო ქართლის რეგიონში სულ 31 საშუალო და დიდი ზომის მდინარე ჩამოედინება. მათი საერთო სიგრძე დაახლ. 900 კმ-ია. რეგიონში 15 ტბაა (საერთო სარკის ფართობით - 18 კმ^2), რომლებიც, ძირითადად, რეკრეაციული დანიშნულებით, ირიგაციაში და თევზჭერისათვის გამოიყენება. [10] **იხ. რუკა N2.**

რეგიონში არსებული 6 წყალსაცავი (წყლის საერთო მოცულობით 30400 მლნ კმ^3) გამოყენებულია სასმელი წყლით მომარაგებისათვის (ხრამი ქ. რუსთავისთვის),

[9] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, http://catalog.edu.ge/index.php?module=school_info&page=region_list 2017 წლის 21 დეკემბერი.
[10] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.9.

ენერგეტიკაში (წალკა) და ირიგაციაში. ქვემო ქართლში მიმდინარეობს მინერალური წყლის - „რაჭისუბანის“ (ბოლნისში, წყლის რესურსის მარაგით 350 მლნ $მ^3$/დღე-ღამეში) მოპოვება. ენერგეტიკის სექტორი წარმოდგენილია ქ. გარდაბანში განთავსებული სამი თბოელექტროსადგურით. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, დისბალანსი ელექტროენერგიის გამომუშავების ტემპებსა და ელექტროენერგიაზე მოთხოვნას შორის თანდათან იზრდებოდა, რაც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე დღემდე უარყოფით გავლენას ახდენს. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ჰიდროენერგეტიკული რესურსებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისებას, რაც ქვემო ქართლს საკმარისი რაოდენობით აქვს. ქვემო ქართლს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ენერგიის გენერირების კუთხით, ისეთი განახლებადი რესურსების გამოყენებით, როგორიცაა ჰიდროენერგია და ქარისა და მზის ენერგია. მზის ენერგიის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქვემო ქართლის რეგიონი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტერიტორიის თითქმის ნახევარი მიეკუთვნება ზონას, სადაც წლის თბილ პერიოდში (მაისი-ოქტომბერი) იქმნება ოპტიმალური პირობები სხვადასხვა ტიპის ჰელიოდანადგარების (ბრტყელი კოლექტორები, მძლავრი მზის ღუმელები, კოშკის ტიპის მზის სადგურები, გენერატორები) ექსპლუატაციისათვის. ეს ზონა მოიცავს ქ. რუსთავს, მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს. ტერიტორია ხასიათდება განიერი, უტყეო, ფერდობიანი ხეობებით, გახსნილი ჰორიზონტით და აქედან გამომდინარე, პირდაპირი და ჯამური რადიაციის დღეღამური, თვიური, სეზონური და წლიური მაღალი სიდიდეებით. [11]

ქარის **ენერგიის** გამოყენების თვალსაზრისით, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე პერსპექტიულად არის მიჩნეული მდ. მტკვრის ხეობის მცხეთა-რუსთავის მონაკვეთი. საქართველოს ტერიტორიაზე ქარის პერსპექტიულ 9 სადგურის პოტენციურ ტერიტორიებს შორის ქ. რუსთავის ტერიტორია შეფასებულია როგორც ქარის პერსპექტიული სადგური 60 მგვტ დადგმული სიმძლავრითა და 130 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავებით, რაც დაახლ. 14000 ოჯახს დააკმაყოფილებს. აღნიშნულ მონაკვეთზე ქარის ენერგიის გამოყენების დიდი ინტერესი უკავშირდება სამგორის ველის მორწყვის საკითხსაც. პრაქტიკამ აჩვენა,

[11] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.9.

რომ მაღალი ეფექტი შეიძლება მოგვცეს მცირე ჰესის, ჰელიოდანადგარებისა და ქარის დანადგარების კომბინირებული სისტემების დანერგვამ. მნიშვნელოვანია რეგიონში არსებული ბიოგაზის მიღების ენერგეტიკული პოტენციალიც (წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტები).[12]

ქვემო ქართლში **ტყეს ტერიტორიას** 21,7% უკავია, რაც საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ტყის ფონდის ფართობი 143,2 ათას ჰა-ს შეადგენს, საიდანაც ტყით 134.6ჰა არის დაფარული. 2011 წელს ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობამ 71 ათასი კბმ შეადგინა. ხოლო 2012 წელს დაახლოებით 47 ათასი კბმ შეადგინა. ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი ტყის კულტურებიდან შემადგენლობის მიხედვით რეგიონში გავრცელებულია ფიჭვი (ფართობი - 5335 ჰა, მერქნის მარაგი - 193,3 ათასი კბმ), ხოლო ფოთლოვნებიდან - წიფელი (25332 ჰა, 5143,3 ათასი კბმ). მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მუხას (21564 ჰა, 2105 ათასი კბმ), რცხილას და ჯაგრცხილას, ხოლო რბილმერქნიანი ფოთლოვნებიდან - კანადის ვერხვს (260 ჰა, 27,4 ათასი კბმ). საკმაოდაა ნუშის, ჭერმისა და პანტის ნარგაობაც, ხოლო ბუჩქნარი და ქვეტყე ძირითადად ძეძვითაა წარმოდგენილი. ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, გამორჩეულია ალგეთის ხეობა, სადაც შექმნილია ალგეთის ეროვნული პარკი. რეგიონის ტერიტორიაზე 22 ათას ჰა ფართობზე ფუნქციონირებს 3 სამონადირეო მეურნეობა. რეგიონში ოპერირებს 4 ლიცენზირებული სახერხი. რეგიონში მთავარი სარგებლობის ჭრები (სამასალე მერქნის მისაღებად) თითქმის არ აღინიშნება, გარდა მოსახლეობის პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო მერქნის მოპოვებისა. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, რეგიონში ათვისებული მერქნული რესურსი თითქმის თანაბარია წლების მიხედვით. შეიმჩნევა მოთხოვნის კლება, რაც, სავარაუდოდ, რეგიონის გაზიფიკაციის მასშტაბების გაზრდით და სხვა ალტერნატიული ენერგომატარებლების მოხმარებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არის განხორციელებული ტყის რესურსების ინვენტარიზაცია.[13]

[12] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.10.
[13] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.10.

ქვემო ქართლს აქვს მრავალფეროვანი **წიაღისეული** და მის ბაზაზე მოქმედი სამთო ინდუსტრია. აწარმოებენ ფერად და შავ ლითონებს, ფეროშენადნობებს და ინდუსტრიულ მინერალს. რეგიონში გვხვდება 200-ზე მეტი ფერადი, შავი და ძვირფასი ლითონების, ქიმიური და კერამიკული ნედლეულის, ჰიდრომინერალებისა და საწვავი რესურსების საბადო, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ აუთვისებელია. მადნეულის კომპლექსში სპილენძ–ბარიტის ნახევარლითონების საბადოზე მუშაობენ სპილენძის, ბარიტის და რიგი თანმხლები მინერალების მოსაპოვებლად. მადნეულის საბადო თბილისიდან 80 კილომეტრზეა. წიაღისეულს ღია შახტიდან გათხრა-აფეთქების მეთოდით მოიპოვებენ. ამოღებული მადანი მაღალი კონცენტრატით გამოირჩევა. საწარმოოდ შეფასებული წარმადობაა წელიწადში 12 ათასი ტონა კონცენტრატის გადამუშავება. ოქროს მარაგები მადნეულში შეადგენს 49 ათას უნციას, ვერცხლისა კი 94 ათას უნციას.

სტრატეგიული მნიშვნელობისაა რეგიონში არსებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები. რეგიონში მოიპოვება მაღალი ხარისხის მინერალები - ბაზალტი და ტუფი. აღნიშნულ მინერალებზე დიდი მოთხოვნაა როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე. ამასთან, ექსპერტთა შეფასებით, მათი მარაგები საკმაოდ დიდია. გარდა ამისა, მოიპოვება სპილენძი, ბარიტი, ვოლფრამი, ნიკელი, რკინა, თუთია, სულფატი, მარგანეცი, მარმარილო, გაჯი, თეთრი ქვა. რეგიონის სამრეწველო სექტორის განვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს სამშენებლო კერამიკის (დარბაზისა და ფიტარეთის კაოლინის საბადოები), მინის ტარის (ადულარიანი მეტასომატიტები) და საფაიფურე (ბექტაკარის კვარციტები) ნედლეულის ათვისებამ და რეგიონში კერამიკული და მინის ტარის წარმოების განვითარებამ. დმანისის და წალკის ვულკანურ საბადოებში გვხვდება მსუბუქი ქვის მასალები, ღორღი და ქვის ნატეხები. მაღალი ეკონომიკური ეფექტის მიღებაა შესაძლებელი ლითოგრაფიული ქვის საბადოების (ალგეთი, გომარეთი, ახკალაფა) ათვისებითაც. ალგეთის საბადო კავკასიაში ყველაზე დიდი საბადოა. ნედლეულის მნიშვნელოვან სახეობად განიხილება რეგიონის თიხა-თაბაშირის (გაჯის) საბადოები. გაჯის საწარმოების არსებული სიმძლავრეების სრული დატვირთვის შემთხვევაში, იგი რეგიონის შემოსავალის ზრდის წყაროდ იქცევა. კვარცის შემცველი პორფირის (სამშვილდე, კლეისის წყალი და ირიგა) ფიზიკური და ტექნიკური

მახასიათებლებისათვის 30% ცეცხლგამძლე თიხის დამატებით მჟავაგამძლე მასალის წარმოებაა შესაძლებელი.

რეგიონისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსია მის ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვებიც, რომელთა მარაგი საკმაოდ დიდია. აქ არის რესურსის ისეთი უიშვიათესი სახეობები, როგორიცაა ბოლნისის ტუფი და სადახლოს მარმარილოსებრი კირქვა. წიაღისეულის მოპოვებაზე დაწესებული მოსაკრებელი შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. დღეისათვის, რეგიონში წიაღისეული რესურსების მოპოვებაზე გაცემულია 146 ლიცენზია. აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის წიაღისეულის, მისი რესურსული პოტენციალის და საორიენტაციო საბაზრო ღირებულების შესახებ არსებული საინფორმაციო ბაზა ემყარება მრავალი წლის წინ მომზადებულ კვლევებსა და სამუშაოებს, რაც მათი სანდოობის ხარისხს გარკვეულწილად ეჭვქვეშ აყენებს.[14]

[14] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.11,

თავი 3. რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურა

საქართველოს რეგიონებს შორის ქვემო ქართლის რეგიონი ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ რეგიონს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეგიონი გლობალური თვალსაზრისითაც განვითარებულ რეგიონებს შორისაა. აქ წარმოებული დამატებული ღირებულება 2017 წლის მონაცემებით 2346.8 მლნ ლარს (ქვეყანაში წარმოებული დამატებული ღირებულების დაახლ. 97,4%) შეადგენდა. რეგიონის ეკონომიკის დივერსიფიკაციის დონე მაღალია. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ქვემო ქართლის დამატებული ღირებულება 2437 აშშ დოლარია, რაც საქართველოს სხვა რეგიონების (თბილისის გამოკლებით) საშუალო მაჩვენებელს 4,9%-ით აღემატება. რეგიონში წარმოებული დამატებითი ღირებულების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი უკავია მრეწველობას (41%), მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 19 პროცენტს შეადგენს, რაც რეგიონის ინდუსტრიულ სპეციფიკაზე მიუთითებს. ვაჭრობასა და მომსახურებას შესაბამისად 7% და 8% უკავიათ. დანარჩენი დარგების წილი უმნიშვნელოვნოა.[15]

2006-17 წლებში რეგიონის ეკონომიკის ზრდა, არსებითად, დადებითი დინამიკით ხასიათდებოდა. უარყოფითი მაჩვენებლები აღინიშნა მხოლოდ 2008 და 2009 წლებში, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებსა და მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდება. 2006-2018 წლებში რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულება 65%-ით გაიზარდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლი ბაქოდან საქართველოზე გამავალი მილსადენების ძირითადი გამტარია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი ქვემო ქართლის რეგიონს გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებში კვეთს.

ბიზნესის რეგისტრის 2017 წლის ოფიციალური მონაცემებით, რეგიონში აღირიცხება 48884 სუბიექტი, მათ შორის 237 საშუალო და 106 მსხვილი მოქმედი საწარმო. ქვემო ქართლში 2015 წელს ბიზნეს-სექტორში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 3347,4 მლნ ლარი შეადგინა. გამოშვებული პროდუქციის

[15] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 19 დეკემბერი.

ღირებულებამ - 2326,4 მლნ ლარი, ბიზნეს-სექტორში დაქირავებულთა რაოდენობამ - 36600 ადამიანი, ხოლო ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ - 779,2 ლარი.[16] რეგიონში ბიზნეს-სექტორის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია: მისი სტრატეგიული მდებარეობა - სიახლოვე ქ. თბილისთან, აგრეთვე მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთთან. უკანასკნელ წლებში, რეგიონში, ქ. რუსთავში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით, გაჩნდა მნიშვნელოვანი სექტორი - საავტომობილო ბაზრობა, რომელიც კლიენტებს კავკასიის რეგიონის სხვადასხვა ქვეყნიდან იზიდავს. აღნიშნული ბაზრობა ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია რეგიონში. **იხ. ცხრილი N3.-N4.**

უკანასკნელ წლებში, ქვემო ქართლში აღინიშნება დადებითი ტენდენციები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარების მხრივ. შეიმჩნევა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება როგორც მრეწველობის, ისე მომსახურების სფეროში. გაჩნდა თანამედროვე ტიპის სავაჭრო ობიექტები და აგრარული ბაზრობები. ქვემო ქართლში შემავალ ყველა თვითმმართველ ერთეულში ფუნქციონირებს კომერციული ბანკების ფილიალები. ამასთან, რუსთავსა და მარნეულში საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა ბანკის ფილიალი და მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს. წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა მხარეში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლობების რაოდენობა. თუმცა, ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, საპროცენტო განაკვეთები კრედიტსა და სესხზე, ქვემო ქართლშიც საკმაოდ მაღალია (მერყეობს 15%-დან 26%-მდე), ხოლო დედაქალაქის ბანკებთან შედარებით, მომსახურება - მნიშვნელოვნად სუსტი. რეგიონში წარმოდგენილია (თუმცა, არათანაბრად) კონსალტინგური მომსახურების ორგანიზაციები. კერძო აუდიტორული ორგანიზაციები ძირითადად, ქ. რუსთავში ფუნქციონირებს.

რეგიონში მოქმედებს ბიზნესის მხარდამჭერი რამდენიმე მნიშვნელოვანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა მიზანია, ხელი შეუწყონ ადგილობრივი ეკონომიკის, ფერმერული მეურნეობის, მესაქონლეობისა და რწყვის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას. დღეისათვის, რეგიონში შექმნილია რამდენიმე

[16] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

სოფლის სახლი და ფერმერთა მომსახურების ცენტრი. მცირე ბიზნესცენტრი ფუნქციონირებს აგრეთვე მარნეულში. სამომავლოდ, რეგიონის ბიზნეს-სექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თბილისი-რუსთავის ავტობანის მშენებლობა. რეგიონში ბიზნეს-სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებია: სუსტი კომერციული და საბაზო ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის შემოსავლების სიმწირე, ინვესტიციების მცირე მოცულობა, ადგილობრივი სოციალური კაპიტალის განვითარების დაბალი დონე, მუშახელის ბაზარზე არსებული მდგომარეობა (კვალიფიკაცია), საბანკო კრედიტების (მ.შ. აგროსესხების) სიძვირე და რთული ხელმისაწვდომობა, ალტერნატიული კაპიტალის დაბალი შესაძლებლობები და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (ბიზნესინკუბატორების, საინვესტიციო თუ საკონსულტაციო ცენტრების, სალიზინგო კომპანიების და სხვ.) ნაკლებობა, სისტემური ინფორმაციის ნაკლებობა ადგილობრივი ბიზნესის პოტენციალისა და სამიმწოდებლო ბაზის შესახებ, ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების სიმწირე. გარდა ამისა, ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის შემაფერხელ გარემოებად ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი განიხილავს „მაღალ საბაჟო გადასახადს“ და „ჭარბ ბიუროკრატიულ პროცედურებს“.[17]

სოფლის მეურნეობას ქვემო ქართლის ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რეგიონში წარმოებულ დამატებულ ღირებულებაში მისი წილი 19%-ია. 2011 წელს რეგიონში სოფლის მეურნეობაში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 338,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 24,6%-ით აღემატება 2010 წლის (271,6 მლნ ლარი), ხოლო 47,4%-ით - 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (229,5 მლნ ლარი). ამ დარგში რეგიონის მოსახლეობის 29%, ხოლო სოფლის მოსახლეობის 47,8% - 148 ათასი ადამიანია დასაქმებული. მიუხედავად იმისა, რომ, ძირითადად, ისინი თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და თავიანთ ოჯახურ მეურნეობებში საქმიანობენ, დედაქალაქთან და მეზობელ სახელმწიფოებთან სიახლოვის გამო, საკმაოდ წარმატებით ახერხებენ საადრეო კარტოფილით, ბოსტნეულითა და მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქტით ბაზრის ათვისებას. რეგიონის კლიმატური პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია სოფლის

[17] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.13.

მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის. მოსავლის მიღება შესაძლებელია წელიწადში 2-3-ჯერ, რაც განაპირობებს ქვემო ქართლის მაღალ კონკურენტუნარიანობას სხვა რეგიონებთან შედარებით. რეგიონის ნიადაგსაფარი საკმაოდ მრავალფეროვანი ტიპის ნიადაგებით არის წარმოდგენილი: ზღვის დონიდან 1000-1800 მ-ზე არსებულ ტყის ფერდობზე ძირითადად მცირე და საშუალო სისქის ყომრალი ნიადაგებია. ვულკანურ პლატოზე, ზ.დ. 1200 მ-ზე მაღლა მთის შავმიწა ნიადაგები, ხოლო შედარებით დაბლა - ყავისფერი ნიადაგებია გავრცელებული. ზ.დ. 1800-2000 მ-ზე მაღლა გაბატონებულია მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები. რეგიონის ტერიტორიაზე ლოკალური გავრცელებით აგრეთვე გამოირჩევა ალუვიური და ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები. ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია მთა-ტყეთა ზონის ქვედა ნაწილში, ზღვის დონიდან 700-1200მ-ის ფარგლებში - ინტენსიური მიწათმოქმედების ზოლში. რეგიონის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. ციცაბო ფერდობებსა და თხემებზე ჭარბობს მცირე სისქის სუსტად განვითარებული, ხირხატიანი, ხშირად ძლიერ გადარეცხილი ნიადაგები ზედაპირზე გაშიშვლებული კირქვებით. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით და საუკეთესოა ვენახისათვის. ქვემო ქართლის რეგიონში არის მრავალფეროვანი სპექტრი როგორც ნიადაგების, ისე ვერტიკალური ზონალობის, რაც სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი განვითარების საშუალებას იძლევა. მთლიან სავარგულებში (392462 ჰა) ათვისებულ კერძო სავარგულებს 28.6% (112244 ჰა) უკავია, აქედან სახნავს - 24% (93269 ჰა), ხოლო 3,5% (13578ჰა) გამოუყენებელი სახნავია. დარჩენილი მიწის ფართობების 50% (1994943 ჰა), ძირითადად, სათიბ-საძოვრად გამოიყენება. რეგიონში სარწყავი სისტემები (თვითდენითი და არათვითდენითი) მოიცავს 46754 ჰა ფართობს, ანუ სახნავის 50%-ს, საიდანაც სარეაბილიტაციოა 20274 ჰა (43%). ქვემო ქართლის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის ძირითად პრობლემას სარწყავი სისტემების არარსებობა წარმოადგენს. რეგიონში ურწყავ ფართობებს სავარგულების 32% (90385 ჰა) უკავია. წალკის მუნიციპალიტეტში არ არსებობს საირიგაციო სისტემა და სასმელი წყლის გამოყენება ხდება მოსარწყავად.[18]

[18] ქვემო ქართლის რეგიონული განვიტარების სააგენტო, http://kkrda.ge/agriculture/ 2017წ.

რეგიონის ნიადაგები და კლიმატი იძლევა ისეთი კულტურების განვითარების საშუალებას, რომელთა განვითარება, საქართველოს სხვა მხარეებისთვის (გარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისა), ნაკლებად შესაძლებელია. აქ განსაკუთრებით კარგი პირობებია საადრეო კარტოფილისა და ბოსტნეულის, მარცვლეულის, ხილის, ყურძნის, ბაღჩეულის, მრავალწლიანი ბალახებისა და სხვა კომერციულად საინტერესო პროდუქციის საწარმოებლად. აღსანიშნავია, რომ რეგიონში აღრიცხული არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი.

რეგიონში **მემცენარეობა**, ძირითადად, წარმოდგენილია საშუალო ფერმერებით. ისინი პროდუქციის რეალიზაციას, როგორც წესი, ადგილობრივ ბაზარზე ახორციელებენ. რეგიონის ქვედა და საშუალო ზონაში ძირითადად იწარმოება ბოსტნეული, კარტოფილი, მარცვლეული, ხილი, ყურძენი და ბაღჩეული კულტურები, ხოლო ზედა ზონაში ძირითადი ადგილი კარტოფილისა და მარცვლეულის წარმოებას უკავია. ამჟამად, რეგიონში 4,1 ათას ჰა-ზე იწარმოება ხორბალი, 5,9 ათას ჰა-ზე სიმინდი, 0,5 ათას ჰა-ზე ლობიო, 4,2 ათას ჰა-ზე კარტოფილი, 3,8 ათას ჰა-ზე ბოსტნეული, 0,1 ათას ჰა-ზე ბაღჩეული, 0,3 ათას ჰა-ზე ერთწლიანი ბალახები, 8,1 ათას ჰა-ზე მრავალწლიანი ბალახები. ერთწლიან კულტურებში ძირითადი ადგილი უკავია ხორბლისა და სიმინდის ნათესებს. 2016 წელს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 2,0 ტ/ჰა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (1,6 ტ/ჰა). აღნიშნული მოვლენა შრომის მაღალი ორგანიზებულობით, ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებით და სახარბიელო კლიმატური პირობებით შეიძლება აიხსნას. სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 2016 წელს 2,9 ტ/ჰა შეადგინა.[19] **იხ. ცხრილი N5.**

მრავალწლიანი კულტურებიდან საინტერესოა კაკლოვნების, ვენახისა და ხეხილის ბაღების მდგომარეობა. ხეხილის საშუალო მოსავლიანობამ 2016 წელს 9,5 ტ, ვენახის მოსავლიანობამ 3,4 ტ/ჰა, ხოლო კაკლოვნების მოსავლიანობამ 5,3 ტ/ჰა შეადგინა. ეს მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა რეგიონში საკმაოდ დაბალია. სასათბურე მეურნეობები მხოლოდ მარნეულის, გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მოქმედებს. რეგიონში მოქმედებს მხოლოდ

[19] 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.

ერთი სანერგე მეურნეობა, რომელიც ბოსტნეულისა და დეკორატიული მცენარეების ჩითილების გამოყვანას აწარმოებს. **იხ. ცხრილი N6.**

მეცხოველეობა. 2016 წლის მონაცემებით ქვემო ქართლში აღირიცხება 148,9 ათასი სული მსხვილფეხა საქონელი. წარმოებული პროდუქცია შეადგენს 2,1 ათას ტონა ხორცს და 105,2 ათას ტონა რძეს. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს მსხვილფეხა საქნელის რაოდენობა 188 ათასს შეადგენდა, 2012-ში 160 ათასს ხოლო 2014-ში 137,2 ათასს. ამ მონაცემების კვალობაზე აშკარაა რომ მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის შემცირების ტენდენციის მერე ნელ-ნელა იწყება მისი მომრავლება. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსხვილფეხა პირუტყვის წველადობის დონე დაახლოებით 10-ჯერ ჩამოუვარდება ევროკავშირის მონაცემებს. მესაქონლეობაში როგორც წველადობის, ისე ხორცის წარმოების დაბალ დონეს, ძირითადად, განაპირობებს გენეტიკური მოძველება, არასათანადო ვეტერინალური მომსახურება, ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა, საკვები ბაზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიმწირე.

ღორის სულადობამ 2016 წელს შეადგინა 22,6 ათასი სული, მოცემულ სფეროში აშკარაა რაოდენობის მატება წინა წლებთან შედარებით. რეგიონში 3,3 ათასი ტონა ღორის ხორცი იწარმოება. ცხვრის რაოდენობამ 2016 წელს შეადგინა 203,7 ათასი სული, რაც ასევე გაცილებით აღემატება წინა წლების მონაცემებს. რეგიონში იწარმოება 0,7 ათასი ტონა ცხვრის ხორცი და 0,5 ათასი ტონა მატყლი. მეღორეობის და მეცხვარეობის დაბალ პროდუქტიულობას გენეტიკური მოძველება, არასათანადო ვეტერინალური მომსახურება და ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა განაპირობებს.

ფრინველის წარმოებამ 2016 წელს შეადგენდა 3454,7 ათას ფრთას, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე და 242,7 ათასით 2015 წლის მაჩვენებელზე. რეგიონში მიზანშეწონილია ჰიბრიდული ბროილერების მოშენება, რომლებიც ხასიათდება მაღალი ცოცხალი მასით (ფრინველი 35 დღის ასაკში 1,2-1,5 კგ-ს იწონის), ხორცი კი ცილის მაღალი შემცველობითა და ნაკლები ცხიმიანობით გამოირჩევა. ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 2016 წელს შეადგენდა 20.2 ათას სკას,

რაც 5,3 ათასი ოჯახით მეტია 2010 წელთან შედარებით (14,9 ათ). რეგიონში 100 ტონა თაფლი იწარმოება.[20] **იხ. ცხრილი N7-N8**

ქვემო ქართლის რეგიონში საკმაოდ კარგადაა განვითარებული **სათევზე-სატბორე** მეურნეობები. სულ რეგიონში 22 სატბორე მეურნეობაა, რომელთაგან 9 მოქმედია. მეურნეობები საერთო ჯამში 35,5 ტონა პროდუქციას აწარმოებენ.[21] რეგიონში მეტ-ნაკლებად განვითარებულია საკონსერვო (ბოსტნეული მარინადი), ხორცისა და რძის პროდუქტების, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება. რეგიონში დარეგისტრირებულია 186 საოჯახო მეურნეობა (რომელთაგან ამჟამად 70% ფუნქციონირებს) და 58 კერძო და/ან იურიდიული პირი. ქვემო ქართლში მოქმედი სურსათის მწარმოებელი საწარმოებიდან აღსანიშნავია მეფრინველეობის მეურნეობები ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, რომლებიც რამდენიმე ათეულ მილიონ კვერცხს და რამდენიმე ასეულ ტონა ფრინველის ხორცს აწარმოებენ. გამოსარჩევია მარნეულის სასურსათო ქარხანა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, რომელიც დაახლ. 1000 ტონა ბოსტნეულსა და ხილს აწარმოებს. წალკის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია მეცხოველეობისა და მერძევეობის მეურნეობა, რომელიც წელიწადში 5000 ტონამდე ყველს აწარმოებს. ქვემო ქართლში მრავლადაა მცირე საწარმოები, რომლებიც ხორბლის, სიმინდისა და სხვა მარცვლეულის გადამუშავებით არიან დაკავებული. რუსთავთან ახლოს ფუნქციონირებს სოკოს საწარმო, რომელიც სამი დასახელების სოკოს, თვეში 100–120 ტონა პროდუქციას აწარმოებს. რეგიონის სოფლის მეურნეობაში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი თანდათანობით იკიდებს ფეხს. ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს სახელმწიფო კომპანია - შპს „მექანიზატორის“ სერვისცენტრები, რომელთაგან ძირითადი ცენტრები ბოლნისსა და მარნეულშია. ყველა სხვა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „მექანიზატორის“ ფილიალები. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები უშუალოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შექმნილია და მას ექვემდებარება. რეგიონი მცირეგაბარიტიანი ტექნიკის დეფიციტს განიცდის. ხშირად ვერ ხერხდება მაღალხარისხიანი საჭირო მასალების (თესლი, ნერგი, შხამქიმიკატები, ვეტ საშუალებები და ა.შ.) შეძენა, რაც

[20] 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.
[21] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.16.

ასევე ნეგატიურად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობაზე. რეგიონში სუსტადაა განვითარებული საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობები, სადაც გამოიცდებოდა ადგილობრივი პირობებისადმი ადაპტირებული და მდგრადი სხვადასხვა სასოფლო- სამეურნეო პროდუქცია.[22]

მრეწველობა. მრეწველობა ქვემო ქართლის ეკონომიკაში ყველაზე განვითარებულ დარგს წარმოადგენს და ამავდროულად რეგიონის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი სფეროა. მისი წვლილი ქვემო ქართლის ეკონომიკის წარმოებულ დამატებულ ღირებულებაში 41%-ს შეადგენს. რეგიონში მრეწველობა, ძირითადად, მოიცავს წიაღისეულის მოპოვებას, მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობას, ცემენტის, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვების წარმოებას, კერამიკის, მინისა და ფაიფურის დამზადებას, ენერგოგენერაციას და აგროწარმოებას.

2011 წელს ქვემო ქართლში იწარმოებოდა 65,3 ათასი უნცია ოქრო, 146,4 ათასი უნცია ვერცხლი, 40,2 ათასი ტონა სპილენძის კონცენტრატი, 0,9 ათასი ტონა ცემენტირებული სპილენძის კონცენტრატი, 1569,1 ათასი ტონა კვარციტის მადანი, 57 ათასი ტონა სილიციუმის ნედლეული, 0,7 ათასი ტონა პური და 0,1 ათასი ტონა ფქვილი. ქვემო ქართლის მთავარი სამრეწველო ცენტრებია რუსთავი, მარნეული, გარდაბანი და ბოლნისი. თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, ძირითად მაპროფილებელ სამრეწველო პროდუქციას წარმოადგენს: რუსთავში - გადამამუშავებელი მრეწველობა, ბოლნისში - სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, გარდაბანში - ელექტროენერგიის წარმოება, მებოსტნეობა და მესაქონლეობა, მარნეულსა და წალკაში - სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, დმანისში - მესაქონლეობა და რძის პროდუქციის წარმოება, ხოლო თეთრიწყაროში - ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება.

2015 წელს ქვემო ქართლში მრეწველობის ბრუნვის მოცულობა 1837,3 მლნ ლარს, პროდუქციის გამოშვება 1686,7 მლნ ლარს, მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 14741 ადამიანს, დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება 1056,4 ლარს, ხოლო ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების

[22] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.17.

მოცულობა 214 მლნ ლარს შეადგენდა. ამასთან, 2015 წელთან შედარებით, ბრუნვის მოცულობა თითქმის 200 მილიონი ლარით გაიზარდა, პროდუქციის გამოშვება 100 მილიონით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 1000 კაცით გაიზარდა. ამავდროულად, დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზრაურება პირველად გახდა ოთხნიშნა რიცხვი, ასევე 120 მლნ ლარით გაიზარდა ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა. 2015 წელს მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასებში გაიზარდა და მან 504,1 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია ასევე, რომ 2006-2015 წლებში სტაბილური დადებითი დინამიკა აღინიშნებოდა. 2006 წელთან შედარებით, მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულება რეგიონში თითქმის ორჯერ გაიზარდა.[23] **იხ. ცხრილი N9.**

მრეწველობის დარგებიდან, რეგიონში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მძიმე და მომპოვებელი მრეწველობის დარგები, კერძოდ: ქ. რუსთავში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გარდა, ფუნქციონირებს რამდენიმე მსხვილი საწარმო, რომელთა პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობელ სახელმწიფოებში. კარგად არის განვითარებული და გაფართოების პერსპექტივა აქვს აგრეთვე „რუსთავის აზოტს“, რომელიც მინერალურ სასუქებს აწარმოებს და ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია ქვემო ქართლში. შესაძლებელია მისი ტექნიკური გადაიარაღება და ახალი წარმოებების ამოქმედება, მათ შორის კაპროლაქტამის ნედლეულისა და კარბამიდის სასუქების მწარმოებელი ქარხნების ამუშავება. ქვემო ქართლს აქვს პოტენციალი დაიკავოს წამყვანი ადგილი საქართველოს სამთომადნო მრეწველობაშიც. ამ ეტაპზე, სამთომადნო მრეწველობა, ძირითადად, ორიენტირებულია ფერადი და კეთილშობილი ლითონებისა და სამშენებლო მასალების მოპოვებაზე, რაც განპირობებულია აღნიშნული სახეობის სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის შედარებით მაღალი დონით და პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნილების არსებობით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე სამთო-გამამდიდრებელ კომბინატებში დღეისათვის მადნების დამუშავება კონცენტრატების დონეს გასცდა და უშუალოდ

[23] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 22 დეკემბერი.

სასარგებლო კომპონენტების მიღება ხორციელდება (სპილენძი, ტყვია, თუთია, ბარიტი, ოქრო, ვერცხლი, კადმიუმი, გოგირდი, სელენი, ტელური, ინდიუმი, გერმანიუმი, თალიუმი, გალიუმი, მეორადი კვარციტები, რიოლითები, მეტასომიტური ქანები, სანაკეთო ქვები). გარდა აღნიშნულისა, ქვემო ქართლის რეგიონს აქვს მთელი რიგი სარეზერვო ობიექტები სპილენძისა და პოლიმეტალური საბადოებით, რომელთა სრულფასოვანი შესწავლა შემდგომ ძალისხმევას საჭიროებს. რეგიონის სამრეწველო სექტორის განვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს სამშენებლო კერამიკის (დარბაზისა და პიტარეთის კაოლინის საბადოები), მინის ტარის (ადულარიანი მეტასომატიტები) და საფაიფურე (ბექტაკარის კვარციტები) ნედლეულის ათვისებამ და რეგიონში კერამიკული და მინის ტარის წარმოების განვითარებამ. მაღალი ეკონომიკური ეფექტის მიღებაა შესაძლებელი ლითოგრაფიული ქვის საბადოების ათვისებითაც. ნედლეულის მნიშვნელოვან სახეობად განიხილება რეგიონის თიხა-თაბაშირის (გაჯის) საბადოები. გაჯის საწარმოების არსებული სიმძლავრეების სრული დატვირთვის შემთხვევაში, იგი რეგიონის შემოსავალის ზრდის წყაროდ იქცევა. მხარისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსია მის ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვებიც, რომელთა მარაგი საკმაოდ დიდია.

ქვემო ქართლში ფუნქციონირებს ცემენტის ქარხნები. ეს დარგი განსაკუთრებით პერსპექტიულია მარნეულში და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, რადგან ცემენტის პროდუქციის გამოშვებისათვის საჭირო კომპონენტები ამ მუნიციპალიტეტებში გვხვდება. მართალია, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა მრეწველობის სფეროს სტაბილური გაუმჯობესება, მაგრამ ის ჯერ კიდევ ბევრად სუსტადაა წარმოდგენილი რეგიონის რეალურ პოტენციალთან შედარებით. რეგიონის აქტივებისა და რესურსების გათვალისწინებით, ქმედითი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პოლიტიკის პირობებში, ქვემო ქართლს მრეწველობის სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. აქტივებისა და რესურსების ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების სტიმულირებაზე მიმართული ძალისხმევა, ხარისხზე და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების მაქსიმალური წახალისება, ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებაზე სისტემური ზრუნვა, საბანკო კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, კაპიტალის

ალტერნატიული ბაზრების ჩამოყალიბება და ზოგადად, სხვადასხვა ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების სათანადო გამოყენება გადამწყვეტ როლს შეასრულებს მრეწველობის სექტორის განვითარებაში. მათ შორის, ეს ეხება აზოტის ქიმიური კომბინატის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ვაგონმშენებელი საწარმოს, ცემენტის და ლითონკონსტრუქციების საწარმოო სიმძლავრეების ზრდის პოტენციალს რუსთავში, აგრეთვე, მრავალფეროვანი სამთო ინდუსტრიის, მაღალი ხარისხის მინერალების მოპოვების და ენერგოგენერირების შესაძლებლობებს რეგიონში. მრეწველობის შემდგომი ზრდა დამოკიდებულია არსებული სამრეწველო პოტენციალისა და მატერიალური აქტივების სრულ და ეფექტიან გამოყენებაზე. სამრეწველო აქტივებს შორის, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ისეთი მსხვილი ობიექტები, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, აზოტის ქიმიური კომბინატი, ვაგონმშენებელი საწარმო, ცემენტის წარმოება და ლითონკონსტრუქციების საწარმო რუსთავში, თბოელექტროსადგური გარდაბანში, მადნეულის ოქროს საბადოები კაზრეთთან ბოლნისში.[24]

აშკარაა, რომ რეგიონს საკმაოდ მაღალი სამრეწველო პოტენციალი გააჩნია, რომლის კიდევ უფრო განვითარებაა შესაძლებელი, სწორედ ამიტომაც იკავებს მრეწველობა უდიდეს წილს რეგიონის ეკონომიკაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის ზიანიც, რასაც ეს მრეწველობები გარემოს აყენებენ. ამ ფაქტზე თითქმის არ ხდება ყურადღების გამახვილება, ეკოლოგიური პრობლემა კი აყენებს ზიანს უამრავ ადამიანს რეგიონში და დამატებით მთლიან ბიოსისტემას. მოცემულ ფაქტზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებ.

ტურიზმი. სამწუხაროა, მაგრამ თითქმის არ მოიპოვება საკმარისი ინფორმაცია რეგიონში ტურისტული დანიშნულების მარშრუტებთან, კურორტებთან, სხვა ობიექტებთან და ტურისტების რაოდენობასთან დაკავშირებით. რეგიონის განვითარების გეგმის მიხედვით, ქვემო ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, აგრეთვე ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული ძეგლები ქმნის რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. ქვემო ქართლში ტურიზმის პერსპექტიული მიმართულებებია: ცხენოსნობა, სამონადირეო ტურიზმი,

[24] ქვემო ქართლის რეგიონული განვიტარების სააგენტო, http://kkrda.ge/industry/ 2017წ.

ეკოტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ოჯახური ტურიზმი, ეთნოგრაფიული ტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ტურიზმი და სხვ. ქვემო ქართლში ტურისტებს შეუძლიათ იხილონ დასახლებები, რომლებიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულით თარიღდება. დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენადაა მიჩნეული წინაისტორიული დასახლების და ადამიანის ნაშთების პოვნა დმანისში. ექსპერტთა დასკვნებით, დმანისში ჰომინიდი 1,8 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა. შესაბამისად, დმანისი ევროპისა და აზიის ყველაზე ადრეულ დასახლებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მთლიანობაში, ქვემო ქართლში 650-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთაგან 300 სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტშია შესული. ქვემო ქართლში ერთი კურორტი - მანგლისი და რამდენიმე რეკრეაციულ-დასასვენებელი ზონაა, სადაც არსებულ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველწლიურად 10 ათასამდე ადამიანის მიღებაა შესაძლებელი. საკურორტო ზონებია დმანისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, გარდაბნისა და წალკის მუნიციპალიტეტებში. ტურისტული ობიექტები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. რეგიონისთვის გამოწვევას წარმოადგენს ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ქვემო ქართლში სასტუმროების ნაკლებობა აღინიშნება. ქ. რუსთავში ხუთი სასტუმროა. მუნიციპალიტეტებში საოჯახო ტიპის სასტუმროებმა ჯერჯერობით სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა. წალკასა და დმანისში არის საოჯახო ტიპის სასტუმროები, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა. ბოლნისში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასტუმრო. 2011 წელს სასტუმროებისა და რესტორნების ქსელში დასაქმებულთა რაოდენობა 2006 წელთან შედარებით 34%-ით გაიზარდა და 785 ადამიანი შეადგინა. თუმცა, სექტორის მთავარ პრობლემებად რჩება პერსონალის დაბალი ანაზღაურება და უკიდურესად დაბალი ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, შესაბამისად კი - მომსახურების დაბალი ხარისხი.[25] ქვემო ქართლის ტერიტორიაზე განსაკუთრებით შეგვიძლია გამოვარჩოთ შემდეგი ბუნების, არქიტექტურისა და კულტურის ძეგლები: ბოლნისის სიონი; ფიტარეთის მონასტერი; ბირთვისის ციხე-სიმაგრე; დმანისის ნაქალაქარი და სამშვილდის ციხე-ქალაქი, აგრეთვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ უძველესი ოქროს მომპოვებელი საბადო მსოფლიოში, აწ უკვე აფეთქებული საყდრისი.

[25] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.19.

ეკონომიკის სხვა დარგები. საკმაოდ მცირეა მშენებლობის ხვედრითი წილი ქვემო ქართლის რეგიონში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში. მაგრამ მოცემულ სექტორში აშკარად შეინიშნება ზრდის მაჩვენებელი, რაც გამოიხატება როგორც ფულის ბრუნვის ზრდაში (204მლნ.ლარი), ასევე პროდუქციის გამოშვების (209,2 მლნ.ლარი), დასაქმებულთა რაოდენობის (3300 კაცი), მათი საშუალო თვიური ანაზღაურების (1017,7 ლარი), დამატებით ღრებულებისა (63,6 მლნ.ლარი) და ინვესტიციების ზრდაში (5,6 მლნ.ლარი). მოცემული სექტორის მონაცემები, როგორც ჩანს, 2006 წლიდან თითქმის ყოველ წელს იზრდებოდა და დღემდე განაგრძობს ზრდას, რაც თამამად შეგვიძლია დადებით მაჩვენებლად ჩავთვალოთ. 2012 წელს ქვემო ქართლში გაიცა 1188 მშენებლობის ნებართვა 256,3 ათას მ2 ფართზე. ამასთან, 2012 წელს დამთავრებულ იქნა 533 ობიექტი 130,9 ათასი მ2 საერთო ფართით.[26] **იხ. ცხრილი N10.**

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროს ხვედრითი წილი ასევე მცირეა ქვემო ქართლის რეგიონის შექმნილ დამატებულ ღირებულებაში. 2016 წელს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 27,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 7 მილიონით აღემატება წინა წლის მონაცემებს. თითქმის ორჯერ გაიზარდა 2015 წელთან შედარებით ბრუნვის მოცულობაც, რამაც 112,1 მლნ ლარი შეადგინა. აგრეთვე 8 მილიონი ლარით გაიზარდა პროდუქციის მოცულობაც და მან 51,6 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მოცემულ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 2016 წელს 2135 ადამიანს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ მეტია. პარალელურად შემცირდა დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება წინა წელთან შედარებით 170 ლარით, რამაც 474,2 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ არსებული სტატისტიკური მონაცემები ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ბრუნვის რეალურ მაჩვენებელს ჯეროვნად არ ასახავს. მოსახლეობის გადაყვანას ძირითადად აწარმოებენ ინდ. მეწარმეები. რომელთა მომსახურებაც არ აღირიცხება, ხოლო რეგიონის ტელესაკომუნიკაციო და ინტერნეტ მომსახურებას მთლიანად

[26] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 22 დეკემბერი.

ახორციელებენ არსებული მობილური ოპერატორები და ფიქსირებული ქსელის ოპერატორები.[27] **იხ. ცხრილი N11.**

რაც შეეხება **ვაჭრობას** (ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების და სხვ.), 2016 წელს რეგიონში ბრუნვის მოცულობამ 1200,4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 230 მილიონით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 38 მილიონით გაიზარდა საწარმოების პროდუქცია, რომლის ღირებულებამ 162 მილიონი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია მოცემულ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტენდენციაც, რომელიც 2010 წლის შემდეგ მუდმივად იზრდებოდა, ხოლო 2016 წელს მოცემულმა მაჩვენებელმა 8398 კაცი შეადგინა. ასევე 2011 წლიდან მუდმივად იზრდებოდა მოცემულ სფეროში დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურებაც, რამაც 424,1 ლარი შეადგინა. ასევე გაიზარდა რეგიონში შექმნილი ვაჭრობისა და მომსახურების დამატებითი ღირებულებაც (110,3 მლნ ლარი). ვაჭრობის სექტორის შედარებით სწრაფი განვითარება (ისევე, როგორც სხვა რეგიონებში) მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეკონომიკაში კაპიტალის სერიოზული ნაკლებობაა, ხოლო ვაჭრობის სექტორი, საწყის კაპიტალზე შედარებით მცირე მოთხოვნისა და ამ დარგში კაპიტალის სწრაფი ბრუნვის გამო, ამ პრობლემას შედარებით ადვილად უმკლავდება. ვაჭრობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ქ. რუსთავში საავტომობილო ბაზრობის ამოქმედება, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია რეგიონში.[28] **იხ. ცხრილი N12.**

რეგიონის ჭრილში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტატისტიკა არ იწარმოება. რეგიონულ ადმინისტრაციასა და თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები საინვესტიციო პროექტების შემუშავებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონში ეკონომიკური პროცესების სტიმულირებას. 2012 წელს შეიქმნა ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო, რომლის მისიაა, ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და ინვესტიციების

[27] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 23 დეკემბერი.

[28] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 23 დეკემბერი.

მოზიდვას. სააგენტოს დამფუძნებლები არიან სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია და რეგიონის 7 თვითმმართველი ერთეული. ამჟამად, შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული ინფორმაციის თავმოყრა რეგიონში არსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ექსპორტის შესახებ. ქვემო ქართლში განხორციელდა რამდენიმე მსხვილი უცხოური პირდაპირი ინვესტიცია, ძირითადად მძიმე, მომპოვებელ და სამთა-მადნო მრეწველობაში. რეგიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს გერმანული „ჰაიდელბერგ ცემენტი“, ასევე სს “RMG Copper” და შპს “RMG Gold”. უკანასკნელ წლებში, განხორციელდა მნიშვნელოვანი უკრაინული ინვესტიცია ქვემო ქართლში არსებულ რეგიონულ ავტობაზრობაშიც. ქ. რუსთავში, ფუნქციონირებს უცხოური ინვესტიციით შექმნილი რამდენიმე მსხვილი საწარმო. მათ შორისაა ინდური „ჯეოსთილი“, რომლის მიერ წარმოებულ ფოლადზე დიდი მოთხოვნაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობელ სახელმწიფოებში. „ჯეოსთილი“ საქართველოში ფოლადის ყველაზე დიდი მწარმოებელია, რომლის საწარმოო ინფრასტრუქტურა 13 ჰექტარზეა გაშლილი, ხოლო საწარმოს წარმადობა წელიწადში 175 ათას ტონას შეადგენს. ვინაიდან ქვემო ქართლი ესაზღვრება სომხეთსა და აზერბაიჯანს, რეგიონის მცხოვრებლებისათვის ხელმისაწვდომია მეზობელ ქვეყნებში ადგილობრივი პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა. გარდა ამისა, პროდუქცია გადის თურქეთსა და რუსეთში. აღნიშნული ოთხი ქვეყნიდან ადგილობრივი პროდუქციის გატანა ყველაზე ხელმისაწვდომი აზერბაიჯანშია, რასაც მოსდევს თურქეთი და სომხეთი.[29]

ქვემო ქართლის მდებარეობიდან გამომდინარე, რეგიონს გააჩნია ძალიან კარგი პოტენციალი **რეგიონთაშორისი და ტრანსსასაზღვრო** ურთიერთობების განსავითარებლად. სამწუხაროდ, სახელმწიფოს პოლიტიკა მსგავსი ურთიერთობების განსავითარებლად მოიკოჭლებს, ქვემო ქართლის საბაზრო ურთიერთობების რეგულირების დონე ქვეყნის სხვა რეგიონებთან და მოსაზღვრე ქვეყნებთან ძალიან დაბალია. არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ან ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა მსგავსი ტიპის ურთიერთობების მნიშვნელოვნად განვითარებას, არადა პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ერთადერთი წინ გადადგმულ ნაბიჯად, რეგიონთაშორისი და

[29] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.21.

ტრანსსასაზღვრო ურთიერთობების განვითარებისკენ შეიძლება ჩაითვალოს დეცენტრალიზაციის რეფორმა, რამაც ცალსახად უნდა გამოიწვიოს რეგიონის სხვა მხარეებთან ურთიერთობების გაძლიერება. ქვემო ქართლის მდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება სომხეთთან და აზერბაიჯანთან, იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონში ეთნიკური უმცირესობის დიდი ნაწილია (სომხები და აზერბაიჯანელები), მსგავსი ურთიერთობებ წაადგება ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებასაც. მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა ამჟამად მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობებით შემოიფარგლება და საჭიროა ურთიერთობების გაღრმავება სხვადასხვა სფეროებში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ძირითადი ნაწილი სწორედ ქვემო ქართლზე გადის.

რეგიონში არსებული **საავტომობილო გზების** საერთო სიგრძე (შიდა გზების ჩათვლით) დაახლოებთ 3036 კმ-ია, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქვემო ქართლზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სამი გზა: თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვრისკენ), თბილისი-მარნეული-გუგუთი და მარნეული-სადახლო (სომხეთის საზღვრისკენ). მოცემული გზების საერთო სიგრძეა 229,2 კმ, ისინი წარმოადგენენ მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელ მთავარ გზებს. აღსანიშნავია, რომ რეგიონის შიდა გზების დიდი ნაწილი არ არის დაფარული ასფალტის ან ბეტონის საფარით, ძირითადად უზრუნველყოფილია ტერიტორიული ერთეულების სატრანსპორტო კავშირი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებთან, ასევე სტაბილურია რეგიონის გარეთ სატრანსფორტო კავშირი. სამწუხაროდ, სატრანსპორტო კავშირი საერთაშორისო სტანდარტებისგან ძალიან შორსაა. რეგიონის ტერიტორიაზე არსებობს რკინიგზაც, მას ორი მიმართულება გააჩნია: თბილისი-ბაქო, თბილისი-ერევანი, ასევე მიმდინარეობს თბილისი-წალკა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა. სწორედ მოცემული საგზაო და სარკინიგზო კომუნიკაციები უზრუნველყოფს ქვემო ქართლის რეგიონის თანამშრომლობას მოსაზღვრე ტერიტორიებთან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამჟამად მიმდინარეობს თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი ავტობანის მშენებლობა (თითქმის დასრულებულია).

IV. გარემოს დაცვა

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ატმოსფერული **ჰაერის** ერთ-ერთი ძირითადი დამაბინძურებელი სწორედ ქვემო ქარლის რეგიონია, რაც განვითარებული მრეწველობისა და ენერგეტიკის სექტორების ბრალია. რეგიონის წილმა ქვეყნის მასშტაბით საწარმოებიდან ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების გაფრქვევაში ჯერ კიდევ 2012 წელს 28,12% შეადგინა, რაც ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში მხოლოდ იმერეთის რეგიონის წილზე (46,12%) ნაკლებია. დღესდღეობით ეს მაჩვენებელი ალბათ კიდევ უარესია (სამწუხაროდ ინფორმაცია არ მოიპოვება). მნიშვნელოვანია, რომ ქ. რუსთავის წილი ქვეყნის დაბინძურებაშ 17%-ს შეადგენს. 2012 წლის მონაცემების მიხედვით, სწორედ მრეწველობის სექტორზე მოდის რეგიონში გაფრქვევების 71,26%, ხოლო ენერგეტიკის სექტორზე 28,74%. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ძირითადი საქმიანობებია ტემენტის (33,4), მეტალურგიული (15,5%) და ქიმიური (7,55%) წარმოებები. რომელთა გაფრქვევების ხვედრითი წილი მთლიანი გაფრქვევებიდან 56,42%-ს შეადგენს.[30]

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ საჭიროა ჰაერის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება და ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება, აუცილებელია მწვანე ნარგავების განაშენიანება აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, მაგალითად, ქ. რუსთავში. ლოგიკურად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მონაცემები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, რადგან არ მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოცემული პრობლემის მოსაგვარებლად. აღსანიშნავია, რომ დაბინძურება დაშვებულ კონცენტრაციაზე მაღალია. რაც უფრო იზრდება მოქმედი საწარმოების რაოდენობა და მათი საქმიანობის მოცულობა, ეკოლოგიური პრობლემები ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით კიდევ უფრო ძნელად გამოსასწორებელი ხდება. როგორც გავარკვიე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი რეგიონში მხოლოდ ქ. რუსთავში, ჰაერის ხარისხის გამზომი ერთი ჯიხურის საშუალებით ხორციელდება. ეს მონაცემები ასახავს არა მთლიანად რეგიონის ან

[30] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.26.

ქალაქის, არამედ მხოლოდ იმ ტერიტორიის ჰაერის ხარისხს, სადაც დაკვირვების ჯიხურია განთავსებული, მაგრამ ოფიციალური მონაცემები მოცემულ ჯიხურთან დაკავშირებით ვერ მოვიპოვე, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ პრობლემას ქვეყნისა და რეგიონის მთავრობები არ უყურებენ სერიოზულად.

სამწუხაროა, მაგრამ რეგიონის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს მიწისქვეშა **წყლის** ხარისხის მონიტორინგი. რაც შეეხება ზედაპირული წყლის რესურსებს, კერძოდ, ტრანსსასაზღვრო მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები შედიან ჰიდრომეტეროლოგიური მონიტორინგის ქსელში და მეტნაკლები სიხშირით მიმდინარეობს წყლის ხარისხის მონიტორგინი. მოცემული მონიტორინგის მონაცემებიდან გამომდინარე აღინიშნა მდინარე მტკვარში ამონიუმის იონის ზღვრულ დასაშვებ რაოდენობაზე მეტი შემცველობა, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია ურბანული და ინდუსტრიული ჩამდინარე წყლის ნაკადებიდან ორგანული დაბინძურებით და სასოფლო-სამეურნეო მიწების გამორეცხვით. სამრეწველო საქმიანობის შედეგად აღინიშნება მდ. მაშავერას დაბინძურება მძიმე მეტალებით, ძირითადად სპილენძით. ასევე ზღვრულ დასაშვებ რაოდენობას აჭარბებს ფოსფატების საშუალო წლიური კონცენტრაცია, რაც, სავარაუდოდ, საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობით/არარსებობით შეიძლება იყოს გამოწვეული. სამწუხაროა, მაგრამ მოცემული ინფორმაციაც ხალხის გამოკითხვით მოვიპოვე, რადგან არ მოიპოვება ოფიციალური მონაცემები, მაგრამ რეგიონის მოსახლეობაში ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხი ფართოდაა ცნობილი. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ არსებული პრობლემით ქვეყნის მთავრობა არაა დაინტერესებული, რაც ალბათ სახსრების უკმარისობით ან სურვილის არარსებობით შეიძლება ავხსნათ. ამავდროულად აუცილებელია როგორც მიწისქვეშა, ასევე ზედაპირული წყლის რესურსების მონიტორინგის ქსელის შექმნა, გაფართოება და წყლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, რადგან წყლის დაბინძურება აისახება, როგორც რეგიონის მოსახლეობაზე ასევე მის ბიოსისტემაზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კაზრეთში წიაღისეულის მოპოვების გამო, რეგიონში მომატებულია რადიაციის მაჩვენებელიც, მაგრამ მოცემულ საკითხზე საუბარი არ მიმდინარეობს საზოგადოებაში.

მწვანე პოლიტიკის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზის საფუძველზე, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში დაბინძურების ხარისხი 2010-2015 წლებში, დადგინდა, რომ მდინარეების მაშავერასა და კაზრეთულას მძიმე მეტალებით: თუთიით, კადმიუმითა და რკინით დაბინძურების მაღალი ხარისხია. რაც შეეხება სპილენძს, მდინარის წყალში მისი შემცველობა შედარებით ნაკლებია ხოლმე და ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას არ აღემატება, რადგან სპილენძის გადამამუშავებელი საწარმო ჩამდინარე წყლებს სპილენძისგან წმენდს რკინის ფხვნილის გამოყენებით.[31] **იხ. ცხრილი N13**.

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მდინარე კაზრეთულა ძლიერ ბინძურდება საწარმოდან ჩამდინარე წყლებით, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს მძიმე ლითონებს – კადმიუმსა და თუთიას. დამაბინძურებლების შემცველი დამბის წყალი უერთდება მდინარე კაზრეთულას, რაც ამ უკანასკნელის კიდევ უფრო დაბინძურებას იწვევს. მდ. მაშავერასთან შეერთებისას ხდება მდ. კაზრეთულას განზავება, რის გამოც მაშავერაში თუთიის და კადმიუმის დონეები დასაშვებ ნორმას აღემატება, მაგრამ კაზრეთულასთან შედარებით, ეს მონაცემები დაბალია. საირიგაციო სისტემის წყლის დაბინძურების ხარისხის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნიმუშებში მძიმე ლითონების (Cu, Zn, Cd) კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმას აჭარბებს. მოცემული კვლევის შედეგებმა გამოკვეთა მონაცემი, რომ RMG Gold-ის მიერ გამოყენებულ მდინარეებში შემდეგი ელემენტების ჭარბი შემცველობა გვხვდება: სპილენძი (Cu), თუთია (Zn), მანგანუმი (Mn), რკინა (Fe), კადმიუმი (Cd), ნიკელი (Ni), კობალტი (Co) და ტყვია (Pb).

ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების სოფლებში აღებული სინჯების საფუძველზე, მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ დაბინძურების მაჩვენებელი აღემატება დასაშვებ ნორმებს. სპილენძის მაჩვენებელი მომატებულია ნახიდურში, აბულბუქის ტერიტორიაზე, კაზრეთსა და ბალიჭში. მანგანუმი ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით მომატებულია სოფლებში – ნახიდურში, მუშევანში, რატევანში, ვარდისუბანში, ბალიჭის ჭალებში, ფოცხვერიანში, ტანძიაში, კაზრეთში,

[31] ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ. გვ.19.

ბალიჭის შესასვლელთან და მის ზემოუბანში. კადმიუმის მატება განსაკუთრებით სოფელ რატევანში აღინიშნა, მისმა შემცველობამ ზღვრულად დასაშვებ რაოდენობას ასევე გადააჭარბა მწყნეთში, ტანძიაში, კაზრეთში, აკაურთასა და გომარეთში. სოფელ ბალიჭში ყველაზე მეტად კადმიუმი ჭალების ტერიტორიაზეა მომატებული, რომელსაც მოსდევს შუაუბნისა და სოფლის შესასვლელის ტერიტორიები. თუთია ძალზე მომატებულია აბულბუქისა (1076 მგ/კგ; ნორმა 300 მგ/კგ) და რატევნის (1014 მგ/კგ) ტერიტორიაზე. ხოლო ბალიჭის ჭალებსა და ქვემო ბოლნისის მდინარის ფსკერზე აღებულ ნიმუშებში მისი კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აღემატება პირველ შემთხვევაში 219 ერთეულით (519.82 მგ/კგ), ხოლო მეორე შემთხვევაში – 15 ერთეულით (315 მგ/კგ). საგანგაშოა თუთიის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი მომატება სოფლებში: ბალიჭი, აბულბუქი და რატევანი. ბალიჭი და აბულბუქი ყველაზე ახლოსაა საყდრისის საბადოსთან. ამ სოფლების სავარგულები ჰაერით ბინძურდება კარიერზე მიმდინარე ინტენსიური აფეთქებების შედეგად. რაც შეეხება რატევანს, რომელიც ცოტა მოშორებითაა, საწინააღმდეგო სურათია დაფიქსირებული: რატევნის ნიადაგის სიღრმეში თუთიის კონცენტრაცია 1000 მგ/კგ-ზე მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ მაშავერას წყლით მორწყვამ თუთიის დიდი ნაწილის სიღრმეში მიგრაციას შეუწყო ხელი. რაც შეეხება ტყვიას, მისი კონცენტრაცია მომატებულია საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე და სოფლებში: ვარდისუბანი, მამიშლო, პატარა დმანისი, აბულბუქი, ბალიჭის ჭალები, ბალიჭის შესასვლელთან, ბალიჭის შუაუბანი, ბალიჭის ზედაუბანი, ტანძია, დარბაზი, ფოცხვერიანი, კაზრეთი, ფოლადაურის შენაკადის ფსკერი. აღსანიშნავია, რომ ნიადაგის დაბინძურება ხდება როგორც ჰაერიდან (აფეთქებების და ატმოსფერული მასების მოძრაობის გამო) და წყლიდან (მდინარეები, სარწყავი წყალი, მიწისქვეშა წყლები).[32]

საბოლოოდ, ამ კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვემო ქართლის რეგიონის, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამთომოპოვებითი საქმიანობის შედეგად, რომელსაც აწარმოებს კომპანია "RMG" დაბინძურების არეალი და მასშტაბები საგანგაშო მდგომარეობადმე არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ

[32] ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ. გვ.22-28.

დაბინძურების ამ დონემდე გაზრდა ფიქსირდება ე.წ. საყდრის-ყაჩაღიანის საბადოს ათვისების შემდეგ წლებში. დაბინძურებულია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია, დმანისის მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი, თუმცა მკვლევარების ვარაუდით ეს დაბინძურება მოცემული შედეგებზე დაყრდნობით უფრო დიდ ტერიტორიასაც უნდა მოიცავდეს. დაბინძურების სრული სურათის წარმოჩენისათვის აუცილებელია კვლევამ მთელი ქვემო ქართლი მოიცვას, გარდა ამისა, აუცილებელია დაბინძურების ეფექტის შესწავლა საკვებ პროდუქტებსა და განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობზე. შესაბამისად, აუცილებელია დაინერგოს საბადოს მართვის თანამედროვე პრინციპებზე მორგებული სახელმწიფო რეგულაციათა პაკეტი და გაიზარდოს საბადოს მართვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის დონე. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგებით დადგინდა ამა თუ იმ სოფელში ტოქსიკური ლითონების მატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით.[33] **იხ. ცხრილი N14.**

დღეისათვის, რეგიონის ტერიტორიაზე არსებული **ტყეების** მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ტყეების დეგრადაციის გამომწვევ ძირითად მიზეზად და ასევე, სამომავლო რისკ-ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ტყის ხანძრები. განსაკუთრებული რისკის ქვეშ ექცევა სასოფლო სამეურნეო სავარგულების მომიჯნავედ არსებული ტყის მასივები, რადგან ნაკვეთების ე.წ. გადაწვის პრაქტიკა ხშირად ხდება დაურეგულირებელი ხანძრის გავრცელების მიზეზი. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტყის აღდგენის სამუშაოების მასშტაბურად განხორციელება. ოფიციალური მონაცემების თანახმად, რეგიონში 2015 წელს ხე-ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა 52.496 კუბურ მეტრს შეადგენდა, რაც ნაკლები იყო წინა წლის მონაცემებთან შედარებით, მაგრამ მეტი, ვიდრე 2013 წლის მონაცემი. რეგიონში ასევე ფართოდაა გავრცელებული ხე-ტყის უკანონო ჭრის პრაქტიკა, რაც აუცილებლად საჭიროებს მკაცრ მონიტორინგს, რადგან რეგიონის ტყის ფონდი 2015 წელს სულ რაღაც 144,1 ათას ჰექტარს შეადგენდა, რაც არ

[33] ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან გვ 28-42.

წარმოადგენს დიდ მაჩვენებელს.[34] აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტყის აღდგენის სამუშაოების მასშტაბურად განხორციელება. **იხ. ცხრილი N15.**

ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს ორი **დაცული ტორიტორია**, ესენია გარდაბნის აღკვეთილი 3484 ჰა ფართობით და ალგეთის ეროვნული პარკი 6822 ჰა ფართობით, რაც ქვემო ქართლის ტერიტორიის 1,57%-ს იკავებს.

აღსანიშნავია, რომ გარდაბნის აღკვეთილი შეიქმნა 1996 წელს ჭალის ეკოსისტემების დაცვის, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და იქ მობინადრე ფაუნის წარმომადგენელთა დაცვის მიზნით. მოცემული ტერიტორია მდებარეობს აზერბაიჯანის საზღვართან, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, თბილისიდან 39 კილომეტრის დაშორებით. აღკვეთილში ბინადრობს თევზების 21 სახეობა, ამფიბიებისა და რეპტილიების 4 სახეობა, ფრინველების 135 სახეობა და ძუძუმწოვრების 26 სახეობა. აუცილებელია იმის თქმაც, რომ გარდაბნის აღკვეთილთან ახლოს მდებარეობს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. აღკვეთილის ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის, კერძოდ, 60-70-იან წლებში შეიქმნა და მოიცავს ეგერების 2 სახლს, მონადირის 5 სახლს, ერთ სასტუმროსა და ერთ სტანდარტულ სახლს. მისი ტურისტული პოტენციალი, ჯერ-ჯერობით, ძირითადად, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმართულებით კულტურულ, ფეხით სასიარულო და სამანქანო-სათავგადასავლო ტურებში გამოიხატება. შესაძლებელია აღკვეთილის ტერიტორიაზე ტურისტული პოტენციალის გამოყენება ფრინველებსა და ცხოველებზე დაკვირვების, ასევე ბოტანიკური და ეკოლოგიური ტურების ორგანიზებით. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიის ნაწილი 49 წლიანი ვადით იჯარით გაიცა სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით.[35]

---

[34] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, http://www.moe.gov.ge/ka/home 2017წ.

[35] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98

ალგეთის ეროვნული პარკი მდებარეობს ალგეთის ხეობაში ზღვის დონიდან 1100-1950 მ სიმაღლეზე, თრიალეთის ქედის აღოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ფერდობზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, თბილისიდან კი 60 კმ-ით არის დაშორებული. მოცემული ნაკრძალი დაარსდა 1965 წელს, აღმოსავლური ნაძვის და კავკასიური სოჭის უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვრის დაცვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2007 წელს ალგეთს მიენიჭა ეროვნული პარკის სტატუსი. ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორია ძლიერი მთაგორიანობით ხასიათდება, რომელიც მრავალრიცხოვანი პატარა მდინარეებითა და ხევებითაა დაღარული. სწორედ მოცემული პარკის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე ალგეთი თავისი მრავალრიცხოვანი პატარა შენაკადით და ხევით. პარკის ფართობის 90% ტყითაა დაფარული და წარმოდგენილია მცენარეთა 1664 სახეობით, აქედან 3 საქართველოს და კავკასიის ენდემია. გავრცელებული სოკოების 250 სახეობიდან 10 სახეობა პირველად იქნა აღმოჩენილი სწორედ მოცემული პარკის ტერიტორიაზე. აქვე მინდა დავამატო, რომ ალგეთის ხეობაში გვხვდება 80-ზე მეტი სახეობის ფრინველი. ალგეთის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა, 1965 წელს აშენდა ადმინისტრაციული შენობა და მცირე საველე ინფრასტრუქტურა, 3 საფეხმავლო და საცხენოსნო ტურისტული ბილიკი, საპიკნიკე და საცეცხლე ადგილი, გადასასვლელი ხიდი და სანიტარული კვანძი. მოცემული პარკი წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების მნიშვნელოვან ადგილს. მას გააჩნია რეკრეაციულ-კურორტოლოგიური და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა. დღესდღეობით დაცულ ტერიტორიაზე განვითარებულია ეკოტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა საფეხმავლო, საცხენოსნო და კულტურული ტურები. ეროვნულ პარკს ეკო-ტურიზმის, კერძოდ: სალაშქრო, საცხენოსნო, ფოტო-ვიდეო, ფრინველებზე დაკვირვების, ეკოლოგიური და ბოტანიკური ტურების განვითარების საკმაოდ მაღალი პოტენციალი გააჩნია, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაც.[36]

36 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%98

როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლს გააჩნია საკმარისი პოტენციალი ეკოტურიზმის განსავითარებლად, მაგრამ სამწუხაროდ მისი პოტენციალის ათვისება ვერ ხდება, რადგან არ მიმდინარეობს მისი პოპულარიზაცია, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საკმარისი ყურადღება არ ეთმობა მოცემულ დაცულ ტერიტორიებს, რადგან აუცილებელია ინფრასტრუქტურის განახლება და გაფართოება. აგრეთვე შესაძლებელია საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების განვითარება, რაც ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციასაც შეუწყობს ხელს, ამ ყველაფრისთვის კი საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღების მიქცევა.

თავი 5. პრობლემები და პერსპექტივები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩავატარე კვლევა და სიღრმისეული ინტერვიუს გზით გამოვკითხე 20 რესპოდენტი ბოლნისის რაიონში. კვლევის მთავარი მიზანი იყო ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის აზრის გამოკვეთა რეგიონში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან, მათი წარმოშობის მიზეზებთან და გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. ასევე, კვლევის შედეგებმა აჩვენა გამოკითხული მოსახლეობის აზრი ეკონომიკის იმ დარგების შესახებ, რომელთა განითარებაც ყველაზე პერსპექტიულად მიაჩნიათ ქვემო ქართლის რეგიონისთვის. ამ თავში სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგებზე გვექნება საუბარი და ამასთან ერთად, ტექსტის ძირითად ნაწილზე დაყრდნობით, გარკვეულ შეჯამებას გავაკეთებთ.

გამოკითხულ რესპოდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ რეგიონის უმთავრეს პრობლემად სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა დაასახელა, რაც საკმაოდ მოულოდნელი შეიძლება იყოს.

პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ახალი წყალგაყვანილობის სისტემის ჩართვის შემდეგ, რაც დააყენეს ბოლნისის რაიონში, მოხდა წყლის დიდი რაოდენობით დაკარგვა და მისი ძველი წყალგაყვანილობის მილებში გაპარება, რაც დაფიქსირდა მოსახლეობის მრიცხველებზე და მოსახლეობას დაეკისრა უზარმაზარი გადასახადები. ისედაც ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობას არ აქვს იმის საშუალება, რომ ათჯერ და ოცჯერ მეტი (რიგ შემთხვევებში ასჯერაც კი), გადაიხადოს წყლის ხარჯის გამო ყოველთვიურად, ვიდრე აქამდე იხდიდა. კომპანიამ რომელმაც ეს სისტემა დააყენა, არ გაითვალისწინა ხალხის სოციალური მდგომარება და არ მოხდა წყლის გადასახადის ჩამოწერა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსახლეობის ბრალი ეს არ იყო. წყლის გაპარების პრობლემის გამოსწორება საკმაოდ გვიან მოხდა თვითონ მოსახლეობის მიერ, გადასახადები, რომელიც ხალხს არ ჩამოაწერეს, გარკვეულ პერიოდზე გადანაწილდა ზოგი ოჯახისთვის, ზოგმა კი ვერ შესძლო ამის გაკეთება, ამიტომ მოსახლეობას ემუქრებიან წყლის გადაკეტვით. აქვე მინდა დავამატო, რომ წყლის წამოსვლამდე,

რესპოდენტების თქმით, მილებში მოდის ჰაერის დიდი ჭავლი, რომელიც ასევე ფიქსირდება მრიცხველებზე და ითვლება წყლის დანახარჯად, რამდენადაც ირონიულად არ უნდა ჟღერდეს, მოსახლეობა წყლის მაგივრად ჰაერის გადასახადს იხდის.

წყლის პრობლემებთან დაკავშირებით ყველაფერი აქ არ მთავრდება. სასმელი წყალი ისედაც ბოლნისის რაიონში და თითქმის მთლიან ქვემო ქართლში გრაფიკით მიეწოდება მოსახლეობას, რაც წყლის რესურსებით ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას, როგორიცაა საქართველო არ უნდა გააჩნდეს. ასევე მოსახლეობა უკმაყოფილოა წყლის ხარისხითაც, მათ აქვთ ეჭვი, რომ რეგიონში არსებული მდინარეები და ტბები დაბინძურებულია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების მიერ, რაც სავსებით რეალურია, რაც განსაკუთრებით სარწყავ წყალს შეეხება.

პრობლემაა ასევე სარწყავ წყალთან დაკავშირებით. გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს, საკუთარი მცირე მეურნეობა (ვენახი), მათი თქმით, არ არსებობს გამართული სარწყავი სისტემა, რაც მათ მეურნეობის მოვლა-პატრონობას პრობლემას უქმნის, ხშირ შემთხვევაში კი უაზროსაც ხდის. რადგან დანახარჯები გაწეული სამუშაოსთვის ხშირად აღემატება მიღებულ შემოსავლებს. ამ ყველაფერმა კი გამოიწვია იმედგაცრუება მოსახლეობაში, რის შედეგადაც გარკვეულმა ნაწილმა მიატოვა საკუთარი მიწის მოვლა.

რესპოდენტების აზრით, რაიონული ცენტრებისა და სოფლების რიგით მეორე უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს დასაქმება. მათი თქმით, არ არსებობს საკმარისი სამუშაო ადგილები, ისეთი ობიექტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა და შეიძლება დღესაც ამუშავდეს, ფიზიკურად აღარ არსებობს, ასეთებია ფაბრიკები, ქარხნები და სხვა. ამ ყველაფერმა გამოიწვია მოსახლეობის დიდი რაოდენობით გადინება უცხოეთსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამუშაოს საძებნელად, განსაკუთრებით თბილისში.

რესპოდენტების თქმით, სოციალური მდგომარეობა რეგიონში საკმაოდ მძიმეა, რაც ავტომატურად იწვევს ზემოხსენებული პრობლემის კიდევ უფრო გამწვავებას

დემოგრაფიული კუთხით. რესპოდენტებს გააჩნიათ იმის შიში, რომ მალე ბოლნისის რაიონი სულ დაიცლება ახალგაზრდებისგან.

გამოკითხულთა თქმით, რეგიონში განსაკუთრებით კი ბოლნისის რაიონში, შეიძლება სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო განვითარება, სარწყავი წყლის პრობლემების მოგვარების და ფერმერული მეურნეობების განვითარების გზით, რაც ხალხის საკმაოდ დიდ რაოდენობას დაასაქმებდა. ასევე მოსახლეობა უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ რეგიონში არაა განვითარებული ტურიზმი, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ რეგიონს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია ამ კუთხით. არ ხდება რეგიონის პოპულარიზაცია ტურისტული მარშრუტებისა და პროდუქციის თვალსაზრისით, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში. რესპოდენტების თქმით, რეგიონში დაახლოებით ათასამდე ისტორიული მნიშვნელობის ობიექტია (საქართველოში უძველესი ტაძრები და სხვა ნიმუშები, როგორიცაა ბოლნისის სიონი, წუღრუღაშენი და სხვა), რისი გამოყენებაც შესაძლებელია ტურისტული თვალსაზრისით. მათი აზრით, ასევე რეგიონს გააჩნია საკმაოდ საინტერესო ბუნება, მდინარეებისა და ტბების სახით.

გამოკითხულთა თქმით, რეგიონში შესაძლებელია წარმოების კიდევ უფრო განვითარება, რადგან ქვემო ქართლი მდიდარია წიაღისეული რესურსებით, რომელთა პოტენციალი მხოლოდ მცირედი ნაწილით არის ათვისებული (დაბინძურების შემცირების შემთხვევაში, მოსახლეობა ბედნიერი იქნებოდა მსგავსი ტიპის ინდუსტრიის კიდევ უფრო განვითარებით), რაც ასევე საკმაოდ დიდი რაოდენობით ხალხს დაასაქმებს. ასევე შესაძლებელია რეგიონში ისეთი მეურნეობების განვითარება, როგორიცაა საკონსერვო მეურნეობა, სამკერვალო ფაბრიკები და სხვა მრავალი. განსაკუთრებით რეგიონში შესაძლებელია ქარის, მზის და ბიოგაზის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება. ქვემო ქართლს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ენერგიის გენერირების კუთხით, ისეთი განახლებადი რესურსების გამოყენებით, როგორიცაა ჰიდროენერგია და ქარისა და მზის ენერგია. მზის ენერგიის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქვემო ქართლის რეგიონი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტერიტორიის თითქმის ნახევარი მიეკუთვნება ზონას, სადაც წლის თბილ პერიოდში (მაისი-ოქტომბერი) იქმნება

ოპტიმალური პირობები სხვადასხვა ტიპის ჰელიოდანადგარების (ბრტყელი კოლექტორები, მძლავრი მზის ღუმელები, კოშკის ტიპის მზის სადგურები, გენერატორები) ექსპლუატაციისათვის. ეს ზონა მოიცავს ქ. რუსთავს, მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს.

ასევე რეგიონს გააჩნია დიდი პოტენციალი ბაზალტის ბოჭკოს საწარმოებლად. დღეისათვის ბაზალტის ბოჭკოს მწარმოებელი ძირითადი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში არის უკრაინა, თუმცა ქვემო ქართლის ბაზალტი (ბოლნისისა და მარნეულის რაიონები), ხარისხის თვალსაზრისით უკეთესია. ბაზალტის ბოჭკოს წარმოების შემთხვევაში ერთი გარეცხვით ნაკლებს საჭიროებს და შესაბამისად, მცირდება წარმოების თვითღირებულება. თუმცა ხსენებული წარმოების გამართვა საჭიროებს დიდი რაოდენობით ინვესტიციას.

რესპოდენტების სურვილის მიხედვით, კარგი იქნებოდა თუ მოხდებოდა აზერბაიჯანსა და სომხეთთან სავაჭრო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება, რაც დამატებით შემოსავალს გაუჩენდა მოსახლეობას და შესაძლებელს გახდიდა დასაქმების პრობლემის სრულიად აღმოფხვრას, ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით. ასევე კარგი იქნებოდა თუ მოხდებოდა რეგიონში პროფესიული სასწავლებლების გახსნა, რაც კვალიფიკაციური მუშახელის რაოდენობას გაზრდიდა.

რეგიონში რესპოდენტების თქმით, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ეკოლოგიური საკითხი. ადგილობრივი მთავრობისა და ქვეყნის მთავრობის მიერ არ ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი ყურადღების გამახვილება. მათი თქმით, რეგიონში არსებული საწარმოებისა და მადნეულის მომპოვებელი კომპანიების მიერ, ხდება ძალიან დიდი მოცულობით ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება. მაგალითისთვის, კაზრეთში არსებული სპილენძისა და ოქროს მომპოვებლითი სამუშაოების გამო, გაზრდილია რადიაციის დონე. არაა ცნობილი, თუ რამდენჯერ ცდება არსებული რადიაციის დონე დასაშვებ ნორმას. მაგრამ ფაქტია, რომ ახლომდებარე ტერიტორიებზე, გაზრდილია სიმსივნური დაავადებების რაოდენობა. საბჭოთა პერიოდში, მრეწველობის სექტორის სრული დატვირთვით მუშაობის დროს, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნარჩენები წარმოიქმნა და დაბინძურების კერები გაჩნდა ქალაქებში რუსთავი, ბოლნისი და სხვა, სადაც

მეტალურგიული, სამთომომპოვებელი კომბინატებიდან და სხვა საწარმოებიდან მრავალი ათასი ტონა სამრეწველო ნარჩენი დაგროვდა. შედეგად, ამ საწარმოთა მიმდებარე ტერიტორიები მრავალი წლის განმავლობაში ფორმირდებოდნენ, როგორც ტოქსიკური ელემენტების მომატებული კონცენტრაციების კერები. 2007 წლის ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიშის მიხედვით, რეგიონში სამრეწველო ნარჩენის რაოდენობა შეფასდა დაახლ. 3 მლნ ტონად, საიდანაც 3%-ს წარმოადგენს ტოქსიკურ ნარჩენები.

როგორც ნაშრომის წინა თავებში აღვნიშნე, ეკოლოგიური დაბინძურება ზიანს აყენებს არამარტო რეგიონის მოსახლეობას, არამედ მთლიან ბიოსისტემას. დაბინძურებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ან სხვა სახის საკვები თუ წყალი, რომელსაც საზოგადობა მოიხმარს ან სარეალიზაციოდ მიაქვს, ორგანიზმს კიდევ უფრო დიდ ზიანს აყენებს. რესპოდენტების თქმით, არავინ იცის, რა ზიანი მიადგა რეგიონის ბუნებას უკონტროლო დაბინძურების გამო და რა შედეგებს გამოიწვევს ეს მომავალში.

საიდუმლო არაა, რომ ადამიანისთვის ჯანმრთელობა უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ, მოსახლეობის თქმით, აუცილებელია არსებული ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება, შესაბამისი კვლევითი ობიექტებისა და ორგანიზაციების დაარსება, ამოქმედება ან ჩართვა იმისთვის, რომ დადგინდეს რეგიონში ეკოლოგიური საკითხის რეალური სახე და შეიქმნას პრობლემის გადაჭრის გეგმა.

რესპოდენტების თქმით, ქვემო ქართლის რეგიონში არსებული კიდევ ერთი თვალში საცემი პრობლემა არის ის, რომ არსებული დასახლებების ინფრასტრუქტურული იერსახის საერთო მდგომარეობა - შენობა-ნაგებობების, ეზოების, ქუჩების, ტროტუარების, მოედნების, სკვერების, პარკების იერსახე არადამაკმაყოფილებელია. ქვემო ქართლის რეგიონში არც რეგიონის და არც მუნიციპალურ დონეზე არ ხორციელდება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა. რესპოდენტები განსაკუთრებით უკმაყოფილოები არიან გზების ხარისხით. მოუწესრიგებელი გზები პრობლემას უქმნის მოსახლეობის გადაადგილებას და აზიანებს მათ სატრანსპორტო საშუალებებს. რესპოდენტების თქმით, ქვემო

ქართლში, განსაკუთრებით კი ბოლნისის რაიონში, კიდევ ბევრი პრობლემაა, რისი მოგვარებაც აუცილებელია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები წარმოადგენს იმ უმთავრეს საკითხებს, რაც ყველას - წარმომავლობის, რელიგიის, სქესის თუ ასაკის მიუხედავად ადარდებს და თვლის საჭიროდ, როგორც პრიორიტეტულს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვემო ქართლში საკმაოდ ბევრი პრობლემაა, რომლებიც სასწრაფოდ გადაწყვეტას საჭიროებენ, თუმცა რეგიონის პოტენციალის გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებელია არსებული პრობლემების აღმოფხვრა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების წინაშე მყოფი რეგიონის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, საბოლოოდ, ეს იქნება ჩვენი ქვეყნის წინ გადადგმული ნაბიჯი მომავალი წარმატებისკენ.

დასკვნა

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი კუთხეა, რომელსაც განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, თუმცა, დღესდღეობით, რეგიონში საკმაოდ მძიმე ვითარებაა შექმნილი, რაც არაერთ პრობლემაში (მაგალითად, მოსახლეობის დეპოპულაცია მიგრაციის გამო, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ეკოლოგიური პრობლემები) გამოიხატება. ნაშრომში სწორედ აღნიშნულ პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული. გარდა ამისა, გამოკვეთილია ეკონომიკის ის დარგები, რომელთაც განვითარების კარგი შესაძლებლობები გააჩნიათ და სწორედ ამ პერსპექტიული დარგების (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი და საკონსერვო მეურნეობა, მრეწველობა, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, ვაჭრობა და ენერგეტიკა) განვითარების საფუძველზე უნდა მოხდეს ქვემო ქართლის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში საკითხის შესწავლისა და კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომელთა წინაშეც დღეს ქვემო ქართლის რეგიონი დგას. უპირველეს ყოვლისა, ქვემო ქართლში ეკოლოგიური პრობლემის საკითხი იკვეთება, რაც გამოწვეულია განვითარებული მრეწველობისა და სამთო-მომპოვებლური მეურნეობის გამო. აღსანიშნავია, რომ რეგიონი საქართველოში (იმერეთის რეგიონის მერე) ყველაზე დაბინძურებულია. მოცემული საკითხი ზიანს აყენებს მთლიან ბიოსისტემას და არა მარტო ადამიანს. აუცილებელია ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი გეგმის შემუშავება და განხორციელება, რადგან საზოგადოების უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და სიცოცხლე მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის.

არანაკლები მნიშვნელობის პრობლემა დგას სასმელ და სარწყავ წყალთან დაკავშირებით. სასმელი წყალი თითქმის მთლიან რეგიონში მოედინება გრაფიკით, დილით და საღამოს. ასევე აღსანიშნავია, რომ ბოლნისის რაიონში მოსახლეობას ზედმეტი გადასახადი დაეკისრა წყალზე, ახალი სისტემის დამონტაჟების შემდეგ, რაც დამმონტაჟებელი კომპანიის დაუდევრობის ბრალია, ეს დაუდევრობა კი მძიმე ეკონომიკურ ტვირთად დააწვა მოსახლეობას. რაც შეეხება სარწყავ წყალს, ქვემო

ქართლის საკმაოდ დიდ ნაწილზე გამართულად არ მუშაობს სარწყავი სისტემა (დიდ ნაწილზე კი საერთოდ არაა მსგავსი სისტემები), რაც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

რეგიონის ალბათ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები. სწორედ ეს საკითხი იწვევს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციას რეგიონიდან სხვა ქვეყნებსა და საქართველოს რეგიონებში, უპირველეს ყოვლისა კი თბილისში.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, პრობლემების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნე, გამოიკვეთა ის დარგები, რომლებსაც განვითარების ძალიან დიდი პერსპექტივა გააჩნიათ ქვემო ქართლის რეგიონში.

პერსპექტიულ დარგებზე საუბრისას, პირველ რიგში უნდა ავღნიშნოთ მრეწველობა, რომელიც ისედაც განვითარებულია სხვა დარგებთან შედარებით, მაგრამ რეგიონს კიდევ უფრო დიდი პოტენციალი გააჩნია მის განსავითარებლად, რადგან რესურსები არაა სათანადოდ ათვისებული. აქ გვხვდება დიდი რაოდენობით სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები, მინერალური ქვები - ბაზალტი და ტუფი, მრავალფეროვანი წიაღისეული, რომელთა ათვისების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ქვემო ქართლის ეკონომიკა და შემცირდება უმუშევრობის მაჩვენებელი.

ქვემო ქართლს ასევე მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია ენერგიის გენერირების კუთხით, ისეთი განახლებადი რესურსების გამოყენებით, როგორიცაა ჰიდროენერგია და ქარისა და მზის ენერგია. მზის ენერგიის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქვემო ქართლის რეგიონი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტერიტორიის თითქმის ნახევარი მიეკუთვნება ზონას, სადაც წლის თბილ პერიოდში (მაისი-ოქტომბერი) იქმნება ოპტიმალური პირობები სხვადასხვა ტიპის ჰელიოდანადგარების (ბრტყელი კოლექტორები, მძლავრი მზის ღუმელები, კოშკის ტიპის მზის სადგურები, გენერატორები) ექსპლუატაციისათვის. ეს ზონა მოიცავს ქ. რუსთავს, მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს.

რეგიონის კლიმატური პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის. მოსავლის მიღება შესაძლებელია წელიწადში 2-3-ჯერ, რაც განაპირობებს ქვემო ქართლის მაღალ კონკურენტუნარიანობას სხვა რეგიონებთან შედარებით. შესაბამისად რეგიონს გააჩნია საკმაოდ დიდი პოტენციალი სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო განვითარებისთვის (თუ მოხდება სარწყავი სისტემების მოწესრიგება და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება). რეგიონის ნიადაგები და კლიმატი იძლევა ისეთი კულტურების განვითარების საშუალებას, რომელთა განვითარება, საქართველოს სხვა მხარეებისთვის (გარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისა), ნაკლებად შესაძლებელია. აქ განსაკუთრებით კარგი პირობებია საადრეო კარტოფილისა და ბოსტნეულის, მარცვლეულის, ხილის, ყურძნის, ბაღჩეულის, მრავალწლიანი ბალახებისა და სხვა კომერციულად საინტერესო პროდუქციის საწარმოებლად. აღსანიშნავია, რომ რეგიონში აღრიცხული არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი. რეგიონში ასევე საკმაოდ კარგი პოტენციალია ფერმერული მეურნეობის და მეცხოველეობის განვითარებისთვის.

ქვემო ქართლს ასევე გააჩნია საკმაოდ დიდი რაოდენობით ისტორიულ-კულტურული ძეგლები და უნიკალური ბუნება, რის ხარჯზეც შესაძლებელია ტურიზმის განვითარება. სამწუხაროდ, არ ხდება რეგიონის პოპულარიზაცია სათანადო დონეზე და არაა შესაბამისი ინფრასტრუქტურა განვითარებული. მაგრამ მოცემული პრობლემის მოგვარების შემთხვევაში, რეგიონში ახალი ინდუსტრია განვითარდება.

საბოლოოდ, მოკლე შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა, რომელიც დღეს არაერთი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას, ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა ამ პრობლემების კომპლექსური კვლევა და შესწავლა. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი კი წარმოადგენს ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ნაშრომს გამოყენების კარგი პერსპექტივა ექნება ქვემო ქართლის რეგიონის კვლევით დაინტერესებული პირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Springer. (2015). Science+Business. Chapter 2. Theories of Economic Development. Media Singapore.
- სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2017 წელი). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. **ბმული:** http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/agceris%20cinascari%20shedegebi_30.04.2015.pdf
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2016 წელი). „მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღ-წერის ძირითადი შედეგები“. თბილისი. გვ. 13-15. **ბმული:** http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf
- სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), **ბმული:** http://geostat.ge/
- ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, **ბმული:** http://www.moh.gov.ge/
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, **ბმული:** http://catalog.edu.ge/
- 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა
- ქვემო ქართლის რეგიონული განვიტარების სააგენტო, http://kkrda.ge/
- ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ.

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, **ბმული:** http://www.moe.gov.ge/
- https://ka.wikipedia.org

დანართი.

რუკა N1.

წყარო: რუკა აგებულია პროგრამა გის-ში (გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები) ავტორის მიერ.

რუკა N2.



წყარო: რუკა აგებულია პროგრამა გის-ში (გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები) ავტორის მიერ.

დიაგრამა N1.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წელი.

დიაგრამა N2.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წელი.

ცხრილი N1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ექიმების რიცხოვნობა დაკავებული თანამდებობების მიხედვით, ათასი*	1,2	1,0	1,1	1,3	1,1	1,2	1,3	1,2	1,4
საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა, ათასი*	1,3	0,9	1,2	1,1	0,9	0,9	1,0	0,9	1,0
საავადმყოფოების რიცხვი, ერთეული	25	23	25	16	15	16	20	18	19
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა, ათასი	0,9	0,8	0,8	0,8	0,6	0,7	0,7	0,7	0,8
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა, ერთეული	95	154	180	190	196	200	205	216	209
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების	408,9	384,5	390,0	419,0	462,2	517,9	541,3	510,8	606,4

რიცხვი წლის განმავლობაში (პროფილაქტიკის ჩათვლით), ათასი									

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/2014/Failebi/Angarishebi/2_year-qvemo_qartli.pdf 2017 წლის 21 დეკემბერი.

ცხრილი N2. სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა ქვემო ქართლში

წლები	სკოლების რაოდენობა ეღთეული	მოსწავლეთა რიცხოვნება, კაცი
2008/2009	291	74563
2009/2010	292	74674
2010/2011	279	70369
2011/2012	268	65878
2012/2013	268	65827
2013/2014	269	65772
2014/2015	269	66054
2015/2016	268	66946
2016/2017	266	67450
2017/2018	266	68585

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, http://catalog.edu.ge/index.php?module=school_info&page=region_list 2017 წლის 21 დეკემბერი.

ცხრილი N3. საწარმოთა ბრუნვა ქვემო ქართლის რეგიონში, ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, მლნ. ლარი.

	2010	2011	2012	2013	2014	2015
ქვემო ქართლის რეგიონი	1726,2	2302,4	2506,4	2661,8	2830,1	3347,4
სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	40,3	51,5	68,2	69,1	95,5	122,5
თევზჭერა, მეთევზეობა	0,2	0,2	0,4	0,1	0,3	0,2
სამთომოპოვებითი მრეწველობა	158,4	182,4	124,9	149,4	169,4	308,2
დამამუშავებელი მრეწველობა	964,5	1162,1	1122,2	1209,5	1160,3	1017,7
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	162,6	354,3	370,8	293,7	326,1	511,4
მშენებლობა	45,3	65,3	155,3	112,2	134,3	204,0
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	284,7	398,2	543,3	697,2	785,1	972,4
სასტუმროები და რესტორნები	2,5	6,8	11,3	11,3	16,4	23,0
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	20,1	21,2	28,4	29,2	32,6	60,0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	12,0	27,2	44,3	41,8	47,9	48,0
განათლება	3,3	3,6	4,0	5,8	8,4	4,9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	15,8	14,0	11,3	16,6	18,8	24,3
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	16,5	15,7	22,0	26,2	34,9	50,7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

ცხრილი N4. დასაქმებულთა შრომის საშუალოთვიური ანაზღაურება ქვემო ქართლის რეგიონში, ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, ლარი.

	2010	2011	2012	2013	2014	2015
ქვემო ქართლის რეგიონი	571,5	547,5	663,0	679,6	690,2	779,2
სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	357,2	374,4	541,4	583,7	619,5	844,3
თევზჭერა, მეთევზეობა	423,9	160,8	532,4	381,3	330,4	623,8
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1051,4	1021,8	1140,0	1094,2	1087,2	1361,3
დამამუშავებელი მრეწველობა	742,9	697,6	823,4	838,4	908,5	956,0
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	752,8	929,5	920,4	939,2	1123,7	1146,8
მშენებლობა	606,9	590,5	887,8	903,4	872,4	1017,7
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	206,6	197,4	266,9	287,7	353,2	366,9
სასტუმროები და რესტორნები	114,6	110,8	161,4	211,3	142,2	220,5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	472,7	355,8	419,1	567,3	387,0	640,8
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	260,5	345,6	615,3	603,7	459,6	580,2
განათლება	179,5	271,0	195,4	209,8	244,7	248,8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	271,2	271,2	317,3	344,3	432,3	457,9
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	456,3	440,7	505,4	684,0	677,2	604,5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

ცხრილი N5. ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა ქვემო ქართლის რეგიონში

ხორბალი	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	7,2	5,9	8,5	8,1	9,5	6,3	5,3	5,8	4,1
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	6,7	5,6	7,8	8,1	9,5	6,3	5,2	5,3	3,5
წარმოება (ათასი ტონა)	12,4	8,7	9,8	17,3	14,9	10,7	10,0	8,8	6,9
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	1,9	1,6	1,3	2,1	1,6	1,7	1,9	1,6	2,0
ქერი	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	0,4	1,3	0,3	1,0	1,7	0,8	1,8	3,0	2,2
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	0,4	1,3	0,3	1,0	1,6	0,8	1,8	2,8	1,9
წარმოება (ათასი ტონა)	0,6	1,3	0,4	0,8	2,9	1,2	2,4	4,5	2,8
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	1,4	1,0	1,3	0,8	1,8	1,5	1,4	1,6	1,5
სიმინდი	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	8,1	5,7	3,1	10,7	6,1	9,7	7,0	5,3	5,9
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	7,5	5,1	2,8	10,6	6,1	9,4	6,9	5,0	5,8
წარმოება (ათასი ტონა)	17,3	14,6	6,8	32,5	16,5	23,5	19,7	15,7	16,9
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	2,3	2,9	2,5	3,0	2,7	2,5	2,8	3,1	2,9
ლობიო	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	0,9	1,3	2,8	1,5	1,4	1,8	0,9	0,9	0,5
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	0,9	1,3	2,8	1,5	1,2	1,8	0,9	0,9	0,5
წარმოება (ათასი ტონა)	0,9	1,8	1,7	1,3	1,4	1,7	0,9	0,7	0,3
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	0,5	1,2	0,6	0,8	1,3	0,5	0,9	0,8	0,6
კარტოფილი	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	6,3	4,5	4,7	3,4	5,0	7,9	5,7	5,8	4,2
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	6,3	4,5	4,7	3,4	5,0	7,9	5,7	5,7	4,2
წარმოება (ათასი ტონა)	24,9	35,3	63,3	58,4	51,3	91,3	70,6	49,8	44,1
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	4,0	7,8	13,8	17,3	10,2	11,5	12,3	8,2	10,5
ბოსტნეული	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	3,9	4,4	6,9	3,2	6,0	6,1	3,6	3,0	3,8
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	3,8	4,3	6,5	3,1	5,2	6,0	3,5	3,0	3,8
წარმოება (ათასი ტონა)	28,9	66,8	57,7	40,5	58,6	53,8	36,7	38,4	52,8
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	7,5	9,4	8,8	12,9	11,2	8,9	10,3	12,5	13,6
ბაღჩეული	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	0,3	0,2	0,2	0,0	0,1	0,2	0,1	0,1	0,1
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	0,3	0,2	0,2	0,0	0,1	0,2	0,1	0,1	0,1
წარმოება (ათასი ტონა)	4,5	3,7	1,5	1,2	2,8	3,7	3,0	3,8	1,3
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	14,9	18,0	5,8	32,7	21,1	24,5	21,0	30,7	11,5
ერთწლიანი ბალახები	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	0,9	3,4	2,2	3,8	0,4	0,3	0,5	0,6	0,3
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	0,9	3,3	2,2	3,8	0,4	0,3	0,5	0,6	0,3
წარმოება (ათასი ტონა)	4,3	11,1	10,5	17,4	3,9	1,4	2,0	0,8	0,9
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	4,7	3,4	4,7	4,6	9,9	5,0	3,8	1,3	3,3
მრავალწლიანი ბალახები	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	5,1	6,0	3,2	7,3	5,6	5,3	4,1	5,2	8,1
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	5,0	5,9	2,9	7,3	5,1	5,3	4,1	5,1	7,9
წარმოება (ათასი ტონა)	17,5	15,2	12,1	36,7	20,3	28,0	15,4	32,2	29,7
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	3,5	2,6	4,2	5,0	4,0	5,3	3,8	6,3	3,8

წყარო: 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.

შენიშვნა: 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 2016-2017 წლების გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014-2017 წლების მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. შესაბამისად, 2014-2016 წლების მონაცემები შესადარისი არ არის 2008-2013 წლების მონაცემებთან.

ცხრილი N6. ხილის წარმოება ქვემო ქართლის რეგიონში (ათასი ტონა)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ხილის წარმოება, სულ	12,4	7,1	6,0	12,3	7,7	7,4	5,6	6,0	9,5
თესლოვანი ხილის წარმოება	4,2	2,9	1,2	4,2	3,1	1,7	1,3	1,2	2,2
კურკოვანი ხილის წარმოება	4,2	1,5	1,6	1,9	2,1	1,4	1,0	0,8	1,7
კაკლოვანი ხილის წარმოება	...	...	...	...	...	...	...	...	0,9
სუბტროპიკული ხილის წარმოება	3,5	2,3	2,3	5,4	1,9	4,2	2,4	3,0	3,2

წყარო: 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.

შენიშვნა: 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 2016-2017 წლების გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014-2017 წლების მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. შესაბამისად, 2014-2016 წლების მონაცემები შესადარისი არ არის 2008-2013 წლების მონაცემებთან.

ცხრილი N7. პირუტყვისა და ფრინველის სულადობა ქვემო ქართლის რეგიონში, წლის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	186,7	158,1	188,0	167,3	160,0	168,3	137,2	144,3	148,9
ფურისა და ფურკამეჩი	109,0	86,4	106,1	96,8	92,4	93,7	85,5	82,9	79,2
ღორი	4,8	13,3	15,4	10,1	16,3	11,6	21,8	22,0	22,6
დედა ღორი	2,4	3,2	3,5	1,9	6,0	3,5	2,6	3,1	3,7
ცხვრი	206,8	131,8	149,1	123,2	148,6	160,7	187,8	185,2	203,7
დედა ცხავრი	129,7	88,5	99,3	92,1	111,6	114,3	134,3	120,9	154,7
თხა	10,9	10,1	5,9	4,8	5,8	6,5	6,4	5,8	7,9
დედა თხა	7,4	7,0	3,2	3,2	4,1	4,6	4,9	4,1	5,7
ყველა სახის შინაური ფრინველი	1 641,4	1 644,9	1 536,8	1 739,3	1 733,1	1 727,5	1 561,8	3 212,0	3 454,7
ფუტკრის ოჯახები)	10,6	15,6	15,8	21,5	15,4	21,4	13,8	14,9	20,2

ცხრილი N8. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ქვემო ქართლის რეგიონში (ათასი ტონა)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ხორცის წარმოება, სულ	11,5	10,4	7,9	8,5	6,0	7,0	11,9	16,3	21,5
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება	5,9	6,3	3,6	3,1	1,8	3,5	2,5	2,5	2,1
ღორის ხორცის წარმოება	0,3	0,7	1,7	1,9	1,1	0,6	2,6	3,6	3,3
ცხვრისა და თხის ხორცის წარმოება	2,2	1,1	1,0	0,8	0,5	0,9	1,0	1,1	0,7
ფრინველის ხორცის წარმოება	3,0	2,1	1,6	2,5	2,5	1,9	5,7	9,0	15,3
რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)	129,6	80,3	107,9	106,2	113,3	102,8	95,9	98,1	105,2
ფურისა და ფურკამეჩის რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)	127,9	78,7	106,2	104,6	111,6	100,8	93,7	95,8	102,7
ცხვრისა და თხის რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)	1,7	1,6	1,7	1,6	1,7	2,0	2,2	2,3	2,5
კვერცხის წარმოება (მლნ. ცალი)	242,9	226,0	242,2	272,7	244,9	257,4	195,7	226,6	227,2
მატყლის წარმოება (ათასი ტონა)	0,6	0,5	0,4	0,5	0,4	0,3	0,4	0,5	0,5
თაფლის წარმოება (ათასი ტონა)	0,1	0,0	0,2	0,2	0,2	0,2	0,1	0,1	0,1

წყარო: 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.

შენიშვნა: 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 2016-2017 წლების გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014-2017 წლების მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015

წლების მონაცემების გადაანგარიშება. შესაბამისად, 2014-2016წლების მონაცემები შესადარისი არ არის 2008-2013 წლების მონაცემებთან.

ცხრილი N9. მრეწველობის სფეროში არსებული ძირითადი მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ბრუნვა (მლნ. ლარი)	893,8	992,7	1285,5	1698,8	1618,0	1652,5	1655,9	1837,3
პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)	837,2	956,6	1238,9	1590,5	1592,6	1585,0	1576,8	1686,7
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	13303	14070	13694	15326	15162	15598	14675	14741
დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)	13091	13766	13371	15019	14822	15471	14426	14402
საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	746,2	646,9	787,1	767,8	881,4	891,6	960,3	1056,4
შუალედური მოხმარება (მლნ.ლარი)	488,7	615,0	770,0	1072,3	1046,3	1125,1	1098,8	1182,6
შრომითი დანახარჯები (მლნ. ლარი)	117,5	117,0	130,5	139,0	160,7	169,0	168,4	185,1
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	348,3	341,6	468,9	518,1	546,3	459,9	478,0	504,1
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი)	217,8	60,6	231,2	169,5	56,2	124,4	91,6	214,0
საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	503,6	659,8	832,8	1178,9	1203,4	1131,7	1113,8	1317,5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წ.

ცხრილი N.10. მშენებლობის სფეროში არსებული ძირითადი მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ბრუნვა (მლნ. ლარი)	34,0	37,3	45,3	65,3	155,3	112,2	134,3	204,0
პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)	33,4	37,5	45,1	64,8	154,4	112,6	147,1	209,2
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	1558	1741	1497	2653	3494	2825	2844	3300
დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)	1533	1688	1446	2616	3385	2754	2701	3215
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება	458,1	461,9	606,9	590,5	887,8	903,4	872,4	1017,7
შუალედური მოხმარება (მლნ.ლარი)	15,8	20,8	23,9	29,7	103,8	68,0	84,7	145,5
შრომითი დანახარჯები (მლნ. ლარი)	8,4	9,4	10,5	18,5	36,1	30,0	28,3	39,3
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	17,6	16,8	21,2	35,1	50,6	44,6	62,4	63,6
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი)	1,7	1,7	0,9	1,4	5,2	1,9	4,5	5,6
საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	21,8	20,6	23,7	30,1	105,3	69,8	92,7	207,0

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წ.

ცხრილი N11. ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ეკონომიკური მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ბრუნვა (მლნ. ლარი)	19,7	26,8	20,1	21,2	28,4	29,2	32,6	60,0	112,1
პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)	16,6	24,9	19,0	15,9	24,2	23,8	28,2	43,5	51,6
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	644	938	1009	812	1170	912	1064	1146	2135
დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)	609	869	948	795	1112	851	1018	977	1896
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება	446,2	642,6	472,7	355,8	419,1	567,3	387,0	640,8	474,2
შუალედური მოხმარება (მლნ.ლარი)	6,5	11,4	9,8	8,1	8,0	11,1	17,1	23,0	24,2
შრომითი დანახარჯი (მლნ. ლარი)	3,3	6,7	5,4	3,4	5,6	5,8	4,7	7,7	10,8
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	10,1	13,6	9,3	7,8	16,2	12,8	11,1	20,5	27,5
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი)	2,4	6,5	1,5	3,1	1,9	1,3	14,2	3,1	7,5
საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	9,7	14,6	12,3	13,5	11,8	16,5	21,6	46,1	83,0
გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	3,1	3,0	1,6	5,4	4,2	5,6	4,9	17,8	60,7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წ.

ცხრილი N12. ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის საწარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ბრუნვა (მლნ. ლარი)	153,6	211,6	284,7	398,2	543,3	697,2	785,1	972,4	1200,4
პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)	19,5	22,4	25,7	45,8	73,8	70,2	106,7	124,0	162,0
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	2892	3221	2959	4688	5588	5525	5917	7507	8398
დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)	1908	2163	2181	3837	4762	4859	4867	5535	5690
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	139,3	210,4	206,6	197,4	266,9	287,7	353,2	366,9	424,1
შუალედური მოხმარება (მლნ.ლარი)	4,3	5,2	6,2	13,3	15,9	16,2	23,9	32,1	51,8
შრომითი დანახარჯი (მლნ. ლარი)	3,2	5,5	5,4	9,1	15,3	16,8	20,6	24,4	29,0
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	15,2	17,3	19,5	32,5	57,9	54,0	82,8	91,9	110,3
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი)	2,1	1,2	1,3	1,7	5,2	2,8	8,4	8,8	8,5
საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	140,6	194,3	271,1	377,4	507,9	661,7	725,8	899,7	1133,9
გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	136,6	189,6	265,6	364,5	492,8	646,6	704,3	871,8	1085,5

წყარო სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017წ.

ცხრილი N13. 2010 წ. მძიმე ლითონების შემცველობა მდინარე მაშავერას, კაზრეთულას და "RMG"- ის საწარმოს მიმდებარე სხვა წყლებში.

მდინარის სახელწოდება	CU მკ/კგ	Zn მგ/კგ	CD მკ/კგ	Fe მგ/კგ
მდ მაშავერა მდ, კაზრეთლას შეერთებამდე	0.01	0.04	0.004	012
ფაბრიკის დამბის წყალი, მდ კაზრეთულას შეერთებამდე	1,6	3.5	0.2	17.3
დამბისა და მდ. კაზრეთულას შეერთებიდან 50 მ-ში	1.1	324.4	9.8	9.0
სოფ. რატევანთან მდ. მაშავერას წყალი.	1.6	26.6	0.3	18.2
მწყნეთის სარწყავი არხის წყალი	0.3	1.7	0.05	0.6
წოფ. ნახიდურის სარწყავი არხიდან აღებული წყალი	0.04	0.2	0.01	0.4
გაუწმენდავი დამბის წყალი	537.3	5010.0	23.65	

გაწმენდილი დამბის წყალი	**165.3**	**4460.8**	**2.0**	
მდ.კაზრეთლა დამბის წყლის შეერთების შემდეგ	**1.04**	**15.18**	**1.49**	
მდ. მაშავერა მდ. კაზრეთულას შეერთებამდე 500მ-ით ზევით, სოფ ბალიჭის სარჭყავი წყალი	**0.006**	**0.19**	**0.11**	
მდ. მაშავერა მდ. კაზრეთულას შეერთებიდან 100 მეტრში	**0.65**	**6.54**	**0.47**	

წყარო : ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ. გვ.19.

ცხრილი N14. ბოლნისის და დმანისის რაიონების სოფლების ნიადაგებში მძიმე ლითონების პროცენტული მატება ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით 2010-1015 წლებში.

ნახიდურში ნიადაგის ზედაპირზე სპილენძის შემცველობა ნორმას 0,74-ჯერ აღემატება, მანგანუმი 0.433-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.115-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 0,552-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 2.60-ჯერ;
მწყნეთში ნიადაგის ზედაპირზე კადმიუმი მომატებულია ზედა ზღვართან მიმართებით 0.5195-ჯერ, ხოლო სიღრმეში 0.1215-ჯერ;
ფოლადაურში ნიადაგის ზედაპირზე მანგანუმი მომატებულია 0.236-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 2.98-ჯერ, სიღრმეში კი კადმიუმი ზედა ზღვარს 0,19025-ჯერ აღემატება;
ქვემო ბოლნისში ზედაპირზე მანგანუმი აღემატება 0.158-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვარს აღემატება 2.125- ჯერ, სიღრმეში მანგანუმი აღემატება 0.12654-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვარს აღემატება 1.80-ჯერ;
რატევანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია: მანგანუმი 0.06364-ჯერ, თუთია 2.3766-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 2.5683-ჯერ, სიღრმეში კი – სპილენძი 1.21656-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.19-ჯერ;
მუშევანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.0148-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.86-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 0.50426-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 2.00-ჯერ;
აკაურთაში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.652-ჯერ, სიღრმეში – კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.555-ჯერ;
გომარეთში ნიადაგის ზედაპირზე კადმიუმი მომატებულია ზედა ზღვართან მიმართებით 0.477-ჯერ, სიღრმეში კი – ზედა ზღვართან მიმართებით 0.45545-ჯერ;
განთიადში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.189-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.07-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 0.1393-ჯერ,

კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 0.612-ჯერ;
ვარდისუბანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.20126-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.0335-ჯერ, ტყვია 0.0272-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი მომატებულია 0.2688-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.4844-ჯერ, ტყვია 0.1295-ჯერ;
მამიშლოში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.04348-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.222-ჯერ, ტყვია 0.02125-ჯერ, სიღრმეში კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით მომატებულია 1.50-ჯერ, ტყვია 0.1732-ჯერ;
პატარა დმანისში ნიადაგის ზედაპირზე კადმიუმი მომატებულია ქვედა ზღვართან მიმართებით 1.422- ჯერ, ტყვია 0.3125-ჯერ, სიღრმეში კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით მომატებულია 1.394-ჯერ, ტყვია 0.154-ჯერ;
აბულბუქში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 0.38425-ჯერ, მანგანუმი 0.3468-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 2.782-ჯერ, ტყვია 1.0174 -ჯერ, სიღრმეში – სპილენძი 0.4206- ჯერ, მანგანუმი 0.502-ჯერ, თუთია 2.5847-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.2985-ჯერ, ტყვია 2.0271-ჯერ;
ბალიჭის ჭალებში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 0.3949-ჯერ, მანგანუმი 0.24914-ჯერ, თუთია 0.7327-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.9827-ჯერ, ტყვია 2.3653-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.4367-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.278-ჯერ, ტყვია 1.2656-ჯერ;
ტანძიაში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.274-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.226-ჯერ, ტყვია 0.8084-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.1465-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.2995-ჯერ, ტყვია 0.80-ჯერ;
დარბაზში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.10404-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.11-ჯერ, ტყვია 0.99575-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.09692-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.05765-ჯერ, ტყვია 0.929-ჯერ;
ფოცხვერიანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.16-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 2.954-ჯერ, ტყვია 0.9929-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.105-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.227-ჯერ, ტყვია 1.2883-ჯერ;
კაზრეთში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.18862-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.381-ჯერ, ტყვია 1.7128-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.2119-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.36955-ჯერ, ტყვია 1.99-ჯერ;
ბალიჭის შესასვლელთან ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 1.1014-ჯერ, მანგანუმი 0.2372- ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.2292-ჯერ, ტყვია 1.881-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.0512-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.62-ჯერ, ტყვია 0.4968-ჯერ;
ბალიჭის შუაუბანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 0.0729-ჯერ, მანგანუმი 0.1668-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.2748-ჯერ, ტყვია 1.86525-ჯერ, სიღრმეში – კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.8035-ჯერ, ტყვია 0.7153-ჯერ;
ბალიჭის ზედაუბანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.32754-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.614-ჯერ, ტყვია 3.3337-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 0.10958-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.422-ჯერ, ტყვია 0.7926-ჯერ.

წყარო : ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ. გვ.42-43.

ცხრილი N15. გარემოსდაცვითი მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა (კუბ. მეტრი)	82 715	90 138	89 704	75 668	46 622	46 980	56 817	52 496
ტყის უკანონო ჭრა (კუბ. მეტრი)	481	1 934	525	123	1 608	229	6 636	1 783
ტყის ფონდი (ათასი ჰექტარი)	166,3	166,3	166,3	166,3	169,5	144,0	144,1	144,1
აქედან, ტყით დაფარული (ათასი ჰექტარი)	145,2	145,2	145,2	145,2	152,7	131,0	131,0	131,0
ტყის თესვა და დარგვა (ჰექტარი)	–	–	–	–	–	–	–	0,0
ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობა (ჰექტარი)	–	–	–	–	–	–	–	–
წყლის აღება ბუნებრივი ობიექტებიდან (მლნ. კუბ. მეტრი)								1 327,8
წყლის გამოყენება (მლნ. კუბ. მეტრი)								1 555,5
ჩამდინარე წყლის ჩაშვება ზედაპირულ წყალსატევებში (მლნ. კუბ. მეტრი)								961,6
სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი	24,7	155,5	355,0	344,8	393,8	388,8	471,8	338,3
მათ შორის:								
დაჭერილი და გაუვნებელყოფილი (ათასი ტონა)	19,7	151,3	349,0	335,4	383,0	375,4	457,6	328,3
ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული (ათასი ტონა)	5,0	4,2	6,0	9,4	10,8	13,4	14,2	10,0

წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, http://www.moe.gov.ge/ka/home 2017წ.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

David Gaprindashvili

Geographic aspects of exploitation resource potential and socio-economic development of kvemo kartli region

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **Nino Pavliashvili**

Associate Professor, Doctor of Philosophy (PhD) in Geography

Tbilisi 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით გაფრინდაშვილი

ქვემო ქართლის რეგიონის რესურსული პოტენციალის გამოყენების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეოგრაფიული ასპექტები

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: **ნინო პავლიაშვილი**
ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი

თბილისი 2018

ანოტაცია

ნაშრომის მთავარი **მიზანია** ქვემო ქართლის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეოგრაფიული კვლევა - ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ათვისების ხარისხის შესწავლა და ეკონომიკის ძირითადი დარგების დინამიკისა და გავლენისკვლევა მოსახლეობისკეთილდღეობის ხელშეწყობისათვის. მიგვაჩნია, რომ თემა საკმაოდ **აქტუალურია**, რადგან ქვემო ქართლი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ პრობლემურ რეგიონს (დეპოპულაცია, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი), ამიტომ ამ მიმართულებით ნებისმიერი სახის კვლევა მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტად დაინტერესდება საზო-გადოება აღნიშნული საკითხით, მით უფრო დიდი ნაბიჯები გადაიდგმება არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **ობიექტია** ქვემო ქართლის რეგიონი, კვლევის **საგანია** ქვემო ქართლის რეგიონის გეოგრაფიული ათვისებულობისა და განვითარების დინამიკის შესწავლა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. ნაშრომის მთავარი **ამოცანაა** გამოიკვეთოს ქვემო ქართლის ბუნებრივ-რესურსული ათვისების პოტენციალი რეგიონის სოცია-ლურ-ეკონომიკური განვითარებისა და შემდგომი წინსვლის ხელშეწყობისათვის.

Annotation

The main point of my master thesis is to research geographic aspects of socio-economic development of Kvemo kartli region, including, exploitation resource potential and research of dynamics and influence of the main branches of economics on social welfare. We consider the topic is quite important, because Kvemo Kartli is one of problematic regions in Georgia (Depopulation, difficult social and economic background), hence any kind of research in this field is very considerable. If the society is more interested in this issue, more steps will be done to solve the problems. The object of the following master thesis is Kvemo Kartli region. The research subject is to investigate geographic exploitation and development dynamics of Kvemo Kartli to improve the population living conditions. The following thesis task is to research geographic aspects of exploitation resource poetical for social-economic development of the region.

სარჩევი

შესავალი.....5

თავი 1. თეორიული მიდგომა (ეკონომიკური განვითარების ნეოკლასიკური თეორიები: კოორდინაციის მარცხის თეორია).....7

თავი 2. რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება.....9

თავი 2.1. მოსახლეობა.....10

თავი 2.2. ბუნებრივი რესურსების სამეურნეო შეფასება.....15

თავი 3. რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურა.....20

თავი 4. გარემოს დაცვა.....36

თავი 5. პრობლემები და პერსპექტივები.....44

დასკვნა.....50

გამოყენებული ლიტერატურა.....53

დანართი.....54

შესავალი.

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი კუთხეა, რომელსაც განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, თუმცა, დღესდღეობით, რეგიონში საკმაოდ მძიმე ვითარებაა შექმნილი, რაც არაერთ პრობლემაში (მაგალითად, მოსახლეობის დეპოპულაცია, უმუშევრობა, ეკოლოგიური პრობლემები, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი) გამოიხატება. ნაშრომში სწორედ აღნიშნულ პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული. სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** ქვემო ქართლის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეოგრაფიული კვლევა - ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ათვისების ხარისხის შესწავლა და ეკონომიკის ძირითადი დარგების დინამიკისა და გავლენის კვლევა მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობისათვის.

მიგვაჩნია, რომ თემა საკმაოდ **აქტუალურია**, რადგან ქვემო ქართლში უმუშევრობის საკმაოდ დიდი მაჩვენებელია, ასევე მძიმეა სოციალურ-ეკონომიკური ფონი და ძალიან მწვავეა ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. ამავე დროს ამ რეგიონს საკმაოდ დიდი რესურსული პოტენციალი გააჩნია მისი მომავალი განვითარებისთვის. ამიტომ ამ მიმართულებით ნებისმიერი სახის კვლევა მნიშვნელოვანია. აუცილებელია საზოგადოების რაც შეიძლება ფართო მასების დაინტერესება აღნიშნული საკითხით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **ობიექტია** ქვემოქართლის რეგიონი. კვლევის **საგანია** რეგიონის გეოგრაფიული ათვისებულობისა და განვითარების დინამიკის შესწავლა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. ნაშრომის მთავარი **ამოცანაა** გამოიკვეთოს ქვემო ქართლის ბუნებრივ-რესურსული ათვისების პოტენციალი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შემდგომი წინსვლის ხელშეწყობისათვის.

ამასთან, ტექსტს თან ახლავს საინტერესო სტატისტიკური და საილუსტრაციო მასალა, რაც უფრო მრავალფეროვანს ხდის ნაშრომს. გარდა ამისა, ინფორმაციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მოძიებულია ადგილზე, ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების გზით. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოვიყენე

კვლევის რამდენიმე მეთოდი. კერძოდ, ნაშრომის ძირითად წყაროდ გამოყენებულია ქვემო ქართლის რეგიონის მთავრობის მიერ შექმნილი დოკუმენტები, შესაბამისად, გამოვიყენე *სალიტერატურო მეთოდი.* ნაშრომში წარმოდგენილია მდიდარი სტატისტიკური მასალა, ამიტომ გამოვიყენე *სტატისტიკური მეთოდი.* ასევე, ნაშრომში წარმოდგენილი რამდენიმე რუკა შექმნილია პროგრამა გის-ში (გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები), აქედან გამომდინარე, გამოვიყენე *კარ-ტოგრაფიული მეთოდი.* გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მივმართე *სოციოლოგიურ მეთოდს* და გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუებისთვის რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ინტერვიუები ჩავწერე ბოლნისის რაიონის მაცხოვრებლებთან, (დიდი მანძილისა და დროის დეფიციტის გამო, ვერ მოხერხდა რეგიონის სრული მოცვა). სულ გამოვკითხე 20 რესპონდენტი. ინტერვიუების ჩატარების მთავარი მიზანი იყო ქვემო ქართლის მოსახლეობის აზრის გამოკვეთა რეგიონში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან, მათი წარმოშობის მიზეზებთან და გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. ასევე, კვლევის შედეგებმა აჩვენა გამოკითხული მოსახლეობის აზრი ეკონიმიკის იმ დარგების შესახებ, რომელთა განვითარებაც ყველაზე პერსპექტიულად მიაჩნიათ ქვემო ქართლის რეგიონისთვის. კვლევის შედეგებზე უფრო დაწვრილებით მეშვიდე თავში ვისაუბრებ.

რაც შეეხება სიახლეს, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტიპის კვლევა, სადაც კომპლექსურად იქნებოდა განხილული და გაანალიზებული ქვემო ქართლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, აქამდე არ შექმნილა (სამთავრობო დოკუმენტები, რომლებიც ძირითად წყაროდ მაქვს გამოყენებული ნაშრომში, მხოლოდ აღწერილობითი ხასიათისაა). ამიტომ აღნიშნული ნაშრომი შეიძლება საინტერესო წყარო გახდეს მომავალში ქვემო ქართლის კვლევით დაინტერესებული პირებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება ანოტაციის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შესავლის, 5 თავის, 2 ქვეთავის და დასკვნისგან, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის და დანართისაგან 53-54 გვერდებზე.

თავი 1. თეორიული მიდგომა (ეკონომიკური განვითარების ნეოკლასიკური თეორიები: კოორდინაციის მარცხის თეორია)

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ, რამდენად ერგება საქართველოს რეალობა ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო თეორიებს. კერძოდ, რამდენად ექვემდებარება (ან არ ექვემ-დებარება) ქვემო ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და ტურისტული რეგიონი განვითარების მოდელების მეცნიერულად აღიარებულ ნორმებს.

ჩვენი ნაშრომი ეყრდნობა **ეკონომიკური განვითარების ნეოკლასიკურ თეორიას**, კერძოდ:*კოორდინაციის მარცხის თეორიას.*

1980-იან წლებში წინა პლანზე წამოვიდა *ნეოკლასიკური თეორიები.* მისი მომხრეები აცხადებდნენ, რომ ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზია არა საერთაშორისო ფირმებისა და განვითარებული სახელმწიფოების დომინირება, არამედ ადგილობრივი მთავრობების საშინაო პოლიტიკა, კერძოდ, რესურსების არათანაბარი განაწილება, ფასების დამახინჯება და სახელმწიფოს ზედმეტი ჩარევა ეკონომიკაში (Meier, 2000 in Springer, p. 19). თეორიის მომხრეები საკითხის გადაჭრას ხედავდნენ თავისუფალი ბაზრის განვითარების ხელშეწ-ყობაში და პროტექციონიზმის, სუბსიდირებისა და სახელმწიფო სექტორის შეზღუდვაში, რაც ლიბერალიზაციით, სტაბილიზაციით და პრივატიზაციით მიიღწევა. ამასთან ერთად, ეკონომიკის ეფექტურობის ზრდას ხელს უწყობენ უცხოური კერძო ინვესტიციები. მიუხედავად ამისა, ემპირიულად, აღნიშნულმა მოდელებმა მოსალოდნელი შედეგები ვერ მოიტანა, რაც ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ისტორიულ და კულტურულ ასპექტებს და სხვა ფაქტორებს უკავშირდება (Springer, p.19).

1990-იან წლებში პოპულარული გახდა *კოორდინაციის მარცხის თეორია.* ამ თეორიის მომხრეები (Hoff, 2000; Boweles Durlauf and Hoff, 2006; Glavan, 2008) ეკონომიკას ეკოსისტემას ადარებენ და აღნიშნავენ, რომ სისტემამ გამართულად რომ იმუშაოს, საჭიროა ყველა კომპონენტი შეთანხმებულად ფუნქციონირებდეს. როგორც წესი, შუძლებელია ბაზარზე ყველა ისე მოქმედებდეს, რომ ეკვილიბრიუმი ანუ

სრული წონასწორობა იყოს დაცული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფირმის წარმატება მხოლოდ მის უნარებზე, ძალისხმევაზე, საერთო ეკონომიკურ პირობებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ სხვა აქტორებზეც - სხვა ფირმებზე, ინფრასტრუქტურაზე, რეგულაციებზე, მოსახლეობის შემოსავლებზე და სხვა. კოორდინაციის მარცხის თეორიის მომხრეები აცხადებენ, იმისათვის, რომ გარკვეული წონასწორობა იქნას მიღწეული, შესაძლებელია მთავრობამ „ბიძგი მისცეს" პროცესებს გარკვეული რეგულაციების სახით. ბოლო ათწლეულებში ასეთი „დიდი ბიძგის" („Big push") სტრატეგიის გამტარებლად მრავალ განვითარებად ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციები გვევლინება (მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამა). ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში, მიუხედავად რამდენიმე საერთაშორისო და ლოკალური ორგანიზაციის მოღვაწეობისა, ვერ მიიღწევა ის შედეგი, რისი მოლოდინიც მოსახლეობას აქვს, ანუ ვერ ხერხდება სიღარიბის დაძლევა, ასეთ დროს მნიშვნელოვანია მთავრობის როლი, რომელიც გამოდის, როგორც მარეგულირებელი. თუკი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად (როგორიცაა ზემოთ აღნიშნული გაეროს განვითარების პროგრამა, ათასწლეულის გამოწვევა და სხვა) ქვეყნის ხელისუფლება ჩადებს დიდ კაპიტალს საჯარო ადმინისტრირებაში, მოახდენს ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში, ინ-ფრასტრუქტურულ პროექტებში და ა.შ., სიღარიბის დაძლევა უფრო იოლად მოხდება.[1] სწორედ ეს მიდგომა ერგება ყველაზე მეტად ქვემო ქართლის რეგიონის რეალობას, სადაც ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებისთვის სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების შეთანხმებული თანამშრომლობა სახეზეა.

[1]Springer. (2015). Science+Business. Chapter 2. Theories of Economic Development. Media Singapore.

თავი 2. რეგიონის ზოგადი გეოგრაფიული დახასიათება

ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთით - თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა- მთიანეთი, აღმოსავლეთით - კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით - სომხეთის რესპუბლიკა. ქვემო ქართლის ფართობია 6,5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 9,3%. რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად 424,769 ათასია. რეგიონში შედის 347 დასახლებული პუნქტი - 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელი. **იხ რუკა N1.**

რეგიონის მოსახლეობის 39% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 61% - სოფლებში. მაღალმთიან დასახლებებს მიეკუთვნება დმანისის მუნიციპალიტეტის 19 (1500 მ-ზე ზევით), წალკის მუნიციპალიტეტის 46 (1500 მ-ზე ზევით) და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 35 სოფელი (1300 მ-ზე ზევით). მოსახლეობის 44,7% ეთნიკურად ქართველია, 45,1% - აზერბაიჯანელი, 6,4% - სომეხი, ხოლო 3,8% - აფხაზი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი. ამასთან, რუსთავსა და თეთრწყაროში ჭარბობს ეთნიკურად ქართული, წალკაში - სომხური და ბერძნული, ხოლო გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში - აზერბაიჯანული მოსახლეობა. მოსახლეობის სიმჭიდროვე რეგიონის ტერიტორიაზე შეადგენს 128 ადამიანს კვ.კმ-ზე.

ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედებს 7 თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქი რუსთავი და ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები. რეგიონალურ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქ. რუსთავშია განთავსებული.

ქ. რუსთავი უშუალოდ ესაზღვრება ქვეყნის დედაქალაქს - თბილისს. ქვემო ქართლის სიახლოვე ქ. თბილისთან, თბილისის აეროპორტთან და აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან, მისი მდებარეობა სატრანსპორტო კორიდორების

გადაკვეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოკორიდორის ზონაში და ურბანიზაციის მაღალი დონე რეგიონს განვითარების კარგ შესაძლებლობას უქმნის. ქვემო ქართლის რეგიონი მოქცეულია ზომიერ და სუბტროპიკულ სარტყელებს შორის. რელიეფის თავისებურების გამო, რეგიონის ჰავა საკმაოდ მშრალია. ქვემო ქართლის ბარის ნაწილი მიეკუთვნება ნახევრად ზღვიურ, საკმაოდ ზომიერ კონტინენტური ჰავის ტიპს. რეგიონის შუა სარტყელში ჰავა შედარებით გრილი და ნესტიანია. კიდევ უფრო მაღლა გამეფებულია სუბნივალური ჰავა.

ქვემო ქართლი მდიდარია წიაღისეული რესურსებით, რომელთა პოტენციალი მხოლოდ ნაწილობრივ არის ათვისებული. რეგიონში შესაძლებელია ქარის, მზის და ბიოგაზის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება. სხვა რეგიონებთან შედარებით, ქვემო ქართლში ბუნებრივი მატების შედარებით დადებითი დინამიკაა, რაც წესით ნიშნავს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, რეგიონში მზარდი მოსახლეობის სოციალური ინფრასტრუქტურით, სოციალური მომსახურებით და სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის გამოწვევა არსებობს. თუმცა რეალობაში, სახეზე გვაქვს რეგიონის დეპოპულაცია, რაც მიგრაციულ პროცესებთანაა დაკავშირებული, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებ.[2]

2.1. მოსახლეობა

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ქვემო ქართლის მოსახლეობა 424,769 ათას ადამიანს შეადგენს, რაც 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, 14,6%-ით ნაკლებია. მოსახლეობის საშუალო ასაკი 35,6-ს შეადგენს, აქედან მამაკაცებში 33,6 და ქალებში 37,5 წელს წელს. აქვე საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი მატების დადებითი ბალანსი აღინიშნა. რეგიონის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს შიდა და გარე მიგრაცია. როგორც ვხედავთ, რეგიონში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება საკმაოდ შემაშფოთებელია, ბოლო 12 წლის განმავლობაში რეგიონის მოსახლეობა საგრძნობი რაოდენობით შემცირდა, რაც ზუსტად მიგრაციულ პროცესებთან არის

[2] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94 2017 წ 15ნოემბერი.

დაკავშირებული. მიგრაციული პროცესები კი გამოწვეულია არასაკმარისი სამუშაო ადგილებით, დაბალი ანაზღაურებით, დასაქმების მცირე პერსპექტივით და მძიმე სოციალური პირობებით.[3]

სამწუხაროდ, ქვემო ქართლიდან მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკის აღრიცხვა არ ხდება. მცირე, მაგრამ გარკვეული სახის ინფორმაციას იძლევა 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. კერძოდ, საქართველოში **შიდა მიგრანტთა** *(პირები, რომლებმაც შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ფარგლებში)* რაოდენობა შეადგენს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 28,5%-ს. აქედან, ქვემო ქართლში ცხოვრობს შიდა მიგრანტთა მხოლოდ 8,9%. რაც შეეხება **იმიგრანტებს** *(პირები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ საზღვარგარეთ 12 თვეზე მეტ ხანს)*, მათი რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 5%-ს შეადგენს. რეგიონში მცხოვრები იმიგრანტების რაოდენობა შეადგენს საქართველოში მცხოვრე-ბი იმიგრანტების რაოდენობის მხოლოდ 11%-ს. რაც შეეხება **ემიგრანტების** *(2002 წლის 1 იანვრიდან საქართველოდან უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად წასული პირი, რომლის არყოფნა საქართველოში აღემატებოდა 12 თვეს ან რომელიც აპირებდა საზღვარგარეთ დარჩე-ნას 12 თვეზე მეტ ხანს)* განაწილებას რეგიონების მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონიდან ემიგრირებულია საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის მხოლოდ 12,5%.[4] ეს უკანასკნელი მონაცემები რთულია დადებითად მივიჩნიოთ, რადგან ქვემო ქართლი საქართველოს სხვა რეგიონებისგან აშკარად გამოირჩევა შიდა და გარე მიგრანტების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით, რაც რეგიონის მოსახლეობის კლებაში გამოისახა.

რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობამ 2017 წელს სულ 191,7 ათასი ადამიანი შეადგინა. უმუშევრობის დონემ 8,6%-ს შეადგინა. ასევე აღსანიშნავია, რომ ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალოთვიურმა ანაზღაურებამ 779,2 ლარი შეადგინა. საშუალო თვიური ანაზღაურების ოდენობით, ქვემო ქართლი

[3]სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2017 წელი). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. თბილისი გვ. 3
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/agceris%20cinascari%20shedegebi_30.04.2015.pdf
[4]სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2016 წელი). „მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღ-წერის ძირითადი შედეგები". თბილისი. გვ. 13-15.
ბმული: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf

საქართველოს რეგიონებს შორის მეორე ადგილს იკავებს და მხოლოდ მცხეთა-მთიანეთს ჩამორჩება. უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური მონაცემები რეგიონში დასაქმების რეალურ დონეს არ ასახავს, რაც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულების დასაქმებულებად მიჩნევით არის განპირობებული. თვითდასაქმებულთა უდიდესი ნაწილი, მათი შრომითი საქმიანობის საშუალო წლიური ხანგრძლივობისა და დაბალი შემოსავლების გათვალისწინებით, ვერ მიეკუთვნება სრულფასოვან დასაქმებულთა კატეგორიას. საშუალო თვიური ანაზღაურების ოდენობით, ქვემო ქართლი საქართველოს რეგიონებს შორის მეორე ადგილს იკავებს და მხოლოდ მცხეთა-მთიანეთს ჩამორჩება. რუსთავის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისშია დასაქმებული. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა დარგებზე შემდეგი სახით არის განაწილებული: **იხ. დანართი, დიაგრამა N1.** [5]

მოსახლეობის შემოსავლებში დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავალს ყველაზე დიდი წილი უჭირავს (41%). რეგიონში შინამეურნეობის ყოველთვიური საშუალო ფულადი და არაფულადი შემოსავლები 2016 წელს 485,3 ლარს, ხოლო ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები 412,8 ლარს შეადგენდა. ამ მაჩვენებლებით, ქვემო ქართლი საქართველოს ათ რეგიონს შორის, შესაბამისად, მეცხრე და მეშვიდე ადგილს იკავებს. შინამეურნეობების შემოსავლები მათი სახოების მიხედვით შემდეგი სახით არის განაწილებული: **იხ. დანართი, დიაგრამა N2.**[6]

რეგიონში მაღალია სიღარიბის მაჩვენებლები. ჯერ კიდევ 2012 წელს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო 45,9 ათასი ოჯახი, რომელთაგან შემწეობას იღებდა 9841 ოჯახი. ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობის დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ქვემო ქართლი საქართველოს რეგიონებს შორის პირველ ადგილს იკავებს.

ქვემო ქართლში ირიცხება საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღები 73,6 ათასი პირი, რაც მოსახლეობის 14,4%-ს შეადგენს და მნიშვნელოვნად ნაკლებია ქვეყნის

[5] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

[6] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

საშუალო პროცენტულ მაჩვენებელზე (19,05%). საარსებო შემწეობის მიმღებთა შორის ჭარბობს 40-60 წლის ასაკობრივი კატეგორია, რაც რეგიონში უმუშევრობის კრიტიკულ დონეს კიდევ ერთხელ ადასტურებს. ქ. რუსთავში ფუნქციონირებს რამდენიმე თავშესაფარი: მოხუცთა თავშესაფარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლი, რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი. ქ. გარდაბანში ფუნქციონირებს მუნიციპალური თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, რომლის ბენეფიციართა რაოდენობა 40 ბავშვს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არის უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი სამშენებლო სტანდარტების დაცვა, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სათანადო ინტეგრირებას. ქვემო ქართლში აღრიცხულია 6805 შშმ პირი, რომელთა 36,5% (2483 პირი) საარსებო შემწეობას იღებს. რეგიონში ირიცხება 12,3 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი (4097 ოჯახი), რაც რეგიონის მოსახლეობის 2,4%-ს, ხოლო საქართველოში აღრიცხული დევნილების 5%-ს შეადგენს. დევნილები განსახლებული არიან რამდენიმე თვითმმართველ ერთეულში. მათი უმრავლესობა (9,5 ათასი ადამიანი) ინდივიდუალურად არის ჩასახლებული.[7]

ჯანმრთელობის დაცვა. დედაქალაქთან სიახლოვის გამო, მოსახლეობის უმეტესობა ხარისხიანი სამედიცინო დახმარების მისაღებად თბილისის სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავს. ექიმების რაოდენობა 1000 კაცზე 2.5-ს შეადგენს, რაც ოდნავ ნაკლებია საქართველოს საშუალო მაჩვნებელზე, თბილისის გარდა (2.9). ქვემო ქართლში მოქმედებს 16 საავადმყოფო 770 საწოლით. რეგიონის ყველა თემს ემსახურება 158 სოფლის ექიმი. გარდა ამისა, რეგიონში არსებობს 17 დამოუკიდებელი სამედიცინო ამბულატორია, 12 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა და კაბინეტი, 6 დისპანსერი, 3 სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი, 1 ქალთა კონსულტაცია. ყველა თვითმმართველ ერთეულში ფუნქციონირებს ეპიდემიოლოგიური სამსახური. რეგიონში არსებობს 2 სისხლის გადასხმის ცენტრი, რომლებიც რეგიონის ყველა თვითმმართველ ერთეულს ემსახურება. რეგიონში

[7] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.6-7.

ექიმების რაოდენობა 1,3 ათასს, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა 1,1 ათასს შეადგენს. კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ მარნეულში, გარდაბანში, თეთრიწყაროსა და წალკაში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფოები. მარნეულისა და გარდაბნის საავადმყოფოებს აქვს 25-25 საწოლი, თეთრიწყაროს საავადმყოფოს - 20 საწოლი, ხოლო წალკის საავადმყოფოს - 15 საწოლი. რეგიონში არსებობს 7 სასწრაფო დახმარების სადგური და მოქმედებს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების 28 ბრიგადა. თუმცა, მანქანების უმეტესობა ამორტიზებულია და ავტოპარკი განახლებას საჭიროებს.[8] **იხ ცხრილი N1.**

განათლება. რეგიონში ფუნქციონირებს 268 საჯარო სკოლა, რომლებშიც სულ 65,9 ათასი მოსწავლე სწავლობს. სკოლების ინფრასტრუქტურა, ძირითადად, დამაკმაყოფილებელია. თუმცა, არის სკოლები, რომლებიც სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. მოსწავლეებს, რომელთა სოფლები სკოლიდან 3 კმ-ზე მეტითაა დაშორებული, ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი. რეგიონის ტერიტორიაზე მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მოქმედებს 71 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. სკოლამდელი დაწესებულებები ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტებიდან. დაწესებულებების უმრავლესობა საფუძვლიან რეაბილიტაციას და სათანადო ინვენტარით აღჭურვას საჭიროებს. სკოლამდელი დაწესებულებების ნაკლებობა სოფლებში იგრძნობა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაქართული მოსახლეობის მხრიდან ქართულ ენოვან ბაღებზე მოთხოვნა გაიზრადა. რეგიონში მოქმედებს 2 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. გარდა ამისა, ქ. რუსთავში მოქმედებს 2 საშუალო პროფესიული გადამზადების დაწესებულება, სადაც რამდენიმე პროფესია ისწავლება. აღნიშნული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები საკმაოდ შეზღუდულია. ზოგადად, რეგიონში საგანმანათლებლო დაწესებულებების დეფიციტია. დედაქალაქთან სიახლოვის გამო, ქართულენოვანი ახალგაზრდობა ამჯობინებს უმაღლესი განათლება თბილისში მიიღოს. ეთნიკურად არაქართველი ახალგაზრდები უმაღლესი განათლების მისაღებად, ხშირად, ბაქოსა და ერევანში მიდიან (მიუხედავად იმისა, რომ იქ უფრო ძვირია სწავლის გადასახადი) და მათი

[8] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/2014/Failebi/Angarishebi/2_year-qvemo_qartli.pdf 2017 წლის 21 დეკემბერი.

ძალზე მცირე ნაწილი სწავლობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ქართული ენის არცოდნის გამო, სწავლის გაგრძელების სურვილს არ ამჟღავნებს და ისინი, ხშირად, მეათე-მეთერთმეტე კლასში წყვეტენ სწავლას. აზერბაიჯანულ მოსახლეობაში გამოკვეთილია დამამთავრებელი კლასის გოგონების დაქორწინების ტენდენცია, რის შემდეგაც ისინი სკოლას აღარ ამთავრებენ.[9] **იხ. ცხრილი N2.**

2.2 ბუნებრივი რესურსების სამეურნეო შეფასება

ქვემო ქართლის რეგიონი მდიდარია **წყლის რესურსებით** - მდინარეებით, ტბებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლებით. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, მცირეა მინერალური წყლის (მხოლოდ ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არის მინერალური სამკურნალო მჟავე და გოგირდოვანი წყლები) და თერმული წყლის რესურსები. აღსანიშნავია ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები. რეგიონში არსებული წყლის რესურსები, ძირითადად, ეფექტიანადაა გამოყენებული. 2011 წლის წყალაღების მონაცემების თანახმად, ბუნებრივი წყლის ობიექტებიდან (მიწისქვეშა და ზედაპირული წყალი) წყლის აღებამ 451,75 მლნ კბმ, ხოლო გამოყენებული ახალი წყლის რაოდენობამ 438,07 მლნ კბმ შეადგინა. მათ შორის სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებულ იქნა - 2%, ჰიდროენერგეტიკაში - 30%, სამრეწველო დანიშნულებით - 55%, სარწყავად - 11,7%, სასოფლო–სამეურნეო წყალმომარაგების მიზნით - 0,7%, ხოლო დანარჩენი - თევზის სატბორეებისათვის და რეკრეაციული დანიშნულებით. ქვემო ქართლის რეგიონში სულ 31 საშუალო და დიდი ზომის მდინარე ჩამოედინება. მათი საერთო სიგრძე დაახლ. 900 კმ-ია. რეგიონში 15 ტბაა (საერთო სარკის ფართობით - 18 კმ^2), რომლებიც, ძირითადად, რეკრეაციული დანიშნულებით, ირიგაციაში და თევზჭერისათვის გამოიყენება. [10] **იხ. რუკა N2.**

რეგიონში არსებული 6 წყალსაცავი (წყლის საერთო მოცულობით 30400 მლნ კმ^3) გამოყენებულია სასმელი წყლით მომარაგებისათვის (ხრამი ქ. რუსთავისთვის),

[9] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, http://catalog.edu.ge/index.php?module=school_info&page=region_list 2017 წლის 21 დეკემბერი.
[10] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.9.

ენერგეტიკაში (წალკა) და ირიგაციაში. ქვემო ქართლში მიმდინარეობს მინერალური წყლის - „რაჭისუბანის“ (ბოლნისში, წყლის რესურსის მარაგით 350 მლნ $მ^3$/დღე-ღამეში) მოპოვება. ენერგეტიკის სექტორი წარმოდგენილია ქ. გარდაბანში განთავსებული სამი თბოელექტროსადგურით. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, დისბალანსი ელექტროენერგიის გამომუშავების ტემპებსა და ელექტროენერგიაზე მოთხოვნას შორის თანდათან იზრდებოდა, რაც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე დღემდე უარყოფით გავლენას ახდენს. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ჰიდროენერგეტიკული რესურსებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისებას, რაც ქვემო ქართლს საკმარისი რაოდენობით აქვს. ქვემო ქართლს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ენერგიის გენერირების კუთხით, ისეთი განახლებადი რესურსების გამოყენებით, როგორიცაა ჰიდროენერგია და ქარისა და მზის ენერგია. მზის ენერგიის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქვემო ქართლის რეგიონი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტერიტორიის თითქმის ნახევარი მიეკუთვნება ზონას, სადაც წლის თბილ პერიოდში (მაისი-ოქტომბერი) იქმნება ოპტიმალური პირობები სხვადასხვა ტიპის ჰელიოდანადგარების (ბრტყელი კოლექტორები, მძლავრი მზის ღუმელები, კოშკის ტიპის მზის სადგურები, გენერატორები) ექსპლუატაციისათვის. ეს ზონა მოიცავს ქ. რუსთავს, მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს. ტერიტორია ხასიათდება განიერი, უტყეო, ფერდობიანი ხეობებით, გახსნილი ჰორიზონტით და აქედან გამომდინარე, პირდაპირი და ჯამური რადიაციის დღეღამური, თვიური, სეზონური და წლიური მაღალი სიდიდეებით. [11]

ქარის **ენერგიის** გამოყენების თვალსაზრისით, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე პერსპექტიულად არის მიჩნეული მდ. მტკვრის ხეობის მცხეთა-რუსთავის მონაკვეთი. საქართველოს ტერიტორიაზე ქარის პერსპექტიულ 9 სადგურის პოტენციურ ტერიტორიებს შორის ქ. რუსთავის ტერიტორია შეფასებულია როგორც ქარის პერსპექტიული სადგური 60 მგვტ დადგმული სიმძლავრითა და 130 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავებით, რაც დაახლ. 14000 ოჯახს დააკმაყოფილებს. აღნიშნულ მონაკვეთზე ქარის ენერგიის გამოყენების დიდი ინტერესი უკავშირდება სამგორის ველის მორწყვის საკითხსაც. პრაქტიკამ აჩვენა,

[11] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.9.

რომ მაღალი ეფექტი შეიძლება მოგვცეს მცირე ჰესის, ჰელიოდანადგარებისა და ქარის დანადგარების კომბინირებული სისტემების დანერგვამ. მნიშვნელოვანია რეგიონში არსებული ბიოგაზის მიღების ენერგეტიკული პოტენციალიც (წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტები).[12]

ქვემო ქართლში **ტყეს ტერიტორიას** 21,7% უკავია, რაც საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ტყის ფონდის ფართობი 143,2 ათას ჰა-ს შეადგენს, საიდანაც ტყით 134.6ჰა არის დაფარული. 2011 წელს ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობამ 71 ათასი კბმ შეადგინა. ხოლო 2012 წელს დაახლოებით 47 ათასი კბმ შეადგინა. ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი ტყის კულტურებიდან შემადგენლობის მიხედვით რეგიონში გავრცელებულია ფიჭვი (ფართობი - 5335 ჰა, მერქნის მარაგი - 193,3 ათასი კბმ), ხოლო ფოთლოვნებიდან - წიფელი (25332 ჰა, 5143,3 ათასი კბმ). მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მუხას (21564 ჰა, 2105 ათასი კბმ), რცხილას და ჯაგრცხილას, ხოლო რბილმერქნიანი ფოთლოვნებიდან - კანადის ვერხვს (260 ჰა, 27,4 ათასი კბმ). საკმაოდაა ნუშის, ჭერმისა და პანტის ნარგაობაც, ხოლო ბუჩქნარი და ქვეტყე ძირითადად ძეძვითაა წარმოდგენილი. ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, გამორჩეულია ალგეთის ხეობა, სადაც შექმნილია ალგეთის ეროვნული პარკი. რეგიონის ტერიტორიაზე 22 ათას ჰა ფართობზე ფუნქციონირებს 3 სამონადირეო მეურნეობა. რეგიონში ოპერირებს 4 ლიცენზირებული სახერხი. რეგიონში მთავარი სარგებლობის ჭრები (სამასალე მერქნის მისაღებად) თითქმის არ აღინიშნება, გარდა მოსახლეობის პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო მერქნის მოპოვებისა. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, რეგიონში ათვისებული მერქნული რესურსი თითქმის თანაბარია წლების მიხედვით. შეიმჩნევა მოთხოვნის კლება, რაც, სავარაუდოდ, რეგიონის გაზიფიკაციის მასშტაბების გაზრდით და სხვა ალტერნატიული ენერგომატარებლების მოხმარებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არის განხორციელებული ტყის რესურსების ინვენტარიზაცია.[13]

[12] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.10.
[13] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.10.

ქვემო ქართლს აქვს მრავალფეროვანი **წიაღისეული** და მის ბაზაზე მოქმედი სამთო ინდუსტრია. აწარმოებენ ფერად და შავ ლითონებს, ფეროშენადნობებს და ინდუსტრიულ მინერალს. რეგიონში გვხვდება 200-ზე მეტი ფერადი, შავი და ძვირფასი ლითონების, ქიმიური და კერამიკული ნედლეულის, ჰიდრომინერალებისა და საწვავი რესურსების საბადო, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ აუთვისებელია. მადნეულის კომპლექსში სპილენძ–ბარიტის ნახევარლითონების საბადოზე მუშაობენ სპილენძის, ბარიტის და რიგი თანმხლები მინერალების მოსაპოვებლად. მადნეულის საბადო თბილისიდან 80 კილომეტრზეა. წიაღისეულს ღია შახტიდან გათხრა-აფეთქების მეთოდით მოიპოვებენ. ამოღებული მადანი მაღალი კონცენტრატით გამოირჩევა. საწარმოოდ შეფასებული წარმადობაა წელიწადში 12 ათასი ტონა კონცენტრატის გადამუშავება. ოქროს მარაგები მადნეულში შეადგენს 49 ათას უნციას, ვერცხლისა კი 94 ათას უნციას.

სტრატეგიული მნიშვნელობისაა რეგიონში არსებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები. რეგიონში მოიპოვება მაღალი ხარისხის მინერალები - ბაზალტი და ტუფი. აღნიშნულ მინერალებზე დიდი მოთხოვნაა როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე. ამასთან, ექსპერტთა შეფასებით, მათი მარაგები საკმაოდ დიდია. გარდა ამისა, მოიპოვება სპილენძი, ბარიტი, ვოლფრამი, ნიკელი, რკინა, თუთია, სულფატი, მარგანეცი, მარმარილო, გაჯი, თეთრი ქვა. რეგიონის სამრეწველო სექტორის განვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს სამშენებლო კერამიკის (დარბაზისა და ფიტარეთის კაოლინის საბადოები), მინის ტარის (ადულარიანი მეტასომატიტები) და საფაიფურე (ბექტაკარის კვარციტები) ნედლეულის ათვისებამ და რეგიონში კერამიკული და მინის ტარის წარმოების განვითარებამ. დმანისის და წალკის ვულკანურ საბადოებში გვხვდება მსუბუქი ქვის მასალები, ღორღი და ქვის ნატეხები. მაღალი ეკონომიკური ეფექტის მიღებაა შესაძლებელი ლითოგრაფიული ქვის საბადოების (ალგეთი, გომარეთი, ახკალაფა) ათვისებითაც. ალგეთის საბადო კავკასიაში ყველაზე დიდი საბადოა. ნედლეულის მნიშვნელოვან სახეობად განიხილება რეგიონის თიხა-თაბაშირის (გაჯის) საბადოები. გაჯის საწარმოების არსებული სიმძლავრეების სრული დატვირთვის შემთხვევაში, იგი რეგიონის შემოსავალის ზრდის წყაროდ იქცევა. კვარცის შემცველი პორფირის (სამშვილდე, კლეისის წყალი და ირიგა) ფიზიკური და ტექნიკური

მახასიათებლებისათვის 30% ცეცხლგამძლე თიხის დამატებით მჟავაგამძლე მასალის წარმოებაა შესაძლებელი.

რეგიონისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსია მის ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვებიც, რომელთა მარაგი საკმაოდ დიდია. აქ არის რესურსის ისეთი უიშვიათესი სახეობები, როგორიცაა ბოლნისის ტუფი და სადახლოს მარმარილოსებრი კირქვა. წიაღისეულის მოპოვებაზე დაწესებული მოსაკრებელი შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. დღეისათვის, რეგიონში წიაღისეული რესურსების მოპოვებაზე გაცემულია 146 ლიცენზია. აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის წიაღისეულის, მისი რესურსული პოტენციალის და საორიენტაციო საბაზრო ღირებულების შესახებ არსებული საინფორმაციო ბაზა ემყარება მრავალი წლის წინ მომზადებულ კვლევებსა და სამუშაოებს, რაც მათი სანდოობის ხარისხს გარკვეულწილად ეჭვქვეშ აყენებს.[14]

[14] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.11,

თავი 3. რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურა

საქართველოს რეგიონებს შორის ქვემო ქართლის რეგიონი ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ რეგიონს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეგიონი გლობალური თვალსაზრისითაც განვითარებულ რეგიონებს შორისაა. აქ წარმოებული დამატებული ღირებულება 2017 წლის მონაცემებით 2346.8 მლნ ლარს (ქვეყანაში წარმოებული დამატებული ღირებულების დაახლ. 97,4%) შეადგენდა. რეგიონის ეკონომიკის დივერსიფიკაციის დონე მაღალია. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ქვემო ქართლის დამატებული ღირებულება 2437 აშშ დოლარია, რაც საქართველოს სხვა რეგიონების (თბილისის გამოკლებით) საშუალო მაჩვენებელს 4,9%-ით აღემატება. რეგიონში წარმოებული დამატებითი ღირებულების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი უკავია მრეწველობას (41%), მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 19 პროცენტს შეადგენს, რაც რეგიონის ინდუსტრიულ სპეციფიკაზე მიუთითებს. ვაჭრობასა და მომსახურებას შესაბამისად 7% და 8% უკავიათ. დანარჩენი დარგების წილი უმნიშვნელოვნოა.[15]

2006-17 წლებში რეგიონის ეკონომიკის ზრდა, არსებითად, დადებითი დინამიკით ხასიათდებოდა. უარყოფითი მაჩვენებლები აღინიშნა მხოლოდ 2008 და 2009 წლებში, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებსა და მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდება. 2006-2018 წლებში რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულება 65%-ით გაიზარდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლი ბაქოდან საქართველოზე გამავალი მილსადენების ძირითადი გამტარია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი ქვემო ქართლის რეგიონს გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებში კვეთს.

ბიზნესის რეგისტრის 2017 წლის ოფიციალური მონაცემებით, რეგიონში აღირიცხება 48884 სუბიექტი, მათ შორის 237 საშუალო და 106 მსხვილი მოქმედი საწარმო. ქვემო ქართლში 2015 წელს ბიზნეს-სექტორში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 3347,4 მლნ ლარი შეადგინა. გამოშვებული პროდუქციის

[15] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 19 დეკემბერი.

ღირებულებამ - 2326,4 მლნ ლარი, ბიზნეს-სექტორში დაქირავებულთა რაოდენობამ - 36600 ადამიანი, ხოლო ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ - 779,2 ლარი.[16] რეგიონში ბიზნეს-სექტორის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია: მისი სტრატეგიული მდებარეობა - სიახლოვე ქ. თბილისთან, აგრეთვე მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთთან. უკანასკნელ წლებში, რეგიონში, ქ. რუსთავში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით, გაჩნდა მნიშვნელოვანი სექტორი - საავტომობილო ბაზრობა, რომელიც კლიენტებს კავკასიის რეგიონის სხვადასხვა ქვეყნიდან იზიდავს. აღნიშნული ბაზრობა ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია რეგიონში. **იხ. ცხრილი N3.-N4.**

უკანასკნელ წლებში, ქვემო ქართლში აღინიშნება დადებითი ტენდენციები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარების მხრივ. შეიმჩნევა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება როგორც მრეწველობის, ისე მომსახურების სფეროში. გაჩნდა თანამედროვე ტიპის სავაჭრო ობიექტები და აგრარული ბაზრობები. ქვემო ქართლში შემავალ ყველა თვითმმართველ ერთეულში ფუნქციონირებს კომერციული ბანკების ფილიალები. ამასთან, რუსთავსა და მარნეულში საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა ბანკის ფილიალი და მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს. წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა მხარეში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლობების რაოდენობა. თუმცა, ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, საპროცენტო განაკვეთები კრედიტსა და სესხზე, ქვემო ქართლშიც საკმაოდ მაღალია (მერყეობს 15%-დან 26%-მდე), ხოლო დედაქალაქის ბანკებთან შედარებით, მომსახურება - მნიშვნელოვნად სუსტი. რეგიონში წარმოდგენილია (თუმცა, არათანაბრად) კონსალტინგური მომსახურების ორგანიზაციები. კერძო აუდიტორული ორგანიზაციები ძირითადად, ქ. რუსთავში ფუნქციონირებს.

რეგიონში მოქმედებს ბიზნესის მხარდამჭერი რამდენიმე მნიშვნელოვანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა მიზანია, ხელი შეუწყონ ადგილობრივი ეკონომიკის, ფერმერული მეურნეობის, მესაქონლეობისა და რწყვის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას. დღეისათვის, რეგიონში შექმნილია რამდენიმე

[16] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

სოფლის სახლი და ფერმერთა მომსახურების ცენტრი. მცირე ბიზნესცენტრი ფუნქციონირებს აგრეთვე მარნეულში. სამომავლოდ, რეგიონის ბიზნეს-სექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თბილისი-რუსთავის ავტობანის მშენებლობა. რეგიონში ბიზნეს-სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებია: სუსტი კომერციული და საბაზო ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის შემოსავლების სიმწირე, ინვესტიციების მცირე მოცულობა, ადგილობრივი სოციალური კაპიტალის განვითარების დაბალი დონე, მუშახელის ბაზარზე არსებული მდგომარეობა (კვალიფიკაცია), საბანკო კრედიტების (მ.შ. აგროსესხების) სიძვირე და რთული ხელმისაწვდომობა, ალტერნატიული კაპიტალის დაბალი შესაძლებლობები და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (ბიზნესინკუბატორების, საინვესტიციო თუ საკონსულტაციო ცენტრების, სალიზინგო კომპანიების და სხვ.) ნაკლებობა, სისტემური ინფორმაციის ნაკლებობა ადგილობრივი ბიზნესის პოტენციალისა და სამიმწოდებლო ბაზის შესახებ, ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების სიმწირე. გარდა ამისა, ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის შემაფერხელ გარემოებად ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი განიხილავს „მაღალ საბაჟო გადასახადს“ და „ჭარბ ბიუროკრატიულ პროცედურებს“.[17]

სოფლის მეურნეობას ქვემო ქართლის ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რეგიონში წარმოებულ დამატებულ ღირებულებაში მისი წილი 19%-ია. 2011 წელს რეგიონში სოფლის მეურნეობაში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 338,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 24,6%-ით აღემატება 2010 წლის (271,6 მლნ ლარი), ხოლო 47,4%-ით - 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (229,5 მლნ ლარი). ამ დარგში რეგიონის მოსახლეობის 29%, ხოლო სოფლის მოსახლეობის 47,8% - 148 ათასი ადამიანია დასაქმებული. მიუხედავად იმისა, რომ, ძირითადად, ისინი თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და თავიანთ ოჯახურ მეურნეობებში საქმიანობენ, დედაქალაქთან და მეზობელ სახელმწიფოებთან სიახლოვის გამო, საკმაოდ წარმატებით ახერხებენ საადრეო კარტოფილით, ბოსტნეულითა და მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქტით ბაზრის ათვისებას. რეგიონის კლიმატური პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია სოფლის

[17] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.13.

მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის. მოსავლის მიღება შესაძლებელია წელიწადში 2-3-ჯერ, რაც განაპირობებს ქვემო ქართლის მაღალ კონკურენტუნარიანობას სხვა რეგიონებთან შედარებით. რეგიონის ნიადაგსაფარი საკმაოდ მრავალფეროვანი ტიპის ნიადაგებით არის წარმოდგენილი: ზღვის დონიდან 1000-1800 მ-ზე არსებულ ტყის ფერდობზე ძირითადად მცირე და საშუალო სისქის ყომრალი ნიადაგებია. ვულკანურ პლატოზე, ზ.დ. 1200 მ-ზე მაღლა მთის შავმიწა ნიადაგები, ხოლო შედარებით დაბლა - ყავისფერი ნიადაგებია გავრცელებული. ზ.დ. 1800-2000 მ-ზე მაღლა გაბატონებულია მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები. რეგიონის ტერიტორიაზე ლოკალური გავრცელებით აგრეთვე გამოირჩევა ალუვიური და ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები. ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია მთა-ტყეთა ზონის ქვედა ნაწილში, ზღვის დონიდან 700-1200მ-ის ფარგლებში - ინტენსიური მიწათმოქმედების ზოლში. რეგიონის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. ციცაბო ფერდობებსა და თხემებზე ჭარბობს მცირე სისქის სუსტად განვითარებული, ხირხატიანი, ხშირად ძლიერ გადარეცხილი ნიადაგები ზედაპირზე გაშიშვლებული კირქვებით. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით და საუკეთესოა ვენახისათვის. ქვემო ქართლის რეგიონში არის მრავალფეროვანი სპექტრი როგორც ნიადაგების, ისე ვერტიკალური ზონალობის, რაც სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი განვითარების საშუალებას იძლევა. მთლიან სავარგულებში (392462 ჰა) ათვისებულ კერძო სავარგულებს 28.6% (112244 ჰა) უკავია, აქედან სახნავს - 24% (93269 ჰა), ხოლო 3,5% (13578ჰა) გამოუყენებელი სახნავია. დარჩენილი მიწის ფართობების 50% (1994943 ჰა), ძირითადად, სათიბ-საძოვრად გამოიყენება. რეგიონში სარწყავი სისტემები (თვითდენითი და არათვითდენითი) მოიცავს 46754 ჰა ფართობს, ანუ სახნავის 50%-ს, საიდანაც სარეაბილიტაციოა 20274 ჰა (43%). ქვემო ქართლის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის ძირითად პრობლემას სარწყავი სისტემების არარსებობა წარმოადგენს. რეგიონში ურწყავ ფართობებს სავარგულების 32% (90385 ჰა) უკავია. წალკის მუნიციპალიტეტში არ არსებობს საირიგაციო სისტემა და სასმელი წყლის გამოყენება ხდება მოსარწყავად.[18]

[18] ქვემო ქართლის რეგიონული განვიტარების სააგენტო, http://kkrda.ge/agriculture/ 2017წ.

რეგიონის ნიადაგები და კლიმატი იძლევა ისეთი კულტურების განვითარების საშუალებას, რომელთა განვითარება, საქართველოს სხვა მხარეებისთვის (გარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისა), ნაკლებად შესაძლებელია. აქ განსაკუთრებით კარგი პირობებია საადრეო კარტოფილისა და ბოსტნეულის, მარცვლეულის, ხილის, ყურძნის, ბაღჩეულის, მრავალწლიანი ბალახებისა და სხვა კომერციულად საინტერესო პროდუქციის საწარმოებლად. აღსანიშნავია, რომ რეგიონში აღრიცხული არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი.

რეგიონში **მემცენარეობა**, ძირითადად, წარმოდგენილია საშუალო ფერმერებით. ისინი პროდუქციის რეალიზაციას, როგორც წესი, ადგილობრივ ბაზარზე ახორციელებენ. რეგიონის ქვედა და საშუალო ზონაში ძირითადად იწარმოება ბოსტნეული, კარტოფილი, მარცვლეული, ხილი, ყურძენი და ბაღჩეული კულტურები, ხოლო ზედა ზონაში ძირითადი ადგილი კარტოფილისა და მარცვლეულის წარმოებას უკავია. ამჟამად, რეგიონში 4,1 ათას ჰა-ზე იწარმოება ხორბალი, 5,9 ათას ჰა-ზე სიმინდი, 0,5 ათას ჰა-ზე ლობიო, 4,2 ათას ჰა-ზე კარტოფილი, 3,8 ათას ჰა-ზე ბოსტნეული, 0,1 ათას ჰა-ზე ბაღჩეული, 0,3 ათას ჰა-ზე ერთწლიანი ბალახები, 8,1 ათას ჰა-ზე მრავალწლიანი ბალახები. ერთწლიან კულტურებში ძირითადი ადგილი უკავია ხორბლისა და სიმინდის ნათესებს. 2016 წელს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 2,0 ტ/ჰა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (1,6 ტ/ჰა). აღნიშნული მოვლენა შრომის მაღალი ორგანიზებულობით, ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებით და სახარბიელო კლიმატური პირობებით შეიძლება აიხსნას. სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 2016 წელს 2,9 ტ/ჰა შეადგინა.[19] **იხ. ცხრილი N5.**

მრავალწლიანი კულტურებიდან საინტერესოა კაკლოვნების, ვენახისა და ხეხილის ბაღების მდგომარეობა. ხეხილის საშუალო მოსავლიანობამ 2016 წელს 9,5 ტ, ვენახის მოსავლიანობამ 3,4 ტ/ჰა, ხოლო კაკლოვნების მოსავლიანობამ 5,3 ტ/ჰა შეადგინა. ეს მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა რეგიონში საკმაოდ დაბალია. სასათბურე მეურნეობები მხოლოდ მარნეულის, გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მოქმედებს. რეგიონში მოქმედებს მხოლოდ

[19] 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.

ერთი სანერგე მეურნეობა, რომელიც ბოსტნეულისა და დეკორატიული მცენარეების ჩითილების გამოყვანას აწარმოებს. **იხ. ცხრილი N6.**

მეცხოველეობა. 2016 წლის მონაცემებით ქვემო ქართლში აღირიცხება 148,9 ათასი სული მსხვილფეხა საქონელი. წარმოებული პროდუქცია შეადგენს 2,1 ათას ტონა ხორცს და 105,2 ათას ტონა რძეს. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს მსხვილფეხა საქნელის რაოდენობა 188 ათასს შეადგენდა, 2012-ში 160 ათასს ხოლო 2014-ში 137,2 ათასს. ამ მონაცემების კვალობაზე აშკარაა რომ მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის შემცირების ტენდენციის მერე ნელ-ნელა იწყება მისი მომრავლება. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსხვილფეხა პირუტყვის წველადობის დონე დაახლოებით 10-ჯერ ჩამოუვარდება ევროკავშირის მონაცემებს. მესაქონლეობაში როგორც წველადობის, ისე ხორცის წარმოების დაბალ დონეს, ძირითადად, განაპირობებს გენეტიკური მოძველება, არასათანადო ვეტერინალური მომსახურება, ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა, საკვები ბაზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიმწირე.

ღორის სულადობამ 2016 წელს შეადგინა 22,6 ათასი სული, მოცემულ სფეროში აშკარაა რაოდენობის მატება წინა წლებთან შედარებით. რეგიონში 3,3 ათასი ტონა ღორის ხორცი იწარმოება. ცხვრის რაოდენობამ 2016 წელს შეადგინა 203,7 ათასი სული, რაც ასევე გაცილებით აღემატება წინა წლების მონაცემებს. რეგიონში იწარმოება 0,7 ათასი ტონა ცხვრის ხორცი და 0,5 ათასი ტონა მატყლი. მეღორეობის და მეცხვარეობის დაბალ პროდუქტიულობას გენეტიკური მოძველება, არასათანადო ვეტერინალური მომსახურება და ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა განაპირობებს.

ფრინველის წარმოებამ 2016 წელს შეადგენდა 3454,7 ათას ფრთას, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე და 242,7 ათასით 2015 წლის მაჩვენებელზე. რეგიონში მიზანშეწონილია ჰიბრიდული ბროილერების მოშენება, რომლებიც ხასიათდება მაღალი ცოცხალი მასით (ფრინველი 35 დღის ასაკში 1,2-1,5 კგ-ს იწონის), ხორცი კი ცილის მაღალი შემცველობითა და ნაკლები ცხიმიანობით გამოირჩევა. ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 2016 წელს შეადგენდა 20.2 ათას სკას,

რაც 5,3 ათასი ოჯახით მეტია 2010 წელთან შედარებით (14,9 ათ). რეგიონში 100 ტონა თაფლი იწარმოება.[20] **იხ. ცხრილი N7-N8**

ქვემო ქართლის რეგიონში საკმაოდ კარგადაა განვითარებული **სათევზე-სატბორე** მეურნეობები. სულ რეგიონში 22 სატბორე მეურნეობაა, რომელთაგან 9 მოქმედია. მეურნეობები საერთო ჯამში 35,5 ტონა პროდუქციას აწარმოებენ.[21] რეგიონში მეტ-ნაკლებად განვითარებულია საკონსერვო (ბოსტნეული მარინადი), ხორცისა და რძის პროდუქტების, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება. რეგიონში დარეგისტრირებულია 186 საოჯახო მეურნეობა (რომელთაგან ამჟამად 70% ფუნქციონირებს) და 58 კერძო და/ან იურიდიული პირი. ქვემო ქართლში მოქმედი სურსათის მწარმოებელი საწარმოებიდან აღსანიშნავია მეფრინველეობის მეურნეობები ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, რომლებიც რამდენიმე ათეულ მილიონ კვერცხს და რამდენიმე ასეულ ტონა ფრინველის ხორცს აწარმოებენ. გამოსარჩევია მარნეულის სასურსათო ქარხანა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, რომელიც დაახლ. 1000 ტონა ბოსტნეულსა და ხილს აწარმოებს. წალკის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია მეცხოველეობისა და მერძევეობის მეურნეობა, რომელიც წელიწადში 5000 ტონამდე ყველს აწარმოებს. ქვემო ქართლში მრავლადაა მცირე საწარმოები, რომლებიც ხორბლის, სიმინდისა და სხვა მარცვლეულის გადამუშავებით არიან დაკავებული. რუსთავთან ახლოს ფუნქციონირებს სოკოს საწარმო, რომელიც სამი დასახელების სოკოს, თვეში 100–120 ტონა პროდუქციას აწარმოებს. რეგიონის სოფლის მეურნეობაში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი თანდათანობით იკიდებს ფეხს. ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს სახელმწიფო კომპანია - შპს „მექანიზატორის“ სერვისცენტრები, რომელთაგან ძირითადი ცენტრები ბოლნისსა და მარნეულშია. ყველა სხვა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „მექანიზატორის“ ფილიალები. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები უშუალოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შექმნილია და მას ექვემდებარება. რეგიონი მცირეგაბარიტიანი ტექნიკის დეფიციტს განიცდის. ხშირად ვერ ხერხდება მაღალხარისხიანი საჭირო მასალების (თესლი, ნერგი, შხამქიმიკატები, ვეტ საშუალებები და ა.შ.) შეძენა, რაც

[20] 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.
[21] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.16.

ასევე ნეგატიურად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობაზე. რეგიონში სუსტადაა განვითარებული საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობები, სადაც გამოიცდებოდა ადგილობრივი პირობებისადმი ადაპტირებული და მდგრადი სხვადასხვა სასოფლო- სამეურნეო პროდუქცია.[22]

მრეწველობა. მრეწველობა ქვემო ქართლის ეკონომიკაში ყველაზე განვითარებულ დარგს წარმოადგენს და ამავდროულად რეგიონის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი სფეროა. მისი წვლილი ქვემო ქართლის ეკონომიკის წარმოებულ დამატებულ ღირებულებაში 41%-ს შეადგენს. რეგიონში მრეწველობა, ძირითადად, მოიცავს წიაღისეულის მოპოვებას, მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობას, ცემენტის, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვების წარმოებას, კერამიკის, მინისა და ფაიფურის დამზადებას, ენერგოგენერაციას და აგროწარმოებას.

2011 წელს ქვემო ქართლში იწარმოებოდა 65,3 ათასი უნცია ოქრო, 146,4 ათასი უნცია ვერცხლი, 40,2 ათასი ტონა სპილენძის კონცენტრატი, 0,9 ათასი ტონა ცემენტირებული სპილენძის კონცენტრატი, 1569,1 ათასი ტონა კვარციტის მადანი, 57 ათასი ტონა სილიციუმის ნედლეული, 0,7 ათასი ტონა პური და 0,1 ათასი ტონა ფქვილი. ქვემო ქართლის მთავარი სამრეწველო ცენტრებია რუსთავი, მარნეული, გარდაბანი და ბოლნისი. თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, ძირითად მაპროფილებელ სამრეწველო პროდუქციას წარმოადგენს: რუსთავში - გადამამუშავებელი მრეწველობა, ბოლნისში - სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, გარდაბანში - ელექტროენერგიის წარმოება, მებოსტნეობა და მესაქონლეობა, მარნეულსა და წალკაში - სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, დმანისში - მესაქონლეობა და რძის პროდუქციის წარმოება, ხოლო თეთრიწყაროში - ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება.

2015 წელს ქვემო ქართლში მრეწველობის ბრუნვის მოცულობა 1837,3 მლნ ლარს, პროდუქციის გამოშვება 1686,7 მლნ ლარს, მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 14741 ადამიანს, დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება 1056,4 ლარს, ხოლო ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების

[22] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.17.

მოცულობა 214 მლნ ლარს შეადგენდა. ამასთან, 2015 წელთან შედარებით, ბრუნვის მოცულობა თითქმის 200 მილიონი ლარით გაიზარდა, პროდუქციის გამოშვება 100 მილიონით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 1000 კაცით გაიზარდა. ამავდროულად, დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზრაურება პირველად გახდა ოთხნიშნა რიცხვი, ასევე 120 მლნ ლარით გაიზარდა ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა. 2015 წელს მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასებში გაიზარდა და მან 504,1 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია ასევე, რომ 2006-2015 წლებში სტაბილური დადებითი დინამიკა აღინიშნებოდა. 2006 წელთან შედარებით, მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულება რეგიონში თითქმის ორჯერ გაიზარდა.[23] **იხ. ცხრილი N9.**

მრეწველობის დარგებიდან, რეგიონში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მძიმე და მომპოვებელი მრეწველობის დარგები, კერძოდ: ქ. რუსთავში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გარდა, ფუნქციონირებს რამდენიმე მსხვილი საწარმო, რომელთა პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობელ სახელმწიფოებში. კარგად არის განვითარებული და გაფართოების პერსპექტივა აქვს აგრეთვე „რუსთავის აზოტს“, რომელიც მინერალურ სასუქებს აწარმოებს და ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია ქვემო ქართლში. შესაძლებელია მისი ტექნიკური გადაიარაღება და ახალი წარმოებების ამოქმედება, მათ შორის კაპროლაქტამის ნედლეულისა და კარბამიდის სასუქების მწარმოებელი ქარხნების ამუშავება. ქვემო ქართლს აქვს პოტენციალი დაიკავოს წამყვანი ადგილი საქართველოს სამთომადნო მრეწველობაშიც. ამ ეტაპზე, სამთომადნო მრეწველობა, ძირითადად, ორიენტირებულია ფერადი და კეთილშობილი ლითონებისა და სამშენებლო მასალების მოპოვებაზე, რაც განპირობებულია აღნიშნული სახეობის სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის შედარებით მაღალი დონით და პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნილების არსებობით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე სამთო-გამამდიდრებელ კომბინატებში დღეისათვის მადნების დამუშავება კონცენტრატების დონეს გასცდა და უშუალოდ

[23] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 22 დეკემბერი.

სასარგებლო კომპონენტების მიღება ხორციელდება (სპილენძი, ტყვია, თუთია, ბარიტი, ოქრო, ვერცხლი, კადმიუმი, გოგირდი, სელენი, ტელური, ინდიუმი, გერმანიუმი, თალიუმი, გალიუმი, მეორადი კვარციტები, რიოლითები, მეტასომიტური ქანები, სანაკეთო ქვები). გარდა აღნიშნულისა, ქვემო ქართლის რეგიონს აქვს მთელი რიგი სარეზერვო ობიექტები სპილენძისა და პოლიმეტალური საბადოებით, რომელთა სრულფასოვანი შესწავლა შემდგომ ძალისხმევას საჭიროებს. რეგიონის სამრეწველო სექტორის განვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს სამშენებლო კერამიკის (დარბაზისა და პიტარეთის კაოლინის საბადოები), მინის ტარის (ადულარიანი მეტასომატიტები) და საფაიფურე (ბექტაკარის კვარციტები) ნედლეულის ათვისებამ და რეგიონში კერამიკული და მინის ტარის წარმოების განვითარებამ. მაღალი ეკონომიკური ეფექტის მიღებაა შესაძლებელი ლითოგრაფიული ქვის საბადოების ათვისებითაც. ნედლეულის მნიშვნელოვან სახეობად განიხილება რეგიონის თიხა-თაბაშირის (გაჯის) საბადოები. გაჯის საწარმოების არსებული სიმძლავრეების სრული დატვირთვის შემთხვევაში, იგი რეგიონის შემოსავალის ზრდის წყაროდ იქცევა. მხარისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსია მის ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვებიც, რომელთა მარაგი საკმაოდ დიდია.

ქვემო ქართლში ფუნქციონირებს ცემენტის ქარხნები. ეს დარგი განსაკუთრებით პერსპექტიულია მარნეულში და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, რადგან ცემენტის პროდუქციის გამოშვებისათვის საჭირო კომპონენტები ამ მუნიციპალიტეტებში გვხვდება. მართალია, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა მრეწველობის სფეროს სტაბილური გაუმჯობესება, მაგრამ ის ჯერ კიდევ ბევრად სუსტადაა წარმოდგენილი რეგიონის რეალურ პოტენციალთან შედარებით. რეგიონის აქტივებისა და რესურსების გათვალისწინებით, ქმედითი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პოლიტიკის პირობებში, ქვემო ქართლს მრეწველობის სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. აქტივებისა და რესურსების ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების სტიმულირებაზე მიმართული ძალისხმევა, ხარისხზე და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების მაქსიმალური წახალისება, ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებაზე სისტემური ზრუნვა, საბანკო კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, კაპიტალის

ალტერნატიული ბაზრების ჩამოყალიბება და ზოგადად, სხვადასხვა ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების სათანადო გამოყენება გადამწყვეტ როლს შეასრულებს მრეწველობის სექტორის განვითარებაში. მათ შორის, ეს ეხება აზოტის ქიმიური კომბინატის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ვაგონმშენებელი საწარმოს, ცემენტის და ლითონკონსტრუქციების საწარმოო სიმძლავრეების ზრდის პოტენციალს რუსთავში, აგრეთვე, მრავალფეროვანი სამთო ინდუსტრიის, მაღალი ხარისხის მინერალების მოპოვების და ენერგოგენერირების შესაძლებლობებს რეგიონში. მრეწველობის შემდგომი ზრდა დამოკიდებულია არსებული სამრეწველო პოტენციალისა და მატერიალური აქტივების სრულ და ეფექტიან გამოყენებაზე. სამრეწველო აქტივებს შორის, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ისეთი მსხვილი ობიექტები, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, აზოტის ქიმიური კომბინატი, ვაგონმშენებელი საწარმო, ცემენტის წარმოება და ლითონკონსტრუქციების საწარმო რუსთავში, თბოელექტროსადგური გარდაბანში, მადნეულის ოქროს საბადოები კაზრეთთან ბოლნისში.[24]

აშკარაა, რომ რეგიონს საკმაოდ მაღალი სამრეწველო პოტენციალი გააჩნია, რომლის კიდევ უფრო განვითარებაა შესაძლებელი, სწორედ ამიტომაც იკავებს მრეწველობა უდიდეს წილს რეგიონის ეკონომიკაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის ზიანიც, რასაც ეს მრეწველობები გარემოს აყენებენ. ამ ფაქტზე თითქმის არ ხდება ყურადღების გამახვილება, ეკოლოგიური პრობლემა კი აყენებს ზიანს უამრავ ადამიანს რეგიონში და დამატებით მთლიან ბიოსისტემას. მოცემულ ფაქტზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებ.

ტურიზმი. სამწუხაროა, მაგრამ თითქმის არ მოიპოვება საკმარისი ინფორმაცია რეგიონში ტურისტული დანიშნულების მარშრუტებთან, კურორტებთან, სხვა ობიექტებთან და ტურისტების რაოდენობასთან დაკავშირებით. რეგიონის განვითარების გეგმის მიხედვით, ქვემო ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, აგრეთვე ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული ძეგლები ქმნის რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. ქვემო ქართლში ტურიზმის პერსპექტიული მიმართულებებია: ცხენოსნობა, სამონადირეო ტურიზმი,

[24] ქვემო ქართლის რეგიონული განვიტარების სააგენტო, http://kkrda.ge/industry/ 2017წ.

ეკოტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ოჯახური ტურიზმი, ეთნოგრაფიული ტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ტურიზმი და სხვ. ქვემო ქართლში ტურისტებს შეუძლიათ იხილონ დასახლებები, რომლებიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულით თარიღდება. დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენადაა მიჩნეული წინაისტორიული დასახლების და ადამიანის ნაშთების პოვნა დმანისში. ექსპერტთა დასკვნებით, დმანისში ჰომინიდი 1,8 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა. შესაბამისად, დმანისი ევროპისა და აზიის ყველაზე ადრეულ დასახლებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მთლიანობაში, ქვემო ქართლში 650-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთაგან 300 სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტშია შესული. ქვემო ქართლში ერთი კურორტი - მანგლისი და რამდენიმე რეკრეაციულ-დასასვენებელი ზონაა, სადაც არსებულ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველწლიურად 10 ათასამდე ადამიანის მიღებაა შესაძლებელი. საკურორტო ზონებია დმანისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, გარდაბნისა და წალკის მუნიციპალიტეტებში. ტურისტული ობიექტები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. რეგიონისთვის გამოწვევას წარმოადგენს ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ქვემო ქართლში სასტუმროების ნაკლებობა აღინიშნება. ქ. რუსთავში ხუთი სასტუმროა. მუნიციპალიტეტებში საოჯახო ტიპის სასტუმროებმა ჯერჯერობით სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა. წალკასა და დმანისში არის საოჯახო ტიპის სასტუმროები, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა. ბოლნისში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასტუმრო. 2011 წელს სასტუმროებისა და რესტორნების ქსელში დასაქმებულთა რაოდენობა 2006 წელთან შედარებით 34%-ით გაიზარდა და 785 ადამიანი შეადგინა. თუმცა, სექტორის მთავარ პრობლემებად რჩება პერსონალის დაბალი ანაზღაურება და უკიდურესად დაბალი ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, შესაბამისად კი - მომსახურების დაბალი ხარისხი.[25] ქვემო ქართლის ტერიტორიაზე განსაკუთრებით შეგვიძლია გამოვარჩოთ შემდეგი ბუნების, არქიტექტურისა და კულტურის ძეგლები: ბოლნისის სიონი; ფიტარეთის მონასტერი; ბირთვისის ციხე-სიმაგრე; დმანისის ნაქალაქარი და სამშვილდის ციხე-ქალაქი, აგრეთვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ უძველესი ოქროს მომპოვებელი საბადო მსოფლიოში, აწ უკვე აფეთქებული საყდრისი.

[25] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.19.

ეკონომიკის სხვა დარგები. საკმაოდ მცირეა მშენებლობის ხვედრითი წილი ქვემო ქართლის რეგიონში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში. მაგრამ მოცემულ სექტორში აშკარად შეინიშნება ზრდის მაჩვენებელი, რაც გამოიხატება როგორც ფულის ბრუნვის ზრდაში (204მლნ.ლარი), ასევე პროდუქციის გამოშვების (209,2 მლნ.ლარი), დასაქმებულთა რაოდენობის (3300 კაცი), მათი საშუალო თვიური ანაზღაურების (1017,7 ლარი), დამატებით ღრებულებისა (63,6 მლნ.ლარი) და ინვესტიციების ზრდაში (5,6 მლნ.ლარი). მოცემული სექტორის მონაცემები, როგორც ჩანს, 2006 წლიდან თითქმის ყოველ წელს იზრდებოდა და დღემდე განაგრძობს ზრდას, რაც თამამად შეგვიძლია დადებით მაჩვენებლად ჩავთვალოთ. 2012 წელს ქვემო ქართლში გაიცა 1188 მშენებლობის ნებართვა 256,3 ათას მ2 ფართზე. ამასთან, 2012 წელს დამთავრებულ იქნა 533 ობიექტი 130,9 ათასი მ2 საერთო ფართით.[26] **იხ. ცხრილი N10.**

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროს ხვედრითი წილი ასევე მცირეა ქვემო ქართლის რეგიონის შექმნილ დამატებულ ღირებულებაში. 2016 წელს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 27,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 7 მილიონით აღემატება წინა წლის მონაცემებს. თითქმის ორჯერ გაიზარდა 2015 წელთან შედარებით ბრუნვის მოცულობაც, რამაც 112,1 მლნ ლარი შეადგინა. აგრეთვე 8 მილიონი ლარით გაიზარდა პროდუქციის მოცულობაც და მან 51,6 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მოცემულ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 2016 წელს 2135 ადამიანს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ მეტია. პარალელურად შემცირდა დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება წინა წელთან შედარებით 170 ლარით, რამაც 474,2 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ არსებული სტატისტიკური მონაცემები ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ბრუნვის რეალურ მაჩვენებელს ჯეროვნად არ ასახავს. მოსახლეობის გადაყვანას ძირითადად აწარმოებენ ინდ. მეწარმეები. რომელთა მომსახურებაც არ აღირიცხება, ხოლო რეგიონის ტელესაკომუნიკაციო და ინტერნეტ მომსახურებას მთლიანად

[26] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 22 დეკემბერი.

ახორციელებენ არსებული მობილური ოპერატორები და ფიქსირებული ქსელის ოპერატორები.[27] **იხ. ცხრილი N11.**

რაც შეეხება **ვაჭრობას** (ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების და სხვ.), 2016 წელს რეგიონში ბრუნვის მოცულობამ 1200,4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 230 მილიონით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 38 მილიონით გაიზარდა საწარმოების პროდუქცია, რომლის ღირებულებამ 162 მილიონი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია მოცემულ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტენდენციაც, რომელიც 2010 წლის შემდეგ მუდმივად იზრდებოდა, ხოლო 2016 წელს მოცემულმა მაჩვენებელმა 8398 კაცი შეადგინა. ასევე 2011 წლიდან მუდმივად იზრდებოდა მოცემულ სფეროში დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურებაც, რამაც 424,1 ლარი შეადგინა. ასევე გაიზარდა რეგიონში შექმნილი ვაჭრობისა და მომსახურების დამატებითი ღირებულებაც (110,3 მლნ ლარი). ვაჭრობის სექტორის შედარებით სწრაფი განვითარება (ისევე, როგორც სხვა რეგიონებში) მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეკონომიკაში კაპიტალის სერიოზული ნაკლებობაა, ხოლო ვაჭრობის სექტორი, საწყის კაპიტალზე შედარებით მცირე მოთხოვნისა და ამ დარგში კაპიტალის სწრაფი ბრუნვის გამო, ამ პრობლემას შედარებით ადვილად უმკლავდება. ვაჭრობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ქ. რუსთავში საავტომობილო ბაზრობის ამოქმედება, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია რეგიონში.[28] **იხ. ცხრილი N12.**

რეგიონის ჭრილში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული სტატისტიკა არ იწარმოება. რეგიონულ ადმინისტრაციასა და თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები საინვესტიციო პროექტების შემუშავებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონში ეკონომიკური პროცესების სტიმულირებას. 2012 წელს შეიქმნა ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო, რომლის მისიაა, ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და ინვესტიციების

[27] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 23 დეკემბერი.

[28] სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 23 დეკემბერი.

მოზიდვას. სააგენტოს დამფუძნებლები არიან სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია და რეგიონის 7 თვითმმართველი ერთეული. ამჟამად, შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული ინფორმაციის თავმოყრა რეგიონში არსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ექსპორტის შესახებ. ქვემო ქართლში განხორციელდა რამდენიმე მსხვილი უცხოური პირდაპირი ინვესტიცია, ძირითადად მძიმე, მომპოვებელ და სამთა-მადნო მრეწველობაში. რეგიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს გერმანული „ჰაიდელბერგ ცემენტი“, ასევე სს “RMG Copper” და შპს “RMG Gold”. უკანასკნელ წლებში, განხორციელდა მნიშვნელოვანი უკრაინული ინვესტიცია ქვემო ქართლში არსებულ რეგიონულ ავტობაზრობაშიც. ქ. რუსთავში, ფუნქციონირებს უცხოური ინვესტიციით შექმნილი რამდენიმე მსხვილი საწარმო. მათ შორისაა ინდური „ჯეოსთილი“, რომლის მიერ წარმოებულ ფოლადზე დიდი მოთხოვნაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობელ სახელმწიფოებში. „ჯეოსთილი“ საქართველოში ფოლადის ყველაზე დიდი მწარმოებელია, რომლის საწარმოო ინფრასტრუქტურა 13 ჰექტარზეა გაშლილი, ხოლო საწარმოს წარმადობა წელიწადში 175 ათას ტონას შეადგენს. ვინაიდან ქვემო ქართლი ესაზღვრება სომხეთსა და აზერბაიჯანს, რეგიონის მცხოვრებლებისათვის ხელმისაწვდომია მეზობელ ქვეყნებში ადგილობრივი პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა. გარდა ამისა, პროდუქცია გადის თურქეთსა და რუსეთში. აღნიშნული ოთხი ქვეყნიდან ადგილობრივი პროდუქციის გატანა ყველაზე ხელმისაწვდომი აზერბაიჯანშია, რასაც მოსდევს თურქეთი და სომხეთი.[29]

ქვემო ქართლის მდებარეობიდან გამომდინარე, რეგიონს გააჩნია ძალიან კარგი პოტენციალი **რეგიონთაშორისი და ტრანსსასაზღვრო** ურთიერთობების განსავითარებლად. სამწუხაროდ, სახელმწიფოს პოლიტიკა მსგავსი ურთიერთობების განსავითარებლად მოიკოჭლებს, ქვემო ქართლის საბაზრო ურთიერთობების რეგულირების დონე ქვეყნის სხვა რეგიონებთან და მოსაზღვრე ქვეყნებთან ძალიან დაბალია. არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ან ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა მსგავსი ტიპის ურთიერთობების მნიშვნელოვნად განვითარებას, არადა პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ერთადერთი წინ გადადგმულ ნაბიჯად, რეგიონთაშორისი და

[29] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.21.

ტრანსსასაზღვრო ურთიერთობების განვითარებისკენ შეიძლება ჩაითვალოს დეცენტრალიზაციის რეფორმა, რამაც ცალსახად უნდა გამოიწვიოს რეგიონის სხვა მხარეებთან ურთიერთობების გაძლიერება. ქვემო ქართლის მდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება სომხეთთან და აზერბაიჯანთან, იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონში ეთნიკური უმცირესობის დიდი ნაწილია (სომხები და აზერბაიჯანელები), მსგავსი ურთიერთობებ წაადგება ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებასაც. მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა ამჟამად მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობებით შემოიფარგლება და საჭიროა ურთიერთობების გაღრმავება სხვადასხვა სფეროებში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ძირითადი ნაწილი სწორედ ქვემო ქართლზე გადის.

რეგიონში არსებული **საავტომობილო გზების** საერთო სიგრძე (შიდა გზების ჩათვლით) დაახლოებთ 3036 კმ-ია, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქვემო ქართლზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სამი გზა: თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვრისკენ), თბილისი-მარნეული-გუგუთი და მარნეული-სადახლო (სომხეთის საზღვრისკენ). მოცემული გზების საერთო სიგრძეა 229,2 კმ, ისინი წარმოადგენენ მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელ მთავარ გზებს. აღსანიშნავია, რომ რეგიონის შიდა გზების დიდი ნაწილი არ არის დაფარული ასფალტის ან ბეტონის საფარით, ძირითადად უზრუნველყოფილია ტერიტორიული ერთეულების სატრანსპორტო კავშირი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებთან, ასევე სტაბილურია რეგიონის გარეთ სატრანსფორტო კავშირი. სამწუხაროდ, სატრანსპორტო კავშირი საერთაშორისო სტანდარტებისგან ძალიან შორსაა. რეგიონის ტერიტორიაზე არსებობს რკინიგზაც, მას ორი მიმართულება გააჩნია: თბილისი-ბაქო, თბილისი-ერევანი, ასევე მიმდინარეობს თბილისი-წალკა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა. სწორედ მოცემული საგზაო და სარკინიგზო კომუნიკაციები უზრუნველყოფს ქვემო ქართლის რეგიონის თანამშრომლობას მოსაზღვრე ტერიტორიებთან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამჟამად მიმდინარეობს თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი ავტობანის მშენებლობა (თითქმის დასრულებულია).

IV. გარემოს დაცვა

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ატმოსფერული **ჰაერის** ერთ-ერთი ძირითადი დამაბინძურებელი სწორედ ქვემო ქარლის რეგიონია, რაც განვითარებული მრეწველობისა და ენერგეტიკის სექტორების ბრალია. რეგიონის წილმა ქვეყნის მასშტაბით საწარმოებიდან ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების გაფრქვევაში ჯერ კიდევ 2012 წელს 28,12% შეადგინა, რაც ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში მხოლოდ იმერეთის რეგიონის წილზე (46,12%) ნაკლებია. დღესდღეობით ეს მაჩვენებელი ალბათ კიდევ უარესია (სამწუხაროდ ინფორმაცია არ მოიპოვება). მნიშვნელოვანია, რომ ქ. რუსთავის წილი ქვეყნის დაბინძურებაშ 17%-ს შეადგენს. 2012 წლის მონაცემების მიხედვით, სწორედ მრეწველობის სექტორზე მოდის რეგიონში გაფრქვევების 71,26%, ხოლო ენერგეტიკის სექტორზე 28,74%. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ძირითადი საქმიანობებია ტემენტის (33,4), მეტალურგიული (15,5%) და ქიმიური (7,55%) წარმოებები. რომელთა გაფრქვევების ხვედრითი წილი მთლიანი გაფრქვევებიდან 56,42%-ს შეადგენს.[30]

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ საჭიროა ჰაერის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება და ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება, აუცილებელია მწვანე ნარგავების განაშენიანება აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, მაგალითად, ქ. რუსთავში. ლოგიკურად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მონაცემები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, რადგან არ მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოცემული პრობლემის მოსაგვარებლად. აღსანიშნავია, რომ დაბინძურება დაშვებულ კონცენტრაციაზე მაღალია. რაც უფრო იზრდება მოქმედი საწარმოების რაოდენობა და მათი საქმიანობის მოცულობა, ეკოლოგიური პრობლემები ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით კიდევ უფრო ძნელად გამოსასწორებელი ხდება. როგორც გავარკვიე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი რეგიონში მხოლოდ ქ. რუსთავში, ჰაერის ხარისხის გამზომი ერთი ჯიხურის საშუალებით ხორციელდება. ეს მონაცემები ასახავს არა მთლიანად რეგიონის ან

[30] ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, გვ.26.

ქალაქის, არამედ მხოლოდ იმ ტერიტორიის ჰაერის ხარისხს, სადაც დაკვირვების ჯიხურია განთავსებული, მაგრამ ოფიციალური მონაცემები მოცემულ ჯიხურთან დაკავშირებით ვერ მოვიპოვე, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ პრობლემას ქვეყნისა და რეგიონის მთავრობები არ უყურებენ სერიოზულად.

სამწუხაროა, მაგრამ რეგიონის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს მიწისქვეშა **წყლის** ხარისხის მონიტორინგი. რაც შეეხება ზედაპირული წყლის რესურსებს, კერძოდ, ტრანსსასაზღვრო მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები შედიან ჰიდრომეტეროლოგიური მონიტორინგის ქსელში და მეტნაკლები სიხშირით მიმდინარეობს წყლის ხარისხის მონიტორგინი. მოცემული მონიტორინგის მონაცემებიდან გამომდინარე აღინიშნა მდინარე მტკვარში ამონიუმის იონის ზღვრულ დასაშვებ რაოდენობაზე მეტი შემცველობა, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია ურბანული და ინდუსტრიული ჩამდინარე წყლის ნაკადებიდან ორგანული დაბინძურებით და სასოფლო-სამეურნეო მიწების გამორეცხვით. სამრეწველო საქმიანობის შედეგად აღინიშნება მდ. მაშავერას დაბინძურება მძიმე მეტალებით, ძირითადად სპილენძით. ასევე ზღვრულ დასაშვებ რაოდენობას აჭარბებს ფოსფატების საშუალო წლიური კონცენტრაცია, რაც, სავარაუდოდ, საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობით/არარსებობით შეიძლება იყოს გამოწვეული. სამწუხაროა, მაგრამ მოცემული ინფორმაციაც ხალხის გამოკითხვით მოვიპოვე, რადგან არ მოიპოვება ოფიციალური მონაცემები, მაგრამ რეგიონის მოსახლეობაში ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხი ფართოდაა ცნობილი. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ არსებული პრობლემით ქვეყნის მთავრობა არაა დაინტერესებული, რაც ალბათ სახსრების უკმარისობით ან სურვილის არარსებობით შეიძლება ავხსნათ. ამავდროულად აუცილებელია როგორც მიწისქვეშა, ასევე ზედაპირული წყლის რესურსების მონიტორინგის ქსელის შექმნა, გაფართოება და წყლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, რადგან წყლის დაბინძურება აისახება, როგორც რეგიონის მოსახლეობაზე ასევე მის ბიოსისტემაზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კაზრეთში წიაღისეულის მოპოვების გამო, რეგიონში მომატებულია რადიაციის მაჩვენებელიც, მაგრამ მოცემულ საკითხზე საუბარი არ მიმდინარეობს საზოგადოებაში.

მწვანე პოლიტიკის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზის საფუძველზე, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში დაბინძურების ხარისხი 2010-2015 წლებში, დადგინდა, რომ მდინარეების მაშავერასა და კაზრეთულას მძიმე მეტალებით: თუთიით, კადმიუმითა და რკინით დაბინძურების მაღალი ხარისხია. რაც შეეხება სპილენძს, მდინარის წყალში მისი შემცველობა შედარებით ნაკლებია ხოლმე და ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას არ აღემატება, რადგან სპილენძის გადამამუშავებელი საწარმო ჩამდინარე წყლებს სპილენძისგან წმენდს რკინის ფხვნილის გამოყენებით.[31] **იხ. ცხრილი N13**.

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მდინარე კაზრეთულა ძლიერ ბინძურდება საწარმოდან ჩამდინარე წყლებით, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს მძიმე ლითონებს – კადმიუმსა და თუთიას. დამაბინძურებლების შემცველი დამბის წყალი უერთდება მდინარე კაზრეთულას, რაც ამ უკანასკნელის კიდევ უფრო დაბინძურებას იწვევს. მდ. მაშავერასთან შეერთებისას ხდება მდ. კაზრეთულას განზავება, რის გამოც მაშავერაში თუთიის და კადმიუმის დონეები დასაშვებ ნორმას აღემატება, მაგრამ კაზრეთულასთან შედარებით, ეს მონაცემები დაბალია. საირიგაციო სისტემის წყლის დაბინძურების ხარისხის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნიმუშებში მძიმე ლითონების (Cu, Zn, Cd) კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმას აჭარბებს. მოცემული კვლევის შედეგებმა გამოკვეთა მონაცემი, რომ RMG Gold-ის მიერ გამოყენებულ მდინარეებში შემდეგი ელემენტების ჭარბი შემცველობა გვხვდება: სპილენძი (Cu), თუთია (Zn), მანგანუმი (Mn), რკინა (Fe), კადმიუმი (Cd), ნიკელი (Ni), კობალტი (Co) და ტყვია (Pb).

ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების სოფლებში აღებული სინჯების საფუძველზე, მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ დაბინძურების მაჩვენებელი აღემატება დასაშვებ ნორმებს. სპილენძის მაჩვენებელი მომატებულია ნახიდურში, აბულბუქის ტერიტორიაზე, კაზრეთსა და ბალიჭში. მანგანუმი ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით მომატებულია სოფლებში – ნახიდურში, მუშევანში, რატევანში, ვარდისუბანში, ბალიჭის ჭალებში, ფოცხვერიანში, ტანძიაში, კაზრეთში,

[31] ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ. გვ.19.

ბალიჭის შესასვლელთან და მის ზემოუბანში. კადმიუმის მატება განსაკუთრებით სოფელ რატევანში აღინიშნა, მისმა შემცველობამ ზღვრულად დასაშვებ რაოდენობას ასევე გადააჭარბა მწყნეთში, ტანძიაში, კაზრეთში, აკაურთასა და გომარეთში. სოფელ ბალიჭში ყველაზე მეტად კადმიუმი ჭალების ტერიტორიაზეა მომატებული, რომელსაც მოსდევს შუაუბნისა და სოფლის შესასვლელის ტერიტორიები. თუთია ძალზე მომატებულია აბულბუქისა (1076 მგ/კგ; ნორმა 300 მგ/კგ) და რატევნის (1014 მგ/კგ) ტერიტორიაზე. ხოლო ბალიჭის ჭალებსა და ქვემო ბოლნისის მდინარის ფსკერზე აღებულ ნიმუშებში მისი კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აღემატება პირველ შემთხვევაში 219 ერთეულით (519.82 მგ/კგ), ხოლო მეორე შემთხვევაში – 15 ერთეულით (315 მგ/კგ). საგანგაშოა თუთიის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი მომატება სოფლებში: ბალიჭი, აბულბუქი და რატევანი. ბალიჭი და აბულბუქი ყველაზე ახლოსაა საყდრისის საბადოსთან. ამ სოფლების სავარგულები ჰაერით ბინძურდება კარიერზე მიმდინარე ინტენსიური აფეთქებების შედეგად. რაც შეეხება რატევანს, რომელიც ცოტა მოშორებითაა, საწინააღმდეგო სურათია დაფიქსირებული: რატევნის ნიადაგის სიღრმეში თუთიის კონცენტრაცია 1000 მგ/კგ-ზე მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ მაშავერას წყლით მორწყვამ თუთიის დიდი ნაწილის სიღრმეში მიგრაციას შეუწყო ხელი. რაც შეეხება ტყვიას, მისი კონცენტრაცია მომატებულია საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე და სოფლებში: ვარდისუბანი, მამიშლო, პატარა დმანისი, აბულბუქი, ბალიჭის ჭალები, ბალიჭის შესასვლელთან, ბალიჭის შუაუბანი, ბალიჭის ზედაუბანი, ტანძია, დარბაზი, ფოცხვერიანი, კაზრეთი, ფოლადაურის შენაკადის ფსკერი. აღსანიშნავია, რომ ნიადაგის დაბინძურება ხდება როგორც ჰაერიდან (აფეთქებების და ატმოსფერული მასების მოძრაობის გამო) და წყლიდან (მდინარეები, სარწყავი წყალი, მიწისქვეშა წყლები).[32]

საბოლოოდ, ამ კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვემო ქართლის რეგიონის, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამთომოპოვებითი საქმიანობის შედეგად, რომელსაც აწარმოებს კომპანია "RMG" დაბინძურების არეალი და მასშტაბები საგანგაშო მდგომარეობადმე არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ

[32] ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ. გვ.22-28.

დაბინძურების ამ დონემდე გაზრდა ფიქსირდება ე.წ. საყდრის-ყაჩაღიანის საბადოს ათვისების შემდეგ წლებში. დაბინძურებულია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია, დმანისის მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი, თუმცა მკვლევარების ვარაუდით ეს დაბინძურება მოცემული შედეგებზე დაყრდნობით უფრო დიდ ტერიტორიასაც უნდა მოიცავდეს. დაბინძურების სრული სურათის წარმოჩენისათვის აუცილებელია კვლევამ მთელი ქვემო ქართლი მოიცვას, გარდა ამისა, აუცილებელია დაბინძურების ეფექტის შესწავლა საკვებ პროდუქტებსა და განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობზე. შესაბამისად, აუცილებელია დაინერგოს საბადოს მართვის თანამედროვე პრინციპებზე მორგებული სახელმწიფო რეგულაციათა პაკეტი და გაიზარდოს საბადოს მართვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის დონე. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგებით დადგინდა ამა თუ იმ სოფელში ტოქსიკური ლითონების მატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით.[33] **იხ. ცხრილი N14.**

დღეისათვის, რეგიონის ტერიტორიაზე არსებული **ტყეების** მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ტყეების დეგრადაციის გამომწვევ ძირითად მიზეზად და ასევე, სამომავლო რისკ-ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ტყის ხანძრები. განსაკუთრებული რისკის ქვეშ ექცევა სასოფლო სამეურნეო სავარგულების მომიჯნავედ არსებული ტყის მასივები, რადგან ნაკვეთების ე.წ. გადაწვის პრაქტიკა ხშირად ხდება დაურეგულირებელი ხანძრის გავრცელების მიზეზი. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტყის აღდგენის სამუშაოების მასშტაბურად განხორციელება. ოფიციალური მონაცემების თანახმად, რეგიონში 2015 წელს ხე-ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა 52.496 კუბურ მეტრს შეადგენდა, რაც ნაკლები იყო წინა წლის მონაცემებთან შედარებით, მაგრამ მეტი, ვიდრე 2013 წლის მონაცემი. რეგიონში ასევე ფართოდაა გავრცელებული ხე-ტყის უკანონო ჭრის პრაქტიკა, რაც აუცილებლად საჭიროებს მკაცრ მონიტორინგს, რადგან რეგიონის ტყის ფონდი 2015 წელს სულ რაღაც 144,1 ათას ჰექტარს შეადგენდა, რაც არ

[33] ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან გვ 28-42.

წარმოადგენს დიდ მაჩვენებელს.[34] აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტყის აღდგენის სამუშაოების მასშტაბურად განხორციელება. **იხ. ცხრილი N15.**

ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს ორი **დაცული ტორიტორია**, ესენია გარდაბნის აღკვეთილი 3484 ჰა ფართობით და ალგეთის ეროვნული პარკი 6822 ჰა ფართობით, რაც ქვემო ქართლის ტერიტორიის 1,57%-ს იკავებს.

აღსანიშნავია, რომ გარდაბნის აღკვეთილი შეიქმნა 1996 წელს ჭალის ეკოსისტემების დაცვის, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და იქ მობინადრე ფაუნის წარმომადგენელთა დაცვის მიზნით. მოცემული ტერიტორია მდებარეობს აზერბაიჯანის საზღვართან, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, თბილისიდან 39 კილომეტრის დაშორებით. აღკვეთილში ბინადრობს თევზების 21 სახეობა, ამფიბიებისა და რეპტილიების 4 სახეობა, ფრინველების 135 სახეობა და ძუძუმწოვრების 26 სახეობა. აუცილებელია იმის თქმაც, რომ გარდაბნის აღკვეთილთან ახლოს მდებარეობს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. აღკვეთილის ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის, კერძოდ, 60-70-იან წლებში შეიქმნა და მოიცავს ეგერების 2 სახლს, მონადირის 5 სახლს, ერთ სასტუმროსა და ერთ სტანდარტულ სახლს. მისი ტურისტული პოტენციალი, ჯერ-ჯერობით, ძირითადად, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმართულებით კულტურულ, ფეხით სასიარულო და სამანქანო-სათავგადასავლო ტურებში გამოიხატება. შესაძლებელია აღკვეთილის ტერიტორიაზე ტურისტული პოტენციალის გამოყენება ფრინველებსა და ცხოველებზე დაკვირვების, ასევე ბოტანიკური და ეკოლოგიური ტურების ორგანიზებით. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიის ნაწილი 49 წლიანი ვადით იჯარით გაიცა სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით.[35]

---

[34] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, http://www.moe.gov.ge/ka/home 2017წ.

[35] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98

ალგეთის ეროვნული პარკი მდებარეობს ალგეთის ხეობაში ზღვის დონიდან 1100-1950 მ სიმაღლეზე, თრიალეთის ქედის აღოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ფერდობზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, თბილისიდან კი 60 კმ-ით არის დაშორებული. მოცემული ნაკრძალი დაარსდა 1965 წელს, აღმოსავლური ნაძვის და კავკასიური სოჭის უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვრის დაცვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2007 წელს ალგეთს მიენიჭა ეროვნული პარკის სტატუსი. ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორია ძლიერი მთაგორიანობით ხასიათდება, რომელიც მრავალრიცხოვანი პატარა მდინარეებითა და ხევებითაა დაღარული. სწორედ მოცემული პარკის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე ალგეთი თავისი მრავალრიცხოვანი პატარა შენაკადით და ხევით. პარკის ფართობის 90% ტყითაა დაფარული და წარმოდგენილია მცენარეთა 1664 სახეობით, აქედან 3 საქართველოს და კავკასიის ენდემია. გავრცელებული სოკოების 250 სახეობიდან 10 სახეობა პირველად იქნა აღმოჩენილი სწორედ მოცემული პარკის ტერიტორიაზე. აქვე მინდა დავამატო, რომ ალგეთის ხეობაში გვხვდება 80-ზე მეტი სახეობის ფრინველი. ალგეთის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა, 1965 წელს აშენდა ადმინისტრაციული შენობა და მცირე საველე ინფრასტრუქტურა, 3 საფეხმავლო და საცხენოსნო ტურისტული ბილიკი, საპიკნიკე და საცეცხლე ადგილი, გადასასვლელი ხიდი და სანიტარული კვანძი. მოცემული პარკი წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების მნიშვნელოვან ადგილს. მას გააჩნია რეკრეაციულ-კურორტოლოგიური და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა. დღესდღეობით დაცულ ტერიტორიაზე განვითარებულია ეკოტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა საფეხმავლო, საცხენოსნო და კულტურული ტურები. ეროვნულ პარკს ეკო-ტურიზმის, კერძოდ: სალაშქრო, საცხენოსნო, ფოტო-ვიდეო, ფრინველებზე დაკვირვების, ეკოლოგიური და ბოტანიკური ტურების განვითარების საკმაოდ მაღალი პოტენციალი გააჩნია, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაც.[36]

36 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%98

როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლს გააჩნია საკმარისი პოტენციალი ეკოტურიზმის განსავითარებლად, მაგრამ სამწუხაროდ მისი პოტენციალის ათვისება ვერ ხდება, რადგან არ მიმდინარეობს მისი პოპულარიზაცია, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საკმარისი ყურადღება არ ეთმობა მოცემულ დაცულ ტერიტორიებს, რადგან აუცილებელია ინფრასტრუქტურის განახლება და გაფართოება. აგრეთვე შესაძლებელია საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების განვითარება, რაც ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციასაც შეუწყობს ხელს, ამ ყველაფრისთვის კი საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღების მიქცევა.

თავი 5. პრობლემები და პერსპექტივები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩავატარე კვლევა და სიღრმისეული ინტერვიუს გზით გამოვკითხე 20 რესპოდენტი ბოლნისის რაიონში. კვლევის მთავარი მიზანი იყო ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის აზრის გამოკვეთა რეგიონში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან, მათი წარმოშობის მიზეზებთან და გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. ასევე, კვლევის შედეგებმა აჩვენა გამოკითხული მოსახლეობის აზრი ეკონომიკის იმ დარგების შესახებ, რომელთა განითარებაც ყველაზე პერსპექტიულად მიაჩნიათ ქვემო ქართლის რეგიონისთვის. ამ თავში სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგებზე გვექნება საუბარი და ამასთან ერთად, ტექსტის ძირითად ნაწილზე დაყრდნობით, გარკვეულ შეჯამებას გავაკეთებთ.

გამოკითხულ რესპოდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ რეგიონის უმთავრეს პრობლემად სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა დაასახელა, რაც საკმაოდ მოულოდნელი შეიძლება იყოს.

პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ახალი წყალგაყვანილობის სისტემის ჩართვის შემდეგ, რაც დააყენეს ბოლნისის რაიონში, მოხდა წყლის დიდი რაოდენობით დაკარგვა და მისი ძველი წყალგაყვანილობის მილებში გაპარება, რაც დაფიქსირდა მოსახლეობის მრიცხველებზე და მოსახლეობას დაეკისრა უზარმაზარი გადასახადები. ისედაც ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობას არ აქვს იმის საშუალება, რომ ათჯერ და ოცჯერ მეტი (რიგ შემთხვევებში ასჯერაც კი), გადაიხადოს წყლის ხარჯის გამო ყოველთვიურად, ვიდრე აქამდე იხდიდა. კომპანიამ რომელმაც ეს სისტემა დააყენა, არ გაითვალისწინა ხალხის სოციალური მდგომარება და არ მოხდა წყლის გადასახადის ჩამოწერა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსახლეობის ბრალი ეს არ იყო. წყლის გაპარების პრობლემის გამოსწორება საკმაოდ გვიან მოხდა თვითონ მოსახლეობის მიერ, გადასახადები, რომელიც ხალხს არ ჩამოაწერეს, გარკვეულ პერიოდზე გადანაწილდა ზოგი ოჯახისთვის, ზოგმა კი ვერ შესძლო ამის გაკეთება, ამიტომ მოსახლეობას ემუქრებიან წყლის გადაკეტვით. აქვე მინდა დავამატო, რომ წყლის წამოსვლამდე,

რესპოდენტების თქმით, მილებში მოდის ჰაერის დიდი ჭავლი, რომელიც ასევე ფიქსირდება მრიცხველებზე და ითვლება წყლის დანახარჯად, რამდენადაც ირონიულად არ უნდა ჟღერდეს, მოსახლეობა წყლის მაგივრად ჰაერის გადასახადს იხდის.

წყლის პრობლემებთან დაკავშირებით ყველაფერი აქ არ მთავრდება. სასმელი წყალი ისედაც ბოლნისის რაიონში და თითქმის მთლიან ქვემო ქართლში გრაფიკით მიეწოდება მოსახლეობას, რაც წყლის რესურსებით ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას, როგორიცაა საქართველო არ უნდა გააჩნდეს. ასევე მოსახლეობა უკმაყოფილოა წყლის ხარისხითაც, მათ აქვთ ეჭვი, რომ რეგიონში არსებული მდინარეები და ტბები დაბინძურებულია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების მიერ, რაც სავსებით რეალურია, რაც განსაკუთრებით სარწყავ წყალს შეეხება.

პრობლემაა ასევე სარწყავ წყალთან დაკავშირებით. გამოკითხულთა უმრავლესობას აქვს, საკუთარი მცირე მეურნეობა (ვენახი), მათი თქმით, არ არსებობს გამართული სარწყავი სისტემა, რაც მათ მეურნეობის მოვლა-პატრონობას პრობლემას უქმნის, ხშირ შემთხვევაში კი უაზროსაც ხდის. რადგან დანახარჯები გაწეული სამუშაოსთვის ხშირად აღემატება მიღებულ შემოსავლებს. ამ ყველაფერმა კი გამოიწვია იმედგაცრუება მოსახლეობაში, რის შედეგადაც გარკვეულმა ნაწილმა მიატოვა საკუთარი მიწის მოვლა.

რესპოდენტების აზრით, რაიონული ცენტრებისა და სოფლების რიგით მეორე უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს დასაქმება. მათი თქმით, არ არსებობს საკმარისი სამუშაო ადგილები, ისეთი ობიექტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა და შეიძლება დღესაც ამუშავდეს, ფიზიკურად აღარ არსებობს, ასეთებია ფაბრიკები, ქარხნები და სხვა. ამ ყველაფერმა გამოიწვია მოსახლეობის დიდი რაოდენობით გადინება უცხოეთსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამუშაოს საძებნელად, განსაკუთრებით თბილისში.

რესპოდენტების თქმით, სოციალური მდგომარეობა რეგიონში საკმაოდ მძიმეა, რაც ავტომატურად იწვევს ზემოხსენებული პრობლემის კიდევ უფრო გამწვავებას

დემოგრაფიული კუთხით. რესპოდენტებს გააჩნიათ იმის შიში, რომ მალე ბოლნისის რაიონი სულ დაიცლება ახალგაზრდებისგან.

გამოკითხულთა თქმით, რეგიონში განსაკუთრებით კი ბოლნისის რაიონში, შეიძლება სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო განვითარება, სარწყავი წყლის პრობლემების მოგვარების და ფერმერული მეურნეობების განვითარების გზით, რაც ხალხის საკმაოდ დიდ რაოდენობას დაასაქმებდა. ასევე მოსახლეობა უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ რეგიონში არაა განვითარებული ტურიზმი, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ რეგიონს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია ამ კუთხით. არ ხდება რეგიონის პოპულარიზაცია ტურისტული მარშრუტებისა და პროდუქციის თვალსაზრისით, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში. რესპოდენტების თქმით, რეგიონში დაახლოებით ათასამდე ისტორიული მნიშვნელობის ობიექტია (საქართველოში უძველესი ტაძრები და სხვა ნიმუშები, როგორიცაა ბოლნისის სიონი, წუღრუღაშენი და სხვა), რისი გამოყენებაც შესაძლებელია ტურისტული თვალსაზრისით. მათი აზრით, ასევე რეგიონს გააჩნია საკმაოდ საინტერესო ბუნება, მდინარეებისა და ტბების სახით.

გამოკითხულთა თქმით, რეგიონში შესაძლებელია წარმოების კიდევ უფრო განვითარება, რადგან ქვემო ქართლი მდიდარია წიაღისეული რესურსებით, რომელთა პოტენციალი მხოლოდ მცირედი ნაწილით არის ათვისებული (დაბინძურების შემცირების შემთხვევაში, მოსახლეობა ბედნიერი იქნებოდა მსგავსი ტიპის ინდუსტრიის კიდევ უფრო განვითარებით), რაც ასევე საკმაოდ დიდი რაოდენობით ხალხს დაასაქმებს. ასევე შესაძლებელია რეგიონში ისეთი მეურნეობების განვითარება, როგორიცაა საკონსერვო მეურნეობა, სამკერვალო ფაბრიკები და სხვა მრავალი. განსაკუთრებით რეგიონში შესაძლებელია ქარის, მზის და ბიოგაზის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება. ქვემო ქართლს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ენერგიის გენერირების კუთხით, ისეთი განახლებადი რესურსების გამოყენებით, როგორიცაა ჰიდროენერგია და ქარისა და მზის ენერგია. მზის ენერგიის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქვემო ქართლის რეგიონი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტერიტორიის თითქმის ნახევარი მიეკუთვნება ზონას, სადაც წლის თბილ პერიოდში (მაისი-ოქტომბერი) იქმნება

ოპტიმალური პირობები სხვადასხვა ტიპის ჰელიოდანადგარების (ბრტყელი კოლექტორები, მძლავრი მზის ღუმელები, კოშკის ტიპის მზის სადგურები, გენერატორები) ექსპლუატაციისათვის. ეს ზონა მოიცავს ქ. რუსთავს, მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს.

ასევე რეგიონს გააჩნია დიდი პოტენციალი ბაზალტის ბოჭკოს საწარმოებლად. დღეისათვის ბაზალტის ბოჭკოს მწარმოებელი ძირითადი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში არის უკრაინა, თუმცა ქვემო ქართლის ბაზალტი (ბოლნისისა და მარნეულის რაიონები), ხარისხის თვალსაზრისით უკეთესია. ბაზალტის ბოჭკოს წარმოების შემთხვევაში ერთი გარეცხვით ნაკლებს საჭიროებს და შესაბამისად, მცირდება წარმოების თვითღირებულება. თუმცა ხსენებული წარმოების გამართვა საჭიროებს დიდი რაოდენობით ინვესტიციას.

რესპოდენტების სურვილის მიხედვით, კარგი იქნებოდა თუ მოხდებოდა აზერბაიჯანსა და სომხეთთან სავაჭრო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება, რაც დამატებით შემოსავალს გაუჩენდა მოსახლეობას და შესაძლებელს გახდიდა დასაქმების პრობლემის სრულიად აღმოფხვრას, ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით. ასევე კარგი იქნებოდა თუ მოხდებოდა რეგიონში პროფესიული სასწავლებლების გახსნა, რაც კვალიფიკაციური მუშახელის რაოდენობას გაზრდიდა.

რეგიონში რესპოდენტების თქმით, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ეკოლოგიური საკითხი. ადგილობრივი მთავრობისა და ქვეყნის მთავრობის მიერ არ ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი ყურადღების გამახვილება. მათი თქმით, რეგიონში არსებული საწარმოებისა და მადნეულის მომპოვებელი კომპანიების მიერ, ხდება ძალიან დიდი მოცულობით ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება. მაგალითისთვის, კაზრეთში არსებული სპილენძისა და ოქროს მომპოვებლითი სამუშაოების გამო, გაზრდილია რადიაციის დონე. არაა ცნობილი, თუ რამდენჯერ ცდება არსებული რადიაციის დონე დასაშვებ ნორმას. მაგრამ ფაქტია, რომ ახლომდებარე ტერიტორიებზე, გაზრდილია სიმსივნური დაავადებების რაოდენობა. საბჭოთა პერიოდში, მრეწველობის სექტორის სრული დატვირთვით მუშაობის დროს, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნარჩენები წარმოიქმნა და დაბინძურების კერები გაჩნდა ქალაქებში რუსთავი, ბოლნისი და სხვა, სადაც

მეტალურგიული, სამთომომპოვებელი კომბინატებიდან და სხვა საწარმოებიდან მრავალი ათასი ტონა სამრეწველო ნარჩენი დაგროვდა. შედეგად, ამ საწარმოთა მიმდებარე ტერიტორიები მრავალი წლის განმავლობაში ფორმირდებოდნენ, როგორც ტოქსიკური ელემენტების მომატებული კონცენტრაციების კერები. 2007 წლის ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიშის მიხედვით, რეგიონში სამრეწველო ნარჩენის რაოდენობა შეფასდა დაახლ. 3 მლნ ტონად, საიდანაც 3%-ს წარმოადგენს ტოქსიკურ ნარჩენები.

როგორც ნაშრომის წინა თავებში აღვნიშნე, ეკოლოგიური დაბინძურება ზიანს აყენებს არამარტო რეგიონის მოსახლეობას, არამედ მთლიან ბიოსისტემას. დაბინძურებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ან სხვა სახის საკვები თუ წყალი, რომელსაც საზოგადობა მოიხმარს ან სარეალიზაციოდ მიაქვს, ორგანიზმს კიდევ უფრო დიდ ზიანს აყენებს. რესპოდენტების თქმით, არავინ იცის, რა ზიანი მიადგა რეგიონის ბუნებას უკონტროლო დაბინძურების გამო და რა შედეგებს გამოიწვევს ეს მომავალში.

საიდუმლო არაა, რომ ადამიანისთვის ჯანმრთელობა უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ, მოსახლეობის თქმით, აუცილებელია არსებული ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება, შესაბამისი კვლევითი ობიექტებისა და ორგანიზაციების დაარსება, ამოქმედება ან ჩართვა იმისთვის, რომ დადგინდეს რეგიონში ეკოლოგიური საკითხის რეალური სახე და შეიქმნას პრობლემის გადაჭრის გეგმა.

რესპოდენტების თქმით, ქვემო ქართლის რეგიონში არსებული კიდევ ერთი თვალში საცემი პრობლემა არის ის, რომ არსებული დასახლებების ინფრასტრუქტურული იერსახის საერთო მდგომარეობა - შენობა-ნაგებობების, ეზოების, ქუჩების, ტროტუარების, მოედნების, სკვერების, პარკების იერსახე არადამაკმაყოფილებელია. ქვემო ქართლის რეგიონში არც რეგიონის და არც მუნიციპალურ დონეზე არ ხორციელდება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა. რესპოდენტები განსაკუთრებით უკმაყოფილოები არიან გზების ხარისხით. მოუწესრიგებელი გზები პრობლემას უქმნის მოსახლეობის გადაადგილებას და აზიანებს მათ სატრანსპორტო საშუალებებს. რესპოდენტების თქმით, ქვემო

ქართლში, განსაკუთრებით კი ბოლნისის რაიონში, კიდევ ბევრი პრობლემაა, რისი მოგვარებაც აუცილებელია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები წარმოადგენს იმ უმთავრეს საკითხებს, რაც ყველას - წარმომავლობის, რელიგიის, სქესის თუ ასაკის მიუხედავად ადარდებს და თვლის საჭიროდ, როგორც პრიორიტეტულს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვემო ქართლში საკმაოდ ბევრი პრობლემაა, რომლებიც სასწრაფოდ გადაწყვეტას საჭიროებენ, თუმცა რეგიონის პოტენციალის გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებელია არსებული პრობლემების აღმოფხვრა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების წინაშე მყოფი რეგიონის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, საბოლოოდ, ეს იქნება ჩვენი ქვეყნის წინ გადადგმული ნაბიჯი მომავალი წარმატებისკენ.

დასკვნა

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი კუთხეა, რომელსაც განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, თუმცა, დღესდღეობით, რეგიონში საკმაოდ მძიმე ვითარებაა შექმნილი, რაც არაერთ პრობლემაში (მაგალითად, მოსახლეობის დეპოპულაცია მიგრაციის გამო, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ეკოლოგიური პრობლემები) გამოიხატება. ნაშრომში სწორედ აღნიშნულ პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული. გარდა ამისა, გამოკვეთილია ეკონომიკის ის დარგები, რომელთაც განვითარების კარგი შესაძლებლობები გააჩნიათ და სწორედ ამ პერსპექტიული დარგების (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი და საკონსერვო მეურნეობა, მრეწველობა, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, ვაჭრობა და ენერგეტიკა) განვითარების საფუძველზე უნდა მოხდეს ქვემო ქართლის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში საკითხის შესწავლისა და კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომელთა წინაშეც დღეს ქვემო ქართლის რეგიონი დგას. უპირველეს ყოვლისა, ქვემო ქართლში ეკოლოგიური პრობლემის საკითხი იკვეთება, რაც გამოწვეულია განვითარებული მრეწველობისა და სამთო-მომპოვებლური მეურნეობის გამო. აღსანიშნავია, რომ რეგიონი საქართველოში (იმერეთის რეგიონის მერე) ყველაზე დაბინძურებულია. მოცემული საკითხი ზიანს აყენებს მთლიან ბიოსისტემას და არა მარტო ადამიანს. აუცილებელია ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი გეგმის შემუშავება და განხორციელება, რადგან საზოგადოების უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და სიცოცხლე მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის.

არანაკლები მნიშვნელობის პრობლემა დგას სასმელ და სარწყავ წყალთან დაკავშირებით. სასმელი წყალი თითქმის მთლიან რეგიონში მოედინება გრაფიკით, დილით და საღამოს. ასევე აღსანიშნავია, რომ ბოლნისის რაიონში მოსახლეობას ზედმეტი გადასახადი დაეკისრა წყალზე, ახალი სისტემის დამონტაჟების შემდეგ, რაც დამმონტაჟებელი კომპანიის დაუდევრობის ბრალია, ეს დაუდევრობა კი მძიმე ეკონომიკურ ტვირთად დააწვა მოსახლეობას. რაც შეეხება სარწყავ წყალს, ქვემო

ქართლის საკმაოდ დიდ ნაწილზე გამართულად არ მუშაობს სარწყავი სისტემა (დიდ ნაწილზე კი საერთოდ არაა მსგავსი სისტემები), რაც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

რეგიონის ალბათ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები. სწორედ ეს საკითხი იწვევს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციას რეგიონიდან სხვა ქვეყნებსა და საქართველოს რეგიონებში, უპირველეს ყოვლისა კი თბილისში.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, პრობლემების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნე, გამოიკვეთა ის დარგები, რომლებსაც განვითარების ძალიან დიდი პერსპექტივა გააჩნიათ ქვემო ქართლის რეგიონში.

პერსპექტიულ დარგებზე საუბრისას, პირველ რიგში უნდა ავღნიშნოთ მრეწველობა, რომელიც ისედაც განვითარებულია სხვა დარგებთან შედარებით, მაგრამ რეგიონს კიდევ უფრო დიდი პოტენციალი გააჩნია მის განსავითარებლად, რადგან რესურსები არაა სათანადოდ ათვისებული. აქ გვხვდება დიდი რაოდენობით სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები, მინერალური ქვები - ბაზალტი და ტუფი, მრავალფეროვანი წიაღისეული, რომელთა ათვისების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ქვემო ქართლის ეკონომიკა და შემცირდება უმუშევრობის მაჩვენებელი.

ქვემო ქართლს ასევე მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია ენერგიის გენერირების კუთხით, ისეთი განახლებადი რესურსების გამოყენებით, როგორიცაა ჰიდროენერგია და ქარისა და მზის ენერგია. მზის ენერგიის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქვემო ქართლის რეგიონი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტერიტორიის თითქმის ნახევარი მიეკუთვნება ზონას, სადაც წლის თბილ პერიოდში (მაისი-ოქტომბერი) იქმნება ოპტიმალური პირობები სხვადასხვა ტიპის ჰელიოდანადგარების (ბრტყელი კოლექტორები, მძლავრი მზის ღუმელები, კოშკის ტიპის მზის სადგურები, გენერატორები) ექსპლუატაციისათვის. ეს ზონა მოიცავს ქ. რუსთავს, მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს.

რეგიონის კლიმატური პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის. მოსავლის მიღება შესაძლებელია წელიწადში 2-3-ჯერ, რაც განაპირობებს ქვემო ქართლის მაღალ კონკურენტუნარიანობას სხვა რეგიონებთან შედარებით. შესაბამისად რეგიონს გააჩნია საკმაოდ დიდი პოტენციალი სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო განვითარებისთვის (თუ მოხდება სარწყავი სისტემების მოწესრიგება და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება). რეგიონის ნიადაგები და კლიმატი იძლევა ისეთი კულტურების განვითარების საშუალებას, რომელთა განვითარება, საქართველოს სხვა მხარეებისთვის (გარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისა), ნაკლებად შესაძლებელია. აქ განსაკუთრებით კარგი პირობებია საადრეო კარტოფილისა და ბოსტნეულის, მარცვლეულის, ხილის, ყურძნის, ბაღჩეულის, მრავალწლიანი ბალახებისა და სხვა კომერციულად საინტერესო პროდუქციის საწარმოებლად. აღსანიშნავია, რომ რეგიონში აღრიცხული არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი. რეგიონში ასევე საკმაოდ კარგი პოტენციალია ფერმერული მეურნეობის და მეცხოველეობის განვითარებისთვის.

ქვემო ქართლს ასევე გააჩნია საკმაოდ დიდი რაოდენობით ისტორიულ-კულტურული ძეგლები და უნიკალური ბუნება, რის ხარჯზეც შესაძლებელია ტურიზმის განვითარება. სამწუხაროდ, არ ხდება რეგიონის პოპულარიზაცია სათანადო დონეზე და არაა შესაბამისი ინფრასტრუქტურა განვითარებული. მაგრამ მოცემული პრობლემის მოგვარების შემთხვევაში, რეგიონში ახალი ინდუსტრია განვითარდება.

საბოლოოდ, მოკლე შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა, რომელიც დღეს არაერთი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას, ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა ამ პრობლემების კომპლექსური კვლევა და შესწავლა. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი კი წარმოადგენს ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ნაშრომს გამოყენების კარგი პერსპექტივა ექნება ქვემო ქართლის რეგიონის კვლევით დაინტერესებული პირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Springer. (2015). Science+Business. Chapter 2. Theories of Economic Development. Media Singapore.
- სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2017 წელი). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. **ბმული:** http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/agceris%20cinascari%20shedegebi_30.04.2015.pdf
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2016 წელი). „მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღ-წერის ძირითადი შედეგები“. თბილისი. გვ. 13-15. **ბმული:** http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf
- სტატისდიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), **ბმული:** http://geostat.ge/
- ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, **ბმული:** http://www.moh.gov.ge/
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, **ბმული:** http://catalog.edu.ge/
- 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა
- ქვემო ქართლის რეგიონული განვიტარების სააგენტო, http://kkrda.ge/
- ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ.

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, **ბმული:** http://www.moe.gov.ge/
- https://ka.wikipedia.org

დანართი.

რუკა N1.

წყარო: რუკა აგებულია პროგრამა გის-ში (გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები) ავტორის მიერ.

რუკა N2.



წყარო: რუკა აგებულია პროგრამა გის-ში (გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები) ავტორის მიერ.

დიაგრამა N1.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წელი.

დიაგრამა N2.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წელი.

ცხრილი N1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ექიმების რიცხოვნობა დაკავებული თანამდებობების მიხედვით, ათასი*	1,2	1,0	1,1	1,3	1,1	1,2	1,3	1,2	1,4
საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა, ათასი*	1,3	0,9	1,2	1,1	0,9	0,9	1,0	0,9	1,0
საავადმყოფოების რიცხვი, ერთეული	25	23	25	16	15	16	20	18	19
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა, ათასი	0,9	0,8	0,8	0,8	0,6	0,7	0,7	0,7	0,8
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა, ერთეული	95	154	180	190	196	200	205	216	209
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების	408,9	384,5	390,0	419,0	462,2	517,9	541,3	510,8	606,4

რიცხვი წლის განმავლობაში (პროფილაქტიკის ჩათვლით), ათასი									

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/2014/Failebi/Angarishebi/2_year-qvemo_qartli.pdf 2017 წლის 21 დეკემბერი.

ცხრილი N2. სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა ქვემო ქართლში

წლები	სკოლების რაოდენობა ეღთეული	მოსწავლეთა რიცხოვნება, კაცი
2008/2009	291	74563
2009/2010	292	74674
2010/2011	279	70369
2011/2012	268	65878
2012/2013	268	65827
2013/2014	269	65772
2014/2015	269	66054
2015/2016	268	66946
2016/2017	266	67450
2017/2018	266	68585

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, http://catalog.edu.ge/index.php?module=school_info&page=region_list 2017 წლის 21 დეკემბერი.

ცხრილი N3. საწარმოთა ბრუნვა ქვემო ქართლის რეგიონში, ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, მლნ. ლარი.

	2010	2011	2012	2013	2014	2015
ქვემო ქართლის რეგიონი	1726,2	2302,4	2506,4	2661,8	2830,1	3347,4
სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	40,3	51,5	68,2	69,1	95,5	122,5
თევზჭერა, მეთევზეობა	0,2	0,2	0,4	0,1	0,3	0,2
სამთომოპოვებითი მრეწველობა	158,4	182,4	124,9	149,4	169,4	308,2
დამამუშავებელი მრეწველობა	964,5	1162,1	1122,2	1209,5	1160,3	1017,7
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	162,6	354,3	370,8	293,7	326,1	511,4
მშენებლობა	45,3	65,3	155,3	112,2	134,3	204,0
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	284,7	398,2	543,3	697,2	785,1	972,4
სასტუმროები და რესტორნები	2,5	6,8	11,3	11,3	16,4	23,0
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	20,1	21,2	28,4	29,2	32,6	60,0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	12,0	27,2	44,3	41,8	47,9	48,0
განათლება	3,3	3,6	4,0	5,8	8,4	4,9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	15,8	14,0	11,3	16,6	18,8	24,3
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	16,5	15,7	22,0	26,2	34,9	50,7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

ცხრილი N4. დასაქმებულთა შრომის საშუალოთვიური ანაზღაურება ქვემო ქართლის რეგიონში, ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, ლარი.

	2010	2011	2012	2013	2014	2015
ქვემო ქართლის რეგიონი	571,5	547,5	663,0	679,6	690,2	779,2
სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	357,2	374,4	541,4	583,7	619,5	844,3
თევზჭერა, მეთევზეობა	423,9	160,8	532,4	381,3	330,4	623,8
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1051,4	1021,8	1140,0	1094,2	1087,2	1361,3
დამამუშავებელი მრეწველობა	742,9	697,6	823,4	838,4	908,5	956,0
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	752,8	929,5	920,4	939,2	1123,7	1146,8
მშენებლობა	606,9	590,5	887,8	903,4	872,4	1017,7
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	206,6	197,4	266,9	287,7	353,2	366,9
სასტუმროები და რესტორნები	114,6	110,8	161,4	211,3	142,2	220,5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	472,7	355,8	419,1	567,3	387,0	640,8
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	260,5	345,6	615,3	603,7	459,6	580,2
განათლება	179,5	271,0	195,4	209,8	244,7	248,8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	271,2	271,2	317,3	344,3	432,3	457,9
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	456,3	440,7	505,4	684,0	677,2	604,5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წლის 15 დეკემბერი.

ცხრილი N5. ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა ქვემო ქართლის რეგიონში

ხორბალი	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	7,2	5,9	8,5	8,1	9,5	6,3	5,3	5,8	4,1
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	6,7	5,6	7,8	8,1	9,5	6,3	5,2	5,3	3,5
წარმოება (ათასი ტონა)	12,4	8,7	9,8	17,3	14,9	10,7	10,0	8,8	6,9
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	1,9	1,6	1,3	2,1	1,6	1,7	1,9	1,6	2,0
ქერი	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	0,4	1,3	0,3	1,0	1,7	0,8	1,8	3,0	2,2
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	0,4	1,3	0,3	1,0	1,6	0,8	1,8	2,8	1,9
წარმოება (ათასი ტონა)	0,6	1,3	0,4	0,8	2,9	1,2	2,4	4,5	2,8
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	1,4	1,0	1,3	0,8	1,8	1,5	1,4	1,6	1,5
სიმინდი	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	8,1	5,7	3,1	10,7	6,1	9,7	7,0	5,3	5,9
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	7,5	5,1	2,8	10,6	6,1	9,4	6,9	5,0	5,8
წარმოება (ათასი ტონა)	17,3	14,6	6,8	32,5	16,5	23,5	19,7	15,7	16,9
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	2,3	2,9	2,5	3,0	2,7	2,5	2,8	3,1	2,9
ლობიო	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	0,9	1,3	2,8	1,5	1,4	1,8	0,9	0,9	0,5
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	0,9	1,3	2,8	1,5	1,2	1,8	0,9	0,9	0,5
წარმოება (ათასი ტონა)	0,9	1,8	1,7	1,3	1,4	1,7	0,9	0,7	0,3
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	0,5	1,2	0,6	0,8	1,3	0,5	0,9	0,8	0,6
კარტოფილი	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	6,3	4,5	4,7	3,4	5,0	7,9	5,7	5,8	4,2
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	6,3	4,5	4,7	3,4	5,0	7,9	5,7	5,7	4,2
წარმოება (ათასი ტონა)	24,9	35,3	63,3	58,4	51,3	91,3	70,6	49,8	44,1
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	4,0	7,8	13,8	17,3	10,2	11,5	12,3	8,2	10,5
ბოსტნეული	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	3,9	4,4	6,9	3,2	6,0	6,1	3,6	3,0	3,8
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	3,8	4,3	6,5	3,1	5,2	6,0	3,5	3,0	3,8
წარმოება (ათასი ტონა)	28,9	66,8	57,7	40,5	58,6	53,8	36,7	38,4	52,8
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	7,5	9,4	8,8	12,9	11,2	8,9	10,3	12,5	13,6
ბაღჩეული	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	0,3	0,2	0,2	0,0	0,1	0,2	0,1	0,1	0,1
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	0,3	0,2	0,2	0,0	0,1	0,2	0,1	0,1	0,1
წარმოება (ათასი ტონა)	4,5	3,7	1,5	1,2	2,8	3,7	3,0	3,8	1,3
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	14,9	18,0	5,8	32,7	21,1	24,5	21,0	30,7	11,5
ერთწლიანი ბალახები	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	0,9	3,4	2,2	3,8	0,4	0,3	0,5	0,6	0,3
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	0,9	3,3	2,2	3,8	0,4	0,3	0,5	0,6	0,3
წარმოება (ათასი ტონა)	4,3	11,1	10,5	17,4	3,9	1,4	2,0	0,8	0,9
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	4,7	3,4	4,7	4,6	9,9	5,0	3,8	1,3	3,3
მრავალწლიანი ბალახები	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**
ნათესი ფართობი (ათასი ჰა)	5,1	6,0	3,2	7,3	5,6	5,3	4,1	5,2	8,1
აღებული ფართობი (ათასი ჰა)	5,0	5,9	2,9	7,3	5,1	5,3	4,1	5,1	7,9
წარმოება (ათასი ტონა)	17,5	15,2	12,1	36,7	20,3	28,0	15,4	32,2	29,7
საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)	3,5	2,6	4,2	5,0	4,0	5,3	3,8	6,3	3,8

წყარო: 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.

შენიშვნა: 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 2016-2017 წლების გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014-2017 წლების მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. შესაბამისად, 2014-2016 წლების მონაცემები შესადარისი არ არის 2008-2013 წლების მონაცემებთან.

ცხრილი N6. ხილის წარმოება ქვემო ქართლის რეგიონში (ათასი ტონა)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ხილის წარმოება, სულ	12,4	7,1	6,0	12,3	7,7	7,4	5,6	6,0	9,5
თესლოვანი ხილის წარმოება	4,2	2,9	1,2	4,2	3,1	1,7	1,3	1,2	2,2
კურკოვანი ხილის წარმოება	4,2	1,5	1,6	1,9	2,1	1,4	1,0	0,8	1,7
კაკლოვანი ხილის წარმოება	...	...	...	...	...	...	...	...	0,9
სუბტროპიკული ხილის წარმოება	3,5	2,3	2,3	5,4	1,9	4,2	2,4	3,0	3,2

წყარო: 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.

შენიშვნა: 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 2016-2017 წლების გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014-2017 წლების მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. შესაბამისად, 2014-2016 წლების მონაცემები შესადარისი არ არის 2008-2013 წლების მონაცემებთან.

ცხრილი N7. პირუტყვისა და ფრინველის სულადობა ქვემო ქართლის რეგიონში, წლის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	186,7	158,1	188,0	167,3	160,0	168,3	137,2	144,3	148,9
ფურისა და ფურკამეჩი	109,0	86,4	106,1	96,8	92,4	93,7	85,5	82,9	79,2
ღორი	4,8	13,3	15,4	10,1	16,3	11,6	21,8	22,0	22,6
დედა ღორი	2,4	3,2	3,5	1,9	6,0	3,5	2,6	3,1	3,7
ცხვრი	206,8	131,8	149,1	123,2	148,6	160,7	187,8	185,2	203,7
დედა ცხავრი	129,7	88,5	99,3	92,1	111,6	114,3	134,3	120,9	154,7
თხა	10,9	10,1	5,9	4,8	5,8	6,5	6,4	5,8	7,9
დედა თხა	7,4	7,0	3,2	3,2	4,1	4,6	4,9	4,1	5,7
ყველა სახის შინაური ფრინველი	1 641,4	1 644,9	1 536,8	1 739,3	1 733,1	1 727,5	1 561,8	3 212,0	3 454,7
ფუტკრის ოჯახები)	10,6	15,6	15,8	21,5	15,4	21,4	13,8	14,9	20,2

ცხრილი N8. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ქვემო ქართლის რეგიონში (ათასი ტონა)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ხორცის წარმოება, სულ	11,5	10,4	7,9	8,5	6,0	7,0	11,9	16,3	21,5
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება	5,9	6,3	3,6	3,1	1,8	3,5	2,5	2,5	2,1
ღორის ხორცის წარმოება	0,3	0,7	1,7	1,9	1,1	0,6	2,6	3,6	3,3
ცხვრისა და თხის ხორცის წარმოება	2,2	1,1	1,0	0,8	0,5	0,9	1,0	1,1	0,7
ფრინველის ხორცის წარმოება	3,0	2,1	1,6	2,5	2,5	1,9	5,7	9,0	15,3
რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)	129,6	80,3	107,9	106,2	113,3	102,8	95,9	98,1	105,2
ფურისა და ფურკამეჩის რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)	127,9	78,7	106,2	104,6	111,6	100,8	93,7	95,8	102,7
ცხვრისა და თხის რძის წარმოება (მლნ. ლიტრი)	1,7	1,6	1,7	1,6	1,7	2,0	2,2	2,3	2,5
კვერცხის წარმოება (მლნ. ცალი)	242,9	226,0	242,2	272,7	244,9	257,4	195,7	226,6	227,2
მატყლის წარმოება (ათასი ტონა)	0,6	0,5	0,4	0,5	0,4	0,3	0,4	0,5	0,5
თაფლის წარმოება (ათასი ტონა)	0,1	0,0	0,2	0,2	0,2	0,2	0,1	0,1	0,1

წყარო: 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი 2017წ.

შენიშვნა: 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 2016-2017 წლების გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014-2017 წლების მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015

წლების მონაცემების გადაანგარიშება. შესაბამისად, 2014-2016წლების მონაცემები შესადარისი არ არის 2008-2013 წლების მონაცემებთან.

ცხრილი N9. მრეწველობის სფეროში არსებული ძირითადი მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ბრუნვა (მლნ. ლარი)	893,8	992,7	1285,5	1698,8	1618,0	1652,5	1655,9	1837,3
პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)	837,2	956,6	1238,9	1590,5	1592,6	1585,0	1576,8	1686,7
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	13303	14070	13694	15326	15162	15598	14675	14741
დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)	13091	13766	13371	15019	14822	15471	14426	14402
საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	746,2	646,9	787,1	767,8	881,4	891,6	960,3	1056,4
შუალედური მოხმარება (მლნ.ლარი)	488,7	615,0	770,0	1072,3	1046,3	1125,1	1098,8	1182,6
შრომითი დანახარჯები (მლნ. ლარი)	117,5	117,0	130,5	139,0	160,7	169,0	168,4	185,1
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	348,3	341,6	468,9	518,1	546,3	459,9	478,0	504,1
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი)	217,8	60,6	231,2	169,5	56,2	124,4	91,6	214,0
საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	503,6	659,8	832,8	1178,9	1203,4	1131,7	1113,8	1317,5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წ.

ცხრილი N.10. მშენებლობის სფეროში არსებული ძირითადი მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ბრუნვა (მლნ. ლარი)	34,0	37,3	45,3	65,3	155,3	112,2	134,3	204,0
პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)	33,4	37,5	45,1	64,8	154,4	112,6	147,1	209,2
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	1558	1741	1497	2653	3494	2825	2844	3300
დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)	1533	1688	1446	2616	3385	2754	2701	3215
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება	458,1	461,9	606,9	590,5	887,8	903,4	872,4	1017,7
შუალედური მოხმარება (მლნ.ლარი)	15,8	20,8	23,9	29,7	103,8	68,0	84,7	145,5
შრომითი დანახარჯები (მლნ. ლარი)	8,4	9,4	10,5	18,5	36,1	30,0	28,3	39,3
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	17,6	16,8	21,2	35,1	50,6	44,6	62,4	63,6
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი)	1,7	1,7	0,9	1,4	5,2	1,9	4,5	5,6
საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	21,8	20,6	23,7	30,1	105,3	69,8	92,7	207,0

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წ.

ცხრილი N11. ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ეკონომიკური მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ბრუნვა (მლნ. ლარი)	19,7	26,8	20,1	21,2	28,4	29,2	32,6	60,0	112,1
პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)	16,6	24,9	19,0	15,9	24,2	23,8	28,2	43,5	51,6
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	644	938	1009	812	1170	912	1064	1146	2135
დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)	609	869	948	795	1112	851	1018	977	1896
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება	446,2	642,6	472,7	355,8	419,1	567,3	387,0	640,8	474,2
შუალედური მოხმარება (მლნ.ლარი)	6,5	11,4	9,8	8,1	8,0	11,1	17,1	23,0	24,2
შრომითი დანახარჯი (მლნ. ლარი)	3,3	6,7	5,4	3,4	5,6	5,8	4,7	7,7	10,8
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	10,1	13,6	9,3	7,8	16,2	12,8	11,1	20,5	27,5
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი)	2,4	6,5	1,5	3,1	1,9	1,3	14,2	3,1	7,5
საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	9,7	14,6	12,3	13,5	11,8	16,5	21,6	46,1	83,0
გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	3,1	3,0	1,6	5,4	4,2	5,6	4,9	17,8	60,7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017 წ.

ცხრილი N12. ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის საწარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ბრუნვა (მლნ. ლარი)	153,6	211,6	284,7	398,2	543,3	697,2	785,1	972,4	1200,4
პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)	19,5	22,4	25,7	45,8	73,8	70,2	106,7	124,0	162,0
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	2892	3221	2959	4688	5588	5525	5917	7507	8398
დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)	1908	2163	2181	3837	4762	4859	4867	5535	5690
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	139,3	210,4	206,6	197,4	266,9	287,7	353,2	366,9	424,1
შუალედური მოხმარება (მლნ.ლარი)	4,3	5,2	6,2	13,3	15,9	16,2	23,9	32,1	51,8
შრომითი დანახარჯი (მლნ. ლარი)	3,2	5,5	5,4	9,1	15,3	16,8	20,6	24,4	29,0
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	15,2	17,3	19,5	32,5	57,9	54,0	82,8	91,9	110,3
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი)	2,1	1,2	1,3	1,7	5,2	2,8	8,4	8,8	8,5
საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	140,6	194,3	271,1	377,4	507,9	661,7	725,8	899,7	1133,9
გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები (მლნ. ლარი)	136,6	189,6	265,6	364,5	492,8	646,6	704,3	871,8	1085,5

წყარო სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://geostat.ge/regions/ ქვემო ქართლი, 2017წ.

ცხრილი N13. 2010 წ. მძიმე ლითონების შემცველობა მდინარე მაშავერას, კაზრეთულას და "RMG"- ის საწარმოს მიმდებარე სხვა წყლებში.

მდინარის სახელწოდება	CU მკ/კგ	Zn მგ/კგ	CD მკ/კგ	Fe მგ/კგ
მდ მაშავერა მდ, კაზრეთლას შეერთებამდე	0.01	0.04	0.004	012
ფაბრიკის დამბის წყალი, მდ კაზრეთულას შეერთებამდე	1,6	3.5	0.2	17.3
დამბისა და მდ. კაზრეთულას შეერთებიდან 50 მ-ში	1.1	324.4	9.8	9.0
სოფ. რატევანთან მდ. მაშავერას წყალი.	1.6	26.6	0.3	18.2
მწყნეთის სარწყავი არხის წყალი	0.3	1.7	0.05	0.6
წოფ. ნახიდურის სარწყავი არხიდან აღებული წყალი	0.04	0.2	0.01	0.4
გაუწმენდავი დამბის წყალი	537.3	5010.0	23.65	

გაწმენდილი დამბის წყალი	**165.3**	**4460.8**	**2.0**	
მდ.კაზრეთლა დამბის წყლის შეერთების შემდეგ	**1.04**	**15.18**	**1.49**	
მდ. მაშავერა მდ. კაზრეთულას შეერთებამდე 500მ-ით ზევით, სოფ ბალიჭის სარჭყავი წყალი	**0.006**	**0.19**	**0.11**	
მდ. მაშავერა მდ. კაზრეთულას შეერთებიდან 100 მეტრში	**0.65**	**6.54**	**0.47**	

წყარო : ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ. გვ.19.

ცხრილი N14. ბოლნისის და დმანისის რაიონების სოფლების ნიადაგებში მძიმე ლითონების პროცენტული მატება ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით 2010-1015 წლებში.

ნახიდურში ნიადაგის ზედაპირზე სპილენძის შემცველობა ნორმას 0,74-ჯერ აღემატება, მანგანუმი 0.433-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.115-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 0,552-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 2.60-ჯერ;
მწყნეთში ნიადაგის ზედაპირზე კადმიუმი მომატებულია ზედა ზღვართან მიმართებით 0.5195-ჯერ, ხოლო სიღრმეში 0.1215-ჯერ;
ფოლადაურში ნიადაგის ზედაპირზე მანგანუმი მომატებულია 0.236-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 2.98-ჯერ, სიღრმეში კი კადმიუმი ზედა ზღვარს 0,19025-ჯერ აღემატება;
ქვემო ბოლნისში ზედაპირზე მანგანუმი აღემატება 0.158-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვარს აღემატება 2.125- ჯერ, სიღრმეში მანგანუმი აღემატება 0.12654-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვარს აღემატება 1.80-ჯერ;
რატევანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია: მანგანუმი 0.06364-ჯერ, თუთია 2.3766-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 2.5683-ჯერ, სიღრმეში კი – სპილენძი 1.21656-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.19-ჯერ;
მუშევანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.0148-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.86-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 0.50426-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 2.00-ჯერ;
აკაურთაში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.652-ჯერ, სიღრმეში – კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.555-ჯერ;
გომარეთში ნიადაგის ზედაპირზე კადმიუმი მომატებულია ზედა ზღვართან მიმართებით 0.477-ჯერ, სიღრმეში კი – ზედა ზღვართან მიმართებით 0.45545-ჯერ;
განთიადში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.189-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.07-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 0.1393-ჯერ,

კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 0.612-ჯერ;
ვარდისუბანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.20126-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.0335-ჯერ, ტყვია 0.0272-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი მომატებულია 0.2688-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.4844-ჯერ, ტყვია 0.1295-ჯერ;
მამიშლოში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.04348-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.222-ჯერ, ტყვია 0.02125-ჯერ, სიღრმეში კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით მომატებულია 1.50-ჯერ, ტყვია 0.1732-ჯერ;
პატარა დმანისში ნიადაგის ზედაპირზე კადმიუმი მომატებულია ქვედა ზღვართან მიმართებით 1.422- ჯერ, ტყვია 0.3125-ჯერ, სიღრმეში კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით მომატებულია 1.394-ჯერ, ტყვია 0.154-ჯერ;
აბულბუქში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 0.38425-ჯერ, მანგანუმი 0.3468-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 2.782-ჯერ, ტყვია 1.0174 -ჯერ, სიღრმეში – სპილენძი 0.4206- ჯერ, მანგანუმი 0.502-ჯერ, თუთია 2.5847-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.2985-ჯერ, ტყვია 2.0271-ჯერ;
ბალიჭის ჭალებში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 0.3949-ჯერ, მანგანუმი 0.24914-ჯერ, თუთია 0.7327-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.9827-ჯერ, ტყვია 2.3653-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.4367-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.278-ჯერ, ტყვია 1.2656-ჯერ;
ტანძიაში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.274-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.226-ჯერ, ტყვია 0.8084-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.1465-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.2995-ჯერ, ტყვია 0.80-ჯერ;
დარბაზში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.10404-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.11-ჯერ, ტყვია 0.99575-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.09692-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.05765-ჯერ, ტყვია 0.929-ჯერ;
ფოცხვერიანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.16-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 2.954-ჯერ, ტყვია 0.9929-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.105-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.227-ჯერ, ტყვია 1.2883-ჯერ;
კაზრეთში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.18862-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.381-ჯერ, ტყვია 1.7128-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.2119-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.36955-ჯერ, ტყვია 1.99-ჯერ;
ბალიჭის შესასვლელთან ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 1.1014-ჯერ, მანგანუმი 0.2372- ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.2292-ჯერ, ტყვია 1.881-ჯერ, სიღრმეში – მანგანუმი 0.0512-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.62-ჯერ, ტყვია 0.4968-ჯერ;
ბალიჭის შუაუბანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია სპილენძი 0.0729-ჯერ, მანგანუმი 0.1668-ჯერ, კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.2748-ჯერ, ტყვია 1.86525-ჯერ, სიღრმეში – კადმიუმი ზედა ზღვართან მიმართებით 0.8035-ჯერ, ტყვია 0.7153-ჯერ;
ბალიჭის ზედაუბანში ნიადაგის ზედაპირზე მომატებულია მანგანუმი 0.32754-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.614-ჯერ, ტყვია 3.3337-ჯერ, სიღრმეში კი – მანგანუმი 0.10958-ჯერ, კადმიუმი ქვედა ზღვართან მიმართებით 1.422-ჯერ, ტყვია 0.7926-ჯერ.

წყარო : ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი სამრეწველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლიტიკის პერსპექტივიდან, 2017წ. გვ.42-43.

ცხრილი N15. გარემოსდაცვითი მაჩვენებლები ქვემო ქართლის რეგიონში

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა (კუბ. მეტრი)	82 715	90 138	89 704	75 668	46 622	46 980	56 817	52 496
ტყის უკანონო ჭრა (კუბ. მეტრი)	481	1 934	525	123	1 608	229	6 636	1 783
ტყის ფონდი (ათასი ჰექტარი)	166,3	166,3	166,3	166,3	169,5	144,0	144,1	144,1
აქედან, ტყით დაფარული (ათასი ჰექტარი)	145,2	145,2	145,2	145,2	152,7	131,0	131,0	131,0
ტყის თესვა და დარგვა (ჰექტარი)	–	–	–	–	–	–	–	0,0
ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობა (ჰექტარი)	–	–	–	–	–	–	–	–
წყლის აღება ბუნებრივი ობიექტებიდან (მლნ. კუბ. მეტრი)								1 327,8
წყლის გამოყენება (მლნ. კუბ. მეტრი)								1 555,5
ჩამდინარე წყლის ჩაშვება ზედაპირულ წყალსატევებში (მლნ. კუბ. მეტრი)								961,6
სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი	24,7	155,5	355,0	344,8	393,8	388,8	471,8	338,3
მათ შორის:								
დაჭერილი და გაუვნებელყოფილი (ათასი ტონა)	19,7	151,3	349,0	335,4	383,0	375,4	457,6	328,3
ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული (ათასი ტონა)	5,0	4,2	6,0	9,4	10,8	13,4	14,2	10,0

წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, http://www.moe.gov.ge/ka/home 2017წ.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

David Gaprindashvili

Geographic aspects of exploitation resource potential and socio-economic development of kvemo kartli region

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **Nino Pavliashvili**

Associate Professor, Doctor of Philosophy (PhD) in Geography

Tbilisi 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა: სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

იოსებ ჩიტიშვილი

იმპლემენტაციის პრობლემა საქართველოს გარემოსდაცვით პოლიტიკაში

ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნანა მაჭარაშვილი

თსუ - ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას შეისწავლოს საქართველოს გარემოსდაცვით სფეროში პოლიტიკის იმპლემენტაციის პრობლემა. კერძოდ, ხაზი გაუსვას იმ ხარვეზებსა და პრობლემებს, რომლებიც სახელმწიფოს წარმოექმნება სამთომოპოვებითი სექტორის რეგულირებისას, რომელიც ქვეყანაში არსებული ერთ - ერთი მსხვილი დამბინძურებელია და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს როგორც გარემოს დეგრადაციაზე, ისე ადამიანების ჯანმრთელობაზე.

კვლევის ობიექტებად აღებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კერძოდ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და მსხვილი კომპანიები, რომლებიც საქართველოს სამთომოპოვებით სფეროში საქმიანობენ.

კვლევაში გამოყოფილია შემდეგი ცვლადები: დამოუკიდებელი ცვლადებია ეკონომიკური ინტერესები და სოციოეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო დამოკიდებული ცვლადია გარემოსდაცვითი პოლიტიკის იმპლემენტაცია. დოკუმენტების ანალიზთან ერთად მოხდა, კონკრეტული შემთხვევების შესწავლა და ჩატარდა ინტერვიუები, როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო სექტორში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ინტერესები, სოციოეკონომიკური მდგომარეობა, კანონის აღსრულება, პოლიტიკის იმპლემენტაცია.

Abstract

The study is an attempt to examine policy implementation issue in Georgian environmental sector. Namely, to underline the shortcomings and problems that the state faces and which is the one of the main polluters and has an important impact on the environment and health of the population.

Research objects are The Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, namely, the Department of Environmental Oversight and the big companies, which act in the mining sector of Georgia.

Following variables in the research are: economic interests and socioeconomic conditions as an independent and the implementation of the environmental policy as a dependent one. Specific cases were explored with the document analysis and interviews were conducted in the public sector, as well in the non - governmental one.

Key words: economic interests, socioeconomic conditions, execution of the law, policy implementation.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I 7

კვლევის დიზაინი 7

1.1 კვლევის საგანი და საკითხის აქტუალობა 7

1.2 კვლევის მიზნები და ამოცანები 9

1.3 კვლევის კითხვები და ჰიპოთეზები 10

1.4 ცვლადები და ინდიკატორები 11

1.5 მეთოდოლოგია 12

1.6 თეორიული ჩარჩო 13

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა 15

Top-down მიდგომა 17

Bottom-up მიდგომა 21

იმპლემენტაციის პრობლემები ჩინეთის გარემოსდაცვით პოლიტიკაში 24

თავი III. კვლევის შედეგები 26

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 26

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 27

გარემოს ეროვნული სააგენტო 29

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და რეფორმები 30

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017) 31

კანონპროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ 34

სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და პრობლემები 35

ბოლნისი 36

ჭიათურა 39

დასკვნა 42

გამოყენებული ლიტერატურა: 44

შესავალი

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სფეროს მკვლევარებს შორის პოლიტიკის იმპლემენტაციის საკითხი XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული არ კარგავს აქტუალურობას. იმპლემენტაციის კვლევის ფუძემდებლებად მიჩნეული ამერიკელი მეცნიერების არონ ვილდავსკისა და ჯეფრი პრესმენის განმარტებით, იმპლემენტაციის პროცესი გულისხმობს ურთიერთქმედებას პოლიტიკური პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და ამ მიზნების მისაღწევად განხორციელებულ მოქმედებებს შორის (Paudel N. 2009). ავტორების კვლევის მთავარი საგანი იყო XX საუკუნის 60-70-იან წლებში აშშ-ის ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკური პროგრამები, რომლებმაც სრული კრახი განიცადეს და ამ პროგრამების წარუმატებლად დასრულების მიზეზები. ისინი მთავარ პრობლემას ხედავდნენ არა პოლიტიკის ფორმულირებაში, არამედ მისი განხორციელების პროცესში.

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით აშკარაა ეკოლოგიური პრობლემების არსებობა. ხშირად, შეუიარაღებელი თვალითაც შესაძლებელია ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შემჩნევა. გარემოსდაცვითი პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია სამრეწველო დაბინძურება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა გარემოსდაცვით საკითხებს, სამრეწველო სექტორი ხასიათდებოდა რეგულირებისა და აღსრულების დაბალი ხარისხით, რამაც დღეს არსებულ მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა რიგ შემთხვევებში თანხვედრაშია ევროკავშირში არსებულ სტანდარტებთან (სადაც ეკოლოგიური პრობლემები ნაკლებად მწვავე ხასიათს ატარებს) საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ არსებული მდგომარეობა დიდწილად განპირობებულია ქვეყანაში არსებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის იმპლემენტაციის დაბალი ხარისხით.

ნაშრომი ეხება გარემოსდაცვით სფეროში არსებული სამრეწველო დაბინძურებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემების, ამ პრობლემებზე სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯებისა და პრობლემების მოგვარების გზაზე წარმოშობილი

ხელისშემშლელი ფაქტორების კვლევას. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას რა ტიპის დაბრკოლებებს აწყდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (რომელიც მთავარი სახელმწიფო უწყებაა გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების სფეროში) არსებული გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულებისა და პროგრამების იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

თავი I

კვლევის დიზაინი

1.1 კვლევის საგანი და საკითხის აქტუალობა

საქართველოს გარემოსდაცვით სფეროში პოლიტიკის იმპლემენტაციის პრობლემა სიახლეს არ წარმოადგენს. პირველ რიგში იგი უკავშირდება არსებული საკანონმდებლო ნორმების უგულვებელყოფას რეგულირების ობიექტების მხრიდან. მრავალი ფაქტი არსებობს, როდესაც დიდი კომპანიების („ჯორჯიან მანგანეზი," RMG Gold) მიერ ჩადენილ უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული საპასუხო ქმედებები ვერ უზრუნველყოფს უკანონო საქმიანობის შეწყვეტას. მათი დაჯარიმება კი ხელს ვერ უწყობს მდგომარეობის არსებით გამოსწორებას.

დღევანდელი მდგომარეობით, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) კონკრეტული საქმიანობისთვის და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, როგორც მშენებლობის ნებართვის ნაწილი, საქართველოში წარმოადგენს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების ძირითად ინსტრუმენტს. უფრო მცირე დამბინძურებლები რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტით. გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შეფასება არ ხორციელდება რომელიმე სტრატეგიულ დოკუმენტთან (პოლიტიკა, გეგმა, პროგრამა) დაკავშირებით, რაც ზღუდავს გააზრებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას სტრატეგიისა და გეგმების შემუშავების ადრეულ ეტაპზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული „ასოცირების შეთანხმებით" საქართველომ მნიშვნელოვანი ვალდებულებები აიღო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით და გარკვეული პროგრესი ამ მიმართულებით შესამჩნევია (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, ნარჩენების მართვის კოდექსი), მაინც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მიღებული კანონების

ყოველდღიურ პოლიტიკაში ეფექტიანი განხორციელება შესაბამისი კომპეტენტური უწყებების მიერ.

თანამედროვე მსოფლიოში გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარების პრინციპებით ხელმძღვანელობა ერთ - ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს, ეს საკითხი საქართველოშიც აქტიურად დგას დღის წესრიგში, რადგან გარემოსდაცვითი სტანდარტების ამაღლების გარეშე, რთული წარმოსადგენია ჩვენი ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, აუცილებელია გარემოზე ზრუნვა ქვეყნის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს.

საქართველოში დღითიდღე აქტუალური ხდება ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების საკითხები. სიახლეს არც ის წარმოადგენს, რომ გარემოს დაბინძურება სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეინიშნება ჭიათურაში, ბოლნისსა და ზესტაფონში, რომლებიც სამრეწველო ქალაქებს წარმოადგენენ (ჯიჯავაძე თ. 2015). არსებული პრობლემების გადაჭრაში კი გადამწყვეტი როლი ეკისრება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის გარემოსდაცვით პოლიტიკასა და ვალდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს არსებობა.

ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, საინტერესოა ვიკვლიოთ თუ რამდენად ართმევს თავს სამინისტრო ქვეყნის წინაშე ეკოლოგიური თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს და რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს, რომელიც აბრკოლებს მას გაზარდოს მუშაობის ეფექტიანობის ხარისხი და სათანადოდ გაართვას თავი საკუთარ ფუნქციებსა და მოვალეობებს, რომელიც მას ქვეყნის კანონმდებლობით აკისრია.

1.2 კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია დადგენა იმისა, თუ რამდენად დიდია ეკონომიკური ინტერესებისა და სოციოეკონომიკური მდგომარეობის როლი გარემოსდაცვითი პოლიტიკის იმპლემენტაციის ხარისხზე. შესაძლებელია თუ არა, რომ სწორედ ეკონომიკური ინტერესებისა და ეკონომიკური მოგების მიღების მიზნით ხდებოდეს გარემოსდაცვითი საკითხების უკანა პლანზე გადაწევა. როგორი პოზიცია უკავია სახელმწიფოს მაშინ როდესაც საქმე კერძო სექტორის ინტერესებს ეხება და რამდენად დიდია აღნიშნული სექტორის გავლენა სახელმწიფო გარემოსდაცვით პოლიტიკაზე.

კვლევის ამოცანებია

- კონკრეტული შემთხვევების შესწავლა, რათა გავარკვიოთ რა მექანიზმები გამოიყენება სამინისტროს მხრიდან კანონდარღვევის პრევენციის მიზნით.
- იმ ქეისების გაანალიზება, როდესაც სამინისტროს წარმოექმნა დაბრკოლება ჩადენილ კანონდარღვევაზე (გარემოსათვის მიყენებული ზიანი) მიეღო შესაბამისი ზომები და იმავე ტიპის დანაშაულის მომავალში გამეორების რისკები შეემცირებინა.
- კომპანიების მხრიდან გადადგმული საპასუხო ნაბიჯების გაანალიზება სახელმწიფოს მხრიდან კანონის აღსრულების პროცესში

1.3 კვლევის კითხვები და ჰიპოთეზები

კვლევაში დასმული საკითხის შესაბამისად, კითხვა შესაძლოა ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

- რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს პოლიტიკის იმპლემენტაციისათვის საქართველოს გარემოსდაცვით პოლიტიკაში?
- რამდენად უშლის ხელს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციოეკონომიკური ფონი გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას?

საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე ვაყალიბებთ შემდეგ ჰიპოთეზებს:

ჰიპოთეზა - ეკონომიკური ინტერესები და მძიმე სოციალური მდგომარეობა გარემოსდაცვითი პოლიტიკის იმპლემენტაციის უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორებია

1.4 ცვლადები და ინდიკატორები

დამოუკიდებელი ცვლადები

ეკონომიკური ინტერესები - სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ინტერესი, სარგებელი მიიღონ ბუნებრივი რესურსების ათვისებით.

სოციოეკონომიკური მდგომარეობა - იგულისხმება ქვეყნის რეგიონებში არსებული მძიმე სოციოეკონომიკური ფონი

დამოკიდებული ცვლადი

პოლიტიკის იმპლემენტაცია - პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება

შეფასების ინდიკატორი

არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა, მისი გაუმჯობესებისათვის სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები და ეროვნული კანონმდებლობის აღსრულება ყოველდღიურ საქმიანობაში.

1.5 მეთოდოლოგია

კვლევის პერიოდში გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში და არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივაში," რომელიც წლების საქართველოს სამთო - მოპოვებითი სფეროს პრობლემებზე მუშაობს. ინტერვიუებმა საშუალება მომცა საკითხი სხვადასხვა პერსპექტივიდან დამენახა და შესაძლებლობების ფარგლებში, კვლევაში ცდომილების ხარისხი შემემცირებინა. რესპონდენტების მოძიებისათვის გამოვიყენე, როგორც პირადი კონტაქტები, ისე ე.წ. „თოვლის გუნდის“ პრინციპი, როდესაც ინტერვიუს ჩატარების შემდეგ რესპონდენტის რჩევით ვუკავშირდებოდი კომპეტენტურ პირს, რომელიც ჩემთვის საინტერესო საკითხებზე მომაწვდიდა დამატებით ინფორმაციას.

ამას გარდა, კვლევაში გამოყენებული მაქვს დოკუმენტების ანალიზი, რაც გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობისა და გარემოსდაცვით პრობლემებზე ადგილობრივი თუ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩატარებული კვლევების შესწავლას, იმისათვის რათა მომხდარიყო ჩემთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით არსებული ექსპერტული ცოდნის ანალიზი და უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო ის ბარიერები, რომლებიც გარემოს დაცვის სამინისტროში პოლიტიკის იმპლემენტაციის კუთხით არსებობს.

საკვლევ ობიექტებს წარმოადგენენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის უშუალო მონიტორინგს ახორციელებს, რათა იგი წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ქვეყნის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან და მსხვილი სამთო - მომპოვებელი კომპანიები.

1.6 თეორიული ჩარჩო

ამერიკელი მეცნიერების პოლ საბატიესა და დენიელ მაზმანიანის მიხედვით, ერთ - ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმპლემენტაციის პროცესის წარმატება - წარუმატებლობაზე არის არსებული სოციო - ეკონომიკური ფაქტორები იმ პირობებში, სადაც კონკრეტული პოლიტიკა უნდა განხორციელდეს (Sabatier P. 1986).

საბატიე სოციო - ეკონომიკურ ფაქტორებს მიაკუთვნებს ისეთი ფაქტორების რიცხვს, რომელიც პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესში პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოსა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისაგან დამოუკიდებლად არსებული მოცემულობაა. მიუხედავად იმისა, რომ საბატიესა და მაზმანიანთან დიდი როლი ენიჭება თავად პოლიტიკის შემქმნელების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს პოლიტიკური პროგრამის განხორციელებაში, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ მათგან დამოუკიდებელ ფაქტორებს, არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ ფონს, ამ მიმართულებით არსებულ, ხშირად, მოულოდნელ ცვლილებებს, რომლებმაც შესაძლოა სრულიად შეცვალონ პოლიტიკური პროცესი და აბსოლუტურად სხვა მიმართულებით წაიყვანონ ის. საბატიეს თქმით, სწორედ სოციოეკონომიკური ფონი არის პოლიტიკის განმახორციელებელთა ქცევის ერთ - ერთი მთავარი განმსაზღვრელი (Sabatier P. 1986). აქ იგულისხმება, არსებული კეთილდღეობის დონის მიხედვით საზოგადოებაში ჩამოყალიბებული განწყობები, დამოკიდებულებები და მოლოდინები პოლიტიკური პროცესისა და მისი განმახორციელებლების მოქმედებების მიმართ. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი გავლენის მქონეა "პოლიტიკის კეთების" პროცესში. პოლიტიკის განმახორციელებლები იძულებული არიან გაითვალისწინონ საზოგადოებაში არსებული განწყობები და მოლოდინები და ორიენტირებული არიან მათ მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ, საზოგადოების მინიმალური რაოდენობის განაწყენება გამოიწვიოს. ამიტომ ხშირად უწევთ დათმობებზე წასვლა და

თავდაპირველად დაგეგმილი და განსახორციელებელი პოლიტიკის კორექტირება და მორგება არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ კონდიციებზე. ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მდგომარეობას, თუ როგორ არის საზოგადოებაში არსებული რესურსები გადანაწილებული. ანუ, ვის ხელშია ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სამთავრობო გადაწყვეტილებებზე, პოლიტიკის ფორმირებასა და მისი განხორციელების პროცესში გავლენის მოხდენა.

მაგალითისათვის, პოლ საბატიეს მოჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებაში გაზრდილი ინტერესი და პროტესტი XX საუკუნის 60 - იან წლებში მიმდინარე ეკოლოგიური დეგრადაციის მიმართ, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 1970 წელს "სუფთა ჰაერის აქტის" მიღებაში (Sabatier P. 1988). საპირისპიროდ, 1973-1974 წლებში მიმდინარე არაბული ნავთობის ბოიკოტმა ავტო - ინდუსტრიაში დასაქმებულებს, რომლებიც მანამდე თავადვე უჭერდნენ მხარს ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართულ პროგრამებს, უბიძგა მოეთხოვათ ავტომობილებიდან მომდინარე ჰაერის დაბინძურებისათვის არსებული მაღალი გადასახადების შემცირება.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

პოლიტიკის იმპლემენტაციის საკითხი საჯარო პოლიტიკის მკვლევარებს შორის მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან გახდა პოპულარული კვლევის საგანი. პირველი მნიშვნელოვანი და გახმაურებული ნაშრომი პოლიტიკის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით იყო ამერიკელი მეცნიერების არონ ვილდავსკისა და ჯეფრი პრესმენის 1973 წელს გამოცემული „იმპლემენტაცია“ (Graham A. 2005). ვილდავსკისა და პრესმენის მიზანი იყო შეეჯამებინათ იმპლემენტაციის საკითხი და კონკრეტული მაგალითების შესწავლის გზით შეექმნათ იმპლემენტაციის თეორია. ისინი იმპლემენტაციას განმარტავენ, როგორც ურთიერთქმედების პროცესს კონკრეტული პოლიტიკური პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და მიზნების მისაღწევად განხორციელებულ ქმედებებს შორის (Paudel N. 2009).

ამ პერიოდში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდებოდა მთავრობის ჩარევის საკითხი სოციალურ პრობლემებზე საპასუხოდ და ასევე აშკარა იყო, რომ ხშირად ასეთი ინტერვენციები არ იყო ეფექტიანი და წარუმატებლად სრულდებოდა. ამ მდგომარეობას კარგად გამოხატავს ვილდავსკისა და პრესმენის ნაშრომის სათაური - „როგორ იმსხვრევა ოუკლენდში, ვაშინგტონში არსებული დიდი მოლოდინები (Hill M. Hupe P. 2002). ამ ფრაზით წარმოჩენილია აშშ-ის ხელისუფლების წარუმატებელი ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ, ე.წ. „დიდი საზოგადოების“ პროგრამების ჩავარდნა და რიგითი ამერიკელების იმედგაცრუება.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პერიოდის კვლევები იმპლემენტაციის პროცესის შესახებ ორიენტირებული იყო მოეხდინათ იმპლემენტაციის როგორც დამაბრკოლებელი, ისე ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიკაცია. ამ კვლევების მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენას ახდენს ორგანიზაციის ზომა, შიდა

ურთიერთობები, ერთგულება, შესაძლებლობები და ინსტიტუციური ბარიერები იმპლემენტაციის პროცესზე.

მართალია, „პირველი თაობის“ კვლევებმა იმპლემენტაციის შესახებ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და საფუძველი დაუდო აღნიშნული საკითხის კვლევას, მაგრამ ისინი უფრო მეტად წარმოადგენდა კონკრეტული მაგალითების შესწავლას და ნაკლებად ხდებოდა მათი განზოგადება სხვა შემთხვევებზეც. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის კვლევების შედეგების დიდ თეორიებად გარდაქმნა არ ხდებოდა.

იმპლემენტაციის შესწავლის პირველივე წლებში მკვლევარების აზრები ორ ძირითად მიმართულებად გაიყო. მეცნიერთა ერთი ნაწილი იმპლემენტაციას აღიქვამდა როგორც Top-down პროცესს, ხოლო მეორე ნაწილი მას განიხილავდა Bottom-up პროცესად (Hill M. Hupe P. 2002). მაშინ როდესაც მეცნიერებს შორის უთანხმოება დიდწილად განპირობებული იყო კითხვით, თუ როგორ განვაცალკევოთ იმპლემენტაციის პროცესი პოლიტიკის ფორმირების პროცესისაგან, ეს კითხვა მაინც შეადგენდა უფრო ფართო პრობლემის ნაწილს. კერძოდ, როგორ მოეხდინათ ამ ძალიან კომპლექსური პროცესის მახასიათებლების იდენტიფიცირება, პროცესის, რომელიც მოიცავდა უამრავ აქტორს. ზოგიერთი ავტორი ცდილობდა მაქსიმალურად შეემცირებინა იმ ცვლადების რაოდენობა, რომელთაც ყურადღებას მიაქცევდა პროცესის კვლევისას. საპირისპიროდ, ავტორების მეორე ჯგუფი ცდილობდა ისეთი მოდელების შემუშავებას, რომელიც მოახდენდა ცვლადების მაქსიმალური რაოდენობის იდენტიფიცირებასა და გამოყენებას კვლევის პროცესში. ორივე მიდგომის პრაქტიკაში გამოყენების შედეგად წარმოშობილმა სირთულეებმა წარმოშვა კიდევ ერთი ალტერნატიული ხედვა, რომლის მიხედვითაც სისტემატიზაცია და განზოგადება შეუძლებელია და ერთადერთი სწორი გზა იმპლემენტაციის პროცესის შესასწავლად არის კონკრეტული პროგრამების განხორციელების ხარისხის კვლევა.

ზემოთხსენებულის გათვალისწინებით მაიკლ ჰილი და პიტერ ჰიუპი სვამენ კითხვას: არსებობს თუ არა გარკვეული პირობები, რომელთან მიმართებითაც იმპლემენტაციის შესწავლის სპეციფიური მიდგომები იქნება გამოყენებადი (Hill M. Hupe P. 2002). ისინი

გამოყოფენ ორ საკითხს, რომლებიც აქტუალურობას არ კარგავს იმპლემენტაციის კვლევისას:

- პრობლემების სახესხვაობები
- ინსტიტუციებს შორის არსებული სახესხვაობები, რომელიც მოიცავს კითხვებს იმის თაობაზე, თუ რამდენად შეიძლება კვლევის შედეგების განზოგადება კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტის გარეთ

Top-down მიდგომა

Top-down მიდგომისთვის მთავარი ამოსავალია სახელისუფლებო გადაწყვეტილება. იმპლემენტაციის პროცესი, პირველ რიგში, მოიცავს სახელმწიფო ცენტრალურ დონეზე მყოფ აქტორებს - პოლიტიკოსებს, მაღალ თანამდებობებზე მყოფ ბიუროკრატებსა და სხვა საჯარო მოხელეებს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან პასუხისმგებლები უზრუნველყონ სასურველი შედეგების მიღება (Matland R. 1995).

იმპლემენტაციის კვლევის „დამფუძნებელი მამები“ ვილდავსკი და პრესმენი აღნიშნული მიდგომის წარმომადგენლები არიან (Hill M. Hupe P. 2002). ავტორებისათვის იმპლემენტაცია, პირველ რიგში, დაკავშირებულია ოფიციალურ დოკუმენტებში გაწერილ პოლიტიკურ პროგრამებთან. მათი კვლევა ეხებოდა აშშ-ის ფედერალურ დასაქმების პროგრამას ოკლენდში (კალიფორნია) და კვლევის მთავარი საგანი იყო ის როლი, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დეპარტამენტებს შორის კავშირებს აკისრია იმპლემენტაციის წარმატებით განხორციელების პროცესში. ისინი ამტკიცებენ, რომ თუ კონკრეტული ქმედება იმპლემენტაციის პროცესში დამოკიდებულია კავშირების გარკვეულ რაოდენობაზე, მაშინ სხვადასხვა სააგენტოებს შორის თანამშრომლობის ხარისხი მოითხოვს ეს კავშირები იყოს უმაღლეს დონეზე გამართული, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა კავშირებში არსებული მცირე ხარვეზები, მთლიანობაში იწვევს დიდ ჩავარდნას. აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ პესიმისტურ სურათს ხატავს პოლიტიკური პროგრამების იმპლემენტაციის პროცესთან

დაკავშირებით. ეს მოსაზრება გულისხმობს, რომ მიზნის მიღწევა რთულდება, როდესაც იმპლემენტაციის პროცესში ჩართულია აქტორთა დიდი რაოდენობა.

ბოუენის მიხედვით, ვილდავსკისა და პრესმენის აღნიშნული მოსაზრება ყურადღების მიღმა ტოვებს აქტორებს შორის ურთიერთქმედების ინტენსიურობის ხარისხს, თითქოს იმპლემენტაციის პროცესში ჩართულ მხარეებს შორის ურთიერთობა და თანამშრომლობა ერთჯერად ხასიათს ატარებდეს (Hill M. Hupe P. 2002) . მისი თქმით, მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთქმედება განმეორებადი პროცესია და არ არის ერთჯერადი.

პრესმენისა და ვილდავკისგან განსხვავებით 1975 წელს იმპლემენტაციის პროცესის კვლევის უფრო განზოგადებული მიდგომა შემოგვთავაზეს ამერიკელმა მეცნიერებმა დონალდ ვან მეტერმა და კარლ ვან ჰორნმა (Hill M. Hupe P. 2002). მათ მიერ წინამორბედების კრიტიკის საგანიც სწორედ თეორიული პერსპექტივის არარსებობას უკავშირდებოდა. ვან მეტერსა და ვან ჰორნს მიაჩნდათ, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური პროგრამების კლასიფიცირება, რათა კარგად წარმოეჩინათ იმპლემენტაციასთან დაკავშირებული სირთულეები. ავტორების მიხედვით, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სასურველი ცვლილების მასშტაბი და თანხმობის დონე. მათი დაკვირვების შედეგად, იმპლემენტაცია ყველაზე წარმატებული არის მაშინ, როდესაც მოითხოვს მინიმალურ ცვლილებებს და მიზანთან მიმართებით არსებული თანხმობის ხარისხი არის მაღალი. იმპლემენტაციის კვლევის პროცესში ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კვლევის ხანგრძლივობას. მათი მთავარი არგუმენტი ამ შემთხვევაში არის მოსაზრება, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში იდენტიფიცირებული ურთიერთობები ავტომატურად არ უნდა გავრცელდეს სხვა პერიოდებზეც, რადგან დროსთან ერთად კონტექსტიც ცვალებადია.

ვან მეტერმა და ვან ჰორნმა განსაზღვრეს 6 ცვლადი, რომლებიც გავლენას ახდენენ იმპლემენტაციის შედეგებზე (Fallah M. 2012).

- განსახორციელებელი პოლიტიკის სტანდარტები და ამოცანები, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონკრეტული მექანიზმების არსებობა იმპლემენტაციის შედეგების შესაფასებლად
- ხელმისაწვდომი რესურსები და ინიციატივები
- ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების ხარისხი
- პოლიტიკის უშუალოდ განმახორციელებელი ორგანოს მახასიათებლები (ორგანიზაციული კონტროლი; ფორმალური და არაფორმალური კავშირები პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოსთან)
- ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარემო
- პოლიტიკის უშუალოდ განმახორციელებლების დამოკიდებულება და განწყობები (რამდენად იაზრებენ განსახორციელებელი პოლიტიკის არსს, როგორ არიან მის მიმართ განწყობილნი და რამდენად ძლიერია ეს განწყობები)

ავტორები, რომლებმაც იმპლემენტაციის კვლევის Top-down მოდელის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, არიან პოლ საბატიე და დენიელ მაზმანიანი (Hill M. Hupe P. 2002). ვან მეტერისა და ვან ჰორნის მსგავსად, იმპლემენტაციის შესწავლის საწყისი წერტილი მათთვისაც უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას უკავშირდება. ისინი სვამენ შემდეგი ტიპის კითხვებს:

- რამდენად მოდის შესაბამისობაში პოლიტიკის უშუალოდ განმახორციელებლებისა და სამიზნე ჯგუფების მოქმედებები განსახორციელებელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან ?
- რამდენად შეესაბამება მიღებული შედეგები განსაზღვრულ ამოცანებს ?
- რომელი ძირითადი ფაქტორები ახდენს გავლენას პოლიტიკის განხორციელებით მიღებულ შედეგზე ?
- რამდენად მოხდა განსახორციელებელი პოლიტიკის ხელახალი ფორმულირება დროის განმავლობაში ?

საბატიესა და მაზმანიანის მიხედვით, იმპლემენტაციის შესწავლის მთავარი არსი მდგომარეობს იმ ცვლადების იდენტიფიცირებაში, რომლებიც გავლენას ახდენენ

განსახორციელებელი პოლიტიკის მიზნების მიღწევაზე (Elson P. 2006). ისინი გამოყოფენ სამი ტიპის ცვლადს - მატერიალურს, სტრუქტურულსა და შინაარსობრივს.

მატერიალურ ცვლადები

- ტექნიკური სირთულეები
- სამიზნე ჯგუფების ქცევის ნაირგვარობა
- სამიზნე ჯგუფების პროცენტული წილი მოსახლეობაში
- ქცევის ცვლილების მოთხოვნილი დონე

სტრუქტურული ცვლადები

- ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები
- სწორი თეორიის მისადაგება არსებულ კონტექსტთან
- იერარქიული ინტეგრაცია პოლიტიკის განმახორციელებელ ინსტიტუტებში და ამ ინსტიტუტებს შორის
- გადაწყვეტილების მიღების წესები პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოებში
- პოლიტიკის განმახორციელებელი ოფიციალური პირების რეკრუტირება
- ფინანსური რესურსის საწყისი განაწილება
- სხვა დაინტერესებული პირების ფორმალური ჩართულობა

შინაარსობრივი ცვლადები

- სოციოეკონომიკური მდგომარეობა
- საჯარო მხარდაჭერა
- ამომრჩეველთა ჯგუფების განწყობები და რესურსები
- მხარდაჭერა კანონმდებლებისაგან
- პოლიტიკის განმახორციელებელი ოფიციალური პირების ერთგულება საქმისადმი და ლიდერული თვისებები

Bottom-up მიდგომა

იმპლემენტაციის კვლევის Bottom-up მიდგომის ამოსავალი წერტილია სამიზნე ჯგუფები და სერვისის მიმწოდებლები, ანუ ისინი, ვინც უშუალოდ არიან პასუხისმგებლები ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის ყოველდღიურ რეჟიმში განხორციელებაზე. მეცნიერები, რომლებიც Bottom-up მიდგომის წარმომადგენლებად ითვლებიან, ამტკიცებენ, რომ თუ ადგილობრივი ბიუროკრატები არ ფლობენ ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად მოქმედების თავისუფლებას, მაშინ განსახორციელებელი პოლიტიკის ჩავარდნის შანსი დიდია (Top-down and bottom-up approaches within implementation, 2013). შესაბამისად, მიზნები, სტრატეგიები და დაგეგმილი ღონისძიებები მაქსიმალური სიფრთხილით უნდა იყოს მორგებული საზოგადოების იმ ჯგუფებზე, რომლებზეც განსახორციელებელი პოლიტიკა ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს. ჰიერნის მტკიცებით, ცენტრალურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების ადგილობრივ კონტექსტზე ცუდად მორგება იწვევს პროგრამის ჩავარდნას და პროგრამის წარმატება დამოკიდებულია ადგილობრივი მოხელის უნარზე, მიღებული გადაწყვეტილება მოარგოს ადგილობრივ კონტექსტსა და პირობებს (Top-down and bottom-up approaches within implementation, 2013).

მაიკლ ლიპსკის „ქუჩის დონის ბიუროკრატების“ ქცევების ანალიზმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია იმპლემენტაციის პროცესის შესწავლაზე. იგი „ქუჩის დონის ბიუროკრატებს“ უწოდებს იმ მოხელეებს, რომლებიც საქმიანობენ პოლიტიკის უშუალოდ განმახორციელებელ და სერვისის მიმწოდებელ სააგენტოებში და უშუალო რეგულარული კონტაქტი აქვთ მოსახლეობასთან. მაიკლ ლიპსკი Bottom-up მიდგომის ფუძემდებლადაა მიჩნეული (Hill M. Hupe P. 2002).

ლიპსკის მიხედვით, „ქუჩის დონის ბიუროკრატების“ გადაწყვეტილებები, რუტინა, რომელსაც ისინი აყალიბებენ, და საშუალებები, რომელსაც მიმართავენ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს და სამუშაო წნეხზე საპასუხოდ, გარდაიქმნება მათ მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკად. ლიპსკი დასძენს, რომ ყოველდღიური რუტინა, რომელშიც ჩართულია „ქუჩის დონის ბიუროკრატია“ განსხვავდება იმ მოლოდინებისა და იდეალებისაგან, რომლებიც მათ თავდაპირველად

გააჩნიათ. ამ ტიპის სამსახურის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ დასაქმებულებს საშუალება არ ეძლევათ განახორციელონ თავიანთი საქმიანობა იმგვარად, როგორც ეს მათ წარმოედგინათ. დიდი რაოდენობის საქმე, შეუსაბამო რესურსები და კლიენტების რთულად პროგნოზირებადი ხასიათი, უარყოფით ზეგავლენას ახდენს მათი მუშაობის ეფექტიანობაზე (Hill M. Hupe P. 2002). ასეთ პირობებში მომუშავე საჯარო მოხელეები თავად აღიქვამენ თავებს ჩაგრულებად არსებული ბიუროკრატიული წესრიგის მიერ.

Bottom-up მიდგომის განვითარებაში ლიპსკის უდიდეს როლზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მისი აქცენტები ქუჩის დონის ბიუროკრატიის გადამწყვეტ როლზე აქტიურად გამოიყენება სხვა მკვლევარების მიერ იმ მეთოდოლოგიური სტრატეგიების გასამართლებლად, რომლებიც ფოკუსს აკეთებენ მათ მიერ გაწეულ სამუშაოზე და არა ზედა ეშელონებიდან წამოსულ ინიციატივებსა და რესურსებზე. მისთვის პოლიტიკის იმპლემენტაცია დაკავშირებულია სწორედ „ქუჩის დონის ბიუროკრატიასთან," რომლებსაც გააჩნიათ მოქმედების გარკვეული თავისუფლება, თუმცა საკმაოდ მკაცრი ზეწოლისა და წნეხის პირობებში უწევთ საქმიანობა. შედეგად, მათი მკაცრად კონტროლის მცდელობები ამ საჯარო მოხელეებს უბიძგებს უგულებელყონ კლიენტთა ინტერესები. ამიტომ, აუცილებელია განსხვავებული მიდგომების გამოყენება, მიდგომების, რომლებიც მორგებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და უზრუნველყოფილს საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულებას.

Bottom-up მიდგომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია შვედი მკვლევარი ბენი ჰიერნი (Hill M. Hupe P. 2002). ჰიერნის მეთოდოლოგიის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის იმ ფაქტს, რომ მის მიერ შესწავლილი განსახორციელებელი პოლიტიკები (პოლიტიკური პროგრამები) მოიცავდა ურთიერთქმედებას სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის. ამ გარემოებას ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრესმენისა და ვილდავსკის პირველ ნაშრომში.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს როდესაც ჰიერნმა განავითარა თავისი თეორიული მიდგომა, ორგანიზაციების სოციოლოგიური კვლევების შედეგად ნელ-ნელა ხდებოდა გაცნობიერება იმისა, რომ ყურადღების გამახვილებამ ორგანიზაციის ფორმალურ

საზღვრებზე შესაძლებელია შეცდომაში შეგვიყვანოს, მაშინ როდესაც რეალურად ადამიანებს შორის საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში „არც თუ ისე“ დიდი როლი აკისრია ფორმალურ საზღვრებს.

ჰიერნი აკრიტიკებს საბატიესა და მაზმანიანის იმპლემენტაციის შესწავლის თეორიას და აღნიშნავს, რომ მათი თეორია შესაძლებელია დაეხმაროს პოლიტიკოსებს საჯარო ადმინისტრირების უკეთესად კონტროლში, მაგრამ ეს ავტომატურად არ გულისხმობს ეფექტიან იმპლემენტაციას. ის და ჰალი აღნიშნავენ, რომ იმპლემენტაციის ეფექტიანი შესწავლის პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ინტეგრირებული ორგანიზაციული თეორია ისე, რომ არ ხდებოდეს განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება და როლის მინიჭება ერთი რომელიმე აქტორის ან აქტორთა ჯგუფისათვის (Hill M. Hupe P. 2002).

სიუზენ ბერეტმა და კოლინ ფაჯმა, რომლებიც 80-იან წლებში ჩაერთვნენ იმპლემენტაციის შესახებ არსებულ დებატებში, გაიზიარეს ჰიერნის მიდგომა (Hill M. Hupe P. 2002). ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოქმედებათა დიდი ნაწილი დამოკიდებულია კონკრეტული ორგანიზაციის სხვადასხვა ნაწილებში დასაქმებულ ადამიანებს შორის მიღწეულ კომპრომისებზე.

ბერეტსა და ფაჯს მიაჩნიათ, რომ განსახორციელებელი პოლიტიკა და მოქმედება ერთმანეთთან დინამიკურ კავშირშია. მათთვის პოლიტიკური პროგრამა არ წარმოადგენს კონსტანტას. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებაში ჩაბმული არიან ისეთი ადამიანები, რომელთა მსოფლმხედველობა და აზროვნების წესი შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ ადამიანების წარმოდგენებისაგან, რომლებმაც პოლიტიკა განსაზღვრეს და კონკრეტული პროგრამა შეიმუშავეს. აქედან გამომდინარე, შემუშავებული პოლიტიკის ინტერპრეტაცია და მოდიფიკაცია ბუნებრივი მოვლენაა და პოლიტიკის განმახორციელებლების შეუსაბამო მოქმედება პოლიტიკის გაცხადებულ მიზნებთან, შესაძლოა იყოს მიზანმიმართული ხელისშემშლელი მცდელობაც.

იმპლემენტაციის პრობლემები ჩინეთის გარემოსდაცვით პოლიტიკაში

ჩინეთის გარემოსდაცვით პოლიტიკაზე საუბრისას ავტორები აღნიშნავენ, რომ წლების განმავლობაში ჩინეთის გარემოსდაცვით პოლიტიკას ახასიათებდა "კეთილშობილური განზრახვები," მნიშვნელოვანი წარმატებები, უყურადღებობა და განსაცვიფრებელი უპასუხისმგებლობა (Chan H. 1995).

ჩინეთის გარემოსდაცვით პოლიტიკაში იმპლემენტაციის დაბალ დონესა და შერჩევით აღსრულებას ავტორები რამდენიმე ძირითადი ფაქტორით ხსნიან. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ინსტიტუციურ სიძლიერეზე, ფუნქციების გადანაწილებაზე, განსახორციელებელი პოლიტიკის ლეგიტიმურობასა და იერარქიის სხვადასხვა დონეზე მყოფი პოლიტიკის განმახორციელებლების განსხვავებულ მიდგომებზე.

აქედან გამომდინარე, ისინი სვამენ შემდეგ კითხვებს:

- როგორ ხდება ბალანსის დაცვა ეკონომიკური ზრდის მოთხოვნილებასა და გარემოს დაცვას შორის?
- სწამთ თუ არა გარემოსდაცვით სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეებს, რომ გარემოსდაცვითი საქმიანობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, მაგალითად, სხვადასხვა ეკონომიკური პროექტების რესურსებით უზრუნველყოფა?
- მხარს უჭერენ თუ არა სახელმწიფოს მხრიდან გარემოს დაცვის სექტორის დაფინანსების ზრდას, თუ ეს გამოიწვევს გადასახადების ზრდას?

უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის პოლიტიკის იმპლემენტაციის ეფექტიანობას ჩინეთში, არის დაუხვეწავი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, დაფინანსების სიმცირე და ადამიანური რესურსის ნაკლებობა.

როდესაც ავტორები საუბრობენ პრობლემაზე, რომელიც ეხება ბალანსს ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის, მთავარი კითხვა არის თუ როგორ შევცვალოთ გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე მოხელეების განწყობები და ცნობიერება იმგვარად, რომ ისინი გახდნენ უფრო მგრძნობიარენი ეკოლოგიური პრობლემების მიმართ.

კვლევის შედეგად ავტორები აკეთებენ შემდეგი ტიპის დასკვნას, რომ „ქუჩის დონის ბიუროკრატებს“ ახასიათებთ გარემოსდაცვითი ღირებულებების მიმართ ლოიალურობის ნაკლებობა და მათი დიდი ნაწილისათვის ეკონომიკურ განვითარებას ბევრად მაღალი ღირებულება აქვს.

ამ ტიპის დამოკიდებულებას ამყარებდა და შესაძლოა ბიძგის მიმცემიც იყო, სხვადასხვა ლიდერების დამოკიდებულება გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, ჩინეთის მაშინდელ გარემოს დაცვის მინისტრს არაერთხელ უთქვამს, რომ ის მხარს არ უჭერდა მოწოდებებს, რომლის მიხედვითაც მთავრობას უნდა შეემცირებინა ეკონომიკური ზრდის ტემპები.

ისინი ვინც უშუალოდ იყვნენ პასუხისმგებელნი პოლიტიკის იმპლემენტაციაზე, ხშირად არ მოქმედებდნენ მიღებული დირექტივების შესაბამისად. ამის მაგივრად, მათი მოქმედებები ხშირად იყო მოულოდნელი, რთულად პროგნოზირებადი და ზოგიერთ შემთხვევაში მიღებული დავალებების სრულიად საპირისპირო.

თავი III. კვლევის შედეგები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მის ძირითად ამოცანებს გარემოსდაცვით ნაწილში განეკუთვნება : გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ორგანიზება, დაცული ტერიტორიების სისტემის დაფუძნება, ბიოლოგიური მრავალფეროვნების მისი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, მოქმედებათა კოორდინირება და კონტროლი, ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგი, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის მომზადება, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა კოორდინირება და მონიტორინგი, კომპეტენციის ფარგლებში, ევროინტეგრაციის პროცესში მონაწილეობა და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულება, ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულება, 2016).

სამინისტრო გარემოსდაცვით სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეშვეობით. სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ქვედანაყოფებია შიდა აუდიტის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, ადმინისტრაციული დეპარტამენტი, ეკონომიკური დეპარტამენტი, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების

დეპარტამენტი, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი, ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია: დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, ეროვნული საშენი მეურნეობა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო. ასევე, სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულება, 2016).

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სახელმწიფო მართვასა და კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მის შემადგენლობაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეშვეობით.

ერთ-ერთი რეფორმა, რომელიც საქართველოს გარემოსდაცვით სექტორში გატარდა და მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, იყო 2013 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის“ შექმნა (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2017).

კანონის აღსრულება მმართველობის საკვანძო სეგმენტია. ამჟამად გარემოსდაცვით ზედამხედველობას სწორედ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ) ახორციელებს, თავისი ცენტრალური და რეგიონული ოფისების საშუალებით (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2017). საწარმოებში ინსპექტორების რეგულარული ვიზიტებით, აღნიშნული დეპარტამენტი მეთვალყურეობას უწევს დადგენილი წესებისა და

რეგულაციების შესრულებას საწარმოების მხრიდან. დეპარტამენტი ასევე რეაგირებს იურიდიული და ფიზიკური პირების საჩივრებზე ნებისმიერი საწარმოს წინააღმდეგ და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მათგან მოითხოვს, რომ საქმიანობა განსაზღვრულ ვადებში მოიყვანონ ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კომპანიები ასევე ჯარიმდებიან გარემოზე ნებისმიერი ზიანისა და ზარალის მიყენებისთვის. არსებული ეროვნული კანონმდებლობა გარემოზე ზიანის მიყენებისა და ამ დაზიანებით გამოწვეული შედეგების მიმართ მკვეთრად განსხვავდება ევროკავშირის მიდგომისგან და საჭიროებს სრულ გადასინჯვა/განახლებას.

აღნიშნული უწყება გარემოსდაცვით მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ახორციელებს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, წიაღისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა; საქართველოს ტყის კანონმდებლობათა მოთხოვნის დაცვა; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ქიმიური უსაფრთხოების, ნარჩენების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება (გარდა ბირთვული და რადიაციული ნარჩენებისა); ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლი, რომელიც მოიცავს, გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებაზე, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებაზე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას და შესაბამისი რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვას; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიების, ნებართვებისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“(ძალადაკარგულია 2018 წლიდან) საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი.

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

- ✓ სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში;
- ✓ ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- ✓ გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- ✓ კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგის წარმოება, მათ შორის, რეგულირების ობიექტის მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი ლიცენზიების, ნებართვებისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი.

გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს ლიცენზიებს ყველა ტიპის 11 ბუნებრივი რესურსით სარგებლობაზე, გარდა ნავთობისა და გაზისა. ხე-ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემა აღარ წარმოებს 2012 წლიდან, წარსულში ტყის მართვის არასწორი პრაქტიკის და ტყისადმი მიყენებული ზიანის გამო, თუმცა მანამდე გაცემული ლიცენზიები კვლავაც მოქმედია.

- ✓ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობისათვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემა და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია.
- ✓ ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების შემცირების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა.
- ✓ მაღალი საფრთხის მქონე ტერიტორიებზე გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

- ✓ ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ამსახველ მიმდინარე და მრავალწლიურ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და შესაბამისი ანგარიშების, ბიულეტენების, მიმოხილვების და სხვა სახის საცნობარო მასალის მომზადება.

გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის ძირითადი ნაწილი შემუშავებულია გბრდს-ს მიერ. მას ასევე აკისრია ძირითადი როლი გარემოსდაცვით ადმინისტრირებაში, ნებართვების გაცემასა და აღსრულებაში, მონიტორინგში, მონაცემთა ანალიზსა და მართვაში მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების საშუალებით.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და რეფორმები

გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებით საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება 2012 წლიდან დაიწყო. განხორციელებული ცვლილებები მიზნად ისახავდა ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის გაძლიერებასა და ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. გარემოს დაცვის სამინისტროს კომპეტენცია გახდა ბუნებრივი რესურსების დაცვა. მანამდე, ბუნებრივი რესურსების მართვას ენერგეტიკის სამინისტრო ახორციელებდა.

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულმა ასოცირების შეთანხმებამ, ბევრი ვალდებულება დააკისრა ქართულ მხარეს. შეთანხმების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოება სხვადასხვა დარგში.

ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს გარემოსდაცვითი მმართველობა და ის რეფორმები, რომელიც საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას გამოიწვევს. ასოცირების შეთანხმებით საქართველოს ეკისრება ძირეული რეფორმების გატარება გარემოსდაცვითი მიმართულებით, რათა მოხდეს გარემოსდაცვითი საკითხების

ინტეგრირება ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა სექტორში, მათ შორის, ეკონომიკასა და ვაჭრობაში.

2014-17 წლებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. აღსანიშნავია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიღება, თუმცა მისი სრული ამოქმედება კვლავაც არ დაწყებულა (Association Implementation Report on Georgia, 2017).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ დამტკიცება განსაკუთრებით მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განვითარების თვალსაზრისით. კოდექსი სრულიად ახლებურად არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხებს (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2017).

უნდა აღინიშნოს, რომ ნებართვის გაცემის არსებულ სისტემაში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ცვლილებები და მიღწეულია პროგრესი. ახალ კანონს - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს - შემოაქვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) შესახებ ევროკავშირის დირექტივებით, ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული პრინციპები. გარემოსდაცვითი შეფასების კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი რეგულაციები სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ საუკეთესო მიდგომებთან. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაექვემდებარება ყველა ის საქმიანობა (მასშტაბისა და კატეგორიის მიხედვით), რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს გარემოს მდგომარეობასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამასთან, კოდექსის ამოქმედება, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზე საზოგადოების ჩართულობის ეფექტიანი სამართლებრივი გარანტიების საფუძველზე, უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობის მაღალ სტანდარტებს, როგორც

სკრინინგის, ისე სკოპინგისა და უშუალოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების სტადიაზე.

კოდექსით განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული ახალი საქმიანობების ჩამონათვალი. გარემოზე ზემოქმედების რისკებისა და ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით, საქმიანობები დაჯგუფებულია ორ დანართში. პირველ დანართში მითითებული საქმიანობები ცალსახად ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. რაც შეეხება მეორე დანართში მითითებულ საქმიანობებს, მათთვის თავდაპირველად გათვალისწინებულია სკრინინგის პროცედურის ჩატარება, რომლის საფუძველზეც დადგინდება ექვემდებარება თუ არა საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამდენად, ერთი შეხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი იზრდება, თუმცა, რეალურად, მეორე დანართში მოცემული საქმიანობები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, თუ ეს დადგინდება სკრინინგის გადაწყვეტილებით. ამასთან, კოდექსით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე არის ის, რომ იგი ითვალისწინებს სკრინინგის და სკოპინგის პროცედურების ერთ ეტაპად გაერთიანებას, რაც საქმიანობის განმახორციელებელს მისცემს საშუალებას, სკრინინგის ეტაპზე წარადგინოს როგორც სკრინინგის ასევე სკოპინგის პროცედურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომელსაც სამინისტრო განიხილავს პარალელურ რეჟიმში. მოცემული დანაწესი საშუალებას მისცემს საქმიანობის განმახორციელებს დაზოგოს დრო და პროცედურა გაიაროს შემჭიდროვებულ ვადებში. საქმიანობის განმახორციელებელი, საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლებამოსილი იქნება, პირდაპირ სკოპინგის განცხადებით მიმართოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეების სამინისტროს (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე) და ითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. ასეთ დროს პირი დაზოგავს სკრინინგის ეტაპისათვის გათვალისწინებულ დროს და ვადებს და შესაბამისად ადმინისტრაციულ წარმოებას სამინისტროში დაიწყებს სკოპინგის ეტაპით.

ახლად ჩამოყალიბებული სგშ-ს (სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება) ტრანსსასაზღვრო პროცედურების სისტემა ხელს შეუწყობს გარემოს დაცვასა და ადამიანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების ინტეგრირებას სტრატეგიულ დაგეგმვაში და გააუმჯობესებს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას. ამ მხრივ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარე პროცესია დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ინტეგრირებული კანონმდებლობის შემუშავება ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნათა შესაბამისად, რაც გულისხმობს ძირეულ ცვლილებებს არსებულ სანებართვო სისტემაში. . კერძოდ, დაგეგმილია სამართლებრივი, ინსტიტუციური, ადმინისტრაციული და პროცედურული ჩარჩოს შემუშავების გზით დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს თანამედროვე გარემოსდაცვითი მართვის ისეთი პრინციპების დანერგვას, როგორიცაა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა და ემისიის ზღვრული ნორმები, როგორც ამას ასოცირების შესახებ შეთანხმება მოითხოვს.

ამ კანონის მიხედვით, იზრდება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების რაოდენობა და ხორციელდება მათი რანჟირება მათი მასშტაბებისა და ზემოქმედების ხარისხის მიხედვით. კანონის მიხედვით, გათვალისწინებულია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის დანერგვა, რომლის მიზანია სხვადასხვა სექტორში განსახორციელებელი საქმიანობების შეფასებისას გარემოსდაცვითი საკითხებისა და ადამიანის ჯანმრთელობის ასპექტების გათვალისწინება. ამას გარდა, კოდექსი ითვალისწინებს, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დამკვიდრებას, რომელიც გულისხმობს იმ სახელმწიფოს ჩართვას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლის გარემოზეც დაგეგმილი საქმიანობა ან განსახორციელებელი პროექტი სავარაუდო ზემოქმედებას მოახდენს. დაგეგმილ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა ამ კანონის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. თუ აღნიშნული კანონის მიღებამდე, განსახორციელებელ საქმიანობებთან დაკავშირებული საჯარო განხილვების ორგანიზება საქმიანობის განმახორციელებლის ვალდებულება იყო, კანონის

ამოქმედების შემდეგ, საჯარო განხილვების გამართვაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს, კერძოდ, სამინისტროს ეკისრება. აღნიშნული სიახლის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების უფრო ეფექტიან მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან საქმიანობის განმახორციელებლისათვის ვალდებულების დაკისრება საჯარო განხილვების ჩასატარებლად გარკვეულ ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს, ვინაიდან პირი, რომელსაც სურს ამა თუ იმ პროექტის კონკრეტულ ტერიტორიაზე განხორციელება და მას აქვს საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობის მოლოდინი, დაინტერესებულია პროექტის საჯარო განხილვას მისცეს მაქსიმალურად ფორმალური დატვირთვა, რაც ზრდის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას საზოგადოებრივი აზრის იგნორირებით.

კანონპროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“

ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული "გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" ევროკავშირის დირექტივის იმპლემენტაციის ვალდებულების შესრულების მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინასებული პროექტის ფარგლებში სამინისტრომ შეიმუშავა “გარემოსდაცვითი პასუხიმგებლობის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის სამუშაო ვერსია, რომელმაც უნდა მოიცვას მთლიანად გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმირება. შედეგად, ახალი კანონის მიზანი იქნება გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსწორების და ასეთი ზიანის პრევენციისათვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რაც დაეფუძნება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპს. შესაბამისად, დამაზიანებელმა უნდა აიღოს ვალდებულება აღადგინოს დაზიანებული გარემო და ამ შემთხვევაში მოიაზრება დაზიანების შესაბამისი არამხოლოდ ფულადი კომპენსაცია (რეფორმის ფარგლებში მუშავდება ასევე გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოთვლის მეთოლოდოლოგია ევროპული სტანდარტების შესაბამისად), არამედ უშუალოდ გარემოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ამ კანონის ფარგლებშივე იგეგმება ასევე მცირე ზიანის ინკორპორირებაც, რის შედეგადაც კანონი მოიცავს როგორც ავტორიზებულ, ისე არავტორიზებულ ზიანს. ამავე კანონის ფარგლებში განსაზღვრული იქნება

გარემოსდაცვითი სარეზერვო ფონდის შექმნაც, რომელშიც იგეგმება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სახით გადახდილი სხვადასხვა ტიპის საკომპენსაციო თანხების აკუმულირება, რაც შემდგომ მოხმარდება ისტორიული დაბინძურების აღდგენას და ასევე გამოიყენება იმ შემთხვევაში როდესაც მომავალში შეუძლებელი იქნება დამბინძურებლის იდენტიფიცირება (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2016).

სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და პრობლემები

„წიაღის შესახებ“ კანონი 1996 წელს არის მიღებული და გარემოს დაცვის სფეროში მიღებული და დღემდე მოქმედი ერთ-ერთი პირველი კანონია. „წიაღის შესახებ“ კანონის თანახმად, „საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს“. კანონი განსაზღვრავს წიაღის სტატუსს - საქართველოს წიაღი სახელმწიფო საკუთრებაა. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ თუ ფარულად ხელყოფს წიაღზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას. მიწაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა წიაღზე საკუთრების უფლებას (საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ,“ 1996).

არასოდეს შესრულებულა კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნა, რომლის მოქმედი რედაქციის თანხმად, „ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, წიაღისეული იყოფა განსაკუთრებული სახელმწიფო, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფებად, რომელთა განსაზღვრის წესსა და ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა“. საგულისხმოა, რომ კანონის არსებობის მანძილზე ამ მუხლში ცვლილება სამჯერ შევიდა - იცვლებოდა უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იყო წიაღისეულის ჯგუფებად დაყოფის წესისა და ნუსხის დამტკიცებაზე (საქართველოს მინერალური რესურსების მმართველობის აქტუალური საკითხები, 2017).

კანონი ადგენს წიაღით სარგებლობის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ უწყებას, ეს არის - სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

საქართველოში გარემოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამბინძურებელია სამთო-მოპოვებითი მრეწველობა. მძიმე ლითონების მაღალი კონცენტრაცია ფიქსირდება იმერეთისა და ქვემო ქართლის მდინარეებში. ამ თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია მდინარეები: ყვირილა, კაზრეთულა და მაშავერა. სამრეწველო ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემით საწარმოთა მხოლოდ მცირე ნაწილია აღჭურვილი. მათი უდიდესი ნაწილი კი ჩამდინარე წყლების გაწმენდის ან წინასწარი გაწმენდის სისტემების გარეშე ფუნქციონირებენ (საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021).

ტექნიკური ანგარიშში, რომელიც უნდა აღწერდეს წიაღისეულის მოპოვების პროცესს, როგორც წესი, იქმნება მხოლოდ ლიცენზიის გაცემის შემდეგ, რაც არ იძლევა გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინების საშუალებას კონკრეტული სამთო- მოპოვებითი სამუშაოს პროცესის დაგეგმარების ადრეულ ეტაპზე (საქართველოს მინერალური რესურსების მმართველობის აქტუალური საკითხები, 2017).

ბოლნისი

RMG Gold ბოლნისში წიაღისეულის მთავარი მომპოვებელი კომპანიაა. კომპანიის მფლობელობაში არსებული საწარმოების მხრიდან გარემოსათვის მიყენებული ზიანის კომპლექსური კვლევა არ არსებობს, თუმცა არსებობს ფრაგმენტული კვლევები. ერთ-ერთი ასეთი კვლევა ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გისენის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში (RMG - კომპანიის პროფილი, 2017). კვლევა მიზნად ისახავდა, მადნეულის მომპოვებელი საწარმოების გავლენის შეფასებას ბოლნისის ეკოსისტემასა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. კვლევა მოიცავდა 2001-2011 წლებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიის ნახევარზე მეტი დაბინძურებული იყო ისეთი მეტალებით, როგორიცაა თუთია, კადმიუმი და სპილენძი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო მდინარე მაშავერას

ხეობის მორწყულ ნიადაგებზე, რომლის დიდი ნაწილიც მძიმე ლითონებით არის დაბინძურებული. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, ნიადაგის დაბინძურების ხარისხი ევროპის ნიადაგების დაცვის წესდებით განსაზღვრულ ნორმებს ბევრად აღემატებოდა. კვლევის დასკვნაში ვკითხულობთ:

- მდ. მაშავერას ხეობაში მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგები ადამიანებისთვის, ცხოველებისა და საკვებისთვის ხანგრძლივ პრობლემას წამოადგენენ;
- აუცილებელია მოსახლეობის დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, რაც მზარდი დატვირთვის წინააღმდეგ იქნება მიმართული“ (RMG - კომპანიის პროფილი, 2017).

სამინისტროს ზედამხედველობის სამსახურის 2013-2014 წლების ანგარიშის თანახმად, RMG Gold - ის მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის გარეშე, მადნის მოპოვებითი საწარმოს მშენებლობისას გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 29 მილიონ ლარზე მეტი. ხოლო სს RMG Copper-ის გამამდიდრებელი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ 5000 კუბ.მ მოცულობის ე.წ. შემასქელებელი რეზერვუარიდან 500 კუბ.მ მოცულობის მჟავე კარიერული წყლის მდ. კაზრეთულაში ჩაღვრის შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 1 078 188 ლარი შეადგინა (RMG - კომპანიის პროფილი, 2017).

არემჯი გოლდი“ და „არემჯი კოპერი“ საქართველოში და ბოლნისის რაიონში უმსხვილესი დამსაქმებლები არიან. ორივე კომპანიაში 3000-მდე ადამიანი მუშაობს,რომელთა 90% ადგილობრივი მოსახლეა. 2011-2014 წლებში „არემჯიმ“ საქართველოში 300 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელა (არემჯი, რიჩ მეტალს გრუპი, 2018).

მსხვილი კომპანიებისთვის, რომლებიც დღეს ქვემო ქართლის რეგიონში სამთო-მოპოვებით სამუშაოებს აწარმოებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მინიჭება 2008 წელს მოხდა. ნებართვის მოსაპოვებლად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნაცვლად წარმოდგენილი იყო 10 წლის წინანდელი დოკუმენტი, რომელშიც მხოლოდ თარიღები იყო შეცვლილი (გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში, 2015).

ამდენად, სახელმწიფომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არარსებობის პირობებში გასცა ქვემო ქართლში სამრეწველო სამუშაოების დაწყების ნებართვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოცემულ ტერიტორიაზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. აქედან გამომდინარე, იმ ტერიტორიებზე, სადაც საქმიანობის განხორციელებაზე ნებართვა გაიცა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ გაკეთებულა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფომ გვერდით გადადო გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა და საფრთხეში ჩააგდო ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობა.

თავად კომპანიის ვებ-გვერდზე მითითებულია, რომ გარემოს დაცვა კომპანიისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და აღნიშნულია, თუ როგორ მოწმდება საქმიანობის განხორციელების მიმდებარე ტერიტორიაზე წყლის მდგომარეობა, ასევე, ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ კარიერის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი მტვერი და აფეთქების შედეგად გამოყოფილი აირები არ განეკუთვნება გარემოს ძლიერ დამბინძურებელთა ჯგუფს (არემჯი, რიჩ მეტალს გრუპი, 2018).

თუმცა, არაფერია ნათქვამი გარემოს არსებული მდგომარეობის შესახებ. არსად არის საუბარი იმ ზიანზე, რომელსაც შესაძლოა, მოქმედი საწარმოები მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ და სოციალურ გარემოს აყენებდნენ და არც ზიანის პრევენციისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაზეა საუბარი.

ამას გარდა, უცნობია კომპანიის მიერ მოპოვებული წიაღისეულის ოდენობა, საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციის რაოდენობა და ქვეყნის ბიუჯეტში შეტანილი ფინანსური რესურსი. აღნიშნული ინფორმაცია „კომერციული საიდუმლოების“ სტატუსს ატარებს. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, კომპანიას საშუალება ეძლევა მოიპოვოს ქვეყნის ბუნებრივი რესურსი, ისე რომ საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის რას უდრის კომპანიის მიერ მიღებული მოგება და მოგების რა წილი მიემართება ცენტრალურ თუ ადგილობრივ ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, მოსახლეობამ არ იცის რის სანაცვლოდ ეძლევა RMG Gold - ს ბოლნისში ბუნებრივი რესურსების მოპოვების უფლება.

ჭიათურა

2013 – 14 წლებში „ჯორჯიან მანგანეზის“ მხრიდან გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 357, 364, 708 ლარი შეადგინა (გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში, 2015)

კერძოდ,

- კომპანიამ არ განახორციელა გამამდიდრებელი საწარმოს ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდების მოწყობა და მოხდა დაბინძურებული წყლის მდინარე ყვირილაში ჩაშვება, რაც გარემოსათვის მიყენებული 30 799 860 ლარის ზარალად შეფასდა.
- 158 832 ლარის ზარალი მიადგა გარემოს კომპანიის მიერ 2.3 ჰექტარზე ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე.
- რამდენიმე სოფელში მოპოვებითი სამუშაოებისას მოხდა მიწის დეგრადაცია და ზარალი განისაზღვრა 2 079 582 ლარით.
- მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონოდ მოხსნის, ნიადაგის დეგრადაციისა და მდინარის დაბინძურების შედეგად გარემომ 324 326 434 ლარის ზარალი ნახა

ამჟამად ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის არცერთ გამამდიდრებელ ფაბრიკას არ გააჩნია მოქმედი გამწმენდი ნაგებობა, ხოლო ადრე არსებული შლამსადინარები მწყობრიდანაა გამოსული. ფაბრიკებში მწყობრიდან გამოსულია სალექარებისა და დორების უმრავლესობა, ხოლო შლამსადენი საერთოდ აღარ არსებობს და გამამდიდრებელი ფაბრიკების ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდ. ყვირილაში, რაც იწვევს მდინარის წყლის შეწონილი ნაწილაკებით და მანგანუმის ნაერთებით დაბინძურებას (ჯორჯიან მანგანეზი - კომპანიის პროფილი, 2017).

„გარემოს მდგომარეობის შესახებ “ 2010-2013 წლების ეროვნული ანგარიშის თანახმად „2013 წლის მონაცემებით, მდინარე ყვირილაზე აღინიშნება მანგანუმის კონცენტრაციის გადაჭარბება, რაც მანგანუმის სამთო-მოპოვებით მრეწველობას უკავშირდება. წერტილში ქვედა ჭიათურა, მანგანუმის კონცენტრაცია დასაშვებ ზღვარს 6-ჯერ აღემატება. დაახლოებით იგივე სურათი იკვეთება 2010-2012 წლებშიც“ (ჯორჯიან მანგანეზი - კომპანიის პროფილი, 2017).

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესრუსების დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპატამენტმა 2014 წელს გადაამოწმა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის 2013 წლის 6 მარტის ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილ ვადებში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ გამამდირებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების მდგომარეობა. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ნებართვის პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ვალდებულებები კვლავ არ იყო შესრულებული; ამიტომ ჯორჯიან მანგანეზს დაეკისრა ჯარიმა 15 000 (ნებართვის პირობების განმეორებით დარღვევის გამო ჯარიმის გასამმაგებული ოდენობა) ლარის ოდენობით (ჯორჯიან მანგანეზი - კომპანიის პროფილი, 2017).

2014 წლის 17 სექტემბერს „ჯორჯიან მანგანეზს“ ხელახლა დაუდგინდა შესასრულებელი ვალდებულებები და განესაზღვრა გონივრული ვადები, რომლის ფარგლებშიც კომპანიას უნდა უზრუნველეყო ისეთი მოწყობილობების დანერგვა, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდა სამინისტროს მიერ მოთხოვნილ სტანდარტებთან და გარემოსაც ნაკლებ ზიანს მიაყენებდა. ეს ვალდებულებები მოიცავდა :

- 6 თვის ვადაში გამამდიდრებელი ფაბრიკების საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების მოწყობას
- 6 თვის ვადაში გამამდიდრებელი ფაბრიკის ყველა შლამშემსქელებლის გამართვას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად
- 3 თვის ვადაში საწარმოს ლაბორატორიის მუშა მდგომარეობაში მოყვანას

- 6 თვის ვადაში სანაყაროზე წყალამრიდი არხების მოწყობას, ხოლო მდინარე ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის აგებას, რათა არ მომხდარიყო დასაწყობებული აგლომერატის ყვირილაში მოხვედრით მისი დაბინძურება.
- ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური ხაზის მოწყობას, როგორც ამას გარემოზე ზემოქმედების ანგარიში ითვალისწინებდა (ჯორჯიან მანგანეზი - კომპანიის პროფილი, 2017).

ზემოთ მოცემული ვადები კომპანიის თხოვნის საფუძველზე რამდენიმეჯერ გაგრძელდა, თუმცა კომპანიას 2016 წლის 1 ივლისისათვის კვლავ არ ჰქონდა სამინისტროს მიერ წაყენებული მოთხოვნები შესრულებული, რისთვისაც „ჯორჯიან მანგანეზი“ 45 ათასი ლარით დაჯარიმდა.

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის თანახმად, თუ ნებართვის მფლობელი არ ითვალისწინებს ამ კანონის 34 - ე მუხლის მიხედვით დაკისრებულ პასუხისმგებლობას, ნებართვის გამცემი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს გაცემული ნებართვის გაუქმების თაობაზე. თუმცა ამავე მუხლში მითითებულია რომ, თუ ნებართვის გაუქმება უფრო დიდ ზიანს გამოიწვევს, ვიდრე მისი გაგრძელებაა ან არსობრივად შეუძლებელია ნებართვის გაუქმება, ნებართვის გამცემი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობებით, გააგრძელოს ნებართვის მოქმედების ვადა. სანებართვო ვადის გაგრძელების შემდეგ ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს დაკისრებული პასუხისმგებლობა იმ გონივრულ ვადაში, რომელიც მას ნებართვის გამცემმა მიანიჭა (საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ,“ 2005).

აღნიშნული მუხლის საფუძველზე, 2016 წლის 5 ივლისს „ჯორჯიან მანგანეზს“ კვლავ გაუგრძელდა საქმიანობის განხორციელების უფლება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მთავარი საფუძველი კი, სამინისტროს განცხადებით, იყო ის გარემოება, რომ საწარმო წარმოადგენდა ჭიათურისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისათვის დასაქმების მთავარ წყაროს, კომპანიისათვის საქმიანობის ნებართვის შეჩერება კი გამოიწვევდა მძიმე სოციალურ კრიზისს.

დასკვნა

კვლევის მიზანი იყო დაედგინა, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს ეკონომიკურ ინტერესებსა და საზოგადოებაში არსებულ სოციოეკონომიკურ ფონს გარემოსდაცვითი პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესზე. რამდენად სისტემურია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო "თვალს ხუჭავს" გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე და რა შესაძლო მოტივები დგას ასეთი ქმედების უკან.

კვლევაში ყურადღება გამახვილდა საქართველოში არსებულ სამთომოპოვებით საქმიანობაზე, ამ სისტემაში არსებულ კანონდარღვევებზე, აღნიშნული კანონდარღვევებით გამოწვეულ ეკოლოგიურ პრობლემებსა და ზარალზე, რომელიც სახელმწიფოს მიადგა. კერძოდ, შესწავლილ იქნა ქვემო ქართლსა და იმერეთის რეგიონში არსებული მსხვილი სამთო - მოპოვებითი კომპანიების, RMG Gold - სა და "ჯორჯიან მანგანეზის" საქმიანობა და გაანალიზდა ის ურთიერთობები, რომელიც სახელმწიფოსა და ამ კომპანიებს შორის არსებობს, და ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ამ ურთიერთობებს.

მიზნის მისაღწევად, მოხდა იმ ექსპერტული ცოდნის ანალიზი, რომელიც საქართველოს გარემოსდაცვით სფეროში არსებობს, რაც გამოიხატა საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროში არსებული კანონმდებლობისა და ამ თემაზე წლების განმავლობაში შექმნილი სხვადასხვა ანალიტიკური თუ სარეკომენდაციო ტიპის დოკუმენტების ანალიზში. ამას გარდა, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივასა" და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში, რომელიც უშუალო ზედამხედველობას ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობაზე.

კვლევის შედეგად, ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც გარემოსდაცვითი პოლიტიკის იმპლემენტაციის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები მსხვილი ბიზნეს - ჯგუფების ეკონომიკური ინტერესები და საზოგადოებაში არსებული მძიმე სოციოეკონომიკური ფონია, დადასტურდა. აღნიშნული ორი ფაქტორი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. კვლევამ აჩვენა, რომ სამთო - მოპოვებით სფეროში არსებული კომპანიები ადვილად ახერხებენ კანონის გვერდის ავლით მოქმედებას და ამ მიზნის მისაღწევად მანიპულირებენ შესაბამის რეგიონებში არსებული მძიმე სოციალური ფონით. მათ კარგად იციან, რომ სახელმწიფო მათთან მიმართებით ვერ მიმართავს მკაცრ ზომებს, რადგან ისინი რეგიონებში მთავარი დამსაქმებლები არიან, სახელმწიფოს კი, თავის მხრივ, არ სურს რეგიონებში არსებული სოციალური ფონი უფრო დაამძიმოს და სოციალური კრიზისი გაამწვავოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

2016 წლის ანგარიში (გვ. 4-40). (2016). თბილისი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

RMG - კომპანიის პროფილი (გვ. 1-9). (2017). თბილისი: მწვანე ალტერნატივა. http://greenalt.org/wp-content/uploads/2017/02/RMG_Company_Profile_Geo_2016.pdf

არემჯი - რიჩ მეტალს გრუპი. (2018). მოძიებულია: 12 იანვარი, 2018, http://www.richmetalsgroup.com/index.php?a=main&pid=9&lang=geo

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში (გვ. 2-20). (2015). თბილისი: მწვანე ალტერნატივა. http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/07/state_of_env_info_2015.pdf

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 34 (2005).

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017 - 2021 წწ., საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2017).

საქართველოს კანონი წიაღის შესახებ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მუხლი 2 (1996).

საქართველოს მინერალური რესურსების მმართველობის აქტუალური საკითხები (გვ. 4-32). (2017). თბილისი: მწვანე ალტერნატივა. http://www.greenalt.org/wp-content/uploads/2017/02/mining_report_2017_geo1.pdf

ჯიჯავაძე, თ. (2015, 25 აპრილი). საქართველო გულში „სიკვდილის კერებს ატარებს.“ მოძიებულია: 21 დეკემბერი, 2017, http://eugeorgia.info/ka/article/244/saqartvelo-gulshi-quotsikvdilis-kerebs-atarebsquot-/

ჯორჯიან მანგანეზი - კომპანიის პროფილი (გვ. 1-10). (2017). თბილისი: მწვანე ალტერნატივა. http://greenalt.org/wp-content/uploads/2017/02/GM_Company_Profile_Geo_2016.pdf

Association implementation report on Georgia (გვ. 1-17). Brussels: European Commission. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_implementation_report_on_georgia.pdf

Chan, H. (1995). The Implementation Gap in Environmental Management in China: The Case of Guangzhou, Zhengzhou, and Nanjing. Public Administration Review , გვ. 333-340. მოძიებულია: 21 დეკემბერი, 2017, http://www.jstor.org/stable/977124?seq=1&cid=pdf-reference#page_scan_tab_contents

Elson, P. (2006). Tracking the Implementation of Voluntary Sector-Government Policy Agreements: Is the Voluntary and Community Sector in the Frame? გვ. 1-17. მოძიებულია: 25 დეკემბერი, 2017, https://www.cpsa-acsp.ca/papers-2006/Elson.pdf

Fallah, M. (2012, ივნისი). Introducing a Model for Implementation of Industrial Policies : A Case Study in Qom Province, Iran. American Journal of Economics, გვ. 1-5. http://article.sapub.org/pdf/10.5923.j.economics.20120001.01.pdf

Graham, A. (2005, 21 ივნისი). Pressman/Wildavsky and Bardach: Implementation in the public sector, past, present and future. Canadian Public Administration, გვ. 1-6. http://post.queensu.ca/~grahama/publications/IMPLEMENTATION.pdf

Hill, M. (2002). Implementing Public Policy (Sage Politics Texts). London, United Kingdom: Sage Publications. გვ. 42-55 http://ipaa.ir/files/site1/pages/implementing_public_policy.pdf

Matland, R. (1995, აპრილი). Synthesizing the Implementation Literature: The Ambiguity-Conflict Model of Policy Implementation . Journal of Public Administration Research and Theory, გვ. 145-174. https://oied.ncsu.edu/selc/wp-content/uploads/2013/03/Synthesizing-the-Implementation-Literature-The-Ambiguity-Conflict-Model-of-Policy-Implementation.pdf

Paudel, N. (2009). A Critical Account of Policy Implementation Theories: Status and Reconsideration. Nepalese Journal of Public Policy and Governance, გვ. 36-51. მოძიებულია: 29 დეკემბერი, 2017, https://pdfs.semanticscholar.org/96cb/1a5f553dfe89767763005fa65f474af8e6d3.pdf.

Sabatier, P. (1986). Top-down and Bottom-up Approaches to Implementation Research: A Critical Analysis and Suggested Synthesis. *Journal of Public Policy, 6*(1), 21-48. http://www.jstor.org/stable/3998354

Sabatier, P. (1988). An Advocacy Coalition Framework of Policy Change and the Role of Policy-Oriented Learning Therein. *Policy Sciences, 21*(2/3), 129-168. http://www.jstor.org/stable/4532139

Top-down and Bottom-up Approaches within Implementation. (2013, 21 თებერვალი). Political Pipeline. https://politicalpipeline.wordpress.com/2013/02/21/top-down-and-bottom-up-approaches-within-implementation/